



სამხედრო უმცლომების
ენციკლოპედია
სალამინიდან ვრახის ომამდე

ტომი II
ლიეჟიდან ვრახის ომამდე

ქართული გამოცემის საერთო რედაქტორი
ანრილ ჩაჩხიანი
თბილისი
2019

ჰანს-დიტერ ოტო სამხედრო უმცლომების ენციკლოპედია II ტომი



საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის
ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა

თბილისი
2019

Hans-Dieter Otto

LEXIKON DER MILITÄRISCHEN IRRTÜMER

Von Salamis bis zum Irak-Krieg



HERBIG

Verlag des Herbig-Instituts für Militärgeschichte

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

და მ თ კ ი ც მ ბ უ ლ ი ა

დ.პ. 7 – 50.16. 2

საქართველოს შეიარაღებული ძალების
გენერალური შტაბის უფროსის
14. 09. 2018 წლის №699 ბრძანებით



კანს-ლიტერ ოტო

**სამხედრო უცდლომების
ენციკლოპედია**

სალამინიდან პრაციის ომამდე

მიუნხენი
2004

ტომი II

ლიეჟიდან პრაციის ომამდე

ქართული გამოცემის საერთო რედაქტორი
არჩილ ჩაჩხიანი

თბილისი
2019

**დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

სამმთავრო-საშტაბო კოლეჯი

**ქართული გამოცემის საერთო რედაქტორი: თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის
დოქტორი, პროფესორი არჩილ ჩაჩხიანი**

სარედაქციო კოლეჯია:

ისტორიის დოქტორი არსენ გვიმრაძე
ისტორიის დოქტორი გოგი ცხოვრებაძე

წინამდებარე ნაშრომი გერმანელი ავტორის, ჰანს-დიტერ ოტოს წიგნის, „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია – სალამინიდან ერაყის ომამდე“, ქართულ ენაზე გამოცემული გადამუშავებული და რედაქტირებული ვერსიაა. ეს წიგნი მოვლენათა ქრონოლოგიაზე აგებული შემეცნებითი, სამხედრო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომია. მასში თავმოყრილია ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მრავალშრიანი პლასტის მთელი წყება – კაცობრიობის 2500 წლიანი ისტორია, რომელიც მის მიერ წარმოებულ 46 ომს, საომარ კამპანიას თუ ცალკეულ ბრძოლას მოიცავს. წიგნში დროის ექვსი მონაკვეთია გამოყოფილი და მოიცავს მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს – ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ჩვენს დრომდე, 2003 წლის ერაყის ომის ჩათვლით. უფრო დეტალურად, ეს არის ძვ.წ. 500-ახ.წ. 1000, 1000-1700, 1700-1914, 1914-1938, 1939-1945 და 1945-2003 წლების ომებში, საომარ კამპანიებსა თუ ცალკეულ ბრძოლებში ადამიანთა მიერ ოპერაციების დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების პროცესში დაშვებული შეცდომების ანალიტიკური რეტროსპექტივა. ქართული ვერსიის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, წიგნი ორ ტომად წარმოგადგინეთ. მეორე ტომი თემატურად მოიცავს საომარი კამპანიების განხილვას პირველი მსოფლიო ომის ლიეჟის ბრძოლიდან ერაყის პირველ ომამდე. ქრონოლოგიურად ეს არის დროის პერიოდი 1914 წლიდან 2003 წლის ჩათვლით.

წიგნის მეორე ტომში შეტანილი ექვსასზე მეტი განმარტების, შენიშვნისა თუ კომენტარის შემეცნებითი ხასიათიდან გამომდინარე, მას ინტერესით წაიკითხავს როგორც დამწყები, სამხედრო საქმეში გაუთვისებელი მკითხველი და ფართო საზოგადოება, ასევე სამხედრო ლიცეუმის კადეტი თუ ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი, ოფიცერთა უმცროსი და საშუალო რგოლის სამეთაურო შემადგენლობა თუ ოპერატიული და სტრატეგიული დონის სამხედრო მოსამსახურე.

სარედაქციო კოლეჯია დიდი ინტერესით მიიღებს მკითხველთა მიერ გამოთქმულ საკმეიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

გამოცემის რედაქტორი **ქეთევან ოსეფაიშვილი**

მთარგმნელი **ლია დათინაშვილი**

სტილისტი **თინათინ პავლიაშვილი**

დამკაბადონებელი **სოფიო გოცაძე**

ტექნიკური რედაქტორი: პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი **ნოდარ ხორბალაძე**

ტექნიკური ჯგუფის უფროსი: ვიცე-პოლკოვნიკი **დავით ჩოგოვაძე**

განხილული და მოწონებულია დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის
აკადემიური საბჭოს მიერ. სხდომის ოქმი №1. 29.01.2018 წელი

© საავტორო უფლებები დაცულია. All rights reserved.

© არჩილ ჩაჩხიანი, 2019.

ISBN 978-9941-27-733-7 (ორივე ტომის)

ISBN 978-9941-8-0934-7 (მეორე ტომის)



საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან



*Of Georgia's First
Democratic Republic*

*ედღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის მე-100 წლისთავს*

ს ა რ ჩ ე პ ი

| | |
|------------------------------|----|
| სარჩევი----- | 9 |
| რედაქტორისგან----- | 11 |
| შესავალი----- | 23 |
| ყოველი საქმის შემოქმედი----- | 25 |

თავი I შეცდომები. 1914–1938 წლები

| | |
|---|-----|
| §1.1. გაუთვალისწინებელი საგმირო საქმეები (ლიეჟი, 1914 წლის 6 აგვისტო)----- | 31 |
| §1.2. სასწაული მარნასთან (საფრანგეთი, 1914 წლის 24 აგვისტო–10 სექტემბერი)----- | 51 |
| §1.3. სიკვდილი ტანენბერგთან (აღმოსავლეთ პრუსია, 1914 წლის 17–31 აგვისტო)----- | 73 |
| §1.4. კაციჭამია მოლოხი (ვერდენი, 1916 წლის თებერვალი–სექტემბერი)----- | 97 |
| §1.5. ისტორიაში უდიდესი საზღვაო ბრძოლა (სკაგერაკი, 1916 წლის 31 მაისი)----- | 133 |
| §1.6. საბედისწერო საათები (საფრანგეთი, 1917 წლის აპრილი)----- | 155 |

თავი II შეცდომები. 1939–1945 წლები

| | |
|--|-----|
| §2.1. შეცდომა „თეთრი გეგმა“ (ბერლინი, 1939 წლის 31 აგვისტო–3 სექტემბერი)----- | 177 |
| §2.2. „ნამგლით ჭრა“ (ჩრდილოეთი საფრანგეთი, 1940 წლის 10–18 მაისი)----- | 211 |
| §2.3. გამარჯვებულთა ტრიუმფი (დიუნკერკი, 1940 წლის 19 მაისი–4 ივნისი)----- | 247 |
| §2.4. ბრძოლა ბრიტანეთისთვის (ინგლისი, 1940 წლის 10 ივლისი–31 ოქტომბერი)----- | 271 |
| §2.5. ოპერაცია „ბარბაროსა“ (საბჭოთა კავშირი, 1940 წლის 18 დეკემბერი–1941 წლის 22 ივნისი)----- | 303 |
| §2.6. მოსკოვის კარიბჭემდე (საბჭოთა კავშირი, 1941 წლის 22 ივნისი–31 დეკემბერი)----- | 329 |
| §2.7. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ომის გამოცხადება (ბერლინი, 1941 წლის 11 დეკემბერი)----- | 355 |
| §2.8. მეექვსე არმიის განადგურება (სტალინგრადი, 1942 წლის 28 ივნისი–1943 წლის 3 თებერვალი)----- | 373 |
| §2.9. ოპერაცია „ოვერლორდი“ (ნორმანდია, 1944 წლის 6 ივნისი)----- | 405 |
| §2.10. კოდური დასახელება „საგუშაგო რაინთან“ (არდენი, 1944 წლის 16–28 დეკემბერი)----- | 431 |

თაზი III
შეცდომები. 1945 წლის შემდეგ

| | |
|---|-----|
| §3.1. დაუჯერებელი გამარჯვება (ინჩხონი, 1950 წლის 15 სექტემბერი)----- | 463 |
| §3.2. მოულოდნელი შემთხვევა იალუსთან (კორეა, 1950 წლის ნოემბერი—1951 წლის იანვარი)----- | 491 |
| §3.3. დიენ ბიენ ფუს ჯოჯოხეთი (ინდოჩინეთი, 1954 წლის 13 მარტი—7 მაისი)----- | 521 |
| §3.4. ფიასკო ღორების ყურეში (კუბა, 1961 წლის 17—20 აპრილი)----- | 551 |
| §3.5. იომ-ქიფურის ომი (ისრაელი, 1973 წლის 6—24 ოქტომბერი)----- | 577 |
| §3.6. სპარსეთის ყურის პირველი ომის შეცდომები (ერაყი, 1991 წლის 17 იანვარი—28 თებერვალი)----- | 615 |
| §3.7. ოპერაცია „თავისუფლება ერაყს“ (ერაყი, 2003 წლის 19 მარტი—1 მაისი)----- | 639 |

| | |
|--|-----|
| ისტორიულ წყაროებში საბრძოლო მოქმედებების შესახებ | |
| ასახული მცდარი წარმოდგენები----- | 671 |
| ომში შეცდომების დაშვების ძირითადი მიზეზები----- | 681 |
| დასკვნა----- | 697 |
| რედაქტორის ბოლოთქმა----- | 699 |
| ბიბლიოგრაფია----- | 705 |
| სახელთა საძიებელი----- | 709 |

რედაქტორისგან

აღბათ ორიგინალურები არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ კაცობრიობის ისტორია ომებისა და ბრძოლების ისტორიაა. არავინ იცის როდის და სად აწარმოა ადამიანთა საზოგადოებამ პირველად ომი ან როდის დასრულდება ეს სამწუნარო ისტორია. ერთი რამ კი ცხადია, რომ ომი ისეთივე განუყოფელი ნაწილი გახდა ადამის მოდგმის აქტიური ცხოვრებისა, როგორც მისი დაბადება და გარდაცვალება, წარმატება და წარუმატებლობა, ინტელექტუალური აღმასვლა თუ შემოქმედებითი რემისია. არავინ დაობს იმის შესახებაც, რომ ადამიანთა სულიერი, ინტელექტუალური, მატერიალური და ზოგადად, სოციალური აქტიურობის ფართო სპექტრიდან, ომის წარმოება აღბათ ყველაზე უარყოფითი, ყველაზე უკადრისი და ყველაზე არასასურველი საქმიანობაა.

არავინ იცის ზუსტად როდის აიღო ადამიანმა ხელში პირველად საბრძოლო იარაღი და შემოსდახა საომარი ყიჟინა, არავინ იცის როდის დაღვარა მან პირველად მოყვასის სისხლი და დაიპყრო მისი მიწა და ქონება, არავინ იცის რა იარაღითა და მეთოდებით იბრძოდა იგი დასაბამიდან და მოუტანა თუ არა ამ ომმა მას სასურველი შედეგი. ბოლომდე იბრძობოდა კაცობრიობა უხსოვარი წარსულის „მატერიალისტურ წუმპეში“ თუ მის ამგვარ აქტიურობას გარკვეული ნათელი წერტილებიც ახლდა თან?

და შეძლეგაც, საუკუნეებისა და ათწლეულების განმავლობაში დედამიწაზე აღბათ არ ყოფილა მშვიდობისა და საყოველთაო თანხმობის თუნდაც ერთი წელიწადი, რომლის განმავლობაშიც კაცობრიობის გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ სიდიდის ომსა თუ ცალკეულ სამხედრო კონფლიქტში არ ყოფილიყო ჩაბმული.

არსებულ ფორმატში ჩვენ არ ვაპირებთ ომების ხასიათისა და ბუნების კვლევას. ჩვენ არ ვაპირებთ მათი გამომწვევი მიზეზებისა და მიღწეული პოლიტიკური შედეგების ანალიზს. ჩვენ არ ვაპირებთ ომების, საომარი კამპანიებისა თუ ცალკეული ბრძოლების შესწავლას ომის თეორიისა და სამხედრო ხელოვნების კანონების მიხედვით და აქედან გამომდინარე შორსმომავალი დასკვნების გაკეთებას. ერთი რამ კი ცხადია – ადამიანთა მოდგმამ ვერაფრით ვერ შეძლო მიეღწია საყოველთაო თანხმობისათვის და მატერიალური კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზაზე დაევიწყებინა პირველყოფილი სისასტიკე, სიძულვილი და მტრობა.

ისტორია ხშირად მეორდება და მეორდება საზარელი გარდუვალობით. დღესაც, XXI საუკუნეში კაცობრიობა ისევ ომების ქარცეცხლშია გახვეული. და აქ ისევ ისმის ერთი შეხედვით არაორდინარული კითხვა – მხოლოდ პირველყოფილი ჟინის დასაკმაყოფილებლად ომობს ადამიანი თუ გარკვეული დადებითი შტრიხებიც შეიძლება მოუგუძებნოთ ამ არაჰუმანურ მოვლენას?

XX საუკუნის დასაწყისისათვის კაცობრიობამ შეძლო თავი დაეღწია „მატერიალისტური წუმპისათვის“, როგორც ამას თავის ღროზე დიდი

პრუსიელი მოაზროვნე და სამხედრო სტრატეგოსი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე წინასწარმეტყველებდა რაიხსტაგში თავისი უკანასკნელი გამოსვლისას, 1890 წლის 14 მაისს... და მსოფლიოშიც „ახალი წესრიგი“ დამყარდა. დაიწყო დასავლურ ისტორიოგრაფიაში „დიად ომად“ წოდებული I მსოფლიო ომი, რომლისკენაც განვითარებული ევროპა და მთელი მსოფლიო წლების განმავლობაში დაჟინებით და მეთოდურად მიიწვედა. აკი სწორედ ფონ მოლტკე შეიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან I მსოფლიო ომის თეორიული და სტრატეგიული აზრის მთავარ აპოლოგეტად და წინასწარმეტყველად, როცა სტრატეგიული გარშემორტყმისა და გამანადგურებელი ომის თეორიულ კონცეფციას უყრდა საფუძვლებს. და ამავე დროს, ამ საქმეში კაცთა მოდგმის ზნეობრივი ღირებულებების პრიმატს უსვამდა ხაზს – „ომი ღმერთისაგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩნდებიან პირველ პლანზე – სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობისადმი ერთგულება და მსხვერპლის გალებისათვის მზადყოფნა... ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევაო“ – ამბობდა იგი.

ღმერთისაგან მართულ სამყაროში ომის როლსა და ომში „ადამიანის კეთილშობილური საწყისების წარმოჩენისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის მოწყობის გზა კი, ნამდვილად შეიცვალა. და საერთოდ, ადამიანთა მოდგმის მიერ წარმოებული ნებისმიერი დიდ-პატარა ომი საფუძვლიანად ცვლიდა და განსაზღვრავდა შემდგომ მსოფლიო წესრიგს. მაგრამ საუკუნეების მანძილზე ომის ბუნება და ხასიათი დიდად არ შეცვლილა. იგი ესადაგებოდა დროსა და ეპოქას, ადგილის გეოგრაფიასა და ისტორიულ გამოცდილებას, სახელმწიფო პოლიტიკასა და მმართველთა ნებას, ახალ ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ პროგრესს, საღ თუ არაჯანსაღ აზრს. ეს ომები კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა მონაკვეთებზე სხვადასხვა ამოცანების გადაჭრას ისახავდა მიზნად. და მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ომის ბუნება და არც მისი ხასიათი დიდად არ შეცვლილა.

მეორე დიდი პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსისა და სტრატეგოსის, თანამედროვე ომის ფილოსოფიის ფუძემდებლის, გენერალ კარლ ფონ კლაუზევიცისა არ იყოს, „იგი ნამდვილი ქამელეონით, მხოლოდ ოდნავ იცვლიდა თავის დამახასიათებელ ნიშნებს გარემოს შესაბამისად. და თუ ომს განვიხილავთ, როგორც ტოტალურ ფენომენს, ვნახავთ, რომ მისი დომინანტური ტენდენციები ომს განსაკუთრებულ ტრიადად აქცევს, რომელიც შედგება პირველყოფილი სისასტიკის, სიძულვილისა და მტრობისგან, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც ბუნების ბრმა ძალა; შემთხვევითობისა და შესაძლებლობების თამაშისაგან, სადაც შემოქმედებითი სული თავისუფლად დაქრის; და დაქვემდებარების ელემენტისგან, რომელიც განიხილება როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, რაც ომს მხოლოდ გონების, ლოგიკური განსჯის საგნად აქცევს. პირველი ამ სამი ასპექტისაგან უპირატესად ხალხს შეეხება, მეორე მეთაურსა და მის ჯარს; მესამე კი – მთავრობას“.

სწორედ ესაა კლაუზევიცის განსაკუთრებული და თუ გნებავთ, „შესანიშნავი ტრიადის“ არსი.

კლაუზევიცისეული „განსაკუთრებული“ თუ „შესანიშნავი“ ტრიადის ფილოსოფიური საფუძვლების განხილვას და მისი გნოსეოლოგიური ფესვების კვლევას არ ვაპირებთ, მაგრამ ტრიადის მეორე ელემენტზე, რომელიც „შემთხვევითობისა და შესაძლებლობების თამაშისაგან შედგება, სადაც შემოქმედებითი სული თავისუფლად დაქრის“ და დამოკიდებულია ომის საბრძოლო ელემენტზე, ანუ ჯარსა და მის მეთაურზე, აუცილებლად შევჩერდებით. გარკვეულწილად შევეხებით მესამე ელემენტსაც – „პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რაც ომს მხოლოდ გონების, ლოგიკური განსჯის საგნად აქცევს“, რამეთუ ომის წარმოება, ზოგადად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აქტივობის ყველაზე უფრო მძიმე, საპასუხისმგებლო და კრიტიკული ფორმაა, სადაც უკვე „დიდი სტრატეგიები“ განსაზღვრავენ განვითარებული მოვლენების ალგორითმს და მთავრობა იღებს მის წარმართვაზე სრულ პასუხისმგებლობას.

და აქ უკვე მივდივართ იმ გარდაუვალ რეალობამდე, რომ ადამიანი და ადამიანთა ჯგუფი, როგორც ტრიადის მეორე და მესამე ელემენტის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, ცოცხალი არსებაა და იგი დაცული არ არის სისუსტეებისა და შეცდომებისგან. ომების, საომარი კამპანიებისა თუ ცალკეული ბრძოლების მიმდინარეობა და ბედი კი, ძალიან ხშირად სწორედ ადამიანთა მიერ დაშვებულ შეცდომებზე იყო დამოკიდებული და მათ შედეგებსაც იგი განსაზღვრავდა. აქ ყველაფერი ძალიან მარტივი და ნათელია. შეცდომებს უშვებდნენ წარსულშიც და უშვებენ დღესაც სახელმწიფოთა მეთაურები და მმართველები, შეიარაღებული ძალების შტაბები, ჯარების სახეობების, გვარეობებისა თუ შენაერთების სარდლობები, სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურები თუ ცალკეული ოფიცრები, თვით რიგითი მებრძოლები.

ომს ჯარისკაცი არ იგებს და არ აგებს. არც საომარი კამპანიის შედეგებია მასზე დამოკიდებული და არც ცალკეული სამხედრო ოპერაციისა. აქ ინსტიტუციებისა და მათი აქტივობების სხვა დონეებსა და პასუხისმგებლობის სხვა ხარისხებზეა საუბარი. ჯარისკაცი და სამხედრო ქვედანაყოფი ტაქტიკური დონის მოთამაშეა და მასზე მხოლოდ ბრძოლის ბედია დამოკიდებული, საომარი კამპანიებისა თუ სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას, მართვასა და აღსრულებას ქვეყნის შეიარაღებული ძალები ანხორციელებენ ოპერატიულ და ზოგჯერ სტრატეგიულ დონეზე, ხოლო ომის წარმოებაზე პასუხისმგებლობა უკვე მთლიანად სახელმწიფოს პრეროგატივაა პოლიტიკური ნების, სახელმწიფო სიძლიერის ყველა კომპონენტისა და რესურსის ჩართულობის კუთხით. სწორედ იგი განსაზღვრავს ომის წარმოების ყველა საკითხს, ომის პოლიტიკური მდგენელისა და გნებავთ „დიდი სტრატეგიების“ ჩართვით.

ამ საკითხების უფრო ნათლად წარმოსაჩენად კი, 2004 წელს მიუნხენში გამოცემულ ერთ საინტერესო ნაშრომს შემოგთავაზებთ, სადაც არსებითად კლაუზევიცის „ტრიადის“ მეორე და მესამე ელემენტების გადამწყვეტ

მნიშვნელობაზე, მათ რეალიზაციაზე საუბარი. ისტორიული მაგალითების კონტექსტში განვიხილავთ თუ რამდენადაა დამოკიდებული ომების, საომარი კამპანიებისა თუ ცალკეული ბრძოლების შედეგები ადამიანურ ფაქტორზე და ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და გადაცდომებზე.

თქვენს წინაშეა გერმანელი ავტორის, ჰანს-დიტერ ოტოს წიგნი „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია – სალამინიდან ერაყის ომამდე“. ეს წიგნი მოვლენათა ქრონოლოგიაზე აგებული შემეცნებითი, სამხედრო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომია. ავტორი ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ანალიზებს რა ომის ხასიათსა და ბუნებას, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ომი ადამიანის ბუნების ნაწილია და თავისთავად კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილიც, ისევე როგორც ადამიანის თანმდევი შეცდომები. ანუ, ეს არის ბუნებითი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისთავად ეწინააღმდეგება ადამიანთა კეთილდღეობისაკენ მისწრაფებას, თუმცა არსებობს ნაკლები წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მომავალში ადამიანები ომზე უარს იტყვიან. მაგრამ მომავლის ომებში შეცდომები ნაკლებად იქნება ან სულაც აღარ იარსებებს.

და კიდევ ერთი, რაშიც არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს, ის მოსაზრებაა, რომ რადგან ომები და მასში დაშვებული შეცდომები ადამიანის ბუნებითი მდგომარეობაა, უნდა გავითვალისწინოთ მთავარი – არ შეიძლება ისტორიულ ჭეშმარიტებად ვაქციოთ ესა თუ ის სუბიექტური აზრი, რადგან სწორედ აქედან იღებს სათავეს შეცდომების დიდი უმრავლესობა. აქ აუცილებლად უნდა მივმართოთ არა მხოლოდ ფაქტების კომენტირებას, არამედ მის ღრმა ანალიზს, ანალიტიკურ კვლევას, რათა ომების, და ზოგადად სამხედრო ისტორიის საკითხების უმართებულოდ და დამახინჯებულად გადმოცემა არ იქცეს იარაღად შარლატანების ხელში.

ავტორის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი მეტად ინფორმაციული და ტევადია. მასში თავმოყრილია ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მრავალშრიანი პლასტის მთელი წყება – კაცობრიობის 2500 წლიანი ომების ისტორია, რომელიც მის მიერ წარმოებულ 46 ომს, საომარ კამპანიას, სამხედრო ოპარაციას თუ ცალკეულ ბრძოლას მოიცავს. წიგნში დროის ექვსი მონაკვეთი და შესაბამისი თავია გამოყოფილი, რაც ქრონოლოგიურად მოიცავს ჩარჩოს – ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ჩვენს დრომდე, 2003 წლის ერაყის ომის ჩათვლით. უფრო დეტალურად, ეს არის ძვ.წ. 500-ახ.წ. 1000, 1000-1700, 1700-1914, 1914-1938, 1939-1945 და 1945-2003 წლებში წარმოებული ომების, საომარი კამპანიების, სამხედრო ოპერაციებისა თუ ცალკეული ბრძოლების დროს ადამიანთა მიერ დაშვებული შეცდომების ანალიტიკური რეტროსპექტივა.

წიგნში განხილული და გაანალიზებულია ის რეალობა თუ როგორ ცვლიდა ეპოქა და დრო ომის ბუნებასა და ხასიათს, როგორ ვითარდებოდა სამხედრო ტექნოლოგიები, ჯარების ორგანიზაციები და დოქტრინები – სამხედრო სტრატეგიები და ტაქტიკები.

ბუნებრივია, ასეთი რთული და ამბიციური ამოცანის გადაწყვეტა მარტივ საქმეს ნამდვილად არ წარმოადგენდა და შესაბამისად, გერმანელი ავტორის მიერ წარმოდგენილი ეს წიგნიც დაზღვეული არ არის ცალკეული უზუსტობების, ლაფსუსებისა და შეცდომებისგანაც კი. მიუხედავად ამისა, ჰანს-დიტერ ოტოს ნაშრომი არ კარგავს თავის ხიბლსა და მნიშვნელობას. იგი მსუბუქი, გასაგები ენითაა დაწერილი და სასიამოვნოდ იკითხება. ნათლად შეიმჩნევა ის საერთო გროტესკული ხაზიც, რაც მთელ ნაშრომს გასდევს. ზემოთ აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად კი, სარედაქციო ჯგუფის მიერ დიდი მუშაობა იქნა გაწეული და წიგნიც შესაბამისი განმარტებებითა და ჩასწორებებით, შენიშვნებითა და კომენტარებით, განხილულ მოვლენათა ანალიზითა თუ დასკვნებით შეივსო, რაც თვითოეული გვერდის სქოლიოშია გამოტანილი.

გარდა ამისა, წიგნს დავუმატეთ ისტორიულ პერსონაჟთა სახელების, აგრეთვე გეოგრაფიული და სპეციალური სამხედრო ობიექტებისა თუ ტერმინების სახელთა საძიებელი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამატება – ნაშრომში წარმოდგენილი პერსონაჟების უკეთ იდენტიფიცირებისა და მოვლენებისა და პროცესების სრულყოფილად აღქმა-გააზრებისათვის ჩვენს მიერ რედაქტირებული წიგნის თვითოეულ პარაგრაფს შესაბამისი სქემები და ილუსტრაციები დავურთეთ. საერთო ჯამში, წიგნს ათასზე მეტი ჩასწორება და განმარტება, შენიშვნა და კომენტარი, და ასეულობით ილუსტრირებული გვერდი დავურთეთ.

დარწმუნებულები ვართ, რომ წიგნის ასეთმა რედაქტირებამ თავისი შედეგი უნდა გამოიღოს და მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს მისი შემეცნებითი ხარისხი. დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი გაცილებით ადვილი გასაგები და აზრობრივად მისაწვდომი გახდება სამხედრო ისტორიის თემატიკით დაინტერესებული სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის. მას ინტერესით წაიკითხავს როგორც დამწყები, სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი და ფართო საზოგადოება, ასევე სამხედრო ლიცეუმის კადეტი თუ ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი, ოფიცერთა უმცროსი და საშუალო რგოლის სამეთაურო შემადგენლობა თუ ოპერატიული და სტრატეგიული დონის სამხედრო მოსამსახურე.

წიგნის საფუძვლიანმა რედაქტირებამ, მასში შეტანილმა კორექტივებმა და დამატებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მისი მოცულობა, რის გამოც გვერდების საერთო რაოდენობამ A-4 ფორმატში, ათას ორასს გადააჭარბა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვეცვალა წიგნის საგამომცემლო ფორმატი და იგი ორ ტომად მიგვეწოდებინა მკითხველისათვის. თვითოეულ ტომში სამ-სამი თავი ჩავრთეთ, რის გამოც, საერთო ჯამში, წიგნის პირველ ტომში 23 პარაგრაფი შევიდა. პირველი ტომი თემატურად მოიცავს ცალკეული ბრძოლებისა და საომარი კამპანიების განხილვას სალამინის ბრძოლიდან პირველ მსოფლიო ომამდე, რუსეთ-იაპონიის ომის ცუშიმას საზღვაო ბრძოლის ჩათვლით. ქრონოლოგიურად ეს არის დროის პერიოდი ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 1905

წლის ჩათვლით. ხოლო წიგნის მეორე ტომში ჩავრთეთ მომდევნო სამი თავი და დარჩენილი 23 პარაგრაფი – პირველი მსოფლიო ომის საომარი კამპანიები და ცალკეული ბრძოლები, დაწყებული ლიეჟის ბრძოლიდან – 2003 წლის ერაყის ომის ჩათვლით, რაც ქრონოლოგიურად მოიცავს 1914 წლიდან 2004 წლამდე დროის პერიოდს.

აღნიშნულ საკითხებზე მუშაობისა და წიგნის რედაქტირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება წიგნში გადმოცემული მოვლენებისა და ფაქტების კრიტიკულ ანალიზს დაუთმეთ. ამ მიმართებაში ჩვენი აქტივობის ამოსავალ წერტილს ჩვენი მყარი პოზიცია და განხილული საკითხებისადმი პრინციპული მიდგომა წარმოადგენდა.

ჩვენ ვანსხვავებთ ისტორიული მოვლენების კრიტიკულ გადმოცემას ჩვეულებრივი გადმოცემისაგან, რომელიც ნარატიულისგან განსხვავებით, დისკურსის ფორმით მიმდინარეობს. პირველ შემთხვევაში თხრობა ქრონოლოგიურად ასახავს პროცესებს და მას მხოლოდ აღწერილობითი ხასიათი აქვს. ასეთი გადმოცემა მხოლოდ რიგითობით ალაგებს მოვლენებს, სადაც არ არის გათვალისწინებული დიალექტიკური ერთიანობის პრინციპი. ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ასეთი განხილვა ამბის მოყოლას ემსგავსება და იგი ოდნავ თუ ეხება მის გამომწვევ მიზეზებს. ასეთი მოძღვრება კი ძალიან შორსა დგას შემეცნებისგან და მეტ-ნაკლებად ღირებული ანალიზის ჩატარების საშუალებასაც არ იძლევა. ამიტომ, ფართო სამსჯავროზე გამოტანილ ისტორიას ჩვენ მხოლოდ ისტორიზმის პრინციპების წარმოჩენითა და კრიტიკული ანალიზის ფონზე წარმოვადგენთ. ასეთ კრიტიკულ გადმოცემაში კი, გონებრივი მოქმედების სამი სახე შეიძლება გამოვყოთ:

პირველ რიგში, ისტორიული ძიება და საეჭვო ფაქტების დადგენა მნიშვნელოვანი. ესაა ისტორიული ძიება, რომელსაც თეორიასთან არაფერი არა აქვს საერთო;

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი მიზეზ-შედეგობრივ პროცესებსა და მოვლენებს შორის დიალექტიკური კავშირების დამყარებაა საჭირო. ეს თეორიისათვის აუცილებელია, რადგან ყველაფერი რაც თეორიულად მიიღწევა ან თვალსაჩინო ხდება ემპირიული მეთოდებით, მხოლოდ ამ გზით დგინდება.

და მესამე საკითხი – გამოყენებული საშუალებების მიზანშეწონილობის შეფასებაა. ესაა აზრობრივად თავად კრიტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს შექებასა და მიბაძვას. აქ უკვე თეორია ემსახურება ისტორიას, ან უფრო ზუსტად იმ სწავლებას, რაც ისტორიიდან შეიძლება გამოვარჩიოთ.

ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა – ისტორია კაცობრიობის მიერ დაშვებული შეცდომების კატალოგიაო. ცალსახად ვეთანხმებით ამ თეზას. ჩვენს ამოცანას კი ამ შეცდომების შესწავლა-გაანალიზება, მისი გათვალისწინება და სწორი დასკვნების გამოტანა წარმოადგენს.

თავისი საქმიანობისა თუ შემოქმედებითი აქტიურობის ყველა ეპოქასა და ყველა სფეროში ადამიანი განუხრელად, მუდმივად და თითქოს მეთოდურად, დაჟინებით უშვებდა შეცდომებს. არც ომებისა თუ საომარი კამპანიების წარმოებაა გამონაკლისი. ერთი რამ ცხადია – ომების წარმოებისა და მისი

სასურველი შედეგებით დასრულების მზა, უნივერსალური ფორმულა არ არსებობს. არ არსებობს გაწერილი ალგორითმი, რომლის ზუსტი დაცვაც ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის ამოხსნას და გარანტირებულ შედეგებამდე მიყვანას უზრუნველყოფს. საომარი ოპერაციების ხელმძღვანელობა რთული მანქანის მუშაობას ჩამოგავს, რომელიც უამრავი შიდა ხახუნის მქონე დეტალისაგან შედგება. ასე რომ, ის კომბინაციები, რომლებიც ადვილად იგეგმება ქალაქში, რეალურად მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის ფასად შეიძლება იქნას აღსრულებული. შესაბამისად, რაგინდ განათლებული, გამოცდილი და ნიჭიერი მხედართმთავარიც არ უნდა გეგმავდეს და მართავდეს ოპერაციას, იგი მაინც არ არის დაზღვეული ადამიანური სისუსტეებისგან. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს სამხედრო შეცდომების დაშვების ალბათობას და მათ ხარისხს. უფრო მეტიც, ალბათ ძნელია, შეუძლებელი თუ არა, სამხედრო ისტორიის სფეროდან თუნდაც ერთი ომის ან საომარი კამპანიის მაგალითის მოყვანა, სადაც დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთ-ერთს ან ორივეს ერთად ერთი ან რამდენიმე შეცდომა არ დაეშვას სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის, მისი მართვისა თუ აღსრულების პროცესში.

საკითხის მთავარი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს შეცდომები მინიმუმზირებული იყოს და მან არსებითი გავლენა არ იქონიოს კამპანიის შედეგებზე. გამონაკლისი, ცხადია, არც საქართველო და მისი სამხედრო ისტორიაა. თუმცა, ამ საკითხების არათუ განხილვა, არამედ მხოლოდ ჩამოთვლაც კი სცილდება ჩვენი წიგნისა და ნაშრომის ფორმატს და ამ დიდი საქმის მოგვარებას სამომავლოდ გადავდებთ.

ისევ კლაუზევიცს დავესესხებით: „ომი – შემთხვევითობების სფეროა: მხოლოდ მას, ამ შემთხვევითობას მიეცემა ფართო ასპარეზი, რადგან ადამიანური მოღვაწეობის არც ერთი სფერო არ ენება მას მთელი თავისი არსით ისე, როგორც ეს ომში ხდება; ის ზრდის შექმნილი ვითარების განუსაზღვრელობას და არღვევს მოვლენების ნორმალურად სვლას. ომში ყველაფერი ძალიან მარტივია, მაგრამ უმარტივესი რამეც კი – რთულია... ომის მანქანა – არმია და ყველაფერი მასთან დაკავშირებული – თავის საფუძველში უაღრესად მარტივია და ამიტომაც გვეჩვენება რომ მარტივი სამართავიცაა. მაგრამ გავიხსენოთ, რომ მისი არც ერთი ნაწილი არაა გაკეთებული ერთი მთლიანისაგან. ყველაფერი ცალკეული ინდივიდებისაგან შედგება და თვითოეული ყველა მიმართულებით განიცდის შინაგან წინააღმდეგობას, ანუ ხახუნს... საომარი ოპერაციების ხელმძღვანელობა რთული მანქანის მუშაობას ჩამოგავს, რომელიც უამრავი შიდა ხახუნის მქონე დეტალისაგან შედგება, ასე რომ, ის კომბინაციები, რომლებიც ადვილად იგეგმება ქალაქში, მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის ფასად შეიძლება იქნას აღსრულებული...”

ნამდვილად ასეა. თეორიულად თითქოს ყველაფერი მშვენიერადაა: მოცემული ბატალიონის ან ბრიგადის მეთაური პასუხს აგებს მოცემული საბრძოლო ამოცანის შესრულებაზე. იმდენად, რამდენადაც ბატალიონი დისციპლინის მკვიდრი ჯაჭვითაა შეკრული და სამეთაურო დაქვემდებარების

ვერტიკალიც თითქოსდა გამართულად მუშაობს, ხოლო ბატალიონის მეტაური საბრძოლო აღმადგენითაა მოცული, ამ რთული მექანიზმის ლილვმაც რკინის ღერძზე უმცირესი ხახუნით უნდა დაიწყოს მოძრაობა. მაგრამ რეალობაში აქ სრულდება ყველაფერი. სინამდვილეში ასე არაა... ბატალიონი ცოცხალი ადამიანებისაგან შედგება და თვითოეულმა მათგანმა, სულ უმნიშვნელომაც კი, რეალურ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისა და ბრძანების აღსრულებისას შეიძლება გამოიწვიოს დამკვიდრებული წესრიგისაგან გადახვევა, თითქოსდა აწყობილი და გამართული მექანიზმის მუშაობის შეფერხება, მიმდინარე პროცესებში უადგილო ჩარევა ან სხვა ტიპის დარღვევა.

არ უნდა გვკვიროდეს, რომ ახალი კონცეფციები, ტექნოლოგიები და შესაძლებლობები უარყოფენ ომის ბუნების ფუნდამენტურ გაგებას. ომის ბურუსი, გაურკვეველობა და შემთხვევითობა ისევე დამახასიათებელი იქნება მომავალი ომებისათვის, როგორც ეს წარსულში იყო. ისტორია, ეჭვს გარეშეა ითვალისწინებს ამ გამოცდილებას. მათთვის კი, ვინც ისტორიას სკეპტიკურად უყურებს, აღვნიშნავთ, რომ მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა ევოლუციური ბიოლოგია, გენეტიკა ან კვანტური ფიზიკა და უთანამედროვესი მეთოდოლოგიით ჩატარებული შესაბამისი კვლევები – კიდევ ერთხელ ამტკიცებენ იმას, რომ სავსებით სწორი იყო კლაუზევიცის ძირეული წარმოდგენა იმის შესახებ თუ როგორაა მოწყობილი სამყარო.

წიგნის ავტორი შემოიფარგლება მხოლოდ მნიშვნელოვანი მაგალითების განხილვით, რომელმაც ამა თუ იმ ხარისხით მოახდინა ზეგავლენა ომის, საომარი კამპანიისა თუ ბრძოლის მსვლელობასა და მის შედეგებზე. იგი არსებითს – ისტორიას, ისტორიოგრაფიის როლს, ისტორიული მოვლენების ჯაჭვის გათვალისწინებას უსვამს ხაზს, რაც იმდენად საინტერესოდ იკითხება, იმდენად სწორი მიდგომებით ხასიათდება, რომ არ ქმნის დისონანსს საერთო აზრის ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, აქ თავის როლს თხრობის ის საერთო გროტესკული ფონიც თამაშობს, რაც თეთრი შლეიფივით გასდევს მთელ წიგნს და მასში გადმოცემულ ქრონოლოგიურ ამბებს. თითქოს ეს ქრონოლოგიური ჩარჩო ხელს არ უშლის საერთოს, მთავარს, ომის როგორც შეცდომების ბუნების გაგებას, რომ ის ძალიან ხშირად მეორდება ძველი სახით, რომლის მიზეზი მოწინააღმდეგის სიძლიერის შეუფასებლობა ან არასათანადოდ შეფასება, მისი საბრძოლო მზადყოფნის უგულვებელყოფა ან საბრძოლო სულისკვეთების გაუთვალისწინებლობაა, რომელსაც ხშირად დამარცხებამდე მივყავართ. ავტორი ასევე ითვალისწინებს ზოგად სტრატეგიულ სურათს, შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და უამრავი ისტორიული მაგალითის გათვალისწინებით აანალიზებს შეცდომათა ფორმების გამოვლინებას.

ჰანს-დიტერ ოტო არ აცხადებს პრეტენზიას წიგნში მოტანილ მონაცემთა სიზუსტესა და მეცნიერული აპარატის გამართულობაზე. ამას საგამომცემლო ფორმატი არც ითვალისწინებს, თუმცა წიგნს დართული აქვს გამოყენებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია. ბოლოსწინა პარაგრაფში კი, ავტორი ყურადღებას ამახვილებს სამხედრო მოვლენების შესახებ ისტორიულ წყაროებში ასახული მცდარი დასკვნების შესახებ, რაც ხელს უწყობს ადამიანის ცნობიერებაში

ფაქტებთან შეუსაბამო ისტორიული წარმოდგენების დამკვიდრებას და ზოგადად საფუძველს ქმნის ომისა და მშვიდობის დროს განვითარებული მოვლენების დამახინჯებული ტენდენციებით ასახვისათვის. საკითხთან ასეთი მიდგომა კი, შეცდომების მთელ კასკადს წარმოშობს.

ავტორს უამრავი მაგალითი მოჰყავს როგორც ისტორიული მოვლენების ფალსიფიკაციის ფაქტებზე, ასევე ლეგენდებსა და ამა თუ იმ ეპოსში დამკვიდრებულ ცრუ წარმოდგენებზე, რაც საუკუნეების მანძილზე აისახა პოეზიაში, ზეპირსიტყვიერებასა და დრამატურგიაში, რომელმაც ყველაზე უხეში ფორმებით ცრუ აგიტაცია-პროპაგანდასა და იდეოლოგიაში ჰპოვა გამოხატვა.

წიგნში ასევე საინტერესოაა წარმოდგენილი ომში შეცდომების დაშვების ძირითადი მიზეზები, რომ – სამხედრო მეთაურებმა არ გაითვალისწინეს წარსულის მწარე გამოცდილება და არაფერი ისწავლეს თავიანთი წინამორბედების შეცდომებზე, რომ – არასწორად იქნა შეფასებული და გაანალიზებული არსებული ოპერატიული ვითარება, მოწინააღმდეგის საბრძოლო ძალა და სულისკვეთება, არ იქნა გათვალისწინებული გეოგრაფიული, კლიმატური თუ ბუნებრივი პირობები, სწორად არ იქნა შერჩეული სამხედრო სტრატეგიები, საბრძოლო წყობები და ტაქტიკები, არ აწარმოა შესაბამისი სადაზვერვო მუშაობა ან უგულვებელყო დაზვერვის მიერ მოპოვებული მონაცემები, წინასწარ არ იქნა გათვლილი მოწინააღმდეგის შესაძლო რეაგირების სქემები, არაფრად ჩააგდო თავისი გამოუცდელობა და ა.შ.

ამრიგად, საომარ მოქმედებათა თეატრი ემსგავსება დიდ და მრავალგანზომილებიან საჭადრაკო დაფას, ხოლო ომის წარმოება – დიდ და რთულ საჭადრაკო პარტიას, რომელიც უამრავი შესაძლო სცენარით შეიძლება წარიმართოს. მისი ბედი და შედეგი კი საბოლოოდ, არც თუ იშვიათად ერთი გადამწყვეტი სწორი სვლით, და ხშირად ენდშილში წყდება. შესაბამისად, ავტორის მიერ აქვეა გაზიარებული კლაუზევიცის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი თეზა – „ეს არის სერიოზული საშუალება სერიოზული მიზნების მისაღწევად“, მაგრამ არც თანამედროვე ომი იმართება მენეჯმენტის მეთოდებით, განმარტავს იგი.

ბოლოს, დასკვნით ნაწილშიც ავტორი თავის შეფასებებში მეტად მოკრძალებულია. რომ ადამიანის იღბალი თუ უიღბლობა, ომში სხვადასხვა ფაქტორების გაუთვალისწინებლობა და შეცდომების დაშვება საბედისწერო, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, თუმცა, ამავე დროს, მომავლის ომებში იგი დამოუკიდებლად მოაზროვნე რობოტებისათვის ადამიანურ სისუსტეებს გამოირიცხავს.

და მაინც, რა არის ის ძირითადი მოტივი, მოთხოვნა თუ აუცილებლობა, რამაც სარედაქციო ჯგუფს გადააწყვეტინა წარმოდგენილი ნაშრომის მომზადება და ქართული სამხედრო უწყების საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებში ჩართვა?

მიზეზი რამდენიმეა:

პირველი – ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი ლიტერატურის არარსებობა, რაც კარგი მაგალითი იქნება მეცნიერი მკვლევარებისა და სამხედრო თუ თავდაცვის სფეროს ანალიტიკოსებისათვის შექმნან ანალოგიური ხასიათის ნაშრომები ქართულ სამხედრო ისტორიასა და სამხედრო ხელოვნებაში;

მეორე – შეიქმნას პრეცედენტი და შესაბამისი მოტივაცია უცხოელი ავტორების რაც შეიძლება მეტი ნაშრომის თარგმნისა და გამოცემისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სპეციფიკური და მრავალწახნაგოვანი პუბლიკაციების მომზადება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა. ეს დიდი საქმე პირველ რიგში, მძლავრ სამეცნიერო და აკადემიურ რესურსს, შესაბამის კომპეტენციას, მაღალ პროფესიონალიზმსა და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს;

მესამე – ჩვენს მიერ წარმოდგენილი წიგნი, სასწავლო პროცესის ყველა დონეზე მისცემს შესაძლებლობას სამხედრო საკითხებით დაინტერესებულ კადეტებსა და სტუდენტებს, აგრეთვე იუნკრებსა და ყველა დონის სამხედრო მსმენელს, შედარებით მარტივად და გასაგებად აღიქვას ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მეტად ტევადი და რთული მასალა. იგი ამ მასალის გაანალიზებასა და ათვისებაშიც შეუწყობს ხელს.

სარედაქციო ჯგუფი ყველა დაინტერესებული მხარისგან ელის გამოხმაურებას, საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს. ჩვენ დიდი ინტერესით მივიღებთ მათ, რამეთუ ჩვენთვისაც პირველია ამ ფორმატით მუშაობა.

და ბოლოს. უნდა დავადასტუროთ, რომ კრიზისების იარაღითა და სისხლისმძიერი გზით გადაწყვეტა, მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალების განადგურებისაკენ სწრაფვა – ომის პირმოა. დაე, ფრთხილი მხედართმთავარი მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მცირედ მოტივირებული, ძალების უმნიშვნელო დაძაბვით, საველე შტაბში თუ კაბინეტის სიმყუდროვეში ფრთხილად ეძებს მშვიდობისაკენ მიმავალ გზებს და უტილიზებას უკეთებს მოწინააღმდეგის არმიისა და მთავრობის სისუსტეების სპეციფიკურ მხარეთა ანალიზს. თუ მისი დაშვებები არგუმენტირებულია, სანდო წყაროებზე დაყრდნობითაა გაკეთებული და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით წარმატების მიღწევის იმედს იძლევა, ჩვენ არა გვაქვს უფლება გავკიცხოთ იგი. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი, პუდმივად უნდა ჩავაგონოთ მას, რომ არ მოდუნდეს და ფხიზლად იყოს, რამეთუ იგი გარშემოვლითი ბილიკებით დადის, სადაც ომის უღმობელი ღმერთი შეიძლება დაატყდეს თავს.

და მაინც – ჩვენ გვწამს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად გაღებული დანახარჯები ერთი რიგით მაღალი მაინც უნდა იყოს. იგი გამუდმებით უნდა მუშაობდეს სამხედრო განათლების საკითხების სრულყოფაზე, ამუშავებდეს საომარი და თავდაცვითი მოქმედებების გეგმებს და პუდმივად ზრუნავდეს საკუთარი ჯარის ბრძოლისუნარიანობის გაზრდაზე, რამეთუ გადამეტებული შრომა ყოველთვის სჯობს გადამეტებულ სიზარმაცეს. როგორც იტყვიან, ოფლი სისხლს ზოგავს...

გამოცდილი და პასუხისმგებელიანი მხედართმთავარი არც ერთი წუთით არ უნდა ჩავარდეს თვითკმაყოფილების ეიფორიაში და არ უნდა მოაცილოს თვალი დაპირისპირებულ მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საფრთხეში ჩააგდებს საკუთარ თავსაც და მასზე დაქვემდებარებულ შენაერთსაც. ამის შედეგად კი, იგი დაპირისპირებული მხარის მახვილის დარტყმის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს მაშინ, როცა ხელთ მხოლოდ დანა ან მსუბუქი დაშნა უპყრია.

რედაქტორის შესავალ სიტყვას კი, ისევ კლაუზევიცით დავასრულებთ: „...ჩვენ არ ვინტერესდებით გენერლებით, რომლებიც გამარჯვებებს სისხლისღვრის გარეშე მოიპოვებენ. ეს საკითხი სცილდება სამხედრო ხელოვნების სფეროს და იგი პოლიტიკოსთა განსჯის საქმე უფროა. ფაქტი ისაა, რომ ხოცვა-ჟლეტა იმდენად საზარელი სანახაობაა, რომელიც გვაიძულებს უფრო სერიოზულად აღვიქვათ ომი, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს... მაგრამ სულაც არ გვამართლებს იმაში, რომ ჰუმანურობის სახელით თანდათან დავაბლაგვოთ ჩვენი ხმლები. ადრე თუ გვიან მაინც გამოჩნდება ვიღაც თავისი ბასრი მახვილით, ვინც ისარგებლებს ჩვენი სისუსტით და მოგკვეთს ამ ხელებს...”

გვინდა მშვიდობა? – ვემზადოთ ომისთვის!

არჩილ ჩაჩხიანი

თადარიგის პოლკოვნიკი,

ისტორიის დოქტორი, პროფესორი.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი.

შესავალი

ადამიანები, როგორც წესი, თავისი საქმიანობის ყველა სფეროში უშვებენ შეცდომებს, მათ შორის ომის დროსაც. ადამიანი ცდება, როცა შექმნილ ვითარებას არასწორად აფასებს და სუბიექტურ აზრს ჭეშმარიტებად მიიჩნევს, რაც თავისთავად არასწორია. ეს სულაც არაა გასაკვირი, რადგან უნებლიე შეცდომის დაშვება ადამიანის სისუსტის გამოვლინებაა. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ დაშვებულ შეცდომებს მოგვიანებით აღიარებენ ხოლმე. ხშირად შეცდომა არაკომპეტენტურობას, სწრაფ შთაგონებას, ან აფექტურ მდგომარეობას და უეცარი გადაწყვეტილების მიღებას ეფუძნება, ხოლო ზოგჯერ შეცდომა კარგად გააზრებული გადაწყვეტილებისა და მოქმედებების შედეგია. ომში დაშვებული შეცდომები კი, ადამიანისთვის კატასტროფული შედეგების მომტანია. ერებისა და ხალხების ბედი შესაძლოა ამაზეც იყოს დამოკიდებული.

სამხედრო საქმეში შეცდომებს ადამიანები გამუდმებით უშვებენ. და იგი არც თუ იშვიათად ძველი სახით მეორდება. ხშირად მისი მიზეზი მოწინააღმდეგის ძალებისა და შესაძლებლობების, მისი სიძლიერის არასწორი და არასათანადოდ შეფასებაა, რამაც შეიძლება დამარცხებამდეც კი მიიყვანოს მეორე მხარე. ისტორიული მაგალითები უამრავია. ნაპოლეონ ბონაპარტემ სათანადოდ ვერ შეაფასა 1815 წელს ვატერლოოსთან ველინგტონის ჰერცოგის ბრძოლისუნარიანობა, ხოლო ამავე მიზეზით ჰიტლერის ლაშქრობა რუსეთში კატასტროფით დასრულდა. 1945 წელს ამერიკელები ოკინავასთან ანგარიშში მოტყუვდნენ, ისევე როგორც ფრანგები 1954 წელს – დიენ ბიენ ფუსთან.

ადამიანები ხშირად სრულიად არასწორად აფასებენ შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და შესაბამისად, არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ. მაგალითად, აქციუმთან საზღვაო ბრძოლა ეგვიპტის უკანასკნელმა დედოფალმა კლეოპატრა VII-მ წინასწარ დამარცხებულად ჩათვალა. 1588 წელს ესპანელთა „უძლიველი არმადა“ დაიპყრობდა ინგლისს, კალესაკენ რომ არ გაეცურა. 1914 წელს მოხდა „საოცრება მარნაზე“, რადგან გერმანელებმა სულ ტყუილად დაიჯერეს, რომ თავდაცვისთვის ძალები აღარ ჰყოფნიდათ და პოზიციები დათმეს. 1944 წელს ჰიტლერი ანტიჰიტლერული კოალიციის ძალების მხრიდან ინტერვენციას და მეორე ფრონტის გახსნას სულ სხვა ადგილზე ელოდებოდა. 1950-1951 წლებში ამერიკელები არ მოელოდნენ ჩინეთის ჩართვას კორეის ომში და მისი შეიარაღებული ძალების შეჭრას ჩრდილოეთ კორეაში.

მოწინააღმდეგის უმეცრეობაც შეცდომის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა. 1740 წელს ავსტრიელები გააოცა ფრიდრიხ II დიდის ჯარის შესვლამ სილეზიაში, ისევე როგორც 1944 წელს, ამერიკელები – არდენზე გერმანელების შეტევამ. ასევე მოულოდნელი იყო ისრაელისთვის 1973 წელს ეგვიპტელების თავდასხმა იომ-ქიფურის დღესასწაულზე, რასაც არაბეთ-ისრაელის მეოთხე ომი მოჰყვა შედეგად.

მძიმე შედეგები მოსდევს ასევე იმ შეცდომებსაც, რომელთა გამომწვევი მიზეზიც არასწორად შერჩეული სტრატეგიაა. 1916 წელს წარუმატებელი აღმოჩნდა ფრანგების წინააღმდეგ გერმანელების მიერ შედგენილი სისხლისღვრის გეგმა ვერდენის მახლობლად გამართულ ბრძოლაში. 1940 წლის შემოდგომაზე ინგლისელებმა მოიგეს „ბრძოლა ბრიტანეთისათვის“, რადგან ნაცისტური გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა არასწორი სტრატეგია შეარჩიეს და ინგლისელთა აეროდრომებისა და რადიოლოკაციური სადგურების დაბომბვა კი არ გააგრძელეს, არამედ ლონდონისა და ინგლისის სხვა ქალაქების დაბომბვა დაიწყო. 1941-1945 წლებში მოკავშირეთა მიერ გერმანიის ქალაქებისა და სამრეწველო ინფრასტრუქტურის მასიურმა დაბომბვებმა კი არ შეასუსტა გერმანელი მოსახლეობის წინააღმდეგობის სურვილი, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა და საბრძოლველად განაწყო იგი.

ერთი რამ კი, ცხადია – სამხედრო შეცდომები ხელს უწყობენ და ააშკარავენ სისხლისღვრის უაზრობას. საინტერესოა, როგორი იქნებოდა ისტორიის მსვლელობა, რომ არა ეს შეცდომები?

ყოველი საქმის უემოქმედი

ქრისტეს დაბადებამდე საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში ადამიანებს არ სწამდათ ჭეშმარიტი ღმერთის. მათ ჰყავდათ ღმერთები, მათ შორის, მღერობით სქესისაც, რომლებიც ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ამიტომაც გამუდმებით ჯანყდებოდნენ და იბრძოდნენ, როგორც, მაგალითად, ღვთაებები ბერძნულ მითოლოგიაში. ადამიანებიც ღმერთების მსგავსად ეომებოდნენ ერთმანეთს. გასაკვირი არაა, რომ ბერძენი ფილოსოფოსი პერაკლიტე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ომი ყოველი საქმის შემოქმედი და ყოველი საქმის მეუფე იყო. პერაკლიტე ამბობდა: „ომი ერთეულებს წარმოაჩენს როგორც ღმერთებს, დანარჩენებს – როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებს. იგი ზოგიერთებს მონებად აქცევს, ზოგსაც – თავისუფალ ადამიანებად“.

საგარაუდოა, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანი ცხოვრების დინებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით განისაზღვრება, როგორც ამას გერმანელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი ამტკიცებს თავის წიგნში „დასავლეთის ქვეყნების კრახი“. დადგენილია, რომ უძველესი დროიდან მიმდინარეობდა ბრძოლა ადამიანებს შორის საკვების, სანადირო ადგილებისა და თავშესაფრისთვის. მოგვიანებით კი, მას უძეტესად უკვე იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა, როგორც იყო, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ მოწინააღმდეგეს სურდა საარსებო სივრცის დაკავება ან მზის ქვეშ ადგილის მოპოვება.

კაცობრიობის ისტორია სავსეა ბრძოლებისა და მკვლელობების ეპიზოდებით. ეს პროცესები იმ დღიდან იწყება, როდესაც ბიბლიური პერსონაჟებიდან ერთ-ერთმა, კაენმა, თავისი ძმა, აბელი მოკლა. მას შემდეგ ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაში ბევრი არაფერი შეცვლილა, პირიქით, შეიძლება ითქვას, გაუარესდა კიდევ. შეუძლიათ კი ადამიანებს მშვიდობიანი თანაცხოვრება და უომრად არსებობა? თუ მის თანამედროვეს დაუჯერებთ, ნაპოლეონ ბონაპარტეს ომში ბუნებრივი მდგომარეობის დანახვა, „ტყვიის წნეხისგან ცივილიზაციის განთავისუფლება“ სურდა. თავზარდამცემი იდეაა. ავობებს, არისტოტელეს დაუჯეროთ, რომელიც გვარწმუნებდა, რომ ომის მიზანი მხოლოდ მშვიდობაა.

საერთოდ, რა არის ისტორია და კერძოდ, სამხედრო ისტორია ვიწრო გაგებით? ამ კითხვაზე უამრავი პასუხი არსებობს. მაგალითად, გერმანელი ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოეტი, იოჰან გოტფრიდ ჰერდერი, გოეთეს თანამედროვე, ისტორიას უწოდებდა ადამიანთა მოდგმის გაკვეთილს. გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი, ფრიდრიხ ჰეგელი კი მასში მსოფლიო სულის განვითარების საფუძველს ჰვრეტდა. ნუთუ არსებობს ისტორიისა და მოვლენების სული, რომელიც ცხოვრების დინებასა და მოქმედებების ქარიშხალში ზევით-ქვევით დახეტიალობს და აქეთ-იქით აწყდება? ამ სიტყვებით იწყებს გოეთე ისტორიის აღწერას თავისი „ფაუსტის“ დასაწყისში. ფაუსტი გაკვირვებით და აღტაცებით აცნობიერებს, რომ „ყველაფერი ერთ მთლიანობაში მოძრაობს, ერთი ზემოქმედებს მეორეზე და ამ გზით არსებობს!“ არის თუ არა ისტორია მატერიის „ჩამოყალიბებული ფორმა, რომელიც რეალურად ვითარდება?“ გააჩნია თუ არა მას შინაგანი ლოგიკა? გერმანელ ფილოსოფოსსა და ისტორიკოსს, ოსვალდ შპენგლერს სჯეროდა, რომ ყოველი ისტორიის საფუძველი საწყისი ბიოლოგიური ფორმა უნდა ყოფილიყო. იგი მასში ხედავდა მუდმივი ფორმირების და გარდასახვის პროცესს, საოცარ წარმოშობასა და გაუჩინარებას, სოლიტერის მსგავსად, რომელიც დაუდალავად იცვლის თავისი არსებობის ფორმებს.

ომები კაცობრიობის ისტორიის ნაწილია, ისევე როგორც ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომები. „ადამიანი სიკვდილამდე ცდება“, ამბობს ღმერთი გოეთეს „ფაუსტში“. ამიტომ ომშიც ვხვდებით შეცდომებს, თანაც, საკმაოდ ხშირად.

„ომი გაურკვეველი სახის სახელმწიფო საქმიანობაა, – როგორც ახასიათებდა მას კლაუზევიცი 1832 წელს გამოცემულ თავის ცნობილ და ძირითად წიგნში „ომის შესახებ“, – რომელიც ზეგავლენას ახდენს ყველა სტრატეგიულ მოაზროვნეზე, მოლტკედან

დაწყებული, შლიფენითა და ლუდენდორფით დამთავრებული“. ჰიტლერიც ამ იდეებით იყო მოხიბლული. და როცა „ამ საქმეების სამი მეოთხედი, რომელზეც აგებულია მოქმედებები ომში, გაურკვეველია“, განსაკუთრებით დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. შეცდომებს უშვებენ განუწყვეტლივ, ყველა დროში და ყოველ მხარეში. ზოგჯერ ისინი კურიოზული და უცნაურია, ზოგჯერ – გასაოცარი და დაუჯერებელი, ზოგჯერ – ბუნებრივი და გასაგები.

საქმე ეხება სამხედრო ისტორიაში დაშვებულ ისეთ შეცდომებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბრძოლაზე ან ომზე, ზოგჯერ კი საერთოდ ცვლიან მას. აღწერილობით წყაროებზე დაყრდნობით, „ორმოცდაექვსი მოვლენის გამოკვლევაში“ მოცემულია ადამიანთა მიერ დაშვებული მცირე და დიდი, ასევე ცნობილი და ნაკლებად ცნობილი შეცდომები. ამასთან, ჩვენს თვალწინ იშლება სხვადასხვა ეპოქისა და, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული ადამიანების ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები. სამხედრო ისტორიის ამ საკითხების ნათლად მიმოხილვისთვის შეცდომები უნდა დაგვით დროის ექვსი მონაკვეთის მიხედვით, ანტიკურიდან ხანიდან დაწყებული, თანამედროვე ეპოქით დამთავრებული, რომლებიც ქრონოლოგიურად არიან დალაგებულნი. „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია“ არ აცხადებს პრეტენზიას მონაცემთა სიზუსტესა და სამეცნიერო ნაშრომის ფორმატზე. წარმოდგენილი კრებული მხოლოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენების განხილვით შემოიფარგლება.

თუ რამდენად აქტუალურია სამხედრო შეცდომების თემა, ამას XXI საუკუნის პირველი დიდი ომის ისტორიაც ნათელჰყოფს. 2003 წლის მარტიდან მაისამდე მიმდინარე ერაყის ომს, რომელსაც წიგნის ბოლოში მთლიანი პარაგრაფი ეძღვნება, თან ახლავს დაშვებული შეცდომების მთელი ჯაჭვი. იგი თავიდანვე ფუნდამენტური შეცდომით დაიწყო, რადგან მასობრივი განადგურების იარაღიდან ყურადღება ომის ნამდვილი მიზეზის, სადამ ჰუსეინის „ალ-ქაედას“ ტერორისტებთან კავშირზე იქნა გადატანილი. პროპაგანდისტული აურზაური ქიმიური იარაღის ირგვლივ, როგორც პრევენციული ინტერვენციის გამართლება, ხუხულასავით ჩამოიშალა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ უოლკერ ბუში მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა მტკიცებულებების ნაკლებობის გამო. ამ მოვლენების ფონზე ამერიკული ოპოზიცია მუდმივად საუბრობდა ამერიკის ადმინისტრაციის მიერ წარმოებულ აბსურდულ და ქაოსურ სამხედრო პოლიტიკაზე და საერთაშორისო სამართლის ამკარა დარღვევაზე. ამერიკელთა მიერ ახლო აღმოსავლეთში გატარებული „ელვისებური ომის“ სტრატეგიაც არასწორი აღმოჩნდა, რადგან ბაღდადის ალების შემდეგაც ერაყელებმა გააგრძელეს ბრძოლა არასასურველი ოკუპანტი სახელმწიფოს წინააღმდეგ. დაიწყო სისხლიანი პარტიზანული ომი, რომელიც ამერიკელ ჯარისკაცებს თითქმის ყოველ დღე სიცოცხლის ფასად უჯდებათ. ამერიკელებს თავი შეახსენა წარსულის მძიმე ნაიარევმა – ვიეტნამმა.

წიგნის ძირითადი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის მოვლენებს ეძღვნება. შემთხვევითი არ არის, რომ იგი სავსეა მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომების აღწერით, რომლებიც როგორც მოკავშირეებმა, ასევე, უპირველეს ყოვლისა, „ლერძის“ სახელმწიფოებმა დაუშვეს. მოვლენების სირთულე და მძაფრი დრამატიზმი, ასევე მათში მონაწილე ჯარების სახეობებისა და გვარეობების მრავალფეროვნება წარმოუდგენლად არასწორი გადაწყვეტილებების მიღების ნაწილობრივ ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. რა თქმა უნდა, ერთ ნაშრომში ყველაფრის განხილვა შეუძლებელია, ამიტომ წიგნი შემოიფარგლება მხოლოდ იმ მნიშვნელოვანი მაგალითების წარმოჩენით, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინეს ომების, საომარი კამპანიებისა თუ ბრძოლების მსვლელობაზე. შემდგომი შეცდომების უმეტესობის განხილვა კი, ძირითადად, „მეორე მსოფლიო ომის სამხედრო შეცდომების ენციკლოპედიაშია“ გათვალისწინებული.

პრუსიელი ისტორიკოსის, ლეოპოლდ ფონ რანკეს აღიარებით, ისტორიოგრაფიამ მხოლოდ „სრული სიმართლე“ უნდა ასახოს. ეს საკმაოდ რთული საკითხია. არაერთხელ დადგინდა, რომ ისტორიული მოვლენები გადმოიცემა რამდენადმე განსხვავებულად, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. დაწერილი მსოფლიო ისტორია და ასევე ომების ისტორია სავსეა

მითებითა და ლეგენდებით, კურიოზებითა და ანეგდოტებით, სიყალბითა და სიცრუით. ეს შეცდომები დღესაც აგრძელებენ არსებობას კაცობრიობის წარმოდგენებში. მაგალითად, ბასტილიის ციხესიმაგრე არავის არ აუღია შტურმით, მარტინ ლუთერს საჯაროდ არასოდეს გამოუცხადებია თავისი თეზისები, ბეთლემში ბავშვების დახოცვა კი, ლიტერატურული ფანტაზიის ნაყოფია. სამხედრო ისტორიაშიც არსებობს მსგავსი შემთხვევები და ამან აუცილებლად უნდა ჰპოვოს ასახვა „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედიაში“. წიგნის დასასრულს, ერთ სპეციალურ თავში თავმოყრილია რამდენიმე მაგალითი, სადაც წყაროები და ჩანაწერები არასწორ ცნობებს გვაწვდიან მიმდინარე მოვლენების შესახებ და ამით ადამიანთა ცნობიერებაში ფაქტებთან შეუსაბამო წარმოდგენებს ნერგავენ. ხანდახან საქმე ეხება მხოლოდ ეპიზოდებსა და დეტალებს. ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი, მნიშვნელოვანი მოვლენა კი, რომელთა მიმდინარეობის ზედმიწევნით ცოდნაში ბევრია დარწმუნებული, სინამდვილეში სულ სხვაგვარად განვითარდა.

კლაუზევიცის ფორმულირებით, ომი არა მხოლოდ „სხვა საშუალებებით პოლიტიკის დაუფარავი გაგრძელებაა“, არამედ „ძალადობის აქტი, რომელიც აიძულებს მოწინააღმდეგეს დაყვეს ჩვენ ნებას“. მისი მიზანია, „დაამარცხოს მოწინააღმდეგე და შეძგომი წინააღმდეგობის შესაძლებლობა წაართვას მას“. ეს მართლაც ძნელი და სასტიკი საქმეა. ძირითადი პრინციპია არა კეთილშობილება, ზომიერება ან გულისხმიერება, არამედ უპირობო განიარაღება და მოწინააღმდეგის ტოტალური განადგურება. „ამის დაშვება შეცდომაა, – ამბობს კლაუზევიცი ზომიერებასა და გულისხმიერებაზე, – სამხედრო ხელოვნების ჭეშმარიტი მიზანია მოწინააღმდეგის განიარაღება ან დამარცხება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებით, რადგან ისეთ სახიფათო საქმეში, როგორც ომია, ყველაზე საშიშელი შეცდომების დაშვების მიზეზი ღმობიერებაა“...

რატომ ვართ დაინტერესებული ომით და მისი ისტორიით და, საერთოდ, ისტორიით? გერმანული ლიტერატურის კლასიკოსი, სამხედრო ისტორიის პროფესორი და სამხედრო ექიმი, ფრიდრიხ შილერი, 1789 წელს იენაში წაკითხულ ლექციაზე, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს გვაძლევს: იმიტომ რომ ეს ჩვენ ბევრ რამეს გვასწავლის; ის გვაიარაღებს და გვეხმარება ცოდნა მისაღები და ხელსაყრელი მეთოდებით შევიძინოთ. ეს მოსაზრება სამხედრო ისტორიასაც ეხება. „ისტორია საქმიან საერო პიროვნებას მისაბამ მაგალითად წარმოგვიდგენს, ფილოსოფოსებს მნიშვნელოვან ახსნა-განმარტებებს აძლევს, განურჩევლად ყველას კი, სიამოვნების მდიდარ წყაროს სთავაზობს“.

ეს ამბავი ჯერ არ დასრულებულა, იგი ისევ გრძელდება. კაცობრიობის მთელი პროგრესი, თანამედროვე რთული ტექნოლოგიები და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს მიღწევები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. კოსმონავტიკის მიღწევებისა და კომპიუტერების მიერ შექმნილი წარმოსახვითი სამყაროსა და მათი ზეგავლენით დაჩლუნგებულ, გართობის მოყვარული საზოგადოების საუკუნეში, ამ წიგნის წაკითხვით წარსულის ფერად-ფერადი სურათები ცოცხლდება. და საინტერესოა, როგორ თანხმდებიან ადამიანები სამხედრო საკითხებზე და მათ მიერ დაშვებული რომელი შეცდომებია ყველაზე საშიში?

გარემოსა და ეპოქების ცვლილებების მიუხედავად, ადამიანის ბუნება ძირფესვიანად მაინც არ შეცვლილა. იგი ფიქრობს და აზროვნებს, გრძნობს და უყვარს, სძულს და ბრძოლას აგრძელებს ისევე, როგორც ამას მისი წინაპრები აკეთებდნენ ასეულობით წლების წინ. მის მოქმედებებს მსგავსი მექანიზმი გააჩნია და იმავე მოთხოვნებით განისაზღვრება, რაც აქამდე იყო. ჩვენი დროის ისტორიას თავზე წარსული ისტორიის ლანდი დასტრიალებს. შილერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გადაჭიმულია მოვლენათა გრძელი ჯაჭვი ახლანდელი დროიდან ადამიანთა მოღვმის დასაწყისამდე მიზეზისა და შედეგის ურღვევი ურთიერთკავშირით“.

ეს გასაგები ხდება ისლამთან დაკავშირებული ამჟამინდელი დაპირისპირებითაც, რომლის მიზეზებიც შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. დღევანდლობის, XXI საუკუნის გლობალური ომი კი, საერთაშორისო ტერორიზმთან წარმოებული ომია. ეს ომი ჩვენც გადავიტანეთ ნაწილობრივ ძალიან ახლოს, კომფორტით გარემოცულ ფერად

ტელევიზორებთან. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკის მსოფლიო საგაჭრო ცენტრზე გაუგონარმა თავდასხმამ მსოფლიო შეცვალა. ამას კი წინ უძღოდა არასწორი დასკვნა, სახელდობრ, არასწორი ჰიპოთეზა, რომ მსგავსი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო და არც არასოდეს მოხდებოდა.

ის, რაც ეხება ისტორიული მოვლენების ჯაჭვს, ეხება ასევე მასთან დაკავშირებულ შეცდომებსაც. ხშირად ერთ დაშვებულ შეცდომას, მცირედენი განსხვავებით, მეორეც მოჰყვება ხოლმე. როგორც წესი, შეცდომები ძველი სახით მეორდება და ისინი ერთმანეთს ძირითადი სტრუქტურითა და მიზეზებით ჰგავს. 2500 წლიანი სამხედრო ისტორიის მიმოხილვისას ყველაფერი ნათელი ხდება, ომში შეცდომების დაშვების ხშირი მიზეზები კი, წიგნის ბოლო თავშია განხილული. როცა კვალის ძიების პროცესში შეხვდებით რაიმე გასაოცარსა და კურიოზულს, არ გაიკვიროთ – ეს ამ თემის ბუნებიდან გამომდინარეობს. შეცდომების ხშირი გამეორება კი, ოღონდ სხვა სიტუაციაში – „ყოველთვის იგივეა, მაგრამ სხვაგვარად“ – როგორც თავის დროზე ამას ციკერონი ამბობდა. ყოველივე ეს კი, იმ აზრს ბადებს, რომ ადამიანთა მოდემას ამ შეცდომებისგან ბევრი არაფერიც არ უსწავლია. ხოლო ის მოსაზრება, რომ ისტორიიდან ჩვენ ნამდვილად რაღაც ვისწავლეთ ამ შეცდომებზე, არცთუ დამაჯერებლად ჟღერს.

ადამიანთა შორის არსებული განუწყვეტელი დაპირისპირებები, რომლებსაც შედეგად მოსდევს სიკვდილი და განადგურება, ასევე დაუსრულებელი ჯაჭვია მათთან დაკავშირებული ტრაგიკული და საბედისწერო, ნაწილობრივ ან სრულად გაუცნობიერებელი შეცდომებისა, რაც სრულებითაც არ მოსავს ომს დიდების შარავანდედით. პირიქით! მოვლენების ანალიზმა გვიჩვენა არასწორი დასკვნებითა და შეფასებებით გამოწვეული ხოცვა-ჟლეტის მთელი საშინელება და სისხლისღვრის უაზრობა.

თქვენს წინაშეა ომის წინააღმდეგ მიმართული და ერთად შეკრებილი ისტორიების კრებული. თანამედროვე ისტორიის მეცნიერების ყველა მეთოდური და ხშირად ზედაპირული დისკუსიების პარალელურად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამხედრო ისტორიის შეცდომებისა და გაუგებრობების კალიდოსკოპის განხილვა. აღწერილობით ნაწილში ბევრი შეკითხვა უპასუხოდაა დარჩენილი, მაგრამ არა ისტორიკოსების საყვარელი კითხვა: რა მოხდებოდა და როგორ გაგრძელდებოდა ისტორია, თუ არა ეს შეცდომები? ცნობილი ამბავია – დასმულ კითხვაზე სპეკულაცია სავარაუდო პასუხებთან დაკავშირებით და გარკვეული ინტრიგა ზოგადად მეტ ხიბლს სძენს წიგნს, მაგრამ არა ამ შემთხვევაში. წიგნის ავტორი, გერმანელი ისტორიკოსი ჰანს-დიტერ ოტო თავის წიგნში სამხედრო მოვლენებს საინტერესო და მიმზიდველი ისტორიების ფორმით აღწერს და შილერის „ესპანეთის სამფლობელოდან გაერთიანებული ნიდერლანდების გამოყოფის ისტორიის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობის ბოლოში დართულ დასკვნებს იშველიებს. ამ დასკვნაში კი, ვკითხულობთ: „ისტორიას შეუძლია აიღოს დროებით რაღაც მონათესავე ხელოვნებიდან, ოღონდ ისე, რომ იგი, როგორც რომანი, ისე არ აღიქმებოდეს“.

თავი I

შეცდომები
1914 – 1938 წლები

§1.1. გაუთვალისწინებელი საგმირო საქმეები (ლიეჟი, 1914 წლის 6 აგვისტო)

ამ სტრიქონებს ვწერთ ხუთშაბათს, 1914 წლის 6 აგვისტოს. დღეს ჩადენილი საგმირო საქმის გამო ისტორიაში აქამდე უცნობი ერთი ოფიცერი შევიდა. ეს გმირობა კი, სრულიად გაუთვალისწინებელი გროტესკული შეცდომის ნაყოფი იყო, რომელიც I მსოფლიო ომთან არის დაკავშირებული. XX საუკუნის ეს უდიდესი სამხედრო დაპირისპირება რამდენიმე დღეა რაც დაიწყო¹. გერმანიაში თითქმის ერთნახევარი მილიონი კაცი გაიწვიეს აქტიურ სამხედრო სამსახურში. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა თოთხმეტი წლისაა, ხოლო ყველაზე ასაკოვანი – სამოცდათერთმეტი წლის ვეტერანია. ეს უკანასკნელი 1866 წელს ავსტრიელების წინააღმდეგ წარმოებულ ომში იბრძოდა, 1870-1871 წლებში კი – ფრანგების წინააღმდეგ.

გერმანული სამხედრო ემელონები დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტ ნაკადად მიემართებიან ფრონტისაკენ. გამარჯვებაში დარწმუნებული, ომით შთაგონებული გერმანელი ჯარისკაცები მოწინააღმდეგეს უწმაწური სიმღერებით ამკობენ და პირუტყვის გადასაყვან ვაგონებზე ცარცით წერენ: „ყოველი დარტყმა ფრანგს, ყოველი გასროლა რუსს, ყოველი პანდური ბრიტანელს!“

ომის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ, 4 აგვისტოს, გერმანიის კაიზერი² ვილჰელმ II³ სამხედრო საბჭოს სხდომას იწვევს რაიხსტაგში.⁴ ბერლინის სასახლის თეთრ დარბაზში

¹ მრავალი განზომილებით, „დიად ომად“ წოდებული I მსოფლიო ომი XX საუკუნეში განვითარებული მოვლენების გარკვეულ წყალგამყოფად იქცა. „დიადმა ომმა“ გაანადგურა ოთხი იმპერია, შვა უამრავი ახალი სახელმწიფო და დაამსხვრია დასავლეთ ევროპის, როგორც პროგრესის განმსაზღვრელი ფენომენის როლი სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში... უფრო მეტიც – ამ ომის შედეგები დღესაც გვასხენებენ თავს ისეთ ადგილებში, როგორცაა მაგალითად, მანკობელი აღმოსავლეთი და ბალკანეთი. პირველმა მსოფლიო ომმა მრავალ ასპექტში შეცვალა XX საუკუნის ომების წარმოების წესი. მან მოიტანა სატანკო და ტანკსაწინააღმდეგო ლეული, საჰაერო ბრძოლები, სტრატეგიული დაბომბვა, საჰაერო დაზვერვა, ჰერსაწინააღმდეგო თავდაცვა, დიდი საზოგადოებრივი ღონისძიებები და წყალქვეშა ნავები, საზღვაო დესანტი და სახმელეთო ოპერაციების საჰაერო მხარდაჭერა... ლოჯისტიკა დაეფუძნა შიგაწვის ძრავას, ხოლო ჯარების ოპერატიული და ტაქტიკური მართვა – ელექტრულ კომუნიკაციებს. ქიმიური იარაღის საშინელებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. პოლიტიკურმა და ეთნიკურმა ფანატიზმმა, აგრესიამ და მხარდმა სახელმწიფოებრივმა ინდუსტრიებმა საკუთარი ხალხების არნახული მობილიზაცია მოახდინეს და ომში ჩართული სახელმწიფოები თავადვე იქნენ ცოცხალი ძალის წარმოების გიგანტურ შეჯავშნულ ქარხნებად. I მსოფლიო ომი 4 წელი, 3 თვე და 10 დღე მიმდინარეობდა. მასში მსოფლიოს 34 სახელმწიფო მონაწილეობდა, რომლის მოსახლეობაც (კოლონიების ჩათვლით) დედამიწის მთელი მოსახლეობის 67%-ს შეადგენდა. მეომარმა ქვეყნებმა 70 მილიონზე მეტი ადამიანის მობილიზაცია მოახდინეს. მათი შეიარაღებისათვის წარმოებულ იქნა 327,6 მილიონი შაშხანა, 1075 ათასი ტყვიამფრქვევი, 152 ათას ქვემეხზე მეტი, 8200 თვითმფრინავი, 9200 ტანკი და მრავალი სხვა სახის და ტიპის შეიარაღება. ფრონტებზე დაიღუპა 10 და დაიჭრა 20 მილიონი კაცი. საერთო ჯამში, სწორედ პირველმა მსოფლიო ომმა შვა XX საუკუნის ისეთი მძლავრი პოლიტიკური და იდეოლოგიური ფენომენები, როგორებიც იყო ულტრანაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი, ბოლშევიზმი და კომუნიზმი, ფაშიზმი და ნაციზმი.

² კაიზერი (გერმ. der Kaiser) – მონარქის გერმანული ტიტული. წარმოდგება რომაული ტიტულისგან „კეისარი“ (ლათ. Caesar). ამ ტიტულის აღმნიშვნელი სიტყვის პირველი ასო K მიგვანიშნებს ამ ტერმინის სიძველეზე. გერმანულ ენაში შეესაბამება ტიტულს – „იმპერატორი“, ხოლო გერმანულენოვან ქვეყნებში აღნიშნავს ყველა დროისა და ხალხების იმპერატორებს. სხვა ევროპულ ენებში, კაიზერს, როგორც წესი, უწოდებენ 1871-1918 წლების პერიოდის გერმანიის მხოლოდ სამ იმპერატორს – ვილჰელმ I-ს, ფრიდრიხ III-ს და ვილჰელმ II-ს. გერმანიის ისტორიის ამ პერიოდს „კაიზერის გერმანიის“ ხანასაც უწოდებენ. უფრო იშვიათად, სიტყვა „კაიზერი“ (და არა მხოლოდ გერმანულ ენაში) ინმარება გერმანელი ხალხისა და ავსტრიის იმპერიის საღვთო რომის იმპერიის მონარქების აღსანიშნავად, სადაც გაბატონებულ ენას ასევე გერმანული წარმოადგენდა.

³ ვილჰელმ II (გერმ. Friedrich Wilhelm Viktor Albert) (1859-1941წ.წ.) – გერმანიის II რაიხის კაიზერი, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ევროპისა და მსოფლიოს დიდი გერმანელი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ჰოპენცოლერების დინასტიის გერმანიის II რაიხის უკანასკნელი იმპერატორი და პრუსიის სამეფოს უკანასკნელი მეფე 1888 წლის 15 ივნისიდან 1918 წლის II ნოემბრამდე. იგი იყო გერმანიის პრინცისა და შემდეგ იმპერატორის, ფრიდრიხ პრუსიელისა და დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ვიქტორიას უფროსი ქალიშვილის, ასევე ვიქტორიას (ვიკის) უფროსი ვაჟი, დედოფალ ვიქტორიას უფროსი შვილიშვილი. ევროპის სახელმწიფოთა მრავალი მონარქისა და პრინცის ახლო ნათესავი. II რაიხის მონარქი და გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების გროსადმირალი. ვილჰელმ II-ის მეფობის პერიოდი დაიწყო გერმანიის ეკონომიკური, ფინანსური, სამრეწველო, ტექნიკური, სამხედრო და აქედან გამომდინარე, მისი კოლონიური როლის ზრდითა და გაძლიერებით მსოფლიოში. საბოლოოდ იგი დასრულდა I მსოფლიო ომის დაწყებით, რასაც გერმანიაში 1918 წლის ნოემბრის რევოლუცია და მონარქიის დაშობა მოჰყვა

რუხი ფერის ფორმასა და გადაკეცილ ყავისფერ ჩექმაში გამოწყობილი იმპერატორი, დეპუტატების მიერ ვაშას ძახილის თანხლებით, მჭექარე ხმით აცხადებს: „აუცილებელი თავდაცვისათვის, სუფთა სინდისით და სუფთა ხელებით ვიღებთ მახვილს, მხნედ და ერთგულად, რაინდისათვის შესაფერისი ღირსებით, ღმერთის წინაშე მორჩილებით და მტრის წინაშე საბრძოლო განწყობით!“ გერმანელები ჯარისკაცები დარწმუნებულნი არიან, რომ ჰყავთ მსოფლიოში საუკეთესო არმია და აქვთ გენერალ შლიფენის⁵ მიერ შემუშავებული შეტევის გენიალური გეგმა.⁶ ამ გეგმის მიხედვით, გერმანული არმიების გარკვეულმა ნაწილმა შეტევა უნდა განავითაროს დასავლეთისკენ, ძლიერი საბრძოლო სოლისებრი წყობით ნეიტრალური ბელგიის გავლით გაემართოს საფრანგეთისკენ, სენასკენ, შემდეგ პარიზიდან აღმოსავლეთისკენ მკვეთრად შემობრუნდეს, ალყა შემოარტყას საფრანგეთის დედაქალაქს და გაანადგუროს ფრანგთა შეიარაღებული ძალები.⁷

გენერალი ოტო ფონ ემიხი⁸ იღებს ბრძანებას, რომ თავისი „მაასის არმიით“ ბელგიისკენ მიმავალი გზა გაწმინდოს და შევიდეს ბელგიაში. ამის შემდგომ, შერეული ექვსი ქვეითი ბრიგადის⁹ ძალების მოულოდნელი და სწრაფი შეტევით მან უნდა აიღოს ქალაქი

შედეგად. კაიზერ ვილჰელმ II-ის მმართველობის ეპოქას, მისი დიდი მნიშვნელობიდან გამოდინარე, ვილჰელმის ეპოქასაც უწოდებენ.

⁴ რაიხსტაგი (გერმ. Reichstag – პირდაპირი მნიშვნელობით „საიმპერიო შეკრება“) – საღვთო რომის იმპერიის უმაღლესი საკანონმდებლო-სათათბირო ორგანო. შემდგომში გერმანიის იმპერიული სახელმწიფოების, II და III რაიხის პარლამენტები.

⁵ ავტორი აქ მცირე უზუსტობას უშვებს. გერმანიის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ალფრედ ფონ შლიფენი წოდებით გენერალ-ფელდმარშალი იყო და არა უბრალოდ გენერალი. იგი იყო პრუსიისა და II რაიხის გენერალ-ფელდმარშალი და ეკავა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა 1891-დან 1905 წლამდე.

⁶ შლიფენის გეგმა – XX საუკუნის დასაწყისისათვის შემუშავებული გერმანიის იმპერიის, II რაიხის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლისა და შეტევითი მოქმედებების გეგმა იყო. ეს გეგმა 1905 წელს შემუშავებულ იქნა გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, ფელდმარშალ ალფრედ ფონ შლიფენის საერთო ხელმძღვანელობით საფრანგეთის მესამე რესპუბლიკისა და რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. შესაბამისად, გეგმა ატარებს მის სახელს. მოგვიანებით, შლიფენის გადადგომის შემდეგ, I მსოფლიო ომის წინ, გეგმა მოდიფიცირებულ იქნა გერმანიის გენშტაბის ახალი უფროსის, დიდი მოლტკეს ძმისშვილის, გენერალ-პოლკოვნიკ (გენერალ-ობერსტ) ჰელმუტ ფონ მოლტკეს მიერ.

⁷ გენერალ-ფელდმარშალი ალფრედ ფონ შლიფენი მონუსხული იყო იმ იდეით, რომ შესაძლებელი იქნებოდა საფრანგეთის მთელი არმიის წინააღმდეგ ორმაგი გარემორტყმის ოპერაციის განხორციელება ძლიერი მარჯვენა ფლანგით ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, ხოლო მარცხენა ფლანგით – აღმოსავლეთის მიმართულებიდან. ეს სულისკვეთება ჰანბალის მიერ რომაელთა არმიის გარემორტყმის ოპერაციით იყო გამოწვეული, რაც კანეს ბრძოლაში განხორციელდა ძვ.წ. 216 წელს. ეს ბრძოლა ალფრედ შლიფენისათვის საგულდაგულო შესწავლის საგანი გახდა. არსებითად, მისი გეგმა ჰანბალის ტაქტიკის დიდ სტრატეგიულ დონეზე გამოერება იყო. მისი წარმატებით განხორციელებისთვის კი, ხელი უნდა შეეწყოს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებისა და ტრანსპორტის სფეროში დაწყებულ დიდ ტექნოლოგიურ გარდევას. ფელდმარშალი შლიფენი 1905 წლის ოქტომბერში საკუთარ შტაბს უხსნიდა ამ სტრატეგიის არსს და მისი აღსრულებისათვის გაიხსენა ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ შემუშავებული შეტევითი სტრატეგია – Bataillon Carreé. შლიფენმა განაცხადა, რომ მის მიერ დაგეგმილი სტრატეგიული გარემორტყმა იგივე პრინციპს ემყარებოდა, „მხოლოდ უფრო მეტად კონცენტრირებული, მასირებული და ძლიერი ფორმით“. შლიფენის გეგმა გარკვეულ დაშვებებსაც აკეთებდა. კერძოდ:

- ბელგია დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა გერმანელებს და ბელგიის რკინიგზის ქსელი დაპყრობილი იქნებოდა დანაკარგების გარეშე;
- ბრიტანელების დახმარება კონტინენტზე არაფექტური იქნებოდა;
- რუსები ვერ ჩაერთვებოდნენ საომარ მოქმედებებში მობილიზაციის დასრულებამდე, რადგან რუსულ მობილიზაციას დიდი დრო დაჭირდებოდა;
- გერმანელთა მარჯვენა ფლანგი შეინარჩუნებდა შეტევითი მოქმედებების მაღალ სიჩქარეს;
- ფრანგები ვერ გადაისროდნენ თავის ძალებს ელზას-ლოტარინგიიდან გერმანელების შემტევი მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ;

⁸ ოტო ფონ ემიხი (გერმ. Otto von Emmich) (1848-1915წ.წ.) – პრუსიელი და გერმანელი მხედართმთავარი, ინფანტერიის გენერალი. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1866 წელს. 1901 წლიდან გენერალ-მაიორია, 1905 წლიდან – გენერალ-ლეიტენანტი და მე-10 ქვეითი დივიზიის მეთაური. 1909 წლიდან ინფანტერიის გენერალია და სარდლობს ჰანოვერის X საარმიო კორპუსს. I მსოფლიო ომის დაწყებისას სარდლობდა დასავლეთის ფრონტის სპეციალურ, ე.წ. „ლიეჟის არმიის“ ოპერატიულ გაერთიანებას, რომლის ამოცანასაც წარმოადგენდა ლიეჟის ციხესიმაგრეების აღება.

⁹ ბრიგადა (ფრანგ. Brigade) – ტაქტიკური დანიშნულების საჯარისო ერთეული. ზოგიერთი ქვეყნის არმიებში ბრიგადა, ისევე როგორც პოლკი, ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ძირითად საჯარისო ერთეულს წარმოადგენს. მაგალითად, დღევანდელ ქართულ არმიაში სწორედ ბრიგადა წარმოადგენს ოპერატიულ-ტაქტიკური

ლიეჟი და გააგრძელოს სვლა დასავლეთისაკენ. დანარჩენი გერმანული არმიები კი, საერთო სტრატეგიული გეგმის მიხედვით იმოქმედებენ. თითქოს ყველაფერი ნათელი და გასაგებია, მაგრამ ამის თქმა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე გაკეთება.

ქალაქი ლიეჟი მდინარე მასის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. იგი 150 მეტრი სიმაღლის ციცაბო ფერდობზეა გაშენებული და გარშემორტყმულია 200 მეტრი სიგანის მდინარით, ისევე, როგორც შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები და სასახლეები იყო გარშემოვლებული დამცავი თხრილებით. ირგვლივ, ორმოცდაათი კილომეტრის რადიუსში იგი დაცულია თორმეტი, ორივე სანაპიროზე წრიულად განლაგებული მძლავრი სიმაგრეებით, რომლებიც აგებულია ერთი მეტრის სისქის რკინა-ბეტონის კედლებისგან. ეს ფორტები¹⁰ მიწაში ღრმად ჩაფლულ შუა საუკუნეების ციხესიმაგრეებს ჰგავს. ქალაქის ცენტრში, როგორც ობობა თავის ქსელში, ისე მდებარეობს ძლიერი, მიუდგომელი ციტადელი.¹¹ ამიტომ ქალაქი ლიეჟი და მის გარშემო მდებარე არეალი მსოფლიოში უძლიერეს ფორტიფიკაციულ სისტემადაც და გამაგრებულ რაიონად ითვლება. ბელგიელები და ფრანგები იმედოვნებენ, რომ იგი ნებისმიერ ალყას გაუძლებს და არასოდეს დაეცემა.

3 აგვისტოს აახენის სასტუმრო „იუნიონში“ გერმანული სარდლობა ლიეჟზე შეტევის უკანასკნელ დეტალებს განიხილავს. გენერალი ფონ ემიხი ჩაფიქრებული გამომეტყველებით ეთათბირება თავის შტაბს, თუ როგორ უნდა გატეხონ ეს ბასტიონი.¹² შემთხვევით იქ იმყოფება გენერალ-მაიორი ერის ლუდენდორფი,¹³ რომელიც, როგორც მე-2 არმიის

დანიშნულების ძირითად სამხედრო ერთეულს. ბრიგადას უკავია შუალედური მდგომარეობა პოლკსა და დივიზიას შორის, სტრუქტურულად კი, პოლკის ანალოგიურია. თუმცა ბატალიონებისა და სხვა ქვედანაყოფების რაოდენობა ბრიგადაში უფრო მეტია, ვიდრე პოლკში. ბრიგადა პირველად ფორმირებულ იქნა შვედეთის დიდი მეფისა და XVII საუკუნის თვალსაზრისით მხედართმთავრის, გუსტავ II ადოლფუსის მიერ 1616-1648 წლების ევროპის ოცდაათწლიანი ომის მსვლელობისას. საშტატო-საორგანიზაციო განრიგით, ბრიგადას, როგორც წესი, მეთაურობს პოლკოვნიკი/ბრიგადის გენერლის (ერთვარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

¹⁰ ფორტი (ლათ. Fortis – მძლავრი, ძლიერი) – სამხედრო თავდაცვითი დანიშნულების დიდი (გრძელვადიანი ჩაკეტილი ან მოკლევადიანი ღია საველე) შეკრული გამაგრება. გამაგრებული რაიონისა და თავდაცვითი ნაგებობის გარე პერიმეტრის შემადგენელი ნაწილი კომპებით, ბასტიონითა და ციტადელით.

¹¹ ციტადელი (იტალ. Cittadella – მცირე ზომის ქალაქი) – ქალაქის დამცავი გარე სიმაგრე, ან ციხესიმაგრის შიდა გამაგრება, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი თავდაცვითი ფუნქცია და წარმოადგენს ციხესიმაგრის გარნიზონის უკანასკნელ საყრდენ პუნქტს სხვა გამაგრებების დაცემის შემთხვევაში. ციტადელს გააჩნდა აგრეთვე ამა თუ იმ მმართველისადმი ქალაქის დამორჩილების ფუნქცია. ქალაქის მოსახლეობის აჯანყების შემთხვევაში მმართველის მომხრეები თავს აფარებდნენ ციტადელს, ძირითადი დამხმარე ძალების მოსვლისას კი, მათ ქალაქის კარებს უღებდნენ. ნიკოლო მაკიაველის მიხედვით სწორედ ასე იქცეოდნენ იტალიელი მთავრები.

¹² ბასტიონი (იტალ. Bastionato – პირდაპირი მნიშვნელობით „ყოველგვარი გამოშვებული ნაგებობა“) – ციხესიმაგრის კედლის კუთხეებში ჩაშენებული გამაგრებული და კარგად დაცული ნაგებობა, რომელსაც გააჩნია ფრონტალურ და ფლანგურ მიმართულებებზე თავდაცვითი ბრძოლის წარმოების ფუნქცია და საშუალებები, ხოლო უკანა, ზურგის ნაწილი ღია აქვს.

¹³ ერის ფრიდრიხ ვილჰელმ ლუდენდორფი (გერმ. Erich Friedrich Wilhelm Ludendorff) (1865-1937წ.წ.) – გამოჩენილი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, „ტოტალური ომის“ კონცეფციის ავტორი, გერმანიის საიმპერატორო ჯარების ინფანტერიის გენერალი და გენერალ-პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. დაამთავრა კადეტთა სკოლა. სამხედრო სამსახური დაიწყო გენერალურ შტაბში. 1904-1913 წლებში მსახურობდა სამობილიზაციო განყოფილების ოფიცრად. მონაწილეობდა „შლიფენის გეგმის“ დეტალურ შემუშავებაში. 1913 წელს რაინსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მოხსნეს დაკავებული თანამდებობიდან და გადაიყვანეს დივიზიის მეთაურად. I მსოფლიო ომის დაწყებისას იყო მე-2 არმიის კვარტერმეისტერი. იმავე წლის 5 აგვისტოს ინიშნება მე-5 კორპუსის სარდლად, შემდეგ კი მე-14 ბრიგადის მეთაურად, რომლის დროსაც წარმატებით განაზოცილა ლიეჟის ალყა. ორ კვირაში გადაიყვანეს აღმოსავლეთის ფრონტზე, კენიგსბერგთან, მე-8 არმიის შტაბის უფროსად, რომლის სარდლადაც დაინიშნა თადარიგიდან გამოძახებული გენერალ-პოლკოვნიკი პაულ ფონ ჰინდენბურგი. მე-8 არმიის მიერ ტანენბერგთან წარმატებით აღსრულებული საფრონტო ოპერაციის შემდეგ გერმანელებმა ფაქტიურად გაანადგურეს ერთი რუსული არმია, ხოლო მეორეს უკან დაახევინეს. ამ დიდი გამარჯვების შემდეგ მათ აწინაურებენ და ფელდმარშალი პაულ ფონ ჰინდენბურგი და გენერალი ერის ლუდენდორფი გერმანიის ეროვნული გმირები ხდებიან. 1914 წლის ნოემბრიდან ლუდენდორფი ინიშნება აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობის შტაბის უფროსად, ხოლო 1916 წლის აგვისტოდან – საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი – შტაბის უფროსად. გერმანული არმიების მიერ დასავლეთის ფრონტზე 1918 წლის გაზაფხულზე დაწყებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, 1918 წლის 26 ოქტომბერს გადის თადარიგში. I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე თავი შეაფარა შვედეთს. 1919 წლის გაზაფხულზე ბრუნდება გერმანიაში და იწყებს პოლიტიკურ საქმიანობას, გამოდის ჰიტლერისა და გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის მხარდამჭერად. 1924 წელს ირჩევენ რაინსტაგის დეპუტატად. 1925 წელს კენჭს იყრდა გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნებში. არჩევნებში დამარცხებისა და ფელდმარშალ პაულ ფონ ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, 1925

კვარტერმეისტერი,¹⁴ სასტუმროში ელოდება გენერალ ბიულოვს,¹⁵ თავის უფროსს, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩასულა აახენში. უსაქმოდ მჯდარ ლუდენდორფს აზრად მოსდის, მონაწილეობა მიიღოს ლიეჟზე შეტევაში, გარკვეული თვალსაზრისით როგორც სამხედრო მეთვალყურე, დაინტერესებულმა პირმა და როგორც სტუმარმა. თავდაპირველად ფონ ემიხი განცვიფრებული ხდება გენერლის ამ სურვილს, მაგრამ მალე, მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ, თანხმდება ამ წინადადებას და ლუდენდორფს ერთ-ერთ შემტევ შენაერთს მიამაგრებს.

4 აგვისტოს ნათელ და უღრუბლო დილას, გენერალი ლუდენდორფი ადრინადა დაადგება გზას თავისი მეწინავე შენაერთებით. რუსი ფერის ფორმიანი გერმანელთა ქვეითი ჯარი, რომლის ერთფეროვნებასაც მხოლოდ ჩაფხუტის წინა მხარეს პოლკის აღმნიშვნელი წითელი ნომრები არღვევს, ლიეჟისკენ მიმავალ გზაზე მიემართება. ჯარების სვლა მოწესრიგებულად და ზუსტად ისე მიმდინარეობს, როგორც ეს ალღუმის დროს ხდება ხოლმე. მათი ჩაცმულობა და საბრძოლო აღჭურვილობა უნაკლოა. თვითოეულ ჯარისკაცს სამოცდახუთი გირვანქა ტვირთი მიაქვს: ზურგჩანთა, სალაშქრო მათარა, მეორე წყვილი ჩექმა, ნიჩაბი, დანა, რასაკვირველია, შაშხანა და საკმარისი საბრძოლო მასალა. ამას ემატება ჩანთა „საკვების ხელშეუხებელი მარაგით“, რომელიც შედგება ორი ქილა ხორცის, ბოსტნეულის, ასევე ორი გალეტის, დაფქული ყავისა და ერთი ბოთლი არყისაგან. მეორე ჩანთაში შენახულია სახვევი დოლბანდი, ლეიკოპლასტირი, ასანთი, ნემსი და ძაფი, შოკოლადი და თამბაქო. საერთო ჯამში, მძიმე ტვირთია.

ჯარისკაცები სიმღერით შედიან ბელგიაში. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბელგიას სამარშო სვლით გაივლიან, თუმცა მათი წინსვლა ფერხდება. „რაინის დარაჯის“ სტრიქონები ომახიანად ჟღერს: „იდიღე გამარჯვების გვირგვინით“ და „გერმანია, გერმანია უპირველეს ყოვლისა“. მეწინავე შენაერთები უკვე ლიეჟთან არიან, მაგრამ ქალაქის აღება არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. მძიმე არტილერიის გრუხუნით მათი სიმღერის ხმას ფარავს.¹⁶ დღე-ღამის განმავლობაში გერმანელები გამუდმებით

წლიდან პოლიტიკურ ოპოზიციაში უდგება ადოლფ ჰიტლერის ნაციონალურ-სოციალისტურ მუშათა პარტიასა და ფონ ჰინდენბურგის პოლიტიკურ პლატფორმას. იმავე წელს აარსებს ახალ პოლიტიკურ მოძრაობას „ტანენბერგის კავშირს“. 1928 წელს მიდის დიდი პოლიტიკიდან, თუმცა 1930 წელს აარსებს ახალ რელიგიურ კავშირს „გერმანელი ხალხი“. 1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ პოლიტიკური გაერთიანებები „ტანენბერგის კავშირი“ და „გერმანელი ხალხი“ აკრძალულად გამოცხადდა. 1935 წელს ჰიტლერმა პირადად მონაწილეობა ლუდენდორფი და მას III რაიხის გენერალ-ფელდმარშლის წოდების მიღება შესთავაზა. ლუდენდორფმა ეს შეთავაზება უარყო და ხმამაღლა განაცხადა: „ფელდმარშლის წოდებას არ ანიჭებენ, ფელდმარშლებად იბადებიან“. გარდაიცვალა 1937 წელს, ბავარიაში. დაკრძალეს სრული სამხედრო პატივით.

¹⁴ კვარტერმეისტერი – (გერმ. Quartiermeister, ინგლ. Quartermaster) – ჯარების მართვის ორგანოებში არსებული ჩინი, თანამდებობა. კვარტერმეისტერის თანამდებობა XVI საუკუნიდან ჩნდება მრავალ ევროპულ სახელმწიფოთა არმიებში: საფრანგეთი, პრუსია, გერმანია, რუსეთი, რაც გამოწვეული იყო ევროპული არმიების პირდაპირი შემადგენლობის რიცხობრივი ზრდით და მათი მომარაგების საკითხების ადმინისტრირების საჭიროებით. XVIII-XIX საუკუნიდან უკვე ჩნდება დივიზიების, კორპუსებისა და არმიების გენერალ-კვარტერმეისტერის თანამდებობები. მათ მოვალეობაში შედიოდა ჯარების სამეურნეო ნაწილში დაგეგმვის, უზრუნველყოფისა და მართვის ფუნქციები.

¹⁵ კარლ ვილჰელმ ფონ ბიულოვი (გერმ. Karl Wilhelm Paul von Bülow) (1846-1921წ.წ.) – პრუსიელი და გერმანელი მხედართმთავარი, გენერალ-ფელდმარშალი. 1866 წლის ავსტრია-პრუსიისა და 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომების მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1864 წელს. 1894 წლიდან პოლკოვნიკი და მე-9 გვარდიული პოლკის მეთაურია, ხოლო 1897 წლიდან გენერალ-მაიორია და ინიშნება გერმანიის სამხედრო სამინისტროს ცენტრალური დეპარტამენტის უფროსად. 1903 წლიდან კორპუსის სარდალია, 1912 წლიდან კი, მე-3 არმიის სამხედრო ინსპექტორი. I მსოფლიო ომის დაწყებისას სარდლობდა გერმანიის დასავლეთის ფრონტის მე-2 არმიას. მასზე განპირობებული იყო გერმანელთა სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული დარტყმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება – საფრანგეთის ჩრდილოეთში შეჭრა ბელგიის გავლით.

¹⁶ აქ ავტორი გერმანელთა ზემოთხსენებულ არტილერიაზე მიგვანიშნებს. საუბარია ე.წ. „დიდი ბერტაზე“, გერმანელთა 420მმ-იან მსხვილკალიბრიან პაუზიცაზე, გერმანულად – „Dicke Bertha“. სხვადასხვა ვარიანტებში გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა. „დიდი ბერტა“ მძიმე 1810კგ-იან ჭურვებს ისროდა 9300 მეტრ მანძილზე, საშუალო, 1160კგ-იან ჭურვებს – 12500 მეტრზე, ხოლო მსუბუქ, 810კგ-იან ჭურვებს – 14100 მეტრ მანძილზე. მისი სწრაფსროლა წუთში 1 გასროლა იყო. სამივე ჭურვს იმ დროისათვის უდიდესი დამანგრეველი ძალა ჰქონდა. აფეთქებისას ფუგასური ჭურვი აჩენდა 4,25მ სიღრმისა და 10,5მ დიამეტრის ორმო. მსხვერვადი ჭურვები აფეთქებისას ქმნიდნენ 15 ათასამდე ლითონის ნამსხვრევს, რომლებიც თავის მომაკვდინებელ ეფექტს ორი კილომეტრის რადიუსში ინარჩუნებდნენ. ციხესიმაგრეების დამცველები ყველაზე საშინელ საბრძოლო მასალად „დიდი ბერტას“ ჯავშანგამტან ჭურვებს თვლიდნენ, რომელიც ორი მეტრი სისქის რკინა-ბეტონის გამაგრებებს ანგრევდა. I მსოფლიო ომის

უმენე ლიეჟის სიმაგრეებს ჭურვებს. მასის ხეობას მიღწეული ჯარისკაცების თვალწინ უზარმაზარი ბასტიონის კონტურები იშლება. 5 აგვისტოს დილიდან ლიეჟის ოთხ აღმოსავლეთ სიმაგრეზე გერმანელებს მძლავრი იერიში მიაქვთ, მაგრამ ამაოდ. იგი მტკიცედ დგას ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების კონცენტრირებულ ცეცხლში და დაცემას არ აპირებს. დაღუპული გერმანელი ჯარისკაცები, როგორც ბარიკადები, გროვად ყრია ერთი მეტრის სიმაღლეზე. ყველა გაოცებულია. ბელგიელების მხრიდან ასეთ მოულოდნელ და შეუპოვარ წინააღმდეგობას არავინ ელოდა. „ბელგიელების უდიდესი გამარჯვება,“ – იუწყებიან გაზეთები სპეციალურ გამოცემაში, ამასვე ზეიმობენ ბრიუსელშიც. ფაქტი ისაა, რომ ბელგიელები მედგრად დგანან და დანებებას არ აპირებენ. მათ არა თუ მოიგერიეს მოწინააღმდეგე, არამედ უკუაგდეს კიდევ გერმანელები!¹⁷

6 აგვისტოს ნაშუადღევსათვის გერმანელთა მე-14 ბრიგადა ახერხებს ციხესიმაგრის ირგვლივ არსებული წრიულად აღმართული თავდაცვის ზღუდის გარღვევას. გერმანელები მასის მარჯვენა სანაპიროს სიმაღლეზე აღწევენ. გენერალი ლუდენდორფი, რომელიც შეტევის დროს იქ იმყოფება, გააკვირვებული შესცქერის ქალაქის ცენტრში აღმართული უმძლავრესი ციტადელის სილუეტს. როგორ უნდა შევიდნენ შიგ ჯარისკაცები? და საერთოდ თუა მისი ალება შესაძლებელი? – ფიქრობს იგი. მე-14 ბრიგადის პირადი შემადგენლობის მდგომარეობა მარტივი ნამდვილად არ არის. იგი სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა სიმაგრის ზონის შიგნით, სხვა ბრიგადების ქვედანაყოფები კი არსად ჩანან. მიუხედავად გერმანელთა მსხვილკალიბრიანი არტილერიის განუწყვეტელი ცეცხლისა, ბელგიური გარნიზონები მაინც მედგრად დგანან. ლიეჟის გამაგრებული რაიონის თორმეტი ფორტი, გენერალ ლემანის¹⁸ მეთაურობით, არ ნებდება და განუწყვეტლად ისვრის.

გერმანელები ქალაქს ჰაერიდანაც უტევენ. ლიეჟის ცაზე დირიჟაბლის¹⁹ ვერცხლისფერი კორპუსი ჩნდება. „LZ6“-ის ღია გონდოლიდან უმცროსი ოფიცერი თხუთმეტი სანტიმეტრი სიგრძის ჰაუბიცის²⁰ ჭურვს ისვრის ქალაქში, რომელიც მიწაზე

მსვლელობისას გერმანელები წარმატებით იყენებდნენ ამ დამანგრეველ იარაღს კარგად გამაგრებული ბელგიური და ფრანგული ციხესიმაგრეების წინააღმდეგ საბრძოლველად და მათ გასანადგურებლად. ასე მაგალითად, ათასკაციანი ფორტის დამცველთა ნებისყოფის გატეხვის და ფორტის ჩაბარებისათვის გერმანელებს ესაჭიროებოდათ აღნიშნული ტიპის ორი ჰაუბიცა, ერთი დღე-ღამე და 360 ჭურვი. მოკავშირეები 420მმ-იან „დიდ ბერტას“ „ფორტის მკვლელებს“ (Forts killers) უწოდებდნენ.

¹⁷ შლიფენის გეგმა თავიდანვე გარკვეულ დაშვებებზე იყო გათვლილი. გეგმის ერთ-ერთ დაშვებას გერმანელების მიერ ბელგიის რკინიგზის დანაკარგების გარეშე დაკავება და ბელგიელთა თავდაცვის ძალების სავარაუდო სისუსტე წარმოადგენდა, რაც რეალობაში შეცდომა აღმოჩნდა. გერმანული არმიების ბელგიაში შეჭრისა და საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ ბელგიელები ანგარიშგასაწევ ძალებს წარმოადგენდნენ და ისინი ადვილად არ დანებდებოდნენ მოწინააღმდეგეს.

¹⁸ ჟერარ ლემანი (ფრანგ. Gerard Mathieu Leman) (1851-1920წ.წ.) – ბელგიელი მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი. იგი ასწავლიდა სამხედრო საქმეს ბელგიის მომავალ მეფეს, ალბერტ I-ს. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით დაინიშნა ლიეჟის ციხესიმაგრის კომენდანტად და მე-3 ქვეითი დივიზიის მეთაურად. მისი ხელმძღვანელობით ციხესიმაგრის გარნიზონმა გააფორებული წინააღმდეგობა გაუწია გერმანელებს. ლიეჟის ციხესიმაგრე მხოლოდ მას შემდეგ დაეცა, რაც გერმანელების მიერ გამოყენებულ იქნა „დიდი ბერტას“ ტიპის ზემოთე არტილერია. ამ დაბომბვების შედეგად გენერალი ლემანი მძიმედ დაიჭრა. უგონო მდგომარეობაში მყოფი ბელგიელი გენერალი გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გათავისუფლებულ იქნა ტყვეობიდან 1917 წელს და გადაცემულ იქნა შვეიცარიას.

¹⁹ აქ საუბარია ეხება ე.წ. „ცეპელინებს“ (გერმ. Zeppelin) – გრაფ ცეპელინის მიერ ფირმა Luftschiffbau Zeppelin GmbH-ში აშენებულ ხისტი კონსტრუქციის საფრენ აპარატებს – დირიჟაბლებს. სულ ცეპელინის კომპანიის მიერ, 1899-1938 წლებში აშენებულ იქნა 119 დირიჟაბლი.

²⁰ ჰაუბიცა (გერმ. Haubitze. თავდაპირველად – ქვების სატყორცნი მოწყობილობა) – საარტილერიო ქვემეხის ტიპი, რომელიც ძირითადად გამოიყენება დასურული საცეცხლე პოზიციებიდან დაკიდებული ტრაექტორიით საარტილერიო ცეცხლის საწარმოებლად. პირველი ჰაუბიცები, რომელსაც დიდი კალიბრი ჰქონდა და გამოიყენებოდა ქვის კარტჩის სასროლად, ევროპაში XIV საუკუნეში გამოჩნდა (იტალია, გერმანია და სხვა). თუმცა იმ დროისათვის ჰაუბიცამ ვერ მოიპოვა დიდი პოპულარობა. ლუდენდორფი დასაბუთებდა გოლუვოლუციური ჰაუბიცების ფართოდ გამოყენება ევროპაში XVII საუკუნიდან იწყება, მაშინ, როდესაც ჩნდება ფეთქებადი ჭურვები. იმდროინდელი ჰაუბიცის ლულის სიგრძე არ აღემატებოდა ადამიანის ხელის სიგრძეს. ეს კეთდებოდა იმისთვის, რომ გამარტივებულიყო მისი დატენვის პროცედურები ყოველგვარი დამხმარე მოწყობილობების გარეშე. XVIII-XIX საუკუნეებში ჰაუბიცებს უკვე ეკავათ შუალედური მდგომარეობა ზარბაზნებსა და მორტიერებს შორის. ჰაუბიცის გამოყენებით ახლო მანძილებზე შეიძლებოდა პირდაპირი ცეცხლის წარმოება ზარბაზნის მსგავსად, მცირე დანთის მუხტის შემთხვევაში და აწეული ლულით კი, დაკიდებული ტრაექტორიით სროლა. ჰაუბიცებში საბრძოლო მასალად გამოიყენებოდა ყუმბარები, ბირთვები და კარტჩი,

დავარდნისას ფეთქდება. ამ აფეთქების დროს რამდენიმე სამოქალაქო პირიც იღუპება. XX საუკუნის ომი ახალი მასშტაბებით ჩაღდება. ღირიყაბლისგან ციხესიმაგრე ცეცხლით იცავს თავს. ბელგიელთა მიერ ნასროლი ზალპები ნახვრეტებს ტოვებენ ღირიყაბლის კორპუსში, საიდანაც გაზი იპარება. უზარმაზარი ღირიყაბლი მართვას კარგავს, სწრაფად ეშვება ძირს და მიწაზე ეხეთქება. ქალაქის დამცველები ზეიმობენ, ლიეჟის მოსახლეობა კი, ტერორისტული შეტევის შიშით ღამეს სარდაფებში ატარებს. გერმანელთა მძიმე არტილერია ქალაქს ისევ უმოწყალოდ ბომბავს, რათა ქალაქის დამცველებს ჩაბარება აიძულონ. მაგრამ ლიეჟი მაინც არ ნებდება. ლონდონის „თაიმსი“ წერს: „ბელგიამ მარადიული დიდება მოიპოვა, რადგან მან გერმანული არმიის უძლეველობის მითი დაამსხვრია!“

ამ ვითარებაში პოლკოვნიკ ფონ ოვენს განსაკუთრებული მისია აკისრია. მან ბრძოლისუნარიანი მეწინავე ნაწილებით უნდა შეუტოს ლიეჟის ციხესიმაგრეს და მისი მთავარი ციტადელი დაიკავოს. მაგრამ ხდება სრულიად წარმოუდგენელი რამ. მისი ჯარისკაცები შეცდომით არასწორი მიმართულებით მიდიან და ლიეჟის ქუჩებში გზა ერევათ. ისინი ციხესიმაგრეს ვერ აგნებენ. როგორც ჩანს, მათ არა აქვთ ქალაქის გეგმა და ვერც ვერასოდეს მივლენ იქამდე. მხოლოდ ერთი გერმანელი ოფიცერი ახერხებს ამას. ეს ოფიცერი გენერალი ერის ლუდენდორფია. იგი ძალიან ცნობისმოყვარეა და სურს ახლოდან დაათვალიეროს ფონ ოვენის ჯარის მიერ დაკავებული ციტადელი. იგი გაბედულად ითხოვს ბელგიურ ავტომობილს და მდიდრული, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ციხესიმაგრისაკენ მიემართება. აი, ციხესიმაგრეც. გენერალი მანქანიდან გადმოდის და ნელი ნაბიჯით შუასაუკუნოვან ჭიშკართან მიდის, რადგან ფიქრობს, რომ ციხესიმაგრე უკვე გერმანელი ჯარისკაცების მიერაა დაკავებული. ეს სახიფათო, თითქმის წარმოუდგენელი შეცდომაა. იგი დაშნის ტარით ძლიერად აბრახუნებს ჭიშკარზე, და ჭიშკარიც იღება. ხუთი-ექვსი ბელგიელი ჯარისკაცი გაოგნებული იყურება ჭიშკრიდან. ასევე გაოგნებულია თავად გერმანელი გენერალ-მაიორი, რომელსაც ჟრუანტელი უკლის მთელს სხეულში. იმასაც კი ვერ ახერხებს, რომ დაუყოვნებლივ უკან გაბრუნდეს, ბელგიელი ჯარისკაცები კი, უფრო მეტად არიან გაოგნებულები. ისინი გაცოცხლებულნი უყურებენ გერმანელი გენერლის ფორმას და თავის მხრივ კიდევ უფრო დიდ შეცდომას უშვებენ: ჯარისკაცები მაღლა სწევენ ხელებს და თეთრ დროშებს შლიან. წარმოუდგენელი სურათია. სამასი ბელგიელი ჯარისკაცი და ოფიცერი იარაღს ყრის და ერთადერთ გერმანელ გენერალს ნებდება. ისინი ფიქრობენ, რომ გერმანელმა ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს ციხესიმაგრეს და გენერლის უკან გერმანელთა მთელი ჯარი დგას. მაგრამ რეალობა სულ სხვაა – გაუგებრობასთან, დიდი გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

ლიეჟის აულებელი ციხესიმაგრე ეცემა, თუმცა სხვა სიმაგრეები კიდევ რამდენიმე დღე აგრძელებდნენ ბრძოლას. საბოლოოდ, ბელგიისა და საფრანგეთის ჭიშკარი გერმანელებისათვის ფართოდ იხსნება და „შლიფენის გემის“ შესაბამისად შესაძლებელი ხდება გერმანელთა მიერ დაწყებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის გაგრძელება. გერმანული არმიებიც წინ მიიწევენ.

გერმანიაში კი დიდი აღმაფრენაა. კაიზერი ვილჰელმ II ზეიმობს და ამ არნახული მამაცობისათვის გენერალ ლუდენდორფს „Pour le Mérite“ ორდენით აჯილდოებს. ეს ორდენი იმპერიის უმაღლესი ჯილდოა, რომელსაც იგი პირადად გადასცემს ლუდენდორფს 22 აგვისტოს. მართლაც საოცარი ამბავია. და ამ საბრძოლო ეპიზოდის გამო გენერალი ერის ლუდენდორფი ხელის ერთი დაკვრით იმკვიდრებს სახელს გერმანიის ისტორიაში. მაგრამ ეს ისტორია გენერალ ლუდენდორფის შესახებ აქ არ დასრულდება. ისტორია კიდევ ერთხელ გაგვაკვირვებს და ოდნავ მოგვიანებით, მაღალ თანამდებობაზე ყოფნისას, გენერალი ლუდენდორფი კვლავ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს I მსოფლიო ომისა და გერმანიის ისტორიაში.

მაშინ როცა მორტირებში გამოიყენებოდა მხოლოდ ყუმბარები და ბომბები. ამ დროისათვის საველე ზარბაზნებით ნაკლებად იყო შესაძლებელი მსხვერვალი ჭურვებით ცეცხლის წარმოება.



კაიზერი ვილჰელმ II (1859-1941)



ალფრედ ფონ შლიფენი (1833-1913)



პელმუტ ფონ მოლტკე (უმცროსი)
(1848-1916)



ერიხ ლუდენდორფი
(1865-1937)



კარლ ფონ ბიულოვი
(1846-1921)



ოტო ფონ ემსი
(1848-1915)



ჟერარ ლემანი
(1851-1920)



„გასეირნება პარიზისაკენ“ – გერმანელი ჯარისკაცები ფრონტისკენ მიემგზავრებიან. საწყის ეტაპზე კონფლიქტში ჩართული თვითოეული მხარე დარწმუნებული იყო, რომ ომი სწრაფი და ხანმოკლე, და რაც მთავარია, მათთვის წარმატებული იქნებოდა.



გერმანული ჯარები ბელგიის საზღვართან, ოსტენდში



ბელგიელი ქვეითები




www.alamy.com - A4J7WW


ბელგიელთა მე-9 შერეული ბრიგადის მებრძოლები



გერმანელები ლიუჟთან




გერმანული შენაერთების შეჭრა ბელგიაში. 1914 წლის აგვისტო





www.alamy.com - E0043C



ქალაქ ლიევის ფორტიფიკაციების სისტემა



ბელგიელი ჯარისკაცები



ბელგიელთა თავდაცვის ხაზი ჰერსტალში, ლიევის ჩრდილო-აღმოსავლეთ გარეუბანში



ბელგიელ მეტყვამფრქვევთა გათვლა იკავებს საბრძოლო პოზიციას




გერმანელები ბელგიაში




გერმანელები ლიეჟთან



ანტვერპენის დამცველები



„დიდი ბერტა”



„დიდი ბერტას” გათვლა

L'ALLEMAGNE VIOLE LA NEUTRALITÉ BELGE

L'Ultimatum allemand - La Belgique se défendra par tous les moyens

Voir plus loin nos Dernières nouvelles

L'Allemagne adresse un ultimatum à la Belgique

Le ministre d'Allemagne à Bruxelles a remis hier, à 7 heures du soir, à M. Beernaert, ministre des Affaires étrangères, un ultimatum en six ou sept points. Son ultimatum plénière à la Belgique est destinée pour servir de prétexte au déclenchement de l'invasion.

La Belgique a répondu tout de suite par un refus catégorique.

M. de Beernaert, ministre des Affaires étrangères, a déclaré qu'il n'aurait pas accepté l'ultimatum allemand. Il a déclaré qu'il n'aurait pas accepté l'ultimatum allemand. Il a déclaré qu'il n'aurait pas accepté l'ultimatum allemand.

LA BELGIQUE REPOUSSE L'ULTIMATUM ALLEMAND

Les nominations parues ce matin au "Moniteur"

Arrivées ministères d'Etat
 Le ministre d'Etat des Affaires étrangères, M. de Beernaert, a été nommé à la présidence du conseil.

Le Roi commande l'armée
 Le Roi a pris le commandement de l'armée belge.

Ordonnance de Léopold II. - Nominations
 Le Roi a nommé à la présidence du conseil M. de Beernaert.

Nominations dans l'armée
 Le Roi a nommé à la présidence du conseil M. de Beernaert.

Les Chambres réunies d'urgence

Séance solennelle sous la présidence du Roi

Les Chambres ont été réunies d'urgence à 10 heures du soir. La séance a été solennelle. Le Roi a présidé la séance. Les ministres ont été présents.

Les nouveaux ministères d'Etat
 Le nouveau gouvernement a été formé.

UNE SEANCE SOLENNELLE
 La séance a été solennelle.

LES SEPTIEMES LEGISLATIONS
 Les septième législations ont été adoptées.

La parole revient aux députés
 Les députés ont pris la parole.

Le mouvement de ministères de la guerre
 Le mouvement de ministères de la guerre a été décidé.

ბელგიური გაზეთი "Le Soir" – „ლიეჟის ფორტები მამაცურად იგერიებენ მტრის შემოტევებს!..“




გერმანელები ლუქსემბურგში



*Ruines du Fort de Loncin près Liège
(Belgium) Ruins of Loncin's Fort near Liège.*

„დიდი ბერტას“ ჭურვებით დაბომბილი ფორტ ლონკინის ნანგრევები



გერმანელები ბრიუსელში



გერმანელები ანტვერპენში



ლიუვის ცენტრში დანგრეული ხიდი



გერმანელები ლიეჟში



ლიეჟისათვის ბრძოლა I მსოფლიო ომის პირველი დიდი ბრძოლა იყო

§1.2. სასწაული მარნასთან

(საფრანგეთი, 1914 წლის 24 აგვისტო – 10 სექტემბერი)

1914 წლის აგვისტოს ცხელი თვის განმავლობაში გერმანული არმიები ბელგიის ტერიტორიაზე იბრძვიან. სწრაფი და წარმატებული შეტევის შემდეგ გერმანული არმიები იკავებენ ბელგიას, იმავე თვის 24 რიცხვში კი, ბელგია-საფრანგეთის საზღვარს კვეთენ და საფრანგეთში შედიან. ისინი მოქცეულნი არიან შლიფენის გრანდიოზული გეგმის გრაფიკში, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია ხუთი გერმანული არმიის ძალებით მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურება მოკლე დროში და ისიც მხოლოდ ერთი გიგანტური ოპერაციით. გერმანიის გენშტაბის მიერ დაგეგმილი ეს გრანდიოზული ოპერაცია ითვალისწინებს გერმანელთა სტრატეგიული გარშემოვლის მანევრს ბელგიიდან ჩრდილოეთ საფრანგეთის ტერიტორიაში, რათა პარიზს ზურგიდან შეუტეონ.²¹

ამ გეგმის მიხედვით გერმანელთა შეტევის მარჯვენა ფლანგმა სწრაფად უნდა იმოძრაოს წინ და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს მოწინააღმდეგეს. 1913 წელს გენერალ-ფელდმარშალ ალფრედ შლიფენის მიერ სასიკვდილო სარეცელზე წარმოთქმული ბოლო სიტყვები იყო: „მარჯვენა ფლანგი გამძლიერეთ, მარჯვენა ფლანგი!“

ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტის ლომის წილი გერმანელთა I არმიაზე მოდის, რომელსაც გენერალი ალექსანდერ ფონ კლუკი²² სარდლობს. იგი დასავლეთის ფრონტის საუკეთესო გენერალია, რომელიც კი გერმანიას ჰყავს და მისი არმიაც გამორჩეულია. სწორედ ამ არმიის გაბედულ მოქმედებებზე იქნება დამოკიდებული შლიფენის გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ამოცანის შესრულებაც და საერთო სტრატეგიული წარმატების მიღწევაც. შემდგომი თოთხმეტი დღე კი, საბოლოოდ განსაზღვრავს ომის შედეგებს.

ისტორია დაგვანახებს, რომ იმ დღეებში გერმანელთა მიერ დაშვებული შეცდომები ფაქტობრივად გადამწყვეტი აღმოჩნდება მთლიანად I მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობაზე.

²¹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შლიფენის გეგმაში თავიდანვე გარკვეული დაშვებები იყო გაკეთებული. გენერალ-ფელდმარშალ შლიფენის ხელმძღვანელობით გერმანიის გენშტაბის მიერ შემუშავებული სტრატეგიული შეტევითი მოქმედებების ეს გეგმა საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების გაშლას გულისხმობდა. მაგრამ მისი ძირითადი პუნქტები შემუშავებული იყო საფრანგეთისა და რუსეთის შეუთანხმებელ მოქმედებებზე გათვლით. ამ დაშვებების თანახმად, გერმანელები თვლიდნენ, რომ ეკონომიკური ჩამორჩენილობის, განუვითარებელი საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის უკიდურესი კორუპციულობის გამო, ჯარების მობილიზაციასა და მათ საბრძოლო გაშლას რუსეთი გერმანული არმიების საფრანგეთში შეჭრიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეძლებდა. შლიფენი იმედოვნებდა, რომ მას არ ექნებოდა საქმე ერთდროულად ორ ფრონტზე და ერთდროულად ორივე მოწინააღმდეგესთან. მისი გათვლით, იგი მოკლე დროში დაამარცხებდა ჯერ საფრანგეთს, შემდეგ კი, აღმოსავლეთის ფრონტზე თავისი არმიების სწრაფი გადასროლით – რუსეთსაც. თავის დროზე, სწორედ ამ გათვლაზე იყო დამყარებული დიდი ჰელმუტ ფონ მოლტკეს მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო შლიფენის გეგმას. ჰელმუტ ფონ მოლტკე უფროსი, მაშინ, XIX საუკუნის ბოლოს, აცხადებდა:

„შექმნილი პოლიტიკური ვითარება გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ მოგვიწევს ომის წარმოება ორ ფრონტზე... ერთის მხრივ, იმ მოწინააღმდეგის წინაშე ყოფნა, რომელიც ნებისმიერ დროს მზადაა თავდასხმისათვის, და მეორეს მხრივ იმ მოწინააღმდეგის არსებობა, რომელიც საომარ მობილიზაციას საკმაოდ ნელი ტემპებით განახორციელებს. მხოლოდ ჩვენს მიერ დროულად მიღებულ გადაწყვეტილებებზე იქნება დამოკიდებული ის, შევძლებთ თუ არა მივმართოთ ჩვენი მთავარი ძალები ჯერ ერთი, შემდეგ კი, მეორე მტრის წინააღმდეგ“.

²² ალექსანდერ ფონ კლუკი (გერმ. Alexander Heinrich Rudolph von Kluck) (1846-1934წ.წ.) – პრუსიელი და გერმანელი მხედართმთავარი, გენერალ-ობერსტი (გენერალ-პოლკოვნიკი). 1866 წლის ავსტრია-პრუსიის, 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის და I მსოფლიო ომების მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1865 წელს. 1881 წლიდან ასეულის მეთაურია. 1889 წელს ინიშნება 66-ე ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურად და ენიჭება მაიორის წოდება. 1898 წელს ინიშნება ფიუზილერების პოლკის მეთაურად და ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1899 წელს უკვე ბრიგადის გენერალი და ბრიგადის მეთაურია. 1903 წლიდან 37-ე ქვეითი დივიზიის მეთაურია, ხოლო 1906 წელს – მე-5 საარმიო კორპუსის სარდლად ინიშნება. 1913 წლიდან მე-8 არმიის გენერალ-ინსპექტორია. I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914 წლის 2 აგვისტოს ინიშნება გერმანელთა დამრტყმელი 1-ლი არმიის სარდლად. ითვლებოდა გერმანიის არმიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნიჭიერ და იბლბან სარდლად. 1915 წლის მარტში მიიღო საბრძოლო ჭრილობა. დაჯილდოვდა იმპერიის უმაღლესი სამხედრო ორდენით Pour le Mérite. 1916 წლის ოქტომბერში გაყვანილ იქნა რეზერვში. თადარიგში გასვლის შემდეგ, 1920 წელს, დაწერა მემუარული ხასიათის ნაშრომები „პარიზზე შეტევა“ და „მარნას ბრძოლა“.

ყველაფერი კი იწყება იმით, რომ შლიფენის იდეების მიმდევარი და გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი, ჰელმუტ ფონ მოლტკე,²³ დიდი მოლტკეს ძმისშვილი, აღმოსავლეთში, რუსეთის ფრონტზე შექმნილ საფრთხეს უფრო გადაჭარბებით აფასებს, ვიდრე ფაქტობრივად არის ომის დაწყებისას. ამის გამო იგი შლიფენის დანაბარებს ივიწყებს და მისი გეგმის საერთო მონახაზს ცვლის. მას ოთხნახევარი კორპუსი, ასოთხმოცი ათასი კაცი გამოჰყავს დასავლეთის ფრონტის მარჯვენა დამრტყმელი ფლანგიდან და რუსეთის წინააღმდეგ, აღმოსავლეთისაკენ აგზავნის. შლიფენი კი, თავისი გეგმით მოითხოვდა არა მხოლოდ ბელგიის, არამედ ნიდერლანდების გავლასაც. მოლტკე ამაზეც უარს ამბობს მორალური მოსაზრებების გამო. გარდა ამისა, მისთვის შლიფენის მიერ შემუშავებული ეს გეგმა ზედმეტად გაბედულია.

შლიფენის მითითებით, მხოლოდ ორასი ათასი გერმანელი ჯარისკაცი უნდა დარჩენილიყო ელზას-ლოტარინგიის დასაცავად.²⁴ აქ შლიფენს თავისი გათვლები ჰქონდა. მას სურდა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, ფრანგებს საშუალება მისცემოდათ შესულიყვნენ ელზას-ლოტარინგიაში და გადაადგილებულიყვნენ გერმანიის სიღრმეში, ბავარიამდე, რათა მახეში გაება ისინი. შლიფენის გათვლით, გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალების შვიდ მერვედს დარტყმის მთავარ მიმართულებაზე, გერმანელთა შეტევის მარჯვენა ფლანგზე უნდა მოეყარა თავი²⁵.

მშიშარა მოლტკე შლიფენის მთელ გეგმას ცვლის.²⁶ იგი აწყობს ოთხას ორმოცდაათი ათას კაცს ელზას-ლოტარინგიაში და მარჯვენა ფლანგის ნაცვლად მარცხენა ფლანგს აძლიერებს. 25 აგვისტოს ბელგიის ციხესიმაგრე ნამურის ჩაბარების შემდეგ ალყის მონაწილე ორივე არმიის კორპუსები თავისუფლდებიან სხვა მოქმედებებისთვის. მოლტკე მათ სასწრაფოდ აღმოსავლეთში აგზავნის, რადგან ფიქრობს, რომ ეს შენაერთები აღმოსავლეთ პრუსიაში რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო საჭიროა. მაგრამ მოლტკემ აქაც ბოლომდე ვერ გათვალა თავისი ჩანაფიქრი. მისი მოქმედებები დროსა და სივრცეში ერთმანეთისგან აცდენილი იყო. საქმე იმაშია, რომ გერმანული კორპუსები აღმოსავლეთის ფრონტზე, ტანენბერგამდე მხოლოდ გერმანელების რუსებზე გამანადგურებელი გამარჯვებებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩააღწევნენ, მაშინ, როცა ყველაფერი უკვე მომთავრებული იქნება. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

²³ ჰელმუტ ფონ მოლტკე (უმცროსი) (გერმ. Helmuth Johannes Ludwig von Moltke) (1848-1916წ.წ.) – გრაფი, პრუსიელი და გერმანელი ოფიცერი და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ობერსტი (გენერალ-პოლკოვნიკი), ფელდმარშალ ალფრედ ფონ შლიფენის მემკვიდრე და გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი 1906-1914 წლებში, დიდი მოლტკეს ძმისშვილი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1869 წელს. 1878 წელს დაამთავრა ბერლინის სამხედრო აკადემია და სამსახური გააგრძელა გენერალურ შტაბში. 1888 წლიდან ბიძამისის, გენერალ-ფელდმარშალ ჰელმუტ ფონ მოლტკეს ადიუტანტია, ხოლო 1891 წლიდან – კაიზერ ვილჰელმ II-ის ადიუტანტი. 1899 წელს ინიშნება I-ლი გვარდიული ქვეითი ბრიგადის მეთაურად, შემდეგ – 1-ლი ქვეითი დივიზიის მეთაურად. აქვე ენიჭება გენერალ-მაიორისა და გენერალ-ლეიტენანტის წოდებები. 1904 წლიდან დიდი გენერალური შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერია. 1906 წელს ინიშნება იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად, სადაც მან ამ თანამდებობაზე ფელდმარშალი ალფრედ ფონ შლიფენი შეცვალა. აქვე ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება.

²⁴ I მსოფლიო ომის წინ, გერმანიის მსგავსად, საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბშიც მუშავებოდა გერმანიის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის გეგმები. ძირითად გეგმას ფრანგი ფელდმარშლების, ფერდინანდ ფოშისა და ჟოზეფ ჟოფრეს მიერ შემუშავებული ე.წ. „გეგმა XVII“ წარმოადგენდა. იგი ითვალისწინებდა ფრანგული არმიების შეჭრას ელზას-ლოტარინგიაში და მისი ბრძოლებით დაბრუნებას, რომელიც გერმანიის მიერ იქნა ოკუპირებული საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომში. ეს გეგმა თავისთავად გულისხმობდა იქ განლაგებული გერმანული შენაერთების განადგურებას „მაღალი საბრძოლო სულისკვეთების“ (ფრანგ. Elan Vital) მქონე ფრანგული ჯარების მიერ. მაგრამ ფელდმარშლების – ფოშისა და ჟოფრეს ამ გეგმას რეალური აღსრულება არ ეწერა...

²⁵ შლიფენის გეგმის აღსრულებისათვის გერმანელებმა ძალთა მთელი კონცენტრაცია დასავლეთში მოახდინეს. გერმანელებმა მათ ხელთ არსებული რვა არმიიდან, შვიდი დასავლეთის ფრონტზე გაშალეს, და მხოლოდ ერთი, მე-8 არმია დატოვეს რუსების წინააღმდეგ აღმოსავლეთ პრუსიაში.

²⁶ გერმანიის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალ-ობერსტი (გენერალ-პოლკოვნიკი) ჰელმუტ ფონ მოლტკე (უმცროსი) გულახდილად აღიარებდა თავისი ხასიათის სუსტ მხარეებს. იგი ამბობდა:

„მე არა ვარ იმ ხასიათის კაცი და არა ვფლობ იმ ძალაუფლებას, რომ სწრაფად მივიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მე ზედმეტად ფრთხილი და სკრუპულოზური ვარ და თუ გსურთ, ზედმეტად კეთილსინდისიერიც ამ თანამდებობისათვის. მე არ შემიძლია ერთი თვალისდახამხამებით გავწიო ის რისკი, რასაც აკეთებდნენ დიდ სარდლებად დაბადებული ადამიანები – ნაპოლეონი, ან ჩვენი ფრიდრიხ II, ან თუნდაც ბიძაჩემი“.

ფაქტი ისაა, რომ მოლტკე უმცროსი სტრატეგიულ შეცდომას უშვებს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1916 წელს, იგი აღიარებს, რომ დასავლეთის ფრონტიდან ჯარების მოხსნა და მათი აღმოსავლეთში გაგზავნა არასწორი გადაწყვეტილება და მისი უდიდესი შეცდომა იყო, რადგან შემდგომში ზუსტად ეს ოთხმოცი ათასი კაცი დააკლდება გერმანელთა მარჯვენა ფლანგს – როდესაც გენერალ ალექსანდერ ფონ კლუკის 1-ლი არმიის ორ სხვა კორპუსს გაიყვანენ ანტვერპენისა და მობეჟის ციხესიმაგრეების ასაღებად. ამ მომენტისათვის გერმანელთა მარცხენა და მარჯვენა ფლანგებს შორის ძალთა თანაფარდობა უკვე 1:7-თან კი არ იყო, როგორც ამას თავდაპირველი გეგმით მოითხოვდა შლიფენი, არამედ მხოლოდ 1:3-თან.

მიუხედავად ამისა, გენერალ ფონ კლუკის 1-ლი არმია საბრძოლო ამოცანის პირველ ეტაპს წარმატებით ასრულებს და გეგმის შესაბამისად ბრიუსელთან სამხრეთისკენ ბრუნდება, მაგრამ ახლა იგი ზურგიდან შემოვლით პარიზში შეღწევისთვის მეტისმეტად სუსტია. მიუხედავად ამისა, უკვე 1914 წლის 6 სექტემბრისათვის თერთმეტი კაცისგან შემდგარი გერმანული კავალერიის პატრული პარიზის გამაგრებულ რაიონს 6 კილომეტრის მანძილზე უახლოვდება. კლუკის ჯარისკაცები უკვე არჩევენ ჰორიზონტზე ეიფელის კოშკის სილუეტს. თითქმის ყოველდღე, ზუსტად 17 საათზე ავიაციის ლეიტენანტ ჰიდესენის ყვითელი ბიპლანი²⁷ ჩნდება პარიზის თავზე და ჭურვებს ყრის ქალაქში, რომლებიც რამდენიმე სახლს აზიანებენ.

ფაქტიურად პარიზი ფრონტისპირა ქალაქად იქცა. იგი საომარი მოქმედებების ზონაში ექცევა და ქალაქში კრიტიკული ვითარება იქმნება. როგორც გაზეთები იტყობინებიან, განსაკუთრებული დანიშნულების მატარებელს „ექვსასი ათასი გამოუსადეგარი მუქთამჭამელი“ პარიზელი გადაჰყავს უფასოდ ქვეყნის სამხრეთში. პარიზში დარჩენილები ქალაქის დაცვისათვის ემზადებიან. მათ თავდაცვის უზრუნველყოფის თავიანთი გეგმა აქვთ შემუშავებული. ქალაქის უზარმაზარ პარკებში ათასობით სულ მსხვილფეხა საქონელს უშვებენ. მოსალოდნელი ალყის დროს ეს საქონელი საკვებად უნდა გამოიყენონ. მოედნებსა და ბულვარებში ყველგან თივით დატვირთული ურმები დგას საქონლისათვის, ხოლო სენას ნაპირზე პირუტყვისთვის სასმელი წყლით სავსე ჭურჭლებია დადგმული.

2-დან 3 სექტემბრის ღამეს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რაიმონ პუანკარე²⁸, მთელ კაბინეტთან ერთად ბორდოს მიმართულებით ტოვებს ქალაქს. ათასობით განრისხებული პარიზელი ქვეების სეტყვას უშენს ელისეის სასახლეს. საფრანგეთის ბანკი და პარიზელი მდიდრებიც უჩინარდებიან და მონტე-კარლოს გზით სამხრეთისაკენ მიიქარებიან. გენერალ გალიენის,²⁹ პარიზის სამხედრო გუბერნატორს, გადაწყვეტილი აქვს პარიზის ყველა ხიდი

²⁷ ბიპლანი – ორი მზიდი ზედაპირის (ფრთის) მქონე თვითმფრინავი, რომლის ფრთებიც როგორც წესი, ერთმანეთის თავზე იყო განლაგებული. ასეთი კონსტრუქცია საშუალებას იძლეოდა ფრენის დროს გაზრდილიყო ამწევი ძალა ფრთების შედარებით მცირე ზომების შემთხვევაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი საავიაციო კონსტრუქციების არასაკმარისი სიმტკიცის არსებობისას. შესაბამისად, იმდროინდელი ბიპლანები უფრო მანევრულები და მოქნილები იყვნენ, ვიდრე მონოპლანები. ამავე დროს, მონოპლანებთან შედარებით, ბიპლანებს აფრენისა და დაჯდომისათვის ესაჭიროებოდათ უფრო მცირე სიჩქარე და მოკლე ასაფრენი ბილიკი. ამ კონსტრუქციის თვითმფრინავების ნაკლს მათი დიდი აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი და მონოპლანებთან შედარებით ფრენის დაბალი მაქსიმალური სიჩქარე იყო.

²⁸ რაიმონ ნიკოლას ლენდრი პუანკარე (ფრანგ. Raymond Nicolas Landry Poincaré) (1860-1934წ.წ.) – ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. კონსერვატიული პარტიის წევრი. სამჯერ იყო ქვეყნის პრემიერ მინისტრი და პრეზიდენტი 1913-1920 წლებში.

²⁹ ჟოზეფ საიმონ გალიენი (ფრანგ. Joseph Simon Gallieni) (1849-1916წ.წ.) – ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, დივიზიის გენერალი (გენერალ-ლეიტენანტი) და მოგვიანებით, საფრანგეთის მარშალი. თავისი კარიერის ძირითადი ნაწილი გაატარა ფრანგულ კოლონიებში როგორც მხედართმთავარმა და ადმინისტრატორმა. მისი სამსახურის დროს მოხდა მადეგასკარის დელოფლის რანავალონა III-ის ხელისუფლების დამხობა და მისი გაძევება, რითაც ამ კუნძულის 350 წლიანი მონარქიის პერიოდი დასრულდა. თადარიგში გავიდა I მსოფლიო ომამდე დივიზიის გენერლის ჩინით. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ისევ იწვევენ მოქმედ არმიაში და ნიშნავენ პარიზის გენერალ-გუბერნატორად, სადაც დიდი წარმატებით მოქმედებს. 1915 წლის ოქტომბრიდან საფრანგეთის თავდაცვის მინისტრია. ამ თანამდებობაზე მსახურობს 1916 წლის მარტამდე. მისი გადადგომის მიზეზი ის დაპირისპირება გახდა, რაც მასსა და მთავარსარდალ ჟოზეფ ჟოფრეს შორის დაიწყო გერმანელთა ახალი შეტევითი ოპერაციისა და ვერდენის სისხლიანი ბრძოლების გამო. საფრანგეთის მარშალი 1921 წლიდან.

აფეთქოს, როგორც კი გერმანელები ქალაქში შეიჭრებიან. ეიფელის კოშკიც კი არ უნდა გადარჩეს, – ასეთია მისი ჩანაფიქრი. საფრანგეთის დედაქალაქი კატასტროფის წინაშე დგას, ისეთი პირი უჩანს, რომ იგი მალე დაემხოა.

გენერალი ფრენჩი³⁰, ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის სარდალი, ტელეგრაფით აცნობებს ინგლისის თავდაცვის მინისტრს,³¹ ლორდ კიჩენერს³², რომ მისი ჯარის უიმელო მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელმაც საარიერგარდო ბრძოლებში³³ ერთ კვირაში თხუთმეტი ათასი კაცი დაკარგა, მას განზრახული აქვს, უკან, პარიზის დასავლეთით დაიხიოს. იმასაც კი ფიქრობს, რომ თავისი კორპუსი გემებით უკან, ინგლისში გადაიყვანოს. საერთო სურათი ისეთია, რომ ფრონტი დღე-დღეზე უნდა გაიარღვეს და გერმანელებიც ქალაქში უნდა შემოვიდნენ. ყველაფერი თითქოს დღესავით ნათელია. ომის წაგების ალბათობა ახლა იმდენად დიდია, როგორც არასდროს. ამ ამბით თავზარდაცემული კიჩენერი სასწრაფოდ პარიზისკენ მიიჩქარის და გადაჭრით ილაშქრებს ინგლისელთა მოსალოდნელი „დებურტირობის“ წინააღმდეგ. მისმა მოქმედებებმა შედეგი გამოიღო, გენერალ ფრენჩის ქვედანაყოფები ფრონტზე ბრუნდებიან.

მარშალი ჟოფრე³⁴, საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, მძიმე არჩევანის წინაშე დგას – ან ჩააბაროს პარიზი, გამოაცხადოს იგი ღია ქალაქად და ამით გადაარჩინოს არმია საფრანგეთის შიდა რაიონებში გადაყვანით, ან ძალების დიდი დაძაბვით, ჯარების ტაქტიკური უკანდახევითა და შემდგომი გადაჯგუფებით შემობრუნდეს და ხელახლა შეუტოს გერმანელებს, რათა ასე მაინც სცადოს მათი შეჩერება. 6 სექტემბრისათვის ჟოფრე მძიმე არჩევანს აკეთებს. იგი გადაწყვეტს, რომ დაიწყოს მანევრირება და მოწინააღმდეგეს დაუპირისპიროს უიმელო კონტრშეტევა მარნასთან, სადაც გერმანელებს პარიზზე საბოლოო შეტევისთვის თავისი ძირითადი ძალები ჰყავს თავმოყრილი.

10 სექტემბრის ავისმომასწავებელ დილას მარნასკენ გაგზავნილი ფრანგი მხვერავები გაკვირვებულები არიან. ისინი საკუთარ თვალებს არ უჯერებენ – გერმანელები იქ აღარ არიან! როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, უშუალოდ მიზნის მიღწევამდე ცოტა

³⁰ ჯონ დენტონ პინკსტონ ფრენჩი (ინგლ. John Denton Pinkstone French) (1852-1925წ.წ.) – ბრიტანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, საიმპერატორო ჯარების ფელდმარშალი, იპრის 1-ლი გრაფი, იპრისა და ჰაილეიქის ვიკონტი, ინგლის-ბურების ომის აქტიური მონაწილე, საკავალერიო დივიზიის მეთაური. 1912 წლიდან დიდი ბრიტანეთის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი. 1913 წლიდან ფელდმარშალია. I მსოფლიო ომის დროს მსახურობდა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობებზე. 1918 წლიდან ირლანდიის გუბერნატორია, სადაც განსაკუთრებული სისასტიკით ახშობდა ირლანდიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

³¹ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. აქ მხოლოდ დიდ ბრიტანეთსა და მხოლოდ დიდი ბრიტანეთის სამხედრო მინისტრზე შეიძლება იყოს საუბარი.

³² ჰორაციო ჰერბერტ კიჩენერი (ინგლ. Horatio Herbert Kitchener) (1850-1916წ.წ.) – ინგლისელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი და კოლონიური მმართველობის ადმინისტრატორი, საიმპერატორო ჯარების ფელდმარშალი, ზართუძის გრაფი. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის მონაწილე ფრანგების მხარეს. XIX საუკუნის ბოლოს სუდანისა და ეგვიპტის გენერალ-გუბერნატორი და აქ განლაგებული ბრიტანული კოლონიური ჯარების სარდალი. 1899-1900 წლებში დიდი ბრიტანეთის საიმპერატორო ჯარების გენშტაბის უფროსი. ინგლის-ბურების ომის დაწყებასთან დაკავშირებით ინიშნება ბრიტანული ჯარების სარდალად სამხრეთ აფრიკაში. 1914 წლიდან დიდი ბრიტანეთის სამხედრო მინისტრია. 1916 წლის 5 ივნისს, კრეისერ „კემპშირის“ ბორტზე ყოფნისას აფეთქდა საზღვაო ნაღმზე და დაიღუპა.

³³ არიერგარდი (ფრანგ. Arrière-garde – ზურგის დაცვა) – ტერმინი, რომელიც სამხედრო საქმეში აღნიშნავს შენაერთიდან გამოყოფილ ჯარების დაცვის ქვედანაყოფებს საბრძოლო მოქმედებების ან ჯარების უკან დახვევის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში, არიერგარდი შეიძლება გამოყოფილ იქნას ფრონტიდან ზურგში ჯარების მარშირებისას. უკანდახვევის დროს არიერგარდის ამოცანას შეადგენს მოწინააღმდეგის შეყოვნება ან შეჩერება, დროის მოგება, ჯარების ორგანიზებული უკანდახევა და ძირითადი ნაწილის მოწინააღმდეგისაგან მოწყვეტა თავდაცვის ახალი ზღუდის დაკავების მიზნით. თავისი საბრძოლო ამოცანის შესრულებისას, არიერგარდი აწარმოებს მოწინააღმდეგეზე განუწყვეტელ დაზვერვას, მისი ძალების შემადგენლობის, დაჯგუფებისა და მისი გადაადგილების მიმართულებების დადგენის მიზნით.

³⁴ ჟოზეფ ჟაკ ცეზაირ ჟოფრე (ფრანგ. Joseph Jacques Césaire Joffre) (1852-1931წ.წ.) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, საფრანგეთის არმიის ფელდმარშალი. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომისა და საფრანგეთის კოლონიური ომების მონაწილე. I მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის გენერალური შტაბის უფროსი და უმაღლესი სამხედრო საბჭოს წევრი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, ფრანგული არმიის მთავარსარდალი ომის დასაწყისიდან 1916 წლის ბოლომდე.

ხნით ადრე, ფაქტია რომ გერმანელები გაქრნენ, აშკარად უკან გაბრუნდნენ. მაგრამ რატომ? რა ხდება? ხომ არ არის ეს გერმანელების მიერ დაგებული მახე და რაიმე სამხედრო ხრიკი? ფრანგები დაბნეულები არიან, ვერავენ ხვდება, თუ რაშია საქმე. როცა ბოლოსდაბოლოს აშკარა ხდება, რომ საქმე ეხება გერმანელთა რეალურ უკანდახევას, ქვეყანაში სასწრაფოდ ვრცელდება გადარჩენის შეტყობინება. ეს არის წარმოუგენელი და აუხსნელი რამ, ეს არის – „სასწაული მარნაზე“. დაუჯერებელია, მაგრამ სწორედ იმ მომენტში, როდესაც ფრანგებს ყველაზე უარესის ემინოდათ, ყველაფერი მათთვის სასიკეთოდ სრულდება.

„ბნელია ბედისწერის სავალი გზები და ძნელია მათი ამოცნობა!“, – ამბობს ევრიპიდე³⁵ თავის „ალკესტიდაში“. ეს ბრძნული ნათქვამი აქაც მართლდება. თავდაპირველად ფრანგებისთვის ბურუსით მოცული და გაუგებარი რჩება ამ საოცარი მოვლენის გამომწვევი მიზეზები. გერმანელთა მოულოდნელი გაქრობის გამო ისინი ისევ საგონებელში არიან ჩავარდნილები და ვერაფრით ვერ აუხსნიან მომხდარი ამბავი. მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, რომ გერმანელების დაბალი რანგის ერთ-ერთმა ოფიცერმა, აქამდე ყველასთვის უცნობმა ვიცე-პოლკოვნიკმა, სახელად ჰენჩმა,³⁶ უდიდესი როლი შეასრულა მათი ბედის გადაწყვეტაში.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. 30 აგვისტოს გერმანელთა 1-ლი, ყველაზე მძლავრი არმიის სარდალი, გენერალი ალექსანდერ ფონ კლუკი, შლიფენის „მარჯვენა ხელი“, ნაყვავილარი სახითა და შიშის მომგვრელი გამოხედვით, რთული გადაწყვეტილების მიღების წინაშე აღმოჩნდება. ომის დაწყების პირველივე დღიდან, მისი ფორსირებული მარშით მიმავალი არმიის წინაშე თავზარდაცემული და პანიკაში ჩავარდნილი ფრანგები უკან იხევენ. კლუკი ნამდვილი სამხედროა და მოქმედებს როგორც სამხედრო. იგი ცდილობს ისარგებლოს ამ წარმატებით და ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს მოწინააღმდეგეს. გერმანელი გენერალი დარწმუნებულია, რომ ფრანგები უკვე დაამარცხა და მხოლოდ მათი გარშემოვალაა საჭირო. მისი მარცხენა ფლანგის მოსალოდნელი გაძლიერება შეუძლებელია. არადა, აღმოსავლეთის ფრონტზე მოღვტკეს მიერ უაზროდ გაგზავნილი ორი კორპუსის გამოყენება ზუსტად ახლა იქნებოდა უპრიანი დანაკლისის შესავსებად. კლუკი ისწრაფვის, დაიცვას თავისი დასუსტებული არმია პარიზის დასავლეთით და სამხრეთით სწრაფი გადაადგილების გზით, რადგან, მისი აზრით, შესაძლებელია ფრონტის გაფართოება პარიზის ჩრდილოეთითაც. ეს კი ითვალისწინებს მისი არმიის გადაადგილების მიმართულების შეცვლას სამხრეთის მიმართულებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. კლუკი გადაწყვეტს, შეიცვალოს მიმართულება. ამ მანევრით იგი კეტავს უკვე საკმაოდ დიდ რღვეულს მასა და მის მოსაზღვრე გენერალ ბიულოვის მე-2 არმიას შორის, რომელიც მათ შეტევის მხარდასაჭერად მოითხოვს.

ამავე დროს, კლუკი კარგად ხედავს საფრთხეს, რომ ასეთი ნაბიჯით იგი მოწინააღმდეგეს გაშლილ ფლანგს სთავაზობს, მაგრამ მას სხვა გზა უბრალოდ არა აქვს. ხელში ჩავარდნილი წერილიდან კლუკი იგებს, რომ გენერალ ფრენჩის ბრიტანული კორპუსი ფრონტიდან გადის. ისინი მდინარე სენამდე უკანდახევას აპირებენ. მაგრამ 1 სექტემბრისათვის ცხადი ხდება, რომ ეს ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება. ინგლისელები კი არ იხევენ უკან „ძალზე უწესრიგოდ“, როგორც ეს კლუკს მოახსენეს, არამედ გაბედულად ეწყობიან საბრძოლველად და კომპიენის ტყეში ბრძოლას უმართავენ გერმანელებს. მაგრამ გერმანელი გენერალი იხტიბარს მაინც არ იტენს. როგორც ზემოთ

³⁵ ევრიპიდე (ძვ. ბერძნ. Ευριπίδης, ლათ. Euripides) (ძვ.წ. 480-406წ.წ.) – ძველი ბერძენი დრამატურგი, ესქილესა და სოფოკლესთან ერთად ითვლება კლასიკური ბერძნული ტრაგედიის უდიდეს წარმომადგენლად. 90-მდე დრამის ავტორი, თუმცა ჩვენამდე მისმა მხოლოდ 20-მდე ტრაგედია და დრამამ მოაღწია.

³⁶ რიჩარდ ჰენჩი (გერმ. Friedrich Heinrich Richard Hentsch) (1869-1917წ.წ.) – გერმანელი დაზვერვის ოფიცერი. დაიბადა საქსონიაში. 1888 წელს ხდება კადეტი. სამხედრო სამსახურს იწყებს მე-4 ქვეით პოლკში. 1897 წელს ხდება უფროსი ლეიტენანტი. 1901 წელს ამთავრებს ბერლინის სამხედრო აკადემიას და ენიჭება კაპიტნის წოდება. I მსოფლიო ომის წინ, 1914 წლის აპრილში ენიჭება ვიცე-პოლკოვნიკის წოდება. I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად ინიშნება გერმანიის გენერალურ შტაბში დაზვერვის ოფიცრად.

აღვნიშნეთ, იგი ნამდვილი სამხედროა და მხოლოდ დასმული ამოცანის შესრულებაზე ფიქრობს. შესაბამისად, მისი დამრტყმელი არმია შეტევის მაღალ ტემპს ინარჩუნებს.³⁷ კლუკს თავისი არმია შეუჩერებლად მიჰყავს წინ. მას მდინარე მარნას გადაკვეთა აქვს მიზნად დასახული. მისი არმია კი უწყვეტი მარშისა და ბრძოლების გამო უკვე აშკარად გადაღლილია. „ჩვენი მებრძოლები ძალიან დაიღალნენ და დასუსტდნენ, – აკეთებს ჩანაწერს 1-ლი არმიის ერთი გერმანელი ჯარისკაცი თავის დღიურში, – ისინი ბორძიკით დადიან, სახეები მტვრითა აქვთ დაფარული, ფორმები კი, სულ შემოეგლეჯათ. ჩვენი ჯარისკაცები ნამდვილ საფრთხობელებს ჰგვანან“.

მარჯვენა ფლანგის გერმანულ არმიებს შორის გაჩენილი რღვეული არის სწორედ ის, რაც მოსვენებას არ აძლევს ლუქსემბურგში მოწყობილ შტაბში მოლტკეს. რეზერვი, რომლის საშუალებითაც შეუძლია მას მდგომარეობის გამოსწორება, მისი ბრძანებით უკვე ლოტარინგიაშია გადასროლილი, მოხელთან დაწყებულ ბრძოლაში. იმის მაგივრად, რომ იქ დარჩენილიყო თავდაცვაში, როგორც ამას შლიფენი ურჩევდა, გერმანელთა გენშტაბის უფროსი და უმაღლესი სარდლობა აქაც არღვევს შლიფენის სტრატეგიული გეგმის მონახაზს. გერმანელები შეტევით მოქმედებებში არიან ჩართულნი და ფრანგების ციხესიმაგრის თავდაცვის ხაზის გარღვევას ცდილობენ. კაიზერის განწყობა საზეიმოა. მას სურს, ნანსი ცხენზე ამხედრებულმა გაიაროს სააღლუმო სვლით. მოლტკეს კი სულ სხვა ფიქრები აწუხებს. მას ვერ გადაუწყვეტია, შეწყვიტოს შეტევა და ჯარები მარჯვენა ფლანგზე გაგზავნოს თუ არა. საბოლოოდ, მოლტკე ეთანხმება წინადადებას, უარი თქვან თავდაპირველ სტრატეგიაზე, რომელიც ითვალისწინებს ფრანგების განადგურებას გარემოცვის გარეშე. იგი ელზას-ლოტარინგიაში ტოვებს ჯარებს, შექმნილ ოპერატიულ ვითარებას ინარჩუნებს და არსებული სახიფათო რღვეულის ჩაკეტვას გენერალ ბიულოვის მე-2 არმიის მობრუნების შედეგად აპირებს.

შიშითა და ეჭვებით გატანჯული გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი ლუქსემბურგის ერთ-ერთ სკოლაში ზის, ფრონტიდან საკმაოდ მოშორებით და ვერაფრით გარკვეულა ფრონტზე შექმნილ ვითარებაში. მოლტკე რუკებს დაჰყურებს, მაგრამ ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის შეტევების გამო თავს საშინლად გრძნობს. იგი თავის მეუღლეს წერს: „ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ აუტანელი ზეწოლის ქვეშ, რაც კლავს ენთუზიაზმს და შეუძლებელს ხდის ოდესმე რაიმეს დაწყებას ისე, რომ შინაგანი ხმა არ ჩავძახოდეს: რისთვის? ეს ხომ ამაოა“.

სატელეფონო კავშირი მის საველე შტაბსა და არმიების სარდლობებს შორის დიდი ხანია უკვე გაწყვეტილია. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თვითონ გაემგზავროს ფრონტზე, გაერკვეს შექმნილ მდგომარეობაში და უშუალოდ ადგილზე დარწმუნდეს, ფაქტობრივად რა ვითარებაა გერმანელთა შეტევის მარჯვენა ფლანგსა და 1-ლი და მე-2 არმიების სამოქმედო ზოლში, იგი სულ სხვა გადაწყვეტილებას იღებს.

მოლტკე შეცდომით ფიქრობს, რომ პარიზის აღმოსავლეთით ჩატარებული ბრძოლები გერმანელებისთვის არახელსაყრელად ვითარდება და ომი წაგებულია. 6 სექტემბრისათვის იგი გადაწყვეტს, რომ ფრონტზე გააგზავნოს თავისი სანდო პირი – კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ჰენრი, რომელიც სამხედრო აკადემიაში მიღწეული წარმატებების წყალობით მოხვდა გენერალურ შტაბში. ემისრისადმი მიცემული დავალება კი ასეთია: იგი დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს 1-ლი და მე-2 არმიების შტაბებში და მიიღოს ინფორმაცია ფრონტზე შექმნილი ოპერატიული მდგომარეობის შესახებ. მოლტკე ეუბნება ჰენრის: „თუ 1-ლ არმიას არ შეუძლია შეჩერება, გენერალ-პოლკოვნიკს გადაეცით, რომ უკან დაიხიოს სუასონ-ფისმეს მიმართულებით, რათა შეძლოს მე-2 არმიის მარჯვენა ფლანგთან დაკავშირება წარმოქმნილი რღვეულის ჩასაკეტად.“ მაგრამ აქ მოლტკე დიდ შეცდომას უშვებს – იგი განკარგულებას არ იძლევა წერილობითი ფორმით, რომელშიც

³⁷ გენერალ ფონ კლუკის გერმანელთა I არმიის საბრძოლო მარშის ტემპები მართლაც განსაკვირვებელი იყო. 27 დღე-ღამის განმავლობაში, საიდანაც 11 დღე-ღამე შენაერთებმა ბრძოლებში გაატარეს, არმიამ 650 კმ-ზე მეტი დაფარა. მარშის საშუალო ტემპმა დღე-ღამეში 24 კმ-ზე მეტი შეადგინა.

პირველად არის ნახსენები სიტყვა „უკანდახევა“, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველთვის მიუთითებდა თავისი შტაბის ოფიცრებს, მსგავსი ხასიათის განკარგულებები წერილობითი ფორმით გაეცათ.

ვიცე-პოლკოვნიკი ჰენრი თავისი საბედისწერო მოგზაურობის დასაწყისშივე არიდებს თავს განკარგულების ზუსტად შესრულებას, და აქედანვე იწყება გაუგებრობების მთელი კასკადი. იგი ავტომობილით გადის დაახლოებით სამას კილომეტრს ფრონტამდე, მაგრამ პირველ რიგში მიდის არა 1-ლ და მე-2, არამედ მე-5, მე-4 და მე-3 არმიებთან, რათა მოიპოვოს ინფორმაცია შექმნილი ვითარების შესახებ. ამის გამო იგი მეტად ძვირფას დროს კარგავს. მე-2 არმიის შტაბში მისვლისას უკვე საღამოს 8 საათია. მისდა გასაკვირად, გენერალი ფონ ბიულოვი მხნედ გამოიყურება და არც თუ პესიმისტურ განწყობაზეა. მისი არმიის მარჯვენა ფლანგი იმით არის დაკავებული, რომ გაჭირვებით, მაგრამ მაინც იგერიებს მოწინააღმდეგის შეტევებს. „ბრძოლები მძიმეა, მაგრამ მე შემძლია პოზიციის შენარჩუნება, – მხნედ ეუბნება იგი ჰენჩს, – თუ ალყაში არ მოვექცევით მოწინააღმდეგის გარღვევის შედეგად“.

ბიულოვის უკანასკნელი სიტყვები და ალყის ხსენება პანიკაში აგდებს ჰენჩს, რომელსაც ფრონტზე ყოფნის არანაირი საბრძოლო გამოცდილება არ გააჩნია. ჰენჩი ფიქრობს, რომ 1-ლი არმია სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება და მე-2 არმიას უკანდახევის ბრძანებას გადასცემს. მას აზრადაც არ მოსდის იმის გარკვევა, რომ ჯერ 1-ლი არმიისგან მიიღოს ინფორმაცია, შეუძლია თუ არა არსებულ მდგომარეობაში მას პოზიციების შენარჩუნება. მხოლოდ მეორე დღეს მიემგზავრება იგი 1-ლი არმიის შტაბისკენ და გზაში იგებს, რომ შეტევაზე გადმოსულმა ფრანგებმა მდინარე მარნა გადაკვეთეს. ეს ცნობა მასზე ძალიან მძიმედ მოქმედებს. იგი მეტად შეშფოთებული და დათრგუნულია. გენერალ კლუკის გამარჯვების ურყევი რწმენა, რომ მისი არმიის მდგომარეობა შესანიშნავია, აოცებს მას. ჰენჩს უნდა აღიაროს, რომ შეცდომა დაუშვა და ბიულოვის მე-2 არმიას სრულიად არასწორი სურათი დაუხატა. მაგრამ ეს არმია მისი გამოისობით უკვე უკან იხევს. ახლა გაჩერება კი კატასტროფის ტოლფასი იქნება 1-ლი არმიისათვის. გენერალი კლუკი მას ეწინააღმდეგება, ისევე როგორც მისი შტაბის ოფიცერი გენერალი ფონ ქული: „ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე ახლა უფრო ადვილია, ვიდრე უკანდახევა,“ – ამ სიტყვებით ცდილობენ ისინი ჰენჩის გადარწმუნებას. მაგრამ ჰენჩს აღარ შეუძლია საკუთარი ნათქვამის უკან წაღება და თავისი პოზიციების გასამაგრებლად საბედისწეროდ მცდარ არგუმენტებს იშველიებს: „მაგრამ მე-2 არმიისგან მხოლოდ ნარჩენებიღა დარჩა ფრონტზე!“

ფონ კლუკს სჯერა იმისა, რასაც მას ჰენჩი ეუბნება. სხვანაირად ხომ არც შეიძლება იყოს. მას არავითარი საფუძველი არა აქვს იმისათვის, რომ გენშტაბის უფროსისგან წარმოგზავნილ ოფიცერს, მისი სრული რწმუნებებით აღჭურვილ ემისარს არ დაუჯეროს. მისთვის ცხადი ხდება, რომ თუ ჰენჩისგან მოწოდებული ცნობები სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ მისი არმიაც გრძელი და გაშლილი დაუცველი მარჯვენა ფლანგით სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება, რასაც შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს. „გამოუვალი მდგომარეობიდან“ გამომდინარე, გენერალი კლუკი საბედისწერო გადაწყვეტილებას იღებს. იგი გულის კანკალით თანხმდება უკანდახევის ბრძანების გაცემაზე. ეს არის უმძიმესი და თავისი შედეგებით მართლაც კატასტროფული შეცდომა. გაცემული ბრძანების თანახმად, დღის ბოლოსათვის გერმანელთა 1-ლი არმიის დამრტყმელი შენაერთები სუასონისკენ იხვევენ უკან. ისე ხდება, რომ ორი, გამარჯვების პირას მყოფი 1-ლი და მე-2 გერმანული არმიები, ფრონტზე გამოუცდელი შტაბის ოფიცრის ბრძანების გამო, მოულოდნელად იწყებენ უკანდახევას, რადგან თვითოეული ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სულ ტყუილად ფიქრობს, რომ მათ არ შეუძლიათ არსებული პოზიციების შენარჩუნება. გერმანული არმიების უკანდახევის შემდეგ ფრონტზე ოპერატიული ვითარება სწრაფად იცვლება. ახლა მოლტკემ სხვა არმიებსაც უნდა უბრძანოს უკანდახევა, რათა ისინიც დაიცვას გარშემორტყმის საფრთხისაგან.

მართლაც გამაოგნებელი შემთხვევაა. მარნასთან სასწაული ხდება, დასავლეთის ფრონტზე გაშლილი გერმანელთა შვიდივე არმია უკან იხევს და ხელიდან უშვებს უეჭველი გამარჯვების შანსს, რომელიც ასე ახლოსაა. ეს არ არის ჟანა დ'არკის³⁸ გმირობის ამბავი, რომელმაც, როგორც ეს ანრი ბერგსონმა³⁹ თქვა, მარნასთან მოიგო ბრძოლა – ეს არის გერმანიის გენშტაბის უფროსისა და გერმანული ჯარების მთავარსარდლობის მიერ დაშვებული უდიდესი და საბედისწერო შეცდომა, რომელიც საერთო ჯამში გერმანიის II რაინის დამარცხებას განაპირობებს ამ ომში. ფრანგების იმედგაცრუება და სასოწარკვეთილება კი, უმაღლესია. მათი ჩამქრალი აღმადგენა და საბრძოლო სულისკვეთება კვლავ იფეთქებს. ამ შემთხვევის შემდეგ ისინი ძალიან მალე გაამაგრებენ დასავლეთის ფრონტს შეუპოვარ და უპერსპექტივო პოზიციურ ომში. გერმანიის გენერალურ შტაბში კი, პირიქით, დაბნეულობა, სასოწარკვეთილება და შიში სუფევს. მოლტკე კაიზერ ვილჰელმის წინაშე წარსდგება და ენის ბორძიკით მოახსენებს: „თქვენო უდიდებულესობავ, ომი წავაგეთ!“

კაიზერი თავზარდაცემული და უაღრესად შეშფოთებულია. მის განრისხებას საზღვარი არ აქვს. დიდი გამარჯვება და უკვე დაგეგმილი გრანდიოზული აღლუმი მას ხელიდან გამოვლიჯეს. იგი დაუყოვნებლივ ხსნის მოლტკეს გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან და მის ნაცვლად პრუსიის თავდაცვის მინისტრს, გენერალ ერის ფონ ფალკენჰაინს⁴⁰ ნიშნავს.

საცოდავი ვიცე-პოლკოვნიკის, რიჩარდ ჰენჩის წინააღმდეგ კი, ვისი გამოისობითაც დატრიალდა მთელი ეს ამბები, სამხედრო კანონმდებლობის წესით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. მაგრამ მთავარი კითხვა, მოქმედებდა თუ არა ის დამოუკიდებლად და თვითნებურად, ან იყო თუ არა იგი უფლებამოსილი პირი გაეცა უკანდახვევის ბრძანება – შთამომავლობისა და ისტორიისათვის უპასუხოდ დარჩება. სასამართლოს სხდომაზე იგი ფონ მოლტკესთან არ დაუპირისპირებიათ. და ეს სამწუხარო ისტორიაც ასე დასრულდება. არც ერთ მათგანს თავის საბედისწერო ნამოქმედარზე პასუხი არ უგია. ორივე მათგანმა ამ ამბების შემდეგ ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა. I მსოფლიო ომის დასრულებას ისინი ვერ მოესწრებიან. გენერალ-ობერსტი ჰელმუტ ფონ მოლტკე უმცროსი 1916 წელს გარდაიცვლება, ხოლო ვიცე-პოლკოვნიკი რიჩარდ ჰენჩი, როგორც განადგურებული ადამიანი – 1917 წელს.

³⁸ ჟანა დ'არკი (ფრანგ. Jeanne d'Arc), ორლეანელი ქალწული (ფრანგ. La Pucelle d'Orléans) (1412-1431წ.წ.) – საფრანგეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და საფრანგეთის ეროვნული გმირი, ფრანგთა არმიის ერთ-ერთი სარდალი ასწლიანი ომის ლანკასტერების ფაზაში. ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა ბურგუნდიელებს, რომლებმაც იგი ინგლისელებს გადასცეს. გაასამართლეს როგორც ეკლესიისგან განდგომილი ერეტიკოსი და კოცონზე დაწვეს. შემდგომში, 1453 წელს, ფრანგებმა აიღეს ბორდო, ხოლო იმავე წლის 17 ივლისს, კასტიონეს ბრძოლით დასრულდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის მიმდინარე ხანგრძლივი ასწლიანი ომი. ამ ამბებიდან სამი წლის შემდეგ, 1456 წელს, ჟანა დ'არკი რეაბილიტირებულ, ხოლო 1920 წელს კანონიზირებულ იქნა. რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ იგი წმინდანად იქნა შერაცხული.

³⁹ ანრი ბერგსონი (ფრანგ. Henri Bergson) (1859-1941წ.წ.) – ფრანგი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, სიცოცხლის ფილოსოფიისა და ინტუიტიზმის წარმომადგენელი. კოლეჯ დე ფერნის პროფესორი 1900-1914 წლებში, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი 1901 წლიდან და აკადემიის მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი. საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 1914 წელს. 1927 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი. მისი მთავარი სამეცნიერო ნაშრომებია: „ხელოვნების ევოლუცია“ (ფრანგ. L'Évolution créatrice. P., 1907) და „მორალისა და რელიგიის ორი წყარო“ (ფრანგ. Les Deux sources de la morale et de la religion. P., 1932).

⁴⁰ ერის გეორგ ანტონ ფონ ფალკენჰაინი (გერმ. Erich Georg Anton von Falkenhayn) (1861-1922წ.წ.) – I მსოფლიო ომის პერიოდის ცნობილი გერმანელი ოფიცერი, პრუსიელი და გერმანელი სამხედრო მოღვაწე, ძველი პრუსიული არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1880 წელს. 1896-1903 წლებში მსახურობდა ჩინეთში. 1912 წლიდან გენერალ-მაიორია. პრუსიისა და გერმანიის სამხედრო მინისტრი 1913-1914 წლებში, გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი 1914 წლის სექტემბრიდან 1916 წლის 29 აგვისტომდე, სადაც მან ამ თანამდებობაზე გენერალ-პოლკოვნიკი ჰელმუტ ფონ მოლტკე უმცროსი შეცვალა. გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან ვერდენის ოპერაციის ჩავარდნის, სიმაზე მოკავშირეთა შეტევითი მოქმედებების დაწყებისა და აღმოსავლეთის ფრონტზე ბრუსილოვის გარღვევის გამო. სამხედრო თემატიკაზე დაწერილი რამდენიმე წიგნისა და ნაშრომის ავტორი.



ალექსანდერ ფონ კლუკი
(1846-1934)



ერიხ ფონ ფალკენჰაინი
(1861-1922)



რიჩარდ ჰენრი
(1869-1917)



რაიმონ პუანკარე
(1860-1934)



ჟოზეფ ჟოფრე
(1852-1931)



ჰორაციო კინგერი
(1850-1916)



ჟოზეფ გალიენი
(1852-1931)



ჯონ ფრენჩი
(1852-1925)



ფრანგი ქვეითები ფრონტისკენ მიემართებიან



ფრანგები მარნასთან



მარნა. ფრანგი ჯარისკაცები სანგრებს თხრიან



ბრიტანელი არტილერისტები მარნასთან



გერმანელები მარნასთან



გერმანელი ულანები



გერმანული ჰაუბიცების ბატარეა





ბრიტანელთა მიდლსექსის პოლკი შრაპნელის ცეცხლის ქვეშ მარნასთან

42359




ფრანგების თავდაცვის ხაზი მარნასთან



ფრანგების 75მმ-იანი არტილერია მარნასთან



ბრიტანელ არტილერიისტთა კოლონა მარნასთან



ფრანგების ავიაცია



ბრიტანელთა კავალერია




ბრიტანელთა კამერონის (შოტლანდიელთა) მე-19 ბრიგადის ჯარისკაცები მარნასთან




გერმანელი ქვეითები შეტევასში



გერმანელი ჰუსარები მდინარე მარნას ფორსირებისას





ფრანგების საღაზვერვო თვითმფრინავი „მორის ფარმანი“ (Maurice Farman)



ფრანგი და ბრიტანელი ჯარისკაცები მარნასთან




42358




ფრანგი ქვეითები შეტევაში




ბრიტანელი ულანები






პოზიციები მარნასთან, 1914 წლის 30 აგვისტო – 5 სექტემბერი. გერმანული არმიების წინსვლა და მოკავშირეთა უკანდახევა



1914 წლის 9 სექტემბრისათვის არსებული ოპერატიული ვითარება



მდგომარეობა 1914 წლის ოქტომბრისათვის, დასავლეთის ფრონტზე გერმანელთა შვიდივე არმიის უკანდახევის შემდეგ

§1.3. სიკვდილი ტანმზრუნველობა

(აღმოსავლეთ პრუსია, 1914 წლის 17-31 აგვისტო)

გენერალ-ფელდმარშალ ალფრედ ფონ შლიფენის მიერ შემუშავებული საომარი გეგმის მიხედვით, გერმანიის შვიდ არმიას დასავლეთში სწრაფად უნდა მიეღწია წარმატებისათვის იმ დროის განმავლობაში, სანამ აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა მხოლოდ ერთი, მე-8 არმია იცავდა თავს რუსებისგან თავისი ოთხი კორპუსით, გენერალ-პოლკოვნიკ მაქსიმილიან ფონ პრიტიციის⁴¹ სარდლობით. მე-8 არმიის წინაშე დასმული ამოცანა მართლაც ძალიან მძიმე იყო. მის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრას არმია იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუ მისი შენაერთები ზემო სილენიასა და აღმოსავლეთ პრუსიას შორის ასობით კილომეტრის სიგრძის საზღვართან მოეწყობოდა, იქ განალაგებდა თავის პატარ-პატარა საბრძოლო ჯგუფებს და ასე შეაკავებდა მოწინააღმდეგეს. ამიტომ გერმანელთა ყველა ბრძოლისუნარიანმა შენაერთმა ჩრდილოეთში მოიყარა თავი.

გერმანელი ხალხისა და მისი არმიის პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება ძალიან მაღალია. მიუხედავად რუსების აღმატებული სამხედრო ძალისა, აღმოსავლეთ პრუსია არ დაუშვებს, რომ უბრძოლველად ჩაბარდეს მოწინააღმდეგეს. სურათი კი ასეთია: გენერალ პრიტიციის მე-8 არმია დგას რიცხობრივად აღმატებული მოწინააღმდეგის ორი, 1-ლი და მე-2 არმიების პირისპირ – ცამეტი გერმანული დივიზია⁴² ოცდაერთი რუსულის წინააღმდეგ და ერთადერთი საკავალერიო დივიზია მოწინააღმდეგე მხარის ათის წინააღმდეგ. ყველაფერთან ერთად, გერმანელთა მე-8 არმიის ნახევარი შედგება ლენდვერის⁴³ ახლადდაკომპლექტებული და სათადარიგო სამხედრო ნაწილებისგან. მაგრამ მისი არტილერია უკეთესად არის აღჭურვილი და მის განკარგულებაშია მწყობრი სარკინიგზო სისტემა, რომლის გამოყენებაც რუსებს არ შეუძლიათ ღიანდაგის განსხვავებული სიგანის გამო.⁴⁴ გერმანულ ტერიტორიებზე შემოჭრისას ისინი ვერ შეძლებენ საკუთარი მოძრავი შემადგენლობის ამ რკინიგზით გატარებას.

⁴¹ მაქსიმილიან ვილჰელმ გუსტავ ფონ პრიტიცი (გერმ. Maximilian Wilhelm Gustav von Pritwitz und Gaffron) (1848-1917წ.წ.) – პრუსიელი და გერმანელი სამხედრო ოფიცერი, გენერალ-პოლკოვნიკი. 1866 წლის ავსტრია-პრუსიის, 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. სამხედრო სამსახური დაიწყო 1866 წელს მე-3 გვარდიულ გრენადერთა პოლკში. 1867 წლიდან ლეიტენანტია. 1876 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას. 1877-1887 და 1888-1890 წლებში მსახურობდა გენერალურ შტაბში. 1890 წლიდან 43-ე ქვეითი პოლკის ბატალიონის მეთაურია, 1892 წლიდან – IX საარმიო კორპუსის შტაბის უფროსია, 1896 წლიდან – გრენადერთა მე-6 პოლკის მეთაური, ხოლო 1897 წლიდან – მე-20 ქვეითი ბრიგადის მეთაური. 1901 წელს ინიშნება მე-8 დივიზიის მეთაურად, ხოლო 1906 წელს – XVI საარმიო კორპუსის სარდლად. 1913 წელს ინიშნება კენიგსბერგის 1-ლი არმიის გენერალურ ინსპექტორად და ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. I მსოფლიო ომის დაწყებისას, 1914 წლის 2 აგვისტოს ინიშნება გერმანიის მე-8 არმიის სარდლად, რომლის ამოცანასაც შეადგენდა აღმოსავლეთ პრუსიის დაცვა რუსებისგან.

⁴² დივიზია (ლათ. Divisio) – სხვადასხვა ქვეყნების სხვადასხვა სახეობის ან გვარეობის ჯარებში ძირითადი ტაქტიკური ან ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების საჯარისო ფორმირება, რომელიც შედგება მმართველობითი ორგანოს, შტაბისა და სხვადასხვა ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან. საბრძოლო ამოცანიდან გამომდინარე დივიზიას შეუძლია აწარმოოს ბრძოლა კორპუსის, არმიის, ფრონტის შემადგენლობაში, ან დამოუკიდებლად. სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა დროის ქვეითი დივიზიების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურა ძალიან განსხვავებულია და იგი შედგება დივიზიის მმართველობის, რამდენიმე პოლკის ან ბრიგადის, ცალკეული ბატალიონების, დივიზიონების, ასეულებისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფებისგან. სხვადასხვა გვარეობის ჯარების დივიზიების პირადი შემადგენლობის რაოდენობა 4 ათასიდან 24 ათასამდე მერყეობს. საორგანიზაციო-სამშტაბო განრიგით, დივიზიას, როგორც წესი, მეთაურობს გენერალ-მაიორის/დივიზიის გენერლის (ორგარსკვლავიანი გენერლის) სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

⁴³ ლენდვერი (გერმ. Land – მიწა, Wehr – დაცვა) – XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში არსებული პრუსიის, გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და შვეიცარიის სამხედროვალდებულთა მე-2 კატეგორია, რომელიც წარმოადგენდა ტერიტორიულ პრინციპზე აგებულ თადარიგის სამხედრო სამსახურს.

⁴⁴ აქ საუბარია რკინიგზის რელსების შიდა წახნაგებს შორის არსებულ განსხვავებულ დამორეგებზე, ანუ, გერმანიისა და რუსეთის რკინიგზების განსხვავებულ სტანდარტებზე. XIX საუკუნის შუა წლებიდან რუსეთის იმპერიის, მოგვიანებით კი, საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რკინიგზებზე რელსებს შორის დამორეგებ მიღებულ იქნა 1524მმ (5 ინგლისური ფუტი). ევროპულ, და მათ შორის გერმანულ რკინიგზებზე რელსებს შორის მანძილის სტანდარტი კი, უფრო მცირეა და იგი 1435მმ-ს (ინგლისური 4 ფუტი და 8,5 დუიმი) შეადგენს. რუსული რკინიგზის ეს სტანდარტი ორი ძირითადი მიზეზით იყო გამოწვეული:

პოზიციების სიმყარეში გერმანელებს ტერიტორიაც უწყობს ხელს, რელიეფიც და იქ არსებული ლანდშაფტიც. მაზურის ფართო ნატბურე ვაკე ნებისმიერ თავდამსხმელს აიძულებს დაქსაქსოს თავისი ძალები, რადგან აქ დიდი სამარშო კოლონებით გადაადგილება შეუძლებელია.

რუსებიც ასე იქცევიან. 1-ლი რუსული არმია, არისტოკრატი, პატივმოყვარე და აგრესიული, მაგრამ ძალიან კომპეტენტური და ჯარისთვის საყვარელი, გერმანული გვარის მქონე გენერლის, პაულ ფონ რენენკამფის მეთაურობით,⁴⁵ გადაადგილება ნემანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე კენიგსბერგისკენ იმ დროს, როცა მე-2 რუსული არმია, სამსახურიდან გადამდგარი და თავისი სიფრთხილით და წინდახედულობით ცნობილი გენერლის, ალექსანდრ სამსონოვის სარდლობით,⁴⁶ რომელიც ცოტა ხნის წინ დააბრუნეს სამსახურში, პოლონეთის მდინარე ნარევათან იკრიბება. მისი მიზანია გერმანელებს ტბის სამხრეთიდან შეუტიოს. ცოტა ხანში, როცა ორივე რუსული არმია უკან მოიჭოვებს ტბას და ჭაობებს და აღმოსავლეთ პრუსიაში შეერთდება, გერმანელთა მდგომარეობა უღრესად დამძიმდება. აღმოსავლეთ პრუსიაში გაშლილი გერმანელთა მე-8 არმია ფაქტიურად ალყაში მოექცევა და მისი უკანდახევაც შეუძლებელი გახდება, რადგან მანევრირების საშუალებას მდინარე ვისლა ზღუდავს. ასეთ შემთხვევაში გერმანელთათვის ხსნის ერთადერთი გზა ბერლინისაკენ უკანდახევა იქნება.

რუსეთის მეფე, ნიკოლოზ II უზარმაზარ თანხას, ორმოცდაათი ათას რუბლს ჰპირდება იმ ჯარისკაცს, ვინც პირველი შევა გერმანიის დედაქალაქში. ერთი შეხედვით გერმანელთა მე-8 არმია უიმედო მდგომარეობაში იმყოფება და მისი ბედიც მალე უნდა გადაწყდეს. ამიტომ მას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა შეუტიოს ერთდროულად ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსულ მოწინააღმდეგეს შეძლებისდაგვარად სწრაფად და ცალ-ცალკე, სანამ ისინი შეერთდებიან. როგორც შლიფენი ამბობდა 1898 წელს, სუსტმა სარგებელი უნდა ნახოს შეტევისგან, რისი მაგალითებიც ხშირია სამხედრო ისტორიაში.

14 აგვისტოს გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ფონ მოლტკე დირექტივას გასცემს მე-8 არმიას: „პრუსია უნდა დავიცვათ ნებისმიერ ფასად. რუსების მოახლოების შემთხვევაში, არავითარი თავდაცვა. არამედ შეტევა, შეტევა და მხოლოდ შეტევა!“

საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ როდის მოვლენ რუსები. მათ ჯერ კიდევ 1914 წლის 1-ლ აგვისტოს გამოაცხადეს მობილიზაცია, მაგრამ გერმანიის გენშტაბი და მთავრობა დარწმუნებულია, რომ რუსები მალე ვერ შეძლებენ ძალების თავმოყრასა და ჯარების სტრატეგიულ გაშლას. სახელმწიფო აპარატის მოუქნელობის, ბიუროკრატიული ბარიერებისა და ორგანიზაციული სირთულეების გამო ისინი არ არიან ისეთ მდგომარეობაში, რომ სწრაფად შეიყვანონ ბრძოლაში ქვედანაყოფები. რუსები არ არიან სათანადოდ მომზადებულები, ხოლო უზარმაზარ იმპერიაში ჯარების სტრატეგიულ თავმოყრასა და

1. რუსეთის იმპერიის რკინიგზის მშენებლობის მთავარ კონსულტანტებს ამერიკელ ინჟინერთა ჯგუფი წარმოადგენდა. ეს სტანდარტი კი, იმ დროისათვის ამერიკის სამხრეთულ შტატებში მეტად პოპულარული იყო;
2. გათვალისწინებულ იქნა ამ საკითხის სამხედრო ასპექტი. ევროპულისგან განსხვავებული ლიანდაგის სიგანე ხელს შეუშლიდა ჰაბოთეზურ ევროპულ მოწინააღმდეგეს რუსეთში შეჭრის შემთხვევაში ჯარების სწრაფი გადაყვანისა და მათი მომარაგების საქმეში.

⁴⁵ პაველ კარლოვიჩ ფონ რენენკამფი (რუს. Павел Карлович фон Ренненкампф, გერმ. Paul Karl von Rennenkampf) (1854-1918წ.წ.) – გერმანული წარმომავლობის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი. რუსული არმიის ჩინური ლაშქრობის, რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. I მსოფლიო ომის დაწყებისას რუსეთის დასავლეთის ფრონტზე გაშლილი 1-ლი არმიის სარდალი. კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი. დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ 1918 წელს.

⁴⁶ ალექსანდრ ვასილევჩი სამსონოვი (რუს. Александр Васильевич Самсонов) (1859-1914წ.წ.) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე, კავალერიის გენერალი 1910 წლიდან. I მსოფლიო ომის დაწყებისას სარდლობდა რუსეთის დასავლეთის ფრონტზე გაშლილ მე-2 არმიას. ტანენბერგის ოპერაციაში წარუმატებელი სარდლობისა და გერმანელების მე-8 არმიის მიერ მისი არმიის სრული განადგურების გამო, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე 1914 წლის 30 აგვისტოს.

მოწყობას დიდი დრო სჭირდება.⁴⁷ ბერლინში არავინ ითვალისწინებს იმას, რომ საფრანგეთის ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, რუსები ვალდებული არიან სწრაფად წაიწიონ წინ და ამით ფრანგების მდგომარეობა შეამსუბუქონ. გერმანიის გენშტაბში არავინ იცის იმ ფაქტის შესახებ, რომ რუსებს ხელშეკრულება აქვთ დადებული თავის დასავლეთელ მოკავშირესთან გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების რაც შეიძლება სწრაფად დაწყების შესახებ.⁴⁸ და უკვე 14 აგვისტოსათვის, მობილიზაციის გამოცხადებიდან ორ კვირაში, რუსები მზად არიან დასავლეთის მიმართულებით შეტევითი მოქმედებების დასაწყებად. რეალური პროცესებიც ასე ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ მომარაგებისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფების მოუმზადებლობის გამო, 19 აგვისტომდე ჯარის საბრძოლო ნაწილებამდე მათი მისვლა ვერ ხერხდება.

როდესაც რენენკამფის 1-ლი არმია, სამასი ათასი ჯარისკაცით, ფაქტობრივად, 17 აგვისტოს, რომინტერის ტყის ორივე მხარეს ორმოცდაათი კილომეტრის სიგრძის ფრონტზე საზღვარს გადაკვეთს, გერმანული ჯარების უმაღლესი ხელმძღვანელობა განცვიფრებას ვერ მალავს. დაუსრულებელ კოლონად გადაადგილდებიან კოლოებისგან შეწყუბებული რუსი ჯარისკაცები მტვრით დაფარულ ქუჩებში, ბორცვებიან მინდვრებზე, ყანებსა და არყის ჭალებში, გლეხების კარ-მიდამოებისა და მამულების, ჭაობებისა და ტბების, ასევე უზარმაზარი ტყეებისა და პატარა სოფლებისა და ქალაქების გავლით. ფეხებზე ძონძები აქვთ შემოხვეული, რადგან ჯარების კვარტერმეისტერებმა დრო ვერ გამოიხატეს მათთვის ფეხსაცმელების დასარიგებლად. და მაინც – რენენკამფის არმია სწრაფად გადაადგილდება. მათ არა აქვთ საკმარისი იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა. განსაკუთრებით, არ ჰყოფნით სურსათი. ქვედანაყოფებში არ არის კარგი განწყობა, მაგრამ დანიშნულების ადგილს მაინც აღწევენ – სამსონოვის მე-2 არმიაზე ექვსი დღით ადრე. მათი მიზანია შეაყოვნონ გერმანელები იმდენ ხანს, ვიდრე სამხრეთში მყოფი სამსონოვი ტბის დაბრკოლებებს გადალახავს, რათა გერმანელებს გადაძვრები დარტყმა მიაყენოს ზურგსა და ფლანგზე.

შეძახილებმა – „კაზაკები მოდიან, კაზაკები მოდიან!“ მთელი აღმოსავლეთ პრუსია მოიცვა. გერმანული გაზეთები იუწყებიან „რუსების მიერ ჩადენილი საზიზღრობების“ შესახებ, ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ცალკეული ჯარისკაცების მხრიდან მოწყობილი ექსცესები აღინიშნება. კავალერიის რუსმა ოფიცერმა ჰაინრიხსვალდემი საჯაროდ გაამათრახა ოცდათერთმეტი მცხოვრები, მათ შორის ქალები.

არც გერმანელთა მე-8 არმიის სარდალი იმყოფება კარგ მდგომარეობაში. ახლა უკვე 66 წლის გენერალ-პოლკოვნიკ ფონ პრიტვიცს, თავისი სიმსუქნით ცნობილ გერმანელ „ფალშტაფს“ (ლორმუცელას), მსუქან, თავშეუკავებელ და უმოძრაო კაცს, არ გააჩნია არც პიროვნული ნიჭი და არც სამხედრო გამოცდილება რაიმე ღირებული დაუპირისპიროს

⁴⁷ შლიფენის ორმაგი გარშემორტყმის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ დაშვებას რუსეთთან მიმართებაში სწორედ ეს პუნქტი წარმოადგენდა – რუსეთი დროის მოკლე შუალედში ვერ შეძლებდა სათანადო რეზერვების მობილიზაციასა და ჯარების სტრატეგიულ საბრძოლო გაშლას გერმანიის წინააღმდეგ.

⁴⁸ I მსოფლიო ომთან დაკავშირებით რუსეთს საომარი მოქმედებების ორი სრულიად განსხვავებული გეგმა ჰქონდა – „გეგმა G“ და „გეგმა 19“. „გეგმა G“ ითვალისწინებდა გერმანიის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების სრულმასშტაბიან გაშლას. ეს გეგმა უშვებდა ტერიტორიების დათმობას და დიდ საბრძოლო დანაკარგებსაც იმ მომენტამდე, სანამ რუსეთი მოახდენდა შესაბამისი ძალების მობილიზაციას. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთი მზად იყო ომის საწყის ეტაპზე უკან დაეხია, ეფექტური მობილიზაციის შემდეგ კი, მძლავრად შეეტია გერმანული შენაერთებისათვის და უკუეგლო ისინი საზღვრებისაკენ. ნაპოლეონმა ხომ ვერ დაიპყრო რუსეთის უკიდვანო სივრცეები და დამარცხდა 1812 წლის კამპანიაში? რუსეთის გენშტაბის გათვლით, ამჯერადაც ასეთივე შედეგებით უნდა დასრულებულიყო გერმანული აგრესიაც. „გეგმა 19“ კი, მიღებული იყო რუსეთზე მოკავშირე საფრანგეთის ზეწოლის შემდეგ. იგი შეიმუშავა გენერალმა დანილოვმა 1912 წელს და პრინციპულად განსხვავდებოდა „გეგმა G“-გან. „გეგმა 19“ თავისი არსით სტრატეგიული შეტევითი მოქმედებების გეგმა იყო. ამ გეგმის მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ გერმანია პირველ რიგში შეუტევდა საფრანგეთს და არა რუსეთს. მიუხედავად ამისა, ფრანგული მხარის მოთხოვნით, საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, რუსეთის ორ არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო შეტევითი მოქმედებები დასავლეთის მიმართულებაზე. ისინი უნდა შეჭრილიყვნენ აღმოსავლეთ პრუსიასა და სილეზიაში, დაეპყროთ ეს ტერიტორიები და გაეგრძელებინათ სვლა ცენტრალური გერმანიისაკენ. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურეს „გეგმა 19“-ის მართებულობა.

რუსების წინსვლას. პრიტვიცი მოტივირებულიც არაა. მან მთელი თავისი სამხედრო კარიერა სამეფო კარის ფავორიტობით შეიქმნა, რაც იმით აიხსნება, რომ მაგიდასთან ართობდა იმპერატორს მხიარული ისტორიებისა და ორაზროვანი ჭკორების მოყოლით. მოლტკე მას ყოველთვის უნიჭო და უუნარო გენერალად მიიჩნევდა, მაგრამ ყველა მისი მცდელობა, რომ როგორმე ჩამოეშორებინა იგი ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობიდან, უშედეგოდ მთავრდებოდა.

პრიტვიცი მიუთითებს შენაერთების მეთაურებს, რომ გამოვიდნენ რუსებთან შესახვედრად, მაგრამ ამავე დროს ისე აწარმოონ ბრძოლები, რომ საკუთარი ქვედანაყოფები რაც შეიძლება ნაკლებად ჩააგდონ საფრთხეში. აუცილებლობის შემთხვევაში იგი იმაზეც თანახმაა, რომ მე-8 არმიამ დათმოს პოზიციები, უკან დაიხიოს მდინარე ვისლასკენ და აღმოსავლეთ პრუსია მოწინააღმდეგეს დაუტოვოს.

პრიტვიცი თავისი კორპუსების სარდლებს შესაბამის ბრძანებებს აძლევს. აღმოსავლეთ საზღვარზე განლაგებული 1-ლი მეწინავე კორპუსის სარდალი, გენერალი ჰერმან ფონ ფრანსუა,⁴⁹ ჰუგენოტური წარმომავლობის ორმოცდათვრამეტი წლის ოფიცერი, მოელვარე თვალებითა და ჯიუტი ხასიათით, ამ ბრძანებას არ ითვალისწინებს. იგი ყველა-ნაირი გზებით ცდილობს არ დაუშვას ერთი სლავის გადმოსვლაც კი პრუსიის მიწაზე. მისი შენაერთი გადაადგილებას იწყებს გუმბინენისკენ, რუსეთის საზღვრამდე რვა კილომეტრზე და დაუყოვნებლივ უტევს მოწინააღმდეგეს შტალუპონენტან. ეს შეტაკება მეტად წარმატებულია, მას სამი ათასი რუსი ტყვეც აჰყავს, მაგრამ იძულებულია ბრძოლა შეწყვიტოს, რადგან მე-8 არმიის შტაბი კატეგორიულად მოითხოვს, რომ მან დაუყოვნებლივ დაიხიოს უკან, გუმბინენისკენ.

20 აგვისტოსათვის პირველი დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლა იმართება, რომელშიც სამი გერმანული კორპუსი ორ რუსულს უპირისპირდება. გენერალ მაკენზენის⁵⁰ მიერ დაწყებულ ფრონტალურ შეტევას შედეგი არ მოაქვს და გერმანელებისათვის დიდი დანაკარგებით სრულდება, რაც რუსი მსროლელების კარგად შენიღბული ტყვიამფრქვევის ცეცხლითაა გამოწვეული.

როდესაც არმიის შტაბში ამ დამარცხების შესახებ მოდის შეტყობინება, და დამატებით ისიც ცნობილი ხდება, რომ გენერალ სამსონოვს განზრახული აქვს მე-2 რუსული არმიით სამხრეთით საზღვრის გადალახვა და გერმანული არმიის გარშემოვლა, გენერალი ფონ პრიტვიცი მოთმინებას კარგავს. იგი დასავლეთ პრუსიისკენ მთელი თავისი არმიის უკანდახვევის ბრძანებას გასცემს. მის არმიას რუსული მარწუხის მეორე ფრთაც უახლოვდება გენერალ რენენკამფის სარდლობით და პრიტვიცი ლაშქრობას წაგებულად მიიჩნევს. საკუთარი არმიის გადარჩენის მიზნით იგი უბრძანებს შტაბის ოპერატიული

⁴⁹ ჰერმან ფონ ფრანსუა (გერმ. Hermann Karl Bruno von François) (1856-1933წ.წ.) – პრუსიელი და გერმანელი სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი შენაერთის სარდალი. განსაკუთრებით ცნობილი გახდა 1914 წლის საომარი კამპანიის დროს მისი აქტიური და გაბედული სამხედრო მოქმედებებით აღმოსავლეთ ევროპის საომარი მოქმედებების თეატრზე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1875 წელს. შემდეგ დაამთავრა პრუსიის სამხედრო აკადემია ბერლინში. 1899 წლიდან საარმიო კორპუსის შტაბის უფროსია, 1905-1908 წლებში გვარდიული პოლკის მეთაური, ხოლო 1911 წლიდან – გენერალ-ლეიტენანტი და მე-13 დივიზიის მეთაური. I მსოფლიო ომის წინ, 1913 წელს, ინიშნება კენიგსბერგში გაშლილი მე-8 არმიის მთავარი შენაერთის, 1-ლი საარმიო კორპუსის სარდალად.

⁵⁰ ავგუსტ ფონ მაკენზენი (გერმ. August von Mackensen) (1849-1945წ.წ.) – პრუსიელი და გერმანელი სამხედრო მოღვაწე, 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე და ერთ-ერთი სარდალი, გენერალ-ფელდმარშალი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1869 წელს. მსახურობდა ჰუსართა პოლკში. მონაწილეობდა საფრანგეთ-პრუსიის ომში. ბრძოლებში გამოჩენილი წარმატებისა და მამაცობისთვის მიენიჭა ლეიტენანტის წოდება და დაჯილდოვდა მეორე ხარისხის რკინის ჯვრით. 1871 წლიდან სწავლობდა ჰალეს უნივერსიტეტში. მისი დასრულების შემდეგ ისევ აქტიურ სამხედრო სამსახურშია. 1880 წლიდან მსახურობს გენშტაბში, 1884 წლიდან კავალერიის ოფიცერია. 1887 წლიდან დრავუნთა პოლკის ესკადრონის მეთაურია, ხოლო 1888 წლიდან – მე-4 დივიზიის შტაბის უფროსი. 1891-1893 წლებში გერმანიის გენშტაბის უფროსის, გენერალ-ფელდმარშალ ალფრედ ფონ შლიფენის ადიუტანტია. 1894 წლიდან ინიშნება ჰუსართა პოლკის მეთაურად. 1898 წლიდან კაიზერ ვილჰელმის ადიუტანტია, 1900 წლიდან ლიბ-ჰუსართა 1-ლი ბრიგადის მეთაური, ხოლო 1908 წლიდან – აღმოსავლეთ პრუსიაში გაშლილი მე-8 არმიის XVII საარმიო კორპუსის სარდალი.

განყოფილების უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ მაქს ჰოფმანს,⁵¹ გაატაროს უსაფრთხოების ზომები ვისლასკენ უკანდასახევად.

მელოტი, მაღალი ჰოფმანი, რომელიც წარმოშობით ჰესენიდანაა და ძალიან აფასებს ცხიმიან ძეხვეულს, პრიტივისცისაგან კარდინალურად განსხვავებული პიროვნებაა. იგი სხვანაირად ჭვრეტს შექმნილ ვითარებას და თვლის რომ ახლა მე-8 არმიის უკანდახევა არაფრით არ შეიძლება. იგი ცდილობს ამაში პრიტივიციც დაარწმუნოს და შეაცვლევინოს მიღებული გადაწყვეტილება. როცა ვერაფრით ვერ მოახერხებს მის გადარწმუნებას, იგი აკეთებს რაღაც სრულიად გაუგონარსა და აღმაშფოთებელს, სრულიად არასამხედროს და სრულიად არაპრუსიულს: იგი თავისი უფროსისგან ფარულად უკავშირდება მოლტკეს შტაბს კობლენცში და აცნობს საქმის ვითარებას. ეს სრულიად გაუგონარი და სრულიად წარმოუდგენელი ამბავია. ასეთი რამ გერმანიის სამხედრო ისტორიას ჯერ არ ახსოვს.

მოლტკე შეძრწუნებული და აღშფოთებულია ამ ამბით. მან კარგად იცის, რომ აღმოსავლეთ პრუსიის დატოვება თავზარდამცემი მორალური მარცხის ტოლფასია, რადგან გერმანია დაკარგავს მნიშვნელოვან, მარცვლეულითა და რძის პროდუქტებით მომარაგების რაიონს. და რაც მთავარია, მე-8 არმიის მიერ აღმოსავლეთ პრუსიის დატოვების შემთხვევაში არა მხოლოდ ბერლინს, არამედ ავსტრიის ფლანგსაც დაემუქრება სერიოზული საფრთხე. მოლტკე გაოგნებულია და საშინლად ნანობს, რომ თავის დროზე სათანადოდ ვერ მიხედა პრიტივის და უკან დახევის ასეთი შესაძლებლობა მისცა მას. იგი დაუყოვნებლივ ათავისუფლებს პრიტივის დაკავებული თანამდებობიდან. ასევე ათავისუფლებს არმიის შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ გეორგ ფონ ვალდერზეესაც.⁵²

მაგრამ ვინ გახდება მისი შემცვლელი? ახლა, როდესაც გერმანელთა აღმოსავლეთის ფრონტს განადგურება ემუქრება, საჭიროა გაბედული, ძლიერი ადამიანი, დიდი გამოცდილებითა და რკინის ნერვებით. არჩევანს აკეთებენ პატივმოყვარე და გავლენიან გენერალ ერის ლუდენდორფზე, „ლიეჟის გმირს“ და უპირობო მილიტარისტზე. მას მე-8 არმიის შტაბის უფროსად ნიშნავენ – ეს არის ის თანამდებობა, რომელიც გერმანული სამეთაურო სისტემითაა გათვალისწინებული.⁵³ ეს სისტემა გულისხმობს ორ მეთაურს

⁵¹ მაქს ჰოფმანი (გერმ. Carl Adolf Maximilian Hoffmann) (1869-1927წ.წ.) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე და სტრატეგოსი, გენერალი და დიპლომატი, I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი აღმოსავლეთის ფრონტის ტანენბერგის ოპერაციაში. 1887 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1895-1898 წლებში სწავლობდა პრუსიის სამხედრო აკადემიაში, რომლის დასრულების შემდეგ იყო გერმანიის სამხედრო ატაშე რუსეთში. 1899-1901 წლებში მსახურობდა გერმანიის გენშტაბის სტრატეგიული დეპარტამენტის რუსეთის განყოფილებაში, სადაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც რუსეთის სამხედრო საქმეთა სპეციალისტი. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იყო სამხედრო დამკვირვებელი მანჯურიაში. 1907 წლიდან მაიორია, ხოლო 1914 წლიდან – ვიცე-პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომის დაწყებისას ინიშნება აღმოსავლეთის ფრონტზე გაშლილი გერმანიის მე-8 არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსად. 1914 წლის ბოლოდან პოლკოვნიკია, ხოლო 1916 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1918 წელს ბოლშევიკური რუსეთისა და „ოთხთა კავშირის“ დელეგაციებს შორის მიმდინარე ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციაზე წარმოადგენდა „ოთხთა კავშირის“ ქვეყნებისა და გერმანიის დელეგაციის საერთო ხელმძღვანელს. ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკიდან სწორედ მან მოაწერა ხელი 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ისტორიულ ხელშეკრულებას.

⁵² გეორგ ფონ ვალდერზეე (გერმ. Georg Friedrich Wilhelm Graf von Waldersee) (1860-1932წ.წ.) – პრუსიელი და გერმანელი სამხედრო ოფიცერი, I მსოფლიო ომის მონაწილე, კავალერიის გენერალი. ცნობილი პრუსიელი სამხედრო მოღვაწის, 1888-1891 წლებში გერმანიის გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-ფელდმარშალ ალფრედ ფონ ვალდერზეეს ძმისშვილი. 1901-1907 წლებში იყო მიუნსტერში დისლოცირებული გენერალ მორის ფონ ბისინგის VII საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, შემდეგ კი, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი კვარტერმეისტერი. I მსოფლიო ომის დაწყების წინ დაინიშნა გერმანელთა მე-8 არმიის შტაბის უფროსად. შემდგომში იყო სევასტოპოლის გენერალ-გუბერნატორი.

⁵³ გენერალ ლუდენდორფის მე-8 არმიის შტაბის უფროსის თანამდებობაზე დანიშნის უშუალო ინიციატორი გერმანიის გენშტაბის უფროსი, ჰელმუტ ფონ მოლტკე იყო. შემონახულია მოლტკეს პირადი წერილი ლუდენდორფისადმი, სადაც კვითხულობთ:

„თქვენ ახალი რთული ამოცანის გადაჭრა გეკისრებათ, ალბათ უფრო რთული, ვიდრე ეს ლიეჟის შტურმი იყო. მე არ ვიცნობ მეორე ისეთ ადამიანს, რომელსაც უფრო მეტად ვენდობი, ვიდრე თქვენ. ერთადერთი, ვისაც კი ჯერ კიდევ შეუძლია აღმოსავლეთში მდგომარეობის გადარჩენა, ალბათ თქვენა ხართ. ნუ მისაყვედურებთ იმის გამო, რომ ახლა ვაკეთებ თქვენ გამოწვევას, მაშინ როცა უკვე დაინიშნეთ ახალ თანამდებობაზე და ალბათ ემზადდებით იმ გადამწყვეტი ბრძოლების საწარმოებლად, რომელიც ღმერთის ნებით უეჭველად დიდი გამარჯვებით დასრულდება. თქვენ უნდა გადადგათ ეს ნაბიჯი და მხვერპლი უნდა გაიღოთ მამულისათვის, ეს უდავოა. ჩვენი კაიზერიც დიდი იმედის

შენაერთის სათავეში და იგი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავად მეთაურის თანამდებობა. მის უფროსად და არმიის სარდლად კი, 67 წლის ასაკში, უკვე პენსიაში გასული დამსახურებული გენერალ-პოლკოვნიკი, პაულ ფონ ჰინდენბურგი⁵⁴ ინიშნება. ცოტა ხნით ადრე, თხოვნაზე – ომის დაწყების შემთხვევაში კვლავ დაებრუნებიანთ სამხედრო სამსახურში, მას უარი უთხრეს.

განსაკუთრებული დანიშნულების მატარებლით ორი, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანი, რომლებმაც პირველად ნახეს ერთმანეთი, ღამით მარიენბურგისკენ მიემგზავრება. 23 აგვისტოს ნაშუადღევსათვის ისინი უკვე მე-8 არმიის შტაბში არიან. შტაბის დარჩენილი წევრები საკმაოდ ცივად ხვდებიან მათ. ჰინდენბურგი მკაცრი და სიტყვაძუნწია: „ჩვენ გვსურს ერთმანეთის მიმართ ნდობის მოპოვება, ჩვენი მოვალეობის ერთად და პირნათლად შესრულება“, – ამბობს იგი. ჰოფმანი, რომელიც პრიტვიცის ნაჩქარევი გამგზავრების შემდეგ დაუყოვნებლივ გამოსცემს არმიისათვის მოქმედებების ერთდღიანი შეწყვეტის ბრძანებას, დაუყოვნებლივ გააცნობს არმიის ახალ ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებებს. საბრძოლო მოქმედებების საკუთარი გეგმა მას უკვე მზადა აქვს. იგი ფიქრობს, რომ მე-8 არმიამ უნდა გამოიყენოს შიდა ხაზებისა და სარკინიგზო ქსელის უპირატესობა – „საჭირო არის ჯარების სასწრაფო გადაჯგუფება. რუსებს უნდა შევუტოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით და რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავამარცხოთ სამსონოვის არმია. ამისათვის ჩვენ დავგვირდება გენერალ ფრანსუას ჩრდილოეთით განლაგებული 1-ლი კორპუსი. ეს კორპუსი თავისი აღჭურვილობით რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოიგზავნოს სარკინიგზო ქსელით სამხრეთში...“⁵⁵ – ამბობს ჰოფმანი.

ლუდენდორფი და ჰინდენბურგი ყურადღებით უსმენენ მას. ორივე მათგანს ორჭოფული განწყობა ეუფლება. ერთი რამ დღესავით ნათელია – ეს ძალიან სახიფათო წამოწყებაა, მაგრამ ამავე დროს მეტად ვაჟკაცური და გაბედული. ახლა მისი წარმატება დამოკიდებული მხოლოდ იმაზე იქნებოდა, დარჩებოდა თუ არა გენერალი რენენკამფი ჩრდილოეთში, თუ თავისი არმიით იგი სამხრეთისაკენ წამოვიდოდა. ასე დაიბადა

თვალთ შემოგყურებთ. ცხადია, მომხდარზე თქვენ პასუხს არ აგებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ენერჯის წყალობით უარესს აგვაცილებთ თავიდან. ყური მიუვადეთ სამშობლოს ხმას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი ჯარისკაცისთვის. ეჭვიც არ შეპარება იმაში, რომ გაამართლებთ თქვენზე დაკისრებულ დიდ იმედებს”.

⁵⁴ პაულ ფონ ჰინდენბურგი (გერმ. Paul Ludwig Hans Anton von Beneckendorff und von Hindenburg) (1847-1934წ.წ.) – პრუსიელი ოენკერი, XIX-XX საუკუნეების დიდი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გერმანიის არმიის გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის ეროვნული გმირი. 1866 წლის ავსტრია-პრუსიის, 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. 1893 წლიდან პოლკოვნიკი, 1897 წლიდან გენერალ-მაიორი, 1900 წლიდან – გენერალ-ლეიტენანტი, კორპუსის სარდალი. 1903 წლიდან ინფანტერიის გენერალია, ხოლო 1908 წლიდან გენერალ-პოლკოვნიკი. 1911 წლიდან თადარიგშია. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ისევე კადრში იწვევენ. ომის საწყის ეტაპზე აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედი გერმანიის მე-8 არმიის წარმატებული სარდალი, 1914 წლის ნოემბრიდან ფელდმარშალი, ორი რუსული არმიის ფაქტობრივი განადგურების ტანენტერევის ოპერაციის გმირი. შემდეგ გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი. 1916 წლის აგვისტოდან საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი და შემდეგ იმპერიის შეიარაღებული ძალების ფაქტობრივი მთავარსარდალი. 1918 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში მის მიერ შემუშავებული გერმანელთა სტრატეგიული შეტევითი კამპანიის ხელმძღვანელი დასავლეთის ფრონტზე. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის დასაწყისიდან ისევე თადარიგშია. 1925-1934 წლებში გერმანიის რაიხსპრეზიდენტი, სადაც ორჯერ ზედიზედ იქნა არჩეული. 1933 წელს გერმანიის ხელისუფლებაში გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის (გნსმპ) მოსვლის შემდეგ, სწორედ რაიხსპრეზიდენტ პაულ ფონ ჰინდენბურგის თანხმობით „ეკურთხა“ გერმანიის რაიხსკანცლერად ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერი, ადოლფ ჰიტლერი.

⁵⁵ რკინიგზის ქსელის სტრატეგიულ მნიშვნელობას ომის წარმოების წესსა და ჯარების მანევრირების საქმეში, პირველად ფელდმარშალმა ჰელმუტ ფონ მოლტკემ მიაქცია ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში. ფაქტი ისაა, რომ ჯარების დიდი მასების გადაყვანაში რკინიგზა ახალ სტრატეგიულ შესაძლებლობებს იძლეოდა. რკინიგზის გამოყენებით ჯარების გადაყვანა შესაძლებელი იყო ექვსჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ეს მაგალითად, ნაპოლეონის ეპოქაში ხდებოდა. შესაბამისად, ახალ რეალობაში სამხედრო სტრატეგიის ძირითადი ფაქტორები – დრო და სივრცე – ახალ ჭრილში წარმოჩნდა. სრულიად ნათელია, რომ ქვეყანას, რომელსაც გააჩნდა სარკინიგზო კომუნიკაციების განვითარებული სისტემა იღებდა მნიშვნელოვან და ალბათ გადაამწყვეტ უპირატესობას ომის წარმოების საქმეში. აქედან გამომდინარე, მობილიზაციისა და არმიების კონცენტრაციის ტემპი გახდა სტრატეგიული გათვლების არსებითი ფაქტორი. ფაქტიურად, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის ოპერატიული ერთეულების მობილიზაციის და შეკრების გრაფიკი, პირველი მარშირების ბრძანებასთან ერთად, მომავალი სტრატეგიული გეგმების საფუძველი გახდა. და აქ მთავარ ფაქტორს უკვე რკინიგზა წარმოადგენდა.

ტანენბერგის ოპერაციის ძირითადი იდეა.⁵⁶ იმისათვის, რომ გერმანელებმა შეუტიონ და სწრაფად დაამარცხონ სამსონოვის არმია, საჭიროა მთელი მე-8 არმიის ძალების გამოყენება, რაც ლუდენდორფმა კარგად უწყის. იგი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს წინ ვიდრე ჰოფმანი, და ფიქრობს, რომ ოპერაციის წარმატებულად აღსრულებისათვის საჭიროა ფრანსუასა და მაკენზენის ორივე კორპუსის სამხრეთში გადმოყვანა და რენენკამფის ფრონტზე მხოლოდ სუსტი „საკავალერიო ფარდის“ დატოვება კავალერიის ერთადერთი დივიზიის სახით. ჰინდენბურგი ყოყმანობს. მას ძალიან იზიდავს რისკი, მაგრამ ეს გეგმა გაუგონრად გაბედული და ზედმეტად სარისკოა. რა მოხდება იმ შემთხვევაში, რენენკამფი მაინც რომ წამოვიდეს წინ და სამსონოვიც მოვიდეს მის დასახმარებლად? „ის არ წამოვა, ბატონო გენერალ-პოლკოვნიკო! – არწმუნებს ჰოფმანი, – ამის გარანტიას გაძლევთ, საკუთარ თავს ვლებ ამაზე. მათ ორივეს ჭირის დღესავით სძულთ ერთმანეთი.“

ამ შემთხვევაში სიტუაცია მართლაც ძალიან პროზაულია. ჰოფმანი ახსენებს გენერლებს 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში მათ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის შესახებ, როცა ორივე მათგანი თანაბარი წოდების მქონე გენერლები და დივიზიის მეთაურები იყვნენ. იმ ომში რენენკამფმა მიიღო კატეგორიული ბრძანება, რომ იაპონელთა მიერ შეტევის დაწყების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მისულიყო სამსონოვთან დასახმარებლად. მაგრამ მაშინ რენენკამფი უმოქმედოდ აღევნებდა თვალს ბრძოლას, რის გამოც სამსონოვის დივიზიამ დიდი დანაკარგები განიცადა. ცოტა ხნის შემდეგ კი, როდესაც ორივე გენერალი ერთმანეთს მუკდენის რკინიგზის სადგურზე შეხვდა, განრისხებული სამსონოვი თავს დაესხა მეტოქეს და ცხვირ-პირი დაუმტვრია მას. „პრინციპში ახლაც იგივე სიტუაციაა, – აგრძელებს ჰოფმანი, – დარწმუნებული ვარ, რომ რენენკამფმა ეს შემთხვევა არ დაივიწყა. ის არც ამჯერად მოვა მის დასახმარებლად!“ ჰინდენბურგი ჩაფიქრებულია. იგი აანალიზებს შექმნილ მდგომარეობას და ბოლოს ეთანხმება ჰოფმანის მიერ შემოთავაზებულ გეგმას. „სხვა არჩევანს აღარ განვიხილავთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავანადგუროთ სამსონოვი და მისი არმია, – ამბობს იგი, – რათა გავათავისუფლოთ აღმოსავლეთ გერმანია რუსი მძარცველებისა და მკვლელებისგან!“

25 აგვისტოს ოპერაციის პირველი ფაზა იწყება. ლუდენდორფს სურს, რაც შეიძლება სწრაფად ჩაერთოს სამსონოვთან ბრძოლაში. ამიტომ იგი უბრძანებს 1-ლ სარეზერვო კორპუსს, 25 აგვისტოს დაიდრას უსდაუს მიმართულებით. მას სჯერა, რომ შეტევა სულ მალე დაიწყება და განცვიფრებას ვერ მალავს, როცა შეიტყობს, რომ 1-ლი კორპუსის სარდალი, თავდაჯერებული გენერალი ფონ ფრანსუა ჯერ კიდევ არ არის ადგილზე – მისი მძიმე არტილერია და ქვეითი ჯარის ნაწილი გუმბინენიდან ჯერ კიდევ არ ჩამოსულა. ამიტომ ლუდენდორფი უარს ამბობს არტილერიის მხარდაჭერის გარეშე და არასაკმარისი საბრძოლო მასალით გარღვევის ოპერაციის დაწყებაზე, გუმბინენთან მაკენზენის მიერ გადატანილი უბედურების გათვალისწინებით. მას არ სურს გარისკოს და ახალი მარცხი იწვნოს. ლუდენდორფი ჰინდენბურგთან და ჰოფმანთან ერთად მიდის ფრანსუასთან და მოითხოვს სასწრაფო მოქმედებების დაწყებას.

მეორე დღეს, მაკენზენის მე-17 კორპუსი და ფრანსუას 1-ლი სარეზერვო კორპუსი შეტევით მოქმედებებს იწყებენ რუსების მე-2 არმიის მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ. რუსები დიდი დანაკლისებით იხევენ უკან და გერმანელები იკავებენ უსდაუს. მიუხედავად გამაღიზიანებელი საწყისი დაყოვნებისა, ეს დღე გერმანელთა მე-8 არმიისთვის მეტად წარმატებული აღმოჩნდება. შტაბში დაბრუნებისას ჰინდენბურგსა და ლუდენდორფს ორ გადაჭერილ, დეკოდირებულ რუსულ რადიოგრამას გადასცემენ. ასეთი მოულოდნელი

⁵⁶ აქ აშკარად იგონება პრუსიული გენშტაბის სკოლის ტრადიცია და გენერალ-ფელდმარშალ ფონ მოლტკე უფროსის სამხედრო აზროვნების სტილის ზეგავლენა. თავის დროზე ფელდმარშალი ფონ მოლტკე ამბობდა: „ოპერაციის არც ერთი გეგმა არ შეიძლება იყოს ბოლომდე სარწმუნო მანამ, სანამ მტრის მთავარ ძალებთან არ მოხდება მისი დაახლოება. პრობლემა ისაა, რომ სწორად აღვიქვათ ის ურიცხვი სიტუაცია, რომლებიც გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული, შევაფასოთ ფაქტები სწორად და ამოვიცნოთ უცნობი ელემენტები. ამ მონაცემების ღრმა ანალიზის შედეგად უნდა მივიღოთ სწრაფი გადაწყვეტილება და მხოლოდ ამის შემდეგ განვახორციელოთ ოპერაცია მძლავრად და დაუნდობლად“.

ბედნიერება იშვიათად ხვდომია წილად მხედართმთავარს. პირველი რადიოგრამით სამსონოვი თავის ჯარს აძლევს განკარგულებას, გადაადგილდნენ ოსტეროდე-ალენშტაინის ხაზზე, რადგან რუსები გერმანელების მოუწესრიგებელ გადაადგილებას აღიქვამენ როგორც უკვე დამარცხებული მოწინააღმდეგის უკანდახევას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დასავლეთში მდგარ გერმანულ კორპუსზე შეტევა ჯერ არ არის მოსალოდნელი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია რენენკამფის მეორე რადიოგრამა, რომლის საშუალებითაც იოლდება მისი არმიის დანიშნულების პუნქტების ამოცნობა. ეს ნამდვილი საჩუქარია. რუსები იმყოფებიან დასავლეთში და არა სამხრეთში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გერმანელებს არ ეშუქრებათ საფრთხე ზურგიდან. ახლა მე-8 არმიის სარდლობა კარგად არის ინფორმირებული მოწინააღმდეგის თვითოეული ნაბიჯის შესახებ.⁵⁷

26 აგვისტოს დილას ლუდენდორფი სულ რამდენიმე წუთით იბნევა – საჰაერო მზვერავი მოახსენებს რენენკამფის ჯარის გერმანელებისკენ გადაადგილების თაობაზე. „მისი უძლიერესი არმია, როგორც საავტორო ღრუბელი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ისე დგას!“ – ეუბნება იგი ჰოფმანს, იმით შეწუხებული, რომ რუსებს შეუძლიათ მათი მთლიანი ფლანგის გარშემოვლა. მან ჯერ არ იცის, რომ საქმე მხოლოდ ჩრდილოეთიდან 15 კილომეტრის მანძილზე მოახლოებულ რენენკამფის ჯარის კავალერიის მზვერავთა მცირე ჯგუფს ეხება. ახლა მას უკვე ეჭვი ეპარება იმაში, იყო თუ არა მართებული ყველა ძალის გადმოსროლა სამსონოვის წინააღმდეგ და რენენკამფის სამასი ათასი ჯარისკაცის უპატრონოდ დატოვება ჩრდილოეთში. „თუ რენენკამფი შეტევაზე გადმოვა, – ამბობს იგი ალელგებულები, – მაშინ ყველაფერი დაკარგულია!“ ასეთ ვითარებაში იგი სთავაზობს ჰინდენბურგს, სასწრაფოდ უბრძანოს გარშემოვლის მანევრის შესასრულებლად გაგზავნილ 1-ლ კორპუსს, უკან დაბრუნდეს და ბრძოლა შეწყვიტოს, მაგრამ მალევე უარყოფს თავის ამ გადაწყვეტილებას. ეს კი, იმ სასიკვდილო მახის გახსნის შესაძლებლობას ზრდის, რომლისკენაც დაჟინებით და თავშეუკავებლად მიისწრაფვის გენერალი სამსონოვი თავისი მე-2 არმიის შენაერთებთან ერთად. ჰინდენბურგს იმედი აქვს, რომ მათ მიერ შემუშავებული გეგმა იშუშავებს და მიღებულ გადაწყვეტილებას ღმერთის რწმენითა და გამარჯვების სურვილით ბოლომდე ეყრდნობა.

მთავარსარდალ შილინსკის ბრძანებით,⁵⁸ სამსონოვი წინ მიიწევს ფორსირებული მარშით – მან არ იცის, რომ გერმანიის უძლიერესი არმია მზადაა მისი გარემოცვისთვის.

⁵⁷ გენერალ მაკენზენის მიერ გუმბინთან განცდილი პირველი მარცხისა და მისი ძალების უკანდახევის გამო, რუსეთის ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდლობამ შეცვალა თავისი პირველადი ამოცანა. ფრონტის სარდლობამ რენენკამფის 1-ლი არმიის ძირითადი ძალები მიმართა არა სამსონოვის მე-2 არმიასთან შესაერთებლად, სამხრეთ-დასავლეთისაკენ, არამედ კენიგსბერგისაკენ, სადაც მათი აზრით „თავს აფარებდნენ“ გერმანელთა მე-8 არმიის „ნარჩენები“, რომლებიც „სწრაფად იხედნენ უკან“, მდინარე ვისლასკენ. ასეთი მოსაზრება არ შეესაბამებოდა სიმართლეს და იგი რუსული სარდლობის მძიმე შეცდომა იყო. თავის მხრივ, გენერალმა სამსონოვმაც შეცვალა ჩრდილოეთის დარტყმის მთავარი მიმართულება და იგი ჩრდილო-დასავლეთისკენ გადაიტანა. ესეც დიდი შეცდომა იყო, რადგან მივიდეთ სურათი, სადაც ორი რუსული არმია სტრატეგიულ შეტევით ოპერაციას ორ განშლად მიმართულებაზე ატარებდა, რაც სამხედრო სტრატეგიის არც ერთი კანონით არ არის გამართლებული. ფაქტი ისაა, რომ ასეთი მოქმედებებით ორი რუსული არმიის ოპერაციის ხაზებს შორის 125კმ-იანი რღვეული გაჩნდა. გერმანელთა მე-8 არმიის ახლადდანიშნული სარდლობის გადაწყვეტილებით სწორედ ამ რღვეულის გაჩენით უნდა ესარგებლათ გერმანელებს, სწრაფი ფლანგური დარტყმები მიეყენებინათ სამსონოვის მე-2 არმისათვის, ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ იგი. თავის მხრივ რუსეთის არმიის მთავარსარდლობამაც დაუშვა მორიგი შეცდომა, როცა ჩათვალა, რომ ოპერაცია აღმოსავლეთ პრუსიაში უკვე დასრულებული იყო და დაიწყო შეტევითი მოქმედებების ახალი გეგმების დამუშავება უკვე გერმანიის სიღრმეში შესაჭრელად და პოზიციის დასაკავებლად. ამის გამო, ფრონტის სარდლობას უარი ეთქვა მე-2 არმიის გასაძლიერებლად გვარდიული კორპუსის გამოყოფაზე.

⁵⁸ აქ ავტორი ამკარად ცდება. არაერთი „მთავარსარდალი შილინსკი“ რუსული ჯარის სინამდვილეში არ არსებობდა. რაც შეეხება რუსეთის იმპერიის მთავარსარდალს I მსოფლიო ომში: ეს თანამდებობა 1914 წლის 20 ივლისიდან 1915 წლის 23 აგვისტომდე ეკავა დიდ მთავარს, გენერალ-ადიუტანტ ნიკოლაი ნიკოლაევიჩს. 1915 წლის 23 აგვისტოდან 1917 წლის 2 მარტამდე კი, თვით იმპერატორს, პოლკოვნიკ ნიკოლოზ მეორეს. ავტორთან აქ საუბარია რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსსა და ვარშავის გენერალ-გუბერნატორზე, კავალერიის გენერალ იაკობ ფილინსკიზე, რომელსაც ეს თანამდებობა 1911-1914 წლებში ეკავა. 1914 წლის 19 ივლისს იგი დაინიშნა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის არმიების სარდალად, 1914 წლის 3 სექტემბერს კი, ტანენბურგის ოპერაციაში განცდილი უმძიმესი მარცხის გამო, გაანთავისუფლეს ამ თანამდებობიდან. მისი ადგილი რუსეთის შეიარაღებული ძალების

თეთრთმიანი და ფერმკრთალი შილინსკი, რომელსაც ამის გამო ჯარში „მოსიარულე გვამს“ უწოდებენ, გარკვევით აცხადებს: „გერმანელთა ჯარები სწრაფად იხევენ უკან მეტად მძიმე, გენერალ რენენკამფისთვის გამარჯვების მომტანი ბრძოლების შემდეგ. ჩვენს წინააღმდეგ მოწინააღმდეგემ მხოლოდ სუსტი ძალები დატოვა!“ ეს დიდი შეცდომაა! თავის მხრივ ჩრდილოეთით მოქმედი რუსთა 1-ლი არმიის სარდალი რენენკამფიც ემორჩილება ბრძანებას და ნელი ტემპით გადაადგილდება დასავლეთისაკენ. რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა სრულიად გამორიცხავს სამსონოვის დამარცხებას, უფრო მეტიც – არც კი ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას. რენენკამფს კი არ აძლევს სამხრეთისკენ გადაადგილებისა და სამსონოვის დახმარების უფლებას. ამჟამად რენენკამფისა და მისი 1-ლი რუსული არმიის სამიზნე უკვე აღმოსავლეთ პრუსიის დედაქალაქი, კენიგსბერგია. მოგვიანებით, როცა „მოსიარულე გვამი“ მიხვდება თავის გამოუსწორებელ ფატალურ შეცდომას, ჭკუიდან შეიშლება.

რენენკამფსაც სჯერა, რომ „დამარცხებული გერმანელები“ დასავლეთისკენ, ვისლასკენ იხევენ უკან. თითქოს ყველაფერი ამაზე მიაღწინებეს. დევნილების დაუსრულებელი ნაკადიც იმას მოწმობს, რომ მოწინააღმდეგემ აღმოსავლეთ პრუსია დათმო. რუსეთის ორი არმია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი კავშირის გარეშე გადაადგილდება. მათ ძალიან ცოტა რამ იციან ერთმანეთის შესახებ და კიდევ უფრო ცოტა – მოწინააღმდეგის შესახებ. ამგვარად, სამსონოვი სრულიად გაოგნებულია, როცა უბედურება ჭექა-ქუხილივით ატყდება თავს და გერმანელები მთელი ძალით აგემებენ შეტევით დარტყმას. იგივე მდგომარეობაა ჩრდილოეთშიც, საიდანაც სამსონოვი ელოდებოდა რენენკამფის ჯარისაგან დახმარებას. არც რენენკამფია ინფორმირებული გერმანელთა მოქმედებების შესახებ. და სანამ იგი ჯერ კიდევ წყნარად დგას ადგილზე, გერმანელთა მე-8 არმიას მოქმედებების სრული თავისუფლება აქვს მიცემული.

გამანადგურებელი ბრძოლა 26 აგვისტოდან 31 აგვისტომდე გრძელდება. გერმანელების შეტევა თავდაპირველად კარგად ვითარდება, მაგრამ შემდეგ ისინი მძიმე საპასუხო დარტყმას იღებენ. 28 აგვისტოს ღამით გერმანელთა 41-ე დივიზია შეტევას იწყებს მულენის ტბის სამხრეთით, უდიდეს სოფელ ვაპლიცზე. ნისლის პირობებში დივიზია რუსების თავდაცვით ცეცხლში ხვდება და დიდ დანაკარგებს განიცდის. მიუხედავად ამისა, გერმანელთა რამდენიმე ერთეული ახერხებს დასახლებული პუნქტის განაპირას დაბანაკებას. ცოტა ხნის შემდეგ კი, ადგილზე მისული გერმანული არტილერია ბრძალ იწყებს სროლას, რადგან ფიქრობს, რომ იქ რუსები იმყოფებიან. გერმანელები ვაპლიცთან ორი ათას ოთხას ჯარისკაცს კარგავენ, მათი უკანდახევა კი სტიქიური გაქცევის სახეს იღებს, რომლის შეჩერებაც მხოლოდ დილით ხდება შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, გერმანელები მაინც ახერხებენ რუსთა მე-2 არმიის გარშემოვლას და რკალის ჩაკეტვას ნაიდენბურგთან. ისინი გაცეცხლები არიან იმით, რომ ყველანაირ მომარაგებას მოწყვეტილი სამსონოვი არც კი ცდილობს ალყის გარღვევას – ისინი ხომ ვერც კი შეძლებდნენ ხელი შეეშალათ რუსებისათვის ამ მანევრის შესრულებაში. მაგრამ სამსონოვმა არ იცის, რამდენად სუსტია გერმანელთა ძალები, რომელთაც იგი ალყაში ჰყავს მოქცეული.

საბოლოოდ, საალყო ბრძოლა თავის ლოგიკურ შედეგამდე მიდის. ყველაფერი დასრულებულია. 30 აგვისტოს გამთენიისათვის სამსონოვი ხვდება კატასტროფის მასშტაბებს. სასოწარკვეთილი რუსი გენერალი თავს იკლავს. ჰინდენბურგი კი, მოხსენებას უგზავნის იმპერატორს მოწინააღმდეგის არმიის სრული განადგურების შესახებ.

31 აგვისტოსათვის გერმანელები რუსების უკანასკნელ წინააღმდეგობასაც ახშობენ. რუსებისათვის ეს უდიდესი კატასტროფაა – ოთხმოცდაცამეტი ათასი რუსი ჯარისკაცი ტყვედ ბარდება, ასოცი ათასი კი, იღუპება. გერმანელების მხარეს მხოლოდ ათი ათასი მოკ-

გენერალური შტაბის და რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა, ინჟანტერიის გენერალმა, ნიკოლაი იანუშკევიჩმა დაიკავა.

ლული და დაჭრილია.⁵⁹ ეს მართლაც სასწაული იყო და გერმანელებიც თანდათანობით აცნობიერებენ თავისი ბრწყინვალე გამარჯვების მასშტაბებს. ერთ-ერთი „უდიდესი გამარჯვება, რომელიც კი ისტორიას ახსოვს“, – ჩაინიშნავს ჰოფმანი თავის დღიურში. და თავის შეფასებაში იგი მართალია.


კაიზერი ეთანხმება ჰინდენბურგის მიერ შეთავაზებულ წინადადებას, ამ ბრძოლას პატარა დასახლებული პუნქტის – ტანენბერგის სახელი უწოდონ, რომელსაც ბრძოლის მსვლელობაზე არანაირი როლი არ უთამაშია. მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე. მათი სურვილია იმ ადგილის გახსენება, სადაც ამ ამბებამდე 500 წლით ადრე, 1410 წელს, გერმანელი რაინდების ტევტონთა ორდენი დამარცხდა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის დიდი სამთავროს გაერთიანებულ ჯარებთან ბრძოლაში. ეს ამბავი კი, საუკუნოვანი შავი ლაქაა გერმანიის ისტორიისათვის. ამჯერად კი, შესაძლებელი გახდება ამ სამარცხვინო ლაქის ჩამორეცხვა. ამგვარად, გერმანელთა ამ ტიუმფალური გამარჯვებისათვის ტანენბერგის სახელის მინიჭებით ისტორია ახლად გადაიწერა და „ქარტიაც საფუძვლიანად შესწორდა“. გენერლებს, პაულ ფონ ჰინდენბურგსა და ერის ლუდენდორფს კი, უკვე „აღმოსავლეთ პრუსიის მხსნელებს“, ტანენბერგის გამარჯვებამ უდიდესი აღიარება და მოულოდნელი დიდება მოუტანა. ორივე მათგანი ეროვნულ გმირებად და სტრატეგიულ გენიოსებად აღიარეს. პაულ ჰინდენბურგს იმპერიის უმაღლეს სამხედრო ჯილდოს, “Pour le Mérite” ორდენს გადასცემენ, მალე კი, იმპერიის უმაღლეს სამხედრო წოდებას – გენერალ-ფელდმარშლობასაც მიანიჭებენ.⁶⁰

დღეს ტანენბერგის ოპერაციას ჰანიბალის გამარჯვებას ადარებენ კანესთან და სამხედრო ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების სფეროში იგი სტრატეგიული მანევრებისა და მოწინააღმდეგის ორმაგი გარშემორტყმის კლასიკურ ნიმუშადაა მიჩნეული. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ გერმანელთა ასეთი წარმოდგენელი გამარჯვება მხოლოდ რუსული არმიების სარდლებს შორის არსებული დაპირისპირებისა და მათ მიერ დაშვებული სტრატეგიული შეცდომების გამო გახდა შესაძლებელი. მიუხედავად ოპერაციის დიდი წარმატებისა, კანეს ბრძოლის მსგავსად, ტანენბერგის ოპერაციის დიდ გამარჯვებას მნიშვნელოვანი გარდატეხა I მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობაში არ შეუტანია. რეალობა ის იყო, რომ ტანენბერგმა აღმოსავლეთის ფრონტი დაასტაბილურა და გერმანული არმიების საბრძოლო სულისკვეთება გაზარდა, თუმცა არავითარი თანმდევი პოლიტიკური შედეგები ამ დიდ გამარჯვებას აღარ მოჰყოლია.

ომი ისევ გრძელდებოდა...

⁵⁹ ამ ბრძოლაში გენერალ სამსონოვის მე-2 არმია პრაქტიკულად სრულად განადგურდა. სხვადასხვა მონაცემებით მოკლულ და დაჭრილ იქნა 78 ათასი კაცი, ხოლო 92 ათასი რუსი ჯარისკაცი ტყვედ იქნა აყვანილი. მხოლოდ 10 ათასმა რუსმა ჯარისკაცმა დააღწია ცოცხლად თავი ამ ბრძოლას. გარდა ამისა, ტანენბერგის ბრძოლაში გერმანელებმა დიდი ოდენობით სამხედრო ალაფი ჩაივდეს ხელში. რუსებმა დაკარგეს 350 მსხვილკალიბრიანი ქვემეხი, უამრავი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, დიდი რაოდენობით ტექნიკური აღჭურვილობა, სანივთე ქონება და სურსათი. მოპოვებული სამხედრო ალაფის გადასატანად გერმანელებს 60 სარკინიგზო შემაღენლობა დაჭირდათ. გერმანელთა დანაკარგები კი, მოკლულთა და დაჭრილთა სახით, ტანენბერგის ბრძოლაში მონაწილე 150 ათასი კაციდან მხოლოდ 12 ათასი იყო.

⁶⁰ უკვე 1914 წლის 2 ნოემბერს, გენერალ-პოლკოვნიკ პაულ ფონ ჰინდენბურგს გენერალ-ფელდმარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება მიენიჭა და იგი აღმოსავლეთის ფრონტის გერმანული ჯარების სარდლად დაინიშნა. იგი გერმანიის ეროვნული გმირი გახდა. ტანენბერგის ოპერაციის მსვლელობიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გერმანიის გენშტაბის უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ ჰელმუტ ფონ მოლტკეს, მოლტკე უმცროსის მიერ გადაამუშავებული შლიფენის გეგმის წარუმატებლობა დასავლეთის ფრონტზე ნაწილობრივ ოპერაციული და ტექნიკური დეტალებით იყო გამოწვეული და მინცდამაინც არ ნიშნავდა ძირითად ნაკლს შლიფენის მიერ შემუშავებული ორმაგი გარშემორტყმის სტრატეგიაში. ფაქტიურად, აღმოსავლეთში მიმდინარე ოპერაციები აჩვენებდა, რომ კონცეფცია გამართული იყო და იგი მუშაობდა. ტანენბერგის ოპერაცია ამის ნათელი დადასტურებაა. ფაქტი ისაა, რომ 1914 წლის აგვისტოს ბოლოსათვის აღმოსავლეთ პრუსიაში გაშლილმა გერმანიის მე-8 არმიამ, რომელიც ფარულად და სწრაფად მოქმედებდა, რამდენიმე დღეში შეძლო გენერალ სამსონოვის 1-ლი რუსული არმიის ორმაგი გარშემორტყმა და მისი სრული განადგურება, გენერალ რენეკამფის მე-2 არმიას კი, უკან დაახევინა.



მაქსიმილიან ფონ პრეიტვიცი
(1848-1917)



პაულ ფონ ჰინდენბურგი
(1847-1934)



მაქს ჰოფმანი
(1869-1927)



ჰერმან ფონ ფრანსუა
(1856-1933)



ავგუსტ ფონ მაკენზენი
(1849-1945)



ერის ლუდენდორფი და მაქს ჰოფმანი



პაველ ფონ რენენკამფი
(1854-1918)



ალექსანდრ სამსონოვი
(1859-1914)



იაკობ ფილინსკი
(1853-1918)



რუსი ჯარისკაცები შედიან აღმოსავლეთ პრუსიაში



რუსების სადაზვერვო პატრული აღმოსავლეთ პრუსიაში



პაულ ფონ ჰინდენბურგი და მაქს ჰოფმანი



ტანენბერგის ბრძოლის გერმანელთა საკომანდო პუნქტი: გენერალ-პოლკოვნიკი პაულ ფონ ჰინდენბურგი (ცენტრში), გენერალ-ლეიტენანტი ერის ლუდენლორფი (მარჯვნივ) და ვიცე-პოლკოვნიკი მაქს ჰოფმანი (პერისკოპთან) ტანენბერგის ოპერაციის წინ. 1914 წლის 24 აგვისტო.



გერმანელები შეტევაში



გერმანელ მეტყვიაზღვრევეთა გათვლა სანგარში



№ 6. Пѣхота въ окопѣ.


რუსი ჯარისკაცები სანგრებში




გერმანელი ჯარისკაცები სანგრებში





ტანენბერის ბრძოლის დასაწყისი



GERMAN AND RUSSIAN MOVEMENTS, AUGUST 23-26, 1914




GERMAN AND RUSSIAN MOVEMENTS, AUGUST 27-30, 1914





 alamy stock photo B48ATJ
www.alamy.com


 alamy stock photo C4654K
www.alamy.com



ტანენბერგის ბრძოლის შემდეგ



რუსი ტყვეები



რუსი ტყვეები




წინა რიგში – ტანენბერგის ბრძოლის გამარჯვებული. მარცხნიდან მარჯვნივ: გენერალ-ლეიტენანტი (შემდგომში გენერალ-ობერსტი) ერის ლუდენდორფი, გენერალ-ობერსტი (შემდგომში გენერალ-ფელდმარშალი) პაულ ფონ ჰინდენბურგი და ვიცე-პოლკოვნიკი (შემდგომში პოლკოვნიკი და გენერალი) მაქს ჰოფმანი.

XI. 7.



ტანენბერგის ბრძოლის სამახსოვრო მედალი



ტანენბერგის ბრძოლის მემორიალი

§1.4. პაციჟამია მოლოხი

(ვერდენი, 1916 წლის თებერვალი-სექტემბერი)

1987 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის⁶¹ მიერ „მშვიდობის მსოფლიო დედაქალაქად“ წოდებული საფრანგეთის პატარა ქალაქი ვერდენი, I მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, 1916 წლის თებერვალში, საშინელი სისხლისღვრის ადგილად, „ადამიანების საფუძველად“ და „ხორცსაკვებ მანქანად“ იქცა, რომლის გაუმაძღარ ძაბრშიც დაპირისპირებულ მხარეთა უკანასკნელი რეზერვები გაუჩინარდა. ამ საზარელ ამბავში, როგორც გერმანელების, ასევე ფრანგების მიერ დაშვებულმა უამრავმა შეცდომამ შეიტანა თავისი წვლილი.

1915 წლის ბოლოს გერმანელთა მიერ შემუშავებული სტრატეგიული შეტევის გეგმა უკვე ერთ-ერთი საშინელი შეცდომათაგანი იყო. ეს გეგმა გენერალ-პოლკოვნიკ ერის ფონ ფალკენჰაინის, გერმანიის გენერალური შტაბის ახალი უფროსის მიერ იყო შემუშავებული, რაც დასავლეთის ფრონტზე მთელი 1915 წლის განმავლობაში შექმნილი უმოქმედობის დასაძლევად იყო გამიზნული.⁶² ამ მომენტისათვის დასავლეთის ფრონტზე შემდეგი სურათია: მილიონობით ადამიანი წევს ერთმანეთის პირისპირ არსებული სანგრებისა და ტრანშეების განტოტვილ, უწესრიგო ქსელში. ისინი შეტევისთვის არიან მოწოდებულნი, მაგრამ დაპირისპირებულ მხარეთა არმიების ყველა მცდელობა, მიაღწიონ ომში გადამწყვეტ გარდატეხას, უშედეგო აღმოჩნდება – ფრონტის ხაზი არ იცვლება და მდგომარეობაც იგივე რჩება. მაგრამ ყველა რაღაცის მოლოდინშია, ყველა გრძნობს, რომ რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც უნდა შეიცვალოს...

გერმანელთა საბრძოლო სულისკვეთება და მორალი უკვე ისეთი მაღალი აღარ არის, როგორც ეს ომის დაწყებისას იყო. ამ არაპოპულარულმა ომმა ფრონტებზე მყოფ ჯარისკაცებთან ერთად მოსახლეობაც ძალიან გადაღალა. მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება, ქალები და ბავშვები შიმშილობენ, დაპირებული სწრაფი გამარჯვებით მოპოვებული მშვიდობა კი, არსად ჩანს.⁶³

⁶¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ან მოკლედ, გაერო (ინგლ. United Nations Organization, UNO; შემოკლებით – United Nations, UN) – საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელი პრეზიდენტის, ჰარი ტრუმენის ინიციატივით, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს და შესაბამისად, ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში როგორც გაეროს დღე. გაერო წარმოადგენს უნივერსალურ მსოფლიო ფორუმს, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემის, თანამედროვე მრავალმხრივი დიპლომატიის კონსტრუირების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. 2018 წლის მონაცემებით გაეროში 193 სახელმწიფოა გაერთიანებული.

⁶² 1914 წლის ბოლოდან მეტროლ სახელმწიფოთა ქვეყნების არმიებმა თავიანთი შეტევითი მოქმედების ყოველგვარი რესურსი ამოწურეს და 1915 წლისათვის ისინი პოზიციურ ბრძოლებზე გადავიდნენ. დაიწყო I მსოფლიო ომის ე.წ. „ტრანშეების ომისა“ და პოზიციური ბრძოლების უმძიმესი პერიოდი. მიზეზი რამდენიმე იყო: ჯარების გადაღალა, საბრძოლო მასალების დეფიციტი, ჯარების დიდი სიმკვრივე, მაღალი ლეთალობის იარაღი, მრეწველობის ზრდის დაბალი ტემპები, მძიმე არტილერიისა და ჭურვების დეფიციტი, ფლანგური შემოვლის შეუძლებლობა. 1915 წლისათვის აშკარა გახდა, რომ დაპირისპირებულ მხარეთა ყველა სტრატეგიული გეგმა ჩაიშალა და ომის სწრაფად დასრულების იმედიც ამოიწურა...

⁶³ შლიფენის გეგმამ და 1914 წლის გერმანიის სტრატეგიულმა თავდასხმამ, რომელიც ამ გეგმის განხორციელების მცდელობა იყო, განასახიერა ომის ის ორგანოზომილებიანი სტილი, რომელიც ისეთივე მოძველებული იყო, როგორც თავად ამ ომის წარმოების წესი. ომებისა და შეტევითი მოქმედების აქამდე არსებული პარადიგმა თითქოს ყველასათვის ცნობილ და ნათელ მოცემულობას წარმოადგენდა – ფრონტალური გარღვევა მეთაურის ცოდნისა და შესაძლებლობების რეპერტუარის ნაწილი იყო, ხოლო გამარჯვება მოწინააღმდეგის ფლანგების გარშემოვლითა და მისი არმიის განადგურებით უნდა მიღწეულიყო. ომის წარმოების ამ წესში მოწინააღმდეგის ფლანგები წარმოადგენდნენ გადაწყვეტ წერტილებს... სწორედ ამაში მდგომარეობდა მოლტკესეული ორმაგი გარშემორტყმის კონცეფციის არსი და სწორედ ამ კონცეფციაზე იყო აგებული შლიფენის გეგმა. მაგრამ I მსოფლიო ომის დაწყებიდან სულ მოკლე ხანში დაპირისპირებულ მხარეთა სარდლობები ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ – მალე ფლანგებიც აღარ არსებობდა, რადგან არმიათა უზარმაზარი მასები, რომელთა უზრუნველყოფა ომში ჩაბმული ქვეყნების ინდუსტრიული ეკონომიკითა და რკინიგზით ხორციელდებოდა, უკვე მთელს ევროპულ სივრცეს ავსებდა და მანშიდან შევიცარამდე. ფლანგების არარსებობის გამო კი, მათი გარშემოვლის ყოველგვარმა კონცეფციამაც დაკარგა აზრი. ასეთი შედეგი ათასწლოვან წყაღვამყოფად იქცა ომების წარმოების წესში...

ამ „რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელად“ გენერალ ფალკენჰაინს უჩნდება იდეა, რომ გამარჯვების მოპოვების საუკეთესო გზა არა სტრატეგიული შეტევითი ოპერაციების წარმოება, არამედ საფრანგეთის არმიის დასუსტება და გამოფიტვაა. გერმანიის გენშტაბის ახალი უფროსი არის სიკვდილის მანქანის, „სისხლის ტუმბოს“ გამომგონებელი, რომლის გამოყენებასაც იგი ფრანგების წინააღმდეგ გეგმავს. 1915 წლის ბოლოს ფალკენჰაინი აცხადებს, რომ ომების ისტორიაში უდიდეს სისხლისმღვრელ ოპერაციას სახელად ერქმევა „Chi 45“ (მაშინდელი გერმანული შიფრის გასაღების – „სამსჯავროს“ მიხედვით).⁶⁴ ოპერაციის მიზანია არა ტერიტორიების დაკავება, არამედ მოწინააღმდეგე მხარისათვის რაც შეიძლება მეტი ზიანის მიყენება, მტრის ცოცხალი ძალის განადგურება და ასეთი გზით მისი დაუძღვრება. ამ მიზნის მისაღწევად კი, ყველაზე ხელსაყრელი ის ადგილია, რომელიც დღევანდელი საფრანგეთისთვის ღირსების, მტკიცე წინააღმდეგობისა და წარმატებული თავდაცვის სიმბოლოს წარმოადგენს – მდინარე მასისს ორივე ნაპირზე გაშენებული პატარა ქალაქი ვერდენი. ეს ადგილი მოწინააღმდეგე მხარის თავდაცვის უძლიერესი საყრდენი პუნქტია და ფალკენჰაინის ჩანაფიქრის მიხედვით, ზუსტად აქ უნდა განვითარდეს გერმანელთა მთავარი შეტევა.⁶⁵

ფრანგებმა უნდა აღიარონ, რომ საერთო ჯამში, მათ შეცდომა დაუშვეს აღნიშნულ ადგილმდებარეობისათვის უპირატესობის მინიჭებასა და მის სტრატეგიულ შეფასებაში. ვერდენის უძლიერესი ციხესიმაგრეებისა და ფორტების სისტემა მათთვის ზურგის რაიონია, ჯარების თავმოყრის უდიდესი სამხედრო ბანაკი და რეზერვის დასვენების ადგილი, რადგან ომი სულ სხვა ადგილას, ფლანდრიასა და არგონის მთებში მიმდინარეობს. ვერდენის ტყიან ჩრდილოეთში მდებარე ციხესიმაგრის ერთი მეტრი სისქის ბეტონის რკალი კი, ბრძოლის ხაზიდან საკმაოდ მოშორებითაა. 1915 წლის ბოლოს ფრანგები ვერდენის ციხესიმაგრის ფორტებიდან ხსნიან ქვემეხებს, რათა ისინი როგორც სარკინიგზო არტილერია ვოგეების მთებში ან სომაზე გამოიყენონ. ახლა მათ განკარგულებაში არანაკლებ ორმოცდასამი საარტილერიო ბატარეა და 123 ათასი ჭურვია საველე არმიის მომსახურე პერსონალით.

ახალი წლისათვის ვერდენის ჩრდილოეთში ფრანგთა მხოლოდ ერთ დივიზიას უჭირავს 10 კმ სიგრძის ხაზი. მაშინაც კი, როცა 1916 წლის იანვრის შუა რიცხვებში ფრანგები აღმოაჩინენ, რომ ვერდენის წინ გერმანელები იკავებენ და ამაგრებენ პოზიციებს, ბატონ გენერალს, ვერდენის გამაგრებული ბანაკის კომენდანტს, სჯერა, რომ საქმე ყურადღების გადამტან მანევრს ეხება და არა გერმანელთა შეტევისათვის მზადებას. იგი დარწმუნებულია, რომ დარტყმის მთავარი მიმართულება სულ სხვაგანაა განსაზღვრული. ვერდენი ხომ ფრანგთა უძლიერეს გამაგრებულ რაიონს წარმოადგენს და ეს ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ფრანგული სარდლობის აზრით გერმანელებს ისე არ დაუკარგავთ ჭკუა, რომ პირდაპირ აქ დაიწყონ შეტევა!

⁶⁴ სხვა არც ერთი მონაცემით არ დასტურდება I მსოფლიო ომის ვერდენის ოპერაციის კოლური დასახელება „Chi 45“. ამ ოპერაციის კოლური დასახელება იყო „Gericht“ – „სამსჯავრო“.

⁶⁵ 1916 წლის თებერვალ-დეკემბერში მიმდინარე ვერდენის ოპერაცია მართლაც „ადამიანთა ხორცსაკვებ მანქანად“ და „სისხლსაქაჩ ტუმბოდ“ იქცა დაპირისპირებული მხარეებისათვის, მაგრამ ოპერაცია თავდაპირველად სულ სხვა ამოცანებს ისახავდა მიზნად. ეს ამოცანები გაცილებით მასშტაბური და გაცილებით ამბიციური იყო. ვერდენზე გერმანელთა შეტევითი ოპერაციის მთავარ მიზანს იმ სტრატეგიული ჩიხიდან თავის დაღწევის მცდელობა წარმოადგენდა, რომელიც შეიქმნა დასავლეთის ფრონტზე 1915 წლის დასაწყისიდან. 1914-1915 წლების სისხლიანი ბრძოლების სერიის შემდეგ გერმანელებს აღარ გააჩნდათ საკმარისი ძალები და საშუალებები მთელი ფრონტის გასწვრივ შეტევითი მოქმედებების საწარმოებლად. ამიტომ გერმანიის გენერალური შტაბის მიერ შემუშავდა ფრონტის ვიწრო უბანზე მძლავრი დარტყმის მიყენებისა და ფრონტის გარღვევის გეგმა. დარტყმის მთავარ მიმართულებად ვერდენის გამაგრებული რაიონი შეირჩა, რადგან იგი მცირე შევიწროვებული ქვინი და დასავლეთის ფრონტის ხაზში, ხოლო მასის სიმაღლეების სწრაფად დაუფლების შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ქალაქ ვერდენის დაბომბვა მძიმე არტილერიით. ამ შეგრილისა და მასზე შემოყვანილი ფრანგთა სტრატეგიული რეზერვების ლიკვიდაცია კი, უკვე ნიშნავდა გერმანელების გარღვევას ფრონტის ფართო უბანზე, რასაც პარიზის დამცველთა ფლანგსა და ზურგში გერმანული შენაერთების გასვლა უნდა მოჰყოლოდა შედეგად. გერმანელთა გენშტაბის გათვლით, მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება და ოპერაციის წარმატებით აღსრულება მთლიანად ფრანგულ-ბრიტანული ფრონტის მოშლას გამოიწვევდა.

გერმანელებმა კი მართლაც დაკარგეს ჭკუა. გერმანელთა საინჟინრო-მესანგრეთა და ქვეითი ბატალიონები⁶⁶ ღამით ფრანგთა სანგრებისკენ იწყებენ გადაადგილებას. ისინი ტყვიაგაუმტარ ბუნკერებსა და თავშესაფრებს აშენებენ. გერმანელების ფრონტის ზაზის უკან კი, სხვადასხვა ადგილზე მიმდინარეობს დიდი რაოდენობის ჯარების გადმოსხმა და საბრძოლო მასალისა და იარაღის გადმოტვირთვა. ამ დღეებში, გერმანელებს საბრძოლო მასალით დატვირთული 1300 ვაგონით დაახლოებით 2,5 მილიონი საარტილერიო ჭურვი მიაქვთ სასროლ პოზიციებზე განლაგებულ 1245 ქვემეხთან.⁶⁷

გერმანული მსხვილკალიბრიანი ქვემეხის ლულებს “Ultima Ratio Regis“ („მეფის უკანასკნელი მოსაზრება“) აწერია. ვერდენის ფრონტის 15 კილომეტრი სიგრძის მონაკვეთზე იმპერატორის სწორედ ეს სიტყვები წარუძღვება წინ გერმანელთა ექვს კარგად აღჭურვილ და დასვენებულ ქვეით დივიზიას იმისთვის, რომ სიკვდილის ცეკვა დაიწყოს.⁶⁸

როცა კაიზერი ვილჰელმ II შემტვეი შენაერთების აღლუმს იღებს, ჯარების პირადი შემადგენლობა დარწმუნებულია საკუთარ გამარჯვებაში. არანაირი ეჭვი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე დღეში გერმანელები ვერდენს აიღებენ და ჯარების გრანდიოზული აღლუმიც ვერდენის ციხესიმაგრის სამწყობრო მოედანზე ჩატარდება. და რა თქმა უნდა, მასაც იმპერატორი მიიღებს! მაგრამ გერმანელთა ეს მოლოდინი დიდი შეცდომაა, რაც ძალიან მალე იჩენს თავს. ისტორია სულ სხვანაირად განსჯის და რეალობაც სულ სხვაგვარი იქნება – ვერც ერთი გერმანელი ჯარისკაცი და ქვედანაყოფი ვერ შევა ქალაქში ომის დასრულებამდე. როცა ფრანგები მხვერაგებისა და პატრულისაგან შეიტყობენ თუ რა ხდება მათ ცხვირწინ, გენერალი ჟოფრე, ფრანგთა მთავარსარდალი, ვერდენის პოზიციების სასწრაფოდ გამაგრებას იწყებს. ცოტა ხნის წინ ციხესიმაგრიდან მოხსნილი არტილერია უკან ბრუნდება. გარნიზონის მიერ იწყება ბასტიონების სწრაფად დაკავება და აღჭურვა. არც გერმანელები ცდილობენ კარგად მომზადებული და ორგანიზებული საომარი აღლუმის დაფარვას. დიას, ფრანგებმა მშვიდად უნდა ადევნონ თვალი, თუ როგორ გროვდება გერმანელთა ჯარი საფრანგეთის გულში. ეს მრისხანე ძალაა და საეცებით შეესაბამება მათ გეგმას. რაც მეტი მოწინააღმდეგე იქნება მათთან დაპირისპირებული, მით უკეთესი – ადამიანთა უფრო დიდი მსხვერპლი და სისხლისღვრა იქნება.

შეტევის დაწყება 12 თებერვლისათვის არის დაგეგმილი. მაგრამ მოულოდნელად ამინდი იცვლება. თოვლი ღნობას იწყებს, ძლიერ სიცივეს კი, თბილი, თოვლჭყაპიანი ამინდი მოჰყვება. ვერდენის გარშემო ლანდშაფტი ჩაფლულია ნისლისა და წვიმის საფარში,

⁶⁶ ბატალიონი (ფრანგ. Bataillon, იტალ. Battaglione) – სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარებში ძირითადი ტაქტიკური ერთეული. შედგება რამდენიმე ასეულისა და ოცეულისაგან. პირველად ეს საჯარისო ერთეული ნიდერლანდებში შემოიღეს XVII საუკუნეში. მისი ფორმირება მორის ნასაუელს მიეწერება. სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყნებში ბატალიონების პირადი შემადგენლობა მერყეობდა 400-დან 800 კაცამდე. შესაბამისი ერთეული არტილერიაში დივიზიონად იწოდება. უახლოეს წარსულში, საკავალერიო ჯარების ანალოგიურ ერთეულსაც დივიზიონი ეწოდებოდა. ბატალიონი წარმოადგენს უმცირეს საჯარისო ტაქტიკურ ერთეულს, რომელსაც გააჩნია ჯარების მართვის საკუთარი ორგანო – შტაბი. ბატალიონი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც პოლკის, ასევე სხვა სამხედრო ნაწილის, მაგალითად, ბრიგადის ან დივიზიის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. არსებობენ ცალკეული ბატალიონებიც. საშტატო-საორგანიზაციო განრიგით, როგორც წესი, ბატალიონს მეთაურობს მაიორის/ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი.

⁶⁷ ამ ოპერაციის მოსამზადებლად 213 სარკინიგზო შემადგენლობით წინა ხაზზე შეტანილ იქნა არტილერიის საბრძოლო კომპლექტები გათვლით – სავლე არტილერიის ბატარეების 3000, სავლე ჰაუბიცების 2100 და მძიმე ჰაუბიცების 1200 გასროლა, რაც შეტევის პირველ ექვს დღეზე იყო გათვლილი. შემდგომში იგეგმებოდა საბრძოლო მასალებით დატვირთული 34 სარკინიგზო ეშელონის მიწოდება ყოველდღიურად.

⁶⁸ საერთო ჯამში, გერმანელებმა ვერდენთან თავი მოუყარეს უზარმაზარ საბრძოლო ძალას – კრონპრინც ვილჰელმის მე-5 არმიის სამ – მე-3, მე-7 და მე-18 კორპუსებს, რომლებიც ფრანგთა ორ დივიზიას დაუპირისპირდნენ. ოპერაციის დაწყებისას, ცოცხალი ძალის მხრივ გერმანელები ფლობდნენ თითქმის ხუთმაგ, ხოლო არტილერიის მხრივ ექვსმაგ უპირატესობას. გერმანელთა საარტილერიო დაჯგუფება მოიცავდა 1225 ქვემეხს, 22 მძიმე, 74 საშუალო და 56 მსუბუქ ჰაუბიცას, ასევე ზემძიმე 420მმ კალიბრის მორტირებს – „დიდი ბერტა“. არტილერიის სიმკვრივე ფრონტის ერთკილომეტრიან უბანზე 57 ერთეულს, მათ შორის 35 მძიმე საარტილერიო დანადგარს შეადგენდა. არტილერიის ასეთ კონცენტრაციას ომების ისტორიაში აქამდე ადგილი არ ჰქონია. უპრეცედენტო იყო აგრეთვე საბრძოლო საშუალებებითა და მასალებით უზრუნველყოფის საქმეც. ამ ოპერაციაში გერმანელების მიერ პირველად იქნა გამოყენებული ცეცხლისმფრქვეველები, სადაც ქვეით კორპუსებს 39 საინჟინრო და 8 ცეცხლისმფრქვეველთა ასეული მიამაგრეს. შემტვეი ქვედანაყოფების პირად შემადგენლობას კი დიდი რაოდენობით ხელყუმბარები დაურთვეს.

ქარიშხალი კი, ჯარისკაცებს ცხვირის გარეთ გამოყოფის საშუალებას არ აძლევს. ამინდიც ადამიანების მხარესაა. საშინელი ავღარი თითქოს ლამობს ადამიანებს ორმხრივი განადგურების საშინელი გემის აღსრულებაში შეუშალოს ხელი. რამდენიმე დღეა, რაც ჯარისკაცები სველი ფარაჯებით უძრავად წვანან მტანჯველი სივიწროვის ორმოებსა და სანგრებში. ლოდინი სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება.

მოულოდნელად კვლავ იცვლება შეტევის თარიღი. გერმანულ ქვედანაყოფებში ხმა ვრცელდება, რომ ზოგადად, ეს, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა, მოწინააღმდეგის ყურადღების გადამტანი მანევრი, რათა ფრანგები მოატყუონ და შეინარჩუნონ პოზიციები გამაგრებულ რაიონში. ნამდვილი შეტევის დაწყება კი, სულ სხვა დროს და სხვა ადგილზეა დაგეგმილი, სადაც ნაკლები რაოდენობის ჯარებია! მაგრამ საშინელი სიმართლე ძალიან მალე გამოაშკარავდება. 20 თებერვლის ღამეს წვიმა მოულოდნელად წყდება და აღმოსავლეთის ქარი ამოვარდება, ქარის ეს მიმართულება კი, იდეალურია ქიმიური ჭურვების გასროლისათვის.

21 თებერვალს, დილით, გერმანულ პოზიციებზე გაისმის ბრძანება: „ქვემეხებთან!“ 8 საათსა და 12 წუთზე მას მოსდევს შემდეგი ბრძანება – „ცეცხლი!“ – ლულებიდან ყველა კალიბრის ჭურვებს ისვრიან ვერდენის ტყეებისა და სოფლების მხარეს. გერმანელთა არტილერია შეუჩერებლად მუშაობს 17 საათამდე. ეს არის არნახული საარტილერიო სამზადისი, რომლის მსგავსიც კაცობრიობის სამხედრო ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, მსოფლიოს მსგავსი რამ ჯერ არ უნახავს.⁶⁹

ამ უდიდესი საარტილერიო მომზადების შემდეგ იწყება შეტევა ყველა დროის ყველაზე დიდი რაოდენობის მიძიმე შეიარაღების გამოყენებით. მალე ჯოჯოხეთის კარიც გაიხსნება და ათასობით ჯარისკაცი გამოესალმება სიცოცხლეს. ისინი პოზიციებზე დგანან გადასახტომად მომზადებულნი, საიერიშო კიბეებით და შაშხანებზე ჩამოცმული ხიშტებით, ყელსა და მხრებზე შემოხვეული სავაზზე ლენტებით, კარგად გატენილი ზურგჩანთებითა და ცარიელი, დახვეული ქვიშის ტომრებით, რომელიც ისევე აქვთ მიმაგრებული ტყავის ქამარზე, როგორც ხელყუმბარები. ქამრებზე მავთულის გადასაჭრელი მაკრატლებიც აქვთ ჩამოკიდებული. ჯარისკაცებს თავზე ძველებური ყაიდის გერმანული ტყავის ჩაფხუტები ახურავთ და ისინი ბრძოლისათვის არიან მომართულნი.

დაახლოებით 17 საათისათვის გაისმის საერთო შეტევაზე გადასვლის ბრძანება. გერმანელი ქვეითები სანგრებიდან ამოდიან, საბრძოლოდ ეწყობიან და შეტევაც იწყება. თვრამეტი გერმანული ქვეითი პოლკი ფრანგების გადამლობ ცეცხლში ეხვევა, რათა მოწინააღმდეგეს სწვდეს ყელში.⁷⁰

გერმანელები დარწმუნებულნი არიან, რომ არტილერიის ხანგრძლივი და ინტენსიური ცეცხლით ფრანგთა პოზიციები უკვე განადგურებულია. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან ასეთი სიძლიერის დაბომბვა ისტორიას ჯერ არ ახსოვს. მაგრამ გერმანელები აქაც ცდებიან. ეს ვარაუდი სინამდვილისგან შორსაა.

⁶⁹ I მსოფლიო ომმა ახალ სიმაღლეებამდე აიყვანა არტილერიის როლი და მნიშვნელობა ომის წარმოების წესში. შეიქმნა და დაინერგა მთელი რიგი სიახლეები საარტილერიო ოპერატიულ ხელოვნებაში, საარტილერიო ცეცხლის ტიპებსა და მათ მართვაში – ზოგადად სამხედრო მეცნიერებაში. ახალი ტიპის ტრანშეების ომმა ახალი სული შთაბერა ნაღმსატყორცნების გამოყენებას. გამსხვილდა საარტილერიო კალიბრები. მანამდე ფართოდ გამოყენებადი შრაპნელი მიძიმე ნაღმებითა და მომწამლავი გაზის კონტეინერებით შეიცვალა, რაც პირველად გერმანელების მიერ იქნა გამოყენებული 1915 წელს. გერმანელებს მალე მიბაძეს ანტანტის ქვეყნებმაც. ფართო გასაქანი მიეცა მსუბუქი არტილერიის გამოყენებასაც, მიძიმე არტილერიის ტრანსპორტირებისა და მომსახურებისათვის კი საავტომობილო ტექნიკის გამოყენება დაინერგა. აღსანიშნავია, რომ I მსოფლიო ომში სწორედ არტილერია შეიქმნა ყველაზე დიდ მკვლელად ბრძოლის ველზე – მოწინააღმდეგეთა მსხვერპლისა და ცოცხალ ძალაში საბრძოლო დანაკარგების 75% სწორედ არტილერიაზე მოდიოდა.

⁷⁰ გერმანელი ქვეითები მჭიდრო საბრძოლო წყობით გადავიდნენ შეტევაზე. საზოგადოდ, შეტევით მოქმედებებში დამრტყელი დაჯგუფების კორპუსები ერთ ემელონად იყვნენ დაწყობილნი, დივიზიები – ორ ემელონად, ორ-ორი პოლკი პირველ ემელონში, ხოლო თითო-თითო – მეორეში. ბატალიონები წინ „ქვეითთა ჯაჭვებად“ გადაადგილდებოდნენ, მათი შეტევის ხაზი კი, 400-500 მეტრს შეადგენდა. პირველი ჯაჭვების წინ მხვერვათა და მოიერიშეთა ქვედანაყოფები იმყოფებოდნენ, რომლებიც ტყვიამფრქვევებით, ხელყუმბარებითა და ცეცხლისმფრქვეველებით იყვნენ შეიარაღებულნი.

ფრანგთა სანგრები და ბლინდაჟები⁷¹ ემელონებად არის განლაგებული სიღრმეში, საუკეთესოდ დაფარული და დამალული, იმდენად კარგად აგებული, რომ გერმანული ქვემეხები ვერ ანგრევენ მათ, მიუხედავად მათი გაუგონარი კალიბრისა და სიძლიერისა. ხელყუმბარებისა და ჭურვების ძაბრებით მოფენილი, სროლებისგან გაუდაბურებული ტერიტორია შეტევაზე გადასული გერმანელი გრენადერებისთვის⁷² თითქმის გაუვალია. საჭირო ხდება ტყეების გაკაფვა, რადგან ფრანგთა პოზიციები ძირითადად დაუზიანებელია. თავდაცვაში მყოფი მხარის დამარცხება მხოლოდ სისხლიან ახლო, ხელჩართულ ბრძოლაში იქნება შესაძლებელი. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მიღწევა იერიშის ზღუდემდე, იერიშზე გაბედულად გადასვლა და ფრანგებთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა. მართლაც ყველფერი ასე მიმდინარეობს, მაგრამ თავიანთ სანგრებთან გერმანულ მოიერიშე ქვედანაყოფებს ფრანგები ავიწროებენ და ისინი ვერ აღწევენ სასურველ მიზანს.

და აქ საოცარი ამბავი ხდება – მიღებული წესის თანახმად ფრანგები კონტრშეტევაზე არ გადადიან და გერმანელებს არ სდევნენ. ფრანგთა ქვეითი ჯარის მეთაურებისა და ჯარისკაცებისათვის გაუგებარი გეგმა არ ითვალისწინებს მოწინააღმდეგის დადევნებას. აქ სულ სხვა რამეშია საქმე. ფრანგები განსხვავებული ტაქტიკით მოქმედებენ. მათი მიზანიც არა გერმანელების დადევნება და დამატებითი ტერიტორიების მოპოვება, არამედ მოწინააღმდეგის დაუძღურება და მისი ცოცხალი ძალის სრული განადგურებაა. ნათელი ხდება, რომ ფრანგებმა უნდა მიიზიდონ გერმანელთა რაც შეიძლება მეტი ძალები და ბრძოლაში უნდა ჩართონ მათი ხელთ არსებული ყველა საშუალება. მხოლოდ ასე და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი გერმანელთა სრული განადგურება.

მომდევნო დღეებში ფრანგების წინააღმდეგობა ძლიერდება, როგორც ჩანს, ესეც გეგმაზომიერად მოფიქრებული ტაქტიკაა. გენერალი პეტენი⁷³ ვერდენის დამსახურებული დამცველი ხდება. იგი ყველანაირი საშუალებით ეწინააღმდეგება გერმანელების მხრიდან ზეწოლას და ორგანიზებას უწევს ზურგიდან ვერდენისკენ მიმავალი ერთადერთი გზით მომარაგების უზრუნველყოფასა და ავტომობილებით ჯარისკაცების 24-სათიან, მუდმივ

⁷¹ ბლინდაჟი (ფრანგ. Blindage – წინააღმდეგობის აგება) – მუდმივი ან დროებითი მიწისქვეშა საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია საკუთარი პირადი შემადგენლობის მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის, არტილერიისა და ნაღმსატყორცის ცეცხლისაგან, ნაპლმისა და მასობრივი დაზიანების იარაღისგან დასაცავად, ასევე პირადი შემადგენლობის დასასვენებლად. ბლინდაჟი წარმოადგენდა მთლიანად მიწაში განთავსებულ კარგად გამაგრებულ და შენიღბულ სივრცეს, სადაც განთავსებული იყო საკომანდო პუნქტები, შტაბები, საველე ჰოსპიტლები, სხვადასხვა საწყობები, პირადი შემადგენლობის დასასვენებელი ადგილები და ა.შ. პირველი ბლინდაჟების აშენება უკავშირდება ყირიმის ომის პერიოდს და სევასტოპოლის დაცვას 1854-1855 წლებში. უკვე შემდგომ, I და II მსოფლიო ომებში ბლინდაჟები გამოიყენებოდა ყველა თავდაცვითი ზღუდის მოწყობისას, დაპირისპირებული მხარის მიერ ომების მიმდინარეობის ყველა ეტაპსა და ყველა ფრონტზე. ამ პერიოდში ბლინდაჟების კონსტრუქციები სრულყოფილებამდე იქნა მიყვანილი.

⁷² გრენადერები (ფრანგ. Grenadiers) – ქვეითი ჯარის ან კავალერიის რჩეული ნაწილები, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის გამაგრებებისა და თავდაცვითი პოზიციების შტურმისათვის, განსაკუთრებით სააღმდეგო ბრძოლაში. XVIII საუკუნიდან დაწყებული, გრენადერები ხელყუმბარებითა და ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. ხელყუმბარა (Grenada) – სწორედ აქედან მოდის გრენადერთა დასახელებაც. იმდროინდელი ხელყუმბარა წარმოადგენდა თუჯისგან ჩამოსხმულ პატრუქიან ღრუ სფეროს, რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერებით (დენით) იყო სავსე. ხელყუმბარის აფეთქება ხდებოდა პატრუქზე ცეცხლის მოკიდებით და მისი მოწინააღმდეგის პოზიციებისკენ სროლით. გასაგები მიზეზების გამო, გრენადერებად დიდი ფიზიკური ძალის მქონე, მამაცი და უშიშარი ჯარისკაცები ირჩეოდნენ, რათა ისინი მაქსიმალურად მიახლოებოდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს და მაქსიმალურად შორ მანძილზე ესროლათ ხელყუმბარები. შემდგომში, XIX საუკუნის ბოლოდან, გრენადერებად უკვე ქვეითი ჯარის რჩეული ნაწილები იწოდებოდნენ.

⁷³ ანრი ფილიპ პეტენი (ფრანგ. Henri Philippe Pétain) (1856-1951წ.წ.) – XX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის მარშალი 1918 წლიდან. საფრანგეთის მიერ წარმოებული კოლონიური ომების მონაწილე, I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი სარდალი. უკვე II მსოფლიო ომის პერიოდში, 1940-1944 წლებში, ხელმძღვანელობდა გერმანელებთან დაკავშირებულ საფრანგეთის ავტორიტარულ კოლაბორაციონისტულ მთავრობას, რომელიც ისტორიაში „ვიშის“ რეჟიმის სახელით შევიდა, თუმცა მისი ოფიციალური დასახელება იყო „ფრანგული სახელმწიფო“. ვერდენის ბრძოლის დასაწყისში, 1916 წლის თებერვლისათვის, გენერალი ანრი ფილიპ პეტენი ფრანგთა მე-2 არმიის სარდალი იყო. ბრძოლების პერიოდში კი, იგი არმათა ჯგუფი „ცენტრის“ სარდალად დაინიშნა, რომელშიც 52 დივიზია იყო ჩართული.

ტრანსპორტირებას.⁷⁴ სატვირთო ავტომობილების დაუსრულებელი კოლონა, ფრანგების მიერ „წმინდა გზად“ – “La Voie Sacrée“-დ წოდებული,⁷⁵ მოკლე დროში იძლევა ვერდენის გამაგრებულ რაიონში ჯარისკაცების მუდმივი ცვლის შესაძლებლობას. ფრონტზე ასე ხანმოკლე დროით გაჩერებისას ქვედანაყოფები ნაკლებად ზარალდებიან, გარდა ამისა, პირადი შემადგენლობის შეცვლის მეთოდის გამოყენების შედეგად შესაძლებელი ხდება თითქმის ყველა დივიზიის ბრძოლაში ჩართვა. რაც მთავარია, ეს დივიზიები დასვენებულები და ბრძოლისათვის შემართულები არიან. ტრანსპორტირებისა და მომარაგების აწყობილი სისტემის წყალობით უკლებლივ ყველა ფრანგი ჯარისკაცი ვერდენისთვის იბრძვის. ვერდენის დაცვა იქცევა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების უმნიშვნელოვანეს მიზნად, ფრანგი ჯარისკაცის საბრძოლო სულისკვეთების, ქვეყნის გათავისუფლებისთვის მებრძოლი ყველა ფრანგის ბრძოლის სიმბოლოდ და წმინდა ადგილად. ვერდენის დაცვა იქცევა საფრანგეთის ეროვნული ღირსების საქმედ.

გერმანელების მხარეს თავს იჩენს კიდევ ერთი, მომდევნო შეცდომა. გერმანული სარდლობის მიერ საკმარისად და წარმატების მომტანად მიიჩნევა ვერდენისკენ არა მასის ორივე ნაპირიდან, არამედ მასის მარჯვენა სანაპიროდან შეტევის მიტანა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ახლა კი გამოვლინდა, რომ ფრანგების მძიმე არტილერიას შეუძლია ცეცხლი გაუხსნას გერმანელების ფლანგს მასის დასავლეთ სანაპიროს სიმალიდან და დიდი ზიანიც მიაყენოს მას. რამდენიმე დღეში გერმანული სარდლობა ამ მძიმე ოპერატიულ შეცდომას გამოასწორებს. გერმანული შენაერთები მდინარე მასის დასავლეთით გადადიან და იქ იკავებენ მნიშვნელოვან სიმაღლეს – „მკვდარი კაცი“ (მიტოვებული სამთო მადაროები), რომელსაც ასე ერქვა ომამდე, მაგრამ ახლა ეს დასახელება ნამდვილად ამართლებს მის შინაარსს. იგი ნამდვილად იმსახურებს ამ სახელს, რადგან მისი დაუფლებისათვის მიმდინარე გააფთრებულ ბრძოლებში ათასობით და ათასობით გერმანელი ჯარისკაცი გამოესაღმება აქ სიცოცხლეს.

25 თებერვალს გერმანელების მარცხენა ფლანგზე შეტევის დაწყების ახალი ბრძანება გაისმის. მე-15 დივიზიამ უნდა შეუტოს ფორტ დუომონს,⁷⁶ ვერდენის ბასტიონის ქვემოთ მდებარე კოლოსს, ხოლო მე-6 დივიზიამ მის მარცხნივ უნდა გაიაროს. შეტევის ბრძანებაში არ არის ნახსენები ამ უზარმაზარი, კარგად დაცული მთისა და ფორტის აღება. ფორტის აღების ამოცანა არ შეესაბამება გერმანელთა მიერ დაგეგმილი სისხლისღვრის სტრატეგიას – დუომონი არ უნდა დაეცეს. მაგრამ არსებული მდგომარეობით გერმანელი ჯარისკაცები არ იცნობენ რუკას. ისინი მხოლოდ ციხესიმაგრის წვერს ხედავენ, რომელსაც უმაღლესად უწოდებენ „კუბოს სახურავს“. ძლიერი ქარბუქის გამო ფრანგების სასანგრე სისტემა ერთიანად ივსება თოვლით და იგი გამოყენებისათვის გამოუსადეგარი ხდება. ფრანგები მას ტოვებენ. ბრანდენბურგის 24-ე ქვეითი პოლკისთვის ეს ხელსაყრელი შემთხვევაა, რათა მისმა ქვედანაყოფებმა წინ წაიწიონ და ახლომდებარე ციხესიმაგრეზე მიიტანონ იერიში. უფროსი ლეიტენანტი ბრანდისი, ლეიტენანტი რადტკე და კაპიტანი ჰაუპტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ერთდროულად იღებენ გადაწყვეტილებას, თავიანთი ქვედანაყოფების მოულოდნელი შეტევით აიღონ ფორტი დუომონი. მათ და მათთან მყოფმა ასმა ჯარისკაცმა არ იციან, რომ ფორტში საბრძოლოდ მომზადებული საუკეთესო ფრანგული გარნიზონია

⁷⁴ ვერდენის დამცველთა მუდმივი ცვლისა და მათი საბრძოლო საშუალებებით მომარაგების საქმე ფრანგული სარდლობის მიერ მაღალ დონეზე იქნა ორგანიზებული. ამ საქმეში შეუცვლელი აღმოჩნდა ავტომობილების როლი, რომლებიც წინასწარ მომზადებული მარშრუტით განუწყვეტლად ახდენდნენ ფრონტის მომარაგებას. ზურგის რაიონიდან და სხვა ფრონტებიდან 1916 წლის 27 თებერვალი – 6 მარტის პერიოდში, ვერდენთან 6000 სატვირთო ავტომობილით გადაყვანილ იქნა დაახლოებით 190 ათასი ჯარისკაცი და 25 ათას ტონაზე მეტი სამხედრო ტვირთი. ათი თვის განმავლობაში 16 საგზაო და მუშათა ბატალიონი მუშაობდა ე.წ. „წმინდა გზის“ შეკეთებასა და მისი საექსპლუატაციო კონდიციის შენარჩუნებისათვის.

⁷⁵ „წმინდა გზა“ ერთმანეთთან ბარ-ლე-დუკს და ვერდენს აერთებდა და მისი საერთო სიგრძე 80კმ-ს შეადგენდა. ეს დასახელება ამ მაგისტრალმა I მსოფლიო ომის შემდგომ მიიღო, რადგან მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ვერდენის ბრძოლების საბოლოო შედეგზე.

⁷⁶ ფორტი დუომონი (ფრანგ. Fort de Douaumont) წარმოადგენდა ქალაქ ვერდენის გარშემო 1890 წლიდან აშენებული 19 დიდი ციხესიმაგრიდან უდიდეს და უძლიერეს ფორტს.

ჩაყენებული. მოგვიანებით, ფრანგთა სარდალი, გენერალი პეტენი, დაჯავშნულ კოლოსზე გერმანელთა შეტევის ამ გადაწყვეტილებას გმირობად შეაფასებს.

გერმანელები თავგამოდებით უტევენ გასასვლელებსა და კაზემატებში⁷⁷ გამაგრებულ ფრანგებს, მაგრამ იქ მხოლოდ სამოცდაშვიდი კაცია, აქედან ათი არტილერიისტი გუმბათის დაჯავშნულ კომპანია გამაგრებული. ისინი დაუყოვნებლივ ნებდებიან, რადგან ფიქრობენ, რომ მათ პირისპირ გერმანელთა მთელი დივიზიაა.

ასე ხვდება გერმანელების ხელში უზარმაზარი და ძლიერი ფორტი, ისე რომ, არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი არ იღუპება და არ იჭრება.⁷⁸ ეს მართლაც სასწაულია, უძლიერესი ფორტის დანაკარგების გარეშე ალება მართლაც დაუჯერებელი ამბავია. ზურგში განლაგებულ გერმანელთა შტაბებში ამის შესახებ არაფერი იცინა და ბრძოლა იგივე ინტენსივობით გრძელდება. გერმანული არტილერია საათობით ესვრის ფორტის გუმბათს ჭურვებს, რადგან ფიქრობენ, რომ იქ ისევ ფრანგები არიან. არადა ფორტი უკვე აღებულია და მასში გერმანელი ჯარისკაცები იმყოფებიან.

ბოლოს და ბოლოს გერმანელებისთვისაც ცნობილი ხება ფორტის აღების ამბავი. რაო? ფორტი დუომონი აღებულიაო?... გამორიცხვლია, ეს შეუძლებელია ასე მომხდარიყო, რადგან მეთაურების პირდაპირ ბრძანებაში ეს არ იყო გათვალისწინებული. მაგრამ ფაქტობრივად ეს მოხდა, გერმანელებმა გაბედეს შეტევის მიტანა ფორტზე და მათ მოიგეს ეს ბრძოლა.

მომდევნო დღეს გერმანული გაზეთები გამარჯვების შესახებ დაუჯერებელ ინფორმაციას ავრცელებენ. ახლა კი, ვერდენიც უნდა დაეცეს! ეს დიდი გამარჯვებაა და ამით გადაწყდება ომის საბოლოო შედეგი დასავლეთში. „მე ერთი წუთითაც არ მეპარებოდა ეჭვი ვერდენის დაცემაში,“ – წერს 2 მარტს ამ ბრძოლების მონაწილე არტილერიის ოფიცერი, ფრანც მარკი⁷⁹, გამოჩენილი გერმანელი მხატვარი. ორი დღის შემდეგ იგი ხელყუმბარის ნამსხვრევებით დაიღუპება.

8 მარტს შეტევის ახალი ბრძანება ცხადდება. ახლა გერმანელებმა უნდა აიღონ მეზობელი ციხესიმაგრე ვოქსიც, რომელიც ფრანგების თავდაცვის ძირითად საყრდენ ფორტს წარმოადგენს. ისინი წარმატებულ შეტევაზე ამყარებენ იმედს, მაგრამ ფორტი ვოქსი ფრანგთა მიერ კარგად არის დაცული, ხოლო მათი დანმარება და ახალ-ახალი ძალებით შევსება, უკვე „La Voie sacree“ – „წმინდა გზის“ გამართულ მუშაობაზე იქნება დამოკიდებული. ფრანგებისათვის ამ ფორტის დაცვა და შენარჩუნება უკვე არა ტაქტიკური ამოცანაა, არამედ ეროვნული ღირსების საქმეა. ფორტი ვოქსი არ უნდა დაეცეს! მისი კომენდანტი, მაიორი რეინალიც⁸⁰ ამისთვისაა მოწოდებული.

⁷⁷ კაზემატი (ფრანგ. Casemate, იტალ. Casamatta) – პირდაპირი მნიშვნელობით „ბრმა, უხილავი შენობა, სახლი“. Casa (სახლი)+Matta (ბუნდოვანი) – გამაგრებულ საფორტიფიკაციო ნაგებობაში (ციხესიმაგრე, ფორტი, ღოტი და ა.შ.) მოწინააღმდეგის საარტილერიო ცეცხლისა და საავიაციო დაბომბვისაგან დაცული ცალკეული შიდა სათავსო ან შენობა, სადაც განთავსებულია გარნიზონის პირადი შემადგენლობა, მისი შეიარაღების, სურსათ-სანოვავისა და საბრძოლო მასალების საწყობები.

⁷⁸ 1915 წელს საფრანგეთის გენერალურ შტაბში განვლილი საბრძოლო ოპერაციების ანალიზის საფუძველზე, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვერდენის საუკეთესო ციხესიმაგრეები და ფორტები საბოლოოდ მინც ვერ აღუდგებოდნენ წინ გერმანელთა ზემოქმედებას, 420მმ-იან ჰაუბიცებსა და მორტიერებს. ამის კარგი მაგალითი იყო ჯერ კიდევ ომის დასაწყისში, 1914 წლის ზაფხულზე გერმანული არტილერიის მაღალეფექტური მოქმედებები ბელგიაში. შესაბამისად, 1915 წლიდან ვერდენის ცალკეული ფორტებიდან და მათ შორის დუომონის ფორტიდან ფრანგებმა ნაწილობრივ გამოიტანეს მძიმე შეიარაღება, აგრეთვე გამოყვანილ იქნა გარნიზონის ნაწილი. ასე, რომ ვერდენის ფორტების ნაწილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნაკლებად დაცული იყო და გერმანული შემტევი ქვედანაყოფებისათვის მათი აღება გადაუღალავად სირთულეს აღარ წარმოადგენდა.

⁷⁹ ფრანც მარკი (გერმ. Franz Marc) (1880-1916წ.წ.) – XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი გერმანელი მხატვარი, გერმანული და ევროპული ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. ავგუსტ მაკესა და ვასილი კანდინსკისთან ერთად წარმოადგენდა სამხატვრო გაერთიანება „ლურჯი მხედრის“ (გერმ. Der Blaue Reiter) მთავარ ორგანიზატორს.

⁸⁰ ევენ რეინალი (ფრანგ. Sylvain Eugène Reynal) (1867-1939წ.წ.) – ლეგენდარული ფრანგი სამხედრო ოფიცერი, ვერდენის ბრძოლების გმირი. დაიბადა ბორდოში. I მსოფლიო ომის მონაწილე. პირველად დაიჭრა 1914 წლის სექტემბერში ტყვიამფრქვევის ტყვიით მხარში. იმავე წლის დეკემბერში მეორედ დაიჭრა უძიმესად ჭურვის ნამსხვრევით. პოსტიტალში ათი თვის მკურნალობის შემდეგ ბრუნდება ფრონტზე და რამდენიმე დღეში ისევ იჭრება,

გერმანელთა მოიერიშე ქვედანაყოფები მედგრად მიიწვევენ წინ, „ვაშას“ ძახილით არღვევენ პირველ მავთულლობურას და ძალიან სწრაფად იკავებენ სოფელ ვოქსს. გერმანელ არტილერიისტებს კი ჰკონიათ, რომ იქ ისევ ფრანგები იმყოფებიან და საკუთარ ჯარისკაცებს უხსნიან ცეცხლს. ეს ე.წ. „მეგობრული ცეცხლია“. ძალიან ბევრი გერმანელი ჯარისკაცი იღუპება, დანარჩენები კი, იძულებულნი ხდებიან, რომ უკან დაიხიონ. ესეც გერმანელთა მიერ დაშვებული კიდევ ერთი შეცდომაა. გერმანელთა პირველი შეტევა ფორტ ვოქსზე წარუმატებლად სრულდება.

მომდევნო დღეს, 9 მარტს, ალიონზე შეტევა კვლავ ახლდება. ამჯერად ის უკეთესად მიმდინარეობს. სამი გერმანული პოლკი ალყაში აქცევს ფორტ ვოქსს და აღწევს ფორტის მარჯვენა და მარცხენა სიმაღლეს. მაგრამ გერმანული არტილერია ისევ ისვრის. საჭიროა მათი სასწრაფოდ ინფორმირება და ცეცხლის კორექტირება და მისი წინ გადატანა საბოლოო შეტევის დაწყებამდე. რეზერვისტთა მე-6 ქვეითი პოლკის 1-ლი ბატალიონის მეთაური, როტმისტრი⁸¹ ფონ შეელე, ამის გათვალისწინებით შემდგომ მოხსენებას წერს: „დაახლოებით 7 საათზე სამი ასეულით მივალწიე ფორტ ვოქსს... ერთი ასეულის ძალებით გადავედი შეტევაზე.“ იგი ვერც კი ხვდება, თუ რამდენად დამღუპველ შეცდომას უშვებს კორპუსის შტაბისადმი ამ არაზუსტად ფორმულირებული მოხსენებით. როტმისტრი შეცდომით მიუთითებს ობიექტის დასახელებას, რადგან მოლოდინი და სურვილი ერთმანეთს ემთხვევა. როცა აღწევენ ერთ ობიექტს ან პუნქტს და იწყებენ შეტევას, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეს პუნქტი უკვე აღებულია? ნამდვილად არა. თუმცა, კორპუსის შტაბში უფრო დიდ შეცდომას უშვებენ. მამაცი როტმისტრის ეს შეტყობინება მათ ფორტ ვოქსის დაცემად აღიქვეს. შტაბში უკვე ულოცავენ ერთმანეთს გამარჯვებას და გახარებულები ხელს ართმევენ.

დაჯავშნული ფორტი ვოქსი დაეცა! იგი ავიღეთ და ფრანგები დაგვენებდნენ ისევე, როგორც ეს ფორტ დუომონის შემთხვევაში იყო. რა თქმა უნდა, ეს ასეა და ამაში არაფერია გასაკვირი. შეუძლებელია, რომ სხვაგვარად მომხდარიყო! შეტყობინების მიღებისას, მეწინავე დივიზიის შტაბში შემთხვევით იმყოფება მე-5 არმიის სარდალი, კრონპრინცი ვილჰელმი.⁸² ამ დიდი გამარჯვების მიღწევისათვის კრონპრინცი მეთაურს

ამჯერად შრაპნელით, რის შედეგადაც კარგავს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარს. მისი დაჟინებული მოთხოვნით და საფრანგეთის სამხედრო მინისტრის სპეციალური განკარგულებით, 1916 წელს ინიშნება ვერდენში ფორტ „ვოქსის“ კომენდანტად. უმძიმესი ბრძოლების შემდეგ საბოლოოდ ფორტი ეცემა, მძიმედ დაჭრილ და უგონო მღვდლმარეობაში მყოფ რეინალს კი, გერმანელები ტყვედ იყვანენ. ბრძოლებაში გამოჩენილი დიდი სიმამაცისა და თავგანწირვისათვის გერმანიის არმიათა ჯგუფის – „კრონპრინცი ვილჰელმი“ სარდალმა, კრონპრინცმა ვილჰელმმა, ფრანგი ოფიცერი ოქროსვადიანი ხმლით დააჯილდოვა.

⁸¹ როტმისტრი (გერმ. Rittmeister; Ritt – საკავალერიო რაზმი, ქვედანაყოფი. Meister – უფროსი) – გერმანიის საკავალერიო ჯარებში უფროსი ოფიცრის ჩინი. რუსულ არმიაში ეს ჩინი გერმანულიდან შემოვიდა და იგი ქვეით ჯარშიც იხმარებოდა. მოგვიანებით იგი სხვა ქვეყნების არმიებშიც გარცვლდა. გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთში როტმისტრი, როგორც წესი, მეთაურობდა ესკადრონს, იშვიათად საკავალერიო დივიზიონს და პოლკს. III რაიხის შეიარაღებულ ძალებში – ვერმახტში, როტმისტრი შენარჩუნდა როგორც კავალერიის ოფიცრის წოდება. ეს წოდება იხმარებოდა აგრეთვე არტილერიაში. ავსტრიაში, 1945-1978 წლების პერიოდში, როტმისტრი ჟანდარმერიისა და პოლიციის სპეციალურ წოდებას წარმოადგენდა.

⁸² კრონპრინცი ვილჰელმი – ფრიდრიხ ვილჰელმ ვიქტორ ავგუსტ ერნსტ პრუსიელი (ვილჰელმ III), გერმანიისა და პრუსიის კრონპრინცი (გერმ. Friedrich Wilhelm Victor August Ernst von Preußen) (1882-1951წ.წ.) – კაიზერ ვილჰელმ II-ისა და იმპერატრიცა ავგუსტა ვიქტორია ავგუსტენბურგის უფროსი შვილი. ჰოჰენცოლერნების დინასტიის გერმანიის იმპერატორების გვირგვინის უკანასკნელი შთამომავალი, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი. მისი ბაბუის, ფრიდრიხ III-ის გარდაცვალების შემდეგ, 6 წლის ასაკიდან ხდება გერმანიის იმპერიის კრონპრინცი და ამ ტიტულს ატარებდა 30 წელზე მეტ ხანს, გერმანიის იმპერიის დასასრულამდე, 1918 წლის 5 ნოემბრამდე. 1900 წლიდან უფროსი ლეიტენანტია. 1901-1903 წლებში სწავლობდა ბონის უნივერსიტეტში. 1908 წლიდან ბატალიონის მეთაურია, 1911 წლიდან – დანციგის 1-ლი ლეიბ-გვარდიული პოლკის მეთაური. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1914-1916 წლებში, სარდლობდა გერმანიის მე-5 არმიას (დაახლოებით 230 ათასი კაცი და 698 ქვემეხი). ხოლო 1916 წლიდან ომის დასასრულამდე – არმიათა ჯგუფის „კრონპრინცი ვილჰელმი“. ომებს შორის პერიოდში მხარს უჭერდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის კურსს და მის ლიდერს, ადოლფ ჰიტლერს. კრონპრინცი ვილჰელმი ჰოჰენცოლერნების სახლის უფროსი 1941 წლის 4 ივნისიდან გახდა, მამის, კაიზერ ვილჰელმ II-ის გარდაცვალების შემდეგ, და ეს პოზიცია ეკავა სიკვდილამდე, 1951 წლამდე. გარდაიცვალა გულის შეტევისაგან, 69 წლის ასაკში.

სასწრაფოდ აჯილდოებს და უბოძებს მეტად საპატიო ორდენს „Pour le Mérite“.⁸³ ფორტ ვოქსის ალების ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება მთელს გერმანიაში და გაზეთის საგანგებო გამოცემაც იუწყება: „დიდი გამარჯვება – გამაგრებული ვოქსი ავიღეთ ბრწყინვალე შეტევით!“

გერმანელი ხალხი ზეიმობს – ეს მართლაც დიდი დღესასწაულია, ეროვნული დღესასწაული. სამშობლოში ყველგან ისმის ეკლესიის ზარების ხმა, შენობებზე კი ეროვნული შავ-თეთრ-წითელი დროშები ფრიალებს, მოსწავლეებს სკოლებიდან ითხოვენ და ყველგან საზეიმო განწყობა სუფევს. გერმანელთა ამ გრანდიოზული გამარჯვების ამბავი მთელ მსოფლიოში ვრცელდება.

სადამოსათვის დივიზიის შტაბებისთვის ნათელი ხდება, რომ საშინელი შეცდომა დაუშვეს. სამშობლოში ზეიმობენ იმ გამარჯვებას, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ფორტი ვოქსი ისევ ფრანგების ხელში იყო, მაგრამ ახლა უკვე შეუძლებელია სწორი ინფორმაციის აღიარება და „ამ დიდი გამარჯვების“ უკან წაღება. ეს გამორიცხულია. ასეთი უხერხულობა თავიდან უნდა ააცილონ მეთაურებს. მდგომარეობის გამოსასწორებლად კი, მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: ეს ინფორმაცია უნდა შეუსაბამონ სინამდვილეს – ნებისმიერ ფასად უნდა აიღონ ფორტი ვოქსი, და რაც შეიძლება სწრაფად! გადაწყვეტილება მიღებულია – მომდევნო დღეს, 10 მარტს, ფორტი უნდა ჩაბარდეს. საქმე გერმანიისა და გერმანელი ოფიცრის მუნდირის ღირსებას ეხება. ეს სამწუხარო შეცდომა სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ.

ამ ამბავს და მასთან დაკავშირებით გერმანული სარდლობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კი შედეგად მოსდევს უპრეცედენტო შემთხვევა სამხედრო ისტორიის სფეროდან: ათასობით ადამიანს იმეტებენ სასიკვდილოდ, რათა არასწორი მოხსენება სინამდვილედ აქციონ და მეთაურებს აღარ მოუწიოთ გამარჯვების შესახებ გაუაზრებლად გაცემული მოხსენების უარყოფა. გერმანელთა შეტევა, რომლის დროსაც დაიღუპა მამაცი როტმისტრი ფონ შელე, ფრანგებმა მოიგერიეს. თუმცა, ისტორია არ აიძულებს შეცდომების დამშვებ პირებს ამ შეცდომების სისხლით გამოსყიდვას. ფორტი ვოქსი მყარად უძლებს ყველა შემდგომ შეტევასაც.

სამი თვე გადის, ვიდრე ციხესიმაგრე კაპიტულაციას გამოაცხადებდეს, ისიც იმიტომ, რომ გარნიზონს წყლის მარაგი ეწურება. ცისტერნების ტევადობა ათას რვაასი ლიტრია, რაც გაუთვალისწინებელი შეცდომაა. ჭები ძალიან პატარა იყო და თავდაცვაში მყოფ ძალებს წყურვილით სიკვდილი ემუქრებოდა.⁸⁴

⁸³ კრონპრინცი ვილჰელმი ვერდენთან დატრიალებული ხორცსაკეპისა და გაუმართლებელი სისხლისღვრის წინააღმდეგ გამოდიოდა. ვერდენის ოპერაციის მიმდინარეობისას იგი წარმოადგენდა არმიათა ჯგუფის – „კრონპრინცი ვილჰელმი“ სარდალს. არმიათა ეს ჯგუფი გაშლილი იყო დასავლეთის ფრონტის შუა ნაწილში. II რაიხის ტახტის მემკვიდრე არ წარმოადგენდა მხოლოდ „მშვიდობიანი დროის გენერალს“. იგი იყო ძალაღმრთველი ცოდნის, ჭკვიანი და დიდი ნებისყოფის მქონე ნამდვილი მეთაური – პრუსიული სამხედრო ელიტის ტიპური წარმომადგენელი. ვერდენთან გაშლილი გერმანული ჯარების სიმაძევესა და ტრაგედიას იგი საკუთარი თვალთ ხედავდა და მისი დამოკიდებულება ამ ოპერაციისადმი გამოკვეთილად უარყოფითი იყო. იგი კარგად ანალიზებდა იმ მდგომარეობას, რომ მოულოდნელობის ეფექტი უკვე დიდი ხანია რაც დაკარგული იყო, ფრანგები კარგად იყვნენ მომზადებულნი ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად და ისინი არ აპირებდნენ ადვილად დაეთმოთ პოზიციები. ფრანგები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ მდინარე მასის ორივე ნაპირზე და ორივე მხრიდან დანაკარგები ძალიან დიდი იყო. კრონპრინცი მალე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვერდენის სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია უნდა დასრულებულიყო, რადგან იგი ყოველად გაუმართლებელი მსხვერპლთან იყო დაკავშირებული. შემდგომში, თავის მემუარებში კრონპრინცი წერდა:

„ვერდენთან მიმდინარე ბრძოლები, რომელიც თვეები გრძელდებოდა, ჩემს მესსიერებაში ყველაზე მძიმე მოგონებებად დარჩა I მსოფლიო ომის ისტორიიდან. მე წინასწარ ვგრძნობდი თუ როგორ წარიმართებოდა და რა შედეგები ექნებოდა ამ ბრძოლებს. ჩემთვის ეს ცნობილი იყო, რადგან ძალიან ხშირად ვხვდებოდი ჯარისკაცებსა და ოფიცრებს და ამიტომ ილუზიებით არ ვიკვებებოდი. სულის სიღრმეში წინააღმდეგი ვიყავი ამ ოპერაციისა, მაგრამ როგორც სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი, იძულებული ვიყავი შემესრულებინა ბრძანება შეტევითი ოპერაციის წარმოების შესახებ“.

ეს არ იყო ლიტონი სიტყვები – ტახტის მემკვიდრე არაერთხელ გამოვიდა ვერდენის ოპერაციის შეწყვეტის მოთხოვნით და ამის შესახებ რამდენჯერმე მიწერა როგორც გენშტაბის უფროსს, გენერალ ფალკენჰაინს, ასევე საკუთარ მამას, კაიზერ ვილჰელმ II-ს.

⁸⁴ ფორტ „ვოქსზე“ გერმანელ ქვეითთა შეტევას წინ უძღოდა ძლიერი საარტილერიო მომზადება. ფორტს ბომბავდა 26 მძიმე მორტირა და 24 მსხვილკალიბრისანი ჰაუბიცა. გერმანელთა ბოლო შეტევას წინ უძღოდა არტილერიის ორდღიანი

9 აპრილს პეტენი გამოსცემს თავის ცნობილ ვერდენის ბრძანებას: “Courage, on les aura!” („გაუძელით, ჩვენ მას მოვიპოვებთ!“) – ასეთია ვერდენის დამცველთა დაუვიწყარი სიტყვები. ფრანგული შენაერთების ყოველდღიური დანაკარგები ვერდენში დაახლოებით სამი ათას კაცს შეადგენს. მაგრამ გერმანიის მხარეზეც თითქმის იგივე რაოდენობის დანაკარგებია ცოცხალ ძალაში. გერმანელთა შეტევებიც ნელ-ნელა სუსტდება. ლოზუნგი – „ვერდენი, როგორც მოლოხი“⁸⁵, ისე ჭამს საფრანგეთის შვილებს,“ – არასწორი აღმოჩნდა. გერმანელების გათვლა სულ სხვა იყო. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ფრანგების მხარეს სამჯერ მეტი დანაკარგი მინც იქნებოდა. სინამდვილეში კი, ორივე მხარის მიერ განცდილი დანაკარგები ცოცხალ ძალაში ერთმანეთს უთანაბრდება. სისხლისღვრის თეორიის საშინელი შეცდომა დღითიდღე ნათელი ხდება. ფრანგების დანაკარგები დაახლოებით 380 ათას ჯარისკაცს შეადგენს, ხოლო გერმანელებისა – 340 ათასს. თუ გავითვალისწინებთ ბრძოლებს ომის ბოლომდე, ზუსტი შეფასების მიხედვით, ვერდენის ბრძოლებში დაიღუპა 420 ათასი და დაიჭრა 800 ათასი ადამიანი. მარტო დუომონის სამარხში, ტრაგიკული შემთხვევის შედეგად დაღუპულთათვის ომის შემდეგ აგებულ მემორიალთან 130 ათასი უცნობი ჯარისკაცი განისვენებს.⁸⁶

1916 წლის მაისში I მსოფლიო ომის მსვლელობაში გარდატეხა ხდება. ზაფხულის პერიოდში მოკავშირეები იწყებენ უდიდეს შეტევას, რაც ვერდენთან მყოფ გერმანელებს საფრთხეს უქმნის ზურგში და აიძულებს მათ უკანდახევას.⁸⁷ ასეთი დიდი სისხლისღვრით მოპოვებულ ტერიტორიას გერმანელები კვლავ ხელიდან უშვებენ, მათ მიერ დაკავებული ფორტები იწმინდება. ყველაფერი ამო აღმოჩნდა. გენერალ ფალკენჰაინის გეგმა ჩავარდა. ათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება ძირეულ შეცდომას და ილუზიას. გერმანელებმა ფრანგები ვერ დააჩოქეს.

ომების ისტორია ახალი ცნობებითა და მონაცემებით შეივსო. არც ერთ მამაც არმიას და ჯარს არ უბრძოლია ჯერ ასე დიდხანს, ასე გააფთრებით და ასეთი დიდი დანაკარგებით ასეთ მცირე ტერიტორიაზე, როგორც ეს ვერდენში იყო.⁸⁸

მომზადება. ამ საარტილერიო დაბომბვის მასშტაბები მართლაც უპრეცედენტო იყო. უკანასკნელი ხუთი დღე-ღამის განმავლობაში ყოველდღიურად გერმანული არტილერია ფორტისკენ 150 ათას ჭურვს უშვებდა.

⁸⁵ მოლოხი (ლათ. Moloch, ბერძნ. Μολόχ, ებრ. מֹלֶךְ) – ბიბლიური ქანანის ძველი ხალხების – მკვდარი ზღვისა და მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები მოაბელებისა და ამონიტელების ვაცისთავიანი ნაყოფიერების ძველი ღვთაება, რომელსაც გადმოცემის თანახმად მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს. მის ანალოგს წარმოადგენს ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული კართაგენელთა ბაალ-ამონის ღვთაება. მეცნიერთა ვარაუდით ბიბლიური მოლოხი ქვესკნელის დასავლეთსემიტური ღმერთია, მასთან დაკავშირებული ადამიანთა მსხვერპლთშეწირვის რიტუალი კი, კართაგენის კულტურულ არეალში გავრცელებული მოვლენა იყო.

⁸⁶ ვერდენის ხორცსაკეპში გაიარა, ან როგორც გენერალი ფალკენჰაინი იტყვოდა „მასის რაიონის საფეკვაში გადამუშავდა“ 110-ზე მეტი დივიზია: 95 ფრანგული დივიზიიდან – 65 და 125 გერმანული დივიზიიდან – 50. შედეგები ორივე მხარისთვის მართლაც დამანგრეველი იყო. ამ ბრძოლებში მთელი დივიზიები განადგურდნენ. დივიზიების საერთო დანაკარგები ცოცხალ ძალაში 70-100%-ს შეადგენდა, ზოგიერთი დივიზიის დანაკარგი კი, შეესებოდა შემდეგ – თავისი ნომინალური შემადგენლობის 150%-საც აღწევდა. ასე მაგალითად, გერმანელთა ჰესენის ქვეითმა დივიზიამ 279 ოფიცერი და 9523 ჯარისკაცი დაკარგა, ბრანდენბურგის მე-5 ქვეითმა დივიზიამ – 218 ოფიცერი და 10099 ჯარისკაცი, მე-6 დივიზიამ – 321 ოფიცერი და 9282 ჯარისკაცი და ა.შ. და ეს მაშინ, როცა ამ დივიზიების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა შეშველებული ნაწილებისა და ქვედანაყოფების ჩათვლით, 9000 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენდა.

⁸⁷ აქ 1916 წლის 1 ივლისს მოკავშირეთა მიერ დაწყებულ სომას ბრძოლაზეა საუბარი, რომელიც თავისი მასშტაბებითა და მნიშვნელობით ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა I მსოფლიო ომში.

⁸⁸ სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით თუ გავანალიზებთ, ვერდენის ბრძოლებში პირველად იქნა ფართოდ გამოყენებული მსუბუქი ტყვიამფრქვევები, თოფის ყუმბარმტყორცნები, ცეცხლისმფრქვეველები და ქიმიური ჭურვები. მნიშვნელოვნად გაიზარდა საარტილერიო ცეცხლის სიმკვრივე. განაკუთრებით გამოჩნდა მძიმე და ზემოთ არტილერიის დამანგრეველი ძალის ეფექტურობა. ფართო გამოყენება ჰპოვა არტილერიის გადაძობმა ცეცხლმა, უფრო ქმედითი გახდა არტილერიისა და ქვეითი ჯარების ურთიერთქმედება. უკვე ამ დროს ჩნდება არტილერიის საცეცხლე ზღუდის შექმნის პირველი ნიშნები. ქიმიური ჭურვები ძირითადად გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის არტილერიის წინააღმდეგ. ქვეითი დივიზიები შეტევაში ეწყობოდნენ ღრმა კოლონებად (1 დივიზია 1კმ-იან ზოლში), იერიშის ზღუდეზე კი, ფორმირდებოდა მოიერიშე ნაწილები. ვერდენის ოპერაციის მსვლელობისას ომების იტორიაში პირველად მიიღო ორგანიზებული სახე თავდაცვის ახალმა ფორმამ – გამაგრებულმა რაიონმა. ხანგრძლივი მოქმედების საფორტიფიკაციო ნაგებობებმა საველე გამაგრებებთან და ფორტებთან ერთად თავისი სიცოცხლისუნარიანობა აჩვენეს ხანგრძლივ პოზიციურ ბრძოლებში. ამ თვალსაზრისით, ერთი რამის თქმა გადაჭრით შეიძლება – ვერდენის გამაგრებულმა რაიონმა თავისი მისია შესრულა.

ამ ხანგრძლივი, დაუნდობელი და სისხლიანი ბრძოლის შედეგები კი, მართლაც განსაკვიფრებელი და შემზარავია. ამ არემარეში არსებული დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი მთლიანად განადგურდა. ომის შემდეგ ვერდენს ენიჭება წმინდა ადგილის სტატუსი – „მსხვერპლად შეწირული სოფელი“ (ფრანგ. “Villages sacrifiés“). ვერდენის ბრძოლის ველზე დღეს უკვე დასახლებული პუნქტების ისეთ მაჩვენებლებსაც შეხვდებით, როგორცაა მაგალითად, “Ici fut Fleury“ (ფრანგ. „აქ ოდესღაც იყო ფლერი“).

1916 წლის 29 აგვისტოს გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ ერის ფონ ფალკენჰაინს, ვერდენის წარუმატებელი ოპერაციის გამო დაკავებული თანამდებობიდან ხსნიან და მის ნაცვლად გენშტაბის უფროსად „ტანენბერგის გმირსა“ და „აღმოსავლეთ პრუსიის მხსნელს“, გენერალ-ფელდმარშალ ჰაულ ფონ ჰინდენბურგს ნიშნავენ, მის მოადგილედ კი, ასევე გერმანიის იმპერიის მეორე „მხსნელსა და გმირს“, გენერალ ერის ლუდენდორფს. დანიშნვიდან ორ დღეში, 2 სექტემბერს, ჰინდენბურგი ვერდენთან ბრძოლების შეწყვეტას ბრძანებს. გაზეთი „ომის ექ“ 3 ნოემბრის №117 ნომერში საქვეყნოდ იუწყება გერმანელების ვერდენთან გამარჯვების შესახებ, რადგან საგანაფხულო შეტევის შედეგად გერმანელებმა საკმარისი ტერიტორია დაიკავეს. „ის, რაც ჩვენმა ჯარებმა გააკეთეს სრული განუსჯელობის პირობებში მოპოვებულის მტკიცედ შენარჩუნებით, გაუგონარი გაჭირვების, ყველა სახის შიშისა და აგრესიის გადატანით, გმირობის უმაღლესი მწვერვალია,“ – ასეთი არის სტატიის მთავარი იდეა.

მსგავსი პროპაგანდისტული ქადაგება და ფატალური მცდელობა, ესაუბრათ აქამდე არნახულ და დიდ გამარჯვებებზე, გერმანიის ისტორიაში კიდევ არაერთხელ განმეორდება. ამ ამბებიდან 27 წლის შემდეგ, უკვე II მსოფლიო ომში სტალინგრადთან დატრიალებული ამბები, ამის ნათელი დადასტურება იქნება.


რეალობა კი ისაა, რომ ვერც ერთი მხარის ვერც ერთი ვერსია გვერდს ვერ უვლის იმ შეფასებას, რომ გერმანელებმა ვერდენის ოპერაცია და ბრძოლები წააგეს – გენერალ ერის ფონ ფალკენჰაინის სტრატეგიულმა ჩანაფიქრმა სრული კრახი განიცადა – ომი გამოფიტვაზე არ გამოვიდა. „კაციჭამია მოლოხმა“ კი, თავისი საქმე გააკეთა – ვერდენი I მსოფლიო ომის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სისხლიან სიმბოლოდ იქცა.

ვერდენთან დაიღვარა გერმანიის ქვეითი ჯარის რჩეული ჯარისკაცების სისხლი. ვერდენთან განცდილი დიდი დანაკარგების შემდეგ მოქმედმა გერმანულმა არმიამ სული ველარ მოითქვა.⁸⁹

⁸⁹ ვერდენის ბრძოლა, რომელიც გერმანულ და ფრანგულ არმიებს შორის 1916 წლის 2 თებერვლიდან 18 დეკემბრამდე მიმდინარეობდა, I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტის უდიდეს და ყველაზე ხანგრძლივ საომარ კამპანიას წარმოადგენდა, რომელმაც ასეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეწირა. საერთო ჯამში, გერმანიის გენშტაბისა და მისი უფროსის, გენერალ ფალკენჰაინის მიერ დაგეგმილი ეს ოპერაცია უშედეგოდ დასრულდა. დეკემბრის ბოლოსთვის ფრანგულმა შენაერთებმა ვერდენიდან 2კმ-ზე უკუაღდეს გერმანელები და იმ ხაზზე გავიდნენ, რომელიც მათ ოპერაციის დაწყებისას, 25 თებერვლისათვის ეკავათ. ყველაფერი ამო გამოდგა. უდიდესი დანაკარგების მიუხედავად, გერმანელებმა თავისი სტრატეგიული ამოცანა ვერ შეასრულეს. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით კი, ვერდენის ბრძოლა იმით იყო საინტერესო, რომ აქ პირველად იქნა ფართოდ გამოყენებული მსუბუქი ტყვიამფრქვევები, ყუმბარმტყორცნები, ცეცხლისმფრქვეველები და ქიმიური ჭურვები. არტილერიის ცეცხლის სიმკვრივემ აქამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. დაპირისპირებულ მხარეთა შორის მიმდინარეობდა საპერო ბრძოლები ჰაერში დომინანტობის მოსაპოვებლად, ამავე დროს ადგილი ჰქონდა ავიაციის მხრიდან სახმელეთო ბრძოლების მხარდაჭერას. ვერდენის ოპერაციის მსვლელობისას პირველად მოხდა ომების ისტორიაში საავტომობილო ტრანსპორტით ჯარების ოპერატიული გადაჯგუფება და მათი ლოჯისტიკური მომარაგება.



ანრი ფილიპ პეტენი
(1856-1951)




ევენ რეინალი
(1867-1939)



ფრანც მარკი
(1880-1916)



გენერალი ანრი ფილიპ პეტენი იბარებს ფრანგული ჯარების დასავლეთის ფრონტის სარდლის თანამდებობას. 1916 წლის 26 თებერვალი




ჟჟმ. ზაჟჟ, Oბერჟლ. v Doen, ზჟმ v Brand.s.
(Alle drei vom Brandenburg. Inf.-Regt. Nr. 24.)

მარცხნიდან მარჯვნივ: კაპიტანი ჰანს-იოაჟიმ ჰაუპტი, უფროსი ლეიტენანტი გეორგ ფონ
ოვენი და კაპიტანი კორდლტ ფონ ბრანდისი



ქალაქი ვერდენი 1915 წელს



ვერდუნის ციტადელი. გერმანული საფოსტო ბარათი. 1916 წელი



ფრანგი ჯარისკაცები ვერდუნის ტყეში




გერმანული ქვედანაყოფები ვერდენისკენ მიემართებიან




კრონპრინცი ვილჰელმი და კაიზერი ვერდენის ფრონტის შტაბში



ფრანგები ვერდენისკენ მიმავალ გზაზე




ვერდუნის გამაგრებული რაიონი და იქ არსებული ფორტები – დუომონი, ვოქსი, ტავანესი, მულენვილი, სოუვილი, სენტ-მიშელი, ბელევილი, სარტელესი და სხვა




ფორტი „დუომონი“ ბრძოლების დაწყებამდე. აეროფოტოსურათი. 1916 წელი



ფორტი „დუმონის“ ამბრაზურები



„სქელი ბერტა“ (L/12 Dicke Berta) – კრუპის წარმოების 420მმ-იანი მსხვილკალიბრიანი მძიმე ჰაუბიცა.



„მომხიბლავი ემა“ (M11 Schlanke Emma) – გერმანული წარმოების 305მმ-იანი მძიმე მორტირა



„Против закона Божьего и чести чешаго“. Аппарат для выбрасывания горячей жидкости, употребляемый германскими войсками.

ცეცხლისმფრქვეველი



Filloux – ფრანგული წარმოების მძიმე 370მმ-იანი მორტირა



alamy stock photo

BSMT25
www.alamy.com

ფრანგული წარმოების საარტილერიო ჭურვები




Verdun 1916 near Hill 304

ვერდენი, 1916 წელი. გერმანელი ქვეითები ხელყუმბარებითა და ცეცხლისმფრქვეველებით უტევენ სიმაღლე „304“ – „მკვდარ კაცს“



ფრანგული ტრანშეა სიმაღლე „304“-ზე






ფრანგი ქვეითები შეტევაში




ფრანგული 75მმ-იანი არტილერიის გადამღობი ცეცხლი ვერდენთან




ფრანგი ჯარისკაცები ალაფად მოპოვებულ გერმანულ „მაქსიმთან“. ფორტი „დუომონი“





BATTLE OF VERDUN, FEBRUARY 21-22, 1916



BATTLE OF VERDUN, FEBRUARY 23, 1916



BATTLE OF VERDUN, FEBRUARY 24, 1916



ფორტ „დუომონის“ აპრაზურებში განთავსებული 75მმ-იანი არტილერია



“La Voie Sacrée” – „წმინდა გზა”



„წმინდა გზა” – La Voie Sacrée. ფრანგების საავტომობილო კოლონები ვერდენთან



ფორტი „დუმონი” ვერდენის ბრძოლების შემდეგ



gottmituns.net

შეტევის წინ



გერმანულ მოიერიშეთა ჯგუფები შეტევაში



„ლუმონის“ კაზემატებში



ფრანგთა საბრძოლო დანაკარგები



სოფელი ვოქსი, 1916 წლის იანვარი



ფორტი „ვოქსი“



ფორტ „ვოქსის“ ამბრაზურები



ფორტ „ვოქსის“ აეროფოტოსურათი




ფორტ „ვოქსის” შიდა კორიდორები

ფორტ „ვოქსის” გადაღლილი გარნიზონი



Fort de Vaux after 2 November 1916.

ფორტ „ვოქსის” დამცველები



ტყვედ აყვანილი ფრანგი ოფიცერი, მაიორი ეჟენ რეინალი



ვერდენზე განხორციელებული ქიმიური შეტევის აეროფოტოსურათი



სიკვდილი აბუშავებს „ვერდუნის სისხლსაქაჩ ტუმბოს“. გერმანული პროპაგანდისტული მედალი, 1916 წელი.





ვერდენის ბრძოლის შედეგები



სოფელი ვოქსი ვერდენის ბრძოლების შემდეგ




„აქ ოდესღაც იყო ფლერი...“



კიდევ ერთი ნასოფლარის მარვენებული ვერდენტან



© Pierre Grande Guerre 2005



© Pierre Grande Guerre 2009

„გამვლელი, გააგრძელე გზა და შეატყობინე სხვებსაც, რომ ეს სოფელი ვერდუნის გადასარჩენად დაიღუპა, რომელმაც მსოფლიო გადაარჩინა. ვოქსი, 1924 წლის 10 აგვისტო. რ. პუანკარე.“



ვერდენის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალი

§1.5. ისტორიის უდიდესი საზღვაო ბრძოლა (სკაგერაკი, 1916 წლის 31 მაისი)

სკაგერაკთან ბრძოლა,⁹⁰ რომელიც ბრძოლაში მონაწილე 254 დიდი სამხედრო გემის რაოდენობის მიხედვით ყველა დროის უდიდეს საზღვაო ბრძოლად შეგვიძლია ჩავთვალოთ, უკვე ბრძოლის დაწყების წინ გერმანელების მხრიდან დაშვებული შეცდომით იწყება.⁹¹

ადმირალმა რაინჰარდ შეერმა,⁹² გერმანიის საიმპერიო სამხედრო ფლოტის (Kaiserliche Marine) სარდალმა, დანამდვილებით არ იცოდა, რომ 1914 წლის აგვისტოდან ბრიტანელები გერმანელთა მთავარი საზღვაო შტაბის საიდუმლო რადიოკოდებს ფლობდნენ. ერთ-ერთი საზღვაო შეტაკების შედეგად, პატარა გერმანული კრეისერ „მაგდებურგის“ მიტაცებით, გერმანული რადიოკოდები მოკავშირეებს ჩაუვარდათ ხელში. ამ დროს კი, არც ერთ პასუხისმგებელ ოფიცერს არ აღმოაჩნდა იმდენი გამბედაობა, რომ თავის უფროსებთან ელიარებინა ეს სამსახურებრივი დანაშაული. ამგვარად, 1916 წლის 30 მაისს შეერი ეჭვის შეუტანლად იყენებს ამ კოდს, და თავისი მთავარი საზღვაო ბაზიდან, ვილჰელმსჰაფენიდან დანიასა და ჩრდილოეთის ზღვაში, ნორვეგიის სამხრეთ ნაწილს შორის არსებული სკაგერაკის სრუტისაკენ მიემართება თავისი ფლოტით.⁹³

ბრიტანეთის მთავარი საზღვაო შტაბი შიფრავს რადიოგრამას და სამეფო ფლოტის სარდალი, ადმირალი ჯონ ჯელიკო⁹⁴, ბრძანებს იმავე საღამოს ბრიტანელთა მთელი სამხედრო ფლოტის, ე.წ. „დიდი ფლოტის“ („Grand Fleet“) გასვლას ზღვაში.⁹⁵ სამეფო

⁹⁰ ჩრდილოეთის ზღვის აკვატორიაში, იუტლანდიის ნახევარკუნძულსა და სკაგერაკის სრუტესთან გამართული I მსოფლიო ომის ეს უდიდესი საზღვაო ბრძოლა, სადაც ერთმანეთს გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის, შესაბამისად ე.წ. „ღია ზღვისა“ – „Hochseeflotte“ და „დიდი ფლოტის“ – „Grand Fleet“ სამხედრო ფლოტები დაუპირისპირდნენ, ომების ისტორიაში შესულია ასევე „იუტლანდიის ბრძოლის“ სახელით.

⁹¹ რა თქმა უნდა, კაცობრიობის ისტორიასა და ომების ისტორიას საზღვაო ბრძოლაში მონაწილე გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების რაოდენობის მიხედვით უფრო დიდი ბრძოლებიც ახსოვს, მაგრამ ბრძოლაში მონაწილე ხომალდთა კლასით, მათი უახლესი ტიპის მსხვილკალბობრიანი შეიარაღებითა და საცეცხლე ძალით, სკაგერაკის, ან სხვანაირად, იუტლანდიის ბრძოლა მართლაც გამორჩეული იყო ტაქტიკური სქემების სიუხვითა და ვითარების სწრაფი ცვლადობით, ბრძოლის დინამიკითა და მასშტაბებით. მან დამსახურებული ადგილი დაიკავა ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

⁹² რაინჰარდ შეერი (გერმ. Reinhard Scheer) (1863-1928წ.წ.) – დიდი გერმანელი სამხედრო მოღვაწე, საზღვაო ოფიცერი, გერმანიის ფლოტის ადმირალი. გერმანიის ე.წ. „ღია ზღვის“ ფლოტის სარდალი. ომების ისტორიაში გამორჩეული სკაგერაკის, ან იუტლანდიის ბრძოლის გმირი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ომების ისტორიაში. 1905 წლიდან 1-ლი რანგის კაპიტანია, 1910 წლიდან – კონტრ-ადმირალი. გამორჩეული იყო თავისი ხასიათის სიმტკიცითა და რკინის დისციპლინით. გერმანულ ფლოტში მისი მეტსახელი იყო „რკინისნიღბიანი კაცი“. I მსოფლიო ომის პერიოდში გერმანული ფლოტის მხრიდან განსაკუთრებულად აგრესიული თავდაცვისა და ბრძოლის სტრატეგიის მხარდამჭერი და მიმდევარი. 1916 წლის იანვარში, ადმირალ ჰუგო ფონ პოლის (გერმ. Hugo von Pohl) გარდაცვალების შემდეგ ჩაიბარა გერმანიის „ღია ზღვის“ ფლოტი.

⁹³ ამ გრანდიოზული საზღვაო ოპერაციის გეგმა გერმანელების მიერ წინასწარ იყო შემუშავებული. დაწყებული 1916 წლის 1 მარტიდან, ადმირალ შეერის განკარგულებით დაიწყო გერმანული წყალქვეშა ნავების შეუზღუდავი ომი მოკავშირეთა კომერციული გემების წინააღმდეგ. შეუზღუდავი წყალქვეშა ომის აპოლოგეტს გერმანიის ფლოტის გროსადმირალი ჰენინგ ფონ ჰოლცენდორფი (გერმ. Henning von Holtzendorff) წარმოადგენდა. ამერიკის შეერთებული შტატების ზეწოლით გერმანია იძულებული გახდა შეეწყვიტა შეუზღუდავი წყალქვეშა ომი და დაეცვა საზღვაო სამართლის კანონები, რაც კომერციული გემების მხოლოდ გაჩერებას და მათ დათვალიერებას ითვალისწინებდა. შეერმა მიზანშეუწონლად ჩათვალა თავისი წყალქვეშა ფლოტის ამდაგვარად გამოყენება და გადაწყვიტა მათი ჩართვა უკვე 1916 წლის 17-18 მაისისათვის დაგეგმილ დიდ საზღვაო ოპერაციაში. გერმანული სარდლობის მიერ ამ ოპერაციის გეგმა კარგად იყო მოფიქრებული – გერმანიის ფლოტის სახაზო გემებს, კრეისერებს და საესკადრო ნაღმონების სამ ფლოტილიას სანდერლენდზე უნდა განეხორციელებინათ დარტყმა და ბრიტანელთა ფლოტის ნაწილი გამოეტყუებინათ ღია ზღვაში, სადაც მათ უკვე ელოდებოდნენ გერმანული დრედნოუტები. გერმანულ წყალქვეშა ნავებს კი უნდა დაეკავებინათ ჩასაფრებული პოზიციები ბრიტანელთა საზღვაო ბაზების გამოსასვლელებთან. დირიჟაბლების ჯგუფის მიერ ორგანიზებული საჰაერო დაზვერვა კი, გერმანელებს თავიდან ააცილებდა ბრიტანელთა „დიდი ფლოტის“ ძირითად ძალებთან ბრძოლაში ჩართვას.

⁹⁴ ჯონ რაშვორტ ჯელიკო, ჯელიკოს 1-ლი გრაფი (ინგლ. John Rushworth Jellicoe) (1859-1935წ.წ.) – ბრიტანელი სამხედრო-საზღვაო ოფიცერი, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. დიდი ბრიტანეთის „დიდი ფლოტის“ სარდალი. ბრიტანეთის ფლოტის ადმირალი 1919 წლიდან, ბანის დიდი ორდენის რაინდი და დედოფალ ვიქტორიას ორდენის კავალერი, ახალი ზელანდიის გენერალ-გუბერნატორი.

⁹⁵ ადმირალ ჯონ ჯელიკოს საფლავმანო გემს წარმოადგენდა დრედნოუტის კლასის საბრძოლო ხომალდი „Iron Duke“ – „რკინის ჰერცოგი“. ხომალდმა ეს სახელი მიიღო ვატერლოოს ბრძოლაში ბრიტანელთა სარდლისა და ამ ბრძოლის

ფლოტის ხომალდები მიცურავენ სრული სვლით აღმოსავლეთის მიმართულებით, რათა მომდევნო დღეს მოწინააღმდეგეს სკაგერაკის სრუტესთან დახვდნენ. შეერს, რომელიც თავისი ფლოტის საფლაგმანო გემ „ფრიდრიხ დიდზე“ იმყოფება, წარმოადგენს კი არა აქვს იმაზე, რომ მას მრისხანე ძალა, დიდი ბრიტანეთის მთელი საზღვაო ფლოტი – “Grand Fleet” უახლოვდება.

1916 წლის 31 მაისს, 14 საათზე გერმანელი ადმირალის, ფრანც ჰიპერის⁹⁶ სადაზვერვო ჯგუფის ფლოტილია⁹⁷ მთავარი ძალებიდან დაახლოებით ორმოცდაათი საზღვაო მილით⁹⁸ წინ მიცურავს. იმავე მანძილითაა იგი დაშორებული ბრიტანელი სარდლის, ადმირალ დევიდ ბიტის⁹⁹ სახაზო კრეისერების შენაერთიდან, რომელსაც კურსი აღმოსავლეთისაკენ უჭირავს. მოწინააღმდეგის საზღვაო ფორმირებები ერთმანეთის გვერდის ავლით მიცურავენ მაღალი სიჩქარით და ცდილობენ დაიკავონ სროლისთვის ხელსაყრელი პოზიციები. ბიტის ჩანაფიქრი გერმანული გემების კიჩოდან შემოვლაა. მან იცის, რომ ორი ბრიტანული ესკადრა¹⁰⁰ ახლოს იმყოფება და აუცილებლობის შემთხვევაში ისინი დაეხმარებიან. ჰიპერი არ იბნევა, იგი დაუყოვნებლივ მიდის შემხვედრი კურსით, ხვდება მოწინააღმდეგის განზრახვას, მკვეთრად ტრიალდება და ბრიტანელების პარალელურ კურსზე იღებს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას. ამავე დროს, ორივე ფლოტილია შეერის მთავარი ძალების შესახვედრად მიცურავს.

დაახლოებით 15 საათსა და 45 წუთზე მოწინააღმდეგიდან თვრამეტი კილომეტრის მანძილიდან გერმანული ხაზი ცეცხლს ხსნის. გერმანელთა მთავარი კალიბრის პირველივე ზალპი ადმირალ ბიტის საფლაგმანო გემ „ლაიონს“ ხვდება. დაზიანებები მნიშვნელოვანია. ცოტა ხნის შემდეგ კი, იგი ცეცხლის ალში ეხვევა და იძულებულია დატოვოს ცეცხლის ხაზი. ბრიტანელებიც პასუხობენ ცეცხლით და აზიანებენ გერმანულ კრეისერებს „ზაიდლიცსა“ და „ლიუცოვს“. ჭურვი ხვდება ასევე „დერფლინგერსა“ და „ფონ დერ ტანს“. მაგრამ ამ ბრძოლაში გერმანელების უპირატესობა აშკარაა. ისინი ისვრიან უფრო ზუსტად და ხელსაყრელი პოზიციებიდან, ხილვადობისა და განათების საუკეთესო პირობებში. გერმანელთა ჭურვი ხვდება ასევე „თაიგერს“. შემდეგ „ლიუცოვიდან“ და „ფონ დერ ტანიდან“ ნასროლი ჭურვები აფეთქებენ ბრიტანელთა სულ ბოლოს მიმავალ

გმირის, არტურ ველესლის – ველინგტონის პირველი ჰერცოგის პატივსაცემად. ვატერლოოს ბრძოლაში მოპოვებული დიდი გამარჯვებისა და მისი სახელოვანი სამხედრო კარიერის გამო, „რკინის ჰერცოგი“ ველინგტონის ჰერცოგის ზედსახელს წარმოადგენდა.

⁹⁶ ფრანც რიტერ ფონ ჰიპერი (გერმ. Franz Ritter von Hipper) (1863-1932წ.წ.) – გერმანელი საზღვაო ოფიცერი, გერმანული ფლოტის ადმირალი. სარდლობდა გერმანიის „ღია ზღვის“ ფლოტის ავანგარდს სკაგერაკის ბრძოლაში. 18 წლის ასაკში შევიდა კადეტთა სასწავლებელში. 1884-1903 წლებში მეთაურობდა საესკადრო ნაღმოსნებს. 1904 წლიდან ხდება „პრინც ალბერტის“ კლასის ჯაგშოსანი კრეისერის, „ფრიდრიხ კარლის“ კაპიტანი და ენიჭება I რანგის კაპიტანის წოდება. 1912 წელს იღებს კონტრ-ადმირალის წოდებას, 1913 წლიდან კი, ხდება „ღია ზღვის“ ფლოტის სადაზვერვო ძალების მეთაური. უკვე III რაიხის პერიოდში, 1937 წელს აგებულ გერმანული ფლოტის ერთ-ერთ მძიმე კრეისერს მის საპატივცემულოდ ეწოდა „ადმირალი ჰიპერი“.

⁹⁷ ფლოტილია – სამხედრო ხომალდების ფორმირება, ოპერატიული გაერთიანება, რომელიც წარმოადგენს დიდი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილს. ფლოტილია გამოიყენება განსაზღვრულ რაიონში (მდინარე, ტბა, ზღვა, ოკეანე) კონკრეტული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.

⁹⁸ საზღვაო მილი – ზღვაოსნობასა და ავიაციაში გამოყენებული მანძილის საზომი ერთეული. თავდაპირველად ერთი საზღვაო მილი განისაზღვრებოდა როგორც დედამიწის მერიდიანის ერთი მინუტის რკალის სიგრძე. იმდენად, რამდენადაც დედამიწის რეალური გეომეტრიული ფორმა გეოიდა და არა სფერო, ამიტომ ერთი საზღვაო მილის სიგრძე პოლუსებსა და ეკვატორზე განსხვავებულია. პოლუსებზე გამავალ მერიდიანზე იგი 1862, ხოლო ეკვატორზე 1843 მეტრის ტოლი იყო. თანამედროვე განსაზღვრებით, რომელიც მიღებულ იქნა მონაკოში 1929 წელს გამართულ ჰიდროგრაფიის საერთაშორისო კონფერენციაზე, ერთი საზღვაო მილი შეესაბამება ზუსტად 1852 მეტრს.

⁹⁹ დევიდ ბიტი, ბიტის 1-ლი გრაფი (ინგლ. David Beatty) (1871-1936წ.წ.) – ბრიტანელი საზღვაო ოფიცერი, ფლოტის ადმირალი 1919 წლიდან. დიდი ბრიტანეთის საადმირალის პირველი ლორდი (სამხედრო-საზღვაო მინისტრი) 1919-1927 წლებში. საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვისა და აღსრულების დროს გამოირჩეოდა მართვის აგრესიული სტილით და თავისი ხელქვეითებისგანაც მოითხოვდა მოქმედებებში უფრო მეტი ინიციატივის გამოჩენას პასიური მოქმედებების მაგივრად. 1916 წელს მან ადმირალი ჯონ ჯელიკო შეცვალა „დიდი ფლოტის“ სარდლის თანამდებობაზე, ამავე დროს გახდა ფლოტის ადმირალი და საადმირალოს პირველი ლორდი.

¹⁰⁰ ესკადრა (ფრანგ. Escadre) – სამხედრო-საზღვაო ფლოტში საზღვაო და საოკეანო საომარ მოქმედებათა თეატრებზე ოპერატიული საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად ფორმირებული სხვადასხვა კლასის ხომალდების ოპერატიული გაერთიანება.

„ინდეფატიგაბლეს“. ჭურვი გემის საბრძოლო მასალის საწყობსაც ხვდება. ბრიტანელების სახაზო კრეისერი არასაკმარისად არის დაცული ხანძრის გაჩენისგან, რომელიც ქვემეხის კოშკურიდან სწრაფად ვრცელდება საბრძოლო მასალების საწყობისაკენ. გემის ეკიპაჟი ცეცხლის ჩაქრობას ვერ ახერხებს და ნათელი ხდება, რომ ბრიტანელთა გემი განწირულია. მალე საშინელი აფეთქების ხმაც ისმის და „ინდეფატიგაბლე“ ისე სწრაფად იძირება, რომ გერმანული ნაღმოსანი¹⁰¹ მხოლოდ სამი ბრიტანელი მეზღვაურის გადარჩენას ასწრებს მისი 1017 კაციანი ეკიპაჟიდან.

ამასობაში ახლოვდება კონტრადმირალ ევან-თომასის¹⁰² ძალიან ნელა მოძრავი ოთხი დრედნოუტი,¹⁰³ იმ დროისათვის უძლიერესი სახაზო გემების ფლოტილია. ბრიტანელთა სარდლობა დარწმუნებულია, რომ მათი 380 მმ-იანი მთავარი საგემბანო კალიბრი ადვილად გაანადგურებს გერმანულ გემებს. მაგრამ მათდა გასაკვირად, ისინი ამას ვერ ახერხებენ. ბრიტანელები ზაღბით ისვრიან ჭურვებს. ცნობილი გერმანული ჯავშანი უმეტესად ისხლექს ბრიტანელთა მიერ ნასროლ ჭურვებს, „ფონ მოლტკესა“ და „ფონ დერ ტანის“ დაზიანებები კი ისეთი სერიოზული არ არის, რომ ჩაიძიროს. პირიქით, გერმანული ფლოტის უპირატესობა ისევ სახეზეა. ეს დაუნდობელი საზღვაო ბრძოლა კი ისევ გრძელდება. სამას მეტრ სიმაღლეზე ავარდნილი კვამლის სვეტი გვიჩვენებს, რომ კიდევ ერთ ბრიტანულ სახაზო კრეისერს ხვდება გერმანელთა ნასროლი ჭურვები. შედეგი ფატალურია, „ქუინ მერი“ კაპიტნითა და 1266 კაციანი ეკიპაჟით იძირება.

გერმანელების უპირატესობა აშკარაა. ბრძოლის დაწყებიდან ზუსტად ნახევარ საათში გერმანელები ძირავენ ბრიტანელების ორ კრეისერს, დანარჩენებს კი აზიანებენ. მაგრამ ჰიპერთან შედარებით ბიტი ძალთა დიდ უპირატესობას ფლობს, იგი მძლავრი სახაზო კრეისერების ფლოტილიას სარდლობს. რასაკვირველია, ბიტი ფიქრობს, რომ მას საქმე აქვს მხოლოდ იქ მცურავ გერმანულ გემებთან. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. მან არაფერი არ იცის სულ ახლოს მყოფ შეერის მძლავრ ფლოტზე, ისევე როგორც თავად შეერმა არ იცის

¹⁰¹ ნაღმოსანი (საესკადრო ნაღმოსანი) – მცირე წყალწყვის მქონე წყალზედა მცურავი საშუალება, რომლის შეიარაღების მთავარ ტიპს საზღვაო ტორპედოები წარმოადგენს. ნაღმოსნების საბრძოლო ტაქტიკის ხასიათი მისი იარაღის, ტორპედოების დანიშნულებასა და მათი გამოყენების თავისებურებებზე იყო დაფუძნებული. ჯავშნოსნებსა და სხვა სახის დიდ ხომალდებზე თავდასხმა მცირე ზომის, სწრაფი და მანევრული ნაღმოსნებით ხდებოდა, რომელთა განადგურება საგემბანე არტილერიით საკმაოდ რთული იყო. ამავე დროს, ნაღმოსნების ტაქტიკური გამოყენება მოქმედების მცირე რადიუსისა და ამინდზე დამოკიდებულების გამო, შეზღუდული იყო.

¹⁰² სერ ჰიუ ევან-თომასი (ინგლ. Sir Hugh Evan-Thomas) (1862-1928წ.წ.) – ბრიტანელი სამხედრო მოღვაწე, საზღვაო ოფიცერი, ადმირალი. წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის ორდენის რაინდი-კომანდორი, დედოფალ ვიქტორიას სამეფო საზოგადოების წევრი. გაიარა სამხედრო გზა კადეტიდან ადმირალამდე. I მსოფლიო ომის დროს, I რანგის კაპიტნის წოდებაში მეთაურობდა სახაზო გემების მე-5 ესკადრას, ფლაგმანის დროშა ეკავა ლინკორ „ბარჰამზე“. წარმატებით მონაწილეობდა სკაგერაკის (იუტლანდიის) ბრძოლაში. მისი ესკადრის მიერ გახსნილი ზუსტი საარტილერიო ცეცხლით ჩაძირულ იქნა ადმირალ ფონ შეერის ფლოტის კრეისერები „ფონ დერ ტანი“, „ფონ ზაილიცი“ და „ფონ ლიუცივი“. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1920 წელს, მიიღო ადმირალის წოდება, 1922 წლიდან კი, დაინიშნა ბრიტანეთის სამეფო ფლოტის ოპერატიულ სარდლად.

¹⁰³ დრედნოუტი – დრედნოუტის კლასი (ინგლ. Dreadnought – „უშიშარი“, ამ კლასის პირველი ხომალდის სახელის მიხედვით) – XX საუკუნის დასაწყისის მსხვილკალიბრიანი მძლავრი საარტილერიო შეიარაღების მქონე მძიმედ შეჯავშნულ სახაზო ხომალდთა კლასი, რომლის შეიარაღებაშიც იყო მხოლოდ მსხვილი კალიბრის ერთგვაროვანი საარტილერიო შეიარაღება. პირველი ამ კლასის ხომალდი აგებულ იქნა დიდ ბრიტანეთში, 1906 წელს, „დრედნოუტის“ დასახელებით. შემდგომში ამ ტიპის ხომალდები იმდენად წარმატებული და პოპულარული აღმოჩნდა საზღვაო საქმეში, რომ მან დასახელება მისცა დიდი სამხედრო სახაზო გემების მთელ კლასს. „დრედნოუტებამდე“ არსებულმა დიდმა სახაზო გემებმა კი, მიიღეს „პრედრედნოუტების“ კლასის დასახელება. დრედნოუტებში დანერგილი იყო იმდროინდელი ინჟინერიის, გემთმშენებლობისა და საგემბანე საარტილერიო საქმის სამი რევოლუციური სახელე: დიდი როდენობით ერთიანი მსხვილი კალიბრის (305მმ და მეტი) შორსმსროლელი (10კმ და მეტი) საგემბანე არტილერია, ცეცხლის მართვისა და კორექტირების ერთიანი ეფექტური სისტემა და გემის ძალურ დანადგარებში ძრავების ორთქლის ტურბინები. ეს სამი ტექნოლოგიურ-ტექნიკური სახის ინოვაცია შეუდარებელ უპირატესობას ანიჭებდა დრედნოუტებს მანამდე არსებულ სამხედრო ხომალდებთან შედარებით. თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სწორედ დრედნოუტის კლასის ხომალდები წარმოადგენდნენ საზღვაო სახელმწიფოების სიძლიერის მთავარ კომპონენტს. მსოფლიოში უკანასკნელი დრედნოუტი „ვენგარდი“, ასევე დიდ ბრიტანეთში იქნა აგებული 1946 წელს, რომელმაც 1950-იანი წლების ბოლომდე იმსახურა. 1960-იანი წლებიდან დრედნოუტები უკვე სხვა კლასის სამხედრო ხომალდებმა ჩანაცვლეს.

ადმირალ ჯელიკოს დიდი ესკადრის შესახებ, რომელიც თავისი ოცდაოთხი დრედნოუტით უახლოვდება.

შეერის გემების აღმოჩენის შემდეგ ბიტი კურსს ჩრდილოეთისკენ იღებს. ბრიტანელთა დიდი საზღვაო ფლოტი უზარმაზარ რკალს ქმნის სკაგერაკის სრუტის წინ შეერისათვის გზის გადასალობად. ზღვა ღელავს. ჯერ ისევ დღეა, მაგრამ ზომალდების მუდმივი და მძიმე გამონახობები ხილვადობას აძნელებს. ამ დროს შეერი უკვე ფიქრობს მისი ოცნების საბოლოოდ ასრულებაზე, დიდი საზღვაო ფლოტის ნაწილის დაბინდებამდე შეყოვნებაზე და მოულოდნელ ბრძოლაში მოწინააღმდეგის დამარცხებაზე. ახლა მას აქვს ძალთა უპირატესობა და ღრმად სწამს, რომ შეძლებს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენოს ბიტის ფლოტილიას. მაგრამ გერმანელი ადმირალი მწარედ ცდება. შეერი განცვიფრებას ვერ ძალავს, როდესაც მოულოდნელად ბრიტანელთა მთელი ფლოტის პირისპირ აღმოჩნდება. იგი თავისივე დაგებულ მახეში ებმება. ამით სკაგერაკის ბრძოლის პირველი ფაზა სრულდება და მეორე იწყება.

ბრიტანელები აქტიურად იწყებენ ბრძოლას... მათ მიერ ნასროლი ჭურვის ნამსხვრევებისგან დაზიანებული მსუბუქი გერმანული კრეისერი უმწეოდ გადაადგილდება საბრძოლო ხაზებს შორის და ნელ-ნელა იძირება.¹⁰⁴ მასთან ერთად ღამით იღუპება გერმანული მწერალი გორხ ფოკი¹⁰⁵.

ბრძოლა გრძელდება. დაახლოებით 18 საათსა 30 წუთზე ბრიტანელთა საბრძოლო გემების სამასი მსხვილკალიბრიანი ქვემეხი გამაყრუებელი ხმით ისვრის და სეტყვასავით აყრის გერმანელების საბრძოლო ხაზის მეწინავე ერთეულებს ჭურვებს. ახლა უპირატესობა უკვე ბრიტანელების მხარესაა. ისინი უკეთესად ხედავენ გერმანულ სამხედრო გემებს საღამოს ცის ფონზე.

ადმირალი ჯელიკო კლასიკური მანევრის, “Crossing the T“-ის, „T-სებრი კვეთის“ შესრულებას აპირებს.¹⁰⁶ მას სურს შემოუაროს გერმანული შენაერთის მეწინავე ნაწილს, სადაც ადმირალ შეერის გემები კილვატერულ წყობაში აგრძელებენ ცურვას, გაავლოს მის მიმართ „T“-სებრი ხაზი, რკალში მოაქციოს და სამი მხრიდან გაუხსნას ცეცხლი გერმანული ზომალდების ფორმირებას. გერმანელები თითქმის უკვე ხაფანგში არიან მომწყვდეულები. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს გემების რაოდენობით, მათი კლასით, საცეცხლე ძალითა და სიჩქარით უფრო სუსტმა გერმანელებმა შეუძლებელია თავი დააღწიონ ასეთ უიმედო მდგომარეობას. ბრიტანელებიც ასე ფიქრობენ, მაგრამ ისინი ისევ ცდებიან.

¹⁰⁴ აქ საუბარია გერმანელთა „ღია ზღვის“ ფლოტის მსუბუქ კრეისერ „ვისბადენზე“ (SMS Wiesbaden).

¹⁰⁵ გორხ ფოკი (გერმ. Gorch Fock. ნამდვილი გვარ-სახელი იოჰან ვილჰელმ კინაუ – Johann Wilhelm Kinau) (1880-1916წ.წ.) – ცნობილი გერმანელი მწერალი მარინისტი, გერმანული სათავგადასავლო ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. თავისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები გამოაქვეყნა 1911 წელს. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე და მსახურობდა ქვეით ჯარში. იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე სერბეთსა და რუსეთში. მოგვიანებით დასავლეთის ფრონტზე და იბრძვის ვერდენში. 1916 წელს კი, საკუთარი თხოვნით გადაყვანილ იქნა ფლოტში სამსახურად. მსახურობდა გერმანელთა „ღია ზღვის“ ფლოტის მსუბუქ კრეისერ „ვისბადენზე“, დაიღუპა სკაგერაკის (იუტლანდიის) ბრძოლაში 1916 წლის 31 მაისს.

¹⁰⁶ „T-სებრი კვეთა“ წარმოადგენდა საზღვაო ბრძოლის კლასიკურ ტაქტიკას, რომელიც გავრცელებული იყო XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. ეს იყო საზღვაო გემების ბრძოლის ტაქტიკა. საბრძოლო მანევრის შესრულებისას, ერთი მხარის ზომალდთა ხაზი წინიდან პერპენდიკულარულად კვეთდა მოწინააღმდეგის ზომალდების სვლის კურსის ხაზს და საგემბანე არტილერიის ყველა კალიბრის ლულას მიმართავდა მოწინააღმდეგის ზომალდებისკენ. ეს იყო მანევრის განმახორციელებელი გემების დიდი უპირატესობა, რადგან მოწინააღმდეგეს საპასუხო ცეცხლის გახსნა მხოლოდ გემის წინა ნაწილში მდგარი მცირე რაოდენობის ქვემეხებიდან შეეძლო. საცეცხლე ძალა აქ ამკარად მანევრის განმახორციელებელი თავდასხმების მხარეს იყო. ბრძოლის ეს ტაქტიკა მას შემდეგ დაინერგა, რაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ფლოტები ორთქლისძრავიანი და საგემბანო ქვემეხების მოძრავი კონსტრუქციის მქონე ზომალდებით დაკომპლექტდა. თავისთავად ცხადია, აფრიანი ფლოტისა და უძრავი საგემბანო ზარბაზნების ეპოქაში საზღვაო ბრძოლის ასეთი ტაქტიკა გამოუსადეგარი იყო. მოგვიანებით, უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, „T-სებრმა კვეთამ“ დაკარგა თავისი ეფექტურობა და მალე საერთოდ აღარ გამოიყენებოდა – მას შემდეგ რაც საზღვაო ბრძოლის ძირითად იარაღად არა საგემბანე არტილერია, არამედ შორ დისტანციებზე მოქმედი მართავი სარაკეტო სისტემები და საგემბანე ავიაცია იქცა.

ადმირალი შეერი ისეთი მანევრის შესრულების ბრძანებას გასცემს, რისი შესრულებაც ბრიტანეთის მთავარ საზღვაო შტაბს შეუძლებლად მიაჩნია. შუა ბრძოლაში ჩართული გერმანული გემები მთლიან ხაზზე მოულოდნელად ერთად ბრუნდებიან ასოთხმოცი გრადუსით. ეს არის საზღვაო მანევრი, რომლის შესრულებაშიც გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებს ბევრჯერ ჰქონიათ სწავლებების დროს ვარჯიში, მაგრამ ბრძოლაში არასდროს გამოუყენებიათ იგი. ინგლისელები გაკვირვებულნი ადევნებენ თვალს გერმანულ გემებს. გერმანული საესკადრო ნაღმოსნები იღებენ სიგნალს და წყლის შადრევნისა და სქელი კვამლის ფარდის ქვეშ მოწინააღმდეგის წინ გაბედული შემობრუნებით, გარკვეულ დისტანციაზე შორდებიან ბრიტანელებს. მეოთხედი საათის გასვლის შემდეგ ისინი უკვე მიუწვდომელი არიან ბრიტანული ქვემეხებისათვის.

ბრიტანელები დაბნეულები არიან. ისინი ძლივს ხვდებიან, რომ გერმანული ფლოტი მათ შორდება და ამ გაბედული მანევრით თავს იცავს განადგურებისაგან. ჯელიკო იღებს სამხრეთ-დასავლეთის კურსს, რათა გერმანულ ფლოტს თავისი ბაზისაკენ უკან დასაბრუნებელი გზა მოუჭრას. იგი ფიქრობს, რომ გერმანელები უკან, სამშობლოსაკენ ბრუნდებიან. მაგრამ ინგლისელი ადმირალი კიდევ ერთხელ ცდება. შეერი კიდევ ერთ მოულოდნელ მანევრს აკეთებს. გერმანული ფლოტი უცებ ისევ ტრიალდება და გაბედულად უტევს ბრიტანელების უპირატეს ძალას. გერმანელთა ეს ახალი მანევრი საზღვაო ბრძოლის წარმოებისა და სამხედრო ხელოვნების ყველა წესს არღვევს. მეწინავე ხაზზე მყოფი ბრძოლაში ჩაბმული გერმანული კრეისერი აღმართავს დროშას „R“, ეს არის „სასიკვდილო მოგზაურობის ნიშანი“. „R“ ნიშნავს: „თავდასხმა! (გატარნვა)“! გერმანელთა საესკადრო ნაღმოსნები პირდაპირ ბრიტანელთა დიდი საზღვაო ფლოტის ცენტრს უტევენ თავგანწირვით.

ამასობაში ბნელდება და ბრიტანელებიც მხედველობიდან კარგავენ გერმანულ ხომალდებს. ადმირალ ჯელიკოს კიდევ ერთი მოულოდნელი სიურპრიზი ელის წინ. იგი სრულიად გაოგნდება როცა არასწორ შეტყობინებას იღებს მისი ესკადრისაკენ მიმავალი გერმანული წყალქვეშა ნაგების შესახებ. ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ ჯელიკო დაუყოვნებლივ გასცემს კურსის შეცვლის ბრძანებას. მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია სიბნელეში ბრძოლის წარმოება და რესურსების ტყუილად ხარჯვა. იგი ფიქრობს, რომ ეს ნაკლები წარმატების მომტანი იქნება. ბრიტანელი ადმირალი თავის საბოლოო გამარჯვებაში მაინც დარწმუნებულია და იგი კურსს სამხრეთისაკენ იღებს, რათა მომდევნო დილას კვლავ განაახლოს ბრძოლა. ადმირალი შეერი კი იუტლანდიის დასავლეთ სანაპიროსკენ მიემართება. იგი ამ ადგილას ხედავს ერთადერთ შანსს – დაუსხლტეს ბრიტანელებს ვიწრო, დაუნადმავი გასასვლელით ჰორნსის რიფის დასავლეთით. ცუდი ხილვადობისა და ღამის გამო დაპირისპირებულმა შენაერთებმა არ იციან, თუ რამდენად ახლოს არიან ისინი ერთმანეთთან.

დაახლოებით შუაღამისას ბრიტანული გემები გერმანული ფლოტის კურსს კვეთენ. მათი არიერგარდი ცეცხლს უხსნის გერმანულ ხომალდებს. კრეისერები და საესკადრო ნაღმოსნები ცალკეულ ბრძოლებს აწარმოებენ სიბნელეში, რომელიც მხოლოდ პროჟექტორებითა და ქვემეხის გასროლისას წარმოქმნილი სინათლით ნათდება. ცოტა ხანში ბრიტანელთა კრეისერი „შავი პრინცი“ იძირება, მის ბელს ბრიტანული ესკადრის კიდევ ხუთი ნაღმოსანი გემიც იზიარებს. გერმანელები კარგავენ სამ პატარა საესკადრო ნაღმოსანს და სახაზო გემ „პომერნს“ 884 კაციანი ეკიპაჟით. ადმირალი ჯელიკო კი ისევ წინ მიიწევს და ყურადღებას არ აქცევს მისი ესკადრის უკან მიმდინარე მოვლენებს. კიჩოდან ღამის ბრძოლაში წარმოქმნილ ნათებას იგი უკან დარჩენილი ცალკეული გემების უმნიშვნელო გაბრძოლებად მიიჩნევს და აღებულ კურსს არ იცვლის. მხოლოდ 2 საათსა 30 წუთზე შეიცვლის თავისი არმადით იგი კურსს ჩრდილო-დასავლეთისკენ. გერმანელთა მთელმა ფლოტმა კი უკვე ჩაუარა მას მარცხენა ბორტის მხრიდან.

გამთენიისას გერმანელთა ყველა გემი უკვე გაუჩინარებულია. ისინი კურსს ზღვის უბისა და თავისი მთავარი ბაზის, ვილჰელმსჰაფენისაკენ იღებენ. აქ ისინი უკვე მიუწვდომელი არიან ბრიტანელებისათვის.

ყველაფერი დასრულებულია. ადმირალი შეერი გამარჯვებულია.

ეს იყო საზღვაო ბრძოლის ნიმუში, სადაც გერმანელებმა მოწინააღმდეგის რაოდენობრივად და ხარისხობრივად აღმატებულ ძალებთან დამაჯერებლად გაიმარჯვეს. ბრიტანელთა დიდი საზღვაო ფლოტი დამარცხდა. საბრძოლო დანაკარგები ამკარად მეტყველებენ ამაზე. მათ გერმანელებთან შედარებით ორჯერ მეტი გემი და ორნახევარჯერ მეტი ადამიანი დაკარგეს, მიუხედავად იმისა, რომ ძალთა თანაფარდობა 8:5-თან იყო მათ სასარგებლოდ. ბრიტანელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ გერმანელებთან შედარებით – ასთუთმეტათასტონიანი საერთო წყალწყვა გერმანელების სამოცდაერთათასიანთან შედარებით. ბრძოლის შედეგად კი, ბრიტანელებს ექვსი ათასი დღეუბული ჰყავთ, გერმანული მხარის 2550-თან შედარებით.

ბრიტანელების მხრიდან ეკიპაჟების ასეთი მაღალი დანაკარგი იმ ფაქტმა განაპირობა, რომ „ინდეფატიგაბლე“, „ინვინსიბალი“ და „ქუინ მერი“ გერმანელთა მხოლოდ ერთი ზაღბით განადგურდნენ და ძალიან მალე ჩაიძირნენ. ფაქტია, რომ გერმანელთა საგემბანე არტილერიის გათვლები კარგად და შეთანხმებულად მოქმედებდნენ, და მათი სროლის სიზუსტეც ძალიან მაღალი იყო. შეერის მხარეს დანაკარგი ძალიან მცირეა – მან დაკარგა მხოლოდ საბრძოლო კრეისერი „ლიუცოვი“, სახაზო გემი „პომერნი“, მსუბუქი კრეისერები – „ვისბადენი“, „ელბინგი“, „ფრაუნლობი“ და „როსტოკი“, ასევე ზუთი საესკადრო ნაღმოსანი გემი. გერმანელთა ტრიუმფის კიდევ ერთი ნიშანი ის იყო, რომ მათ ტყვედ აიყვანეს 177 კაცი, იმ დროს, როცა ბრიტანელთა დიდ საზღვაო ფლოტს არც ერთი გერმანელი მეზღვაური არ გადაურჩენია.¹⁰⁷

ბრიტანელთა დანაკარგები კი, საბრძოლო გემებში მართლაც ძალიან დიდი იყო – ერთი დრედნოუტი, სამი საბრძოლო კრეისერი, ოთხი შეჯავშნული კრეისერი, ორი პატარა კრეისერი და ცამეტი საესკადრო ნაღმოსანი. მართლაც შთამბეჭდავი ციფრები და დაუჯერებელი ამბავია. ეს ისეთი დიდი დანაკარგები იყო, რომლის მსგავსიც ბრიტანეთის ფლოტს საუკუნეების მანძილზე არ განუცდია.

ეს წარუმატებლობა ბრიტანული საზოგადოებისა და ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის მიწისძვრის ტოლფასი იყო, რადგან მათ ეს მარცხი განიცადეს კლასიკურ საზღვაო საარტილერიო ბრძოლაში და ამასთან გამოუცდელ, არატრადიციულ, ასევე რიცხობრივად და საცეცხლე ძალით ბევრად სუსტ მოწინააღმდეგესთან. ამ ტრავმულმა შოკმა ღრმა კვალი დაამჩნია ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხანგრძლივ ისტორიას. ორი წელი ელოდა ბრიტანელთა დიდი საზღვაო ფლოტი – “Grand Fleet” შემთხვევას, რომ შეხვედროდა გერმანელთა საზღვაო ფლოტს ღია ბრძოლაში, სადაც მთელი ინგლისი მოელოდა ტრაფალგართან¹⁰⁸ გამართული ბრძოლის მსგავს ტრიუმფს. მაგრამ ეს დიდი მოლოდინები არ გამართლდა.

¹⁰⁷ სკაგერაკის ბრძოლის შემდეგ ბაზაზე დაბრუნებულ ადმირალ შეერს როგორც გმირს, ისე შეხვდნენ. 5 ივნისს იგი აყვანილ იქნა სრული ადმირალის წოდებამდე. იმ დღესვე იგი პრუსიისა და იმპერიის უმაღლესი სამხედრო ორდენით – Pour le Merite-ით დააჯილდოვეს. ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად კაიზერმა ვილჰელმ II-მ მას რაინდის თავადური ტიტული “Ritter” და გვარის თავსართი „ფონ“ (von) უბოძა, მაგრამ შეერმა არ მიიღო ეს ტიტული. მის დაქვემდებარებაში მყოფმა ვიცე-ადმირალმა ჰაიპერმა კი, რომელიც შეერის „ღია ზღვის“ ფლოტის ავანგარდს სარდლობდა, ღირსებით მიიღო ეს მაღალი ტიტული და ამიერიდან იგი ფრანც რიტერ ფონ ჰაიპერად (გერმ. Franz Ritter von Hipper) იწოდებოდა. მიუხედავად მიღწეული დიდი წარმატებისა, სკაგერაკის ბრძოლის შემდეგ ადმირალმა შეერმა დაკარგა იმის რწმენა, რომ გერმანელთა წყალზედა „ღია ზღვის“ ფლოტი შეძლებდა ბრიტანელთა „დიდი ფლოტის“ დამარცხებას. ამის შემდეგ იგი ბრიტანელების წინააღმდეგ წარმოებული შეუზღუდავი წყალქვეშა ომის დაჯერებული მომხრე გახდა.

¹⁰⁸ ტრაფალგარის ბრძოლა (ინგლ. Battle of Trafalgar, ფრანგ. Bataille de Trafalgar, ესპ. Batalla de Trafalgar) – ნაპოლეონის ეპოქის დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე საზღვაო ბრძოლა იყო, რომელიც გაიმართა ერთი მხრივ, დიდი ბრიტანეთის ფლოტსა და მეორეს მხრივ, გაერთიანებულ ფრანგულ და ესპანურ ფლოტებს შორის. ეს საზღვაო ბრძოლა გაიმართა ატლანტის ოკეანეში, 1805 წლის 21 ოქტომბერს, ესპანეთის სანაპიროსთან, ქალაქ კადისთან მდებარე ტრაფალგარის კონცხთან. ამ ბრძოლის შედეგები კი მართლაც გამოაზნებელი იყო. ნაპოლეონის

სკაგერაკის დიდი საზღვაო ბრძოლის შედეგები ყველასათვის გამოგნებელი იყო – ბრიტანელთა სენსაციური მარცხი და უდიდესი იმედგაცრუება! ქებული დრედნოუტისა და საბრძოლო კრეისერების დაკარგვა იმდენად მძიმე გადასატანი აღმოჩნდა და იმდენად დიდი დარტყმა იყო ბრიტანული ფლოტისათვის, რომ მთავრობამ თხოვნით მიმართა მოკავშირე იაპონიას, მიეყიდა მისთვის იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილი სასაზო კრეისერების მთლიანი „კონგო-კლასი“.¹⁰⁹

სკაგერაკის, ან სხვანაირად, იუტლანდიის ბრძოლა დასრულდა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, „იუტლანდიის ტრაგედია“ კიდევ დიდხანს დარჩა მუდმივი კამათისა და განსჯის საგნად ბრიტანული საზოგადოებისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის. ბრიტანელი სამხედრო ისტორიკოსებისგან განსხვავებით, ისინი დღესაც გულისტკივილით იხსენებენ იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა, მამაც და გაბედულ გერმანულ სამხედრო-საზღვაო ძალებს, ადმირალ შეერიტ სათავეში, ესოდენ დიდი გამარჯვების მოპოვების შანსი და უფლება მისცეს.¹¹⁰ ფაქტი ისაა, რომ სკაგერაკის ბრძოლა, I მსოფლიო ომის ეს უდიდესი საზღვაო ბრძოლა, თავისი შეცდომებით, არასწორი გადაწყვეტილებებითა და გაუთვალისწინებელი შედეგებით, დღემდე რჩება დიდი ბრიტანეთის ფლოტისათვის მეტად არასასიამოვნო ამბად და დიდი განსჯის თემა.¹¹¹

ეპოქის ამ უმნიშვნელოვანეს საზღვაო ბრძოლაში ფრანგებმა და ესპანელებმა დაკარგეს 22 ხომალდი, მაშინ როცა დიდმა ბრიტანეთმა – არც ერთი. ბრიტანელთა ფლოტს ადმირალი ჰორაციო ნელსონი სარდლობდა, რომელიც ამ ბრძოლაში დაიღუპა. ფრანგებისა და ესპანელების გაერთიანებულ ფლოტს კი, ფრანგი ადმირალი პიერ ვილნევი სარდლობდა. მის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა ესპანური ფლოტის სარდალი, ადმირალი ფედერიკო გრაეინა. ტრაფალგარის ბრძოლა იყო ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ შექმნილი მესამე კოალიციის მიერ წარმოებული ომების შემადგენელი ნაწილი და ამავე დროს XIX საუკუნის უდიდესი საზღვაო ბრძოლა. ტრაფალგარის ბრძოლის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა საბოლოოდ შეძლო საფრანგეთის საზღვაო ბლოკადაში მოქცევა. გარდა ამისა, ტრაფალგართან მიღწეული ამ დიდი გამარჯვებით, დიდმა ბრიტანეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი საზღვაო ძლიერება, რომელსაც მან XVIII საუკუნეში მიღწია. ამ მომენტიდან დაწყებული, ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, დიდი ბრიტანეთი ნომერ პირველ საზღვაო სახელწიფოს და ნომერ პირველ მსოფლიო იმპერიას წარმოადგენდა.

¹⁰⁹ „კონგო-კლასი“ – იაპონიის საიმპერატორო ფლოტის კრეისერების კლასი. სულ აშენებული იყო 4 ერთეული ამ ტიპის ხომალდი – თავად „კონგო“, შემდეგ „ჰიეი“, „კირისიმა“ და „ჰარუნა“. ხომალდების მშენებლობა დაიწყო 1908 წელს. თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული იყო შემდეგი პარამეტრები – ხომალდებს უნდა ჰქონოდათ 18650 ტონა წყალწყვა, ცურვის სიჩქარე – 25 კვანძი, მთავარი საგემბანე კალიბრი – 4 ერთეული 305მმ-იანი ქვემეხი, და 8 ერთეული 254მმ-იანი საშუალო კალიბრის ქვემეხი. მშენებლობის პროცესში პროექტში რამდენჯერმე იქნა ცვლილებები შეტანილი და ეს პარამეტრები დროის მოთხოვნების შესაბამისად რამდენჯერმე გაიზარდა. ამ მოდერნიზაციების შედეგად, მომავალი „კონგოს“ კლასის ხომალდები უკვე დრედნოუტებს განეკუთვნებოდა. მათ უნდა ჰქონოდათ 18750 ტონა წყალწყვა, 27 კვანძი ცურვის სიჩქარე და ერთგვაროვანი 305მმ-იანი 10 ქვემეხის ოდენობის მთავარი საგემბანე კალიბრი ცეცხლის მართვისა და კორექტირების ერთიანი სისტემით. საერთო ჯამში, იაპონიის ფლოტმა მიიღო საუკეთესო ტექტიკურ-ტექნიკური, ზღვაოსნური და საბრძოლო მარცხვარების მქონე დრედნოუტის კლასის საბრძოლო გემები, რომლებიც თავისი კალიბრით, საცეცხლე ძალით, ჯავშნითა და სხვა პარამეტრებით ბრიტანული ფლოტის უახლეს სასაზო ხომალდებსაც კი აღემატებოდნენ. ეს საიხლე სრულიად მოულოდნელი იყო ბრიტანელთათვის და ამ ამბავსაც დიდი სკანდალი გამოიწვია ინგლისურ პრესაში.

¹¹⁰ ადმირალი რაინჰარდ შეერიტ თადარიგში 1918 წელს გავიდა მის მიერვე პროვოცირებული კილის ბუნტისა და მისი თანდევნი გერმანიის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ. ადმირალმა ჯელიკომ, იუტლანდიის საზღვაო ბრძოლაში მონაწილე დიდი ბრიტანეთის სამეფო „დიდი ფლოტის“ სარდალმა, 1928 წელს, თავისი ყოფილი მოწინააღმდეგე, ადმირალი შეერიტ, თავაზიანობის ვიზიტის ფარგლებში დიდ ბრიტანეთში მიიწვია სტუმრად. შეერიტმა ღირსებით მიიღო ეს მიწვევა და ემზადებოდა კიდევ ინგლისში გასამგზავრებლად, მაგრამ გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე იგი მოულოდნელად გარდაიცვალა ქალაქ მარკრედვიცში. დეაწლმოსილი გერმანელი ადმირალ სრული სამხედრო პატივით დაკრძალეს ქალაქ ვაიმარში. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად კი, 1933 წელს გერმანიაში აგებულ მძიმე კრეისერს მისი სახელი – „ადმირალი შეერიტ“ ეწოდა.

¹¹¹ სკაგერაკის ბრძოლიდან დიდი ხნის შემდეგ, 1949 წლის 21 ოქტომბერს, იმპერიის წინაშე დიდი დამსახურებების გამო, ლონდონის ცენტრში, ტრაფალგარის მოედანზე, ბრიტანეთის სამეფო „დიდი ფლოტის“ სარდალის, ფლოტის ადმირალ ჯონ რაშორტ ჯელიკოსა და დიდი ბრიტანეთის საადმირალოს პირველი ლორდის, ფლოტის ადმირალ დევიდ ბიტის ბრინჯაოს ბიუსტები დაიდგა.



რაინჰარდ შვერი (1863-1928)



ფრანც ფონ შიპერი (1863-1932)



გორხ ფოკი (1880-1916)




დევიდ ბიტი (1871-1936)




ჰიუ ევან-თომასი (1862-1928)




ჯონ ჯელიკო (1859-1935)





სამეფო „დიდი ფლოტის“ (Grand Fleet) გემები




დიდი ბრიტანეთის სამეფო „დიდი ფლოტი“ (Grand Fleet)




ადმირალ ჯონ ჯელიკოს დრედნოუტის კლასის საფლავმანო ხომალდი „აირონ ლუკი“



ბრიტანელთა „დიდი ფლოტის“ მეორე ესკადრა. მარცხნიდან მარჯვნივ: „ქინგ გეორგ V“, „ტანდერერი“, „მონარქი“ და „ქონჭუერერი“.




ბრიტანული კრეისერები: „ლაიონი“, „პრინცეს როიალი“ და „ნიუ ზილენდი“




„დიდი ფლოტი“ (Grand Fleet) ღია ზღვაში. „დიდი ფლოტი“ წარმოადგენდა ადმირალ ჯონ ჯელიკოს ძალების მთავარ ელემენტს სკაგერაკის (იუტლანდიის) ბრძოლაში




ვიცე-ადმირალი დევიდ ბიტი „ლაიონის“ ბორტზე




ბრიტანელთა საბრძოლო ფლოტილია კილვატერულ წყობაში: „ქენ ელისაბედი“, „ბარჰამი“, „ვალთანტი“ და „მალაია“



ბრიტანული კრეისერი „ინვენსიბალ“. კონტრ-ადმირალ ჰორაციო ჰუდის კრეისერთა ესკადრის საფლაგმანო გემი. გერმანელების მიერ ჩამირულ იქნა სკაგერაკის ბრძოლაში, სადაც თვითონ კონტრ-ადმირალიც დაიღუპა



ამ ფოტოზე სწორედ კრეისერი „ინვენსიბალის“ აფეთქებაა აღბეჭდილი




ბრიტანული საესკადრო ნაღმოსანი
უშკოვს ტორპედოს



ბრიტანელთა მძიმე კრეისერი „დიფენს“



ბრიტანული კრეისერი „ინდეფატიგაბლე“. ჩაძირულ იქნა გერმანელების მიერ სკაგერაკის
ბრძოლაში




კრეისერ „ინდეფატიგაბლე“-ს დაღუპვა




ბრიტანელთა დრედნოუტის კლასის საბრძოლო გემი „ქოლინგუდი“. შედიოდა ადმირალ ჯელიკოს ფლოტის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა სკაგერაკის ბრძოლაში. მასზე სამხედრო სამსახურს, სახელით „მისტერ ჯონსონი“, გადიოდა პრინცი ალბერტი, შემდგომში, 1936 წლიდან, გაერთიანებული სამეფოსა და ბრიტანული თანამეგობრობის დომინიონების მეფე, გეორგ VI, ინლოეთის უკანასკნელი იმპერატორი და ბრიტანული თანამეგობრობის პირველი თავმჯდომარე




სახაზო გემი „ქუინ მერი“. ჩაძირულ იქნა გერმანელების მიერ სკაგერაკის ბრძოლაში



სახაზო გემ „ქუინ მერის“ აფეთქება




გერმანელთა ფლოტი კილვატერულ წყობაში სკაგერაკის ბრძოლის წინ. 1916 წლის მაისი




კონტრ-ადმირალ მაუვის გერმანული ფლოტის პრედრედნოუტების კლასის გემების მეორე ესკადრა კილვატერულ წყობაში სკაგერაკის ბრძოლის წინ




გერმანული პრედრედნოუტის კლასის საბრძოლო ზომადი „ლოიჩლანდი“




გერმანული პრედრედნოუტის კლასის სახაზო ზომადი „პომერნი“. ჩაძირულ იქნა ბრიტანელების მიერ



გერმანული კრეისერი „ზაიდლიცი“




კრეისერი „ზაიდლიცი“ სკაგერაკის ბრძოლის შემდეგ




გერმანელთა მსუბუქი კრეისერი „ვისბადენი“. ჩაძირულ იქნა სკაგერაკის ბრძოლაში



ბრიტანული მსუბუქი კრეისერი „ბირმინჰემი“ გერმანელთა ცეცხლის ქვეშ



„ლურჯები“ „წითლების“ მიმართ ატარებენ საზღვაო ბრძოლის კლასიკურ მანევრს „T-სებრი კვეთა“ – ”Crossing the T”



ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე 1949 წლის 21 ოქტომბერს დადგმული ადმირალ ჯონ ჯელიკოსა და ადმირალ დევიდ ბიტის ბიუსტები

§1.6. საბელისწერო საათები (საფრანგეთი, 1917 წლის აპრილი)

მდინარე სომასთან მდებარე ბრძოლის ველი უზარმაზარ სასაფლაოდ იქცა. მას მოკავშირეებისთვის მოსალოდნელი გარღვევები და წარმატებები არ მოჰყოლია, ფრონტები პოზიციურ ბრძოლაში გაქცევდნენ.¹¹² საფრანგეთის მოსახლეობა ისევე დაიღალა ომით, როგორც მისი არმია.¹¹³ პასუხისმგებელი მეთაურები ამას კარგად აცნობიერებდნენ. მათ ისიც იცოდნენ, რომ აუცილებელი იყო მდგომარეობის გამოსწორება და სიტუაციის განეიტრალება, თუ სურდათ თავიდან აეცილებინათ ქვეყნისთვის სახიფათო ის პაციფისტური და რევოლუციური განწყობები, რაც უკვე შეიმჩნეოდა როგორც მოსახლეობაში, ასევე ჯარებში. ისინი იმედს ამყარებდნენ ვერდენის ბრძოლაში გამარჯვებულ გენერალ ნიველიზე¹¹⁴, მის საბრძოლო გამოცდილებასა და ხედვებზე, ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების მეთოდოლოგიაზე. მას, როგორც საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ახალ მთავარსარდალსა და მარშალ ჟოფრეს მემკვიდრეს, მეტად საპასუხისმგებლო მისია აკისრია. მოლოდინები დიდია – მან უნდა შეცვალოს ჯარების ორგანიზაცია და ოპერაციების მართვის სტილი.

გერმანელებზე სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისა და ამ უმძიმეს ომში გარდატეხის შეტანის მიზნით, გენერალმა ნიველიმ ახალი შეტევითი ოპერაციის ჩატარება დაგეგმა.¹¹⁵ ძალთა კონცენტრაცია კი მართლაც შთამბეჭდავია. სომასთან, ორმოცი კილომეტრის სიგანის ფრონტზე, მან თავი მოუყარა მილიონ ორასი ათას ჯარისკაცს, რათა ოთხი არმიის ძალებითა და ხუთი ათასი ქვემეხით მიაღწიოს სტრატეგიულ გარღვევას

¹¹² 1915 წლიდან I მსოფლიო ომის ევროპულ ფრონტებზე საბრძოლო მოქმედებები სტრატეგიულ ჩიხში შევიდა. დაპირისპირებული მხარეების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ბრძოლის წარმოების ძირითად სახეობად თავდაცვა იქცა, რომელიც დამყარებული იყო ფართოდ განტოტვილ და კარგად ორგანიზებული ტრანშეების სისტემაზე. შექმნილი რეალობა ის იყო, რომ 1916 წლისათვის ფრონტებზე ჩამოყალიბდა პოზიციური თავდაცვის მყარი, ღრმად ეშვოლანტური სისტემა. შეტევითი მოქმედებების წარმოება სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა და იგი ორივე დაპირისპირებული მხარისთვის უდიდესი ადამიანური დანაკარგებით სრულდებოდა, ფრონტის ზაზის ესა თუ ის უზანი კი მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიდა. თავდაცვითი ოპერაციების წარმოების ძირითად საშუალებად იქცა ოპერატიული რეზერვის თავმოყრა მოწინააღმდეგის შეტევის მიმართულებაზე, რაც უზრუნველყოფდა სიღრმეში თავდაცვის სისტემის გაძლიერებას (ახალი პოზიციების მშენებლობა) და მოწინააღმდეგისათვის კონტრდარტყმების მიყენებას ფრონტის ზაზის აღდგენის მიზნით.

¹¹³ 1917 წლის ადრეული გაზაფხულისათვის I მსოფლიო ომში ფრანგთა საბრძოლო დანაკარგები ცოცხალ ძალაში კოლოსალური იყო. საფრანგეთის 20 მილიონიანი მამრობითი სქესის მოსახლეობიდან უკვე დაზლოებით ერთი მილიონი კაცი იყო დაღუპული: 306 ათასი – 1914 წელს, 334 ათასი – 1915 წელს, 217 ათასი – 1916 წელს, და 121 ათასი – 1917 წლის დასაწყისში. რა თქმა უნდა, ასეთი კოლოსალური რაოდენობის ადამიანურმა დანაკარგებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფრანგი ჯარისკაცის საბრძოლო სულისკვეთების დაცემასა და მთლიანად საფრანგეთის მოსახლეობაში ომის საწინააღმდეგო განწყობების ზრდაში.

¹¹⁴ რობერტ ნიველი (ფრანგ. Robert Georges Nivelle) (1856-1924წ.წ.) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, არტილერიის ოფიცერი. მსახურობდა კოლონიურ ჯარებში – ინდოჩინეთში, ალჟირსა და ჩინეთში. ჩინეთის 1898-1901 წლების აჯანყების წინააღმდეგ წარმოებული ომისა და I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, დივიზიის გენერალი 1915 წლის 23 დეკემბრიდან, აგრესიული შეტევითი მოქმედებების მხარდამჭერი და აპოლოგეტი. საარტილერიო საქმის დიდი პროფესიონალი. 1916 წლის მაისში, ვერდენის ფრონტზე მან მარშალი ფილიპ პეტენი შეცვალა მე-2 ფრანგული არმიის სარდლის თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანელობით ფრანგთა მიერ წარმოებულმა კონტრშეტევითმა მოქმედებებმა საერთო ჯამში, 1916 წლის ბოლოსთვის აიძულა გერმანელები, რომ უკან დაეხიათ. ვერდენის ოპერაციის წარმატებული ხელმძღვანელობის შემდეგ, მარშალ ჟოფრეს მაგივრად დაინიშნა საფრანგეთის დასავლეთის ფრონტის სარდლად. მის მიერ შემუშავებულ იქნა გერმანელების განადგურების ოპერაცია, რომლის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა ფრანგული არმიის შეტევითი მოქმედებები არასი-სუასონი-რეიმსის შვერილზე. ამ ოპერაციის ჩაკარდინის შემდეგ, 1917 წლის მაისში, გენერალი ნიველი გადადგა და იგი ისევ მარშალმა პეტენმა შეცვალა. შემდგომი სამსახური ჩრდილოეთ აფრიკაში გააგრძელა. 1921 წელს გადის თადარიგში. ცნობილი ფრაზა – ნი პასარან! (No pasarán!) გენერალ ნიველის მიწერება.

¹¹⁵ გენერალ ნიველის მიერ შემუშავებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია მიღებულ იქნა საფრანგეთის პრეზიდენტის, რაიმონ პუანკარეს თავმჯდომარეობით 1916 წლის დეკემბერში გამართულ სამხედრო საბჭოს სხდომაზე. გენერალი რობერტ ნიველი ირწმუნებოდა, რომ ბრიტანელებთან მჭიდრო კოორდინაციითა და მათთან ერთობლივი მოქმედებით ერთი ელვისებური დარტყმით შეძლებდა „გერმანელების უკუგდებას რაინს გადაღმა და ბერლინისაკენ გზის გახსნას“. იგი პირობას იძლეოდა რომ მის მიერ დაგეგმილი სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის შედეგად, იგი 48 საათში გატეხდა გერმანელთა წინააღმდეგობას და გადამწყვეტ უპირატესობას მოიპოვებდა მოწინააღმდეგეზე, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადადგებოდა.

ლაონსა და მასამდე და ძლიერი დარტყმით საბოლოოდ გაანადგუროს გერმანელთა ფრონტი.¹¹⁶ გერმანელებს შეუძინებელი არ დარჩენიათ, რომ მათ წინააღმდეგ რაღაც სერიოზული მზადებოდა და ჯარების გადაჯგუფება დაიწყო.¹¹⁷ საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მათ უკან დაიხიეს კარგად მომზადებულ ჰინდენბურგის ხაზსა და გამაგრებულ ზიგფრიდის პოზიციებზე.¹¹⁸

1917 წლის 5 აპრილის საღამოს ნიველი ხელს აწერს შეტევის ბრძანებას.¹¹⁹ ათი დღის განმავლობაში ფრანგულმა არტილერიამ დაახლოებით ორი მილიონი ჭურვი გაუშვა გერმანელთა პოზიციებისკენ. 16 აპრილს იწყება ფრანგული შენაერთების გენერალური შეტევა. ნიველი დარწმუნებულია გარღვევის წარმატებაში.¹²⁰ მაგრამ მისი არმია მოულოდნელობისგან განცვიფრებულია. ფრანგები აღმოაჩინენ, რომ გერმანელები სრულიად ახალი ტაქტიკით მოქმედებენ. მათი ჯარი თავდაცვის სიღრმეში ჭადრაკის დაფისებრი წყობითაა ემელონირებული. ბრძოლის კერებთან დაუყოვნებლივ ჩნდება გერმანელთა მზადყოფი „სარეზერვო დივიზია“. ისინი დაუყოვნებლივ ებმებიან ბრძოლაში, რათა თავიდან აიცილონ ფრანგთა გარღვევა და უკუაგდონ მოწინააღმდეგე. მოსალოდნელი გარღვევების მაგივრად, შემდეგ დამთან საშინელი სისხლისღვრა იმართება. ფრანგები დიდი ძალებით გააფრთხილები უტევენ გერმანელთა პოზიციებს, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც ვერ მიიწევენ წინ. ფრანგთა შეტევა კი, ისევ და ისევ მეორდება, მაგრამ უშედეგოდ. მათი დანაკარგები კი, მართლაც კოლოსალურია. მხოლოდ 5 დღეში 195 ათასი ფრანგი ჯარისკაცი იღუპება. საფრანგეთის კოლონიური ჯარების წარმომადგენლები, სენეგალელი ზანგები, რომლებსაც იერიშის დროს დანები კბილებით უჭირავთ, განუწყვეტლად, ახალ-ახალი ემელონებით უტევენ გერმანელების პოზიციებს, მაგრამ არაფერი გამოდის. ბავარიელთა პოლკები საპასუხო მწვავე დარტყმებს აყენებენ მოწინააღმდეგეს.¹²¹

¹¹⁶ თავისი სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის წარმატებით აღსრულებას გენერალი ნიველი არტილერიის ინოვაციური გამოყენებით აპირებდა. აქ საუბარია საარტილერიო საქმესა და არტილერიის ცეცხლის მართვაში იმ დროისათვის დანერგულ სრულიად ახალ ტაქტიკაზე – არტილერიის მოძრავ გადაძობ ცეცხლზე. მისი გათვლით, არტილერიის მოძრავი გადაძობი ცეცხლი შეტევაზე გადასულ ფრანგულ ქვედანაყოფებს საშუალებას მისცემდა დანაკარგების გარეშე იერიშის ზღუდეზე მიახლოებოდნენ გერმანელთა ტრანშეებს, შემდგომი მძლავრი იერიშით კი, მოხდებოდა გერმანელთა თავდაცვითი პოზიციების აღება.

¹¹⁷ საქმე იმაშია, რომ გენერალ ნიველის გეგმა გერმანელებისათვის წინდაწინ გახდა ცნობილი. შეტევის დაწყებამდე სამი დღით ადრე მოკლული იქნა ფრანგი სერჟანტი, რომელსაც გერმანელებმა აღმოუჩინეს მე-7, 32-ე და 38-ე კორპუსებისადმი განკუთვნილი შეტევის ბრძანება, ამიტომ ისინი კარგად მოემზადნენ ფრანგთა შეტევითი მოქმედებების მოსაგერიებლად.

¹¹⁸ ჰინდენბურგის ხაზი – I მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მდებარე თავდაცვითი ნაკეობების სისტემა. იგი გერმანელების მიერ იქნა აშენებული 1916-1917 წლებში და ლანსიდან სუასონამდე 160კმ-ზე იყო გადაჭიმული. ამ ხაზის მშენებლობის გადაწყვეტილება პაულ ფონ ჰინდენბურგმა და ერის ლუდენლორფმა მიიღეს სომის ბრძოლების შემდეგ. ჰინდენბურგის ხაზის მშენებლობამ გერმანელებს საშუალება მისცა გაესწორებინათ და დაემოქმედებინათ ფრონტის ხაზის სიგრძე 50კმ-ით, რამაც 13 გერმანული დივიზია გამოათავისუფლა ამ მიმართულებიდან და საშუალება მისცა გერმანულ სარდლობას გამოეყენებინა ისინი სხვა ამოცანების შესასრულებლად. ჰინდენბურგის ხაზი აღჭურვილი იყო ბეტონის ბუნკერებითა და ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტილებით, მის წინ რამდენიმე რიგად იქნა გაჭიმული მავთულხლართები, აშენებულ იქნა ფართოდ განტოტვილი ტრანშეებისა და მიწისქვეშა ბლინდაჟების მთელი სისტემა.

¹¹⁹ გენერალ ნიველის მიერ დაგეგმილი ეს ოპერაცია სამხედრო ისტორიოგრაფიაში შესულია აგრეთვე „ნიველის სისხლისღვრისა“ და „ნიველის ხორცსაკეპის“ სახელწოდებით. იგი ადამიანთა უაზროდ გაღებული დიდი მსხვერპლის კიდევ ერთ დიდ სიმბოლოდ იქცა.

¹²⁰ 1917 წლის აპრილისათვის ანტანტის ქვეყნები დასავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვან რესურსებსა და საშუალებებს ფლობდნენ. მოკავშირეთა ჯარები შედგებოდა ფრანგული, ბრიტანული, ბელგიური, პორტუგალიური შენაერთებისა და აგრეთვე რუსული საექსპედიციო კორპუსისაგან. ეს საგრძნობი ძალა იყო. საერთო ჯამში, ამ გრანდიოზულ შეტევით ოპერაციაში დაიგეგმა მოკავშირეთა ჯარების 100 ათასიანი კონტიგენტის ჩართვა, რომელსაც სხვადასხვა ტიპისა და კალიბრის II ათასი საარტილერიო დანადგარის ცეცხლი დაუჭერდა მხარს. მოკავშირეთა დარტყმის მთავარ მიმართულებაზე გერმანელებმა თავი მოუყარეს 27 ქვეით დივიზიას, რომელთაც 2431 ქვემეხი და 640 თვითმფრინავი უჭერდა მხარს.

¹²¹ 1917 წლის დასაწყისისათვის, მოკავშირეთა ამ დიდი შეტევის საპასუხოდ, გერმანელების მიერ შემუშავებულ და პირველად იქნა გამოყენებული ე.წ. „ელასტიური თავდაცვის“ ტაქტიკა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ თავდაცვაში მყოფი მხარე მოწინააღმდეგის მიერ ძლიერი მოსაზრადებელი საარტილერიო ცეცხლის წარმოების გამო უკან იხევდა ორგანიზებულად და პოზიციებზე მხოლოდ დაცვის ჯგუფებს ტოვებდა. ცარიელ ადგილებზე საარტილერიო დარტყმების მიყენების შემდეგ, მოწინააღმდეგე იწყებდა ქვეითთა შეტევას და იკავებდა გერმანულ პოზიციებს, მაგრამ შემდეგ იგი გერმანელთა ძლიერი კონტრდარტყმის შედეგად იღვებოდა დაკავებული პოზიციებიდან, რა დროსაც

ფრონტის მიღმა არსებული ქაოსი თანდათანობით ძლიერდება. უსაფრთხოებისთვის ლაზარეთში მომზადებულია თხუთმეტი ათასი საწოლი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაჭრილების რაოდენობა ასე ათასს აღწევს. მათი უმეტესობა მიტოვებული წევს ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში, წვიმასა და ტალახში. ძალიან ბევრი იღუპება ტრავმული ციებ-ცხელებითა და ინფექციებით. რკინიგზის ყველა უბანი გადაჭედებულია. სამედიცინო მატარებელს პარიზამდე ასე კილომეტრის დაფარვისათვის ორმოცი საათი სჭირდება და როდესაც საბოლოოდ აღწევს დანიშნულების ადგილს, მატარებელში უფრო მეტი გარდაცვლილი იმყოფება, ვიდრე ცოცხალი. პარიზის ჩრდილოეთ რკინიგზის სადგურზე პირველი შეძახილები გაისმის: „ძირს სისხლისმსმელი ნიველი! ძირს ომი!“ ეს ლოზუნგები ძალიან მალე ვრცელდება მთელს საფრანგეთში. ფრანგების სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია 25 აპრილისათვის უშედეგოდ სრულდება. იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ღია ამბოხება, მთავრობას სხვა გზა აღარ რჩება – დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს ნიველი დაკავებული თანამდებობიდან. მას აფრიკაში აგზავნიან, გენერალი პეტენი კი, მისი მემკვიდრე ხდება.

ფრანგთა ახალი სარდლობა ძალთა გადაჯგუფებას ახდენს. 3 მაისს უნდა დაიწყოს ახალი შეტევა გერმანული პოზიციების წინააღმდეგ, მაგრამ ჯარისკაცები ბანაკში რჩებიან და ინტერნაციონალის ჰიმნს მღერავენ.¹²² „ჩვენ აღარ ვაპირებთ მარშირებას! ძირს ომი! სიკვდილი პასუხისმგებელ პირებს!“ ძალიან ბევრ პოლკში იმართება მასობრივი დემონსტრაციები ღია ცის ქვეშ. ფრანგი ჯარისკაცები ბრძანებებს აღარ ემორჩილებიან. ჯარებში ქაოსი სუფევს. ვრცელდება პროკლამაციები სამხედრო ამბოხების მოწყობის მოწოდებით – „ჩვენ აღარ გვსურს ეკლიან მავთულხლართებზე სულის გაცხობა! პარიზისაკენ! დაადეთ ბორკილები ოფიცრებს! აირჩიეთ ჯარისკაცთა საბჭოები! ძირს ომი!“ მდგომარეობა კრიტიკულია, მთელს არმიაში საქმე ღია ამბოხებამდე მიდის.

ნიველის შეტევა აშკარად იშლება, ჯარისკაცებს აღარ სურთ ბრძოლის გაგრძელება. რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს საშინელი ომი? აღმოსავლეთის ფრონტი რუსეთის მეფის ჩამოგდების შემდეგ დაზავების მომხრეა და რევოლუციის ზემოქმედების შედეგად რუსეთი ომს ეთიშება.¹²³ რუსეთის ფრონტიდან გამოთავისუფლებული გერმანული დივიზიები

იღებდა აუნზლაურებელ დანაკლისებს. „ელასტიური თავდაცვა“ თავისი არსითა და დანიშნულებით ძალიან აგრესიული ტაქტიკა იყო და იგი ფაქტიურად შეტევითი მოქმედების ხასიათს ატარებდა. გერმანელთა კონტრშეტევის დაწყების საუკეთესო დროს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის დაბნევის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შემტევ მხარეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი ახალი პოზიციები და არ ჰყავდა გადაჯგუფებული ძალები. აქ დროის ფაქტორს ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა. გერმანელებს ისე ჰყავდათ განლაგებული და მომზადებული კონტრშეტევითი ძლიერი ქვედანაყოფები, რომ ისინი დაუყოვნებლივ იწყებდნენ კონტრშეტევას (der Gegenstoss) როგორც კი ამისათვის ხელსაყრელი სიტუაცია დადგებოდა. იმ შემთხვევაში, თუ კონტრშეტევა ჩავარდებოდა, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა, გერმანელები მოწინააღმდეგის ახალი პოზიციების ძლიერ საარტილერიო დამუშავებას იწყებდნენ და გადადიოდნენ წინასწარ კარგად დამუშავებულ სისტემურ კონტრშეტევაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, გერმანელთა მიერ შემუშავებული „ელასტიური თავდაცვის“ ამ ტაქტიკის გამოყენება შეტევაში მყოფი მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურებას იწვევდა.

¹²² 1917 წლის 3 მაისს, მე-2 ფრანგულმა დივიზიამ უარი განაცხადა ბრძანების შესრულებასა და შეტევის დაწყებაზე. ფრანგული დივიზიის პირადი შემადგენლობა წინა ხაზზე ალკოჰოლით მივრალები და იარაღის გარეშე გამოცხადდნენ. დაუმორჩილებლობის ამ ტალღამ მალე მთელი ფრანგული არმია მოიცვა. 28 მაისისათვის დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს მე-9, 158-ე, მე-4 ქვეთმა და 1-მა საკავალერიო დივიზიებმა, ხოლო მაისის ბოლოსათვის – მე-5, მე-6, მე-13, 35-ე, 43-ე, 62-ე, 77-ე და 170-ე დივიზიათა ქვედანაყოფებმა. დამატებით, კიდევ ოცდაერთმა დივიზიამ გამოაცხადა დაუმორჩილებლობა. საერთო ჯამში, დაუმორჩილებლობამ და აჯანყებამ 54 ფრანგული დივიზია მოიცვა. დამატებით, 27 ათასი ფრანგი ჯარისკაცი დეზერტირად იქცა.

¹²³ აქ ავტორი ისევ შეცდომას უშვებს. მიუხედავად 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციისა და იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გადადგომისა, საომარი მოქმედებები I მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტზე არ შეჩერებულა. მით უმეტეს, რუსეთი 1917 წლის მარტიდან I მსოფლიო ომს არ გამოითიშულა. მართალია, I მსოფლიო ომის აღმოსავლეთისა და კავკასიის რუსულ ფრონტებზე ქაოსი და უმართავი პროცესები დაიწყო, რამაც გერმანელებსა და ავსტრო-უნგრელებზე, ისევე როგორც ოსმალებზე, დაწოლა შეამცირა, მაგრამ ამ პროცესს 1917 წლის განმავლობაში არ მოჰყოლია აღმოსავლეთის და კავკასიის ფრონტების ლიკვიდაცია. შესაბამისად, არ მომხდარა გერმანული შენაერთების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოსავლეთის ფრონტიდან გამოთავისუფლება და მათი გადაყვანა დასავლეთის ფრონტზე. ეს პროცესები ინტენსიურად მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების შეიარაღებული გზით უზურპაციისა და 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ დაიწყო.

საფრანგეთისკენ მიიწვევენ. ახლა ისინი I მსოფლიო ომის მსვლელობისას პირველად არიან რიცხობრივად აღმატებულნი დასავლეთის ფრონტზე გაშლილ ბრიტანელებსა და ფრანგებზე. 1917 წლის 2 აპრილიდან ომში ამერიკის შეერთებული შტატები ერთვება.¹²⁴ მაგრამ ის ამისთვის არ არის მზად და დიდი დრო გავა მანამდე, ვიდრე ამერიკელთა პირველი დახმარება დანიშნულების ადგილამდე მიაღწევს.

არა, ფრანგ ჯარისკაცებს აღარ სურთ ეს სასტიკი და გამანადგურებელი ომი, აღარ შეუძლიათ განუსაზღვრელი დროით ზიდონ ომის მძიმე ტვირთი. ამ ომმა უკვე ათასები და ათასები შეიწირა და ეს არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მათი სურვილი ამ უაზრო ომის საბოლოოდ დასრულებაა. საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტი აღიარებს თუ რამდენად სერიოზული მდგომარეობაა სახელმწიფოში შექმნილი. მთავრობის დახურულ საიდუმლო სხდომაზე იწყება იმის განხილვა, თუ როგორ შეიძლება დააღწიონ თავი ჯარებში არსებულ სასიფათო კრიზისს. აჯანყებამ დაახლოებით ორმოცდახუთი დივიზია მოიცვა¹²⁵, მათ შორისაა რჩეული პოლკებიც.¹²⁶ აჯანყებულთა ასევე ზურგიც, აქ ერთი მილიონი მუშაა უკვე გაფიცული. აღშფოთებული მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სურს, თავს დაესხას ყაზარმებს და კონტროლი აიღოს მათზე. მოსახლეობაში მღელვარებების ჩასახშობად მთავრობა უკიდურეს ზომებს იღებს. ხალხის წინააღმდეგ მას ჯარები გამოჰყავს. კოლონიური ჯარების ჯარისკაცები აჯანყებულ მოსახლეობას ტყვიამფრქვევების ცეცხლით ხვდებიან. მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია და ყველა გრძნობს, რომ რევოლუციის დასაწყისი უკვე ძალიან ახლოსაა. მხოლოდ პატარა ნაპერწკალია ამისთვის საჭირო.

გერმანელები რომ გადასულიყვნენ შეტევაზე საფრანგეთისთვის ასეთ გაურკვეველ, უმძიმეს საათებში, ომის დასასრული და მისი შედეგები გადაწყვეტილი იქნებოდა. ეს დღესავით ნათელია. დემორალიზებული ფრანგული არმია სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა აღმატებულ ძალას. ისინი აუცილებლად დამარცხდებოდნენ და გერმანელები პარიზში შევიდოდნენ. ასეთ ვითარებაში პრემიერ-მინისტრი რაიმონ პუანკარე ძალიან შემფოთებულია და სურს იცოდეს, თუ ზუსტად რამდენი ფრანგული დივიზია დგას პარიზსა და ფრონტს შორის. პასუხი გასაოცრად პესიმისტურია – „მაქსიმუმ ორი“. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელებს ყველა რეზერვის გამოყენებით შეუძლიათ პარიზზე იერიშის მიტანა და არა

¹²⁴ აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გერმანიას ომი არა 1917 წლის 2 აპრილს, არამედ 6 აპრილს გამოუცხადა. მანამდე აშშ სამხედრო ნეიტრალიტეტს იცავდა. თუმცა, ომის გამოცხადება არ ნიშნავდა ამერიკული შენაერთებისა და ნაწილების დაუყოვნებლივ ჩართვას საომარ მოქმედებებში. თავდაპირველად აშშ-ის ომში მონაწილეობა გამოიხატებოდა ანტანტის ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენაში პირველ რიგში იარაღითა და საბრძოლო აღჭურვილობით, ფინანსებითა და ნედლეულით. გერმანული წყალქვეშა ნავების მიერ 1915 წლის მაისში ამერიკული გემის „ლუზიტანია“, 1917 წელს კი, აშშ-ის კიდევ რამდენიმე გემის ჩაძირვის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ვუდრო ვილსონმა მიიღო კონგრესის თანხმობა და 1917 წლის 6 აპრილს აშშ-მა ომი გამოუცხადა გერმანიას. ამერიკული საექსპედიციო კორპუსი, გენერალ ჯონ პერშინგის სარდლობით მხოლოდ 1917 წლის ოქტომბერში ერთვება საომარ მოქმედებებში დასავლეთის ფრონტზე, ხოლო 1918 წლის ივლისიდან – იტალიის ფრონტზე. ომის მსვლელობისას აშშ-ში 4 მილიონი კაცი იქნა გაწვეული, საბრძოლო დანაკარგებმა კი 117 ათას კაცზე მეტი შეადგინა. აქედან 43 ათასი გრიპის ეპიდემიას შეეწირა.

¹²⁵ აქ საუბარია ძირითადად ქვეით დივიზიებზე, რომლებიც ყველაზე მეტ დანაკარგებს განიცდიდნენ ცოცხალ ძალაში. ჯარების ისეთ გვარებებში, როგორც იყო მაგალითად, მძიმე არტილერია, დეზერტირობისა და დაუმორჩილებლობის შემთხვევები ნაკლები იყო. და ეს გასაგებიცაა – მძიმე არტილერიის ბატარეები ფრონტის ხაზიდან დიდ სიღრმეში იყო გაშლილი, და შესაბამისად, მათი გათვლებიც დანაკარგებს პრაქტიკულად არ განიცდიდნენ. იგივე შეიძლება ითქვას კავალერიაზეც. კავალერიის პირადი შემადგენლობის საბრძოლო დანაკარგები მცირე იყო, იმდენად, რამდენადაც კავალერიამ თავისი აქტიური შეტევითი ფუნქციები ამ ომში დაკარგა და იგი ჯარების მეორეხარისხოვან გვარებად იქცა ქვეით ჯარსა და არტილერიასთან შედარებით.

¹²⁶ რევოლუციურმა მოძრაობამ დასავლეთის ფრონტზე მყოფი რუსული საექსპედიციო კორპუსის პირადი შემადგენლობაც მოიცვა. „ნიველის შეტევაში“ რუსულმა კორპუსმა მაღალი საბრძოლო სულისკვეთება გამოავლინა და მათი დანაკარგები საგრძნობი იყო. 20 ათასიანი რუსული კორპუსიდან ბრძოლაში 5200 კაცი დაიღუპა. შეტევის ჩაყარდნამ და დიდმა დანაკარგებმა, ისევე როგორც ფრანგულ დივიზიებში, რუსული კორპუსის პირად შემადგენლობაშიც დიდი აღშფოთება გამოიწვია. რუსი ჯარისკაცები სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნებას ითხოვდნენ. და ეს გასაგებიცაა. რუსეთის თებერვლის რევოლუციის გამოძახილმა საფრანგეთამდე ძალიან სწრაფად ჩამოაღწია და კორპუსის პირად შემადგენლობაში რევოლუციურმა განწყობებმა განსაკუთრებით იჩინეს თავი. ამის საპასუხოდ, 1917 წლის ივლისისათვის რუსული ნაწილები ფრონტიდან მოხსნეს და ლა-კურტინის სპეციალურ ბანაკში გადაიყვანეს. ბანაკს ფრანგმა ჯარისკაცებმა შემოარტყეს ალყა და საბოლოოდ, 19 სექტემბრისათვის, რუსული კორპუსის აჯანყება დაუნდობლად იქნა ჩახშობილი.

მარტო პარიზის, არამედ მთელი საფრანგეთის ალბაც. აქ კი ისმის ლოგიკური კითხვა – რატომ არ გამოიყენეს გერმანელებმა მაშინ ეს ერთჯერადი შანსი და არ შეუტიეს ფრანგებს? რატომ გაუშვეს გერმანელებმა, ეს უკვე მეორედ, პარიზის ალბის რეალური შესაძლებლობა?

გერმანული არმიის სათავეში ამჟამად დამსახურებული გენერალ-ფელდმარშალი, „აღმოსავლეთ პრუსიის მხსნელი“ და გერმანიის ეროვნული გმირი, პაულ ფონ ჰინდენბურგი დგას, გენერალ-კვარტერმეისტერ ერის ლუდენდორფთან ერთად. გერმანული არმიის უმაღლესი სარდლობა ბოლომდე ვერ ფლობს იმ სიტუაციას, რაც ფრანგულ არმიაშია შექმნილი. მათ იციან, რომ ფრანგულ არმიაში თითქოს გარკვეული პრობლემებია, მაგრამ გერმანული სარდლობის აზრით, ფრანგი ჯარისკაცის სულისკვეთება და ბრძოლისუნარიანობა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გატეხილი. მართალია, აგენტებისა და ტყვეებისგან მოდის მწირი ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ფრანგულ არმიაში განხეთქილებაა, მაგრამ ამ ინფორმაციას გერმანიის გენშტაბში ბოლომდე არ უჯერებენ და არ ენდობიან. გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის შტაბ-ბინა პარიზზე შეტევის დაწყების გადაწყვეტილებას ვერ იღებს, არადა სწორედ ახლა საფრანგეთის არმიის უდიდესი ნაწილი ბრძოლისათვის არაა განწყობილი და იქ სრული ქაოსი სუფევს. რეალობა კი ისაა, რომ ფრანგები მზად არიან დაყარონ იარაღი და ქვეყანაში შესვლის უფლება მისცენ გერმანელებს.

და რას იზამდა მაშინ ინგლისი? გააგრძელებდა კი ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსი, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ არასთან ასოთხმოცდახუთი ათასი ჯარისკაცი დაკარგა, საფრანგეთში მარტო ბრძოლას, თუ ინგლისში დაბრუნდებოდა? (რისი გაკეთებაც სურდა გენერალ ფრენჩს ჯერ კიდევ 1914 წლის სექტემბერში, მარნასთან). გერმანელებმა ხელიდან გაუშვეს უდიდესი შანსი მოეგოთ ბრძოლა საფრანგეთში, რადგან მათ მოწინააღმდეგის ძალები გადამეტებულად შეაფასეს, ვიდრე ის სინამდვილეში იყო იმ მომენტისათვის. ეს გერმანელთა დიდი შეცდომა იყო, საფრანგეთისათვის კი, გადარჩენა. ფრანგები მეორედ გადარჩნენ, ბედმა მათ ამჯერადაც გაუღიმა.

და რა ხდება ამ დროს ფრანგულ შენაერთებში? ჯარებში დაწყებული უმართავი პროცესებისა და ქაოსის ჩასახშობად პეტენი მკაცრ, გადამწყვეტ ზომებს იღებს. იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს უსამშობლო ახალგაზრდებს, რომლებიც ცდილობენ ზურგში ხანჯალი ჩასცენ სახელგანთქმულ ფრანგულ არმიას. სამხედრო სასამართლო ნადირობს ანარქისტებზე, კომუნისტებზე, პაციფისტებსა და სოციალისტებზე. იმართება საჩვენებელი სასამართლო პროცესები, სისრულეში მოჰყავთ არაერთი სასიკვდილო განაჩენი.¹²⁷ სიკვდილით სჯიან მემბოხზე, სიმამაცით გამორჩეულ გმირებს. ჯარისკაცების მგზნებარე სურვილი მშვიდობიანი პერიოდის დადგომისა, სამხედრო-საველე სასამართლოების მეცადინეობით სისხლში იძირება. ხალხი გაღიზიანებულია. პროფკავშირები იმუქრება საყოველთაო გაფიცვების მოწყობით, რის შემდეგაც რამდენიმე განაჩენს ცვლიან.¹²⁸ მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მიერ გატარებული დრაკონული ღონისძიებები შედეგს იძლევა და იგი წარმატებით გვირგვინდება. ფრონტზე და ზურგში ამბოხების დაწყებიდან სულ რაღაც ერთ თვეში მას ახშობენ. ყველაფერი ისევ ძველ კალაპოტში დგება. ყველაფერი ლაგდება და ფრანგული პოლკები კვლავ თავგანწირვით მიიწევენ ფრონტისაკენ.

ეს დამანგრეველი ომი კიდევ ერთნახევარი სისხლიანი წელიწადი გაგრძელდება...

¹²⁷ „იმისათვის, რომ ჯარებში გაძლიერდეს სამხედრო დისციპლინა, – უცხადებდა ოფიცრებს თავის ერთ-ერთ გამოსვლაში მე-2 ფრანგული არმიის სარდალი, გენერალი ლუი გილიომი, – არაფრის წინაშე არ უნდა დავიხიოთ უკან. ყველაფრისათვის უნდა ვიყოთ მზად – საჭიროა დავხვრიტოთ 10, 100 ან 1000 კაცი. დასახული მიზნის მისაღწევად ეს ერთადერთი გზაა. ამრიგად, დაიმახსოვრეთ ბატონებო – თუ თქვენ არ მოიქცევით ჩემი მითითებების შესაბამისად, მაშინ მე იძულებული ვაგხდები თქვენი დახვრეტის ბრძანებას გავცე!“


¹²⁸ მარშალ პეტენის მიერ მიღებული ზომების შემდეგ, საერთო ჯამში, საველე სასამართლოების მიერ 3400 საქმე იქნა განხილული. 554 კაცს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, თუმცა მათი 90% მალევე შეიწყალეს.




რობერტ ნიველი (1856-1924)




მარშალი ჟოზეფ ჟოფრე ჯარების დათვალიერებისას



დასავლეთის ფრონტი 1915-1916 წლებში



დასავლეთის ფრონტი 1917 წელს



ჰინდენბურგის ხაზი



პინდენბურგის ხაზის ერთ-ერთი უბანი



პინდენბურგის ხაზის შიდა ბუნკერი



ჰინდენბურგის საზის მხარდამჭერი ზემობიჲე გერმანული არტილერია – „დიდი ბერტა“



ფრანგი ქვეითები სადილობისას



შეტევის წინ



ფრანგი ქვეითები შემ ლამთან



ფრანგი ქვეითები შეტევაში



ბრძოლის შედეგები



აჯანყებული ფრანგი ჯარისკაცები



რუსი და გერმანელი ჯარისკაცების „ღამობილება“




გერმანელი და კანადელი ჯარისკაცი „მკედარ ზონაში“ მეგობრულად ეწევიან პაპიროსს



გერმანელები ეხმარებიან დაჭრილ ფრანგ ჯარისკაცს



საფრანგეთის რუსული კორპუსის ჯარისკაცები



რუსული საექსპედიციო კორპუსის ჩამოსვლა მარსელში, 1916 წელი



რუსული საექსპედიციო კორპუსის ოფიცერთა ჯგუფი, 1916 წელი



Караулъ у знамени. | La garde du Drapeau.



Съ учебной стрельбы. | Retour des exercices de tir.

რუსული საექსპედიციო კორპუსი საფრანგეთში



გენერალი ჯონ პერშინგი, ამერიკის
საექსპედიციო კორპუსის სარდალი
საფრანგეთში, „USS ლევიათანის“ ბორტზე.



ამერიკული ტანკები არგონის ტყეში



ამერიკელთა საველე არტილერია შატო ტიერთან



Акт об отречении Императора Николая II.
2 марта 1917 г. (ГА РФ)

Въ дни великой борьбы съ вліяніемъ враговъ, сторицею
почти тѣмъ года побѣдѣть нашу полноту, Господу Богу угодно
было испослать Россіи новое тяжкое испытаніе. Бачающіеся
внутренніе народныя волненія грозятъ общественно отшатнуться
на дальнѣйшемъ веденіи вѣстной войны. Судьба Россіи, честь
геройской нашей арміи, благо народа, все будущее дорогое на-
шего Отечества требуютъ доведенія войны во что бы то ни
стало до побѣднаго конца. Нестовій врагъ напрягаетъ послед-
нія силы и упръ близокъ часъ, когда доблестная армія наша
совмѣстно со славными нашими соотечественниками сможетъ оконча-
тельно сломить врага. Въ эти рѣшительные дни въ жизни Россіи,
почли МЫ долгомъ совѣсти облегчить народу НАШЕМУ тѣсное
единеніе и сплоченіе всѣхъ силъ народныхъ для скорѣйшаго
достиженія побѣды и, въ согласіи съ Государственнымъ Думомъ,
признали МЫ за благо отречься отъ Престола Государства Рос-
сійскаго и сложить съ СЕБЯ Верховную власть. Не желая раз-
статься съ любимымъ Окомъ НАШИМЪ, МЫ передаемъ наследіе
НАШЕ Брату НАШЕМУ Великому Князю МИХАИЛУ АЛЕКСАНДРОВИЧУ и
благословляемъ Его на вступленіе на Престолъ Государства
Россійскаго. Заповѣдуемъ Брату НАШЕМУ править дѣлами госу-
дарственными въ полномъ и ненарушимомъ единеніи съ предста-
вителями народа въ законодательныхъ учрежденіяхъ, на тѣхъ
началахъ, кои будутъ ими установлены, принесъ въ томъ нена-
рушимую присягу. Во имя горячо любимой родины призываетъ
всѣхъ вѣрныхъ сыновъ Отечества къ исполненію своего свято-
го долга ввердъ Намъ, повновѣреніемъ Царю въ тяжелую минуту
всенародныхъ испытанийъ и помочь ЕМУ, вмѣстѣ съ представите-
лями народа, ввести Государство Россійское на путь побѣды,
благоденствія и славы. Да поможетъ Господь Богъ Россіи.

Г. Псковъ.

2^{го} Марта 15 час. мнн. 1917 г.

Императоръ Николай Александровичъ
Великій Князь Михаилъ Александровичъ

Александр

იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გადადგომის აქტი. 1917 წლის 2 მარტი



თებერვლის რევოლუცია რუსეთში – „ძირს მონარქია, გაუმარჯოს რესპუბლიკას!“



საგარაუდოდ ფრანგული არმიის 1917 წლის ამბოხებაში მონაწილის სიკვდილით დასჯა. თუმცა, ფოტოზე გამოსახული სამხედრო ფორმიდან გამომდინარე, შესაძლოა აქ ასახულია ომის პირველ ეტაპზე, 1914-1915 წლებში, ჯაშუშის სიკვდილით დასჯა



ამბოხებული ფრანგი ჯარისკაცის სიკვდილით დასჯა

თავი II

უმცლეთები
1939 – 1945 წლები

§2.1. შპცლოგა „თეთრი გეგმა“

(ბერლინი, 1939 წლის 31 აგვისტო – 3 სექტემბერი)

მეორე მსოფლიო ომი ჰიტლერის¹²⁹ მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომით იწყება. მისი პოლიტიკური გათვლა აშკარად არასწორი და გაუძარბებელი იყო, როცა 1939 წლის 1 სექტემბერს „თეთრი გეგმა“, ანუ გერმანიის შეიარაღებული ძალების პოლონეთზე თავდასხმის გეგმა შევიდა ძალაში.¹³⁰ რამდენიმე დღით ადრე ინტენსიური ნაბიჯები იდგმებოდა მშვიდობის დასამყარებლად – ინგლისელებმა შემოიტანეს წინადადება, რომ პოლონელებს მოლაპარაკებები უშუალოდ გერმანიასთან ეწარმოებინათ. აქედან გამომდინარე, გერმანიის იმპერიის ხელისუფლება მოთხოვნების ნუსხას ამზადებდა მოლაპარაკებისთვის. ამ ნუსხაში ერთ-ერთ მთავარ პუნქტად დანციგის უკან დაბრუნების საკითხი იყო შეტანილი.¹³¹

ამავე დროს გერმანია ცდილობდა გადაეხიზებინა მსოფლიოს აზრი საერთო-სახალხო გამოკითხვის, კომპენსაციის შეთავაზების, საერთაშორისო კონტროლის, ეროვნული უმცირესობების გარანტირებული უფლებების დაცვისა და დემობილიზაციის წინადადებების მთელი კატალოგის მეშვეობით. გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი,

¹²⁹ ადოლფ ჰიტლერი (გერმ. Adolf Hitler) (1889-1945წ.წ.) – წარმოშობით ავსტრიელი დიდი გერმანელი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ეფრეიტორი, რკინის ჯვრის კავალერი. XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა და ლიდერი, გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიის ფუძემდებელი და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის თავმჯდომარე 1921-1945 წლებში, გერმანელი ხალხის III რაიხის შემქმნელი და ნაცისტთა ტოტალიტარული დიქტატურის ფუძემდებელი, გერმანიის III რაიხის მთავრობის მეთაური – რაიხსკანცლერი 1933-1945 წლებში, გერმანიისა და გერმანული ხალხის ფიურერი (ბელადი) 1934-1945 წლებში, II მსოფლიო ომის წამომწყები 1939 წლის 1 სექტემბერს და ამ ომის მსვლელობისას გერმანიის შეიარაღებული ძალების, ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდალი, ჰოლოკოსტის მთავარი შემოქმედი და ცენტრალური ფიგურა. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა II მსოფლიო ომის მიწურულს, ბერლინში, საკუთარ ბუნკერში, 1945 წლის 30 აპრილს.

¹³⁰ „თეთრი გეგმა“, ან „გეგმა ვაისი“ (გერმ. Fall Weiß) – პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული გერმანიის საომარი მოქმედებების სტრატეგიული გეგმა. დაშუშავდა 1939 წლის აპრილ-ივნისში, მისი რეალიზაცია კი დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს ვერმახტის შენაერთების შეჭრით პოლონეთში. „თეთრი გეგმის“ მიხედვით, თავდაპირველად განსაზღვრული იყო საომარი მოქმედებების დაწყება ომის გამოცხადების გარეშე, საფრანგეთის საზღვრებიდან შენაერთების მოხსნით, ძალების მაქსიმალური კონცენტრაციით პოლონეთის მიმართულებაზე და სტრატეგიული შეტევის მაქსიმალური ტემპით (ბლიცკრიგის კონცეფცია). შეტევის ტემპი ისეთი მაღალი უნდა ყოფილიყო, რომ პოლონურ მხარეს ვერ მოესწრო მობილიზაციის ჩატარება და შესაბამისი რეაგირება. გეგმის მიხედვით განსაზღვრული იყო პოლონური არმიის განადგურება და ქვეყნის ოკუპაცია ორ კვირაში. გერმანელთა შეტევითი მოქმედებების მთელი სიმძიმე გადატანილ იქნა სატანკო შენაერთებზე, რომელსაც მხარს დაუჭერდა ლიუფტვაფეს მოპიკირე ბომბდამშენი ავიაცია. გერმანელთა მთელი ჯავშანტექნიკა ჩართულ იქნა ხუთ – მე-14, მე-15, მე-16, მე-18 და მე-19 მოტორიზებულ კორპუსებში. ამ კორპუსებს უნდა მოენახათ თავდამცველთა სუსტი ადგილები, გაერღვიათ იგი და გასულიყვნენ ოპერატიულ სიფრცხვზე. ამის შემდგომ კი, უნდა მომხდარიყო მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევა და მისი განადგურება. გერმანული შენაერთების პოლონეთში შეჭრა სამი მიმართულებიდან უნდა მომხდარიყო:

– მთავარი დარტყმა გერმანიის მხრიდან პოლონეთის დასავლეთ საზღვარზე;

– დარტყმა აღმოსავლეთ პრუსიიდან;

– გერმანული და მისი მოკავშირე სლოვაკური ნაწილების დარტყმა სლოვაკეთის ტერიტორიიდან;

ყველა ამ მიმართულებიდან პოლონეთის ტერიტორიებზე შემოჭრილი გერმანული შენაერთები საბოლოოდ უნდა შეკრებილიყვნენ ვარშავის რაიონში, სადაც ჩაფიქრებული იყო პოლონური არმიის სრული გარშემორტყმა და განადგურება ვისლის დასავლეთით.

¹³¹ პოლონური კორიდორი (გერმ. Polnischer Korridor, პოლონ. Korytarz gdański, ასევე Województwo pomorskie (პომორსკის საოვევოდო) და დანციგის კორიდორი) – I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, 1919-1939 წლებში, პოლონური ტერიტორიის დასახლება, რომელმაც გამოყო გერმანული ექსკლავი – აღმოსავლეთ პრუსია გერმანიის ძირითადი ტერიტორიიდან. პოლონური კორიდორი I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ვერსალის ზავის პირობებით გადაეცა პოლონეთს. იგი მოიცავდა ტერიტორიებს ბალტიის ზღვიდან, პოლონური პომერანიიდან სამხრეთით, მდინარე ვისლას გასწვრივ, სადაც შეიქმნა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – პომორსკის საოვევოდო. პოლონური კორიდორის გარეთ დარჩა გერმანული „თავისუფალი ქალაქი“ დანციგი (გდანსკი). საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ წლებში ევროპული და ამერიკული საზოგადოების გარკვეული ნაწილი არც თუ ისე უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ სწორედ პოლონური კორიდორის პრობლემა გახდებოდა ახალი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი. ასე მაგალითად, ცნობილი ბრიტანელი ფანტასტი მწერალი, ჰერბერტ უელსი თავის ნაწამოებში „მომავლის სახე“ (The Shape of Things to Come), რომელიც 1933 წლის სექტემბერში გამოიცა, წერდა, რომ II მსოფლიო ომი დაიწყებოდა გერმანელებსა და პოლონელებს შორის სისხლიანი შეტაკებებით დანციგში, 1940 წლის იანვარში. დიდი ბრიტანელი ფანტასტი მართალი აღმოჩნდა. მის მიერ დაშვებული ცდომილება მხოლოდ ოთხ თვეს შეადგენდა.

გენერალი ფრანც ჰალდერი¹³² 1939 წლის 29 აგვისტოს ჩანაწერს აკეთებს თავის დღიურში: „ფიურერს¹³³ იმედი აქვს, რომ ინგლისის,¹³⁴ საფრანგეთისა და პოლონეთის ურთიერთობებში ბზარი გაჩნდება.“ ჰიტლერი თექვსმეტპუნქტიან წინადადებას ამატებს ულტიმატუმის შემცველ განცხადებას მოთხოვნით, რათა პოლონეთთან მოლაპარაკებებში ოცდაოთხი საათის განმავლობაში ყველა უფლებამოსილებით აღჭურვილი შუამავალი გამოცხადდეს. მას სურს აიძულოს პოლონეთი კაპიტულაცია გამოაცხადოს ან, როგორც ეს 1938 წელს ჩეხოსლოვაკიასთან მიმართებაში იყო, გამოიყვანოს იგი მშვიდობის დამრღვევის როლში.

31 აგვისტოს დილას, ჰენდერსონს, ბრიტანეთის ელჩს ბერლინში, აწვდიან ინფორმაციას, რომ ჰიტლერს გაცემული აქვს პოლონეთზე შეტევის დაწყების ბრძანება იმ შემთხვევისთვის, თუ პოლონეთის მთავრობა თორმეტ საათამდე არ დათანხმდება წინადადებას შუამავლის გაგზავნაზე. მაგრამ პოლონეთის ელჩი ლიპსკი ვარშავიდან იღებს მითითებას, არ შეასრულოს ეს მოთხოვნა. ჰენდერსონი ამაოდ ცდილობს მის გადარწმუნებას. „მოკავშირეების მიერ კიდევ ერთხელ მიტოვებული პოლონეთი მზად არის იბრძოლოს და მარტო დაიღუპოს“, – პასუხობს იგი. მას აზრადაც არ მოსდის სხვა გამოსავლის პოვნა, გარდა თავის მოკვლისა. 12 საათსა და 40 წუთზე ჰიტლერი ხელს აწერს „№1 საომარ განკარგულებას“ – „თეთრ გეგმას“.

ნაშუადღევს ლიპსკი მონახულებს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, იოაჰიმ ფონ რიბენტროპს¹³⁵ და გადასცემს ნოტას, რომელშიც ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ

¹³² ფრანც ჰალდერი (გერმ. Franz Halder) (1884-1972წ.წ.) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, არტილერისტი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, გერმანიის III რაიხის სახმელეთო ჯარების სარდლობის (OKH – Oberkommando des Heeres) გენერალური შტაბის უფროსი 1938 წლიდან 1942 წლის სექტემბრამდე, გენერალ-ობერსტი (გენერალ-პოლკოვნიკი). 1902 წლიდან სამხედრო სამსახურშია. 1914 წელს დაამთავრა ბავარიის სამხედრო აკადემია. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. დაჯილდოებული იყო I-ლი და მე-2 ხარისხის რკინის ჯვრებით. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამხედრო სამსახურს აგრძელებს რაიხსვერში. 1923-1924 წლებში ბატარეის მეთაურია. 1931 წლიდან მე-6 სამხედრო ოლქის ობერ-კვარტერმეისტერი. 1934 წლიდან – მე-7 დივიზიის არტილერიის უფროსი. 1935 წლიდან მე-7 დივიზიის მეთაურია. 1938 წლის თებერვალში ინიშნება სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსად თადარიგში გასული გენერლის, ლუდვიგ ბეკის მაგივრად. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა II მსოფლიო ომის მსვლელობისას, გერმანელთა კავკასიისა და კოლგის სტრატეგიული შეტევით ოპერაციების ჩავარდნისა და ჰიტლერთან უთანხმოებების გამო 1942 წლის სექტემბერში. მისი მეშუარები და დოკუმენტური ხასიათის დღიურები საინტერესო და მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს III რაიხის, ვერმახტის, ნაცისტური პარტიისა და II მსოფლიო ომის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

¹³³ ფიურერი (გერმ. Führer, სიტყვასიტყვით – ბელადი, ლიდერი, წინამძღოლი) – 1921-1945 წლებში გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელისა და 1934-1945 წლებში გერმანიის სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ტიტული. ასევე, სს-ის წოდებების დასახელების შემადგენელი ნაწილი (შარფიურერი, შტურმანფიურერი, შტანდარტენფიურერი, გრუპენფიურერი და ა.შ.). როგორც წესი, ეს სიტყვა მიმართვის კონტექსტში გამოიყენებოდა ადოლფ ჰიტლერის აღსანიშნავად, რომელმაც ოფიციალურად ეს ტიტული 1934 წლის 9 აგვისტოს, ვაიმარის რესპუბლიკის რაიხსპრეზიდენტის, ფელდმარშალ ჰინდენბურგის სიკვდილის შემდეგ მიიღო, გაერთიანა რა პრეზიდენტისა და კანცლერის თანამდებობები.

¹³⁴ II მსოფლიო ომის გლობალურ კონტექსტთან მიმართებაში ტერმინი „ინგლისის“ გამოყენება არაკორექტულია. ასეთ შემთხვევაში საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დიდ ბრიტანეთზე. დაწყებული 1707 წლიდან, შოტლანდიისა და ინგლისის (უელსის ჩათვლით) პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დიდ ბრიტანეთზე ან გაერთიანებულ სამეფოზე. უფრო ადრე, 1603 წელს, შოტლანდიის მეფე ჯეიმს VI შოტლანდიელმა (იგივე იაკობ I ინგლისელი) დინასტიური უნიის სახით შემკვიდრებით მიიღო ინგლისისა და ირლანდიის სამეფო ტახტები. 1800 წლიდან, დიდი ბრიტანეთის სამეფოსა და ირლანდიის სამეფოს გაერთიანებით შეიქმნა „დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“, რომელსაც 1922 წლიდან, ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს გამოყოფის შემდეგ, ეწოდა „დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო“. ტექსტში ინგლისის ნაცვლად უნდა ვიგულისხმოთ „დიდი ბრიტანეთი“ ან „გაერთიანებული სამეფო“.

¹³⁵ იოაჰიმ ფონ რიბენტროპი (გერმ. Ulrich Friedrich Willy Joachim von Ribbentrop) (1893-1946წ.წ.) – ცნობილი ნაცისტი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1938-1945 წლებში, ადოლფ ჰიტლერის მთავარი მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში. დაიბადა პრუსიელი ოფიცრის ოჯახში. 1910 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადადის კანადაში, სადაც ქმნის ღვინის იმპორტის კომპანიას. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე რიბენტროპი ბრუნდება სამშობლოში და ეწევა მოქმედ არმიას. მონაწილეობს როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ფრონტების საბრძოლო მოქმედებებში. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის დაჯილდოებულ იქნა რკინის ჯვრით. 1918 წლიდან, როგორც გენერალური შტაბის ოფიცერი, შემდგომი სამსახურის გასაგრძელებლად გაგზავნილ იქნა კონსტანტინოპოლში. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გადის თადარიგში. ჰიტლერი და ჰიმლერი გაიცნო 1932 წლის ბოლოს. თავისი განათლებითა და დასვენებით იმთავითვე

მთავრობა კეთილგანწყობით გაითვალისწინებს დიდი ბრიტანეთის წინადადებებს პირდაპირ გამართულ მოლაპარაკებებში. როდესაც იგი რიბენტროპს კითხვაზე, აქვს თუ არა მას უფლებამოსილებები აწარმოოს მოლაპარაკებები, უარყოფით პასუხს აძლევს, ხანმოკლე დიპლომატიური მოლაპარაკებები რამდენიმე წუთში სრულდება. 21 საათზე გერმანიის ყველა რადიოსადგური გადასცემს პოლონეთისთვის გერმანიის მიერ შეთავაზებული წინადადებების ნუსხას, რომელიც მას თვითონ არასოდეს განუხილავს. დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე რადიო წყვეტს გადაცემას და ეთერში გაისმის პირველი ინფორმაცია სერიოზული სასაზღვრო ინციდენტის შესახებ, მათ შორის, „პოლონეთის შეიარაღებული თავდასხმის“ თაობაზე სილეზიაში, ქალაქ გლაივიცის რადიოსადგურზე.¹³⁶ ეს თავდასხმა ახალი ომის დაწყების წინაპირობა უნდა გახდეს ევროპაში. სინამდვილეში კი, ეს სასაზღვრო პროვოკაცია სს-ისა¹³⁷ და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ობერგრუპენფიურერ¹³⁸ რაინჰარდ ჰაიდრიხის¹³⁹ მიერ კარგად დაგეგმილი და აღსრულებული ოპერაცია იყო.

მიიპრო ჰიმლერის ყურადღება. 1933 წლის დასაწყისში შედის გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიისა და სს-ის რიგებში. იმავე წლის მაისში ენიჭება სს-ის შტანდარტენფიურერის წოდება. 1938 წლის თებერვალში ინიშნება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრად.

¹³⁶ ქალაქ გლაივიცის (დღევანდელ პოლონეთში სილეზიის საკვიევილო ქალაქი გლაივიცე) რადიოსადგურზე პოლონური ძალების თავდასხმა ინსცენირებული იყო გერმანული მხარის მიერ. ეს ოპერაცია ორგანიზებულ იქნა იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის, სს-ის ობერგრუპენფიურერ რაინჰარდ ჰაიდრიხის ხელმძღვანელობით. უშუალოდ ოპერაციის აღსრულებაზე პასუხისმგებელი კი, დივერსიული ჯგუფის უფროსი, სს-ის შტურმბანფიურერი ალფრედ ნაუიოქი იყო. ჰაიდრიხის გეგმის მიხედვით, სს-ის მებრძოლთა ჯგუფი, რომლებიც გადაცემულნი იყვნენ პოლონურ სამხედრო ფორმაში, თავს უნდა დასხმოდნენ გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ქალაქ გლაივიცის რადიოსადგურს, აეღოთ იგი და პოლონურ ენაზე გადაეცათ ეთერში ანტიგერმანული მოწოდებები. თავდასხმის დროს დაღუპული გერმანელების როლში კი, მომზადებული იყო საკონცენტრაციო ბანაკებიდან მოტანილი წინასწარ მოკლული გვამები.

¹³⁷ „სს“ (გერმ. SS, შემოკლებით გერმანულიდან SchutzStaffel) – პირდაპირი მნიშვნელობით – „დაცვის რაზმები“. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის (გნსმპ) სპეციალური გასამხედროებული ფორმირებები, რომლებიც თავდაპირველად შედიოდნენ მოიერიშე რაზმების – „სა“ (გერმ. SA – SturmAbteilung) შემადგენლობაში და მათ დანიშნულებასაც პარტიის ლიდერის, ადოლფ ჰიტლერის პირადი დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. 1933-1945 წლებში გერმანიაში არსებული ამ ნაცისტური გასამხედროებული ორგანიზაციის აღსანიშნავად გამოიყენებოდა „ზიგ“-ის ორმაგი რუნის მქონე სპეციალური ტიპოგრაფიული ლიგატურა – **SS**. 1934 წლიდან სს გამოყვანილ იქნა მოიერიშე რაზმების შემადგენლობიდან როგორც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურა. იგი დაემორჩილა უშუალოდ ჰიტლერს და სს-ის რაიხსფიურერს, ჰაინრიხ ჰიმლერს. სს-ის დევიზი იყო – „ჩვენს ღირსებას ერთგულება ჰქვია“ (გერმ. Unsere Ehre heißt Treue). 1934 წლის დეკემბრიდან, შექმნილი პოლიტიკური ვითარებების შესაბამისად, დაიწყო სს-ის სპეცრზმების გაერთიანება და გაძლიერებული სამხედრო რაზმების შექმნა, რომლებმაც 1939 წლის ივნისიდან „ვაფენ-სს“ (გერმ. Waffen-SS) – „სს-ის ჯარების“ დასახელება მიიღეს. 1939 წლის დეკემბრისათვის სს-ის პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა უკვე 243,6 ათასს შეადგენდა. სს-ის რაიხსფიურერის, ჰაინრიხ ჰიმლერის 1939 წლის 1 დეკემბრის ბრძანებით, „სს-ის ჯარების“ შემადგენლობაში შევიდა ოთხი გერმანული დივიზია – სს-ის 1-ლი სატანკო დივიზია „ლეიპშტანდარტი ადოლფ ჰიტლერი“ (გერმ. SS-Panzer-Division „Leibstandarte SS Adolf Hitler“), სს-ის მე-2 სატანკო დივიზია „დიდი გერმანია“ (გერმ. SS-Panzer-Division „Das Reich“), სს-ის მე-3 სატანკო დივიზია „მკვდარი თავი“ (გერმ. SS-Panzer-Division „Totenkopf“), სს-ის მე-4 გრენადერთა საპოლიციო დივიზია და ასევე, ერთი უცხოური (ნიდერლანდები, ბელგია, სკანდინავია) – სს-ის მე-5 სატანკო დივიზია „ვიკინგი“ (გერმ. SS-Panzer-Division „Wiking“). ომის მომდევნო წლებში „ვაფენ-სს“ – „სს-ის ჯარები“ რაიხსფიურერი ჰაინრიხ ჰიმლერის ერთგვარ ელიტარულ არმიად ჩამოყალიბდა და გერმანიის შეიარაღებული ძალების იერარქიულ კიბეზე ყველაზე მაღალი ადგილი დაიკავა. „ვაფენ-სს“ აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ბრძოლებში და იგი ნაცისტური გერმანიის მთავარი დამრტყმელი ძალა იყო II მსოფლიო ომის ყველა ფრონტზე. ომის მიწურულს, 1945 წლის მარტისთვის, სს-ის ჯარების რიცხოვნობა უკვე 830 ათასს შეადგენდა. სს-ის გამგებლობაში იმყოფებოდა აგრეთვე მესამე რაიხის ტერიტორიებზე არსებული საკონცენტრაციო და სიკვდილის ბანაკების მთელი ქსელი, სადაც ნაცისტთა იდეოლოგიამ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

¹³⁸ სს-ში მიღებული იყო სპეციალური წოდებები, რომლებიც არმიის შესაბამისი დონის სამხედრო წოდებებს შეგვიძლია შევუსაბამოთ: სს-ის რაიხსფიურერი – გენერალ-ფელდმარშალი, სს-ის ობერსტგრუპენფიურერი – გენერალ-ობერსტი (გენერალ-პოლკოვნიკი), სს-ის ობერგრუპენფიურერი – ჯარების გვარეობათა (ინფანტერიის, ჯავშანსატანკო, არტილერიის, კავალერიის) გენერალი, სს-ის გრუპენფიურერი – გენერალ-ლეიტენანტი, სს-ის ბრიგადეფიურერი – გენერალ-მაიორი, სს-ის ობერფიურერი – ბრიგადის გენერალი, სს-ის შტანდარტენფიურერი – პოლკოვნიკი, სს-ის ობერშტურმბანფიურერი – პოდპოლკოვნიკი, სს-ის შტურმბანფიურერი – მაიორი, სს-ის ჰაუპტმურმფიურერი – კაპიტანი (ჰაუპტმანი/როტმისტრი), სს-ის ობერშტურმფიურერი – ობერლეიტენანტი (უფროსი ლეიტანენტი), სს-ის შტურმფიურერი – ლეიტენანტი, სს-ის უნტერშტურმფიურერი – უმცროსი ლეიტენანტი.

¹³⁹ რაინჰარდ ჰაიდრიხი (გერმ. Reinhard Tristan Eugen Heydrich) (1904-1942წ.წ.) – მესამე რაიხის ცნობილი სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი 1939-1942 წლებში, ბოჰემიისა და მორავიის საიმპერიო პროტექტორატის უფროსის მოადგილე და მოვალეობის

აღმოსავლეთ საზღვართან გაშლილი ორი მილიონი იარაღსხმული გერმანელი ჯარისკაცი სრულ მზადყოფნაშია მოყვანილი. ისინი მზად არიან დასმული ამოცანის შესასრულებლად. საბოლოოდ, გერმანული შენაერთები პოლონეთის საზღვარს კვეთენ და შეტევითი მოქმედებებიც იწყება. ამ მომენტში ჰიტლერს ისევ სჯერა, რომ შესაძლებელია საფრანგეთთან და ინგლისთან ომის თავიდან აცილება. იგი იმაშიც დარწმუნებულია, რომ ალბათ ორივე სახელმწიფო მხოლოდ იარაღის უღარუნით დაკავდება, ვიდრე პოლონეთი დამარცხდებოდეს. 1 სექტემბრის 10 საათზე, რუხი სამხედრო სამოსით, ბერლინის თითქმის დაცარიელებულ ქუჩებში ჰიტლერი კროლ-ოპერის¹⁴⁰ მხარეს მიემგზავრება, რათა სიტყვა წარმოთქვას რაიხსტაგის წინ.

გამოსასვლელი სიტყვა დახეპირებული აქვს, წარმოთქვამს მკაცრი სერიოზულობით, რომელსაც თან ახლავს მსმენელთა ხმამაღალი ხანმოკლე აპლოდისმენტები. მსმენელთა უმეტესობა ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და ვერმახტის¹⁴¹ ფორმაში არიან გამოწყობილნი. ჰიტლერი თავის მშვიდობისმოყვარეობასა და „უსაზღვრო შემწყნარებლობას“ უსვამს ხაზს და ცდილობს დასავლეთს კიდევ ერთხელ ჩაუსახოს მშვიდობიანი ევროპის იმედი. მისი განმარტებით, მოწინააღმდეგეებმა მას იმედი გაუტრუეს, – მისი მშვიდობისმოყვარეობა სულმოკლეობად მიიღეს. შემდეგ იგი მთელ რიგ ბრალდებებს უყენებს პოლონეთის მთავრობას. „პოლონეთმა, – ამბობს ჰიტლერი, – ამ დამით, ჩვენს ტერიტორიაზე პირველმა ესროლა გერმანელ ჯარისკაცს. 5 საათიდან და 45 წუთიდან დაიწყო საპასუხო სროლა! ამ მომენტიდან კი მათ სამაგიეროს ვუხდით ბომბებით!... მე კვლავ ჩავიცვი სამხედრო ფორმა, რომელიც ჩემთვის ყველაზე წმინდა და ძვირფასი იყო. მე მას მხოლოდ გამარჯვების შემდეგ გავიხდი.“ განსაკუთრებული აპლოდისმენტებით აჯილდოებენ მას რაიხსტაგის დეპუტატები, როცა აცხადებს, რომ ომს თავად იგი გაუძღვება რაინდულად. „...ამასთან მე მსურს აუცილებელი სამხედრო მოქმედებების ისე წარმართვა, რომ ისინი არ იყოს მიმართული ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ და არ შეეხოს მათ.“

ეს იყო ჰიტლერის დაპირება, რომელიც არ შესრულდება. ძალიან მალე, პოლონეთის ქალაქებზე, განსაკუთრებით კი, ვარშავაზე ლიუფტვაფეს მიერ განხორციელებულ საჰაერო დარტყმებს უამრავი მშვიდობიანი სამოქალაქო პირი შეეწირება.

შემსრულებელი 1941-1942 წლებში, სს-ის ობერგრუპენფიურერი და პოლიციის გენერალი 1941 წლიდან. ნაცისტური პარტიისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ოდიოზური ფიგურა, პოლოკოსტის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და „ებრაული საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის“ მთავარი ინიციატორი, შესაძლოა რაიხის შიდა მტრების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის მთავარი კოორდინატორი. 1942 წლის 27 მაისს დიდი ბრიტანეთის სპეციალური ოპერაციების მთავარი სამმართველოს ჩეზი და სლოვაკი აგენტების მიერ მასზე განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა, სადაც იგი მძიმედ დაიჭრა. მიღებული ჭრილობების გამო გარდაიცვალა რამდენიმე დღეში, 1942 წლის 4 ივნისს.

¹⁴⁰ კროლ-ოპერა (გერმ. Krolloper, Kroll-Oper) – ოპერის შენობა ბერლინში, რომელიც ცენტრალური ტირგარტენის რაიონში კონიგსპლაცის, დღევანდელი რესპუბლიკის მოედნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა რაიხსტაგის შენობის პირდაპირ. იგი ააშენეს 1844 წელს, ხოლო 1851 და 1895 წლებში ორჯერ გადააკეთეს. კროლ-ოპერა წარმოადგენდა პრუსიის სამეფო ოპერის, ოპერეტისა და დრამის თეატრს. 1924 წელს მას ეწოდა რესპუბლიკის მოედნის სახელმწიფო საოპერო თეატრი, თუმცა იგი ყოველთვის უფრო ცნობილი იყო კროლ-ოპერის დასახელებით. 1933 წლიდან, გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლისა და რაიხსტაგის შენობის დაწვის შემდეგ, კროლ-ოპერა გერმანული პარლამენტის სხდომების გამართვის ადგილი გახდა. კროლ-ოპერის შენობა რაიხსტაგის სხდომების გამართვის ადგილს ნაციზმის დაცემამდე წარმოადგენდა, სადაც ჰიტლერის მრავალი ისტორიული მნიშვნელობის გამოსვლა შედგა.

¹⁴¹ ვერმახტი (გერმ. Wehrmacht) – პირდაპირი მნიშვნელობით „შეიარაღებული ძალები“ (Wehr – იარაღი, თავდაცვა, წინააღმდეგობა; Macht – ძალა, სიძლიერე, ხელისუფლება, ჯარები) – 1935-1945 წლებში III რაიხის, ნაცისტური გერმანიის სამხედრო ორგანიზაცია – იმპერიის შეიარაღებული ძალები. გერმანულენოვან ქვეყნებში სიტყვით – „ვერმახტი“, აღნიშნება ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ძალები. თავისი დღევანდელი მნიშვნელობა ამ სიტყვამ შეიძინა გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის (გნსმპ) მოსვლის შემდეგ. კანონი ვერმახტის შექმნის შესახებ („Gesetz über den Aufbau der Wehrmacht“) მიღებულ იქნა 1935 წლის 15 მარტს. ვერმახტი შედგებოდა ჯარების სამი სახეობის – სახმელეთო ჯარების (გერმ. Heer), სამხედრო-საზღვაო ფლოტისა (გერმ. Kriegsmarine) და სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან (გერმ. Luftwaffe). თვითიველ მათგანს გააჩნდა ჯარების მართვის შესაბამისი ორგანოები – უმაღლესი სარდლობები და შტაბები.

მიუხედავად ჰიტლერის განცხადებისა, რომ „იგი არის გერმანიის იმპერიის პირველი ჯარისკაცი“, იგი დაუყოვნებლივ არ მიემგზავრება მეთაურის შტაბ-ბინაში, ბად-პოლცინში, რომელიც შტეტინის აღმოსავლეთით 100 კილომეტრზე მდებარეობს. ჰიტლერი 3 სექტემბრის საღამომდე რჩება ბერლინში. იგი ენდობა თავის ინსტინქტსა და ინტუიციას, რომელიც კარნახობს, რომ დიპლომატიური ღონისძიებების დრო ჯერ კიდევ არ გასულა. მას იმედი აქვს, რომ შესაძლებელია კონფლიქტის შემოფარგვლა პოლონეთით. იგი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, როგორც ეს შეესაბამება მოკავშირეთა ვალდებულებებს, გერმანიელთა შეტევას პოლონეთზე დაუყოვნებლივ არ უპასუხებენ ომის გამოცხადებით. სინამდვილეში ინგლისი და საფრანგეთი არც შეთანხმებულან საპასუხო საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ დაწყებაზე. მათ ერთობლივი საომარი მოქმედებების გეგმა არ გააჩნიათ და ისინი დაჟინებული მოლაპარაკებებით ცდილობენ გადაწყვიტონ ეს საკითხი. ომის დაწყებაზე გადაწყვეტილების მიღება განსაკუთრებით საფრანგეთს უჭირს. ინგლისის მოსახლეობაში ასევე არ იწვევს დიდ სიმპატიას 1939 წლის გაზაფხულზე პოლონეთისთვის მიცემული გარანტიები. ფაქტია, რომ ორ სახელმწიფოს შორის ტრადიციული მეგობრობა არ არსებობს.

ლონდონიდან მოდის ინფორმაცია, რომ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი ჰალიფაქსი თავისთან იწვევს გერმანიის საქმეთა რწმუნებულს და უხსნის მას, რომ გერმანიამ „ძალიან სერიოზული პრობლემები შექმნა“. ასეთი განცხადება არავითარ შემთხვევაში არ უღერს ომის გამოცხადებად. ნუთუ ჰიტლერი მართალია და ინგლისი და საფრანგეთი ომს არ გამოუცხადებენ გერმანიას? დაახლოებით 21 საათზე ჰენდერსონი გადასცემს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ნოტას, რომელშიც განმარტავს, რომ ინგლისი პოლონეთის მხარეს დადგება, თუ გერმანული შენაერთები უკან არ დაიხევენ. მაგრამ ესეც მხოლოდ გაფრთხილებაა და არა ულტიმატუმი.

2 სექტემბრის დილას იტალიის ლიდერი, ბენიტო მუსოლინი¹⁴² სთავაზობს გერმანიას, პოლონეთს, ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას სასწრაფო საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას, ასევე ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. პოლონეთში შესული გერმანული შენაერთები უნდა დარჩნენ იმ პოზიციებზე, სადაც ისინი ამ მომენტისათვის იმყოფებიან. იგი ცდილობს დაარწმუნოს გერმანელები, რომ კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილება გერმანიის სასარგებლოდ იქნება მიღებული. საფრანგეთი თანხმდება ამ წინადადებას, მაგრამ ჰიტლერი ყოყმანობს. თუ იგი მიიღებს კონფერენციის ჩატარების წინადადებას, მას შეუძლია ყველა მიზნის მიღწევა და ამავე დროს ომის თავიდან აცილება. ჰიტლერი რამდენიმე საათი კიდევ უწევს ანგარიშს ასეთ შესაძლებლობას. შემდეგ განკარგულებას აძლევს გერმანიის შეიარაღებული ძალების სარდლობას, იზრუნონ იმაზე, რომ მომდევნო დღეებში დაიკავონ პოლონეთის იმხელა

¹⁴² ბენიტო ამილკარე ანდრეა მუსოლინი (იტალ. Benito Amilcare Andrea Mussolini) (1883-1945წ.წ.) – დიდი იტალიელი პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, პროფესიით ჟურნალისტი, პუბლიცისტი. იტალიის ნაციონალური ფაშისტური პარტიის ლიდერი და სახელმწიფოს დიქტატორი, იტალიელი ხალხის „დუჩე“ (ბელადი), იტალიის პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფოს მეთაური 1922-1943 წლებში. იმპერიის პირველი მარშალი 1939 წლიდან. მისი ოფიციალური ტიტული იყო „მისი აღმატებულება ბენიტო მუსოლინი, მთავრობის მეთაური, ფაშისმის დუჩე და იმპერიის დამარსებელი“. იგი წარმოადგენდა იტალიური ფაშისმის ერთ-ერთ ფუძემდებელს, რომელიც თავის თავში მოიცავდა კორპორატივიზმის, ექსპანსიონიზმის და ანტიკომუნისმის ელემენტებს, რომელიც შერწყმული იყო სახელმწიფო ცენზურასა და პროპაგანდასთან. მუსოლინისა და იტალიური ექსპანსიონიზმის ოცნება იყო გადაეჭვია იტალია „დიდ, პატრიარქალურ და საშიშ“ იმპერიად, რომლისთვისაც ევროპას ანგარიში უნდა გაეწია ხოლო ხმელთაშუა ზღვა უნდა გამხდარიყო იმპერიის „შიდა ზღვად“ (Mare Nostrum). მუსოლინიმ ძლიერი სამხედრო ფლოტი და საზღვაო ბაზა შექმნა ბერძნულ კუნძულ ლეროსზე ამ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. მისი აგრესიული სტრატეგიის განხორციელება უკვე 1923 წლიდან დაიწყო. ალბანეთში შექმნა მარიონეტული რეჟიმი და გააძლიერა იტალიური ძალაუფლება ლიბიაში, რომელიც 1912 წლიდან იტალიური კოლონია იყო. 1935 წელს იტალიის სოკუპაციო ძალები აბისინიაში (დღევანდელი ეთიოპია) შეიჭრნენ და ადვილად მოახდინეს მისი ტერიტორიების ოკუპაცია. 1924-1939 წლებში ბენიტო მუსოლინის მთავრობის მიერ გატარებული საშინაო პოლიტიკური კურსის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი სისტემური ქსელის (მაფია) ლიკვიდაცია, საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამის რეალიზაცია, მოსახლეობის დასაქმების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მოდერნიზაცია და სხვა. მუსოლინიმ აგრეთვე გადაწყვიტა ურთიერთობათა საკითხი იტალიის საშეფოსა და პაპის ტახტს შორის, იტალიის კოლონიებში ეკონომიკური წინსვლის უზუნველყოფა და სხვა.

ტერიტორია, რამდენიც კი შესაძლებელი იქნება, განსაკუთრებით – პოლონეთის მთლიანი კორიდორი.¹⁴³ უკვე ნაშუადღევისათვის ნათელი ხდება, რომ დიდი ბრიტანეთი კონფერენციის მოწვევას არ დათანხმდება. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ნევილ ჩემბერლენი¹⁴⁴ სიტყვას წარმოთქვამს ხმაურიანი თემთა პალატის წინაშე, რომელშიც იგი წინასწარ პირობად აყენებს იმას, რომ გერმანული შენაერთები პოლონეთიდან უნდა გამოვიდნენ. ამავე დროს ინგლისმა გადაწყვიტა, უარი თქვას საფრანგეთთან ერთად შეტევითი მოქმედებების ერთობლივ წარმოებაზე.

1939 წლის 3 სექტემბრის დილას, კვირა დღეს, ჰიტლერი სთხოვს თავის საგარეო საქმეთა მინისტრს, რამდენიმე საათი გაატაროს მასთან რაიხსკანცლერის უწყებაში. იგი შიშობს, რომ მეტისმეტად მგრძობიარე რიბენტროპი გულთან ახლოს მიიტანს ინგლისის შეჩერების წარუმატებელ მცდელობას, რის შედეგადაც შესაძლოა საკუთარ თავს რამე დაუშავოს. 9 საათზე ჰენდერსონი გადასცემს მას შეზღუდულ ულტიმატუმს, რომელიც ჰიტლერის სამუშაო ოთახში მიაქვს მის უფროს თარჯიმანს, დოქტორ პაულ შმიდტს. ჰიტლერი ზის თავის სამუშაო მაგიდასთან, ხოლო რიბენტროპი მის მარჯვნივ, ფანჯარასთან დგას. დოქტორი პაულ შმიდტი, როგორც ამ ამბების ერთადერთი თვითმხილველი, შემდეგნაირად ასახავს ამ სცენას: „ორივემ დაძაბული მზერა მტყორცნა დანახვისას. მე გაეჩერდი ჰიტლერის მაგიდასთან გარკვეულ მანძილზე და ნელა და გარკვევით ვუთარგმნე დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ გადმოცემული ულტიმატუმი. როდესაც კითხვა დაგამთავრე, სრული სიჩუმე ჩამოვარდა... ჰიტლერი გაქვავებულივით იჯდა და წინ, უსასრულობაში იყურებოდა. იგი არ იყო დაბნეული, როგორც ამას მოგვიანებით ამტკიცებდნენ, არც ყვიროდა და არც ბობოქრობდა, რისი გაგებაც ასე სურდათ სხვებს. ჰიტლერი ღრმად ჩაფიქრებული, წყნარად და უმოძრაოდ იჯდა თავის ადგილზე და ისევ უსასრულობაში იყურებოდა. არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, რომელიც მე საუკუნედ მომიჩვენა, იგი რიბენტროპისკენ მიბრუნდა, რომელიც გაშეშებული იდგა ფანჯარასთან. სახე მასაც გაქვავებული ჰქონდა.

– და რა იქნება შემდეგ? – ჰკითხა ჰიტლერმა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს გამშავებული მზერით, თითქოს ამით სურდა გამოეხატა, რომ რიბენტროპმა მას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ინგლისელების რეაქციაზე. რიბენტროპი დაბალი ხმით პასუხობს: ჩემო ფიურერო, ვფიქრობ, რომ ფრანგები რამდენიმე საათში იდენტური შინაარსის ულტიმატუმს გადმოგცემენ.“ როდესაც მთავარი თარჯიმანი ჰიტლერის სამუშაო ოთახს დატოვებს, მას ვესტიბიულში მყოფი გერინგი¹⁴⁵ ეტყვის: „თუ ჩვენ ამ ომს წავავებთ, იმედია, ზეცა

¹⁴³ პოლონური კორიდორის სიგანე 200კმ-ს არ აღემატებოდა. ყველაზე ვიწრო ნაწილში კი იგი 30კმ-ს შეადგენდა. კორიდორი მთავრდებოდა ბალტიის ზღვის ვიწრო, 71კმ-იანი ზოლით. გერმანიის მხრიდან მუდმივი ზეწოლის პირობებში პოლონეთი სრულ და სუვერენულ კონტროლს ამ ტერიტორიებზე ვერ აღწევდა. ამის საპირისპიროდ, ბალტიის ზღვის მხრიდან ბლოკირებით გერმანია ანხორციელებდა ფაქტიურ სამხედრო კონტროლს პოლონურ კორიდორზე. 1938 წლიდან ეს ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა, რის მიზანსაც გერმანიის მხრიდან დანციგის საბოლოო ანექსია წარმოადგენდა. პოლონეთის მთავრობა ამ დათმობებზე არ წავიდა, რაც 1939 წლის 1 სექტემბერს პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა.

¹⁴⁴ ნევილ ჩემბერლენი (ინგლ. Arthur Neville Chamberlain) (1869-1940წ.წ.) – დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, ბრიტანეთის კონსერვატორული პარტიის (ტორების) ლიდერი, დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრი და პრემიერ მინისტრი. დაამთავრა ბირმინჰემის უნივერსიტეტი. წლების განმავლობაში ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას. 1915-1916 წლებში ეკავა ბირმინჰემის ლორდ-მერის თანამდებობა. 1918 წელს არჩეულ იქნა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრად. 1923 წელს და 1924-1929 წლებში – დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრია, 1931-1937 წლებში – სახელმწიფო ხაზინის კანცლერი. 1937-1940 წლებში წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის მე-60 პრემიერ-მინისტრს. ჰიტლერისა და გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების მიერ წარმოებული ახალი ევროპული პოლიტიკის საკითხებში ემხრობოდა აგრესორთან შემრიგებლური პოლიტიკის გატარების კურსს. 1938 წლის სექტემბერში, ჩეხოსლოვაკიის კრიზისის გადასაჭრელად ჰიტლერთან, დალაღიესა და მუსოლინისთან ერთად ხელი მოაწერა მიუნხენის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა შექმნილი კრიზისული მდგომარეობის მშვიდობიანი გზებით დარეგულირებას. მიუნხენიდან დაბრუნებისთანავე, ლონდონის აეროპორტში თვითმფრინავის ბორტიდან გადმოსვლისას, მან ხელში ააფრიალა ამ ხელშეკრულების ტექსტი და ხმაძაღვს, სიამაყით განაცხადა: „მე ჩამოვიტანეთ მშვიდობა!“ მაგრამ ჩემბერლენის ეს მოლოდინი დიდი შეცდომა იყო. ძალიან მალე გამოჩნდა, რომ ევროპისათვის ნანატრი „მშვიდობა“ მეტად მყიფე და ხანმოკლე აღმოჩნდა – ერთი წლის შემდეგ II მსოფლიო ომი დაიწყო.

¹⁴⁵ ჰერმან ვილჰელმ გერინგი (გერმ. Hermann Wilhelm Göring) (1893-1946წ.წ.) – ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის

მოწყალე იქნება ჩვენს მიმართ!“ გებელსი¹⁴⁶ დათრგუნული და ჩაფიქრებული ღვას კუთხეში. ყველას დაბნეულობა აწერია სახეზე.

ძალიან მალე კი, მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა ულტიმატუმი გადასცა გერმანულ მხარეს, რაც ფაქტობრივად გერმანიისათვის ომის გამოცხადების ტოლფასი იყო, საფრანგეთის ელჩი, კულონდრი, დაახლოებით 17 საათზე, იმავე შინაარსის ვადიან ულტიმატუმს გადასცემს გერმანულ მხარეს. მაშ ასე – დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას.

გერმანიისა და ვერმანის ხელმძღვანელობა ანგარიშში შეცდა და საფუძვლიანად ვერ შეაფასა ინგლისელთა ფსიქოლოგია. ჰიტლერის განუწყვეტელ არასწორ შეფასებას გვახსენებს ანტონიოს წინადადება გოეთეს „ტორკვატო ტასოდან“: „მოხეტიალე მისწრაფება თვისას ვერ მალავს, ჭეშმარიტებას არა სცნობს და აკლია ძალაც“.¹⁴⁷ ჰიტლერი ახლავდა აცნობიერებს მის მიერ დაშვებული დამლუპველი შეცდომების სიმძიმეს. მას პესიმისტური აზირებები და მოულოდნელად მოვარდნილი შიში იპყრობს. იგი საკუთარ თავს მარტინ ლუთერს¹⁴⁸ ადარებს, რომელსაც ისევე არ სურდა რომის წინააღმდეგ გალაშქრება, როგორც მას – ინგლისის წინააღმდეგ. მაგრამ მას ჯერ კიდევ „მოჩვენებითი“, ან სხვანაირად, „უცნაური ომის“ იმედი აქვს.¹⁴⁹

13 საათსა და 50 წუთზე ჰიტლერი ჯარებს აძლევს ბრძანებას, რომ არ აპყენენ პროვოკაციებს და დასავლეთში საბრძოლო მოქმედებები არამც და არამც არ განახლდეს

წვერი 1922 წლიდან და მისი ერთ-ერთი ლიდერი. ადოლფ ჰიტლერის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ავიაციის კაპიტანი, მფრინავი-ასი. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის მიერ 1923 წლის 9 ნოემბერს მიუნხენში მოწყობილი არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე. რაიხსტაგის თავმჯდომარე 1932 წლის 30 აგვისტოდან. გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იმპერიის ავიაციის რაიხსმინისტრი, მესამე რაიხის რაიხსმარშალი, გერმანიის საიდუმლო სახელმწიფო პოლიციის (გესტაპო) შემქმნელი, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის მოიერიშეთა ჯარების გრუპენფიურერი. ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ფიგურა, იმპერიის „მეორე კაცი“. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გასამართლდა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ, ცნობილი იქნა ერთ-ერთ მთავარ სამხედრო დამნაშავედ და მიესაჯა სიკვდილი, მაგრამ სასჯელის აღსრულებამდე ერთი დღით ადრე, 1946 წლის 15 ოქტომბერს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

¹⁴⁶ პაულ იოზეფ გებელსი (გერმ. Paul Joseph Goebbels) (1897-1945წ.წ.) – გერმანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, III რაიხის გამორჩეული ფიგურა, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წვერი და მისი ერთ-ერთი ლიდერი, ადოლფ ჰიტლერის უახლოესი თანადიდოლოგი და თანამებრძოლი. ბერლინის გაულაიტერი 1926 წლიდან, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის პროპაგანდის სამმართველოს უფროსი 1930 წლიდან. 1933-1945 წლებში III რაიხის პროპაგანდის მინისტრი და კულტურის საიმპერიო პალატის პრეზიდენტი. II მსოფლიო ომის მიწურულს, 1945 წლის 30 აპრილს, ჰიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ, შეცვალა იგი გერმანიის რაიხსკანცლერის პოსტზე. ამ თანამდებობაზე ყოფნიდან მეორე დღეს მეუღლისა და ექვსი შვილის მოკვლის შემდეგ, თვითონაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

¹⁴⁷ ტორკვატო ტასო (იტალ. Torquato Tasso) (1544-1595წ.წ.) – XVI საუკუნის გენიალური იტალიელი პოეტი, ავტორი ბრწყინვალე პოემა-შედეგისა „განთავისუფლებული იერუსალიმი“. მოგვიანებით მის შესახებ დიდმა გერმანელმა მწერალმა, იოჰან ვოლფგანგ ფონ გოთემ დაწერა ტრაგედია „ტორკვატო ტასო“. ასევე დიდმა ინგლისელმა პოეტმა, ჯორჯ ბაირონმა დაწერა პოემა „ტასოს ჩივილი“. გარდა ამისა, მის შესახებ წერდნენ ალექსანდრ პუშკინი და სხვა ლიტერატორები. ფერენც ლისტმა მას მიუძღვნა სიმფონიური ნაწარმოები „ტასო, ჩივილი და ტრიუმფი“. სხვადასხვა მხატვრებმა კი, თავის ნამუშევრებში ასახეს იგი. ტასო დღემდე მოიხსენიება ისეთი გენიალური პოეტების კოპორტაში, როგორებიც იყვნენ ფრანჩესკო პეტრარკა, ჰუბლიუს ვირგილიუს მარონი და დანტე ალიგიერი.

¹⁴⁸ მარტინ ლუთერი (გერმ. Martin Luther) (1483-1546წ.წ.) – ქრისტიანი ლეთისმსახური, გერმანული ლიტერატურული ენის ერთ-ერთი შემქმნელი, ბიბლიის გერმანულ ენაზე მთარგმნელი, საეკლესიო რეფორმაციის ინიციატორი. მისი სახელი მიიღო პროტესტანტიზმის ერთ-ერთმა უძველესმა და ძლიერმა მიმართულებამ – ლუთერანიზმმა. ლუთერანიზმის დაბადების თარიღად ითვლება 1517 წლის 31 ოქტომბერი, როდესაც მარტინ ლუთერმა საქსონიის ვიტენბერგში თავისი 95 თეზისი გამოაქვეყნა.

¹⁴⁹ „უცნაური ომი“ (ფრანგ. Drôle de Guerre, ინგლ. Phoney War, გერმ. Sitzkrieg) – II მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტის პერიოდი 1939 წლის 3 სექტემბრიდან 1940 წლის 10 მაისამდე. პირველად ეს ტერმინი ინგლისურად – Phoney War, გამოიყენა ამერიკელმა სენატორმა უილიამ ბორამ. ფრანგული ვერსიის – Drôle de Guerre-ს ავტორობა კი, ფრანგ ჟურნალისტს, როლან დორჟელეს მიეწერება. ამ ტერმინით აღიწერებოდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის მიმდინარე ომის ხასიათი – რეალური საბრძოლო მოქმედებების არარსებობა. „უცნაური ომის“ ეს პერიოდი, სტრატეგიული პაუზის სახით კარგად იქნა გამოყენებული გერმანული სარდლობის მიერ: გერმანელებმა საკმაოდ მოკლე დროში და დიდი წარმატებით ჩაატარეს პოლონეთის საომარი კამპანია, შემდეგ დაიპყრეს დანია და ნორვეგია, საბოლოოდ გაამყარეს ანშლუსის, ავსტრიის ანექსიისა და სუდეტების მიტაცების შედეგები, ასევე საფუძვლიანად მოემზადნენ საფრანგეთში შეჭრისათვის.

გერმანელების მხრიდან. გერინგს შექმნილ ვითარებაში უფრო ღრმად გარკვევა სურს და მზადაა დაუყოვნებლივ გაფრინდეს ლონდონში. მისი „იუნკერსის“ თვითმფრინავი გამზადებული დგას ბერლინის აეროდრომ შტააკენზე. ჰიტლერი მას უარს ეუბნება ჩანაფიქრის შესრულებაზე. ნაშუადღევისათვის იგი სწრაფი ტემპით კარნახობს პროკლამაციების ტექსტს, მიმართულს გერმანელი ხალხისადმი, ნაციონალ-სოციალისტური პარტიისადმი, დასავლეთსა და აღმოსავლეთში გაშლილი ნაცისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების სარდლობებისა და პირადი შემადგენლობისადმი. აქ ყველაფერი ნათელია და შექმნილი მდგომარეობის ესკალაციაშიც დამნაშავე პირდაპირ უნდა დასახელდეს. პროკლამაციის ტექსტში იგი დიდ ბრიტანეთს ომის მუდმივი გამჩალებლისა და წამქეზებლის იარაღად აწვებს.

საღამოსათვის ჰიტლერი რაიხსკანცელარიის შენობას ტოვებს. როდესაც ავტომობილების კოლონა ახლო განათების ფარებით, დაახლოებით 21 საათზე, ბერლინის ჩაბნელებულ ქუჩებში გადაადგილდება, ანჰალტის უკაცრიელი რკინიგზის სადგურთან ახლოს, ქუჩის გასწვრივ არ დგას მოზეიმე მოსახლეობა, როგორც ეს I მსოფლიო ომის დაწყებისას, 1914 წლის აგვისტოს იმპერიის ხანაში იყო, ყვავილებით მორთული და ორკესტრის თანხლებით ჯარის მსვლელობისას.

წილი ნაყარია და ყველაფერი გადაწყვეტილია. ჰიტლერი წყნარად და უხმაუროდ მიემგზავრება აღმოსავლეთისაკენ, პოლონეთის ფრონტზე. გაფითრებული და ღრმად ჩაფიქრებული, დამცავი ფერის ფორმით, იგი მთავარსარდლის სპეციალურ მატარებელში ზის, რომელსაც პოლონეთზე ლაშქრობისას იყენებდნენ, როგორც მთავარსარდლის მოძრავ შტაბბინას. იგი თავის მოადგილეს, რუდოლფ ჰესს¹⁵⁰ ეუბნება: „ახლა ჩემი შრომა წყალში ჩაიყარა. ჩემი წიგნი ამოდ დაიწერა“.¹⁵¹

¹⁵⁰ რუდოლფ ვალტერ რიჰარდ ჰესი (გერმ. Rudolf Walter Richard Heß) (1894-1987წ.წ.) – ნაცისტური გერმანიის პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ჰიტლერის უახლოესი მეგობარი, თანადეოლოგი და თანამებრძოლი, III რაიხის უმაღლეს იერარქიაში მესამე პირი, ფიურერის მოადგილე გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ მუშათა პარტიაში და იმპერიის უპორტფელო რაიხსმინისტრი. I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ნაცისტური პარტიის წევრი 1920 წლის 1 ივლისიდან, მიუნხენის 1923 წლის 9 ნოემბერს მოწყობილი „ლუდის პუტჩის“ ერთ-ერთი ლიდერი და აქტიური მონაწილე. ჰიტლერთან ერთად ერთ საკანში იჯდა ლანდსბერგის ციხეში. მისი აქტიური მონაწილეობით დაწერა პატიმრობაში მყოფმა ჰიტლერმა თავისი საპროგრამო ნაშრომი „ჩემი ბრძოლა“. ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლაზე წარმოადგენდა ჰიტლერის პირად მდივანს და სარგებლობდა მისი დიდი ნდობით. 1941 წლის 10 მაისს „მესერშიტ-110“ თვითმფრინავით მარტო გადაფრინდა დიდ ბრიტანეთში სპეციალური სამშვიდობო მისიით, მაგრამ ბრიტანელებმა დააკავეს იგი და დააპატიმრეს. III მსოფლიო ომის დასრულებისას კი, იგი გადასცეს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრუბუნალს, რომელმაც მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელს იხდიდა შპანდაუს ციხეში. 1987 წლის 17 აგვისტოს, 93 წლის ასაკში, საკუთარ საკანში ჩამოიხრჩო თავი.

¹⁵¹ 1939 წლის სექტემბრის პოლონეთის კამპანიის მსვლელობისას, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, გერმანელებმა მოკლულების სახით დაკარგეს 10-17 ათასი ჯარისკაცი, 27-31 ათასი დაჭრილი და 300-350 ათასი უგზოუკვლოდ დაკარგული.



ადოლფ ჰიტლერი (1889-1945)



ჰერმან გერინგი
(1893-1946)



რუდოლფ ჰესი
1894-1987)



იოზეფ გებელსი
(1897-1945)




იოაჰიმ ფონ რიბენტროპი
(1893-1946)



ფრანც ჰალდერი
(1884-1972)




რაინჰარდ ჰაიდრიხი
(1904-1942)



ნევილ ჩემბერლენი (1869-1940)




ბენიტო მუსოლინი (1883-1945)



ნევილ ჰენდერსონი
(1882-1942)



ლორდი ჰალიფაქსი
(1881-1959)




რობერ კულონდრი
(1885-1959)



ადოლფ ჰიტლერი და რუდოლფ ჰესი. ჰიტლერის მარჯვნივ იოზეფ გებელსი



გერმანიის ტერიტორიული ექსპანსია 1933-1939 წლებში და პოლონური კორიდორი



გერმანული და პოლონური შენაერთების დისპოზიციები 1939 წლის 31 აგვისტოსათვის



ჰიტლერი ხელს აწერს პოლონეთთან ომის დაწყების დოკუმენტს. 1939 წელი



გერმანული ტანკები Pz.II და Pz.I




გერმანული საშუალო ტანკი Pz.III Ausf.D.



გერმანული ტანკები "Panzerkampfwagen III" (PzKpfw III) და მსუბუქი ჯავშანტრანსპორტიორები "Sonderkraftfahrzeug" 250 (Sd.Kfz.250)



Pz.IV Ausf.A. 1-ლი სატანკო დივიზია, პოლონეთი, 1939 წლის 1 სექტემბერი



პოლონური მსუბუქი ტანკი (ტანკეტკა) TKS. მსუბუქ TK-3-თან ერთად, II მსოფლიო ომის წინ ეს ტანკები წარმოადგენდნენ პოლონეთის სატანკო პარკის საფუძველს



პოლონური მსუბუქი ტანკი 7TP უკეთ იყო შეიარაღებული, ვიდრე გერმანული. იგი გერმანულ Pz.I და Pz.II ტანკებს არ ჩამოუვარდებოდა არც ტაქტიკური მანევრებლებით და არც ჯავშნის სისქით



გერმანელთა 81მმ-იანი მორტირა



გერმანელთა 210მმ-იანი L/14 მორტირების ბატარეა




გერმანელთა სარკინიგზო 150მმ-იანი ქვემეხი პოლონეთის კამპანიაში



პოლონელთა საზენიტო არტილერია



პოლონელი არტილერისტები ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებთან



ტანკსაწინააღმდეგო „ზღარბები“ დანციგის მისადგომებთან



პოლკონელთა ქვეითი ჯარი



პოლონური მსუბუქი ტანკების ფორმაცია



Narodowe Archiwum Cyfrowe, sygn. 1-W-1552-6

პოლონელთა საშუალო ბომბდამშენი PZL.37 Łoś და მისი ოთხკაცხანი ეკიპაჟი



გერმანელთა „კარვების ბანაკი“ პოლონეთის საზღვართან. 1939 წლის აგვისტო



პოლონეთში შეჭრის წინა დღე



Bundesarchiv, Bild 146-1978-006-18A
Foto: Giesecke, Jona 11., September 1939

სოპოტი. 1939 წლის 1 სექტემბერი



ვერმახტის სამხედრო მოსამსახურეები იღებენ გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ნიშნულებს



გერმანელთა სატანკო კოლონები შედიან პოლონეთში



სს-ის ქვედანაყოფები შელიან დანციგში



გერმანელები პოლონურ სოფელში



პოლონელი
ჯარისკაცი



პოლონელი ქვეითები




პოლონელთა კავალერია



ვარშავის მოსახლეობა ემზადება თავდაცვისათვის



რაინსმარშალი გერინგი ლიუფტვაფეს ოფიცრებთან ერთად



„იუნკერს 87“-ები პოლონეთის ცაში



პოლონელები თავდაცვაში



ვარშავა. 1939 წლის სექტემბერი



პიტლერი პოლონეთში – „ვარშავისაკენ“



გერმანელები უელან ლოდში. 1939 წლის 8 სექტემბერი



ვარშავა, 1939 წლის სექტემბერი



მე-4 სატანკო დივიზია ვარშავაში



„ლეიპტანდარტ ადოლფ ჰიტლერის“ დივიზიის ჯარისკაცები



მე-4 სატანკო დივიზიის 36-პოლკის ტანკები ვარშავის ქუჩებში. 1939 წლის 8-9 სექტემბერი



გერმანელები შედიან ვარშავაში



ვარშავის ქუჩაში აფეთქებული Pz.II Ausf.b



გერმანული ჯარისკაცები მიტოვებულ პოლონურ ტანკთან



გერმანული კავალერია დანციგის კორიდორში




ჩამოგდებული „მესერშმიტ Bf-110“



საბჭოელების შეჭრა პოლონეთში, 1939 წლის 17 სექტემბერი



საბჭოელების მიერ აყვანილი პოლონელი ტყვეები



პოლონელი ტყვეები დანციგში



პოლონელი ტყვეები ვესტერპლატეში



წითელი არმიის 24-ე სატანკო ბრიგადის BT-7-ები უედიან ლვოვში



წითელი არმიის 29-ე სატანკო ბრიგადის T-26-ები ოკუპირებულ ბრესტ-ლიტოვსკში. მარცხნივ მათი მოკავშირეები – გერმანელი მოტოციკლისტები და ვერმანტის ოფიცრები Opel Olympia-თან



საბჭოთა ჯარების შესვლა პოლონეთში. ვილნო, 1939 წლის 19 სექტემბერი



გერმანელი ოფიცრები საბჭოთა სამხედრო ნაწილის განლაგებაში. ბრესტ-ლიტოვსკი. 1939 წლის 22 სექტემბერი. შუაში საბჭოთა ოფიცერი, ბრიგადის გენერალი სემიონ კრივოშეინი



საბჭოთა და გერმანელი პატრულები ე.წ. „მშვიდობის საზღვარზე“ ლიუბლინში



„გამარჯვებულთა ალლუმი“. გენერალ-ობერსტი ჰაინც გუდერიანი და ბრიგადის გენერალი სემიონ კრივოშეინი ვერმანტის ჯარებისა და წითელი არმიის ერთობლივ ალლუმზე ბრესტ-ლიტოვსკში. 1939 წლის 23 სექტემბერი.



რაინსმინისტრი რუდოლფ ჰესი ფრონტზე ჯარების ინსპექტირებისას



ჰიტლერი ესალმება ჯარებს



ჰიტლერი პოლონეთში



ჰიტლერი აკვირდება ვარშავის საავიაციო დაბომბვას.
მისგან მარცხნივ დგას გენერალი ერვინ რომელი



გერმანელების ალლუმი ვარშავაში. 1939 წლის 30 სექტემბერი



ჯარები ესალმებიან ვარშავაში ჩასულ ჰიტლერს. 1939 წლის 5 ოქტომბერი



ვარშავა, 1939 წლის სექტემბერში

§2.2. „ნამგლითი ჭრა“

(ჩრდილოეთ საფრანგეთი, 1940 წლის 10-18 მაისი)

1939 წლის შემოდგომასა და ზამთარში დასავლეთ ევროპაზე გერმანელების შეტევის მომზადების მთავარ იდეას საფუძვლად შლიფენის ძველი გეგმა დაედო, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ 1914 წელს, გერმანიის შეტევის მარჯვენა ფლანგის შემობრუნებით, მოწინააღმდეგე ცალმხრივ უზარმაზარ ალყაში უნდა განადგურებულიყო. ახალი გეგმაც თითქმის იგივეს ითვალისწინებდა, მაგრამ ამჯერად შლიფენის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გარემორტყმის მაგივრად, საფრანგეთის არმიის შემოვლის შემდეგ, შეტევის მარჯვენა ფლანგმა გეზი უნდა აიღოს არა საფრანგეთის გულისაკენ, არამედ სამხრეთ ჰოლანდიისა და ბელგიის მიმართულებით,¹⁵² ანუ სამხედრო მოქმედებები უნდა დაიწყო და განვითარდეს კიდევ უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე ეს პირველ მსოფლიო ომში იყო.¹⁵³ ბელგიისა და ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ არსებულ ეჭვებს ჰიტლერი იმ შენიშვნით აქარწყლებს, რომ მნიშვნელოვანია სამხედრო გამარჯვების მიღწევა და სხვა არაფერი. სხვა ყველაფერი წვრილმანია და მას ყურადღება არ უნდა მიექცეს. იგი ამბობს – „შემდეგ გამარჯვებულს არავინ ჰკითხავს, თუ რატომ და რამდენად ხშირად დაარღვია მან ნეიტრალიტეტი.“¹⁵⁴

1939 წლის 7 ნოემბრისათვის დათქმული სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო გადაიდო. მაგრამ ეს დასაწყისია, ოპერაცია კიდევ ოცდაცხრაჯერ გადაიდება, რადგან ჰიტლერის გენერლები ყოყმანობენ და დიდ სიფრთხილეს იჩენენ. ისინი გეგმის სულ ახალ და ახალ გადამუშავებულ ვარიანტებზე მუშაობენ.¹⁵⁵ 23 ნოემბერს სამხედროებთან გამართულ შეკრებაზე, რომელიც სამიდან შვიდ

¹⁵² 1940 წელს, გერმანიის მხრიდან საფრანგეთსა და თანამედროვე ბენილუქსის ქვეყნებზე – ბელგიაზე, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგზე სტრატეგიული თავდასხმის ამ გეგმამ, რომელიც სამხედრო ბლიცკრიგის სახით მიმდინარეობდა, მიიღო კოდური დასახელება – „ყვითელი გეგმა“ (Fall Gelb). ამ გეგმის მეორე ეტაპს კი, წარმოადგენდა საფრანგეთის კამპანიის მეორე ფაზა – „წითელი გეგმა“ (Fall Rot). თავისთავად ცხადია, გეგმის მეორე ფაზის რეალიზაცია დამოკიდებული იყო გეგმის პირველი ნაწილის წარმატებულ აღსრულებაზე. გერმანელებმა შეძლეს მათ წინაშე დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრა. საერთო ჯამში, „წითელმა გეგმამ“ დაასრულა მოკავშირეთა ძალების განადგურება საფრანგეთის ტერიტორიაზე, რასაც 1940 წლის 25 ივნისისათვის საფრანგეთის სრული და უსიტყვო კაპიტულაცია მოჰყვა შედეგად.

¹⁵³ აღნიშნული გეგმა, კოდური დასახელებით – „ყვითელი გეგმა“ (Fall Gelb), მუშავდებოდა გერმანიის ვერმახტის სახმელეთო ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის (OKH - Oberkommando des Heeres) შტაბში, რომელიც ვიუნსდორფში მდებარეობდა.

¹⁵⁴ გერმანიის ვერმახტის სახმელეთო ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის (OKH - Oberkommando des Heeres) მიერ შემუშავებულ სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის გეგმას დასავლეთის მიმართულებაზე არსებითად საფუძვლად დაედო ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დასაწყისში, 1914 წელს შემუშავებული შლიფენის გეგმა. მაგრამ შლიფენის გეგმისგან განსხვავებით, OKH-ის გეგმა არ ითვალისწინებდა ფლანდრიაში სრული გამარჯვების მიღწევას. აქ მას მხოლოდ და მხოლოდ პოზიციური ხასიათი უნდა ჰქონოდა – გერმანელებს პოზიციური ფრონტი უნდა შეექმნათ მდინარე სომაზე. 1939 წლის 19 ოქტომბრის დირექტივის შესაბამისად, უნდა შექმნილიყო გერმანული ჯარების შემდეგი დაჯგუფებები: არმიათა ჯგუფი „B“ (სარდალი – გენერალ-ფელდმარშალი თეოდორ ფონ ბოკი) – მე-2, მე-4 და მე-6 არმიები (სულ 37 დივიზია), არმიათა ჯგუფი „A“ (სარდალი – გენერალ-ფელდმარშალი გერდ ფონ რუნდშტედტი) – მე-12 და მე-16 არმიები (სულ 27 დივიზია), არმიათა ჯგუფი „C“ (სარდალი – გენერალ-ფელდმარშალი ვილჰელმ რიტერ ფონ ლეები) – 1-ლი და მე-7 არმიები (სულ 25 დივიზია) და საარმიო ჯგუფი „N“ (სულ 3 დივიზია). რეზერვი – 9 დივიზია. გერმანელთა მთავარი დარტყმა უნდა განხორციელებინა არმიათა ჯგუფს „B“ ლიეჟის ორივე მხარეს და გაენადგურებინა ბელგიაში გაშლილი ფრანგულ-ბრიტანული ძალები ბელგიურ და ჰოლანდიურ არმიებთან ერთად. არმიათა ჯგუფს „A“ სამხრეთით უნდა ემოქმედა. მე-12 არმიას არმიათა ჯგუფ „B“-ს სამხრეთი ფლანგი უნდა დაეცვა, 1-ლი არმიას კი, დარტყმა უნდა განხორციელებინა სამხრეთ ბელგიისა და ლუქსემბურგის მიმართულებით. ლუქსემბურგის გავლის შემდეგ მე-16 არმიას მაჟინოს ხაზის დასავლეთის ფლანგის ჩრდილოეთით, მდინარეებს, საარსა და მასს შორის უნდა დაეკავებინა თავდაცვითი პოზიციები. მაჟინოს ხაზის წინააღმდეგ არმიათა ჯგუფ „C“-ს უნდა ემოქმედა. პოლიტიკურ კლიმატთან შესაბამისობაში საარმიო ჯგუფს „N“ უნდა დაეკავებინა ჰოლანდია. დირექტივა სრულდებოდა განკარგულებით „A“ და „B“ ჯგუფებისადმი, რომლის მიხედვითაც ამ არმიათა ჯგუფებს თავისი ჯარები ისე უნდა განლაგებინათ, რომ ექვსი საღელვამისო გადასვლის შემდეგ შეტევის საწყის პოზიციებზე გასულიყვნენ.

¹⁵⁵ „ყვითელი გეგმის“ პირველ ვარიანტს, რომელიც OKH-ის გეგმის სახელით იყო ცნობილი, უფრო თეორიული და პოზიციური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე რეალური გეგმისა. მას რეალური აღსრულების არავითარი შანსი არ ჰქონდა. მეორე ვარიანტი, რომელიც ომების ისტორიაში „მანშტეინის გეგმის“ სახელით არის ცნობილი, უფრო რეალისტური

საათამდე მიმდინარეობდა, ჰიტლერი ცდილობდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში დაერწმუნებინა და ამავე დროს დაეშინებინა თავისი სარდლები. „არაფრის შემეშინდება, – იმუქრობდა იგი, – და ყველას გავანადგურებ, ვინც ჩემს წინააღმდეგ წავა... მე ამ ბრძოლაში თავს გავწირავ და ბოლომდე ვიდგები მედგრად, ან დავეცემი. მე ვერ გადავიტან გერმანელი ხალხის დამცირებასა და დამარცხებას.“¹⁵⁶

1940 წლის 10 იანვრის ცივ დღეს, მეხელენთან განთავსებული ბელგიის სასაზღვრო პოსტის ჯარისკაცები განცვიფრებისაგან საკუთარ თვალებს არ უჯერებენ. ხეების მწკრივს უკან გერმანული თვითმფრინავი ეშვება, რომელიც ძლივს აცილებს ფრთებს ხის კენწეროებს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო – მაიორი რეინბერგერი, ლიუფტვაფეს¹⁵⁷ მე-2 საჰაერო ფლოტის შტაბიდან, უგულბელჰოფს ტექნიკური უსაფრთხოების წესებს და პილოტთან, რეზერვის მაიორ ჰონენსთან ერთად მიფრინავს მიუნსტერიდან კიოლნში სპეციალური დავალების შესასრულებლად. ცუდი ამინდის გამო პილოტი ორიენტაციას კარგავს, საწვავის მარაგი ეწურება და თვითმფრინავი იძულებით დაჯდომას ასრულებს. ეს საგანგებო შემთხვევაა. ორივე გერმანელი ოფიცერი ამაოდ ცდილობს დატყვევებამდე საიდუმლო დოკუმენტების განადგურებას, რომლებიც თან აქვთ. პილოტთა დაუდევრობის შედეგად დასავლეთის წინააღმდეგ ვერმახტის მიერ შემუშავებული საიდუმლო ოპერაციის გეგმა მოწინააღმდეგის ხელში ხვდება. საფრანგეთის სამხედრო ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ ახდენს ამ ინფორმაციაზე რეაგირებას და ჯარები გადაჰყავს გამაგრებული რაიონიდან მაჟინოს ხაზისა¹⁵⁸ და შემოდგომიდან მომზადებული საბრძოლო ველის უკან, ბელგიის რაიონში, რათა გერმანელების გრანდიოზული შეტევა საზღვრიდან რაც შეიძლება შორს შეაჩეროს. მათი თავდაცვის ყველა გეგმას ის საერთო აქვს, რომ საფრანგეთის ყველა არმია, მე-7 არმიის გარდა, რომელიც ჰოლანდიის ტერიტორიაზე დგას რეზერვში, ერთდროულად უნდა ჩაერთოს ბრძოლაში.¹⁵⁹ ფრანგებში განსაკუთრებული გაკვირვება არ გამოუწვევია გერმანელების სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის ამ გეგმას, რომლის მაგალითიც პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებიდან მათთვის კარგად იყო ცნობილი. ამჯერად ფრანგები

იყო და იგი წარმატებით განხორციელდა კიდევ 1940 წლის 10 მაისს, საფრანგეთის კამპანიის პირველი ფაზის დროს. შედეგად, გერმანულმა ჯარებმა დაიკავეს ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და ჩრდილოეთ საფრანგეთის ტერიტორიები.

¹⁵⁶ საფრანგეთზე სტრატეგიული თავდასხმის გეგმის დამუშავება 1939 წლის 27 სექტემბერს დაიწყო. ჯარების სახეობათა სარდლებთან და შტაბების უფროსებთან გამართულ თათბირზე ჰიტლერმა ხაზგასმით აღნიშნა – „ამ ომის მიზანი საფრანგეთის განადგურება და ინგლისის მუხლებზე დაყენებაა“. 1939 წლის 6 ოქტომბრისათვის გერმანულმა შენაერთებმა დაასრულეს პოლონეთის ოკუპაცია, 9 ოქტომბერს კი, ვერმახტის ჯარების სახეობათა სარდლებს – ვალტერ ფონ ბრაუნისს (სახმელეთო ჯარები – ჰეერი), ჰერმან გერინგს (საჰაერო ძალები – ლიუფტვაფე) და ერის რედერს (საზღვაო ძალები – კრიგსმარინი) გადაეცათ „დასავლეთის ფრონტზე საომარი მოქმედებების წარმოების“ გზავნილი, სადაც ბლიცკრიგის კონცეფციაზე დაყრდნობით განსაზღვრული იყო მომავალი საომარი კამპანიის მთავარი სტრატეგიული მიზნები.

¹⁵⁷ ლიუფტვაფე (გერმ. Luftwaffe) – გერმანიის ჯარების სახეობის – სამხედრო-საჰაერო ძალების დასახელება რაიხსვერის, ვერმახტისა და ბუნდესვერის შემადგენლობაში. უფრო ვიწრო გაგებით, ეს ტერმინი როგორც წესი, გამოიყენება III რაიხის (1933-1945წ.წ.) ვერმახტის სამხედრო-საჰაერო ძალებთან მიმართებაში.

¹⁵⁸ მაჟინოს ხაზი (ფრანგ. La Ligne Maginot) – XX საუკუნის 30-იან წლებში საფრანგეთის მიერ გერმანიის საზღვრის გასწვრივ, ბელფორიდან ლონგიონამდე აშენებული მძლავრი თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაკებობების სისტემა. ხაზის მშენებლობა მიმდინარეობდა 1929-1934 წლებში, თუმცა მისი გაუმჯობესება 1940 წლამდე მიმდინარეობდა. ხაზმა თავისი დასახელება იმდროინდელი საფრანგეთის სამხედრო მინისტრის, ანდრე მაჟინოს სახელის მიხედვით მიიღო. ხაზის საერთო სიგრძე 400კმ-ს შეადგენდა. ეს იყო თავდაცვის უმძლავრესი გამაგრებული სისტემა, რომელიც შედგებოდა 39 ხანგრძლივი თავდაცვითი გამაგრების, 75 ბუნკერის, 500 საარტილერიო და ტყვიამფრქვევის ბლოკის, 500 კაზემატის, ასევე ასეულობით კილომეტრის სიგრძის ბლინდაჟების რთული განტოლვითი ქსელისა და საკომანდო და სამეთვალყურეო პუნქტებისაგან.

¹⁵⁹ II მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ფრანგული სამხედრო აზროვნების მთავარ იდეას ეწ. „Bataille conduite“, „მეთოდური ბრძოლა“ წარმოადგენდა. ამ ტერმინის ქვეშ ფრანგი სამხედროები გულისხმობდნენ მკაცრად კონტროლირებად ოპერაციებს, სადაც ნაწილები, შენაერთები და საბრძოლო საშუალებები ზუსტად დგინდებოდა, ეტაპობრივად ისაზღვრებოდა მათი მარშის ტემპები, თვითოეული შენაერთის გადაადგილების თანამიმდევრობა და წესი, მეთოდურად ხდებოდა მათი საბრძოლო გაშლა. მაგრამ აქ ტანკების წამყვანი როლი უგულბელყოფილ იყო. საერთო ჯამში, ფრანგებისათვის ჯავშანტექნიკა განიხილებოდა როგორც „მეთოდური ბრძოლის“ მხოლოდ და მხოლოდ მხარდამჭერი საშუალება.

იგივე შეცდომას აღარ დაუშვებენ. ახლა ფრანგები უკვე მზად არიან, რომ მოწინააღმდეგე საფრანგეთში შეჭრამდე შეაჩერონ და გაანადგურონ. მაგრამ საფრანგეთის სამხედრო ხელმძღვანელობა დიდ შეცდომას უშვებს, აკეთებს რა სტრატეგიულად არასწორ შეფასებას, გარდაუვალი კატასტროფული შედეგებით, როცა ეძებს მის ანალოგს ახალი სამხედრო ისტორიის გამოცდილებიდან.¹⁶⁰ გერმანიის აბვერს,¹⁶¹ კანარისის¹⁶² მეთაურობით, დიდი წვლილი შეაქვს ფრანგთა ამ შეცდომის გაღრმავებაში. აბვერი დიდი წარმატებით ახორციელებს მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაციას. ისინი იყენებენ ყველა შესაძლო მეთოდს, დაწყებული ელემენტური, ენაწყლიანი ქალბატონიდან, დამთავრებული სატელეფონო საუბრების მიყურადებით, რომელთა მიხედვითაც გერმანელები ასკვნიან, რომ მოწინააღმდეგემ გერმანელთა თავდასხმის გეგმის ეს ვერსია დაიჯერა. და ისინი არ ცდებიან. სამაგიეროდ მწარედ ცდებიან ფრანგები. ეს სულ სხვა თამაში და სულ სხვა სქემაა. სინამდვილეში, „მეხელენის გეგმისგან“ განსხვავებით, გერმანელი გენერალიტეტისა და ვერმახტის ნამდვილი გეგმები სულ სხვაგვარად გამოიყურება. გენერალი ფონ მანშტეინი¹⁶³,

¹⁶⁰ გერმანელები იყენებდნენ ის ხალხს, ვინც ყველაზე საგულდაგულოდ და ყურადღებით შეისწავლა და გაანალიზა I მსოფლიო ომის გამოცდილება. პრაქტიკულად ომის დასრულებისთანავე, რაიხსვერის უფროსმა, გენერალმა ჰანს ფონ სექტმა, ორგანიზება გაუკეთა არანაკლებ 57 კომიტეტს იმ საკითხების დაწვრილებით შესასწავლად, თუ რა მოხდა რეალობაში 1914-1918 წლებში. I მსოფლიო ომის შემდეგ, შესწავლილი საკითხების ანალიზის საფუძველზე შლიფენისეული სამხედრო კონცეფცია მოდიფიცირებულ იქნა. გენერალმა ფონ სექტმა, გერმანიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელმა, გერმანიის ახალი სამხედრო დოქტრინიდან უკუაგლო შლიფენისეული სტრატეგიული გარშემოტყმის კონცეფცია და ფოკუსირება მანერზე და მის ტემპებზე გააკეთა. მისი ხელმძღვანელობით განახლებულ ჯარების მართვის დოქტრინალურ სისტემას *Bewegungskrieg* (მანევრული ომი) ეწოდა, ხოლო მასთან ასოცირებულ მეთაურობის სტილს *Auftragstaktik* (მიზნის მიღწევის ტაქტიკა, ამოცანით მართვა), ე.ი. კონკრეტული ტაქტიკური დონის მეთაური თავად წვევტდა მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს. სტრატეგიული შეტევითი მოქმედებების ამ ახლადშემუშავებულ სისტემას მთავარი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში სტრატეგია ბლიტკრიგის წარმატებაში.

¹⁶¹ აბვერი (გერმ. *Abwehr* – დაცვა, მოგერიება. სიტყვებიდან – *Auslandnachrichten* და *Abwehramt*) – 1919-1944 წლებში ვაიმარის რესპუბლიკისა და III რაიხის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანო. იგი შედიოდა ვერმახტის უმაღლესი სარდლობის შემადგენლობაში. ამ სახელით მოიხსენიებენ 1919 წელს შექმნილ და 1920-1944 წლებში მოქმედ რაიხსვერისა და მოგვიანებით ვერმახტის შემადგენლობაში შემავალ ყველა სამხედრო ინსტანციასა და ქვედანაყოფს, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა სამხედრო დაზვერვის, კონტრდაზვერვის, შპიონაჟისა და დივერსიული აქტების განხორციელება.

¹⁶² ვილჰელმ ფრანც კანარისი (გერმ. *Wilhelm Franz Canaris*) (1887-1945წ.წ.) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გერმანიის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურის – აბვერის უფროსი 1935-1944 წლებში, გერმანული ფლოტის ადმირალი 1940 წლიდან. 1944 წლის ივლისიდან განსაკუთრებულ დავალებათა ადმირალი, ვერმახტის უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსი სავაჭრო და ეკონომიკური ომის საკითხებში. 1944 წლის ივლისის შუა რიცხვებში აბვერის ყოფილმა თანამშრომლებმა საქმის კურსში ჩააყენეს კანარისი ჰიტლერზე მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, რაზეც მას რეაგირება არ მოუხდენია. ტერაქტის შემდეგ, გესტაპოს უფროსის, სს-ის გრუპენფიურერ ჰაინრიხ მიულერის ბრძანებით, იგი დაპატიმრებულ იქნა იმპერიის უშიშროების სამსახურის საგარეო დაზვერვის (გერმ. *SD – SicherheitsDienst*) უფროსის, სს-ის ბრიგადეფიურერ ვალტერ შელენბერგის მიერ. გამოიძიებამ ვერ დაადასტურა კანარისის მონაწილეობა შეთქმულებაში და 1945 წლის თებერვალში იგი გადაყვანილ იქნა ფლორენსბურგის საკონცენტრაციო ბანაკში. რამდენიმე ხანში აღმოჩენილ იქნა კანარისის დღიურები, სადაც იგი დაწვრილებით აღწერდა იმ ამბებს თუ როგორ მუშაობდა ბრძანული დაზვერვის სასარგებლოდ. 8 აპრილს გაიმართა სპეციალური სასამართლო სხდომა, რომელსაც გესტაპოს განყოფილების უფროსი, სს-ის შტანდარტენფიურერი ვალტერ ჰუპენკოტენი თავმჯდომარეობდა. მოკლე განხილვის შემდეგ, ვილჰელმ კანარისს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მეორე დღეს, 9 აპრილს, იგი ჩამოახრჩვეს.

¹⁶³ ერის ფონ მანშტეინი (ლევინსკი) (გერმ. *Erich von Manstein*) (1887-1973წ.წ.) – ცნობილი გერმანელი სამხედრო მოღვაწე და XX საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მხედართმთავარი, I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე და სარდალი, ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალი. დიდი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის, გერმანიის პირველი და უკანასკნელი რაიხსპრეზიდენტის, გენერალ-ფელდმარშალ პაულ ფონ ჰინდენბურგის დისშვილი. აღიარებული იყო გერმანიის ვერმახტის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნიჭიერ და წარმატებულ სამხედრო სტრატეგოსად და ითვლებოდა ვერმახტის მთელი გენერალიტეტის უდავო არაფორმალურ ლიდერად. II მსოფლიო ომის დასაწყისში, გერმანიის მიერ პოლონეთზე თავდასხმის დროს, 1939 წლის სექტემბერში, იყო გენერალ-პოლოკენიკ რუნდშტელტის არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ შტაბის უფროსი. წარმოადგენდა საფრანგეთზე სტრატეგიული თავდასხმის გეგმის ავტორს. II მსოფლიო ომის მსვლელობისას სარდლობდა არმიებს და სხვა მსხველ საჯაროსო შენაერთებს. 1944 წელს, ჰიტლერთან ოპერაციების დაგეგმვისა და ჯარების მართვის საკითხებში არსებული მუდმივი უთანხმოებების გამო, აქტიურ სამხედრო სამსახურს ჩამოაშორეს და თადარიგში დაითხოვეს. II მსოფლიო ომის შემდეგ, 1950 წელს, დიდი ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალმა მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა. ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო, გათავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან 1953 წელს. მუშაობდა სამხედრო მრჩეველად დასავლეთ გერმანიის მთავრობაში. გარდაიცვალა 1973 წელს ინსულტით. დაკრძალულ იქნა სრული სამხედრო პატივით.

არმათა “A” ჯგუფის შტაბის უფროსი (სარდალი ფელდმარშალი გერდ ფონ რუნდშტედტი¹⁶⁴), ახალ გეგმასთან მიმართებაში ბევრ საერთოს პოულობს შლიფენის სტილის შეტევის ძველ გეგმასთან. ახალი გეგმა მისთვის საეჭვო და ნაკლებად საიმედოა. იგი ყოველ წუთს ელოდება ფრანგთა მოულოდნელ მოქმედებებს. არსებობს საფრთხე, რომ გერმანელთა შეტევა, 1914 წლისგან განსხვავებით, უფრო ადრე შეჩერდება პოზიციურ ომში. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს დიდი სატანკო შენაერთების გამოყენებას ერთ რაიონში, რომელიც დასერილია ძალიან ბევრი მდინარითა და არხით და, შესაძლოა, შეასუსტოს შეტევის ეფექტურობა. საერთო ჯამში, ის სწრაფი გადაწყვეტილება, რომელზეც აგებულია ჰიტლერის საომაკო მოქმედებების საერთო გეგმა, მანშტეინს სახიფათოდ ეჩვენება. ამიტომ იგი შეიმუშავებს საპასუხო წინადადებას, რომელიც მოკავშირეებისგან ბელგიაზე მოსალოდნელი პირდაპირი შეტევის ნაცვლად, ითვალისწინებს შლიფენის გეგმის ახალი გამოცემის დაუფარავ ფალსიფიკაციას. მანშტეინი სრულიად ახალ იდეას ავითარებს. იგი იმის ინიციატორად გამოდის, შემოთავაზებული გეგმისგან განსხვავებით, გერმანელთა შეტევის ძირითადი ძალისხმევა მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში, არდენის მთაგორიან მასივზე¹⁶⁵ გადაიტანონ, რათა ამით მოულოდნელობის ფაქტორი დაიბრუნონ და სტრატეგიული ინიციატივა იგდონ ხელთ. საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, არდენი არ გამოდგება დიდი შენაერთების საბრძოლო გაშლისა და მასშტაბური სატანკო ოპერაციების ჩასატარებლად. ამიტომ ფრანგების მიერ ეს მონაკვეთი შედარებით ნაკლებად იყო დაცული. ზუსტად ამ გათვლას ეყრდნობოდა მანშტეინის გეგმაც.¹⁶⁶ თუ ტანკები გადალახავდნენ არდენის მთიან და ტყიან ტერიტორიას, ისინი დაუბრკოლებლად შეძლებდნენ მისვლას ატლანტიკის სანაპირომდე ჩრდილოეთ საფრანგეთის ვაკე ტერიტორიების გავლით. ამით კი, გერმანელები, ბელგიისა და ჰოლანდიის იზოლირებით, ფრანგების მისი მოკავშირე ბრიტანული არმიის ბაზიდან გამოყოფას შეძლებდნენ.¹⁶⁷

¹⁶⁴ გერდ ფონ რუნდშტედტი (გერმ. Karl Rudolf Gerd von Rundstedt) (1875-1953წ.წ.) – ძველი პრუსიული არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი, ცნობილი პრუსიული და გერმანელი სამხედრო მოღვაწე, შტაბის ოფიცერი და მხედართმთავარი, I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე, ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1892 წელს. 1907 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას. I მსოფლიო ომში მონაწილეობდა მარნას ბრძოლებში. ნაციონალ-სოციალისტების გერმანიის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტში, 1933 წელს, ეკავა არმიის სარდლის თანამდებობა. 1938 წელს იღებს გენერალ-ობერსტის (გენერალ-პოლკოვნიკი) სამხედრო წოდებას. II მსოფლიო ომის ევროპულ კამპანიებში სარდლობდა მსხვილ საჯარისო შენაერთებსა და საარმიო გაერთიანებებს. ნაცისტური გერმანიის პოლონეთში შეჭრის დროს სარდლობდა ვერმახტის არმათა ჯგუფს „სამხრეთი“. 1940 წლის გაზაფხულზე, საფრანგეთის კამპანიის დროს კი, არმათა ჯგუფი “A”-ს სარდალი იყო. აქვე მიიღო გენერალ-ფელდმარშალის წოდება. საბჭოთა კავშირში შეჭრის დროს, 1941 წლის ივნისში, ოპერაცია „ბარბაროსას“ მსვლელობისას, სარდლობდა ვერმახტის არმათა ჯგუფს „სამხრეთი“, რომელმაც განახორციელა ომების ისტორიაში უდიდესი სტრატეგიული გარემორტყმის ოპერაცია კიევიდან, სტრატეგიულ ქვაბში მოქცეა რა ექვსი საბჭოთა არმია და ტყვედ აიყვანა 665 ათასზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი. 1942 წლიდან იყო დასავლეთ ევროპაში გაშლილი გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდალი. ჯარების მართვის ოპერატიულ საკითხებში ჰიტლერთან უთანხმოებების გამო, 1938-1945 წლების განმავლობაში ოთხჯერ გადადგა. 1944 წლის 20 ივლისის ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისა და ტერაქტის შემდეგ, იგი დათანხმდა გენერალ ჰაინც გუდერიანთან და ფელდმარშალ ვილჰელმ კაიტელთან ერთად ყოფილიყო ოფიცერთა ღირსების სასამართლოს წევრი. 1945 წლის მარტში იგი კიდევ ერთხელ, ამჯერად უკანასკნელად გადადგა, ხოლო 1945 წლის 1 მაისს მოკავშირეებმა ტყვედ აიყვანეს. გათავისუფლებულ იქნა 1948 წელს. სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა ჰანოვერში.

¹⁶⁵ არდენი, ან არდენის მთები, არდენის ტყე (ფრანგ. Ardennes, ნიდერ. Ardennen, ლათ. Arduenna Silva) – საფრანგეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ტერიტორიებზე მდებარე მთათა სისტემა და ტყიანი მასივი. არდენის მთები წარმოადგენს რაინის ქედის დასავლეთის დაბოლოებას. იგი მდებარეობს მდინარეების მაასის, მოზელისა და სამბრის აუზებში, აღმოსავლეთით კი, გადადის ეიფელის ტყიან მასივში. მთის ფერდობები დაფარულია არყის, ნაძვისა და მუხის ტყეებით. აქვეა ქვანახშირისა და რკინის საბადოები. არჩევენ მაღალ და დაბალ არდენებს. მაღალი არდენები მდებარეობს მდინარე ურტის ჩრდილოეთით, ხოლო დაბალი – მის სამხრეთ-დასავლეთით. არდენზე კლიმატი უფრო მკაცრია, ვიდრე მეზობელ რეგიონებში. ზაფხული ცხელი და ნოტიოა, ზამთარი – ცივი, ხანგრძლივი და უხვთოვლიანი. არდენის რეგიონი ნაკლებად დასახლებულია.

¹⁶⁶ მანშტეინმა თავისი გეგმა ჯერ მე-19 საარმიო კორპუსის სარდალთან, გენერალ ჰაინც გუდერიანთან განიხილა, შემდეგ კი, გეგმის სისწორეში გენერალი გერდ ფონ რუნდშტედტიც დაარწმუნა. ამის შემდეგ, რუნდშტედტმა და მანშტეინმა შესაბამისი წერილი სახმელეთო ჯარების სარდალთან, გენერალ ვალტერ ფონ ბრაუნიჩთან და სახმელეთო ჯარების გენშტაბის უფროსთან, გენერალ ფრანც ჰალდერთან გაგზავნეს სახმელეთო ჯარების შტაბში.

¹⁶⁷ ეს გეგმა შემუშავდა სახმელეთო ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის (OKH - Oberkommando des Heeres) მიერ 1939 წლის 29 ოქტომბერს, ამიტომ იგი ისტორიაში „29 ოქტომბრის გეგმის“ სახელით შევიდა. საერთო ჯამში,

ეს არის გენიალური გეგმა – გონებასწავილობითა და შორსმჭვრეტელობით ფრთაშესხმული გმირობა, რომელსაც კლაუზევიცი¹⁶⁸ „ჭეშმარიტად შემოქმედებით ძალას“ უწოდებდა და წარმატებული სამხედრო მეთაურობის მთავარ პირობად მიაჩნდა.¹⁶⁹ ასეთი გამბედაობა გერმანიის გენერალურ შტაბს იმდენად ავანტიურისტულად ეჩვენება, რომ გეგმა ოფიციალურად ჩერდება. თუმცა, მანშტეინის თანამშრომელი, ჰენინგ ფონ ტრესკოვი¹⁷⁰ ასერბებს მოიპოვოს მისთვის ერთი შეხედვით არარეალური შესაძლებლობა. თავისი მეგობრის, ჰიტლერის უფროსი ადიუტანტის, რუდოლფ შმუნდტის¹⁷¹ შუამავლობით, იგი

გეგმა ითვალისწინებდა გერმანული არმიების მიერ მოკავშირეთა ჯარების განადგურებას სომას ჩრდილოეთით და მათ ლა-მანშეი გასვლას. არმიათა ჯგუფი “B“-ს შემადგენლობაში დამატებით ჩართულ იქნა მე-18 არმია. ამით არმიათა ჯგუფში ჩართული დივიზიების რაოდენობა 43-მდე იქნა მიყვანილი. აქედან – 9 სატანკო და 4 მოტორიზებული. არმიათა ჯგუფი “A“-ს დივიზიათა რაოდენობა 22-მდე შემცირდა, ხოლო “C“-ში ჩართული დივიზიების რაოდენობა – 18-მდე. გამოთავისუფლებული დივიზიებით გაძლიერებულ იქნა შეტევის ჩრდილოეთი ფრთა. არმიათა ჯგუფმა “B“-მ მიიღო დაკავლება ერთი დამრტყმელი ჯგუფით გაჭრილიყო ლიეჟის ჩრდილოეთით, ბრიუსელის რაიონში, ხოლო მეორე ჯგუფით – ლიეჟის სამხრეთით, შემდეგ კი, გავერძელებინა სვლა დასავლეთის მიმართულებით. არმიათა ჯგუფს “A” მიღებული ჰქონდა დამხმარე დაკავლება – დაეფარა არმიათა ჯგუფი “B“-ს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ფლანგი. ხოლო არმიათა ჯგუფს “C”, უნდა დაეკავებინა პოზიციები მაჟინოს ხაზის წინ. „29 ოქტომბრის გეგმის“ თანახმად, გერმანული ჯარების სტრატეგიული გაშლა უნდა დასრულებულიყო 5 ნოემბრისათვის, 1939 წლის 12 ნოემბერს კი, უნდა დაწყებულიყო შეტევითი მოქმედებები.

¹⁶⁸ კარლ გოტლიბ ფონ კლაუზევიცი (გერმ. Carl Philipp Gottlieb von Clausewitz) (1780-1831წ.წ.) – ნაპოლეონის ეპოქის პრუსიელი მხედართმთავარი, სამხედრო თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, გენერალ-მაიორი. თავისი ფუნდამენტალური ნაშრომით – „ომის შესახებ“, რომელიც 1832 წელს გამოქვეყნდა, მოახდინა გადატრიალება სამხედრო მეცნიერების თეორიასა და საფუძვლებში. პრუსიულ-გერმანული ახალი სამხედრო აზრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა მაგდებურგში, 12 წლის ასაკში ჩაირიცხა პრინც ფერდინანდის პოლკში შტანდარტ-იუნკრად. 1793 წელს ენიჭება ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება. 1806 წელს მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. 1810-1812 წლებში ასწავლიდა სამხედრო მეცნიერებას პრინც ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ს, შემდგომში პრუსიის მეფეს. 1812 წლიდან მსახურობს რუსეთის არმიაში. მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში. 1814 წელს ბრუნდება პრუსიის არმიაში და იღებს პოლკოვნიკის წოდებას. 1815 წელს ინიშნება მე-3 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. მონაწილეობდა ვატერლოოს ბრძოლის წინმსწრებ ლინისა და ვაგერის ბრძოლებში, რომლის შედეგებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ვატერლოოს ბრძოლის საბოლოო ბედი. სწორედ პრუსიელთა მე-3 კორპუსთან ჩაება საბრძოლო მოქმედებებში მარშალ გრუმის კორპუსი, რის გამოც მან დროულად ვერ მოახერხა ვატერლოოს ველზე მისვლა. ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მიღწეული წარმატებების გამო, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ჯვრითა და ოქროს ხმლით. 1818 წელს ინიშნება პრუსიის სამხედრო აკადემიის დირექტორად და ენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1831 წლიდან არის ფელდმარშალ გნაისენაუს (გერმ. August Wilhelm Antonius Graf Neidhardt von Gneisenau) არმიის შტაბის უფროსი და პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი. გარდაიცვალა ქოლერისგან, ბრესლაუში, 1831 წელს.

¹⁶⁹ ერთი რამ ცხადია – გერმანული ანალიზი, ჯარების დეცენტრალიზებული მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც მათ პრუსიული ტრადიციით მიიღეს – შარნჰორსტადან (გერმ. Gerhard Johann David von Scharnhorst) დაწყებული და მოლტკე უფროსით დამთავრებული, და შემდგომშიც, წაგებული I მსოფლიო ომის მიზეზების სრული შესწავლა, პრობლემის გადაწყვეტის პოტენციური გზა იყო. სისტემა მოითხოვდა, რომ სადაც ეს საჭირო იყო, არტილერიას, ქვეით ჯარსა და სხვა მხარდაჭერ ქვედანაყოფებს კოორდინირებულად და ერთად ემოქმედათ ზემოდან დაშვებული დირექტივების გარეშე. ზედა სამეთაურო ემელონებიდან წამოსული ლიმიტირებული ინფორმაცია აიძულებდათ ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დონის მეთაურებს ბრძოლის ველზე თავად გაეანალიზებინათ შექმნილი სიტუაცია და ადგილებზე მიეღოთ სწორი გადაწყვეტილებები. ამიტომაც იყვნენ ჰაინც გულდერიანი, ერის ფონ მანშტეინი, ერვინ რომელი, ჰერმან ჰოტი, ზუპ დიტრიხი, ვალტერ მოდელი და სხვა უამრავი გერმანელი ოფიცერი წარმატებული მეთაური და სარდალი.

¹⁷⁰ ჰენინგ გერმან რობერტ კარლ ფონ ტრესკოვი (გერმ. Henning Hermann Robert Karl von Tresckow) (1901-1944წ.წ.) – ძველი პრუსიული არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი, გერმანელი სამხედრო ოფიცერი, ვერმახტის გენერალ-მაიორი. I და II მსოფლიო ომების მონაწილე. 16 წლის ასაკში მოხალისედ წავიდა I მსოფლიო ომში. იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებულ იქნა რკინის ჯვრით. II მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. 1939 წლის პოლონეთის კამპანიის დროს მსახურობდა 118-ე ქვეითი დივიზიის ოპერატიული განყოფილების უფროსად. იგი იყო გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის პირველი გერმანელი ოფიცერი, რომელიც I-ლი ხარისხის რკინის ჯვრით დაჯილდოვდა. 1939 წლის ოქტომბერში ინიშნება არმიათა ჯგუფი “A“-ს შტაბში, სადაც მიმდინარეობდა საფრანგეთის საომარი კამპანიის დაგეგმვა. 1944 წელს ენიჭება ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება. ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებების ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულებისა და ტერაქტის ჩაგარდნის მეორე დღესვე სიცოცხლე დაასრულა ფრონტის ხაზზე თვითმკვლელობით. თავდაპირველად იგი სამშობლოში დაასაფლავეს მხედრული პატივით, მაგრამ შემდეგ, რაც მისი შეთქმულებაში მონაწილეობა გამოვლენდა, მის გვამს ექსჰუმაცია ჩაუტარეს, შემდეგ კი, ზაქსენჰაუსენის საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმში დაწვეს.

¹⁷¹ რუდოლფ შმუნდტი (გერმ. Rudolf Schmundt) (1896-1944წ.წ.) – გერმანელი სამხედრო ოფიცერი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ვერმახტის ქვეითი ჯარების გენერალი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1914 წელს. I მსოფლიო ომის დასრულებისას უკვე ლეიტენანტია. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამხედრო სამსახურს აგრძელებს რაიხსვერში. 1921 წლიდან რაიხსვერის ოფიცერია. 1938 წლის 29 იანვარს დაინიშნა ჰიტლერის მთავარ სამხედრო

ახერხებს „ნამგლით ჭრის“ (გერმ. Sichelschnitt) ეს გეგმა 1940 წლის თებერვლის შუა რიცხვებში პირადად გააცნოს ჰიტლერს¹⁷².

ამ გეგმის გაბედულება სპონტანურად მოხიბლავს და აღაფრთოვანებს ჰიტლერს. ოპერატიულ საკითხებთან დაკავშირებით მას გარკვეული ალლო და მსგავსი მოსაზრებები აქვს. დიდი ხანია, თავში უტრიალებს იდეა, ძალები გადაისროლონ „ძლიერი მარჯვენა ფლანგიდან“, რათა ცენტრში თავმოყრილი ტანკების სოლისებრი საბრძოლო წყობით შეუტონ საფრანგეთს გაუვალი არდენის გავლით. განა არ შეესაბამება ეს გაბედული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის ფლანგის მოულოდნელ გარემოცვას, ჰანიბალის¹⁷³ ცნობილ კანეს საბრძოლო გეგმას? ჰიტლერი დეტალურად ეცნობა რუკას და აცნობიერებს, რომ არლონის, ტენტინისა და ფლორანვილის ტერიტორიაზე არსებული ნაკაფი ზოლი იძლევა იმის საშუალებას, რომ მიაღწიონ მდინარე მასს უღრანი ტყის გაუვლელად. შეტევა არ უნდა განვითარდეს მაჟინოს ხაზის გავლით, რომელიც საფრანგეთის აღმოსავლეთ ფლანგს ფარავს და იცავს, არამედ მისგან უსაფრთხო დისტანციაზე, ლუქსემბურგის გვერდის ავლით.

საფრანგეთზე შეტევის ახალ გეგმას გერმანიის გენშტაბშიც დაეთანხმნენ და მისი საბოლოო ფორმაც ჩამოყალიბდა.¹⁷⁴ ამ გენიალური გეგმის მონახაზი კი ასეთია: გენერალ

ადიუტანტად და სიცოცხლის ბოლომდე მისი უახლოესი გარემოცვის წევრს წარმოადგენდა. იმავე წლიდან პოდპოლკოვნიკია, ხოლო ერთი წლის შემდეგ – უკვე პოლკოვნიკი. 1942 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. იმავე წლის ოქტომბრიდან 1944 წლის ივნისამდე იყო სახმელეთო ჯარების კადრების სამმართველოს უფროსი. 1943 წლიდან ვერმანტის გენერალ-ლეიტენანტია, ხოლო 1944 წლიდან – ქვეითი ჯარის (ინფანტერიის) გენერალი. 1944 წლის 20 ივლისს, ჰიტლერის მთავარ საველე საკომანდო პუნქტ „ვოლფშანცეში“ ჰიტლერზე განხორციელებული ტერაქტის დროს, ბომბის აფეთქების შედეგად მიიღო მძიმე ჭრილობები, რის გამოც ტერაქტიდან ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

¹⁷² გენერალ-ფელდმარშალ ერის ფონ მანშტეინის მიერ წარმოთქმული ეს სპეციფიკური ფრაზა – „ნამგლით ჭრა“ (გერმ. Sichelschnitt), რაც გულისხმობდა მაჟინოს ხაზის გვერდის ავლას და არდენის მთა-გორიანი რაიონის გავლით გერმანული ჯავშანსატანკო შენაერთების პირდაპირი შეტევითი მოქმედებების განვითარებას დასავლეთის მიმართულებაზე, მყარად დამკვიდრდა როგორც გერმანულ ენაში, ასევე და ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის ლექსიკონში.

¹⁷³ ჰანიბალი (ჰანიბალ ბარკა) (ფინიკიური ენიდან ითარგმნება როგორც „ბაალის საჩუქარი“) (ძვ.წ. 247-183წ.წ.) – კართაგენელი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი. ძველი სამყაროს ერთ-ერთ უდიდესი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. ისტორიკოსი სერჟიო ლანსელი თვლის, რომ სიტყვა „ბარკა“ მომდინარეობს ივრითულიდან და ნიშნავს „ელვას“, ან „დალოცვილს“. დაიბადა კართაგენში, მხედართმთავარ ჰამილკარ ბარკას არისტოკრატულ, მდიდარ ოჯახში. 9 წლის ასაკში დაიფიცა გამხდარიყო რომის შეურიგებელი მტერი. ძვ.წ. 221 წელს ხდება კართაგენელთა ჯარის მთავარსარდალი, ძვ.წ. 218 წელს ლაშქარავს იტალიას და იწყებს მეორე პუნიკურ ომს. ძვ.წ. 218 წლის 18 დეკემბერს მდინარე ტრევიასთან, ძვ.წ. 217 წლის 22 ივნისს ტრაზიმენოს ტბასთან, ხოლო ძვ.წ. 216 წლის 2 აგვისტოს კანესთან გამართულ ბრძოლებში სასტიკად დაამარცხა რომაელები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კანეს ბრძოლა, სადაც ჰანიბალმა წარმატებით განახორციელა ორმაგი გარშემორტყმის სტრატეგია. ეს ბრძოლა ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის ქრესტომათიად ითვლება. საზოგადოდ კი, პუნიკური ომები მცირე შესვენებებით მიმდინარეობდა ძვ.წ. 264-146 წლებში რომსა და კართაგენს შორის ჯერ სიცილიის, ხოლო შემდეგ მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის დაპატრონების მიზნით. ომების დასახელება მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ რომაელები კართაგენელებს, როგორც ფინიკიელთა შთამომავლებს, პუნებს, პუნიკიელებს უწოდებდნენ. ეს საუკუნეობრივი დაპირისპირება სამ ომს მოიცავდა. საბოლოოდ, გამარჯვებას რომაელებმა მიაღწიეს, რითაც საკუთარი პოზიციები გაიმყარეს აპენინისა და იბერიის ნახევარკუნძულებზე, აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკაში, დაიპყრეს და დაანგრეს რა თავისი დაუძინებელი მტერი კართაგენი.

¹⁷⁴ 1940 წლის გაზაფხულის დასაწყისისათვის გერმანიის დასავლეთ საზღვრებთან გაშლილი იყო 104 ქვეითი, 9 მოტორიზებული და 10 სატანკო დივიზია – საერთო ჯამში 2,5 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი. მთელი ეს ძალა განაწილებული იყო არმიათა სამ ჯგუფში. დასავლეთის ფრონტზე გერმანიას გააჩნდა 35 სატანკო ბატალიონი, რომლებიც 10 სატანკო დივიზიაში იყვნენ განაწილებულნი – სულ 2488 ტანკი. ამ ძალების საპაეო მხარდაჭერას ანხორციელებდა სხვადასხვა ტიპის 1478 თვითმფრინავი, რომელთა უმეტესობა თავისი საფრენოსნო და ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით აღემატებოდნენ მოკავშირეთა სამხედრო-საპაეო ძალების საფრენ აპარატებს. 1940 წლის გაზაფხულისათვის ფრანგული ჯარი მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. იგი თავის შემადგენლობაში 2 მილიონზე მეტ ჯარისკაცს და 3101 ტანკს ითვლიდა. მათ შორის, 470 ერთეულ ყველაზე თანამედროვე SOMUA S35 და Char B1 (bis) ტანკს, რომლებიც ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლებითა და საცეცხლე ძალით აღემატებოდნენ გერმანულ ტანკებს. ფრანგთა ეს ჯავშანტექნიკა ჩართული იყო 4 ჯავშანსატანკო, 5 მექანიზირებულ და 74 სხვა დივიზიაში. 1940 წლის 10 მაისისათვის საფრანგეთის არმიას ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრონტზე გააჩნდა 24 ქვეითი, 7 მოტორიზებული, პირველი რიგის რეზერვის 20, მეორე რიგის რეზერვის 16 და 5 საკავალერიო დივიზია. ასევე, 4 ცალკეული საკავალერიო ბრიგადა, 3 ჯავშანსატანკო დივიზია, 3 მსუბუქი მექანიზირებული დივიზია, 1 პოლონური დივიზია და მაჟინოს ხაზის გარნიზონები – სულ 13 დივიზია.

ფონ ბოკის¹⁷⁵ არმიათა ჯგუფი B მიიზიდავს მოწინააღმდეგის დიდ ძალებს ბელგიისკენ, იმ დროს, როცა რუნდშტელტის არმიათა ჯგუფი A-ს სატანკო შენაერთები ლა-მანშის სრუტისაკენ სწრაფი შეტევით მოწინააღმდეგეს ზურგიდან მოუჭრიან გზას და შებრუნებული ფრონტით აიძულებენ ბრძოლას. შემდეგ კი, ფრანგულ და ბრიტანულ შენაერთებს, რომლებიც გარღვევის ხაზის ჩრდილოეთით იმყოფებიან ალფაში მოაქცევენ. არმიათა C ჯგუფს კი, სამხრეთში მნიშვნელოვანი დავალების შესრულება მოუწევს. მან უნდა წამოიწყო უდიდესი, მაგრამ მოჩვენებითი შეტევა მაჟინოს ხაზზე, რათა ამით შებოჭოს მოწინააღმდეგის ძალები და ფრანგებს ხელი შეუშალოს ჯარების ამ მონაკვეთიდან გაყვანაში. მაგრამ მთლად ასე მარტივად არაა საქმე. არდენზე რამდენიმე ვიწრო გზა გადის და უღრან ტყეში უამრავ ხვეულად მიიკლავება. წინ ეშელონირებული სატანკო დივიზია ქმნის გარეული ღორების კვალის მსგავს დაუსრულებელ კოლონას მისასვლელბთან. პატარა შეცდომას, მცირე წინააღმდეგობას ან ჰაერიდან სუსტ დაბომბვასაც კი შეუძლია გერმანელებისათვის უზარმაზარი კატასტროფის გამოწვევა, ისე რომ მხოლოდ არეულ-დარეული ქვედანაყოფები მიღწევენ მდინარე მასის ნაპირებამდე. მთავარი როლის დაკარგვით უკმაყოფილო გენერალი თეოდორ ფონ ბოკი 16 მარტის ვითარების შესახებ მოხსენებაში აღშფოთებას ვერ მალავს: „თქვენ მიიწვეთ მაჟინოს ხაზიდან 15 კილომეტრის დაშორებით და თვლით, რომ ფრანგები უბრალო თვალთვალს დასჯერდებიან! ტანკები არდენის გზაზე მიგყავთ და გავიწყდებათ, რომ თვითმფრინავებმა უკვე შეგნიშნეს! თქვენ თვლით, რომ შეძლებთ მასის გადაკვეთას ერთ დღეში და გარბინართ ზღვისკენ სამასკილომეტრიანი ღია ფლანგით. და რა გსურთ გააკეთოთ, როცა საზღვარსა და მდინარის ნაპირს შორის აღმოჩნდებით? ანდა რას იზამთ იმ შემთხვევაში, თუ ფრანგები ბელგიისკენ არ გადაადგილდებიან და ადგილზე დარჩებიან? არა, არა, ეს უკვე მეტისმეტია. დამიჯერეთ ბატონებო, თქვენ ფანტაზიორობთ!“¹⁷⁶

¹⁷⁵ თეოდორ ფონ ბოკი (გერმ. Fedor von Bock) (1880-1945წ.წ.) – ძველი არისტოკრატიული პრუსიული ოჯახის წარმომადგენელი, გერმანელი მხედართმთავარი, ვერმანტის გენერალ-ფელდმარშალი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, I მსოფლიო ომის პერიოდში II რაიხის გენშტაბის უფროსი, გენერალ ერის ფონ ფალკენჰაინის დისშვილი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1898 წელს. I მსოფლიო ომის დასასრულს უკვე მაიორია და ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოებულ იქნა სხვადასხვა საბრძოლო ჯილდოებით, მათ შორის პრუსიის უმაღლესი საბრძოლო მედლით Pour le Mérite. I მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო სამსახურს რაიხსვერში აგრძელებს. 1929 წლიდან გენერალ-მაიორია და მეთაურობს საკავალერიო დივიზიას. ნაციონალ-სოციალისტების გერმანიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ახალი რეჟიმის მიმართ ინარჩუნება პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. 1935 წლიდან ინიშნება საარმიო კორპუსის სარდლად. 1938 წლიდან, ავსტრიის ანშლუსის დროს, სარდლობდა მე-8 არმიას და ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. II მსოფლიო ომის მსვლელობისას ვერმანტის მსხვილი საარმიო შენაერთებისა და გაერთიანებების სარდალია. 1939 წელს, პოლონეთის კამპანიის დროს იყო არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთის“ სარდალი, ხოლო საფრანგეთის კამპანიის დროს – არმიათა ჯგუფი “B”-ს სარდალი. 1941 წლის ივნისიდან, საბჭოთა კავშირში შეჭრის სტრატეგიული ოპერაცია „ბარბაროსას“ საწყის ეტაპზე ეკავა არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ სარდლის თანამდებობა, რომლის მთავარ ამოცანასაც ოპერაცია „ტაიფუნის“ ფარგლებში მოსკოვის აღება წარმოადგენდა. ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, 1941 წლის ბოლოს, ჰიტლერმა იგი განათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. 1942 წლის 18 იანვარს ინიშნება არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ სარდლად. იმავე წლის ივლისში კავკასიისა და სტალინგრადის ოპერაციების სტრატეგიულ დაგეგმვაში ჰიტლერთან არსებული დიდი უთანხმოებების გამო, ისევ გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან. ომის ბოლომდე აქტიურ ცხოვრებას ჩამოშორებული იყო და განმარტოებით ცხოვრობდა თავის მამულში. ჯარების მართვის საკითხებში მუდმივად აკრიტიკებდა ჰიტლერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და გამოდიოდა ხელისუფლების სამხედროთა ხელში გადაცემის ერთ-ერთ ინიციატორად. თავის ოჯახთან ერთად კილის შოსეზე ავტომობილით გადაადგილების დროს ჩაცხრილულ იქნა ბრიტანული თვითმფრინავის მიერ 1945 წლის 3 მაისს.

¹⁷⁶ ფრანგული სამხედრო დოქტრინა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მკაცრად კონტროლირებად სამხედრო ოპერაციებს, სადაც ბრძოლის ველზე ჯარების დომინანტი გვარეობა არტილერია უნდა ყოფილიყო, როგორც საბრძოლო მოქმედებათა რაიონში წარმოებულ ბრძოლაში, ასევე წინ გადაადგილების დროს... ფრანგული დოქტრინა მორგებული იყო პრინციპს – „არტილერია ანგრევს, ქვეითები კი, იყრობენ“. თუმცა, ასეთი დოქტრინა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ფრანგები საერთოდ არ იხედნენ ტანკისადმი ინტერესს. მათ დიდი ძალისხმევა და რესურსები ჩადეს იმაში, რომ შეექმნათ ტანკი, როგორც თანამედროვე საბრძოლო იარაღი. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ფაქტი ისაა, რომ საფრანგეთის კამპანიის დროს, 1940 წლისათვის, ფრანგებს უფრო მეტი ტანკი ჰყავდათ, ვიდრე გერმანელებს და ზოგიერთი მათგანი აღემატებოდა კიდევ გერმანულ ანალოგებს ისეთი ძირითადი მახასიათებლებით, როგორიცაა: სიჩქარე, ჯავშანი, საცეცხლე ძალა, ექსპლუატაციის სიმარტივე. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ფრანგული სატანკო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მოქმედებები „მეთოდური ბრძოლის“ ფრანგული სამხედრო დოქტრინის

ამ გეგმის მიმართ გენერალური შტაბის უფროსი, ფრანც ჰალდერიც პესიმისტურადაა განწყობილი. იგი თავიდანვე გაღიზიანებულია ასეთი გაბედული გეგმისა და მოწინააღმდეგის ძალების უპირატესობის მაღალი რისკის გაუთვალისწინებლობით. მაგრამ მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, მანშტეინის მიერ შეოთავაზებული ეს „ავანტიურისტული“ გეგმა შესანიშნავად ვითარდება. ეს წარმატება შთამბეჭდავი ხერხებით ადასტურებს იმას, რაც მაკიაველის¹⁷⁷ მიერ ჯერ კიდევ 1513 წელს დაწერილ და 1532 წელს გამოცემულ „მთავარშია“ დაფიქსირებული – „ყველაზე ადვილად ომში ის გეგმები სრულდება, რომელთა განხორციელებაც მოწინააღმდეგეს შეუძლებლად ეჩვენება.“ „ნამგლით ჭრის“ გეგმა რომ ჩაშლილიყო, ალბათ, ყველას ერთსულოვანი აზრი ექნებოდა იმის თაობაზე, რომ საღი აზრის წინააღმდეგ არ უნდა წასულიყვნენ. 1940 წლის 10 მაისს „ყვითელი ოპერაციის“ დაწყებით მოწინააღმდეგე სრულიად გაოგნებულია. როგორც მატადორს, თავისი წითელი ნაჭრით, ისე მიჰყავს არმიათა B ჯგუფს მოწინააღმდეგის არმია ჩრდილოეთით და ხაფანგში იტყუებს მას. ამ დროს კი, არმიათა A ჯგუფის შვიდი სატანკო დივიზია მას სასიკვდილო დარტყმას აყენებს დაშინით ზურგში, რომელიც სამ სატანკო კორპუსშია გაერთიანებული და არდენის უსწორმასწორო ტერიტორიაზე მიიკვლევს გზას. პოლონეთის კამპანიის გმირის, გენერალ ჰაინც გუდერიანის¹⁷⁸ მე-19 სატანკო კორპუსი 13 მაისს ახერხებს მდინარე მასის დასავლეთით პლაცდარმის მოპოვებას.¹⁷⁹ ერვინ რომელი¹⁸⁰, საფრანგეთის კამპანიის

მკაცრ ჩარჩოებში იყო მოქცეული, ამიტომ ფრანგებმა ბოლომდე ვერ მოახერხეს ტანკის საბრძოლო პოტენციალის გახსნა.

¹⁷⁷ ნიკოლო მაკიაველი (იტალ. Niccolò di Bernardo dei Machiavelli) (1469-1527წ.წ.) – დიდი იტალიელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, სამხედრო თეორეტიკოსი და მწერალი, XV-XVI საუკუნეების ცნობილი ევროპელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. ფლორენციის მეორე კანცლარის უფროსი, რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახურის უფროსი, სხვადასხვა სამხედრო-თეორიული ნაშრომების ავტორი. გამოდიოდა ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების მომხრედ. იზიარებდა სახელმწიფოსა და ჯარის მართვის მკაცრ პრინციპებს. გაატარა ფლორენციის არმიის რეორგანიზაცია და გადაიარაღება. საკუთარი პოლიტიკური იდეები და ჯარისა და სახელმწიფოს მართვის პრინციპები ძირითადად ჩამოაყალიბა თავის ცნობილ ნაშრომში „მთავარი“, რომელიც გამოქვეყნდა 1532 წელს.

¹⁷⁸ ჰაინც გუდერიანი (გერმ. Heinz Wilhelm Guderian) (1888-1945წ.წ.) – დიდი გერმანელი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, სტრატეგია ბლიცკრიგის თეორიული საფუძვლების შემქმნელი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის პიონერი. სამხედრო საქმის ინოვატორი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ვერმახტის გენერალ-ობერსტი (გენერალ-პოლკოვნიკი) 1940 წლიდან, ჯავშანსატანკო ჯარების გენერალური ინსპექტორი 1943 წლიდან და III რაიხის სახმელეთო ჯარების გენშტაბის უფროსი 1944 წლის ივლისიდან. სამხედრო საქმესა და სატანკო ჯარებზე დაწერილი რამდენიმე წიგნის ავტორი. სატანკო მოტორიზებული შენაერთებით ომის წარმოების ერთ-ერთი ინიციატორი, გერმანიასა და მსოფლიოში სატანკო ჯარების შექმნისა და მისი აღმშენებლობის საქმის მამამთავარი. მეტსახელად Schneller Heinz – „ჩქარი ჰაინცი“ და Heinz Brausewind – „ჰაინც-ქარიშხალი“. სამხედრო სამსახურში შევიდა 1907 წელს. 1908 წლიდან ლეიტენანტია. 1912 წლიდან მსახურობს სატელეგრაფო ბატალიონში. 1913 წელს შედის ბერლინის სამხედრო აკადემიაში. 1914 წლიდან საკავალერიო დივიზიის მძიმე რადაოსადგურის უფროსია, შემდეგ მე-4 არმიის შიფროგრამების სამსახურის უფროსი. 1917 წელს ინიშნება მე-14 პოლკის მე-2 ბატალიონის მეთაურად, შემდეგ – საარმიო ჯგუფის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსად. 1918 წლის 27 თებერვალს გადაყენილ იქნა გენშტაბში. იმავე წლის მაისიდან მსახურობს სარეზერვო კორპუსის შტაბის კვარტერმეისტერად. დაჯილდოებული იყო ერინის ჯვრით და სხვადასხვა საბრძოლო მედლებით. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ირიცხება რაიხსვერში და მსახურობს ქვეით და საავტომობილო ნაწილებში. 1930 წლიდან საავტომობილო ბატალიონის მეთაურია. 1932 წელს სამსახურებრივი ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, სატანკო სკოლაში „კამა“. 1934 წელს ინიშნება მოტორიზებული ჯარების, ხოლო 1935 წლიდან – სატანკო ჯარების შტაბის უფროსად. პოლონეთისა და საფრანგეთის კამპანიებში სარდლობდა მე-19 მოტორიზებულ კორპუსს. 1940 წლის ივლისიდან ინიშნება მე-2 სატანკო ჯგუფის სარდლად. მისი შენაერთი მონაწილეობდა არმიათა ჯგუფების „ცენტრი“ და „სამხრეთი“ ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაციების აღსრულებაში. მოსკოვის აღების ოპერაცია „ტაიფუნის“ მსვლელობისას პიტლერთან დაწყებული დაპირისპირების გამო, 1941 წლის 26 დეკემბერს გაყვანილ იქნა უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვში. 1943 წელს ინიშნება ჯავშანსატანკო ჯარების მთავარ ინსპექტორად, ხოლო 1944 წლის ივლისიდან, პიტლერზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, ვერმახტის სახმელეთო ჯარების გენშტაბის უფროსად. იმავე წლის 28 მარტს, პიტლერთან მომხდარი მორიგი დაპირისპირების გამო, გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. 1945 წლის 10 მაისს ტყვედ იქნა აყვანილი მოკავშირეების მიერ. 1948 წლის ივნისში გაათავისუფლეს. 1950-იან წლებში მსახურობდა დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერში სამხედრო მრეველად. გარდაიცვალა 1954 წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად.

¹⁷⁹ სამხედრო ისტორიკოსებისა და ანალიტიკოსების ნაწილი ხაზს უსვამს 1926 წელს კავშირგაბმულობის ოფიცრის, ჰაინც გუდერიანის რაიხსვერის სატანკო განვითარების პროგრამის უფროსად დანიშვნის ფაქტს, რომელიც მოგვიანებით ძალიან დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს ორმხრივი რადიოკავშირით ვერმახტის თვითოეული ტანკის აღჭურვას და ჯავშანსატანკო ნაწილების ტაქტიკურ და ოპერატიულ კონტროლს. გუდერიანი ალბათ პირველი იყო, ვინც შეიმუშავა და დაიცვა ბლიცკრიგის მთავარი პრინციპები. მან ბოლომდე გაიაზრა ბლიცკრიგის შესაძლებლობები, როგორც გზა

პერიოდის გენერალ-ლეიტენანტი¹⁸¹ და მე-7 სატანკო დივიზიის მეთაური, სწრაფი შეტევების გამო „დივიზია-ფანტომად“ – „დივიზია-მოჩვენებად“ წოდებული, 17 მაისს თავის დღიურში აღფრთოვანებით ჩაწერს: „დასავლეთისკენ გზა უკვე გახსნილია. ჩვენ ვიყავით მაჟინოს ხაზზე! ეს არ იყო ადვილად მისაღწევი. 22 წლის წინათაც ვიდექით აქ მთელი ოთხნახევარი წლის განმავლობაში იგივე მოწინააღმდეგის პირისპირ. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, თითქოს მაშინაც გამარჯვებას გამარჯვებაზე მოვიპოვებდით და ბოლოს ომი მაინც წავაგეთ. ახლა კი, ჩვენ შევალწიეთ მაჟინოს განთქმულ ხაზში და შევედით მოწინააღმდეგის ქვეყანაში. ეს ყველაფერი ლამაზ სიზმარს გავდა, მაგრამ ეს არ იყო სიზმარი, ეს სინამდვილე იყო“. რომელის წინსვლას ვერაფერი აჩერებს. იგი კარგავს ერთ უფროს ოფიცერს, ორმოც უმცროს ოფიცერსა და რიგითებს, მაგრამ მას ათი ათასი ფრანგი აჰყავს ტყვედ და ას ფრანგულ ტანკსაც ანადგურებს. ფრანგები სრულიად გაოგნებულნი და შეცბუნებულნი არიან. მათ იმის გააზრებაც კი ვერ შეძლეს, თუ ერვინ რომელი ფრანგების მძლავრ სასაზღვრო თავდაცვით ნაგებობას ასე სწრაფად გაარღვევდა და მისი შეტევები, იმ დროისათვის მიღებული ომის წარმოების ყოველგვარი წესების დარღვევით, ღამითაც გაგრძელდებოდა. გერმანელები კი არ ჩერდებოდნენ, წინ მოიწევენ და ცეცხლს უხსნიდნენ ყველას და ყველაფერს, რაც მოძრაობდა.¹⁸²

მობილური და მოტორიზებული დივიზიების თანაბრძოლისა გადაწყვეტი უპირატესობის მიღწევის საქმეში. თავის წიგნში „Panzer Leader“ იგი წერდა: „ამ წელს, 1929-ში, მე დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ტანკი ან ტანკი მხოლოდ ქვეით შენაერთთან ერთობლიობაში ვერასდროს ვერ შეიძენს გადაწყვეტ მნიშვნელობას. ეს ჩემი ხედვაა. სწავლებებმა, რომლებიც ტარდებოდა ინგლისში და ჩვენმა საკუთარმა გამოცდილებამ ტანკის მანქანებით, დამარწმუნა, რომ ტანკი ვერასდროს ვერ აჩვენებს თავის სრულ შესაძლებლობას მანამ, სანამ ის იარაღი რომელსაც იგი უნდა დაეყრდნოს, არ გაზრდის თავის სიჩქარეს და გარღვევს შესაძლებლობებს. ამ ტიპის საერთო-საჯარისო შენაერთში ტანკმა უნდა ითამაშოს დომინანტური როლი და ყველა სხვა იარაღი ჯავშნის (ანუ ტანკის – ა. ჩ.) მოთხოვნებს უნდა დაემორჩილოს. შეცდომა სატანკო ქვედანაყოფების დანაწევრება და მათი ჩართვა ქვეით დივიზიებში: ჩვენი საჭიროება ისაა, რომ ჯავშანსატანკო დივიზიებმა სრულად მოიცვან ყველა საჭირო „მხარდაჭერი იარაღი“ მათი საბრძოლო შესაძლებლობების სრული ეფექტის მისაღებად“.

¹⁸⁰ ერვინ რომელი (გერმ. Erwin Eugen Johannes Rommel) (1891-1944წ.წ.) – გამოჩენილი გერმანელი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, III რაიხისა და ვერმახტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი და ქარიზმატული ლიდერი, გენერალ-ფელდმარშალი, I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1910 წელს. 1912 წელს მიიღო ლეიტენანტის წოდება. I მსოფლიო ომში იბრძოდა იტალიის ფრონტზე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებულ იქნა იმპერიის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – Pour le Mérite და სხვადასხვა მედლებით. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რჩება ჯარებში და სამხედრო სამსახურს აგრძელებს რაიხსვერში. 1939 წლის 25 აგვისტოდან 1940 წლის 5 თებერვლამდე ფიურერის შტაბ-ბინის კომენდანტია. 1940 წელს ენიჭება ვერმახტის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და დასავლეთის ფრონტზე ინიშნება მე-7 სატანკო დივიზიის მეთაურად, აქტიურად და დიდი წარმატებით მონაწილეობდა საფრანგეთის წინააღმდეგ დაწყებულ საომარ კამპანიაში ოპერაცია Fall Gelb-ის აღსრულებაში. მისი შენაერთის წინსვლის ტემპები იმდენად მაღალი იყო, რომ მე-7 სატანკო დივიზიას „დივიზია-მოჩვენება“ – „დივიზია-ფანტომი“ შეარქვეს. 1941 წლის 12 თებერვალს ინიშნება ჩრდილოეთ აფრიკაში ბრიტანელთა წინააღმდეგ მოქმედი გერმანიის აფრიკული კორპუსის სარდალად. ბრიტანელთა წინააღმდეგ განხორციელებული რამდენიმე წარმატებული ოპერაციის გამო ჯილდოვდება რაინდის ჯვრითა და მუხის ფოთლებით. იმავე წლის 1 ივლისს ენიჭება სატანკო ჯარების გენერალის წოდება. I სექტემბრისა და II სექტემბრის სატანკო ჯგუფი „აფრიკის“ სარდალია. 1943 წლის მარტში ინიშნება ჩრდილოეთ იტალიაში გაშლილი არმიათა ჯგუფი „B“-ს სარდალად, რომელიც 1944 წლიდან ჩრდილოეთ საფრანგეთში გადადის. იგი „ატლანტიკის კედლის“ გენერალურ ინსპექტორად ინიშნება. გერმანელთა დასავლეთის ფრონტის სარდალთან, გენერალ-ფელდმარშალ რუნდშტედტთან არსებული დაპირისპირებების გამო, დასავლეთის მიმართულებაზე თავდაცვის ერთიანი გეგმის შემუშავება და რეალიზაცია ვერ ხერხდება. ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმის შემდეგ, 1944 წლის 17 ივნისს, იგი მძიმედ დაიჭრა მის ავტომობილზე ბრიტანული ავიაციის დასაზარებლის მიერ გახსნილი ცეცხლით. იმავე წლის 20 ივლისს ჰიტლერზე განხორციელებული ტერაქტის გამოძიების პროცესში, მისი სახელიც გააჟღერდა, თუმცა, მისი მონაწილეობა შეთქმულებაში არ დადასტურებულა. 1944 წლის 14 ოქტომბერს მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ჰიტლერის ბრძანებით, გენერალ-ფელდმარშალ ერვინ რომელის, როგორც III რაიხის გმირის დაკრძალვა, სრული სამხედრო პატივით განხორციელდა.

¹⁸¹ ავტორი აქ მცირე უზუსტობას უშვებს. საფრანგეთის კამპანიის დროს, მე-7 სატანკო დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე ყოფნისას, ერვინ რომელი ჯერ კიდევ გენერალ-მაიორის სამხედრო ჩინს ატარებდა.

¹⁸² აქ მთავარი საკითხი ინსპექტორად ვერტიკალის რაობა და გადაწყვეტილების მიღების ვაჭვია. პროცედურულად, ეს პროცესი საკმაოდ მარტივია – ნებისმიერი გადაწყვეტილება მოითხოვს დროს ინფორმაციის შესაკრებად, შემდეგ გადაწყვეტილების მიღებას, ქვემდგომებამდე მის დაყვანას და მხოლოდ ამის შემდეგ მის აღსრულებას. გერმანელებთან მიმართებაში, მოწინააღმდეგესთან შედარებით უფრო მაღალი მობილურობისა და სიჩქარის გამო, გადაწყვეტილების მიღების ვაჭვი მობილური ძალებისათვის მნიშვნელოვნად მოკლე იყო და ისინი შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, გადაწყვეტილებას უფრო ადრე იღებდნენ, ვიდრე მასთან დაპირისპირებული ძალა. ამოცანით მართვა, პირდაპირი კონტროლი, მეთაურობის სწრაფი და მოქნილი სტილი, დაბალ დონეებზე ბრძოლის მართვის დეცენტრალიზებული

14 მაისს ჰოლანდიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მოკავშირეები ჩრდილოეთით ევრდნობიან „დილის ხაზს“¹⁸³ ბელგიაში, მაგრამ მათი უდიდესი შეცდომა ჯერ კიდევ არ გამოძღვანებულია. ამასობაში ჰიტლერის „დასავლეთის კედლის“ შტაბ-ბინაში, (ვესტვოლი, ზიგფრიდის ხაზი), მიუნსტერაიფელში, ვნებათა ღელვა თავის აპოგეას აღწევს. თავდაპირველ აღფრთოვანებას ნერვიულობა ენაცვლება.¹⁸⁴ ფიურერს აშფოთებს ის, რომ მისი სატანკო დივიზიები ძალიან სწრაფად მიიწევენ წინ და ქვეითი ჯარის დივიზიებს არ შეუძლიათ მათი უკან მიყოლა. გუდერიანის ტანკების სოლისებრი წყობის მარცხენა ფლანგი კიდევ უფრო გრძელდება. 15 მაისს, გამთენიისას, გუდერიანს სურს, მდინარე მაასთან მოპოვებული პლაცდარმიდან წინ გააგრძელოს სვლა და ჩრდილოეთიდან დაიცვას რაინჰარდტის¹⁸⁵ მე-12 სატანკო კორპუსი¹⁸⁶. ორივე კორპუსი ფონ კლაისტის¹⁸⁷ სატანკო ჯგუფს ექვემდებარება. მაგრამ გენერალი ფონ კლაისტი უარს ეუბნება მას ამის შესრულებაზე.

16 მაისს, როდესაც ფრანგების სამი სატანკო ბატალიონი, დე გოლის¹⁸⁸ მეთაურობით, მარცხენა ფლანგზე კონტრშეტევაზე გადადის, ჰიტლერის განცდები კიდევ უფრო

სისტემა, აგრესიული და ტაქტიკურად მოქნილი მეთაურები – აი ეს იყო გერმანელთა დამაჯერებელი წარმატების საფუძველთა საფუძველი და არა მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიები.

¹⁸³ „დილის ხაზი“ (ნიდერ. KW-stelling, KW-linie) – თავდაცვის ნაგებობათა სისტემა ბელგიაში, რომელიც გადაჭიმული იყო ანტვერპენის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიდან ქალაქ ვავრაძე, მდინარე დილისა და დილის არხის გასწვრივ. აშენებულ იქნა 1930-იან წლებში გერმანიის მხრიდან აგრესიის აღსაკვეთად.

¹⁸⁴ ზიგფრიდის ხაზი (გერმ. Siegfriedstellung), ან დასავლეთის ხაზი და დასავლეთის ზღუდე (გერმ. Westwall) – გერმანიის ხანგრძლივი დროის გამაგრების მძლავრი სისტემა, რომელიც აგებულ იქნა 1936-1940 წლებში გერმანიის დასავლეთით, სასაზღვრო ზონაში კლვიდან ბაზელამდე. მისი სიგრძე დაახლოებით 630 კმ იყო, ზღუდის საშუალო სიღრმე კი – 35-100 კმ. შედგებოდა პირველი ხაზის, მთავარი და ზურგის ხაზებისგან და საერთო ჯამში გააჩნდა 16 ათასი საფორტიფიკაციო ნაგებობა. მისი პროექტირებისას იგეგმებოდა აგრეთვე ჰერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი ზონის შექმნა, რომელიც 60 საზენიტო ბატარეით იქნებოდა გამაგრებული.

¹⁸⁵ გეორგ-ჰანს რაინჰარდტი (გერმ. Georg-Hans Reinhardt) (1887-1963წ.წ.) – გერმანელი მხედართმთავარი, ვერმახტის სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი 1942 წლის იანვრიდან, რაინდის ჯვრის კავალერი მახვილებითა და მუხის ფოთლებით. პოლონეთის კამპანიის დროს, 1939 წლის სექტემბერში, იყო მე-4 სატანკო დივიზიის მეთაური, ხოლო 1940 წელს, საფრანგეთის კამპანიის დროს, უკვე 41-ე სატანკო კორპუსს სარდლობდა. 1941-1944 წლებში იყო მე-3 სატანკო არმიის სარდალი, ხოლო 1944-1945 წლებში დასავლეთის ფრონტზე მოქმედი არმიათა ჯგუფი „კენტრის“ სარდალი. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მოკავშირეებმა ტყვედ აიყვანეს. ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლდა და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. გაათავისუფლდა 1952 წელს. გარდაიცვალა 1963 წელს, ბავარიაში.

¹⁸⁶ აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. გენერალი გეორგ-ჰანს რაინჰარდტი საფრანგეთის კამპანიაში 41-ე სატანკო კორპუსს სარდლობდა და არა მე-12-ს.

¹⁸⁷ ევალდ ფონ კლაისტი (გერმ. Paul Ludwig Ewald von Kleist) (1881-1954წ.წ.) – გერმანელი მხედართმთავარი და სამხედრო მოღვაწე, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალი 1943 წლიდან. 1929 წლის ოქტომბრიდან პოლკოვნიკია. 1931 წელს ინიშნება მე-9 ქვეითი პოლკის მეთაურად, 1932-39 წლებში კი, მე-2 საკავალერიო დივიზიის მეთაურია. 1933 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1933-1935 წლებში მსახურობს მე-8 სამხედრო ოლქში სხვადასხვა სამეთაურო და საშტაბო თანამდებობებზე. 1938 წელს ინიშნება კორპუსის სარდალად. იმავე წელს, ნაცისტურ ხელმძღვანელობასთან არსებული უთანხმოებების გამო გადადგა სამხედრო სამსახურიდან. 1939 წელს ხელმოკრედ იქნა გაწვეული სამხედრო სამსახურში და ინიშნება 22-ე მოტორიზებული საარმიო კორპუსის სარდალად. საფრანგეთის კამპანიის დროს, 1940 წლის მაისში, სარდლობდა სატანკო ჯგუფს „კლაისტი“, რომელშიც შედიოდა გერმანიის ვერმახტის მფლობელობაში არსებული ათი სატანკო დივიზიიდან ხუთი დივიზია. ამრიგად, ევალდ ფონ კლაისტი ფაქტიურად წარმოადგენდა სამხედრო ისტორიაში პირველად არსებული სატანკო არმიის სარდალს. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დროს სარდლობდა არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ შემადგენლობაში ჩართულ სატანკო არმიას. 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა გესტაპოს მიერ, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. 1945 წლის 25 აპრილს ტყვედ აიყვანეს ამერიკელებმა. 1946 წლის სექტემბერში გადასცეს იუგოსლავიას, სადაც გაასამართლეს და მიუსაჯეს 15 წლიანი კატორღა. 1949 წლის მარტში გადასცეს საბჭოთა მხარეს. აქ მას 25 წლიანი გადასახლება მიესაჯა. სასჯელს იხდიდა გადასახლებაში, ციმბირის ბანაკებში სადაც გარდაიცვალა კიდევ. გარდაცვალების დრო და ადგილი უცნობია. ევალდ ფონ კლაისტი წარმოადგენდა III რაინის ერთადერთ გენერალ-ფელდმარშალს, რომელიც საბჭოთა ტყვეობაში გარდაიცვალა.

¹⁸⁸ შარლ ანდრე ჟოზეფ მარი დე გოლი (ფრანგ. Charles André Joseph Marie de Gaulle) (1890-1970წ.წ.) – გამოჩენილი ფრანგი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, XX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა და ლიდერი, საფრანგეთის არმიის გენერალი, I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. I მსოფლიო ომის დროს ჩავარდა ტყვედ და მოთავსებულ იქნა ინგოლშტადტის ციხეში მომავალ საბჭოთა კავშირის ყველაზე ახალგაზრდა მარშალს, მაშინ სრულიად ახალგაზრდა რუსეთის არმიის პრაპორშჩიკი, მიხაილ ტუხაჩევსკისთან ერთად. მათ შორის სწორედ მაშინ ჩაისახა პირადი ურთიერთობები და საერთო სამხედრო-თეორიული

ძლიერდება.¹⁸⁹ გერმანული სატანკო შენაერთები ფონ კლაისტიისა და ფონ რუნდშტედტის ნაწილებად იყოფიან. 17 მაისს გერმანულ ტანკებს საწვავი უთავდებათ და ისინი ოცდაოთხი საათით ჩერდებიან, რათა ქვეითმა ჯარმა და სატრანსპორტო კოლონამ შეძლოს მათი უკან მიყოლა. ამ შეფერხების გამო გუდერიანი ძალიან გაბრაზებულია. მისთვის ცნობილია ფრანგების მარცხის მასშტაბები თავისი ფრონტის ხაზზე და ბრძოლის დაუყოვნებლივ გაგრძელებას მოითხოვს. უმოქმედობის ერთი დღის შემდეგ მისი ტანკები კვლავ აგრძელებენ გზას.¹⁹⁰ ისე რომ, ამის შესახებ არაფერი იცის ჰიტლერმა, გუდერიანი ატარებს „დაზვერვას ბრძოლით“.¹⁹¹ გერმანელთა სამივე სატანკო კორპუსი ისევ წინ მიიწევს. ისინი უსწრაფესად იღებენ ანტვერპენს, კამბრეს, სენ-კანტენს. ასეთი რამ ჯერ არ ახსოვს ომების ისტორიას. ეს

ხედვები. 1930 წლიდან საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკია, ორ წელიწადში პოლკოვნიკი და მეთაურობს სატანკო ჯარების სხვადასხვა ქვედანაყოფს. დაკავებული იყო სამხედრო-თეორიული და სამხედრო სტრატეგიული თემატიკის საკითხებით. ავტორია წიგნებისა – „პროფესიონალური არმიისაკენ“, „მახვილის წვერზე“, „საფრანგეთი და მისი არმია“. თავის ნაშრომებში დე გოლი მუდმივად უსვამდა ხაზს სატანკო ჯარების განვითარებისა და გაძლიერების აუცილებლობას და სატანკო ჯარების გადამწყვეტ როლს მომავალ ომებში. ამ თვალსაზრისით, იგი ახლოს იდგა სატანკო ჯარების წამყვანი გერმანელი თეორეტიკოსისა და მომავალი სარდლის, გენერალ ჰაინც გუდერიანის ნაშრომებში გამოთქმულ აზრებთან. თუმცა, გუდერიანისგან განსხვავებით, დე გოლის იდეებმა ვერ ჰპოვეს შესაბამისი გამოცხადებული იმდროინდელი საფრანგეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში. II მსოფლიო ომის მსვლელობისას იყო საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის საერთო ლიდერი და ხელმძღვანელი. საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის დამარსებული და მისი პირველი პრეზიდენტი 1959-1969 წლებში.

¹⁸⁹ მომავალ ომში პოლკოვნიკი შარლ დე გოლი ჯავშანტექნიკისა და თვითმფრინავების კონცენტრირებული მოქმედების მომხრე იყო. თავისი მოსაზრებები მან წიგნში „Armee de Metier“ („პროფესიონალური არმიისაკენ“) ჩამოაყალიბა. I მსოფლიო ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, დე გოლმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ საფრანგეთს არ შეუძლია შეინახოს საკვლევადი სამსახურისა და რეზერვისტებისაგან შემდგარი დიდი არმია. მან იმის ძიება დაიწყო თუ როგორ გამოეყენებინა ტანკი და მექანიზირებული ძალები საბრძოლო მოქმედების ეფექტურად წარმართვისათვის. ამავე დროს, იგი ცდილობდა მომავალ ომში მოენახა ადგილი თვითმფრინავებისა და მცირე რაოდენობის კარგად გაწვრთნილი ქვეითი ჯარისთვის. შარლ დე გოლის ხედვა ნაკლებად იქნა მოწონებული საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკურ ელიტაში. გამოთქმული იყო პრეტენზიებიც, რომ მის კონცეფციაში გერმანული სკოლისა და ჰაინც გუდერიანის ხევაგუნა იგრძნობოდა. II მსოფლიო ომის დასაწყისისათვის დე გოლი მხოლოდ პოლკოვნიკი იყო და იგი სატანკო პოლკს მეთაურობდა, ამიტომ მისი შეხედულებები არ იქნა გაზიარებული. თავისთავად ცხადია, მას ხელი არ მიუწვდებოდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამხედრო სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თავისი გაბედული ხედვების გამო იგი დაპირისპირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა 1920-1930-იანი წლების საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ხელმძღვანელობასთან.

¹⁹⁰ გენერალ გუდერიანის სამხედრო ფილოსოფია სრულად შეესაბამებოდა პრუსიულ-გერმანული სამხედრო სკოლის ფუძემდებლურ პრინციპებს, რაც საბრძოლო ამოცანების დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების საქმეში დეცენტრალიზაციას გულისხმობდა უმდაბლეს დონეებზე. აქ ფელდმარშალ ჰელმუტ ფონ მოლტკე უფროსისა და გენერალ-ობერსტ ჰანს ფონ სექტის მიერ დანერგილ სიახლეებსა და ამოცანით მართვაზე საუბარი, სადაც საბრძოლო ამოცანის აღსრულებისას სრული ინიციატივა ტაქტიკური დონის მეთაურების პასუხისმგებლობის სფერო იყო. სწორედ ამაში მდგომარეობდა გერმანელთა მიერ შემუშავებული ახალი შეტევითი სტრატეგია „ბლიცკრიგის“ სიძლიერე. „ბლიცკრიგის“ აღსრულების ტექნიკურ ინსტრუმენტს კი, ტანკი წარმოადგენდა, რომელიც ჰაინც გუდერიანის ღრმა რწმენით, დომინანტი საშუალება უნდა ყოფილიყო ჯარების სხვა გვარობებთან შედარებით. თავის ცნობილ ნაშრომში, „Panzer Leader“-ში გუდერიანი წერდა: „მანამ, სანამ ჩვენი კრიტიკოსები შეძლებენ სახმელეთო შეტევითი მოქმედების ახალი და უფრო უკეთესი მეთოდების შექმნას, ვიდრე საკუთარი თავის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, ჩვენ უცილობლად გვჯერა, რომ შესაბამისი წესით გამოყენებული ტანკები სახმელეთო შეტევითი მოქმედების საუკეთესო საშუალებაა. ჩვენ გვჯერა, რომ სატანკო შეტევებით შეგვიძლია მივაღწიოთ მობილურობის უმაღლეს დონეს, რაც კი შესაძლებელია. და კიდევ ერთი, რაც ალბათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია – ჩვენ შევძლებთ გავავრძელოთ მოძრაობა მას შემდეგაც, რაც გარდევას მოვახდენთ.“

¹⁹¹ დაზვერვა ბრძოლით (გერმ. *Gewaltsame Aufklärung*, ინგლ. *Reconnaissance by fire*, *Recon by fire*, რუს. *Разведка боем*) – მოწინააღმდეგის შესახებ აქტუალური ინფორმაციის მიღება, ამისათვის სპეციალურად მომზადებული ქვედანაყოფების მიერ მოწინააღმდეგესთან საბრძოლო კონტაქტში შესვლის გზით. დაზვერვა ბრძოლით წარმოადგენს საჯარისო დაზვერვის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგეზე ინფორმაციის მოპოვების სხვა მეთოდები უკვე ამოწურულია. დაზვერვის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ისეთი აუცილებელი მოთხოვნების შესრულება, როგორც დაზვერვის შენიღბვა და ფარულობა. თუ დაზვერვა ზოგადად საბრძოლო უზრუნველყოფის ელემენტია, დაზვერვა ბრძოლით ამავე დროს წარმოადგენს ტაქტიკურ ხერხს, რომელიც დაზვერვის ამოცანასთან ერთად ერთდროულად ასრულებს საბრძოლო ამოცანის ფუნქციასაც. იგი ძირითადად გამოიყენება მოწინააღმდეგის რიცხოვნობისა და მისი შეიარაღების საკითხების დასადგენად. დაზვერვა ბრძოლით წარმოებს მოწინააღმდეგის სავარაუდო პოზიციებზე შეტევის მიტანით, როდესაც სხვა გზებით შეუძლებელი ხდება მასზე ინფორმაციის მოპოვება. დაზვერვას ბრძოლით უფრო ხშირად იყენებენ მაშინ, როცა ოპერატიული ვითარება მოითხოვს ჯარების უსწრაფეს წინსვლას, ტაქტიკური დაზვერვის მონაცემების ანალიზისათვის კი, დრო არასაკმარისია ან მოძველებული. ამასთანავე, დაზვერვის ეს სახეობა საკმაოდ სარისკო საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს, რამეთუ არაზუსტმა და ნაკლებად სარწმუნო მონაცემებმა შეიძლება გამოიწვიოს ბრძოლით დაზვერვაზე გადასული მხარის დიდი დანაკარგები ან სულაც მისი მარცხი.

გამოგნებელი და დაუჯერებელი წარმატებაა. გერმანული რადიო კი გადმოსცემს მოწინააღმდეგის 110 ათასი ჯარისკაცის ტყვედ აყვანის ამბავს. ამ ცნობაში ჰოლანდიის არმია არ არის გაუთვალისწინებული. ჰიტლერი ვერ იჯერებს ასეთ სწრაფ გამარჯვებებს და შოკში ვარდება. იგი ზუსტად ისე იქცევა, როგორც ჰალდერს აქვს ჩანიშნული თავის დღიურში: „ჰიტლერს გაუგებარი შიში ეუფლება სამხრეთის ფლანგის გამო. იგი ბობოქრობს და ხმამაღლა ყვირის, რომ ჩვენ მთელ ოპერაციას გავაფუჭებთ და დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით.“

18 მაისისათვის ფრანგები ბოლოს და ბოლოს ხვდებიან, რომ ის საიდუმლო დოკუმენტები რაც მათ „მეხელენის ინციდენტის“ დროს ჩაუვარდათ ხელში, არ მუშაობს და იგი დეზინფორმაცია იყო. რაც მათ დაიჯერეს, უდიდესი შეცდომაა. გერმანელები არ მოქმედებენ დოკუმენტში ასახული შლიფენის სტრატეგიული გეგმის მსგავსად, აქ სულ სხვანაირად არის საქმე. ფრანგები შეშინებულები ადევნებენ თვალს გერმანელთა შეუჩერებელ წინსვლას და აშკარად ხვდებიან, რომ გერმანელები არა საფრანგეთისა და პარიზისაკენ, არამედ დასავლეთისაკენ, ყურისა და ლა-მანშის სრუტისაკენ ისწრაფვიან. ეს კი, უდიდესი კატასტროფის მომასწავებელია. საფრანგეთის მოსახლეობაში პანიკა იფეთქებს. ხალხი ქუჩებში გამოდის, შეშინებული მოსახლეობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გარბის. ქუჩები უსაშველოდაა გადაჭედილი, იწყება ერთ აუწყრელი ქაოსი და ყველაფერი ერთმანეთში ირევა.

ბრიტანელებიც აცნობიერებენ „ისტორიის უდიდესი სამხედრო კატასტროფის“ საფრთხეს, როგორც ამის შესახებ აცხადებს იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი ედმუნდ აირონსაიდი.¹⁹² მოვლენები ისეთი ტემპით და ისეთი თანმიმდევრობით ვითარდება, რომ ტოტალური განადგურება არა მხოლოდ საფრანგეთის არმიას ემუქრება, არამედ არსებობს გერმანელთა მიერ საფრანგეთში გადასხმული ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის სრული გარშემორტყმის საფრთხეც.¹⁹³

და აქედან იწყება სამხედრო ისტორიის კიდევ ერთი, სრულიად ახალი თავი და სულ სხვა შეცდომა.

¹⁹² ელუარდ უილიამ აირონსაიდი (ინგლ. William Edmund Ironside) (1880-1959 წ.წ.) – აირონსაიდის 1-ლი ბარონი, ბრიტანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გამოჩენილი მხედართმთავარი და საიმპერიო ჯარების ფელდმარშალი. I და II მსოფლიო ომების მონაწილე. 1918 წლიდან ბრიგადის გენერალია და ამ ჩინში ბრიტანეთის არმიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახალგაზრდა ოფიცერი. 1938 წლის 5 ნოემბრიდან გიბრალტარის გენერალ-გუბერნატორი და აქ განლაგებული ბრიტანული ჯარების მთავარსარდალი. 1939 წლის 1 ივლისიდან – დიდი ბრიტანეთის კოლონიური ჯარების გენერალური ინსპექტორი. 1939 წლის 4 სექტემბერს, დიდი ბრიტანეთის II მსოფლიო ომში ჩართვიდან მეორე დღეს, ინიშნება დიდი ბრიტანეთის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსად. II მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე ბრიტანელთა მიერ წარმოებული ე.წ. „უცნაური ომის“ ერთ-ერთი ინიციატორი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრად უინსტონ ჩერჩილის დანიშნვიდან რამდენიმე დღეში გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. 1940 წლის ივნისში ინიშნება დიდი ბრიტანეთის მეტროპოლიის ჯარების მთავარსარდალად. ერთი წლის შემდეგ, 1941 წლის ივლისში, დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან.

¹⁹³ საფრანგეთთან დადებული სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების თანახმად, ბრიტანელებმა კონტინენტზე თავისი საექსპედიციო კორპუსი გადასხეს, თუმცა ეს შენაერთი არც რიცხოვნობით და არც საბრძოლო თვალსაზრისით ანგარიშგასაწევ მალას არ წარმოადგენდა. ბრიტანული არმიისა და ფლოტის პრიორიტეტები სულ სხვა მოქმედებებს მოიცავდა – ბრიტანეთის კუნძულების უსაფრთხოების დაცვა, სავაჭრო გზებისა და საზღვაო მიმოსვლის დაცვა, იმპერიის საგარეო საზღვრების უზრუნველყოფა, ბრიტანეთის მოკავშირეების უსაფრთხოების დაცვა და მონაწილეობა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინიც აიღებდნენ თავის თავზე ასეთივე ვალდებულებებს. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ნევილ ჩემბერლენი, 1940 წლის გაზაფხულისათვის აცხადებდა: „ჩვენ არ უნდა გვეჯეროდეს და არცაა მიზანშეწონილი, რომ მომავალ კონტინენტურ ომში ჩავერთვებით იმავე წესითა და ჩანაფიქრით, როგორც ეს უკანასკნელ ომში იყო (აქ ჩემბერლენი I მსოფლიო ომს გულისხმობდა – ა. ჩ.). ჩვენ უნდა გვაკეთოთ რაღაც ახალი და განსხვავებული. ჩვენი წვლილი ხმელეთზე შეზღუდული უნდა იყოს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ ომში გერმანიასთან ჩვენ მარტონი ვიქნებით. იმ შემთხვევაში თუ ბრძოლა მოგვიწევს, ჩვენ გვეყოლება მოკავშირეები, რომლებსაც დიდი არმიების გამოყვანა მოუწევთ. მაგრამ არ უნდა ელოდნენ იმას, რომ მათ დასახმარებლად ჩვენც დიდ არმიას გავაგზავნიოთ“.



„მესერშიტ BF-108“



Major Dr. Erich Hoenmanns Major Helmut Reinberger

მაიორები ერის ჰოენმანსი და ჰელმუტ რეინბერგერი



ვილჰელმ კანარისი
(1887-1945)



ერის ფონ მანშტეინი
(1887-1973)



გერდ ფონ რუნდშტელტი
(1875-1953)



თეოდორ ფონ ბოკი
(1880-1945)



ჰაინც გუდერიანი
(1888-1954)



ერვინ რომელი
(1891-1944)



ევალდ ფონ კლაისტი
(1881-1954)



გეორგ-ჰანს რაინჰარდტი
(1887-1963)



ჰენინგ ფონ ტრესკოვი
(1901-1944)




რუდოლფ შმუნდტი
(1896-1944)




შარლ დე გოლი
(1890-1970)



ედმუნდ არონსაიდი
(1880-1959)



მაჟინოს ხაზი




მაჟინოს ხაზის ერთ-ერთი უბნის მიწისქვეშა სტრუქტურა




მაჟინოს ხაზის სიმაგრეები




არდენის მთავორიანი მასივი და მდინარე მასაი



ვერმახტის სახმელეთო ჯარების (OKH - Oberkommando des Heeres) უმაღლესი სარდლობის შტაბის მიერ შეფუძავებული სტრატეგიული შეტევის ოპერაციის გეგმა. 1939 წლის 19 ოქტომბერი.



ვერმახტის სახმელეთო ჯარების (OKH - Oberkommando des Heeres) შტაბის მიერ შემუშავებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის გეგმა. 1939 წლის 29 ოქტომბერი.



გენერალ მანშტეინის მიერ შეთავაზებული გეგმა. 1939 წლის 31 ოქტომბერი



TOPFOTO.COM 100-101-070-15
Foto: A. P. 122, Jan 1940



TOPFOTO.COM 100-101-070-15



გერმანული ტანკები არდენის ტყეში. 1940 წლის მაისი



Pz.Kpfw.II Ausf. b, 3. Company, Pz.Rgt.25, 7.Panzer Division, Spring 1940.



გერმანელთა მე-7 სატანკო დივიზია „ფანტომის“ ტანკები არდენზე



გენერალი ერვინ რომელი, დივიზია „ფანტომის“ მეთაური



გერმანულ მოტოციკლისტთა კოლონა



მოპიკირე ბომბდამშენი იუნკერს 87-ები საფრანგეთის ცაში



ბრიტანელთა მე-4 სამეფო სატანკო პოლკის „მატილდები“ არასის ბრძოლის წინ. საფრანგეთი, 1940 წლის მაისი



ბრიტანული ჯარები საფრანგეთსა და ბელგიაში, 1940 წელი



ბრიტანელთა სატანკო კოლონა 1-ლი სატანკო დივიზიის შემაღენლობიდან (წინა პლანზე – Mk IVA). საფრანგეთი, 1940 წლის მაისი



ფრანგული არტილერია მასის პოზიციებზე



ფრანგული „რენო R35“-ების (Renault R35) კოლონა



ფრანგი ქვეითები



ფრანგი ჯარისკაცები თავდაცვაში



ფრანგული არტილერიის მიერ აფეთქებული გერმანული Pz.III. და Pz.IV Ausf.D



ფრანგ მობოტოციკლისტთა კოლონა. 1940 წელი



ფრანგული ტანკი Char B1 (bis) და მისი ეკიპაჟი



გერმანელი ჯარისკაცი ათვალერებს Char B1 (bis)-ის ნარჩენებს. გერმანელთა 88მმ-იანი ქვემეხის ჭურვის მოხვედრებისა და საბრძოლო კომპლექტის დეტონირებამ ტანკს კოშკურა მოაგლიჯა. საფრანგეთი, 1940 წლის მაისი



II მსოფლიო ომის დასაწყისის საუკეთესო ტანკი, ფრანგული Char B1 (bis). საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ ნაწილი ამ ტანკებისა გამოყენებულ იქნა გერმანელების მიერ როგორც ცეცხლისმფრქვეველები და მექანიზებული არტილერია




გერმანული „პანცერ III“ (Pz. III Ausf. E) ტანკების კოლონა ფრანგული ქალაქის ქუჩებში. 1940 წლის მაისი




გერმანელთა მე-6 სატანკო დივიზიის კოლონა საფრანგეთის ტერიტორიაზე. ახლო პლანზე მსუბუქი LT vz.35. შორ პლანზე Pz.Kpfw. IV-ის ადრეული მოდიფიკაციები



გერმანელთა მიერ აფეთქებული ფრანგული ტანკი „რენო R35“ (Renault R35)



გერმანელთა სტრატეგიულ შეტევით ოპერაციაში დარტყმის ძირითადი მიმართულებები



Bundesarchiv, Bild 146-1981-064-18A
Foto: o. Ang. | 10. Mai 1940

გერმანული ქვედანაყოფები მდინარე მასთან



გერმანული ქვედანაყოფები მდინარე მასის ფორსირებისას



როტერდამის ხელი გერმანული ავიაციის დაბომბვის შემდეგ. 1940 წლის მაისი



გენერალი რომელი და მისი შტაბი საფრანგეთისათვის ბრძოლაში. 1940 წლის ივნისი



გენერალი ერვინ რომელი ტყვედ აყვანილ ბრიტანელ ოფიცრებთან ერთად. მისგან მარცხნივ, ბრიტანელთა 51-ე სამთო დივიზიის მეთაური, გენერალი ვიქტორ ფორტუნი



სს-ის სატანკო დივიზია „მკვდარი თავის“ (SS-Panzer-Division „Totenkopf“) მებრძოლები საფრანგეთისათვის ბრძოლაში



ბრძოლის ველზე მიტოვებული ორი ფრანგული ტანკი „რენო R35“ (Renault R35)



დაღუპული ფრანგი ჯარისკაცები



ფრანგი ტყვე ლაკითხვაზე



ტყველ ჩაბარებული ფრანგი ჯარისკაცები




დატყვევებულ ფრანგ ტანკისტებს გერმანელთა ზედამხედველობის ქვეშ აფეთქებული ფრანგული ტანკებიდან ამოჰყავთ თავისი დაღუპული თანამებრძოლები (სურათზე ჩანს, რომ ტყვე ფრანგებს პირზე ნაჭრები აქვთ აფარებული). გერმანელები ზშირდ იყენებდნენ ასეთი „ბინძური“ სამუშაოების შესასრულებლად ტყვეებს




ფრანგი ტყვეების კოლონა პარიზში, ვერსალის სასახლესთან




კაპიტულაციის შემდეგ ფრანგი ჯარისკაცების მიერ დაყრილი მუზარაღები და სხვა აღჭურვილობა



1940 წლის 16 მაისი




1940 წლის 21 მაისი



საფრანგეთის კამპანიის დროს გერმანელთა მიერ ალაფად მოპოვებული ფრანგული არტილერია. წინა პლანზე – შნაიდერის ფირმის 1917 წლის ნიშუშის 155მმ-იანი ქვემეხები. მეორე პლანზე – ფრანგული მძიმე 220მმ-იანი ქვემეხები, რომლის ლაფეტებისა და ლულების გადატანა განცალკევებით ხდებოდა



ვერმახტის გამარჯვებული ჯარისკაცები „ასველებენ“ საფრანგეთის წარმატებულ კამპანიაში მოპოვებულ საბრძოლო ვიღდობებს



გერმანული ჯარების ცერემონიალური მარში კომპიენში გერმანიისა და საფრანგეთის სარდლობებს შორის დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს. ცენტრში – ისტორიული მატარებლის ვაგონი, რომელშიც ხელი მოეწერა კომპიენის პირველ შეთანხმებას, სადაც დაფიქსირდა გერმანელთა მარცხი I მსოფლიო ომში. კომპიენის ახალ შეთანხმებას ხელი მოეწერა იგივე ვაგონში, რითაც სიმბოლიზებულ იქნა გერმანიის რევანში



I მსოფლიო ომის გმირი, 84 წლის მარშალი პეტენი ესალმება ჰიტლერს. მათ შუაში – ჰიტლერის თარჯიმანი დოქტორი შმიდტი, მარჯვნივ – იოაჰიმ ფონ რიბენტროპი. 1940 წლის ოქტომბერი



ფრანგული დელეგაციის წევრები აღიან „მარშალ ფოშის ვაგონში“ გერმანულ მზარესთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. ამავე ადგილას, ამავე ვაგონში, 1918 წლის 11 ნოემბერს ხელი მოეწერა გერმანიის კაპიტულაციას. 1940 წლის 22 ივნისს უკვე საფრანგეთმა მოაწერა ხელი კაპიტულაციის აქტს. ამ ვაგონის ველზე გამოსატანად, რომელიც მუზეუმში იყო მოთავსებული, გერმანელების მიერ დანგრეულ იქნა მუზეუმის შენობის კედელი და დაგებული იქნა რელსები



გენერალი ვილჰელმ კაიტელი და გენერალი შარლ ჰიუტცინგერი ხელს აწერენ საფრანგეთის კაპიტულაციის აქტს. 1940 წლის 22 ივნისი



ადოლფ ჰიტლერი პარიზში



მარცხნიდან მარჯვნივ: III რაიხის მომავალი სამხედრო მრეწველობის მინისტრი და ჰიტლერის პირადი მეგობარი ალბერტ შპეერი, ადლოფ ჰიტლერი და სკულპტორი არნო ბეკერი ეიფელის კოშკის ფონზე. 1940 წლის ივნისი



Bundesarchiv, Bild 183-L05487
Foto: Folkerts | 14. Juni 1940

გამარჯვებულთა ალლუმი პარიზში



ოკუპირებული საფრანგეთი

§2.3. გამარჯვებული ტრიუმფი (დიუნკერი, 1940 წლის 19 მაისი-ივნისი)

1940 წლის მაისის განმავლობაში ჩრდილოეთ საფრანგეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, აქ გაშლილი მოკავშირეთა ჯარები დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. შემცირებული რაციონითა და დაბალი საბრძოლო სულისკვეთებით, ისინი სრული გარემოცვის საფრთხის წინაშე დგანან. გერმანელების არმიათა ჯგუფები A და B, როგორც ორი უზარმაზარი მარწუხი, მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შენაერთებს გარშემორტყმით ემუქრება.¹⁹⁴

ინგლისელები იწყებენ ჯარების სასწრაფოდ ევაკუირების საკითხის განხილვას.¹⁹⁵ დიუნკერის სახელს აქ პირველად ახსენებენ. ოპერაცია კი, იღებს კოდურ დასახელებას – „დინამო“.

მოკავშირეთა მიერ მოწინააღმდეგის საფრანგეთსა და ნიდერლანდებში შეჭრის გეგმის მცდარი შეფასების შემდეგ გერმანელთა სამხედრო ხელმძღვანელობა ორჯერ უფრო სერიოზულ შეცდომას უშვებს თავისი შემდგომი ოპერაციების შეფასების დროს.

1940 წლის 19 მაისს გუდერიანის ტანკები დგანან ისტორიულ ბრძოლის ველზე მდინარე სომას სანაპიროსთან, აბვილიდან ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით. 20 მაისის დილას გერმანული ტანკები, ღამით, შტორმულ პირობებში გადაადგილების შემდეგ უახლოვდებიან ატლანტის ოკეანეს სამოცდაათი კილომეტრის მანძილზე. მოკავშირეთა შენაერთები მათ ხელშია, ისინი უნდა აჩქარდნენ. გერმანების მოხსენება ერთი დღის დაგვიანებით მოკლედ განმარტავს: „ყველა დროის უდიდესი შეტევითი ოპერაცია დასავლეთში

¹⁹⁴ 1940 წლის 10 მაისს გერმანული შენაერთების მიერ მაჟინოს ხაზის გარღვევისა და 14 მაისს ნიდერლანდების კაპიტულაციის შემდეგ მათ განაგრძეს წინსვლა და თავისი წარმატება კიდევ უფრო განავითარეს. მოკავშირეთა ძალები, რომლებიც შედგებოდა გენერალ ჯონ გორტის ბრიტანული საექსპედიციო კორპუსის, ფრანგთა მე-16 კორპუსის შენაერთებისა და ნაწილების, აგრეთვე ბელგიური ჯარის ნარჩენებისაგან, ბლოკირებულნი აღმოჩნდნენ ქალაქ დიუნკერთან.

¹⁹⁵ ბრიტანელებს ჯარების დიდი მასების ევაკუაციის ისტორიული გამოცდილება უკვე ჰქონდათ მიღებული I მსოფლიო ომის მსვლელობისას. საუბარი ეხება დიდი ბრიტანეთის საადმირალოს პირველი ლორდის (სამხედრო-საზღვაო მინისტრის), უინსტონ ჩერჩილის თაოსნობით დაგეგმილ ჰალიპოლისის (გალიპოლისის) ან სხვანაირად, დარდანელის ოპერაციას და ამ ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ ანტანტის ჯარების ევაკუაციის საკითხს. ჰალიპოლისის ოპერაცია I მსოფლიო ომის უდიდეს საზღვაო დესანტირების ოპერაციას წარმოადგენდა, რომელიც ბრიტანელებმა განახორციელეს ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ ჰალიპოლისის ნახევარკუნძულზე. იგი 1915 წლის 25 აპრილიდან 1916 წლის 9 იანვრამდე მიმდინარეობდა და მის მიზანს მოკავშირეთა ბრიტანული და ფრანგული ძალებით ოსმალთა დედაქალაქის, კონსტანტინოპოლისის აღება წარმოადგენდა. ჰალიპოლისის ნახევარკუნძული დარდანელის გასაღებს წარმოადგენდა და ბრიტანული სარდლობის გათვლით მისი დაუფლება უმოკლესი გზა იყო კონსტანტინოპოლისის ასაღებად. 8 აგვისტოსათვის მოკავშირეთა ფლოტის მიერ ჰალიპოლისზე უკვე 10 ათასკაციანი დესანტი იქნა გადმოსხმული და მათ მძლავრი პლაცდარმიც შექმნეს ნახევარკუნძულზე. უმძიმესი ბრძოლები მთელი რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ ბრიტანელები წინ წასვლას ვერ ახერხებდნენ. ორივე მხარის დანაკარგები ძალიან დიდი იყო. აგვისტოს ბოლოსათვის უკვე ნათლად გამოიხატა ის სურათი, რომ დარდანელის ოპერაციას ჩავარდნა ემუქრებოდა. და საბოლოოდ, 7 დეკემბრისათვის ბრიტანულმა სარდლობამ მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციის მომზადების ბრძანება გასცა. 1916 წლის 9 იანვრისათვის ევაკუაციის ოპერაცია დასრულდა. ბრიტანულმა და ფრანგულმა კონტიგენტმა ოსმალთა ტერიტორია დატოვეს. მოკავშირეები დამარცხდნენ, ოსმალებმა კი გაიმარჯვეს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ევაკუაციის ეს ოპერაცია წარმოადგენდა მთლიანად ჰალიპოლისის ოპერაციის ყველაზე წარმატებულ ნაწილს. თავად ოპერაციის ჩავარდნის გამო კი, უინსტონ ჩერჩილს დაკავებული თანამდებობის დატოვება მოუწია. ჰალიპოლისის ოპერაციას დაპირისპირებულ მხარეთა შემდგომი საბრძოლო სულისკვეთებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. უდიდესი იყო ამ ოპერაციის სამხედრო, პოლიტიკური და მორალური შედეგებიც. ოსმალთა ამ გამარჯვებამ დაამსხვრია მითი ევროპელი მოწინააღმდეგეების უპირატესობისა და ოსმალთა სისუსტის შესახებ. თურქთა ცნობიერებაში კი, დარდანელის ოპერაციამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. და პირველ რიგში იმიტომ, რომ იქ მიღწეული დიდი გამარჯვების შედეგად ოსმალთა დედაქალაქი გადაარჩა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დარდანელის დაცვის ერთ-ერთ მეთაურს და გმირს, ოსმალთა არმიის მე-19 დივიზიის მეთაური, შემდგომში თურქეთის რესპუბლიკის მარშალი, თურქი ხალხის ეროვნული გმირი, თურქული სახელმწიფოს შემქმნელი და მისი პირველი პრეზიდენტი, გენერალი მუსტაფა ქემალი (ათათურქი) წარმოადგენდა. სწორედ ოსმალთა ამ გამარჯვების შემდეგ ჩართო I მსოფლიო ომში ბულგარეთი, რომელმაც ოსმალეთისა და ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკის მხარე დაიკავა.

აღწევს ოპერატიულ შედეგს, მთელი რიგი ცალკეული ტაქტიკური წარმატებების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა მიაღწიეს ლა-მანშის სრუტის სანაპირომდე.¹⁹⁶

ჰიტლერი ამ დროს „არწივის ბუდეში“¹⁹⁷ მიუნსტერაიფელის შტაბ-ბინაში იმყოფება. როგორც ჰალდერი აღნიშნავს, იგი „სიხარულისგან საკუთარ თავს არა ჰგავს“ და მაღალფარდოვანი ფრაზებით ლაპარაკობს გერმანიის არმიასა და მის ხელმძღვანელობაზე. ეს ძალიან იშვიათი შემთხვევა იყო. ომის მთელი შემდგომი მსვლელობისას მას მსგავსი კეთილგანწყობით აღარ უსაუბრია თავისი გენერლების უმრავლესობაზე და აღარც ენდობოდა მათ.

მაგრამ ჰიტლერის სიხარული ხანმოკლეა. უკვე 21 მაისს მისი სიხარული შიშითა და მღელვარებით იცვლება. სადილობისას, არასთან, 40 კილომეტრის სიგანისა და მერხერად განლაგებული გერმანული ტანკების დერეფანთან, ინგლისელების კონტრშეტევა იწყება. მოკავშირეთა მიერ დაგეგმილია საერთო მასიური კონტრდარტყმის მიყენება ოთხი დივიზიის ძალებით. მაგრამ ფაქტობრივად უტევს მხოლოდ ინგლისელების ორი სატანკო ბატალიონი. გენერალ ერვინ რომელის მე-7 სატანკო დივიზია – „დივიზია ფანტომი“, სერიოზული სირთულეების წინაშე დგება. თავად რომელი კინაღამ ტყვედ ვარდება. ერთი საათის განმავლობაში იგი თავის კავშირგაბმულობის ოფიცრებთან ერთად ფრანგულ სატანკო შენაერთებს შორის იმყოფება. ამ ბრძოლაში მისი დივიზია დიდ დანაკლისებს განიცდის და რომელის არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი გიუნტერ ფონ კლიუგე¹⁹⁸ აღიარებს იმას, რომ ეს „არის პირველი დღე, როცა მოწინააღმდეგე ნამდვილ წარმატებას აღწევს“.¹⁹⁹

დიდი ძალისხმევის ფასად გერმანელები ბოლოს და ბოლოს მოკავშირეთა ამ შეტევას იეგრიებენ.²⁰⁰ მაგრამ მიუხედავად საბოლოო წარმატებისა, გერმანიის სამხედრო

¹⁹⁶ მას შემდეგ, რაც გერმანელთა სატანკო შენაერთები აბვილისაკენ გაიჭრნენ, მოკავშირეთა არმიის ნაწილები (10 ბრიტანული, 18 ფრანგული და 12 ბელგიური დივიზია) მოჭრილი აღმოჩნდნენ ძირითადი ძალებისგან. გერმანელებმა ისინი გრაველინის, არასისა და ბრიუგეს რაიონებში მიიმწყვდიეს ზღვასთან. მათ წინააღმდეგ სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებიდან მოქმედებდა გერმანელების არმიათა ჯგუფი „A“, გენერალ-პოლკოვნიკ გერდ ფონ რუნდშტედტის სარდლობით (გენერლების – ევალდ კლაისტისა და ჰერმან ჰოტის სატანკო ჯგუფები და ვერმანტის მე-4 არმია), აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი – არმიათა ჯგუფი „B“, გენერალ-პოლკოვნიკ ვილჰელმ ფონ ლეების სარდლობით (ვერმანტის მე-18 და მე-6 არმიის შენაერთები).

¹⁹⁷ „არწივის ბუდე“ (გერმ. Kehlsteinhaus) – საკურორტო ე.წ. „ჩაის სახლი“, რომელიც გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურმა მუშათა პარტიამ 1937-1938 წლებში ააშენა და შემდეგ აჩუქა ჰიტლერს მის 50 წლისთავთან დაკავშირებით. იგი მდებარეობდა ბავარიის ალპებში, 1843მ სიმაღლეზე, ბერხტესგადენის ოლქში, ჰიტლერის ბერგჰოფის რეზიდენციის მახლობლად.

¹⁹⁸ გიუნტერ ფონ კლიუგე (გერმ. Hans Günther Adolf Ferdinand von Kluge) (1882-1944წ.წ.) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, III რაიხის გენერალ-ფელდმარშალი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1899 წელს. 1901 წელს მიიღო ლეიტენანტის სამხედრო წოდება. 1911 წელს ამთავრებს სამხედრო აკადემიას. 1914 წლის 2 აგვისტოდან კაპიტანია, მსახურობდა 21-ე საარმიო კორპუსის შტაბში. 1918 წლის გაზაფხულიდან ინიშნება 236-ე ქვეითი დივიზიის ოპერატიული განყოფილების უფროსად. მძიმედ დაიჭრა ვერდენის ბრძოლაში. დაჯილდოებულ იქნა რკინის ჯვრით. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჯარებიდან არ მიდის და სამხედრო სამსახურს აგრძელებს რაიხსვერში. 1930 წლიდან პოლკოვნიკია, 1933 წლიდან გენერალ-მაიორი, ხოლო 1934 წელს იღებს გენერალ-ლეიტენანტის წოდებას. ამავე წელს ინიშნება მე-8 სამხედრო ოლქის სარდალად. 1936 წლიდან არტილერიის გენერალა და ინიშნება მე-4 არმიის სარდალად. II მსოფლიო ომში ეკავა მაღალი სამეთაურო თანამდებობები როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ფრონტებზე – სარდლობდა ვერმანტის არმიათა ჯგუფებს. საფრანგეთის კამპანიაში მიღწეული დიდი წარმატებების გამო, 1940 წლის ივლისში მიენიჭა გენერალ-ფელდმარშალის წოდება. 1944 წლის ივლისიდან, დარწმუნდა რა ფრონტებზე შექმნილ უიმედო მდგომარეობაში, შეუერთდა ჰიტლერის წინააღმდეგ შემდგარი ვერმანტის ოფიცრების შეთქმულთა ჯგუფს. 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულების ჩაყარდნის შემდეგ, 19 აგვისტოს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი ადგილი ფელდმარშალმა ვალტერ მოდელმა დაიკავა.

¹⁹⁹ შემდგომში ფელდმარშალი გერდ ფონ რუნდშტედტი წერდა: „შეტევაში კრიტიკული მომენტი მაშინ შეიქმნა, როცა ჩემმა ჯარებმა ლა-მანშს მიაღწიეს. ეს იყო ინგლისელთა მიერ 21 მაისს არასის სამხრეთით განხორციელებული კონტრდარტყმა. გარკვეული დროის განმავლობაში იმასაც კი ვფიქრობდით, რომ ჩვენი სატანკო დივიზიები მოწყვეტილები იქნებოდნენ, სანამ მათ პოზიციებამდე ჩვენი ქვეითი დივიზიები მიაღწევდნენ. ფრანგთა არც ერთ კონტრშეტევას არ შეუქმნია ჩვენთვის ისეთი დიდი საფრთხე, როგორც ეს კონტრდარტყმა იყო“.

²⁰⁰ ეს კრიტიკული მდგომარეობა გერმანელთა მიერ ავიაგამანადგურებლებისა და მოპიკირე ბომბდამშენების მასიური გამოყენებით იქნა გამოსწორებული. შედეგად, ფრანგთა შეტევაში მოქმედებები, რომელიც ბრიტანელთა შეტევებთან უნდა ყოფილიყო სინქრონიზირებული, ჩაყარდა. ფრანგებმა დროზე ვერ მოახერხეს შეტევის საწყის ზღუდეზე გასვლა და ბრძოლაში ჩართვა. გერმანელებმა მოკლე დროში შეძლეს კრიტიკული მდგომარეობის გამოსწორება და შეტევაში მოქმედების გაგრძელება. მათმა დანაკარგებმა 30 ტანკი და 600 კაცი შეადგინა.

ხელმძღვანელობაში ფრანგთა და ბრიტანელთა ეს კონტრშეტევა დიდ შოკს იწვევს. ისინი ხვდებიან, თუ რისი მიღწევა შეუძლია მოკავშირეთა ძალების ძლიერ, კოორდინირებულ მოქმედებებს.

დასავლეთში ბრძოლა გარკვეულ შეჯობრად იქცევა. არასთან განხორციელებული კონტრშეტევის შედეგად ყურესთან მდებარე ნავსადგურების დაკავების თაობაზე გერმანელთა კალენდარული გეგმა იცვლება. 22 მაისს გენერალი გუდერიანი თავისი ტანკებით მიმართულებას იცვლის ჩრდილოეთისკენ და სალამოს უკვე დგას ბულონისა და კალეს ჭიმკართან. იგი საბოლოო ნახტომისთვის ემზადება ყურესთან, გრაველინისა და დიუნკერკის გასწვრივ.

23 მაისის დილას, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი და რაიხსმარშალი, ჰერმან გერინგი, თავისი სალონ-მატარებლიდან ურეკავს ფიურერს „არწივის ბუდეში“ და ყურებს უჭედავს იმის შესახებ, რომ მისი ბომბდამშენებისა და გამანადგურებლების გამოყენებისათვის გადამწყვეტი დრო მოვიდა. გერინგი ამტკიცებს, რომ მისი ავიაცია გაანადგურებს ფლანდრიის სანაპიროსთან გარემოცულ ოთხასი ათას ბრიტანელ და ფრანგ ჯარისკაცს, სახმელეთო ჯარებს კი მხოლოდ ტერიტორიის დაკავება მოუწევთ. იგი მთავრებულა იმ იდეით, რომ გერმანელთა საბოლოო ტრიუმფი წილად უნდა ხვდეს ნაციონალ-სოციალისტურ სამხედრო-საჰაერო ძალებს და არა კონსერვატიულ სახმელეთო ჯარებს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა დიდი შეცდომაა, რომელსაც მალე უმძიმესი შედეგი მოყვება.

მომდევნო დღეს, 24 მაისს, გერინგი მიემგზავრება ჩარლევლისკენ, საარმიო ჯგუფი “A”-ს შტაბ-ბინაში, რათა ადგილზე გაეცნოს საქმის ვითარებას. გენერალ-პოლკოვნიკი ფონ რუნდშტელტი მას არწმუნებს, რომ წინ უდიდესი გამარჯვება ელოდებათ. იგი გერინგს სთავაზობს წინადადებას, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება აქამდე არსებულ გეგმას და რომლის მიხედვითაც არმიათა ჯგუფი “A”-ს ტანკებმა უნდა გაანადგურონ გარშემორტყმული მოწინააღმდეგე. ეს „გრდემლისა და უროს“ სამხედრო სტრატეგიაა. მისი სატანკო ჯგუფი დაარტყამს როგორც ურო ჩრდილოეთით მდებარე არმიათა ჯგუფი “B”-ს გრდემლზე და მოწინააღმდეგეს გასრესენ. რუნდშტელტი ასევე სთავაზობს დავალებების გაცვლას. ნაწილობრივ დაზიანებული ტანკები უნდა გაჩერდნენ და შეასრულონ გრდემლის ფუნქცია შეტევაზე გადასული საარმიო “B” ჯგუფის ქვეითი ჯარისათვის. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სამხედრო-საჰაერო ძალების უკეთ გამოყენება.

ის, რასაც ჰიტლერი ისმენს, მის წარმოდგენებს ემთხვევა. მაგრამ მას ეშინია, რომ მისი ძვირფასი ტანკები შესაძლოა შეყოვნდნენ ჭაობიან დაბლობებსა და ფლანდრიაზე გადაჭიმული კაშხლის მდინარეებისა და არხების ლაბირინთებში, რომელსაც ის ძალიან კარგად იცნობს პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებიდან გამომდინარე. მას სურს, რომ მთავარი დამრტყმელი ძალა – ტანკები, კამპანიის მეორე ფაზისთვის შეინახოს, „გეგმა როტისათვის“.²⁰¹ ოპერაცია „ნამგლით ჭრა“, მისი აზრით, ძირითადად დასრულებულია,

²⁰¹ „გეგმა როტი“, ან წითელი გეგმა (გერმ. Fall Rot) – გერმანელთა სტრატეგიული შეტევითი გეგმა დასავლეთის ფრონტზე, საფრანგეთის კამპანიის მეორე ფაზა იყო. იგი წარმატებით იქნა აღსრულებული „ყვითელი გეგმის“ პუნქტების წარმატებულად რეალიზაციის გამო. ეს გეგმა ორი პუნქტისაგან შედგებოდა. პირველი პუნქტის თანახმად, სომის დასავლეთით, სენას მიმართულებაზე, გერმანელებს უნდა განეხორციელებინათ ცრუ დარტყმა, რითაც მოწინააღმდეგის ძირითად ძალებს მიიზიდავდნენ. მეორე პუნქტის თანახმად, მდინარე სენას მიმართულებაზე, 9 ივნისს გერმანელებს უნდა განეხორციელებინათ მთავარი დარტყმა. იმის გამო, რომ გერმანული შენაერთებისათვის მძლავრი „მაჟინოს ხაზის“ გარღვევა ფაქტურად შეუძლებელი იყო, მანშტინის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, გერმანულმა სარდლობამ გადაწყვიტა არდენის გავლით და ბლიცკრიგის სტრატეგიით ნიდერლანდებისათვის შეეტია. 1940 წლის 9 მაისს ფრანგული პოზიციების ოთხსაათიანი საარტილერიო მოშადებისა და საავიაციო დარტყმების შემდეგ, 16:00 საათისათვის გერმანელებმა ოთხ ადგილას მოახდინეს მდინარე მასის ფორსირება. გენერალ ერვინ რომელის ჯარების პირველი წარუმატებელი შეტევის მიუხედავად, სალამოს 6 საათისათვის ფრანგთა პოზიციები აღებულ იქნა. 10 მაისისათვის გერმანელებმა 32კმ-ით წაიწიეს წინ და უკვე 21 მაისისათვის მათ ლა-მანშს მიაღწიეს, რითაც მოკავშირეთა ძალები ორ ნაწილად გაჭრეს. 31 მაისისათვის დიუნკერკის გარშემო რკალი სრულად შეიკრა და ბრიტანელებმა სასწრაფოდ დაიწყეს მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციის ოპერაციის ორგანიზება. ერთადერთ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას გერმანელებს ბრიტანელთა სატანკო ნაწილები უწევდნენ, რომლებიც „მატილდას“

სატანკო შენაერთებმა თავისი მისია შეასრულეს, გეგმის დარჩენილი ნაწილი კი შესაძლოა შეასრულოს მხოლოდ ქვეითმა ჯარმა გერინგის სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად. ვითარების განხილვის შემდეგ გამოდის ჩარლევლიდან ფიურერის №13 სატელეფონო განკარგულება, რომლის მიხედვითაც გერმანულმა ტანკებმა არ უნდა გადაკვეთონ სრუტეზე ხაზი ლინზასა და გრაველინს შორის, ალყაში მოქცული მოკავშირეები კი, ქვეითმა ჯარმა და სამხედრო-საჰაერო ძალებმა უნდა გაანადგურონ. სწორედ ამის გამო გადაწყვეტს ჰიტლერი, გადააყენოს თავისი პირველი მრჩეველი ჯარების მთავარსარდლობიდან.

რა სურს ჰიტლერს ამ ნაბიჯით – მოქმედების სადავეების ხელში ჩაგდება და იმის ნათელყოფა, რომ მხოლოდ იგი არის ამ დიდი გამარჯვების არქიტექტორი? ამავე დროს, სახმელეთო ჯარების სარდალი, ვალტერ ფონ ბრაუნინი²⁰² და გენერალური შტაბის უფროსი, ფრანც ჰალდერი არ იზიარებენ ჰიტლერის თვალსაზრისს ოპერაციის შემდგომი მსვლელობის შესახებ. ისინი ჰიტლერის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგნი არიან და სატანკო შენაერთების შემდგომ აქტიურ მოქმედებებს მოითხოვენ. მათ სურთ, რომ დაუყოვნებლივ გაგრძელდეს სატანკო შეტევა დიუნკერკისკენ.²⁰³

„ტანკები გაჩერდნენ!“ – ტანკების ეკიპაჟები ძრავებს თიშავენ და იძინებენ. მექანიკოსები დაზიანებული საბრძოლო მანქანების შეკეთებას ცდილობენ. სატანკო ჯარების გენერლები გაცეცხლები და დათრგუნულები არიან. გუდერიანი შეძრწუნებულია. იგი საკუთარი სისწრაფის მსხვერპლია. ერვინ რომელს კი, რომელიც 24 მაისს დააჯილდოვეს რაინდის ჯვრით, პირველად შეაქვს ეჭვი „ყველა დროის უდიდესი სარდლის“ სამხედრო ნიჭიერებაში. რას უნდა ნიშნავდეს ეს ბრძანება? დღესავით ნათელია, რომ მოწინააღმდეგის შენაერთები გერმანიის ტანკების ლულების წინ განადგურდებიან მათი სწრაფი და გაბედული გარემოცვის შემთხვევაში. გუდერიანი ადგილს ვერ პოულობს სიბრახისგან, მის ტანკებს ამისათვის მხოლოდ წერტილის დასმა სჭირდება! 24 მაისის დილას ისინი ბულონს იკავებენ. დიუნკერკს ახლა მხოლოდ 20 კილომეტრია ამორებთ, სადაც გუდერიანის ტანკებს ერთ საათში შეუძლიათ მისვლა.

სამი დღის განმავლობაში ძალაშია ბრძოლის შეწყვეტის სადავო ბრძანება. ამით გერმანელები მოკავშირეებს მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევენ. მათ მხოლოდ იმის შესაძლებლობა რჩებათ, რომ საპატიო კაპიტულაცია გამოაცხადონ და ტყვედ ჩაბარდნენ, ანდა სანაპიროს მიმართულებით გაიქცნენ. მათი მდგომარეობა კრიტიკულია. ბრიტანეთის საექსპედიციო ჯარების სარდალი, გენერალი ჯონ გორტი²⁰⁴, საბოლოოდ, 25 მაისისათვის,

ტიპის ტანკებით იყვნენ დაკომპლექტებულნი. მათი შეტევის აღკვეთა მხოლოდ გერმანული ავიაციისა და განთქმული 88მმ-იანი საზენიტო Flak 88 ქვემეხების ცეცხლით მოხერხდა.

²⁰² ვალტერ ფონ ბრაუნინი (გერმ. Walther Heinrich Alfred Hermann von Brauchitsch) (1881-1948წ.წ.) – ძველი პროსიული არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი, გერმანელი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალი. I და II მსოფლიო ომების მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1900 წელს. 1909 წლიდან ობერლიტენანტია, 1913 წლიდან – კაპიტანი. 1918 წლის ივლისიდან მაიორია. I მსოფლიო ომში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნა ჰოპენცოლერნების სახლის ორდენით და რკინის ჯვრით. სამხედრო სამსახური გააგრძელა რაიხსვერში. 1925 წლიდან პოდპოლკოვნიკია. 1927 წელს ინიშნება მე-6 დივიზიის შტაბის უფროსად. 1931 წლიდან გენერალ-მაიორია, ხოლო 1933 წლიდან – 1-ლი ქვეითი დივიზიის მეთაური. 1933 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1937 წელს ინიშნება მე-4 საარმიო კორპუსის სარდალად. 1938 წლის თებერვლიდან 1941 წლის დეკემბრამდე, გენერალ ვერნერ ფონ ფრიხის გადაყენების შემდეგ ეკავა გერმანიის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თანამდებობა. 1938 წელსვე ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. გადაწყვეტილი როლი ითამაშა პოლონეთისა და საფრანგეთის წარმატებული კამპანიების დაგეგმვასა და მართვაში. ჯარების წარმატებული ხელმძღვანელობისათვის 1940 წლის 19 ივლისს ენიჭება გენერალ-ფელდმარშალის წოდება. 1941 წლის დეკემბრის მოსკოვის ოპერაციის ჩავარდნის გამო, ჰიტლერის მიერ გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა რეზერვში. 1945 წლის 8 მაისს ტყვედ აიყვანეს ბრიტანელებმა. გარდაიცვალა სამხედრო ჰოსპიტალში 1948 წელს.

²⁰³ მიუხედავად ჰიტლერის აკრძალავი ბრძანებისა, სს-ის „სატანკო დივიზია ლეიბშტანდარტ ადოლფ ჰიტლერი“ მეთაურის ბრძანებით, დივიზიის ნაწილებმა გადალახეს მასის არხი და აიღეს მორე ნაპირზე მდებარე მონვატანის სიმაღლეები, რომელიც უზრუნველყოფდა იმ რაიონზე გაბატონებულ მდგომარეობას. სიმაღლეზე მდებარე შუასაუკუნოვანი ციხესიმაგრის ნანგრევებში გერმანელებმა საყრდენი პუნქტი მოაწყვეს.

²⁰⁴ ჯონ გორტი (ინგლ. John Standish Surtees Prendergast Vereker Gort) (1886-1946წ.წ.) – ბრიტანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ბრიტანეთის არმიის ფელდმარშალი. I და II მსოფლიო ომების მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1904 წელს. იბრძოდა I მსოფლიო ომში, სადაც გამოჩენილი მამაცობისათვის ორჯერ

სწორედ ამ გადაწყვეტილებას იღებს. ბრიტანელები და ფრანგები მთელ შეიარაღებასა და საბრძოლო აღჭურვილობას ფლანდრიაში ტოვებენ და ზღვისკენ გარბიან.

28 მაისს, შუა ბრძოლაში, ბელგია კაპიტულაციას აცხადებს, რის შედეგადაც მოკავშირეთა არმიის მთელი მარცხენა ფლანგი სუსტდება. ოთხი ბრიტანული და რამდენიმე ფრანგული დივიზია ახერხებს ლილისთან არსებული ალყიდან თავის დაღწევას. სარტყელი ნელ-ნელა მჭიდროვდება დიუნკერკის გარშემო, ბრიტანეთიდან გამოგზავნილი საევაკუაციო ფლოტიც გროვდება და პირველი დატვირთული გემი სრული სვლით მიუყვება გზას უკან²⁰⁵. ინგლისი საკუთარი საექსპედიციო კორპუსის გადასარჩენად იყენებს აქამდე გულმოდგინედ დაფარულ და კუნძულის დასაცავად განკუთვნილ განძს – თავის სამხედრო-საჰაერო ძალებს. ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალებიც ბრძოლაში რთავენ მათ ხელთ არსებულ ყველა თვითმფრინავს. დიუნკერკისათვის ბრძოლაში დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელთა თექვსმეტი ესკადრილია²⁰⁶ გააფთრებული საჰაერო ბრძოლებში ორასსამოცდაორ გერმანულ თვითმფრინავს ანადგურებს. ამით ბრიტანელები ახერხებენ ლა-მანშისა და დიუნკერკის ცაში საჰაერო ბატონობის მოპოვებას. ბრიტანელთა დანაკარგები კი, მხოლოდ 133 თვითმფრინავს შეადგენს. ეს გერმანელებისათვის დიდი დარტყმაა, ბრიტანელებისათვის კი პირველი გამარჯვება.

ვერმანტის ხელმძღვანელობა მხოლოდ 26 მაისს იგებს იმ ამბავს, რომ ბრიტანელები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. ჰიტლერი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ბრიტანული საექსპედიციო კორპუსი საფრანგეთში უკანასკნელ გასროლამდე იბრძოლებდა. მას ყოველთვის ასწავლიდნენ, რომ თითქმის შეუძლებელი იყო ინგლისელების გაძევება იმ ადგილიდან, სადაც კი ისინი ოდესმე ფეხს მოიკიდებდნენ. იგი ახლავს აცნობიერებს თავის უდიდეს შეცდომას. დილით გერმანული თვითმფრინავ-მზვერავები დიუნკერკის ნავსადგურში კიდევ ცამეტ ბრიტანულ სამხედრო გემს და ჯარების გადასაყვან ცხრა სატრანსპორტო საშუალებას აღმოაჩენენ. ეს სავარაუდოდ იმის მაჩვენებელია, რომ ბრიტანელთა საექსპედიციო კორპუსის დარჩენილი ნაწილისა და ფრანგული ჯარების ევაკუაცია გრძელდება. მხოლოდ ახლა ცვლის ჰიტლერი თავის პირვანდელ გადაწყვეტილებას და ტანკების გადაადგილების ბრძანებას იძლევა. გერმანელთა წარმატებულ საბრძოლო მოქმედებებს ალბათ არ მოჰყვებოდა მძიმე შედეგების მომტანი გაჩერების ბრძანების გაცემა, ჰიტლერს არასწორად რომ არ შეეფასებინა ინგლისელების მოქმედება. ამგვარი შეცდომა მან დაუშვა ჯერ კიდევ ომის დასაწყისში, პოლონეთზე თავდასხმისას და შემდგომაც – საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ, როცა ინგლისთან სეპარატისტული ზავის დადების იმედები საპნის ბუშტივით გაქრა.

დაჯილდოვდა. 1917 წლიდან მეთაურობდა ბატალიონს. ომი დაასრულა მაიორის ჩინით. 1927 წელს ინიშნება მე-4 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად. 1930 წლიდან გვარდიის ბრიგადის მეთაურია, ხოლო 1932 წლიდან – სამხედრო სკოლის დირექტორი. 1937 წლის დეკემბერში დაინიშნა დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსად. II მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ინიშნება ბრიტანული საექსპედიციო ჯარების სარდლად საფრანგეთში. 1940 წლის ივლისიდან მეტროპოლიის ჯარების გენერალური ინსპექტორია. 1941-1942 წლებში ვიბრალტარის გენერალ-გუბერნატორი, 1942 წლის მაისიდან 1944 წლის ოქტომბრამდე კი, მალტის გენერალ-გუბერნატორი. 1943 წელს მიიღო ბრიტანეთის საიმპერიო ჯარების ფელდმარშლის წოდება. 1945 წელს იყო პალესტინაში ბრიტანული ჯარების მთავარსარდალი და მისი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტი. 1945 წელს გავიდა თადარიგში.

²⁰⁵ მოკავშირეთა ჯარების სარდლობების მიერ მოხილვებულ იქნა მათ ხელთ არსებული სამხედრო და სავაჭრო ფლოტის ყველაწარმოების ტიპის მცურავი საშუალებები – 693 ინგლისური და 250 ფრანგული გემი. ამ ოპერაციას გეგმავდა და ხელმძღვანელობდა დუერის სამხედრო-საზღვაო ბაზის უფროსი, დიდი ბრიტანეთის ფლოტის კონტრ-ადმირალი ბერტრან რამსეი.

²⁰⁶ ესკადრილია (ფრანგ. Escadrille) – შემცირებული ესკადრა (Escadre) – სახელმწიფოს ტაქტიკური საავიაციო (სარაკეტო) ძალების ფორმირება, მისი ძირითადი ქვედანაყოფი ან სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო ნაწილი. II მსოფლიო ომის პერიოდში, სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების საავიაციო ესკადრილებს საშუალოდ 10-18 თვითმფრინავი შეადგენდა, თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის ესკადრილებში სხვადასხვა დროს სხვადასხვა რაოდენობის საფრენი აპარატი იყო ჩართული. ასე მაგალითად, 1940 წლისათვის დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალებს გააჩნდა 160 მოქმედი ესკადრილია. II მსოფლიო ომის ბრიტანულ ესკადრილებში სოორგანიზაციო-სამშტატო განრიგით ირიცხებოდა 15 თვითმფრინავი, ხოლო III რაიხის სამხედრო-საჰაერო ძალების (ლოუფტვაფე) ესკადრილებში – 12-16.

გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები დიუნკერკს ბომბავენ. ქალაქის რატუნა, მთავარი ფოსტამტი და ღოკები განადგურებულია. ყველაფერი ცეცხლის ალშია გახვეული. ნავთობის რეზერვუარები იწვის და ავრცელებს მხუთავ კვამლს, რომელსაც ქარი ქალაქისკენ მიაქნებს. გემების მომლოდინე ინგლისელი ჯარისკაცებით სავსე დიუნკერკის სანაპიროები პირქუშად გამოიყურება, ხოლო ქალაქის ქუჩები გადაჭვდილია ოცი კილომეტრის სიგრძის კოლონიით. გერინგი სასწრაფოდ მიფრინავს „არწივის ბუდეში“ და ჰიტლერს ალტაცებით უყვება იმ ხოცვა-ჟლეტის შესახებ, რაც მისმა ბომბდამშენებმა გამოიწვიეს დიუნკერკის ნავსადგურში. „მხოლოდ თევზსაჭერმა კატერებმა გაცურეს, – ტრაბახობს ის, – საბედნიეროდ, ინგლისელებს შეუძლიათ ცურვა!“ მაგრამ გერინგი ცდება, იგი სასურველის რეალობად წარმოჩენას ცდილობს.

რეალურად ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურება და არც თუ ისე მარტივადაა საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. გერმანელთა სამხედრო-საჰაერო ძალების აეროდრომები დიუნკერკიდან საკმაო მანძილით არიან დაშორებული. ამის გამო, გერინგის „იუნკერს-87“ (Ju-87) მოპიკირე ბომბდამშენებს და ავიაგამანადგურებლებს დიდი დრო სჭირდებათ ადგილზე მისაღწევად, ხოლო ლიუფტვაფეს მძიმე „ჰინკელ-111“ (He-111) ბომბდამშენები ამ საქმისათვის სრულიად გამოუსადეგარია.

ყველაფერთან ერთად ამინდიც იცვლება. აქამდე „საოცრად კარგი გერინგის ამინდი“ იცვლება, ნისლი და დაბლა ჩამოწოლილი ღრუბლები ცეცხლმოკიდებული ნავთობრეზერვუარების კვამლს ერევა და საბურველში ახვევს ცეცხლის ალით გარემოცულ ქალაქსა და ბრძოლისუნარდაკარგული, დაქანცული ჯარისკაცებით სავსე სანაპიროს.

გერინგის ტრაბახი, რომ მას „შეუძლია საქმის მოგვარება ჰაერიდან“ და ნებისმიერი გემის ჩაძირვა, უსაფუძვლო აღმოჩნდება. ეს უკვე მეორე შეცდომაა, რომელსაც გერმანიის ხელმძღვანელობა დაუშვებს ბოლო რამდენიმე დღეში. ინგლისელების დანაკარგები უმძიმესია, ნავსადგურის აუზი და რეიდი მოფენილია დაქუცმაცებული ნარჩენებით. გადარჩენის აქციაში მონაწილე რვაასორმოცდარვა ბრიტანული გემიდან, რომელთა შორის იყო ბარჟები, საექსკურსიო გემი, კერძო იახტები და სათევზაო გემები – ორასოცდათხუთმეტი განადგურდა. გერმანელებმა ასევე ცხრა საესკადრო ნაღმოსანიც ჩაძირეს. ალისფერ ცეცხლში გახვეული ქალაქის შესასვლელებთან დარჩენილი სატრანსპორტო საშუალებების უზარმაზარი რიგები დადგა. მიუხედავად სირთულეებისა, ჯარისკაცების გემებში ჩასხდომა ისევ გრძელდება. ისინი წყალში, გრძელ რიგში დგანან და ბარკასებს²⁰⁷ ელოდებიან – ისინი უნდა მოიტანონ მომდევნო გემებმა, რომლებიც ლუზას უშვებენ. გადასაყვანი ჯარისკაცების რაოდენობა დღითი დღე მატულობს. 28 მაისისათვის მათი რიცხვი – 17804-ია. 31 მაისისათვის კი, ეს რაოდენობა უკვე 68014 კაცამდე იზრდება. ყველა საშუალებაა ჩართული ამ დიდი საევაკუაციო ოპერაციის აღსრულებაში. ბრიტანელებისათვის მთავარი ისაა, რომ მათი იმედები მართლდება – ოპერაცია „დინამო“ წარმატებით მიმდინარეობს. მოკავშირეთა გადარჩენილი და ევაკუირებული ჯარისკაცების რაოდენობა, საბოლოო ჯამში, მათ მოლოდინსაც კი აჭარბებს.

3 ივნისის დილას, იმ დროს, როცა გერმანელებს ორი კილომეტრიდა ამორებს ზღვას, სახომალდე არმადას უკანასკნელი ბრიტანელი ჯარისკაცები გადაჰყავს სანაპიროდან. ჯამში – 338 ათასი კაცი, მათ შორის, 110 ათასი ფრანგი აღწევს თავს ზღვით.²⁰⁸ რასაკვი-

²⁰⁷ ბარკასი (იტალ. *Barcaccia* – დიდი ნავი; ნიდერ. *Barkas*) – მცირე ზომის თვითმავალი მცურავი საშუალება, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა გადაზიდვისათვის პორტებსა და რეიდებზე. ბარკასები, როგორც წესი, მოთავსებულნი არიან უფრო დიდ მცურავ საშუალებებზე და მათი წყალში ჩაშვება ხდება მხოლოდ კონკრეტული დავალებების შესასრულებლად. ისინი პინასებთან ერთად დალაგებულნი არიან ხომალდების გროვ და ფოკ ანძებს შორის და მათი წყალში ჩაშვება ხდება გემების ევაკუაციისათვის სანაპიროდან სასმელი წყლისა და საკვები პროდუქტების მიტანის მიზნით.

²⁰⁸ დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო საადმირალოს (სამინისტროს) ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ოპერაცია „დინამოს“ მსვლელობისას, 1940 წლის 26 მაისი – 4 ივნისის პერიოდში, დიუნკერკის რაიონიდან ინგლისის სანაპიროებამდე საერთო ჯამში ევაკუირებულ იქნა 338226 სამხედრო მოსამსახურე. ოპერაცია „დინამოს“ დაწყებამდე ევაკუირებულ იქნა 59 ათას სამასი ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო თავად ოპერაციის მსვლელობის დროს, დამატებით კიდევ გადაყვანილ იქნა 139 ათას რვაასი ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე და მოკავშირეთა

რველია, ისინი თავიანთ აღჭურვილობას ტოვებენ²⁰⁹. გერინგმა ძალიან ბევრი რამ აიღო საკუთარ თავზე. მისი სამხედრო-საჰაერო ძალები არ არიან ისეთ მდგომარეობაში, რომ მთელი არმია გაანადგურონ. 4 ივნისისათვის გერმანელები დიუნკერკს იღებენ. ჰიტლერი ბრძანებს, სამი დღის განმავლობაში რეკონ ზარები იმპერიაში და ყველას გააგებინონ, რომ მოწინააღმდეგის სამოცდათხუთმეტი დივიზია განადგურებულია, ხოლო მილიონ ორასი ათასი ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა, დაიჭრა და დაიღუპა, მაშინ როცა, გერმანელების მხრიდან დაიღუპა მხოლოდ 10 ათასი და დაიჭრა 240 ათასი ჯარისკაცი.

მეტად ნიშანდობლივია ის მომენტი, რომ ჰიტლერი თავის იდეოლოგიაში ინგლისელებს ყოველთვის სასურველ მოკავშირედ და „გერმანელების მოძმე ერად“ მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, ნუთუ შეგნებულად მისცა მან ინგლისელთა ჯარის ძირითად ბირთვს გაქცევის საშუალება, რათა ჩერჩილისთვის²¹⁰ დათმობებზე წასასვლელად და ასევე ზავის დასადებად ოქროს ხიდი გაედო? ზოგიერთი ისტორიკოსი და გენერალი, მაგალითად, გენერალ-ფელდმარშალი რუნდშტედტი, სამხედრო დამნაშავეების წინააღმდეგ ნიურნბერგში გამართულ სასამართლო პროცესზე სწორედ ამას ამტკიცებდა. თუმცა ეს ლეგენდა შემდგომში უარყვეს. როგორც ფიურერის №13 განკარგულებაში, ასევე სამხედრო-საჰაერო ძალებთან დაკავშირებით გაცემულ ბრძანებებში მითითებული იყო, რომ ალყაშემორტყმულები უნდა განადგურებულიყვნენ. დიუნკერკი სულაც არ ყოფილა ჰიტლერის რაინდული ჟესტის გამოვლინება, ეს გერმანელების უდიდესი შეცდომა და კრახი იყო.

ვერმანტი არასდროს ყოფილა ინგლისის დაპყრობის მიზანთან ისე ახლოს, როგორც ეს 1940 წლის 24 მაისს, ტანკების შეჩერების ბრძანების გაცემის დღეს იყო. თუმცა, საფრანგეთზე გამარჯვების შემდეგ თვით ჰიტლერი მრავალჯერ განმარტავდა და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თავის „პოლიტიკურ ანდერძში“ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ დიუნკერკთან მან ბრიტანელები შეგნებულად დაინდო. მაგრამ მან ეს იმიტომ გააკეთა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო, ინგლისელებისთვის დაებრალეხინა ომის შემდგომი გაგრძელება და დანაშაულებრივი მოქმედებანი. ამასთან, იგი სარგებლობდა სასურველი

ძალების 139 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. აქედან 90 ათასი კაცი ფრანგები იყვნენ. ოპერაცია „დინამოს“ მსვლელობისას ევაკუირებულთა შორის დაღუპულთა რიცხვი უმნიშვნელო იყო.

²⁰⁹ დიუნკერკიდან მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციის დროს ბრიტანული, ფრანგული და ბელგიური ჯარების მიერ დიუნკერკის რაიონში დატოვებულ იქნა მათი კუთვნილი მთელი სამხედრო ქონება – მძიმე სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება, საბრძოლო აღჭურვილობა და მასალები. საერთო ჯამში, მოკავშირეთა მიერ დატოვებულ იქნა 2472 საარტილერიო დანადგარი, 65 ათასი ავტომობილი, 20 ათასი მოტოციკლი, 68 ათასი ტონა საბრძოლო მასალა, 147 ათასი ტონა საწვავი და 377 ათასი ტონა სხვადასხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა და ინვენტარი. გარდა ამისა, 8 ათასი ტყვეიამფრქვევი და დაახლოებით 90 ათასი შაშხანა. 9 ბრიტანული დივიზიის მიერ სრულად იქნა დატოვებული მათი კუთვნილი სამხედრო აღჭურვილობა და ქონება. ოპერაცია „დინამოს“ მსვლელობისას ბრიტანული ავიაციის დანაკარგები 106 თვითმფრინავი იყო, ხოლო ოპერაციის მსვლელობისას და ინგლისში ტრანსპორტირების დროს მოკავშირეთა ჯარებში ცოცხალი ძალის დანაკარგები მოკავშირეთა დაახლოებით 2 ათას ჯარისკაცსა და მეზღვაურს შეადგენდა.

²¹⁰ სერ უინსტონ სპენსერ ჩერჩილი (ინგლ. Sir Winston Leonard Spencer-Churchill) (1874-1965წ.წ.) – დიდი ბრიტანეთის გამოჩენილი სამხედრო, სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრი და პრემიერ მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში, ბრიტანეთის არმიის პოლკოვნიკი. XX საუკუნის შუა წლების ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო და პოლიტიკური ლიდერი და მეთაური. 1899-1902 წლების ინგლის-ბურების, აგრეთვე I და II მსოფლიო ომების მონაწილე. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგისა და სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სამხედრო ჟურნალისტი, მწერალი და პუბლიცისტი, დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების (მეცნიერებათა აკადემიის) საპატიო წევრი 1952 წლიდან, 1953 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. სამხედრო ჟურნალისტი ამპლუაში მონაწილეობდა 1899-1902 წლების ინგლის-ბურების ომში. 1910 წლის 14 თებერვალს, 35 წლის ასაკში უინსტონ ჩერჩილი ხდება დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, 1911 წლიდან კი, იკავებს იმპერიის საადმირალოს პირველი ლორდის (სამხედრო-საზღვაო მინისტრის) თანამდებობას. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1917 წლის ივლისში ინიშნება იმპერიის შეიარაღების მინისტრად, 1919 წლის იანვარში კი – დიდი ბრიტანეთის სამხედრო და ავიაციის მინისტრად. II მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1940 წლის 10 მაისს, მეფე გეორგ VI უინსტონ ჩერჩილს ნიშნავს იმპერიის პრემიერ მინისტრად. ბი-ბი-სის მიერ 2002 წელს ჩატარებული საერთო-სახალხო გამოკითხვის საფუძველზე, უინსტონ ჩერჩილი აღიარებულ იქნა დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე დიდ ბრიტანელად.

შესაძლებლობით, რათა შეენიღბა უდიდესი სამხედრო შეცდომა, რომელიც მან აღიარა და გააცნობიერა.²¹¹

საერთო ჯამში, 1940 წლის საფრანგეთის კამპანია გერმანელთა ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდა. ეს იყო საოცარი გამარჯვება უდიდესი და უპირატესი ძალის წინააღმდეგ. მაგრამ საბოლოოდ, ომის შედეგებზე ამას არ უმოქმედია. სტრატეგიული თვალსაზრისით ეს ისეთივე გამარჯვება იყო, როგორიც ძვ.წ. 216 წელს, რომაელებზე ჰანიბალის გამარჯვება ან 1914 წელს, ტანენბერგთან, ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის გამარჯვება რუსებზე.

ფრანგებისთვის დიუნკერკი ნიშნავდა საშინელ მარცხს და ამასთან ერთად, მოკავშირეთა ძალების დეზერტირობის სამარცხვინო მაგალითს. მათგან განსხვავებით, ბრიტანელები დიუნკერკს უდიდეს ტრიუმფად მიიჩნევენ. ჯარების ევაკუაციის ოპერაცია სანიშნოდ იქნა ჩატარებული. ინგლისელთა პროპაგანდით ნაქებ საოცრებას უნდა დაევიწყებინებინა ის დიდი მარცხი, რომლის დროსაც სულ რაღაც ერთ თვეში გერმანელებმა სამი ფრანგული არმია, ასევე ბელგიის, ჰოლანდიისა და ბრიტანეთის არმიები გაანადგურეს²¹².

ოთხი წლის შემდეგ საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული, დიუნკერკს გადარჩენილი ჯარისკაცები ისევ დაბრუნდებიან კონტინენტზე ზუსტად 1944 წლის 6 ივნისს, ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმისას. მაგრამ მაშინ ისინი უკვე გამარჯვებისათვის იქნებიან შემართულები.

საინტერესოა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, 1940 წლის ივნისში გერმანელებს დიუნკერკთან რომ გაენადგურებინათ ან ტყვედ აეყვანათ ინგლისელები? ასეთ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ და რა ძალებით შეძლებდა ინგლისი ომის გაგრძელებას. სავარაუდოდ, გერმანელებს მოუწევდათ ოპერაცია „ზღვის ლომის“ (ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრა და ინგლისის დაკავება) შესრულება. და რა მოხდებოდა შემდგომ? ჩაერთვებოდა კი ამერიკის შეერთებული შტატები ასეთ შემთხვევაში ომში როგორც რუსეთის მოკავშირე?

²¹¹ დიუნკერკის ოპერაციაში გერმანის ნაქები ლიუფტვაფეს მიერ განცდილი წარუმატებლობა რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული:

- მოწინააღმდეგის არასათანადოდ შეფასება და პირიქით, საკუთარი შესაძლებლობების გადამეტებულად შეფასება;
- გერმანელი მფრინავების გადაღლა, რომლებიც სამი დღის განმავლობაში თითქმის უწყვეტად ასრულებდნენ საბრძოლო გაფრენებს;
- სანაპირო ზოლის დაბომბვის დროს ავიაბომბების აფეთქების ეფექტის შემცირება ქვიშის ნაკლები სიმკვრივის გამო;
- ბრიტანელთა გამანადგურებელი ავიაციის აქტიური მოქმედებები. საერთო ჯამში, მათ მიერ განხორციელებულ იქნა 2800 საბრძოლო გაფრენა;
- რამდენიმე დღის განმავლობაში შენარჩუნებული ცუდი ამინდი, რაც ხელს უშლიდა გერმანული ბომბდამშენი ავიაციის მოქმედებას, მაგრამ არ ზღუდავდა მოკავშირეთა ევაკუაციას;


²¹² მიუხედავად მოკავშირეთა მიერ განცდილი დიდი სტრატეგიული მარცხისა, დიუნკერკის ოპერაციამ საშუალება მისცა მოკავშირეებს, რომ საკუთარი არმიები გადაერჩინათ. მართალია, მათ დაკარგეს თავისი საბრძოლო აღჭურვილობისა და შეიარაღების უდიდესი ნაწილი, მაგრამ სამაგიეროდ მიიღეს შეუფასებელი საბრძოლო გამოცდილება და შეინარჩუნეს საბრძოლო სულისკვეთება. ბრიტანული სარდლობა ოპერაცია „დინამოს“ დაგეგმვისას იმ გათვლას აკეთებდა, რომ იგი შეძლებდა დაახლოებით 45 ათასი კაცის გადარჩენას, მაგრამ რეალობაში ეს რიცხვი გაცილებით დიდი აღმოჩნდა. რეალობა ის იყო, რომ შეუპოვარი ბრძოლების მსვლელობისას ბრიტანელებმა მაღალი საბრძოლო სულისკვეთება და პროფესიონალიზმი გამოავლინეს. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოპერაცია „დინამოს“ წარმატებულად განხორციელებაში დიდი იყო მოკავშირე სახელმწიფოთა სამოქალაქო მოსახლეობის როლი. მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და თავგანწირვის შეუპოვარი მაგალითები აჩვენეს. მოკავშირეთა ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი, სწორედ მათ გადაარჩინეს – უბრალო მეთევზეები, მენავებები, იახტების, კატერებისა და ნავების მფლობელები, დოკების მუშა-მოსამსახურეები და სხვანი, თავგანწირვით მუშაობდნენ ოპერაციის მსვლელობისას. ინგლისელებთან ერთად ოპერაციის რეალიზაციაში ჩართულნი იყვნენ ფრანგები, ბელგიელები და სხვა მოკავშირეები, რომლებიც არ მიეცნენ პანიკას და არ გაიზიარეს პორაჟენციული პოზიციები. მრავალმა მათგანმა მომავალში გაავრცელა ბრძოლა როგორც ბრიტანეთის, ასევე ფრანგული არმიების შემადგენლობაში.



ჯონ გორტი
(1886-1946)



გიუნტერ ფონ კლიუგე
(1882-1944)





ვალტერ ფონ ბრაუნეიზი
(1881-1948)



ფელდმარშალი ჯონ გორტი თავისი შტაბის ოფიცრებთან ერთად




პრემიერ მინისტრი სერ უინსტონ ჩერჩილი და ვიცე-აღმირალი სერ ბერტრან რამსეი დიდი ბრიტანეთის საზღვაო ძალების დუერის შტაბში ოპერაცია „დინამოს“ დაგეგმვისას





ვერმახტის მოძრავი საკომანდო პუნქტი. ცენტრში – გენერალი ჰაინც გუდერიანი, ქვემოთ, მარცხნივ – შიფრატორი „ენიგმა“. ფოტო გადაღებულია რადიოფიცირებულ ჯავშანტრანსპორტიორ Sd.Kfz. 251/3-ზე. საფრანგეთი, 1940 წლის მაისი-ივნისი





ვიცე-ადმირალი სერ ბერტრან რამსეი აკვირდება ღიუნკერკიდან მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციის პროცესს



მოკავშირეთა ჯარები ღიუნკერკის სანაპიროზე



ფრანგი ჯარისკაცები ღიუნკერკში



ვვაკუაციის დასაწყისი






მოკავშირეთა მიერ ლიუნკერკში დაყრილი საბრძოლო ტექნიკა და აღჭურვილობა



„იუნკერს 87“-ები ლიუნკერკის ცაში






წყალქვეშა ნალმებზე აფეთქებული ბრიტანული გემები





ღონკერკი, 1940 წლის 3 ივნისი





ბრიტანულ-ფრანგული ჯარების საევაკუაციო ოპერაცია „დინამოს“ მსვლელობისას საესკადრო ნაღმოსანი „ბურასკი“ 1940 წლის 29 მაისს წყალქვეშა ნაღმზე აფეთქდა და მეორე დღეს ჩაიძირა






გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები პოზიორობენ დიუნკერკის სანაპიროზე ჩამოვლებულ „სპიტფაიერთან“





ბრიტანული „ჰოუკერ ჰარიკენები“



ბრიტანული „სპიტფაიერი“



ბრიტანული „სპიტფაიერები“ დიუნკერკის ცაში



სამეფო საჰაერო ძალების 74-ე ესკადრილის ლეიტენანტის, პ. ტრეისის „სპიტფაიერის“ ტყვიამფრქვევის ტრასირებადი ტყვიები ხვდება გერმანულ „მესერშმიტ-110“-ს. საბორტო კამერით გადაღებული ფოტო. დიუნკერკი, 1940 წლის ივნისი



გერმანელები დიუნკერკში



გერმანელი ჯარისკაცი ბინოკლით აკვირდება დიუნკერკის სანაპიროსთან თავმოყრილ ბრიტანელ და ფრანგ ტყვე ჯარისკაცებს. 1940 წლის ივნისი



მოკავშირეთა 338 ათას სამხედრო მოსამსახურეზე მეტი იქნა ევაკუირებული დიუნკერკიდან ოპერაცია „დინამოს“ მსვლელობისას



დიუნკერკიდან ევაკუირებულები ლონდონის რკინიგზის სადგურში

§5.4. ბრძოლა ბრიტანეთისთვის

(ინგლისი, 1940 წლის 10 ივლისი – 31 ოქტომბერი)

II მსოფლიო ომის მსვლელობისას, გერმანიის ლიუფტვაფეს საჰაერო ბრძოლა ინგლისთან, რომელსაც თავად ინგლისელები „ბრიტანეთისთვის ბრძოლას“²¹³ უწოდებენ, იყო „შეჯიბრი საკუთარ თავთან“.

ველინგტონის ჰერცოგის, არტურ ველესლის²¹⁴ სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლითაც მან 1815 წლის 18 ივნისის საღამოს ვატერლოოსთან გამარჯვების შემდეგ მიმართა ბლიუხერს²¹⁵ – „A near run thing!“ – „ბეწვზე გადავრჩით!“, აშკარაა, რომ 1940 წლის ივლისი-ოქტომბრის პერიოდში გერმანელები ძალიან ახლოს იყვნენ თავის მიზანთან, რომ მოეგოთ „ბრძოლა ბრიტანეთისთვის“. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბრიტნელები მართლაც ბეწვზე გადარჩნენ. გერმანელებმა სწორად ვერ გათვალეს თავისი მოქმედებების სტრატეგია და მიზანსაც ვერ მიაღწიეს. ისინი ამ ბრძოლაში დამარცხდნენ. მეორე მსოფლიო ომში გერმანელების მიერ განცდილი ეს პირველი დიდი წარუმატებლობა მათ მიერ დაშვებული უმძიმესი შეცდომებით აიხსნება.

საერთო ჯამში, მსგავსი შეცდომა ხუთი მაინც იქნებოდა. ისტორიაში პირველ ბრძოლას, რომელიც მხოლოდ ჰაერში მიმდინარეობდა, წინ უძღვოდა ჰიტლერის უდიდესი შეცდომა საფრანგეთზე გამარჯვების შემდეგ. სიტუაცია შემდეგაა: 1940 წლის ივნისის ბოლოს ჰიტლერი აკონტროლებს დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპას ტრომსედან პირენეებამდე. ამ მომენტისათვის იგი ფიქრობს, რომ ინგლისი, რომელშიც იგი ჭეშმარიტ მოკავშირეს ხედავს, მზად იქნება მშვიდობის დასამყარებლად და გერმანიას ევროპის კონტინენტზე კონტროლის უფლებას დაუთმობს.

გამარჯვებითა და ტრიუმფით გაბრუებული ჰიტლერი გასცემს ოცდათხუთმეტი დივიზიის დამორიშორებისა და სამომხმარებლო საქონლის წარმოების გაზრდის ბრძანებას. მისდა გასაკვირად, „მშვიდობისკენ გადადგმულ ნაბიჯს“, როგორც იგი ახმოვანებს 1940 წლის ივლისში, ბრიტანელები კატეგორიული უარყოფით პასუხობენ. არადა აქამდე ფიურერის გეგმებში საერთოდ არ მოიაზრებოდა დიდი ბრიტანეთის ინტერვენცია და კუნძულისათვის საჰაერო ბრძოლების წარმართვა. ახლა კი მან დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს შეხედულება და ბრიტანეთის წინააღმდეგ გაილაშქროს. 16 ივლისს იგი გამოსცემს „ზღვის ლომის“ სახელწოდებით ცნობილი ოპერაციის №16 განკარგულებას: „მას შემდეგ, რაც ინგლისი, მიუხედავად მისი უიმედო სამხედრო მდგომარეობისა, არ მიგვანიშნებს, რომ მზად არის აწარმოოს ჩვენთან მოლაპარაკებები, ვბრძანებ, დაიწყოს

²¹³ ამ დასახელებითაა ცნობილი ის საომარ მოქმედებათა სერია, რომელთაც ჰქონდა ადგილი ინგლისის ცაში 1940 წლის ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში. ეს იყო ომების ისტორიაში წარმოებული პირველი საჰაერო ომი – გერმანიის III რაიხის ლიუფტვაფესა და დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებს RAF (Royal Air Force) შორის მიმდინარე აქამდე უპრეცედენტო საჰაერო ბრძოლების სერია.

²¹⁴ ველინგტონის ჰერცოგი – მემკვიდრეობითი ტიტული დიდ ბრიტანეთში. ამ ტიტულის პირველი მატარებელი იყო ფელდმარშალი არტურ ველესლი (ინგლ. Arthur Wellesley, 1st Duke of Wellington) (1769-1852წ.წ.) – ველინგტონის პირველი ჰერცოგი, ირლანდიური წარმოშობის ცნობილი ბრიტანელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. მისი მთავარი და უმნიშვნელოვანესი სამხედრო წარმატება იყო პრუსიელ ფელდმარშალ გებჰარდ ბლიუხერთან ერთად, 1815 წლის 18 ივნისს, ისტორიული ნიდერლანდების პროვინცია ბრაბანტში, სოფელ ვატერლოოსთან გამართულ ბრძოლაში ნაპოლეონ ბონაპარტეზე მიღწეული გადამწყვეტი გამარჯვება. ვატერლოოს ბრძოლით ნაპოლეონ ბონაპარტეს ეპოქა დასრულდა.

²¹⁵ გებჰარდ ლებერეხტ ფონ ბლიუხერი (გერმ. Gebhard Leberecht von Blücher) (1742-1819წ.წ.) – პრუსიელი ფელდმარშალი, ნაპოლეონის ეპოქის ომების მონაწილე. 1815 წლიდან ნაპოლეონ ბონაპარტეს კუნძულ ელბადან დაბრუნების შემდეგ, ნიდერლანდებში გაშლილი პრუსიულ-საქსონური ჯარების მთავარსარდალი. ვატერლოოს ბრძოლის მონაწილე და გამარჯვებული. ამ ეპოქალურ ბრძოლაში მიღწეული გამარჯვებისათვის პრუსიის მეფემ, ფრიდრიხ ვილჰელმ III-მ მას საკუთარი სასახლე უბოძა ბრანდენბურგის ჭიშკართან. თავისი შეუდრეკელი ხასიათისა და მაღალი საბრძოლო სულისკვეთების გამო ჯარებში ბლიუხერი დიდი პატივისცემითა და პოპულარობით სარგებლობდა, რომელსაც ჯარისკაცებმა მეტსახელად „ფელდმარშალი წინ“ (გერმ. Generalfeldmarschall vorwärt) შეარქვეს. პრუსიელთათვის იგი სამშობლოს მამაცი ჯარისკაცის სიმბოლოდ ითვლებოდა. ნაპოლეონი კი, მას „ბებერ ეშმაკს“ (ფრანგ. Le vieux diable) უწოდებდა.

სადესანტო ოპერაციის მომზადება ინგლისის წინააღმდეგ და აუცილებლობის შემთხვევაში აღსრულდეს იგი.“²¹⁶

ჰიტლერის ეს ღირეჭტივა აშკარად ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო, რადგან ორ თვეში ატლანტიკაზე უამინდობის სეზონი დაიწყო, რაც შეუძლებელს გახდიდა გერმანული დესანტის გადასხმას ბრიტანეთის კუნძულებზე.²¹⁷ გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი დაბრკოლება, რასაც ჰიტლერი არ ითვალისწინებდა. ეს იყო დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები – RAF (Royal Air Force).

რამდენიმე თვის წინ, ნორვეგიის კამპანიის მიმდინარეობისას, ორივე მხარისათვის ნათელი უნდა გამხდარიყო ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების გემებს არ შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება და მოქმედება მოწინააღმდეგე მხარის საჰაერო ბატონობის პირობებში²¹⁸. ამიტომ, ლიუფტვაფეს, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს, ჯერ უნდა მოეპოვებინათ ლა-მანშის სრუტისა და სამხრეთ ინგლისის საჰაერო სივრცეში სრული ბატონობა და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელებულიყო კუნძულების საზღვაო დესანტირების ოპერაცია. „ჩემი მფრინავები ოთხი დღის განმავლობაში გაანადგურებენ ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებს!“ – ჩვეულებისამებრ ტრაბახობს ჰერმან გერინგი.²¹⁹ იგი არა მარტო იმპერიის ავიაციის მინისტრი და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი, არამედ 1940 წლის 19 ივლისიდან – რაიხსმარშალიცაა. ჰიტლერმა, მღელვარებით წარმოთქმული სიტყვისა და „ვერმახტისათვის მადლობის გამოცხადების“ შემდეგ, ბერლინის კროლ-ოპერაში, უმაგალითო და განდიდების მანიით აღსავსე ცერემონიალზე, საფრანგეთის წარმატებული სამხედრო კამპანიის მონაწილე ოცდაშვიდ წამყვან ოფიცერს მიანიჭა ვერმახტის გენერლისა და გენერალ-ფელდმარშლის

²¹⁶ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების (კრიგსმარინი) სარდლობის გათვლით, ლა-მანშის სრუტის ყველაზე ვიწრო უბანზე, ღუვრის რაიონში, უნდა შექმნილიყო საზღვაო კორიდორი, რომელიც ორივე მხრიდან დაცული იქნებოდა საზღვაო ნაღმებითა და წყალქვეშა ნაგებობებით. ამ კორიდორის გამოყენებით დიდი ბრიტანეთის მთავარ კუნძულზე გადასხმული უნდა ყოფილიყო მსხვილი გერმანული დესანტი. განსაზღვრული იყო დესანტის გადასხმა 280 ათასი კაცის, 30 ათასი სატრანსპორტო საშუალებებისა და 60 ათასი ცხენის ოდენობით. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი, ადმირალი ერის რედერი თვლიდა, რომ გერმანულ ფლოტს ძალუდ დასმული ამოცანის შესრულება, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ლიუფტვაფე შეძლებდა მომავალი საბრძოლო მოქმედებების რაიონში, ანუ, ლა-მანშის თავზე, საჰაერო ბატონობის მოპოვებას.

²¹⁷ მემუარისტთა დიდი ნაწილის მოსაზრებებით, თვითონ ჰიტლერიც კი არ იყო დარწმუნებული ამ გრანდიოზული სამხედრო ოპერაციის აღსრულების რეალობაში. ისტორიულადაც ცნობილი ფაქტია, რომ ძველი რომისა და იულიუს კეისრის ლეგიონების შემდეგ ვერც ერთმა სახელმწიფომ და მონარქმა ვერ შეძლო დიდი ბრიტანეთის მთავარ კუნძულებზე საზღვაო დესანტის გადასხმა და მისი ოკუპაცია. თანამედროვე სამხედრო ისტორიკოსები კი თვლიან, რომ ოპერაცია „ზღვის ლომი“ გერმანული დაზვერვის მიერ დაწყებული მსხვილმასშტაბიანი სამხედრო თამაში იყო, რომელსაც შეცდომაში უნდა შეეყვანა ბრიტანული სარდლობა. თუმცა აქ გაურკვეველია, თუ რას ემსახურებოდა გერმანელთა მიერ ბრიტანელების მიმართ გატარებული მოწინააღმდეგის შეცდომის შეყვანის ეს სტრატეგია. მიუხედავად ყველაფრისა, 1940 წლის ზაფხულიდან ლიუფტვაფე ინტენსიურად ჩაერთო ამ ბრძოლაში.

²¹⁸ ნორვეგიის ოპერაცია (გერმ. Norwegische Operation ან Weserübung-Nord) – ნორვეგიის სამეფოს წინააღმდეგ III რაიხის მიერ განხორციელებული საომარი კამპანია იყო, რომელიც დაიწყო 1940 წლის 9 აპრილს და დასრულდა იმავე წლის 8 ივნისს. ვერმახტის შენაერთების ჩრდილოეთ ევროპაში შეჭრასთან ერთად, ნორვეგიაში ბრიტანული და ფრანგული საექსპედიციო ძალებიც გადმოსხდნენ, რომელთა მიზანი ნორვეგიელთა დახმარება და გერმანული აგრესიის აღკვეთა იყო. მოკავშირეთა მიერ მიღწეული გარკვეული უპირატესობის მიუხედავად, გერმანელთა საფრანგეთში შეჭრასთან ერთად, მოკავშირეთა ძალები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ნორვეგია და გადასულიყვნენ ნორმანდიაში. ამის შემდგომ, გერმანელების მიერ ნორვეგიელთა წინააღმდეგობა მალევე იქნა ჩახშობილი, ნორვეგიის მეფემ და მთავრობამ კი, ლონდონს შეაფარეს თავი. ნორვეგიის შეიარაღებული ძალების გარკვეული ფორმირებები და ქვედანაყოფები გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლას ქვეყნის ფარგლებს გარეთ აგრძელებდნენ. თავად ნორვეგიის კამპანია კი, გერმანელთა დამაჯერებელი გამარჯვებით და ქვეყნის სრული ოკუპაციით დასრულდა.

²¹⁹ 1940 წლის ზაფხულისათვის გერმანელებს ევროპაში ერთადერთი მოწინააღმდეგეა დარჩათ – დიდი ბრიტანეთი, რომელსაც გერმანული ოკუპაციისაგან მისი კუნძულოვანი მდებარეობა შეელოდა. მართალია, ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსმა დიდი ძალისხმევის ფასად დიუნკერკთან მოახერხა თავი დაეღწია სრული განადგურებისაგან, მაგრამ მათ გერმანელებს დაუტოვეს დიდი რაოდენობით საომარი ტექნიკა, აღჭურვილობა და საბრძოლო მარაგები. მაშინ, დიუნკერკის ოპერაციის დროს, ამინდის გაუარესების გამო, გერმანელებმა ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ მოკავშირეთა ძალების სავაეკუაციო ოპერაციისათვის. და ახლა, ჰერმან გერინგს და მისი ლიუფტვაფეს მფრინავებს საშუალება ეძლეოდათ გამოეწვირებინათ მდგომარეობა. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ „ბრიტანეთისათვის ბრძოლაში“ გერმანელი მფრინავები გაანადგურებდნენ დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალებს და ლა-მანშის თავზე სრულ საჰაერო ბატონობას მოიპოვებდნენ.

წოდებები. ამ მომენტიდან დაწყებული, სწორედ ჰერმან გერინგი მოიაზრებოდა ჰიტლერის მემკვიდრედ – მესამე რაიხის სამხედრო ხელმძღვანელობაში აშკარად გამოკვეთილი პიროვნება²²⁰. ფაქტი ისაა, რომ პოლონეთსა და საფრანგეთში გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების ტრიუმფმა მეტად გაზარდა მისი ავტორიტეტი. 1940 წლის ივლისისათვის კი, გერინგი უკვე თავისი პოლიტიკური და სამხედრო კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა.

შექმნილი პოლიტიკური ვითარების განხილვისა და სამხედრო ძალთა თანაფარდობის შეფასებაში, იგი, ისევე როგორც მისი ფიურერი, დიდ შეცდომას უშვებდა. გერინგის წინასწარმეტყველება, რომ უძლიერესი და საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული ლიუფტვაფე ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებს დაამარცხებს და გაწმენდს ლამანშის ცას, ნაჩქარევი და მცდარი იყო.²²¹

ისტორია მალე აჩვენებს, რომ ასეთი შეფასება გადაჭარბებული თავდაჯერებულობის საფუძველზე გამოტანილი მცდარი დასკვნა იყო და მეტი არაფერი.²²² არასწორი განსჯის შედეგად დაშვებული საბედისწერო შეცდომა თავისი შორსმომავალი შედეგებით აღწევს სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბში კავშირგაბმულობის სამსახურის მე-5 განყოფილებამდე, რომელსაც გენერალი „ბეპო“ შმიდტი ხელმძღვანელობს. ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების შესახებ 1940 წლის 16 ივლისის მოხსენებაში ნათქვამი იყო: „ამჟამად

²²⁰ ფიურერის მოადგილედ და მემკვიდრედ 1933 წლიდან ოფიციალურად ითვლებოდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის (გნსპ) ერთ-ერთი ლიდერი და ჰიტლერის ძველი თანამებრძოლი, იმპერიის რაიხსმინისტრი რუდოლფ ჰესი. იგი ბოქმიური წარმომავლობის მდიდარი ოჯახიდან იყო. მამამისი, ფრიც ჰესი, წარმატებული კომერსანტი, ეგვიპტეში, ალექსანდრიაში საქმიანობდა, სადაც დაიბადა კიდევ რუდოლფი. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, 20 წლის რუდოლფი დაუყოვნებლივ მიემგზავრება სამშობლოში და ეწერება მოხალისედ. ჰიტლერის უახლოეს გარემოცვაში უკვე 1920-იანი წლების დასაწყისიდან შედიოდა. იგი 1923 წლის 9 ნოემბერს მოწყობილი „ლუდის პუტჩის“ აქტიური მონაწილე იყო და ჰიტლერთან ერთად ერთ საკანში იხდიდა სასჯელს ლანდსბერგის ციხეში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის. სწორედ აქ, ციხის საკანში დაწერა ჰიტლერმა თავისი საპროგრამო ნაშრომი „ჩემი ბრძოლა“ (გერმ. Mein Kampf), რაშიც მას უდიდესი დახმარება სწორედ რუდოლფ ჰესმა გაუწია. ნაციონალ-სოციალისტების გერმანიის ხელისუფლებაში მოსვლამდე, რუდოლფ ჰესმა, როგორც ჰიტლერის პირადმა მდივანმა და ასისტენტმა, მრავალჯერ დაუმტკიცა მას თავისი ერთგულება. გარდა ამისა, ჰესმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაცისტთა პარტიის გაძლიერებასა და ჰიტლერის პიროვნული კულტის შექმნაში. მესამე რაიხში ადოლფ ჰიტლერის ამ ერთგულმა პალადინმა „პარტიის სინდისის“ ზედსახელი მიიღო და იგი დამსახურებულად სარგებლობდა გერმანელი ხალხის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით.

²²¹ აღნიშნული საკითხი კომპლექსურია და იგი ჯარების სახეობების, და ამ შემთხვევაში მესამე რაიხის სამხედრო-საჰაერო ძალების, ლიუფტვაფეს, სტრატეგიული და სისტემური მოწყობის ჭრილში უნდა განვიხილოთ. თავდაპირველად ლიუფტვაფე შეიქმნა იმისათვის, რომ მას გერმანული არმიისათვის ბრძოლის ველზე საჰაერო ტაქტიკური მხარდაჭერა განეხორციელებინა. აქედან გამომდინარე, ლიუფტვაფეს შემადგენლობაში მთავარ ელემენტს მოჰკიერე ბომბდამშენთა ესკადრილები წარმოადგენდნენ, რომლებიც გერმანულ სატანკო შენაერთებთან ერთად მეტად ეფექტურად მოქმედებდნენ ბლიცკრიგის ტიპის ოპერაციების წარმოებაში პოლონეთის, დანიის, ბელგიის, საფრანგეთის, პოლანდიისა და ნორვეგიის ოკუპაციის დროს. რეალურად, ეს იყო სახმელეთო ოპერაციების ახლო საჰაერო მხარდაჭერა. მაგრამ ახლა, ბლიცკრიგისა და წინა საომარი კამპანიებისგან განსხვავებით, „ბრიტანეთისათვის ბრძოლაში“ თვისობრივად განსხვავებული სურათი იყო. ამ შემთხვევაში, „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ კამპანიაში ლიუფტვაფეს უკვე დამოუკიდებლად უნდა ეწარმოებინა საბრძოლო მოქმედებები, სტრატეგიული როლი უნდა ეთამაშა ამ საომარ კამპანიაში და მოეპოვებინა სრული საჰაერო დომინანტობა ლამანშისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის საჰაერო სივრცეში, რითაც გზას გაუხსნიდა გერმანელთა საზღვაო დესანტს. ეს კი, სრულიად განსხვავებულ რეალობას წარმოადგენდა და ამ სტრატეგიული ამოცანის გადასაწყვეტად გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები მზად არ იყვნენ.

²²² გერმანიის ვერმახტის ოფიცერთა დიდი ნაწილი ომის წარმოების „სახმელეთო დოქტრინის“ მომხრე იყო და შესაბამისად, ჰიტლერის მიერ დიდი ბრიტანეთის მთავარი კუნძულების საზღვაო დესანტირების ოპერაციის აღსრულებას დიდი სკეპტიციზმით უყურებდნენ. ისინი არცთუ უსაფუძვლოდ თვლიდნენ, რომ დოუნკერკის შემდეგ ბრიტანული ფლოტი უკნებელი გადარჩა და მას სუსტი გერმანული სამხედრო-საზღვაო ძალები ვერ დაუპირისპირდებოდნენ. მაგრამ ამავე დროს, არმიის ოფიცრებისგან განსხვავებით, რაიხსმარშალი გერინგი და გერმანელი მფრინავები შთაგონებულნი იყვნენ „დუეს დოქტრინით“, რომელიც 1930-იანი წლების სამხედრო თეორეტიკოსების გარკვეულ ნაწილზე დიდი ზეგავლენით სარგებლობდა. ეს იყო იტალიის სამხედრო ავიაციის მთავარი სამმართველო უფროსის, იტალიური ავიაციის მამისა და სამხედრო თეორეტიკოსის, გენერალ ვულის დუეს მიერ წამოყენებული თანამედროვე ომის საჰაერო გზით წარმოების დოქტრინა, რომლის მიხედვითაც მოწინააღმდეგე მხარის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მასიური და ინტენსიური საჰაერო დაბომბვებით შესაძლებელი იქნებოდა მისი კაპიტულაცია და დამარცხება. დუეს დოქტრინაში გატარებული იდეების მიმდევარი იყო თავად გერინგიც, ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ლიუფტვაფეს მაღალ ჩინებს და გერმანელ გენერალთა ერთ ნაწილს სჯეროდა მხოლოდ და მხოლოდ საჰაერო დარტყმების მიყენებით „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ მოგება და ინგლისის დამარცხება.

ბრიტანეთის საავიაციო ქარხნები ყოველთვის ურად პირველი თაობის სამასამდე ავიაგამანადგურებელს ამზადებენ. შექმნილი პირობების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამანადგურებლების წარმოების ტემპები უფრო მცირდება, ვიდრე იზრდება.“

გერმანელების მიერ ბრიტანელთა საწარმოო სიმძლავრეების ასეთი ზერელე და ნაჩქარევი შეფასება დიდი შეცდომა იყო. სინამდვილეში, ლორდ ბივერბროუკის²²³ თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ბრიტანული ავიაგამანადგურებლების წარმოების ტემპები სწრაფად იზრდებოდა. თუ იენისში ბრიტანელთა მიერ 446 თვითმფრინავი იქნა გამოშვებული, ივლისში ამ რიცხვმა უკვე 496-ს მიაღწია. გარდა ამისა, არასწორად იყო შეფასებული ბრიტანელთა ძირითადი საფრენი აპარატების – „ჰარიკენისა“²²⁴ და „სპიტფაიერის“²²⁵ ტიპის გამანადგურებლების როგორც საფრენოსნო, ასევე ტექნიკური და საცეცხლე შეიარაღების საკითხები. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ „...საფრენოსნო მახასიათებლებით, ბრძოლისუნარიანობითა და იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ არც ერთი ამ ტიპის თვითმფრინავი არ არის შეიარაღებული საავიაციო ქვემეხით, ისინი „მესერშიტ 109“-ზე²²⁶ (Me Bf-109) სუსტია.“

ეს დასკვნა სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, რაც მალე გამოაშკარავდება ლა-მანშთან გამართულ პირველივე საჰაერო ბრძოლაში. სინამდვილეში კი, ასეთი სურათი იყო – ბრიტანული „სპიტფაიერი“ 600კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა, ისევე როგორც გერმანული „მესერშიტი-109“, ან მოკლედ – მე-109. მესერშიტი-109-ს 5500 მეტრ სიმაღლეზე გააჩნდა გარკვეული საფრენოსნო უპირატესობები და უძლიერესი შეიარაღება. ასევე, „მესერშიტი-109“-ს დაიძლერ-ბენცის ძრავის საწვავის შეფრქვევის სისტემა საშუალებას იძლეოდა თვითმფრინავს სწრაფად შეესრულებინა შემობრუნების მანევრი, რაც იმას ნიშნავდა, რომ

²²³ ლორდი ბივერბროუკი – უილიამ მაქსველ აიტკინი, ბივერბროუკის 1-ლი ბარონი (ინგლ. William Maxwell Aitken, 1st Baron Beaverbrook) (1879-1964წ.წ.) – კანადელი და ინგლისელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის წევრი, ფინანსისტი, ბიზნესმენი და სამრეწველო მაგნატი, მწერალი და გამომცემელი, ქველმოქმედი და მეცენატი, დიდი ბრიტანეთის საიდუმლო საბჭოს წევრი და დიდი ბრიტანეთის საჰაერო მრეწველობისა და მომარაგების მინისტრი, უინსტონ ჩერჩილის პირადი მეგობარი. სუეცის 1-ლი ხარისხის ორდენის კავალერი.

²²⁴ „ჰოუკერ ჰარიკენი“, ან მოკლედ „ჰარიკენი“ (ინგლ. Hawker Hurricane) – II მსოფლიო ომისდროინდელი ბრიტანული წარმოების ერთადგილიანი ავიაგამანადგურებელი. შემუშავებულ იქნა 1934 წელს კომპანია Hawker Aircraft Ltd-ის მიერ. სულ გამოშვებული იქნა 14500 ერთეული. ამ ავიაგამანადგურებელი თვითმფრინავების სხვადასხვა მოდიფიკაციები გამოიყენებოდა აგრეთვე როგორც გადაამჭრები, გამანადგურებელ-ბომბდამშენები (ინგლ. Hurribombers), მოპიკრე ბომბდამშენები და საგემბანე ავიაცია (ინგლ. Sea Hurricane). „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ დაწყების მომენტში, 1940 წლის ზაფხულისათვის, სწორედ „ჰარიკენები“ წარმოადგენდნენ დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საფრენი აპარატების პარკის ორ მესამედს.

²²⁵ „სუპერმარინ სპიტფაიერი“ ან მოკლედ, „სპიტფაიერი“ (ინგლ. Supermarine Spitfire) – II მსოფლიო ომისდროინდელი ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო საფრენი აპარატი, ინგლისელი ავიაკონსტრუქტორის, რეჯინალდ მიტჩელის მიერ შემუშავებული ბრიტანული წარმოების ერთადგილიანი ავიაგამანადგურებელი. ამ თვითმფრინავების სხვადასხვა ვარიანტები გამოიყენებოდა აგრეთვე როგორც გადაამჭერი, დიდი სიმაღლის გამანადგურებელი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი და მზვერავი-თვითმფრინავი. სულ გამოშვებულ იქნა 20351 ერთეული, მათ შორის ორადგილიანი სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავები. მაღალი საფრენოსნო, ტექნიკური და საბრძოლო მახასიათებლებიდან გამომდინარე, ამ თვითმფრინავების გარკვეული ნაწილი 1950-იანი წლების ბოლომდე იმყოფებოდა საბრძოლო მწყობრში. „სპიტფაიერების“ გარკვეული ნაწილი II მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირსაც მიეწოდებოდა ლენდ-ლიზის წესით.

²²⁶ „მესერშიტი-109“ (გერმ. Messerschmitt Bf.109, ან Me Bf-109, Me-109) – II მსოფლიო ომისდროინდელი ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო საფრენი აპარატი, გერმანელი ავიაკონსტრუქტორის, ვილჰელმ (ვილი) მესერშიტისა და მისი საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ შემუშავებული ერთადგილიანი ავიაგამანადგურებელი. III რაიხისდროინდელი გერმანული გამანადგურებელი ავიაციის სიმბოლო. ლიუფტვაფესა და სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში იმყოფებოდა თითქმის 30 წლის განმავლობაში. ამ თვითმფრინავების სხვადასხვა მოდიფიკაციები და ვარიანტები გამოიყენებოდა აგრეთვე როგორც გადაამჭერი, დიდი სიმაღლის გამანადგურებელი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი და მზვერავი-თვითმფრინავი. „მესერშიტი-109“ და მისი სხვადასხვა მოდიფიკაციები („მესერშიტი-109ე ებილი“, „მესერშიტი-109ფ ფრედრიხი“, „მესერშიტი-109გ გუსტავი“) წარმოადგენდნენ ლიუფტვაფეს ძირითად ავიაგამანადგურებლებს და III რაიხის სამხედრო მრეწველობის მიერ გამოშვებულ ყველაზე უფრო მასობრივ საფრენ აპარატს. 1945 წლის აპრილის ჩათვლით გერმანული საავიაციო მრეწველობის მიერ გამოშვებულ იქნა 33984 ერთეული. „მესერშიტი-109“ ამავე დროს, მთლიანად ავიაციისა და ომების ისტორიაში დღევანდლამდე რჩება ყველაზე უფრო მასობრივად გამოშვებულ ავიაგამანადგურებლად.

საჰაერო ბრძოლის დროს რთულ სიტუაციაში მოხვედრილ გერმანელ პილოტს შეეძლო მანქანის ზურგზე სწრაფად გადაბრუნება და დაბლა დაშვება. ასეთი მანევრის შესრულება კი, მერლინის ძრავით აღჭურვილ „სპიტფაიერს“ არ შეეძლო, რადგან ასეთ შემთხვევაში კარბურატორიან ძრავს აღარ მიეწოდება საწვავი და იგი ქრება.²²⁷ თუმცა, „სპიტფაიერს“ ორი მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა „მესერშიტთან“ შედარებით: „ჰარიკენის“ მსგავსად, ისიც მოხერხებულად მანევრირებდა დაბალ და საშუალო სიმაღლეებზე წარმოებულ საჰაერო ბრძოლაში და ადვილად ასრულებდა უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს. ამასთანავე, მისი მფრინავიც კაბინაში უკეთესად იყო დაცული. ამ თვითმფრინავისთვის მოხვედრების შემთხვევაში, პილოტისთვის უვნებლად გადარჩენის დიდი შანსი არსებობდა.

გერმანული დაზვერვა შეცდომას უშვებს დანარჩენი საკითხების ანალიზშიც. მათ თითქმის არაფერი იციან ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების რადიოლოკაციური და ფრენის მართვის სისტემების შესახებ. 1940 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე, სიტყვა – „რადარი“ ერთხელაც არაა ნახსენები გერმანიის დაზვერვის სამსახურების ყოველკვირეულ მოხსენებებში. არადა, ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია ბრიტანული მხარისათვის. მფრინავი ობიექტების წინასწარი აღმოჩენის სისტემა საშუალებას აძლევს გამანადგურებელი ავიაციის სარდლობას, დროულად აწიოს ჰაერში თავისი გამანადგურებლები და შემდგომი ესკადრილებიც მოამზადოს საბრძოლო გაფრენებისთვის. ბრიტანელთა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა დაკავშირებულია ფრენების მართვისა და კონტროლის ცენტრალიზებულ სისტემასთან, რაც პრაქტიკულად აორმაგებს ბრიტანული გამანადგურებლების დარტყმის ძალასა და ეფექტურობას. გერმანელებმა კი, ამის შესახებ არაფერი იციან და ბრიტანული ავიაციის მართვის სისტემას მოძველებულად, მოუქნელად და არაეფექტურად მიიჩნევენ. გარდა ამისა, გერმანელთა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ბრიტანელთა თვითოეული საავიაციო ესკადრია პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ბაზის საჰაერო სივრცის დაცვაზე, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ერთი სიტყვით, ლიუფტვაფეში იღებენ გადაწყვეტილებას, შეუტიონ მსოფლიოს საუკეთესო და მაღალეფექტურ საჰაერო თავდაცვის სისტემას იმის უცოდინრად, თუ როგორ ფუნქციონირებს იგი. სწორედ ამით იყო გამოწვეული 1940 წლის 16 ივლისის მოხსენებაში ბრიტანელთა საჰაერო თავდაცვის შესახებ მოტანილი არასწორი შეფასება: „საჰაერო თავდაცვა კუნძულზე სრულიად არასაკმარისია... მისი რაოდენობის, აღჭურვილობის, მომზადების, მართვის სისტემებისა და სავლელ აეროდრომების მდებარეობის გათვალისწინებით, ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებს უპირატესობა არ გააჩნიათ.“

რა თქმა უნდა, ასეთი შეფასება სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, ხოლო იმ უბედურებაში, რომელიც თავს დაატყდება გერმანულ ბომბდამშენებსა და ავიაციაში მდებარეობებს მომდევნო კვირებსა და თვეებში, ლიუფტვაფეს ხელმძღვანელობა დამნაშავედ საკუთარ არაკომპეტენტურ კავშირგაბმულობის სამსახურებს გამოაცხადებს.²²⁸

²²⁷ აქ საუბარია დაიმლერ-ბენცის საავიაციო DB 605AM ძრავით აღჭურვილ „მესერშიტ-109გ“ ვერსიაზე – „მესერშიტ-109 გუსტავი“ (გერმ. Messerschmitt Bf.109 Gustav), რომელიც „მესერშიტ-109“-ის ყველაზე მასობრივ მოდელს წარმოადგენდა. მთავარი საკითხი აქ, თვითმფრინავის საწვავში „წყალი-მეთანოლის“ ნარევის (MW 50) შეფრქვევისა და მისი ასეთი გზით ფორსირების სისტემას ეხება. ფორსირების მომენტში „მე-109გ“ არა მხოლოდ უკეთესად მანევრირებდა საჰაერო ბრძოლაში, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს, არამედ ზოგადად იზრდებოდა მისი ძრავის სიმძლავრე, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა მის ჩქაროსნულ და საფრენოსნო მაჩვენებლებს. ეს სისტემა საშუალებას იძლეოდა, რომ 5000მ სიმაღლეებამდე ფრენისას 10 წუთის განმავლობაში 10-15%-ით გაზრდილიყო ძრავის სიმძლავრე. „მესერშიტ-109გ“-ს ფორსირებული DB 605AM ძრავის სიმძლავრე MW 50 ნარევის გამოყენებით 1800 ცხ.ძ.-ს აღწევდა, მაშინ როცა მისი ნომინალური სიმძლავრე 1575 ცხ.ძ. იყო. სიმძლავრის მატებასთან ერთად იზრდებოდა თვითმფრინავის ფრენის სიჩქარე დაახლოებით 40 კმ/სთ-ით, რაც გერმანელ პილოტებს საჰაერო ბრძოლებში დამატებით უპირატესობას აძლევდა.

²²⁸ გერმანელთა წარუმატებლობას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებდა. საქმე იმაშია, რომ ბრიტანელთა რადიოგადაცემების სამსახურმა ერთ საინტერესო გარემოებას მიაქცია ყურადღება. მოწინააღმდეგის მოსმენების დროს ბრიტანელებმა შეამჩნიეს, რომ გერმანელთა შტაბები გაფრენების წინ ინტერესდებოდნენ ინგლისის კონკრეტული რაიონების ამინდის პროგნოზით. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ გერმანელები საჰაერო დარტყმების განხორციელებას ინგლისის სწორედ ამ რაიონებში გეგმავდნენ. შესაბამისად, ხდებოდა ბრიტანელთა გამანადგურებელი

გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-2 საჰაერო ფლოტი ბრიტანეთის კუნძულებზე შეტევის დასაწყებად განლაგებულია პა-დე-კალეზე, ხოლო მე-3 საჰაერო ფლოტი – შერბურის ტერიტორიაზე. ივლისის დასაწყისისათვის ორივე ფლოტის განკარგულებაშია 1131 საშუალო რადიუსის მოქმედების ბომბდამშენი კვალიფიციური მფრინავით, კერძოდ, „ჰაინკელ-111“ (He-111), „დორნიე-17“ (Do-17) და „იუნკერს-88“ (Ju-88). აქვეა გაშლილი გერმანელთა მოპიკირე ბომბდამშენების ესკადრილები. თვითოეული მათგანი ძლიერი და სწრაფი თვითმფრინავია, რომელსაც შეუძლია დაახლოებით ორი ტონა ბომბდატვირთვის ატანა. მაგრამ მათი სუსტი წერტილი მწირი შეიარაღებაა, რის გამოც ის ბრიტანული ავიაციის დაზარალებლებისთვის ადვილად მოსაპოვებელ ნადავლად ითვლება.²²⁹ ეს განსაკუთრებით 317 ერთეულ ე.წ. „Stuka“ – „იუნკერს-87“-ს (Ju-87), მოპიკირე ბომბდამშენს ეხება. ამ ბომბდამშენს ერთი 1000კგ-იანი ან ორი 500კგ-იანი საავიაციო ბომბის მიზანში ზუსტად მოხვედრება შეუძლია. მაგრამ მას სუსტი წერტილებიც გააჩნია. ეს ბომბდამშენები ნაკლებად მანევრულია, ისინი ნელა ფრენენ და შესაბამისად, ადვილია მათი დაზიანება და ჩამოგდება, თუ მათ არ იცავენ გამანადგურებლები. ამავე დროს, ლიუფტვაფეს ორივე საჰაერო ფლოტს შეუძლია „მესერშიტ-109“ ტიპის 809 ერთძრავიანი გამანადგურებლისა და „მესერშიტ-110“ (Messerschmitt Bf 110) ტიპის 246 ორძრავიანი მძიმე „გამანადგურებელ-ბომბდამშენის“ გამოყენება. ამას ემატება კიდევ 150 თვითმფრინავ-მზვერავი და ნორვეგიის ტერიტორიაზე ბაზირებული მე-5 საჰაერო ფლოტის 165 თვითმფრინავი. საერთო ჯამში, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს შეუძლიათ ბრძოლაში ჩართონ 2500 საბრძოლო თვითმფრინავი, აქედან 1055 ცალი „მესერშიტ-109“ და „მესერშიტ-110“ ავიაციის დაზარალებელი.²³⁰

„ბრიტანეთისათვის ბრძოლაში“ გერმანელების წინააღმდეგ 700 ბრიტანული გამანადგურებელი მოქმედებს. ბრიტანელთა გამანადგურებელი ავიაციის რიცხობრივ სიმცირეს ყველა შეცდომაში შეჰყავს.²³¹ ყველაფერთან ერთად, გერმანელების მოლოდინისდა

ავიაციის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა და განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ამ რაიონზე. გარდა ამისა, ყოველი საბრძოლო გაფრენის წინ გერმანელი მფრინავები თვითოეული თვითმფრინავის რადიოსადგურის გამართულ მუშაობას ამოწმებდნენ ერთმანეთთან და ბაზასთან მოკლე საოპერატიული გადალაპარაკებების გზით. მათი გადაჭრები კი, ბრიტანელებს დამატებით იმის საშუალებასაც აძლევდა, რომ წინასწარ განესაზღვრათ მოცემულ ოპერაციაში მონაწილე გერმანული თვითმფრინავების რაოდენობა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს, ბრიტანელთათვის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენდა.

²²⁹ გერმანული ბომბდამშენები „ჰაინკელ-111“ (He-111), „დორნიე-17“ (Do-17) და „იუნკერს-88“ (Ju-88) ერთმანეთისგან დანიშნულებით, ტექნიკურ-ტექნიკური და საფრენის მახასიათებლებით განსხვავდებოდნენ. „ჰაინკელ-111“ ყველაზე ნელი, „იუნკერს-88“ ყველაზე სწრაფი, ხოლო „დორნიე-17“ ყველაზე მცირე ტვირთამწეობის თვითმფრინავი იყო. გერმანელთა ეს სამივე ტიპის ბომბდამშენი დიდ დანაკლისებს განიცდიდნენ ბრიტანული ავიაციის დაზარალებლებისაგან, მაგრამ განსაკუთრებით დიდი დანაკარგები „იუნკერს-88“-ზე მოდიოდა. საბრძოლო დანაკარგების შემცირებისა და შემდგომი ბრძოლისუნარიანობის გაზრდის მიზნით, ეს თვითმფრინავები გერმანელთა მიერ, მოგვიანებით, ღამის ბომბდამშენებად გამოიყენებოდა.

²³⁰ II მსოფლიო ომის პირველი კამპანიებისაგან განსხვავებით, „ბრიტანეთისათვის ბრძოლაში“ ლიუფტვაფე იძულებული გახდა გამოსულიყო სტრატეგიულ როლში, რისთვისაც ის არ იყო მზად. აქ მის მთავარ ამოცანას უკვე საჰაერო ბატონობის მოპოვება წარმოადგენდა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთში, რაც გერმანელთა საზღვაო დესანტირების ოპერაციის წარმატებას უზრუნველყოფდა. ამის გამო, საფრანგეთის კამპანიის შემდეგ და „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ წინ, ლიუფტვაფე სამ საჰაერო ფლოტად (გერმ. Luftflotten) გადაჯგუფდა. მე-2 საჰაერო ფლოტი, რომელსაც გენერალი ალბერტ კესელრინგი სარდლობდა, ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ლონდონის რაიონზე იღებდა პასუხისმგებლობას. მე-3 საჰაერო ფლოტი, გენერალ ჰუგო შპერლეს სარდლობით, პასუხისმგებლობას ინგლისის დასავლეთ ნაწილზე იღებდა, ხოლო მე-5 საჰაერო ფლოტი, გენერალი ჰანს-იურგენ შტუმპფის სარდლობით, რომლის შტაბი ნორვეგიაში იყო, პასუხისმგებლობას ჩრდილოეთ ინგლისისა და შოტლანდიის დაბობზაზე იღებდა. უკვე კამპანიის მსვლელობისას, ამოცანის მთელი სიმძიმე მე-2 ფლოტს დააწვა მხრებზე.

²³¹ ზოგიერთი მონაცემებით, დაპირისპირებულ მხარეთა ძალთა თანაფარდობა ასეთი იყო: გერმანელთა მიერ ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში განლაგებული იყო ავიაციის დაზარალებელი „მესერშიტ-109“-ების (Me Bf-109) თერთმეტი ესკადრა 1300 და ორმოტორიანი „მესერშიტ-110“-ების (Me-110) ორი ესკადრა 180 თვითმფრინავის შემადგენლობით. გარდა ამისა, „ჰაინკელ-111“ (He-111), „დორნიე-17“ (Do-17) და „იუნკერს-88“ (Ju-88) ბომბდამშენთა 10 ესკადრა – საერთო ჯამში 1350 თვითმფრინავის შემადგენლობით. გერმანელთა ამ ძალებს, უპირისპირდებოდა დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების „სპიტფაიერის“ და „ჰარიკენის“ მოდელის 534 ერთეული ავიაციის დაზარალებელი, ასევე 213 ერთეული ბომბდამშენი და სხვა დამხმარე ტიპის თვითმფრინავი. როგორც ვხედავთ, „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ საწყის ეტაპზე რიცხობრივი უპირატესობა აშკარად ლიუფტვაფეს მხარეს იყო.

საწინააღმდეგოდ, ორძრავიანი „გამანადგურებელ-ბომბდამშენი“ „მესერშიტ-110“ წარუმატებელი აღმოჩნდება „ბრიტანეთისთვის ბრძოლაში“. მართალია, მას შეუძლია 1000კმ მანძილზე ფრენა და ორი საბორტო ქვემეხითა და ოთხი ტყვიამფრქვევით ძალიან მძლავრი საავიაციო შეიარაღება გააჩნია, მაგრამ წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის ეს არ არის საკმარისი. მიუხედავად იმისა, რომ „მესერშიტ-110“-ს გერმანული ბომბდამშენების ინგლისის მთელ საჰაერო სივრცეში დაცვის უზრუნველყოფა შეეძლო, მას თავისი სუსტი წერტილებიც გააჩნდა – პირველ რიგში მცირე სიჩქარე და დაბალი მანევრულობა.

პირველივე საჰაერო ბრძოლებმა აჩვენეს, რომ ნელი და მოუქნელი „მესერშიტ-110“-ები საჰაერო პილოტაჟისა და საბრძოლო მანევრის შესრულებაში ტოლს ვერ უდებდნენ ბრიტანულ „ჰარიკენებსა“ და „სპიტფაიერებს“.²³² ამ ბრძოლებში გერმანული „გამანადგურებელ-ბომბდამშენები“ ისეთ მძიმე დაზიანებებსა და დიდ დანაკარგებს განიცდიდნენ, რომ ლიუფტვაფეს სარდლობაში სასწრაფოდ მიიღეს გადაწყვეტილება, აღარ გამოეყენებინათ ისინი ხანგრძლივი ბრძოლების საწარმოებლად.

„ბრძოლა ბრიტანეთისათვის“ გააფთრებული საჰაერო ბრძოლების ფონზე მიმდინარეობს. გერმანელთა მე-2 და მე-3 საჰაერო ფლოტი ოთხი კვირის განმავლობაში ცდილობს მიაღწიოს დომინანტურ მდგომარეობას ლა-მანშის სრუტის საჰაერო სივრცეში და განდევნოს ბრიტანული გემები სრუტის ნავსადგურებიდან. ავიაგამანადგურებლების ესკადრილით ესკორტირებული გერმანული ბომბდამშენები ყოველდღე უტევენ ინგლისელთა ნავსადგურებსა და მის ინფრასტრუქტურას. ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლებიც ფრინდებიან ჰაერში და ბრძოლებში ერთვებიან. დანაკარგები ორივე მხარეს დიდია. 12 ივლისიდან 10 აგვისტომდე პერიოდში ლა-მანშის სრუტესთან გამართულ ბრძოლებში გერმანელები 286 თვითმფრინავს კარგავენ, მათ შორის, 105 ავიაგამანადგურებელს. ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო დანაკარგები კი, 148 თვითმფრინავია, თითქმის მხოლოდ გამანადგურებლები.

12 აგვისტოდან ლიუფტვაფეში მოქმედებების ტაქტიკას ცვლიან. ნავსადგურების დაბომბვა წყდება. ახლა ისინი უტევენ ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბებს და პორტლენდსა და ტემზას შესართავს შორის არსებულ რადიოლოკაციურ სადგურებს, რათა ამით გზა გაუთავისუფლონ გერმანულ ბომბდამშენებს ბრიტანელთა აეროდრომებსა და მნიშვნელოვან სამრეწველო ობიექტებამდე მისაღწევად. გერმანული ავიაციის მოქმედებების შედეგად დუერის, პევენსისა და რაის რადიოლოკაციური სადგურები ზიანდებიან და მწყობრიდან გამოდიან. ბრიტანეთის საჰაერო თავდაცვის სისტემა მწყობრიდან გამოდის და შედეგებიც კატასტროფულია – ინგლისის თავზე ცა დაუცველია. აღელვებული ინგლისელები გამალეული ტემპებით ცდილობენ შეაკეთონ დაზიანებული რადიოლოკაციური სადგურები, რასაც ახერხებენ კიდევ. მეორე დღის საღამოსათვის სისტემები ისევ ფუნქციონირებენ.

ბრიტანელებს ასეთი კრიტიკული ვითარებიდან გამოსვლაში გერმანელების მხრიდან დაშვებული კიდევ ერთი შეცდომა ეხმარება. სახელდობრ, ლიუფტვაფეში ფიქრობენ, რომ მათი შეტევა ნაკლებადეფექტური იყო და ბრიტანელთა რადიოლოკაციურ სისტემებზე განხორციელებულ ამ მასირებულ საავიაციო დარტყმებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მათ არც ის იციან, თუ დეტალურად როგორ ფუნქციონირებს მთლიანი სისტემა. იმის მაგივრად, რომ თანმიმდევრულად გააგრძელონ რადიოლოკაციურ სადგურებზე შეტევა,

²³² აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს გამანადგურებელ-ბომბდამშენ „მესერშიტ-110“-ის (Me-110) ფრენის სიჩქარესა და სხვა საფრენოსნო მახასიათებლებთან დაკავშირებით. ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგოდ ვიტყვი, რომ „მესერშიტ-110“-ის ფრენის სიჩქარე საკმაოდ მაღალი იყო. და სწორედ ამიტომ, ფრენის მაღალი სიჩქარის გამო, გერმანელები თავდაპირველად ამ ავიაგამანადგურებლების გამოყენებას საკუთარი ბომბდამშენების დაფარვის დანიშნულებით გვემავენ. მაგრამ პრობლემა სულ სხვაგან იყო დაფარული. მალე აღმოჩნდა, რომ „მესერშიტ-110“-ები ამ ამოცანის შესრულებისას ჩამორჩებოდნენ „სპიტფაიერებს“ და „ჰარიკენებს“. საქმე იმაშია, რომ დიდი სიჩქარისა და კარგი შეიარაღების მიუხედავად, „მესერშიტ-110“-ებს ცუდი მანევრულობა და რაც მთავარია, მცირე აჩქარება ჰქონდათ. სწორედ ამის გამო, საჰაერო ბრძოლებში ისინი ტოლს ვერ უდებდნენ „სპიტფაიერებს“ და „ჰარიკენებს“ და დიდ დანაკლისებსაც განიცდიდნენ.

გერმანელები ნებდებიან. ისინი რადიოლოკაციური სისტემების დაბომბვებს წყვეტენ და შემდგომი მოქმედებების ტაქტიკას ისევ ცვლიან. ეს კი დიდი შეცდომა იყო. რასაკვირველია, ამ დღეს გერმანელებისათვის გამარჯვების ძალიან დიდი შანსები არსებობდა.

13 აგვისტოს გერმანელებმა საჰაერო დარტყმები უკვე ინგლისელთა სამრეწველო ინფრასტრუქტურას მიამყენეს. საერთო ჯამში, ნორვეგიის ტერიტორიაზე ბაზირებული მე-5 საჰაერო ფლოტის მიერ ინგლისის აეროდრომებსა და ქარხნებზე განხორციელებულ შეტევებს დიდი ნგრევები და ზარალი მოჰყვა. 15 აგვისტოს გამოცხადებული „არწივის დღე“ კი, გერმანელთათვის გადაწყვეტი უნდა ყოფილიყო და მათ საბოლოოდ უნდა გაენადგურებინათ ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები.

მაშ ასე – 1940 წლის 15 აგვისტო. ლიუფტვაფეს 2199 თვითმფრინავი დგას ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების 974-ის წინააღმდეგ – ორმაგი და მეტი უპირატესობა. ბრიტანელთა რადარული სისტემები დროულად აფრთხილებენ საკუთარ გამანადგურებელ ავიაციას, რომ „ჰარიკენებსა“ და „სპიტფაიერებს“ გერმანულ ბომბდამშენებზე შეტევების განხორციელება „დიდი ფრთების“ საჰაერო ბრძოლის ტაქტიკის გამოყენებით შეუძლიათ.²³³

ბრძოლა იწყება და გერმანული ბომბდამშენები დიდ დანაკარგებს განიცდიან.²³⁴ ამიტომ გერინგი შეტევითი მოქმედებების ტაქტიკას ცვლის. იგი უბრძანებს თავის გამანადგურებლებს, მიჰყვნენ ბომბდამშენებს ესკორტის სახით, იმის ნაცვლად, რომ სიმაღლეზე იფრინონ მათ წინ. შედეგად, გერმანული გამანადგურებელი ავიაციის უპირატესობა ქარწყლდება და ინიციატივა ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მხარეს გადადის. გერმანელი მფრინავი-ასების, უმთავრესად კი ადოლფ გალანდისა²³⁵ და

²³³ 1930-იანი წლების ბოლოს, დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების (RAF) გამანადგურებელი ავიაციის სარდლობაში არაფერ არ მოელოდა იმას, რომ ინგლისის ცაში მათ გერმანული ავიამანადგურებლების წინააღმდეგ მოუწევდათ ბრძოლა. ბრიტანელები, და ეს ლოგიკურია, გერმანულ ბომბდამშენებთან საბრძოლველად იყვნენ მომართულნი. შესაბამისად მუშავდებოდა ბრიტანული ავიამანადგურებლების საფრენოსნო და საბრძოლო ტაქტიკაც. ბრიტანული გამანადგურებლები სამ-სამი თვითმფრინავისგან შემდგარ მჭიდრო ჯგუფებად დაფრინავდნენ. ესკადრილის (12 თვითმფრინავი) ტიპურ საბრძოლო წყობას წარმოადგენდა ოთხი სამეფო წევრით წინ. ამ დროს მხოლოდ საბრძოლო წყობის სათავეში მყოფ ესკადრილის მეთაურს შეეძლო მოწინააღმდეგის დანახვა. სხვა მფრინავები კი იმისათვის იყვნენ მოწოდებული, რომ შეენარჩუნებინათ წყობა და შესაბამისი დისტანციები. გამოცდილ და კარგად მომზადებულ გერმანულ მფრინავებთან საჰაერო ბრძოლაში ასეთი მწყობრი მეტად არაეფექტური იყო, მაგრამ თავდაპირველად ბრიტანელები ვერ რისკავდნენ კარგად დამუშავებული საჰაერო ბრძოლის ტაქტიკისაგან გადახვევას, რადგან ბრიტანულ მფრინავთა დიდი ნაწილი ახალბედა და გამოუცდელი იყო. გერმანელი პილოტები სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ამ წყობას „იდიოტების წყობას“ (გერმ. Idiottenreihen) ეძახდნენ.

ინგლისელებისაგან განსხვავებით, გერმანელი ავიამანადგურებლების პილოტები იყენებდნენ თავისუფალი წყვილებით („წამყვანი-მიმყოლი“) ფრენის ტაქტიკას. ამ დროს „მიმყოლი“ „წამყვანზე“ უფრო დაბლა მიფრინავდა, რაც მას საშუალებას აძლევდა „წამყვანთან“ ერთად ეწარმოებინა მოწინააღმდეგის ძებნა და მეთვალყურეობა და ამავე დროს ფარავდა „წამყვანის“ „მკვდარ ზონებს“ (წამყვანის კუდის ფრთასხმულობა და ფიუტელაჟის უკანა ქვედა ნაწილი). საჰაერო ბრძოლის დროს „წამყვანი“ იღებდა ბრძოლაში ჩართვის გადაწყვეტილებას, ხოლო „მიმყოლი“ ფარავდა და მხარდაჭერას უცხადებდა მას. ასეთი საბრძოლო წყობა იმის საშუალებას იძლეოდა, რომ მოწინააღმდეგის ნებისმიერი თვითმფრინავი ჩაჭერილიყო გერმანულ გამანადგურებელთა ამ წყვილებს შორის. ბრიტანელი მფრინავები მალე მიხვდნენ თავიანთი საბრძოლო წყობის უვარგისობას და გარკვეული სიახლეებიც შეიტანეს მასში. კერძოდ, ერთი ან ორი თვითმფრინავი საერთო წყობის უკან მიფრინავდა უფრო დიდ სიმაღლეზე, რათა დაეცვა წყობის ზურგი და შორ დისტანციებზე აღმოეჩინა მოწინააღმდეგე. როგორც წესი, ამ ფუნქციას ნაკლებად გამოცდილი პილოტები ასრულებდნენ და საჰაერო ბრძოლებშიც პირველები ისინი ემბეოდნენ. ძალიან ხშირად გერმანელი პილოტები პირველებს სწორედ მათ ავდებდნენ და თან ისე, რომ ბრიტანელი მფრინავები ვერც კი ხვდებოდნენ რომ უკვე გერმანელი ავიამანადგურებლების სამიზნეში იყვნენ აყვანილები.

²³⁴ ბრიტანელთა წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ცენტრალიზებული რადარული სისტემების დროული შეტყობინებების გამო, ბრიტანელი მფრინავები ახერხებდნენ ლოკალური რიცხვითი უპირატესობის მიღწევას კონკრეტული საჰაერო ბრძოლის დროს.

²³⁵ ადოლფ იოზეფ გალანდი (გერმ. Adolf Josef Ferdinand Galland) (1912-1996წ.წ.) – გერმანული სამხედრო ავიაციის ცოცხალი ლეგენდა, გამოჩენილი გერმანელი მფრინავი-გამანადგურებელი, ლიუფტვაფეს ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ესპანეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე – მფრინავი-ასი. ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, მეტსახელად „უკვდავი“. II მსოფლიო ომში იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და მაღალი საბრძოლო მაჩვენებლებისათვის უკვე 29 წლის ასაკში მიიღო ავიაციის გენერლის წოდება. თავისი ხანგრძლივი საბრძოლო კარიერის განმავლობაში განახორციელა 705 საბრძოლო გაფრენა და ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 104 თვითმფრინავი, მათ შორის ოთხი ერთეული ამერიკული ოთხმოტორიანი მძიმე ბომბდამშენი „ბოინგ-29“ „მფრინავი ციხესიმაგრე“ (ინგლ. Boeing B-29 “Superfortress”). საჰაერო ბრძოლებში თავდაც

ვერნერ მოლდერსის²³⁶ მწვავე პროტესტს, გერმანელთა საჰაერო ბრძოლის ტაქტიკის დაბალეფექტურობის გამო, შედეგი არ მოჰყოლია.

ბრიტანული მხარის ზარალიც დიდია. მხოლოდ 26 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე პერიოდში ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები 248 გამანადგურებელს კარგავენ. მათ უპირისპირდება 322 გერმანული თვითმფრინავი, უმეტესად, ბომბდამშენები. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ თითქოს გერმანელებმა უნდა გაიმარჯვონ და ბრიტანეთის ცაში გაბატონდნენ. თითქოს ახლოსაა ის დღე, როცა ბრიტანელთა გამანადგურებლების შტაბის ძალები დასუსტდება და გერმანელებს შესაბამის წინააღმდეგობასაც ვეღარ გაუწევენ. ინგლისელებსაც ეწურებათ გამარჯვების იმედი და ისინიც ფიქრობენ, რომ ბრძოლა უკვე წაგებული აქვთ. პრემიერ მინისტრი ჩერჩილი და სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა ძალიან წუსს.²³⁷

მაგრამ სექტემბრის დასაწყისში ლიუფტვაფე მორიგ შეცდომას უშვებს. გერმანელები ისევ ცვლიან თავიანთი მოქმედებების სტრატეგიას. ბრიტანელთა მდგომარეობა მსუბუქდება. იმის მაგივრად, რომ გერმანულ ავიაციას გაეგრძელებინა ინგლისელთა აეროდრომებისა და ქარხნების დაბომბვა, ამჯერად ისინი ლონდონზე იწყებენ საჰაერო დარტყმების მიყენებას. ეს არის „ბრიტანეთისთვის ბრძოლაში“ გერმანელთა მიერ დაშვებული რიგით მეხუთე შეცდომა და, სავარაუდოდ, გადამწყვეტიც. ეს შეცდომა განაპირობა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების კავშირგაბმულობის სამსახურის არასწორმა ინფორმაციამ, სადაც მითითებული იყო, რომ ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში დარჩენილი იყო 150, მაქსიმუმ, 300 ავიაგამანადგურებელი. სინამდვილეში კი, დაახლოებით 600 თვითმფრინავი იყო სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი ავიაციის საბრძოლო მზადყოფნაში. გერინგი შეცდომით ფიქრობს, რომ ბრიტანელთა ავიაგამანადგურებლების შტაბი იძულებული იქნება გამოიყენოს თავისი უკანასკნელი რეზერვები, როცა გერმანული ბომბდამშენების შეტევის მთავარი სამიზნე ბრიტანეთის დედაქალაქი გახდება. ამავე დროს, 26 აგვისტოს ბერლინზე ოთხმოცდაერთი ბრიტანული ბომბდამშენით განხორციელებული შეტევის საპასუხოდ, გერმანელები სამაგიეროს გადახდას გეგმავენ.

1940 წლის 4 სექტემბერს მოწყობილ თავის საჯარო გამოსვლიზე ჰიტლერი ბობოქრობს: „ბრიტანელებმა უნდა იცოდნენ, რომ ყოველ მათ მოქმედებას შესაბამისი პასუხი

ოთხჯერ იქნა ჩამოგდებული, მაგრამ ოთხივეჯერ ცოცხალი გადარჩა. მაღალი საბრძოლო მაჩვენებლებისათვის მიღებული ჰქონდა იმპერიის უმაღლესი სამხედრო ჯილდოები. II მსოფლიო ომის მიწურულს მეთაურობდა რეაქტიულ ავიაგამანადგურებელ „მესერშიტ-262“-ების ესკადრას, რომლის დროსაც მოწინააღმდეგესთან საჰაერო ბრძოლებში შვიდ გამარჯვებას მიაღწია.

²³⁶ ვერნერ მოლდერსი (გერმ. Werner Mölders) (1913-1941წ.წ.) – გერმანული სამხედრო ავიაციის ლეგენდა, გამოჩენილი გერმანელი მფრინავი-გამანადგურებელი, ლიუფტვაფეს ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ესპანეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, იბრძოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე, მფრინავი-ასი. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და მაღალი საბრძოლო მაჩვენებლებისათვის უკვე 28 წლის ასაკში მიენიჭა ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება. ომების ისტორიაში პირველი მფრინავი-ასი, რომელმაც 100-იან ზღვარს გადააბიჯა. II მსოფლიო ომში ჩამოავლო მოკავშირეთა 101 თვითმფრინავი, ხოლო ესპანეთის სამოქალაქო ომში – 14 საბჭოთა თვითმფრინავი. 27 წლის ასაკში უკვე ავიაგამანადგურებლების ესკადრას მეთაურობდა. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და მაღალი საბრძოლო მაჩვენებლებისათვის იგი ისტორიაში პირველი სამხედრო იყო, ვინც დაჯილდოვდა III რაიხის უმაღლესი სამხედრო ორდენით – „რაინდის ჯვარი მუხის ფოთლებით, ხმლებითა და ბრილიანტებით“. 1941 წლის ივლისში, რაიხსმარშალ გერინგის სპეციალური ბრძანებით მას აეკრძალა საბრძოლო გაფრენების შესრულება და შემდგომი სამსახურის გასაგრძელებლად გადაყვანილ იქნა სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბში ინსპექტორად. დაიღუპა ავიაკატასტროფაში 1941 წლის 22 ნოემბერს, ყირიმის გერმანიაში გადაფრენის დროს.

²³⁷ ბრიტანელთათვის შექმნილ მძიმე მდგომარეობას ის ამსუბუქებდა, რომ ბრძოლებში ჩამოგდებული და მწყობრიდან გამოყვანილი თვითმფრინავების ნაწილის აღდგენა და ისევ საბრძოლო მწყობრში დაყენება საკმაოდ სწრაფად ხდებოდა. ასევე სწრაფად ხდებოდა მსუბუქად დაჭრილი ბრიტანელი მფრინავების სათანადო მკურნალობა და შემდგომი რეაბილიტაცია. გერმანული მხარე კი, იმის გამო, რომ ეს საჰაერო ბრძოლები ინგლისის ცაში ხდებოდა, როგორც ჩამოგდებული გერმანული საფრენი აპარატების, ასევე დაჭრილი მფრინავების ხელმეორედ საბრძოლო მწყობრში დაყენებას, ბუნებრივია, ვერ ახერხებდა. ინგლისის ცაში ჩამოგდებული თვითოეული გერმანული თვითმფრინავი და მისი პილოტი, ცხადია, უკვე ბრიტანელთა საბრძოლო ალაფს და სამხედრო ტყვეს წარმოადგენდა. ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ კამპანიისას ბრიტანელთა მიერ 900-ზე მეტი ჩამოგდებული გერმანული თვითმფრინავის ცოცხლად გადარჩენილი ყველა პილოტი ტყვედ იქნა აყვანილი, რომლებიც, რა თქმა უნდა, ომის დასრულებამდე იმყოფებოდნენ ტყვეობაში.

მოწყება. ყოველ მათ დარტყმას ჩვენ პასუხს გაათმავებულად და ერთ ღამეში გავცემთ... თუ ისინი ჩვენს ქალაქებს შეუტევენ – საპასუხოდ ჩვენ მათ ქალაქებს დავბომბავთ და გავანადგურებთ!”²³⁸

ამოცანა დასახულია. ახლა კი, „მესერშიტ-109“-ები შეტევისათვის უნდა მოემზადონ და დაიკვან ბომბდამშენები, რომლებიც გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებენ ლონდონს. გერმანული ავიაგამანადგურებლების საფრენოსნო რესურსები კი ძალიან შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები თვითმფრინავებს საწვავის ზღვრული ლიმიტით მართავენ, დასაფარი დიდი მანძილის გამო, ქალაქის თავზე საჰაერო ბრძოლების საწარმოებლად მათ მხოლოდ ათი წუთი რჩებათ.

1940 წლის 7 სექტემბრისათვის ლონდონის ფართომასშტაბიანი დაბომბვა დაგეგმილი. 372 გერმანული ბომბდამშენი, რომელსაც ესკორტირებს 642 გამანადგურებელი უწყვეს, ლონდონის დაბომბვას იწყებს. ცეცხლი უჩნდება დოკებს, წისქვილებს, საწყობებს და სხვა ნაგებობებს, აგრეთვე დოკებში მდგარ გემებს. გერმანელების გასაკვირად, ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები მათ გააფთრებულ წინააღმდეგობას უწყვენ. ბრიტანული ავიაგამანადგურებლები დაუყოვნებლივ ებმებიან საჰაერო ბრძოლებში და გერმანელთა დანაკარგებიც დიდია.

გერმანელთა მიერ ლონდონზე ყველაზე მასირებული საჰაერო შეტევა კი 15 სექტემბრისთვის დაიგეგმა, რომლის შედეგებიც გერმანელთათვის ძალიან მძიმე გამოდგა. ამ ბრძოლების ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როდესაც თვითოეულ გერმანულ ბომბდამშენს თითქმის ხუთი გამანადგურებელი იცავდა, ლიუფტვაფემ ორმოცდათექვსმეტი თვითმფრინავი დაკარგა, ბრიტანელებმა კი – მხოლოდ ოცდაექვსი. ეს იყო „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ გარდატეხის დღე.²³⁸

ნელ-ნელა გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობაში უკვე მწიფდება ის აზრი, რომ ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები უძლეველია და ლიუფტვაფემ ხელი უნდა აიღოს თავის მიზანზე – ცუდი ამინდების დაწყებამდე მიაღწიოს ლა-მანშის თავზე საჰაერო სივრცის კონტროლს და საჰაერო დომინანტობას. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ „ბრძოლა ბრიტანეთისათვის“ წაგებულია. გერმანელებმა უარი უნდა თქვან თავისი ამბიციური გეგმების განხორციელებაზე. „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ წაგება კი, თავისთავად ნიშნავს იმას, რომ გერმანია მზად არ არის ოპერაცია „ზღვის ლომის“, ბრიტანეთის კუნძულებზე საზღვაო დესანტირების ოპერაციის ჩასატარებლად. 17 სექტემბერს ჰიტლერი განუსაზღვრელი ვადით გადადებს დიდი ბრიტანეთის ინტერვენციის საკითხს.

საერთო ჯამში, 1940 წლის 10 ივლისიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში მიმდინარე საჰაერო ბრძოლებში ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალები 915 თვითმფრინავს კარგავენ, ხოლო ლიუფტვაფე – 1733-ს – თითქმის ორმაგ რაოდენობას.

1941 წლის 9 იანვარს ჰიტლერი საბოლოოდ წყვეტს ოპერაცია „ზღვის ლომს“. „ბრძოლა ბრიტანეთისათვის“ დასრულებულია.²³⁹

²³⁸ სწორედ ეს დღე, 1940 წლის 15 სექტემბერი აღინიშნება დიდ ბრიტანეთში „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ გამარჯვების დღედ. ინგლისელთა აზრით, ამ დღეს განცდილმა დიდმა დანაკარგებმა დაარწმუნა გერმანული სარდლობა ელიარებისა ბრიტანელთა საჰაერო თავდაცვის უძლეველობა და ბრიტანელთა მაღალი საბრძოლო და მორალური სულისკვეთება, რასაც გერმანელების მხრიდან ბრძოლის შეწყვეტა მოჰყვა შედეგად.

²³⁹ 1941 წლის 9 იანვარს ოპერაცია „ზღვის ლომის“ გადადების, იმავე წლის 27 მაისს გერმანელთა საზღვაო ფლოტის საფლავმანო ლინკორ „ბისმარკის“ ჩაძირვისა და 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, „ბრიტანეთისთვის ბრძოლამ“ გერმანელებისათვის ყოველგვარი აქტუალობა დაკარგა. ფიურერი და ვერმასტი ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ და მთელი თავისი ძალისხმევა აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართეს. საერთო ჯამში, გერმანელებმა „ბრიტანეთისთვის ბრძოლა“ წააგეს.




ლორდი ბივერბრუკი
(1879-1964)



ვერნერ მოლდერსი
(1913-1941)



ადოლფ გალანდი
(1912-1996)



ოპერაცია „ზღვის ლომის“ პირობითი სქემა



გამანადგურებელი „მესერშმიტ-109“



მოპიკირე ბომბდამშენი „იუნკერს-87“



საფრონტო ბომბდამშენი „იუნკერს-88“



მძიმე ბომბდამშენი „ჰაინკელ-111“



მსუბუქი ბომბდამშენი „დორნიე-17“



გამანადგურებელ-ბომბდამშენი „მესერშმიტ-110“



გამანადგურებელი „ჰოუკერ ჰარიკინი“



გამანადგურებელი „სპიტფაიერი“



გერინგი ესალმება თავის პილოტებს




„ჰანკელ-111“ უშვებს ტორპედოს



„ჰანკელ-111“-ების ფორმაცია



„ჰაინკელ-111“-ები ლა-მანშის თავზე



„ჰაინკელ-111“ ინგლისური ქალაქის თავზე



„ჰაინკელ-111“ საბრძოლო დავალების შესრულებისას. ფოტოზე კარგად ჩანს თვითმფრინავის ფიუზელაჟის წინა ნაწილში მოთავსებული მსროლელი და კაბინაში მყოფი ეკიპაჟი




„იუნკერს-87“ შეტევაში



„ჰაინკელ-111“ ლონდონის თავზე



„ღორნიე-17“-ების ესკადრილია ბომბავს ინგლისს. 1940 წლის 20 სექტემბერი





1940 წლის ივლისში ლა-მანშის სრუტეში მცურავი საზღვაო კონვოის დაბომბვა



ლიუფტვაფეს მიერ განხორციელებული ლონდონის პირველი დაბომბვის შედეგები




ლიუფტვაფეს მიერ 1940 წლის 7 სექტემბერს განხორციელებული ლონდონის დოკისა და სამრეწველო რაიონის დაბომბვა. ქარხნები და საწყობები მნიშვნელოვნად დაზიანდა, წისქვილები და ვიქტორიას დოკები ცეცხლის ალშია გახვეული



ლონდონის ქუჩები 1940 წლის 10 სექტემბრის საჭარო დაბომბვის შემდეგ



1940 წლის 17 სექტემბრის ლონდონის დოკების რაიონის დაბომბვის შედეგები



ლონდონის მომარაგების მსხვილი რაიონი, ტილბურის დოკები, გერმანელთა ხშირი საჰაერო შეტევების სამიზნე იყო. სურათზე კარგად ჩანს 1940 წლის 4 ოქტომბერს გერმანული ბომბდამშენის ბორტიდან ჩამოვლებული საავიაციო ბომბები, რომელთა პირველი ნაწილი ხვდება მდინარე ტემზაზე მყოფ გემებს, მეორე კი – დოკებს



ლონდონის მოსახლეობა მეტროში მოწყობილ თავშესაფარში



ქალაქ პლიმუტის დაბომბვა



წმინდა მიქაელის საკათედრო ტაძრის ნანგრევები ქოვენთრიში საავიაციო დაბომბვის შემდეგ



ლონდონელი ბიჭუნა შენობის ნანგრევებში სათამაშოსთან ერთად




1940 წლის 7 სექტემბრის ღამის რეიდის შედეგად, ლონდონის დაბომბვისას, ელიფანტისა და კასტლის ქუჩების კვეთაზე გაჩენილი კრატერი



ლიუფტვაფეს ორი „იუნკერს-87“ ბრუნდება საბრძოლო დავალებიდან



ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბატარეების აღჭურვისათვის საჭირო ხმის პარაბოლოიდური დეტექტორების აწყობა ინგლისის ერთ-ერთ ქარხანაში. 1940 წლის 30 ივლისი



რადარების სისტემა ლონდონთან



გადამღობი აეროსტატები





დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების პილოტი დუგლას ჰორნი თავის „ჰოუკერ ჰარიკენთან“ მდინარე ტემზის ესტუართან შესრულებული საბრძოლო დავალებიდან დაბრუნების შემდეგ



ბრიტანელთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბატარეა ლამის თავდასხმის დროს



„ჰოუკერ ჰარიკენების” საჰაერო პატრული ინგლისის ცაში



„სპიტფაიერების” საჰაერო პატრული ინგლისის ცაში




ბრიტანელთა სამეფო საჰაერო ძალების 249-ე ესკადრილის მფრინავი-გამანადგურებლები



„ჰარიკენებისა“ და „მესერშიტების“ საჰაერო ბრძოლა ინგლისის ცაში. ფოტოზე კარგად ჩანს, რომ „მესერშიტ-109“ დაზიანებულია, იგი მწყობრიდანაა გამოსული და პიკირებს




„სპიტფაიერი“ უტევს „ჰაინკელ-111“-ს. ფოტოზე ჩანს, რომ „სპიტფაიერი“ დაზიანებულია, თუმცა ჯერ-ჯერობით ინარჩუნებს ფრენის კურსს




პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებული „მესერშიტ-110“



სამეფო საჰაერო ძალების 609-ე ესკადრილიის კუთვნილი კაპიტან ჯ. დ. ბისდის „სპიტფაიერიდან“ გადაღებული კადრი, რომელიც უტევს საუთჰემპტონის დაბომბვაში მონაწილე „ჰანკელ-111“-ების ესკადრილიას. კადრში ჩანს „სპიტფაიერიდან“ გაშვებული ტრასირებადი ტყვიების კვალი და მარჯვენა „ჰანკელ-111“-ის ცეცხლმოკიდებული ძრავი



„ჰარიკინის“ მიერ ჩამოგდებული „მესერშიტ-110“



„მესერშიტ-109“ „სპიტფაიერის“ სამიზნეში, რომელიც თავის მხრივ „ჰანკელ-111“-ს აცილებს



სამეფო საჰაერო ძალების 609-ე ესკადრილის კუთვნილი ლეიტენანტ ჯ. გ. მაკარტურის „სპიტფაიერიდან“ გადაღებული ფოტოკადრი, რომელიც უტევს ბრისტოლის საავიაციო ქარხნის დაბომბვაში მონაწილე „ჰინკელ-111“-ების ესკადრილიას. კადრში კარგად ჩანს „სპიტფაიერიდან“ გაშვებული ტრასირებადი ტყვიების კვალი. 1940 წლის 25 სექტემბერი



ბრიტანელთა მიერ ჩამოგდებული „მესერშმიტ-109“



1940 წლის 18 სექტემბერს გერმანულ და ბრიტანულ ავიაციას შორის ინგლისის ცაში გამართული საჰაერო ბრძოლის კონდენსაციური კვალი



ბრიტანელთა მიერ ინგლისის მიწაზე ჩამოგდებული პირველი „ჰანკელ-111“



ბრიტანელთა მიერ ჩამოგდებული „დორნიე-17“



ბრიტანელი ჯარისკაცები პოზიორობენ ჩამოგდებულ „მესერშმიტ-109“-თან



„მესერშმიტ-110“



„ჰაინკელ-111“



1940 წლის 27 აგვისტო. ინგლისის მიწაზე ჩამოვლებული გერმანული თვითმფრინავების „სასაფლაო“. ასეთი გზით მოპოვებულმა დიდი რაოდენობის შავმა და ფერადმა ლითონმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბრიტანელთა მიერ წარმოებული ჯარის შეგროვების ეროვნული კამპანიის წარმატებაში

§1.5. ოპერაცია „ბარბაროსა“

(საბჭოთა კავშირი, 1940 წლის 18 დეკემბერი – 1941 წლის 22 ივნისი)

ჰიტლერის არასწორი გადაწყვეტილებებიდან და უამრავი დაშვებული შეცდომიდან ყველაზე სერიოზული მაინც ის გადაწყვეტილება აღმოჩნდა, რაც 1941 წელს საბჭოთა კავშირზე თავდასხმას გულისხმობდა. ამ გიგანტურ და უდიდესი რესურსების მქონე სახელმწიფოზე სტრატეგიული თავდასხმითი ოპერაციის დაგეგმვა, მომზადება და აღსრულება ორივე მხრიდან დაშვებული შეცდომების მთელი ჯაჭვის თანხლებით მიმდინარეობდა.

1940 წლის დეკემბერში ჰიტლერის მიერ შემუშავებული საბჭოთა კავშირზე სტრატეგიული თავდასხმის ოპერაციის „დირექტივა №21“ ასეთი წინადადებით იწყება: „გერმანიის ვერმახტი უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ ინგლისის წინააღმდეგ ომის დასრულების შემდეგ სწრაფი კამპანიით დაამარცხოს საბჭოთა რუსეთი (ოპერაცია „ბარბაროსა“)“.²⁴⁰

ჯერ კიდევ შორეულ 1923 წელს, „ლუდის პუტჩის“²⁴¹ ორგანიზების ბრალდებით ლანდსბერგის ციხეში ყოფნის დროს დაწერილ თავის წიგნში, „ჩემი ბრძოლა“ (გერმ. Mein Kampf), ჰიტლერმა აშკარად გააჟღერა გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის ძირითადი პრინციპები და აღმოსავლეთის საარსებო სივრცის დაპყრობის განზრახვა.²⁴² და ახლა, 1940 წლის ზაფხულში იგი ამ მიზნების შესრულებას იწყებს. ორ ფრონტზე ომის გარისკვის მიზეზად იგი იმ მოსაზრებას ასახელებს, რომ ინგლისს რუსეთის იმედი აქვს. „თუ რუსეთი განადგურდება, ინგლისი დაკარგავს უკანასკნელ იმედს. ევროპისა და ბალკანეთის მფლობელი კი, გერმანია გახდება“ – ამბობს იგი. ჰიტლერის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ფრანც ჰალდერმა ჩაინიშნა თავის დღიურში ჯერ კიდევ 1940 წლის 31 ივლისს, მაშინ, როდესაც ვერმახტის ხელმძღვანელობის მიერ ინგლისში ჩასატარებელი სადესანტო ოპერაცია „ზღვის ლომი“ განიხილებოდა.

ჰიტლერი ვიწრო წრეში განმარტავს, რომ მას არ სურს გაიმეოროს „სხვა ცნობილი ადამიანების“ შეცდომები. იგი აცნობიერებს, რომ 1812 წელს ნაპოლეონ ბონაპარტეს

²⁴⁰ ოპერაცია „ბარბაროსა“ (სხვანაირად – „დირექტივა №21“, ან გეგმა „ბარბაროსა“) (გერმ. Weisung Nr.21, Fall Barbarossa) – წარმოადგენდა მესამე რაიხის ვერმახტის სახმელეთო ჯარების უმაღლესი სარდლობის (OKH - Oberkommando des Heeres) გენერალური შტაბის მიერ შემუშავებულ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის სტრატეგიულ გეგმას. გეგმამ სახელი მიიღო საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, ფრიდრიხ დიდი ბარბაროსას სახელის მიხედვით. გეგმის შემუშავებას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ვერმახტის სახმელეთო ჯარების უმაღლესი სარდლობის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ფრანც ჰალდერი. სახმელეთო ჯარების გენშტაბთან ერთად „აღმოსავლური ლაშქრობის“ დაგეგმვაში აქტიურ როლს თამაშობდა აგრეთვე გერმანიის შეიარაღებული ძალების ოპერატიული მმართველობითი სტრუქტურის ცენტრალური ორგანო – ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა (Oberkommando der Wehrmacht – OKW), გენერალ-პოლკოვნიკ ალფრედ იოდლის ხელმძღვანელობით, რომელსაც ეს დავალება პირადად ჰიტლერის მიერ ჰქონდა მიღებული.

²⁴¹ „ლუდის პუტჩი“, ცნობილია აგრეთვე „ჰიტლერისა და ლუდენდორფის პუტჩის“ სახელით (გერმ. Hitler-Ludendorff-Putsch) – ადოლფ ჰიტლერისა და გენერალ ერის ლუდენდორფის ხელმძღვანელობით, მიუნხენში, 1923 წლის 9 ნოემბერს, გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების მიერ განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა.

²⁴² „აღმოსავლეთის საარსებო სივრცის“ მოპოვებასთან დაკავშირებით ჰიტლერი თავის წიგნში, „ჩემი ბრძოლა“, გარკვევით წერდა: „ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტები სრულიად შეგნებულად ვუსვამთ ჯვარს ჩვენს ომამდელ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ გვსურს იმ პუნქტს დავუბრუნდეთ, რომელზეც შეჩერდა ჩვენი ბუნებრივი განვითარება 600 წლის წინათ (აქ ჰიტლერი გერმანელი რაინდების ტევტონთა ორდენის ექსპანსიას გულისხმობს აღმოსავლეთის მიმართულებაზე, რასაც საბოლოოდ აღმოსავლეთ პრუსიის გერმანული საკუთრიფორსტოს, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისიდან პრუსიის სამეფოს დაარსება მოჰყვა შედეგად – ა. ჩ.). ჩვენ გვსურს შევაჩეროთ მუდმივი გერმანული სწრაფვა ევროპის სამხრეთისა და დასავლეთისაკენ. ჩვენ გამოკვეთილად ვუთითებთ იმ ტერიტორიებისაკენ, რომლებიც აღმოსავლეთით მდებარეობს. ჩვენ საბოლოოდ ვწყვეტთ ჩვენს ომამდელ კოლონიალურ და სავაჭრო პოლიტიკას და შეგნებულად გადავივით ვეროპის ახალი მიწების დაპყრობის პოლიტიკაზე. და როდესაც ევროპის ახალი მიწების დაპყრობაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, რუსეთსა და მის დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიები გვაქვს მხედველობაში...“

რუსეთში დამარცხება განპირობებული იყო მძიმე კლიმატური პირობებითა და დიდი მანძილებით. ნაპოლეონს განკარგულებაში თანამედროვე სატანკო და მოტორიზებული ჯარი რომ ჰყოლოდა, იგი დროს არ დაკარგავდა, რუსებს დაედევნებოდა და დაამარცხებდა მათ. ჰიტლერი ფიქრობს, რომ რუსეთის ტერიტორიის სიდიდე, რის შესახებაც ჯერ კიდევ კლაუზევიცი გვაფრთხილებდა, ამჟამად აღარ თამაშობს გადამწყვეტ როლს. ახლა სულ სხვა დროა და სულ სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე. ფიურერს სჯერა, რომ მძლავრი და სწრაფი სატანკო შენაერთების ქონის შემთხვევაში, რომლებმაც რვა დღეში გაიარეს მანძილი ეიფელიდან ლა-მანშამდე, ეს უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს. ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთმა ხომ ვერაფერი დაუპირისპირა გერმანულ ბლიცკრიგს და მან ექვს კვირაში გამოაცხადა კაპიტულაცია?

ჰიტლერის ამგვარი დასკვნა დიდი შეცდომაა, რომელიც მალე გამოვლინდება რუსეთის კამპანიის მსვლელობისას. და არა მხოლოდ ეს. ჰიტლერი ნაპოლეონის მიერ დაშვებულ სხვა შეცდომასაც გაიმეორებს. იგი თავს ესხმის რუსეთს ისე, რომ ინგლისთან საქმე ჯერ კიდევ არა აქვს მოგვარებული – ეს კუნძულოვანი სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ორ ფრონტზე ომის წარმოება გახდება გერმანიის საბოლოო დამარცხების ძირითადი მიზეზი.

შთამბეჭდავია იმ საკითხით სპეკულირებაც, თუ როგორ დამთავრდებოდა ომი, საფრანგეთის ძლევამოსილი კამპანიის დასრულებისას გერმანიას ინგლისთან ურთიერთგაგების ზავისათვის რომ მიეღწია. ცხადია, გერმანიის ხელმძღვანელობა უნდა წასულიყო მნიშვნელოვან, რადიკალურ დათმობებზე, თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩერჩილსაც არანაკლებ სძულდა კომუნისტები ვიდრე ჰიტლერს, იმდროინდელი რეალების გათვალისწინებით, მსგავსი გადაწყვეტილების მიღება სულაც არ იყო წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში, დასავლეთის ფრონტზე გაშლილი გერმანული შენაერთების გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და საომარი კამპანიაც აღმოსავლეთში ნამდვილად სხვაგვარად წარიმართებოდა.

ჰიტლერს არ აკმაყოფილებს გენერალური შტაბის ოფიცრების – თავდაპირველად, მარქისა²⁴³ და შემდეგ პაულიუსის²⁴⁴ მიერ „ბარბაროსასთვის“ შემუშავებული ოპერაციის გეგმები.²⁴⁵ ჰიტლერის სურვილია, რომ რუსეთის წინააღმდეგ შეტევითი მოქმედებების

²⁴³ ერის მარქი (გერმ. Erich Marcks) (1891-1944წ.წ.) – III რაიხის სამხედრო მოღვაწე, ვერმახტის გენერალი. საბჭოთა კავშირზე გერმანელთა მიერ შემუშავებული სტრატეგიული თავდასხმითი ოპერაცია „ბარბაროსას“ პირველადი გეგმის ავტორი. ამ გეგმის მიხედვით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების საწარმოებლად აღმოსავლეთის მიმართულებაზე განსაზღვრული იყო 147 გერმანული დივიზიის გაშლა. მთავარი დარტყმის მიყენება განსაზღვრული იყო პრიპიატის ჭაობების ჩრდილოეთით, მეორე, მისი მხარდასაჭერი დარტყმა კი, უნდა განხორციელებულიყო პრიპიატის სამხრეთით. გეგმაში ხაზგასმული იყო, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მთელი საომარი კამპანიის წარმატება სრულად იქნებოდა დამოკიდებული გერმანული სატანკო და მოტორიზებული შენაერთების ეფექტურ მოქმედებებზე. გენერალ მარქის მიხედვით, მთელი ეს „აღმოსავლური ლაშქრობა“ გათვლილი იყო 9-17 კვირაზე. ამ კამპანიის წარმატებით აღსრულების შემდეგ გერმანული შენაერთები უნდა გასულიყვნენ როსტოვი-გორკი-არხანგელსკის ხაზზე.

²⁴⁴ ფრიდრიხ ვილჰელმ პაულიუსი (გერმ. Friedrich Wilhelm Ernst Paulus) (1890-1957წ.წ.) – III რაიხის სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, თავისი სამხედრო კარიერის ბოლოს გერმანელთა მე-6 არმიის სარდალი, ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალი, გეგმა „ბარბაროსას“ ერთ-ერთი ავტორი. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ გენერალ-ფელდმარშალის უმაღლესი სამხედრო წოდება ჰიტლერმა პაულიუსს მიანიჭა მე-6 არმიის სრულ კაპიტულაციამდე ერთი დღით ადრე. „ბარბაროსას“ გეგმის შემუშავებისას პაულიუსი ამოდიოდა იმ დაშვებებზე, რომ საბჭოელები გერმანელთა წინააღმდეგ გამოიყვანდნენ 125 მსროლელ დივიზიას და 50 სატანკო და მოტომექანიზირებულ ბრიგადას. საბჭოელთა მხრიდან რეზერვების მოწოდება კი ასე იყო გათვლილი: ომის დაწყებდან სამი თვის განმავლობაში 30-40, მეექვსე თვემდე კი, კიდევ 100 საბჭოთა დივიზიის მიწოდება. გეგმის შემუშავებისას გენერალი პაულიუსი თვლიდა, რომ საბჭოელებზე გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შესაძლებელი იქნებოდა მოულოდნელი დარტყმების განხორციელებით. ამისათვის კი შემუშავდა საბჭოთა მთავრობისა და სარდლობის ლეზინფორმაციისა და მათი შეცდომაში შეყვანის კომპლექსური გეგმა. გენერალ მარქისის მსგავსად, პაულიუსიც თვლიდა, რომ წარმატების მისაღწევად საჭირო იყო საბჭოური დივიზიებისათვის არ მიეცათ ქვეყნის შიგნით უკან დახევის საშუალება. ამისათვის კი, საჭირო იყო შეტევის მაღალი ტემპები და მანევრული ომის წარმოება. გერმანული დაჯგუფებების წინაშე დასმული იყო ამოცანა, რომ ისინი გარშემორტყმოდნენ, ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ საბჭოთა შენაერთები ისე, რომ მათ ვერ მოეხერხებინათ უკან დახევა.

²⁴⁵ გენერალ ერის მარქის მიერ საბჭოთა კავშირზე სტრატეგიული თავდასხმის გეგმა, რომელიც ოპერაცია „ბარბაროსას“ წინამორბედს წარმოადგენდა, 1940 წლის ივლისში იქნა შემუშავებული. მისი კოდური დასახელება იყო ოპერაცია

წარმოება შეძლებისდაგვარად ფართო ფრონტით, ოპერაციების უწყვეტი თანმიმდევრობით განვითარდეს. და ყველაზე მთავარი – რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ომი ზამთრის დაწყებამდე უნდა დამთავრდეს.

ჰიტლერი ორივე გეგმას იწუნებს და თვითონ ადგენს გეგმის ძირითად ჩარჩოს. ამ ელვისებურ ომში, საფრანგეთის მსგავსად, მოწინააღმდეგის ძალებს ალყა უნდა შემოარტყან და დააბრკოლონ მათი უკანდახევა რუსეთის ზურგის რაიონებში. არმიათა სამმა ჯგუფმა უნდა შეუტოს გაშლილ ფრონტზე, ვოლგა-არხანგელსკის ხაზამდე, ერთმა ცენტრში და ორმა – ფლანგებზე. შეტევის დასაწყისი – 1940 წლის 15 მაისი.²⁴⁶ მაგრამ რეალურად ამ საკითხის განხორციელება სხვანაირად მოხდა, ვიდრე ჰიტლერი გეგმავდა. ბალკანეთში მუსოლინის თავდადასავალი თითქმის ექვსი კვირით აყოვნებს შეტევის დასაწყისს.²⁴⁷ იქ შექმნილი სიტუაცია ისეთია, რომ გერმანული შენაერთები მოკავშირე იტალიელთა დასახმარებლად უნდა მივიდნენ იუგოსლავიასა და საბერძნეთში. გერმანელები საქმეს ერთობ ეფექტურად აგვარებენ. მათ შეჰყავთ ჯარები ბალკანეთში და სწრაფად ამარცხებენ საბერძნეთს და იუგოსლავიას, ამ ქვეყნების ტერიტორიებს კი, გერმანელთა ის შენაერთები იკავებენ, რომლებიც რუსეთის კამპანიისთვის იყვნენ გათვალისწინებული.²⁴⁸

„ოტო“ ან გეგმა „ოტო“ (გერმ. Fall Otto). საბოლოოდ კი, საბჭოთა კავშირზე სტრატეგიული თავდასხმის გეგმა „ბარბაროსამ“ თავისი დასრულებული სახე 1940 წლის დეკემბრისათვის მიიღო. „ბარბაროსას“ მსგავსად, ოპერაცია „ოტოს“ დასახელებაც გერმანული ხალხის ისტორიას და საღვთო რომის იმპერიას უკავშირდება. ოპერაცია „ოტომ“ თავისი დასახელება ოტო I დიდის სახელის მიხედვით მიიღო, რომელიც საქსონიის ჰერცოგი იყო 936-961 წლებში, გერმანიის მეფე 936 წლიდან, იტალიის მეფე 961 წლიდან და საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი 962 წლიდან. სწორედ ოტო I დიდის მიერ იქნა დაარსებული საღვთო რომის იმპერია.

²⁴⁶ საომარი კამპანიის სტრატეგიული გეგმის დაზუსტებისას, ვერმახტის ხელმძღვანელობა იმ აზრამდე მივიდა, რომ საბჭოელებთან ომში წარმატების მისაღწევად საჭირო იყო საბჭოთა ფრონტის დანაწევრება, ამ ნაწილების იზოლირება, მათი ალყაში მოქცევა და საბოლოო განადგურება. ამ სტრატეგიული გეგმის აღსასრულებლად ოპერაცია „ბარბაროსას“ მიხედვით დაიგეგმა გერმანულ არმიათა სამი დაჯგუფების შექმნა – „ჩრდილოეთი“, „ცენტრი“ და „სამხრეთი“. არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთის“ დარტყმის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა ლენინგრადი, „ცენტრისა“ – სმოლენსკი და მოსკოვი, ხოლო არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ დარტყმის მთავარ მიმართულებას – კიევი. ყველაზე მძლავრ გავრთიანებას არმიათა ჯგუფი „ცენტრი“ წარმოადგენდა. სულ „ადმოსავლური მარშისათვის“ გამოიყო ვერმახტის 105 ქვეითი და 32 სატანკო და მოტორიზებული დივიზია.

²⁴⁷ გერმანიამ და იტალიამ ურთიერთმეგობრობის პაქტს 1939 წლის მაისში მოაწერეს ხელი. თავისი სტრატეგიის განსახორციელებლად მათ მართვის ის მეთოდი შეარჩიეს, რომელიც ძალიან განსხვავდებოდა მოკავშირეთა სახელმწიფო მართვის სისტემისაგან. იტალიურ-გერმანული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი თავისი არსით ორ დიქტატორს, ადოლფ ჰიტლერსა და ბენიტო მუსოლინის შორის პირადი მეგობრული კავშირები იყო. ორივე მათგანი თავიანთი სახელმწიფოს მეთაურები და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლები იყვნენ, თუმცა ჰიტლერისგან განსხვავებით, მუსოლინი არ ერეოდა ჯარების ოპერატიულ მართვაში. ჰიტლერისაგან განსხვავებით, როცა მან 1942 წლიდან ხელში აიღო უდაბლეს დონეებზე ჯარებზე მართვის კონტროლი, ლამის დივიზიის დონის ჩათვლით, და ამით საველე მეთაურებს შეუზღუდა მოქმედების თავისუფლება, მუსოლინი არ ინტერესდებოდა ასეთი დეტალებით. იგი მხოლოდ სტრატეგიულ დონეზე მართავდა ჯარებს და ამაშიც თავისი პროფესიონალური ოფიცერთა კორპუსის რჩევებით სარგებლობდა. იტალიის II მსოფლიო ომში ჩაბმისას მუსოლინი გამოაცხადა, რომ მისი საომარი სტრატეგია II მსოფლიო ომში „პარალელური ომის სტრატეგია“ იქნებოდა. ანუ, იტალია საომარ მოქმედებებს გერმანელებისგან დამოუკიდებლად და პარალელურად წარმართავდა. იტალიელები ხმელთაშუა ზღვისპირეთს თავის საომარ მოქმედებათა თეატრად თვლიდნენ და ჰიტლერიც პატივს სცემდა მუსოლინის ამ მისწრაფებას. იგი გერმანიისთვის სტრატეგიული ინტერესების სფეროდ არ თვლიდა ხმელთაშუა ზღვის აუზს. მაგრამ ძალიან მალე, საომარ მოქმედებათა სხვადასხვა თეატრებზე განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ იტალიურ შენაერთებს გერმანელების დახმარების გარეშე არ ძალუძდათ დამოუკიდებელი „პარალელური ომის“ წარმოება. შესაბამისად, სამოკავშირეო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ჰიტლერს მოუხდა მუსოლინისათვის სამხედრო დახმარების გაწევა და გერმანული შენაერთების საომარ მოქმედებებში პირდაპირი ჩართვა ბალკანური ქვეყნების ოკუპაციის საქმეში, შემდეგ კი, აფრიკის კონტინენტზეც.

²⁴⁸ მუსოლინის „პარალელური ომის“ კონცეფციამ და შესაბამისმა სტრატეგიამ დიდხანს ვერ იარსება. ღუჩეს სურვილმა ფუნდამენტს, მაგრამ დამოუკიდებლად ევლო ფიურერთან ერთად, იტალიური შენაერთების პრაქტიკულად მთელ ევროპულ თეატრზე განაწილება გამოიწვია. მუსოლინი ვერ შეძლო ჰიტლერის მოთხოვნების იგნორირება და იტალიური შენაერთების მხოლოდ „პარალელური ომის“ საომარ მოქმედებათა თეატრებზე განაწილება. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისთან ერთად, უკვე 1941 წლის ივნისში, იტალიელთა ერთი კორპუსი (ოთხი დივიზია) იქნა ჩართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში. ერთი წლის შემდეგ კი, საბჭოთა ფრონტზე გაშლილი იტალიური ჯარების კონტინენტმა არმიას მიაღწია (მე-8 არმია – 217000 კაცი, სამი კორპუსისა და რვა დივიზიის შემადგენლობით). გარდა ამისა, ხორვატიაში, სლოვენიაში, დალმაციაში, ალბანეთში, მონტენეგროში (ჩერნოგორიაში), საბერძნეთსა და ეგეოსის კუნძულებზე 579000 იტალიელი ჯარისკაცი იდგა. ჩრდილოეთ აფრიკაში, 1942 წლის ბოლოსათვის – 147000 კაცი. საერთო ჯამში, 1943 იანვრისათვის, იტალიური შენაერთები საბრძოლოდ გაშლილები იყვნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე, საბერძნეთში, მთლიანად ბალკანეთში, სამხრეთ საფრანგეთში,

წინადადებას – რუსეთის სიცივისგან თავის დასაცავად ჯარი წინდახედულად მოამარაგონ ზამთრის ტანსაცმლით, – ჰიტლერი მაგიდიდან იშორებს. მისი აზრით სპეციალური ტანსაცმლისა და აღჭურვილობის მასობრივი წარმოება არასასურველი ყურადღების გამახვილებას გამოიწვევს. გარდა ამისა, ჰიტლერი დარწმუნებულია, რომ რუსეთთან ომი ხანმოკლე და შედეგიანი იქნება. „ჩვენ ყინვების დაწყებამდე ვიქნებით მოსკოვში, – განმარტავს იგი, – შემდეგ კი, მიწასთან გავასწორებ მოსკოვს!“ გერმანიის შეიარაღებული ძალების მეხუთედი უნდა დარჩეს რუსეთში, რათა უდარაჯოს გრძელ საზღვარს თეთრი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ეს ჯარი მომარაგდება თბილი ტანსაცმლითა და საკვები პროდუქტით ზამთრისთვის, ხოლო ჯარისკაცთა დიდი ნაწილი შობას საკუთარ სახლებში გაატარებს, – ამბობს გამარჯვებაში დარწმუნებული ჰიტლერი. „ამის შემდგომ კი, ჩვენ დავამყარებთ ახალ წესრიგს. და მსოფლიოს ახალი სახე ექნება.“

ჰიტლერი ფაქტობრივად დარწმუნებულია საკუთარ გამარჯვებაში და უკვე ფიქრობს „აღმოსავლეთში დამყარებულ ახალ წესრიგზე“, რუსებს და სლავებს კი, ცენტრალურ აზიაში გადაასახლებენ. მათი ადგილი უნდა დაიკავოს გერმანელმა ხალხმა, ბრიტანელი და ნიდერლანდელი კოლონისტების ჩათვლით. „მე დაპყრობილ ტერიტორიებს სამოთხედ ვაქცევ!“ – ამბობს იგი.

1941 წლის 20 ივნისს ვრცელდება ჰიტლერის მიმართვა ვერმახტის სარდლობებს, შენაერთებსა და ქვედანაყოფებს, როგორც საიდუმლო დოკუმენტი. ეს მიმართვა წმინდა სამხედრო ხასიათისაა და იგი თავისუფალია ყოველგვარი იდეოლოგიური დატვირთვისაგან. მას არასოდეს უცდია ნაციონალურ-სოციალისტური მსოფლმხედველობა გაეგრძელებინა რუსეთზე, მაშინ როცა კრემლი, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ჩაგდების მომენტიდან, წლების განმავლობაში ყველა საშუალებას იყენებდა, რომ შეიარაღებული გადატრიალების გზით დანარჩენ ევროპაში განეგრძო კომუნიზმი²⁴⁹. ჰიტლერის ეს მიმართვა რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას ნიშნავს. „ამჟამად აღმოსავლეთ პრუსიიდან კარპატებამდე საბრძოლოდაა გაშლილი გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის შენაერთები, რომლებიც სიდიდითა და მოცულობით ისეთი დიდია, როგორიც მსოფლიოს ჯერ არ უნახავს... ამით თქვენ ერთვებით ძლიერ და საპასუხისმგებლო ომში, რადგან ევროპის ბედი, გერმანიის იმპერიის მომავალი, ჩვენი ხალხის არსებობა დღეიდან თქვენს ხელშია. მე გადავწყვიტე კიდევ ერთხელ გადავცე გერმანული რაიხისა და ჩვენი ხალხის ბედის გადაწყვეტა ჩვენ ჯარისკაცებს. ღმერთი გვიშველის ამ ბრძოლაში!...“

რუსეთზე თავდასხმა იწყება 1941 წლის 22 ივნისის გამოენიისას. ომი ოფიციალურად ერთი საათის შემდეგ ცხადდება. 5 საათსა 30 წუთზე ყველა რეპროდუქტორიდან გაისმის ბერლინის გაულაიტერისა და რაიხის პროპაგანდის მინისტრის, იოზეფ გებელსის ხმა. იგი პათეტიკური ტონით კითხულობს ჰიტლერის განცხადებას, რომელიც შემდეგი წინადადებით მთავრდება: „მე გადავწყვიტე კიდევ ერთხელ

ჩრდილოეთ აფრიკასა და თავად იტალიაში. იტალიაში – 800000, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიებზე – უფრო მეტი – 1200000 ჯარისკაცი.

²⁴⁹ აქ მარქსიზმისა და რუსული ბოლშევიზმის ცნობილი ფენომენის – „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ შესახებაა საუბარი. კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სწავლების შესაბამისად, რუსმა ბოლშევიკებმა რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება საყოველთაო რევოლუციური ხანძრის საწყისად მიიჩნიეს, რომელიც მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაში უნდა გადაზრდილიყო. ამ იდეოლოგიის მამამთავრებს ვლადიმერ ულანოვ-ლენინი და ლეონ ბრონშტეინ-ტროცკი წარმოადგენდნენ. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლშევიკ ლიდერებს შორისაც არ იყო სრული თანხმობა. ლენინი, ტროცკი, რადეკი, ბუხარინი და ზინოვიევი რევოლუციის ექსპორტის იდეით გამოდიოდნენ, სტალინი კი, ამ იდეას არ ემხრობოდა. იგი საბჭოთა სახელმწიფოს იზოლაციის, დასავლეთთან კონფრონტაციისა და ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო გაძლიერების მომხრე იყო. 1924 წლის პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში საუბარი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მსოფლიო კავშირის შექმნის შესახებ, და შესაბამისად, საბჭოთა გერბს ამშვენებდა წარწერა – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მართალია, ეს მოწოდება-დევიზი – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ – საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთავარ სლოგანად იქცა, მაგრამ საბოლოოდ, ლენინისა და ტროცკის „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ იდეოლოგიამ თვით საბჭოთა რეალობაშიც კი ვერ გაიმარჯვა. ძალიან მალე „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის“ – ლენინის თანამოაზრეები სასტიკად დამარცხდნენ „საბჭოთა ხალხების მამასთან“, სტალინთან ჭიდილში.

გადავცე გერმანული რაიხისა და ჩვენი ხალხის ბედის გადაწყვეტა ჩვენ ჯარისკაცებს. ღმერთი გვიშველის ამ ბრძოლაში!...“

ვერმახტის სახმელეთო ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის გენშტაბის მიერ შექმნილი „ბარბაროსას“ სტრატეგიული თავდასხმის გეგმა არმიათა სამი ჯგუფის ძალებით რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების გაშლას გულისხმობს. მთავარი ამოცანის შესრულება წილად ხვდება არმიათა ჯგუფს – „ცენტრი“, გენერალ-ფელდმარშალ თეოდორ ფონ ბოკის სარდლობით. ორმოცდაცხრა დივიზიისა და ცხრაასოცდაათი ტანკის მეშვეობით მან უნდა გაარღვიოს საბჭოთა თავდაცვის ცენტრი და წინ გაიჭრას ბრესტი-მოსკოვის ავტოსტრადისკენ. არმიათა ჯგუფმა „სამხრეთი“, გენერალ-ფელდმარშალ გერდ ფონ რუნდშტედტის სარდლობით, უნდა დაიპყროს რუსეთის სამხრეთი და აილოს კიევი ორმოცდაორი დივიზიითა და შვიდას ორმოცდაათი ტანკით, ხოლო ბალტიისპირეთი და ლენინგრადი უნდა დაიკავოს არმიათა ჯგუფმა „ჩრდილოეთი“, გენერალ-ფელდმარშალ ვილჰელმ ფონ ლეების²⁵⁰ სარდლობით.

გერმანიის ვერმახტის შემადგენლობაში ექვსი მილიონ ექვსას ოთხმოცდასამი ათასი ჯარისკაცია. აქედან ოთხი მილიონ ცხრაასი ათასი სახმელეთო ჯარებზე მოდის. აქვეა ჩართული სს-ის ჯარების (“Waffen-SS“) ოთხმოცათასიანი ელიტარული შენაერთები. 1939 წლის სექტემბრიდან ვერმახტის მიერ განცდილი ასიათასიანი დანაკარგები დაჭრილებისა და დაღუპულების სახით, შედარებით მცირეა. საერთო ჯამში, აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარების საკმარისი მასაა თავმოყრილი, სულ – 145 დივიზია, მოკავშირეთა 28 დივიზიის ჩათვლით.²⁵¹

14 ივნისს, იმპერიის კანცელარიაში, ვერმახტის მეწინავე შენაერთების სარდლებთან გამართულ შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვის დასასრულს, ჰიტლერი თვითონვე მიუთითებს წითელი არმიის რიცხობრივ უპირატესობაზე. მიუხედავად ამისა, მას ერთი წამითაც არ ეპარება იმაში ეჭვი, რომ გერმანიის მხარესაა უპირატესობა ჯარების მართვაში, საბრძოლო აღჭურვილობასა და საომარ გამოცდილებაში. იგი დარწმუნებულია, რომ მოწინააღმდეგეს სწრაფად დაამარცხებენ. აქ საქმე ეხება არა ორი სახელმწიფოსა და ორი არმიის კონფლიქტს, არამედ ცივილიზაციის ორ ურთიერთსაპირისპირო ფორმას შორის მიმდინარე გამანადგურებელ ბრძოლას. მაგრამ ამ მომენტისათვის გერმანიის რაიხის ხელმძღვანელობაში არავის არ ჰქონია ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ ვისთან და რასთან ჰქონდათ საქმე. მათ არა აქვთ სარწმუნო ინფორმაცია გიგანტური და სწრაფად განვითარებადი მოწინააღმდეგის საბრძოლო აღჭურვილობის რაოდენობასა და ასევე საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ უპირატესობაზე.²⁵²

1941 წლისათვის საბჭოელთა განკარგულებაში უკვე 303 დივიზია იყო. საბრძოლო მზადყოფნაში არსებული 2500 გერმანული თვითმფრინავის წინააღმდეგ უკვე 13500

²⁵⁰ ვილჰელმ რიტერ ფონ ლეები (გერმ. Wilhelm Josef Franz Ritter von Leeb) (1876-1956წ.წ.) – გერმანელი მხედართმთავარი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, გენერალ-ფელდმარშალი. I მსოფლიო ომის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის 1915 წლის მაისში ბავარიის მეფემ მიანიჭა რაინდის (Ritter) ტიტული და გადასცა მაქსიმილიან იოზეფის ორდენი. 1916 წლის მაისიდან მაიორია. 1917 წლის მარტიდან მსახურობს კრონპრინც რუპრეხტ ბავარიელის საარმიო ჯგუფის შტაბში. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლიდან, მსახურობს ბავარიის სამხედრო სამინისტროში, შემდეგ – რაიხსვერის სამინისტროში. 1921 წლიდან დივიზიის შტაბის უფროსია, 1926 წლიდან – საარტილერიო პოლკის მეთაური. 1928 წელს ინიშნება სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსად. 1929 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის, ხოლო 1935 წელს – გენერალ-ლეიტენანტის წოდებები. 1938 წელს მონაწილეობდა სუდეტის ოკუპაციის ოპერაციაში. 1939 წლიდან არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთის“ სარდალია და მონაწილეობს პოლონეთის ოკუპაციის ოპერაციაში. 1939 წლის ნოემბერში ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება, 1940 წელს კი, ინიშნება არმიათა ჯგუფი “C“-ის სარდალად და მონაწილეობს საფრანგეთის ოკუპაციაში. საფრანგეთის კამპანიაში ჯარების საომარი მოქმედებების წარმატებით მართვისა და აღსრულებისათვის ამავე წლის ივლისში ჯილდოდება რაინდის ჯვრით და ენიჭება გენერალ-ფელდმარშალის წოდება.

²⁵¹ სხვა მონაცემებით, საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე თავი მოუყარეს 157 დივიზიას და 12 ბრიგადას. სტრატეგიული რეზერვების ჩათვლით, საერთო ჯამში, გერმანელთა ძალები შეადგენდნენ 183 დივიზიას და 13 ბრიგადას.

²⁵² 1941 წლისათვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობა რიცხობრივად 2,5-ჯერ და მეტჯერ აღემატებოდა გერმანიის მოსახლეობას. ამ მომენტისათვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობა შეადგენდა 196,7 მილიონ კაცს, გერმანიისა კი – 77,4 მილიონს.

საბჭოთა თვითმფრინავია, ხოლო 7146 გერმანული ქვემეხის წინააღმდეგ – 37000 საბჭოთა ქვემეხი. გერმანია მხოლოდ ერთ უპირატესობას ფლობს. მას ტანკების დიდი რაოდენობა აქვს – 5-6-ჯერ მეტი, ვიდრე საბჭოელებს.²⁵³ 1941 წლის 22 ივნისს შეტევითი მოქმედებების დასაწყებად გათვალისწინებულია მხოლოდ შვიდი სატანკო დივიზიისა და 38 მოტორიზებული დივიზიის ჩართვა, ფაქტობრივად, სულ დაახლოებით 100 დივიზია. როდესაც გუდერიანი განსაზღვრავს რუსული ტანკების რაოდენობას და მათი რიცხვი შეადგენს 10000-ს, ჰიტლერი იცინის. სინამდვილეში კი, ომის დაწყებისას საბჭოელებს უკვე 24000 ტანკი ჰყავდათ.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად გერმანიის განკარგულებაშია მხოლოდ 3550 გამართული ტანკი, თვითმავალი საარტილერიო დანადგარების ჩათვლით. აქედან, გერმანული Panzer-I და Panzer-II ტიპის და ჩეხური მსუბუქი ტანკი P38-ის 1700 ქვემეხი სრულიად არასრულფასოვანია. მათი კალიბრი აშკარად მცირეა და არ არის საკმარისი მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკასთან საბრძოლველად. ასე, რომ მხოლოდ 1850 გერმანული ტანკი იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა ტანკებს.

მაგრამ მოწინააღმდეგე არა მხოლოდ ცოცხალი ძალითა და შეიარაღების რაოდენობითაა მეტი. დაპირისპირებული მხარის პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთებაც ძალიან მაღალია. რუსული პატრიოტიზმი არავითარ შემთხვევაში არ განადგურებულა ბოლშევიკური სისტემის ზემოქმედებით, როგორც ამას ვარაუდობდნენ ჰიტლერის შტაბში, პოლიტიკურმა რეპრესიებმაც ვერ ითამაშეს გადამწყვეტი როლი.²⁵⁴ სტალინი²⁵⁵ „სამამულო ომს“ აცხადებს და საბჭოთა ჯარისკაცების გაბედულება, სიმტკიცე და სისწრაფე, რომელთა შევსება უწყვეტად მიმდინარეობს, მოულოდნელია გერმანული ჯარისთვის. ჰალდერი, რომელიც რუსეთს აღწერს, როგორც თიხის ფეხებზე მდგარ კოლოსს, თავის დღიურში წერს: „ჩვენ ომის დასაწყისში ვითვალისწინებდით

²⁵³ აქ ავტორი აშკარად ცდება. გერმანიას არც 1941 წლისათვის, და არც არასდროს არ ჰქონიათ საბჭოელებზე მეტი ტანკი. პირიქით, წითელი არმიის ჯვშანსატანკო პარკი რიცხობრივად რამდენჯერმე აღემატებოდა გერმანელებისას. უფრო მეტიც – ჩვენი ეს მტკიცება მხოლოდ ტანკებს და ჯავშანტექნიკას არ შეეხება. რაოდენობების მხრივ საბჭოელები ყველა პუნქტში რამდენჯერმე ჯობნიდნენ გერმანელებს. 1941 წლის ივნისისათვის საბჭოთა ჯარები აღემატებოდნენ ვერმანსტს: ცოცხალი ძალის რაოდენობით 1,4-ჯერ, საარტილერიო დანადგარებით – 2,8-ჯერ, ტანკებითა და ჯავშანტექნიკით – 6,1-ჯერ, თვითმფრინავებით – 5,1-ჯერ. უფრო მეტიც – საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ყველა ქვეყანას აღემატებოდა ტანკების საერთო რაოდენობის მიხედვით. და საბჭოთა კავშირი იყო ის ქვეყანა, სადაც პირველად შეიქმნა ყველაზე მსხვილი ჯავშანსატანკო შენაერთები – სატანკო დივიზიები და კორპუსები.

²⁵⁴ სტალინურმა საბჭოურმა რეპრესიებმა მუსრი გაავლო წითელი არმიის ოფიცერთა კორპუსს. ამ რეპრესიებმა ხუთი საბჭოთა მარშლიდან (კლიმენტი ვოროშილოვი, მიხაილ ტუხაჩევსკი, სემიონ ბუდიონი, ალექსანდრ ეგოროვი და ვასილი ბლიუხერი) სამი (მიხაილ ტუხაჩევსკი, ალექსანდრ ეგოროვი და ვასილი ბლიუხერი) შეიწირა, 264 დივიზიის ღონისა და უფრო მაღალი რანგის მეთაურიდან – 220, და ყველა დანარჩენი რანგის კიდევ 36761 ოფიცერი. საერთო ჯამში, 1937-1938 წლებში საბჭოთა კავშირის ოფიცერთა კორპუსის მთელი პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი იქნა რეპრესირებული. მათ ნაკლებად კომპეტენტური, მაგრამ ხელისუფლებისა და პარტიის ერთგული ოფიცერთა კადრი ჩაანაცვლეს. ამავე დროს, სამხედრო ნაწილებში მეთაურებს კონტრაზვერვის ოფიცრები და პოლიტიკური კომისრები მიუჩინეს, რომლებიც მეთაურის ბრძანებისა და გადაწყვეტილებების რატიფიცირების უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი. ამ რეფორმებმა მეტად გაართულა სამეთაურო მუშაობის სისტემა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები. მეთაურობის ორმაგმა და ერთმანეთთან დაპირისპირებულმა სისტემამ ნულამდე დაიყვანა საბჭოთა სამხედრო მეთაურთა დამოუკიდებლობის ხარისხი.

²⁵⁵ იოსებ ბესარიონოვიჩ სტალინი (იოსებ ჯულაშვილი) (რუს. Иосиф Виссарионович Сталин) (1878-1953წ.წ.) – ქართული წარმოშობის საბჭოთა პროფესიონალი რევოლუციონერი, ძველი ბოლშევიკი, პარტიის წევრი 1898 წლიდან. XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული ფიგურა. დიდი საბჭოთა პოლიტიკური, სახელმწიფო, სამხედრო და პარტიული მოღვაწე. ვლადიმერ ლენინის უახლოესი თანაიდელლოგი და თანამებრძოლი. საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი. ბოლშევიკური რუსეთის ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარი. საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი შემქმნელი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უცვლელი გენერალური მდივანი, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. II მსოფლიო ომისა და „დიდი სამამულო ომის“ მსვლელობისას საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი 1945 წლიდან.

მოწინააღმდეგის დაახლოებით 200 დივიზიას. მაგრამ ახლა ვითვლით უკვე 360-ს... და როცა აქედან ერთი ღუჟინი განადგურდა, მაშინ რუსებმა გამოიყვანეს ახალი ღუჟინი!“

ასევე ახალი, სრულიად უცნობი, შესანიშნავი T-34 26-ტონიანი ტანკები 76მმ-იანი ქვემეხით გერმანელებისთვის მწარე მოულოდნელობად იქცევა. 37მმ-იანი კალიბრის მქონე გერმანული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით მისი დაზიანება შეუძლებელია. მხოლოდ გერმანელთა ლეგენდარულ 88მმ-იან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ქვემეხს შეუძლია მისი განადგურება და ამიტომ ბრძოლის მსვლელობისას მას სახმელეთო სამიზნეებისათვის იყენებენ.

შემდეგ კი, ტყეებიდან გადაშენებული ურჩხულების მსგავსად გამოდიან 52-ტონიანი გიგანტები. ეს საბჭოელთა მძიმე ტანკი KB-ა.²⁵⁶ 1941 წლის 22 ივნისისათვის საბჭოელთა განკარგულებაში 1861 ერთეული T-34 და KB ტიპის ტანკი იყო. ამავე დროს, ძველი საბჭოური ტანკებიც კი, თავისი საბრძოლო თვისებებითა და ტექნიკური მონაცემებით გერმანელთა Panzer-III და Panzer-IV ტიპის ტანკებზე უკეთესია. გერმანელ ჯარისკაცებს თავგზა ერევათ „სტალინის ორდანი“ გამოჩენაზე, რომელიც საზარელი ხმით 32 წამში ცლის თავისი რაკეტების მარაგს.²⁵⁷ მისი გამანადგურებელი ცეცხლი მორალურად ანადგურებს გერმანელთა საუკეთესო ქვედანაყოფებს.

1941 წლისათვის გერმანიაში ვერავინ წარმოიდგენდა თუ საბჭოელებს ასეთი მძლავრი ტექნიკა და საომარი არსენალი ექნებოდათ. ჯერ კიდევ 1941 წლის გაზაფხულზე, გუდერიანის გასაკვირად, ჰიტლერმა უფლება მისცა საბჭოთა ოფიცრების დელეგაციას, დაეთვლიერებინა გერმანიის სატანკო ქარხნები და სკოლები. უფრო მეტიც – მან დაავალა გუდერიანს, რომ მათთვის „ყველაფერი ეჩვენებინა“. ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ 1941 წლიდან „სტანდარტულ ტანკად“ გამოყენებული, 75მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი, საყრდენ გორგოლაჭებზე მავალი და ხუთკაციანი ეკიპაჟით დაკომპლექტებული გერმანული Panzer-IV ყველა ტანკზე უკეთესი იყო, რა ტიპის ტანკიც კი არ უნდა დაეპირისპირებინათ მათთვის საბჭოელებს. გუდერიანმაც კი, არაფერი იცოდა რუსების მძიმე ტანკებზე, რომლებიც ყველაზე საუკეთესო იყო, რაც კი იმჟამად მსოფლიოში არსებობდა. ჰიტლერს სურდა საბჭოელებზე შთაბეჭდილება მოეხდინა და მათი მხრიდან პატივისცემაც მოეპოვებინა, მაგრამ მოხდა პირიქით. „მიუხედავად ყველაფრისა, – წერდა გუდერიანი საბჭოელების მიერ Panzer-IV ტანკის დათვლიერებისას, – ისინი არ იჯერებდნენ, რომ ეს ტანკები წარმოადგენდნენ ჩვენს ყველაზე ძლიერ ტიპს. ისინი აცხადებდნენ, რომ ჩვენ მათ ვუმალავდით ახალ კონსტრუქციებს, რადგან მათი ჩვენება ჰიტლერმა აგვიკრძალა.“

გერმანელთათვის დამლუპველი, მოწინააღმდეგის არასათანადო შეფასების მიზეზი 1939-1940 წლების რუსეთ-ფინეთის ზამთრის ომში უნდა ვეძებოთ.²⁵⁸ მოგვიანებით, 1942

²⁵⁶ KB – „კვ“ (კლიმენტ ვოროშილოვი) (რუს. KB - Климентий Ворошилов) – II მსოფლიო ომის პერიოდის საბჭოთა წარმოების ერთკოშკურიანი მძიმე ტანკი. გამოდიოდა სამი წლის განმავლობაში – 1939 წლის აგვისტოდან 1942 წლის აგვისტომდე. მონაწილეობდა 1939-1940 წლების საბჭოთა კავშირ-ფინეთისა და II მსოფლიო ომებში. გამოირჩეოდა იმ დროისათვის ნოვატორული საინჟინრო გადაწყვეტილებებითა და მაღალი საბრძოლო ტაქტიკური მახასიათებლებით. მის შექმნაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1938 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა T-35 და მისი მსგავსი მძიმე მრავალკოშკურიანი საბჭოური ტანკების არაპერსპექტიულობა. რა თქმა უნდა, მრავალკოშკურიანი ტანკების საცეცხლე ძალა უფრო დიდი იყო ვიდრე ერთკოშკურიანისა, მაგრამ სატანკო მანქანათმშენებლობის ეს გზა ჩიხური იყო და მას უამრავი გვერდითი არასასურველი ეფექტი ახლდა თან. პირველ რიგში, ეს შეეხება ტანკის კონსტრუქციის სირთულეს და აქედან გამომდინარე, მის სიძვირეს, ასევე წარმოების დაბალ ტემპებს და მის ნაკლებ საიმედოობას. საერთო ჯამში, დაწყებული 1939 წლის ბოლოდან, საბჭოელებმა საბოლოოდ თქვეს უარი მრავალკოშკურიანი ტანკების წარმოებაზე.

²⁵⁷ აქ საუბარი ეხება საბჭოური წარმოების რეაქტიული სარაკეტო არტილერიის БМ სერიის საბრძოლო მანქანებს – БМ-13, БМ-8, БМ-31 და სხვა, რომლებიც უფრო ცნობილია „კატიუსას“ დასახელებით.

²⁵⁸ საბჭოთა კავშირ-ფინეთის, ან სხვანაირად, „ზამთრის ომი“ 1939 წლის 30 ნოემბრიდან 1940 წლის 12 მარტამდე მიმდინარეობდა. საბჭოელთა პოლიტიკურ მიზანს ფინეთის ტერიტორიების ინტერვენცია, მისი სრული ოკუპაცია და შემდგომი ანექსია წარმოადგენდა. მაგრამ პატარა ფინეთმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია აგრესორს და ამ მეტად უთანასწორო ომში შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით კი, „ზამთრის ომი“ ასიმეტრიული ომის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი გარკვეული შემართებული ბმულია ორი მსოფლიო ომის სამხედრო სტრატეგიებს შორის. ამავე დროს, იგი „ბლიცკრიგის“ სტრატეგიის შემდგომი განვითარების მოლოდინის კარგი ილუსტრაციაა.

წლის 12 აპრილს, ფიურერის შტაბ-ბინაში, ჰიტლერმა გამოთქვა აზრი, რომ სტალინმა ფინეთთან ომი დაიწყო სუსტი ძალებითა და ძველი შეიარაღებით, რათა მსოფლიო და, უპირველეს ყოვლისა, იგი, ჰიტლერი მოეცყუებინა. იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ საბჭოთა კავშირმა „ყველაფერი, რაც მის შეიარაღებულ ძალებს და უახლეს სამხედრო ტექნიკას შეეხებოდა, კარგად შენიღბა“. ფინეთთან ომში მას არ გამოუყენებია არც T-34 და არც მძიმე KB.²⁵⁹

გერმანიასა და რუსეთს შორის საომარი მოქმედებების დაწყებიდან ოთხი კვირაც არ არის გასული, როცა გებელსი თავის დღიურში ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „ამჟამად ვერ შევაფასეთ საბჭოელთა დამრტყმელი ძალა და უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა არმიის აღჭურვილობა. ასევე მიახლოებითაც კი არ გვქონდა ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რა ძალები იყო ბოლშევიკების განკარგულებაში. აქედან გამომდინარეობს ჩვენს მიერ გამოტანილი არასწორი დასკვნებიც.“ ჰიტლერი ძალიან გაბრაზებულია იმის გამო, „რომ საბჭოთა კავშირიდან მიღებული ცნობების გამო იგი შეცდა ბოლშევიკების პოტენციალის შეფასებაში.“ ეს უპირველეს ყოვლისა, მოწინააღმდეგის ტანკებსა და სამხედრო-საჰაერო ძალებს ეხება – მათ არასათანადოდ შეფასებას, რამაც განსაკუთრებით გაართულა სამხედრო ოპერაციების წარმატებულად სვლის ტემპები. ჰიტლერი ძალიან განიცდის ამას და თვლის, რომ საქმე მეტად მძიმე კრიზისს ეხება.

გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობის წარმოდგენით, ოპერაცია „ბარბაროსას“ წარმატების მთავარი ფაქტორი მოულოდნელობის ეფექტი იყო. ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირი არ მოელოდა გერმანიის უეცარ თავდასხმას, მით უმეტეს, რომ 1939 წლის სექტემბერში ქვეყნებს შორის თავდაუსხმელობის პაქტი დაიდო. მაგრამ ჰიტლერი მწარედ ცდებოდა.

რუსები შეეცადნენ იგივე სტრატეგია გაეტარებინათ ფინელებთან ომში, რაც გერმანელებმა გამოიყენეს პოლონეთში და ისე საშინლად ჩააგდეს იგი, რომ დიდი ძალისხმევა დაჭირდათ დაბრუნებოდნენ საბჭოელებისათვის ასე დამახასიათებელ ჯარების მასირების ძველ სტრატეგიას. ომის მიმდინარეობის პირველი თვე შეურაცხყოფილი იყო წითელი არმიისათვის. ომის მესამე კვირიდან საბჭოთა პროპაგანდამ დიდი მუშაობა გააჩაღა წითელი არმიის წარუმატებლობების ასახსნელად. გამოცხადდა, რომ ფინელთა სტრატეგიული თავდაცვის, ე.წ. „მანერჰაიმის ხაზი“ მაინოს ხაზზე უფრო მძლავრი იყო, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მართალია, საბოლოოდ, ფინეთმა თავისი ტერიტორიების 11% დაკარგა, მაგრამ შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ომის დასრულებისთანავე მალალი რანგის საბჭოთა სამხედროების მიერ შემდეგი შეფასებები იქნა გამოთქმული:

მარშალი ტიმოშენკო: „ჩვენ ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ ამ ომში, სადაც ფინელები გმირულად იბრძოდნენ“;

ადმირალი კუზნეცოვი: „ფინელებთან ომში ჩვენ მწარე გაკვეთილი მივიღეთ. შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ აქედან“;

II რანგის კომისარი ხრუშჩოვი: „ყველა ჩვენგანი, და უპირველეს ყოვლისა თვით სტალინიც გრძნობდა ჩვენს გამარჯვებაში მარცხს. ეს ძალიან საშიში მარცხი იყო, რადგან მან ჩვენი მტრები გაათამაშა. ამბობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი თიხისფეხებიანი კოლოსი აღმოჩნდა... ჩვენ უახლოესი მომავლისათვის უნდა გავითვალისწინოთ უახლოესი წარსულის გაკვეთილები... ვიტყვი, რომ ამ ომში ჩვენ მიღობი კაცზე მეტი დაკარგეთ... მხოლოდ დიდი გაჭირვებითა და მძიმე დანაკარგების ფასად მოვიპოვეთ ბოლოს და ბოლოს გამარჯვება. ამ ფასად მოპოვებული გამარჯვება ფაქტიურად მარცხის ტოლფასი იყო“...

²⁵⁹ აქ ავტორი ისევ აშკარა შეცდომას უშვებს. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში საბჭოელებმა გამოიყენეს მძიმე ტანკი KB (Климентий Ворошилов), უფრო ზუსტად, მისი პირველი ვერსია – KB-1. საბრძოლო ნათლობა ტანკმა KB-1-მა პოტინენის რაიონში მიიღო მანერჰაიმის ხაზის გარღვევის ოპერაციაში. ფინელთა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ ვერ შეძლო KB-ების ჯავშნის გარღვევა და აფეთქება, თუმცა თავის მხრივ, KB-ს ამ ვერსიის ტანკების 76მმ-იანმა ქვემეხებამაც ვერ შეძლეს „მანერჰაიმის ხაზის“ ფინური დოტების განადგურება. სწორედ ამ საბრძოლო გამოცდილებიდან გამომდინარე, საბჭოელები შეუდგნენ KB-ს ახალი ვერსიის, KB-2-ის შექმნაზე მუშაობას, რომელიც მძიმე 152მმ-იანი ჰაუბიცით იქნებოდა აღჭურვილი. რაც შეეხება T-34-ს – საბჭოელთა ეს ტანკი საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში არ მონაწილეობდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის მიმდინარეობის პერიოდში, 1939 წლის დეკემბერი – 1940 წლის მარტი, ტანკი T-34-ის შექმნა და მისი გამოცდები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ტ-34-ის პირველი საცდელი ვერსიები საველე გამოცდებს გადიოდნენ 1940 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, ხოლო პირველი სერიული პარტია სატანკო ქარხანა №183-ის მიერ მხოლოდ 1940 წლის ივნისის თვეში იქნა გამოშვებული. თავისთავად ცხადია, რომ T-34-ები ფინეთის ომში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. „ზამთრის ომში“ გამოყენებულ ყველაზე უფრო მასობრივ საბჭოთა ტანკებს წარმოადგენდნენ ბრიტანული „ვიკერსის“ – Vickers Mk E-ს საბჭოური ვარიანტები – ერთი და მრავალკომპურიანი საბრძოლო მანქანები – მსუბუქი ტანკი T-26 და საშუალო ტანკი T-28. T-26 მსუბუქი ტანკის წარმოების ლიცენზია საბჭოელებმა 1930 წელს შეისყიდეს, ხოლო შეიარაღებაში იგი ერთი წლის შემდეგ, 1931 წელს მიიღეს.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა კარგად იყო ინფორმირებული ჰიტლერის საომარ გეგმებზე. უამრავი საბჭოთა აგენტი, განსაკუთრებით, შვეიცარიაში მოქმედი რუდოლფ როზლერი, მეტსახელად „ლუსი“, „წითელი კაპელას“²⁶⁰ წევრი და დოქტორი რიჰარდ ზორგე, ტოკიოში გერმანიის საელჩოს პრესის მრჩეველი, ზუსტ ინფორმაციებს აწვდიდნენ საბჭოთა არმიის კონტრდაზვერვის განყოფილებებს გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.²⁶¹ საბჭოელებისათვის თვით გერმანელთა თავდასხმის თარიღიც კი ცნობილი იყო, რადგან როზლერს საიდუმლო კავშირები ჰქონდა დამყარებული ანონიმურ წყაროებთან პირდაპირ გერმანიის გენერალურ შტაბში. ამ ცნობების საფუძველზე, უკვე 1940 წლის 10 აპრილს, კრემლში გამართულ სამხედრო საბჭოს სხდომაზე, მიღებულ იქნა საიდუმლო გადაწყვეტილება ე.წ. „დასავლეთის ფრონტზე“ გაძლიერებული სამხედრო მზადყოფნის მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

სტალინი, რომელმაც ჰიტლერის მიერ საფრანგეთში წარმოებული საომარი კამპანიით ისარგებლა და დაიპყრო სამი ბალტიისპირული სახელმწიფო,²⁶² მიუხედავად იმისა, რომ ლიტვა მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულების დამატებითი საიდუმლო შეთანხმების თანახმად გერმანიის ზეგავლენის სფეროს განეკუთვნებოდა, ყველა ღონეს ხმარობს, რათა ხელახლა მოატყუოს ჰიტლერი. თავისი მოქმედებებით სტალინი აჯერებს ჰიტლერს არა მხოლოდ იმაში, რომ არაფერი იცის გერმანელთა გეგმებისა და მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, არამედ ერთი ნაბიჯითაც წინ მიდის – იგი თავად ემზადება გერმანიის წინააღმდეგ შეტევითი საბრძოლო მოქმედებებისა და ომის დასაწყებად.²⁶³ ყველა ეს საკითხი კი, საბჭოური ისტორიოგრაფიისა და საბჭოთა ისტორიკოსების მიერ ათწლეულების განმავლობაში მკაცრად ტაბუდადებული და გასაიდუმლოებული იყო.

ისტორიის მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც 1989 წლიდან მოსკოვში ახალი და უახლესი ისტორიის არქივები და დოკუმენტები გაიხსნა, შესაძლებელი გახდა იმ დასკვნების გაკეთება, რომ ჰიტლერი ახალი

²⁶⁰ „წითელი კაპელა“, ან „წითელი ორკესტრი“ (გერმ. Rote Kapelle) – II მსოფლიო ომის პერიოდში ევროპულ ქვეყნებში (გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, შვეიცარია და სხვა) მოქმედი წინააღმდეგობის დამოუკიდებელი ჯგუფებისა და სადაზვერვო ქსელის საერთო დასახელება. თავდაპირველად, დასახელებას – „წითელი კაპელა“, იყენებდა სს-ის სპეციალური ქვედანაყოფი, რომლის ამოცანასაც წარმოადგენდა გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედი ანტინაცისტური ჯგუფებისა და არალეგალური რადიოგადამცემების აღმოჩენა, და მათი ლიკვიდაცია. კონტრდაზვერვის ჟარგონზე რადისტებს „მუსიკოსებს“ ან „პიანისტებს“ ეძახდნენ. შესაბამისად, ომის საწყის ეტაპზე გერმანიის ტერიტორიაზე ერთდროულად იმდენი „პიანისტი“ მუშაობდა, რომ ისინი მთელ „ორკესტრს“, ანუ, გერმანულად „კაპელას“ ქმნიდნენ. სწორედ აქედან გამომდინარე უწოდეს სს-ის მაღალმა ჩინებმა ანტინაცისტურ ჯგუფებსა და მათ სადაზვერვო ქსელებს „წითელი კაპელა“. უკვე შემდგომ, იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს საგარეო დაზვერვის, SD-ის (გერმ. Sicherheits Dienst) შეფი, გენერალი ვალტერ შელენბერგი თავის მემუარებში წერდა, რომ SD-ისა და სხვა სამსახურების დიდი ძალისხმევით მიუხედავად, „წითელი კაპელას“ საბოლოოდ ლიკვიდაცია სს-ის სპეცსამსახურებმა მთელი ომის მიმდინარეობის პერიოდში ვერ შეძლეს.

²⁶¹ 1941 წლის 5 მაისს სტალინი სიტყვით გამოვიდა მოსკოვში გენშტაბის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულბთან. მან განაცხადა: „ომი გერმანიასთან გარდაუვალია. თუ ამხანაგი მოლოტოვი შეძლებს ამ ომის დაწყების გადადებას ორი ან სამი თვის ვადით, ეს ჩვენთვის დიდი გამართლება იქნება... მაგრამ თქვენ ყველაფრისათვის უნდა იყოთ მზად და გაზარდოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა“...

²⁶² მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი ძირითადი საჯარისო შენაერთები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მართლაც დასავლეთ ევროპაში მიმდინარე საფრანგეთის კამპანიის მსვლელობისას, 1940 წლის ივნისში შეიყვანა, წითელი არმიის პირველი ნაწილები ლატვიაში ჯერ კიდევ 1939 წლის ნოემბერში, ფინეთთან ომის დაწყების წინ იქნა შეყვანილი.

²⁶³ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის, მარშალ სემიონ ტიმოშენკოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი 1941 წლის 15 მაისის მოხსენებაში „შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის შესახებ“, ნათქვამი იყო:

„ომის გამო, რომ გერმანიას თავისი არმია მობილიზებული არა ჰყავს, მაგრამ ჰყავს იგი გაშლილი ზურგით, მას შეუძლია დავასწროს ჯარების გაშლა და მოულოდნელად დაგვარტყას. ამის თავიდან ასაცილებლად, დაუშვებელია ინიციატივის ხელიდან გაშვება. ჩვენ უნდა დავასწროთ მოწინააღმდეგეს მაშინ, როცა იგი ძალების გაშლის სტადიაში იქნება და ვერ შეძლებს ფრონტის ორგანიზებას. წითელი არმიის პირველ სტრატეგიულ მიზნად უნდა დავისახოთ გერმანული არმიის მთავარი ძალების განადგურება, რომლებიც ბრესტი-დემბლინის სამხრეთითაა გაშლილი, შემდეგ კი, 30 დღის განმავლობაში გავიდეთ ხაზზე – ოსტროლენკო, მდ. ნარვა, ლოვიჩი, ლოდი, კრაიცბურგი, ოპელნი, ოლომოუცი. ბოლო სტრატეგიულ მიზანს კი შეადგენს კატოვიცედან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გასვლა, სადაც უნდა გავანადგუროთ მტრის ცენტრის შენაერთები და გერმანელთა ფრონტის ჩრდილოეთის ფრთა. ამით დავეუფლებით ყოფილ პოლონეთს და აღმოსავლეთ პრუსიას“...

სამხედრო აგრესიის წარმოებაში ყოველთვის ერთი ნაბიჯით უსწრებდა წინ სტალინს. ასე იყო მაგალითად 1940 წლის აპრილში, ნორვეგიაში ინგლისელების წინააღმდეგ წარმოებული საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში.²⁶⁴

თავის დროზე ლენინი აცხადებდა, რომ საკითხის არსი იმაში კი არ მდგომარეობს, თუ ვინ დაიწყო პირველმა შეტევა, ვინ გაისროლა პირველი ტყვია და ვინ დაიპყრო მოწინააღმდეგის ტერიტორია, არამედ მთავარია ომის მიზეზები, მისი მიზნები და კლასთა ბრძოლის თეორია, რაც მართავს სახელმწიფოებსა და მათ შორის დაწყებულ ომებს.²⁶⁵ საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ლენინისა და სტალინისთვის საბჭოთა კავშირის სამხედრო მანქანის ნებისმიერი შეტევითი მოქმედებები ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ თავიდანვე წმინდა თავდაცვითი, და ამავე დროს ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლიანი და მორალურად გამართლებული ომი იყო.²⁶⁶ სტალინი ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა და დაწყებული 1940 წლის გაზაფხულიდან თვლიდა, რომ ნაცისტურ გერმანიასთან შეჯახება გარდაუვალი იყო.²⁶⁷

1941 წლის 5 მაისს, მზარდი რაოდენობისა და წითელი არმიის უძლევლობის შეგნებით, გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულების შერჩევასთან დაკავშირებით გამართულ ბანკეტზე სტალინი გამოდის სიტყვით, სადაც აცხადებს, რომ დრო მოვიდა, „საბჭოთა კავშირი თავდაცვიდან შეტევითი ოპერაციების სამხედრო პოლიტიკაზე გადავიდეს. გერმანიის ვერმახტი უძლეველი არ არის. საბჭოთა რუსეთს ჰყავს უკეთესი ტანკები, თვითმფრინავები და არტილერია, და რაც მთავარია ბევრად მეტი რაოდენობის, ვიდრე გერმანიას. ამიტომ ჩვენ მოგვიწევს, ადრე თუ გვიან, გერმანიის ვერმახტის წინააღმდეგ ბრძოლა.“ დიახ, წითელი არმია უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ დამთავრდა მშვიდობიანი პოლიტიკის პერიოდი და დაიწყო სოციალისტური ფრონტის ძალდატანებითი განვრცობის ეპოქა. ამიტომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები მზად უნდა იყვნენ გერმანული ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი უპირობო განადგურებისთვის.

თვითმხილველების ცნობით, სტალინი შემფოთებული და აღელვებული იყო. როგორც ჩანს, იგი ალკოჰოლმა ააღაპარა. ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მისი ეს გამოსვლა დაუმაღეს საზოგადოებას და მის მიერ წარმოთქმული სიტყვები პარტიის ცენტრალურ არქივებში ჩაიკარგა.

²⁶⁴ ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის პოლონეთის გაყოფის ამბავიც. პოლონეთის წინააღმდეგ გერმანელთა შეტევის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, 1939 წლის 17 სექტემბერს, საბჭოელებმაც დაიწყეს აღმოსავლეთიდან პოლონეთში შეჭრა და მოახდინეს ამ ქვეყნის დიდი ნაწილის ოკუპაცია და ანექსია.

²⁶⁵ საბჭოთა სამხედრო აზროვნების აგრესიული გზა, შეჯერებული გიგანტურ რესურსებთან, საბჭოელთა სწრაფად მზარდი სამხედრო ინდუსტრია, კომუნისტთა პროპაგანდა და ოცნება „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ შესახებ, ნათლად აჩვენებდა, რომ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული, საბჭოთა კავშირი და წითელი არმია იყო ყველაზე საშიში და შეტევაზე ორიენტირებული სამხედრო ძალა მსოფლიოში.

²⁶⁶ სტალინი და საბჭოთა მთავრობა ვერმახტის ინტერვენციამდე ერთი წლით ადრე უკვე ემზადებოდა მომავალი ომისათვის, რაზეც ცალსახად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი – საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „1940 და 1941 წლების სამობილიზაციო ღონისძიებების შესახებ“. №1343-523ცც, 1940 წლის 25 ივლისი. მოსკოვი, კრემლი. სრულიად საიდუმლო. (განსაკუთრებული საქალაქო). სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს დაევალოს და თავდაცვის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებმა სამხედრო შეკვეთებისა და დამატებითი მოთხოვნების საფუძველზე წარმოადგინონ უწყებრივი სამობილიზაციო დავალებები ძირითად შეიარაღებაზე, რაც 1940 წელს ომის დაწყების შემთხვევაში დამტკიცდეს ერთი თვის ვადაში. დაევალოს თავდაცვის კომიტეტს ერთ თვეში დაამტკიცოს ინსტრუქცია „1941 წლის მრეწველობის სამობილიზაციო გეგმის შემუშავების წესის შედგენისა და დამტკიცების შესახებ...“ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. მოლოტოვი. საქმეთა მწარმოებელი, მ. ხლომოვი. АП РФ. Ф.93. Коллекция документов. Машинопись на бланке: "Постановление Совета Народных Комиссаров Союза ССР".

²⁶⁷ საბჭოთა კავშირის ადრეულ სტრატეგიას II მსოფლიო ომის წინ წარმოადგენდა ომში ჩართვის გადადება მანამდე, სანამდეც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა. საბჭოთა ოფიცერთა კორპუსის 1937-38 წლების რეპრესიების შემდეგ პარტიამ სრული კონტროლი მოიპოვა არმიაზე, თუმცა საომარმა მოქმედებებმა ფინეთში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და პოლონეთში, დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. ცხადი იყო, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები მზად არ იყო გერმანიის წინააღმდეგ დიდი ომის საწარმოებლად. მოლოტოვ-რიბენტროპის თავდაუსხმელობის პაქტმა საბჭოელებს იმედი მისცათ, რომ ისინი დროს მოიგებდნენ და შესაბამისად მოემზადებოდნენ მომავალი ომისათვის. თუმცა სტალინის ეს მოლოდინები არ გამართლდა.

სტალინი სისტემურად ემზადებოდა გერმანიასთან დაპყრობითი ომის საწარმოებლად. არაუგვიანეს 1942 წლის გაზაფხულისა, ის წამოიწყებდა ამ ომს შესაფერისი მიზეზით, რათა მოეხდინა ნაციონალ-სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ლიკვიდაცია. ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოელებმა 1941 წლის მაისში შეტევის ვადა გადასწიეს 1941 წლის ივლისი-აგვისტოსათვის. 1941 წლის იანვარში დასავლეთის მიმართულებაზე ჩატარდა სტრატეგიული საშტაბო სწავლებები საბჭოთა ძალების შეტევის იმპროვიზებისათვის ბალტიისპირეთის ტერიტორიიდან აღმოსავლეთ პრუსიისა და კენიგსბერგის დასაკავებლად, ისევე, როგორც მთავარი დარტყმის განსახორციელებლად სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებაზე – სამხრეთ პოლონეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის დასაპყრობად. უკვე 1941 წლის 15 მაისს გენერალი შუკოვი,²⁶⁸ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, და მარშალი ტიმოშენკო,²⁶⁹ თავდაცვის სახალხო კომისარი, საიდუმლოდ გადასცემენ სტალინს გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივად შემუშავებულ სტრატეგიული შეტევის გეგმას.²⁷⁰ სტალინი მხარს უჭერს ამ გეგმას და „უკეთეს გრიფირებას“, მაგრამ არ სურს, როგორც სხვა ბევრ მნიშვნელოვან საკითხთან, ოფიციალურად ჰქონოდა მასთან საქმე. ამის შემდეგ შუკოვი და ტიმოშენკო იწყებენ გეგმის ხორცშესხმას. უკვე ცხრა დღის შემდეგ, 1941 წლის 24 მაისს, მმართველობის უმაღლეს დონეზე გამართულ შეხვედრაზე სტალინის თანდასწრებით ეს გეგმა განხილვის საგანი ხდება.

შეტევის გეგმის მთავარი მიზანია სადემონსტრაციო მოქმედებების რაიონში ძალების სტრატეგიული თავმოყრა, მათი სტრატეგიული გამლა და მოწინააღმდეგეზე წინმსწრები,

²⁶⁸ გიორგი კონსტანტინოვიჩი შუკოვი (რუს. Геóргий Константинович Жуков) (1896-1974.წ.წ) – ცნობილი საბჭოთა მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, I მსოფლიო ომის, რუსეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომების მონაწილე, საბჭოთა კავშირის მარშალი 1943 წლიდან, ოთხჯონის საბჭოთა კავშირის გმირი, ორჯონის საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხედრო ჯილდოს – „გამარჯვების ორდენისა“ და მრავალი სხვა საბჭოთა და უცხოური ორდენების კავალერი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1915 წელს. ბოლშევიკთა მხარეს გადავიდა 1918 წელს. II მსოფლიო ომის მსვლელობისას თანამედვერობით ეკავა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, შემდეგ ფრონტის სარდლისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის თანამდებობები. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1955-1957 წლებში, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

²⁶⁹ სემიონ კონსტანტინოვიჩი ტიმოშენკო (რუს. Семён Константинович Тимошенко) (1895-1970.წ.წ) – ცნობილი საბჭოთა მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, I მსოფლიო ომის, რუსეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომების მონაწილე, საბჭოთა კავშირის მარშალი 1940 წლიდან, ორჯონის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხედრო ჯილდოს – „გამარჯვების ორდენისა“ და მრავალი სხვა საბჭოთა და უცხოური ორდენების კავალერი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1915 წელს. ბოლშევიკთა მხარეს გადავიდა 1918 წელს. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი 1940-1941 წლებში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი 1938-1940 წლებში, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1938-1952 წლებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი 1952-1970 წლებში.

²⁷⁰ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცულია თავდაცვის სახალხო კომისრის, სემიონ ტიმოშენკოსა და გენშტაბის უფროსის, გიორგი შუკოვის ხელმოწერილი ჩანაწერი, რომელიც გენშტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის, ალექსანდრ ვასილევსკის ხელითაა დაწერილი. შინაარსიდან გამომდინარე, დოკუმენტი არაუადრეს 1941 წლის 15 ივნისს უნდა იყოს შედგენილი. დოკუმენტი, რომელიც სტალინისათვისაა განკუთვნილი, შეიცავს მოსაზრებებს „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის გეგმას იმ შემთხვევისათვის, თუ გადაწყდება ომის დაწყება გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან“. მასში ნათქვამია: „იმდენად, რამდენადც გერმანიას გაშლილი ზურგით მობილიზებული ჰყავს თავისი არმია, მან შეიძლება დაგვასწროს და მოგვაყენოს უცარი დარტყმა. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გერმანიის თავდასხმა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ ამის საშუალება გერმანულ სარდლობას და არ უნდა ჩაუვდეთ მას ხელში ინიციატივა. უნდა დავასწროთ გერმანიას და დავარტყათ გერმანიის არმიას იმ მომენტში, როდესაც იგი იქნება ძალების გაშლის სტადიაში და ვერ შეძლებს ფრონტისა და ჯარების ურთიერთქმედების ორგანიზებას. შემდგომში მოყენილია საომარ მოქმედებათა გეგმა:

უახლოესი ამოცანა – გერმანიის არმიის განადგურება მდინარე ვისლას აღმოსავლეთით და კრაკოვის მიმართულებაზე, გაედეთ მდინარეებზე ნარვა და ვისლა და დავეუფლოთ კატოვიცეს, რისთვისაც:

- ა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ძალებით განხორციელდეს მთავარი დარტყმა კრაკოვისა და კატოვიცეს მიმართულებით, რითაც გერმანია მოჭრილი იქნება თავისი სამხრეთელი მოკავშირეებისაგან;
- ბ. დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფრთის ძალებით განხორციელდეს დამხმარე დარტყმა სედლეცისა და დემბლინის მიმართულებაზე მოწინააღმდეგის ვარშავის ჯგუფის შესაბოჭად და ამით დაეხმაროს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს მოწინააღმდეგის ლიუბლინის ჯგუფის განადგურების საქმეში;

მოულოდნელი და გამანადგურებელი დარტყმის მიყენება ბრესტი-დემბლინის მიმართულებით. ამიტომ მათ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყო საიდუმლო მობილიზაცია სწავლების ფორმით და ჯარებს თავი მოუყარონ საზღვართან ახლოს. სტალინი გასცემს რეაასი ათასი რეზერვისტის გაწვევის ბრძანებას. მისი მითითებით ხდება ქვეყნის შიგნიდან შვიდი არმიისა და ორი მექანიზებული კორპუსის, ასევე მსროლელთა კორპუსის დასავლეთის სასაზღვრო ზონაში მოვლინება. ეს არის ასსამოცდაათი დივიზია და ათი ათასი ტანკი. ამას უკან გაყვება, როგორც მეორე ტალღა, შემდგომი სამოცდაათი დივიზია და კიდევ რვა ათასი ტანკი. ყველაფერი მზადაა შეტევითი მოქმედებების დასაწყებად.

საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტო, TACC, 15 მაისს უარყოფს გავრცელებულ ხმებს საბჭოთა ჯარების თავმოყრის შესახებ და საბჭოელებისათვის ჩვეული თავხელური ცინიზმით აცხადებს, რომ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მხოლოდ ერთი ქვეითი დივიზია გადმოვიდა ირკუტსკიდან ნოვოსიბირსკში. გერმანიის წინააღმდეგ საბჭოელების მიერ დაწყებულ ომის სამზადისზე გავრცელებულ ხმებს, იგი „გამოგონილსა და პროვოკაციულს“ უწოდებს.

საბჭოელებს ძლიერი მოტორიზებული შენაერთები და საკავალერიო ქვედანაყოფები გადაჰყავთ შორს, დასავლეთით, გერმანიის ტერიტორიაზე შეჭრილ ფრონტის რკალში, ბელოსტოკთან და ლემბერგთან. ისინი ფარულად კვეთენ ე.წ. „მშვიდობის საზღვარს“ და შეტევით მოქმედებებს იწყებენ ლოდის მიმართულებით, რათა ალყა შემოარტყან გერმანულ შენაერთებს პოლონეთის საგენერალ-გუბერნატოროს ზონაში. მაგრამ ღია პოზიციების გამო და გერმანელების კონტრშეტევითი მოქმედებებით თავად მათი გარემოცვა და ალყის შემორტყმა ხდება. იარაღის, საბრძოლო მასალის, საწვავისა და მომარაგების უზარმაზარი საწყობები პრაქტიკულად მოწინააღმდეგის ცეცხლის მოქმედების ზონაში ხვდება. ამიტომ ბრესტ-ლიტოვსკთან გერმანელებს ათი მილიონი ლიტრი საწვავი უვარდებათ ხელში. ძალიან ბევრ რუს ჯარისკაცს, რომელიც ტყვედ ჩავარდა, თან ჰქონდა თვალსაჩინო კარტოგრაფიული მასალა – 1:50000 მასშტაბიანი რუკები. მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ რუკებზე გერმანიის ტერიტორიებიცაა დატანილი და ხარისხითაც ისინი გერმანულ რუკებზე უკეთესია.

წითელი არმიის ძირითადი ძალების დასავლეთ საზღვრისკენ გადასროლის შესახებ გერმანელებმა მაინც გაიგეს, მიუხედავად საიდუმლოების მკაცრად დაცვისა. მაგრამ მათ არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ იქ გაშლილი საბჭოთა ჯარების რაოდენობასა და მასშტაბებზე, რის შესახებაც კანტი-კუნტად მოდიოდა შეტყობინებები. ვერმახტის მთავარსარდლობის შტაბის უფროსი, გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი²⁷¹ და ვერმახტის ოპერატიული სარდლობის უფროსი, გენერალი იოდლი,²⁷² 1941 წლის აპრილ-ივნისის

²⁷¹ ვილჰელმ კაიტელი (გერმ. Wilhelm Bodewin Johann Gustav Keitel) (1882-1946წ.წ.) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის OKW (Oberkommando der Wehrmacht) შტაბის უფროსი 1938-1945 წლებში, გენერალ-ფელდმარშალი 1940 წლიდან. I და II მსოფლიო ომების მონაწილე, სხვადასხვა საბრძოლო ორდენებისა და მედლების კავალერი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1900 წელს. I მსოფლიო ომი დაასრულა კაპიტნის ჩინით. ომებს შორის პერიოდში მსახურობდა სხვადასხვა სამეთაურო და საშტაბო თანამდებობებზე. 1934 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1936 წლიდან გენერალ-ლეიტენანტა, 1937 წლიდან კი – არტილერიის გენერალი. 1938 წელს იღებს გენერალ-პოლკოვნიკის წოდებას და ინიშნება გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსად. 1940 წლის საფრანგეთის კამპანიის წარმატებით დასრულების შემდეგ ენიჭება გენერალ-ფელდმარშალის წოდება. 1945 წლის 8 მაისს ხელი მოაწერა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. გასამართლებულ იქნა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ, სიკვდილით დასაჯეს 1946 წლის 16 ოქტომბერს. მისი უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა ემაფოტზე ასვლისას, იყო: „გერმანია უპირველეს ყოვლისა!“

²⁷² ალფრედ იოდლი (გერმ. Alfred Jodl) (1890-1946წ.წ.) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის OKW (Oberkommando der Wehrmacht) შტაბის უფროსი, რომელიც მან გენერალ-ფელდმარშალ კაიტელის შემდეგ დაიკავა, გენერალ-პოლკოვნიკი 1944 წლიდან. I და II მსოფლიო ომების მონაწილე. სამხედრო სამსახური დაიწყო 1910 წელს. I მსოფლიო ომის ბოლოს იყო საარტილერიო ბატარეის მეთაური. ომის დასრულების შემდეგ სამსახურს აგრძელებს რაიხსვერში. 1939 წლიდან გენერალ-მაიორია და ინიშნება ვერმახტის გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსად. 1944 წლის 20 ივლისს ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. II მსოფლიო ომის ბოლოს, 1945 წლის 7 მაისს, როგორც გროსდმირალ ღენიციის მთავრობის წევრი, ხელს აწერს გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. როგორც სამხედრო დამნაშავე, გასამართლებულ იქნა

მიჯნაზე არაერთხელ მიმართავენ წერილობით საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელშიც ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთი აპირებს „თავის ისტორიაში უდიდეს გამოსვლას გერმანიის წინააღმდეგ“ და შესაძლებელია კიდევაც „ნებისმიერ მომენტში საბჭოთა ჯარების“ დასავლეთისკენ გადაადგილება. ეს გაფრთხილებები, განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში, საბჭოელთა მიერ შეფასდა, როგორც „მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირზე ვერაგულად დაგეგმილი ფაშისტური შეტევის პროპაგანდისტული უზრუნველყოფა“.

საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულმა სტალინმა ამოიციო ერთჯერადი ისტორიული შანსი, რათა ესარგებლა ორმაგი ფრონტის შედეგად გამოწვეული გერმანიის ურთულესი სტრატეგიული მდგომარეობით და დაეწყო „რევოლუციური განმათავისუფლებელი ომი“, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა დასავლეთისკენ საბჭოთა სახელმწიფოს ძალაუფლება.²⁷³ უპირატესობის შეგრძნება იმდენად დიდია, რომ მას სჯერა – ნებისმიერ დროს შეძლებს გერმანიის მოულოდნელი შეტევის მოგერიებას, თანაც – დაუყოვნებლივ, და განსაკუთრებული მომზადების გარეშე. 1941 წლის 5 ივნისს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მიხაილ კალინინი²⁷⁴, სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის მსმენელთა წინაშე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა: „გერმანელებმა განიზრახეს რუსეთზე თავდასხმა... ჩვენ ამას ველოდებით! რაც უფრო მალე გააკეთებენ ამას, მით უკეთესი იქნება, რადგან ერთხელ და სამუდამოდ მოვუგრუნებთ კისერს.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სტალინისათვის შოკი არ მოუგვრია 1941 წლის 22 ივნისის გამთენიისას გერმანელების მიერ საბჭოელთა წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებას. შოკი მან მოგვიანებით მიიღო, როდესაც მიხვდა, რომ თავის ოპტიმისტურ გათვლებში იგი შეცდა და საომარ მოქმედებათა ფრონტებზე საბჭოელთათვის კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებიდან სულ მცირე ხანში გერმანელებმა ოპერატიულ გარღვევას მიაღწიეს და სტალინისათვის ნათელი გახდა, რომ მისი ილუზია საბჭოთა ჯარისკაცების საუკეთესო მომზადებასთან დაკავშირებით, ერთობ მცდარი აღმოჩნდა.

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ. გენერალ-ფელდმარშალ კაიტელის მსგავსად, სიკვდილით დასაჯეს 1946 წლის 16 ოქტომბერს. მისი უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მან ემაფოტზე ასვლისას წარმოთქვა, იყო: „სალამს ვიძღვნი შენ, გერმანია!“

²⁷³ სწორედ „რევოლუციური განმათავისუფლებელი ომი“, უფრო ზუსტად კი, ე.წ. „მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია“ წარმოადგენდა მარქსიზმისა და ლენინიზმის იდეოლოგიის ფუძემდებლურ დებულებას, რომლის თანახმადაც არაფრისმქონე მუშათა კლასს, პროლეტარიატს, ძალით უნდა დაემხო ბურჟუაზია და შეიარაღებული გზით უნდა მოსულიყო ხელისუფლების სათავეში. ამასთანავე, მარქსიზმის მიხედვით, კაპიტალისტური ქვეყნები ისე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მსოფლიო ბაზართან და შრომის დანაწილებასთან, რომ რომელიმე ერთი კაპიტალისტური ქვეყნის კრიზისს გარდუვალად უნდა გამოეწვია სხვა ქვეყნების სინქრონული კრიზისებიც, რაც თავის მხრივ რევოლუციურ სიტუაციას შექმნიდა ამ ქვეყნებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის აპოლოგეტებს წარმოადგენდნენ ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, რადეკი, ბუხარინი და სხვა რუსი ბოლშევიკები.

²⁷⁴ მიხაილ ივანოვიჩ კალინინი (რუს. Михайл Иванович Калинин) (1875-1946წ.წ.) – ცნობილი რუსი ბოლშევიკი და პროფესიონალი რევოლუციონერი, გამოჩენილი საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. 1919 წელს ლევ ტროცკიმ მას „სრულიად რუსეთის მამასახლისი“ უწოდა, 1935 წელს კი, სტალინმა თავისი ინტერპრეტაცია შეიტანა ამ დასახელებაში და მას „საკავშირო მამასახლისი“ უწოდა. დაწყებული 1919 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე ნომინალურად ეკავა ჯერ ბოლშევიკური რუსეთის, შემდეგ კი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს მეთაურის პოსტი. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი 1919-1926 წლებში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი 1926-1946 წლებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს წევრი 1919-1920 და 1924-1925 წლებში, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას ორგბიუროს წევრობის კანდიდატი 1921-1924 წლებში.



ერიხ მარქსი
(1891-1944)



ფრიდრიხ პაულიუსი
(1890-1957)



ალფრედ იოდლი
(1890-1946)



ვილჰელმ კაიტელი
(1882-1946)



იოსებ სტალინი
(1879-1953)



მიხაილ კალინინი
(1875-1946)



გიორგი ჟუკოვი
(1896-1974)



სემიონ ტიმოშენკო
(1895-1970)



რუდოლფ როზლერი
(1897-1958)



რიჰარდ ზორგე
(1895-1944)



საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიარესლავ მოლოტოვი ბერლინში. მისგან მარჯვნივ იოაჰიმ რიბენტროპი, ფელდმარშალი კაიტელი და სხვა ოფიციალური პირები. 1940 წელი



საბჭოთა ჯარები ტალინში. 1940 წელი




საბჭოთა ჯარები შედიან ესტონეთში



საბჭოთა ჯარები რიგაში. 1940 წელი



გერმანიის გენშტაბის თათბირი, 1940 წელი. წინა რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ვერმახტის მთავარსარდალი, ფელდმარშალი კაიტელი, სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ბრაუნიჩი, ადოლფ ჰიტლერი, სახმელეთო ჯარების გენშტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ფრანც ჰალდერი, გენერალ-პოლკოვნიკი ფრიდრიხ პაულიუსი




Operation Otto Preliminary Plan for Operation Barbarossa -- August 5th, 1940

გენერალ ერის მარქის მიერ ოპერაცია „ბარბაროსას“ წინმსწრები, 1940 წლის ივლისში შემუშავებული საბჭოთა კავშირზე სტრატეგიული თავდასხმის გეგმა „ოტო“



გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენელთა მიერ „სამთა კავშირის“ ხელშეკრულების გაფორმება



ევროპის გეოპოლიტიკური სურათი 1941 წლის დასაწყისისათვის

Der Führer und Oberste Befehlshaber F. H. Qu., den 18.12.40
der Wehrmacht
OKW/WFSt/Abt.L (I) Nr.33 408/40 g.K.Chefs.

W e i s u n g Nr. 21
Fall Barbarossa.

Die deutsche Wehrmacht muß darauf vorbereitet sein, auch vor Beendigung des Krieges gegen England, Sowjetrußland in einem schnellen Feldzug niederzuwerfen (Fall Barbarossa).

Die Vorbereitungen der Oberkommandos sind auf folgender Grundlage zu treffen:

I.) Allgemeine Absicht:

Die im westlichen Rußland stehende Masse des russischen Heeres soll in kühnen Operationen unter weitem Vortreiben von Panzerkeilen vernichtet, der Abzug kampfkraftiger Teile in die Weite des russischen Raumes verhindert werden.

In rascher Verfolgung ist dann eine Linie zu erreichen, aus der die russische Luftwaffe reichsdeutsches Gebiet nicht mehr angreifen kann. Das Endziel der Operation ist die Abschirmung gegen das asiatische Rußland aus der allgemeinen Linie Wolga - Archangelsk. So kann erforderlichenfalls das letzte Rußland verbleibende Industriegebiet am Ural durch die Luftwaffe ausgeschaltet werden.

II.) Voraussichtliche Verbündete und deren Aufgaben:

III.) Die Führung der Operationen:

A.) Heer (in Genehmigung der mir vorgetragenen Absichten):

In dem durch die Pripjetsümpfe in eine südliche und eine nördliche Hälfte getrennten Operationsraum ist der Schwerpunkt nördlich dieses Gebietes zu bilden. Hier sind 2 Heeresgruppen vorzusehen.

Karte 1

Die Ausgangsposition für »Unternehmen Barbarossa«. Das deutsche Ostheer stand am 21. Juni mit sieben Armeen, vier Panzergruppen und drei Luftflotten zum Angriff bereit: 3 000 000 Mann, 600 000 Fahrzeuge, 750 000 Pferde, 3580 Panzerkampfwagen, 7184 Geschütze und 1830 Flugzeuge. Ferner im Süden die 3. und 4. Rumänische Armee. Auf sowjetischer Seite standen im Grenzgebiet zehn Armeen mit 4 500 000 Mann.

Der südlichen dieser beiden Heeresgruppen - Mitte der Gesamtfront - fällt die Aufgabe zu, mit besonders starken Panzer- und mot. Verbänden aus dem Raum um und nördlich Warschau vorbrechend die feindlichen Kräfte in Weißrußland zu zersprengen. Dadurch muß die Voraussetzung geschaffen werden für das Eindrehen von starken Teilen der schnellen Truppen nach Norden, um im Zusammenwirken mit der aus Ostpreußen in allgemeiner Richtung Leningrad operierenden nördlichen Heeresgruppe die im Baltikum kämpfenden feindlichen Kräfte zu vernichten. Erst nach Sicherstellung dieser vordringlichen Aufgabe, welcher die Besetzung von Leningrad und Kronstadt folgen muß, sind die Angriffsoperationen zur Besitznahme des wichtigen Verkehrs- und Rüstungszentrums Moskau fortzuführen.

Nur ein überraschend schnell eintretender Zusammenbruch der russischen Widerstandskraft könnte es rechtfertigen, beide Ziele gleichzeitig anzustreben.

Bei der südlich der Pripjet-Sümpfe angesetzten Heeresgruppe ist der Schwerpunkt im Raum von Lublin in allgemeiner Richtung Kiew zu bilden, um mit starken Pz. Kräften schnell in die tiefe Flanke und den Rücken der russischen Kräfte vorzugehen und diese dann im Zuge des Dnjepr aufzurollen.

Sind die Schlachten südlich bzw. nördlich der Pripjet-Sümpfe geschlagen, ist im Rahmen der Verfolgung anzustreben:


im Süden die frühzeitige Besitznahme des wehrwirtschaftlich wichtigen Donez-Beckens,

im Norden das schnelle Erreichen von Moskau.


Die Einnahme dieser Stadt bedeutet politisch und wirtschaftlich einen entscheidenden Erfolg, darüber hinaus den Ausfall des wichtigen Eisenbahnknotenpunktes.

gez. Adolf Hitler.

გეგმა „ბარბაროსა“



გეგმა „ბარბაროსას“ მიხედვით ვერმახტის ძალების სტრატეგიული გაშლა 1941 წლის 21 ივნისის მდგომარეობით



ძალთა თანაფარდობა და „ბარბაროსას“ გეგმით განსაზღვრული გერმანელთა სტრატეგიული დარტყმების მთავარი მიმართულებები



გერმანული ტანკი Pz.IV Ausf.D. მე-ნ სატანკო დივიზიიდან. ოპერაცია „ბარბაროსას“ დაწყების მომენტისათვის ვერმახტს გააჩნდა ამ ტიპის 436 ტანკი



საიერიშო ქვემეხი StuG III 191-ე დივიზიონიდან. 1941 წლის 1-ლი ივნისისათვის, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ, ვერმახტს გააჩნდა ამ ტიპის 250 საიერიშო ქვემეხი



გერმანელების „ლოჯისტიკური სიახლე“ – საწვავის ბილონების მომზადება



ოპერატიული ვითარების განხილვა და საბრძოლო ბრძანების პირად შემადგენლობამდე დაყვანა ერთ-ერთ გერმანულ ნაწილში უშუალოდ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ



საბჭოთა საველე რეაქტიული არტილერიის სისტემა BM-13 – „კატეუშა”



„კათიუშების” დივიზიონი მოქმედებაში



ლეგენდარული საბჭოთა ტანკი T-34



T-34-ების ოჯახი. ქარხანა №183-ში წარმოებული საბჭოთა ტანკები. მარცხნიდან მარჯვნივ: A-8 (BT-7M), A-20, 1940 წლის ნიჟუშის T-34 JI-11 ქვემეხით, 1941 წლის ნიჟუშის T-34 Φ-34 ქვემეხით



КВ (Клим Ворошилов) სერიის საბჭოთა მიმე ტანკები КВ-1 (მარცხნივ) და КВ-2



1941 წლის ზაფხულისათვის საბჭოელთა ყველაზე მასობრივ ტანკს ბრიტანული Vickers Mk E-ის საბჭოური ვარიანტი, T-26 მსუბუქი ტანკი წარმოადგენდა, რომლის წარმოების ლიცენზიაც საბჭოელებმა 1930 წელს შეისყიდეს, ხოლო შეიარაღებაში იგი ერთი წლის შემდეგ, 1931 წელს იქნა მიღებული



გენერალი ვალტერ მოდელი (მარცხნივ) და გენერალი ჰაინც გუდერიანი ოპერაცია „ბარბაროსას“ პირველ დღეებში

World War II Multimedia Database
www.worldwar2database.com



გენერალ-ფელდმარშალი ერიხ ფონ მანშტეინი (მარჯვნივ) და გენერალი ერიხ ბრანდენბერგერი ოპერაცია „ბარბაროსას“ პირველ დღეებში

§5.6. მოსკოვის კარიბჭემდე

(საბჭოთა კავშირი, 1941 წლის 22 ივნისი – 31 დეკემბერი)

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სტალინიც იმავე შეცდომას უშვებს გერმანელებთან მიმართებაში, რაც ჰიტლერმა დაუშვა საბჭოელებთან მიმართებაში – იგი გადაჭარბებულად აფასებს საკუთარ უნარსა და შესაძლებლობებს და სათანადოდ ვერ აფასებს მოწინააღმდეგეს. ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ ნათლად დაადასტურა, რომ მისი დიქტატორული ვარაუდი, თითქოს შეძლებდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შემოჭრილი გერმანული არმიების გართულებების გარეშე უკუგდებას და განადგურებას, არასწორი აღმოჩნდა.

გერმანელთა საომარი კამპანიის დაწყებიდან სულ რაღაც რვა დღეში მინსკი სრულ ბლოკადაში მოექცა. ოპერაცია „ბარბაროსას“ აღსრულება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ვერმახტის არმიათა ჯგუფი „ცენტრი“ საოცარი სისწრაფით მიიწევს წინ. იგი ანადგურებს 30 საბჭოთა დივიზიას, ტყვედ იყვანს 290 ათას საბჭოთა ჯარისკაცს და ხელში იგდებს 2500 ტანკსა და 1400 ქვემეხს.

არმიათა ჯგუფი „სამხრეთი“ ასეთივე წარმატებით მიიწევს წინ. ამ მიმართულებაზე, მიუხედავად სიცხისა, გერმანული ტანკები ასევე შეუჩერებლად გადაადგილდებიან ხორბლის, სიმინდისა და მზესუმზირის ყანებში. საბჭოელები გარბიან ან ტყვედ ბარდებიან, ისინი ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ უწევენ ვერმახტის დივიზიებს. უკრაინის სოფლებში შესულ გერმანულ ჯარისკაცებს გლეხები როგორც განმათავისუფლებლებს, ისე ეგებებიან და პურითა და მარილით ხვდებიან მათ.

ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც იგივე სურათია – მოსახლეობა გერმანულ ჯარისკაცებს ყვავილებს ესვრის. როცა ჰოპნერის²⁷⁵ სატანკო ჯგუფი²⁷⁶ გადაკვეთს ძველ ლატვია-რუსეთის საზღვარს და გაარღვევს სტალინის ხაზს,²⁷⁷ ჰოპნერი აპირებს პირდაპირ დაესხას თავს ასოთხმოცი კილომეტრით დაშორებულ ლენინგრადს. მაგრამ მის შეტევას აჩერებენ, რათა ლენინგრადი ბლოკადაში მოაქციონ და დაამშონ. ამ დროს კი, გენერალ დიტლის²⁷⁸

²⁷⁵ ერის ჰოპნერი (გერმ. Erich Hoepner) (1886-1944წ.წ.) – გერმანელი მხედართმთავარი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ვერმახტის გენერალ-პოლკოვნიკი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1905 წელს. მსახურობდა კავალიერაში. 1914 წლიდან ობერ-ლეიტენანტია. 1915 წელს ენიჭება როტმისტრის წოდება. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოებულ იქნა ორი ორდენით და ორივე ხარისხის რკინის ჯვრით. I მსოფლიო ომის შემდეგ მსახურობდა რაიხსვერში. 1930 წელს ინიშნება პოლკის მეთაურად. 1933 წელს ენიჭება პოლკოვნიკის, ხოლო 1936 წელს – გენერალ-მაიორის წოდებები. მსახურობს I-ლი საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობაზე. 1938 წლიდან კორპუსის სარდალია. 1939 წელს ენიჭება კავალიერიის გენერლის წოდება. II მსოფლიო ომის საფრანგეთის წარმატებული კამპანიის შემდეგ ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. 1941 წლის თებერვლიდან მე-4 სატანკო ჯგუფის სარდალია. მოსკოვის ოპერაციის შემდეგ მოხსნილ იქნა თანამდებობიდან და გაყვანილ იქნა თადარიგში. სიკვდილით იქნა დასჯილი ჰიტლერის წინააღმდეგ 1944 წლის 20 ივლისს განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით.

²⁷⁶ „ჰოპნერის სატანკო ჯგუფი“ ფორმირებულ იქნა 1941 წლის თებერვალში მე-16 მოტორიზებული კორპუსისგან, როგორც მე-4 სატანკო ჯგუფი. მისი პირველი სარდალი იყო გენერალ-პოლკოვნიკი ერის ჰოპნერი. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის კამპანიის დროს ჩართული იყო არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთის“ შემადგენლობაში. მონაწილეობდა ლენინგრადის მიმართულებაზე წარმოებულ ბრძოლებში. 1941 წლის სექტემბერში გადაყვანილ იქნა არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ შემადგენლობაში მოსკოვზე შეტევითი მოქმედებების საწარმოებლად. 1942 წლის ანვარში ჯგუფს გადაერქვა სახელი და ეწოდა მე-4 სატანკო არმია. მისი პირველი სარდალი იყო გენერალ-პოლკოვნიკი ჰერმან ჰოტი. 1942 წლის მაისში მე-4 სატანკო არმია მონაწილეობდა ხარკოვის, მოგვიანებით კი, ვორონეჟისა და დონის როსტოვისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

²⁷⁷ „სტალინის ხაზი“ (რუს. Линия Сталина, გერმ. Die Stalinlinie) – 1930-იან წლებში საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრის გასწვრივ კარელიის ყელიდან შავი ზღვის სანაპიროებამდე აგებული გამაგრებული რაიონებისაგან შემდგარი ხაზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო საბჭოური დასახელება. სტრატეგიული დანიშნულების ეს თავდაცვითი სისტემა საბჭოთა კავშირში არასდროს არ იწოდებოდა „სტალინის ხაზად“. ამ ტერმინს დასავლური წარმომავლობა აქვს. თავდაპირველად გამაგრებული რაიონების რაოდენობა 13 იყო, შემდეგ მათ კიდევ 8 დაემატა.

²⁷⁸ ედუარდ დიტლი (გერმ. Eduard Dietl) (1890-1944წ.წ.) – გერმანელი ოფიცერი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ვერმახტის გენერალ-პოლკოვნიკი, რაინდის ჯვრისა და სხვა საბრძოლო ჯილდოების კავალერი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1909 წელს. I მსოფლიო ომის დაწყებისას დაინიშნა ბავარიის მე-5 ქვეითი პოლკის ბატალიონის შტაბის ადიუტანტად. ორჯერ მძიმედ დაიჭრა, დაჯილდოებული იყო I-ლი და მე-2 ხარისხის რკინის ჯვრებით. I მსოფლიო ომის შემდეგ სამსახური გააგრძელა რაიხსვერში. 1919 წლიდან კაპიტანია. 1924-1928 წლებში სამხედრო

სამთო-მსროლელთა შენაერთი²⁷⁹ გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებს და ამაოდ ცდილობს 29 ივნისს დაიკავოს მურმანსკის²⁸⁰ მნიშვნელოვანი ნავსადგური. ეს ქალაქი მთელი ომის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ხელში დარჩება, ასე რომ, დასავლეთელი მოკავშირეები სწორედ ამ ნავსადგურით მოამარაგებენ საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი შეიარაღებით, აღჭურვილობითა და სამხედრო ტექნიკით. თუმცა, ამავე დროს, ფელდმარშალი მანშტეინი იღებს ბრძოლას ილმენის ტბასთან – ნოვგოროდი ეცემა.

გერმანელთა სტრატეგიული შეტევის ცენტრში გერმანული შენაერთების კონცენტრაცია იზრდება. მათი მიზანი სმოლენსკია, ქალაქი, რომელიც ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთზე შეტევების ისტორიაში. ყველა დამპყრობელი, რომელიც მოსკოვისკენ ისწრაფოდა, თვით ნაპოლეონ ბონაპარტეც კი, ამ ადგილას შეჩერდა. ისტორია ისევ მეორდება. ამ მიმართულებაზე გერმანულმა სატანკო და ქვეითმა დივიზიებმა მოახდინეს დნეპრის ფორსირება და ალყაში მოაქციეს სმოლენსკი, რომელიც 16 ივლისს აიღეს.

საბჭოთა მთავრობა რამდენიმე კვირის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდა მისი დაკარგვის ამბავს. მოგილიოვის, სმოლენსკისა და იაროსლავლის სააღყო ბრძოლებში რუსი ტყვეების რაოდენობა იზრდება – მხოლოდ არმიათა ჯგუფი „ცენტრი“ 650 ათასზე მეტ საბჭოთა ჯარისკაცს იყვანს ტყვედ. ახლა მოსკოვი უკვე სერიოზული საფრთხის წინაშე დგება. სტალინი დარწმუნებულია იმაში, რომ რუსეთის დედაქალაქი გერმანელთა შემდგომი შეტევების მთავარი სამიზნეა. ნაპოლეონისეული მარშრუტის გასწვრივ გერმანელთა გაბედული გადაადგილება იმაზე მიუთითებს, რომ ჰიტლერიც კორსიკელის კვალს მიჰყვება. მთელი მსოფლიო მოსკოვის მოკლე დროში აღებას ელოდება. ამიტომ სტალინი შლის საბჭოთა ცენტრალურ ფრონტს, რომელიც ორი არმიით იცავს უკრაინას ჩრდილოეთიდან დაწყებული შეტევისგან და იგი ცენტრში გენერალ ერიომენკოს²⁸¹ დაქვემდებარებაში გადაჰყავს. მას სურს, რომ ბრიანსკის რაიონში სწრაფად შექმნას თავდაცვის ფრონტი მოსკოვის დასაცავად. ასეთი გაძლიერებული ძალებით ელოდება ერიომენკო გერმანელთა შეტევას. მაგრამ მისი მოლოდინები არ მართლდება. სტალინი შეცდა თავის გათვლებში. დრო გადის, გერმანელები კი არ მოდიან, ისინი არსად ჩანან.

სასწავლებლის ინსტრუქტორ-მასწავლებელია. 1928 წელს ინიშნება მე-19 ქვეითი პოლკის ბატალიონის შტაბის უფროსად. 1935 წელს ინიშნება 99-ე სამთო პოლკის მეთაურად და შესაბამისად ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1938 წელს ინიშნება მე-3 სამთო დივიზიის მეთაურად და ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. II მსოფლიო ომის ნორვეგიის კამპანიის დროს, 1940 წლის აპრილში ინიშნება საარმიო ჯგუფი „ნარვიკის“ სარდლად და ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. იმავე წლის ივნისში ინიშნება სამთო კორპუსი „ნორვეგიის“ სარდლად. 1940 წლის ივლისისათვის დიტილი პირველი იყო III რაიონში, ვინც დაჯილდოვდა რაინდის ჯვრის მუხის ფოთლებით. სპეციალურ საბრძოლო მოქმედებებში მიღწეული წარმატებისათვის იღებს სამთო ჯარების გენერლის წოდებას. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ინიშნება მე-20 სამთო არმიის სარდლად, რომელიც ევემა „ბარბაროსას“ ფარგლებში არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთში“ იქნა ჩართული. 1942 წელს ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. დაიღუპა 1944 წლის 23 ივნისს, ავიაკატასტროფაში.

²⁷⁹ სამთო კორპუსი „ნორვეგია“ (გერმ. Gebirgs-Korps Norwegen) – ფორმირებულ იქნა II მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, 1940 წლის 1 ივლისს. 1941-1942 წლებში იბრძოდა საბჭოთა კავშირში, იმიერპოლარეთში, მურმანსკის მიმართულებაზე. 1942 წლის ნოემბერში გადაერქვა სახელი და ეწოდა მე-19 სამთო კორპუსი.

²⁸⁰ მურმანსკის ნავსადგურის მთავარი ღირებულება ის იყო, რომ იგი წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ერთადერთ გაუყენავ ნავსადგურს ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის აკვატორიაში.

²⁸¹ ანდრეი ივანოვიჩი ერიომენკო (უკრ. Андрій Іванович Єрмоєнко) (1892-1970წ.წ.) – უკრაინელი წარმომავლობის საბჭოთა მხედართმთავარი, I მსოფლიო ომის, რუსეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი 1944 წლიდან და საბჭოთა კავშირის მარშალი 1955 წლიდან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი 1956-1970 წლებში. 1913 წლიდან სამხედრო სამსახურშია. I მსოფლიო ომში იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთისა და რუმინეთის ფრონტებზე. საბჭოთა არმიაში შევიდა 1918 წელს. რუსეთის სამოქალაქო ომში იბრძოდა ბუდიონის I-ლი საკავალერიო არმიის შემადგენლობაში. II მსოფლიო ომში ეკავა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობები, სარდლობდა არმიებს და ფრონტებს. ომის შემდეგ, 1945-1946 წლებში, იყო კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის სარდალი, 1946-1953 წლებში – დასავლეთ ციმბირის სამხედრო ოლქის სარდალი, 1953-1958 წლებში კი – ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი. 1955 წლის II მარტს, ხუთ სხვა გენერალთან ერთად მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. 1958 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექტორების ჯგუფის ინსპექტორი. ერთ-ერთი პირველი საბჭოთა მარშალი, რომელმაც დაიწყო თავისი მეზუარების გამოქვეყნება.

საქმე იმაშია, რომ მოსკოვის მიმართულებაზე წინსვლის ნაცვლად, ჰიტლერი ყველასთვის მოულოდნელად დარტყმის მთავარ მიმართულებას ცვლის. მას ყურადღება სამხრეთის მიმართულებაზე გადააქვს, ამ მიმართულებაზე ახდენს ძალების კონცენტრაციას და გერმანული შენაერთებიც უკრაინას უტყვენ.²⁸²

ჰიტლერმა ჯერ კიდევ 19 ივლისს გასცა თავის გენერლებს №33 განკარგულება, რომელშიც ნაბრძანები იყო არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ დანაწილება – მას დიდი ძალები უნდა გადაეცა „სამხრეთისა“ და „ჩრდილოეთის“ არმიათა ჯგუფებისთვის. ამ განკარგულების თანახმად უპირატესობა ლენინგრადისა და უკრაინის მიმართულებებს ენიჭებოდათ. 23 ივლისს ჰალდერი და ბრაუხიჩი შეეცადნენ ჰიტლერის გადარწმუნებას. ისინი ღრმად იყვნენ იმაში დარწმუნებულები, რომ მოსკოვი იყო საკვანძო პუნქტი არა მარტო ჩრდილოეთისა და სამხრეთის შორის, არამედ ძირითადი სტრატეგიული მიზანი რუსეთის ევროპულ და აზიურ ნაწილებს შორისაც. მათი აზრით, იმ ადგილას, სადაც მოწინააღმდეგემ თავისი უკანასკნელი ძალები შეკრიბა, საჭირო იყო გადამწყვეტი და დამანგრეველი დარტყმის მიყენება. „მოსკოვი ჩემთვის მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა“, – პასუხობს ჰიტლერი. ის ბრძანებს ქალაქზე მხოლოდ სამხედრო-საჰაერო ძალების მასირებულ შეტევას, რომელიც 21 ივლისს იწყება. მაგრამ ეს საჰაერო დარტყმები ნაკლებად ეფექტურია, მათი შედეგები არ შეესაბამება ჰიტლერის მოლოდინებს.

4 აგვისტოს ჰიტლერი მოულოდნელად მიფრინავს არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ შტაბში და სათათბიროდ იწვევს არმიების ყველა სარდალს. იგი თვითოეულ მათგანს ეკითხება შემდგომი ოპერაციების ამოცანებისა და მიზნების შესახებ. ყველას ერთი და იგივე აზრი აქვს – მოსკოვი! ჯარისკაცებიც იმავეს ფიქრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მოპირდაპირე მხარის წინააღმდეგობა ძლიერდება, ბრძოლაში ერთგებიან ახალი საბჭოთა ტანკები და ქვემეხები და სტალინიც მოუწოდებს თავის ჯარს გაანადგურონ ყველაფერი, რასაც კი შეხვდებიან შეტევაზე გადმოსული გერმანული არმიების გზაზე. გერმანელთა საბრძოლო სულისკვეთება მაინც ისეთივეა, როგორც ეს ადრე იყო. ისინი საბრძოლველად არიან მომართულები და თავიანთ ტანკებსა და სატვირთო ავტომობილებზე წარწერებს აკეთებენ: „მოსკოვისაკენ!“ მაგრამ ამ საერთო განწყობების ფონზე ჰიტლერი მაინც არ იცვლის საკუთარ აზრს.

23 აგვისტოს ჰალდერი არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ სარდალის, ფელდმარშალ ფონ ბოკის შტაბს ჰიტლერის გადაწყვეტილებას აცნობებს. არც მოსკოვი, და არც ლენინგრადი, არამედ – უკრაინა! ჰიტლერს უკრაინის დაპყრობა არა მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებების გამო სურს. იგი შეტევითი მოქმედებების სტრატეგიის ცვლილებით მთელი კამპანიის ელვისებურად დასრულებას ისახავს მიზნად. მისი გენერლები ვერ ხვდებიან ჰიტლერის განზრახვას და არასწორად მიიჩნევენ მას.²⁸³ ჰიტლერი არღვევს ომის

²⁸² სტალინი დარწმუნებული იყო იმაში, რომ გერმანელთა შეტევითი მოქმედებების მთელი აქცენტი მოსკოვის მიმართულებაზე იქნებოდა გაკეთებული. მის ამ მოსაზრებებს საბჭოთა დაზვერვის მონაცემებიც ადასტურებდნენ. 1941 წლის აგვისტოს დასაწყისში მოსკოვში მოვიდა შვეიცარიაში მოქმედი საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტის, შანდორ რალოს შეტყობინება იმის შესახებ, რომ გერმანელები ამზადებდნენ მოსკოვზე დარტყმას ბრიანსკის გავლით. ეს შეტყობინება ნამართლეს შეესაბამებოდა, რადგან იმ მომენტისათვის გერმანელთა სახმელეთო ჯარების სარდალობის ჩანაფიქრი მართლაც ასეთი იყო. ამიტომ, სტალინმა მძლავრი თავდაცვითი პოზიციების მოწყობა სწორედ ამ მიმართულებაზე მოახდინა. მაგრამ სტალინი შეცდა. სტალინმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა იმის შესახებ, რომ 21 აგვისტოსათვის ჰიტლერმა უეცრად შეცვალა სარდალობის გეგმა, თავისი ჯარების სტრატეგიული შეტევის მიმართულება არმიათა ჯგუფი „სამხრეთისაკენ“ გადაიტანა და გამოსცა ღირექტივა არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ გარკვეული მსხვილი საჯარისო შენაერთების სამხრეთის მიმართულებაზე გადაყვანის შესახებ.

²⁸³ 1941 წლის 21 აგვისტოს ჰიტლერი ხელს აწერს ღირექტივას, რომლის ძალითაც არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ შენაერთების ნაწილი უნდა შებრუნებულიყო სამხრეთისაკენ და არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ შენაერთებთან ერთად გაენადგურებინათ საბჭოელთა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი და მასში შემავალი შენაერთები. ღირექტივაში ნათქვამი იყო, რომ „ზამთრის დადგომამდე შეტევითი მოქმედების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს არა მოსკოვის, არამედ ყირიმისა და დონეცკის ქვანახშირის რაიონების დაპყრობა, აგრეთვე კავკასიიდან რუსული ნავთობის ტრანსპორტირების გზების ბლოკირება“. 23 აგვისტოს ვერმანეთის სახმელეთო ჯარების გენშტაბის უფროსმა, გენერალმა ფრანც ჰალდერმა თავად მიიტანა ეს ღირექტივა არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ შტაბში. ამ ღირექტივის შინაარსმა შტაბსა და შენაერთების სარდალობებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით აღშფოთდა მე-2 სატანკო ჯგუფის სარდალი, გენერალი ჰაინც გულდერიანი, რადგან ერთ-ერთი სწორედ მისი შენაერთი უნდა

წარმოების ყველა ძირითად სტრატეგიულ წესს, რას გულისხმობს დარჩეს ოპერაციის საერთო გეგმის ერთგული და მთელი ძალისხმევა მოწინააღმდეგის ძირითადი რაიონის წინააღმდეგ მიმართოს.

გენერალური შტაბის ოფიცრები მოსკოვზე უარის თქმას მთელი კამპანიისა და ჯარების მართვის უდიდეს შეცდომად აფასებენ. ფონ ბოკის ჯარები სამასი კილომეტრით უფრო წინ მიიწევენ ცენტრისაკენ, ვიდრე რუნდშტელტის ჯარები სამხრეთით. ისინი რუსული დაჯგუფების ფლანგისაკენ მიემართებიან. გუდერიანისა და კლაისტის ტანკები იწყებენ ამ ომის ყველაზე მნიშვნელოვან სააღყო ბრძოლას.²⁸⁴ ისინი კიევთან ორმაგი გარშემორტყმით ემუქრებიან ულვაშა საბჭოთა მარშლის – ლეგენდარული ბუდიონის²⁸⁵ ერთმილიონიან საარმიო დაჯგუფებას. ბუდიონი ხვდება საფრთხის მიახლოებას და ცდილობს 2400 ტანკით, მათ შორის უამრავი T-34-ით, თავიდან აიცილოს ორმაგი გარშემორტყმა და უკან დაიხიოს დონეცკისკენ. მაგრამ სტალინი ფიქრობს, რომ მხოლოდ მედგარი ბრძოლითა და პოზიციების შენარჩუნებითა შესაძლებელი გამარჯვების მოპოვება. „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ – ბრძანებს ის მკაცრად და უკრაინის ფრონტზე აგზავნის ყველას და ყველაფერს, რისი მობილიზებაც შეუძლია – ჯარისკაცებს, ტანკებს, მძიმე შეიარაღებას – „მტრის შეჩერება ან სიკვდილი!“

საერთო ჯამში, სტალინს ეს გადაწყვეტილება მილიონ საბჭოთა ჯარისკაცად და მთელი უკრაინის ფასად უჯდება. კიევთან გერმანელები საბჭოთა ჯარებს სტრატეგიულ ქვაბში აქცევენ. ქვაბში მოქცეული რაოდენობრივი უპირატესობის მქონე საბჭოთა ჯარები გერმანელთა ალყის სუსტ რკალს შიგნიდან და გარედან უტევენ ალყის გასარღვევად, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. გერმანელები სამხედრო ხელოვნების ყველა წესის დაცვით მოქმედებენ და წარმატებით ასრულებენ ამ სააღყო ბრძოლას. 19 სექტემბერს კიევი ეცემა. გერმანელებისათვის ყირიმისა და საბჭოთა რურის მხარის, დონეცკის ქვანახშირის აუზისაკენ მისასვლელი გზები იხსნება.

26 სექტემბერს დასასრულისკენ მიმავალი კიევის ბრძოლის გასაოცარი შედეგები ყველა მოლოდინს აჭარბებს და ჩრდილს აყენებს ყოველივეს, რაც კი აქამდე მომხდარა ამ

გადასულიყო სამხრეთის მიმართულებაზე არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ დაქვემდებარებაში. იმავე დღეს გუდერიანი სასწრაფოდ გადაფრინდა მთავარსარდლობის შტაბ-ბინაში და პირადად შეხვდა ჰიტლერს, სადაც იგი მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა გადაერწმუნებინა ჰიტლერი, რომ არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ შეტევითი მოქმედებები ისევ მოსკოვის მიმართულებაზე გაგრძელებულიყო. მაგრამ მისი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, გუდერიანმა ვერ შეძლო ჰიტლერის გადარწმუნება. მეორე დღეს, 24 აგვისტოს, იგი დაბრუნდა თავის საკომანდო პუნქტში და ახალი ოპერაციისათვის დაიწყო მზადება.

²⁸⁴ 1941 წლის აგვისტოსათვის გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას (Oberkommando des Heeres) შემდგომი შეტევითი ოპერაციების გაგრძელების ორი ვარიანტი წარმოუდგა: ან გაგრძელებინა წინსვლა მოსკოვისაკენ (არმიათა ჯგუფი „ცენტრი“), ან გაენადგურებინათ სამხრეთით, კიევის ოლქში გაშლილი საბჭოთა ჯარების დიდი კონტიგენტი. საბოლოოდ, ჰიტლერის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ფონ ბოკის არმიათა ჯგუფი „ცენტრიდან“ არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ გასაძლიერებლად გამოყოფილიყო მე-2 სატანკო ჯგუფი (გენერალი გუდერიანი) და მე-2 არმია (გენერალი ვაისი), რომლებიც უნდა გაგზავნილიყო სამხრეთით, კიევის აღმოსავლეთის მიმართულებაზე, იქ გაშლილი საბჭოთა კონტიგენტის გარშემორტყმისათვის, რასაც უნდა მოჰყოლოდა მათი სტრატეგიულ ქვაბში მოქცევა და სრული განადგურება.

²⁸⁵ სემიონ მისაილოვიჩ ბუდიონი (რუს. Семён Михайлович Будённый) (1883-1973წ.წ.) – ლეგენდარული რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, მეფის რუსეთის არმიის უნტერ-ოფიცერი. რუსეთ-აპოხინის, I მსოფლიო ომის, რუსეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე და მხედართმთავარი. ერთ-ერთი პირველი საბჭოთა კავშირის მარშალი. I მსოფლიო ომში იბრძოდა ჯერ რუსეთის დასავლეთის, ხოლო შემდეგ კავკასიის ფრონტების შემადგენლობაში. 1918 წლის დასაწყისიდან წითელი არმიის რიგებშია, სხვადასხვა საკავალერიო ნაწილებისა და შენაერთების მეთაური. რუსეთის სამოქალაქო ომის ლეგენდარული მეთაური და გმირი, ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი I-ლი ცხენოსანი დივიზიის, შემდეგ კი – I-ლი ცხენოსანი კორპუსის და ცხენოსანი არმიის სარდალი. 1935 წლიდან საბჭოთა კავშირის მარშალია. საბჭოთა კავშირის სამეზის გმირი, ოთხივე ხარისხის გიორგის ჯვრის კავალერი. II მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე სარდლობდა სხვადასხვა არმიებსა და ფრონტებს. 1941 წლის სექტემბერი-ოქტომბერი – სარეზერვო ფრონტი, 1942 წლის აპრილი-აგვისტო – ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულება და ფრონტი. აქ განცილილი მძიმე მარცხების შემდეგ, 1943 წლის იანვრიდან ინიშნება წითელი არმიის კავალერიის სარდალად. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1947-1953 წლებში, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი 1939-1952 წლებში, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და უმაღლესი საბჭოს I-VIII მოწვევების დეპუტატი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრი 1938 წლიდან.

ომში. ეს მართლაც საოცრებაა. მსგავსი მასშტაბის ოპერაცია და მსგავსი მასშტაბის შედეგები კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ ახსოვს. ბრძოლის შედეგები კი მართლაც გამოგნებელია. გაცამტვერდა ხუთი საბჭოთა არმია, ტყვედ ჩავარდა 665 ათასი ჯარისკაცი,²⁸⁶ განადგურდა ან მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდა საბჭოელთა 900 ტანკი და 3718 ქვემეხი.²⁸⁷ ჰიტლერმა, თავისი გენერლების ყველა მოლოდინისა და საპირისპიროდ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა, რამაც თავყანისმცემლების თვალში იგი „ყველა დროის უდიდეს მხედართმთავრად“ აქცია.²⁸⁸ გერმანიის მოსახლეობა მის ტიტულს ხუმრობით „Gröfaz“-ად ამოკლებს.

ახლა ჰიტლერს უკვე შეუძლია იმ საარსებო სივრცის დამკვირდება, რასაც ითხოვდა იგი „ჩემ ბრძოლაში“. იგი საუბრობს იმაზე, რომ გერმანიის ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორია უნდა გაფართოვდეს ურალს იქით სამას კილომეტრ მანძილზე. ხოლო ყირიმი, მხოლოდ გერმანელებით დასახლებული და ბერლინთან მრავალზოლიანი სწრაფი ავტომაგისტრალით დაკავშირებული რეგიონი, იმპერიის რივიერა უნდა გახდეს. კიევთან მოპოვებული უდიდესი გამარჯვება ჰიტლერს იმაშიც არწმუნებს, რომ ბელის ვარსკვლავი მას თან სდევს, ხოლო მოწინააღმდეგე ძალაგამოცლილი და დამარცხების პირასაა მისული. მაგრამ იგი ცდება, თავის ცხოვრებაში ურთულესი გადაწყვეტილებების მიღება ჰიტლერს ჯერ კიდევ წინ ელოდება.

ერთხელ ნაპოლეონმა თქვა, რომ ერთადერთი, რისი უკან დაბრუნებაც არ შეუძლია მხედართმთავარს, ეს არის დრო.²⁸⁹ ის კი გერმანელებს ხელიდან გაურბის და საბჭოელების მოკავშირე ხდება. სექტემბრის დასაწყისში წვიმები იწყება. გზები ატალახებულია, მაგრამ ნამდვილი წვიმებისა და ტალახის პერიოდი, ე.წ. „რუსული რასპუტიცა“ ჯერ კიდევ წინაა. გერმანელებს სმენიათ ამის შესახებ, მაგრამ არც ერთ გერმანელ ოფიცერს არ უნახავს იგი საკუთარი თვალით.

სექტემბრის ბოლოს საბჭოთა ხელისუფლება არ ითვალისწინებს იმას, რომ გერმანელები კიევისთვის ბრძოლის შემდეგ კვლავ დაიწყებენ შემდგომ უდიდეს ოპერაციას. საბჭოთა ხელისუფლებამ იცის, რომ ყოველგვარი მოძრაობის დამაბრკოლებელი წვიმების ყველაზე დიდი პერიოდი დაიწყება არა უგვიანეს ოქტომბრის შუა რიცხვებისა. ამიტომ სტალინი ჰიტლერს საკმაოდ ჭკვიანად მიიჩნევს საიმისოდ, რომ არ აიძულოს თავისი არმია უგზობაში მარშირებისათვის იმ დროს, როცა რუსეთში ნებისმიერი მოძრაობა ჩერდება.

²⁸⁶ 1993 წელს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 1941 წლის კიევის ოპერაციაში საბჭოელთა დანაკარგები ცოცხალ ძალაში, მოკლულების, დაჭრილებისა და უგზოუკვლოდ დაკარგულების სახით 700 ათას კაცზე მეტს შეადგენდა, აქედან 627 ათასი კაცზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა.

²⁸⁷ კიევის ოპერაცია 1941 წლის 23-26 აგვისტოს პერიოდში მიმდინარეობდა და მისი შედეგები საბჭოელებისათვის უმძიმესი იყო. ეს ოპერაცია წითელი არმიის თითქმის მთელი სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის (მე-5, მე-6, 26-ე, მე-12 და სარეზერვო მე-16 და მე-19 არმიები) სტრატეგიულ ქვაბში მოქცევითა და მათი სრული გარშემორტყმით დასრულდა. „კიევის კატასტროფა“, როგორც შემდეგ უწოდეს მას საბჭოელებმა, წარმოადგენდა უპრეცედენტო სტრატეგიული გარშემორტყმის ოპერაციას ომების ისტორიაში, რამეთუ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის პირადი შემადგენლობა (რეზერვის ჩათვლით) 1941 წლის 1 სექტემბრისათვის იყო 850000 კაცი, 3923 ქვემეხი და ნაღმსატყორცი, 114 ტანკი, 167 თვითმფრინავი. ფრონტის პირადი შემადგენლობის და საბრძოლო ტექნიკის უდიდესი ნაწილი გერმანელებმა გაანადგურეს და ტყვედ ჩაიგდეს ან ალაფად მოიპოვეს. კიევის ქვაბიდან საბჭოელების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა შეძლო თავის დაღწევა, მათ შორის სამხედრო საბჭოს წევრებმა, საბჭოთა კავშირის მარშლებმა ბუდიონიმ და ტიმოშენკომ, ასევე საფრონტო კომისარმა ხრუშჩოვმა. ფრონტის სარდალი გენერალი მიხაილ კირპონოსი კი ბრძოლაში დაიღუპა.

²⁸⁸ მოგვიანებით გუდერიანი წერდა: „კიევი ტაქტიკური წარმატების ბრწყინვალე ნიმუში იყო, მაგრამ იყო თუ არა იგი მნიშვნელოვანი სტრატეგიული გამარჯვება – ისევ ღია საკითხად რჩება... ყველაფერი ეხლა იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, მივაღწევდით თუ არა დასახულ მიზანს შემოდგომის წვიმებისა და ზამთრის დადგომამდე...“ „დასახულ მიზანში“ გუდერიანი მოსკოვის აღებას უკლისხმობდა.

²⁸⁹ ნაპოლეონ ბონაპარტე ამბობდა – „საომარი მოქმედებების წარმოებისას დროის დაკარგვა გამოუსწორებელი და უპატივებელი დანაშაულია. სტრატეგია – დროისა და სივრცის გამოყენების ხელოვნებაა. სივრცეში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ყოველთვის შეეძლება, დროის მიმართ კი უძლურები ვართ... მე შეიძლება წავაგო ბრძოლა, მაგრამ არასდროს არ გაუფლანგავ წუთსაც კი. დრო დიდებული ელემენტია წონასა და ძალას შორის...“ ამ სიტყვებში ძალიან კარგად იკითხება დიდი ნაპოლეონ ბონაპარტეს სამხედრო ფილოსოფიის ერთ-ერთი საკვანძო ცნება და მომენტი.

საბჭოთა ხელმძღვანელობის წარმოდგენით, დარჩენილი თოთხმეტი დღე არ არის საკმარისი ჯარების გადაჯგუფებისა და მათი სტრუქტურის შესაცვლელად.

საბჭოელები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ სამხრეთში გამარჯვების შემდეგ გერმანელები მოკლე დროში ვერ შეძლებენ ახალი შეტევის დაწყებას ცენტრში. მაგრამ სტალინი ხელახლა ცდება ანგარიშში, გერმანელები ამას ახერხებენ. და გერმანელების არმიათა ჯგუფი „ცენტრი“, გენერალ-ფელდმარშალ თეოდორ ფონ ბოკის სარდლობით, უდიდესი ძალების თავმოყრის ადგილად იქცევა. ეს არის ქვეითი ჯარის 47 დივიზია, 14 სატანკო დივიზია, 9 მოტორიზებული დივიზია, პოლიციის 6 დივიზია, 1 საკავალერიო დივიზია და სს-ის 1 საკავალერიო ბრიგადა, საერთო ჯამში – მილიონნახევარ ჯარისკაცზე მეტი. მოსკოვზე სტრატეგიული შეტევის ოპერაცია, კოდური დასახელებით „ტაიფუნი“, 2 ოქტომბერს უნდა დაიწყოს. იმავე დღეს მოსკოვში ხელი მოეწერება შეთანხმებას, რომლის ძალითაც სტალინს 1941 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 1942 წლის 1-ლ ივლისამდე პერიოდში დასავლეთელი მოკავშირეები მასშტაბურ დახმარებებს ჰპირდებიან, კერძოდ, – 4000 ტანკს, 3000 თვითმფრინავს, 30000 სატვირთო ავტომობილსა და 100000 ტონა საწვავს.

ჰიტლერის ბრძანება კი, აღმოსავლეთის ფრონტის ჯარისკაცებისთვის იწყება შემდეგი სიტყვებით: „ეს დღე არის ამ წლის უკანასკნელი, უდიდესი გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისი.“ გერმანელები ვარაუდობენ ზამთრის დაწყებას დაახლოებით ექვს კვირაში, ნოემბრის შუა რიცხვებში. ჰიტლერის გათვლით კი, გერმანელი ჯარისკაცები იმ დროისათვის უკვე მოსკოვში, წითელ მოედანზე უნდა იყვნენ.

ფელდმარშალმა ფონ ბოკმა უნდა შეუთიოს ორჯერ უფრო გრძელი ფრონტით, ვიდრე ეს 1940 წლის 12 მაისს, ვერმახტის მიერ დასავლეთში წარმოებული საომარი მოქმედებების დროს იყო. ამის საპირისპიროდ, გზები, რომლებიც მის განკარგულებაშია, ბელგია-საფრანგეთის გზების მთელი ქსელის მეათედს შეადგენს. ამავე დროს, დასავლეთის ფრონტთან შედარებით შემტევი ძალები და საშუალებებიც განსხვავებულია. ამ მასშტაბებისა და თანაფარდობის გათვალისწინებით საფრანგეთისკენ გერმანიის სატანკო დივიზიები გადაადგილდებოდნენ ოთხასი ტანკით, რუსეთისკენ – ორასით. მოსკოვისთვის საბრძოლველად კი, იგი სამოციდან ას ორმოცდაათამდე ტანკით მიემართება. არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ მარცხენა და მარჯვენა ფლანგმა უნდა შეუთიოს მოსკოვს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოვლით, და დაიკავოს ვოლგა გორაკმდე, იმ დროს, როცა ქვეითებმა ალყაში უნდა მოაქციონ და დაიკავონ მოსკოვის ცენტრი.

მოსკოვის ალების ოპერაცია 2 ოქტომბერს იწყება.²⁹⁰ ჰიტლერი დარწმუნებულია, რომ რუსებისთვის ეს შეტევა სრულიად მოულოდნელი იქნება, და გერმანულმა შენაერთებმაც დიდი წარმატებით დაიწყეს შეტევითი მოქმედებების წარმოება. თავდაცვითი საინჟინრო ნაგებობების ზღუდე, რომლებიც აღმართული იყო მოსკოვის რაიონში, გერმანელებმა გაარღვიეს და გადაქელეს. უკვე 3 ოქტომბერს, ჰიტლერი ზამთრის დამხმარე სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში აცხადებს: „მე დღეს აქ წარმოვთქვამ სიტყვას, რადგან ვალდებული ვარ ვთქვა, რომ მოწინააღმდეგე უკვე გატეხილია და ფეხზე ვეღარ წამოდგება!“ 7 ოქტომბერს, შეტევის დაწყებიდან მეხუთე დღეს, პატარა, მწვანე ხეობაში მდებარე ქალაქი ვიაზმა, ოცი ათასი მცხოვრებით, გერმანელების ხელშია. ალყის შემორტყმის შემდეგ, გერმანელთა ტანკები წინ მიიწევენ და მოწინააღმდეგეს ზურგიდანაც უტევენ. გარდა ამისა, ბრიანსკთანაც იქმნება უზარმაზარი ალყა. ყველაფერი ნათელია, გერმანიის ვერმახტმა კიდევ ერთხელ მოიპოვა ძლევა მოსილი გამარჯვება. ვიაზმისა და ბრიანსკის რაიონებში მიმდინარე ორმაგ, ალყის შიდა და გარე რკალში წარმოებულ ბრძოლებში მიღწეული წარმატება უკრაინაში მოპოვებულ გამარჯვებას უტოლდება: ოთხმოცი საბჭოთა დივიზია განადგურებულია, ხოლო 650 ათასი კაცი ტყვედაა

²⁹⁰ მოსკოვზე შეტევის ოპერაციამ მიიღო კოდური დასახელება „ტაიფუნი“. ეს იყო „ბარბაროსას“ შეტევითი ოპერაციის ბოლო, დამაგვირგვინებელი ეტაპი. ოპერაციის დაწყების წინ ჰიტლერი აცხადებდა: „სამთვიანი მზადების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მოგვეცა საშუალება გავანადგუროთ მტერი ზამთრის დადგომამდე. ყველა საჭირო საშუალები გავლილია... დღეს წლის ბოლო ბრძოლა დაიწყო...“

აყვანილი. თითქოს ყველაფერი ნათელია და მოვლენებიც ისე ვითარდება, რომ გერმანელების შეჩერებას უკვე ვეღარაფერი შეძლებს.

ოქტომბრის შუა რიცხვებში მოსკოვი პანიკამ მოიცვა. მიუხედავად ინფორმაციის გავრცელებაზე დაწესებული მკაცრი ცენზურისა, მაინც ვერ ხერხდება იმის დამალვა, რომ მთავრობა და დიპლომატიური კორპუსი მოსკოვიდან აღმოსავლეთით, ცხრაასი კილომეტრით დაშორებულ ქალაქ კუიბისევეში გადავიდა. სტალინი კი, კრემლში რჩება. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთავრობის, ხელისუფლების ორგანოებისა და პარტიის სამსახურების სასწრაფო ევაკუაცია იმაზე მიუთითებს, რომ დასასრული ახლოსაა. ქალაქში იწყება ბუნტი, ძარცვა-გლეჯვა და მილიციასთან შეტაკებები. სიმშვიდე მხოლოდ მაშინ ისადგურებს, როცა ქალაქში ჯარები შედიან და საგანგებო მდგომარეობა ცხადდება. მარშალ ტიმოშენკოს მარშალ ჟუკოვით ცვლიან – ეს ის ჟუკოვია, რომელიც, სამხანგვარი წლის შემდეგ, 1945 წლის 8 მაისს, ბერლინ-კარსლჰორსტში მიიღებს გერმანიის იმპერიის კაპიტულაციას.²⁹¹

მოსკოვის მოსახლეობა სავლელ სამუშაოებზე გაჰყავთ. მათ აიძულებენ დედაქალაქის გარშემო ტანკსაწინააღმდეგო თხრილებისა და დაბრკოლებათა ზოლის გაყვანას. მოსკოვის გარშემო არსებულ ტყეებსა და მინდვრებს კი, ნაღმავენ. რუსეთის რადიო 1812 წლის პატრიოტულ ლოზუნგებს იხსენებს და ცდილობს მოსახლეობაში იმედი დათესოს. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთისკენ მიმავალი ქალაქის ქუჩები დევნილებითაა სავსე. ჰიტლერი, ისევე როგორც ლენინგრადის შემთხვევაში, უარს ამბობს მოსკოვის კაპიტულაციაზე. მას უნდა, რომ მოსახლეობა დაამშოოს და დაბომბვებით აიძულოს ქალაქიდან გაქცევა. ჰიტლერს სურს მოსკოვში მაშინ შევიდეს, როდესაც ქალაქი სრულიად დაცარიელდება. ამის შემდეგ კი, მთელი კრემლი უნდა ააფეთქონ. მაგრამ თავის ჩანაფიქრში ჰიტლერი ისევე მწარედ ცდება. ისტორია სულ სხვაგვარად განსჯის და შემდგომი მოვლენებიც სულ სხვანაირად განვითარდება.

ერთი რუსული ანდაზა შემდეგნაირად ჟღერს: „შემოდგომაზე წყლით სავსე კოვზი ერთ ვედრო ტალახს გვაძლევს.“ 10 ოქტომბერს იწყება წვიმები, რომელსაც პირველი თოვლიც ერევა. მდინარეები ნაპირებიდან გადმოდიან, ძლიერი წყალდიდობები კი დაუძლეველ დაბრკოლებებს ქმნიან. ეს რუსული „რასპუტიცაა“. გაუვალ გზებზე სატრანსპორტო საშუალებები ბორბლებით ღერძამდე ეფლობიან, ხოლო ცხენები – მუცლამდე. მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები და მუხლუნა ტრაქტორები, რომელსაც მათი ამოყვანა შეუძლია, გერმანელებს არა აქვთ. გერმანელთა ჯარი ნახევარი მილიონი სატრანსპორტო საშუალებიდან უმოკლეს დროში თითქმის ერთ მესამედს, 150 ათასს კარგავს. მთელი შეტევა ჩერდება ამ „რასპუტიცაში“. მოსკოვთან მიახლოება რთულდება. ეს ნიშნავს „სრულ გაჩერებას“ – მორებისგან სწრაფად აშენებული გზები ტალახში იძირება, თვით მოსკოვისკენ მიმავალი „ავტოსტრადის“ გამოყენებაც კი შეუძლებელია. ჯარების ყოველგვარი მომარაგება წყდება. დღის განმავლობაში ჯარისკაცები პურსაც კი ვეღარ იღებენ და იძულებულები არიან იმ მცირედი საკვებით დაკმაყოფილდნენ, რასაც სოფლებში მოიპოვებენ. მათი ფეხსაცმელები გაცვეთილია, თხელი საზაფხულო ფორმები – გაჭუჭყიანებული. ირგვლივ ყველაფერი განადგურებული და გაპარტახებულია. სახლების უმეტესობა დამწვარია, ფაბრიკები და ქარხნები – დაცარიელებული, ხიდები აფეთქებული და სილოსის ბუნკერები – დანგრეული.²⁹²

²⁹¹ აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს ჟუკოვის სამხედრო წოდებასთან დაკავშირებით. არმიის გენერალმა გიორგი კონსტანტინოვიჩ ჟუკოვმა საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება 1943 წელს მიიღო. ასე რომ, 1941 წლისათვის, ოპერაცია „ტაიფუნის“ მსვლელობისას, იგი ჯერ კიდევ არმიის გენერალი იყო.

²⁹² აქ საუბარია უკანდახეული საბჭოელების მიერ გატარებულ ე.წ. „გადამწვარი მიწის სტრატეგიაზე“, რაც კაცობრიობისათვის უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ეს სტრატეგია თავის თავში მოიცავს თავდაცვაში მყოფი და უკანდახეული მხარის მიერ ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამოქალაქო, სატრანსპორტო და ყველა სხვა სახის ობიექტების სრულ და ფართომასშტაბიან განადგურებას, რათა იგი არ მოხვდეს მოწინააღმდეგის ხელში. „დიდი სამამულო ომის“ საწყის ეტაპზე, 1941 წლის 3 ივლისს, სტალინის ცნობილ სიტყვით გამოსვლაში, რომლითაც მან საბჭოთა ხალხს მიმართა, ნათქვამი იყო:

„წითელი არმიის იძულებითი უკანდახევისას საჭიროა თან წავიყვანოთ სარკინიგზო საშუალებების მთელი შემადგენლობები და არ უნდა დაუტოვოთ მტერს არც ერთი ორთქლმავალი, არც ერთი ვაგონი. არ უნდა დაუტოვოთ

ახლა გამოაშკარავდება გერმანელების კიდევ ერთი შეცდომა. მათ სერიოზულად არ აღიქვეს პარტიზანების შეტევები. ვერავინ შეძლებდა იმის წარმოდგენას, რომ პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა ნამდვილი ომის ფორმასა და მასშტაბებს მიიღებდა. პარტიზანთა განუწყვეტელი თავდასხმები ჩასაფრებიდან და დივერსიის აქტები მუდმივ საფრთხედ იქცევა გერმანელებისათვის. ამის აღსაკვეთად კი, გერმანელებს რეზერვიც არა ჰყავთ გამოყოფილი, ყველა დივიზია წინა ხაზზე დგას. სრულიად დაქანცულები ელოდებიან პირველი ყინვების დადგომას, ელოდებიან იმას, რომ ნიადაგი გამაგრდეს და კვლავ შეძლონ მოსკოვისაკენ გადაადგილება.

ამ წელს ძალიან ადრე იწყება ყინვები. ტემპერატურა სწრაფად ეცემა მინუს 15 გრადუსამდე. 1941 წლის 17 ნოემბერს, ზამთრის უღრუბლო დღეს, მოსკოვზე შეტევა ახლდება. 20 ნოემბერს ძლიერი თოვა იწყება. მოკლე დროში ტემპერატურა მინუს 30 გრადუსამდე ეცემა, დეკემბრის დასაწყისში კი – მინუს 40 გრადუსამდე. რუსული ზამთარი უჩვეულოდ ადრე და მთელი სიძლიერით იწყება. უკიდურესად მკაცრი და ცივი ზამთარი დგება, რომლის მსგავსიც დიდი ხანია ქვეყანას აღარ უნახავს.

წითელი არმიის ჯარისკაცებისათვის კი, უჩვეულოდ არ არის რუსული ზამთარი. მათ დაბამბული ქურთუკები და სქელი თექის ჩექმები აცვიათ, კარგად იციან თხილამურებზე სრიალი და თოვლსა და ყინულზე ბრძოლის წესები. ამ დროს კი, ათასობით გერმანელი ჯარისკაცი ზაფხულის ფორმაში იყინება. თვით ხელთათმანები და შარფებიც კი დეფიციტური საქონელია აქ. გერმანელი ჯარისკაცის დაბალყელიანი ჩექმები, დაღურსმული ლანჩით ისე ზუსტად არის მორგებული, რომ მოყინვა გარანტირებულია. რუსი ჯარისკაცი, უკვე დიდი ხანია იღებდნენ ერთი ზომით დიდ ჩექმებს, რათა ზამთარში შესაძლებელი ყოფილიყო შიგნით ჩალის ან გაზეთის ფურცლების ჩაფენა. გერმანიაშიც ხალხმა შალისა და თბილი ტანსაცმლის შეგროვება დაიწყო აღმოსავლეთის ფრონტის ჯარისკაცებისათვის, მაგრამ ეს ზომები დაგვიანებულია.

დიდი ყინვების გამო გერმანულ ტანკებსაც აღარ შეუძლიათ გადაადგილება. საოცარი რამ ხდება, რომლის მსგავსიც აქამდე გერმანელ ჯარისკაცს არ უნახავს და არც გაუგონია. ტანკის მუხლუხები ყინულის ლოდებად გადაიქცა, ძრავში კი ზეთი გაიყინა, ასევე გაიყინა საწვავიც. ქვემეხების, ტყვიამფრქვევებისა და ცეცხლმტყორცნი იარაღის გამოყენებაც შეუძლებელი ხდება.²⁹³

5 დეკემბრისათვის გერმანული შენაერთები, რომელსაც მიზანი თვალწინ აქვთ, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, მოსკოვის წინ იყინებიან.²⁹⁴ სადაზვერვო ჯგუფი ხიმკის, მოსკოვის გარეუბნის ტრამვაის სადგურამდე აღწევს. აქედან კრემლამდე სულ რაღაც ოცი კილომეტრიღაა დარჩენილი, ჯარისკაცები დურბინდში მის კომპებსაც კი ხედავენ.²⁹⁵

მტერს არც ერთი კილოგრამი პური, არც ერთი ლიტრი საწვავი. კოლმურნებმა უნდა გადენონ მთელი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, პური უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო ორგანოებს მისი ზურგის რაიონებში გაზიდვის მიზნით. ყველა ფასეული პროდუქტი, მათ შორის ფერადი ლითონები, პური და საწვავი, რომლის გატანაც შეუძლებელია, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში უნდა შეიქმნას ქვეითი და ცხენოსანი პარტიზანული რაზმები, დივერსიული ჯგუფები, რომლებიც იბრძობენ მტრის არმიის ნაწილებთან. ყველგან უნდა გავაჩაღოთ პარტიზანული ომი ხიდებისა და გზების ასაფეთქებლად, ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზების გასანადგურებლად, ტყეების, საწყობებისა და საზიდრების დასაწვავად. მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მოწინააღმდეგეს და მის მხარდამჭერებს უნდა შევუქმნათ არსებობისა და ცხოვრების აუტანელი პირობები. ყოველ ნაბიჯზე უნდა ვივით და გავანადგუროთ ისინი, ხელი უნდა შევუშალოთ მათ მიერ დაგეგმილი ყველა ღონისძიების შესრულებას...”

სწორედ ასეთი სტრატეგიის გატარებასა და ბრძოლის წარმოების მეთოდიკაში მდგომარეობდა „გადამწვარი მიწის სტრატეგიის“ არსი.

²⁹³ ყოველ ჭურვსა და ნაღმს გასროლის წინ ესაჭიროებოდა გაყინული საცხის მოშორება, საათობით გათბობა ჭირდებოდა ტანკებსა და ჯავშანტექნიკას გაშვებამდე.

²⁹⁴ ზოგიერთი მონაცემით, დეკემბრის თვისათვის მოსკოვის მისადგომებთან 130000-ზე მეტ გერმანელ ჯარისკაცს აღენიშნა მოყინვები.

²⁹⁵ ამ მომენტისათვის გენერალი გუდერიანი თავის დღიურში წერდა: „შეტევითი მოქმედებები მოსკოვისაკენ ჩავარდა... ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასეთ მოწინააღმდეგის ძალები, ისევე როგორც მისი სიდიდე და რუსეთის კლიმატი.“

1941 წლის 6 დეკემბერს კი, კვირა დღეს, რუსები კონტრიერიშზე გადადიან. სტალინს ბრძოლაში შეჰყავს ციმბირელები და მონღოლები, ახალი, დასვენებული ძალა, გრძელი ბეწვის მანტოებით, თეთრი შესანიღბი ქურთუკებით, ბეწვის ქუდებითა და ბეწვით დათბილული თქვის ჩექმებით.²⁹⁶ მათი იარაღი ისვრის ზამთრის ზეთის წყალობით, ხოლო მათ T-34-ებს არ უჭირთ მოძრაობა. ისინი გადაადგილდებიან ნაწილ-ნაწილ, უწყვეტ ეშელონებად, პირდაპირ მოსკოვის საწარმოებიდან ბრძოლის ველისაკენ. იმავე დღეს, როდესაც ტემპერატურა მინუს 50 გრადუსამდე ეცემა, „იასნაია პოლიანას“ მიდამოებში, სადაც ტოლსტიომ თავისი უკვდავი „ომი და მშვიდობა“ დაწერა, გენერალ-პოლკოვნიკი გუდერიანი თავის შენაერთს უკან დახევის ბრძანებას გასცემს. მათ ვერ მოახერხეს ქალაქი ტულის, მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ამ ძირითადი საყრდენის ალება. გუდერიანი თავის სარდალს, ფელდმარშალ ფონ ბოკს ტელეფონით ატყობინებს, რომ მისი შენაერთი განადგურების პირასაა და მეტი აღარ შეუძლია. თავის დღიურში იგი წერს: „მოსკოვზე შეტევა ჩაიშალა, ჩვენ მარცხი განვიცადეთ.“²⁹⁷

მოსკოვის ჭიშკართან მისული გერმანელი ჯარისკაცები უკან იხევენ, რუსეთის დედაქალაქის დაპყრობის ოცნება აუხდენელი რჩება. ისინი ტოვებენ ტანკებსა და სატრანსპორტო საშუალებებს, აფეთქებენ მათ და ცოცხალი ძალისა და მატერიალური საშუალებების უდიდესი დანაკარგებით იხევენ უკან, კილომეტრებზე გადაჭიმული ყინულის უდაბნოს გავლით. აქ არ არსებობს იზოლირებული პოზიცია, ყველაფერი გადაშლილი და გაყინულია. ერთადერთი შესაძლო იზოლირებული პოზიცია დვინისა და დნეპრის რაიონში მდებარეობს. ეს კი, ყველაფრის წყალში ჩაყრას და ხუთასი კილომეტრით უკან დახევას ნიშნავს ყინვასა და კატასტროფულ გზებზე. ამის შემდეგ რაღა დარჩება გერმანიის ვერმახტისგან?

ისტორია გვასწავლის, რომ სწორედ ასე დაემართათ ფრანგებს ამ მოვლენებამდე ზუსტად 129 წლით ადრე, 1812 წელს. სწორედ ასეთი უკანდახევისას განადგურდა ნაპოლეონის „დიდი არმია“ – Grande Armée.²⁹⁸

რა თქმა უნდა, ჰიტლერმა ყველაფერი ეს ძალიან კარგად იცოდა. და ალბათ ამაზე ფიქრობდა ფიურერი, როდესაც მან 16 დეკემბერს, რასტენბურგში მოწყობილი თავისი შტაბბინიდან, შემდეგი ბრძანება გასცა: „შეჩერდით! არც ერთი ნაბიჯით უკან!“ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა გერმანულმა შენაერთებმა არც ერთი მტკაველი მიწა არ უნდა დათმონ. ჯარს აიძულეს ფანატიკური წინააღმდეგობა გაეწია საბჭოელებისათვის, რომლებმაც

საბენიეროდ, 5 დეკემბრისათვის მე შევაჩერე ჩემი ჯარების წინსვლა მოსკოვისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებოდით”.

²⁹⁶ მიუხედავად იმისა, რომ გერმანელთა შეტევითი მოქმედებები შეჩერებულ იქნა, გერმანული დაზვერვის მონაცემებით საბჭოელებს აღარ გააჩნდათ რეზერვები კონტრშეტევის დასაწყებად. ეს შეფასება ნაჩქარევი და მცდარი აღმოჩნდა, რადგან სტალინმა შორეული აღმოსავლეთიდან და ციმბირიდან ახალი, კარგად დასვენებული და აღჭურვილი დივიზიები გადმოისროლა. დეკემბრის დასაწყისისათვის მოსკოვთან უკვე თავმოყრილი იყო საბჭოთა ჯარების წარმოდგენილი რაოდენობა – 58 დივიზია. აქ ისევ საბჭოთა დაზვერვამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. საქმე იმაშია, რომ იაპონიაში მყოფი საბჭოთა მზვერავის, ზორგეს მონაცემებით, იაპონია არ აპირებდა საბჭოთა კავშირთან 1941 წლის 13 აპრილს დადებული თავდაუსხმელობის პაქტის დარღვევასა და საბჭოელების წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებას, რამაც სტალინს საშუალება მისცა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქებიდან დასავლეთისა და მოსკოვის ფრონტებზე სასწრაფოდ გადმოესროლა შესაბამისი ძალები. საერთო ჯამში, 1941 წლის დეკემბრის დასაწყისისათვის მოსკოვთან თავმოყრილ იქნა კარგად დასვენებული, მომზადებული და საბრძოლოდ შემართული მილიონ 100000-იანი საბჭოთა საჯარისო კონტიგენტი.

²⁹⁷ ამავე მოვლენების შესახებ გენერალი ჰალდერი თავის დღიურში წერდა: „ფელდმარშალ ფონ ბოკთან გამართული სატელეფონო საუბრისას გუდერიანმა მოგვანახუნა, რომ მისი ჯარების მდგომარეობა მას ძალიან ალელვებს და არაა დარწმუნებული, გაართმევს თუ არა თავს მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯარებში სერიოზული ხასიათის „რწმენის კრიზისი“ შეინიშნებოდა...”

²⁹⁸ ბოლოს და ბოლოს, 1941 წლის 14 დეკემბერს, ჰალდერმა და კლიუგემ ჰიტლერთან შეთანხმების გარეშე ნება დართეს გერმანულ შენაერთებს უკან დაეხიათ მდინარე ოკას დასავლეთ სანაპირომდე. 20 დეკემბერს, ჰიტლერმა გააუქმა ეს გადაწყვეტილება და ჯარებს უბრძანა, შეენარჩუნებინათ მიწის უკანასკნელი გოჯი – „ამითხარონ სანგრები და ტრანშები თუ საჭიროა ჰაუბიცების ნაღმების გამოყენებით...” – ასეთი იყო ჰიტლერის განკარგულება.

ალაგ-ალაგ წინ წამოიწიეს.²⁹⁹ მოგვიანებით გერმანელებმა თითქმის ყველგან მოახერხეს ფრონტის ხაზის შენარჩუნება, რუსეთის მკაცრი ზამთრის ფონზე საბჭოელთა შეტევების მოგერიება და უჩვეულოდ მკაცრი ზამთრის რუსეთში გადატანა. მიუხედავად ამისა, გაცეცხლებული ჰიტლერი ათავისუფლებს ბრაუნინს დაკავებული თანამდებობიდან და თვითონ ხდება ვერმახტის მთავარსარდალი. ფელდმარშალ ფონ ბოკს კი, ფელდმარშალი ფონ კლიუგე ცვლის.³⁰⁰

ჰიტლერის მიერ ჩაფიქრებული გეგმები ვერ შესრულდა. დანაპირებისა და საწინააღმდეგოდ, შობის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე, იმ დროს, როცა გერმანული არმიები უკვე სახლში უნდა დაბრუნებულიყვნენ გამარჯვებულები, ისინი რუსეთის თვალუწვდენელი ტრამალების ყინულსა და თოვლში იბრძვიან გადარჩენისთვის. გერმანელი ჯარისკაცებიც უკვე აღარ ითვლებიან უძლეველებად. ხოლო ჰიტლერის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ევროპის მსგავსად, საბჭოთა რუსეთის დამარცხებაც რამდენიმე თვეში იქნებოდა შესაძლებელი ელვისებური საომარი კამპანიით, დიდი ილუზია აღმოჩნდა.

რეალობა ისაა, რომ მოსკოვთან დამარცხებით, ჰიტლერი პრინციპში მთელ ომს აგებს. მიუხედავად ცენზურის სიფრთხილისა, სამშობლოში გერმანელი მოსახლეობა იგებს მოსკოვთან მომხდარი კატასტროფის შესახებ, წლის ბოლოს კი იმედგაცრუება კიდევ უფრო იზრდება. ვერმახტის უმაღლესი რანგის დამსახურებული გენერლების შეცვლა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ოპერაციების დაგეგმვის, აღსრულებისა და მართვის დროს სწორედ მათ დაუშვეს უამრავი შეცდომა. გებელსი კი, ავრცელებს ლოზუნგებს, რომ განხორციელდა ფიურერის გეგმების საბოლოო გენერლების უუნარობისა და არაკეთილგანწყობილი სურვილების გამო. მაგრამ მომხდარზე პასუხისმგებელი მხოლოდ ჰიტლერია. მან იმ გეგმის შეცვლით, რასაც ოპერაცია „ბარბაროსა“ დასაწყისშივე მოსკოვისათვის მთავარი დარტყმის მიყენებას ითვალისწინებდა, საქმე ჩაფუშა. ჰიტლერის თვითნებურმა გადაწყვეტილებებმა და საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებულად შეფასებამ გერმანელების მოსკოვთან მარცხი განაპირობა.³⁰¹

²⁹⁹ მოსკოვის მისადგომებთან გამართული ორდღიანი ბრძოლების შემდეგ წითელმა არმიამ მცირე უპირატესობა მოიპოვა. მან შეაჩერა გერმანელთა შეტევა მოსკოვზე, დაიბრუნა კრასნაია პოლიანა და რამდენიმე დასახლებული პუნქტი უშუალოდ მოსკოვის ახლოს.

³⁰⁰ მოსკოვთან განცდილი მარცხის გამო, ჰიტლერმა დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლა აგრეთვე გენერლები: ჰაინც გულერიანი – მე-2 სატანკო ჯგუფის სარდალი, ერიხ ჰონერი – მე-4 სატანკო ჯგუფის სარდალი და მე-9 არმიის სარდალი ადოლფ სტრაუსი.

³⁰¹ მოსკოვის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში მიღწეულმა წარმატებამ უდიდესი გავლენა იქონია საბჭოელების შემდგომ საბრძოლო სულისკვეთებაზე – II მსოფლიო ომის მთელი მსვლელობის პერიოდში, ვერმახტი პირველად დამარცხდა. ამით ყველაფერი შეიცვალა – საბჭოელებზე სწრაფი, დამანგრეველი გამარჯვების ნაცვლად, ამიერიდან ვერმახტი სანგრძლივი ბრძოლისათვის უნდა ყოფილიყო მზად. პირველად 1941 წლის ივნისიდან დაწყებული, საბჭოთა ჯარებმა შეაფერხეს ვერმახტის შეუჩერებელი წინსვლა... ოპერაცია „ბაიფუნი“ ჩავარდა, სტრატეგიული გეგმა „ბარბაროსა“ კი, საბოლოოდ ჩაიფუშა...



ერის ჰობნერი(1886-1944)



ედუარდ დიტლი(1890-1944)



ადოლფ სტრაუსი(1874-1973)



ანდრეი ერიომენკო
(1892-1970)



სემიონ ბუდიონი
(1883-1973)



მიხაილ კირპონოსი
(1892-1941)



ნიკიტა ხრუშჩოვი
(1894-1971)



1941 წლის 22 ივნისი – გერმანელი ჯარისკაცები კვეთენ საბჭოთა საზღვარს



პირველი კილომეტრები



და პირველი საბჭოთა ტყვეები...



მე-2 სატანკო ჯგუფის სარდალი, გენერალი ჰაინც გულდერიანი (მარცხნივ) და მე-4 სატანკო ჯგუფის სარდალი, გენერალი ჰერმან ჰოტი



გენერალი ჰაინც გულდერიანი მეწინავე სატანკო პოლკის საკომანდო პუნქტზე კიევთან ახლოს, 1941 წელი




გერმანული ტანკები რუგოთან, 1941 წელი



აფეთქებული საბჭოთა T-34 და T-26 ტანკები



რუსი გლეხები წვავენ საკუთარ სახლ-კარს. „გადამწვარი მიწის სტრატეგიის“ მაგალითი. ლენინგრადის გარეუბანი, 1941 წლის 21 ოქტომბერი



გერმანული ტანკები შედიან ჟიტომირში, 1941 წლის 9 ივლისი





Narodowe Archiwum Cyfrowe, sygn. 2-3022

კიევი, 1941 წელი.



საბჭოთა ტყვეთა კოლონა კიევის ქუჩებში, 1941 წლის სექტემბერი



გერმანელთა ალაფი კიევის ოპერაციაში



www.alamy.com - C45AH7



1941 წლის 8 ივლისს გერმანელებმა აიღეს სმოლენსკი



„იუნკერს-87“ მოპიკირე ბომბდამშენები ყირიმის ცაში. 1941 წლის 6 ნოემბერი



ბრიანსკის ბრძოლებში აყვანილი საბჭოთა ტყვეები




მოსკოვის მისადგომებთან



წარწერა დაფაზე: „ფრთხილად – პარტიზანები!“

პირველი საბჭოთა პარტიზანები





რუსული „რასპუტიცა“



„გენერალი“ რუსული ზამთარი



ყინულში ჩაჭედილი გერმანული ტანკები



მოსკოვი, 1941 წლის 7 ნოემბერი – აღლუმიდან პირდაპირ ფრონტის საზღვ




www.alamy.com - BPC6NP



მოსკოვი, 1941 წლის 7 ნოემბერი – აღლუმიდან პირდაპირ ფრონტის ზაზისკენ





1941 წლის 5-16 დეკემბერი. საბჭოელების კონტრშეტევა



ტყველ აყვანილი გერმანელები



ოპერაცია „ტაიფუნი“ ჩავარდა...

§2.7. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ომის გამოცხადება (ბერლინი, 1941 წლის 11 დეკემბერი)

ომებისა და პოლიტიკის ისტორიაში ალბათ არავის დაუშვია ისეთი დიდი შეცდომები გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც ადოლფ ჰიტლერმა დაუშვა. მან, როგორც ეს სებასტიან ჰაფნერმა³⁰² აღნიშნა, „მოულოდნელობის ეფექტით მიზანს ვერ მიაღწია“ და საერთო ჯამში, არც არაფრისთვის მიუღწევია – მხოლოდ საშინელებები ჩაიდინა. ერთ-ერთი მთავარი კი, ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად დაშვებული შეცდომა იყო, ალბათ ყველაზე მძიმე შეცდომა, რომლითაც ჰიტლერმა საკუთარი სამარე გაითხარა...

ჰიტლერის მიერ დაშვებული ეს უდიდესი შეცდომა 1941 წლის 11 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ომის გამოცხადება იყო. ეს აქტი აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე უძმიძესი ზამთრის ბრძოლების დროს მოხდა. ამ მომენტისათვის გერმანელების არმიითაა ჯგუფი „ცენტრის“ შენაერთები მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდნენ. ისიც არ უნდა იყოს საკამათო, რომ მოსკოვთან განცდილმა კატასტროფამ ჰიტლერიც მიახვედრა, რომ გერმანელების გამარჯვება დიდი ხნით გადაიდო.

როგორ მოხდა, რატომ და რისი იმედით გამოუცხადეს გერმანელებმა ომი იმ დროისათვის უკვე უძლიერეს მსოფლიო სახელმწიფოს? ეს ხომ პრაქტიკულად ამერიკის შეერთებული შტატების გამოწვევა იყო თავისი უზარმაზარი ადამიანური პოტენციალითა და რესურსებით? ეს ხომ თავის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებას ნიშნავდა?

ფაქტი ისაა, რომ ჰიტლერს არ გააჩნდა არავითარი სახის საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ გერმანიას აქტიური ომი ეწარმოებინა ამერიკის შეერთებულ შტატების წინააღმდეგ. ეს თანაბრად ეხება როგორც ადამიანურ რესურსებს, ასევე შეიარაღებას, სამხედრო ტექნიკას, აღჭურვილობას, საბრძოლო მასალებს, საწვავსა და ნედლეულს. გერმანიას არ გააჩნდა ისეთი მძლავრი წყალზედა ფლოტი, რომელიც წინ აღუდგებოდა ამერიკულ და ბრიტანულ ფლოტებს და გერმანიას ატლანტიკის ოკეანის აუზში გააბატონებდა.³⁰³ გერმანიას არ გააჩნდა შორი რადიუსის მოქმედების ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი ავიაცია, რომლის საშუალებითაც იგი შეძლებდა ამერიკის საწარმოო ცენტრებსა და ქალაქებზე საჭაერო დარტყმების მიყენებას. მით უმეტეს, ვერ შეძლებდა იგი ატლანტიკაზე საჭაერო და საზღვაო ბატონობის მოპოვებას. გერმანიას არ გააჩნდა იმისთვის საკმარისი სამრეწველო რესურსი, რომ სრულად შეეგოს ბრძოლებში განადგურებული სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა.

ხომ დღესავით ნათელი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ომის გამოცხადება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო? მაშ, რატომ მიიღო ჰიტლერმა ასეთი გაფუჭი გადაწყვეტილება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დღესაც ვხვდებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში გავრცელებულ იმ არასწორ მოსაზრებას,

³⁰² რაიმონდ პრეტსელი (ინგლ. Raimund Pretzel) (1907-1999წ.წ.) – უფრო ცნობილია მისი ფსევდონიმი – სებასტიან ჰაფნერი. ცნობილი გერმანელი პუბლიცისტი, ჟურნალისტი და ისტორიკოსი. ძირითადად წერდა სტატიებს გერმანიის 1871-1945 წლების იმპერიების – გერმანიის II და III რაიხის ისტორიის შესახებ. მისი ნაშრომები შეეხებოდა I მსოფლიო ომს, ვაიმარის რესპუბლიკის დაბადებას და მის დაცემას, ჰიტლერის ხელმძღვანელობით ნაცისტური გერმანიის შექმნას, მის აღზევებას და შემდგომ დაცემას. ჰაფნერის ყველაზე ცნობილი ნაშრომია 1978 წელს გამოცემული წიგნი „ჰიტლერის მნიშვნელობა“ (გერმ. Anmerkungen zu Hitler). მასში გადმოცემულია ჰიტლერის ბიოგრაფიის საინტერესო მომენტები და მისი ფსიქოანალიტიკური პორტრეტი.

³⁰³ მესამე რაიხის სამხედრო-საზღვაო ფლოტი – კრიგსმარინი (გერმ. Kriegsmarine) 1942 წლის დასაწყისისათვის წყალზედა მცურავი საშუალებების მეტად შეზღუდულ რაოდენობას ფლობდა. კერძოდ – 2 საზღო გემს, 4 მძიმე კრეისერს, 2 მსუბუქ და 11 დამხმარე კრეისერს, 2 სასწავლო ხომალდს და 21 საეკადრო ნაღმოსანს. გარდა ამისა, გარკვეული რაოდენობა მომარაგების და სატრანსპორტო გემები, აგრეთვე – მტრალავები, წყალქვეშა ნავებზე მონადირეები და სწრაფმავალი სატორპედო კატარღები. გერმანული ფლოტის ფლაგმანი და სიამაყე, დრედნოუტის კლასის ლინკორი „ბისმარკი“, ბრიტანელების მიერ 1940 წლის მაისში იქნა ჩაძირული.

რომ ჰიტლერს არ ჰქონდა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ ომი გამოეცხადებინა აშშ-თვის, რადგან გერმანიას იაპონიასთან სამხედრო ხასიათის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული.³⁰⁴ იაპონია კი, აშშ-თან ომში ჩაება. დიას, 1941 წლის 7 დეკემბერს, ომის გამოცხადების გარეშე, იაპონელები დარტყმას აყენებენ პერლ ჰარბორს, ამერიკელთა წყნარი ოკეანის ფლოტის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზას.³⁰⁵ ამის პასუხად, მეორე დღესვე, 8 დეკემბერს აშშ ომს უცხადებს იაპონიას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გერმანია არ იყო ვალდებული, ამ ომში მიეღო მონაწილეობა – აი, ესაა არსებითი საკითხი.

1940 წლის სექტემბრის თვეში გერმანიას, იაპონიასა და იტალიას შორის დადებული ხელშეკრულება წმინდა თავდაცვითი ხასიათის კავშირი იყო და იგი არ ავალდებულებდა მის წევრებს რომელიმე სხვა წევრი სახელმწიფოს სამხედრო აგრესიას დადგომოდა მხარში.³⁰⁶ სწორედ ამიტომ არ იღებდა იაპონია მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ გერმანიის მიერ წარმოებულ ომში. და ეს ამბავი გერმანელებმაც ნორმალურად მიიღეს. უფრო მეტიც, იაპონია რუსეთთან ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას დებს, რაც საშუალებას აძლევს რუსეთს, შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში, რუსეთ-იაპონიის საზღვრიდან მოხსნას იქ დისლოცირებული შენაერთები და ისინი 1941 წლის დეკემბრის დასაწყისში მოსკოვთან გერმანელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში გამოიყენოს.³⁰⁷

საერთო ჯამში, ხომ სწორედ ამ შენაერთების ბრძოლაში ჩართვამ გადაწყვიტა მოსკოვისა და მთლიანად ოპერაცია „ტაიფუნის“ ბედი? დღეს ამაზე სამხედრო ისტორიკოსთაგან არავინ აღარ დავობს.

³⁰⁴ აქ საუბარია სამხრეთ პაქტზე, რომელიც დაიდო ღერძის ქვეყნებს – გერმანიას, იაპონიასა და იტალიას შორის, ბერლინში, 1940 წლის 27 სექტემბერს. პაქტს ხელი მოაწერეს იოაჰიმ ფონ რიბენტროპმა, საბური ურუსუმ და გალვასო ჩიანომ. ეს იყო თავდაცვითი ხასიათის სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება, რომელსაც მალე შეუერთდნენ ღერძის სხვა მოკავშირეებიც – უნგრეთი 1940 წლის 20 ნოემბერს, რუმინეთი 1940 წლის 23 ნოემბერს, ბულგარეთი 1941 წლის 1 მარტს, და ოუგოსლავია 1941 წლის 25 მარტს. ასევე სლოვაკია 1940 წლის 24 ნოემბერს. ოუგოსლავიის ალიანსში შესვლამ აჯანყება გამოიწვია ბელგრადში, რასაც ოუგოსლავიაში იტალიური და გერმანული შენაერთების შესვლა მოჰყვა შედეგად. ამ პროცესებში ბულგარეთი, უნგრეთი და რუმინეთიც იყო ჩართული. ოუგოსლავიის ოკუპაციის შედეგად, ღერძის ქვეყნების თავდაცვით პაქტს 1941 წლის 15 ივნისს ახალი წევრი, ხორვატიაც შეუერთდა.

³⁰⁵ პერლ ჰარბორზე შეტევა, (იაპონიის საიმპერატორო გენერალური შტაბის კოდური დასახელების მიხედვით – ოპერაცია „ჰავაი“ ან ოპერაცია „Z“) სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით იყო შეტევითი სტრატეგია – პრევენციული დარტყმა. იგი ექვსი იაპონური ავიამხილის ძალებით განხორციელდა და მასში საერთო ჯამში 353 იაპონური თვითმფრინავი იღებდა მონაწილეობას. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელს ადმირალი ისოროკუ იამომოტო წარმოადგენდა. 1941 წლის 7 დეკემბერს აღსრულებული ამ საჭარო დარტყმის შედეგად, რომელიც რამდენიმე ტალღად განხორციელდა, ამერიკის შეერთებული შტატების ოთხი საბრძოლო სახაზო სომადლი იქნა ჩაძირული, ხოლო ოთხი – დაზიანებული. ჩაძირული და დაზიანებული იქნა აგრეთვე სამი კრეისერი, სამი საეკადრო ნაღმოსანი, ერთი საწვრთნელი გემი და ერთი მტრალავი. განადგურებულ იქნა სხვადასხვა ტიპის 188 ამერიკული თვითმფრინავი, მოკლული იქნა 2402 კაცი, ხოლო დაჭრილი – 1282. იაპონელთა დანაკარგები კი, მინიმალური იყო – სულ 29 თვითმფრინავი და 5 მცირე წყალქვეშა ნავი, ხოლო დაღუპული და დაჭრილი – 65 კაცი.

³⁰⁶ იაპონელთა სტრატეგია მეორე მსოფლიო ომის წინ ორი მთავარი ფაქტორით განისაზღვრებოდა: თავისი ტერიტორიების გაფართოება (ძირითადად ჩინეთისა და მანჯურიის ხარჯზე) და ნედლეულის ბაზების მოპოვება, რაც ამ კუნძულოვან სახელმწიფოს არ გააჩნდა (ნავთობი და ლითონი). 1931 სექტემბერში იაპონიის არმია მანჯურიისაში შეიჭრა. თავისი მიზნებისა და ნაციონალური პოლიტიკის მსგავსებიდან გამოდინარე, იაპონია მალე შეიქმნა გერმანიისა და იტალიის ბუნებრივი მოკავშირედ და 1936 წლის 25 ნოემბერს მათ ხელი მოეწერეს ანტიკომინტერნულ პაქტს. 1937 წელს იაპონიის არმია უკვე ჩრდილოეთ ჩინეთში შეიჭრა. ჩინეთის პროვინციების დაპყრობის შემდეგ, იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ნავთობითა და სხვა ბუნებრივი ნედლეულით მდიდარი სამხრეთ-დასავლეთ აზიის ტერიტორიების დაპყრობის შესახებ. რადგან ეს სექტორი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კონტროლირდებოდა, ამიტომ იაპონელებმა გადაწყვიტეს პირველი მძლავრი დარტყმა სწორედ ამერიკელებისათვის მიეყენებინათ და ამით მოეპოვებინათ სრული საზღვაო დომინანტობა წყნარი ოკეანის აუზში, შემდეგ კი მოეხდინათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ოკუპაცია. და აღასრულეს კიდევ ეს ჩანაფიქრი პერლ-ჰარბორზე სტრატეგიული დარტყმით, რამაც შტატებს დიდი ზიანი მიაყენა.

³⁰⁷ საბჭოთა კავშირ-იაპონიის თავდაუსხმელობის პაქტი დაიდო 1941 წლის 13 აპრილს. მისი მოქმედების ვადა 5 წლით განისაზღვრა. პაქტის პირობების თანახმად, ერთ-ერთი მხარის საომარი მოქმედებების ობიექტად ქვეყნის შემთხვევაში მეორე მხარე შეინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს კონფლიქტის მსვლელობის მთელი პერიოდის განმავლობაში და საომარ მზადყოფნაში არ მოიყვანდა ჯარებს, და მით უმეტეს არ შეიყვანდა მას პაქტის ხელმოწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ხელშეკრულების ეს მთავარი მოთხოვნა იაპონიის მიერ ბოლომდე იქნა დაცული. საბჭოთა კავშირმა კი, თავდაუსხმელობის პაქტი ცალმხრივად დაარღვია და 1945 წლის 9 აგვისტოს ომის გამოუცხადებლად შეიჭრა მანჯურიისაში.

ჰიტლერიც ასე უნდა მოქცეულიყო. მას შეეძლო, მხოლოდ მაყურებლის როლით შემოფარგლულიყო იაპონიასა და ამერიკას შორის დაწყებულ კონფლიქტში. მაგრამ იგი დამოუკიდებლად იღებს თავისი ქვეყნისთვის საბედისწერო გადაწყვეტილებას და ამ მიზნით 1941 წლის 11 დეკემბერს სპეციალურად მოწვეულ რაიხსტაგის სხდომაზე ომს უცხადებს ამერიკას.³⁰⁸ ეს ჰიტლერის პირადი გადაწყვეტილება იყო. ამის შესახებ მას არავისთან უსაუბრია – არც საგარეო საქმეთა მინისტრთან, არც გენერალიტეტთან და არც ახლო მეგობრებთან. ამ ომის გამოცხადებით კი, იგი დიდ სამსახურს უწევს ფრანკლინ რუზველტს³⁰⁹, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

ამერიკის პრეზიდენტი ერთ წელიწადზე მეტია ამაოდ ცდილობს ომში ჩათრიოს ჰიტლერი. მთელი 1941 წლის განმავლობაში იგი ძალიან ხშირად მიმართავს სხვადასხვა სახის პროვოკაციებს, რასაც გერმანია წონასწორობიდან უნდა გამოეყვანა. ამერიკელთა ყველა ეს ქმედება ძეწკვივითაა აწყობილი. დაწყებული 1941 წლის 11 მარტიდან, ლენდ-ლიზის კანონის მიღების შემდეგ, აშშ გერმანიის მოწინააღმდეგეებს ნელეულით, საკვები პროდუქტებით, ტექნიკითა და შეიარაღებით ეხმარება.³¹⁰ ივნისში აშშ-ის ნავსადგურებში მდგარ გერმანულ სავაჭრო გემებს კონფისკაცია უტარდებათ, იკეტება გერმანიის საკონსულოები და აშშ-ის ბანკებში არსებულ ყველა გერმანულ კრედიტს ყადაღა ედება. ივლისში შეეცდებიან ისლანდიის გამოყენებას საყრდენ პუნქტად გერმანიის წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიაში. დაწყებული აგვისტოს თვიდან კი, ამერიკული სამხედრო გემები ატლანტის ოკეანეში მოკავშირეების სატრანსპორტო ხომალდებს აცილებენ. და უფრო მეტიც – სექტემბერში აშშ-ის სამხედრო ფლოტი იღებს ყველა სახის გერმანული გემისათვის ცეცხლის გახსნის განკარგულებას. ნოემბერში ამერიკელები თავის ყველა სავაჭრო გემზე სავაჭრო შეიარაღების სისტემებს დგამენ. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გერმანიის მიმართ „ომის ზღვარზე“ ბალანსირების პოლიტიკას ატარებდა და მის ომში ჩათრევას ცდილობდა.

ფაქტობრივად, ამერიკელებს ორი მიზეზი აქვთ წამოიწყონ ომი ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ. პირველი მიზეზი ებრაელების მასობრივი დევნაა, მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ჰიტლერი ხელს უშლის მსოფლიოში არსებული საფინანსო და ეკონომიკური სტატუს-კვოს შენარჩუნებას.³¹¹ შეერთებული შტატების ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის

³⁰⁸ II მსოფლიო ომის დაწყების მომენტიდან ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გერმანია ომს უცხადებდა მოწინააღმდეგეს. იმავე დღეს, 1941 წლის 11 დეკემბერს, იტალიაც უცხადებს ომს აშშ-ს და მის მოკავშირეებს. 13 დეკემბერს კი ამ აქტს გერმანიის სხვა მოკავშირეებაც უერთდებიან – რუმინეთი, უნგრეთი და ბულგარეთი ომს უცხადებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

³⁰⁹ ფრანკლინ დელანო რუზველტი (ინგლ. Franklin Delano Roosevelt) (1882-1945წ.წ.) – ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. XX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოჩენილი პერსონა, ლიდერი და ცენტრალური ფიგურა, ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის წევრი, აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი. სათავეში ედგა ამერიკის სახელმწიფოს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის, ე.წ. „დიდი დეპრესიის“ წლებში და II მსოფლიო ომის დროს. ამერიკის შეერთებული შტატების ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც ამ თანამდებობაზე არჩეული იქნა ორზე მეტი ვადით. იგი ზედღვედ ოთხჯერ აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად 1932-1945 წლების პერიოდში. გარდაიცვალა 1945 წლის 12 აპრილს ტვინში სისხლის ჩაქცევით. მსოფლიო პოლიტიკისა და აშშ-ის ისტორიაში მას აყენებენ ისეთი გამოჩენილი და განსაკუთრებით გამორჩეული პიროვნებების გვერდით, როგორებიც იყვნენ პრეზიდენტები ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი და აბრაამ ლინკოლნი.

³¹⁰ აქ ავტორი საუბრობს ე.წ. „ლენდ-ლიზის“ პროგრამაზე (ინგლ. Lend-lease, Lend – სესხის მიცემა, Lease – არენდა). ეს იყო აშშ-ის მიერ II მსოფლიო ომში მისი ჩართვისას გამოცხადებული სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც II მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატები აწვდიდა თავის მოკავშირეებს საბრძოლო მასალებსა და აღჭურვილობას, სამხედრო ტექნიკასა და სურსათს, სამედიცინო მოწყობილობასა და მედიკამენტებს, ნავთობპროდუქტებსა და სხვა სტრატეგიულ ნედლეულს. ამ პროგრამის კონცეფცია საშუალებას აძლევდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს აღმოეჩინა დანხარება ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომლის დაცვაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა მისი ქვეყნისთვის. „ლენდ-ლიზის“ კანონის სრული დასახელება იყო – „შეერთებული შტატების თავდაცვის უზრუნველყოფის კანონი“ (An Act to Promote the Defense of the United States), რომელიც მიღებულ იქნა აშშ-ის კონგრესის მიერ 1941 წლის 11 მარტს.

³¹¹ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, 1898 წელს, ესპანეთთან ომის შემდგომ, ამერიკის შეერთებული შტატები პირველად ასი წლის განმავლობაში გამოვიდა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე და აღმოჩნდა სხვა ერებთან შეხებაში. ესპანეთთან ომის მოგებისა და ფილიპინების, გუამის, ჰავაისა და სამოას კუნძულების დაუფლებით ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო სახელმწიფოდ იქცა. შესაბამისად, მან წყნარი ოკეანის აუზში მდებარე, კონტინენტიდან დიდ

დამოკიდებული მსოფლიო ბაზარსა და ვაჭრობაზე. ევროპაში დაწყებული გერმანული, ხოლო აზიაში მიმდინარე იაპონური აგრესიების გამო კი, ქვეყანაში არსებული შიდა მდგომარეობა არასახარბიელოა. ამერიკის ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის, ქვეყანაში ცამეტი მილიონი უმუშევარია. გერმანია და იაპონია კი, ცდილობენ აშშ-ის გამოდევნას ევროპული და აზიური ბაზრებიდან და ამით საფრთხეს უქმნიან აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესებს.³¹² და მიუხედავად ამისა, გერმანიის წინააღმდეგ ომის დაწყება რუზველტს მაინც შეუძლებლად ეჩვენება, რადგან ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას იგი ვერაფრით ვერ აუხსნიდა თავის მოსახლეობას, რომელიც აშშ-ის ომში ჩართვის წინააღმდეგი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით მას კონგრესის მხარდაჭერის იმედიც არა აქვს. ასე, რომ გერმანიისათვის ომის გამოცხადების მცდელობას არავითარი პერსპექტივა არა აქვს. და აქ კვანძი თავისთავად იხსნება. ჰიტლერის მიერ შტატებისათვის ომის გამოცხადება მას ამ მიმე ტვირთისგან ათავისუფლებს.

თავის მხრივ, ჰიტლერი სრული სერიოზულობით მიიჩნევს რუზველტს სულით ავადმყოფად. ფიურერის შტაბ-ბინაში შემდგარი ერთ-ერთ საუბრისას იგი განუცხადებს თავის გაოგნებულ სტუმრებს, რომ წლების წინ ერთმა პროფესორმა თითქოს ეს საჯაროდ დაადასტურა. 1941 წლის ბოლოსათვის კი ჰიტლერი აშშ-ში უკვე დიდ საშიშროებას ხედავს. მას მეტად ახარებს იაპონიის მიერ პერლ ჰარბორზე განხორციელებული დარტყმა და ამერიკის ჩართვა იაპონიასთან წყნარი ოკეანის მიმე ომში. ჰიტლერის აზრით ეს საუკეთესო მომენტი ამერიკელებისათვის სამაგიეროს გადასახდელად და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ხოლო მას შემდეგ, როგორც იგი ფიქრობს, რაც იაპონიამ დაარტყა ამერიკელებს პერლ ჰარბორზე, ეს სახელმწიფო ვედარ შეძლებს ომის ერთდროულად წარმოებას ერთის მხრივ წყნარი, და მეორეს მხრივ ატლანტის ოკეანისა და ევროპის საომარ მოქმედებათა თეატრებზე. გარდა ამისა, ამ მომენტისათვის შტატებისათვის ომის გამოცხადება ჰიტლერს ხელს უწყობს რუსეთში, აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიისათვის დამდგარი კრიზისის შენიღბვაში.

ჰიტლერი დარწმუნებულია, რომ იაპონიასთან ერთად ალიანსში იგი შეძლებს აშშ-ის დამარცხებას. ახლა მას უკვე შეუძლია დაუპირისპირდეს ამერიკელთა „ომის ზღვარზე“ ბალანსირების პოლიტიკას და აქტიურ მოქმედებებზე გადავიდეს. ჰიტლერი ბრძანებას სცემს თავის წყალქვეშა ნავეს, რომ შეუზღუდავი ომი დაიწყონ ამერიკული ფლოტის წინააღმდეგ.³¹³ ეს კი იმას ნიშნავს, რომ გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა უნდა ჩაძირონ

მანძილზე დაშორებული თავისი კოლონიების დაცვისა და შენარჩუნების სტრატეგიაზე აიღო გეზი. ამას კი მძლავრი სამხედრო ფლოტი და დიდი საზღვაო ბაზები, სახელმწიფოს „საზღვაო ძლიერება“ სჭირდებოდა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სხვა ქვეყნების ძლიერი ფლოტების ბატონობა წყნარ ოკეანეში. ასეთ ვითარებაში, გერმანიისა და განსაკუთრებით იაპონიის გაძლიერება, ცხადია, აშშ-ის მიერ „მსოფლიოში არსებული საფინანსო და ეკონომიკური სტატუს-კვოს“ დარღვევის საფრთხედ იქნა მიჩნეული.

312 XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული, შეერთებული შტატები იაპონიასთან მიმართებაში „აგრესიული იზოლაციის“ სტრატეგიას ატარებდა. ამერიკელების აზრით, ასეთი ღონისძიებები წარმატებული იქნებოდა იაპონიის სასიცოცხლო საზღვაო კომუნიკაციებზე კონტროლის დამყარებით, ასევე საზღვაო და საჰაერო უპირატესობის მოპოვებით იაპონიაზე, რაც მნიშვნელოვნად დაასუსტებდა ამ მხარედი აღმოსავლური იმპერიის ეკონომიკას. თუ მხოლოდ ამგვარი სტრატეგიის წარმოება იაპონიას ვერ დააჩოქებდა, მაშინ განხორციელდებოდა „შემდგომი ქმედებები, რასაც მოითხოვდა ომის მოგება“. ამ გზაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა „საზღვაო დომინანტობის სტრატეგიას“ მიენიჭა. საერთო ჯამში, 1941 წლის 7 დეკემბერს, ყველაფერს წერტილი დაესვა – პერლ ჰარბორზე განხორციელებული დარტყმის საპასუხოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაასრულა ახლადშექმნილ იაპონიის იმპერიასთან „შვილობიანი“ თანარსებობა და ომი გამოუცხადა მას.

313 მოკავშირეთა ფლოტების წინააღმდეგ გერმანული წყალქვეშა ნავები, წყალქვეშა ფლოტის სარდლის, აღმირალ კარლ დენიცის მიერ შემუშავებული ე.წ. „მგლის ხროვის“ ტაქტიკით მოქმედებდნენ. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანულ წყალქვეშა ნავებს მასიურად უნდა მიეტანათ სატორპედო და სხვა სახის იერიში მოკავშირეთა სავაჭრო და სამხედრო ხომალდების ქარავანზე, შემდეგ კი განცალკევებულ და ჩამორჩენილ ხომალდებს უნდა დასხმოდნენ ჯგუფურად თავს. ომის დაწყებისას გერმანულს ჰყავდათ სულ 57 წყალქვეშა ნავი, რომელსაც უკვე ომის მსვლელობისას შეემატა კიდევ 1113. საერთო ჯამში, კრიგსმარინის 1170 წყალქვეშა ნავიდან საომარ მოქმედებებში მონაწილეობას იღებდა 863 გერმანული წყალქვეშა ნავი. მათ მიერ II მსოფლიო ომის მსვლელობისას სულ ჩაძირულ იქნა მოკავშირეთა 2759 სავაჭრო გემი საერთო ტონაჟით 14,1 მილიონი რეგისტრული ტონა, 148 განადგურებული და 45 დაზიანებული სამხედრო ხომალდი. მათ შორის 2 ლინკორი, 3 ავიამზიდი, 3 საესკორტო ავიამზიდი. თავის მხრივ კი, საზღვაო ბრძოლებში მოკავშირეებმა ჩაძირეს 630 გერმანული წყალქვეშა ნავი. აქედან – 123 გერმანულ წყლებში,

ყველა ის ამერიკული გემი, რომელთაც უწყვეტ ქარავნებად გადააქვთ ინგლისელებისა და რუსებისათვის სხვადასხვა ნედლეული, შეიარაღება, აღჭურვილობა, საკვები პროდუქტები, საწვავი და ტექნიკა.³¹⁴

თავის შეფასებებსა და დასკვნებში ჰიტლერი მწარედ ცემა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღების მომენტში მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ოკეანისგალმა სახელმწიფოს უზარმაზარ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე, მისი შეიარაღების ფაქტობრივ შესაძლებლობებზე და უმაღლესი ტექნოლოგიითა და ტექნიკით აღჭურვილ შეიარაღებულ ძალებზე. ეს ჰიტლერის მიერ დაშვებული კიდევ ერთი დიდი შეცდომა იყო.


ომის გამოცხადებიდან ერთი წლის განმავლობაში რუხველტი ზრდის ტანკების წარმოებას ოცდაოთხ ათასამდე, თვითმფრინავებისას კი – ორმოცდარვა ათასამდე. ამერიკული ჯარის პირადი შემადგენლობა 1943 წლისათვის შვიდი მილიონი ჯარისკაცით იზრდება. ამერიკის სამხედრო-სამრეწველო მანქანაც შეუჩერებლად ზრდის წარმოების ტემპებს. უკვე ომის პირველი წლის დასასრულისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინდუსტრია აწარმოებდა იმდენ პროდუქციას, რამდენსაც ბერლინი-რომი-ტოკიოს „ღერძის“ სამივე სახელმწიფო ერთად ალბებდა. 1944 წლისათვის კი, ეს მაჩვენებლები კიდევ ორმაგდება.

ისტორია თითქოს ისევ მეორდება. ჰიტლერის ამ თითქმის დაუჯერებელმა შეცდომამ ამერიკის შეერთებული შტატების პოტენციალთან დაკავშირებით, რაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ანტანტის ქვეყნების გამარჯვების საქმეში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაცისტური გერმანიის ტოტალურ დამარცხებაშიც.

გერმანიის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ომის გამოცხადების დღეს, 1941 წლის 11 დეკემბერს, იოზეფ გებელსი, ნაცისტური პროპაგანდისტული იდეოლოგიის მთავარი რუპორი, რეალობის სრულიად გაუცნობიერებლად, თავის დღიურში აღნიშნავს, რომ ახლა შეერთებული შტატები არ არის ისეთი ძლიერი, რომ „ღირებული მატერიალური საშუალებების“ გაგზავნა შეძლოს ინგლისსა და რუსეთში. ოდნავ მოგვიანებით კი, იგი სრული თავდაჯერებით წერდა: „1942 წლისათვის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ჩვენთვის არახელსაყრელი კი არა, პირიქით – ძალიანაც ხელსაყრელი იყო“... მაგრამ დოქტორი გებელსიც მწარედ ცდებოდა, რაც ისტორიის შემდგომმა მსვლელობამაც დაადასტურა...

215 განადგურებული იყო თავად ეკიპაჟების მიერ, 38 ჩამოწერილ იქნა, 11 გადასცეს თავის მოკავშირეებს, ხოლო 153 მოკავშირეებმა ჩაიგდეს ხელში.

³¹⁴ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ლენდ-ლიზით გადაცემული მატერიალური ფასეულობების ღირებულებამ, საერთო ჯამში, კოლოსალური თანხა – 50,1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის კურსით 610 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ამერიკელებისათვის ომის შემდგომმა, მაგალითად, ავიაბაზების არენდის გადასახადებმა შეადგინეს 7,8 მილიარდი აშშ დოლარი, საიდანაც 6,8 მილიარდი დიდ ბრიტანეთსა და ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნებზე მოდიოდა, საბჭოთა კავშირის მხრიდან კი – 0,7 მილიარდი აშშ დოლარი. ამასთან, საბჭოთა კავშირის მხრიდან შემხვედრი ლენდ-ლიზის საერთო ღირებულება სულ 2,2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. კანადასაც გააჩნდა ამერიკელების ანალოგიური ლენდ-ლიზის პროგრამა, რომელიც ძირითადად დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირზე მოდიოდა და მისი საერთო ღირებულება 4,7 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.




სებასტიან ჰაფნერი
(1907-1999)



ფრანკლინ რუზველტი
(1882-1945)



ხიროხიტო
(1901-1989)



იაპონელთა ექსპანსია აზიასა და ოკეანაში. 1939 წლის 1 სექტემბერი



1939 წლის 13 აპრილი. საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერა. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაცუოკა

Photo # 80-G-451185 Pearl Harbor, with Navy Yard in foreground & Ford Island beyond, 7 Jan. 1941



ჰავაი, პერლ ჰარბორი. ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა



იაპონელთა შეტევის მეორე ფაზა. კადრში კარგად ჩანს იაპონური გამანადგურებელ-ბომბამშენი „მიცუბიში A6M ზერო“





პერლ-ჰარბორზე განხორციელებული საჰაერო დარტყმის შედეგები



ამერიკის შეერთებული შტატები ომს უცხადებს იაპონიას. 1941 წლის 8 დეკემბერი



1941 წლის 11 დეკემბერს გამართულ რაიხსტაგის სხდომაზე პიტლერი ომს უცხადებს ამერიკის შეერთებულ შტატებს

"All the News That's Fit to Print." **The New York Times.** LATE CITY EDITION

VOL. 87, No. 28865. WEDNESDAY, DECEMBER 11, 1941. NEW YORK, FRIDAY, DECEMBER 12, 1941. THREE CENTS

U.S. NOW AT WAR WITH GERMANY AND ITALY; JAPANESE CHECKED IN ALL LAND FIGHTING; 3 OF THEIR SHIPS SUNK, 2D BATTLESHIP HIT

BLOCKED IN LUZON

But Japanese Pull Small Force Ashore in South of Philippine Island

SABOTEURS ARE HELD

Some in Manila Seized for Spreading Rumor About City Water

U. S. FLIERS SCORE

Bombs Send Battleship, Cruiser and Destroyer to the Bottom

MARINES KEEP WAKE

Small Force Fights Off Foe Despite Loss of Some of Planes

CITY CALM AND GRIN AS THE WAR WIDENS

Loyalty and a Determination to Win Are Evident in Every Class and National Group

WAR OPENED ON US

Congress Acts Quickly as President Meets Hitler Challenge

A GRIM UNANIMITY

Message Warns Nation Foes Aim to Enslave This Hemisphere

AXIS TO GET LESSON, CHURCHILL WARNS


In American Parliament of Union General-Spoken Philby's Support

Our Declaration of War

Washington, Dec. 11—Following with the body of the Senate the President today signed a war declaration against Germany and Italy, and Congress today.

CONGRESS KILLS BAN ON AN A. E. F.

Swift Action Without Debate—Service Terms Are Extended to 15 Months After War




მესამე რაიზის წყალქვეშა ფლოტი













§2.8. მემქნის არმიის განადგურება

(სტალინგრადი, 1942 წლის 28 ივნისი – 1943 წლის 3 თებერვალი)

არც ერთი ბრძოლა არ გამხდარა ისე ცნობილი გერმანიის სამხედრო ისტორიაში, როგორც სტალინგრადის ბრძოლა. ეს იყო რუსეთის სამრეწველო ქალაქი მდინარე ვოლგაზე, რომელსაც დღეს ვოლგოგრადს უწოდებენ.³¹⁵ დღეს სტალინგრადს ყველა იცნობს. ხოლო მისი დაუფლებისათვის მიმდინარე სამხედრო ოპერაცია იყო II მსოფლიო ომის დიდი, გააფთრებული, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ბრძოლების სერია. ეს ომი კიდევ ორი წელიწადი გაგრძელდება, მაგრამ სტალინგრადი განდება ნიშანსვეტი გერმანელების შეტევის დასასრულისა აღმოსავლეთში, რაც საბოლოოდ დაამსხვრევს ჰიტლერის დიდი იმპერიის შექმნის ოცნებას.

„გერმანიის სამხედრო ისტორიის უდიდეს ტრაგედიაში“, 1943 წლის 3 თებერვალს, ამ დრამატული ბრძოლის დასასრულს, როგორც ამას ემფატიკურად გამოაცხადებს გებელსი, დაახლოებით ას ორმოცდაათი ათასი გერმანელი გამოესალმება სიცოცხლეს. მითი, ლეგენდა და გამონაგონი ერთმანეთში ირევა და მისი შეფასებები ომის შემდგომ პერიოდში გამოთქმულ აზრთა დიდ სხვადასხვაობას გამოიწვევს. გერმანელი ჯარისკაცისა და ვერმახტის მე-6 არმიის მიერ განცდილი ეს დიდი ტრაგედია კი, გერმანული სარდლობის მიერ დაშვებული შეცდომებით აიხსნება. ეს შეცდომები წინ უსწრებს მესამე რაიხის კატასტროფულ დასასრულს და იგი II მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობაზეც მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს. ჯერ კიდევ ოპერაცია „ბლაუს“ (გერმ. „Blau“) გეგმა, ჰიტლერის 1942 წლის ზაფხულის უდიდესი სამხედრო კამპანია, რომელსაც ვოლგასთან და კავკასიისა და კასპიის ზღვის ნავთობის საბადოებთან უნდა მიეყვანა იგი, სავსე იყო გაუმართლებელი შეცდომებით.³¹⁶

ყველაფერი კი იწყება იმით, რომ გერმანული სატანკო დივიზიის შტაბის ერთი ოფიცერი ნეიტრალურ ზონაში აკეთებს ავარიულ დაჯდომას. რუსები მას კლავენ და პოულობენ საიდუმლო დოკუმენტებს, რომელიც მას თან აქვს. ესაა ოპერაცია „Blau“-ს

³¹⁵ II მსოფლიო ომის სტალინგრადის ბრძოლა მიმდინარეობდა 1942 წლის 17 ივლისიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე. მრავალი ისტორიკოსისა და სამხედრო ანალიტიკოსის მიერ ეს ბრძოლა შეფასებულია როგორც შემორჩენების წერტილი II მსოფლიო ომის მსვლელობაში, ისევე როგორც ელ-ალამეინის ბრძოლა ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში და მიდვის ბრძოლა წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებათა თეატრზე. სტალინგრადის დაუფლებას ჰიტლერისა და მუსოლინისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი ინტერესები რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული:

პირველი – სტალინგრადი მნიშვნელოვან სამხედრო-ინდუსტრიულ ქალაქს წარმოადგენდა მდინარე ვოლგაზე.

მეორე – მისი დაუფლებით ის სატრანსპორტო გზა იკეტებოდა, რითაც სამხრეთიდან რესურსები და ნედლეული მიეწოდებოდა ჩრდილოეთ რუსეთს.

მესამე – მისი დაპყრობით საიმედოდ იკეტებოდა გერმანული შენაერთების დასავლეთის ფრთა, რომლებიც კავკასიისა და ბაქოს ნავთობის საბადოებისაკენ აგრძელებდნენ სვლას.

კავკასიის დაუფლება და საბჭოთა ომის მანქანის ნავთობით მომარაგების გზების გადაჭრა კი, გერმანელთა სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა. ჰიტლერი აცხადებდა: „თუ მე ვერ მოვიპოვებ მაიკოპისა და გროზნოს ნავთობს, მაშინ მე უნდა დავასრულო ეს ომი“.

და ბოლოს – სტალინგრადის, სტალინის მოსახლე ქალაქის დაპყრობას დიდი იდეოლოგიური და პროპაგანდისტული დატვირთვა ჰქონდა.

³¹⁶ გეგმა „ბლაუ“ ან ოპერაცია „ბლაუ“ (გერმ. „Fall Blau“ ან „Unternehmen Blau“) – საბჭოთა კავშირი-გერმანიის საომარი მოქმედებების ფრონტის სამხრეთის ფრთაზე ვერმახტის ჯარების საბრძოლო მოქმედებების გეგმის კოდური დასახელება იყო 1942 წლის ზაფხული-შემოდგომის კამპანიის დროს. ოპერაციის მთავარ იდეას წარმოადგენდა გერმანელთა მე-6 არმიისა და მე-4 სატანკო არმიების შეტევითი მოქმედებები დონის როსტოვსა და სტალინგრადის მიმართულებაზე, კავკასიაზე საერთო შეტევის კონტექსტში. გეგმა „ბლაუს“ აღსრულება დაევალით არმიათა „A“ და „B“ ჯგუფებს. ეს იყო უკვე ბრძოლებში ნაცადი, მძლავრი და კარგად აღჭურვილი არმიების გაერთიანება. არმიათა ამ ჯგუფების შემადგენლობაში იმყოფებოდა ხუთი სრულად დაკომპლექტებული და აღჭურვილი არმია 900 ათასიანი პირადი შემადგენლობით, 17 ათასი ქვემეხითა და 1200 ტანკით, რომელსაც მხარს დაუჭერდა ლიუფტვაფეს მე-4 საჰაერო ფლოტის 1640 თვითმფრინავი ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ვოლფრამ ფონ რიხტჰოფენის სარდლობით. სამხრეთით მოქმედი არმიათა ჯგუფი „A“-ს შემადგენლობაში, რომელსაც გენერალ-ფელდმარშალი ვილჰელმ ლისტი სარდლობდა, შედიოდა მე-17 საველე და 1-ლი სატანკო არმიები. ჩრდილოეთით მოქმედი არმიათა ჯგუფი „B“-ს შემადგენლობაში კი, რომელსაც გენერალ-ფელდმარშალი თეოდორ ფონ ბოკი სარდლობდა – მე-4 სატანკო არმია და მე-2 და მე-6 საველე არმიები.

პირველი ფაზის სრული გეგმა დონზე გერმანელთა სატანკო შეტევის შესახებ. თითქოს ისტორია მეორდება, რადგან მსგავსი შემთხვევა უკვე მოხდა 1940 წლის იანვარში მეხელენთან, როცა ბელგიელებს ხელში ჩაუვარდათ ვერმანხტის მიერ საფრანგეთის წინააღმდეგ შემუშავებული საომარი კამპანიის სრული გეგმა.

ოპერაცია “Blau“, გერმანელთა მიერ კარგად მომზადებული საზაფხულო შეტევა, 1942 წლის 28 ივნისს უნდა დაწყებულიყო. ჰიტლერი გულგრილად ბრძანებს ოპერატიული მიზნების უცვლელად დატოვებას. იგი ფიქრობს, რომ გერმანელთა შეტევაზე რუსებს არ შეუძლიათ სწრაფი რეაგირება, მაგრამ იგი ცდება. რუსები დაუყოვნებლივ რეაგირებენ და საკმაო ძალებსაც უყრიან თავს ვორონეჟთან. 3 ივლისის საღამოს გენერალ ჰოთის³¹⁷ მე-4 სატანკო არმია აღწევს დონს და ვორონეჟის ორივე მხარეს რამდენიმე ხიდს იკავებს. ისე ჩანს, თითქოს ადვილად შესაძლებელი ამ მნიშვნელოვანი ქალაქის, როგორც საბჭოელთა თავდაცვის ძირითადი საყრდენისა და საკვანძო პუნქტის სწრაფად აღება და მარშალ ტიმოშენკოსთვის დონზე უკანდასახევი გზების მოჭრა. მაგრამ საქმე მთლად ასე მარტივად არ არის. საბჭოთა ჯარებით გადაჭედილი ვორონეჟი მედგარ წინააღმდეგობას უწევს გერმანელებს. გერმანელები ვერ ახერხებენ რუსებისთვის ალყის შემორტყმას და მათ განადგურებას.

შექმნილი ოპერატიული ვითარების განხილვისას, გენერალური შტაბის უფროსი, ფრანც ჰალდერი, 13 ივლისს ჰიტლერს მოახსენებს, – „რუსები ორგანიზებულად გადიან ბრძოლიდან, ჩემო ფიურერო!“ „სისულელე!“ – უყვირის მას ჰიტლერი, „ვერ ხედავთ, რომ ისინი შეშინებულები გარბიან? რადგან ხვდებიან რომ მათი აღსასრულის დღე დადგა!“ – იგი მართლაც ასე ფიქრობს და ბრძანებს, შეწყვიტონ ვორონეჟზე შეტევა. ჰიტლერი თვლის, რომ ვორონეჟზე ამდენი დროის დაკარგვა არ ღირს და ჯარები წინ უნდა წავიდნენ, სამხრეთისკენ.

ამბებისა და მოვლენების ასეთი განვითარება ნელ-ნელა გროტესკულ შეფერილობას იძენს. მიღწეული წარმატებების ფონზე ჰიტლერი ზედმეტად ეგზალტირებულია. იგი იმპროვიზაციებსა და ოპერაცია “Blau“-ს საწყისი გეგმის შეცვლას იწყებს, რომელიც ითვალისწინებდა მთელი ძალებით აღმოსავლეთისაკენ სვლას დონის გასწვრივ, და დონსა და ვოლგას შორის არსებულ ყელზე, ქალაქ სტალინგრადზე შეტევას. მას, საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში და გამარჯვებაში დარწმუნებულს, ამ მიმართულებიდან გამოჰყავს ბრძოლაში ნაწრთობი შენაერთები და მათ ლენინგრადისკენ, რუსეთის ჩრდილოეთ ფრონტზე აგზავნის, ხოლო ასევე ბრწყინვალედ აღჭურვილი და მომზადებული სს-ის სატანკო მოტორიზებული დივიზია „ლეიბშტანდარტი სს ადოლფ ჰიტლერი“ – დასავლეთის ფრონტზე, საფრანგეთისკენ გადაჰყავს. ამასთან ერთად, 13 ივლისს, გენერალ ჰოთის მე-4 სატანკო არმია და მე-40 სატანკო კორპუსი ჰიტლერის განკარგულებით მიმართულებას იცვლიან სამხრეთისკენ რუსებისათვის ალყის შემოსარტყმელად, თუმცა ამ ოპერაციის აღსრულება კვლავ ვერ ხერხდება.

³¹⁷ ჰერმან ჰოტი (გერმ. Hermann Hoth) (1885-1971წ.წ.) – ცნობილი გერმანელი ოფიცერი და მხედართმთავარი, ვერმანხტის გენერალ-პოლკოვნიკი. I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1904 წელს. 1906 წლიდან ობერ-ლეიტენანტია, 1914 წლიდან – კაპიტანი. I მსოფლიო ომში მსახურობდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ფრონტებზე, მე-8 და მე-10 არმიების შემადგენლობაში. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოებულ იქნა რკინის ჯვრითა და სხვა საბრძოლო ორდენებით. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჯარებიდან არ წასულა და სამსახური რაიხსვერში გააგრძელა. 1929-1930 წლებში ბატალიონის მეთაური და პოდაპოლკოვნიკია, 1932 წლიდან – პოლკოვნიკი. 1935-1938 წლებში მეთაურობს დივიზიას და ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება, 1936 წლიდან გენერალ-ლეიტენანტია. II მსოფლიო ომის პოლონეთის კამპანიაში სარდლობდა მე-15 საარმიო კორპუსს, საფრანგეთის კამპანიის დროს – სატანკო ჯგუფს „ჰოტი“. საფრანგეთის კამპანიის წარმატებით დასრულების შემდეგ ჯილდოვდება რაინდის ჯვრით და ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. 1940 წლის ნოემბრიდან არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ შემადგენლობაში შემავალი მე-3 სატანკო ჯგუფის სარდალია. 1941 წლის ოქტომბერში ინიშნება მე-17 არმიის სარდალად, 1942 წლის მაისში კი, მე-4 სატანკო არმიის სარდალად. 1943 წლის დეკემბერში გაყვანილ იქნა მთავარსარდლის რეზერვში. 1946 წელს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიესჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. გათავისუფლებულ იქნა 1954 წელს. გარდაიცვალა 1971 წელს. დატოვა მემორული ხასიათის ნაშრომი „სატანკო ოპერაციები“.

ჰიტლერი სათანადოდ ვერ აფასებს შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და თავის ძალებს აქუცმაცებს. ასეთი გაუმართლებელი მოქმედებების შედეგად, გენერალ პაულიუსის მე-6 არმია მარტო აგრძელებს გზას სტალინგრადისკენ.³¹⁸ ყველაფერთან ერთად ჰიტლერი ოპერაციაში ჩართული შენაერთებისა და სარდლობების რეორგანიზაციასაც იწყებს. იგი დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებს საარმიო ჯგუფი „სამხრეთის“ სარდალს, გენერალ-ფელდმარშალ ფონ ბოკს და საარმიო ჯგუფს ორ ნაწილად, „A“ და „B“ საარმიო ჯგუფებად ყოფს. ამ ჯგუფების დარტყმის მთავარ მიმართულებებად ორი განშლადი მიმართულება – სტალინგრადი და კავკასია განისაზღვრა. „ამით ჩვენი ძალები და ბრძოლა ორ ნაწილად გაიყო,“ – აღნიშნავს აღშფოთებული ფონ ბოკი თავის დღიურში.

ჰიტლერის ეს ვარაუდი, რომ ოპერაცია „Blau“-თი გათვალისწინებული ორივე, სტალინგრადის და ბაქოს ნავთობმრეწველობის ხელში ჩაგდების დროში ეშელონირებული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო ერთდროულად და არსებული ძალების ორ ნაწილად გაყოფით, უმძიმესი, ალბათ ყველაზე არასწორი სამხედრო გადაწყვეტილება იყო, რომელიც მან მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას მიიღო. ჰიტლერის გადაწყვეტილებით სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია ვოლგის, სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებებზე უნდა განვითარებულიყო არა თანმიმდევრულად და ერთმანეთის მიყოლებით, არამედ ერთდროულად და ერთმანეთის პარალელურად. ეს სამხედრო სტრატეგიის ყველა არსებული წესის დარღვევაა – ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ დარტყმის მთავარ მიმართულებაზე ძალებს არ ასუსტებენ. ამგვარად, ჰიტლერის გადაწყვეტილებით სტალინგრადის მიმართულებიდან შვიდი დივიზია იხსნება და ისინი სხვა მიმართულებებზე გადადიან.

ჰიტლერი სამხედრო სტრატეგიის ძირითად კანონებს არაფრად აგდებს და სრულიად გაუგონარ გადაწყვეტილებას იღებს. იგი არღვევს ძალთა მასირების პრინციპს დარტყმის მთავარ მიმართულებებზე და აძლიერებს მეორეხარისხოვან მიმართულებას. ეს დივიზიები დარტყმის მთავარ მიმართულებებზე რომ დარჩენილიყვნენ და არ მომხდარიყო ძალების დაქსაქსვა, გერმანელებს შესაძლებელია თავიდან აეცილებინათ სტალინგრადთან მოსალოდნელი კატასტროფა.

კიდევ ხდება რაღაც, ამ ომის შემდგომი მსვლელობისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა. 1942 წლის 13 ივლისს, სტალინი, შექმნილი ოპერატიული ვითარების შესწავლისა და ანალიზისათვის, კრემლში სამხედრო თათბირს მართავს. საბჭოელების გენშტაბის უფროსი მას ომის წარმოების ახალ სტრატეგიულ გეგმას სთავაზობს: არავითარი ძალთა მასირება, არავითარი პოზიციური და სააღყო ბრძოლები, არავითარი მოწინააღმდეგის შეკავება, არამედ მხოლოდ ორგანიზებული მობილური უკანდახევა ვოლგამდე და კავკასიამდე, რათა მოწინააღმდეგე რაც შეიძლება დიდხანს შეაყოვნონ და აიძულონ კიდევ ერთი მძიმე ზამთრის გადატანა მეტად არახელსაყრელ პირობებში. საქმე გვაქვს სივრცითი შთანთქმის კანონთან, რამაც მოწინააღმდეგის ძალები უნდა გამოფიტოს და შეასუსტოს მისი შემტევი პოტენციალი. თავდაცვის ასეთი სტრატეგია ნამდვილად არ არის გმირული მოქმედების პრინციპი, მაგრამ საკმაოდ ეფექტურია, რასაც სტალინიც ეთანხმება. არსებითად, ეს ის ძველი რუსული სტრატეგია, რომლის შედეგადაც ნაპოლეონმა მარცხი განიცადა: მოწინააღმდეგის შეტყუება ტერიტორიის სიღრმეში, შორეულ

³¹⁸ კონკრეტულად სტალინგრადზე შეტევისათვის სამხრეთის მიმართულებებზე მოქმედი არმიათა ჯგუფიდან გამოყოფილ იქნა გენერალ-პოლკოვნიკ ფრიდრიხ პაულიუსის მე-6 არმია. მის შემადგენლობაში შედიოდა: 13 დივიზია 270 ათასიანი პირადი შემადგენლობით, 3 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორნი და დაახლოებით 700 ტანკი. არმიის სადაზვერვო სამსახურს უზრუნველყოფდა აბვერჯგუფი-104. მე-6 არმიას საჰაერო მხარდაჭერას უწევდა ლიუფტვაფის მე-4 საჰაერო ფლოტი. ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ვოლფრამ ფონ რიხტჰოფენის სარდლობითა და 1200-მდე თვითმფრინავით. აქედან დაახლოებით 120 ერთეული ავიაგამანადგურებელი იყო – „მესერშიტ-109ფ ფრიდრიხი“ და „მესერშიტ-109გ გუსტავი“, ასევე რუმინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი 40 ცალი მოძველებული „მესერშიტ-109ე ემილი“. მე-6 არმიის მხარდამჭერი მე-4 საჰაერო ფლოტის დანარჩენი თვითმფრინავები კი, მოპიკირე ბომბდამშენები და სატრანსპორტო ავიაცია იყო.

რუსეთში, ვიდრე მას ძალები და რესურსები არ გამოეყვანა და ადვილად დასამარცხებელი მსხვერპლი არ გახდება.

თავისი გადაწყვეტილების მიღებისას ჰიტლერმა ყურადღება არ მიაქცია და საფუძვლიანად ვერ შეაფასა ეს პრინციპი. იგი შეცდა ასევე იმ ვარაუდშიც, რომ საბჭოთა კავშირს აღარ ჰყავდა საკმარისი რეზერვები და მისი წინააღმდეგობის დაძლევა სწრაფად და საბოლოოდ იქნებოდა შესაძლებელი. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჰიტლერი დარწმუნებულია, რომ საბჭოელთა წინააღმდეგობა უკვე გატეხილია და მცირე ძალისხმევალა საჭირო ომის საბოლოო გამარჯვებამდე მისაყვანად. მის ასეთ ვარაუდებს თითქოს გარკვეული არგუმენტებიც ამაგრებს. უკანასკნელი დღეებისა და კვირების განმავლობაში მიმდინარე ბრძოლებში საბჭოელთა მხრიდან მსხვერპლისა და ტყვეების მცირე რაოდენობას იგი იმის მტკიცებულებად მიიჩნევს, რომ წითელ არმიას ძალიან უჭირს, იგი აგონიაშია. მაგრამ იგი ისევ ცდება. თავის თავში დარწმუნებული ჰიტლერი ივლისის ბოლოსათვის ამაყად აცხადებს, რომ ეს საომარი კამპანია მალე დასრულდება და დასახულ მიზანსაც დაახლოებით სამ კვირაში მიაღწევს.

1942 წლის ივლისის ბოლოსათვის გერმანულ ტანკებს სტალინგრადამდე უკვე 150 კილომეტრი და აშორებს.³¹⁹ ზოგადად, დროის ფაქტორი საომარი კამპანიებისა თუ სამხედრო ოპერაციების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ხშირად არათუ დღეები, საათები წყვეტენ ოპერაციების აღსრულების პროცესს და მის შედეგებს. და სწორედ ახლა, თავსხმა წვიმებისა და ჭექა-ქუხილის სეზონზე, გერმანელთა მეწინავე შენაერთების მომარაგების გეგმა იშლება. რუსული სტეპები გადაუღებელი წვიმების გამო ატალახებული და გაუვალი ხდება. გენერალ პაულიუსის მე-6 არმიის ტანკები ათი დღის განმავლობაში უძრავად დგანან საწვავისა და საბრძოლო მასალების გარეშე. ზაფხულიც ისე გადის, რომ სტალინგრადის აღება ვერ ხერხდება. ფაქტი ისაა, რომ ჰიტლერის მიერ გამოცხადებული სტალინგრადის აღების ოპერაცია დანაპირების საწინააღმდეგოდ, უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე მთლიანად საფრანგეთის კამპანია. სამშობლოში კი, მორიგ გამარჯვებას ელიან. ბერლინში დაძაბულობა და მოუთმენლობა გამეფებულია.

ავვისტოს ბოლოსათვის მე-16 სატანკო დივიზიის მეწინავე ნაწილებმა მდინარე ვოლგამდე მიაღწიეს და მდინარის სიგრძეზე გაჭიმული სამრეწველო ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილიც აიღეს.³²⁰ თითქოს ყველაფერი გამოსწორდა და სტალინგრადის სრული დაკავებაც რამდენიმე დღეში უნდა მოხდეს, მაგრამ ახლა საბრძოლო მოქმედებების ხასიათი იცვლება და გერმანელების მიერ აქამდე წარმატებით მიმდინარე მანევრული ომი პოზიციურ ომში გადადის.³²¹ ამისთვის კი, გერმანელი ჯარისკაცი მზად არ არის. ასეთი ბრძოლების წარმოება მისთვის უცხო ხილია. აქამდე ევროპისა და რუსეთის საომარ მოქმედებათა თეატრებზე წარმოებულ საომარ კამპანიებში ვერმანტი ბლიცკრიგის სტრატეგიის გატარებითა და მანევრული ბრძოლებით აღწევდა წარმატებას, რისი განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორიც შეტევის ტემპი იყო. ახლა კი უკვე განსხვავებული ვითარებაა, აქ სულ სხვა ტიპის, ქალაქში ბრძოლასთან გვაქვს საქმე, რაც გერმანელებისათვის უცხო ხილია.³²²

³¹⁹ 1942 წლის 17 ივლისისათვის საბჭოელთა სტალინგრადის ფრონტის შემადგენლობაში იყო: 12 დივიზია (160 ათასი კაცი), 2200 საარტილერიო დანადგარი, 400 ტანკი და 450-ზე მეტი თვითმფრინავი. გარდა ამისა, მის საპარო ზოლში მოქმედებდა 200-მდე შორეული ავიაციის ბომბდამშენი თვითმფრინავი და საბჭოელთა 102-ე საავიაციო დივიზიის 60 ავიამანადგურებელი. ამგვარად, სტალინგრადის ბრძოლების დაწყების მომენტისათვის გერმანელები საბჭოელებთან შედარებით ფლობდნენ უპირატესობას ტანკებსა და არტილერიაში 1,3-ჯერ, თვითმფრინავებში 2-ჯერ და მეტჯერ, ხოლო ცოცხალ ძალაში საბჭოელები ერთნახევარჯერ და მეტჯერ ჩამორჩებოდნენ გერმანელებს.

³²⁰ ქალაქზე შეტევა ავიაციის გენერალ ვოლოფრამ ფონ რინტჰოფენის მე-4 საავიაციო ფლოტის მიერ საბჭოთა პოზიციებისა და თვითონ ქალაქის ინტენსიური დაბომბვებით დაიწყო. საერთო ჯამში, მთელი შემოდგომის განმავლობაში სტალინგრადის თავზე 1000 ტონა ბომბი იქნა ჩამოვარდნილი.

³²¹ 1942 წლის 1 ავვისტოს სტალინმა სტალინგრადის ფრონტის სარდლად გენერალი ანდრეი ერიომენკო დანიშნა, ფრონტის კომისრად – ნიკიტა ხრუშჩოვი. ვოლგის აღმოსავლეთ სანაპიროზე კი, ფორმირება დაიწყო 62-ე არმიამ გენერალ-ლეიტენანტ ვასილი ჩუიკოვის სარდლობით.

³²² გერმანელებისათვის სტალინგრადის აღებას ქალაქის რელიეფი, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და არაერთგვაროვანი ლანდშაფტური გარემო ართულებდა. საქმე იმაშია, რომ თუ აქამდე გერმანელთა სატანკო და ქვეითი შენაერთები ბლიცკრიგის სტრატეგიის შესაბამისად, ადვილად ახერხებდნენ რუსეთის ქალაქების გარემორტყმას და შემდეგ მათ

შექმნილ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ გენერალური შტაბის მიერ შედგენილი ქალაქის რუკა რეალობას არ შეესაბამება.

გერმანელების სტალინგრადში შესვლისთანავე ბრძოლების ხასიათი იცვლება. ქალაქის ყოველი კვარტლისთვის, ყოველი ქუჩისა და სახლისთვის გაშმაგებული მიწისქვეშა და მიწისზედა ბრძოლები იწყება. რუსები იმყოფებიან შენობების ნანგრევებში, არხებსა და სარდაფებში, ასევე ღრმა, ვოლგასთან დამრეც ლიოსის ხეობაში და გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ გერმანელებს.³²³ ეს უკვე სულ სხვა ომი და სულ სხვა რეალობაა. ამ ომში აქამდე ჯერ არსად ყოფილა შემთხვევა ჯარისკაცებისა და მატერიალური საშუალებების მსგავსი რაოდენობით გამოყენებისა ვიწრო სივრცეში – მთელი დღივითა იბრძვის ცალკეული კვარტლის, ქარხნისა და ნანგრევების გროვის დასაუფლებლად. გერმანელები იკავებენ ქალაქის წყალსაქაჩ სადგურს, სამხრეთ რკინიგზის სადგურს და სვასტიკიან დროშასაც ჰკიდებენ კომპარტიის ქალაქომის შენობაზე. გერმანელები სტალინგრადის უდიდეს ნაწილს იკავებენ, მაგრამ ამით ბრძოლები არ წყდება, რუსები არ ნებდებიან და ტყვედაც არ ბარდებიან. ისეთი ობიექტების სახელწოდებები, როგორცაა საარტილერიო შეიარაღების საწარმო „წითელი ბარიკადები“ და მეტალურგიული ქარხანა „წითელი ოქტომბერი“, სამხედრო ისტორიაში შედის.

9 ნოემბერს, მიუნხენში, ჰიტლერი „1923 წლის მარშის მონაწილეების“ წინაშე გამართულ შეხვედრაზე თავის ყოველწლიურ სიტყვას წარმოთქვამს.³²⁴ იგი ტრაბახით აცხადებს: „მე მსურს ვოლგამდე მისვლა, განსაზღვრულ ადგილამდე, განსაზღვრულ ქალაქამდე. შემთხვევითია, რომ ეს ქალაქი სტალინის სახელს ატარებს. ამიტომ არ იფიქროთ, რომ ამის საფუძველზე გადავწყვიტე ამ ქალაქში შესვლა. მას შესაძლოა სულ სხვა სახელი ერქვას, მაგრამ ეს ქალაქი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. აქ დაახლოებით ოცდაათი მილიონი ტონა ტვირთის გადასატანი გზები კვეთენ ერთმანეთს, ამასთან შესაძლებელია თითქმის ცხრა მილიონი ტონა ნავთობის გადაზიდვა... აქ არის გიგანტური

აღვაში მოქცევას, აქ, სტალინგრადში, ქალაქში, რომელიც ათეული კილომეტრებით იყო მდინარე ვოლგის გასწვრივ გაშენებული, ასეთი რამ შეუძლებელი იყო. სტალინგრადის გარშემორტყმა და აღება ქალაქის აღმოსავლეთის მთელ პერიმეტრზე მდინარე ვოლგაზე გასვლას და მის ფორსირებას ნიშნავდა, რაც ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა თვით ბრძოლაში ნაცადი გერმანული შენაერთებისთვისაც კი. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი ქალაქის სრული გარშემორტყმა. მაგრამ ასეთი ტიპის ოპერაციის ჩასატარებლად გერმანელები არ იყვნენ მზად. პაულიუსის მე-6 არმიას მდინარე ვოლგის ფორსირებისათვის არც შესაბამისი ტექნიკური საშუალებები გააჩნდა და არც საკმარისი ძალები. ამიტომ, სტალინგრადის სრული დაკავებისათვის გერმანული ნაწილები და ქვედანაყოფები უშუალოდ ქალაქში უნდა შესულიყვნენ და ცალკეულ რაიონებსა და კვარტლებში ეწარმოებინათ ბრძოლები, რაც პრინციპულად და ძირეულად განსხვავდებოდა ვერმახტისათვის ასე ჩვეული ბლიცკრიგის სტრატეგიისა და მანევრული ბრძოლის ტაქტიკისაგან.

³²³ გერმანელთა შეტევითი მოქმედებების სამხედრო დოქტრინა დაფუძნებული იყო საერთო-საჯარისო ბრძოლის პრინციპზე, რაც ტანკების, ქვეითთა, არტილერიისა და მოიერიშე ავიაციის ურთიერთქმედებაში გამოინატებოდა როგორც ოპერატიული, ასევე ტაქტიკურ ღონეებზე. ამ განაწილებას საბჭოელებმა (გენერალი ჩუიკოვი) ურბანულ გარემოში ეწ. „უშუალო შეხების“ და „მოწინააღმდეგესთან ჩახუტების“ ტაქტიკა დაუპირისპირეს, რაც გულისხმობდა გერმანელებთან რაც შეიძლება ახლო დისტანციებზე მისვლას და ბრძოლის ასე წარმოებას. ეს კი ზღუდავდა მოწინააღმდეგის მხრიდან როგორც სატანკო და საარტილერიო ცეცხლის, ასევე გერმანული ბომბდამშენი და მოპიკირე ავიაციის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას. გასაგებია, რომ გერმანელები ქალაქის კვარტლებში შესულ საკუთარ ქვედანაყოფებს ბრმა და არაკორექტულ, ეწ. „მეგობრულ ცეცხლს“ არ გაუხსნიდნენ, ამიტომ გერმანელები საბჭოელების წინააღმდეგ აღმატებული ცეცხლის უპირატესობის რეალიზაციას, ცხადია, მოკლებულნი იყვნენ. ამის საპირისპიროდ, ქალაქის დამცველი საბჭოთა ჯარისკაცები კარგად იყენებდნენ ურბანული ბრძოლის ველის ყველა განზომილებას. ისინი გერმანელებთან ახლო კონტაქტში შედიოდნენ ქალაქის მიწისქვეშა საკომუნიკაციო და საკანალიზაციო სისტემების გამოყენებით და ღიდ დანაკლისებსაც აყენებდნენ მათ. საჭიროების შემთხვევაში კი, იგივე არხების გამოყენებით გადიოდნენ ბრძოლიდან. გერმანელები საბჭოელების ბრძოლის ამ ტაქტიკას „ვირთხების ომს“ ეძახდნენ... ფაქტობრივად, გენერალ ჩუიკოვის მიერ შემუშავებული ბრძოლის ეს წესი, შემდგომი ურბანული ომების ძირითად ტაქტიკად იქცა. ამ ტაქტიკით ებრძოდნენ მაგალითად, ჩეჩნური რაზმები რუსულ შენაერთებს ჩეჩნეთის პირველი ომის გროზნოს კამპანიის მსვლელობისას, 1994 წლის დეკემბერი – 1995 წლის მარტის პერიოდში. ოპერაციის საწყის ეტაპზე, ბრძოლის ეს ტაქტიკა ჩეჩნეთისთვის საკმაოდ წარმატებულიც აღმოჩნდა, თუმცა შედეგზე ორიენტირებულმა რუსულმა მხარემ მალევე შეძლო მათი წინააღმდეგობის დაძლევა ძალთა მასირების პრინციპის გამოყენებითა და ქალაქის მთელი რიგი, მათ შორის საცხოვრებელი რაიონების განურჩეველი ნოხისებური და ტერორისტული საარტილერიო და საავიაციო დაბომბვებით.

³²⁴ აქ 1923 წლის 9 ნოემბერს, მიუნხენში, გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების მიერ, ლუდენდორფ-ჰიტლერის ხელმძღვანელობით მოწოდებულ ეწ. „ლუდის პუტჩზე“ საუბარი.

გადასატვირთი პუნქტი. ამ მიზეზების გამო მსურს მისი დაპყრობა და იცოდეთ, რომ, ამას შეეკარულე... აი, ახლახანს შეგვატყობინეს, რომ იგი უკვე თითქმის ჩვენს ხელშია! დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე მცირე ადგილი.“

ჰიტლერი თავისი განცხადების იმ ნაწილში, რომ სტალინგრადი დაეცა და იგი გერმანელებმა დაიკავეს, არმიათა B ჯგუფის შტაბის უფროსის შეტყობინებას ეყრდნობოდა, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იყო. მართალია, გერმანელებმა ოქტომბრის ბოლოსათვის უკვე ქალაქის თითქმის ცხრა მეათედი დაიკავეს, მაგრამ მისი მცირე ნაწილი ჩრდილოეთში მაინც რჩებოდა გენერალ ჩუიკოვის³²⁵ 62-ე საბჭოთა არმიის შენაერთების ხელში, სტალინგრადის ფრონტის ფანატიკოსი პოლიტიკური კომისრის, ნიკიტა ხრუშჩოვის³²⁶ მეთვალყურეობის ქვეშ. მაგრამ ჰიტლერმა ძალიან იჩქარა. იგი აქაც შეცდა თავის პროგნოზებში. სტალინგრადი არ აპირებდა დაცემას.

1942 წლის 19 ნოემბერს იწყება ოპერაცია „ურანი“, საბჭოელთა უდიდესი კონტრშეტევითი ოპერაცია. ღონთან შეტევითი მოქმედებების მთავარი დარტყმა მიმართულია გერმანელთა მოკავშირე არაეფექტურად მართული, არასაკმარისად აღჭურვილი და სატანკო ბრძოლაში სრულიად გამოუცდელი მე-3 რუმინული არმიის, გერმანელების სივრცეზე გადაჭიმული ფრონტის ხაზის სუსტი წერტილის წინააღმდეგ. ომის შემდეგ ვრცელდება აზრი, რომ საბჭოელთა ეს კონტრშეტევა, რომელიც გამიზნული იყო სტალინგრადში გერმანელთა მე-6 არმიის ალყაში მოსაქცევად, სრულიად მოულოდნელი უნდა ყოფილიყო გერმანელებისათვის. მაგრამ ეს ასე არ არის. დიდი ხანია, ვერმახტის გენერალურ შტაბში იციან სტალინგრადის ჩრდილოეთით საბჭოთა ჯარების კონცენტრაციის შესახებ. გენერალურ შტაბში კარგად იციან ამ ფლანგთან დაკავშირებული ოპერატიული საფრთხის შესახებაც და ასევე გათვალისწინებული აქვთ საბჭოელთა მხრიდან სტალინგრადისათვის სამხრეთიდან დარტყმის მიყენების შესაძლებლობა გენერალ პაულიუსის მე-6 არმიის ორმხრივი გარშემორტყმის მიზნით.

ნოემბრის დასაწყისში გერმანელებს უკვე ჰქონდათ სადაზვერვო მონაცემები გერმანელთა ფრონტის წინ, სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით, და სტალინგრადის სამხრეთით, მოკავშირეთა (რუმინელები, უნგრელები, იტალიელები) უბანზე, საბჭოთა

³²⁵ ვასილი ივანოვიჩ ჩუიკოვი (რუს. Василий Иванович Чуйков) (1900-1982წ.წ.) – საბჭოთა მხედართმთავარი, რუსეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომის მონაწილე. წითელ არმიაში სამსახური დაიწყო 1918 წელს. დაამთავრა მოსკოვის წითელი სამხედრო ინსტრუქტორების კურსები. საბჭოთა კავშირის მარშალი 1955 წლიდან, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი – 1944 და 1945 წლებში. ომის დასრულების შემდეგ, 1949-1953 წლებში იყო საბჭოთა ჯარების დაჯგუფების სარდალი გერმანიაში, 1953-1960 წლებში – კიევის სამხედრო ოლქის სარდალი, 1960-1964 წლებში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების სარდალი და სამხედრო მინისტრის მოადგილე, 1964-1972 წლებში – საბჭოთა კავშირის სამოქალაქო თავდაცვის უფროსი. II მსოფლიო ომის დროს სარდალობდა 62-ე არმიას, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სტალინგრადის ბრძოლებში და ბერლინის აღების ოპერაციაში.

³²⁶ ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვი (რუს. Никита Сергеевич Хрущёв) (1874-1971წ.წ.) – საბჭოთა სახელმწიფოს ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, გამორჩეული თავისი უშუალო გროტესკული ქცევებითა და პლექური ლექსიკით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1953-1964 წლებში, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1958-1964 წლებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი 1956-1964 წლებში. საბჭოთა კავშირის გმირი და სოციალისტური შრომის სამგზის გმირი. ბოლშევიკური პარტიის წევრი 1918 წლიდან. მონაწილეობდა რუსეთის სამოქალაქო ომსა და II მსოფლიო ომში. 1921 წლის თებერვალ-მარტში იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედი მე-11 წითელი არმიის შემადგენლობაში. კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანად ყოფნის პერიოდში, 1937 წელს, შედიოდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) განსაკუთრებული სამეულის შემადგენლობაში. მისი მმართველობის პერიოდი აღინიშნებოდა „სტალინის კულტის“ დაგმობით, საბჭოური რეპრესიების გარკვეული შერბილებითა და კოსმოსის დაპყრობაში მიღწეული წარმატებებით, ამავე დროს, ქვეყანაში ანტირელიგიური კამპანიის გაძლიერებით, სოფლის მეურნეობის მართვაში დაშვებული მძიმე შეცდომებით, 1956 წლის 9 მარტის თბილისის ახალგაზრდობის მშვიდობიანი მანიფესტაციის დახვედრით, 1956 წლის ოქტომბერი-ნოემბრის უნგრეთის ანტისაბჭოთა აჯანყების სისხლიანი ლიკვიდაციითა და 1962 წლის 2 ივნისს ნოვოჩერკასკის გაფიცული მუშების დახვედრით. მისი მმართველობის პერიოდში გაძლიერდა დაძაბულობა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. გარდა ამისა, მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გატარებულმა ე.წ. „დესტალინიზაციის“ კურსის გატარებამ გამოიწვია ჩინეთში მათ ძედუნის, ოუგოსლავიაში იოსიფ ბროზ ტიტოს, ხოლო ალბანეთში ენვერ ხოჯას კომუნისტურ რეჟიმებთან კავშირების გაწყვეტა.

შენაერთების თავმოყრის შესახებ. მაგრამ ეს ცნობები ვერმანხტის გენშტაბში დიდი ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს. გერმანელები საბჭოელებს არ თვლიდნენ ამგვარი მასშტაბური ოპერაციის წარმატებით ჩატარების უნარის მქონედ და მშვიდად ურიგდებოდნენ ფრონტებზე შექმნილ სახიფათო სტრატეგიულ ვითარებას. ეს კი დიდი შეცდომა იყო. შეცდომა, რომელიც სულ მალე გამოიღებს თავის შედეგებს. გერმანელები ვერც ქალაქის დიდი ნაწილის აღებისას მიღწეული ტაქტიკური გამარჯვების ფორსირებას ახერხებენ. ისინი ოპერატიულ წარმატებას ვერ აღწევენ. მათ არა ჰყავთ საკმარისი ცოცხალი ძალა, შესაბამისი რეზერვი და მატერიალური საშუალებები ქალაქის ბოლომდე აღების, მისი სრული კონტროლისა და ფლანგების მყარად დაცვისათვის. ასევე არასწორია იმის მტკიცება, რომ მხოლოდ გერმანელთა მოკავშირეებს – რუმინულ, იტალიურ და უნგრულ შენაერთებს მიუძღვოდათ გადამწყვეტი როლი ვოლგასთან მომხდარ კატასტროფაში.

ასეა თუ ისეა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. 19 ნოემბერს იწყება საბჭოელთა ორმაგი გარშემორტყმის სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია, კოდური დასახელებით „ურანი“.³²⁷ იგი წარმატებით ვითარდება. 23 ნოემბრისათვის პაულიუსის მე-6 არმია უკვე მთლიანად არის გარშემორტყმული.³²⁸ ფრონტის ხაზს უკან არ დგას მის განკარგულებაში მყოფი დასვენებული რეზერვი, რომელიც შეძლებდა რუსების მოგერიებას. დაახლოებით მეოთხედი მილიონი გერმანელი ჯარისკაცი მახეში ებმება. ამინდი ამჯერადაც სტალინის მოკავშირეა. სტეპში ქარბუქი მძვინვარებს და შეუძლებელია რამის დანახვა. ალყაშემორტყმულთა დასახმარებლად ასევე შეუძლებელია მოპიკირე ბომბდამშენ „იუნკერს-87“ „Stuka“-ისა და მოიერიშე თვითმფრინავების გამოყენება. პაულიუსი რადიოთი გადასცემს ვერმანხტის შტაბს, რომ მისი მდგომარეობა ერთობ მძიმეა და იგი წრიულ თავდაცვით პოზიციას იკავებს. მისი არმია ბრძოლებისათვის შემართულია, მაგრამ ამავე დროს ითხოვს მოქმედების თავისუფლებას და იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა გართულდება, ბრძოლით გაარღვიონ ალყა, გამოვიდნენ უკან და დაიხიონ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ჰიტლერი უარს ეუბნება მოქმედების თავისუფლებაზე და არმიის სარდალს პერსონალური რადიოგრამით უბრძანებს დაკავებული პოზიციების შენარჩუნებას: „მე-6 არმიამ და მისმა სარდლობამ უნდა იცოდეს, რომ მე ყველაფერს გავაკეთებ მათ დასახმარებლად და ალყის მოსასხსნელად“.

23 ნოემბერს, შუალამეს, თავის გენერლებთან თათბირის შემდეგ, პაულიუსი კვლავ ითხოვს რკალის გარღვევისა და უკანდახევის ნებართვას. 24 ნოემბერს, დილის 8 საათსა და 30 წუთზე მოდის ჰიტლერის პასუხი მინაწერით – „ფიურერის რეზოლუცია“! ეს კი ბრძანების უმაღლესი და კატეგორიული დონეა. ჰიტლერი ბრძანებს დონის დასავლეთით მდგომი ყველა გერმანული შენაერთის საალყო ბრძოლებში ჩართვას და გერმანელთა ამჟამინდელი ვოლგის ფრონტისა და ჩრდილოეთის ფრონტის ნებისმიერ გარემოებაში შენარჩუნებას. ბრძანების ბოლოში გამოკვეთილი შრიფტით მიწერილია შემდეგი ფრაზა – „საჰაერო გზით მომარაგება!“ ყველაფერი ნათელი ხდება, ეს ფრაზა მე-6 არმიისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია.

³²⁷ ოპერაცია „ურანი“, რომელიც 1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე მიმდინარეობდა, წარმოადგენდა II მსოფლიო ომში საბჭოთა ჯარების უდიდეს სტრატეგიულ შეტევით ოპერაციას სტალინგრადის ფრონტზე. იგი განხორციელდა სამი ფრონტის ჯარების კონტრშეტევით სამ მიმართულებაზე: სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი (სარდალი – გენერალი ნიკოლაი ვატუტინი), სტალინგრადის ფრონტი (სარდალი – გენერალი ანდრეი ერიომენკო) და დონის ფრონტი (სარდალი – გენერალი კონსტანტინ როკოსოვსკი). ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა სტალინგრადთან თავმოყრილი გერმანელთა მე-6 არმიისა და მისი მოკავშირე ძალების გარშემორტყმა და განადგურება. ამ ფრონტების მოქმედების კოორდინირებას ახდენდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების იმდროინდელი გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ალექსანდრ ვასილევსკი.

³²⁸ ოპერაცია „ურანის“ სრულად აღსრულება საბჭოელებმა ვერ შეძლეს, იმდენად რამდენადაც თავიდანვე ვერ მოხერხდა საბჭოელთა 24-ე არმიის დარტყმით გერმანელთა მე-6 არმიის დანაწევრება. გარდა ამისა, საბჭოელების მიერ ოპერაცია „ურანის“ აღსრულების პროცესში ცოცხალ ძალაში, შეიარაღებაში, საბრძოლო მასალაში და ყველა სახის რესურსში დიდი რიცხოვრივი უპირატესობის მიუხედავად, მოკლე დროში ვერ მოხერხდა სრულად გარშემორტყმული და იზოლირებული მე-6 არმიის ლიკვიდირება. აქ აშკარად გამოიკვეთა გერმანელთა მდგრადი საბრძოლო სულისკვეთება და მაღალი ტაქტიკური მომზადების დონე.

ლიუფტვაფეს ხელმძღვანელობა სერიოზულად ფიქრობს, რომ შექმნილ ვითარებაში შესაძლებელია „საჰაერო ხიდის“ მოწყობა სტალინგრადისკენ და მთელი არმიის ჰაერიდან მომარაგება. გერინგი თავის თავს არც ამჯერად დალატობს და ამის გარანტიას პირადად აძლევს ფიურერს. ისტორია თითქოს აქაც მეორდება. ლიუფტვაფეს უძლეველობისა და გამარჯვების ასეთივე გარანტიებს აძლევდა გერინგი ჰიტლერს დიუნკერკისა და ბრიტანეთისათვის გამართული ბრძოლების დროს. ჰიტლერმა მაშინ დაიჯერა გერინგის დაპირებებისა, რაშიც მწარედ შეცდა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ჰიტლერი ამჯერადაც იჯერებს გერინგის დანაპირებს და საკუთარი თავის ყოვლისშემძლეობის ურყევი რწმენაც უძლიერდება. იგი ღრმად და რწმუნებული, რომ ახლაც მართალია და კვლავ ერთადერთია, ვინც უძძიმეს კრიზისშიც კი ინარჩუნებს ფხიზელ გონებას, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი, ერთადერთი და შეუმცდარია. ჰიტლერი ერთი წლის წინანდელ ამბებს იხსენებს და საკუთარ თავს აჯერებს საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში. 1942 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში ხომ ახერხებდნენ დემიანსკის ალყაში მოქცეული, ასიათასკაციანი ექვსი გერმანული დივიზიის ჰაერიდან მომარაგებას? ლიუფტვაფემ მაშინ მშვენიერად იმუშავა და დივიზიებმაც მათ წინაშე დასმული ამოცანები შეასრულეს, ჰოდა აქაც იგივე განმეორდება.³²⁹ მაგრამ ჰიტლერი ცდება, ამჯერად სულ სხვაგვარადაა საქმე.

სტალინგრადი დემიანსკი არ არის და აქ შექმნილი მდგომარეობა ძირეულად განსხვავდება დემიანსკისაგან.³³⁰ ასე ფიქრობენ ვერმანტისა და ლიუფტვაფეს გამოცდილი და გონიერი მეთაურები.

ასე მაგალითად, ლიუფტვაფეს მე-4 საჰაერო ფლოტის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვოლფრამ ფონ რიხტჰოფენი³³¹ ამ ოპერაციის „აშკარა უგუნურებაზე“

³²⁹ დემიანსკის ალყა, ან სხვანაირად, დემიანსკის შეტევითი ოპერაცია – წარმოადგენდა საბჭოელთა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ჯარების შეტევით მოქმედებებს ნოვგოროდის ოლქის დაბა დემიანსკის რაიონში, ილმენისა და სელიგერის ტბებს შორის. 1942 წლის იანვარ-თებერვალში საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და ალყაში მოაქციეს გერმანელების არმიითა ჯგუფ „ჩრდილოეთში“ შემავალი მე-16 არმიის მე-2 საარმიო კორპუსის ძირითადი ძალები. ეს იყო ე.წ. „დემიანსკის ქვაბი“. დაწყებული თებერვლის თვიდან, ალყაშემორტყმული ქვედანაყოფების მომარაგება მხოლოდ საჰაერო გზით ხდებოდა. „ქვაბის“ ტერიტორიაზე იყო ორი მოქმედი აეროდრომი, უფრო ზუსტად, ორი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი. ერთი თავად დემიანსკში, ზომებით 800მ×50მ 20-30 თვითმფრინავზე, ხოლო მეორე – სოფელ პესკიში, ზომებით 600მ×30მ 3-10 თვითმფრინავზე. 20 თებერვლიდან დაწყებული, ყოველდღიურად „ქვაბში“ ჯდებოდა ლიუფტვაფეს 100-150 თვითმფრინავი, რომელთაც ალყაშემორტყმულებისათვის საშუალოდ ჩაჰქონდათ 265 ტონა ტვირთი და 22 კაცი თვითოეულ თვითმფრინავში, ე.ი. საშუალოდ – 3000 კაცი. უკანა გზაზე კი, „ქვაბიდან“ გაჰყავდათ ავადმყოფები და ბრძოლაში დაჭრილები. გერმანელთა მიერ ორგანიზებული ეს „საჰაერო ხიდი“ გამართულად მუშაობდა და საბჭოელთა დიდი ძალისხმევის მიუხედავად მათ ვერ შეძლეს მისი ლიკვიდაცია. საერთო ჯამში, „დემიანსკის ქვაბის“ არსებობის პერიოდში (1942 წლის 19 თებერვალი-18 მაისი) გერმანულმა ავიაციამ 2430 საბრძოლო გაფრენა შეასრულა, ალყაშემორტყმულებს ჩაუტანა 15446 ტონა ტვირთი, ხოლო „ქვაბიდან“ გამოიყვანა 22903 დაჭრილი. ამასთან, გერმანელთა დანაკარგებმა გარკვეული წყაროებით შეადგინეს 265 სატრანსპორტო თვითმფრინავი, სხვა მონაცემებით – 112. საომარ მოქმედებათა რაიონში ასევე საჰაერო გზით გადასროლილი იქნა გერმანელთა ახალ-ახალი ძალები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ქვაბში მოქცეული დაჯგუფების დეზოკირება. ამავე დროს, ალყის გარეთ შეიქმნა დამრტყმელი ჯგუფი სამი გერმანული დივიზიის შემადგენლობით, გენერალ-ლეიტენანტ ვალტერ ფონ ზაიდლიც-კურცბახის ხელმძღვანელობით. 1942 წლის 21 მაისს დაიწყო გერმანელთა შეტევითი მოქმედებები გარე რკალზე. ამავე დროს, ალყაშემორტყმული შენაერთების მიერ განხორციელდა დარტყმები „ქვაბის“ შიდა რკალზეც. ალყის გარღვევის ოპერაცია გერმანელებისათვის წარმატებით განვითარდა. 21 აპრილისათვის გენერალ ზაიდლიც-კურცბახის ძალებმა შექმნეს 6-8კმ სივანის ე.წ. „რამუშეის კორიდორი“, რომლითაც შესაძლებელი გახდა ალყაშემორტყმულთან დაკავშირება. 5 მაისისათვის კი, საბჭოური ბლოკადა მთლიანად იქნა ლიკვიდირებული.

³³⁰ აქ ყველაფერი ნათელია. თუ დემიანსკში საბჭოელებმა შეძლეს გერმანელთა მხოლოდ ერთი საარმიო კორპუსის ძირითადი ძალების ქვაბში მოქცევა, ამჯერად, სტალინგრადის შემთხვევაში, საქმე ენებოდა უკვე მთელს არმიასა და მასზე მიწერილ შენაერთებს. აქ, სტალინგრადის შემთხვევაში, დემიანსკისგან განსხვავებით, გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსის მე-6 არმიისა და მასთან შეშველებული შენაერთების წინააღმდეგ საბჭოელთა ძალიან დიდი ძალა – სამი ფრონტის არმიები მოქმედებდნენ. აქედან გამომდინარე, დემიანსკისა და სტალინგრადის მასშტაბების შედარება და მათი გაიგივება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. აქ არა მარტო რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ განსხვავებებს უნდა გაეგვას ხაზი.

³³¹ ვოლფრამ ფრაიერ ფონ რიხტჰოფენი (გერ. Wolfram Freiherr von Richthofen) (1895-1945წ.წ.) – ცნობილი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო მეთაური და მხედართმთავარი, ბარონი, ავიაციის გენერალ-ფელდმარშალი 1943 წლიდან. I მსოფლიო ომის, ესპანეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. ლეგენდარული გერმანელი მფრინავი ასების – „წითელი ბარონის“, მანფრედისა და მისი ძმის, ლოთარ ფონ რიხტჰოფენების

საუბრობს. მიუხედავად ამისა, 24 ნოემბერს იგი იღებს ბრძანებას, ყოველდღიურად და განუსაზღვრელი ვადით საჰაერო გზით მიაწოდოს ალყაში მოქცეულებს სამასი ტონა საწვავი, იარაღი, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა, მედიკამენტები და საკვები პროდუქტი. დიდი დაფიქრება და ღრმა ანალიზი არ ჭირდება იმის გააზრებას, რომ შექმნილი ვითარებისა და არსებული საშუალებების ფონზე ასეთი დავალების შესრულება შეუძლებელია. ასეთი დავალება ფანტასტიკის სფეროს უფრო ესადაგება.

საქმე იმაშია, რომ მე-6 არმიას, ასეთ დიდ საჯარისო გაერთიანებას სჭირდება დღე-ღამეში მინიმუმ ათასი ტონა ტვირთის მიწოდება. ეს კი წარმოუდგენელი მასშტაბებისა და სირთულის ამოცანაა თვით ლიუფტვაფესთვისაც კი. მაგრამ გენშტაბში ამას არაფრად დაგიდევინ და სამხედრო-საჰაერო ძალებს გადაჭარბებულ მოთხოვნებს უყენებენ, რადგან გერმანელთა საჰაერო ფლოტის სატრანსპორტო ესკადრილიას მიახლოებითაც კი არ შეუძლია ამ დავალებების შესრულება. ისინი ახერხებენ დღიური მოთხოვნის მაქსიმუმ ოცი პროცენტით დაკმაყოფილებას, უმეტეს დღეებში კი – უფრო ნაკლებით. ყველაფერ ამას ემატება ამინდის ფაქტორიც. სქელი ნისლი, რომელსაც პერიოდულად ერევა თოვლი და ქარბუქი, ნებისმიერ რეგულარულ ფრენას აფერხებს.

ესაა ომი გამოფიტვაზე, რაც უმძიმესი მოვლენების განვითარების ფონზე მიმდინარეობს.³³² დრო გერმანელების წინააღმდეგ მუშაობს. ძალიან მალე ჯარისკაცებს საკვები ელევით და იწყება შიმშილი.

სულ უფრო ნათელი ხდება, რომ კვების რაციონი მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ, მაგრამ ესეც აღარ შევლის საქმეს. 21 დეკემბრისათვის ალყაშემორტყმულებს უკვე ჰყავთ მძიმე ავადმყოფები და შიმშილისგან გარდაცვლილები. მიუხედავად ამისა, ფონ რიხტჰოფენის მამაცი მფრინავები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ დახმარება აღმოუჩინონ ალყაში მოქცეულ და დამშეულ თანამებრძოლებს. თავისი საბრძოლო ამოცანის შესრულებისას, 1943 წლის 31 იანვრამდე პერიოდში გერმანელები უდიდეს დანაკარგებს განიცდიან. ისინი ოთხას ოთხმოცდარვა საფრენ აპარატს კარგავენ, რაც მთელ საავიაციო კორპუსს უდრის.

მანამდე კი, 24 ნოემბრის ღამეს, გენერალ ზაიდლიც-კურცბახს,³³³ მიუხედავად განკარგულებისა, ვოლგის ფრონტიდან გაჰყავს თავისი კორპუსის მარცხენა ფლანგი. იგი

ბიბაშვილი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1913 წელს. 1914 წლიდან ქვეითი ოცეულის მეთაური და ლეიტენანტია. მონაწილეობს I მსოფლიო ომში. 1917 წლის სექტემბრიდან გადადის ავიაციაში. მსახურობს განთქმულ მე-11 გამანდგურებელ ესკადრილაში (Jagdstaffel 11). საჰაერო ბრძოლებში ჩამოავლო მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი. მამაცობისა და მიღწეული წარმატებისათვის დაჯილდოებულ იქნა I-ლი და მე-2 ხარისხის რკინის ჯვრებით. 1933 წლიდან ლიუფტვაფეშია. 1936 წლიდან გერმანული საავიაციო ლეგიონ „კონდორის“ შტაბის უფროსია, მონაწილეობს ესპანეთის სამოქალაქო ომში. 1938 წლის იანვრიდან პოლკოვნიკია, იმავე წლის ნოემბრიდან – გენერალ-მაიორი და ლეგიონი „კონდორის“ მეთაური. ამ პერიოდში მეორედ იქნა მივლინებული ესპანეთში. 1942 წლის 1 თებერვალს ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება, იმავე წლის ივლისში ინიშნება მე-4 საჰაერო ფლოტის სარდლად. 1943 წელს გადაყვანილ იქნა იტალიაში და დაინიშნა მე-2 საჰაერო ფლოტის სარდლად. აქვე ენიჭება ავიაციის გენერალ-ფელდმარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება. გარდაიცვალა თავის ტვინის სიმსივნით 1945 წლის 12 ივლისს, ავსტრიაში.

³³² ომი გამოფიტვაზე, ან სხვანაირად, ფაბიუსის სტრატეგია – სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი სახეობა, რომლის არსიც მდგომარეობს მოწინააღმდეგეზე ხანგრძლივი ზემოქმედებით მისთვის მიყენებული მუდმივი მატერიალური, ადამიანური და მორალური დანაკარგების გამო, მის დასუსტებასა და სრულ კოლაფსამდე მიყვანაში. ომს გამოფიტვაზე, როგორც წესი, იგებს ის მხარე, რომელიც უფრო დიდ რეზერვებს და მატერიალურ რესურსებს ფლობს. ამ სტრატეგიამ თავისი მეორე დასახელება – „ფაბიუსის სტრატეგია“, კვინტუს ფაბიუს მაქსიმუს ვერუკოსუს სახელის მიხედვით მიიღო, რომელიც წარმოადგენდა მეორე პუნიკური ომის პერიოდში (ძვ.წ. 218-202წ.წ.) რომის რესპუბლიკის დიქტატორს. მან ეს სტრატეგია წარმატებით გამოიყენა დიდი კართაგენელი მხედართმთავრის, ჰანიბალის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც უკვე იტალიაში იყო შემოსული. მიუხედავად იმისა, რომ ჰანიბალმა დახვეწილი ტაქტიკის წყალობით დიდი გამარჯვებებით დაასრულა ტრებიას (ძვ.წ. 218 წელი), ტრაზიმენოსა (ძვ.წ. 217 წელი) და კანეს (ძვ.წ. 216 წელი) ბრძოლები, მან ვერ გამოიყენა თავისი უპირატესობა და რომი არ დალაშქრა. საბოლოოდ, კვინტუს ფაბიუსის მიერ მის წინააღმდეგ წარმოებული გამოფიტვის სტრატეგიის გამო, იგი დამარცხდა და დიდი დანაკარგებით დატოვა იტალია.

³³³ ვალტერ ფონ ზაიდლიც-კურცბახი (გერმ. Walther von Seydlitz-Kurzbach) (1888-1976წ.წ.) – გერმანელი მხედართმთავარი, არტილერიის გენერალი. I და II მსოფლიო ომების მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1908 წელს. 1910 წლიდან ლეიტენანტია. I მსოფლიო ომში იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე, მე-8 არმიის შემადგენლობაში. იბრძოდა გუმბინენისა და ტანენბერგის ბრძოლებში. აღნიშნულ ბრძოლებში ოთხჯერ დაიჭრა. შემდეგ გადაიყვანეს დასავლეთის ფრონტზე, სადაც მონაწილეობა მიიღო სომას (1916წ.), იპრის (1917წ.) და ფლანდრიის

პაულიუსს მოხსენებით ბარათს უგზავნის, რომელშიც დაჟინებით სთხოვს დაუმორჩილებლობას და მთელი არმიის დაუყოვნებლივ გაყვანას ალყიდან. მაგრამ პაულიუსი არ არის მემპობზე ოფიცერი, იგი ფიურერის ერთგულია და მის ბრძანებებს ასრულებს. ომის შემდეგ მას საყვედურობდნენ ჰიტლერის ბრძანების შესრულების გამო, რაც მე-ნ არმიის სრული განადგურების მიზეზი გახდა. თვლიდნენ, რომ მას თავის თავზე უნდა აელო პასუხისმგებლობა და საკუთარი გადაწყვეტილებით უნდა ემოქმედა. მაგრამ ასეთი მსჯელობაც უკვე შეცდომა იყო, რადგან 1942 წლის ნოემბრის ბოლოსათვის მე-ნ არმიას უკვე აღარ ჰქონდა მხოლოდ საკუთარი ძალებით ალყიდან გამოსვლის უნარი და საბრძოლო პოტენციალი.

პაულიუსს არ შეეძლო საკუთარი ინიციატივით ასეთი გადაწყვეტილების მიღება და იმის წინასწარ განჭვრეტა, რომ მისი მოთხოვნები მომარაგებასთან და ალყის მოხსნასთან დაკავშირებით, არ შესრულდებოდა. იგი რაიხის ერთგული ჯარისკაცი იყო და არ შეეძლო სხვანაირად მოქცევა. როცა გაირკვა, რომ საჰაერო გზით შეუძლებელი იყო მთელი არმიის საკმარისი მომარაგება, ისიც ცხადი გახდა, რომ მე-ნ არმია დამოუკიდებლად ალყიდან გამოსვლას უკვე ვეღარ შეძლებდა. არსებული ძალებით შესაძლებელი იყო მხოლოდ გარკვეული ხნით პოზიციების შენარჩუნება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შეტევითი მოქმედებების წარმოება. ფაქტობრივად, ეს იყო მე-ნ არმიის აგონიის გახანგრძლივების მცდელობა.

მიუხედავად ყველაფრისა, სტალინგრადთან დაბანაკებული გერმანელი ჯარისკაცები მაინც არ ნებდებიან და იმედს ამყარებენ გარედან ალყის მოხსნაზე, და კაცზე, რომელმაც 26 ნოემბრიდან საკუთარ თავზე აიღო ახლადშექმნილი საარმიო ჯგუფი „დონის“ სარდლობა. ეს კაცი გენერალ-ფელდმარშალი ერიხ მანშტეინია, საფრანგეთის კამპანიის გმირი და ვერმანტის ყველასათვის მისაბადი ოფიცერი. იგი მზადაა უდიდესი რისკისა და ძალისხმევის ფასად მე-ნ არმია გადაარჩინოს. ეს დებლოკირების ოპერაციაა. მანშტეინი რადიოთი გადასცემს პაულიუსს შემდეგ შეტყობინებას: „გამაგრდით, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ!“

ორი ახალი სატანკო დივიზია უახლოვდება მათ საფრანგეთიდან, ხოლო კავკასიიდან ფორსირებული მარშით მოისწრაფვის გენერალ-პოლკოვნიკ ჰოტის 23-ე სატანკო დივიზია. 12 დეკემბერს დებლოკირების მიზნით გამოცდილი და გაბედული ჰოტი იწყებს მის დაქვემდებარებაში მყოფ შენაერთებთან და 232 ტანკთან ერთად ოპერაციას „ზამთრის ჭექა-ქუხილი“ – შეტევას სტალინგრადის ალყაზე. ტანკების წინ, ას კილომეტრზე, მოწინააღმდეგის მიერ კარგად დაცული რაიონია გადაჭიმული. მიუხედავად ერთი მეტრი სიმაღლის თოვლისა და ძლიერი ქარბუქისა, გერმანელთა შეტევა წარმატებით მიმდინარეობს, რუსები უკან იხევენ.

20 დეკემბრისათვის ჰოტს ალყის სამხრეთ ნაპირიდან მხოლოდ ორმოცდაათი კილომეტრიღა აშორებს. სატანკო ქვედანაყოფების უკან მზადყოფნაშია კოლონა სამი ათასი ტონა საკვებით, აღჭურვილობითა და საბრძოლო მასალებით, რომელიც მე-ნ არმიისათვის

(1917წ.) ბრძოლებში. 1917 წლიდან ჰაუპტმანია, 36-ე ქვეითი დივიზიის შტაბის ადიუტანტი. დაჯილდოებულ იქნა 1-ლი და მე-2 ხარისხის რკინის ჯვრებით. ომებს შორის პერიოდში მსახურობდა რაიხსვერში ბატალიონისა და პოლკის მეთაურის თანამდებობებზე. 1936 წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. 1939 წლიდან გენერალ-მაიორი, 1941 წლის 31 დეკემბრიდან კი – გენერალ-ლეიტენანტი. დიდი წარმატებით მოქმედებდა საბჭოელების მიერ „ქვამში“ მოქცეული გერმანული შენაერთების გამოხსნაში 1942 წლის გაზაფხულზე დემიანსკის რაიონში. 1942 წლის 8 მაისს ინიშნება არმიათა ჯგუფ „სამხრეთში“ შემავალი ვერმანტის მე-ნ არმიის 51-ე კორპუსის სარდალად. თავი გამოიჩინა ხარკოვისათვის ბრძოლებში. სტალინგრადის კამპანიაში მისმა მეწინავე კორპუსმა უძძიმესი ბრძოლებით 13 სექტემბრისათვის აიღო მამაის ყორღანი და გავიდა მდინარე ვოლგაზე. უკვე 21 ნოემბრისათვის, გაიარა რა მე-ნ არმიის უიმედო მდგომარეობა, მიმართა გენერალ პაულიუსს ალყის გარღვევის მოსამზადებელი ბრძანების გაცემისათვის, რაზეც არმიის სარდალმა უარით უპასუხა. აღნიშნული წინადადებით რამდენჯერმე მიმართვის შემდეგ, 25 ნოემბრისათვის, მან უფლება მისცა თავისი პოლკებისა და ბატალიონების მეთაურებს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე დანებებულიყვნენ მოწინააღმდეგეს, რის პასუხადაც გენერალ პაულიუსის ბრძანებით იგი ჩამოაშორეს დაკავებულ თანამდებობას, მისი კორპუსი კი, გენერალ ვალტერ ჰაიდცის მე-8 კორპუსს დაუქვემდებარეს. 1943 წლის 31 დეკემბერს გენერალი ვალტერ ფონ ზაიდლიც-კურცბახი თავის შტაბთან ერთად ტყვედ ჩაპარდა საბჭოელებს. სამშობლოში დაბრუნდა 1955 წელს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1976 წელს.

გადასაცემად არის გათვალისწინებული. ამავე დროს მანშტეინი ამზადებს ოპერაცია „მეხის დაცემას“, რომლის მიზანიც ჰოტის დივიზიამდე კორიდლორის შექმნაა. მოვლენები სწრაფად ვითარდება და დრამა თავის კულმინაციას აღწევს.

რუსებიც არ არიან უქმად. ისინი შესაბამისად მოქმედებენ. ამ მომენტისათვის სამი რუსული დივიზია დგას დონის შუაწელთან, რომლებიც კონტრშეტევისთვის მზადებას გადიან. 16 დეკემბერს კი იწყება რუსების დიდი კონტრშეტევა.³³⁴ ისინი ანადგურებენ იტალიელთა მე-8 არმიას და შეტევით მოქმედებებს სამხრეთის მიმართულებით, როსტოვისკენ ავითარებენ. იქ არაფერია, რასაც შეეძლება მათი შეჩერება. თუ საბჭოთა ჯარი როსტოვამდე მიაღწევს, მაშინ გერმანელთა საერთო მდგომარეობა უაღრესად დამძიმდება. ასეთ შემთხვევაში რუსები შეძლებენ მთლიანად გერმანელთა საარმიო ჯგუფი „დონისა“ და მასთან ერთად კავკასიაში მდგარი არმიათა ჯგუფი „A“-ს იზოლირებას. ეს კი, მთლიანად შეცვლის ოპერატიულ ვითარებას. და აქ მხოლოდ სტალინგრადის საკითხი აღარ დადგება დღის წესრიგში. საქმე ეხება უკვე არა ორასი ათას, არამედ მილიონნახევარ გერმანელ ჯარისკაცს.

მანშტეინი რთული გადაწყვეტილების მიღების წინაშე დგას. მას სხვა გზა აღარ რჩება, გარდა იმისა, რომ ჰოტს საფრანგეთიდან მოსული საუკეთესო შენაერთი, გენერალ რაუსის³³⁵ მე-6 სატანკო დივიზია ჩამოაშოროს და როსტოვის მიმართულებით გაგზავნოს იგი, სადაც გერმანელთათვის კრიტიკული სიტუაცია იქმნება. ეს კი ოპერაცია „ზამთრის ჭექა-ქუხილის“ დასასრულს ნიშნავს. ყველაფერი ნათელი ხდება. ახლა ჰოტს სტალინგრადამდე შეტევით გადაადგილებისა და მე-6 არმიასთან შეერთების არანაირი შანსი აღარ რჩება. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ პაულიუსისა და მისი არმიის ბედი გადაწყვეტილია...

1943 წლის 9 იანვარს რუსები პაულიუსს ღირსეულ კაპიტულაციას სთავაზობენ. პაულიუსი უარს ამბობს. მას სჯერა ის, რაც ფიურერის შტაბ-ბინამ განუცხადა: მე-6 არმია თავისი ბრძოლით ბოჭავს საბჭოთა არმიებს და ამით აღმოსავლეთის ფრონტის საფრთხეში მყოფ სამხრეთის ფლანგს იცავს.

სტალინგრადის გარშემო წრე სულ უფრო და უფრო ვიწროვდება. 16 იანვარს ისინი კარგავენ პიტომნიკის აეროდრომს, ცოტა ხანში კი გუმრეკის უკანასკნელ აეროდრომსაც.³³⁶ ალყაშემორტყმულებისათვის ახლა ყველაფრის პარაშუტებით გადმოყრას მხოლოდ შესაძლებელი. მაგრამ ცუდი ხილვადობის გამო, ჰაერიდან მიწოდებული პური და საბრძოლო

³³⁴ აქ საუბარია საბჭოელების მიერ მომზადებულ ოპერაცია „სატურნზე“. საბჭოთა სარდლობის ჩანაფიქრით, გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსის მე-6 არმიის განადგურების შემდეგ, ის ძალები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ოპერაცია „ურანის“ აღსრულებაში, უნდა შებრუნებულიყვნენ დასავლეთით და დაეწყოთ შეტევითი მოქმედებები დონის როსტოვის მიმართულებით – უკვე ოპერაცია „სატურნის“ ფარგლებში. ამ შეტევასთან ერთდროულად, ვორონეჟის ფრონტის სამხრეთის ფრთას დარტყმა უნდა მიეყენებინა სტალინგრადის ჩრდილოეთით გაშლილი იტალიელთა მე-8 არმიისთვის. ამავე დროს, ვორონეჟის ფრონტის შენაერთებს უნდა დაეფარათ საბჭოელთა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჩრდილოეთის ფლანგი.

³³⁵ ერჰარდ რაუსი (გერმ. Erhard Raus) (1889-1956წ.წ.) – ავსტრიელი და გერმანელი მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1909 წელს. მსახურობდა ავსტრო-უნგრეთის არმიაში. I მსოფლიო ომში მიაღწია კაპიტნის ჩინს. ომის დასრულების შემდეგ მსახურობდა ავსტრიის არმიაში სხვადასხვა საშტაბო და სამეთაურო თანამდებობებზე. 1936 წლიდან პოლკოვნიკია. III რაიხის მიერ განხორციელებული ავსტრიის ანშლუსის შემდეგ, 1938 წელს, გადადის ვერმახტში. ინიშნება მე-17 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. ამ თანამდებობაზე ხვდება იგი II მსოფლიო ომის დაწყებას. 1940 წლის ივნისიდან მეთაურობდა მე-4 ქვეით პოლკს, შემდეგ – მე-6 სატანკო დივიზიის მე-6 მოტორიზებულ ბრიგადას. 1941 წლის 7 სექტემბრიდან გენერალ-მაიორია, იმავე წლის ნოემბრიდან – მე-6 სატანკო დივიზიის მეთაური. 1943 წლის 10 დეკემბრიდან სატანკო ჯარების გენერალი და მე-4 სატანკო არმიის სარდალია, შემდეგ 1-ლი და მე-3 სატანკო არმიების სარდალი და გენერალ-პოლკოვნიკი. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1945-1946 წლებში იმყოფებოდა ტყვეობაში. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და ცხოვრობდა ვენაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1956 წელს.

³³⁶ ამ აეროდრომის დაკარგვის შემდეგ, კიდევ რამდენიმე დღე მოქმედებდა ასაფრენ-დასაფრენი ზოლი დასახლება სტალინგრადისკისთან, მაგრამ მისი ზომები შეზღუდული იყო, ამიტომ ამ ზოლით სარგებლობა მხოლოდ მცირე ზომის თვითმფრინავებს შეეძლო. დაწყებული 26 იანვრიდან, გერმანელებმა ეს უკანასკნელი ობიექტიც დაკარგეს და გარე სამყაროსგან სრულად იქნენ იზოლირებულნი.

მასალა მოწინააღმდეგეს უვარდება ხელში.³³⁷ პაულიუსი სთხოვს ჰიტლერს კაპიტულაციის ნებართვას, მაგრამ ეს უკანასკნელი უკრძალავს დაწინააღმდეგებას. მისთვის სტალინის ქალაქი არის სიმბოლო, რომელიც აუცილებლად უნდა შეინარჩუნონ ნებისმიერ ფასად. იმავეს ითხოვს სტალინი თავისი ჯარისკაცებისაგან.

ჰიტლერი ბრძანებს „გმირულად გაძლებას უკანასკნელ გასროლამდე და უკანასკნელ ჯარისკაცამდე“ და ამით სასიკვდილოდ სწირავს მე-6 არმიის ნარჩენებს.³³⁸ 30 იანვარს ჰიტლერი პაულიუსს გენერალ-ფელდმარშლის უმაღლეს სამხედრო წოდებას ანიჭებს. ყველაფერთან ერთად ამ აქტს თავისი დიდი სიმბოლური და იდეოლოგიური დატვირთვა აქვს, მაგრამ ეს უკვე განწირულის ჟესტია. სამხედრო ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი ტყვედ ჩაბარებულიყოს. უმაღლესი სამხედრო წოდების მინიჭებით ჰიტლერს სურს, ხელი შეუშალოს პაულიუსს ამგვარად მოქცევაში, და ეს არის უკანასკნელი შეცდომა, რასაც ჰიტლერი უშვებს სტალინგრადისათვის ბრძოლაში. ერთი დღის შემდეგ პაულიუსი ნებას რთავს თავისი შენაერთების სარდლებსა და ნაწილის მეთაურებს კაპიტულაციაზე, თვითონ კი ტყვედ ბარდება. „ამ კაცმა თვითონ მოიკლა თავი!“ – სიბრაზისგან ცოფებს ყრის ჰიტლერი.

1943 წლის 2 თებერვალს სტალინგრადი უკანასკნელ წინააღმდეგობას წყვეტს. ოთხმოცი ათასზე მეტი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი რჩება ბრძოლის ველზე, ოთხმოცდაათი ათასზე მეტი გაყინული, გაუბედურებული და ძონძებით მოსილი ადამიანი კი, ტყვედ ბარდება რუსებს. მოგვიანებით, მათგან სამშობლოში მხოლოდ ექვსი ათასი დაბრუნდება...

1943 წლის 3 თებერვალს ყველა გერმანული რადიოსადგური გადასცემს ფიურერის შტაბიდან შეტყობინებას სტალინგრადის დათმობისა და ვერმახტის მე-6 არმიის მარცხის შესახებ. ამის გაგონებაზე გერმანიის მოსახლეობა შოკში ვარდება. ამ ამბავს და მთელი მე-6 არმიის დაღუპვას გერმანელი ხალხი უდიდეს ტრაგედიად აღიქვამს. დიქტორი პათეტიკურად აცხადებს:

³³⁷ 1943 წლის 19-20 იანვარს, მძიმე მდგომარეობიდან გამოდინარე, ნათელი გახდა მე-6 არმიის შენაერთების პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის დაცემა და სრული დემორალიზაცია, განსაკუთრებით გადამწყვეტ საბრძოლო უბნებზე. არმიათა ჯგუფის შტაბსა და უმაღლეს სარდლობაში მე-6 არმიის შტაბიდან რამდენიმე შეტყობინება გაიგზავნა, რომლებშიც საერთო ჯამში შემდეგი შეფასებები იყო ფორმულირებული:

„ჯარების ბრძოლისუნარიანობა კატასტროფულად მცირდება სურსათით, საწვავითა და საბრძოლო მასალებით ცუდი მომარაგების გამო. 16000 კაცია დაჭრილი, რომლებიც ვერავითარ სამედიცინო დახმარებას ვერ იღებენ. ვოლგის ფრონტზე მოქმედი ჯარების გარდა, სხვებს პოზიციები არა აქვთ მოწყობილი, ასევე არა აქვთ შუშა. პირად შემადგენლობაში შეინიშნება მორალური გახრწნის ნიშნები. პირადი შემადგენლობის უდიდესი უმრავლესობა გადაღლისა და გამოფიტვის, სიცივისა და შიმშილის გამო სიკვდილის პირას იმყოფება. ბევრი ორგანიზმის არასაკმარისი წინააღმდეგობის გამო მძიმედ დაავადდა... წინააღმდეგობის გაწვევისა და ბრძოლის შეწყვეტის მიზნით, კიდევ ერთხელ გთხოვთ მოქმედებების თავისუფლებას, რათა მოვუაროთ დაჭრილებს და თავიდან ავიცილოთ ჯარების სრული გახრწნა“.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, მე-6 არმიის ამ შეტყობინებას არც არმიათა ჯგუფის შტაბიდან და არც ვერმახტის უმაღლესი სარდლობიდან შესაბამისი პასუხი და რეაგირება არ მოჰყოლია. მე-6 არმია განწირული იყო.

³³⁸ ჰიტლერის ბრძანებაში მე-6 არმიის სარდლისადმი, რომელიც 1943 წლის 24 იანვრით თარიღდება, შემდეგი სტრიქონები იყო: „მტრისათვის დაწინააღმდეგებას გიკრძალავთ. მე-6 არმიამ უნდა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები უკანასკნელ კაცამდე და უკანასკნელ გასროლამდე. თქვენი გმირული გამძლეობით შეუფასებელ წვლილს გაწევთ თავდაცვითი ფრონტის შესაქმნელად და დასავლეთის გადასარჩენად“. შემონახულია უცნობი გერმანელი ჯარისკაცის დღიური, სადაც კვითხულობთ – 26 იანვარი:

ამ ჯოჯოხეთის გამო, რაც სტალინგრადში ტრიალებდა, გენერალმა სტემპელმა, 371-ე დივიზიის მეთაურმა თავში ტყვია დაიხალა. გენერალი დრებერი, 297-ე დივიზიის მეთაური თავისი 10000-იანი დივიზიის გადარჩენილ 1800 კაცთან ერთად ტყვედ ჩაბარდა საბჭოელებს. გენერალი ჰარტმანი კი, 71-ე დივიზიის მეთაური, უძრავად იდგა ვოლგის სანაპიროსთან, რკინიგზის ხაზზე და მანამდე ესროლა მტერს თავისი პისტოლეტიდან, სანამ ძირს არ დაეცა საპასუხო ცეცხლით... ხელები უკვე აღარ მემორჩილება დეკემბრის თვის დადგომიდან. მარცხენა ხელის ნეკა თითი დაკარგა, და რაც ყველაზე უარესია, მარჯვენა ხელის შუა სამი თითიც მოყინული მაქვს. ტოლჩას ძლივს ვიკავე ხოლმე ორი თითით. ძალიან უსუსურად ვგრძნობ თავს. მხოლოდ მაშინ ხვდება კაცი თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითების დაკარგვა, როდესაც მარტივ რამესაც კი ვეღარ აკეთებ დამოუკიდებლად. ერთადერთი რასაც კიდევ ვაკეთებ დამოუკიდებლად, ესაა, რომ ნეკა თითით ჯერ კიდევ კარგად ვუსვამ სასხლეტს და ვისვრი. სხვა მხრივ ხელები ფაქტიურად დაკარგული მაქვს...

„სტალინგრადთან მიმდინარე მძიმე და თავგანწირული ბრძოლები დასრულებულია. სამხედრო ფიცის ერთგულ გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსის სანიმუშო მეთაურობის ქვეშ მყოფი მე-6 არმია დაიღუპა მოწინააღმდეგის ძალთა უპირატესობისა და არახელსაყრელი პირობების გამო... სვასტიკიანი ღროშის ქვეშ, რომელიც აღმართული იყო ქალაქის ყველაზე მაღალ ნანგრევებზე, გაიმართა უკანასკნელი სისხლიანი ბრძოლები. ჩვენი მამაცი გენერლები, ოფიცრები და ჯარისკაცები მხარდამხარ იბრძოდნენ უკანასკნელ ამოუნთქვამდე და უკანასკნელ გასროლამდე. გერმანული არმიის თავგანწირვა ამო არ ყოფილა. ისინი დაიხოცნენ, რათა გერმანიამ იცოცხლოს.“³³⁹

შემდეგ საუბარს განაგრძობს ჰაინრიხ გეორგი.³⁴⁰ იგი სწრაფად, გაურკვეველი სიტყვებით წარმოთქვამს:

„როგორ მიდიან ძლიერები სიკვდილზე? მებრძოლი პასუხობს: თავდაჭერილობა, რომელსაც ადამიანი სიკვდილის წინაშე წარმოაჩენს, მის ჭეშმარიტ ღირსებას ასახავს. სუსტი სიკვდილის წინაშე კანკალებს ისევე, როგორც მას ცხოვრებაში სჩვევია. მამაცები კი, სხვანაირად იქცევიან. სიკვდილი, ისევე როგორც სიცოცხლე, ის გადაწყვეტილებაა, რომელზეც პასუხისმგებლობის აღება მხოლოდ მამაც გულს შეუძლია. ძლიერებს, რომლებიც კანონის შესაბამისად აფასებენ ყველაფერს, არა აქვთ სიკვდილისადმი არც შიში და არც სიყვარული. მათ არ იციან რა არის შიში და სიცოცხლისათვის ბრძოლაში არც სიკვდილს აგლებენ არაფრად...“

ამ შთამბეჭდავ და მეტად პათეტიკურ გამოსვლებში არ ერია არც ერთი სიტყვა იმის თაობაზე, რომ ასიათასობით ადამიანი გაწირეს უაზროდ და ეს ტრაგედია არ უნდა მომხდარიყო. სწორედ უაზრო და უღმობელმა განაჩენმა აქცია ისინი გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის კატასტროფული შეცდომების მსხვერპლად.³⁴¹

³³⁹ სხვადასხვა წყაროებით, სტალინგრადის ქვაბში მოქცეული გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსის მე-6 არმიის ჯარების თავდაპირველი რიცხოვნობა დაახლოებით 220000 კაცს შეადგენდა. საჭირო ტრანსპორტით ევაკუირებულ იქნა 42000 დაჭრილი. 91000 ტყვედ ჩავარდა. ეს კი მთელი დაჯგუფების 60%-ზე მეტს შეადგენდა. დანარჩენი ნაწილი ბრძოლებში იქნა მოკლული.

³⁴⁰ ჰაინრიხ გეორგი, ნამდვილი გვარ-სახელი – გეორგ აგუსტ ფრიდრიხ ჰერმან შულცი (გერმ. Georg August Friedrich Hermann Schulz) (1893-1946წ.წ.) – თეატრისა და კინოს ცნობილი გერმანელი მოღვაწე, მსახიობი და თეატრალური რეჟისორი. 1914 წელს მოხალისედ მიდის ფრონტზე, სადაც მძიმედ იჭრება. 1917 წლიდან დემობილიზაციაშია. გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ აქტიურად თანაშემრომლობდა ნაცისტებთან. ბერლინის შიღვის სახელობის თეატრის დირექტორი. 1945 წლის 22 ივნისს საბჭოთა შინსახკომის ორგანოებმა დააპატიმრეს ბერლინთან ახლოს. გარდაიცვალა შიმშილისაგან ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში 1946 წლის 25 სექტემბერს, თუმცა გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად აპენდიციტის ოპერაცია დასახელდა.

³⁴¹ სტალინგრადში ტყვედ ჩავარდნილი 91000 კაციდან მხოლოდ 5000 დაბრუნდა უკან, გერმანიაში. დასუსტებულები, გაყინული და დაავადებულნი, ისინი ვაგზავნილ იქნენ ტყვეთა ბანაკებში, სადაც უმეტესობა დაიხოცა. 1943 წლის მარტში ტიფის ეპიდემიისგან გარდაცვლილი 40000 გერმანელის გვაში საბჭოელებმა დაწვეს და მათი ნარჩენები საერთო საფლავში დაასაფლავეს. მაღალი რანგის ოფიცრები კი, მოსკოვში ჩაიყვანეს და პროპაგანდისტული მიზნებისათვის გამოიყენეს. ზოგიერთი ოფიცერი „თავისუფალი გერმანიის ეროვნულ კომიტეტში“ გაერთიანდა, ფელდმარშალი პაულიუსი კი, ანტიპიტლერულ პოზიციებზე გადავიდა და მისი რადიომოწოდებები რეგულარულად გადაეცემოდა გერმანულ ჯარებს. მან 1952 წლამდე იცხოვრა საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი აღმოსავლეთ გერმანიაში, დრეზდენში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სიცოცხლის დარჩენილი წლები გაატარა...



ერჰარდ რაუსი
(1889-1956)



ვოლფრამ ფონ რიხტოფენი
(1895-1945)



ფრიდრიხ პაულიუსი
(1890-1957)



ჰერმან გოტი
(1885-1971)



ჰაინრიხ გეორგი
(1893-1946)



ვალტერ ფონ ზაიდლიც-კურცბახი
(1888-1976)



ვასილი ჩუიკოვი
(1900-1982)



ნიკიტა ხრუშჩოვი
(1874-1971)



სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრები. მარცხნიდან მარჯვნივ: ხრუშჩოვი, ჩუიკოვი, კირიჩენკო და ფრონტის სარდალი ერიომენკო. 1942 წელი



გენერლები ვალტერ ფონ ზაილიცი-კურცბახი (მარცხნივ) და ფრიდრიხ პაულიუსი აღმოსავლეთის ფრონტზე. 1942 წელი



სტალინგრადი, 1942 წლის შემოდგომა. გერმანელი ოფიცერი საბრძოლო ამოცანას უსვამს 389-ე ქვეითი პოლკის უნტერ-ოფიცრებს. ისინი ქვედანაყოფებისა და გათვლების მეთაურები უნდა იყვნენ, იმდენად, რამდენადაც მკერდზე ბინოკლები აქვთ ჩამოკიდებული. მარცხნივ, წინა პლანზე, ზურგით ჩვენსკენ – გერმანელი ოფიცერი ზურგზე გადაკიდებული საბჭოური წარმოების ნაალაფარი შაშხანით CBT-40



ვერმანტის 24-ე სატანკო დივიზიის ჯავშანტექნიკა და ტანკები სტალინგრადის სტეპებში



გერმანული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი Marder III სტალინგრადის გარეუბანში



გერმანელები MP-40-ით





სტალინგრადისკენ!



Bundesarchiv, Bild 183-1002-0003-502
Foto: Klose | 2. Oktober 1942



ლიუფტვაფის მე-4 საჰაერო ფლოტის „იუკერს-87“-ები სტალინგრადის ცაში მოპიკირე ბომბდამშენთა ესკადრა „იმელმანის“




სტალინგრადის პირველი დაბომბვა – 1942 წლის 23 აგვისტო





მე-4 საჰაერო ფლოტის მოპიკირე ბომბდამშენ „იუნკერს-87“-ების ესკადრა „იმელმანის“ მიერ სტალინგრადის დაბომბვა. ერთ-ერთი თვითმფრინავიდან გადაღებულ ფოტო



სტალინგრადის სამრეწველო რაიონის დაბომბვა, 1942 წლის 24 ნოემბერი



სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა დაბომბვის შემდეგ



გერმანული ჯარისკაცი საბჭოთა IIIIII-თი



ვოლგის ნაპირებზე გასული ვერმახტის მე-16 სატანკო დივიზიის პანცერგრენადერები



Bundesarchiv, Bild 183-B22531
Foto: o. A.ug. | Oktober 1942

კომპარტიის სტალინგრადის ქალაქკომის შენობის სახურავზე აღმართულ სვასტიკიანი დროშა




БМ-13-ების დივიზიონი სტალინგრადთან, 1942 წლის 6 ოქტომბერი





Операция «Уран»



დაჭრილი გერმანული ჯარისკაცების ევაკუაცია სატრანსპორტო თვითმფრინავით Ju-52, „იუნკერს-52“



საბჭოთა მეომრები და მეთაურები (ცენტრში ორი გენერალ-ლეიტენანტია – ჩუიკოვი და გუროვი, ოდნავ მარჯვნივ – გენერალ-მაიორი) ათვალთვლებენ ალაფად მოპოვებულ გერმანულ ტანკს Pz.Kpfw. III Ausf. ტანკზე კარგად ჩანს ვერმახტის 24-ე სატანკო დივიზიის ემბლემა – ბარიერზე მსტომი მხედარი



საბჭოთა ჯარები სტალინგრადთან. წინა პლანზე БМ-13 „კათიუშა“, უკან – ტანკი Т-34





საბჭოელთა ალაფი – გერმანული ტანკი Pz.Kpfw. IV



გერმანელები ალყაში – „იუნკერს-52“ დემიანსკის აეროდრომზე



62-ე არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ვასილი ჩუიკოვი (ჯოხით ხელში) და მისგან მარცხნივ, სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-ლეიტენანტი კუზმა გუროვი



გერმანელი ტყვეები



ტყვედ ჩაბარებული გენერალ-ფელდმარშალი ფრიდრიხ პაულიუსი და მისი ადიუტანტი ვილჰელმ ადამი მიჰყავთ საბჭოთა 62-ე არმიის შტაბში



ვერმახტის მე-6 არმიის ტყვე ოფიცრები სტალინგრადში. პირველი ოთხი მარცხნიდან მარჯვნივ: 295-ე ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი ოტო კორფესი (Otto Korfes), 295-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი გერჰარდ დისელი (Gerhard Dissel), მე-4 საარმიო კორპუსის სარდალი, არტილერიის გენერალი მაქს პფეფერი (Max Pfeffer), 51-ე საარმიო კორპუსის სარდალი, არტილერიის გენერალი ვალტერ ზაიდლიც-კურცბახი (Walther von Seydlitz-Kurzbach)



62-ე არმიის სარდალი, გენერალი ვასილი ჩუიკოვი გვარდიულ დროშას გადასცემს 39-ე მსროლელი დივიზიის მეთაურს, გენერალ სერგეი გურევს. სტალინგრადი, ქარხანა „წითელი ოქტომბერი“, 1943 წლის 3 იანვარი



შინაური პირუტყვის ჩლიქების გროვა. ალყაში მოქცევისა და მომარაგების ყოველგვარი არხების გადაკეტვის შემდეგ, მე-6 არმიის პირად შემადგენლობაში ტოტალური შიმშილი დაიწყო. გერმანელებმა შეჭამეს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველგვარი შინაური საქონელი და სტალინგრადის ბრძოლებში დაზოცილი სასაპალნე ცხენები



სტალინგრადთან გაყინული გერმანელი ჯარისკაცები

§3.9. ოპერაცია „ოპერლორდი“ (ნორმანდია, 1944 წლის 6 ივნისი)

II მსოფლიო ომი გერმანელთათვის დიდი წარმატებით იწყება, „ბლიცკრიგი“ ყველგან იმარჯვებს. 1941 წლის ბოლოსათვის ჰიტლერი თითქმის მთელ ევროპას იკავებს და ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ იგი რუსეთშიც გაიმარჯვებს. ბრძოლებში რუსები დიდ დანაკლისებს განიცდიან როგორც ცოცხალ ძალაში, ასევე მატერიალურ საშუალებებში. გერმანულ სატანკო შენაერთებსა და ქვეით ჯარს საბჭოელები ვერაფრით ვინააღმდეგობას ვერ უწევენ და შეუჩერებლად იხევენ უკან, ქვეყნის სიღრმისაკენ. მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, უინსტონ ჩერჩილი არ კარგავს ევროპის კონტინენტზე დაბრუნების იმედს.

მისი იდეა მოკავშირეთა ძალების მიერ დიდი სადესანტო ოპერაციის განხორციელებაა საფრანგეთში, რომლის მსგავსიც კაცობრიობას ჯერ არ უნახავს. ჩერჩილის ჩანაფიქრით ამ მასშტაბურმა ოპერაციამ კარდინალურად უნდა შეცვალოს II მსოფლიო ომის შემდგომი მსვლელობა ევროპის კონტინენტზე. ოპერაციის კოდური დასახელებაა „ოვერლორდი“. აშკარაა ისიც, რომ დესანტის ნებისმიერი წარმატებული გადმოსხმა ჩაიშლება მომარაგების უზრუნველყოფის გარეშე. ჩერჩილს გაცნობიერებული აქვს, რომ საინტერვენციო ჯარს ყოველდღიურად დასჭირდება ათასობით ტონა საწვავი, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა და საკვები პროდუქტი. უკვე 1942 წლის დეკემბერში ბრიტანელი გენერალი ფრედერიკ ე. მორგანი³⁴² იღებს ბრძანებას, თავისი შტაბი ტექნიკურად მოამზადოს ევროპაში ინტერვენციისათვის. იწყება დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და შენაერთების შტაბების ყველაზე ფართომასშტაბიანი სწავლებები, რაც კი აქამდე ჩატარებულა.

დესანტის გადმოსხმისთვის საუკეთესო რაიონის შერჩევის საკითხი მოკავშირეებს შორის 1944 წლამდე მუდმივი კამათის საგნად რჩებოდა. პოლანდია გამოირიცხა, რადგან სანაპირო რაიონი შესაძლოა აქ წყალმა წალეკოს. ასევე გამოირიცხა ბელგია, რადგან აქ ძალიან ძლიერი ზღვის მოქცევები იცის. ბრეტანი კი ძალიან შორსაა. პა-დე-კალეს, ლა-მანშის სრუტის ყველაზე ვიწრო ადგილს, უმოკლესი მისასვლელი გზებით, რამდენიმე უპირატესობა გააჩნია. მაგრამ ზუსტად ეს ადგილია გერმანელების მიერ კარგად გამაგრებული. მის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ინგლისის ნავსადგურები – დუერი და ფოლკსტონი ძალიან პატარაა იმისათვის, რომ დიდმა საინტერვენციო ფლოტმა შეძლოს მისი გამოყენება.

ფაქტი ისაა, რომ ფლოტი უნდა გავიდეს ინგლისის სამხრეთ სანაპიროდან, პლიმუტსა და ბრაიტონს შორის მდებარე დიდი ნავსადგურებიდან. აქვე უნდა მოხდეს მოკავშირეთა ჯარებისა და ტექნიკის თავმოყრა. საპირისპირო მხარეს ნაკლებად გამაგრებული და ამავე დროს საკმაოდ ახლოს მდებარე კოტანტენის ნახევარკუნძულია. ესაა ადგილი, სადაც მოკავშირეთა თვითმფრინავებმა დღეში რამდენჯერმე უნდა შეძლონ ფრენების შესრულება ხმელეთზე გადასხმული დესანტისა და მოპოვებული პლაცდარმის მომარაგებისათვის. ამგვარად, არჩევანი ჩერდება ქვემო ნორმანდიაზე, შერბურსა და კანს შორის მდებარე ტერიტორიაზე.

1944 წლის დასაწყისში იწყება დესანტირების საბოლოო გეგმის შემუშავება. თავდაპირველი, 1943 წელს გამართულ თეირანის კონფერენციაზე დაგეგმილი ოპერაცია „ენვილი“, რომელიც ითვალისწინებდა მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმას პროვანსში,

³⁴² ფრედერიკ მორგანი (ინგლ. Frederick Edgworth Morgan) (1894-1967წ.წ.) – ბრიტანელი ოფიცერი, გენერალ-ლეიტენანტი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე. II მსოფლიო ომის დაწყებისას, 1939 წელს, ენიჭება ბრიტანეთის გენერლის წოდება და ინიშნება საფრანგეთში მოქმედი ბრიტანელთა 1-ლი ჯავშანდივიზიის მხარდაჭერი ჯგუფის უფროსად. 1942 წლის მაისში ინიშნება 1-ლი საარმიო კრპუსის სარდლად და ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1943 წლის მარტში ინიშნება მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ოპერაცია „ოვერლორდის“ გეგმის შემუშავება.

„ოვერლორდის“ სასარგებლოდ იცვლება. საბოლოოდ, „ოვერლორდის“ გეგმა 1944 წლის დასაწყისისათვის დამტკიცდა.³⁴³ 1944 წლის 14 იანვარს ბრიტანულ-ამერიკული გაერთიანებული სადესანტო-საექსპედიციო ძალების მთავარსარდლად ამერიკელი გენერალი, ღუაით ეიზენჰაუერი³⁴⁴ ინიშნება, ხოლო სახმელეთო ჯარების სარდლად, ბრიტანელი გენერალი ბერნარდ მონტგომერი.³⁴⁵

მოკავშირეებს სურთ გერმანელთა სინამდვილესთან მიახლოებული ვარაუდის გაძლიერება, თითქოს დესანტის გადმოსხმა მართლაც პა-დე-კალესთან იგეგმება.³⁴⁶ ამიტომ ღუერში სადესანტო გემ-მაკეტთან თავს იყრის მოკავშირეთა მოჩვენებითი ფლოტი. ამით გერმანელთა სამხედრო ბანაკი შეცდომაში შეჰყავთ, რომლებიც თითქმის ყოველ დამე ბომბავენ კალეს რეგიონს. შედეგი მიღწეულია, თანაც ისეთი მასშტაბებით, რომელიც თვით

³⁴³ მიუხედავად თავისი დიდი ოპერატიული მნიშვნელობისა და მასშტაბებისა, ოპერაცია „ოვერლორდის“ საერთო მონახაზი შედარებით მარტივი იყო: საფრანგეთის სანაპირო ზოლში უნდა მოქმედებოდა მოკავშირეთა გაერთიანებული დესანტის გადასხმისათვის ხელსაყრელი ადგილები, სადაც მოხდებოდა ჯარების გადმოსხმა და მათი თავმოყრა. შემდგომში კი, პლაცდარმის შექმნა – საბრძოლო რაიონების გამოყოფა და იზოლირება, ხიდების, გვირაბებისა და სარკინიგზო შეტყობინების სახეების აფეთქება, რათა გერმანელებს არ შეძლებოდათ რეზერვების ამოქმედება, ძალების გადაჯგუფება და გაძლიერება. მოკავშირეთა დესანტის მიერ სანაპირო პლაცდარმის შექმნის შემდეგ, შეტევითი მოქმედებები უზრუნველყოფილი იქნებოდა ყველა სახის საჭირო აღჭურვილობით, შემდეგ კი დაიწყებოდა საფრანგეთის ტერიტორიების სიღრმეში შეჭრა.

³⁴⁴ ღუაით ეიზენჰაუერი (ინგლ. Dwight David Eisenhower) (1890-1969წ.წ.) – გამოჩენილი ამერიკელი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ამერიკის არმიის ხუთვარსკვლავიანი გენერალი 1944 წლიდან, ამერიკის შეერთებული შტატების 34-ე პრეზიდენტი 1953-1961 წლებში. დაამთავრა ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემია 1915 წელს. 1917 წლიდან კაპიტანია. 1922-1925 წლებში მსახურობდა პანამაში. 1933-1935 წლებში იყო აშშ-ის არმიის გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ღუელას მაკარტურის თანაშემწე. შემდეგ, 1939 წლიდან მსახურობდა ფილიპინებზე. 1941 წლის მარტში ინიშნება მე-3 არმიის შტაბის უფროსად და ენიჭება ბრიგადის გენერლის წოდება. ამერიკის შეერთებული შტატების II მსოფლიო ომში ჩართვის შემდეგ აშშ-ის არმიის გენშტაბში, ოპერატიული დეველპმენტის სამმართველოში ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობები. II მსოფლიო ომის პერიოდში, დაწყებული 1942 წლიდან, მოკავშირეთა გაერთიანებული ჯარების უმაღლესი მთავარსარდალია ევროპაში. მისი სარდლობით განხორციელდა მოკავშირეთა წარმატებული სადესანტო ოპერაცია „ჩირაღდანი“ (ინგლ. Torch) 1942 წელს, რის შედეგადაც მოკავშირეთა ძალებმა დაიკავეს ჩრდილოეთ აფრიკა, ხოლო შემდეგ – სიცილია და სამხრეთ იტალია. 1944 წლის 6 ივნისს კი, ევროპის კონტინენტზე გაიხსნა მეორე ფრონტი – მოკავშირეთა ჯარები საფრანგეთში გადმოსხდნენ. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იყო მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების სარდალი ევროპაში. ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის – „ნატოს“ შექმნისთანავე, 1951 წელს, ინიშნება „ნატოს“ ჯარების პირველ მთავარსარდლად ევროპაში.

³⁴⁵ ბერნარდ მონტგომერი (ინგლ. Bernard Law Montgomery, 1st Viscount Montgomery of Alamein) (1887-1976წ.წ.) – ცნობილი ბრიტანელი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, ბრიტანეთის არმიის ფელდმარშალი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ალამეინის I-ლი ვიკონტი. დაამთავრა სანდჰერსტის სამხედრო აკადემია. 1908 წლიდან ლეიტენანტია. მსახურობდა კოლონიურ ჯარებში – ჰეშავარსა და ბომბეში. I მსოფლიო ომში მონაწილეობდა იპრის ბრძოლაში, სადაც მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ ბრუნდება ფრონტზე. მონაწილეობს სომის ბრძოლაში. 1917 წლიდან ლონდონის 47-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსია. დაჯილდოებული იყო საბრძოლო ორდენით. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1922 წლიდან, მსახურობდა სხვადასხვა საშტაბო თანამდებობებზე. 1926 წლიდან სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ინსტრუქტორია, 1930 წელს გამოსცა სახელმძღვანელო ტაქტიკაში. 1937 წელს ინიშნება ბრიგადის მეთაურად, 1939 წელს ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. II მსოფლიო ომის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ინიშნება მე-3 ქვეითი დივიზიის მეთაურად. დიუნკერკის ოპერაციის დროს მეთაურობდა ბრიტანელთა არიერგარდს. 1940 წლის ივლისიდან საარმიო კორპუსის სარდალია, ხოლო 1942 წლის აგვისტოში ინიშნება ბრიტანელთა მე-8 არმიის სარდლად ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც იგი გენერალ ერვინ რომელის აფრიკულ კორპუსს უპირისპირდება. იმავე წლის ნოემბერში იგი სარდლობს ბრძოლებს ელ-ალამეინთან და აღწევს გამარჯვებას. ეს იყო ბრიტანელთა პირველი დიდი გამარჯვება გერმანელებზე. ელ-ალამეინის ბრძოლებში მიღწეული დიდი წარმატების გამო ენიჭება ბრიტანეთის საიმპერიო არმიის სრული გენერლის წოდება. 1944 წლიდან წარმოადგენდა ბრიტანული ჯარების სარდალს ევროპაში, იმავე წლის ივნისიდან კი, ინიშნება მოკავშირე სახელმწიფოთა სახმელეთო ჯარების სარდლად ევროპაში. აქვე ენიჭება ფელდმარშლის წოდება. 1945 წლის 4 მაისს მიიღო გერმანული ჯარების კაპიტულაცია ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, დანიასა და ნიდერლანდებში. 1946 წელს ენიჭება ალამეინის ვიკონტის ტიტული. 1946-1948 წლებში იყო საიმპერიო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი. 1951 წლიდან ინიშნება ევროპაში ნატოს ჯარების უმაღლესი მთავარსარდლის, გენერალ ეიზენჰაუერის პირველ მოადგილედ. 1958 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

³⁴⁶ აქ საუბარია მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაციაზე, კოდური დასახელებით Fortitude – „სიმაძაქე“ ან „ნებისყოფა“. იგი წარმოადგენდა ოპერაცია „ოვერლორდის“ წინაპირობას და თავისი შედეგებით II მსოფლიო ომის ერთ-ერთ ყველაზე უფრო წარმატებულ და მნიშვნელოვან ოპერაციად ითვლება. ოპერაციის მიზანი ის იყო, რომ დაერწმუნებინათ გერმანული სარდლობა მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმაში პა-დე-კალეს სანაპიროზე და არა ნორმანდიაში. შესაბამისად, ნორმანდისაკენ არ უნდა მომხდარიყო გერმანელთა დამატებითი ძალებისა და რეზერვების, განსაკუთრებით კი სატანკო დივიზიების გადმოსროლა. ოპერაცია Fortitude მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის სტრატეგიის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენდა.

მოკავშირეთა მოლოდინს აჭარბებს.³⁴⁷ მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაციაში კარგად იმუშავა და ჰიტლერი საბოლოოდ იჯერებს იმ ვერსიას, რომ მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმა და მთავარი დარტყმა პა-დე-კალესთანაა მოსალოდნელი. იგი, ისევე როგორც ვერმანტის მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი იოლი, დარწმუნებულია იმაში, რომ მოკავშირეები დესანტირებისათვის უმოკლეს გზას შეარჩევენ ზღვაზე, რაც იმავდროულად რურის სამრეწველო რაიონისკენ მიმავალ უმოკლეს მარშრუტს წარმოადგენს.

მანამდე კი, გერმანელთა მიერ დასავლეთ ევროპის სანაპირო ზოლის გასწვრივ აგებული „ატლანტიკის კედელი“ გერმანული პროპაგანდის გამორჩეული თემა ხდება.³⁴⁸

1943 წლის ბოლოს ჰიტლერი გენერალ-ფელდმარშალ ერვინ რომელს საფრანგეთში საარმიო ჯგუფის მთავარ ინსპექტორად ნიშნავს, რომლის პასუხისმგებლობის რაიონიც გერმანია-პოლანდიის საზღვრიდან ლუარის შესართავამდე ვრცელდება. რომელმა შესაბამისი თავდაცვისთვის უნდა მოამზადოს მასზე განპირობებული სანაპირო ზოლი. იგი დაუყოვნებლივ იწყებს მუშაობას და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საფრანგეთის ტერიტორიებზე უცხოური ინტერვენცია არ დაუშვას. რომელი ბრძანებს დაახლოებით ორმოცდაათი მილიონი ნაღმის დადებასა და ასაფეთქებელი კოჭათი აღჭურვილი დაბრკოლებების მოწყობას სანაპიროს მთელს მონაკვეთზე, რომელთა ნაწილი წყალში იქნა მოთავსებული. სანაპიროს ყველა სწორ ადგილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე არჭობენ ბომბებს, ე.წ. „რომელის სატაცურებს“, რომლებმაც ხელი უნდა შეუშალონ მოწინააღმდეგის

³⁴⁷ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპერაცია „ოვერლოდს“ წინ უძღოდა მოკავშირეთა მიერ შემუშავებული მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაცია, კოდური დასახელებით „სიმამაცე“ (Fortitude), რაც ითვალისწინებდა მოკავშირეთა ძალების თავმოყრის იმიტაციას პა-დე-კალეს უბანზე. აღნიშნული ოპერაცია წარმატებით განხორციელდა ხუთი ძირითადი არხის გამოყენებით:

- ფიზიკური ცრუ მოდლები: გერმანელების შეცდომაში შეყვანა არარსებული საჯარო სენაერთებისა და ნაწილების ცრუ მარშების დემონსტრირებით პა-დე-კალეს მოპირდაპირე სანაპიროზე მდებარე კენტის საგრაფოს მიწებზე, მუყაოს ნაგებობებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის შექმნით, რეზინისა და კაუჩუკის გასაბერი ტანკები, თვითმფრინავები და საავტომობილო ტექნიკა, ფანერის არტილერია;
- კონტროლირებადი და ლიმიტირებული ინფორმაციის შეგნებული გაჟონვა დიპლომატიური არხებით, განსაკუთრებით ნეიტრალური ქვეყნების გავლით;
- ცრუ რადიოგადაცემები და რადიოკავშირები მოკავშირეთა არარსებული სენაერთებისა და ნაწილების შტაბებს შორის;
- აგენტურული მუშაობის გააქტიურება, სადაზვერვო ქსელისა და ორმაგი აგენტურის ეფექტური გამოყენება;
- არარსებული სენაერთებისა და ნაწილების განმასხვავებელი ნიშნების შეგნებული ცრუ დემონსტრირება, მათი შტაბებისა და სამეთაური შემაღელებლის სახალხოდ გამოჩენა, ინტერვიუები, გადაღებები და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ის არარსებული პირველი არმიათა ჯგუფისა – First United States Army Group (FUSAG) და მისი არარსებული სარდლის, მეტად ქარიზმატული ლიდერის, გენერალ ჯორჯ პატონის კადრში ხშირი გამოჩენა.

ფაქტია, რომ ოპერაცია „სიმამაცე“ წარმატებული გამოდგა, რადგან ჰიტლერმა და ვერმანტის უმაღლესმა სარდლობამ დაიჯერა იგი. მოკავშირეთა სარდლობის ჩანაფიქრის შესაბამისად, ისინი შეცდომაში შევიდნენ. გერმანული სარდლობა არ ელოდა მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმასა და მეორე ფრონტის გახსნას ნორმანდიაში. ჰიტლერის პირადი განკარგულებით ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი და რჩეული სატანკო სენაერთები, ასევე ოპერატიული რეზერვი, პა-დე-კალესთან იქნა დატოვებული.

³⁴⁸ გერმანელთა თავდაცვის ხაზი საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროზე – ე.წ. „ატლანტიკის კედელი“, II მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1942-1944 წლებში შენდებოდა. იგი წარმოადგენდა რთული და კომპლექსური საფორტიფიკაციო ნაგებობების სისტემას და ფარავდა მძიმე არტილერიის ცეცხლისათვის მისაწვდომ განიერ სანაპირო და საზღვაო ზოლს. ხაზი წარმოადგენდა ერთმანეთთან შეერთებული ჩახლართული ბუნკერების სისტემას, სადაც განლაგებული იყო მძიმე ტყვიამფრქვევების წერტილები და მსხვილი კალიბრის იარაღის საცეცხლე პოზიციები. თავდაცვის ხაზში ინტეგრირებული იყო ოკეანის სანაპიროს დამრეცი ზოლის კლდოვანი უბნები და გორაკები. „ატლანტიკის კედლის“ სამშენებლო გეგმა 8 წელზე იყო გათვლილი. მისი შენება დაიწყო 1942 წელს და 1943 წლის ბოლოსთვის მხოლოდ 20% იყო დასრულებული. 1944 წელს, ფელდმარშალ რომელს დაევალა „ატლანტიკის კედლის“ გარნიზონების ინსპექტირება და გამაგრებათა სისტემის გაუმჯობესება. მისი ხელმძღვანელობით სანაპირო ზოლის ზოგიერთ უბანზე აშენდა წყალქვეშა დაბრკოლებათა ზოლები, ასევე არტილერიის, მათ შორის მძიმე, და ტყვიამფრქვევის წერტილები. მაგრამ სხვა ხაზებისგან განსხვავებით, თავისი კონფიგურაციით „ატლანტიკის კედელი“ წარმოადგენდა გამაგრებათა ხაზოვან სისტემას და იგი სიღრმეში არ იყო ემულირებული. მისი სიღრმე სულ რაღაც 2-4მ-ს შეადგენდა, მაშინ როცა, მაგალითად, ზიგფრიდის ხაზის სიღრმე 35-100, ხოლო მანერჰაიმის ხაზის სიღრმე 90მ-ს შეადგენდა. სწორედ ამიტომ შეძლეს მოკავშირეთა ძალებმა შედარებით მცირე ძალისხმევით და დანაკარგების ხარჯზე, სწორედ გაერღვიათ „ატლანტიკის კედელი“ და შეექმნათ საწყისი პლაცდარმი.

სატრანსპორტო პლანერებს დესანტის გადმოსხმაში. ორგანიზაცია „ტოდტი“³⁴⁹ დახმარებით აძლიერებენ ბუნკერებს, სხვა საინჟინრო თავდაცვით ნაგებობებს და მსხვილკალიბრიან სანაპირო ბატარეებს, ხოლო მდინარეების დაგუბებით ახდენენ სიღრმეში მდებარე ტერიტორიების დატბორვას.

ფიურერის ბრძანებით ლა-მანშის სრუტესთან, ღუერის საპირისპირო სანაპიროზე მიმდინარეობს თავდაცვითი ნაგებობების განსაკუთრებული გაძლიერება. ესაა სამხედრო-საინჟინრო საქმის შედეგი – „ატლანტიკის კედელი“, სანაპირო ზოლის გასწვრივ აგებული გერმანელთა მძლავრი გამაგრებული ხაზი. მილიონობით ადამიანი გერმანელების მიერ დაკავებულ რაიონებში დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ მოკავშირეების მიერ დესანტის გადმოსხმის ნებისმიერი მცდელობა ამ გადაულახავი დაბრკოლებებით დაყოვნდება და იგი სრული კრახით დასრულდება.

ერვინ რომელის მიერ შემუშავებული თავდაცვის გეგმა აგრესორის დაუყოვნებლივ ზღვისკენ უკუგდებას გულისხმობს. ამ გეგმაში გათვალისწინებულია ასევე მოკავშირეების საჰაერო უპირატესობის ფაქტორი, რის გამოც გერმანული შენაერთების ნებისმიერი გადაადგილება დღისით, უკვე მოწინააღმდეგის მიერ გადმოსხმული დესანტის წინააღმდეგ, თავიდანვე განწირულია მარცხისათვის. ამიტომ რომელი გამარჯვების ერთადერთ შანსს იმაში ხედავს, რომ გაანადგუროს მოწინააღმდეგე სანაპირო ზოლში, მაშინვე, როგორც კი იგი გემებიდან გადმოვა. ამიტომ საჭიროა იარაღისა და დაბრკოლებების მომზადება უშუალოდ სანაპირო ზოლის სიახლოვეს, ხოლო საბრძოლო ქვედანაყოფებისა და დივიზიის შტაბების მოწყობა – უშუალოდ სანაპიროზე. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ გერმანელებმა შეძლონ დესანტის გადმოსხმის სავარაუდო ადგილის ახლოს განლაგებული რეზერვების გამოყენება.

მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული ხედვები აქვს დასავლეთის მიმართულების მთავარსარდალს, გენერალ-ფელდმარშალ რუნდშტედტს. ძველი სკოლიდან გამოსულ არისტოკრატსა და გენერალური შტაბის ოფიცერს არ სჯერა სანაპიროზე წარმოებული თავდაცვითი ბრძოლების წარმატებისა. მას ეჭვი ეპარება იმაშიც, რომ რომელი გამოდგება ასეთი დიდი ოპერაციის მეთაურობისთვის და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობა მას დაეკისროს. რუნდშტედტის მიერ მოფიქრებული თავდაცვის გეგმა განსხვავებულია. მას სურს დააცადოს მოწინააღმდეგის არმიას ხმელეთზე გადმოსვლა და შემდეგ ვრცელ გაშლილ ფართობზე წარმოებულ მანევრულ ომში, როგორც ეს მაგალითად, 1939 წელს პოლონეთში, 1940 წელს საფრანგეთში და 1941 წელს რუსეთში იყო, გაანადგუროს იგი. ამიტომ იგი ძირითად გათვლას სატანკო დამრტყმელ შენაერთებზე აკეთებს, რომლებიც ზურგის რაიონშია თავმოყრილი. მას არ სურს იმის გაგება, რომ ჰაერში სრული დომინანტობა მოწინააღმდეგესა აქვს მოპოვებული და ეს ფაქტი მდგომარეობას კარდინალურად ცვლის. შექმნილ ვითარებაში, კლასიკური, სწრაფი სატანკო შეტევების შესაძლებლობა შეზღუდულია მოკავშირეთა სრული საჰაერო უპირატესობიდან გამომდინარე.

ჰიტლერი ეთანხმება გენერალ-ფელდმარშალ რუნდშტედტს, რომ 21-ე სატანკო დივიზია გადაყვანილ იქნას კანის რაიონში, რადგან მისი აზრით სწორედ იქ არის მოსალოდნელი მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმა. ამავე დროს, სს-ის მე-12 სატანკო დივიზია „ჰიტლერიუგენდი“, ასევე ღრმად ეშელონირებული და ბრძოლისუნარიანი სატანკო-სასწავლო დივიზია გადაჰყავთ უკან, ორლეანის რაიონში. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ მძლავრ სატანკო შენაერთებს, როგორც ვერმახტის შტაბის რეზერვს, პირდაპირ ფიურერის შტაბს

³⁴⁹ ორგანიზაცია „ტოდტი“ (გერმ. Organisation Todt, OT) – წარმოადგენდა III რაიხის სამოქალაქო და სამხედრო საინჟინრო ჯგუფს, რომელმაც სახელი მისი დამაარსებლის, ნაცისტური პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და ინჟინრის, ფრიც ტოდტის სახელის მიხედვით მიიღო. ორგანიზაცია პასუხისმგებელი იყო მსხვილი საინჟინრო პროექტების განხორციელებაზე როგორც ომამდელ გერმანიაში, ასევე უკვე II მსოფლიო ომის მსვლელობისას, ოკუპირებული პოლონეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე. ორგანიზაცია „ტოდტი“ ძირითად სამუშაო ძალად პოლიტიკური პატიმრებისა და სამხედრო ტყვეების იძულებით შრომას იყენებდა.

უქვემდებარებენ, რაც დიდი შეცდომაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯარების ოპერატიული მართვის რგოლი ქრება და ვერმანხტის სტრატეგიული სარდლობა ჯარების ტაქტიკურ მართვაზე იღებს პასუხისმგებლობას. საერთო ჯამში, ამ გადაწყვეტილებებს გერმანელებისათვის კატასტროფული შედეგები მოაქვს.

გერმანელებმა ზუსტად არც კი იციან, როდის და სადაა განზრახული მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმა. დაზვერვის მონაცემებით მათ მხოლოდ ის იციან, რომ ინგლისში რაღაც გრანდიოზული მზადდება. გერმანული დაზვერვის მონაცემებით იქ უდიდესი საჯარისო შენაერთების თავმოყრა იგეგმება, რაც საერთო ჯამში, მოკავშირეთა სამნახევარმილიონიან საჯარისო გაერთიანებას შეადგენს. ამას ემატება ოცი მილიონი ტონა სხვადასხვა საბრძოლო მასალის, აღჭურვილობისა და ტექნიკის თავმოყრა. ფაქტი ისაა, რომ მატერიალური საშუალებების ასეთი დიდი რაოდენობით გადატანისა და ასეთი დიდი საარმიო გაერთიანების გადაყვანა ოთხი ათასი გემით, ურთულეს ამოცანას წარმოადგენს და მსგავსი მაგალითი, აქამდე კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. საჭიროა არა მხოლოდ ხმელეთზე მათი გადასხმა და აღჭურვილობისა და ტექნიკის გადმოტვირთვა, არამედ დესანტის სწრაფი გადაადგილების დაუყოვნებლივი დაწყება.

თავდაპირველად ოპერაციის განხორციელება მაისის თვეში დაიგეგმა, მაგრამ იგი მალე შეიცვალა. ზაფხულის ნათელი ამინდისა და კარგი ხილვადობის იმედით იგი 1944 წლის ივნისისათვის გადაიდო. საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფების გადასხმის სასარგებლოდ ამას ემატებოდა 5-7 ივნისის მთვარიანი ღამეების პროგნოზი. ამავე დროს ისიც იქნა გათვალისწინებული, რომ ამ ადგილას მოქცევა ალიონზე იწყება, რამაც გენერალ ეიზენჰაუერს გადაწყვეტინა მოკავშირეთა დესანტის გადასხმის დღედ 5 ივნისი დაესახელებინა. მაგრამ ივნისის დასაწყისში ატლანტის ოკეანიდან დასავლეთ ევროპის გავლით ხანგრძლივი ცივი ციკლონი შემოიჭრა კოკისპირული წვიმებით, გრივალთა და დაბლა ჩამოწოლილი ღრუბლებით. ზღვის ასეთი ღელვისას გემებს არ შეუძლიათ ზღვაში გასვლა და ჯარების ნაპირზე გადასხმა. შექმნილმა მდგომარეობამ მოკავშირეთა გემები ისევ შეცვალა. ოპერაცია „ოვერლორდი“ ჩერდება. ოპერაციის დაწყების სავარაუდო თარიღი აგვისტომდე გადადის.

1944 წლის 5 ივნისის საღამოს ეიზენჰაუერი მართავს თათბირს, რომელსაც ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი მეტეოროლოგი, ჯგუფის კაპიტანი³⁵⁰ ჯეიმს სტაგი³⁵¹ ესწრება. მან თავის მოხსენებაში, 6 ივნისიდან დაწყებული, შემდგომი ოცდათხუთი საათის განმავლობაში მეტეოროლოგიური პირობებისა და ამინდის გაუმჯობესების ტენდენციებს გაუსვა ხაზი. იგი პროგნოზირებდა, რომ ქარი შესუსტდებოდა და ცა ალაგ-ალაგ გაიხსნებოდა, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ამის სრული გარანტიები არ არსებობდა. გენერალმა მონტგომერიმ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ უმჯობესი იქნებოდა ოპერაცია „ოვერლორდის“ დაუყოვნებლივი დაწყება. „ახლა 22 საათს რამდენიმე წუთი აკლია – თქვა მან, – ეს ის დროა, როცა ჯერ კიდევაა შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღება“... და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელი, გენერალი ეიზენჰაუერი სცემს „ოვერლორდის“ დაუყოვნებლივი დაწყების ბრძანებას. „დიდი ფიქრითა და სინანულით ვიღებ ამ გადაწყვეტილებას, – თქვა მან, – მაგრამ ახლა საჭიროა მისი დაუყოვნებლივი აღსრულება.“³⁵²

³⁵⁰ „ჯგუფის კაპიტანი“ სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალებში არსებული უფროს ოფიცერთა წოდებაა. იგი არის საჰაერო ესკადრის მეთაურის ტოლფასი რანგი და შეესაბამება საზღვაო ფლოტის პირველი რანგის კაპიტანის, ან სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკის რანგს. NATO-ს ჯარების დღევანდელი კლასიფიკაციით, იგი შესაბამება OF-5-ის რანგს.

³⁵¹ II მსოფლიო ომის ბოლო წლებში ჯგუფის კაპიტანი ჯეიმს მარტინ სტაგი მსახურობდა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მეტეოროლოგიური სამსახურების სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. 1951 წელს არჩეულ იქნა შოტლანდიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად, ხოლო 1954 წელს – დიდი ბრიტანეთის სამეფო მეტეოროლოგიური საზოგადოების პრეზიდენტად. გარდაიცვალა 1975 წელს.

³⁵² საზღვაო დესანტირებისათვის ნორმანდიის სანაპირო ზოლში ხუთი განსხვავებული სექტორი შეირჩა კოდური დასახელებით: იუტა (Utah), ომაჰა (Omaha), გოლდი (Gold), ჯუნო (Juno) და სვორდი (Sword). ამერიკელთა

სამაგიეროდ, გერმანელი მეტეოროლოგები არიან იმაში დარწმუნებულნი, რომ ამინდის შემდგომი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის. ისინი არ ფლობენ ინფორმაციას ატლანტის ოკეანეზე მეტეოროლოგიური დაკვირვების შესახებ. შესაბამისად, ვერმანტის დასავლეთის ფრონტის გენერლები მოწინააღმდეგე მხარის მიერ 6 ივნისისათვის სადესანტო ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობას არ ითვალისწინებენ. მე-7 არმიის სარდალსა³⁵³ და მისი შენაერთების მეთაურებს სამეთაურო-საშტაბო სწავლებაზე იძახებენ, ფელდმარშალი რომელი კი, შვებულებას იღებს და გერმანიაში მიემგზავრება. მას აზრადაც არ მოსდის იმის დაშვება, რომ მოკავშირეები დესანტს სწორედ 6 ივნისის ალიონზე, მოქცევის დაწყებამდე გადმოსხამენ.

ფელდმარშლის ადრინდელი ვარაუდებით, თუ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელი იყო, მოკავშირეები საზღვაო დესანტირების ოპერაციას მოქცევისას განახორციელებდნენ, რათა დესანტი რაც შეიძლება ახლოს აღმოჩენილიყო ნაპირთან. ამის საპირისპიროდ, მოკავშირეთა სარდლბა იღებს გადაწყვეტილებას, რომ დესანტი უკუქცევისას გადმოსხან. და ამაში არის ლოგიკა, რაც ამართლებს ამ გადაწყვეტილების მიღებას – უკუქცევისას გერმანელების მიერ სანაპირო ზოლის გასწვრივ წყალში მოწყობილი დაბრკოლებები თვალნათლივ ჩანს წყლის ზედაპირზე და შესაძლებელია მათი უდიდესი ნაწილისთვის გვერდის ავლა.

უკვე ღამით იწყება საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფისა და საპარაშუტო დესანტის ჯარის გადმოსხმა გერმანელთა ზურგის რაიონში.³⁵⁴ მოკავშირეები ყრიან ასევე პარაშუტისტ-მედესანტეთა ჯარის ფორმაში გამოწყობილ სპეციალურ მანეკენებს, რომლებიც პიროტექნიკური საშუალებებით არიან აღჭურვილები. დაშვებისას ისინი ხმაურით სკდებიან და ქმნიან თავზეხელაღებული, მსროლელი ჯარისკაცების იმიტაციას. როდესაც ეს ინფორმაცია არმიათა B ჯგუფის შტაბის ოფიცრებამდე აღწევს, ისინი კიდევ უფრო მშვიდდებიან.

ძალები მოიცავდნენ 1-ლ, მე-4 და 29-ე ქვეით დივიზიებს, ასევე 82-ე და 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიებს. ბრიტანელებმა გააგზავნეს თავიანთი მე-3 და 50-ე ქვეითი და მე-6 საჰაერო-სადესანტო დივიზიები, კანადა – მე-3 ქვეითი დივიზია.

³⁵³ აქ საუბარია პაულ ჰაუსერზე (გერმ. Paul Hausser) (1880-1972წ.წ.) – იმ დროისათვის ნორმანდიაში გაშლილი გერმანელთა მე-7 არმიის სარდალზე, I და II მსოფლიო ომების მონაწილეზე, კაიზერის არმიის მაიორზე 1918 წლიდან, რაიხსვერის გენერალ-ლეიტენანტზე 1932 წლიდან, სს-ის ობერსტგრუპენფიურერსა და სს-ის ჯარების (die Waffen-SS) გენერალ-პოლკოვნიკზე 1944 წლიდან, სს-ის ჯარების ერთ-ერთ შემქმნელსა და ხელმძღვანელზე. ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამართულ სასამართლო პროცესებზე ჰაუსერი მოწმედ იკითხებოდა. მისთვის ბრალდებები სამხედრო დანაშაულობების ჩადენის შესახებ არ წარუდგენიათ და შრომით ბანაკში ორწლიანი ყოფნის შემდეგ, გაათავისუფლეს. გათავისუფლების შემდგომ პერიოდში შექმნა ორგანიზაცია „სს-ის ჯარების ყოფილ წევრთა ურთიერთდახმარების საზოგადოება“ და წლების განმავლობაში წარმოადგენდა მის ხელმძღვანელს. ორგანიზაცია უშვებდა ჟურნალს „ვიკინგის ხმა“, სადაც მისი მემუარული და პუბლიცისტური ხასიათის სტატიები იბეჭდებოდა. დაწერა და გამოაქვეყნა ორი წიგნი, რომლებიც სს-ის ჯარებს შეეხებოდა – „სს-ის ჯარები მოქმედებაში“ (Waffen-SS im Einsatz) და „ჯარისკაცები, როგორც ყველა დანარჩენი“ (Soldaten wie andere auch). გარდაიცვალა 92 წლის ასაკში. დაკრძალვას მისი ათასობით ყოფილი თანამებრძოლი და ხელქვეითი დაესწრო. 2007 წელს რუსეთში გამოვიდა წიგნი, სათაურით – „ჰიტლერის შვიი გვარდია, სს-ის ჯარები ბრძოლაში“. წიგნის პირველი ნახევარი შედგებოდა რუსი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის, კონსტანტინ ზალესსკის ნაშრომებისგან, რომლებიც სს-ის ჯარებს (die Waffen-SS) ეხებოდა, მეორე ნახევარი კი, პაულ ჰაუსერის მოგონებებისგან შედგებოდა. ძალიან მალე ქალაქ მოსკოვის კუზმინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით, აღნიშნული წიგნი ექსტრემისტული ხასიათის ნაშრომად გამოცხადდა. იგი აიკრძალა და შეტანილ იქნა ექსტრემისტული მასალების ფედერალურ სიაში №374 ნომრით.

³⁵⁴ 1944 წლის 6 ივნისის ღამეს მოკავშირეებმა ავიაციის მასიური დარტყმების ფარდის ქვეშ საფრანგეთის ტერიტორიაზე გადმოსხეს საჰაერო დესანტი: კანის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრიტანელთა მე-6 საჰაერო-სადესანტო დივიზია, კარანტანის ჩრდილოეთით კი, ორი ამერიკული – 82-ე და 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიები. ბრიტანელი მედესანტები პირველები იყვნენ მოკავშირეთა ჯარებში, ვინც ფეხი დაადგა ოკუპირებული საფრანგეთის მიწას ნორმანდიის ოპერაციის ფარგლებში. ისინი 6 ივნისის ნაშუაღამევს გადასხდნენ კანთან და დაიპყრეს მდინარე ორნის ხიდი. ამ მოქმედებით აღიკვეთებოდა მოწინააღმდეგის მიერ დაშხმარე ძალების ზღვის სანაპიროსთან გადმოყვანა. ამერიკელთა 82-ე და 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიები კოტანტენის ნახევარკუნძულზე, ნორმანდიის დასავლეთ ნაწილში გადასხდნენ და შევიდნენ სენტ-მერ-ეგლიზში – საფრანგეთის პირველ ქალაქში, რომელიც მოკავშირეთა ჯარებმა გაათავისუფლეს.

პა-დე-კალეზე დისლოცირებული გერმანელთა მე-15 არმიის კავშირგაბმულობის კვანძი ივებს, რომ მოკავშირეებს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციას გაერთიანება დამიფრულად მიეწოდება ბრიტანული რადიოსამაუწყებლო კომპანიის, BBC-ის საშუალებით. პოლ ვერლენის³⁵⁵ ცნობილი ლექსის პირველი სტრიქონის – „Les sanglots longs des violons de l'automne...“ („შემოდგომაზე ვიოლინოს ხანგრძლივი კვნესა...“) – ციტირებისთანავე უნდა გამოცხადებულიყო წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციის სრული საბრძოლო მზადყოფნა. მეორე სტრიქონის – „...blessent mon coeur d' une langueur monotone“ („ჩემს გულს უცვლელი, უსასოო ნაღველით გესლავს“) – გადმოცემა კი, ნიშნავდა, რომ დესანტის გადმოსხმა მოსალოდნელი იყო მომდევნო ორმოცდარვა საათის განმავლობაში.

გერმანული მხარე ისმენს პირველ სტრიქონს 1, 2 და 3 ივნისს, ხოლო მეორე სტრიქონის ციტირებას უსმენენ BBC-ის რადიოგადაცემაში 5 ივნისს, 21 საათზე. მე-15 არმიის სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ჰანს ფონ ზალმუტს³⁵⁶ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოჰყავს თავისი შენაერთები და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ ვერმახტის შტაბს რასტენბურგში. იგივე შეტყობინება ეგზავნება დასავლეთის მიმართულების სარდლობას. მაგრამ ამ შეტყობინებაზე ფელდმარშალი რუნდშტეტლი ადექვატურად არ რეაგირებს. იგი მრავალმნიშვნელოვნად აქნევს თავს და ეჭვიანად ფიქრობს, რომ ეიზენჰაუერი არ გამოაცხადებდა ხმელეთზე მოკავშირეთა ინტერვენციის დაწყებას რადიოგადაცემის საშუალებით.

მიუხედავად ყველაფრისა, გერმანელთა მხრიდან პა-დე-კალესთან სრული საბრძოლო მზადყოფნა ცხადდება, თუმცა ნორმანდიაში ყველაფერი ისევ უმოძრაოდაა. და აქ ვიღებთ გროტესკულ სიტუაციას. რუნდშტეტლი მობილიზაციას უცხადებს ვერმახტის შტაბის რეზერვს და ფიურერის შტაბ-ბინას სთხოვს ფიურერის პირად რეზერვში მყოფი ორივე, მე-12 და 21-ე დივიზიების დაუყოვნებლივ გადაცემას. მის დაქვემდებარებაში მყოფი ეს დივიზიები სულ ცოტა ხნის წინ იქნა უშუალოდ ჰიტლერის განკარგულებაში გადაყვანილი. მძინარე ფიურერის გაღვიძებისგან თავს იკავებენ. ამის გამო დივიზიების გადაცემა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მეორე დღეს, 6 ივნისს, და ისიც ნაშუადღევს. მოკავშირეების საჰაერო უპირატესობის გათვალისწინებით კი, გერმანულ ტანკებს მხოლოდ ღამით შეუძლიათ გადაადგილება.

ჰიტლერი სკეპტიკურად უყურებს შექმნილ ვითარებას. იგი ვარაუდობს, რომ საქმე შესაძლოა ეხებოდეს სადესანტო ოპერაციის მხოლოდ იმიტაციას და მოწინააღმდეგის მოჩვენებით გადაადგილებას. ნამდვილი ინტერვენციის დაწყება კი, ჯერ კიდევ წინ არის და ისიც სულ სხვა ადგილას. ჰიტლერის ვარაუდით, დესანტირების ადგილი პა-დე-კალე იქნება.

³⁵⁵ პოლ-მარი ვერლენი (ფრანგ. Paul-Marie Verlaine) (1844-1896წ.წ.) – ცნობილი ფრანგი ლირიკოსი და პოეტი, ლიტერატურული იმპრესიონიზმისა და სიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და სიმბოლო. ასოცირდება დეკადენტურ მოძრაობასთან.

³⁵⁶ ჰანს ფონ ზალმუტი (გერმ. Hans Eberhard Kurt von Salmuth) (1888-1962წ.წ.) – გერმანელი მხედართმთავარი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ვერმახტის გენერალ-პოლკოვნიკი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1907 წელს. იბრძოდა I მსოფლიო ომის აღმოსავლეთის და დასავლეთის ფრონტებზე. მიაღწია კაპიტნის ჩინს. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამსახური გააგრძელა რაინსვერში სხვადასხვა სამეთაურო და საშტაბო თანამდებობებზე. 1934 წლიდან პოლკოვნიკია. ინიშნება მე-2 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. 1937 წლიდან გენერალ-მაიორია, ხოლო 1938 წელს ინიშნება მე-2 არმიის შტაბის უფროსად. 1939 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. II მსოფლიო ომის დაწყებისას იყო გენერალ-თეოდორ ფონ ბოკის არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთის“ შტაბის უფროსი. 1939 წლის ოქტომბერში გადაყვანილი იქნა არმიათა ჯგუფში “B“. 1940 წლის მაისში მონაწილეობდა ბელგიისა და საფრანგეთის ოკუპაციის ოპერაციაში. ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის დაჯილდოებულ იქნა რაინდის რკინის ჯვრით. 1941 წელს ინიშნება 30-ე საარმიო კორპუსის სარდალად და გადაწყვეთი აღმოსავლეთის ფრონტზე. 1942-1943 წლებში აღმოსავლეთის ფრონტზე სარდლობდა სხვადასხვა არმიებს. აქვე იღებს გენერალ-პოლკოვნიკის წოდებას. 1943 წლის აგვისტოდან ისევ დასავლეთის ფრონტზეა და ინიშნება მე-15 არმიის სარდალად, რომლის შენაერთები პა-დე-კალესთან იყვნენ გაშლილი. მოკავშირეთა ჯარების მიერ ნორმანდიაში წარმატებით განხორციელებული სადესანტო ოპერაციის შემდეგ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ომის დასრულების შემდეგ, მოკავშირეთა მიერ ტყვედ იქნა აყვანილი. როგორც სამხედრო დამნაშავე, გაასამართლეს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალზე და მიუსჯეს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა, გაათავისუფლებულ იქნა 1953 წელს.

ამიტომ, ამ მომენტისათვის იგი კატეგორიულად კრძალავს პა-დე-კალეში დისლოცირებული თუნდაც ერთი ქვედანაყოფის გაყვანას მე-15 არმიის სამოქმედო რაიონიდან. ეს ჰიტლერის მიერ დაშვებული კიდევ ერთი დიდი შეცდომაა. ამ დროისათვის კი, განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად მოკავშირეთა თითქმის უკვე ოცი ათასი ჯარისკაცია გადმოსხმული ნორმანდიის სანაპიროებზე კოდური დასახელებებით – „იუტა“, „ომაჰა“, „გოლდი“, „ჯუნო“ და „სვორდი“. მოკავშირეთა სადესანტო ჯარებმა საფრანგეთის სანაპირო ზოლში პირველი პლაცდარმის შექმნაც მოახერხეს. 6 ივნისის საღამოსათვის საბოლოოდ ირკვევა, რომ მოკავშირეთა მიერ დაგეგმილი ისტორიაში უდიდესი საზღვაო-სადესანტო ოპერაცია „ოვერლორდი“ შედგა.

საერთო ჯამში, ფელდმარშალი რუნდშტედტი შეცდა, ფელდმარშალი რომელი კი, მართალი აღმოჩნდა: თუ გერმანელები სანაპიროზე წააგებდნენ ბრძოლებს, ევროპის გულისაკენ მოკავშირეთა ინტერვენციას ისინი ვერანაირად ვეღარ შეაჩერებდნენ. ამ დროს კი, ვერმახტის მოხსენებაში საუბარი იყო მხოლოდ 6 ივნისის საღამოსათვის ნორმანდიის სანაპიროზე წარმოებულ მძიმე ბრძოლებზე. ამ მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბრიტანულ-ამერიკულმა გაერთიანებულმა საზღვაო დესანტმა შეძლო ნორმანდიის სანაპიროზე პლაცდარმის შექმნა, მისი შემდგომი გაფართოება და საფრანგეთის პირველი პატარა ქალაქების დაკავება.




უინსტონ ჩერჩილი
(1874-1965)



ბერნარდ მონტგომერი
(1887-1976)



დუაით ეიზენჰაუერი
(1890-1969)



ფრედერიკ მორგანი
(1894-1967)



ჯეიმს სტაგი
(1900-1975)



ჰანს ფონ ზალმუტი
(1888-1962)



პაულ ჰაუსერი
(1880-1972)




ეიზენჰაუერი და მონტგომერი




ჩერჩილი და ეიზენჰაუერი

Atlantic Wall 1942-1944



„ატლანტიკის კედელი“



„ატლანტიკის კედელი“



დაბრკოლებათა ზოლი ნორმანდიის სანაპიროზე




www.alamy.com - FD7H59



www.alamy.com - FD7GTD

„ატლანტიკის კედლის“ გარნიზონი




გენერალ-ფელდმარშალი ერვინ რომელი „ატლანტიკის კედლის“ ინსპექტირებისას



მარცხნიდან მარჯვნივ: გენერლები ჯორჯ პატონი და ომარ ბრედლი და ფელდმარშალი ბერნარდ მონტგომერი



ბრიტანეთის მე-ნ საჰაერო-სადესანტო დივიზიის 22-ე საპარაშუტე ასეულის ბრიფინგი ოპერაცია „ოვერლორდის“ წინ. 1944 წლის 4-5 ივნისი



მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაცია – Fortitude. მოკავშირეთა ძალების საბრძოლო ტექნიკის რეზინის მულიაჟები



აშშ-ის I არმიათა ჯგუფი



აშშ-ის 55-ე ქვეითი დივიზია



25-ე ჯავშანდივიზია



ბრიტანეთის 88-ე დივიზია
მოკავშირეთა არარსებული საჯარისო ნაწილებისა და შენაერთების განმასხვავებელი ნიშნები




მე-9 სადესანტო დივიზია



33-ე საარმიო კორპუსი
განმასხვავებელი ნიშნები




ინგლისის ერთ-ერთი აეროდრომი ოპერაცია „ოვერლორდის“ წინ




THE AIR PLAN FOR THE LANDINGS IN NORMANDY, 6 JUNE 1944

ოპერაცია „ოვერლორდის“ საჰაერო დესანტირების გეგმა



დესანტირებისათვის განსაზღვრული მოკავშირეთა ტექნიკა და აღჭურვილობა



ნორმანდიის სანაპირო ზოლში მოკავშირეთა ჯარების დესანტირების ადგილები (მარჯვნიდან მარცხნივ – „სვორდი“, „ჯუნო“, „გოლდი“, „ომაჰა“, „იუტა“) და მათი შემდგომი შეტევის ძირითადი მიმართულებები



გენერალი ეიზენჰაუერი ესაუბრება 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის 502-ე პოლკის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ რობერტ კოლს



ოპერაცია „ოვერლორდის“ დასაწყისი – “D-Day”



ამერიკელი პარაშუტისტები გადახტომის წინ. 1944 წლის 6 ივნისი



1944 წლის 6 ივნისი. მოკავშირეთა დესანტის ნორმანდიის სანაპიროსთან გადასხმა






ოპერაცია „ოვერლორდი“, ნორმანდიის სანაპირო, 1944 წლის 6 ივნისი. აეროფოტოსურათი





პირველი პლაცდარმი





1944 წლის 6 ივნისი, „ომპას“ სანაპირო



1944 წლის 6 ივნისი, „იუტას“ სანაპირო



1944 წლის 7 ივნისი, „გოლდის” სანაპირო

ბრიტანელი ქვეითები „შერმანის” ტანკებზე





„ომაპას“ შტურმისას დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცები



პირველი გერმანელი ტყვეები



ფელდმარშალი მონტგომერი „იუტას“ სანაპიროზე მიტანილი წარმატებული იერიშის გამო აჯილდოებს მე-7 კორპუსის სარდალს, გენერალ ჯ. ლ. კოლინზს



უინსტონ ჩერჩილი და ბრიტანელ ოფიცერთა ჯგუფი აკვირდება ბრიტანული ავიაციის მოქმედებებს, 1944 წლის 21 ივნისი. მარცხნიდან მარჯვნივ: მე-8 კორპუსის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი სერ რიჩარდ ო'კონოლი; ჩერჩილი; ფელდმარშალი ჟან სმუტსი; ფელდმარშალი ბერნარდ მონტგომერი და იმპერიის გენშტაბის უფროსი, ფელდმარშალი სერ ალან ბრუკი

§2.10. კოლური დასახელება „საგუშაგო რაინთან“ (არდენი, 1944 წლის 16-28 დეკემბერი)

ოპერაცია „ოვერლორდის“ წარმატებით აღსრულების შემდეგ მოკავშირეთა ძალებმა აღმოსავლეთისაკენ წინსვლა დაიწყეს და ნოემბრის ბოლოსათვის უშუალოდ გერმანიის საზღვრებთან გავიდნენ. აღმოსავლეთის ფრონტზე კი, საბჭოელთა წითელი არმია უკვე ვისლასთან დგას და ძალებს იკრებს ახალი დიდი შეტევის დასაწყებად. მოვლენების ამგვარი განვითარება და შექმნილი ოპერატიული ვითარება თითქოსდა იმაზე მიუთითებდა, რომ გერმანიის სწრაფი მარცხი გარდაუვალი იყო და წლის ბოლოსათვის ომიც დასრულდებოდა, მაგრამ მოკავშირეთა ამ იმედებს ასრულება არ ეწერა.

მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ გერმანელებმა იმპერიის საზღვართან, ე.წ. „დასავლეთის კედელთან“ შექმნეს მძლავრი თავდაცვითი ზღუდე – საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი სისტემა, რომელიც ჰიტლერის სიტყვებით რომ ვთქვათ, საინჟინრო და სამხედრო საქმის „საოცრებას“ წარმოადგენდა.

გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებში, განსაკუთრებით ჰიურტგენვალდში, გერმანელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მოკავშირეებს და უდიდესი ბრძოლისუნარიანობაც გამოავლინეს. ამერიკელები განცვიფრებულნი არიან გერმანელთა გამუდმებული, შეუპოვარი წინააღმდეგობით. ისინი რალაცნაირად განაწყენებულები და გაბრაზებულებიც კი ჩანან, რომ ვერ ახერხებენ შობის დღესასწაულის სახლში გატარებას. ამერიკელები შეცდომით ფიქრობდნენ, რომ გერმანელებმა დიდი დანაკარგები განიცადეს და წინააღმდეგობის გაწევის ყველა შესაძლებლობა ამოწურეს.³⁵⁷ თითქოს მართლაც ასეა. ომის დაწყებიდან მოყოლებული, გერმანელებმა დაახლოებით ოთხი მილიონი ჯარისკაცი დაკარგეს დაღუპულების სახით. მხოლოდ ბოლო სამ თვეში კი, მათმა დანაკარგებმა მილიონ ორასი ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც ნახევარი დასავლეთის ფრონტზე დაიღუპა. ამასთან ერთად, საფრანგეთის ტერიტორიაზე მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლებში გერმანელებმა ორი ათასზე მეტი ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი დაკარგეს.

მაგრამ ამერიკელები ცდებიან, ისინი ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს არ ითვალისწინებენ. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მიუხედავად ყველაფრისა, 1944 წლისათვის ვერმანტი ცოცხალი ძალის რიცხოვნობის მხრივ თავის პიკში იმყოფება. მას ჯერ კიდევ დაახლოებით ათი მილიონი ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცი ჰყავს მწყობრში. რა თქმა უნდა, ამერიკელებმა ამის შესახებ არ იციან.

1944 წლის დეკემბერში ამერიკის არმიაში სერიოზულად არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ გერმანელები, მიუხედავად ასეთი დიდი დანაკარგებისა, შეძლებდნენ ეფექტური ბრძოლის წარმოებას. ეს მოსაზრება შეცდომა იყო. ამერიკელთა მთელი სამხედრო აზრი მიმართულია შეტევით მოქმედებებზე, რადგანაც თავდაცვის სტრატეგია და პოზიციური ბრძოლების წარმოება არ ითვლება ამერიკელი ჯარისკაცის ძლიერ მხარედ. სწორედ შეტევის ფსიქოლოგიის გადაჭარბებული გააქტიურება, ამერიკელების მხრიდან არსებული

³⁵⁷ 1944 წლის დეკემბრისათვის მოკავშირეთა ძალების კონფიგურაცია დასავლეთის ფრონტზე შემდეგი იყო: ამერიკელთა 1-მა არმიამ არდენის ჩრდილოეთ ნაწილში დაიკავა პოზიციები ქალაქებს, სენ-ვიტსა და ლიეჟს შორის. აშშ-ის მე-9 არმიის ზოგიერთი ნაწილი ჰიურტგენის ტყესა და მდინარე რურთან აწარმოებდა ბრძოლებს, სადაც ისინი გერმანიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და 50კმ სიგანისა და 40კმ სიღრმის პლაცდარში შექმნეს. არდენში, ბელგია-გერმანიის საზღვარზე, აშშ-ის მე-3 არმიის მე-8 კორპუსი იყო გაშლილი, ხოლო არდენის სამხრეთით, მე-3 არმიის სხვა ნაწილები იყვნენ შეჭრილები „ზიგფრიდის ხაზში“, რითაც პლაცდარში ქმნიდნენ მდინარე საარის აღმოსავლეთ სანაპიროზე. სწორედ აქ მიმდინარეობდა მოკავშირეთა ძალების თავმოყრა მათი შემდგომი შეტევითი მოქმედებების დასაწყებად. მე-3 არმიის მარჯვნივ მე-7 არმიას ეკავა ფრონტი, რომელიც მდინარე საარიდან აღმოსავლეთით გრძელდებოდა და კარლსრუესთან ებჯინებოდა მდინარე რაინს. 1944 წლის ნოემბრის ბოლოს – დეკემბრის დასაწყისისთვის, მე-7 არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ელზასისა და ლოტარინგიის ჩრდილოეთი რაიონები და გერმანიის საზღვრებზე გავიდნენ ზემო რაინთან. 22 ნოემბრისათვის კი, 1-მა ფრანგულმა არმიამ გაათავისუფლა სტრასბურგი. ასე რომ, რაინის დასავლეთით, ელზასში, გერმანელთა ჯარები მხოლოდ ქალაქ კოლმარის რაიონში იყვნენ გაშლილები. საერთო ჯამში, დეკემბრის ბოლოსათვის მოკავშირეები მზად იყვნენ დაეწყოთ ახალი დიდი შეტევითი მოქმედებები.

ვითარების არასწორი შეფასება და გერმანელთა მიერ ამერიკელთა გაბრიყვება გახდა 1944 წლის დეკემბერში მოკავშირეთა მიერ განცდილი კატასტროფის მიზეზი, რისი სიმწარეც ბოლომდე იწვინეს ოკეანისგალმელმა ჯრისკაცებმა.

რაინზე ზამთრის შეტევისთვის გერმანიის გენერალურ შტაბს უკვე მზადა აქვს გეგმა, რომელიც ოპერატიული ვითარების გერმანელთა სასარგებლოდ შეცვლას ითვალისწინებს. ამ დროს კი, მოკავშირეები არც კი უშვებენ დასავლეთის მიმართულებაზე გერმანელთა მიერ შეტევითი მოქმედებების წარმოების შესაძლებლობას. ეს ოპერაცია სრულიად მოულოდნელად იწყება...

მისი მომზადება ჯერ კიდევ თვეების წინ დაიწყო. ვერმახტის მთავარსარდლობამ გადაწყვიტა ყველა ხელახლა ფორმირებული და დაკომპლექტებული სატანკო და ქვეითი დივიზიების ერთ მძლავრ მოიერიშე შენაერთში გაერთიანება. დასავლეთის მიმართულებაზე შეტევითი ოპერაციის დასაწყებად, 1944 წლის ნოემბრისათვის მზადყოფნაში უკვე თვრამეტი ახალი, კარგად აღჭურვილი სახალხო ლაშქრის დივიზია იყო. მანამდე კი, 1944 წლის 16 სექტემბერს, „ვოლფსშანცეში“, ფიურერისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარ შტაბში ოპერატიული ვითარების განხილვის შემდეგ, ჰიტლერი განაცხადებს თავისი განზრახვის შესახებ იოდლის, გუდერიანისა და კაიტელის თანდასწრებით, რომ ძალიან მალე დაიწყება არდენზე შეტევა. ეს შეტევა უნდა განვითარდეს მასის გავლით ანტვერპენამდე, უნდა აიღონ მოკავშირეების მომმარაგებელი ეს უმნიშვნელოვანესი ნავსადგური და სამხრეთ ჰოლანდიასა და ჩრდილოეთ ბელგიაში მიაღწიონ მოკავშირეთა ოცდაათამდე დივიზიის იზოლირებას.³⁵⁸ „ამ ბრძოლებში მოწინააღმდეგე დაიქანცება, – განმარტავს ჰიტლერი, – და მათი სამოცდაათი დივიზიაც კი არ იქნება საკმარისი შვიდასი კილომეტრი სიგრძის ფრონტის ხაზის შესანარჩუნებლად“.

მართალია ახლა, 1944 წლის დეკემბერში, ლიპინულისა და დიდთოვლობის პირობებში მოსალოდნელია არდენის ტყიანი მასივის გადაკვეთის გართულება 1940 წლის მაისთან შედარებით, მაგრამ გერმანელების აზრით, ზუსტად ამ რაიონშია მოწინააღმდეგე სუსტი. ამიტომ შეტევითი მოქმედებები სწორედ აქ უნდა დაიწყოს. თუ შესაძლებელი იქნება ამ ოპერაციის საიდუმლოდ შენახვა, ცხრიდან მხოლოდ ერთი შანსი დარჩება მოწინააღმდეგეს რეაგირებისათვის.

ჰიტლერი გეგმებს მარტო ადგენს, რადგან უნდობლობას უცხადებს თავის გენერლებს.³⁵⁹ მხოლოდ იოდლი ეხმარება მას გეგმების დეტალურ დამუშავებაში. უკვე 11 ოქტომბერს იოდლი წარადგენს არდენზე შეტევის ოპერაციის პირველ სრულ მონახაზს.

³⁵⁸ არდენის შეტევითი ოპერაცია, კოდური დასახლებით „საგუშავო რაინთან“ (გერმ. Wacht am Rhein), ანტვერპენის აღებისა და მოკავშირეთა ძალების იზოლირების გარდა, სტრატეგიული შედეგების მიღწევასაც ისახავდა მიზნად. ოპერაცია, რომელიც 1944 წლის 16 დეკემბერი – 1945 წლის 29 იანვრის პერიოდში მიმდინარეობდა არდენზე, იმაზე იყო გათვლილი, რომ მოულოდნელი და მძლავრი დარტყმით გაენადგურებინათ ბელგია და ნიდერლანდებში გაშლილი ანგლო-ამერიკული ჯარები, რითაც ოპერატიული ვითარება შეიცვლებოდა დასავლეთის ფრონტზე. ჰიტლერის ჩანაფიქრით, ამის შემდგომ, გამარჯვებულის პოზიციებიდან შესაძლებელი იქნებოდა სეპარატისტული მოლაპარაკებების წარმოებით, აქტულებინათ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი შეეწყვიტათ საომარი მოქმედებები დასავლეთის ფრონტზე და გაეყვანათ თავიანთი ჯარები ევროპის კონტინენტიდან. ეს კი, საშუალებას მისცემდა გერმანულ სარდლობას, გამოთავისუფლებული დივიზიები სასწრაფოდ გადაესროლა აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანული სარდლობის ეს მოლოდინები გადაჭარბებული იყო. მიუხედავად ამ იდეის ქიბურულობისა, ჰიტლერს სჯეროდა, რომ შემდგომი მოვლენები სწორედ ასეთი სცენარიით განვითარდებოდა.

³⁵⁹ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1944 წლის 20 ივლისს, ვერმახტის მაღალი რანგის შეთქმულ ოფიცერთა ჯგუფმა ჰიტლერის წინააღმდეგ განახორციელა ტერორისტული აქტი, რომელიც ჰიტლერის მკვლელობას, სახელმწიფო გადატრიალებასა და ნაცისტური მთავრობის დაშლას ისახავდა მიზნად. შეთქმულებმა შეძლეს ქალაქ რასტენბურგთან, გერლიცის ტყეში განლაგებულ ფიურერის უმაღლესი მთავარსარდლობის საკომანდო პუნქტში, ე.წ. „ვოლფსშანცეში“ – „მგლის ბუნაგში“ ბომბის დადება და აფეთქება. ამ აფეთქების შედეგად თათბირის მონაწილე რამდენიმე ოფიცერი დაიღუპა, თუმცა ჰიტლერი გადარჩა. მან მხოლოდ მსუბუქად კონტუსია მიიღო. შეთქმულთა წინააღმდეგ კი, მკაცრი რეპრესიები გატარდა. შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს 200 კაცი. მათ შორის – 1 ფელდმარშალი, 1 ადმირალი, 19 ვერმახტის გენერალი, 26 პოლკოვნიკი, 2 ელჩი, 7 დიპლომატი, 1 მინისტრი, 3 სახელმწიფო მდივანი და აგრეთვე III რაინის კრიმინალური პოლიციის უფროსი – სს-ის გრუპენფიურერი და პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი. ამ მომენტიდან დაწყებული, ჰიტლერის პირადი ნდობის ოფიცერთა ჯგუფი ძალიან შეიზღუდა.

მისი სიმბოლური დასახელებაა „Christrose“.³⁶⁰ ოპერაციის გეგმა მართლაც გრანდიოზული მასშტაბებისაა. იგი ითვალისწინებდა მძლავრი საჯარისო შენაერთის შექმნას და სამი არმიისა და მათზე მიმაგრებული თორმეტი სატანკო და თვრამეტი ქვეითი დივიზიების ძალებით სტრატეგიული შეტევითი მოქმედებების წარმოებას. მათ უნდა გაარღვიონ დასავლეთის ფრონტის ხაზი, მეორე დღეს გადალახონ მდინარე მასი და მეშვიდე დღეს დაიკაონ ანტვერპენი.

მართლაც გაბედული გეგმაა. ოპერაციის წარმატებით აღსრულება ეფუძნება ორ მთავარ ფაქტორს: მოწინააღმდეგეზე მოულოდნელ თავდასხმას და მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებს, რაც შეუძლებელს გახდის მოკავშირეთა ავიაციის გამოყენებას. ჰიტლერი აღფრთოვანებულია იოდლის მიერ შემუშავებული გეგმით. იგი ეთანხმება წარმოდგენილ გეგმას და ცვლის მხოლოდ მის კოდურ დასახელებას. ოპერაციას ეწოდა „საგუშაგო რაინთან“.

არდენზე სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის მომზადების შენობვა შესაძლებელი ხდება უსაფრთხოების ზომების სრული დაცვითა და ყურადღების გადამტანი მანევრით. 12 ოქტომბერს კაიტელი დასავლეთის ფრონტის ყველა მეთაურს სცემს სადღეღამისო ბრძანებას, რომელშიც ნათქვამია, რომ კონტრშეტევის დაწყება ამ მომენტისათვის შეუძლებელია, რადგან მთელი სამხედრო რეზერვი სამშობლოს დაცვაზე უნდა იქნას მიმართული. ამავე დროს „ვოლფმანცეში“ იძახებენ ერთ ზორბა ქერა კაცს, რომელსაც ინგლისის დაზვერვა ევროპის ყველაზე საშიშ ადამიანად მიიჩნევს. ეს გახლავთ სს-ის ობერშტურმბანფიურერი ოტო სკორცენი,³⁶¹ რომელმაც ამ ერთი წლის წინ მუსოლინის გამოსახსნელად სენსაციური რეიდის ოპერაცია ჩაატარა იტალიაში, რისთვისაც სს-ის შტურმბანფიურერის წოდება და რაინდის რკინის ჯვარიც დაიმსახურა.³⁶²

³⁶⁰ აქ ავტორი უზუსტობას უშვებს. სხვა არც ერთი წყაროთი აღნიშნული ოპერაციის კოდური დასახელება – Christrose, არ დასტურდება. გერმანელთა მიერ არდენზე დაწყებულ შეტევით ოპერაციას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანელები ოფიციალურად უწოდებდნენ Wacht am Rhein – „საგუშაგოს რაინთან“. დასავლეთის ისტორიოგრაფიაში კი, ამ ოპერაციას უფრო ხშირად უწოდებენ არდენის შვერილზე ბრძოლას – The battle of Ardennes bulge, ან უბრალოდ, ბრძოლას შვერილზე – Battle of the Bulge.

³⁶¹ ოტო სკორცენი (გერ. Otto Skorzeny) (1908-1975წ.წ.) – პოლონური წარმომავლობის და ავსტრიული წარმოშობის გერმანელი ოფიცერი, გერმანელი მოიერიშეებისა (SA) და სს-ის წევრი, სს-ის ობერშტურმბანფიურერი, ცნობილი დივერსანტი და სპეცოპერაციების ხელმძღვანელი, ავსტრიის ანშლუსისა და II მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე. დაამთავრა ვენის უმაღლესი საინჟინრო სკოლა. გერმანიის ნაცონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრი 1931 წლიდან. იმავე წლიდან მოიერიშეთა შენაერთის წევრია, ხოლო 1934 წლიდან – სს-ის 89-ე შტანდარტის წევრი. 1938 წლის ვენის ანშლუსის დროს პირადად დააპატიმრა ავსტრიის პრეზიდენტი ვილჰელმ მიკლასი და ქვეყნის კანცლერი კურტ შუშნიგი. 1939 წლის დეკემბერში ირიცხება სს-ის დივიზია „ლეიბშტანდარტ სს ადოლფ ჰიტლერის“ ბატალიონის მესამე რეზერვულ ინჟინრად. 1940 წელს მონაწილეობს საფრანგეთის კამპანიაში. აქვე იღებს სს-ის ოფიცრის პირველად წოდებას – უნტერშტურმფიურერი. 1941 წლიდან აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც ჯილდოვდება მე-2 ხარისხის რკინის ჯვრით. 1943 სექტემბერში წარმატებით ხელმძღვანელობდა ბენიტო მუსოლინის გამოსხნის სპეცოპერაციას. იმავე წელს იგი იღებს სს-ის ობერშტურმბანფიურერის წოდებას და გეგმავს სპეცოპერაცია „გრძელ ნახტომს“, რომლის ამოცანასაც წარმოადგენდა თეირანის კონფერენციის მსვლელობისას მოკავშირე სახელმწიფოთა ლიდერების – რუზველტის, ჩერჩილისა და სტალინის ლიკვიაცია. 1944 წლის გაზაფხულზე ხელმძღვანელობდა ბალკანეთზე ანტიფაშისტური და პარტიზანული მოძრაობის ლიდერის, იოსიფ ბროზ ტიტოს ლიკვიაციისათვის დაგეგმილ ოპერაციას. იმავე წლის შემოდგომაზე, პოლიტიკური შანტაჟის მიზნით, მოიტაცა უნგრეთის რეგენტის, მიკლოშ ჰორტის შვილი, რითაც მიაღწია ჰორტის გადადგომას და უნგრეთის სათავეში პრონაცისტური ლიდერის, ფერენც სალამის მოსვლას. იმავე წლის დეკემბერში, ოპერაცია „საგუშაგო რაინთან“ ფარგლებში, ხელმძღვანელობდა სპეცოპერაცია „გრიფს“ (გერმ. Greif). 1945 წლის აპრილში ჰიტლერი სკორცენის აჯილდოებს რაინდის რკინის ჯვრით და მუხის ფთოლებით. II მსოფლიო ომის შემდეგ სკორცენი თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, ესპანეთის, ისრაელის, ამერიკის შეერთებული შტატების, ეგვიპტისა და არგენტინის სპეცსამსახურებთან. კიბოთი დაავადებული გარდაიცვალა 1975 წელს, მადრიდში. რაც შეეხება სკორცენის თმის ფერს, ამასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გამოთქმული აზრი, საკამათოა. ოტო სკორცენი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ნამდვილად არ იყო ქერა.

³⁶² სიცილიასა და აპენინის ნახევარკუნძულზე მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმის შემდეგ, იტალიის დიდმა ფაშისტურმა საბჭომ ბენიტო მუსოლინი II მსოფლიო ომის პერიოდში განცდილ ყველა წარუმატებლობაში დაადანაშაულა. დიდი ფაშისტური საბჭოს გადაწყვეტილებით და მეფე ვიტორიო ემანუელე II-ის ბრძანებით იგი დააპატიმრეს და იზოლაციაში მოაქციეს. ჰიტლერმა ბრძანება გასცა თავისი პირადი მეგობრისა და თანამოაზრის სასწრაფოდ გათავისუფლების შესახებ. მუსოლინის პატიმრობის ადგილის მოძიებისა და მისი ტყვეობიდან გათავისუფლების ამ ოპერაციამ მიიღო კოდური დასახელება „მუხა“, რომელიც წარმატებით სწორედ ოტო სკორცენიმ აღასრულა. 1943 წლის 12 სექტემბერს, გერმანელთა სადესანტო-საპარაშუტე ჯგუფმა, ოტო სკორცენის მეთაურობით, იტალიის მთიანი

ახლა იგი უკვე სს-ის ობერშტურმბანფიურერია და ახალ სპეციალურ ოპერაციას უნდა უხელმძღვანელოს. ამ მიზნით იქმნება სს-ის სპეციალური შერეული შენაერთი, ე.წ. 150-ე ჯავშანბრიგადა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სპეციალური ოპერაციის ჩასატარებლად.³⁶³ სკორცენი აპირებს ინგლისურად მოსაუბრე, ამერიკულ ფორმაში ჩაცმულ, სპეციალურად შერჩეულ და კარგად მომზადებულ თავის ჯგუფის წევრებთან ერთად, ამერიკული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით შეაღწიოს მოწინააღმდეგის ზურგში. ეს არის მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის, დივერსიული აქტებისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ოპერაცია. მათ უნდა შეეცვალონ ქუჩებისა და მიმართულებების აბრები, დაიკავონ ან ააფეთქონ ხიდები, გაავრცელონ დეზინფორმაციები და გამოიწვიონ არეულობა ამერიკელთა საკომუნიკაციო ხაზებზე, გასცენ არასწორი ბრძანებები და გამოიწვიონ პანიკა მტრის ზურგში. მას და მის სპეციალურ ბრიგადას ჰიტლერი პირადად აძლევს შეუზღუდავ უფლებებს. ეს სადეზინფორმაციო ოპერაცია იღებს კოდურ დასახელებას – „გრიფი“ („Greif“).³⁶⁴

ბოლო წუთამდე მხოლოდ რამდენიმე ოფიცერს გაანდეს ინფორმაცია მოსალოდნელი შეტევის შესახებ. თვითოეულ მათგანს უნდა დაელო ფიცი, რომ მკაცრად შეინახავდა საიდუმლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ. არდენის მიმართულებაზე ძალთა მასირების მიზნით იქმნება არმიათა ჯგუფი ”B” – მე-5 სატანკო არმიის, სს-ის მე-6 სატანკო არმიისა და გენერალ ერის ბრანდენბერგერის³⁶⁵ მე-7 საველე არმიების შემადგენლობითა და გენერალ-ფელდმარშალ ვალტერ მოდელის³⁶⁶ საერთო სარდლობით.

რაიონის გრან-სასოს სასტუმრო „კამპო იმპერატორედან“ ერთი გასროლის გარეშე დაიხსნა იტალიელ ფაშისტთა ყოფილი ლიდერი და იგი მიუნხენში ჩაიყვანა.

³⁶³ ამ სპეციალური ოპერაციის გეგმა ითვალისწინებდა დივერსიული შენაერთის შექმნას 3300 კაცის შემადგენლობით, რომელთაც კარგად ეცოდინებოდათ ინგლისური ენა, ჩაცმულნი იქნებოდნენ აშშ-ის არმიის სამხედრო მოსამსახურეთა შესაბამის ფორმებში და შეიარაღებულნი იქნებოდნენ ნაალაფარი ამერიკული იარაღითა და ტექნიკით. ამ საიდუმლო სპეცოპერაციის ხელმძღვანელობა ჰიტლერმა პირადად ოტო სკორცენის დაავალა. მის წინაშე დასმული ამოცანის შესასრულებლად სკორცენიმ მოითხოვა 28 ტანკი, 24 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 120 სატვირთო ავტომობილი, 30 ჯავშანმანქანა, 100 ჯიპი და 40 მოტოციკლი. კონსპირაციის მიზნით, სკორცენის სპეცშენაერთს „150-ე ბრიგადა“ ეწოდა.

³⁶⁴ სპეციალური ოპერაცია „გრიფი“ (გერმ. Greif), ისევე როგორც ოპერაცია „საგუშაგო რაინთან“, 1944 წლის 16 დეკემბერს დაიწყო. მის მიზანს მდინარე მასზე რამდენიმე ხიდის ხელში ჩაგდება, მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის, გენერალ ლუაით ეიზენჰაუერის ლიკვიდაცია და დივერსიული მოქმედებებით ამერიკელთა ზურგში ქაოსისა და უწყნარობის გამოწვევა იყო. სკორცენის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ამერიკელი ჯარისკაცების ფორმაში გადაცმულ მისივე დივერსანტების ჯგუფს ვითომ ტყვედ აყვანილი სკორცენი უნდა მიეყვანათ ეიზენჰაუერის შტაბში, სადაც სკორცენი პირადად მოკლავდა ეიზენჰაუერს, შემდეგ კი, იგი და მისი ჯგუფი ბრძოლით გამოვიდოდნენ უკან. ასეთი იყო ოპერაცია „გრიფის“ ძირითადი მონახაზი. ამერიკელმა სპეცსამსახურებმა გახსნეს ოპერაციის ეს გეგმა და გენერალ ეიზენჰაუერის მაგივრად ერთი ამერიკელი ვიცე-პოლკოვნიკი დააყენეს, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავდა მოკავშირეთა მთავარსარდალს. 1944 წლის 17 დეკემბერს სკორცენის დივერსანტები თავს დაესხნენ ეიზენჰაუერის ორეულის ავტომობილს და მოკლეს იგი, თუმცა თავდაც ტყვედ ჩავარდნენ. ოტო სკორცენიმ მოახერხა თავის დაღწევა და ბერლინში ჩამოსვლა.

³⁶⁵ ერის ბრანდენბერგერი (გერმ. Erich Brandenberger) (1892-1955წ.წ.) – გერმანელი სამხედრო ოფიცერი და მხედართმთავარი, ვერმახტის გენერალ-პოლკოვნიკი. I და II მსოფლიო ომების მონაწილე, რაინდის რკინის ჯვრის კავალერი მუხის ფოთლებით. I მსოფლიო ომში მსახურობდა ბავარიის საველე არტილერიის მე-6 პოლკში. გამოჩენილი მამაცობისა და დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნა რკინის ჯვრით. II მსოფლიო ომს იგი 23-ე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობაზე შეხვდა (1939 წლის 16 სექტემბერი – 1941 წლის 15 თებერვალი). 1941 წლის თებერვლიდან მეთაურობდა მე-8 სატანკო დივიზიას, ხოლო 1943 წლის ანვრიდან – დასავლეთის ფრონტზე სარდლობდა 39-ე და 29-ე საარმიო კორპუსებს. 1944 წლის ბოლოდან, არდენის ოპერაციის მსვლელობის პერიოდში, ინიშნება მე-7 არმიის სარდლად. 1945 წლის 6 მაისს იგი და მისი ახალი შენაერთი, მე-19 არმია, ამერიკელებს ჩაბარდა ტყვედ.

³⁶⁶ ოტო მორიცი ვალტერ მოდელი (გერმ. Otto Moritz Walter Model) (1891-1945წ.წ.) – ცნობილი გერმანელი სამხედრო ოფიცერი და მხედართმთავარი, თავდაცვითი ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების აღიარებული სპეციალისტი, ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალი. I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1909 წელს. მსახურობდა ფანენ-იუნკრად 52-ე ქვეით პოლკში. 1910 წლიდან ლეიტენანტი. იბრძოდა I მსოფლიო ომში, სადაც გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისთვის დაჯილდოებულ იქნა რკინის ჯვრით. 1917 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იგი რჩება რაიხსვერში. 1925 წელს სამსახურს იწყებს რაიხსვერის ელიტარულ ნაწილში, მე-3 ქვეით დივიზიაში, ხოლო 1928 წლიდან სამხედრო აკადემიაში კითხულობს ლექციებს ტაქტიკის კურსზე. 1932 წლიდან პოდპოლკოვნიკი, 1934 წლიდან – პოლკოვნიკი, 1938 წლიდან კი,

ახლადშექმნილი არმიათა ჯგუფი "B"-ს დაკომპლექტებისათვის რჩეული გერმანული შენაერთები მოხსნეს აღმოსავლეთის ფრონტიდან და დასავლეთის მიმართულებაზე გადაისროლეს. დაიწყო სს-ის მე-6 სატანკო არმიის ხელახალი კომპლექტაცია და გაძლიერება უახლესი „ვეფხვისა“ და „პანტერას“ ტიპის ტანკებით. მის სარდლად ჰიტლერი თავის ძველ მეგობარს და თანამებრძოლს, ხაბაზის ყოფილ მიუნხენელ თანაშემწეს ნიშნავს. ეს არის გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ძველი წევრი, სს-ის ობერსტგრუპენფიურერი და სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი ზებ დიტრიხი,³⁶⁷ რომელიც ადრე სს-ის ცნობილ 1-ლ სატანკო დივიზია „ლიებშტანდარტ სს ადოლფ ჰიტლერს“ მეთაურობდა.

არმიათა ჯგუფი "B"-ს ოპერაცია სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. დიტრიხმა სს-ის ოთხი სატანკო დივიზიითა და ხუთი ქვეითი დივიზიით საკუთარ თავზე უნდა აიღოს ოპერაციის მთავარი ამოცანის შესრულება: მასის ფორსირება ლიეჟის ორივე მხარეს და ანტვერპენის დაკავება, საიდანაც ხდება ამერიკული არმიების მომარაგება. შემდგომ ამოცანას

გენერალ-მაიორი და მე-4 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1939 წლიდან ინიშნება მე-16 არმიის შტაბის უფროსად, 1940 წლიდან გენერალ ჰინც გულდერიანის მე-2 სატანკო ჯგუფის მე-3 სატანკო დივიზიის მეთაურა. 1941 წლის 1 ოქტომბრიდან სატანკო ჯარების გენერალი და 41-ე სატანკო კორპუსის სარდალია. 1942 წლის იანვარში ინიშნება მე-9 არმიის სარდლად და ენიჭება გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. მთელი 1942 წლის განმავლობაში, 1943 წლის ზაფხულამდე რუჟიკისა და ვიაზმის რაიონში წარმატებით იგერიებდა საბჭოელთა შეტევებს. მონაწილეობდა კურსკის ბრძოლაში. 1944 წლის 31 იანვარს ინიშნება არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთის“ სარდლად. 1944 წლის 31 იანვარს ენიჭება გენერალ-ფელდმარშლის წოდება და ინიშნება არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ სარდლად. 1944 წლის 18 აგვისტოდან გადმოყვანილ იქნა დასავლეთის ფრონტზე. სარდლობდა არმიათა ჯგუფს „B“, სადაც მან გენერალ-ფელდმარშალი გიუნტერ ფონ კლიუგე შეცვალა ამ თანამდებობაზე, რომელმაც ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ჩავარდნის გამო თავი მოიკლა. ვალტერ მოდელსვე დაექვემდებარა არმიათა ჯგუფები „D“ და „G“, მალე კი, იგი დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალიც გახდა. 1944 წლის სექტემბერში მისმა შენაერთებმა წარმატებით გაარღვიეს ალფა და გაანადგურეს მოკავშირეთა დესანტი არნემის ხიდთან, თუმცა არდენის ოპერაციისას დამარცხდა. 1945 წლის აპრილში მოკავშირეთა ჯარებმა ალფაში მოაქციეს მისი ჯარები. სამი კვირის განმავლობაში აწარმოებდა უმძიმეს სააღყო ბრძოლებს, მაგრამ დარწმუნდა რა თავის უიმედო მდგომარეობაში, დაშალა საკუთარი შენაერთები და საშუალება მისცა მათ დამოუკიდებლად, მცირე ჯგუფებად დაეღწიათ თავი ალფისგან, თვითონ კი, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ღუისსბურგთან.

³⁶⁷ იოზეფ „ზეპ“ დიტრიხი (გერმ. Josef "Sepp" Dietrich) (1892-1966წ.წ.) – ცნობილი გერმანელი ნაცისტი სამხედრო ოფიცერი, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი წევრი, ჰიტლერის პირადი მეგობარი და თანამოაზრე, სს-ის ჯარების ობერსტგრუპენფიურერი და ვერმახტის სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი. I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. 1914 წელს მოხალისედ წავიდა ომში. იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, იპრთან, სადაც ორჯერ დაიჭრა მუცელში და თავში. 1915 წელს ისევ დაიჭრა სომასთან გამართულ ბრძოლაში. 1916 წელს გადაყვანილ იქნა მე-11 ბავარიულ დივიზიაში, რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდა კაბორეტოსთან, იტალიის ფრონტზე. დაჯილდოებულ იქნა მუდლით „მაკობისთვის“. დაწყებული 1917 წლიდან, განუწყვეტლად მონაწილეობს სხვადასხვა ბრძოლებში სატანკო ბატალიონის შემადგენლობაში. დაჯილდოებულ იქნა 1-ლი ხარისხის რკინის ჯვრით, და ბავარიის ჯვრით გვირგვინითა და ხმლებით. ომი დაასრულა ბავარიის მე-13 სატანკო ბატალიონის შემადგენლობაში ვიცე-განხმისტრის წოდებით. I მსოფლიო ომის შემდეგ მონაწილეობდა ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ლიკვიდაციაში. 1919 წლის ოქტომბრიდან სამსახურს იწყებს პოლიციაში. მონაწილეობდა 1923 წლის 9 ნოემბერს მოწყობილ „ლუდენდორფ-ჰიტლერის“ ე.წ. „ლუდის პუტჩში“. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიისა (გნსმპ) და სს-ის წევრი 1928 წლიდან. იმავე წელს ხდება სს-ის შტურმფიურერი, მალე კი, შტურმბანფიურერიც. ამავე დროს, კარგი ფიზიკური მონაცემებისა და პირადი ერთგულების გამო, მალე იგი ჰიტლერის პირადი მცველი და მძღოლიც ხდება. 1930 წლისათვის უკვე სს-ის შტანდარტენფიურერია, იმავე წლის სექტემბერში კი, რაინსტაგის დეპუტატაც ხდება ნაციონალ-სოციალისტური პარტიიდან. ნაციონალ-სოციალისტების გერმანიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სწრაფად იწყებს ასვლას სამხედრო უწყების საკარიერო კიბეზე. აქტიურად მონაწილეობს „გრძელი დანების ღამეში“. ამ განსაკუთრებული სადამსჯელო ოპერაციის ბრწყინვალედ ჩატარებისთვის 1934 წლის 1 ივლისს ენიჭება სს-ის ობერგრუპენფიურერის წოდება – იმ დროისათვის სს-ის იერარქიაში არსებული უმაღლესი წოდება. II მსოფლიო ომში აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის ოკუპაციაში, ჰოლანდიის ოპერაციასა და საფრანგეთის კამპანიაში, რისთვისაც დაჯილდოვდა რაინდის ჯვრით. 1941 წლის მარტი-აპრილში იბრძოდა ბალკანეთში, 1941 წლის ივნისი – 1942 წლის ივლისის პერიოდში კი, იბრძვის საბჭოთა კავშირში არმიათა ჯგუფი „სამხრეთის“ შემადგენლობაში. 1943 წლის ივლისიდან 1944 წლის ოქტომბრამდე სარდლობდა სს-ის 1-ლ სატანკო კორპუსს. ამავე დროს ენიჭება სს-ის ობერსტგრუპენფიურერისა და სს-ის ჯარების გენერალ-პოლკოვნიკის წოდება. 1944 წლის 6 აგვისტოს დაჯილდოვდა რაინდის ჯვრით ბრილიანტებით, მუხის ფოთლებითა და ხმლებით. 1944 წლის ოქტომბერს ინიშნება მე-6 სატანკო არმიის სარდლად. მონაწილეობს არდენის ოპერაციაში, შემდეგ იბრძვის უნგრეთსა და ავსტრიაში. 1945 წლის 8 მაისს თავისი არმიის ნარჩენებთან ერთად ტყვედ ბარდება ამერიკელებს. გასამართლებულ იქნა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ. 1946 წლის მაისში მიესჯა სამუდამო პატიმრობა. გათავისუფლებულ იქნა 1955 წელს. გარდაიცვალა გულის შეტევისაგან 1966 წელს.

კი, ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი წარმოადგენს. ცენტრში მანტოიფელის³⁶⁸ მე-5 სატანკო არმიამ ოთხი სატანკო და სამი ქვეითი დივიზიით უნდა აიღოს დენ ვიტიზა და ბასტონის მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი, ნამურთან გადალახოს მდინარე მასი, ბრიუსელისთვის გვერდის ავლით სამხრეთიდან განავითაროს შეტევა და შეიჭრას შელდას შესართავის მიმართულებით. სამხრეთით ბრანდენბერგერის მე-7 არმიის ოთხმა ქვეითმა დივიზიამ უნდა გადალახოს ესტერნახთან ზაუერი და ლუქსემბურგის ჩრდილოეთით მოაწყოს არმიათა ჯგუფი "B"-ს ფლანგის მყარი დაცვა.³⁶⁹

დასავლეთის მიმართულებაზე განხორციელებული დიდი კონტრშეტევისაგან ჰიტლერი მნიშვნელოვან შედეგებს ელოდება. ეს შედეგი კი, არც მეტი, არც ნაკლები, სტრატეგიული ხასიათისაა – ამ სამხედრო მოქმედებების შედეგად მთლიანად ომის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა, მისი მიმდინარეობის ხასიათის შეცვლა და გერმანიის მესამე რაიხისათვის გამარჯვების მოტანა. ამ დროს კი, მოკავშირეები ფიქრობენ, რომ ჰიტლერის საქმე უკვე წასულია და გერმანიაც დამარცხებულია. „სისწრაფე და მოულოდნელობა არის წარმატების მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი გარანტი“, – ფიზიკურად გატეხილი და ვიზუალურად დაბერებული, ხელების აკანკალებული მოძრაობით უმტკიცებს ჰიტლერი თავის სკეპტიკურად განწყობილ მარშლებს ოპერაციის არსს. იგი მოითხოვს მათგან და მათი ჯარისკაცებისგან გაბედულ მოქმედებებს, ძლიერ, შეუდრეკელ საბრძოლო სულსა და თავგანწირვას. გერმანულმა შენაერთებმა ბრძოლა უნდა წარმართონ შემართებითა და თავგამოდებით, მთელი სისასტიკით ჩანასახშივე უნდა ჩაახშონ ნებისმიერი წინააღმდეგობა, რადგან ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება რაიხისა და გერმანული ხალხის არსებობა-არარსებობისათვის.

რუნდშტელტი და მოდელი ზოგადად მხარს უჭერენ შეტევითი ოპერაციის იდეას, მაგრამ დასახულ მიზანს არარეალისტურად მიიჩნევენ. ამის საპირისპიროდ მოდელი შტაბს სთავაზობს „საკითხის მარტივად გადაჭრის“ გზას. მასზე კილომეტრების გადავლის ნაცვლად, გერმანულმა შენაერთებმა უნდა იმოქმედონ ჩრდილოეთით წინ წაწეული ფლანგით და დაახლოებით ოცი ამერიკული დივიზია მოაქციონ ალფაში. აქ ისევ შლიფენისეული

³⁶⁸ ჰასო ფონ მანტოიფელი (გერმ. Hasso-Eccard Freiherr von Manteuffel) (1897-1978წ.წ.) – არისტოკრატიული წარმომავლობის პრუსიელი და გერმანელი სამხედრო მოღვაწე, სატანკო ჯარების გენერალი, რაინდის რკინის ჯვრის კავალერი ხმლებითა და ბრილიანტებით, გამოჩენილი პრუსიელი ფელდმარშლის, ბარონ ერვინ ფონ მანტოიფელის შვილიშვილი. I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე. სამხედრო სამსახურში შევიდა 1916 წელს, იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე მე-6 ქვეითი დივიზიის შემადგენლობაში. ერთ-ერთ ბრძოლაში მიიმეღ დაიჭრა. დაავადდევს 1-ლი ხარისხის რკინის ჯვრით. 1919 წლიდან რაიხსვერმა, მსახურობს საკავალერიო ნაწილებში. 1925 წელს ენიჭება ობერ-ლეიტენანტის, ხოლო 1934 წელს – როტმისტრის წოდებები. 1935 წლიდან მე-2 სატანკო დივიზიის მოტოციკლეტების ბატალიონის მეთაური და მაიორია. 1939 წლიდან – ბერლინის სამხედრო სასწავლებლის უფროსი მასწავლებელი და პოდპოლკოვნიკია. 1941 წლის მაისში ინიშნება ბატალიონის მეთაურად, აგვისტოში კი მე-7 სატანკო დივიზიის მე-6 მსროლელი პოლკის მეთაურად. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმისას, აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძვის არმიათა ჯგუფი „ცენტრის“ შემადგენლობაში. I ოქტომბერს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება. ნოემბრის ბოლოს „საბრძოლო ჯგუფმა მანტოიფელი“ მოსკოვის გარეუბანს მიაღწია. 31 დეკემბერს დაჯილდოვდა რაინდის ჯვრით. 1943 წლის I მაისიდან გენერალ-მაიორია და ინიშნება მე-7 სატანკო დივიზიის მეთაურად. იბრძვის ბელგოროდის, კიევისა და ჟიტომირის რაიონებში. 1944 წლის თებერვალში ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება და ინიშნება სს-ის სატანკო დივიზია „დიდი გერმანიის“ მეთაურად. იმავე წლის ოქტომბრიდან უკვე დასავლეთის ფრონტზეა და ინიშნება მე-5 სატანკო არმიის სარდალად. მისი დივიზია ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ შენაერთს წარმოადგენდა არდენის ოპერაციაში. ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ შეძლო გენერალ პატონის კონტრდარტყმების მოგერიება და თავისი შენაერთის ალყიდან გამოყვანა. გამოჩენილი მამაცობისა და ბრძოლებში მიღწეული შედეგებისთვის დაჯილდოვდა რაინდის ჯვრით ბრილიანტებით, მუხის ფოთლებითა და ხმლებით. 1945 წლის მარტიდან მე-3 სატანკო არმიის სარდალია. 3 მაისს ტყვედ ჩაბარდა მოკავშირეთა ჯარებს. ტყვეობიდან გათავისუფლდა 1947 წლის სექტემბერში. 1953-1957 წლებში იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის დეპუტატი თავისუფალი დემოკრატების პარტიიდან.

³⁶⁹ გერმანული მხარის სტრატეგიულ შეტევით ოპერაციაში „საგუმბო რაინთან“, უშუალოდ არდენზე მიმართული არმიათა ჯგუფი "B"-ს გარდა მონაწილეობას იღებდა დამატებითი ორი საარმიო გაერთიანება – არმიათა ჯგუფი "G" და არმიათა ჯგუფი "H". არმიათა ჯგუფი "G"-ის შენაერთები არდენის სამხრეთით მოქმედებდნენ, ხოლო არმიათა ჯგუფი "H"-ის შენაერთები – არდენის ჩრდილოეთით. არმიათა ჯგუფი "G"-ის შემადგენლობაში, რომელსაც გენერალი პაულ ჰაუსერი სარდლობდა, შეყვანილ იქნა ვერმანტის 1-ლი და მე-19 არმიები, ხოლო არმიათა ჯგუფი "H"-ის შემადგენლობაში – 1-ლი საპარაშუტო არმია, აგრეთვე 1-ლი და 25-ე არმიები. მას გენერალი იოჰანეს ბლასკოვიცი სარდლობდა.

სტრატეგიული გარშემორტყმის კონცეფციასთან გვაქვს საქმე. ყველა გენერალი ეთანხმება ამ წინადადებას, თუმცა ჰიტლერი ურყევად რჩება თავის აზრზე და „საკითხის რთულად გადაჭრის“ მომხრეა.

არდენზე სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის დაწყების თარიღად იგი 27 ნოემბერს ასახელებს. მაგრამ მალე საჭიროდ მიიჩნევს მის გადადებას 12 დეკემბრამდე, რადგან მე-5 სატანკო არმია მზად არ არის მოქმედებისთვის.³⁷⁰ თავგანწირული ბრძოლებით მოწინააღმდეგემ მისი შეყოვნება შეძლო აახენის რაიონში.³⁷¹ თუმცა, 12 დეკემბრისთვისაც გარკვეული პრობლემები იჩენს თავს. ამჯერად ოპერაციის დაწყებას არახელსაყრელმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა შეუშალა ხელი. ამიტომ შეტევა კიდევ ერთხელ, 16 დეკემბრისთვის გადაიდო.

დაწყებული 1944 წლის ნოემბრის ბოლოდან ვესტვოლს, რაინსა და მოზელს შორის მდებარე მთელ ტერიტორიაზე გერმანული ჯარები იყო გაბნეული. ისინი ერიდებოდნენ ქუჩებში სიარულს და ფიჭვის ტყეებში იმალებოდნენ. ფრონტისპირა რაიონებიდან მოხერხდა ყველა საეჭვო სამოქალაქო პირის ევაკუაცია. ჯარებიც მხოლოდ ღამით გადაადგილდებოდნენ შეკრების რაიონისკენ. ფრონტზე მიიტანეს 14 მილიონ ტონაზე მეტი საწვავი და 15000 ტონაზე მეტი საბრძოლო მასალა – გერმანიის სახელმწიფო რკინიგზამ მართლაც საარაკო გმირობა ჩაიდინა. ასეთ ვითარებაში ლოჯისტიკურ საქმიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჯერ ერთი, ახლა თვითოეულ ტანკს ექნებოდა დაახლოებით 150 კილომეტრზე გადაადგილებისთვის საკმარისი საწვავი. მეორეც, რვა დღის სამყოფი მარაგი უკვე მომზადებული იყო გადასატანად. 350 თვითმფრინავი მზადაა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად, მათ შორისაა ახალი ტიპის საფრენი აპარატები, მძლავრი შეიარაღების მქონე რეაქტიული ავიამანადგურებელი „მესერშიტ-262“ (Me-262).³⁷²

15 დეკემბრის ღამეს პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ორასორმოცდაათი ათასი რჩეული გერმანელი ჯარისკაცი და მათი მეთაური, ასევე ასობით ტანკი, ქვემეხი და თვითმფრინავი მზად არის შეტევითი მოქმედების დასაწყებად. გერმანელთა მიერ ოპერაციის „საგუშავო რაინთან“ მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია. ოპერაციის

³⁷⁰ ვერმახტის პირველი ფორმაციის მე-5 სატანკო არმია (გერმ. 5. Panzerarmee) 1942 წლის 8 დეკემბერს შეიქმნა ჩრდილოეთ აფრიკაში. 1943 წლის მაისში, ტუნისში არმია ტყვედ ჩაბარდა მოკავშირეთა ჯარებს. იგი ხელმეორედ უკვე 1944 წლის 5 აგვისტოს შეიქმნა სატანკო ჯგუფი „დასავლეთის“ ბაზაზე, ამჯერად საფრანგეთში. მის შემადგენლობაში ჩართული იყო სს-ის 1-ლი და მე-2 სატანკო კორპუსები, აგრეთვე 67-ე, 74-ე და 86-ე საარმიო კორპუსები.

³⁷¹ ოპერაციის გადადების მიზეზი არა მარტო მე-5 სატანკო არმიის მოუმზადებლობა, არამედ მოწინააღმდეგის მხრიდან მზარდი წინააღმდეგობის გაწევა, საწვავ-საპოხი და საბრძოლო მასალების უკმარისობა, და მოკავშირეთა ავიაციის მზარდი აქტიურობა იყო.

³⁷² „მესერშიტ-262“, „მე-262“, მეტსახელად „მერცხალი“ (Messerschmitt-262, Me-262, Schwalbe) – ცნობილი გერმანელი ავიაკონსტრუქტორის, ვილჰელმ (ვილი) მესერშიტის მიერ შექმნილი მსოფლიოში პირველი მოქმედი სერიული ტურბორეაქტიული თვითმფრინავი – გამანადგურებელ-ბომბდამშენი. მის შექმნაზე მუშაობა ჯერ კიდევ II მსოფლიო ომამდე დაიწყო, მაგრამ რეაქტიულ ძრავთან დაკავშირებულმა პრობლემებმა რამდენიმე წლით გადალო თვითმფრინავის აგება. „მესერშიტ-262“ ლიუფტვაფეს შეიარაღებაში მხოლოდ 1944 წლის შუახანებში გამოჩნდა. ეს იყო იმ დროისათვის ყველაზე უფრო ტექნოლოგიური და არსებული გამანადგურებლებიდან ყველაზე სწრაფი და მძიმედ შეიარაღებული საფრენი აპარატი, ბრიტანული რეაქტიული თვითმფრინავი „გლოსტერ მეტეორის“ ჩათვლით. ფუნქციონალურად წარმოადგენდა გამანადგურებელს, გზაგადამჭრელს, მსუბუქ ბომბდამშენს, მზვერავს, ასევე ღამის გამანადგურებელს. „მესერშიტ-262“-ის ძირითად შეიარაღებას წარმოადგენდა MK 108 ტიპის 4 ცალი 30მმ-იანი ავიაქვემეხი, თუმცა მის ერთ-ერთ მოდიფიკაციაზე იმ დროისათვის უპრეცედენტო კალიბრი – 50მმ-იანი ავიაქვემეხებიც იყო დამონტაჟებული. გარდა ამისა, მძიმე ამერიკული ბომბდამშენების წინააღმდეგ საბრძოლველად „მესერშიტ-262“ აღჭურვილი იყო 24 ცალი „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტებით. ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მესერშიტ-262“ აღჭურვილი იყო Siemens K-22 ტიპის ავტოპილოტით. ზოგიერთი მონაცემებით, ომის მსვლელობისას, ყველა მოდიფიკაციის „მესერშიტ-262“-ის მიერ ჩამოგდებული იყო მოწინააღმდეგის 150 თვითმფრინავი, საკუთარი 100-ის საპირისპიროდ. შედარებით დაბალი საბრძოლო მანევრულობის მიზეზი ახალი ტიპის აპარატის მიმართ პილოტთა დაბალი მომზადების დონე, საერთო ქალის ფონზე მარავნაწილების უკმარისობა, ტურბორეაქტიული ძრავების არასაიმედოობა და მისი დაბალი მოტორესურსი იყო. 1945 წლის მარტიდან „მესერშიტ-262“-ების ერთ-ერთ ესკადრას, ლეგენდარული გერმანელი მფრინავი-ასი, ლიუფტვაფეს გენერალ-ლეიტენანტი ადოლფ გალანდი მეთაურობდა, რომელმაც ამ თვითმფრინავით მოწინააღმდეგესთან საპაირო ბრძოლებში შეიღვინის გამარჯვებას მიაღწია.

მსვლელობაში ლიუფტვაფეს თავისი როლი აქვს მიკუთვნებული.³⁷³ ყინავს და ტყეებში ორი ფუტი სიმაღლის თოვლი ღევს.

უნდა ითქვას, რომ ამერიკელები გერმანელთა კონტრშეტევის სამზადისის შესახებ გარკვეულ ინფორმაციებს ფლობენ. მათთვის არ დარჩენილა საიდუმლოდ გერმანელთა ძალების თავმოყრის ფაქტი, მაგრამ მისი გრანდიოზული მასშტაბების შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვთ. მოკავშირეთა ძალების მიერ საჭაერო დაზვერვა ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო სრულყოფილად ვერ ტარდება. ერთადერთი გარემოება, რაც მათ გაკვირვებას იწვევს, გერმანული თვითმფრინავების დიდი რაოდენობაა, რომლებიც უკვე რამდენიმე ღამეა ინტენსიურად დაფრინავენ, აშკარად უმიზნოდ აკეთებენ ვირაჟებს ჰაერში და ესოდენ ძვირფას საწვავს ხარჯავენ. მოკავშირეთაგან არავის მოსვლია თავში ის აზრი, რომ მათი ძრავების ხმაურმა უნდა გადაფაროს საწყისი პოზიციებისკენ მიმავალი ტანკებისა და მძიმე ტექნიკის ხმა.

დაწყებული სექტემბრის თვიდან, თავისი რთული რელიეფითა და სუსტი საგზაო ქსელით, ამერიკელები არდენის ტყიან ტერიტორიებს ბრძოლისგან დაქანცული შენაერთებისა და ახალი ქვედანაყოფების „დასასვენებელ და აკლიმატიზაციის“ რაიონად იყენებენ. ამ მომენტისათვის არდენის ფრონტზე მხოლოდ ოთხი ამერიკული დივიზია იმყოფება. ამერიკელები მთავარ ძალებს არდენის ჩრდილოეთითა და სამხრეთით უყრიან თავს.³⁷⁴

16 დეკემბრის გამთენიისას, 5 საათსა და 30 წუთზე, ოპერაცია „საგუშაგო რაინთან“ იწყება. ამერიკელებს გერმანული არტილერიის ერთსაათიანი ურავანული ცეცხლი აღვიძებს. პროჟექტორები ქმნიან ხელოვნური მთვარის შუქს, რომელმაც უნდა გააადვილოს დილის ნისლში ზამთრის თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილ ქვეით ამერიკულ ჯარისკაცებზე შეტევა. მოულოდნელობა თავის საქმეს აკეთებს. გაკვირვებული მოკავშირეები თვალებს არ უჯერებენ. გერმანული შენაერთები არღვევენ ფრონტის ხაზს, აღწევენ ყველგან და გამარჯვებაში სრულიად დარწმუნებულები წინ მიიწევენ.

ამავე დროს გერმანელების გონებაში ჯერ კიდევ დომინირებს ის დამცინავი აზრი, რომ შესაძლოა, ამერიკელები შედარებით გაბელულები არიან შეტევაში, მაგრამ არახელსაყრელ პირობებში ისეთი შეუპოვარი თავდაცვის უნარი არა აქვთ, როგორც ეს ჯიუტ ინგლისელებს ახასიათებთ. მაგრამ გერმანელები ძალიან მალე რწმუნდებიან თავიანთ შეცდომაში. მათ გასაკვირად ამერიკელი ჯარისკაცები თავს გაბელულად იცავენ. ისინი იკავებენ თავდაცვის წრიულ პოზიციებს, ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ გერმანელებს და დაუყოვნებლივ ატარებენ საპასუხო ზომებს. ისინი ყველა არსებულ ტანკს იძახებენ არდენის ფრონტის შეტევის მონაკვეთზე. სტრატეგიულ რეზერვად კი, ორი საჭაერო-სადესანტო დივიზია მოიაზრება, რომლებიც რეიმსის რაიონშია განლაგებული. გარკვეული დაყოვნების

³⁷³ აქ საუბარი შეეხება გერმანელთა მიერ დაგეგმილ არდენის სახმელეთო ოპერაციის თანმდევ საჭაერო ოპერაციას – „ბოდენპლატე“ (გერმ. Bodenplatte – „საყრდენი ფილა“). ეს ოპერაცია არდენის სახმელეთო ოპერაციის „საგუშაგო რაინთან“ პარალელურად უნდა წარმართულიყო და უნდა დაწყებულიყო 16 დეკემბერს, თუმცა, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო, რეალურად იგი მხოლოდ 1945 წლის 1 იანვარს დაიწყო. ოპერაცია მიზნად ისახავდა არდენზე შეტევითი სახმელეთო ოპერაციის მსვლელობისას ლიუფტვაფეს მიერ მოკავშირეთა ავიაციის გაუვნებლყოფას და საჭაერო ბატონობის მოპოვებას არდენის ცაში. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის შემთხვევაში გერმანელები იმედოვნებდნენ, რომ არმიისა და სს-ის ჯავშანსატანკო შენაერთების არდენზე შეტევა წარმატებული იქნებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპერაციის დაწყება 1944 წლის 16 დეკემბრისათვის დაიგეგმა, მაგრამ იგი რამდენჯერმე გადაიდო ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო. მისი დაწყება მხოლოდ ახალი წლის პირველ დღეს გახდა შესაძლებელი.

³⁷⁴ გარკვეული წყაროები და ავტორები იმაზე მიუთითებენ, რომ ამერიკული სარდლობისათვის კარგად იყო ცნობილი არდენზე გერმანელთა სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის გეგმის შესახებ და ისინი წინასწარ ემზადებოდნენ ამ შეტევის მოგერიებისათვის. ამ ვერსიის ავტორთა აზრით, სწორედ ამიტომ შეასუსტეს ამერიკელებმა არდენზე თავისი პოზიციების ცენტრი და გააძლიერეს ფლანგები, რათა სიღრმეში შეეტყუებინათ გერმანელები და შემდეგ მარწმუნებში მოექცათ ისინი. ამერიკული სარდლობის ჩანაფიქრით, ოპერაციის ასეთი სცენარით განვითარება თითქოს გერმანული შენაერთების სტრატეგიულ ქვაბში მოქცევითა და მათი სრული განადგურებით უნდა დასრულებულიყო. რა თქმა უნდა, ამერიკელთა საბრძოლო ჩანაფიქრის ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, თუმცა ჩვენის აზრით, იგი სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს.

შემდეგ გენერალი ეიზენჰაუერი იღებს გადაწყვეტილებას და ამ შენაერთებს არდენის ცენტრში, უფალიზისა და ბასტონისკენ გზავნის.³⁷⁵

მიუხედავად მძლავრი შეტევისა, ამერიკელთა მედგარი წინააღმდეგობის გამო, 16 დეკემბრის საღამოსათვის გერმანელები საბრძოლო მოქმედებების ვერც ერთ დღიურ გეგმას ვერ ასრულებენ. სს-ის მე-6 სატანკო არმიის „ვეფხვებისა“ და „პანტერების“ მუხლუხებით გადათელილი, მიხვეულ-მოხვეული და თოვლით დაფარული გზები ქაოსს იწვევს მოძრაობისას. მომარაგების გზები ჩახერგილია, ზეპ დიტრიხის არმია ძალიან ნელა მიიწვეს წინ და ვერ იპყრობს ვერც მონშაუს და ვერც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქელს ელზენბორნთან.

სს-ის 1-ლი სატანკო დივიზიის „ლეიბშანდარტ სს ადოლფ ჰიტლერის“ მეწინავე რაზმი კი, პაიპერის საბრძოლო ჯგუფი,³⁷⁶ მეორე დღის საღამოსათვის იჭრება მოწინააღმდეგის ზურგის ტერიტორიების სიღრმეში. ღამით ისინი აღწევენ სტავლომდე და მხოლოდ რამდენიმე კილომეტრიდა აშორებთ 1-ლი ამერიკული არმიის შტაბისაგან სპაში, რაც ამერიკელების შტაბებს სახტად ტოვებს. მაგრამ საერთო ჯამში, გერმანელების იმედები, რომ სწრაფი გარღვევით მიაღწევდნენ მასამდე, გაცრუვდა.

19 დეკემბრისათვის გენერალ მანტოიფელის ტანკები ბასტონამდე აღწევენ, მაგრამ ვეღარ ახერხებენ ამ მნიშვნელოვანი და ბრძოლაგამოვლილი სატრანსპორტო კვანძის აღებას, რომელიც ცოტა ხნით ადრე დაიკავა ამერიკელთა რეიმსის 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიამ.

22 დეკემბერს გერმანელთა მე-2 სატანკო დივიზიის მეწინავე ქვედანაყოფები მასამდე აღწევენ, მაგრამ ამერიკული ტანკები მათ გარემოცვას იწყებენ ფლანგიდან. ყველაფერთან ერთად, გერმანული ტანკების დიდი ნაწილი ადგილზე ჩერდება – მათ საწვავი ელევათ. ამინდიც უმჯობესდება და მოწმენდილ ცაზე მოკავშირეთა ავიაცია, პირველი ავიამანადგურებლები და ბომბდამშენები ჩნდებიან. ოპერაცია „საგუშავოს რაინთან“ წარმატებით გაგრძელდა ვეღარ ხერხდება. გერმანელთა სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია ტემპსა და ოპერატიულ სიღრმეს კარგავს. გერმანელთა ვარაუდი მძიმე კლიმატური პირობების გამო მოკავშირეთა ავიაციის საბრძოლო ფრენების შეუძლებლობის შესახებ, არ მართლდება. მათი მოლოდინისდა საპირისპიროდ, ბასტონში თავმოყრილი ამერიკული შენაერთების მომარაგება შესაძლებელი ხდება უკვე 26 დეკემბრიდან. ყველაფერთან ერთად, გენერალი ჯორჯ პატონი³⁷⁷ ახერხებს ქალაქის გარშემო არსებული ალყის გარღვევას ამერიკული ტანკებით.

³⁷⁵ არდენის ოპერაცია გერმანელთათვის დიდი წარმატებით დაიწყო. 1944 წლის 16 დეკემბრისათვის შეტევაზე გადასულმა გერმანულმა შენაერთებმა 80კმ სიგანეზე გაარღვიეს მოკავშირეთა ჯარების ფრონტი და მცირე ხანში 30 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი აიყვანეს ტყვედ.

³⁷⁶ იოაჰიმ პაიპერი (გერმ. Joachim Peiper) (1915-1976წ.წ.) – II მსოფლიო ომის პერიოდის ცნობილი გერმანელი ოფიცერი, სს-ის ჯარების მაღალი რანგის ოფიცერთა კორპუსის წარმომადგენელი, ჰიმლერის პირადი ადიუტანტი 1940 წლის ნოემბრიდან 1941 წლის აგვისტომდე, სს-ის შტანდარტენფიურერი. II მსოფლიო ომში იბრძოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა რაინდის ჯვრით მუხის ფოთლებითა და ხმლებით. 1945 წლის აპრილში, 30 წლის ასაკში ენიჭება შტანდარტენფიურერის წოდება და იგი სს-ის ჯარების ყველაზე ახალგაზრდა პოლკის მეთაური ხდება. არდენის ოპერაციის დროს მეთაურობდა სს-ის 1-ლი სატანკო დივიზია „ლეიბშტანდარტ სს ადოლფ ჰიტლერის“ ერთ-ერთ ნაწილს. 1945 წლის მაისში ტყვედ ჩაბარდა მოკავშირეთა ჯარებს. გასამართლებულ იქნა ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის მიერ და ჩადენილი სამხედრო დანაშაულობების გამო მიესჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მუშაობდა „პორშეს“ და „ფოლკსვაგენის“ კომპანიებში. 1970 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც პუბლიცისტური საქმიანობით იყო დაკავებული – „რაინერ ბუშმანის“ ფსევდონიმით თარგმნიდა წიგნებს ინგლისურიდან გერმანულ ენაზე. 1976 წლის ივლისში ტრაგიკულად დაიღუპა საკუთარ სახლში, რომელიც დაიწვა უცნობი პირის ან პირების მიერ მოლოტოვის კოქტეილის სროლის შედეგად. ეს მკვლელობა დღემდე გაუხსნელია.

³⁷⁷ ჯორჯ სმიტ პატონი (ინგლ. George Smith Patton) (1885-1945წ.წ.) – გამოჩენილი ამერიკელი სამხედრო ოფიცერი, I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ამერიკის არმიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სკანდალური ფიგურა და ქარიზმატული ლიდერი, აშშ-ის არმიის ოთხჯარსკვლავიანი გენერალი. 1909 წელს ამთავრებს ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიას. მონაწილეობდა 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც მე-5 ადგილი დაიკავა თანამედროვე ხუთჭიდიში. 1913 წლიდან სამხედრო სამსახურშია, იყო გენერალ ჯონ პერშინგის ადიუტანტი 1916-1917 წლების მექსიკის ექსპედიციაში. I მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვასთან ერთად მონაწილეობს I მსოფლიო ომის მიმდინარე ბრძოლებში. 1917 წელს ენიჭება კაპიტნის წოდება და აშშ-ის სატანკო კორპუსის

28 დეკემბერისათვის საბოლოოდ ნათელი ხდება, რომ გერმანელების დიდი შეტევა ჩაიშალა, ოპერაცია „საგუშაგო რაინთან“ ჩავარდა.³⁷⁸ ჰიტლერმა ეს თვითონვე აღიარა თავისი გენერლების წინაშე სიტყვით გამოსვლისას. მისი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ დაიჯერა, თითქოს ვერმანელებს ისევ შეეძლო 1940 წელს იმავე არდენზე მიღწეული წარმატებების გამეორება. მან გადაჭარბებულად შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები, ხოლო ამერიკელებისა – პირიქით, არასათანადოდ. მოულოდნელობის ეფექტმა ოპერაციის მხოლოდ საწყის ფაზაში ითამაშა გარკვეული როლი, შემდეგ კი, ამერიკელებმა სწორად წარმართეს ბრძოლა. მათ დროზე მოახდინეს რეაგირება, რის გამოც გერმანელებმა ვეღარ შეძლეს მიღწეული ტაქტიკური უპირატესობის რეალიზაცია და მისი გადაზრდა ოპერატიულში.³⁷⁹ თავის სიტყვაში ჰიტლერმა ისიც აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ცუდად მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაცია იყო მომზადებული.

მოკავშირეების საერთო დანაკარგები ცოცხალ ძალაში სამოცდათექვსმეტი ათას კაცს სჭარბობდა. გარდა ამისა, ამერიკელებმა დაკარგეს ხუთასამდე ტანკი და ამდენივე ქვემეხი, მაგრამ გერმანელებმაც უზარმაზარი დანაკარგები განიცადეს – ასი ათასამდე კაცი, რაც ოპერაციაში მონაწილე მთელი პირადი შემადგენლობის მესამედს შეადგენდა. გარდა ამისა – რვაასამდე ტანკი და ათასი თვითმფრინავი. ეს კი, გერმანელთა გამანადგურებელი ავიაციის თითქმის ნახევარს შეადგენდა. ძალიან დიდი იყო სხვა ტექნიკური და მატერიალური საშუალებების დანაკარგებიც, რომლის აღდგენა და ჩანაცვლება გერმანული მხარისათვის უკვე შეუძლებელი იყო.³⁸⁰

შემადგენლობაში მონაწილეობს კამბრესა და სენ-მიშელის ბრძოლებში, სადაც დაიჭრა კიდეც. I მსოფლიო ომის ბოლოს იგი უკვე პოლკოვნიკია. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის ჯილდოვდება მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „მეწაფული გული“. 1930-იანი წლების ბოლოს მეთაურობს მე-2 ჯავშანსატანკო დივიზიას. 1942 წელს გენერალ-მაიორი ჯორჯ პატონი ოპერაცია „ჩირალდნის“ (ინგლ. Torch) ფარგლებში მეთაურობს ჩრდილოეთ აფრიკაში, მაროკოში გადასხმული აშშ-ის არმიის დასავლეთის კონტიგენტს. 1943 წლის მარტში ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება და ინიშნება მე-2 კორპუსის სარდლად. სიცილიის ოპერაციის წინ ინიშნება აშშ-ის მე-7 არმიის სარდლად. ნორმანდიის ოპერაციის დროს ინიშნება მე-3 არმიის სარდლად. საბოლოოდ, II მსოფლიო ომის მიწურულს, მისი არმიის მიერ გერმანელებისაგან გათავისუფლებულ იქნა ქალაქი პლზენი და დასავლეთ ბოჰემიის მნიშვნელოვანი ნაწილი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში ქალაქ მანჰეიმთან, 1945 წლის 9 დეკემბერს, ერთი დღით ადრე მის კალიფორნიაში გამგზავრებამდე.

³⁷⁸ 1945 წლის 8 იანვარს, გაიაზრა რა, არდენზე განხორციელებული შეტევითი ოპერაციის მთელი უპერსპექტივობა, აგრეთვე ბუდაპეშტში შექმნილი მწვავე მდგომარეობა, ჰიტლერმა გასცა ბრძანება ბრძოლებში დაზარალებული მე-6 სატანკო არმიის ღრმა ზურგში უკან დაწვეისა და არმიის პირადი შემადგენლობითა და შესაბამისი ტექნიკით დაკომპლექტების შესახებ. არმიის დანაკარგები კი მართლაც ძალიან დიდი იყო. ასე მაგალითად, მისმა ერთ-ერთმა დივიზიამ სამკვირიან ბრძოლებში მთელი თავისი ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების 45% დაკარგა. საერთო ჯამში, ოპერაცია „საგუშაგო რაინთან“ – გერმანელთა სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია არდენზე, მარცხით დასრულდა. გენერალ ეიზენჰაუერის სიტყვებით – „გერმანელთა სარდლობამ სერიოზული შეცდომა დაუშვა არდენზე შეტევის დაწყებით – ეს განწირულთა შეტევა იყო“.

³⁷⁹ გერმანელთა წარუმატებლობაში არცთუ უკანასკნელი როლი ლიუფტვაფეს მიერ დაგეგმილი ოპერაცია „ბოდენპლატეს“ ჩავარდნამ ითამაშა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია, იგი 1944 წლის 16 დეკემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ცუდი ამინდების გამო იგი ახალ წლამდე, 1945 წლის 1 იანვრამდე გადაიდო. თავდაპირველად, მოულოდნელობის ხარჯზე, გერმანელებმა გარკვეულ ტაქტიკურ უპირატესობასაც კი მიაღწიეს, მაგრამ საბოლოოდ ოპერაცია „ბოდენპლატე“ ჩავარდა. აეროდრომებზე განადგურებული თვითმფრინავები მოკავშირეებმა ერთ კვირაში ჩანაცვლეს ახლებით. მოკავშირეთა საბრძოლო ეკიპაჟების დანაკარგები კი ძალიან მცირე იყო, რადგან გერმანელებმა ძირითადად აეროდრომებზე, მიწაზე მყოფი თვითმფრინავები გაანადგურეს, მათი ეკიპაჟები კი გადარჩა. ამის საპირისპიროდ, გერმანელთა დანაკარგები საბრძოლო ეკიპაჟებში დიდი იყო, რომელთა ჩანაცვლება უკვე ვეღარ ხერხდებოდა. რეალურად, ბრძოლის შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ გერმანელთა 34 საჰაერო საბრძოლო ჯგუფიდან მხოლოდ II-ის მოქმედებები იყო დროული და შედეგიანი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ოპერაციაში გერმანელთა უახლესი ტიპის რეაქტიული ავიაგამანადგურებელი-ბომბდამშენები, „მესერშიტ-262“-ები იღებდნენ მონაწილეობას. საერთო ჯამში, ლიუფტვაფეს სარდლობის მიერ საგულდაგულოდ დაგეგმილი და მომზადებული ოპერაცია „ბოდენპლატე“ ჩავარდა. გერმანელებმა ვერ შეძლეს არდენის ცაში საჰაერო უპირატესობის მოპოვება, რამაც შეუძლებელი გახდა გერმანული სატანკო შენაერთების შემდგომი წინსვლა. ფაქტი ისაა, რომ „ბოდენპლატე“ ლიუფტვაფეს მიერ დაგეგმილი და აღსრულებული უკანასკნელი მსხვილმასშტაბიანი საჰაერო შეტევითი ოპერაცია იყო II მსოფლიო ომში.

³⁸⁰ არდენის ოპერაცია, კოლური დასახელებით – „საგუშაგო რაინთან“, გერმანელთა უკანასკნელი შეტევითი კამპანია იყო II მსოფლიო ომში. ოპერაციის პირველ ფაზაში გერმანელებმა თითქოს გარკვეულ ტაქტიკურ უპირატესობასაც მიაღწიეს, მაგრამ მისი გადაზრდა ოპერატიულში, ვეღარ მოხერხდა. ამ ბრძოლებში ამერიკელებმა II მსოფლიო ომში ყველაზე დიდი დანაკარგები განიცადეს ცოცხალ ძალასა და მატერიალურ საშუალებებში, თუმცა შემდეგ, ავიაციის მხარდაჭერითა და საკუთარი სახმელეთო შენაერთების მოხერხებული მანევრებით შეძლეს მდგომარეობის

არდენზე განხორციელებულმა სტრატეგიულმა შეტევითმა ოპერაციამ გერმანელებს მიზნად დასახული შედეგი ვერ მოუტანა. დასავლეთის ფრონტზე მათ ხელში ვერ იგდეს სტრატეგიული ინიციატივა, სამაგიეროდ მათ ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ – მოკავშირეები იძულებულნი გახდნენ თვეებით გადაედოთ დაგეგმილი საბოლოო შეტევა რაინის მიმართულებაზე. მათი გათვლები, რომ ომს წლის ბოლომდე დაასრულებდნენ, არ გამართლდა. ოპერაციამ „საგუშაგო რაინთან“ გაახანგრძლივა II მსოფლიო ომის შემდგომი მსვლელობა და საბოლოოდ შეცვალა ევროპის კონტინენტზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის სადემარკაციო ხაზები საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

1945 წლის 12 იანვარს საბჭოელთა მიერ მდინარე ვისლასთან დაწყებული სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია, საბოლოოდ, 1945 წლის მაისში ბერლინის აღებით სრულდება. გერმანელებმა საბჭოელებს ღირსეული წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწიეს, რადგან თავისი საუკეთესო შენაერთები და ბრძოლისუნარიანი რეზერვები უაზროდ შეაღწიეს არდენზე შეტევას.

გამოსწორება. გერმანელთა დანაკარგები ჯავშანტექნიკასა და თვითმფრინავებში კი, კრიტიკული იყო. მათი აღდგენა და შემდგომი ჩანაცვლება ვეღარ მოხერხდა.



ჯორჯ პატონი
(1885-1945)



ზეპ დიტრიხი
(1892-1966)



ერის ბრანდენბერგერი
(1892-1955)



იოაჰიმ პაიპერი
(1915-1976)



ჰასო ფონ მანტოიფელი
(1897-1978)




ოტო სკორცენი
(1908-1975)



ზეპ დიტრიხი არდენის ფრონტზე



ზეპ დიტრიხი, კიმლერი და პაიპერი მეცხე



გერმანელების შეტევა არდენზე. 1944 წლის 16-25 დეკემბერი



ტანკი Pz.Kpfw. VI „ვეფხვი“



ტანკი Pz.Kpfw. V „პანტერა“



გერმანელები შეტევაში არდენის კამპანიის დროს



ოპერაცია „საგუშაგო რაინთან“. გერმანელები შეტევაში



გერმანელი ჯარისკაცები ჯავშანტრანსპორტიორ Sd.Kfz 251-ზე არდენში, 1944 წლის დეკემბერი



„ვეფხვი II” არდენის ტყეში



სს-ის 1-ლი სატანკო დივიზიის „ლეიბშანდარტ სს ადოლფ ჰიტლერის” პაიპერის საბრძოლო ჯგუფის შტურმბანფიურერ გუსტავ კნიტელის მეწინავე რაზმი



სს-ის 1-ლი სატანკო დივიზიის „ლეიბშტანდარტ სს ადოლფ ჰიტლერის” შტანდარტენფიურერ იოაჰიმ პაიპერის საბრძოლო ჯგუფის შტურმბანფიურერ გუსტავ კნიტელის მეწინავე რაზმის მიერ დატყვევებული ამერიკელთა 119-ე პოლკის მე-3 ბატალიონის ჯარისკაცები. ბელგია, 1944 წლის დეკემბერი



გერმანული ტანკი „ვეფხვი I“ ზამთრის კომუნიკაციების ნახატით არდენის ოპერაციის I ეტაპზე, 1944 წლის დეკემბერში. ამ მომენტისათვის „ვეფხვი I“-ის წარმოება უკვე შეწყვეტილია ახალი ტიპის „სუპერ ვეფხვის“, ანუ, „ვეფხვი II“-ის სასარგებლოდ



გერმანელთა მიერ დაზოცილი ბელგიელი მოსახლეობა



გერმანელთა მიერ ჰიერლოტთან აყვანილი ამერიკელი ტყვეები, 1944 წლის დეკემბერი



ოპერაცია „საგუშაგო რაინთან“ მხარდამჭერი საჰაერო ოპერაცია „ბოდენპლატეს“ დაგეგმვის პროცესი. წინა პლანზე მარცხნიდან მარჯვნივ: რაიხსმარშალი ჰერმან გერინგი, ფიურერი და ვერმახტის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ობერსტი ჰაინც გულდერიანი



გერმანული რეაქტიული ავიაგამანადგურებელი „მესერშიტ-262“ არდენის ცაში



ოპერაცია „ბოლენპლატეს“ შედეგები. აეროდრომზე აფეთქებული ამერიკული ავიგამანადგურებლები “P-47s Thunderbolt”



გერმანელთა მიერ არდენზე შექმნილი შვერილი მას შემდეგ იქნა ლიკვიდირებული, რაც ორმა ამერიკულმა არმიამ შეერთება მოახერხა



ამერიკელთა ცაში გაბატონებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამერიკელთა საბოლოო გამარჯვება არდენზე



აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების 303-ე მძიმე ბომბდამშენების ესკადრილია არდენის ცაში. 1945 წლის იანვარი



ამერიკელების მიერ დაზიანებული „მესერშმიტ-110“



ამერიკელი ჯარისკაცები ათვალიერებენ ჩამოგდებულ „მესერშმიტ-109“-ს



ამერიკული ტანკი M4 „შერმანი“ და ამერიკის 1-ლი არმიის 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის 504-ე პოლკის 740-ე ბატალიონის ჯარისკაცები არდენზე



ამერიკელთა 101-ე საინჟინრო ბატალიონი ლუქსემბურგში, 1945 წლის იანვარი



ამერიკელთა მე-ნ ჯავშანდივიზიის ტანკები ბელგიაში, 1945 წლის იანვარი



ამერიკელი ჯარისკაცები არდენზე ათვალიერებენ გერმანელი პარაშუტისტების მიერ დაშვების ადგილზე დატოვებულ პარაშუტებს. 1944 წლის დეკემბერი



ამერიკელთა 28-ე დივიზიის საშტაბო ასეულის ჯარისკაცები ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს აწყობენ გერმანული ტანკების შესაძლო მოახლოების მარშრუტზე



ამერიკის საექსპედიციო ჯარების 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიას მიმავრებული ჯავშანტექნიკა სქელ ნისლში მიემართება ვერბომონტისკენ. ბელგია, 1944 წლის 20 დეკემბერი



გერმანული „ვეფხვი“. მოგლეჯილი კოშკურა, საბრძოლო კომპლექტის დეტონაციისგან ტანკის გაგლეჯილი კორპუსი და მიწაზე დაგდებული გადაცემათა კოლოფი მიუთითებს იმ გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებზე, რასაც ამერიკელები აწარმოებდნენ არდენის ოპერაციის დროს



ამერიკელთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა



ჩამოგდებული გერმანული ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფ-190“ Focke-Wulf Fw 190



ამერიკული ჯარები არდენის მასივის მთავარი ქალაქის, ბასტონის მისაღვრებთან



740-ე სატანკო ბატალიონის ტანკები ჰერესბახის გზაზე, ბელგია. 1945 წლის იანვარი



გერმანელი ტყვეები



გენერლები მეთიუ რიჯვეი და ჯეიმს გავინი ბასტონში



ბრიგადის გენერალი ენტონი მაკალიფი და პოლკოვნიკი ჰარი კინარდი გერმანელებისგან გათავისუფლებულ ბასტონში



ამერიკელი სამხედრო პოლიციელები სვრეტენ ჯაშუშობაში ბრალდებულ ამერიკულ სამხედრო ფორმებში გადაცმულ გერმანელ მედესანტეებს



მარცხნიდან მარჯვნივ – გენერლები ბრედლი, ეიზენჰაუერი და პატონი ბასტონში



გერმანელთა საწვავის ბილონები არდენის ტყეში



არდენზე გერმანელები დამარცხდნენ...

თავი III

უმცდროები
1945 წლის შემდეგ

§3.1. დაუჯერებელი გამარჯვება (ინჩონი, 1950 წლის 15 სექტემბერი)

1945 წლის თებერვლისათვის უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი გერმანიის დამარცხებაში. 1945 წლის 11-14 თებერვალს, იალტაში გამართულ კონფერენციაზე, სტალინი, რუხველტი და ჩერჩილი შეთანხმდნენ გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ მისი ტერიტორიის საოკუპაციო ზონებად დაყოფის შესახებ.³⁸¹ მაგრამ ამერიკელებს, დასავლეთის ფრონტის გარდა, საკუთარი პრობლემები ჰქონდათ მოსაგვარებელი შორეულ აღმოსავლეთში. იმისათვის, რომ საბჭოთა რუსეთი დაეყოლიებინათ იაპონიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებაზე, 11 თებერვალს გაფორმებული საიდუმლო შეთანხმებით ამერიკელებმა სტალინს დაუთმეს კურილიის კუნძულები, სამხრეთ სახალინი და წყნარი ოკეანის ნავსადგურები. მონღოლეთიც საბჭოელთა ინტერესების ზონად აღიარეს. პრაქტიკულად, მოკავშირეები საბჭოელებს შორეულ აღმოსავლეთში მოქმედებების სრულ თავისუფლებას და იაპონელთა წინააღმდეგ ახალი ფრონტის გახსნის საშუალებას აძლევდნენ, რომლის ჯარები ჯერ კიდევ იდგნენ მანჯურიასა და კორეაში.

კორეის ანექსია იაპონელებმა დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ 1910 წელს მოახდინეს. მაგრამ ამერიკელების შემოთავაზების მიღებას სტალინი არ ჩქარობს. საბჭოთა კავშირი იაპონიას ომს მხოლოდ 1945 წლის 8 აგვისტოს, ამერიკელების მიერ ჰიროსიმაში პირველი ატომური ბომბის ჩამოგდებადანი ორი დღის შემდეგ უცხადებს. მხოლოდ ამის შემდეგ შედის წითელი არმია მანჯურიასა და ჩრდილოეთ კორეაში.³⁸² იაპონია კაპიტულაციას 11 აგვისტოს, ნაგასაკიში ამერიკელთა მიერ მეორე ატომური ბომბის ჩამოგდების შემდეგ აცხადებს. 2 სექტემბერს კი, ტოკიოს ყურეში, ამერიკულ სახაზო გემზე „მისური“ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი და სამხრეთ-დასავლეთის წყნარი ოკეანის აუზის მოკავშირეთა ძალების მთავარსარდალი, გენერალი დუგლას მაკარტური³⁸³ ხელს აწერენ იაპონიის უსიტყვო კაპიტულაციის დოკუმენტს.

³⁸¹ ავტორი აქ მცირე უზუსტობას უშვებს. მოკავშირე ქვეყნების ლიდერებს (სტალინი – რუხველტი – ჩერჩილი) შორის მესამე რაიხისა და მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გადანაწილების საკითხების განხილვა ჯერ კიდევ 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამართულ თეირანის კონფერენციაზე დაიწყო. უშუალოდ გერმანიის ტერიტორიების ზონებად დაყოფის საკითხი კი, უკვე 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე მიმდინარე პოტსდამის კონფერენციაზე განიხილებოდა. აქვე განიხილეს მუტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც იაპონიას შეეხებოდა. სტალინმა აიღო ვალდებულება, რომ გერმანიის კაპიტულაციიდან არაუგვიანეს სამი თვისა, ომს გამოუცხადებდა იაპონიას. კონფერენციის მუშაობის ბოლო დღეებში უინსტონ ჩერჩილი დიდი ბრიტანეთის ახლადარჩეულმა პრემიერ მინისტრმა, კლემენტ ეტიმომ შეცვალა. პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებები II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიოს დემოკრატიული მოწყობის წესს განსაზღვრავდა, რაც თითქმის 40 წლის განმავლობაში წარმოადგენდა ევროპის კონტინენტზე ტერიტორიულ-პოლიტიკური წყობის საფუძველს. ხოლო რაც შეეხება 1945 წლის 4-11 თებერვალს მიმდინარე იალტის კონფერენციას, მასზე მოკავშირე სახელმწიფოთა ლიდერებს შორის ევროპის, ანუ ისევე მესამე რაიხის ყოფილი ტერიტორიების და ამავე დროს მთლიანად მსოფლიოს გადანაწილებისა და გავლენის სფეროების საკითხები განიხილებოდა.

³⁸² საბჭოთა კავშირმა ომი იაპონიას მართლაც 1945 წლის 8 აგვისტოს გამოუცხადა, თუმცა დიპლომატიური ნოტა იაპონიის მთავრობას საბჭოთა ჯარების მანჯურიაში შეყვანიდან და საომარი მოქმედებების დაწყებიდან მხოლოდ 7 საათის შემდეგ გადაეცა. ამ მოქმედებით საბჭოთა კავშირმა მოჩვენებით თითქოს დაიცვა საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები, მაგრამ რეალურად ცალმხრივად დაარღვია იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის 1941 წლის 13 აპრილს დადებული თავდაუსხმელობის პაქტის პირობები.

³⁸³ დუგლას მაკარტური (ინგლ. Douglas MacArthur) (1880-1964წ.წ.) – შოტლანდიური წარმოშობის ამერიკელი სამხედრო მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ერთ-ერთი უთვალსაზრისულო სამხედრო მეთაური და სარდალი, აშშ-ის არმიის ხუთვარსკვლავიანი გენერალი და ფილიპინების არმიის ფელდმარშალი. I და II მსოფლიო ომებისა და კორეის ომის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი სარდალი. სხვადასხვა ორდენებისა და საბრძოლო მედლების კავალერი. 1930-იან წლებში ეკავა აშშ-ის არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა, II მსოფლიო ომის დაწყებამდე იყო ფილიპინების გენერალ-გუბერნატორი, ხოლო II მსოფლიო ომის დროს წარმოადგენდა აშშ-ის ჯარების სარდალს წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებათა თეატრზე. სწორედ მან მიიღო 1945 წლის 2 სექტემბერს ტოკიოს ყურეში რეიდზე მდგარი აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის სახაზო გემ „მისური“ ბორტზე იაპონელთა უსიტყვო კაპიტულაციის აქტი, რითაც ოფიციალურად დასრულდა II მსოფლიო ომი. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გენერალი მაკარტური წარმოადგენდა იაპონიაში გაშლილი ამერიკული საოკუპაციო ჯარების სარდალს და იაპონიის გენერალ-გუბერნატორს, ხოლო 1950 წლიდან – კორეაში გაეროს ეგიდით შეყვანილი მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალს. ერთ-ერთი იმ ხუთი ხუთვარსკვლავიანი გენერალთაგანი,

ახლა აშშ-ის წყნარი ოკეანის სარდლობა და მისი მე-7 ფლოტი უკვე მზად არის კორეის ოკუპაციისათვის. და ამისათვის ამერიკას რეგიონზე დომინანტობის მოპოვების სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებს. მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ კომუნისტური გავლენის ქვეშ მთლიანი კორეის მოქცევის დასაბრკოლებლად საბჭოთა კავშირს სთავაზობენ წინ წაიწიოს, მაგრამ მხოლოდ 38-ე განედამდე. პენტაგონში³⁸⁴ არაფერია ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირი ამ წინადადებას დათანხმდება. საკვირველია, მაგრამ სტალინი ამ წინადადებას თანხმდება. სადემარკაციო ხაზი ქვეყანას ორ ნაწილად – ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეად ყოფს. ჩრდილოეთ კორეაში საბჭოთა ჯარები შედიან, სამხრეთ კორეას კი, ამერიკული ჯარის კონტიგენტი იკავებს. 1945 წლის დეკემბერში მოსკოვი ასევე ეთანხმება ამერიკის შემდგომ წინადადებას, რომ კორეაზე მომდევნო 5 წლის განმავლობაში გავრცელდეს ოთხი სახელმწიფოს „საერთაშორისო მანდატი“, რათა შემდგომ შესაძლებელი იყოს ორივე სახელმწიფოს კვლავ გაერთიანებაზე საუბარი. ორი წლის შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, მაგრამ სოციალისტური ბანაკი თავს იკავებს იმ წინადადებაზე ხმის მიცემაზე, რომ კორეაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები დამოუკიდებელი მთავრობის შესაქმნელად. საბოლოოდ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კორეის ტერიტორია ყველა უცხო ქვეყნის ჯარმა უნდა დატოვოს.³⁸⁵

საბჭოთა კავშირი ჩრდილოეთ კორეაში ქმნის კომუნისტურ მთავრობას და საბჭოთა საოკუპაციო ჯარები ქვეყანას 1948 წელს ტოვებენ. 1949 წელს ცხადდება ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, კომუნისტ კიმ ირ სენის³⁸⁶

რომელიც კი ოდესმე ყოფილა აშშ-ის ისტორიაში. დუგლას მაკარტური, ამავე დროს, ფილიპინების ისტორიაში მისი არმიის ერთადერთ ფელდმარშალს წარმოადგენს.

³⁸⁴ პენტაგონი (ინგლ. The Pentagon, ძველბერძნულად – *πεντάγωνον* „ხუთკუთხედი“) – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების, თავდაცვის სამინისტროს შტაბ-ბინის შენობა, რომელსაც ხუთკუთხედის ფორმა აქვს. იგი განლაგებულია ვირჯინიის შტატში, არლინგტონში. სწორედ შენობის ფორმიდან გამომდინარე მიიღო მან თავისი დასახელება. პენტაგონი დღევანდლამდე წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს საოფისე შენობას, რომელიც მხოლოდ ერთი მფლობელის, მოცემულ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს (სამდივნოს) საკუთრებაა.

³⁸⁵ II მსოფლიო ომის დასრულებას მოჰყვა მსოფლიო მშვიდობის მყიფე და არც თუ ისე მარტივი 45 წლიანი ერა, რომელიც ისტორიაში „ცივი ომის“ სახელით შევიდა. ორი ზესახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან სახელმწიფოს მართვის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემებით, მსოფლიო ჰეგემონობაზე აკეთებდა განაცხადს. სხვა პერიოდში ასეთი მდგომარეობა აუცილებლად გამოიწვევდა ახალი დიდი ომის პროვოცირებას, მაგრამ ახლა, როცა ბირთვული იარაღის დამანგრეველი აჩრდილი აწვა კაცობრიობას, ვერც ერთი მხარე ვეღარ ბედავდა პირდაპირ სამხედრო კონფლიქტში შესულიყო ოპონენტთან. ყველასათვის ნათელი იყო, რომ შეერთებული შტატები არ ელოდა თვალსაწიერ მომავალში საბჭოთა რეჟიმთან დაახლოებას და მასთან შეეუბნას. იგივე შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირზეც. II მსოფლიო ომისგან განსხვავებით, პოლიტიკურ არენაზე საბჭოთა კავშირი ომის დასრულების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე არა როგორც მოკავშირეს და პარტნიორს, არამედ როგორც მოწინააღმდეგეს, ისე განიხილავდა. რა თქმა უნდა, ომის მოლოდინი ნამდვილად არ იყო, რომ საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა საყოველთაო მშვიდობისა და სტაბილურობისაკენ იქნებოდა მიმართული, რის დეკლარირებასაც მუდმივად ცდილობდა კრემლის საბჭოური იდეოლოგია. არც ის იყო მოსალოდნელი, რომ სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროს შორის მშვიდობიანი თანხმობისა და თანაარსებობის მდგომარეობა დამყარდებოდა. უფრო მეტად ის იყო მოსალოდნელი, და ეს ბუნებრივიცაა, რომ დაპირისპირებული მხარეების მთელი ძალისხმევა ერთმანეთის დასუსტებისაკენ იქნებოდა მიმართული.

³⁸⁶ კიმ ირ სენი (კორ. 김일성?, 金日成) დაბადებით კიმ სონ ჩუუ (კორ. 김성주?, 金成柱) (1912-1994წ.წ.) – პროკომუნისტური და პროსაბჭოური ორიენტაციის მქონე დიდი კორეელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ჩრდილოკორეული სახელმწიფოს – კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ფუძემდებელი და მისი ფაქტიური ხელმძღვანელი 1948-1994 წლებში. სახელმწიფოს მეთაური 1972 წლიდან. ჩრდილოკორეული სახელმწიფოს იდეოლოგიის – ნაციონალისტური ელფერის მარქსიზმის – ჩუჩხეს ფუძემდებელი. კიმ ირ სენს ეკავა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პოსტი 1948-1972 წლებში და იყო რესპუბლიკის პრეზიდენტი 1972 წლიდან სიკვდილამდე. თუმცა, მისი რეალური ხელისუფლება თავმოყრილი იყო კორეის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობაში. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მარშალი 1953 წლიდან, ხოლო 1992 წლიდან – გენერალისიმუსი. მისი ოფიციალური ტიტული როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგაც იყო – „დიდი ბელადი ამხანაგი კიმ ირ სენი“. სიკვდილის შემდეგ იგი გამოცხადდა კორეის „მარადიულ პრეზიდენტად“. კიმ ირ სენის დაბადების დღეს ჩრდილოეთ კორეაში მზის დღის დღესასწაულს ზეიმობენ.

ხელმძღვანელობით, სამხრეთ კორეაში კი, სამხრეთ კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტად ლი სინ მანს³⁸⁷ ირჩევენ.

1949 წლის ივლისში ამერიკის საოკუპაციო ჯარები სამხრეთ კორეას ტოვებენ. ასეთ ვითარებაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის იწყება ფარული ბრძოლა კორეის ნახევარკუნძულზე საკუთარი გავლენის მოსაპოვებლად. 38-ე განედთან მატულობს დაძაბულობა და სასაზღვრო ინციდენტები. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ კორეის ნახევარკუნძულზე მყიფე პოლიტიკური სტაბილურობა დროებითია და იგი დიდხანს არ გაგრძელდება. კორეის ნახევარკუნძულზე ახალი ომის კერა იბადება.

1950 წლის 25 ივნისს, მოსკოვის თანხმობით, ჩრდილოკორეული სამხედრო შენაერთები სამხრეთ კორეაში შედიან.³⁸⁸ ჩრდილოეთ კორეის არმიის ასოცდათხუთმეტი ათასი მოტივირებული ჯარისკაცის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერს 150 რუსული T-34 ტანკი, ასევე საბჭოური წარმოების იაკ-9 საბრძოლო ავიაგამანადგურებელი და მოიერიშე ავიაცია, დგას ოთხმოცდათხუთმეტათასიანი სამხრეთკორეული არმია.³⁸⁹ ჩრდილოკორეული შენაერთები სოლისებური წყობით სწრაფად მიიწევენ წინ. გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო გმობს ამ აგრესიას და შესაბამის რეზოლუციაში მკაცრად მოითხოვს კომუნისტური ჯარების უკან დახევას სადემარკაციო ხაზს იქით. ამავე დროს, გაეროს წევრ სახელმწიფოებს აძლევენ მითითებას, სამხრეთ კორეას „გაუწიონ ყოველგვარი დახმარება, რათა აღკვეთონ შეიარაღებული თავდასხმა და აღადგინონ საერთაშორისო მშვიდობა“.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად, გაეროს ეგიდით იქმნება კოალიციური ჯარები გაეროს წევრი ქვეყნების მონაწილეობით.³⁹⁰ კოალიციური ჯარების ბირთვის იაპონიაში გაშლილი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მე-8 არმიის შენაერთები

³⁸⁷ ლი სინ მანი (კორ. 이승만?, 李承晩) ინგლისურენოვან ქვეყნებში – სინგმენ რი (1875-1965წ.წ.) – პროდასავლური და პროამერიკული ორიენტაციის მქონე კორეელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. კორეის რესპუბლიკის (სამხრეთ კორეა) პირველი პრეზიდენტი და რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველი დეენილობაში მყოფი თავმჯდომარე. მისი პრეზიდენტობის ხანა, 1948 წლიდან 1960 წლამდე, წარმოადგენდა კორეის სახელმწიფოს გაყოფის ხანას ორ სახელმწიფოდ – პროამერიკულ სამხრეთ კორეის რესპუბლიკად და პროსაბჭოურ ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკად. გამოირჩეოდა მკვეთრად ანტიკომუნისტური და ავტორიტარული მმართველობის იდეოლოგიით. დაჯილდოებული იყო ორდენით „სახელმწიფოს შექმნაში დამსახურებისათვის“. 1957 წლის 21 სექტემბერი – 1960 წლის 26 აპრილის პერიოდში წარმოადგენდა პლანეტის ყველაზე უფრო ხანდაზმულ სახელმწიფო მეთაურს.

³⁸⁸ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, კორეელთათვის ეს ომი სამოქალაქო ომი იყო, რომელიც მალე გადაიზარდა მსოფლიო დაპირისპირებული ბანაკების (საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და მათი სატელიტი ქვეყნები ერთის მხრივ, და აშშ და გაერო, მეორეს მხრივ) არაპირდაპირ ომში. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, მასში გაერთიანებული იყო როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში გამოყენებული სტრატეგიები და ტაქტიკები. ომების ისტორიაში სწორედ კორეის ომით იწყება რეაქტიული ავიაციის საჰაერო ბრძოლებისა და შეველმფრენების გამოყენების ხანა. კორეის ომი დაიწყო სახმელეთო ძალების მობილური კამპანით, რაც გამოიხატა ჯავშანსატანკო ჯარებისა და ქვეითი შენაერთების სწრაფი შეტევებითა და მანევრული ბრძოლებით, რასაც მალე მოჰყვა სტრატეგიული საჰაერო დაბომბვები, საზღვაო დესანტირების ოპერაციები, შემხვედრი ბრძოლები, ჩასაფრებები, კონტრშეტევები, ალყაში მოქცევა და სხვა. დაწყებული 1951 წლის ივლისიდან კი, იგი სტატიკურ, „ტრანშეების“ მეტად მძიმე და მომქანცველ ომად გადაიქცა...

³⁸⁹ ავტორის მიერ მოყვანილი ციფრები აშკარად შემცირებულია. ჩრდილოეთ კორეის არმიამ სამხრეთ კორეაში ხმელეთიდან და ჰაერიდან შეჭრა ამ ე.წ. „სამშობლოს განმათავისუფლებელ ომში“, 231000-იანი სამხედრო კონტიგენტით დაიწყო. მან მოკლე დროში დაიკავა ქალაქები კესონი (კორეის ყოფილი დედაქალაქი), ჩუნჩონი, უიჯენგუ და ონჯინი. მათი ძალები მოიცავდა 274 ერთეულ საბჭოური წარმოების მოდერნიზებულ T-34-85 ტანკს, საბჭოური წარმოების 150 ერთეულ ЯК-9 ავიაგამანადგურებელს, ასევე საბჭოური წარმოების 110 ერთეულ ИЛ-2 და ИЛ-10 მოიერიშე ბომბდამშენს, 200 საარტილერიო დანადგარს, 78 საწვრთნელ და 35 სადაზვერვო თვითმფრინავს. სამხრეთ კორეის არმია, რომლის რიცხოვნობა 98000 კაცს შეადგენდა (65000 საბრძოლო და 33000 უზრუნველყოფის ნაწილები და ქვედანაყოფები), მოუშადადებელი აღმოჩნდა ამ სამხედრო დაპირისპირებისათვის. მათი საბრძოლო მომხადების ღირებულება მეტად დაბალი იყო. სამხრეთელთა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თავის დროზე ვერ შეძლო დაერწმუნებინა ამ საფრთხეების რეალობაში ამერიკული აღმინისტრაცია. სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალები ჩრდილოელებს დაუპირისპირდა 114 ავიაგამანადგურებლით, 78 ბომბდამშენითა და 105 ერთეული საბჭოური წარმოების T-34-85 ტანკით. ორივე მხარეს მხოლოდ მცირე ფლოტი გააჩნდა.

³⁹⁰ საერთო ჯამში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მოქმედ კოალიციურ ძალებში, რომელიც გაეროს №82 რეზოლუციის თანახმად შეიქმნა, 16 ქვეყანა გაერთიანდა. ყველაზე დიდ კონტრიბუტორებს ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი წარმოადგენდა თავის ღირებულებათა ერთად. გარდა ამისა – საფრანგეთი, ბელგია, თურქეთი, საბერძნეთი, ფილიპინები, კოლუმბია, ტაილანდი, ნიდერლანდები და სხვა.

წარმოადგენენ. აშშ-ის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი³⁹¹ სცემს ბრძანებას „გაეროს პოლიტიკური ჩარევის“ მანდატით ამერიკული საჯარისო კონტიგენტის სამხრეთ კორეაში შეყვანის შესახებ. გენერალ ღუგლას მაკარტურს სამხრეთ კორეაში იაპონიიდან მე-8 არმიის ნაწილები შეჰყავს, მაგრამ ოთხი დღეშია, რომლებიც მის განკარგულებაშია და თანდათანობით შედიან სამხრეთ კორეაში, არა საბრძოლო ნაწილებს, არამედ ტიპიურ სამშვიდობო ჯარებს წარმოადგენს. ეს დღეები ცუდადაა აღჭურვილი, პირადი შემაღენლობა კი, ცუდად გაწვრთნილი. ისინი იაპონიაში საოკუპაციო არმიის ჯარისკაცებად მსახურობენ და საბრძოლო ამოცანებს არ ასრულებენ.

ბრძოლაში პირველად აშშ-ის მე-8 არმიის 24-ე დივიზია ერთვება, გენერალ დინის მეთაურობით.³⁹² ეს დივიზია თითქმის მთლიანად ნადგურდება, გენერალი დინი კი, ტყვედ ვარდება. თუმცა, დივიზიამ რამდენიმე დღით მაინც მოახერხა შეეჩერებინა ჩრდილოკორეული შენაერთების შეუჩერებელი წინსვლა.³⁹³ ამერიკელთა ომში ჩაბმამ მოწინააღმდეგის დაბნეულობაც გამოიწვია. პირველი შეტაკებისას ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ამერიკელთა მთელი არმია იდგა და ძალების გადაჯგუფების მიზნით შეტვეითი მოქმედებები შეაჩერეს. ჩრდილოკორეელები არ რისკავენ, დამატებითი ცოცხალი ძალა და არტილერია შემოჰყავთ და პოზიციური ბრძოლებისათვის იწყებენ მზადებას. იმის მაგივრად, რომ მეწინავე სატანკო ნაწილებს წინსვლა გაეგრძელებინათ, მათ თავდაცვითი პოზიციების აგება დაიწყეს. ეს კი, დიდი შეცდომა იყო. ჩრდილოკორეული ტანკები რომ არ შეჩერებულიყვნენ, მცირე ძალისხმევის ფასად ისინი კორეის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილამდე,

³⁹¹ ჰარი ტრუმენი (ინგლ. Harry S. Truman) (1884-1972წ.წ.) – XX საუკუნის დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების 33-ე პრეზიდენტი 1945-1953 წლებში, რომელმაც ამ თანამდებობაზე ფრანკლინ დელანო რუზველტი შეცვალა მისი გარდაცვალების შემდეგ. ტრუმენის პრეზიდენტობის პერიოდი მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საერთაშორისო მოვლენებით აღინიშნა. ეს იყო – ამერიკის შეერთებული შტატების მიერ II მსოფლიო ომის მიწურულს ატომური ბომბის შექმნა და ატომური დარტყმების მიყენება იაპონიაზე 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, რომელიც მისი ბრძანებით განხორციელდა. ასევე, მარშალის გეგმის ამუშავება დასავლეთ ევროპის დასრულებული ეკონომიკის აღდგენისა და გაძლიერებისათვის, ცივი ომის ეპოქის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების ლიდერის პოზიციები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რაც პირველ რიგში ტრუმენის დოქტრინის შემუშავებაში, 1949 წლის 4 აპრილს ჩრდილოატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის – „ნატოს“ შექმნასა და კორეის ომში აშშ-ის აქტიურ მონაწილეობაში გამოიხატა. საშინაო პოლიტიკაში იგი ატარებდა ზომიერი დემოკრატიის კურსს, რითაც აგრძელებდა ფრანკლინ რუზველტის კურსს, თუმცა ხშირად ვერ სარგებლობდა კონსერვატიულად განწყობილი კონგრესის მხარდაჭერით, რომელიც ბლოკავდა მის გადაწყვეტილებებს. პრეზიდენტმა ტრუმენმა თავისი კარიერის განმავლობაში 180-ჯერ გამოიყენა საპრეზიდენტო ვეტოს უფლება, ყველაზე მეტჯერ, ვიდრე აშშ-ის სხვა ნებისმიერმა პრეზიდენტმა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის დესეგრეგაცია, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთში ახალი სახელმწიფოს, ისრაელის შექმნა მხარდაჭერა. მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1945 წლის 24 ოქტომბერს შეიქმნა კოლექტიური უსაფრთხოების ისეთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ინსტიტუტი, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო).

³⁹² უილიამ დინი (ინგლ. William Frishe Dean) (1899-1981წ.წ.) – ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ოფიცერი, გენერალ-მაიორი, II მსოფლიო ომისა და კორეის ომის მონაწილე. დაამთავრა კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტი და მიიღო თადარიგის ოფიცრის წოდება. 1942 წლიდან პოლკოვნიკია. II მსოფლიო ომში მეთაურობდა 44-ე ქვეით დივიზიას. მონაწილეობდა ნორმანდიის ოპერაციასა და ცენტრალური ევროპის კამპანიაში. დაჯილდოებული იყო საბრძოლო მედლებით. 1945 წლის ივლისში მისი დივიზია გადასროლილ იქნა წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებათა თეატრზე. II მსოფლიო ომის დასრულებისთანავე მისი დივიზია შეყვანილ იქნა იაპონიაში. კორეის ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ამ დივიზიის ნაწილები პირველები იყვნენ, რომლებიც იაპონიიდან კორეის ნახევარკუნძულზე გადასხდნენ. ბრძოლებში თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა მეთაურმა. 1950 წლის 20-21 ივლისის ტაეჯონის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა ღირსების მედლით. იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების არმიის ერთადერთი უმაღლესი რანგის ოფიცერი (გენერალი), რომელიც ტყვედ ჩაუვარდა ჩრდილოკორეელებს. ტყვეობიდან გათავისუფლდა ომის დასრულების შემდეგ, 1953 წლის სექტემბერში. სამშობლოში დაბრუნებისას დაინიშნა აშშ-ის მე-6 არმიის სარდლის მოადგილედ. თადარიგში გავიდა 1955 წელს.

³⁹³ ქალაქ ოსანთან გამართულ ბრძოლაში, რომელიც ამერიკელთათვის კორეის ომის პირველი სერიოზული ბრძოლა იყო, მონაწილეობდა ამერიკელთა 540 კაციანი ტაქტიკური ჯგუფი „სმიტი“ – 24-ე ქვეითი დივიზიის მეწინავე ქვედანაყოფი. 1950 წლის 5 ივლისს ამ ჯგუფმა შეტევა მიიტანა ჩრდილოეთ კორეის ერთ-ერთ დანაყოფზე ოსანთან, მაგრამ წარუმატებლად, იგი ჩასაფრებაში მოჰყვა... შედეგად, 180 ადამიანის დანაკარგი – დაღუპული, დაჭრილი ან ტყვედ ჩავარდნილი. მთლიანად 24-ე დივიზიის საბრძოლო დანაკარგებმა კი შეადგინა: 3602 დაღუპული და 2962 ტყვე, დივიზიის მეთაურის, გენერალ-მაიორ უილიამ დინის ჩათვლით. კორეის სახალხო არმიის ჰერსონისა და სანჯინგის საშუალებებმა ჩამოაგდეს ამერიკელთა 18 ავიაციამანდურებელი და 29 ბომბდამშენი; ამერიკელთა საჰაერო ძალებმა კი, კორეელების მხოლოდ 5 ავიაციამანდურებელი...

პუსანამდე მიღწევდნენ, და შესაბამისად, ამ ომის შემდგომი მსვლელობა, მისი ხანგრძლივობა და შედეგებიც სულ სხვანაირი იქნებოდა. მაგრამ ჩრდილოკორეული შენაერთების შეჩერებამ და მათმა გადაჯგუფებამ 250 კილომეტრის სიგრძის ფრონტის ხაზზე – პუსანის პერიმეტრზე, საკმარისი დრო მისცა მაკარტურს იმისათვის, რომ დამატებით კიდევ სამი დივიზია შემოეყვანა იაპონიიდან. სამხრეთკორეული და ამერიკული გაერთიანებული ჯარების საერთო სარდლად გენერალი უოლტონ უოლკერი³⁹⁴ ინიშნება.

როდესაც კიმ ირ სენი და კარგად აღჭურვილი და რიცხოვრივი უპირატესობის მქონე ჩრდილოკორეული შენაერთის სარდლობა თავის შეცდომას მიხვდებოდა, უკვე გვიანია. ისინი გაბრაზებულები გააგრძელებენ შეტევას, მაგრამ მომენტი გაშვებულია, წინსვლის ტემპები კი, ძალიან დაბალი – მათი „ელვისებური ომი“ უკვე დამთავრებულია. ჩრდილოკორეელები თავისი ტაქტიკური უპირატესობის ოპერატიულში გადაზრდას ვეღარ ახერხებენ, თუმცა შეტევითი მოქმედებების ინიციატივას მაინც ინარჩუნებენ.

თავდაცვაში მყოფი ამერიკელებისთვის კი, პუსანი, სამხრეთ კორეის ეს მთიანი და ბორცვიანი რეგიონი თავდაცვითი ბრძოლებისათვის ხელსაყრელ ტერიტორიას წარმოადგენს და ისინიც მყარად ინარჩუნებენ პოზიციებს, ჯერჯერობით მაინც. რამდენიმე კარგი გზა სამხრეთისკენ ბლოკირებულია და ამერიკელებიც სასტიკ ბრძოლებს აწარმოებენ მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა მაინც ვერ შეძლეს კომუნისტების შეჩერება. 1950 წლის აგვისტოსათვის მათ მთლიანად დაიკავეს ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპირო და აქედან გადაადგილდებიან აღმოსავლეთისკენ, სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ. ამერიკელები და სამხრეთკორეელები ფაქტიურად პუსანის პერიმეტრს იქით არიან მომწყვდეულები. ეს კი, სამხრეთ კორეის ტერიტორიის მხოლოდ 10%-ს შეადგენს. ასეთ ვითარებაში გამორიცხულია უკან დახევა და მით უმეტეს, დამატებითი ძალების თავმოყრის გარეშე საკუთარი შეტევის წამოწყება. მიუხედავად საპაერო გზით მიღებული მხარდაჭერისა, ასევე აშშ-ის საზღვაო ქვეითი ბრიგადისა და ორი ბრიტანული ქვეითი ბატალიონის კონტინენტზე გადმოსხმისა, ოპერატიული ვითარება მაინც ძალიან რთულია. ამერიკელები აშკარა მარცხის საშიშროების წინაშე დგანან. ამ დამარცხებას კი, აუცილებლად მოჰყვება სენსაციური პოლიტიკური შედეგები. ისე ჩანს, რომ სასწაული მოხდება და ამერიკის შეერთებული შტატები ისტორიულად პირველად წააგებს ომს. ყოველ შემთხვევაში, ჩრდილოკორეელები ამაში დარწმუნებულები არიან. მაგრამ აქ ისინი უკვე მეორედ ცდებიან.

არსებითად, ამერიკელთა ამ უიმედო მდგომარეობაზე ერთადერთი კაცია პასუხისმგებელი – სამხრეთ-დასავლეთის წყნარი ოკეანის აუზის მოკავშირეთა ძალების მთავარსარდალი და საოკუპაციო ჯარების სარდალი იაპონიაში, გენერალი მაკარტური. გადარჩენის ერთადერთ შანსად იგი ჩრდილოკორეელებისთვის ფართომასშტაბიანი

³⁹⁴ უოლტონ უოლკერი (ინგლ. Walton Harris Walker) (1889-1950წ.წ.) – ამერიკელი სამხედრო ოფიცერი, ამერიკის არმიის ოთხჯარსკვლავიანი გენერალი, I და II მსოფლიო ომების და კორეის ომის მონაწილე. 1911 წელს ამთავრებს ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიას და იღებს ოფიცრის პირველად წოდებას. 1917 წლიდან კაპიტანია. მსახურობს მე-13 მეტყვეამფრქვევთა ბატალიონში ასეულის მეთაურად. 1918 წლის აპრილიდან იგი და მისი ნაწილი გადასროლილ იქნა ვეროპაში აშშ-ის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის ორჯერ დაჯილდოვდა ვერცხლის ვარსკვლავით. 1919 წლიდან ბატალიონის მეთაურია. 1933 წელს ინიშნება მე-3 ქვეითი დივიზიის შტაბის აღმასრულებელ ოფიცრად. ამ დივიზიას გენერალი ჯორჯ მარშალი, აშშ-ის არმიის გენშტაბის მომავალი უფროსი მეთაურობდა. 1942 წელს ინიშნება მე-3 ჯავშანდივიზიის მეთაურად და ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება. 1943 წელს ინიშნება XX კორპუსის სარდალად, რომელიც გენერალ პატონის მე-3 არმიის მთავარ შენაერთს წარმოადგენდა. მისი კორპუსი მონაწილეობს ნორმანდიის ოპერაციასა და საფრანგეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებში. წარმატებული საბრძოლო მოქმედებებისათვის 1944 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. ომის დასრულების შემდეგ, 1946 წელს, ინიშნება ჩიკაგოში გაშლილი მე-5 არმიის სარდალად, ხოლო 1948 წლიდან – იაპონიაში გაშლილი მე-8 არმიის სარდალად. კორეის ომის დაწყებასთან დაკავშირებით მე-8 არმია სასწრაფოდ იქნა გადასროლილი კორეის ნახევარკუნძულზე. ომის პირველ ეტაპზე არმია წარმატებით მოქმედებდა, გაათავისუფლა სეული და მთლიანად სამხრეთ კორეა, გადაკვეთა 38-ე პარალელი და ბრძოლებით მიღწია ჩინეთის საზღვარს, თუმცა 1950 წლის დეკემბრისათვის მისი წინსვლა შეჩერდა, მან უკანდახევა დაიწყო, რაც მალე პანიკურ გაქცევაში გადაიზარდა. გენერალი უოლტონ უოლკერი ამ უკანდახევის დროს, 1950 წლის 23 დეკემბერს დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

სტრატეგიული საპასუხო დარტყმის განხორციელებას მიიჩნევს. მისი გეგმა ითვალისწინებს მოწინააღმდეგისათვის ზურგის რაიონში დესანტის გადასხმას, მათთვის მომარაგებისა და საკომუნიკაციო ხაზების გადაჭრასა და სეულის სამხრეთით გაშლილი ჩრდილოკორეული შენაერთების ალყაში მოქცევას.³⁹⁵ ეს ძალიან რთული და სარისკო სამხედრო მანევრია, რომლის განხორციელებაც მხოლოდ ზღვითაა შესაძლებელი – კორეის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ინჩონთან, ქვეყნის სიდიდით მეორე პორტთან დესანტის გადასხმის გზით.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ თავიდანვე დაუფარავად უარყო დესანტის გადასხმის შესაძლებლობა საჰაერო გზით და ამ საკითხის განხილვაც კი არ მომხდარა. საზღვაო ძალების სარდლობაც სკეპტიკურად შეხვდა ამ იდეას, რადგან მათ შეუძლებლად მიაჩნიათ დესანტის გადასხმა დანაღმულ ნავსადგურზე ტალღების უზარმაზარი, ექვსმეტრიანი მოქცევისას. ამასთან, ინჩონის წინ, ვიწრო ფარვატერში³⁹⁶ ძლიერი წყალქვეშა დინებაა, ხოლო ინჩონთან მდებარე უძლიერესი კუნძული-ციხესიმაგრე ვოლმიდო მთლიანად აკონტროლებს მიმდებარე ტერიტორიას. „როგორ უნდა გადავიდნენ ამერიკელი ჯარისკაცები ნაპირზე აღმართულ კედელზე სადესანტო კატარღებიდან გადმოსვლის შემდეგ?“ – ისმის კითხვა. „კიბეებით,“ – მარტივად და ოპტიმისტური ტონით პასუხობს მაკარტური. მაგრამ გაშინგტონი მაინც სკეპტიკურად არის განწყობილი. შტატების უფროსების ვარაუდით, დესანტის გადასხმის შემთხვევაში ტოტალური დამარცხების საფრთხე, მოწინააღმდეგის უპირატესობის გათვალისწინებით, გაცილებით დიდი იქნება. მაგრამ დიდი ძალისხმევით ფასად გენერალი მაკარტური, ბოლოს და ბოლოს მაინც ახერხებს შტატების უფროსების დარწმუნებას შთამბეჭდავი სიტყვებით: „მოწინააღმდეგის მთავარსარდლობაც შეუძლებლად მიიჩნევს ასეთი სახის გაბედულ იერიშს, – ამბობს იგი, – თუმცა, სწორედ ამაზეა დაფუძნებული ჩემი გათვლა. მოულოდნელ თავდასხმაში მდგომარეობს ბრძოლის წარმატების საიდუმლო. სწორედ ეს მომენტია ყველაზე მთავარი ჩემს ჩანაფიქრში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ სწორედ ამ მოულოდნელი თავდასხმის წყალობით გავიმარჯვებ!“

დიდი განხილვებისა და ვნებათა ღელვების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, 29 აგვისტოს, ამ ავანტიურისტული ოპერაციის ჩატარების ნებართვა, რომლის გამარჯვების შანსებსაც თავად მაკარტური 1:5000-თან თანაფარდობით აფასებდა, ფაქტობრივად გაშინგტონში გაცემულ იქნა.

უნდა ითქვას, რომ თავისი სამხედრო კარიერის მანძილზე მაკარტურს ყოველთვის ბედის ვარსკვლავი სდევდა თან. იღბალი ყოველთვის წყალობდა და გამარჯვებებითაც მუდამ განებივრებული იყო. და აქაც, ინჩონში საზღვაო დესანტის გადასხმის სტრატეგიულმა გეგმამ იმუშავა, ამ გიჟურმა თუ გენიალურმა ოპერაციამ გაამართლა – ეს იყო პირდაპირ მიზანში მოხვედრება!

1950 წლის 15 სექტემბერს, გენერალ ალმონდის³⁹⁷ სარდლობით, ინჩონში იწყება ამერიკელთა X საარმიო კორპუსის სამოცდაათათასიანი დესანტის გადასხმა. საომარი

³⁹⁵ გენერალ ლუგლას მაკარტურის მიერ დაგეგმილმა ინჩონის საზღვაო დესანტის გადასხმის ოპერაციამ მიიღო კოდური დასახელება „ქრომიტი“ (ინგლ. Chromite).

³⁹⁶ ფარვატერი – გემების უსაფრთხო ნავიგაციისათვის საჭირო სავალი ნაწილი წყლის სივრცეში (მდინარე, ტბა, ზღვა, სრუტე, ფიორდი, ოკეანე და ა.შ.), რომელიც აღნიშნულია ადგილზე ან რუკებზე. ფარვატერში ცურვის უსაფრთხოებას განაპირობებს წყლის შესაბამისი სიღრმე და ნავიგაციისთვის საფრთხის შემცველი წყალქვეშა ობიექტების არარსებობა, მაგალითად რიფები, ჩაძირული გემები, ნალმები და ა.შ.

³⁹⁷ ედმუნდ ალმონდი (ინგლ. Edward Mallory "Ned" Almond) (1892-1979წ.წ.) – ამერიკის არმიის ოფიცერი, I და II მსოფლიო ომებისა და კორეის ომის მონაწილე, გენერალ-ლეიტენანტი. ვირჯინიის სამხედრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1915 წელს იღებს ოფიცრის პირველად წოდებას და სამსახურს იწყებს მე-4 დივიზიაში. 1918 წლის მეორე ნახევრიდან თავის დივიზიასთან ერთად გადასროლილ იქნა ევროპაში, სადაც მონაწილეობდა I მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებებში. 1930 წელს ამთავრებს აშშ-ის ლევენვორტის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯს და სამსახურს აგრძელებს ფილიპინებზე. 1934-1938 წლებში მსახურობს გენერალური შტაბის დაზვერვის დეპარტამენტში. 1938 წელს ენიჭება ვიცე-პოლკოვნიკის წოდება. 1941 წლიდან პოლკოვნიკი და ინიშნება 93-ე ქვეითი დივიზიის მეთაურის მოადგილედ. II მსოფლიო ომში მონაწილეობდა იტალიის კამპანიაში, აქვე იღებს გენერალ-მაიორის წოდებას. 1945 წლიდან გადაყვანილ იქნა ტოკიოში, გენერალ მაკარტურის შტაბში. 1949 წელს

მოქმედებების კულმინაციური წერტილი დგება. ამერიკელთა დანაკარგები ძალიან მცირეა. ინჩონის ნავსადგურსა და ქალაქში ამერიკელები ჩრდილოკორეელთა რამდენიმე წინააღმდეგობის კერას სწრაფად ანადგურებენ. მომდევნო დღეს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ქვეითები უკვე სეულთან დგანან.³⁹⁸

ჩრდილოეთ კორეელები განცვიფრებულები არიან. პრაქტიკულად ისინი ორმხრივ გარემოცვაში აღმოჩნდნენ. ძალიან დიდია მათი სრულ ალყაში მოხვედრის საფრთხე. იწყება X კორპუსისა და პუსანის პერიმეტრში ჩაკეტილი მე-8 არმიის შენაერთების ერთდროული შეტევითი ოპერაცია. X კორპუსი აღმოსავლეთის მიმართულებაზე უტევეს, მე-8 არმია კი, გენერალ უოკერის სარდლობით – დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებებზე. ამერიკელები წინ მიიწვევენ და წარმატებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად, შეტევის დაწყებიდან მეთორმეტე დღეს ისინი ქალაქ ოსანთან ერთდებიან. ჩრდილოკორეელები დაბნეულები, დემოტივირებულნი და შეშინებულები არიან. 125 ათასზე მეტი კომუნისტი ჯარისკაცი ტყვედ ბარდება. ამერიკული შენაერთები სეულისაკენ აგრძელებენ წინსვლას. უკვე 27 სექტემბრისათვის, მას შემდეგ, რაც ამერიკელთა მძიმე ბომბდამშენები და მსხვილკალიბრიანი არტილერია ქალაქს ცეცხლის ალში ხვევს, სეული ამერიკელების ხელში გადადის. ამერიკელებმა გაიმარჯვეს და თითქოს ამით სრულდება ყველაფერი.

სამხედრო ისტორიაში ძალიან იშვიათად შეხვდებით ასეთ მოკლევადიან გარდატეხას აშკარა გამარჯვებიდან ტოტალურ დამარცხებამდე. თავდამსხმელთა არმია განადგურებულია. ჩრდილოეთ კორეელები ამას ვერც კი ხვდებიან. ის ფაქტი, რომ შეცდომა დაუშვეს და ანგარიშში მოტყუვდნენ, მათ სავსებით ანადგურებს მორალურად. სამხრეთ კორეა თავისუფალია და თითქოს მის საბოლოო გამარჯვებასაც ველარაფერი დაუდგება წინ. მაგრამ მისი უდიდებულებსობა ისტორია სხვანაირად განსჯის და ძალიან მალე სულ სხვანაირად წარმართავს კორეის მიწაზე განვითარებულ შემდგომ მოვლენებს. ამერიკელთა ამ ბრწყინვალე გამარჯვებას უკვე თან სდევს მათი სასტიკი დამარცხების ჩანასახი, რომელიც შედეგად უნდა მოჰყვეს ამ გამარჯვებას.

ინიშნება იაპონიაში გაშლილი ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარების შტაბის უფროსად. კორეის ომის დაწყებასთან დაკავშირებით ინიშნება X კორპუსის სარდლად, რომელმაც წარმატებით განახორციელა საზღვაო დესანტირების ოპერაციები ინჩონსა და ვონსანში. მიღწეული წარმატების აღსანიშნავად დაჯილდოებულ იქნა საბრძოლო მედლით. 1951 წლის ივლისში ბრუნდება აშშ-ში. აქ იგი ინიშნება ომის კოლეჯის უფროსად და ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1953 წელს გადის თადარიგში.

³⁹⁸ აქ ავტორი აშკარად ცდება და საკითხის გარკვეულ უტრირებას ახდენს. „მომდევნო დღეს“, როგორც ამას ავტორი აცხადებს, ამერიკელთა სამხედრო-საზღვაო ძალების ქვეითები ნამდვილად არ იდგნენ სეულთან. მიუხედავად იმისა, რომ ინჩონის სადესანტო ოპერაცია ომების ისტორიაში ერთ-ერთი ბრწყინვალე იყო ამ სახის ოპერაციათა შორის, მისი შემდგომი ექსპლუატაციის ტემპები საკმაოდ დაბალი გამოდგა. სეულამდე მიღწევას და მის აღებას ამერიკელებმა საკმაოდ დიდი დრო მოანდომეს. თუ ინჩონ-სეულის ოპერაციას, მაგალითად, გერმანელების არმიითა ვგუფი „ჩრდილოეთის“ შეტევითი ოპერაციის დინამიკას შევადარებთ 1941 წელს, ბალტიისპირეთში, ვნახავთ, რომ ამერიკელებთან შედარებით გერმანული შენაერთების წინსვლის ტემპები გაცილებით მაღალი იყო. ინჩონიდან სეულამდე მიღწევას ამერიკელები 11 დღეს მოუწოდნენ, მაშინ როცა გერმანელებმა თითქმის 350 კმ ოთხ დღე-ღამეში დაფარეს. მაშინ როცა ინჩონსა და სეულს შორის მანძილი სულ რაღაც 27 კილომეტრია. ამერიკელთა წინსვლა ხასიათდებოდა დიდი სიფრთხილით, ამკრძალავი ბრძანებებით, შეზღუდული დაზვერვით, საკომანდო პუნქტების არიერგარდში განლაგებით. მაშინ როცა, გერმანელების შემთხვევაში, ტაქტიკურ ღონეზე ადგილი ჰქონდა „ამოცანით მართვის“ კლასიკურ სქემას. ვერმანელების სავსე მეთაურები იმყოფებოდნენ თავისი ნაწილებისა და კოლონების ავანგარდში, გასცემდნენ სიტყვიერ ან მოკლე წერილობით ბრძანებებს და შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად უკეთებდნენ რეორგანიზაციას საბრძოლო ჯგუფებს. ეს მოქმედებები კი, ზუსტ, დამაჯერებელ სადაზვერვო მონაცემებზე იყო დაფუძნებული.



პოტსდამის კონფერენცია. 1945 წლის 17 ივლისი – 2 აგვისტო. პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი კლემენტ ეტლი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე იოსებ სტალინი. მეორე რიგში დგანან: აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, ადმირალი უ. ლიჰი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ბევინი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯ. ბირნსი და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვ. მოლოტოვი



კიმ ირ სენი
(1912-1994)



კიმ ირ სენი ჩრდილოეთ კორეის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. 1946 წლის 28 აგვისტო




ლი სინ მანი (სინგუნ რი)
(1875-1965)



ჰარი ტრუმენი
(1884-1972)



დუგლას მაკარტური
(1880-1964)



უილიამ დინი
(1899-1981)



უოლტონ უოლკერი
(1889-1950)



ედმუნდ ალმონდი
(1892-1979)




კიმ ირ სენი თანამებრძოლებთან ერთად



ჩრდილოეთ კორეის სახალხო არმია



ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ძალების 105-ე ბრიგადის ტანკისტები, რომელთა მომზადება პირად კონტროლზე ჰყავდა აფვანილი კიმ ირ სენს



1950 წლის 25 ივნისი. ჩრდილოკორეული სატანკო და ქვეითი შენაერთები კვეთენ 38-ე პარალელს



ჩრდილოკორეული სატანკო ნაწილები შეტევაში






საომარი მოქმედებების დაწყებიდან 4 დღეში ჩრდილოკორეული T-34-ები სეულში შედიან



პირველი დევნილები




ამერიკის მე-8 არმიის ნაწილები კორეაში



მიუხედავად ამერიკელთა სრული საჰაერო უპირატესობისა, მათ ვერ შეაჩერეს ჩრდილოკორეელთა წინსვლა



ამერიკელი ჯარისკაცები ტყველ ბარდებიან



ჩრდილოკორეელთა წინსვლის ქრონოლოგიური დინამიკა



აშშ-ის 1-ლი საკავალერო დივიზიის მებრძოლები ცეცხლს უშენენ ჩრდილოკორეულ ქვედანაყოფებს მდინარე ნაქტონგანის ფორსირებისას. 1950 წლის 26 ივლისი -20 აგვისტო





ამერიკელი ჯარისკაცები პუსანის პერიმეტრის დაცვისას



ამერიკელი ჯარისკაცები „ბაზუკებით“ – ყუმბარმტყორცნები M-9 (მარჯვნივ) და M-20 (მარცხნივ)



კორეის ომის სამხედრო ოპერაციების დინამიკა – ფაზა I




1950 წლის 3 სექტემბერი. აშშ-ის საჰაერო ძალების მე-3 ბომბდამშენი ესკადრილის B-26 Invader-ბი სარაკეტო დარტყმას აყენებენ ქალაქ ვონსანის სარკინიგზო კვანძს. ეს დაბომბვა წარმოადგენდა ინჩონის საზღვაო დესატირების ოპერაციის აღსრულებისას მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაციის შემადგენელ ნაწილს



გენერალი დუგლას მაკარტური არწმუნებს აშშ-ის არმიის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ლოუტონ კოლინზს და ადმირალ ფორესტ შერმანს ინჩონის საზღვაო დესანტირების ოპერაციის აუცილებლობაში



1950 წლის 15 სექტემბერი. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მძიმე კრეისერი USS Toledo (CA-133) მთავარი საგემბანე კალიბრიდან (230მმ) ახდენს ოპერაცია „ქრომიტის“ წინასაარტილერიო მომზადებას



1950 წლის 15 სექტემბერი. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების 113-ე ავიაგამანადგურებელი ესკადრილის კუთვნილი F4U-4B Corsair იწვინის საზღვაო აკვატორიაში. მის ქვემოთ – ამერიკული საზღვაო გემი USS Missouri (BB-63)



ინჩონში მონიშნული დესანტის გადასვმის სანაპიროები – „წითელი“, „მწვანე“ და „ლურჯი“





ინჩონის დესანტირების ამ ფოტოზე საზღვაო ქვეითთა ლეიტენანტი ბალდომერო ლოპესი და მისი ქვედანაყოფია აღბეჭდილი 1950 წლის 15 სექტემბერს. თვითონ ლეიტენანტი პირველია კადრში, ზურგით ჩვენსკენ... ამ ფოტოს გადაღებიდან ზუსტად ერთი წუთის შემდეგ იგი იღუპება, გადაეფარა რა წინ აფეთქებულ ყუმბარას. ოცეულმა კი შეასრულა დასასრული ამოცანა – „წითელი სანაპირო ზოლის“ ზვირთგამყოფი ალებულ იქნა. გამორჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის ლეიტენანტი ლოპესი სიკვდილის შემდეგ „ღირსების მედლით“ დაჯილდოვდა



1950 წლის 15 სექტემბერი. გაეროს მრავალეროვნული ძალების სარდალი, გენერალი მაკარტური (ცენტრში) კრეისერ USS Mount McKinley-ის (AGC-7) ბორტიდან აკვირდება ინჩონზე ოპერაცია „ქრომიტის“ მიმდინარეობას



M-26 Pershing



M-46 Patton 90მმ-იანი ქვემეხით



ამერიკელთა ჯავშანტექნიკისა და ქვეითების შეთანხმებული მოქმედებები გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა მათ წარმატებულ წინსვლაში ინჩხონიდან სეულისაკენ



სეულისკენ მიმავალ გზაზე მწყობრიდან გამოყვანილი ჩრდილოკორეული T-34



ჩრდილოკორეული ტყვეები



ჩრდილოკორეელების მიერ
მიტოვებული საბჭოური წარმოების
76მმ-იანი ქვემეხი M1942 (ЗИС-3)





ამერიკული ქვედანაყოფები შედიან სეულში





ამერიკელი საზღვაო ქვეითები სეულისათვის გამართულ ურბანულ ომში. ისინი შეიარაღებულნი არიან M1 Garand შაშხანებითა და M1918 ბრაუნინგის სისტემის ტყვიამფრქვევით. შორს მოჩანს M4 „შერმანები“



ამერიკელები სეულში

§3.2. მოულოდნელი შემთხვევა იალუსთან (კორეა, 1950 წლის ნოემბერი – 1951 წლის იანვარი)

ინჩონთან დესანტის წარმატებით გადმოსხმის შემდეგ, 1950 წლის ოქტომბრის დასაწყისში, კორეის ომში აშკარად გამოიკვეთა ამერიკელთა გამარჯვების ნიშნები. დასმული ამოცანა თითქოს შესრულებულია – ჩრდილოკორეელთა არმია განადგურებულია, ხოლო სამხრეთ კორეის რესპუბლიკა – განთავისუფლებული და აღდგენილი. ამერიკული შენაერთები და გაეროს ჯარები შეუჩერებლად მიიწევენ წინ, 38-ე განედზე გამავალი ძველი სასაზღვრო ხაზისაკენ.

7 ოქტომბერს გაეროს გენერალური ასამბლეა აქვეყნებს რეზოლუციას, რომელიც გაეროს ჯარებს აძლევს საშუალებას, „აგრესორის მეთვალყურეობისთვის“ ჩრდილოეთ კორეაზე გაზარდოს პოლიციური ზედამხედველობა და აღადგინოს კორეის სახელმწიფოს მთლიანობა. გენერალ მაკარტურის ჩანაფიქრით, მე-8 არმიამ, გენერალ უოკერის სარდლობით, უნდა აიღოს ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი ფხენიანი და შეტევითი მოქმედებები განავითაროს ჩრდილოეთით, კორეა-ჩინეთის სასაზღვრო მდინარე იალუმდე. X კორპუსმა კი, გენერალ ალმონდის მეთაურობით, რომელიც წარმატებით მოქმედებდა ინჩონთან, მაკარტურის ახალი გეგმის მიხედვით, ზღვით უნდა შემოუაროს კორეის მთელ ნახევარკუნძულს და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ქალაქ ვონსანთან ხელახლა გადმოსხას დესანტი მოწინააღმდეგის ზურგში. ეს არის დაახლოებით 1400 კილომეტრი სიგრძის საზღვაო გზა. სახმელეთო გზით კი, ნახევარკუნძულის გადაკვეთით, ვონსანამდე მანძილი 200 კილომეტრამდეა.

მაკარტური, რომელსაც ძალიან უყვარს სადესანტო ოპერაციები, დარწმუნებულია ამ გეგმის განხორციელების შესაძლებლობაში. მისი აზრით, ვონსანის დესანტირების ოპერაცია ისეთივე წარმატებული და შედეგიანი იქნება როგორც ეს ინჩონის შემთხვევაში იყო. თუ თვალს გადავავლებთ მაკარტურის საბრძოლო ბიოგრაფიას, მისი კარიერული წინსვლა და სამხედრო დიდება მთლიანად წარმატებულ სადესანტო ოპერაციებს ეფუძნება, როგორც იყო ეს II მსოფლიო ომის მსვლელობისას, მაგალითად, 1942 წელს – გვადალკანალზე, 1945 წელს – ოკინავაზე და ახლაც, 1950 წელს – ინჩონზე. მაგრამ ამჯერად, გენერალ მაკარტურის მორიგი გრანდიოზული გეგმის განხორციელებას თანმდევი შეცდომები და არასწორი გადაწყვეტილებები აგდებენ საფრთხეში.

ეს ახალი გრანდიოზული ოპერაცია იწყება შეცდომით, რომელიც სინამდვილეში სრულიად არ არის შეცდომა. ეს იმას ნიშნავს, რომ მაკარტურის ამ მოქმედებას მხოლოდ ოფიციალურად ნათლავენ სავალალო შეცდომად. სინამდვილეში, საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს. სამხედრო თვალსაზრისით, მაკარტური მიზანშეწონილად მიიჩნევს თავდაპირველად დაარტყას ვლადივოსტოკთან ახლოს, საზღვრიდან 80 კილომეტრში მდებარე საბჭოთა სამხედრო აეროდრომს. მართლაც, 9 ოქტომბერს, ამერიკელები საჰაერო დარტყმას აყენებენ აეროდრომს და მასზე ბაზირებული „მიგის“ ტიპის თანამედროვე საბჭოთა გამანადგურებლები გამოჰყავს მწყობრიდან. ამერიკის ოფიციალური განცხადებისა, რომ საქმე ეხება პილოტის უნებლიე შეცდომას, არავის სჯერა. ამერიკელები მორჩილად ითხოვენ პატიებას ამ ბავშვური საქციელის გამო და საბჭოთა კავშირს ზარალის ასანაზღაურებლად ნებისმიერ თანხას სთავაზობენ.³⁹⁹

³⁹⁹ აქ ავტორი აშკარად აბუქებს რეალურ სურათს და არასწორად გადმოსცემს ამ ამბავთან დაკავშირებულ როგორც ფაქტოლოგიურ მასალას, ასევე მოვლენების არსს. გენერალ მაკარტურის განკარგულებით, საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის აეროდრომების დაბომბვის არავითარ წინასწარ განზრახულ აქტს კორეის ომში რეალურად ადგილი არ ჰქონია. აქ საკითხი ეხება მხოლოდ და მხოლოდ ორი ამერიკელი მფრინავის მიერ დაშვებულ ტრივიალურ შეცდომას. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორისეული მითითება აეროდრომზე ბაზირებული MIG-ის ტიპის უახლესი საბჭოთა რეაქტიული ავიაციამანადგურებლებისათვის საჰაერო დარტყმის მიყენების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. თუ უფრო დავაზუსტებთ, აქ საუბარი ეხება მიქოიან-გურევიჩის საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ შექმნილ MIG-15 ტიპის საბჭოთა რეაქტიულ ავიაციამანადგურებელს. რეალურად კი, საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: 1950 წლის 8 ოქტომბერს (და არა 9 ოქტომბერს, როგორც ამას მიუთითებს ავტორი) ორმა ამერიკულმა

ამერიკელთა მიერ დაშვებული მეორე შეცდომა კი, რეალურად დაშვებული შეცდომა იყო. მისი არსი დროსთან, დროის ფაქტორთან არის დაკავშირებული. ბრძანების შესაბამისად, 8 ოქტომბერს გენერალი უოკერის სარდლობით მე-8 არმიის შენაერთები კვეთენ 38-ე პარალელს და შედიან ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე, 19 ოქტომბრისათვის კი იპყრობენ ფხენიანს. ამერიკელთა მიერ შემდგომი ამოცანის შესრულებას, ანუ, ვონსანთან რთული სადესანტო ოპერაციის მომზადებას სამი კვირა დაჭირდა და იგი ნოემბრის პირველ რიცხვებამდე გაგრძელდა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროს არავინ ფიქრობს იმაზე, რომ კორეის მთიანეთში ძალიან ადრე დგება ზამთარი ციმბირული სიცივიტა და უხვი თოვლით. ამ მომენტისათვის გაეროს ჯარების პირად შემადგენლობას არ გააჩნია არც შესაბამისი სამოსი და არც ზამთრის აღჭურვილობა. ეს კი დიდი დაუდევრობაა, რაც საოცრად ჰგავს იმ სიტუაციას, რაშიც აღმოჩნდა ვერმახტი 1941 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოსკოვზე შეტევისას.

ამერიკელთა მიერ დაშვებული მესამე შეცდომა კი, ყველაზე სერიოზული იყო, რომელიც მათთვის მეტად არასასურველი შედეგებით დამთავრდება. მაკარტური არწმუნებს პრეზიდენტ ტრუმენს, რომ ჩრდილოეთ კორეაზე შეტევისას ჩინური ან საბჭოური ინტერვენციის საფრთხე არ არსებობს და საომარი მოქმედებებიც გაბედულად უნდა წარიმართოს.⁴⁰⁰ მაკარტურის აზრით, ჩინელებს სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით არ გააჩნიათ შესაბამისი პოტენციალი, რომ წინ აღუდგნენ ამერიკელთა წინსვლას.⁴⁰¹ მათ დაახლოებით სამასი ათასი კაცი უნდა ჰყავდეთ მანჯურიაში, და აქედან დაახლოებით

ავიაგამანდგურებელმა Lockheed P-80 Shooting Star-მა ფრენის სწორი კურსი დაკარგა ჩრდილოეთ კორეის საჰაერო სივრცეში და შეცდომით მიიტანა იერიში ვლადივოსტოკის რაიონში მდებარე საბჭოთა აეროდრომზე „Сухая река“. საჰაერო დარტყმის შედეგად დაზიანდა აეროდრომზე ბაზირებული საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი ამერიკული წარმოების ორი ავიაგამანდგურებელი Bell P-63 King Cobra, რომელიც II მსოფლიო ომის მსვლელობისას ლენდ-ლიზის წესით გადმოსცა აშშ-მა საბჭოთა კავშირს. მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. ამ მომენტისათვის საბჭოური წარმოების რეაქტიული ავიაგამანდგურებლის, МиГ-15-ის არსებობის შესახებ ამერიკელებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, იმდენად გასაიდუმლოებული იყო ეს პროექტი. აშშ-ის მთავრობამ ოფიციალურად მოიხადა ბოლოში აღნიშნული ინცინდენტისათვის. აშშ-ის საჰაერო ძალების აღნიშნული ავიაგვერდის უფროსი ჩამოაცილეს სამეთაურო თანამდებობას და იგი საშტაბო სამუშაოზე გადაიყვანეს, ხოლო Lockheed P-80 Shooting Star-ის მფრინავები სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს. რაც შეეხება МиГ-15-ს, რეალობა ის არის, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ თვითმფრინავის არსებობის შესახებ ამერიკელებს 1950 წლის 9 ოქტომბრისათვის წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. МиГ-15-ის შესახებ მათ გაცნობით გვიან შეიტყვეს. 1950 წლის 30 ნოემბერს, 0720 საათზე, ჩრდილოეთ კორეის ცაში, ნამსის საჰაერო ბაზაზე რეიდის დროს უცნობმა თვითმფრინავმა ცეცხლი გაუხსნა ამერიკულ ბომბდამშენ B-29-ს. თავდამსხმელი იმდენად დიდი სიჩქარით მოძრაობდა, რომ ბომბდამშენიდან ტყვიამფრქვევების საპასუხო ცეცხლის გახსნაც კი ვერ მოხერხდა. იგი მდინარე იალუს ჩრდილოეთით გაუჩინარდა. დაზიანებული ბომბდამშენი სასწრაფოდ დაეშვა ბაზაზე. B-29-ის ესკორტში მყოფმა F-80 ავიაგამანდგურებლის მფრინავებმა ვერ მოახერხეს თვითმფრინავის იდენტიფიცირება. მათ მხოლოდ ის დაადგინეს, რომ თვითმფრინავი რეაქტიული იყო და მისი სიჩქარე დაახლოებით 140 კმ/სთ-ით აღემატებოდა მათი F-80-ის ფრენის სიჩქარეს. დაზიანებული B-29-ის შესწავლით დადგინდა, რომ თავდამსხმელი აღჭურვილი იყო სულ მცირე ერთი 37მმ-იანი ავტომატური საავიაციო ქვემეხით და მეორე უფრო მცირე კალიბრის ტყვიამფრქვევით. დაიხ, ეს იყო МиГ-15 საბჭოთა რეაქტიული ავიაგამანდგურებლის (ნატოს კლასიფიკაციით Fagot) საფრენოსნო დებიუტი და საბრძოლო ნათლობა, რომელიც მან კორეის ცაში მიიღო. ამ ფაქტმა ამერიკელ მაღალჩინოსნებში „ორგანიზებული პანიკა“ გამოიწვია... ასე დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში რეაქტიული სამხედრო ავიაციისა და საჰაერო ბრძოლების ახალი ერა.

⁴⁰⁰ 1950 წლის 1 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროდან სტალინის ხელმოწერით პეკინში გაიგზავნა ტელეგრამა, სადაც სტალინი ითხოვდა მათ ძედუნისა და ჩინეთის მინისტრთა კაბინეტის თამჯდომარისგან, ჯოუ ენლაისგან, ხუთი ან ექვსი ჩინური დივიზიის გაგზავნას ჩრდილოეთ კორეაში; ამავე დროს სტალინმა გააფრთხილა ჩინეთი, რომ საბჭოელები არ განახორციელებდნენ უშუალო ინტერვენციას კორეაში. თავის მხრივ, კიმ ირ სენმაც გაუგზავნა განწერილი ვედრების წერილი მათ დაუყოვნებლივ ჩინური ინტერვენციის შესახებ. უკვე 1950 წლის 8 ოქტომბერს მათ ძედუნმა გამოთქვა აზრი, რომ ჩინეთი იბრძოლებდა „ამერიკის წინააღმდეგ ომში კორეელთა დასახმარებლად“.

⁴⁰¹ ამერიკელთა ჩრდილოეთ კორეაში შეჭრამდე ჯერ კიდევ სამი დღით ადრე, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაუფარავად განაცხადა თავის გამოსვლაში: „ესლა, როცა ამერიკული შენაერთები (ცდილობენ გადმოკვეთონ 38-ე პარალელი, ჩინელ ხალხს არ შეუძლია უმოქმედო ყოფნა იმ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენების პირისპირ, რაც ამერიკელთა კორეაში შეჭრას მოყვება... ჩინეთის საგარეო საქმეთა უწყება გენერალ მაკარტურის ამ ოპერაციას აღიქვავს როგორც პირდაპირ მუქარას ჩინეთის უსაფრთხოებისათვის...“ მათ ძედუნის მიერ ჩინეთის საექსპედიციო ძალების სარდლობა გენერალ პენგ დეჰუაის დაეკისრა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტის ჯარებს კი, რომლებიც ჩრდილოეთ კორეაში უნდა შესულიყვნენ „ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმია“ ეწოდა.

ნახევარი – სასაზღვრო მდინარე იალუსთან. მდინარე იალუზე არსებულ რამდენიმე ხიდზე კი, ყველაზე მეტი, სამოცი ათასი კაცის შემოყვანა შესაძლებელი ჩრდილოეთ კორეაში. ასე რომ, ჩინური ინტერვენციის საფრთხე არ არსებობს. ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, ამერიკელებისათვის სირთულე არ იქნება მათი გამკლავება – ფიქრობს მაკარტური. მისი აზრით, ჩინელები საკმაოდ წინდახედულნი იყვნენ იმისათვის, რომ ეს არ გაეკეთებინათ. „არაუგვიანეს მაღლიერების დღისა“⁴⁰² ომი დამთავრდება და ჯარებიც სახლში დაბრუნდებიან!“ – ჰპირდება მაკარტური პრეზიდენტს. ეს არის „მოსავლის ალების დღესასწაული“, – ნოემბრის უკანასკნელი ხუთშაბათი.⁴⁰³

რეალურად სურათი კი, სულ სხვაგვარად გამოიყურება. 21 ნოემბრისათვის, მაშინ, როდესაც ამერიკელთა მეწინავე ქვედანაყოფები მდინარე იალუს აღწევნენ, დაახლოებით ასი ათასი ჩინელი, ე.წ. „სახალხო მოხალისეთა არმიის“⁴⁰⁴ მებრძოლები ფარულად უკვე ჩრდილოეთ კორეაში არიან შეჭრილნი. მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. ისინი გადაადგილდებიან ფეხით და მხოლოდ ღამით, შენიღბვის ტაქტიკის სრული დაცვით. დღისით მთებსა და განმარტოებულ სოფლებში იმალებიან და მხოლოდ ღამით აწარმოებენ ორგანიზებულ მარშს, ამიტომ მათ ამერიკელთა საჰაერო დაზვერვა ვერ ამჩნევს. ისინი ჯავშანტექნიკისა და მძიმე შეიარაღების გარეშე არიან. აქვთ მხოლოდ ავტომატები, ხელყუმბარები და მსუბუქი ნაღმსატყორცები, ასევე თანამედროვე მცირეკალიბრიანი სამთო ქვემეხები, რომლის ტარებაც მოხერხებულად შეუძლია ორ კაცს. უჩუმრად მოძრაობის საკითხს გულდასმით ეკიდებიან და მათი სამარშო კოლონებად გადაადგილება და საიდუმლო თავმოყრის რაიონებში განლაგება მოხერხებულად არის შენიღბული.⁴⁰⁵

ამერიკელი მეთაურები დარწმუნებით და ყოველგვარი ეჭვების გარეშე ასრულებენ მაკარტურის ბრძანებას. მათ უნდა გადალახონ ჩონგჩონი და მდინარე იალუს გასწვრივ გადაადგილდნენ, რათა ორმხრივ ალყაში მოაქციონ ჩრდილოეთის მიმართულებაზე უკანდახეული დარჩენილი ჩრდილოკორეული ქვედანაყოფები და გაანადგურონ ისინი. ამერიკელთა დასავლეთის და აღმოსავლეთის ფლანგებს შორის თავისუფალი არე ღიადაა დარჩენილი, მთებით ჩახერგილი, დაახლოებით 70 კილომეტრი სიგრძის გასასვლელით. ეს

⁴⁰² მაღლიერების დღე (ინგლ. Thanksgiving) – დღესასწაული, რომელსაც უმეტესად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში აღნიშნავენ. ტრადიციულად მას ზეიმობენ მოსავლის ალების შემდეგ ღვთისადმი მაღლიერების ნიშნად. მიუხედავად რელიგიური წარმომავლობისა, ამჟამად მაღლიერების დღე საერო დღესასწაულად ითვლება. იგი კანადაში აღინიშნება ოქტომბრის მეორე ორშაბათს, ხოლო შეერთებულ შტატებში ნოემბრის ბოლო ხუთშაბათს. ამ დღეს ოჯახები და მეგობრები ერთად იკრიბებიან და ტრადიციულ კერძებს მიირთმევენ. ამავე დროს, გასაჭირში მყოფ ადამიანებს ეხმარებიან. მაღლიერების დღის პირველი აღნიშვნის თარიღი და ადგილი სადავოა. თუმცა, თავისი ტრადიციული ატრიბუტებით იგი პირველად 1621 წელს პლიმუტის პლანტაციებში აღნიშნეს. ხოლო როგორც ეროვნული უქმე დღესასწაული აღინიშნება აბრაამ ლინკოლნის გადაწყვეტილებით 1862 წლიდან.

⁴⁰³ გენერალ მაკარტურისა და ვაშინგტონის ხელისუფლების მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, ჩინეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კორეაში თავისი პირველი ქვეითი დივიზიების გაგზავნა უკვე ოქტომბრის თვეში დაიწყო. ჩინეთის მე-4 საკვლე არმიის პირველმა, 80000-იანმა კონტიგენტმა, გენერალ პენგ დეჰუაის სარდლობით, სასაზღვრო მდინარე იალუ გადაკვეთა და ფარულად შევიდა ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე 14 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში. ამ არმიის თავდაპირველი შემადგენლობა მოიცავდა ექვს – 38-ე, 39-ე, მე-40, 42-ე, 50-ე და მე-60 კორპუსებს. (ჩინური კლასიფიკაციით – არმიებს).

⁴⁰⁴ საერთაშორისო დიპლომატიური სკანდალისა და ფორმალური კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ჩინეთის რეგულარული შენაერთებისგან შემდგარ 270 ათასიანი საინტერვენციო არმიას სწორედ ასე, „ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმია“ ეწოდებოდა.

⁴⁰⁵ გაეროს ჯარების საჰაერო დაზვერვამ ვერ აღმოაჩინა ჩინური არმიის გადაადგილება, რადგან მათი მარში მკაცრად დისციპლინირებული იყო „დაბანაკების ტაქტიკის“ დაცვით. ჩინური არმია მარშს მხოლოდ ღამით ასრულებდა (1900-0300) და ბანაკდებოდა. პირადი შემადგენლობის, სატრანსპორტო საშუალებებისა და აღჭურვილობის სრული კომუფლირება კი, 0530 საათისათვის სრულდებოდა. სადაზვერვო ჯგუფების მიერ დღის განმავლობაში ფარულად ხდებოდა შემდგომი დაბანაკებისათვის ადგილების შერჩევა და გადაადგილების შესაბამისი მარშრუტების დადგენა. ამერიკელთა სადაზვერვო თვითმფრინავების გადაფრენის შემთხვევაში კი, ისინი მყისიერად ქვაფეხობდნენ. შენიღბვის წესების დამრღვევებთან საქმე მარტივად წყდებოდა – მათ ხვრეტდნენ. „ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმიის“ საბრძოლო მარშის ტემპები ძალიან მაღალი იყო. „მარშისა და დაბანაკების“ ამ დისციპლინამ ჩინური არმიის ერთ-ერთ კორპუსს საშუალება მისცა 460კმ დისტანცია მანჯურიის ქალაქ ანტუნგიდან საბრძოლო მოქმედების ზონამდე 19 დღეში დაეფარა. მეორე კორპუსმა კი, მთის შემოვლითი ბილიკებით 18 დღეში შეასრულა მარში 29კმ-იანი დღიური დისტანციით. სულ – 522კმ.

სახიფათო რღვეულია, რასაც ამერიკელები ყურადღებას არ აქცევენ. სწორედ აქ იყრიან თავს ფარულად ჩინელები და შეტევისთვის ემზადებიან.

გენერალი დუგლას მაკარტური და ამერიკელი მეთაურები დარწმუნებულები არიან თავისი გეგმების სისწორეში და უკვე თვალნათლივ ხედავენ საბოლოო გამარჯვების კონტურებს. ეს კი, ამერიკული სარდლობის მიერ კორეის ომში დაშვებული უკვე რიგით მეოთხე და საბელისწერო შეცდომაა, რომელიც ძალიან მალე მათთვის მძიმე კატასტროფით დასრულდება. ეს შეცდომა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ისტორიაში ყველაზე დიდ შეცდომად და სამარცხვინო მარცხადაა აღიარებული.⁴⁰⁶

26 ნოემბრის ღამით, მთის უგზო ტერიტორიაზე ორი მიმართულებით მოძრავი ჩინელთა მოიერიშე ქვედანაყოფები შეტევაზე გადადიან, რომლებმაც შეუმჩნეველად შეაღწიეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე და უკვე იმყოფებოდნენ ამერიკელების ფრონტის ცენტრში, სამ პოზიციაზე. კოალიციის ჯარისკაცებისთვის ეს სრულიად მოულოდნელი რამ იყო. ასეთი დიდი შოკის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. თითქოს ყველაფერი დასრულებული იყო – სულ ახლახანს დამარცხებული მოწინააღმდეგე, მოპოვებული სრული გამარჯვება და ძალიან მალე სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივა... ახლა კი წარმოუდგენელი რამ ხდება – მოულოდნელად მათ ყველა მხრიდან უტევენ ახალი მოწინააღმდეგე უზარმაზარი ძალითა და დიდი შემართებით.⁴⁰⁷ გაეროს ძალებმა ბრძოლა მიიღეს და შეეცადნენ პოზიციების შენარჩუნებას, მაგრამ ამაოდ. ჩინელთა იერიში იმდენად მოულოდნელი, სწრაფი და ძლიერი იყო, რომ გაეროს ჯარებმა უკანდახევა დაიწყეს. მაგრამ ეს არ იყო ორგანიზებული უკანდახევა ახალი პოზიციების მოპოვებისა და ძალების გადაჯგუფების მიზნით. ეს იყო დაბნეული და ბრძოლისათვის მოუმზადებელი ნაწილების უკან სვლა. მალე გაეროს ჯარების ეს უკანდახევა პანიკურ გაქცევაში გადაიზრდება. ჩინელთა შეტევის პირველ დღეებში, რომელთა რაოდენობა 180 ათას ჯარისკაცამდეა, მე-8 არმია თერთმეტი ათას კაცს კარგავს.⁴⁰⁸ ჩინელები შეტევაზე როგორც წესი ღამით გადადიან თავზარდამცემი საომარი შემახილებითა და ყიფინით, რომელსაც აძლიერებენ სტენით, კაკუნით და ჟღარუნით, ფლეიტასა და სხვა ხმაურიან ინსტრუმენტებზე დაკვრით.⁴⁰⁹ ისინი „უშუალო შეხების

⁴⁰⁶ ჩინეთის სამოქალაქო ომის დროს, მათ ძეღუნმა და მისმა სარდლებმა ჩან კაიშისა და ჩინელ ნაციონალისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც კომუნისტებთან შედარებით გაცილებით უკეთ იყვნენ შეირადებული, საბრძოლო მოქმედებების მეტად ეფექტური ტაქტიკა შეიმუშავეს. მაისისთვის სარდალმა, გენერალმა პენგ დეჰუაიმ სწორედ ეს ტაქტიკა გამოიყენა ამერიკელებისა და გაეროს ჯარების წინააღმდეგ კორეის ომში. ჩინეთის „სახალხო მოხალისეთა არმიის“ ტაქტიკა დაფუძნებული იყო ამერიკელთა და გაეროს ძალების საჰაერო და საარტილერიო უპირატესობის ნეიტრალიზაციასა და მიღწეული ტაქტიკური წარმატების შემდგომ ექსპლუატაციაზე. კორეის ომის მსვლელობისას ამერიკელები და მოკავშირეები ხშირად სათანადოდ ვერ აფასებდნენ ჩინელთა ძალებსა და შესაძლებლობებს. ჩინელთა წარმატებების ძირითად მიზეზად ისინი, როგორც წესი, ჩინელთა რიცხობრივ უპირატესობას ასახელებდნენ, რაც არაა მართებული. ჩინელებს არ გააჩნდათ საჰაერო ძალები და საავტომობილო, მით უმეტეს – ჯავშანტექნიკა. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ მხოლოდ შაშხანებით, პისტოლეტებით, ტყვიამფრქვევებით, ხელფეხმარებითა და მსუბუქი ნაღმსატყორცნებით. ბევრად უკეთ აღჭურვილი ამერიკელების წინააღმდეგ მათ იგივე ტაქტიკას მიმართეს, რასაც 1946-1949 წლებში იყენებდნენ მათ და ჩინელი კომუნისტები ჩან კაიშისა და ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩინეთის სამოქალაქო ომის დროს. ასე რომ, ჩინელ კომუნისტთა საბრძოლო ტაქტიკამ აქაც გამართულად იმუშავა.

⁴⁰⁷ ჩინეთისა და აშშ-ის ძალებს შორის პირველი სამხედრო კონფრონტაცია უნსანთან, 1950 წლის 1 ნოემბერს მოხდა, ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის სიღრმეში. ჩინეთის სახალხო მოხალისეთა შენაერთებმა ალყა შემოარტყეს და სამკაპისებურად შეუტყეს აშშ-ის მე-8 ჯავშანსაკავალერიო პოლკს ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან. მათ უნსანთან ბრძოლაში გაანადგურეს გაეროს თავდაცვითი პოზიციის ფლანგები. მოულოდნელი იერიშის შედეგად გაეროს ძალები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ მდ. ჩონგჩონისკენ. ჩინელები კი მთებში გაუჩინარდნენ.

⁴⁰⁸ 25 ნოემბერს კორეის დასავლეთ ფრონტზე ჩინეთის მე-13 საარმიო ჯგუფმა შეუტია და გაანადგურა კორეის რესპუბლიკის (სამხრეთ კორეის) შეიარაღებული ძალების მე-2 კორპუსი მდ. ჩონგჩონთან, ხოლო შემდეგ – აშშ-ის მე-8 არმიის მე-2 ქვეითი დივიზია გაეროს ძალების მარჯვენა ფლანგზე. დარჩენილმა ამერიკულმა და გაეროს ძალებმა უკან დაიხიეს. 27 ნოემბერს კორეის აღმოსავლეთ ფრონტზე, აშშ-ის მე-7 ქვეითი დივიზიის შენაერთები ისევ სამკაპისებურ ალყაში მოჰყვნენ ჩოსინის წყალსაცავთან ბრძოლაში. მათ მოახერხეს ალყისათვის თავის დაღწევა საჰაერო მხარდაჭერისა და მე-10 კორპუსის საცეცხლე მხარდაჭერის წყალობით – თუმცა მათმა დანაკარგებმა 15000 კაცი შეადგინა.

⁴⁰⁹ „ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმიის“ შენაერთების ამგვარ მოქმედებებს სამმაგი დანიშნულება ჰქონდა – ტაქტიკური კომუნიკაციის გაადვილება, მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა და მისი

ტაქტიკით” მოქმედებენ, უპირატესობას ანიჭებენ ერთი ერთზე, ახლო დისტანციებზე ბრძოლას, რომელშიც ისინი კარგად არიან გაწვრთნილნი და ნავარჯიშები. ეს სულ სხვა ომია და ამერიკელებიც ვერაფერს ვერ უპირისპირებენ ჩინელთა ბრძოლის ამ ტაქტიკას. ისინი მარცხს მარცხზე განიცდიან. ნათლად იკვეთება ის სურათიც, რომ ამერიკულ შენაერთებს ალყაში მოქცევის აშკარა საფრთხე ემუქრებათ.⁴¹⁰

ამ ყველაფერთან ერთად, ამერიკელებს ახალი უჩინარი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდება, რისთვისაც ისინი ისევე ნაკლებად არიან მომზადებულნი, როგორც ჩინელთა შეტევებისაგან. უკვე ნოემბრის პირველ რიცხვებში თერმომეტრის სვეტი მინუს 35 გრადუსს ქვემოთ ეცემა. ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების საკეტებში ზეთი იყინება, ტანკის ძრავების ამუშავება ვერ ხერხდება და მათი საბრძოლო გამოყენებაც გაძნელებულია. პირადი შემადგენლობის ნაწილს მოყინვები აღენიშნება და ისინი ნელ-ნელა გამოდიან მწყობრიდან. ამერიკული ტანკებისა და ქვემეხების დიდ ნაწილს მოწინააღმდეგე ანადგურებს. ჯარების მომარაგებისა და საბრძოლო უზრუნველყოფის საქმეც ძალიან ცუდ დღეშია. ღრმა თოვლი და ქარბუქი ნებისმიერ გადაადგილებას ართულებს, სატვირთო მანქანები თოვლში ეფლობიან და ვეღარ მოძრაობენ. მათი თოვლიდან ამოყვანის ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდება. სხვა გამოსავალი არ არის, ამერიკელებმა ავტომობილები უნდა დატოვონ. ისინი ცეცხლს უკიდებენ მათ, რომ მოწინააღმდეგეს არ ჩაუვარდეს ხელში. მათი გადაადგილება კი უფრო და უფრო რთულდება. ყინვები მატულობს და ნოემბრის ბოლოსათვის სიტუაცია უკიდურესად მძიმდება – 2500-ზე მეტი სამხედრო-საზღვაო ძალების ქვეითი ბრძოლისუნარიო ხდება აუტანელი სიცივის გამო, უმეტესობა კი, ყინვისაგან იღუპება.

დიდი გაჭირვებით ამერიკის X კორპუსის დარჩენილი ნაწილი და სამხედრო-საზღვაო ძალების ქვეითი დივიზია კოალიციურ ჯარებთან ერთად აღწევს აღმოსავლეთის სანაპირო ქალაქ ჰუანანამდე. აქ მათ ამერიკელთა და მოკავშირეთა გემები ელოდებიან. ასოთხმოცდაცამეტი გემისგან შემდგარი კოალიციის ფლოტი მზადაა, რათა ასი ათასი ჯარისკაცი, სამი ამერიკული და ორი სამხრეთკორეული დივიზია, ასევე ბრიტანული ბატალიონი, მათთან ერთად ოთხმოცდათერთმეტი ათასი კორეელი სამოქალაქო პირი აიყვანონ ბორტზე 350 ათას ტონა ტვირთთან ერთად და მათი პუსანში ევაკუაცია მოახდინონ.

დასავლეთის მიმართულებაზე მოქმედი მე-8 არმიის შენაერთები ასევე იხვევენ უკან და ამჯერად სამხრეთისაკენ კვეთენ 38-ე განედს. მათ ფეხდაფეხ ჩინეთის „სახალხო მოხალისეთა არმიის” მებრძოლები მოჰყვებიან უკან... 23 დეკემბრისათვის ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიას უკანასკნელი ამერიკელი ჯარისკაცი ტოვებს. ამავე დღეს, 23 დეკემბერს, მე-8 არმიის სარდალი, გენერალი უოკერი, ავტოავარიაში იღუპება. ჩინელები კი წარმატებით აგრძელებენ წინსვლას და რამდენიმე დღეში, 1951 წლის 4 იანვრისათვის, უკვე სეულშიც შედიან. მათ დიდი წარმატებით გაართვეს თავი დასმული ამოცანის შესრულებას.⁴¹¹

დენოროინტაცია. აქ საქმე გვაქვს ფსიქოლოგიური ომის ელემენტებთან, რასაც ჩინელები დიდი წარმატებით ასრულებდნენ. შეტევითი მოქმედებების ეს ტაქტიკა დენოროინტაციაში ავლდება ამერიკელებსა და გაეროს ძალებს და ქმნიდა ისეთ სურათს, თითქოს ჩინელები ყველგან იყვნენ და ყოველი მიმართულებიდან მოძრაობდნენ. ეს კი არეულობას, ქაოსსა და პანიკას იწვევდა მათში. შესაბამისად, ამერიკული და გაეროს ძალები შესაბამის წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ჩინელ მებრძოლებს.

⁴¹⁰ ჩინელთა შეტევის ჩვეული მეთოდი იყო ტაქტიკური ინფილტრაცია მცირე ქვედანაყოფებად (ოცეულიდან ასეულამდე ტაქტიკური ჯგუფები, 50-200 კაცი), რომლებიც კიდევ უფრო მცირე ქვედანაყოფებად იყოფოდნენ. სანამ ერთი ჯგუფი ამერიკელებს გასაქცევ გზას უჭრიდა, სხვები დარტყმას ანხორციელებდნენ წინა ხაზიდან და ფლანგებიდან კოორდინირებული იერიშებით. ხშირად იყენებდნენ ღრმა ინფილტრაციის ტაქტიკასაც – მცირე ჯგუფებად ფარულად იჭრებოდნენ ფრონტის ხაზში, შეტევა მიჰქონდათ მოწინააღმდეგის ზურგში განლაგებულ საკომანდო პუნქტებზე, საარტილერიო გათვლებსა და შტაბებზე. შეტევები ყველა მხრიდან და მიმართულებიდან უწყვეტად მიმდინარეობდა, სანამ თავდამცველებს არ გაანადგურებდნენ ან უკან დახევას არ აიძულებდნენ. მაგრამ მოწინააღმდეგის ქვედანაყოფის განადგურებით შეტევა არ სრულდებოდა. ამის შემდეგ, ჩინელები ფრთხილად მიიწევდნენ წინ მოწინააღმდეგის შემდეგი ოცეულის ღია ფლანგზე შეტევისათვის და იმეორებდნენ იმავე ტაქტიკას.

⁴¹¹ ამერიკის შეერთებული შტატების საექსპედიციო ძალების მე-8 არმიისა და XX კორპუსის ეს უკანდახევა იყო ომების ისტორიაში ამერიკული ჯარების ყველაზე დიდი უკანდახევა...

სამხრეთ კორეის ჩინური ოკუპაციისა და ამერიკელთა სრული სამხედრო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, გენერალი მაკარტური განწირულ ნაბიჯს დგამს. იგი იმედებს წითელი ჩინეთის მასიურ დაბომბვებზე ამყარებს: „ჩინეთის ინდუსტრიისა და ნედლეულის წყაროები უნდა განადგურდეს მსხვილკალიბრიანი საგემბანე არტილერიისა და მძიმე ბომბდამშენების დამანგრეველი დარტყმებით, რათა ჩინელთა მომდევნო თაობებმა ვეღარ შეძლონ ომის წარმოება“, – აცხადებს იგი. გარდა ამისა, იგი ფარულად ჩადის ტაივანში და იქ ჩინელ ნაციონალისტთა ლიდერს, გენერალ ჩან კაიშის⁴¹² ხვდება. მას სურს ჩან კაიშის ჩინელ ნაციონალისტთა არმიის ჯარისკაცების გადმოყვანა ფორმოსადან კორეაში და მათი ჩართვა საომარ მოქმედებებში. მაგრამ თავის გათვლებში მაკარტური ისევ შეცდომას უშვებს, და ამჯერად – უკანასკნელად. სახელდობრ, იგი არასათანადოდ აფასებს პრეზიდენტ ტრუმენის ურყევ პოზიციას იმის შესახებ, რომ თავისი გენერლებიდან არც ერთი არ მიუშვას საკუთარ ნებაზე, რასაც შედეგად სრულმასშტაბიანი ომის დაწყება შეიძლება მოჰყვეს საბჭოთა კავშირთან.⁴¹³ ვაშინგტონს არ სურს ისეთი ომი წარმოება, რომელშიც მოკავშირეობის ვალდებულების საფუძველზე საბჭოთა კავშირი ჩაერთვება თავისი უზარმაზარი რესურსებითა და ატომური პოტენციალით.⁴¹⁴ მაგრამ მალე ყველაფერი გვარდება – საღი აზრი გაიმარჯვებს და ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის მესამე მსოფლიო ომის დაწყების რეალური საფრთხე ქარწყლდება.

1951 წლის 11 აპრილს პრეზიდენტ ტრუმენის გადაწყვეტილებით გენერალ მაკარტურს დაკავებული თანამდებობიდან ხსნიან.⁴¹⁵ მის ადგილზე გენერალ მეთიუ რიჯვეის,

⁴¹² ჩან კაიში (ჩინ. 蔣介石) (1887-1975წ.წ.) – XX საუკუნისა და ჩინეთის დიდი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ჩინეთის რესპუბლიკის დამაარსებლის, სუნ იატსუნის მოწაფე და მემკვიდრე, ჩინეთის ნაციონალისტურ-პროგრესული პარტია „გომინდანის“ ხელმძღვანელი 1925 წლიდან, რომელსაც იგი სუნ იატსუნის გარდაცვალების შემდეგ ჩაუდგა სათავეში. ჩინეთის სამოქალაქო ომისა და II მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ანტიიაპონური და ანტიკომუნისტური ბრძოლის ლიდერი ჩინეთში. ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ჩინეთის მარშალი და გენერალისიმუსი. გომინდანის მათ ძელუნიან და ჩინელ კომუნისტებთან დამარცხების შემდეგ, 1949 წლიდან, იძულებული გახდა გადასულიყო კუნძულ ტაივანზე, სადაც სათავეში ჩაუდგა გომინდანის მთავრობას ტაივანზე. დაწყებული ამ მომენტიდან, იგი იყო ტაივანის ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მისი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. 1970-იან წლებამდე სარეგლობდა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით, რომელიც მას ჩინეთის ერთადერთ კანონიერ ხელმძღვანელად აღიარებდა. დიდი ხნის განმავლობაში ჩან კაიშის წარმომადგენლებს ეკავათ გაეროს უშიშროების საბჭოში ჩინეთის ადგილი. მხოლოდ 1971 წლის 25 ოქტომბრიდან შეიყვანეს გაეროს უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები. 1972 წლის თებერვალში ჩან კაიში მეხუთედ აირჩიეს ტაივანის ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად, თუმცა ამ დროიდან დაწყებული, მას უკვე ნომინალურად ეკავა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი. პარტიისა და სახელმწიფო აპარატის საპასუხისმგებლო თანამდებობები ჩან კაიშის მემკვიდრეებმა დაიკავეს. გენერალისიმუსი ჩან კაიში, კაცი, „რომელმაც ჩინეთი დაკარგა“, 88 წლის ასაკში, 1975 წელს გარდაიცვალა.

⁴¹³ შექმნილმა მძიმე ვარაუდებმა და ამერიკელთა წარუმატებლობამ, გენერალი მაკარტური იმ აზრამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო ჩინეთის ტერიტორიების არა მარტო მასიური საჰაერო დაბომბვების დაწყება, არამედ ბირთვული დარტყმების მიყენება ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეისათვის, რაც შეაჩერებდა მათი შენაერთების წინსვლას, ხოლო რადიოაქტიური დასნებოვნების ზონები აღკვეთდნენ ჩინეთიდან კომუნისტების იარაღით მომარაგებისა და სხვა სახის უზრუნველყოფისა თუ საკომუნიკაციო ხაზების მოქმედებას. 1950 წლის 9 დეკემბერს მაკარტურმა თხოვნით მიმართა ამერიკის პრეზიდენტს ატომური ბომბების თავისი შეხედულებისა მიხედვით გამოყენების შესახებ. ფაქტია, რომ ამ მომენტში კაცობრიობა რეალური ატომური ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ მომენტისათვის საბჭოთა კავშირს თავის სამხედრო სტრატეგიულ არსენალში უკვე გააჩნდა ატომური იარაღის გარკვეული მარაგი. შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, 1950 წლის 16 დეკემბერს, პრეზიდენტმა ტრუმენმა №2914 დეკლარაციით ეროვნული საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ეს იყო მსგავსი ხასიათის სამხედრო-პოლიტიკური აქტის მიღების პირველი შემთხვევა II მსოფლიო ომის დასრულებიდან.

⁴¹⁴ საბჭოთა კავშირმა თავისი პირველი ატომური ბომბის, РС-1-ის (Реактивный Двигатель Сталина) გამოცდა 1949 წლის 29 სექტემბერს მოახდინა ყაზახეთის სტეპებში, სემიპალატინსკის საიდუმლო სამხედრო პოლიგონზე. ასე, რომ კორეის ომის დაწყებისას, ამერიკის შეერთებული შტატები უკვე აღარ წარმოადგენდა ერთადერთ ბირთვულ სახელმწიფოს მსოფლიოში. ისტორიული რეალობა უკვე იყო, რომ ამიერიდან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მიმდინარე „ცივი ომი“ ახალ ფაზაში შედიოდა. აშშ-ის ბირთვული მონოპოლიური მდგომარეობა დასრულდა და გლობალური იდეოლოგიურ-პოლიტიკური სივრცე და სისტემა ბიპოლარულ სამყაროდ გაიყო. კორეის ომის მსვლელობისას საბჭოთა კავშირს თავის ბირთვულ არსენალში უკვე 10 ატომური ბომბი გააჩნდა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს – დაახლოებით 300.

⁴¹⁵ გენერალ მაკარტურის გადაყენების რამდენიმე საფუძველი არსებობდა. მაკარტურის ბრძანებით ამერიკულმა შენაერთებმა გადააკვიეს 38-ე პარალელი თავისი მტკიცე შეხედულების საფუძველზე, რომ ჩინეთი არ ჩაერთვებოდა საომარ მოქმედებებში, რაშიც მან პრეზიდენტიც დაარწმუნა. მაკარტურის ეს გადაწყვეტილება მცდარი აღმოჩნდა, ჩრდილოეთ

II მსოფლიო ომის დროს ამერიკელთა საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალს ნიშნავენ.⁴¹⁶ გაჭიანურებული და დამქანცველი ბრძოლების შედეგად, რაც კიდევ ორ წელიწადს გაგრძელდება, გენერალი რიჯვეი ახერხებს ომამდელი მდგომარეობის აღდგენას. დიდი ძალისხმევითა და ბრძოლების შედეგად სეულში ისევ ამერიკელები შევლენ.⁴¹⁷ მალე კი, ისინი 38-ე პარალელამდეც მიაღწევენ, მაგრამ ამით ყველაფერი დასრულდება. სამხრეთ კორეის რესპუბლიკა უკვე მეოთხედ და ამჯერად უკანასკნელად შეიცვლის ხელმძღვანელს. ხოლო ფრონტებზე აქამდე მიმდინარე მანევრული ბრძოლები წყდება და იგი ტრანშეების სტატიკურ ომად გადაიქცევა.

ასეთი მდგომარეობა მთელი ორი წელიწადი გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ხან ერთი მხარე აღწევდა მცირე უპირატესობას, ხან მეორე, მაგრამ ოპერატიულ გარღვევას ადვილი აღარ ჰქონია. ფრონტის ხაზიც თითქოს დასტაბილურდება. მეტად მძიმე და დამღლევი პოზიციური ომის ფონზე ჩინელები და კიმ ირ სენის არმია ვეღარ მოახდენენ სამხრეთ კორეის ოკუპაციას, თუმცა ვეღარც ამერიკელები მოახერხებენ ჩრდილოეთ კორეაში მეორედ შესვლას.⁴¹⁸

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის შუამდგომლობით დაპირისპირებულ მხარეებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების პირველ მცდელობას ჯერ კიდევ 1951 წლის

კორეის ტერიტორიაზე გაეროს ჯარების შეყვანა კი, დიდი შეცდომა. ამ შეცდომამ მარცხი და დიდი დანაკარგები გამოიწვია მოკავშირეთა ძალებში. რაც მთავარია, მაკარტურს სწამდა, რომ გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ მას უნდა მიეღო, როგორც ომში ჩართული გაეროს ჯარების მთავარსარდალს, და არა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, როგორც აშშ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს. მაკარტური ჩინეთის განადგურებით იმუქროდა იმ შემთხვევაში, თუ იგი არ დანებდებოდა. გენერალ მაკარტურის საკითხი კონგრესის 1951 წლის მაისი-ივნისის მოსმენებზე განიხილებოდა. მოსმენებზე დაბრუნდა, რომ მან დაარღვია პრეზიდენტის ბრძანებები და ამგვარად, დაარღვია აშშ-ის კონსტიტუცია. ერთ-ერთი ბრალდება, რაც მას აგრეთვე წაუყენეს, იყო ის, რომ მას ერთი ღამე არ გაუთვლია კორეაში და სამხედრო ოპერაციებს ტოკიოდან ხელმძღვანელობდა, სადაც თავს უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობდა. გენერალ მაკარტურის დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ტრუმენმა შემდეგი განმარტება მისცა გაზეთ Time-ს:

„მე ვაგანთავისუფლე იგი [მაკარტური] დაკავებული თანამდებობიდან, რადგან პატივს არ სცემდა პრეზიდენტის ავტორიტეტს... იგი გონებაჩლუნგი ძალღიშვითი აღმოჩნდა... და არის კიდევ ასეთი. მაგრამ გენერლების მხრიდან მათი გონებაჩლუნგობა არ არის კანონის დარღვევა, მე არ გამოთავისუფლებია იგი ამისათვის. ასე რომ იყოს, ესლა გენერლების ნახევრიდან სამ მეოთხედამდე, ციხეებში უნდა ისხდნენ“...

⁴¹⁶ მეთუ რიჯვეი (ინგლ. Matthew Bunker Ridgway) (1895-1993წ.წ.) – ცნობილი ამერიკელი მაღალი რანგის სამხედრო ოფიცერი, ამერიკის არმიის ოთხჯარსკვლავიანი გენერალი, II მსოფლიო ომისა და კორეის ომების მონაწილე. 1917 წელს დაამთავრა ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემია. 1924 წლიდან კაპიტანია, მეთაურობს ქვეით ასეულს. მონაწილეობას იღებდა ამერიკის კონტინენტზე (მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა) მიმდინარე სხვადასხვა სამხედრო კონფლიქტების დარეგულირებაში. 1932 წლიდან მსახურობს ფილიპინებზე. 1936 წელს ამთავრებს ომის კოლეჯს და ინიშნება მე-4 არმიის შტაბის ოპერატიული და საბრძოლო განყოფილების უფროსად. II მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1942 წლის იანვარში ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება და ინიშნება 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის მეთაურის მოადგილედ, რომლის მეთაურიც გენერალი ომარ ბრედლი იყო. 1943 წელს მონაწილეობდა სიცილიაზე ლესანტირების გეგმის შემუშავებაში და თავდაც მონაწილეობდა მის აღსრულებაში უკვე როგორც 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის მეთაური. 1944 წელს მონაწილეობდა ოპერაცია „ოვერლორდის“ დაგეგმვაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა არდენის ოპერაციასა და გერმანიის ტერიტორიების ოკუპაციაში. 1945 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1948 წელს ინიშნება იაპონიაში გაშლილი აშშ-ის მე-8 არმიის სარდალად და იაპონიაში აშშ-ის საოკუპაციო ჯარების სარდალს, გენერალ დუგლას მაკარტურის მოადგილედ. კორეის ომის დაწყებასთან ერთად, ინიშნება გაეროს ჯარების სარდალად კორეაში. პრეზიდენტ ტრუმენის მიერ გენერალ მაკარტურის გადაყენების შემდეგ კი, იკავებს მის ადგილს. აქვე ენიჭება ამერიკის არმიის გენერლის (ოთხჯარსკვლავიანი გენერალი) სამხედრო წოდებაც. 1952 წელს ინიშნება „ნატოს“ გაერთიანებული ძალების მთავარსარდალად ევროპაში, სადაც მან გენერალი ღუთი ეიზენჰაუერი შეცვალა. შემდგომში ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობები. გარდაიცვალა 98 წლის ასაკში, 1993 წელს.

⁴¹⁷ ერთი წლის განმავლობაში ეს იყო დაპირისპირებულ მხარეებს შორის ქალაქის უკვე მეოთხე გადასვლა ხელიდან ხელში, რის გამოც სეული ნანგრევების ქალაქად იქცა. ამ ხნის განმავლობაში მისი მოსახლეობა 1,5 მილიონიდან 200000-მდე შემცირდა;

⁴¹⁸ კორეის ომის ბოლო ორი წლის განმავლობაში ხან ერთი მხარე აღწევდა გარკვეულ წარმატებას, ხან მეორე, მაგრამ მხოლოდ ტაქტიკურს. საერთო ოპერატიული სურათი არ იცვლებოდა. ომის პირველ ეტაპზე დაპირისპირებულ მხარეებს შორის მიმდინარე მანევრული ომი მალე ე.წ. „ტრანშეების ომად“ გადაიქცა. ბრძოლებმა კი, პოზიციური ხასიათი მიიღო, რომლის განმავლობაშიც ჩინელები წარმატებით აწარმოებდნენ „ტრანშეების ომის“ სახესხვაობას, ე.წ. „ბუნკერების ომს“ მათ მიერ ფრონტის გასწვრივ მთებსა და კლდეებში გაყვანილი ფართოდ განტოტვილი მიწისქვეშა ქსელების გამოყენებით. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით კი, კორეის ომის ეს პერიოდი შეიძლება დახასიათდეს როგორც „ომი გამოფიტვაზე“...

ივლისში ჰქონდა ადგილი კორეის ძველ დედაქალაქ კესონში, ამ დამანგრეველი და გაჭიანურებული ომის დასრულება მხოლოდ საბჭოთა ლიდერის, სტალინის სიკვდილის შემდეგ გახდება შესაძლებელი.⁴¹⁹

საბოლოოდ, ორი წლის წინ დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი სრულდება და 1953 წლის ივლისში⁴²⁰ დაპირისპირებული მხარეები დასახლება ფანმუნჯომში ხელს აწერენ საზავო ხელშეკრულებას.⁴²¹ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის სადემარკაციო ხაზად და დე ფაქტო საზღვრად ისევ 38-ე განედი დგინდება. ამით ყველაფერი სრულდება. თითქოს არც არაფერი არ მომხდარა და არაფერიც არ ყოფილა. ეს ის ვითარებაა, რომელიც ომის დაწყებამდე არსებობდა და იგი დღევანდლამდე გრძელდება.⁴²²

419 საერთო ჯამში, კორეის ომი მეტად სისხლიანი აღმოჩნდა. სხვადასხვა მონაცემებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოალიციურმა ძალებმა 559 000 კაცი დაკარგეს, მათ შორის 94 000 – მოკლულთა სახით. ამ დანაკარგებში ამერიკელთა წილი 36 516 მოკლული და 103 284 დაჭრილი იყო. ტყვედ კი, 72 45 ამერიკელი ჯარისკაცი იქნა აყვანილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, კომუნისტთა საერთო დანაკარგები ამ ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით ორ მილიონამდე უნდა შეფასდეს. სამოქალაქო მოსახლეობას შორის მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო – ზოგიერთი წყაროს მონაცემებით ამ ომში დაახლოებით ერთი მილიონი სამხრეთ კორეელი და ორი მილიონი ჩრდილოეთ კორეელი იქნა მოკლული, დაჭრილი და დასახინჩრებული. მილიონზე მეტი კი, ლტოლვილად იქცა. კორეის ომში დაიღუპა აგრეთვე მათ ძედუნის შვილი, გენერალი მათ ანინი...

420 დაპირისპირებულ მხარეებს შორის ინდოეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას ხელი მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლის 27 ივლისს მოეწერა პატარა სასაზღვრო ქალაქ ფანმუნჯომში, თუმცა ოფიციალურად ომის დასრულება არ გამოცხადებულა.

421 ეს იყო არა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებს შორის დადებული პოლიტიკური აქტი და საზავო ხელშეკრულება, არამედ დაპირისპირებული მხარეების სამხედრო ხელმძღვანელებს შორის დადებული ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება. მართალია ცეცხლი შეწყდა და საბრძოლო მოქმედებებიც შეჩერდა, მაგრამ სამშვიდობო ხელშეკრულება პოლიტიკურად არ გაფორმებულა. ფორმალურად, ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა ერთმანეთთან დღესაც საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ომის შემდგომი ტერიტორიული გამოიჯვანა კი, ორ კორეას შორის პრაქტიკულად არ შეცვლილა – 38-ე პარალელთან ისევ გაივლი სადემარკაციო ხაზი, რაც დღეისათვის ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას და სამხრეთ კორეას შორის არსებულ დე-ფაქტო გამოყოფ ხაზს წარმოადგენს. ამ ხაზის გასწვრივ გამოცხადდა დემილიტარიზებული ზონა. დაწყებული 1953 წლიდან, აზიაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ტაივანის მსგავსად, კიდევ ერთი, ორ იდეოლოგიურად დაპირისპირებულ, ორ სახელმწიფოდ გახლეჩილი ერთი ერი გაჩნდა.

422 მრავალი მაჩვენებლით, თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით, კორეის ომი უნიკალურ ომს წარმოადგენს კაცობრიობის ომების ისტორიაში.


- კორეის ომმა შექმნა ცივი ომის ეპოქის ლოკალური მასშტაბის არაპირდაპირი ომის მოდელი, სადაც ხესახელმწიფოები ბირთვული იარაღის გამოყენების გარეშე ფარულად ეომებოდნენ ერთმანეთს შეზღუდულ სივრცეში ისე, რომ არ ასახელებდნენ თავიანთ მთავარ მოწინააღმდეგეს; ამ შემთხვევაში ფარულ არაპირდაპირ ომს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირი აწარმოებდა. ამ ომში ჩინეთი ომის პირდაპირი მონაწილე იყო. მოგვიანებით, ვიეტნამის ომში, იგივე არაპირდაპირ ომს და იგივე აშშ-ის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან ერთად უკვე ჩინეთიც აწარმოებდა, ხოლო ავღანეთის ომში, უკვე აშშ აწარმოებდა ფარულ არაპირდაპირ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.
- მსოფლიო პირველად სწორედ კორეის ომის დროს აღმოჩნდა საყოველთაო ბირთვული საფრთხისა და ბირთვული ომის ზღვარზე;
- კორეის ომის მსვლელობისას, როგორც დიდმა სახელმწიფომ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ პირველად წარმოაჩინა თავი. კორეის ომის მსვლელობისას საბჭოთა კავშირის მიერ გატარებულმა არც თუ ძალიან აქტიურმა სამხედრო პოლიტიკამ და ომიდან მისმა ცალმხრივად გასვლამ, პირველად დააქვეა ჩინეთი საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. ამავე დროს, კომუნისტურმა ჩინეთმა საბოლოოდ დაკარგა გომინდანის დამარცხების შანსი, რადგან კორეის ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კომუნისტური პარტიებისა და იდეოლოგიების გავრცელების აღკვეთის პოლიტიკის გატარება დაიწყეს;
- კორეის ომში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თითქმის 40 ათასი სამხედრო მოსამსახურე დაკარგა და ამავე დროს ის პრობლემები გამოაჩინა, რაც შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში იყო. კორეის ომში განცდილმა მარცხებმა მეტად შეარყია ამ „მსოფლიო ჰეგემონის“ საერთაშორისო პრესტიჟი. თავად ამერიკელები კი, ასე აფასებდნენ კორეის ომის შედეგებს – „ჩვენ მოვიგეთ ეს ომი, მორჩა და გათავდა“. კორეის ომის სრულყოფილ შესწავლას და ანალიზს ამერიკელები მხოლოდ ვიეტნამის ომის შემდეგ ჩაატარებენ, მანამდე კი, მათთვის ძალიან უსიამოვნო იქნება ამ ომის გახსენება. ამის გამო, ამერიკულ პუბლიცისტიკაში კორეის ომმა „დავიწყებული ომის“ სახელი დაიმკვიდრა.



მაო ძეღუნი (1893-1976)



ჩან კაიში (1887-1975)



მეთიუ რიჯკეი (1895-1993)



კიმ ირ სენი და მაო ძეღუნი



„ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმიის“ სარდალი პენგ დეჰუაი (მარცხნივ) და კიმ ირ სენი



1950 წლის 8 ოქტომბერი. ამერიკელები კვეთენ 38-ე პარალელს



გაეროს კოალიციური ძალების პრაშუტისტები სტებიან ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე ქალაქ სუნჩხონის მახლობლად



აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელ P-51 Mustang-ების ესკადრილის გამართვა საბრძოლო კომპლექტით



ეს ხომალდები და სადესანტო კატარღები, რომელთა ბორტზე საერთო ჯამში დაახლოებით 50 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება, ვონსანის პორტისკენ მიემართებიან. 1950 წლის 26 ოქტომბერი



ფხენიანი დაბომბვის შედეგ



ამერიკელები ბომბავენ ვონსანის რკინიგზას



ამერიკელების პატრულს აჰყავს ჩრდილოკორეელი ტყვეები. 1950 წლის 16 ნოემბერი



გაეროს ჯარისკაცები ჩრდილოეთ კორეაში



კოალიციის აბისინიელი ჯარისკაცები



ჩრდილოკორეელების მიერ მიტოვებული საბჭოური წარმოების მოიერიშე ბომბდამშენი ИЛ-10



საჰაერო დარტყმა ვონსანზე




საბრძოლო ამოცანის წარმატებულად შესრულებისათვის გენერალი უოლტონ უოკერი ვერცხლის ვარსკვლავით აჯილდოებს თურქული ბრიგადის მეთაურს, გენერალ თაჰსინ იაზინის. 1950 წლის 15 დეკემბერი



„ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმიის” სარდლობა. მარცხნიდან მარჯვნივ: ჩენ გენი, პენგ დეჰუაი და ღენ ზუა



„ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმია“



კორეის ომის სამხედრო ოპერაციების დინამიკა – ფაზა II



ჩინელები კვეთენ მდინარე იალუს



ჩინელები სამარშო კოლონაში



გენერალი პენგ დეჰუაი



ჩინელი ჯარისკაცი საბჭოური ППШ-ით





„ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმია” შეტევაში



ჩინელთა საბრძოლო ტაქტიკა „ცოცხალი ტალღა“



ამერიკელები თავდაცვაში



ამერიკული და გაეროს ჯარები ფხენიანისთვის ბრძოლაში. შენობის კედელზე კარგად ჩანს სტალინისა და კიმ ირ სენის სურათები



გაეროს ჯარები სეულის დაცვისათვის ბრძოლაში



ამერიკელების უკანდახევა



სეული ბრძოლების შემდეგ





დემორალიზებული ამერიკელი ჯარისკაცები



გაყინული ამერიკელი ჯარისკაცები

უკანდახევა



გაეროს ჯარების დაღუპული ჯარისკაცები, 1950 წლის 8 დეკემბერი




პრეზიდენტ ტრუმენისა და გენერალ მაკარტურის შეხვედრა ატოლ ვეიჯზე, 1950 წლის 15 ოქტომბერი



ბრიტანული ქვედანაყოფი იმჯინის ბრძოლაში. 1951 წლის 22-25 აპრილი



1951 წლის 11 აპრილი. პრეზიდენტი ტრუმენი დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალ დუგლას მაკარტურს





გაეროს ჯარების ახალი სარდალი, გენერალი მეთიუ რიჯვეი



სინგმენ რი და მეთიუ რიჯვეი



გენერალი მაკარტური ნიუ-იორკმა როგორც გმირი, ისე მიიღო. 7 მილიონი ადამიანი გამოვიდა მის დასასხვედრად



ამერიკული რეაქტიული ავიაციის მანქანა F-86 Sabre კორეის ცაში



ჩრდილოკორეული სოფლის ნაპალმით დაბომბვა, 1951 წლის 10 მაისი



ამერიკელთა მსხვილკალიბრიანი არტილერია მოქმედებაში





ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენები Boeing B-29 Superfortress ანზორციელებენ მოწინააღმდეგის პოზიციების ნოხისებურ დაბომბვას



მაო ძედუნის და კორეის ომში დაღუპული მისი შვილი, მაო ანინი. მაო ანინმა საბჭოთა კავშირში დაამთავრა ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემია და ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია. 1943 წელს შევიდა რკკ(ბ) რიგებში. იმავე წელს საბჭოელების მხარეზე მიდის II მსოფლიო ომში. მე-2 ბელორუსიის ფრონტის შემადგენლობაში იბრძოდა სატანკო ასეულის მეთაურის მოადგილის რანგში. ბრძოლებით გაიარა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ბერლინში შევიდა. კორეის ომში იბრძოდა ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმიის შემადგენლობაში. ჩინეთის სახალხო არმიის გენერალი, მაო ანინი დაიღუპა 1950 წლის 25 ნოემბერს, ამერიკული ავიაციის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი დაბომბვის შედეგად. მაო ძედუნს შვილის დაღუპვის ამბავი მხოლოდ სამი თვის შემდეგ შეატყობინეს



ჩინელი და ჩრდილოკორეელი ტყვეები



1951 წლიდან კორეაში მიმდინარე მანევრული ომი „ტრანშეების ომად“ გადაიქცა



ბუნკერში ჩამჯდარი ჩინელები საბჭოური წარმოების „ДП” ტყვიამფრქვევით




მე-2 კვეთი დივიზიის 72-ე სატანკო ბატალიონის „ბრავე” ასეულის ტანკი M4A3E8 „შერმანი” ცეცხლს უხსნის მოწინააღმდეგის ბუნკერს



ამერიკული სამხედრო კონტიგენტის ბოლო სარდალი კორეაში, გენერალი მარკ კლარკი. II მსოფლიო ომში მან ვერმანის ფელდმარშალი ალბერტ კესელრინგი დაამარცხა, კორეის ომში კი, ჩრდილოკორეელ ლიდერთან, კიმ ირ სენტან დაამარცხდა





კორეის ომის ბოლო პერიოდის (1951 წლის თებერვალი – 1953 წლის ივლისი) სამხედრო მოქმედებები



გენერლები კიმ ირ სენი და პენგ დეჰუაი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას

§3.3. დიენ ბიენ ფუს ჯოჯოხეთი

(ინდოჩინეთი, 1954 წლის 13 მარტი – 7 მაისი)

ინდოჩინეთში ფრანგების კოლონიური ბატონობა უკვე თითქმის ასი წელია რაც გრძელდება.⁴²³ მაგრამ XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად იცვლება. II მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1941 წელს, ვიეტნამის ტერიტორიებს იაპონელები იკავებენ. ქვეყანაში ორმაგი კოლონიური მმართველობა მყარდება. ფრანგები ისევ განაგრძობდნენ ინდოჩინეთის კოლონიაში საქმეების მართვას, მაგრამ უმაღლესი ძალაუფლება იაპონელი ოკუპანტების ხელში გადადის.

უცხოელთა ბატონობის მიმართ ვიეტნამელი მოსახლეობის წინააღმდეგობამ, მისი სახალხო ლიდერის, ხო ში მინის⁴²⁴ მეთაურობით, II მსოფლიო ომის ბოლო წლებში კომუნისტური განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოშვა. ომის დასრულებისას, 1945 წლის 2 სექტემბერს, ჰანოიში გამართულ დიდ სახალხო შეკრებაზე ხო ში მინი ქვეყნის დამოუკიდებლობას აცხადებს.⁴²⁵ ფრანგებისთვის კი, რომელთა ავტორიტეტი, როგორც დიდი იმპერიისა, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას საგრძნობლად შეილახა, ძალიან ბევრს ნიშნავს კოლონიური იმპერიის არსებობა. შესაბამისად, ფრანგები ძალას არ იშურებენ, რომ ისევ აღიდგინონ დაკარგული პრესტიჟი. გენერალი ლეკლერკი⁴²⁶ რამდენიმე თვეში აწესებს კონტროლს ლაოსსა და კამბოჯაზე, მაგრამ ვიეტნამთან მიმართებაში საქმე უფრო რთულადაა. აქ ფრანგები ბოლომდე ფეხს ვერ იკიდებენ და იძულებულნი არიან გარკვეულ დათმობებზეც წავიდნენ.

1946 წლის მარტში საფრანგეთის წარმომადგენელი და ვიეტნამელი კომუნისტები, ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგა – ვიეტმინი, ხო ში მინის სახით, ხელს აწერენ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საფრანგეთი აღიარებს ვიეტნამის დამოუკიდებლობას.

⁴²³ ფრანგული ინდოჩინეთი (ფრანგ. Indochine française, ვიეტნ. Đông Dương thuộc Pháp) – საფრანგეთის კოლონიალური იმპერიის ნაწილი, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე მდებარე საფრანგეთის ყოფილი კოლონიები. 1887 წლიდან ატარებდა ოფიციალურ დასახელებას – „ინდოჩინეთის კავშირი“ (ფრანგ. Union indochinoise, ვიეტნ. Liên bang Đông Dương). იგი მოიცავდა საფრანგეთის მიერ 1858-1884 წლებში ვიეტნამის დაპყრობილ ტერიტორიებს, რომელიც დაყოფილი იყო კონხინინის კოლონიად (ნამბო), ანამის პროტექტორატად (ჩუნგბო) და ტონკინის პროტექტორატად (გაკბო). გარდა ამისა, ფრანგული ინდოჩინეთის შემადგენლობაში შედიოდნენ კამბოჯის პროტექტორატი და ლაოსის პროტექტორატი, რომლებიც დაპყრობილი იყო 1860-1890 წლებში, ასევე ჩინეთისგან არენდით აღებული გუნჯოუვანის ტერიტორიები.

⁴²⁴ ხო ში მინი (ვიეტნ. 胡志明) (1890-1969წწ.) – XX საუკუნის აზიის და მსოფლიოს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მარქსისტული და ლენინური იდეოლოგიის ერთგული მიმდევარი, ვიეტნამელი კომუნისტთა ლიდერი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის (ჩრდილოეთ ვიეტნამი) პრემიერ მინისტრი 1945-1955 წლებში და პრეზიდენტი 1945-1969 წლებში. იგი იყო კომუნისტური ვიეტნამის სახელმწიფოს დამაარსებელი 1945 წელს, ვიეტნამის სახალხო არმიის და ვიეტნამის ომის მსვლელობისას სამხრეთ ვიეტნამის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტის, „ვიეტკონგის“ შემქმნელი და ხელმძღვანელი. უფრო ადრე კი, დაწყებული 1941 წლიდან, ვიეტნამის საფრანგეთისგან და იაპონიისგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „ვიეტმინის“ ლიდერი და მეთაური. ხო ში მინი ავადმყოფობის გამო ოფიციალურად გადადგა თანამდებობიდან 1965 წელს, მაგრამ სიკვდილამდე რჩებოდა კომუნისტური ვიეტნამის მთავარ სახელმწიფო-პოლიტიკურ ფიგურად და ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლოდ. ვიეტნამის ომის დასრულების შემდეგ, 1975 წელს, სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქს და ვიეტნამის უდიდეს ქალაქ საიგონს სახელი გადაერქვა და ხო ში მინის საპატიეცემოდ და მისი სახელის უკვდავსაყოფად, ხოშიმინი ეწოდა.

⁴²⁵ ხო ში მინმა თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაიწყო – „ყველა ადამიანი თავისუფლებისთვის არის შექმნილი; შემოქმედმა ურღვევი უფლებები გვიბოძა, ესენია: სიცოცხლის უფლება, თავისუფლების უფლება და ბედნიერების მოპოვების უფლება“ – პირველი ფრაზა აშშ-ის თავისუფლების დეკლარაციიდან.

⁴²⁶ ფილიპ ლეკლერკი (ფრანგ. Philippe François Marie Leclerc de Hauteclocque) (1902-1947წწ.) – ძველი არისტოკრატიული წარმომავლობის ფრანგი სამხედრო ოფიცერი, საფრანგეთის არმიის გენერალი და მარშალი სიკვდილის შემდეგ, 1952 წლიდან. II მსოფლიო ომისა და ინდოჩინეთის I ომის მონაწილე. 1924 წელს დაამთავრა სენ-სირის სამხედრო სკოლა. სამსახური დაიწყო მოზელის ქვეით პოლკში, შემდეგ გადაყვანილ იქნა მაროკოში გაშლილ მე-8 პოლკში. II მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად გამოძახებულ იქნა საფრანგეთში. თავიდანვე გაემიჯნა ვიშის კოლაბორაციონალისტურ რეჟიმს და ჩაება გენერალ დე გოლის თაოსნობით დაწყებულ წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1944 წელს ნორმანდიის ოპერაციის დროს სარდლობდა ფრანგულ ჯარებს. 1945 წელს, II მსოფლიო ომის დასრულებისთანავე მდგომარეობის შესწავლისა და ფრანგული მმართველობის აღდგენის მიზნით გაავაჯანყეს ინდოჩინეთში. 1947 წელს, ჩრდილოეთ აფრიკაში ფრანგული ჯარების ინსპექტირებისას დაიღუპა ავიაკატასტროფაში. 1952 წელს, სიკვდილიდან ოთხი წლის შემდეგ მიენიჭა საფრანგეთის მარშლის წოდება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ხშირია შეიარაღებული კონფლიქტები.⁴²⁷ ფრანგები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ შეძლებენ აჯანყებების ისევე სწრაფად ჩახშობას, როგორც ამას წარსულში ახერხებდნენ. მაგრამ როგორც მოვლენების შემდგომი განვითარება დაგვანახებს, ისინი სასტიკად ცდებიან.

1947-1950 წლებში ფრანგი ჯარისკაცების რაოდენობა ვიეტნამში ორმაგდება და დაახლოებით 145 ათას კაცს აღწევს, მაგრამ ვიეტნამელი კომუნისტებიც არ არიან უქმად. ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგა საკუთარ შეიარაღებულ ძალებს ქმნის გენერალ ვო ნგუენ ჯიაპის სარდლობით.⁴²⁸

1950 წლისათვის ვიეტნამელ კომუნისტ მებრძოლთა რაოდენობა ოცი ათას კაცამდე იზრდება. მათ შორის ძალიან ბევრია პარტიზანი, რომლებსაც დიდი საბრძოლო გამოცდილება გააჩნიათ.⁴²⁹ ვიეტნამის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას წითელი ჩინეთი ეხმარება იარაღისა და სამხედრო მრჩეველების სახით და 1953 წლის დასაწყისიდან ქვეყნის უდიდესი ნაწილი უკვე ვიეტმინის კონტროლქვეშ გადადის. ამ მომენტისათვის ვიეტნამში უკვე 375000 კაციანი ფრანგული სამხედრო კონტიგენტი იმყოფება, რომელიც მძიმე ბრძოლებს აწარმოებს ვიეტმინის წინააღმდეგ. ფრანგების დანაკარგები ოთხმოცდაათი ათასი კაცის ოდენობით იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნატოს ფარგლებში საფრანგეთის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას საფრთხე ემუქრება. ამიტომ საფრანგეთი ამ გაჭიანურებული ომის დამთავრებას მოლაპარაკებების გზით ცდილობს. ამავე დროს, სამხედრო გამარჯვების მიღწევა ვიეტნამში მშვიდობის დამყარების ღირსეულ წინაპირობად განიხილება. ფრანგებს არ სურთ, რომ ისინი სუსტი მხარის პოზიციებიდან მიუჯდნენ მოლაპარაკებების მაგიდას.

საქმე უშუალოდ ფრანგულ-ვიეტმინური ურთიერთობების სფეროს სცილდება და საქმეში ამერიკის შეერთებული შტატებიც ერთვება. კომუნისტური რეჟიმის განმტკიცებისა და მისი შემდგომი გავრცელების შიშით, ვიეტმინზე გადამწყვეტი ღირებულების მისაყენებლად ამერიკის შეერთებული შტატები 385 მილიონ დოლარს გამოყოფს. არსებობს იმის რეალური

⁴²⁷ 1946 წლიდან იწყება ინდოჩინეთის I ომი, უკვე ე.წ. „თავისუფალ საფრანგეთს“ (გენერალი შარლ დე გოლი) და ვიეტმინს შორის. თავისი არსით ეს ომი კოლონიური ომი იყო, ვიეტნამელებისთვის – ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ხოლო სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით – ასიმეტრიული... ვიეტმინის საბრძოლო სტრატეგია და ტაქტიკა პარტიზანული ომის პრინციპებზე იყო დაფუძნებული, რომელიც მათ მათსა და ჩინელი კომუნისტებისაგან ისწავლეს;

⁴²⁸ ვო ნგუენ ჯიაპი (ვიეტნ. Võ Nguyên Giáp) (1911-2013წ.წ.) – ვიეტნამელი პოლიტიკური, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ინდოჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრი, ხო ში მინის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიეტმინის ჯარების მთავარსარდალი და ვიეტნამის სახალხო არმიის გენერალი, ვიეტნამის სახალხო არმიის მთავარსარდალი და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის პოლიტიბიუროს წევრი. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო სტრატეგოსი და მხედართმთავარი, ინდოჩინეთისა და ვიეტნამის ომების აქტიური მონაწილე. 1933 წელს დაამთავრა ჰანოის უნივერსიტეტი, მცირე ხანს მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად. 1939 წელს გადავიდა ჩინეთში, სადაც გადიოდა რევოლუციურ მოძრაობას. 1944 წელს სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ ვიეტნამის სახალხო არმიას და იწყებს ვიეტნამის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. 1954 წელს ხელმძღვანელობდა ფრანგი კოლონისტების წინააღმდეგ წარმოებულ დან ბიენ ფუს ბრძოლას, რომელიც ვიეტმინის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. 1961-1975 წლებში ამერიკელებისა და სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის წინააღმდეგ წარმოებულ ომში სარდლობდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ნაციონალური ფრონტის (ვიეტკონგი) საბრძოლო რაზმებსა და ჩრდილოეთ ვიეტნამის სახალხო არმიას. ომის დასრულების შემდეგ, 1976 წელს, ინიშნება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის მოადგილედ. 1991 წელს გადის თადარიგში. გარდაიცვალა 102 წლის ასაკში, 2013 წლის 4 ოქტომბერს, ჰანოის სამხედრო ჰოსპიტალში. მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ცნობილმა ამერიკელმა სენატორმა, ვიეტნამის ომის მონაწილემ, ჯონ მაკკეინმა განაცხადა:

„წავიდა გენერალი ვო ნგუენ ჯიაპი – შესანიშნავი სამხედრო სტრატეგოსი, რომელმაც ერთხელ თქვა, რომ ჩვენ, ამერიკელები მისი „ღირსეული მოწინააღმდეგეები“ ვიყავით“.

⁴²⁹ აღრეული წლებიდან ვიეტნამელი ახალგაზრდობა ჩართული იყო სამხედრო წვრთნებსა და საბრძოლო სწავლებებში. უპირველეს ყოვლისა, მათ ასწავლიდნენ ჯუნგლებში ბრძოლისა და თვითგადარჩენის ხერხებს, ადგილზე შენიღბვას და დაზვერვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მომავალი საბრძოლო მოქმედებების რაიონის ლეტალურ შესწავლას. თვითოვლ მათგანს ზედმიწევნით კარგად უნდა სცოდნოდა თავისი მომავალი საბრძოლო მოქმედებების რაიონი და შეძლებოდა ორიენტირება დღითა და ღამით. საუკეთესოებს ვიეტნამის გათავისუფლების სახალხო ფრონტის საბრძოლო, კარგად შეიარაღებულ ქვედანაყოფებში იღებდნენ მებრძოლებად. მათი შემდგომი სწავლება და წვრთნა აქაც გრძელდებოდა. ჯარისკაცები ეცნობოდნენ სამანევრო საბრძოლო მოქმედებების ხერხებს მოცემულ ადგილმდებარეობაზე. საბრძოლო მომზადებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა პირადი შემადგენლობის პოლიტიკური მომზადების დონეს მარქსიზმისა და მათ ძეგლის სწავლებების შუქზე.

საფრთხე, რომ ვიეტმინი თავის იდეოლოგიურ და სამხედრო გავლენას მეზობელ ლაოსშიც გაავრცელებს.⁴³⁰ გადაწყვეტილება მიღებულია – საფრანგეთის კოლონიური ჯარების სარდლობა ინდოჩინეთში ორივე მსოფლიო ომის ვეტერანმა, გენერალ-ლეიტენანტმა ანრი ნავარამ⁴³¹ უნდა იკისროს. კაცი, რომელიც არასოდეს ყოფილა ვიეტნამში, 1953 წლის მაისში პირველად მიემგზავრება საიგონისკენ. იქ არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ოპერატიული ვითარების ანალიზის საფუძველზე, გენერალი სამოქმედო გეგმას ამუშავებს. ორი თვის შემდეგ იგი პარიზში ბრუნდება და თავდაცვის ეროვნულ კომიტეტს თავისი მოქმედებების სტრატეგიულ გეგმას წარუდგენს.

დიენ ბიენ ფუ, პატარა ვიეტნამური ქალაქი, რომელიც ჰანოიდან ჩრდილო-დასავლეთით სამას კილომეტრზე, ლაოსის საზღვართან ახლოსაა გაშენებული, ფრანგების მოკავშირე ტაილანდელებით⁴³² დასახლებულ რაიონში მდებარეობს. გენერალ ნავარას კონცეფციით დიენ ბიენ ფუსთან ახლო მდებარე ზეგანზე დაგეგმილია კარგად გამაგრებული სამხედრო ბაზის შექმნა და მოწყობა, საიდანაც შესაძლებელი იქნება ახლომდებარე რაიონებში შემდგომი ოპერაციების წარმართვა ვიეტმინის წინააღმდეგ.⁴³³ საკითხი კი ასე დგას: შეძლებს კი მოწინააღმდეგე ამ კარგად გამაგრებული ბასტიონის უკან დაბრუნებას? ნავარას, ფრანგების საჭაერო უპირატესობის გათვალისწინებით, ამის არ სჯერა. გარდა ამისა, ზეგანმდე მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურა და საკომუნიკაციო ხაზები იმდენად ცუდი და მოუწყობელია, რომ ვიეტმინი, მისი აზრით, ვერ შეძლებს საკმარისი რაოდენობის

⁴³⁰ აქ უნდა გავითვალისწინოთ ცივი ომის ეპოქის მამოძრავებელი იმ თეორიული ბაზისის არსებობა, რომელიც მსოფლიო პოლიტოლოგიის სფეროში „დომინოს პრინციპის“ სახელით შევიდა. ჯერ კიდევ 1951 წლის იანვარში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, დინ რასკიმ „დომინოს პრინციპი“ შემდეგ თეზისში ჩამოაყალიბა: „თავისთავად ცხადია, რომ თუ ინდოჩინეთი დაეცემა... ბირმა და ტაილანდი დაუყოვნებლივ აღმოჩნდება იგივე მდგომარეობაში. ძალიან რთული იქნება, შეუძლებელი თუ არა, რომ ინდონეზია, ინდოეთი და სხვა ქვეყნები დარჩნენ საბჭოთა ზეგავლენის სფეროს გარეთ. ამიტომ, ჩვენი პოლიტიკის ამოსავალი წერტილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამ სცენარის განვითარების შეუძლებლობა უნდა იყოს“... ამ სიტყვების ავტორმა, შემდგომში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პოსტი დაიკავა ჯონ კენედისა და ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციებში.

⁴³¹ ანრი ეჟენ ნავარა (ფრანგ. Henri Eugène Navarre) (1898-1983წ.წ.) – ფრანგი სამხედრო ოფიცერი, საფრანგეთის არმიის გენერალი, I და II მსოფლიო ომებისა და ინდოჩინეთის I ომის მონაწილე, საფრანგეთის შორეული აღმოსავლეთის საექსპედიციო კორპუსის მეშვიდე და უკანასკნელი სარდალი. 1916 წელს შედის სენ-სირის სამხედრო სკოლაში და უკვე 1917 წლის მაისში აგზავნიან I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე, სადაც მსახურობს ჰუსართა მე-2 პოლკში. 1917 წლის აგვისტოდან საკავალერიო ოცეულის მეთაურია. 1918 წლის აპრილში ენიჭება ლეიტენანტის წოდება. სანიმუშო სამსახურისათვის ჯილდოვდება ბრინჯაოს ვარსკვლავით. 1919 წლიდან მსახურობს სირიაში, შემდეგ კი, საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში – გერმანიაში. 1927 წელს ამთავრებს კოლეჯს და სამსახურს განაგრძობს მაროკოში. 1934 წლიდან კაპიტანია და მსახურობს კირასირთა მე-11 პოლკში. 1940 წლის ივნისში ინიშნება ალჟირში გენერალ მაქსიმ ვიეგანის ბიუროს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსად. II მსოფლიო ომში საფრანგეთის გერმანული ოკუპაციის შემდეგ, 1942 წლიდან, ერთვება ანტიგერმანული წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1943 წლიდან მეთაურობს საფრანგეთის განმათავისუფლებელი არმიის ჯავშანსატანკო პოლკს. 1945 წელს იღებს ბრიგადის გენერლის წოდებას და ინიშნება გერმანიაში გაშლილი ფრანგთა მე-5 ჯავშანდივიზიის მეთაურად. აქვე ხდება გენერალ-მაიორი. 1952 წელს ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის (კორპუსის გენერლის) წოდება. 1953 წლის მაისში ინიშნება ინდოჩინეთში საფრანგეთის კოლონიური ჯარების სარდალად. სამხედრო სამსახურიდან გადადგა 1956 წელს.

⁴³² აქ ავტორი ამკარად ცდება. უნდა იყოს ლაოსელები და არა ტაილანდელები.

⁴³³ გენერალ ნავარას გეგმის მიხედვით, საფრანგეთის კოლონიური ჯარების მოქმედება ინდოჩინეთში ე.წ. „ზღარბის“ სტრატეგიით უნდა წარმართულიყო. სამხედრო მოქმედებების ეს კონცეფცია ისტორიულ გამოცდილებაზე იყო დაფუძნებული, რასაც წარმატებით იყენებდა ფრანგული მხარე კოლონიური ომების წარმოებისას ჩრდილოეთ აფრიკასა და იგივე ინდოჩინეთში 1882-1885 და 1952 წლებში. სტრატეგია „ზღარბის“ არსი მდგომარეობს პასიურ მდგომარეობაში მყოფი ოკუპანტი სამხედრო ორგანიზაციის მიერ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მძლავრი სამხედრო ბაზის შექმნაში და ამ ტერიტორიების ოპერატიულ კონტროლში. „ზღარბი“, მარტივად რომ ვთქვათ, ესაა ოკუპანტი მხარის მიერ ოკუპირებული ქვეყნის არაკეთილმოსურნე ტერიტორიაზე, რთული ლანდშაფტის დროს და საკომუნიკაციო ხაზების არარსებობის შემთხვევაში, მძლავრი სამხედრო ბაზისა და საფრენი პუნქტის შექმნა და მისი რეგულარული ლოჯისტიკური უზრუნველყოფა საჭაერო გზით. ამ კონცეფციის შესაბამისად, ფრანგების მიერ გადაწყდა ტონკინის რეგიონში, ლაოსის საზღვართან ახლოს, დასახლებულ პუნქტ დიენ ბიენ ფუსთან, სადაც უკვე არსებობდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელთა მიერ მოწყობილი სამხედრო აეროდრომი, გამაგრებული სამხედრო ბაზის შექმნა. ფრანგული საოკუპაციო ჯარების სარდლობის გათვლით, ბაზა მოწინააღმდეგის ნებისმიერ შტურმს მოიგერიებდა, მიაყენებდა მას საპასუხო დარტყმებს და ამავე დროს საშუალებას მისცემდა ფრანგულ საჯარისო დაჯგუფებას გაეკონტროლებინა მიმდებარე ტერიტორიები, იქ არსებული ინფრასტრუქტურა და საკომუნიკაციო ხაზები.

ჯარების გაგზავნას აღნიშნულ რაიონში. ეს კი, დიდი შეცდომაა. შეცდომა, რომელიც ძალიან მალე იჩინს თავს.

ნავარას ოფიცრები ჭოჭმანობენ, და ჰანოიდან დიდი დამორების გამო სარისკოდ მიიჩნევენ გენერლის ამ გეგმის შესრულებას. მათი აზრით, „ვეროპისათვის მისაღები სტრატეგიული გეგმების ასე მარტივად გადატანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჯუნგლების რაიონში შეუძლებელია“, მაგრამ ნავარა ჯიუტად დგას თავის აზრზე და ყველა საწინააღმდეგო აზრს უარყოფს.⁴³⁴

დიენ ბიენ ფუს ფრანგული ბაზის მოწყობის ოპერაცია იღებს კოდურ დასახელებას „კასტორი“, რომელიც გეგმის შესაბამისად, 1953 წლის 20 ნოემბერს იწყება. 10 საათსა და 30 წუთზე 1500 ფრანგი პარაშუტისტი ეშვება დიენ ბიენ ფუსთან მდებარე აეროდრომის სიახლოვეს. მცირე ბრძოლების შედეგად ისინი ვიეტმინელთა ორ ასეულს ანადგურებენ. აეროდრომის დაპყრობის შემდეგ ფრანგები თავდაცვითი ნაგებობების აღმართვას იწყებენ. შემდგომ დღეებში ფრანგების სამხედრო კონტიგენტი კიდევ უფრო იზრდება. საჰაერო გზით ფრანგები კიდევ ხუთი ათას ჯარისკაცს გადმოსხამენ. მათ შორისაა განსაკუთრებული დანიშნულების მქონე ელიტარული სამხედრო შენაერთი და საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ორი ბატალიონი.⁴³⁵ იწყება ბაზის გამაგრება და სხვადასხვა საინჟინრო და საფორტიფიკაციო თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა. გაიზარდა აეროდრომის ასაფრენი ზოლის ზომები, მის დასაცავად აიგო სავლე ფორტების მძლავრი სისტემა.⁴³⁶ გარშემო ბორცვებზე, მორტირებით, მძიმე ნაღმსატყორცნებით, ელექტრული ნაღმებითა და ეკლიანი მავთულხლართებით ფრანგები ქმნიან წრიულ თავდაცვით სიმაგრეს.⁴³⁷ მოკლე დროში დიენ ბიენ ფუს ფრანგული ბაზა თავისი მძლავრი ფორტებითა და გარნიზონით მთელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთ-ერთი უძლიერესი სიმაგრე ხდება. გენერალი ნავარა დარწმუნებულია და ერთი შეხედვითაც ისე ჩანს, რომ დიენ ბიენ ფუს ფრანგული ბაზის აღება გენერალ ჯიაპისა და ვიეტმინის ძალებს ალემატება.

მაგრამ გენერალი ნავარა ცდება თავის დასკვნებში და ისტორიაც სხვაგვარად განსჯის. გენერალი ჯიაპი გამოწვევას იღებს. მისი სტრატეგიული გეგმა პირველ ეტაპზე ითვალისწინებს დიენ ბიენ ფუს რაიონის მოსახლეობის თავის მხარეზე გადაბირებას, მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართვას, ფრანგული სამხედრო ბაზის იზოლირებას და მის გარშემო განტოტვილი საკომუნიკაციო და ლოჯისტიკური ქსელის შექმნას. ჯიაპის გეგმის მეორე ეტაპი კი, ითვალისწინებს დიენ ბიენ ფუს ბაზის ალყაში მოქცევას და მის განადგურებას უღმობელ საალყო ბრძოლაში. ვიეტმინისა და ჩრდილოეთ

⁴³⁴ ბრძოლა ჯუნგლებში – ამ ტერმინს ხმარობენ სამხედრო ქვედანაყოფების მიერ იმ ბრძოლის წარმოების საშუალებებისა და ტაქტიკის აღწერისას, რომელიც გამოიყენება ჯუნგლებში თვითგადარჩენისა და ბრძოლის წარმოების დროს. ბრძოლის ამ სახეობისას მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინებაა საჭირო:

- შეზღუდული ხედავ;
- შეზღუდული სამანევრო სივრცე;
- შეზღუდული ცეცხლის წარმოების სექტორები;
- დაბალი მობილურობა;
- არატრანსპორტაბელურობა;

– ჯარების დიდი მასების მარშისა და საბრძოლო ვაშლის შეუძლებლობა;

გარდა ამისა, ჯუნგლების გარემოსათვის დამანასიათებელია სხვადასხვა სახის მძიმე ტროპიკული და ინფექციური დაავადებების არსებობის მაღალი კოეფიციენტი.

⁴³⁵ უშუალოდ დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის პირადი შემადგენლობა 14,5 ათას კაცს შეადგენდა. აქ იმყოფებოდა 17 ქვეითი ბატალიონი, ალჟირელი არაბებისა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული კოლონიური ჯარის ქვედანაყოფები, სამი საარტილერიო ბატარეა, საინჟინრო-შენაღმეთა ქვედანაყოფები, ცალკეული სატანკო ბატალიონი და ავიაცია. დიენ ბიენ ფუს აეროდრომზე ბაზირებული იყო ფრანგთა ექვსი სადაზვერვო თვითმფრინავი და ექვსი ავიაგამანადგურებელი. კიდევ 7 ათასი სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა დიენ ბიენ ფუს რაიონში. მთლიანობაში, ადგილობრივი ძალების ჩათვლით, დიენ ბიენ ფუს ფრანგული სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა 15100 კაცს შეადგენდა.

⁴³⁶ „ზღარბის“ სტრატეგიის ხორცშესხმისათვის ფრანგების მიერ დიენ ბიენ ფუს გამაგრებულ რაიონში სულ აგებულ იქნა 7 სავლე ფორტი შემდეგი დასახელებებით – „ჰუგუტი“, „კლაუდინი“, „ლომინიკა“, „ანა-მარია“, „ბეატრისი“, „გაბრიელე“ და „იზაბელა“.

⁴³⁷ ფრანგების მიერ სულ აგებულ იქნა საცეცხლე წერტილებით, სანგრებითა და სრული პროფილის ტრანშეებით აღჭურვილი 49 საყრდენი პუნქტი.

ვიეტნამელი მებრძოლებისთვის საქმე ეხება არა მხოლოდ საკუთარი პირადი ღირსებისა და ფიზიკური არსებობის გადარჩენის, არამედ საერთოდ ვიეტნამელი ხალხის გადარჩენის საკითხს.

ჯუნგლების გაუვალ მასივებში სახელდახელოდ მოწყობილი გზებისა და ხიდების გავლით ჯაიპს მომავალი საბრძოლო მოქმედებების რაიონში შეჰყავს ორმოცდაშვიდი ათას ხუთასი ვიეტმინელი ჯარისკაცი, რომლებსაც ჯუნგლებში ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვთ. ამასთან ერთად, სოფლებში შეაქვთ დიდი რაოდენობით ბრინჯი და სხვა საკვები პროდუქტი, ასევე ჩინური წარმოების იარაღი, საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა. მოსახლეობა თანაუგრძობს ვიეტმინს და ნელ-ნელა მის მხარე გადადის. შემოტანილ იქნა აგრეთვე ნაღმსატყორცნები და არტილერია. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით იწყება სანგრების რთული სისტემის გათხრა. და ყველაზე მთავარი – ჯაიპი, ფარულად, ფრანგული ბაზის გარშემო, 100 კილომეტრი სიგრძის განტოტვილი გვირაბების სისტემას აწყობს, რომლის საშუალებითაც ვიეტმინის მებრძოლებს უშუალოდ ფორტებისა და სიმაგრეების სიახლოვეს შეუძლიათ მოხვედრა. საერთო ჯამში, ესაა საინჟინრო და ლოჯისტიკური სისტემის შედეგია, რომლის არსებობის შესახებაც ფრანგებს წარმოდგენაც კი არა აქვთ.

დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი ქრისტიან დე კასტრი⁴³⁸ დარწმუნებულია ბაზის უსაფრთხოებაში და აცხადებს, რომ მოწინააღმდეგე ვერანაირად ვერ შეძლებს ციხესიმაგრისა და მის გარშემო არსებული ფორტების დაბომბვას ირგვლივ მდებარე მთებიდან, რაშიც ძალიან ცდება. ჯაიპს ფრანგებისაგან ფარულად, შენიღბვის ყველა წესის დაცვით, ჯუნგლებში უკვე მოწყობილი აქვს მოსახერხებელი საარტილერიო პოზიციები ბაზის გარშემო მდებარე მთებზე, ვიეტმინის მებრძოლებს კი – ბუნკერები და მოსახერხებელი საცეცხლე პოზიციები.

ჯაიპი ბრძანებს ათი მეტრი სიღრმის კაზემატზე, კირის ციცაბო კლდეებზე მსხვილკალიბრიანი ქვემეხისათვის პოზიციების მოწყობას. დამანგრეველი ძალის მქონე, 105მმ-იანი მსხვილკალიბრიანი ქვემეხები გაჭირვებით ააქვთ ხელით ვიეტმინის მებრძოლებს მთის ვიწრო, დროებით გაყვანილ გზაზე, რომელიც ზემოდან საგანგებოდ არის დაფარული ბამბუკისა და სხვა ფართოფოთლოვანი ბუჩქებით. ამიტომ ფრანგული ავიაციისათვის შეუმჩნეველი რჩება ჯაიპის მებრძოლების ეს საომარი სამზადისი. ქვემეხების ერთ ნაწილს მთლიანად ფარავს მთა, კლდეებში არსებული გასასვლელიდან კი, მოწინააღმდეგის მიმართულებით მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრზე გამოშვებული ლულა მოჩანს. ჯერ არ ისვრიან, ჯაიპი ზუსტად ითვალისწინებს შეტევის დაგეგმილ დროს. ფრანგები ვერ ამჩნევენ ვერც ერთი ქვემეხის პოზიციას, თვით ინფრაწითელი სხივებიც კი არ იძლევა ჩვენებებს. დამატებით, ჯაიპი ბრძანებს მთელი რიგი ცრუ საარტილერიო პოზიციების მოწყობას და მათი იმიტაციური მუხტებით აღჭურვას. ეს მორიგი სამხედრო ხრიკია – ქვემეხებიდან გასროლისას წარმოქმნილი მოჩვენებითი კვამლით მათ მოწინააღმდეგის არტილერიის ყურადღება უნდა მიიქციონ.

ფრანგული გარნიზონის არტილერიის უფროსი, პოლკოვნიკი⁴³⁹ შარლ პირო სრულად ენდობა მის განკარგულებაში მყოფ 105მმ-იანი ქვემეხების საცეცხლე ძალას, მძიმე

⁴³⁸ ქრისტიან დე ლა კრუა დე კასტრი (ფრანგ. Christian Marie Ferdinand de La Croix de Castries) (1902-1991წ.წ.) – ფრანგი სამხედრო ოფიცერი, საფრანგეთის არმიის ბრიგადის გენერალი. II მსოფლიო ომისა და ინდოჩინეთის ომის მონაწილე. სამხედრო სამსახური დაიწყო 1922 წელს. 1926 წელს ენიჭება ოფიცრის პირველადი წოდება. II მსოფლიო ომის საფრანგეთის კამპანიის დროს ტყვედ ჩავარდა. 1941 წელს გარბის ტყვეობიდან და უერთდება ანტიჰიტლერულ ძალებს, რომლებიც იბრძოდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში, იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში და ბოლოს, სამხრეთ გერმანიაში. 1946 წელს ხდება პოლპოლკოვნიკი და იგზავნება ინდოჩინეთში. 1954 წელს ენიჭება პოლკოვნიკის წოდება და ინიშნება დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის უფროსად. დიენ ბიენ ფუს დაცემის შემდეგ ტყვედ უკარდება ვიეტნამელებს. ინდოჩინეთის ომის დასრულებისა და ჟენევის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ თავისუფლდება ტყვეობიდან და ბრუნდება სამშობლოში. აქ მას ბრიგადის გენერლის წოდება ენიჭება. გარდაიცვალა მშობლიურ პარიზში, 1991 წელს.

⁴³⁹ ავტორი აქ მცირე უზუსტობას უშვებს. დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის არტილერიის უფროსი ჩარლზ პირო ვიცე-პოლკოვნიკი იყო და არა პოლკოვნიკი.

155მმ-იანი კალიბრის შორსმსროლელ საარტილერიო ბატარეასა და 16 ერთეულ მძიმე ნაღმსატყორცს. „მათ რომც მოახერხონ რამდენიმე კარგად შენიღბული ქვემეხის მთებზე ატანა, რისიც მე არ მჯერა, გასროლისას ავარდნილი ლულის ალი და წარმოქმნილი კვამლი მაინც გასცემს მათ პოზიციებს, – ამბობს პირო დამცინავად, – და ჩემი მძიმე არტილერია დაუყოვნებლივ გააქრობს მათ!“ იგი უარს ამბობს ქვემეხებისა და საცეცხლე პოზიციების შენიღბვაზე და აცხადებს, – ისინი უნდა ტრიალებდნენ ყველა მიმართულებით და ყოველ წამს მზად უნდა იყვნენ სროლისათვის. პირო იმდენადაა დარწმუნებული თავისი პოზიციების სიმყარეში, რომ გენერალ ნავარას უარს ეუბნება დიენ ბიენ ფუს ბაზაზე დამატებითი ძალების შეყვანაზე. ეს კი ძალიან გულუბრყვილო საქციელი და მოწინააღმდეგის არასათანადოდ შეფასების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია.

რეალურად კი, ფრანგული გარნიზონი ფაქტობრივად უკვე ბლოკირებულია და ციხესიმაგრის გარნიზონის მიერ შეტევითი ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობაც აღკვეთილია. დიენ ბიენ ფუ ჩაკეტილია და იქამდე მიღწევა მხოლოდ საჰაერო გზითაა შესაძლებელი. ვიეტნამელებიც შესაბამისი ტაქტიკით იწყებენ მოქმედებას. ხშირდება დივერსიული ოპერაციები. 1954 წლის 6-7 მარტს ტონკინის აეროდრომებზე განადგურებულ იქნა 78 ფრანგული თვითმფრინავი, რითაც დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის მომარაგების საქმე ძალიან გართულდა. თუმცა ციხესიმაგრეში მყოფი ოფიცრებისა და ჯარისკაცების რწმენა საკუთარი უძლეველობის შესახებ მაინც დიდია და ისინიც ბრძოლისთვის არიან განწყობილნი. ჯიაპის ძალები კი, ერთი შეხედვით თითქოს პასიურობენ, აქტიურ შეტევით მოქმედებებს ადგილი არა აქვს. ფრანგულ გარნიზონში კი, პროკლამაციები ხელიდან ხელში გადადის: „სადა ხართ, მშობრებო, მოუთმენლად გელოდებით!“ ციხესიმაგრეში არავინ აცნობიერებს სინამდვილეში არსებულ საეჭვო სიტუაციას. სამაგიეროდ სხვანაირად ფიქრობს ზოგიერთი მაღალი რანგის ფრანგი სამხედრო, მაგალითად, გენერალი ფეი, საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი.⁴⁴⁰ იგი წუხილით გამოთქვამს თავის აზრს: „მე ვურჩივ გენერალ ნავარას დიენ ბიენ ფუდან ყველა შენაერთის სასწრაფოდ გამოყვანა, რადგან მას ომი უკვე წაგებული აქვს!“

13 მარტის ღამეს ვიეტმინელ დივერსანტთა ერთი ჯგუფი ახერხებს დიენ ბიენ ფუს აეროდრომის ტერიტორიაზე მალულად შეღწევას და ასაფრენი ზოლის აფეთქებას.⁴⁴¹ ამავე დროს ისინი ადგილზე ტოვებენ პროკლამაციებს, სადაც წერია: „დაგვნებდით სანამ დროა, ომი უკვე წაგებული გაქვთ, დიენ ბიენ ფუ თქვენს სასაფლაოდ იქცევა!“ ამ დივერსიულმა აქტმა ფრანგებისათვის მძიმე შედეგი გამოიღო – მათთვის აეროდრომით სარგებლობის შესაძლებლობა მკვეთრად შეიზღუდა.

იმავე დღეს, 13 მარტის ნაშუადღევს, ვიეტნამელები არტილერიის ურავანულ ცეცხლს უხსნიან ციხესიმაგრეს და ფრანგების საარტილერიო პოზიციებს. ფრანგები დაბნეულები და გაოცებულები არიან. შეშინებულები ბუნკერებს აფარებენ თავს და მსხვილკალიბრიანი არტილერიის თვრამეტ გასროლას ითვლიან წუთში. ვიეტმინის ექვს მოიერიშე ბრიგადას დავალებული აქვს აიღოს ბაზის ჩრდილოეთით მდებარე სამი სიმაგრე – „ანა-მარია“, „გაბრიელე“ და „ბეატრისი“. ჯიაპის თვითმკვლელი მებრძოლები თავს არ ზოგავენ. ისინი თავს სწირავენ და სწრაფად მირბიან ბუნკერებისაკენ, რათა მკერდით გადაეფარონ ფრანგების ამბრაზურებს და ამ ხერხით მისცენ თანამებრძოლებს წინ გადაადგილების საშუალება. ბრძოლა ვიეტმინელთა სასარგებლოდ სრულდება. „ბეატრისი“ ღამით გაანადგურეს, მომდევნო ღამეს კი, ჯიაპის მებრძოლებმა ჩრდილოეთის საყრდენი პუნქტი, ფორტი „გაბრიელეც“ აიღეს. ორივე სიმაღლის დაკარგვა საგრძნობ გარღვევას ქმნის ფრანგების თავდაცვის პერიმეტრში, რაც მეტად ასუსტებს ბაზის უსაფრთხოებას. ამ

⁴⁴⁰ გენერალი პიერ ფეი (ფრანგ. Pierre Fay) (1899-1971წ.წ.) საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსად 1953-1955 წლებში მსახურობდა.

⁴⁴¹ სხვა წყაროებით ეს ცნობები არ დასტურდება. აღნიშნულია, რომ აეროდრომის ასაფრენი ზოლი არა ვიეტკონგელთა რეიდის შედეგად, არამედ ვიეტნამელთა მძიმე არტილერიის დაბომბვის შედეგად განადგურდა.

მომენტი სათვის პოლკოვნიკი პიროც ხვდება თავისი საბედისწერო შეცდომის სიმძიმეს. მდგომარეობა მძიმეა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიღებულია. 15 მარტს იგი ბოდიშს უხდის თავის ოფიცრებს, ემშვიდობება მათ და მარტო შედის თავის ბუნკერში, შემდეგ ქამრიდან იღებს ხელყუმბარას, და რადგან მხოლოდ ერთი ხელი აქვს, კბილებით ხსნის მას.⁴⁴² მისთვის ყველაფერი დასრულებულია...⁴⁴³

დიენ ბიენ ფუს გარნიზონის პირად შემადგენლობაში საკუთარი უძლეველობისა და საფრანგეთის გამარჯვებაში არსებული რწმენა ნელ-ნელა ქრება. მათი თავდაჯერებულობა და საბრძოლო სულისკვეთებაც ეცემა. ხშირდება ღეზეტირობა, განსაკუთრებით გარნიზონის ტაილანდელ და ჩრდილოაფრიკელ ჯარისკაცებში. საფრანგეთის არმიის ტაილანდელი ჯარისკაცები ჯიაპის მხარეს გადადიან.

დაწყებული 28 მარტიდან უკვე შეუძლებელი ხდება ასაფრენი ზოლის გამოყენება, დაჭრილების ევაკუაციაც წყდება. სრულიად ბლოკირებული ციხესიმაგრის მომარაგება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ტვირთის ჰაერიდან ჩამოყრის გზით. ამერიკელები სთავაზობენ ფრანგებს მოკლე ვადაში სამოცი ერთეული B-29 სტრატეგიული ბომბდამშენის⁴⁴⁴ ვიეტნამში გაგზავნას ასი გამცილებელი ავიაგამანადგურებლით. ამერიკელები გაოგნებულები არიან ვიეტნამის ბრძოლისუნარიანობით. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობაში ვიეტნამისათვის ატომური დარტყმის მიყენების შესაძლებლობაც განიხილება. მაგრამ ამერიკის კონგრესს ასეთი ზომების მიღებაზე თანხმობა ჯერ არ განუცხადებია და დიდ ბრიტანეთსაც არ სურს ამ კონფლიქტში მონაწილეობის მიღება, რადგან ეს შესაძლებელია მსოფლიო ომის დაწყების აშკარა საშიშროებას ქმნის.

გარდა ამისა, გენერალი ნავარა უარყოფს ამერიკელების ამ შემოთავაზებას, რადგან ეშინია, რომ მოკავშირეთა მიერ გაერთიანებული ოპერაციის ჩატარებისას მას მეთაურობას ჩამოართმევენ. მან სულ სხვა რაღაც მოიფიქრა, რაც ძალიან ჰგავს განწირული კაცის ილუზორულ სახებას – იგი სრული სერიოზულობით იმედოვნებს დიენ ბიენ ფუს გადარჩენას ხელოვნური წვიმის მოყვანით. ვერცხლის იოდით გაჟღენთილი ხის ნახშირის მტვრის შეფრქვევით ღრუბლები ისე უნდა ჩამოიწველოს, რომ წვიმამ ვიეტნამელთა მომარაგების გზები გაუვალ ტალახად გადააქციოს და მათი მოქმედება შეზღუდოს. მაგრამ ეს ფანტასტიკური იდეაც ილუზიად რჩება, რაც გენერალ ნავარას მიერ დაშვებულ უკანასკნელ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

1954 წლის 1 მაისის ღამეს საბრძოლო მოქმედებების ახალი ეტაპი იწყება. ჯიაპის მებრძოლები გადამწყვეტ იერიშზე გადადიან. მაისის დასაწყისშივე გარნიზონის გასაძლიერებლად ფრანგებმა პარაშუტებით დიენ ბიენ ფუს ზეგანზე 4000 კაციანი საჰაერო დესანტი გადასხეს. ფრანგები გააფთრებული თავგანწირვით იბრძვიან გადარჩენისთვის. იწყება ოპერაცია „ალბატროსი“ – დიენ ბიენ ფუს ჯოჯოხეთური ალყის გარღვევის მცდელობა. მაგრამ ყველაფერი უშედეგოა, ოპერაცია „ალბატროსი“ იშლება – ჯიაპის მებრძოლები თავგანწირვით იბრძვიან და მედესანტებს არ აძლევენ გარე ალყის გარღვევის საშუალებას. მთელი ერთი კვირის განმავლობაში უწყვეტი საბრძოლო მოქმედებებისა და შეზღუდული რაციონის შედეგად დასუსტებული ფრანგული გარნიზონის ჯარისკაცებიც ვერ არღვევენ შიდა ალყას – მათი საბრძოლო დანაკარგები ძალიან დიდია.

⁴⁴² ვიცე-პოლკოვნიკი ჩარლზ პირო ინდოჩინეთის პირველ ომში, 1946 წლის 17 დეკემბერს გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა მძიმედ, რის შედეგადაც მან მარცხენა ხელი დაკარგა.

⁴⁴³ ვიცე-პოლკოვნიკი ჩარლზ პიროს დაღუპვის ამბავი რამდენიმე დღის განმავლობაში დამალული იყო, რათა ამ ამბის გამო არ დაცემულიყო გარნიზონის პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება. მისი გვამი საიდუმლოდ დამარხეს ბუნკერში, მაგრამ მცირე ხანში გაზეთებში გაჩნდა ცნობები მისი დაღუპვის შესახებ. გაუონილი ინფორმაციის წყარო უცნობია.

⁴⁴⁴ ავტორი აქ მცირე უზუსტობას უშვებს. ამერიკელებმა ფრანგებს საჰაერო მხარდაჭერისათვის B-26 Invador – ტაქტიკური დანიშნულების მოიერიშე ბომბდამშენები შესთავაზეს და არა სტრატეგიული ბომბდამშენები Boeing B-29 Superfortress. სტრატეგიული ბომბდამშენების გამოყენებით ტაქტიკური ღირებულების მქონე სამიზნეების განადგურება წერტილოვანი დარტყმებითა და საჰაერო დაბომბვებით არ ხდება. სტრატეგიული ბომბდამშენებით შესაძლებელია მხოლოდ ნოხისებური და ტერორისტული დაბომბვების განხორციელება.

მიუხედავად უმძიმესი ოპერატიული მდგომარეობისა, ფრანგი მეთაურები იხტიბარს მაინც არ იტყვენ და ისევ ილუზორულ სამყაროში აგრძელებენ ცხოვრებას. „დიენ ბიენ ფუმ თავისი ამოცანა შეასრულა, – განმარტავს გენერალი ნავარა, – მრავალი თვის განმავლობაში მან მოწინააღმდეგის ძალების ნახევარზე მეტი შებოჭა. ჩვენი დანაკარგები კი, ინდოჩინეთში ფრანგული საექსპედიციო კორპუსის საერთო რაოდენობის ხუთ პროცენტსაც არ შეადგენს.“ მისი სიტყვები ფატალურად გვახსენებს მესამე რაიხის იდეოლოგიური რუპორის, იოზეფ გებელსისა და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პროპაგანდის აგბედით გამოხმაურებას ალყაში მოქცეული სტალინგრადის ამბებთან დაკავშირებით, 1943 წლის თებერვალში.

მაისის დასაწყისისათვის გენერალი ჯიაპი ძალების კონცენტრაციას ახდენს და გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადება. ჯერ კიდევ ღარჩენილი სიმაგრეები „კატუმების“ დამანგრეველი ცეცხლით ნადგურდება. საწყობები ფეთქდება, ფრანგული ბაზის წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგება წყდება. ამ მომენტისათვის კი, ციხესიმაგრეში ჩარჩენილია შვიდასი-რვაასი ნახევრად ბრძოლისუნარო ჯარისკაცი და ოთხი ათასზე მეტი დაჭრილი. მაგრამ ფრანგები მაინც არ ნებდებიან და ისევ აგრძელებენ წინააღმდეგობის გაწევას. ისინი კაპიტულაციას არ აპირებენ და თეთრი დროშებიც არსად ჩანს. დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის შტაბიდან 1954 წლის 7 მაისის საღამოსათვის გადმოცემული უკანასკნელი რადიოშეტყობინება შემდეგი შინაარსისა იყო: „ყველგან მტერია, მაგრამ ბრძოლას ვაგრძელებთ. ჩვენ ყველაფერს ვაფეთქებთ... გაუმარჯოს საფრანგეთს!“

დიენ ბიენ ფუ კაპიტულაციის გამოუცხადებლად დაეცა.⁴⁴⁵ ვიეტმინი 7900 დაღუპულსა და დაახლოებით 15 ათას დაჭრილს ითვლის, ფრანგები კი ხუთი ათასზე მეტ დაღუპულს და უგზო-უკვლოდ დაკარგულს, და იმავე რაოდენობის დაჭრილს.⁴⁴⁶ ყველაფერი დასრულებულია. დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის სრულიად ძალაგამოცლილმა ღარჩენილმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ, ტანჯვით უნდა გაიარონ ხუთასი კილომეტრი სიგრძის გზა დანიშნულების ადგილამდე, სადაც კიდევ ბევრი მათგანი გამოესალმება სიცოცხლეს.⁴⁴⁷

ასე დასრულდა ინდოჩინეთის პირველი ომი. ვიეტმინმა გაიმარჯვა. დიენ ბიენ ფუს სისხლიანმა ეპოპეამ თავისი მისია შეასრულა. ვიეტმინსა და საფრანგეთის კოლონიურ მმართველობას შორის არსებული სამხედრო დაპირისპირება პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა. დიენ ბიენ ფუს დაცემიდან მეორე დღეს, 8 მაისს, ჟენევაში შეიკრიბებიან საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის

⁴⁴⁵ ავტორის მიერ წარმოდგენილი ეს საკითხი აშკარად უტრირებულია და იგი ჰეროიკული რაკურსითაა წარმოდგენილი. სიმართლე ისაა, რომ 1954 წლის 7 მაისს დიენ ბიენ ფუს ფრანგულმა გარნიზონმა, მისი მეთაურის, გენერალ ქრისტან დე კასტრის მეთაურობით, კაპიტულაცია გამოაცხადა და დანება ვიეტმინს. ფრანგების არდანებების შესახებ საუბარი შეიძლება შეეხოს მხოლოდ და მხოლოდ ფორტ „იზაბელას“ გარნიზონს, რომლის პირადი შემადგენლობა უცხოური ლეგიონის მე-3 ქვეითი პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ ანდრე ლალანდის (ფრანგ. André Lalande) მეთაურობით, 7-8 მაისის ღამით ბრძოლებით შეეცადა ალყის გარღვევას. ამ ბრძოლაში გარნიზონის დიდი ნაწილი დაიღუპა, თუმცა 73 კაცმა მაინც შეძლო ალყიდან გამოსვლა და ფრანგთა საოკუპაციო ჯარების განლაგებამდე მიღწევა.

⁴⁴⁶ კაპიტულაციის დღეს, 1954 წლის 7 მაისს, ვიეტნამელებს ტყვედ ჩაბარდა 10863 ფრანგი სამხედრო მოსამსახურე. საერთო ჯამში, დიენ ბიენ ფუს სააღყო ბრძოლების მთელი პერიოდის განმავლობაში, ვიეტნამელებმა 12 ათასზე მეტი ფრანგი აიყვანეს ტყვედ. ბრძოლებში ფრანგთა საექსპედიციო კორპუსმა დაკარგა: ქვეითთა და პარაშუტისტთა 21 ბატალიონი, 10 ცალკეული ასეული და მხარდამჭერი ქვედანაყოფი – სულ 16200 კაცი. აქედან – 3890 მოკლული, 12310 – ტყვედ აყვანილი. ვიეტნამელებმა გაანადგურეს 62 თვითმფრინავი, 74 ავტომობილი, 20 საარტილერიო დანადგარი, ანუ, მთელი საექსპედიციო კორპუსის მეოთხედი ნაწილი. მათ შორის პარაშუტისტთა ბატალიონები და უცხოური ლეგიონის გერმანული ქვედანაყოფები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულ სამხედრო ფორმაში ჩაცმულ ეროვნებით ყველა ვიეტნამელს ვიეტმინის მებრძოლები, როგორც მოალაბატეებს, ადგილზე ხვრტდნენ. საერთო ჯამში, ფრანგთა საბრძოლო დანაკარგები ვიეტნამში კოლოსალური იყო. შედარებისთვის ვიტყვი, რომ ეს დანაკარგები ორჯერ მეტი იყო ფრანგების მიერ II მსოფლიო ომში განცდილ დანაკარგებთან შედარებით. რა თქმა უნდა, ასეთი შედეგის დადგომა ვიეტნამელი ხალხის უდრეკი საბრძოლო სულისკვეთებისა და მათი მთავარსარდლის, გენერალ ვო ნგუენ ჯიაპის დამსახურების შედეგი იყო.

⁴⁴⁷ ვიეტმინს ტყვედ ჩაბარებულ ფრანგ სამხედრო მოსამსახურეებს შორის 4500-მდე დაჭრილი იყო. ქვეყნის დასავლეთით მდებარე ტყვეთა ბანაკებისკენ მიმავალ გრძელ გზაზე ასეულობით ტყვე ფრანგი დაიღუპა მიყენებული ჭრილობებისა და ავადმყოფობებისგან.

სახალხო რესპუბლიკის დელეგაციები, ასევე ვიეტმინის წარმომადგენლები და საფრანგეთზე დამოკიდებული ბაო-დაის მთავრობა,⁴⁴⁸ რათა ინდოჩინეთში საფრანგეთის კოლონიური იმპერიის ბედი განიხილონ.

1954 წლის 21 ივლისის ინდოჩინეთის კონფერენციის დასკვნითი აქტის თანახმად ინდოჩინეთი იშლება. საბოლოოდ, 1954 წლის სექტემბერში, ჟენევაში გამართული კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად ლაოსი, კამბოჯა და ვიეტნამი სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოები ხდებიან. ვიეტნამი მე-17 განედის გასწვრივ ორ სახელმწიფოდ იყოფა: საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილი კომუნისტური ჩრდილოეთ ვიეტნამი – „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა“, ხო ში მინის მეთაურობით და დედაქალაქით ჰანოი, და ანტიკომუნისტური, ამერიკელთა მიერ მხარდაჭერილი სამხრეთი ვიეტნამი – „ვიეტნამის სახელმწიფო“, პრემიერ მინისტრ ნგო ღინ ღიმით სათავეში და დედაქალაქით საიგონი.⁴⁴⁹

ინდოჩინეთის პირველი ომი დასრულდა. ღიენ ბიენ ფუს ბრძოლით ინდოჩინეთში საფრანგეთის კოლონიური ხანის დასასრული აღინიშნა.⁴⁵⁰ ვიეტმინის ძალებმა გენერალ ვო ნგუენ ჯიაპის მეთაურობით ფრანგებს გამაოგნებელი დამარცხება აგემეს.⁴⁵¹ საფრანგეთის შეიარაღებულმა ძალებმა უნდა დატოვონ ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი. ახლა უკვე ამერიკელები სჭარბობენ ფრანგებს რეგიონში პოლიტიკური გავლენით, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ ხვდებიან, თუ სად ყოფნენ და რა ხიფათში იგდებენ თავს. ამერიკელებს კი, ჯერ წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, თუ რამდენად არასახარბიელო შემკვიდრეობა ერგო მათ წილად. საკუთარი ღიენ ბიენ ფუ მათ წინ ელოდებოდა.

⁴⁴⁸ ბაო-დაი-დე (ვიეტნ. Bào-đài đé) (1913-1997წ.წ.) – ნგუენების დინასტიის მე-13 იმპერატორი და ვიეტნამის უკანასკნელი იმპერატორი, პროიაპონური მარიონეტული სახელმწიფო ვიეტნამის იმპერიისა და პროფრანგული ვიეტნამის სახელმწიფოს მმართველი. 1926-1945 წლებში იყო დღევანდელი ვიეტნამის ორ მესამედ ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო ანამის იმპერატორი, რომელიც ფრანგული ინდოჩინეთის პროტექტორატში შედიოდა. ტახტზე ავიდა 1932 წელს. 1945 წელს იაპონელებმა ინდოჩინეთში ხელისუფლებას ჩამოაცილეს ვიეტნამის ფრანგული ადმინისტრაცია და ქვეყნის მართვას ახორციელებდნენ ბაო-დაი-დეს მეშვეობით. ამ პერიოდიდან დაწყებული, ბაო-დაი-დემ სახელმწიფოს დასახელება „ანამი“ შეცვალა დასახელებით – „ვიეტნამი“. II მსოფლიო ომში იაპონელთა კაპიტულაციისა და ხელისუფლებაში ხო ში მინის მოსვლის შემდეგ იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო. 1949-1955 წლებში ბაო-დაი-დე იყო სამხრეთ ვიეტნამის სახელმწიფოს ფორმალური მეთაური. ამ პერიოდში სახელმწიფოს რეალურად მართავდა პრემიერ მინისტრი ნგო ღინ ღიმი. 1955 წლიდან კი, სამხრეთ ვიეტნამის ფორმალური მონარქიაც გაუქმდა.

⁴⁴⁹ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთისა და კორეის შემდეგ, კიდევ ერთი, უკვე მესამე, ორ სახელმწიფოდ გახლეჩილი და იდეოლოგიურად დაპირისპირებული ერთი ერი გაჩნდა...

⁴⁵⁰ ისტორიული რეალობაა, რომ საფრანგეთის გამანადგურებელმა მარცხმა ინდოჩინეთში, და ამ ამბებამდე 14 წლით ადრე მათივე სამარცხვინო მარცხმა გერმანელებთან II მსოფლიო ომში, მნიშვნელოვნად შელახა ამ დიდი კოლონიალური იმპერიის პრესტიჟი მთელი მსოფლიოს, ნატოს სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების თვალში. თავად იმპერიის საზღვრებში და საფრანგეთის სხვა კოლონიებში კი, ამ მარცხმა მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების გააქტიურებას. ეს აქტიურობა განსაკუთრებით საფრანგეთის ჩრდილოაფრიკულ კოლონიებს შეეხო, რომლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ინდოჩინეთის ფრანგული საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში იყო ჩართული და ამ ომში იბრძოდა. 1954 წლის შემოდგომაზე, ღიენ ბიენ ფუს ბრძოლების დასრულებისა და ფრანგთა კაპიტულაციიდან ექვს თვეში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო ალჟირში. 1956 წლისათვის კი, მაროკოსა და ტუნისის პროტექტორატებმა საფრანგეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

⁴⁵¹ ღიენ ბიენ ფუს ბრძოლა ერთ-ერთი პირველი იყო ომების ისტორიაში, სადაც დაპყრობილი ქვეყნის ჯარმა გამანადგურებელი მარცხი აგება მძლავრი კოლონიური სახელმწიფოს კარგად აღჭურვილ და მომზადებულ შეიარაღებულ ძალებს. აქ მთავარი და საინტერესო საკითხი ის იყო, რომ ვიეტმინმა და გენერალმა ვო ნგუენ ჯიაპმა არა პირადი შემადგენლობის რიცხობრივი უპირატესობით, არამედ სამხედრო ხელოვნების ყველა ასპექტში დახვეწილი სამხედრო სტრატეგიის გატარებითა და საბრძოლო ტაქტიკით აჯობა ფრანგთა კოლონიურ ჯარებს და მის სარდლობას.



ფილიპ ლეკლერკი
(1902-1947)



ანრი ნავარა
(1898-1983)



პიერ ფევი
(1899-1971)



ქრისტიან დე კასტრი
(1902-1991)



სო ში მინი
(1890-1969)



ვო ნგუენ ჯიაპი
(1911-2013)




ბაო-დაი-დე
(1913-1997)




ჟენევის კონფერენცია, 1954 წლის სექტემბერი




ვო ნგუენ ჯიაპი და ზო ში მინი.
1945 წლის ოქტომბერი



1948 წელი. ამ ფოტოზე ჯიაპი 37 წლისაა. მან ახლახანს მიიღო ვიეტნამის სახალხო არმიის გენერლის წოდება და ვიეტნამის რესპუბლიკის პირველი თავდაცვის მინისტრიც გახდა






ფრანგი პარაშუტისტების დესანტირება ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავიდან Fairchild C-119 Flying Boxcar C-119



1953 წლის 20 ნოემბერი. ოპერაცია „კასტორი“. ფრანგთა საჰაერო დესანტის გადმოსხმა დიენ ბიენ ფუში



ოპერაცია „კასტორის“ სქემა. ამ ოპერაციის ფარგლებში ფრანგების მიერ დიენ ბიენ ფუს რაიონში დესანტირებულ იქნა ექვსი საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი. ფრანგულმა ძალებმა საერთო ჯამში დაიკავეს 16კმ სიგრძისა და 3კმ სიგანის ტერიტორია, რომელიც გარშემორტყმული იყო ხშირი ტყით დაფარული მთებითა და ბორცვებით



ფრანგთა მიერ თავდაცვის ზღუდეების მოწყობა



ამერიკული ტანკების M-24 "Chaffie" აწყობა დიენ ბიენ ფუს აეროდრომზე



დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის სარდლობა. ანრი ნავარა (ცენტრში), რენე კონი (მარცხნიდან პირველი) და ქრისტოან დე კასტრი (მარცხნიდან მეორე)



პოლკოვნიკი ქრისტოან დე კასტრი ფორტ „კლაუდინის“ საშტაბო ბუნკერში





გარნიზონის არტილერიის უფროსი, პოლკოვნიკი შარლ პირო (მარჯვნივ) თავის ბუნკერში. ფოტოზე კარგად ჩანს პოლკოვნიკის ფიზიკური ნაკლი – ამპუტირებული მარცხენა ხელი




დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის ოფიცერთა ჯგუფი



დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის მსუბუქი ამერიკული ტანკი M-24 “Chaffie”





დიენ ბიენ ფუს გამაგრებული რაიონის ძირითადი ფრანგული და ვიეტნამური პოზიციები



დიენ ბიენ ფუს ბაზის განადგურების ოპერაციის დაგეგმვა. 1953 წლის დეკემბერი



ვიეტმინელებს ფარულად გაჰყავთ ჯუნგლებში ღიენ ბიენ ფუს ფრანგულ ბაზასთან მისასვლელი გზა



სურსათის, საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გადასატანად ვიეტმინელები ძირითადად ველოსიპედებს იყენებდნენ



ვიეტმინის მებრძოლებს ჯუნგლებში გადააქვთ 105მმ-იანი ჰაუბიცა M101



ფრანგთა ალყაში მოქცეული ბანაკის ხედი, 1954 წელი



სანგრებში ჩამსხდარი ვიეტმინის მებრძოლები ელოდებიან შეტევის დაწყების სიგნალს



დიენ ბიენ ფუს აეროდრომი ვიეტმინელთა მიერ პირველი საარტილერიო დაბომბვის დროს. 1954 წლის მარტი



ვეტმინი შეტევაში



დაჭრილები ევაკუაციის მოლოდინში. 1954 წლის 17 მარტი





ვიეტნამის მიერ ჩამოგდებული ფრანგთა თვითმფრინავი, 1954 წლის 14 მარტი





ჯიაპის მებრძოლების მიერ ჩამოგდებული 50-ე ფრანგული თვითმფრინავი





დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის სამედიცინო სამსახურის უფროსი, მაიორი პოლ-ანრი გროვენი ქირურგიული ოპერაციის დროს. 1954 წლის მარტი





1954 წლის 14 მარტი-6 მაისის პერიოდში დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის გასაძლიერებლად საჰაერო გზით გადასხმულ იქნა 4304 ჯარისკაცი, თუმცა ეს ძალისხმევა ამოუ გამოდგა. 6 მაისისათვის ფრანგთა საბრძოლო დანაკარგები უკვე 5000-ს შეადგენდა



დიენ ბიენ ფუში გადასხმული საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ჯარისკაცები, 1954 წლის 16 მარტი. ფოტო გადაღებულია ვიეტნამის მასიური შეტევითი მოქმედებების დაწყებამდე ორი კვირით ადრე



უცხოური ლეგიონის მე-10 ბატალიონის ჯარისკაცები ტონკინის ჯუნგლებში რეიდის დროს



ფრანგი ჯარისკაცები ასაფლავენ ფორტ „იზაბელაში“ დაღუპულ თანამებრძოლებს




ფრანგები ნებღებთან



გამარჯვებული ჯიაპი



ვიეტმინის მიერ აღმართული გამარჯვების დროშა ღიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის შტაბზე



კაპიტულაცია



დიენ ბიენ ფუს ფრანგული გარნიზონის ტყვეები





გამარჯვება!

§3.4. ფიასკო ღორების ყურეში (კუბა, 1961 წლის 17-20 აპრილი)

1959 წლის იანვარში ახალგაზრდა ფიდელ კასტრომ⁴⁵² და მისმა მომხრეებმა გაბელული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად კუბის პრემიერ-მინისტრი და დიქტატორი რუბენ ბატისტა,⁴⁵³ რომელიც 1933 წლიდან თითქმის გამუდმებით იმყოფებოდა ხელისუფლების სათავეში, ჩამოაგდეს და კუბიდან გააძევეს. კასტროს მმართველობის პირველივე დღეებიდან ათასობით კუბელის მიმართ, რომლებიც კასტროს რევოლუციურ იდეებს არ იზიარებდა, დევნა და რეპრესიები დაიწყო. ბევრი მათგანი დააპატიმრეს, ბევრი კი, იძულებული გახდა უცხოეთში გაქცეულიყო. ლტოლვილებმა ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰავეს თავშესაფარი. ხოლო სამშობლოში ბატისტას შვიდასზე მეტი მხარდამჭერი გაასამართლეს და დახვრიტეს ხანმოკლე და უაზრო სასამართლო პროცესის შემდეგ. ძალიან მალე კი, ფიდელ კასტროს მიერ დამყარებული კომუნისტური რეჟიმიც დიქტატურად გარდაიქმნა. 1960 წლის ოქტომბრიდან კუბაზე მკაცრი პარტიული და პოლიტიკური ცენზურა დამყარდა. უკვე აღარ გამოდის არც ერთი თავისუფალი ჟურნალი და გაზეთი, იღვენება ყველა კრიტიკულად განწყობილი და სხვაგვარად მოაზროვნე კუბელი. დაიწყო მიწების ნაციონალიზაციის პოლიტიკა, ანგარიშმიუცემლად ასხვისებენ ქონებას, რაც უმეტესად ამერიკელების მიერ ამუშავებული მალარობის, სამრეწველო საწარმოებისა და სასტუმროების ჩამორთმევაში გამოიხატებოდა.

1959 წლის ბოლოდან ფლორიდაში გაქცეული ლტოლვილები, მაიამის კუბელი ემიგრანტები, ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო წრეების მხარდაჭერით, სამშობლოში დაბრუნებისა და შეიარაღებული გზით კასტროს რეჟიმის დამხობის გეგმას ამუშავებენ. ამ გეგმას და ემიგრანტი კუბელების მიერ ე.წ. „განმათავისუფლებელი არმიის“ შექმნის იდეას პრეზიდენტი ეიზენჰაუერიც უჭერს მხარს.⁴⁵⁴ მათი შეიარაღება და საბრძოლო სწავლება, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA – Central Intelligence Agency) ხელმძღვანელობით, გვატემალაში არსებულ საიდუმლო ბაზებზე უნდა წარიმართოს.⁴⁵⁵ გეგმის მიზანი კუბელი ლტოლვილების საბრძოლო მომზადება, გაწვრთნა და მათი კუბაზე ინტერვენციაა, სადაც მათ ანტისამთავრობო გამოსვლებსა და პარტიზანული ომის დაწყებას უნდა მისცენ ბიძგი. დესანტის გადმოსხმისას განმათავისუფლებელ არმიას დახმარება უნდა გაუწიოს აშშ-ის საჰაერო ძალების თექვსმეტმა Martin B-26 ბომბდამშენმა,⁴⁵⁶ რომლებმაც

⁴⁵² ფიდელ ალესანდრო კასტრო რუსი (ესპ. Fidel Alejandro Castro Ruz) (1926-2016წწ.) – ცნობილი რევოლუციონერი, კუბის რევოლუციური მოძრაობის ლიდერი და ხელმძღვანელი, კუბის სამხედრო, პოლიტიკური, სახელმწიფო და იდეოლოგიური მოღვაწე, კუბის სახელმწიფოს ხელმძღვანელი და მეთაური 1959-2006 წლებში, კუბის სახალხო არმიის კომანდანტე. სახელმწიფო დონეებზე ეკავა 1959-1976 წლებში კუბის პრემიერ მინისტრის, 1976-2008 წლებში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ამავე წლებში – კუბის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები. 1962 წლიდან – სოციალისტური კუბის ერთიანი პარტიის თავმჯდომარე, ხოლო 1965-2011 წლებში – კუბის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობის დროს კუბა გარდაიქმნა ერთპარტიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ, ქვეყნის სამრეწველო ობიექტები და კერძო საკუთრება ნაციონალიზებულ იქნა, გატარდა მასშტაბური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები.

⁴⁵³ რუბენ ფულხენსიო ბატისტა სალვადორი (ესპ. Rubén Fulgencio Batista y Zaldívar) (1901-1973წწ.) – ცნობილი კუბელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, კუბის მმართველი. ქვეყნის სამხედრო ლიდერი 1933-1940 წლებში, პრეზიდენტი 1940-1944 და 1954-1959 წლებში, და დროებითი პრეზიდენტი 1952-1954 წლებში. 1933 და 1952 წლებში კუბაზე განხორციელებული სამხედრო გადატრიალებების ორგანიზატორი. ჩამოგდებულ იქნა კუბის რევოლუციის მიერ 1959 წლის 1 იანვარს.

⁴⁵⁴ 1960 წლის 17 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, დუაით ეიზენჰაუერმა დაამტკიცა კუბის მთავრობის ჩამოგდების კომპლექსური გეგმა. ეს გეგმა ოთხ მიმართულებას მოიცავდა:

1. კუბის ერთიანი ოპოზიციის შექმნა;
2. რადიოსადგურის გამართვა კუბაზე „რუნი“ გადაცემების ტრანსლირებისათვის მოკლე და გრძელ ტალღებზე;
3. კუბაზე სადაზვერვო და ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოება;
4. კუბის გარეთ გასამხედროებელი ძალების შექმნა და კუბაზე ინტერვენციის მომზადება;

⁴⁵⁵ გვატემალასთან ერთად კუბის განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლების სწავლება და საბრძოლო გაწვრთნა ნიკარაგუის სამხედრო ბაზებზეც უნდა განხორციელებულიყო.

⁴⁵⁶ Martin B-26 Marauder – II მსოფლიო ომის პერიოდის ამერიკული ორძრავიანი შვიდადგილიანი საშუალო რადიუსის მოქმედების ბომბდამშენი თვითმფრინავი. პირველი სერიული თვითმფრინავი ცაში აფრინდა 1940 წლის 25 ნოემბერს.

ნიკარაგუაზე მდებარე საიდუმლო ბაზიდან კუბაზე უნდა გადაიყვანონ განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები.⁴⁵⁷ თავისი შინაარსით ესაა საჰაერო დესანტირების ოპერაცია, რომლის წარმატებით აღსრულებაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამ ოპერაციის მთავარი პირობა ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ისე უნდა წარმოადგინოს სურათი, თითქოს ოფიციალურად იგი არ არის ჩართული ოპერაციის მომზადებასა და მართვაში.

1960 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ახალგაზრდა, 43 წლის ჯონ ფიცჯერალდ კენედის⁴⁵⁸ ირჩევნენ. მას არ მოსწონს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ შემუშავებული კუბის ინტერვენციის გეგმა და მის გადაშეშვებასა და შემდგომ დახვეწას მოითხოვს. გარკვეული დროის შემდეგ წარმოდგენილ ახალ გეგმაში პირველი ვარიანტით განსაზღვრული საჰაერო დესანტის გადასხმის, ინფილტრაციისა⁴⁵⁹ და

ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 455კმ/სთ, საბრძოლო მოქმედების რადიუსი – 1850კმ, პრაქტიკული ჭერი – 6400მ, შეიარაღება – II ცალი 12,7მმ კალიბრის „ბრუნინგის“ ტყვიამფრქვევი. საავიაციო ბომბების მარაგი 1800კგ. სულ გამოშვებულ იქნა 1883 ერთეული Martin B-26 Marauder. აღნიშნული თვითმფრინავები ინტენსიურად გამოიყენებოდა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დაწყებული ცივი ომის სამხედრო კონფლიქტებში. ამ თვითმფრინავების მოდიფიცირებული ვარიანტის გარკვეული რაოდენობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შეიარაღებაში 1969 წლამდე იმყოფებოდა.

457 მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ოპერაციაში ჩართული ყველა ამერიკელი საფრენი აპარატის ფიზიკური და დაღალბილი იყო კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების ფერებში და მათზე დატანილი იყო შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნები.

458 ჯონ ფიცჯერალდ კენედი (ინგლ. John Fitzgerald «Jack» Kennedy) ცნობილი იყო ასევე JFK-ის (სახელის აბრევიატურა) სახელით (1917-1963წ.წ.) – XX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიოსა და ამერიკის ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1961-1963 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების 35-ე პრეზიდენტი და ამავე დროს აშშ-ის ყველაზე ახალგაზრდა არჩეული პრეზიდენტი, II მსოფლიო ომის მონაწილე. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებათა თეატრზე – მეთაურობდა სატორპედო კატარას. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოებულ იქნა მრავალი საბრძოლო მედლით. ომის დასრულებისთანავე შეუდგა პოლიტიკურ კარიერას. 1947 წელს მასაჩუსეტსის შტატიდან არჩეულ იქნა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში. 1953-1960 წლებში იყო აშშ-ის კონგრესის სენატორი მასაჩუსეტსის შტატიდან. 1960 წელს ჯონ კენედი კენჭს იყრის პრეზიდენტობაზე და იმარჯვებს რესპუბლიკელთა კანდიდატზე, რიჩარდ ნიქსონზე. ამრიგად, 43 წლის ჯონ კენედი გახდა აშშ-ის ყველაზე ახალგაზრდა არჩეული პრეზიდენტი, აშშ-ის პირველი კათოლიკე პრეზიდენტი და ამავე დროს XX საუკუნეში დაბადებული ქვეყნის პირველი პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის თითქმის სამწლიანი პერიოდი აღინიშნა ბერლინის კრიზისით, კარიბის აუზის კრიზისით, კუბაზე „ღორების ყურში“ ჩატარებული წარუმატებელი ოპერაციით, ვიეტნამის საკითხით დაინტერესებით და ვიეტნამში წინასაომარი სიტუაციის შექმნით, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის შორის კოსმოსური დაპირისპირების დაწყებით, რამაც სათავე დაუდო ამერიკელთა „აპოლოს“ პროგრამას, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში შაკანინათა უფლებების დაცვის გაძლიერებით. მოკლულ იქნა 1963 წლის 22 ნოემბერს, დაღასში.

459 ინფილტრაცია წარმოადგენს საბრძოლო მოქმედების ტაქტიკას, სადაც კარგად მომზადებული და აღჭურვილი ქვეითთა მცირერიცხოვანი რაზმები შეუმჩნეველად კვეთენ ფრონტის ხაზს, ღრმად აღწევენ მოწინააღმდეგის ზურგში და შეტევა მიაქვთ იქ არსებულ მაღალი ღირებულების მქონე სამიზნეებზე – შტაბები, საკომანდო პუნქტები, საწყობები, ლოჯისტიკური ბაზები, რადიოსადგურები, საკომუნიკაციო ხაზები და ა.შ. ამის შემდგომ კი, ძირითადი ძალები უკვე მძიმე ტექნიკითა და შეიარაღებით შეტევას ახორციელებენ მოწინააღმდეგის ძირითად ძალებზე. ინფილტრაციის ტაქტიკა ვერ კიდევ I მსოფლიო ომის დროს იქნა შემუშავებული, რომლის იდეაც გერმანულ გენერალს, ოსკარ ფონ ჰუტიეს ეკუთვნოდა. მრავალი გადახდილი ბრძოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, გენერალმა ჰუტიემ დაასკვნა, რომ შეტევის სტანდარტული სქემით წარმოება, რაც გულისხმობდა ხანგრძლივ წინასაარტილერიო მომზადებას, რასაც ქვეითთა მასობრივი შეტევა მოსდევდა, შემტევი მხარისათვის ძალიან დიდ მსხვერპლთან იყო დაკავშირებული. ინფილტრაციის ტაქტიკა 1917 წლიდან დაიწყო. წინასაარტილერიო მომზადებისა და ქვეითთა მასობრივი შეტევის მაგივრად, მტრის გამაგრებული წერტილებისა და პუნქტების წინააღმდეგ იგზავნებოდა კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებული და აღჭურვილი მცირე ქვედანაყოფები, რომლებიც ღამის საფარის, რელიეფისა და ლანდშაფტის გამოყენებით უჩუმრად აღწევდნენ დანიშნულების წერტილს, სადაც ხდებოდა მოწინააღმდეგის მაღალი ღირებულების სამიზნეების განადგურება... და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ქვეითთა მასობრივი შეტევა, მათი გადასვლა ფრონტის ნეიტრალურ, მკვდარ ზონაში და ხორციელებოდა შეტევა მტრის პოზიციებზე... ეს ტაქტიკა წარმატებით გამოიყენებოდა I მსოფლიო ომის ბოლო წლებში. მას სხვადასხვა ფორმით იყენებდნენ რუსი გენერალი ალექსეი ბრუსილოვი „ბრუსილოვის გარღვევის“ დროს 1916 წლის ბოლოს, კანადის საარმიო კორპუსი 1917 წელს, აგრეთვე გერმანელები რიგის ალფისას გამართული ბრძოლაში 1917 წლის სექტემბერში და კაპორეტოს ბრძოლაში 1917 წლის ოქტომბერში. ინფილტრაციის ტაქტიკამ შვა ისეთი სპეციალური სამხედრო ერთეული, რომელმაც შემდგომ პერიოდებში ფართო განვითარება და გამოყენება ჰპოვა სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების სტრუქტურებში. ესაა „მოიერიში“ ან „საცეცხლე ჯგუფები“ – ჯარისკაცთა მცირე ქვედანაყოფები, კარგად აღჭურვილი, შეიარაღებული და სპეციალურად მომზადებული სამხედრო ერთეულები, ავტონომიის მაღალი ხარისხით, რომელთაც ევალებათ მტრის ტერიტორიაზე შეღწევა, დივერსიების განხორციელება და კონკრეტული სპეციალური დავალებების შესრულება – ძირითადი შენაერთებისათვის შეტევის მომზადება. მოიერიშეთა პირველ ქვედანაყოფებს გერმანელი ოფიცერი, მაიორი ვილი (ვილჰელმ) რორი მეთაურობდა.

შემდგომი პარტიზანული ომის წარმოების სცენარისაგან ბევრი აღარაფერი რჩება. ჰაერიდან გადასხმის ოპერაცია საზღვაო დესანტირების ოპერაციით იცვლება. მეორე, სრულიად ახალი ვარიანტის მიხედვით, Martin B-26 ამერიკულმა მოიერიშე ბომბდამშენებმა უნდა გაანადგურონ კასტროს სამხედრო-საჰაერო ძალები და მხარი დაუჭირონ საზღვაო დესანტის გადასხმის ოპერაციას, რომელიც კუბის სამხრეთ სანაპიროზე, ე.წ. „ლორების ყურეში“ უნდა განხორციელდეს.

ახალი გეგმის არსი შემდეგში მდგომარეობს – დესანტმა უნდა მოიპოვოს და გაამაგროს სანაპირო პლაცდარმი „ლორების ყურეში“, შემდეგ კი, არტილერიითა და ჯავშანტექნიკით აღჭურვილმა შენაერთებმა უნდა გააკონტროლონ სანაპირო ზოლის საკმაოდ გრძელი მონაკვეთი. ისინი დაელოდებიან კუბის კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ანტისამთავრობო აჯანყების დაწყებას კუბაზე და ორ ფრონტზე შეუტევენ კასტროს. ამავე დროს, უნდა შეიქმნას კუბის დროებითი მთავრობა, რომელსაც დაუყოვნებლივ აღიარებს ამერიკის შეერთებული შტატები და გაუწევს მას სამხედრო დახმარებას.⁴⁶⁰

თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ ეს არ არის სრულფასოვანი და დამაჯერებელი სტრატეგია, მას ბევრი სუსტი წერტილი გააჩნია, მაგრამ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ჯარების სახეობათა შტაბების უფროსები ირწმუნებიან, რომ გეგმას აქვს წარმატების მიღწევის დიდი შანსი. ცოტა არ იყოს გასაკვირია, თუ როგორ შეიძლება მაღალი რანგის გამოცდილი სამხედროები იმ დასკვნამდე მისულიყვნენ, რომ ერთი პოლკის თუ ბრიგადის სიდიდის სამხედრო ნაწილი, დაახლოებით ათასოთხასი ემიგრანტი კუბელი, ე.წ. „კუბის განმათავისუფლებელი არმიის“ მებრძოლები, რომელთაგან ძალიან ცოტაა რეგულარული ომის წარმოებისათვის მომზადებული ჯარისკაცი და არ გააჩნიათ არავითარი საბრძოლო გამოცდილება, შეძლებდა გამარჯვების მიღწევას კომუნისტური კუბის ორასიათასიან არმიასა და მილიციაზე. ცხადია, ისინი მწარედ ცდებოდნენ.

პრეზიდენტი კენედის სექსტიკურადაა განწყობილი ახალი გეგმის მიმართ და ბოლომდე არ სჯერა მისი წარმატებისა. მართალია, კუბის განმათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცების საბრძოლო და პოლიტიკური სულისკვეთება მაღალია, რაც საზოგადოდ ბევრს ნიშნავს დასახული ამოცანის შესრულებაში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი გამარჯვების მისაღწევად. ეს მებრძოლები უმეტესად სტუდენტები, გლეხები, მეთევზეები და თავისუფალი პროფესიის ბიზნესმენები არიან, რომელთაც არასდროს არ სჭერიათ იარაღი ხელში და არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. მათ წარმოადგენდა კი არა აქვთ სამხედრო საქმესა და საბრძოლო ტექნიკებზე. ასაკობრივი თვალსაზრისითაც ძალიან ჭრელი სურათია. მათ შორის ძალიან ბევრია თექვსმეტი წლის ახალგაზრდა და ზოგიერთი – სამოც წელს გადაცილებული მოხუციც. რა თქმა უნდა, ეს მეტად ყურადსაღები ცნობებია, მაგრამ დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დირექტორი, ალენ დალესი,⁴⁶¹ ნდობით აღჭურვილი „კავშირების მქონე პირისგან“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არწმუნებს პრეზიდენტს, რომ კუბაზე იმყოფება კასტროსთან დაპირისპირებული ანტიკომუნისტური

⁴⁶⁰ 1961 წლის მარტში, ფლორიდაზე, მაიამიში, კუბელ ემიგრანტთაგან შეიქმნა ქვეყნის მომავალი მთავრობა – „კუბის რევოლუციური საბჭო“, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ – ხოსე მირო კარდონა, მანუელ ვერონა და მანუელ რეი.

⁴⁶¹ ალენ დალესი (ინგლ. Allen Welsh Dulles) (1893-1969წ.წ.) – ამერიკელი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, განათლებით იურისტი, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დაზვერვის მთავარი უწყების – „ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (სამმართველოს)“ (CIA – Central Intelligence Agency) პირველი სამოქალაქო და ამ თანამდებობაზე ყველაზე დიდხანს მყოფი დირექტორი. როგორც „ცივი ომის“ ეპოქის აშშ-ის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი, იგი მეთვალყურეობდა და აკონტროლებდა მისი ორგანიზაციის მიერ 1953 წელს განხორციელებულ ოპერაცია „აიკას“-ს (ირანის არჩეული ხელისუფლების ჩამოგდება), 1954 წელს გვატემალაში მოწყობილ ანტისამთავრობო აჯანყებას, ზემაღალი ფრენისა და შორი მოქმედების რადიუსის სადაზვერვო თვითმფრინავი Lockheed U-2-ის გამოყენებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებული საჰაერო დაზვერვის პროგრამას და კუბაზე, „ლორების ყურეში“ განხორციელებული საზღვაო დესანტის გადასხმის სამხედრო ოპერაციას. ალენ დალესი ამავე დროს იყო პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის საგამოძიებო კომისიის წევრი. მის უფროს ძმას, ჯონ ფოსტერ დალესს კი, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციაში, 1953-1959 წლების პერიოდში, სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა.

კერა, წინააღმდეგობის მოძრაობის მძლავრი ცენტრი – ორი ათასი ხუთასი ორგანიზებული მებრძოლი და მინიმუმ ოცი ათასი მათი მხარდამჭერი.

ეს ისეთივე მცდარი შეტყობინებაა, როგორც იმის მტკიცება, რომ კუბის მოსახლეობის მეოთხედი მაინც, მხარს უჭერს ინტერვენციაში მონაწილე კუბელ ემიგრანტებს და თითქოსდა ისინიც მზად არიან აჯანყებისთვის. თითქოსდა ისინი სულმოუთქმელად ელიან კუბაზე „განმათავისუფლებელი არმიის“ დესანტის გადასხმას. ეს ე.წ. „კავშირების მქონე პირისგან“ მიღებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. გარდა ამისა, ის ვარაუდი, რომ „კუბის განმათავისუფლებელი არმიის“ ჯარისკაცები და მათი მხარდამჭერები პირველი წარუმატებლობის შემთხვევაში შეძლებენ მთებში გაქცევას და იქიდან ხანგრძლივი პარტიზანული ომის წარმოებას, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ფაქტი ისაა, რომ ისინი არ არიან მომზადებულნი ასეთი ტიპის ომის საწარმოებლად. მათ ამისათვის არც შესაბამისი ცოდნა გააჩნიათ და არც შესაბამისი გამოცდილება. ამ მომენტს არავენ არ ითვალისწინებს. ყველაფერთან ერთად, ესკამბრიის მთები, სადაც პირველი წარუმატებლობის შემთხვევაში უნდა შეაფარონ თავი „განმათავისუფლებელი არმიის“ მებრძოლებმა და გაშალონ პარტიზანული ბრძოლა, დესანტირების ადგილიდან გაუვალჭაობიანი რაიონის გაღმა მხარეს მდებარეობს და „ლორების ყურიდან“ ოთხმოცი მილითაა დაშორებული.

პრეზიდენტ კენედის სურს სხვა გზებითაც დარწმუნდეს ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარების შესაძლებლობაში. საზღვაო ძალების გამოცდილი პოლკოვნიკი⁴⁶² იღებს დავალებას, შეისწავლოს და შეამოწმოს ინტერვენციაში მონაწილე ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადების დონე და მათი მზადყოფნა, რომლებიც უკვე გვატემალაში იმყოფებიან საწვრთნელ ბაზაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტისადმი პოლკოვნიკის მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათს შემდეგი სახე ჰქონდა: „ბატონო პრეზიდენტო, დაკვირვებამ გაამყარა ჩემი ნდობა. შეიარაღებული ძალები ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ შეასრულებენ არა მხოლოდ საწყის საბრძოლო ამოცანას, არამედ მიაღწევენ საბოლოო მიზანსაც და დაამხობენ კასტროს მთავრობას. ბრიგადისა და ბატალიონების სამეთაურო შემადგენლობამ კარგად იცის გეგმის დეტალები და გაოცებულნი არიან მისი სისრულით. ისინი ახალგაზრდა, ენერგიული და ინტელიგენტი ოფიცრები არიან, რომლებიც არ ელიან ოპერაციის ბრძოლით დაწყებას. ისინი ამბობენ, რომ კარგად იცნობენ საკუთარ ხალხს და სჯერათ მათი მხარდაჭერისა, ხოლო კასტროს მომხრე ძალები პირველი მძიმე მარცხისთანავე სულით დაეცემიან.“

ეს იყო განსაკვიფრებელი შინაარსის მოხსენებითი ბარათი და განსაკვიფრებელი ინფორმაცია. პოლკოვნიკის მომზადებულ მოხსენებაში კასტროს ორასიათასიანი არმიასა და კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების შესახებ სიტყვაც არ იყო ნახსენები. კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების შესახებ ზოგადი ინფორმაცია დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მოხსენებებში კი იყო მოცემული, მაგრამ აქ კუბის სამხედრო-საჰაერო ძალები წარმოდგენილი იყო როგორც „სრულიად არაორგანიზებული სისტემა“, საფრენი აპარატების უდიდესი ნაწილი კი – „მოძველებული და ბრძოლისათვის გამოუსადეგარი“. იმის შესახებ ინფორმაციას, რომ კუბის სამხედრო-საჰაერო ძალებს გააჩნდათ თანამედროვე ტიპის საბრძოლო მწყობრში მდგარი რამდენიმე ცალი Lockheed T-33 Shooting Star რეაქტიული ავიგამანადგურებელი⁴⁶³ ბრძოლისუნარიანი ეკიპაჟებით, და ფიდელ კასტროს შეეძლო მათი საბრძოლო გამოყენება, დაზვერვის ცენტრალური სააგენტო არ ფლობდა.

დიდი განსჯის შემდეგ კენედი ბოლოს და ბოლოს თანხმდება შემოთავაზებულ გეგმას და მრავალმხრივი განხილვების შემდეგ, საბოლოოდ, დესანტის გადასხმის დღედ 1961 წლის

⁴⁶² აქ საუბარი აშშ-ის საზღვაო ქვეითების პოლკოვნიკ ჯეკ პოუკინსზეა.

⁴⁶³ The Lockheed T-33 Shooting Star – ამერიკული საავიაციო კონცერნ „ლოკჰიდის“ მიერ წარმოებული ორძრავიანი ბგერადელი სიჩქარის სასწავლო-საწვრთნელი რეაქტიული თვითმფრინავი. მისი პირველი ფრენა 1948 წელს განხორციელდა. ამ თვითმფრინავების მოდერნიზებული ვარიანტი, რომელიც კანადაში იწარმოებოდა, დღესაც იმყოფება ბოლივიის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში.

17 აპრილი სახელდება. კუბაზე საბრძოლო ბრიგადის გადასხმის ოპერაცია იღებს "Zapata"-ს, ხოლო კუბელ ემიგრანტთა სადესანტო შენაერთი – „ბრიგადა 2506“-ის კოდურ დასახელებას.⁴⁶⁴

ახლა ყველაფერი უკვე ოპერაციის მონაწილეებზე იქნება დამოკიდებული, რადგან კენედის დაჟინებული მოთხოვნით, ამ ოპერაციაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერთონ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები. პრეზიდენტის მოთხოვნა კატეგორიულია. იგი ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ღია სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგია. მიუხედავად პრეზიდენტის მკაცრი გაფრთხილებისა, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მრჩეველები აიძულებენ და ატყობინებენ განმათავისუფლებელი არმიის მეთაურებს, რომ მათი ჯარისკაცები არ იქნებიან მარტო დესანტის გადასხმისას. სამოცდათორმეტი საათის განმავლობაში მათ შეუძლიათ ჰქონდეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მხარდაჭერის იმედი.

ოპერაცია დაიწყო. 1961 წლის 14 აპრილს, „ბრიგადა 2506“-ად წოდებული კუბის განმათავისუფლებელი არმიის სადესანტო შენაერთი, უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი ორი ამერიკული სადესანტო და ხუთი სატრანსპორტო გემით, კუბისკენ იღებს გეზს. იმავე დღეს ამერიკელმა სადაზვერვო თვითმფრინავმა Lockheed U-2-მა კუბის აეროდრომების ფოტოგადაღებები დაიწყო.⁴⁶⁵

მეორე დღეს, 15 აპრილს, კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების განმასხვავებელი ნიშნების მქონე 8 ერთეული ამერიკული B-26 საჰაერო დარტყმას აყენებს კუბის სამ აეროდრომს. ეს პრევენციული დარტყმაა, მიზანი – კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების განადგურება.

17 აპრილს ამერიკული ფლოტის ესკადრა კუნძულის სამხრეთ ნაწილში, „ღორების ყურემდე“ აღწევს და დესანტს სხამს საზღვაო კურორტ პლაია-ხირონის ახლოს. სწორედ აქ აწყდებიან მედესანტეები პირველ მოულოდნელობას. ადვილად მისადგომი ქვიშიანი ნაპირის ნაცვლად, რასაც დაზვერვის ცენტრალური სააგენტო იტყობინებოდა, სანაპირო ზოლში მათ ცალკე ამოზრდილი მარჯნის რიფები ხვდებათ. ორი სადესანტო გემი რიფებზე ჯდება და ზიანდება, ისინი ნაპირამდე ვეღარ აღწევენ, ხოლო ჯარისკაცების გადმოსხმა ზღვის მოქცევისას იწყება. ეს კიდევ უფრო ართულებს ამოცანას. ადგილი აქვს პირველ წარუმატებლობას. მეორე მოულოდნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მიღებული რადიოგრამის თანახმად, ამერიკელთა მიერ 15 აპრილს ჩატარებული საჰაერო რეიდი წარუმატებელი აღმოჩნდა, კასტროს ავიაცია ბოლომდე არ განადგურებულა.⁴⁶⁶ ასე, რომ

⁴⁶⁴ ოპერაციის გასაიდუმლოებისა და სადესანტო გემების შენიღბვისათვის, გემებმა კუბისკენ ლიბერიის დროშით გაცურეს, ღამით კი, საბრძოლო განათება გამორთული იყო. დესანტის გადასხმა ღამით იყო განსაზღვრული. ამ პროცესებთან ერთდროულად, ორიენტეს პროვინციაში, პინარ-დელ-რიოს რაიონში, 168 კაცისგან შემდგარ „კომანდოსთა“ რაზმს, ნინო დიასის მეთაურობით, უნდა განეხორციელებინა ყურადღების გადამტანი მანევრი. კერძოდ, სროლებისა და აფეთქებების ფონზე იმიტირება უნდა გაეკეთებინა მსხვილი დესანტის გადასხმისათვის. დესანტირების წინ ნიკარაგუის პუერტო-კაბესას ბაზიდან აფრენილ 16 ერთეულ Martin B-26 Marauder ტიპის თვითმფრინავს უნდა დაეხმობა კუბის სამი აეროდრომი, კუბის სამხედრო შენაერთების თავმოყრის ადგილები, შეიარაღებისა და საწვავის ბაზები, ელექტრო-სატრანსფორმატორო სადგურები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. ოპერაციის დამკვეთმა და მასზე ზედამხედველი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელობის, და პირველ რიგში, მისი დირექტორის, ალენ დალესის აზრით, ამ მოქმედებებს უნდა მოჰყოლოდა კუბაზე კასტროს საწინააღმდეგო ანტისამთავრობო და ძირგამომთხრელი მოქმედებები, საბოტაჟი, დივერსია და სხვა.

⁴⁶⁵ The Lockheed U-2 – ამერიკული საავიაციო კონცერნის, „ლოკჰიდის“ მიერ წარმოებული ერთძრავიანი, ზემალაღი ფრენისა და შორი მოქმედების რადიუსის სადაზვერვო თვითმფრინავი, რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ოპერაციებში. ეს იყო ღლისა და ღამის, 22კმ სიმაღლემდე და ყველა ამინდში ფრენისათვის განკუთვნილი სადაზვერვო დანიშნულების თვითმფრინავი, რომელიც ადჭურვილი იყო იმ დროისათვის მოწინავე სადაზვერვო ფოტო, ელექტრონული და საკომუნიკაციო მოწყობილობებით. აშშ-ის მიერ იგი აქტიურად გამოიყენებოდა ცივი ომის ეპოქაში საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ.

⁴⁶⁶ კუბის სამხედრო სარდლობა ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას ამერიკელთა მოსალოდნელი დარტყმის შესახებ. ამიტომ მათ მოასწრეს საკუთარი თვითმფრინავების სხვა ბაზებზე გადაყვანა, ნაწილი თვითმფრინავებისა კი, შენიღბეს. აეროდრომებზე ძირითადად გაუმართავი საფრენი აპარატები და მათი მაკეტები დატოვეს. საერთო ჯამში, კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი 24 საფრენი აპარატიდან (ამერიკული წარმოების 15 ცალი მოიერიშე ბომბდამშენი Martin B-26 Marauder, ბრიტანული წარმოების 6 ცალი საგემბანო ავიაგამანადგურებელი Hawker Sea

საჭიროა მეორე საჰაერო შეტევა. კენედი უარს ამბობს მეორე შეტევის ჩატარებაზე, ეს საერთაშორისო საზოგადოების ზედმეტ ყურადღებას მიიქცევს. იგი ცდილობს, მინიმუმამდე შეამციროს ამ ოპერაციის პოლიტიკური რისკები, სამაგიეროდ, ისე, რომ თვითონაც ვერ ხვდება, ზრდის სამხედრო რისკებს. ოპერაციის დასაწყისი იმაზე მიუთითებს, რომ „ღორების ყურეში“ გადასხმული დესანტის პირველი წარუმატებლობა ამ ინტერვენციას საბოლოო მარცხით ემუქრება.

მესამე მოულოდნელობაც სასტიკი ხასიათითა და მძიმე შედეგებით გამოირჩევა. დაზვერვის ცენტრალური სააგენტო იმასაც ამტკიცებდა, რომ დესანტის გადასხმის ადგილის სიახლოვეს რადიოსადგურები არ იყო და დესანტის გადასხმაც ფარულად მოხდებოდა. ესეც მორიგი შეცდომაა. სინამდვილეში, დესანტირების ადგილიდან სულ რაღაც 100 მეტრში კუბელთა მოქმედი რადიოსადგური მდებარეობდა, რომელსაც გამაფრთხილებელი და განგაშის შინაარსის შეტყობინებების გადაცემა შეეძლო. სინამდვილეშიც ასე მოხდა. დესანტის გადასხმის ამბავი უმალ გაცხადდა.⁴⁶⁷

კუბაზე საერთო განგაში ცხადდება და ფიდელ კასტროც დაუყოვნებლივ იღებს საკუთარ თავზე მთავარსარდლის ფუნქციებს. მან სწრაფი და ქმედითი ზომების გატარება დაიწყო. კუბის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები და მილიციის რაზმები სასწრაფოდ იგზავნება კონფლიქტის ზონაში. მომდევნო დღის განთიადისას კუბის საჰაერო ძალების საფრენი აპარატების დარჩენილი ნაწილი დარტყმას აყენებს ამერიკულ დესანტს და ძირავე საბრძოლო მასალითა და აღჭურვილობით დატვირთულ ერთ-ერთ გემს.⁴⁶⁸ ხოლო როდესაც დესანტის მხარდასაჭერად ამერიკული Martin B-26-ები გამოჩნდნენ სანაპირო ზოლთან, მათზე იერიში კუბელთა Lockheed T-33 Shooting Star ტიპის რეაქტიულმა გამანადგურებლებმა მიიტანეს. ასე, რომ ამერიკულმა Martin B-26-ებმა დასახული ამოცანა ვერ შეასრულეს. ამავე დროს კუბელთა Martin B-26-ები იწყებენ სანაპირო ზოლის დაბომბვას, ხოლო კასტროს არმიის 20 ათასიანი შენაერთი, ტანკებისა და არტილერიის მხარდაჭერით, ინტერვენტების წინააღმდეგ პირდაპირ შეტევაზე გადადის.

ახლა კი, დაზვერვის ცენტრალური სააგენტო და ამერიკის მთავრობა შიშით აცნობიერებენ, რომ საქმე ძალიან ცუდ შეფერილობას იღებს. ოპერაცია "Zapata"-ს ჩავარდნა ემუქრება. მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს კასტროს ფაქტორი და მისი შეიარაღებული ძალების პოტენციალი. ამ ყველაფერთან ერთად, მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, კუბაზე არც კასტროს საწინააღმდეგო მასობრივი აჯანყება არ იწყება.

ფაქტია, რომ ინტერვენციას უკვე სრული მარცხი ემუქრება. ინტერვენციის ტექნიკური მხარდაჭერისათვის კუბის სანაპირო წყლებთან ახლოს თავიდანვე იქნა შეყვანილი ავიამზიდი „ესეჟსი“. მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ხელმძღვანელობა და პირადად მისი დირექტორი, ალენ დალესი არწმუნებენ კენედის, რომ ავიამზიდის ბრძოლაში ჩართვის ბრძანება გასცეს. ისინი ითხოვდნენ კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების Lockheed T-33 Shooting Star-ების

Fury და ამერიკული წარმოების 3 ცალი რეაქტიული გამანადგურებელი T-33 Shooting Star), ამერიკელებმა მხოლოდ ორი გაანადგურეს. ასე, რომ კუბამ შეინარჩუნა თავისი სამხედრო-საჰაერო ძალების პოტენციალი. 1961 წლის 15 აპრილისათვის, ამერიკელთა მიერ განხორციელებული საჰაერო რეიდის შემდეგ, კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში სრულ საბრძოლო მზადყოფნაში კიდევ 22 თვითმფრინავი რჩებოდა.

⁴⁶⁷ კუბის თავდაცვის ადგილობრივი ძალების მცირერიცხოვანი, 339-ე ბატალიონის სულ ხუთკაციანი ჯგუფი, რომელიც პატრულირებას ახდენდა „ღორების ყურის“ რაიონში, დაუყოვნებლივ ჩართო დესანტთან ბრძოლაში. მალე ჯგუფს კუბის „სახალხო მილიციის“ 100 კაციანი ჯგუფიც შეუერთდა. ისინი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ დესანტირების ოპერაციისათვის, მაგრამ დიდი დანაკლისების გამო მალე იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. მაგრამ უკვე 03 საათისა 15 წუთისათვის დესანტის გადმოსხმის შესახებ ფიდელ კასტროსა და კუბის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვისაც გახდა ცნობილი, რომელიც სწრაფად გაერკვა შექმნილ სიტუაციაში და შესაბამისი ზომებიც გაატარა.

⁴⁶⁸ კუბელთა მიერ განხორციელებული საჰაერო დარტყმების შედეგად ჩაძირულ იქნა ორი სატრანსპორტო გემი – „ჰიუსტონი“ და „რიო-ესკონდილო“, ასევე ორი სადესანტო ხომალდი. ერთ-ერთ ხომალდზე სრული შემადგენლობით იმყოფებოდა მედესანტთა ქვეითი ბატალიონი. „რიო-ესკონდილოსთან“ ერთად მედესანტებმა დაკარგეს 145 ტონა საბრძოლო მასალა და 12 ათას ტონამდე საწვავი.

განადგურებას, რათა ამერიკულ მოიერიშე Martin B-26-ებს დაუბრკოლებლად მიეტანათ ეირიში კასტროს ტანკებზე.

პრეზიდენტი კენედი უარს ამბობს ავიამზიდ „ესექს“-ის ბრძოლაში ჩართვაზე, მაგრამ 19 აპრილს თანხმდება 5 ერთეული Martin B-26 ბომბდამშენის კუბაზე გაგზავნას ნიკარაგუის საიდუმლო ავიაბაზიდან. ბომბდამშენების ესკორტირება და საბრძოლო მოქმედებების ზონაში მათი დაცვა „ესექსზე“ ბაზირებულ ავიაგამანადგურებლებს უნდა შეესრულებინათ.

და აქ ხდება კიდევ ერთი, უკვე საბოლოო, მაგრამ აშკარად დაუჯერებელი შეცდომა ამ საერთო სამხედრო ტრაგედიაში. გემის შეცვლის საფუძველზე ამერიკელებმა ვერ გათვალეს ერთი „წვრილმანი“. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მათ გამორჩათ გაეთვალისწინებინათ ნიკარაგუასა და კუბას შორის არსებული დროში სხვაობა. ამის შედეგად, ნიკარაგუის ავიაბაზიდან აფრენილი ამერიკული Martin B-26 ბომბდამშენები ერთი საათით ადრე აღწევენ კუბის სანაპირო ზოლს. ამ მომენტისათვის კი, ავიამზიდ „ესექსის“ ავიაგამანადგურებლებიდან არცერთი არ იმყოფება კუბის საჰაერო სივრცეში მათ დასაცავად. ისინი ისევ „ესექსზე“ იყვნენ ბაზირებულნი. ამ დაუჯერებელი გაუგებრობის გამო ამერიკული ბომბდამშენები კუბური ავიაგამანადგურებლებისა და საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლის ქვეშ ხვდებიან. ეს უკვე მეტისმეტია. რამდენიმე წუთში კუბელები ორ ამერიკულ Martin B-26-ს აგდებენ, დანარჩენები კი, გაქცევით შველიან თავს. დაიღუპა ოთხი ამერიკელი მფრინავი.

დღის მეორე ნახევარში, დესანტის დარჩენილი ნაწილის ევაკუაციის მიზნით, ორი ამერიკული ნაღმოსანი მიუახლოვდა „ლორების ყურეს“, მაგრამ მათ ცეცხლი გაუხსნეს კუბურმა ტანკებმა. გემები იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ დესანტის ევაკუაციის ოპერაცია და ისევ ღია ზღვაში გასულიყვნენ. ტანკების მსგავსად კუბელთა სამხედრო ქვედანაყოფები და მილიციაც წარმატებით მოქმედებს. კასტროს საბჭოური წარმოების T-34-85-ები „ბრიგადა 2506“-ის ორ ტანკს ანადგურებენ.⁴⁶⁹ საბოლოოდ, კუბური ქვედანაყოფები ალყაში აქცევენ ძალაგამოცლილ დესანტს.⁴⁷⁰ დაახლოებით ათასორასი ჯარისკაცი, რომლებსაც ბოლომდე სჯეროდათ რომ მათ ამერიკელები დაეხმარებოდნენ და ბრძოლაში ჩაერთვებოდნენ, ტყვეობაში ხვდება,⁴⁷¹ ასთოთხმეტი კი, სიცოცხლეს ეთხოვება „ლორების ყურეში“.⁴⁷²

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ დაგეგმილი „კუბის განმათავისუფლებელი არმიის“ საზღვაო დესანტირების ოპერაცია კუბაზე, „ლორების ყურეში“, ჩავარდა. დესანტის გადმოსხმიდან სამოცდაოთხი საათის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლები დასრულდა.⁴⁷³

⁴⁶⁹ მოიერიშე „ბრიგადა 2506“-ს შეიარაღებაში ჰქონდა ამერიკული წარმოების მსუბუქი ტანკები M41 Walker Bulldog და საშუალო ტანკები M26 Pershing.

⁴⁷⁰ ამ დღეს „ლორების ყურეში“ გადმოსხმული მედესანტეების მიერ ყუმბარმტყორცნიდან გაშვებული სამი გასროლით აფეთქებული იქნა კუბელთა ერთი T-34-85. მთელი ბრძოლების განმავლობაში ეს იყო კუბის არმიის კუთვნილი ერთადერთი მწყობრიდან გამოყვანილი ტანკი.

⁴⁷¹ მათგან 9 ტრანსპორტირების დროს გარდაიცვალა.

⁴⁷² ზოგადად, „ლორების ყურეში“ დესანტირების ოპერაცია და შემდგომი ბრძოლები დიდი მსხვერპლით დასრულდა. კუბური ძალების საბრძოლო დანაკარგები მნიშვნელოვანი იყო – 176 მოკლული, სულ მცირე 500 დაჭრილი და დაახლოებით 400 უგზოუკვლოდ დაკარგული.

⁴⁷³ კუბის სამთავრობო ძალებმა ალაფის სახით ხელში ჩაიგდეს „ბრიგადა 2506“-ის კუთვნილი 5 ცალი ტანკი M41 Walker Bulldog, 10 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი, ქვემეხები და დიდძალი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი. კუბის სამხედრო-საჰაერო ძალებმა და საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი Martin B-26, C-46 და სხვა ტიპის 12 ცალი თვითმფრინავი, რომლებიც დესანტის საჰაერო მხარდაჭერას ანხორციელებდნენ, მათ შორის რამდენიმე ეკიპაჟი. 7 Martin B-26 და 1 ერთეული C-46 ჩამოაგდეს კუბურმა ავიაგამანადგურებლებმა ისე, რომ თვითონ დანაკლისი არ განუცდიათ. კუბის მთავრობამ დესანტის გადმოსხმით მიყენებული ზარალი 53 მილიონი აშშ დოლარით შეაფასა. 1962 წლის აპრილში შედგა „ბრიგადა 2506“-ის დატყვევებულ წევრთა სასამართლო პროცესი. იმავე წლის დეკემბერში კი, კუბურმა მხარემ ისინი აშშ-ის მთავრობას გადასცა 53 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მედიკამენტებისა და სურსათის მოწოდების სანაცვლოდ. თუმცა, ეს პროდუქცია კუბაზე შეტანილ იქნა საქველმოქმედო ფონდის “Tractors for Freedom Committee” სახელით.

„ღორების ყურეში” განცდილიეს ეს სრული ფიასკო პრეზიდენტ კენედის პრესტიჟს ლახავს და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ავტორიტეტს აქვეითებს.⁴⁷⁴ ეს კი კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გამყარებას უწყობს ხელს. პრეზიდენტ კენედის პრესტიჟის შელახვას და მის არასათანადოდ შეფასებას მალე კიდევ ერთი შეცდომა მოჰყვება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სახელმწიფოს მეთაური, ნიკიტა ხრუშჩოვი, კუბის ამბებიდან გამომდინარე ფიქრობს, რომ კენედი, ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა პრეზიდენტი, გამოუცდელი, უუნარო და სუსტი ხელმძღვანელია. მაგრამ თავის შეფასებებში იგი ცდება.

საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, ნიკიტა ხრუშჩოვი, თავის შეცდომას მხოლოდ „ღორების ყურის” ოპერაციიდან ერთი წლის შემდეგ, 1962 წელს მიხვდება, მაშინ, როდესაც კუბის სარაკეტო კრიზისის პერიოდში, მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე აღმოჩნდება. აქ გამოჩნდება, რომ მიუხედავად თავისი ახალგაზრდული ასაკისა, პრეზიდენტ ჯონ კენედის სახით საბჭოთა კავშირსა და მის ე.წ. „სოციალისტურ ბანაკს” ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე ჰყავს.

⁴⁷⁴ კუბის ოპერაციის ჩავარდნამ დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. კაიროში, ჯაკარტაში, რიო-დე-ჟანეიროსა და ლიმაში მოეწყო ხალხმრავალი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეებმაც შტურმი მიიტანეს ამ ქვეყნებში განლაგებულ აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომაზე 40 ქვეყნის წარმომადგენელმა მკაცრად დაგმო კუბის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ეს აგრესიული აქტი. ამ საკითხში განსაკუთრებით აქტიური, ცხადია, საბჭოთა კავშირი იყო. 1986 წელს, აშშ-ის სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ამერიკელმა ისტორიკოსებმა გ. ზინიმ, ბ. უილიამსმა, პ. კოლკომ, ლ. გარდნერმა, დ. გოროვიცმა და სხვებმა აღიარეს, რომ 1961 წელს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ დაგეგმილი და წარუმატებლად აღსრულებული საზღვაო დესანტირების ოპერაცია „ზაპატა” იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კუბის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, აშშ-ის მიერ კუბის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის აქტი და ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის წესდების მე-15 მუხლის აშკარა დარღვევა, რომელსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი 1948 წელს მოაწერა. ამ ამბების შესახებ ექსპერტთა მიერ გამოტანილი დასკვნის სრული ტექსტი ჟურნალ “The Nation”-ში გამოქვეყნდა.



რუბენ ბატისტა
(1901-1973)




ფიდელ კასტრო
(1926-2016)



ჯონ კენედი
(1917-1963)



ალენ დალესი (1893-1969)



ჯეკ ჰოუკინსი (1916-2013)




ჩე გევარა და კასტრო



ფიდელ კასტრო და მისი თანამებრძოლები ჰავანაზე შეტევის წინ, 1959 წელი



ჯონ კენედი და ალენ დალესი



პრეზიდენტი ჯონ კენედი ოპერაცია „ზაპატას“ დაბეგმავ ჯგუფთან ერთად. 1961 წელი, ფლორიდა



„ლორების ყურე“



ბომბდამშენი Douglas A-26 Invader




FIGURE 30
 PUERTO CABEZAS, B-26. TAIL ASSEMBLY DETAIL, CUBAN INSIGNIA, FAR, AND TAIL NUMBERS IDENTICAL TO CASTRO'S B-26'S.

კუბის საჰაერო ძალების ფერებში გადაღებული Douglas A-26 Invader



მზვერავი Lockheed U-2



ავიაგამანადგურებელი Lockheed T-33 Shooting Star



ნიკარაგუაზე მდებარე ამერიკელთა საიდუმლო სამხედრო-საავიაციო ბაზა



ავიამზიდი „ესექსი“



ავიამზიდ „ესექსზე“ მიწერილი
Douglas A-4 Skyhawk-ები



„ესექსის“ ასაფრენ ზოლზე დაშვება



საბჭოური წარმოების კუბური ტანკი T-34-85
85მმ-იანი ქვემეხით, პლაია-ხირონის მუზეუმში



„ბრიგადა 2506“-ის მსუბუქი ტანკი M22



12,7მმ კალიბრის ჩეხური წარმოების
საზენიტო კვადრუპოლური
ტყვიამფრქვევი M53




„ბრიგადა 2506“-ის კუთვნილი ბრაუნინგის
30 კალიბრიანი ტყვიამფრქვევი



„ბრიგადა 2506“-ის კუთვნილი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები და მათი გასროლები



„ბრიგადა 2506“-ის საბრძოლო წვრთნები




„ბრიგადა 2506“-ის ლიდერები ამოწმებენ აღჭურვილობის შეფუთვას



FIGURE 23
PARADROP PRACTICE AT RETALHULEU


„ბრიგადა 2506“-ის სასწავლო ხტომები



„ლორების ყურისა“ და მიმდებარე რაიონის სქემა




„ბრიგადა 2506“-ის გადმოსხდომა „ლორების ყურის“ სანაპიროზე



სანაპირო რიფზე დამსხვრეული „ბრიგადა 2506“-ის კუთვნილი ერთ-ერთი სადესანტო ნავი



კუბის სანაპირო დაცვის გათვლა, 1961 წლის 24 აპრილი




ფიდელ კასტრო დაუყოვნებლივ იღებს საკუთარ თავზე მთავარსარდლის ფუნქციებს



კასტროს ტანკები „ლორების ყურის“ სანაპიროზე



კუბის არმია ებრძვის „ბრიგადა 2506“-ის დესანტს



კასტროს ბომბდამშენი ავიაციის მიერ დაზიანებული სატრანსპორტო გემი „ჰიუსტონი“, რომელიც ძალიან მალე ჩაიძირება



„ბრიგადა 2506“-ის ქვიშაში ჩაფლული მსუბუქი ტანკი M41



„ბრიგადა 2506“-ის ჩამოგდებული B-26




კუბელი ჯარისკაცები ჩამოგდებულ B-26-თან



დესანტის მიერ მწყობრიდან გამოყვანილი კასტროს ტანკი T34-85



კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი, მაიორი ენრიკე კარერა-როლასი. მის ანგარიშზეა „ბრიგადა 2506“-ის მხარდამჭერი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი ჩამოგდებული ბომბდამშენი Martin B-26 და სატრანსპორტო ხომალდი „ჰიუსტონი“



„ბრიგადა 2506“-ის ტყველ აყვანილი მებრძოლები



გამარჯვებული კასტროელები



© Underworld Archives

ფიდელ კასტროს ოფიციალური ინტერვიუ ოპერაცია „ზაპატას“ ჩავარდნის შემდეგ



გამარჯვებულთა სვლა. შუაში კუბის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, ერნესტო ჩე გევარა



ჩე გევარას ამ უკანასკნელ ფოტოზე, მის გვერდით კუბელი ლტოლვილი ფელიქს როდრიგესია გამოსახული, ბატისტას კაბინეტის ერთ-ერთი მინისტრის ძმისშვილი, რომელიც „ღორების ყურეში“ დესანტირების ოპერაციის დროს ერთ-ერთ დივერსიულ რაზმს ხელმძღვანელობდა. შემდგომში იგი ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სამსახურში იღვა და თავის საბრძოლო ჯგუფთან ერთად ნიკარაგუასა და ბოლივიაში მუშაობდა, სადაც ჩე გევარასა და მის პარტიზანულ რაზმზე ნადირობდა. 1967 წლის 8 ოქტომბერს ჩე გევარას რაზმი განადგურებულ იქნა, თავად ჩე კი, ტყვედ აიყვანეს. ეს ფოტო 1967 წლის 9 ოქტომბერსაა გადაღებული, ფელიქს როდრიგესის მიერ ჩე გევარას დაზვერვის ბრძანების გაცემამდე რამდენიმე წუთით ადრე

§3.5. იომ-ქიფურის ომი (ისრაელი, 1973 წლის 6-24 ოქტომბერი)

ისრაელ-არაბეთის 1967 წლის იენისის ხანმოკლე, ექვსდღიანი ომის შედეგად ისრაელმა გამოიგნებელი გამარჯვება მოიპოვა.⁴⁷⁵ ეგვიპტემ კი, თავისი არმია და სინაის ნახევარკუნძული დაკარგა.⁴⁷⁶ ეროვნულღირსებაშელახული და ეგვიპტური ნაციონალიზმის ტალღებს მინდობილი ეგვიპტის პრეზიდენტი, გამალ აბდელ ნასერი⁴⁷⁷ იღებს გადაწყვეტილებას, რომ ამ დამარცხების სირცხვილი დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნებით გადაფაროს.

თავისი გეგმის აღსრულებას თავდაპირველად იგი დაუძღვრების სტრატაგემის⁴⁷⁸ გატარებით ცდილობს. ეგვიპტელები მუდმივად მიმართავენ სასაზღვრო ინციდენტების პროვოცირებას, რითაც სურთ ისრაელის არმია მოქანცონ და აიძულონ იგი უკან დაიხიოს სუეცის არხის აღმოსავლეთ სანაპიროდან. ნასერის მოლოდინები არ მართლდება. ამის ნაცვლად ისრაელი პოზიციებს ამაგრებს აღმოსავლეთ სანაპიროზე, მისი ავიაცია კი, ხშირად ეგვიპტის საჰაერო სივრცესაც არღვევს.

1970 წლის აგვისტოში ეგვიპტელები დაზავებაზე თანხმდებიან. ერთი თვის შემდეგ გამალ აბდელ ნასერი გულის შეტევით იღუპება. მისი მემკვიდრე, ანვარ ელ-სადათი,⁴⁷⁹

⁴⁷⁵ „ექვსდღიანი ომში“ გამარჯვებით, ისრაელმა, რომლის ტერიტორიაც ომამდე 20000 კვ.კმ-ს შეადგენდა, დამატებით 65000 კვ.კმ. არაბულ მიწებზე დაამყარა კონტროლი. ისრაელმა დაიკავა ლაზას სექტორი და მთლიანად სინაის ნახევარკუნძული ეგვიპტისაგან, გოლანის მდლობი სირიისაგან, ხოლო მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპირო იორდანისაგან.

⁴⁷⁶ ავტორის მოსაზრება „ექვსდღიანი ომში“ ეგვიპტის, და სერთოდ, არაბული ქვეყნების არმიების განადგურების შესახებ, ძალიან გადაჭარბებულია. რეალურად დაღუპულთა, დაჭრილთა და უზო-უკვლოდ დაკარგულ ეგვიპტელ მებრძოლთა რაოდენობა 9800-დან 15000-მდე ფასდება, 4300 კი, ტყვედ იქნა აყვანილი. იორდანელთა დანაკარგები 6000-ს აღემატებოდა, ტყვედ 530 იქნა აყვანილი. სირიელთა დანაკარგები კი, მოკლულთა სახით სულ 1000-ს შეადგენდა, ტყვედ 360 კაცი იქნა აყვანილი. ასე, რომ ეგვიპტეს „თავისი არმია არ დაუკარგავს“ როგორც ამას ავტორი აღნიშნავს.

⁴⁷⁷ გამალ აბდელ ნასერი (არაბ. جمال عبد الناصر حسين) (1970-1918წ.წ.) – ეგვიპტელი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1947-1949 წლების არაბეთ-ისრაელის ომის მონაწილე, ეგვიპტის არმიის პოლკოვნიკი, ეგვიპტის მეორე პრეზიდენტი 1956 წლიდან სიკვდილამდე, საბჭოთა კავშირის გმირი, საზოგადოება „თავისუფალი ოფიცრების“ ერთ-ერთი შემქმნელი და ლიდერი. ხელმძღვანელობდა ეგვიპტისა და სუდანის მეფის, ფარუხ I-ის ჩამოგდებას. ისლამისტური დაჯგუფების „მუსლიმი ძმები“ განადგურების შემდეგ, შინაპატიმრობაში აიყვანა ეგვიპტის პირველი პრეზიდენტი მუჰამედ ნაგიბი და თვითონ ჩაუდგა ქვეყანას სათავეში, 1956 წლის საერთო რეფერენდუმის შემდეგ კი, ოფიციალურად დაიკავა ეგვიპტის პრეზიდენტის თანამდებობა. ჩაატარა მასშტაბური მიწის რეფორმა, სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რითაც დიდი პოპულარობა მოიპოვა არაბულ სამყაროში. როგორც პანარაბიზმის იდეოლოგიის ერთ-ერთი ლიდერი, 1958-1961 წლებში წარმოადგენდა გაერთიანებული არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურს, რომელშიც ეგვიპტე და სირია შედიოდნენ. 1966 წელს სირიაში უაღრესად მილიტარისტული და ანტისიონისტური იდეოლოგიის, ბაასის პარტია მივიდა ხელისუფლების სათავეში. ეგვიპტე-სირიის ახალმა აღიანსმა და მათმა ანტისემიტურმა კურსმა უკიდურესად დაძაბა სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში. ანტისიონისტური მოძრაობის ესკალაციის გზაზე გამალ აბდელ ნასერი მთელი არაბული სამყაროს უცილო ლიდერი ხდება. ამ ესკალაციას მალე, 1967 წლის 5-10 იენისის ისრაელ-არაბეთის ე.წ. „ექვსდღიანი ომი“ მოჰყვა შედეგად, სადაც არაბული სამყარო და პირველ რიგში, ეგვიპტე, სასტიკად დამარცხდნენ. გამალ აბდელ ნასერი გულის შეტევით გარდაიცვალა 1970 წელს, რასაც მთელი არაბული სამყაროს დიდი გამოხმაურება მოჰყვა შედეგად. მის დაკრძალვას 5 მილიონი ადამიანი დაესწრო. დღევანდელ რეალობაშიც გამალ აბდელ ნასერი ისევ რჩება ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურად და არაბული სამყაროს ღირსებისა და ერთიანობის სიმბოლოდ.

⁴⁷⁸ სტრატაგემა (ან სტრატეგემა) – ბერძნული სიტყვაა (ბერძნ. στρατηγία), რაც პირდაპირი მნიშვნელობით სამხედრო ხრიკს ნიშნავს. უფრო ფართო გაგებით ტერმინი აღნიშნავს ემპიკურად მოფიქრებულ გეგმას, სამხედრო, პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური ან პირადი მიზნების მისაღწევად.

⁴⁷⁹ მუჰამედ ანვარ ელ-სადათი (არაბ. محمد أنور السادات) (1981-1918წ.წ.) – ეგვიპტელი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, გამალ აბდელ ნასერის მემობარი და თანამოაზრე, ეგვიპტის მესამე პრეზიდენტი 1970-1981 წლებში, ეგვიპტის მარშალი 1973 წლიდან. საზოგადოება „თავისუფალი ოფიცრების“ ერთ-ერთი შემქმნელი და ლიდერი. მონაწილეობდა ეგვიპტისა და სუდანის მეფის, ფარუხ I-ის ჩამოგდებას ოპერაციაში, რომელსაც გამალ აბდელ ნასერი ხელმძღვანელობდა. 1952 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ეკავა სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობები ეგვიპტის მთავრობაში, ხოლო 1958 წლიდან – მის ადგილას შექმნილ გაერთიანებულ არაბთა რესპუბლიკის მთავრობაში. 1960-1961 და 1964-1968 წლებში იყო გაერთიანებული არაბთა რესპუბლიკის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე, 1964 წლიდან – მისი ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1969 წლიდან – ამ სახელმწიფოს ერთადერთი ვიცე-პრეზიდენტი. ნასერის გარდაცვალების შემდეგ, 1970 წელს, არჩეულ იქნა გაერთიანებული არაბთა რესპუბლიკის და შესაბამისად, ეგვიპტის პრეზიდენტად. იომ-ქიფური ომის შემდეგ დაადგა

მზადაა ისრაელის ებრაული სახელმწიფო აღიაროს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯარები სინაის ნახევარკუნძულს დატოვებენ. მაგრამ ისრაელი ამ მოთხოვნას არ იზიარებს, კონფლიქტის დიპლომატიური გზებით მოგვარება არ ხერხდება, და სადათიც თავისი შემდგომი მოქმედებების გეგმას ცვლის. იგი იღებს გადაწყვეტილებას, აწარმოოს ინტენსიური ომის შეზღუდული კამპანია.

სადათი დარწმუნებულია იმაში, რომ პირველ ეტაპზე სინაის ნახევარკუნძულის მთლიანად თუ არა, მისი ნაწილის დაბრუნება მაინცაა შესაძლებელია. სადათი იმაშიც დარწმუნებულია, რომ მოპოვებული ტერიტორიების დაცვასაც შეძლებს. მისი აზრით, საკითხის ასე გადაჭრა საკმარისი იქნება გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. პირველ ეტაპზე ესეც საქმეა, დანარჩენს კი მომავალი აჩვენებს.⁴⁸⁰

საბჭოთა კავშირის მხრიდან გაწეული დახმარებები აჩქარებს ეგვიპტის არმიის რეფორმირების პროცესს. ეგვიპტეში იგზავნიან საბჭოთა სამხედრო მრჩეველები და ინსტრუქტორები. იწყება ეგვიპტური არმიის რეორგანიზება და მუდმივი სწავლება, მათ უკვე აქვთ გამოცდილება 1967 წელს დაშვებული შეცდომებიდან. ეგვიპტელმა ოფიცრებმა, რომლებიც 1967 წელს ბრძანებებს ზურგის პოზიციებიდან სცემდნენ და პირველები გაიქცნენ, ახლა წინა ხაზზე უნდა იბრძოდნენ და გაიმარჯვონ.⁴⁸¹ შესაბამისად, შეტევის გეგმა იღებს კოდურ დასახელებას „ბადრი“, იმ ადგილის დასახელების მიხედვით, სადაც 624 წელს მუჰამედმა პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, სადათმა, როგორც ეგვიპტის პრეზიდენტმა და ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, კარგად იცის, რომ მისი არმია არ არის იმდენად ძლიერი, რომ ისრაელის შეიარაღებული ძალები დაამარცხოს ტოტალურ ომში. მართალია, ეგვიპტეს უფრო დიდი არმია ჰყავს, ვიდრე ისრაელს, მაგრამ ისრაელის თავდაცვის ძალები ტაქტიკური განსწავლულობის მხრივ უკეთესადაა მომზადებული და შეიარაღებითა და სამხედრო-ტექნიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც უპირატესობას ფლობს. ამიტომ საჭიროა მათი შემცირება „ხორცსაკები მანქანით“, როგორც ამას ურჩევს სადათს საკუთარი

არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარების გზას. მისმა პაციფისტურმა კურსმა უარყოფითი განწყობები გამოიწვია როგორც სხვა არაბულ ქვეყნებში, ასევე საბჭოთა კავშირში. 1978 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკის პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის თავმჯდომარეობით გამართულ კემპ-დევიდის სამიტზე, სადათმა და ისრაელის პრემიერ მინისტრმა მენაჰემ ბეგინმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რაც ითვალისწინებდა ისრაელისა და ეგვიპტის სახელმწიფოების ურთიერთცნობას და სინაის ნახევარკუნძულის ეგვიპტისათვის დაბრუნებას. იმავე წელს ორივე სახელმწიფოს მეთაური ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ მშვიდობის დარგში. 1981 წლის 6 ოქტომბერს, კაიროში გამართულ სამხედრო აღლუმზე, ისლამისტი ფუნდამენტალისტების ერთ-ერთი ტერორისტული ჯგუფის მიერ განხორციელდა სამთავრობო ლოკაზე ღია თავდასხმა. ამ ტერორისტული აქტის შედეგად დაიჭრა 28 და დაიღუპა 5 ადამიანი, მათ შორის პრეზიდენტი მუჰამედ ანვარ ელ-სადათი.

⁴⁸⁰ ექვსდღიანი ომის განმარტებული მარცხის გაკვეთილებს არაბი ლიდერებისათვის უკავალოდ არ ჩაუვლია. სწორედ პრეზიდენტმა სადათმა ჩაუყარა საფუძველი ახალ არაბულ გრძელვადიან სტრატეგიას სინაის ტერიტორიების ეგვიპტისათვის დაბრუნებისა და 1967 წლის ექვსდღიანი ომში დაკარგული არაბული მიწების ხელახლად მოპოვების შესახებ. მიღებული გამოცდილებისა და არსებული რეალობის დრმა ანალიზის საფუძველზე, სადათი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რა სახის სამხედრო ღონისძიებაც არ უნდა გაეტარებინა ეგვიპტეს ისრაელის წინააღმდეგ და რაგინდ მცირემასშტაბიანიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ისრაელის სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების რეაქცია მაინც ტოტალური იქნებოდა. ამგვარად, ნათლად იკვეთებოდა ის სურათი, რომ ეგვიპტელებს ყველაზე ფართომასშტაბიანი შეტევის წამოწყების გარდა, სხვა ალტერნატივა აღარ რჩებოდათ. შესაბამისად, სადათმა სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის დაგეგმვაზე აიღო გეზი.

⁴⁸¹ საბჭოელთა მიერ მხარდაჭერილი არაბული სამხედრო სტრატეგიის წარმატებით განხორციელება დამყარებული იყო არაბული არმიების ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა და მათ ტექნიკურ გადაიარაღებაზე, ოპერაციების დაგეგმვის ინტენსიურ პროცესსა და საგულდაგულო საშინაოზე. ამ მიზანმიმართულ ოპერაციებს უნდა აღეკვეთათ ებრაელებისათვის იმის შესაძლებლობა, რომ გამოეყენებინათ ისრაელის თავდაცვის ძალების საერთო-საჯარისო და მანევრული ბრძოლის ყველა უპირატესობა. ტაქტიკური საპაერო დარტყმებისა და ისრაელის საპაერო ძალების ნეიტრალიზებისათვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით (საბჭოთა წარმოების „მიწა-მიწა“ კლასის რაკეტები P-17, NATO-ს კლასიფიკაციით SS-1 SCUD, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები 3CY-23 „Шилка“, „მიწა-ჰაერის“ ტიპის საბჭოთა რაკეტების – SAM-2, SAM-3 და SAM-6 ტიპის კომპლექსები), რაც უცნობი იყო ისრაელის თავდაცვის ძალებისათვის, უნდა შექმნილიყო მძლავრი და ეფექტური ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ქოლგა. ეგვიპტელი ქვეითები კი, ებრაული ჯავშანსატანკო შენაერთების კონტრშეტევების აღსაკვეთად უნდა აღჭურვილიყვნენ საბჭოური წარმოების ხელის ყუმბარმტყორცნებითა (PIII) და ზუსტი დამიზნების ტანკსაწინააღმდეგო მართავალი საშუალებებით (ИИТР).

გენშტაბის უფროსი, გენერალი საად ელ-შაზლი.⁴⁸² იგი პოზიციური ომისა და დაუძღვრების სტრატეგიის გატარების მომხრეა.

ნაცნობი სურათია. ეს იგივეა, რაც თავის დროზე გერმანიის გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ერის ფონ ფალკენჰაინის მიერ გატარებული სისხლისღვრის სტრატეგია იყო I მსოფლიო ომში, 1916 წლის გაზაფხულზე, ვერდენთან.

საად ელ-შაზლიმ იცის, რომ მაშინ ამ გეგმამ არ გაამართლა, მაგრამ ვარაუდობს, რომ ამჯერად ანგარიშში არ შეცდებიან, რადგან მათ საბჭოელების სახით ძლიერი მოკავშირეები უდგანან გვერდში. შაზლის მიერ შემუშავებული საომარი გეგმის მიხედვით ისრაელს სირიელები შეუტევენ ჩრდილოეთიდან, რითაც შებოჭავენ მის სამხედრო-საჰაერო ძალებსა და რეზერვის ნახევარს. წარმატების საწინდარი კი, მოულოდნელობის ფაქტორი იქნება. მოულოდნელ შეტევასთან ერთად ეგვიპტის ორმა საველე არმიამ 1100 ტანკითა და ხუთმა გაძლიერებულმა ქვეითმა დივიზიამ უნდა გადალახოს 180 მეტრი სივანის სუეცის არხი და ფრონტის მთელ სიგრძეზე უნდა შექმნან 15 კილომეტრი სიღრმის პლაცდარმი არხის მეორე მხარეს სინაის ნახევარკუნძულზე. ამის შემდეგ ჯარები უნდა ჩასანგრდნენ და დაელოდონ ებრაელთა კონტრშეტევას კარგად დაცულ პოზიციებზე. ეს იქნება ომის პირველი ფაზა.

მეორე ფაზა კი, უკვე ეგვიპტური შენაერთების შეტევით მოქმედებებს ითვალისწინებს: 2 სატანკო და 3 მოტომსროლელი დივიზიის ოპერატიული რეზერვი 600 ტანკით მოულოდნელად შეუტევეს ებრაელთა პოზიციებს სიღრმიდან და დაიკავეს 50 კილომეტრით დაშორებულ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან სინაის უღელტეხილს.

საომარი მოქმედებების პირველი ფაზა სრულყოფილია, რასაც ვერ ვიტყვით მეორე ფაზაზე. იგი ზოგად ფორმებში დაიგეგმა, ისე რომ, ეგვიპტის გენშტაბში სულ არ უფიქრიათ მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. და ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი – საომარი მოქმედებების დაწყება კარგად უნდა მომზადდეს, ისრაელის თავდაცვის ძალები ეგვიპტელთა შეტევაზე რეაგირებისთვის მზად არ უნდა იყვნენ. ეს იქნება ოპერაციის საწყისი ფაზა. ოპერაცია „ბადრის“ საწყისი ფაზა ეგვიპტელთა მიერ კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაცია იქნება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მთლიანად საომარი მოქმედებების მსვლელობაზე.

ებრაელებს წარმოდგენაც კი არა აქვთ ეგვიპტელთა მიერ შემუშავებულ თავდასხმით ოპერაციასა და მის საწყის ფაზაზე – მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ამ საიდუმლო გეგმის არსებობაზე. დაწყებული 1967 წლიდან მათი სიფხიზლე დუნდება, რადგან არსებობს თვალსაზრისი იმი შესახებ, რომ ექვსდღიანი ომი იმდენად მძიმე შედეგებით დასრულდა

⁴⁸² საად ელ-შაზლი (საად მოჰამედ ელ-ჰუსეინ ელ-შაზლი) (არაბ. سعد الدين محمد الحسيني الشاذلي) (2011-1922წ.წ.) – ეგვიპტელი სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი, გენერალ-ლეიტენანტი, იომ-ქიფურის ომის დროს ეგვიპტის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი. 1940 წელს დაამთავრა სამხედრო კოლეჯი, შემდეგ სწავლა გააგრძელა სამეფო სამხედრო აკადემიაში. II მსოფლიო ომისა და არაბეთ-ისრაელის 1948 წლის ომის მონაწილე. 1954 წელს შექმნა ეგვიპტის არმიის პირველი საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი, იყო მისი პირველი მეთაური. 1954-1956 წლებში იყო საპარაშუტო სკოლის უფროსი. მონაწილეობდა 1956 წლის სუეცის კრიზისის ბრძოლებში. 1960-1961 წლებში იყო არაბი მშვიდობისმყოფელების სამხედრო კონტინენტის მეთაური კონგოში. 1961 წელს დაინიშნა ეგვიპტის სამხედრო ატაშედ დიდ ბრიტანეთში. 1965 წლიდან იყო მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური. 1965-1966 წლების იემენის სამოქალაქო ომის დროს წარმოადგენდა ეგვიპტური ბრიგადის მეთაურს. მონაწილეობას იღებდა 1967 წლის ექვსდღიან ომში. იმავე წლიდან არის ეგვიპტის სპეციალური დანიშნულების ძალების უფროსი. 1971 წელს ინიშნება ეგვიპტის არმიის გენერალური შტაბის უფროსად. იომ-ქიფურის ომის შემდეგ, 1974-1976 წლებში, იყო ეგვიპტის ელჩი დიდ ბრიტანეთში, ხოლო შემდეგ – პორტუგალიაში. 1978 წლიდან ოპოზიციაში უდგება ანვარ სადათის პოლიტიკურ კურსს და აყალიბებს სახალხო ფრონტს. 1983 წელს „სამხედრო საიდუმლოებების გაცემის“ ბრალდებით დაუსწრებლად იქნა გასამართლებული ეგვიპტის სამხედრო ტრიბუნალის მიერ, ხოლო 1992 წელს, ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ – დაპატიმრებული. ეგვიპტის უმაღლესმა სასამართლომ და სახელმწიფო სასამართლომ იგი გაამართლა, თუმცა წელიწადნახევარი მაინც მოუწია ყოფნამ ერთადგილიან კამერაში.

არაბული სამყაროსათვის, რომ ეგვიპტეს მინიმუმ ერთი თაობის შემდეგ ექნება ისრაელის წინააღმდეგ ახალი ომის წამოწყების სურვილი და პოტენციალი.⁴⁸³ ისინი ამცირებენ თავდაცვის ხარჯებს მესამედით, მაგრამ აძლიერებენ სატანკო ჯარებს.

ისრაელის თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ხელმძღვანელობა თვლის, რომ საჭიროა სინაის უდაბნოს გამოყენება ბუფერულ ზონად, მობილური, სწრაფი რეაგირების ძალებით მანევრირებისათვის. იქ ჩათვალეს, რომ სინაის ნახევარკუნძულის დაკავებით ებრაელთა მძლავრი სატანკო შენაერთებისათვის საკმარისზე მეტი სამანევრო სივრცე იყო მოპოვებული, ამიტომ ეგვიპტელთა ნებისმიერი შეტევითი მოქმედებები უმოკლეს დროში იქნებოდა აღკვეთილი. ისრაელის გენშტაბის გათვლით ეგვიპტელების მიერ დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა მძლავრი გამაგრებული ხაზით უნდა აღკვეთილიყო, რაც ეგვიპტური შენაერთების წინსვლას შეაყოვნებდა. ამის გამო პირდაპირ არხის აღმოსავლეთ სანაპიროზე ეწყობა ოცდაცამეტი გამაგრებული სამეთვალყურეო პოსტი.⁴⁸⁴ ესაა ისრაელის სახელმწიფოს მიერ ტექნიკურად სრულყოფილად აღჭურვილი თავდაცვის მძლავრი ხაზი, რომელიც ისტორიაში „ბარ-ლევის“ ხაზის სახელით შევიდა, ისრაელის თავდაცვის ძალების იმდროინდელი გენშტაბის უფროსის, გენერალ ჰაიმ ბარ-ლევის სახელის მიხედვით.

მიუხედავად გენშტაბის გეგმებისა, ისრაელის სამხრეთის ფრონტის სარდალი, გენერალი არიელ შარონი,⁴⁸⁵ რომელიც მანევრული ბრძოლის თავყანისმცემელი იყო, „ბარ-

⁴⁸³ ავტორის მოსაზრებები ეგვიპტელთა მიერ მიღებული ერთი თაობის შემდეგ ახალი ომის დაწყების შესაძლებლობის შესახებ, გადაჭარბებულია. ეს ვადა გაცილებით მცირე იყო. 1967 წლის „ექსპლდინ ომში“ ისრაელის თვალისმომჭრელმა გამარჯვებამ ხელი შეუწყო მითის შექმნას იმის შესახებ, რომ ისრაელის თავდაცვის ძალები და ებრაელი ჯარისკაცი უძლეველია. დამკვიდრდა აზრი, რომ ისრაელის ყოველი მომდევნო ომი არაბულ სამყაროსთან თითქოს ძალიან ხანმოკლე იქნებოდა და იგი მცირე მსხვერპლით დასრულდებოდა. ისრაელის სამხედრო ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ 1967 წლის „ექსპლდინ ომის“ შედეგების გათვალისწინებით, ეგვიპტელები ახალ ომს მანამ არ წამოიწყებდნენ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ, რომ წარმატებით შეძლებდნენ ისრაელის სამხედრო აეროდრომებზე თავდასხმასა და მისი საჰაერო ძალების სრულ განადგურებას. ამისათვის კი მათ საშუალო რადიუსის მოქმედების გამანადგურებელ-ბომბდამშენების (როგორცაა მაგალითად, „Fantom“, „Jaguar“ და МИГ-23) ესკადრილები ესაჭიროებოდათ, რომლებიც იმავდროულად ისრაელის აეროდრომებსაც მისწვდებოდა. ასეთი დასკვნების გაკეთება ისრაელის თავდაცვის ძალების გენერალური შტაბისა და ისრაელის სადაზვერვო სამსახურების დიდი შეცდომა იყო. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სანამ ამ ტიპის ავიაცია არ ეყოლებოდა, ეგვიპტე ახალ ომს არ წამოიწყებდა. იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ ეგვიპტის საჰაერო ძალები საჭირო რაოდენობის ბომბდამშენებს 1975 წლამდე ვერ მოიპოვებდა, ისრაელის დაზვერვამ დაასკვნა, რომ საფრთხე 1975 წლამდე არ იყო მოსალოდნელი, და არა 1995 წლამდე, როგორც ამას ავტორი მიუთითებს.

⁴⁸⁴ 1967 წლის „ექსპლდინ ომში“ გამარჯვებამ ისრაელს საშუალება მისცა მოეპოვებინა საკმარისი ოპერატიული სივრცე იმისათვის, რომ საკუთარი სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადასულიყო სტატიკური თავდაცვის სტრატეგიაზე – განეხორციელებინა თავდაცვა სიღრმეში. ეს საშუალება ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ ბარ-ლევის ხაზის რეალიზებაში გამოიხატა. ბარ-ლევის ხაზი თავდაცვითი ხასიათის მძლავრი ფორტიფიკაციული სისტემა იყო, რომელიც ისრაელის მიერ 1967 წლის „ექსპლდინ ომის“ შედეგად სინაის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ იქნა აგებული. ხაზის მშენებლობა დაახლოებით 300 მილიონი აშშ დოლარი დაჯდა და მას ისრაელის თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის იმდროინდელი უფროსის, გენერალ ჰაიმ ბარ-ლევის სახელი ეწოდა. ხაზი სუეცის არხის გასწვრივ იქნა აშენებული აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელსაც მოშე დაიანმა „მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ბუნებრივი ტანკსაწინააღმდეგო თხრილი“ უწოდა. ხაზი შედგებოდა არხის გასწვრივ შემართული მაღალი ქვიშაყრილისაგან, რომელიც გამაგრებული იყო ბეტონის კედლით, ქვიშის კედლის სიმაღლე 20-25 მეტრს შეადგენდა 45-65%-იანი დახრილობით, მის თავზე კი მოწყობილი იყო ტანკის სასროლი პოზიციები. კედლის პირდაპირი დაძლევა შეუძლებელი იყო – წინასწარი საინჟინრო მომზადების გარეშე ქვიშის კედელი და ბეტონის საფუძველი ხელისშემშლელ დაბრკოლებას წარმოადგენდა ჯავშან ან სხვა ტიპის მექანიზირებული ტექნიკისათვის. მთავარი კი ის იყო, რომ ხაზი აღჭურვილი იყო ნავთობის საცავებისა და მისგან გამოძავალი სუეცის არხში ჩაშვებული მილების სისტემით. ეგვიპტელთა შემოტევის დაწყების შემთხვევაში მოხდებოდა სუეცის არხში ნავთობის ჩაშვება და მისი აალება. ეს კი დაუძლეველ წინააღმდეგობად უნდა ქცეულიყო ნებისმიერი სიდიდისა და სიძლიერის შემტევი ძალებისათვის. ისრაელის გენერალური შტაბის გათვლით, ბარ-ლევის ხაზი ეგვიპტური შენაერთებისათვის მძლავრ შემაკავებელ ზღუდედ უნდა ქცეულიყო, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული.

საერთო ჯამში, ბარ-ლევის ხაზს სამი მთავარი ამოცანა უნდა გადაეწყვიტა:

1. ეგვიპტური შემტევი შენაერთების შეკავება და დროის მოგება;
2. ეგვიპტური ქვედანაყოფების მიერ მისი დაკავების შეუძლებლობა და სინაიზე პლაცდარმის შექმნის აღკვეთა;
3. თავდაცვაში მყოფი ძალების მინიმალური დანაკარგების უზრუნველყოფა;

⁴⁸⁵ არიელ შარონი (დაბადებით არიელ შაინერმანი) (ებრ. אריאל שרון) (1928-2014წ.წ.) – ისრაელის სახელმწიფოს გამორჩენილი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ისრაელის მთავრობის წევრი და პრემიერ მინისტრი

ლევის“ ხაზს არ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას. იგი აუქმებს საყრდენი პუნქტების ნახევარს და მხოლოდ თოთხმეტს იტოვებს. არიელ შარონი სინაიში განლაგებულ ერთ სატანკო დივიზიაზე აკეთებდა გათვლას, რომელიც მანევრულ თავდაცვას უზრუნველყოფდა. ქვიშიან უდაბნოში ტანკების სწრაფი გადაადგილებისათვის იგი შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას იწყებს. აქ იგულისხმება სამი გზა, რომლებიც სუეცის არხამდე გადის ერთმანეთის თითქმის პარალელურად. პირველი აკავშირებს ბარ-ლევის საყრდენ პუნქტებს „დიდ მწარე ტბასა“ და სუეცის არხს შორის, მეორე – „არტილერიის გზა“, გადის 10 კილომეტრი სიგრძის არხის ციკაბო სანაპირო ფერდობზე, ხოლო მესამე, რომელიც ბელუზადან ტაზამდე მიემართება, მათთან დაკავშირებულ, სამხრეთით მდებარე გიდისა და მიტლას უღელტეხილებს აკავშირებს ერთმანეთთან.

თითქოს ყველაფერი წესრიგშია და პრობლემებიც არ უნდა იყოს, რადგან ისრაელის სატანკო ნაწილების საჰაერო მხარდაჭერა ავიაციამ უნდა უზრუნველყოს. ექვსდღიანი ომის გამოცდილებიდან გამომდინარე გენერალი შარონი დარწმუნებულია ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების დიდ უპირატესობაში.⁴⁸⁶ მაგრამ შარონი ცდება. და მასთან ერთად ცდება ისრაელის თავდაცვის ძალების მთელი გენერალიტეტიც. მათ არ იციან, რომ ეგვიპტელების განკარგულებაში უკვე უახლესი ტიპის რუსული „მიწა-ჰაერის“ ტიპის რაკეტებია. საბჭოთა კავშირმა სუეცის არხის დასავლეთ სანაპიროზე მათ აუშენა კომპლექსური საჰაერო თავდაცვის სისტემა, რომელიც „მიწა-ჰაერის“ ტიპის რაკეტების 150 ბატარეისა და 2500 საზენიტო ქვემეხისგან შედგება. ისინი არხის აღმოსავლეთით და დასავლეთით 10 კილომეტრი სიგანის საჰაერო ზოლს იცავენ.⁴⁸⁷ გარდა ამისა, ეგვიპტელებმა საბჭოელებისაგან შეისყიდეს ქვეითთა საბრძოლო მანქანები და ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება.

2001-2006 წლებში, ისრაელის არმიის გენერალი. არიელ შარონი წარმომავლობით რუსი ებრაელების ოჯახიდან იყო. მისი ბაბუა, მორდეხაი შაინერმანი რუსეთის იმპერიაში, ბრესტ-ლიტოვსკში დაიბადა. იგი დაჯერებული სიონისტი იყო და მეგობრობდა ზევე ბენიონთან, ისრაელის მომავალი პრემიერ მინისტრის, მენაჰემ ბენიონის მამასთან, რომელიც ასევე დაჯერებული სიონისტი იყო. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება ფრონტისპირა რაიონებიდან ებრაელთა გასახლების შესახებ. მორდეხაი შაინერმანი ოჯახთან ერთად თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. არიელ შარონის მამა, შშუელ (სამუელ) შარონი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და აქვე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, რომელთანაც მალე ქორწინდება. 1921 წლის საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, შაინერმანების ოჯახი საცხოვრებლად ისრაელში გადადის. არიელ შარონი სწავლობდა კიბურლის (დიდი ბრიტანეთი) სამხედრო აკადემიასა და თელ-ავივის უნივერსიტეტში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ისრაელის სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ყველა ომში – 1947-1949 წლების არაბეთ-ისრაელის (დამოუკიდებლობის) ომი, 1956 წლის სუეცის კრიზისი, 1967 წლის ექვსდღიანი ომი, 1973 წლის იომ-ქიფურის ომი, 1982 წლის ლიბანის ომი. ამ ომებში გაიარა სამხედრო გზა რიგითი ჯარისკაციდან გენერალამდე და ქვეყნის თავდაცვის მინისტრამდე. ეკავა სხვადასხვა ტაქტიკური, ოპერატიული-ტაქტიკური, ოპერატიული, ოპერატიულ-სტრატეგიული და სტრატეგიული დონის სამეთაურო თანამდებობები – ოცეულის მეთაური, ასეულის მეთაური, ბრიგადის დამრტყმელი ჯგუფის უფროსი, სამხედრო ოლქის დაზვერვის უფროსი, სპეციალური ძალების მეთაური, 202-ე საპარაშუტო-სადესანტო ბრიგადის მეთაური, სატანკო დივიზიის მეთაური, სამხედრო ოლქის სარდალი. 1977-1981 წლებში იყო ისრაელის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ხოლო 1981-1983 წლებში, ლიბანის ომის დროს – ისრაელის თავდაცვის მინისტრი. 1983-1999 წლებში ეკავა ისრაელის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის თანამდებობა, 1999-2001 წლებში კი, იყო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი. 2001 წელს არჩეულ იქნა ისრაელის პრემიერ მინისტრად. 2006 წელს დაემართა ინსულტი და სიკვდილამდე, რვა წლის განმავლობაში იმყოფებოდა კომაში.

⁴⁸⁶ ებრაელთა თავდაცვის გეგმა დაფუძნებული იყო დაზვერვის წინასწარ 48 საათიან გაფრთხილებაზე ეგვიპტელთა შეტევის შესახებ. ამ 48 საათის განმავლობაში ისრაელის საჰაერო ძალებს უნდა მიეყენებინათ დარტყმა მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისა და აეროდრომებისათვის, რომლის განმავლობაშიც მოხდებოდა სახმელეთო ძალების, და პირველ რიგში სატანკო შენაერთების საბრძოლო გაშლა. ებრაელები მოელოდნენ, რომ ეგვიპტელთა შეტევა ისრაელის თავდაცვის ძალების ჯავშანსატანკო ბრიგადების ეფექტური მოქმედებით იქნებოდა აღკვეთილი, რასაც მხარს სამხედრო-საჰაერო ძალები დაუჭერდნენ.

⁴⁸⁷ ბარ-ლევის ხაზის გარღვევასა და სუეცის არხის ფორსირების გეგმის შედგენაზე პასუხისმგებლობა ეგვიპტის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ საად ელ-შაზლის დაეკისრა. მისი გეგმა დაფუძნებული იყო იმ გათვლაზე, რომ ეგვიპტური შენაერთების მიერ ხაზის გარღვევისა და შემდგომი პოზიციების დაკავებისას, განეიტრალებული იქნებოდა ისრაელის თავდაცვის ძალების საჰაერო უპირატესობა – ის უპირატესობა, რაც წინა ომებში ჰქონდა ისრაელს. ამ გეგმის მიხედვით უნდა შექმნილიყო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ეფექტური ქოლგა არხიდან ათი მილის მანძილზე აღმოსავლეთით. ეგვიპტის ომის მინისტრის, გენერალ აჰმედ ისმაილ ალის 1972 წელს მოსკოვში საგანგებო მისიით მივლინების დროს, საშუალო რადიუსის მოქმედების ბომბდამშენი-გამანადგურებლების მაგივრად საბჭოელებმა ეგვიპტელებს ალტერნატიული გადაწყვეტილება შესთავაზეს: ისრაელის საჰაერო ძალებს უნდა დაპირისპირებოდა „მიწა-ჰაერის“ კლასის საბჭოთა წარმოების C-75, C-125 და 2K12 ტიპის

როდესაც 1972 წელს საბჭოთა ოფიცრები და სამხედრო მრჩეველები ტოვებენ ეგვიპტეს, ებრაელები საბოლოოდ იჯერებენ რომ ომი მოსალოდნელი არ არის. ისრაელში არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ეგვიპტელები შეძლებენ ამ სარაკეტო სისტემების დამოუკიდებლად გამოყენებას. თავის გათვლებში ისრაელის გენშტაბი ტყუვდება.

მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის კარგად გათვლილი სტრატეგიის თანახმად, ეგვიპტეში, სუეცის არხის ზონაში ყოველ წელს ფართომასშტაბიანი საშემოდგომო მანევრები ტარდება, ამიტომ ისრაელს არ უკვირს 1973 წლის შემოდგომაზე ეგვიპტელთა ქვეითი და სატანკო ქვედანაყოფების საწყის პოზიციებზე განლაგება. ისრაელის გენშტაბის ასეთი თავდაჯერებულობა დიდი შეცდომაა, რომელიც მალე ძალიან ძვირად დაუჯდება ებრაულ მხარეს.⁴⁸⁸ ეგვიპტის გენშტაბი ისე კარგად მუშაობს და ოპერაცია „ბადრის“ შენიღბვაც იმდენად სრულყოფილია, რომ ძალიან რანგის ეგვიპტელი ოფიცრების უმეტესობაც კი, მხოლოდ 1973 წლის 6 ოქტომბრის დილას იგებს საომარი მოქმედებების დაწყებას: სწავლების დასრულებისთანავე, რამდენიმე საათში იგეგმება ისრაელზე თავდასხმა. ებრაული კალენდრის მიხედვით კი, 6 ოქტომბერი იომ-ქიფურის, დიდი ებრაული დღესასწაულის დღეა.⁴⁸⁹

1973 წლის 6 ოქტომბერს, 14 საათზე ოპერაცია „Badr“ იწყება.⁴⁹⁰ ამ დროს კი, ფრონტის წინა ხაზზე ებრაელთა მხოლოდ ერთი ქვეითი ბატალიონი და სამი ტანკი

სარაკეტო სისტემები (ნატოს კლასიფიკაციით – SAM-2, SAM-3 და SAM-6) – სხვადასხვა სახეობისაგან შექმნილი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი „საჰაერო თავდაცვის ქოლგა“, რასაც დაემატებოდა ჩვეულებრივი საზენიტო-საარტილერიო შეიარაღება. ეს ყველაფერი სუეცის არხის გასწვრივ საომარ მოქმედებათა თეატრს ეფექტური ქოლგისებური დაცვით უზრუნველყოფდა და ისრაელის საჰაერო ძალების უპირატესობა უშუალოდ ბრძოლის ველზე მნიშვნელოვნად გაბათილდებოდა.

⁴⁸⁸ არსებულ ვითარებაში ებრაული მხარის ინერტულობა სტრატეგიული დონის შეცდომა იყო. საქმე იმაშია, რომ ეგვიპტის თავდაცვის ძალების გენშტაბმა ძალიან კარგად გაატარა „მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის სტრატეგია“. იგი დეზინფორმაციის გავრცელების კარგად დამუშავებულ გეგმას მოიცავდა, რამაც წარმატებით იმუშავა. გეგმის შესაბამისად, ყველა ინტერვიუსა და უცხოურ პრესაში ვითომდა შეთხვევით გაუონილი ინფორმაცია გამიზნულად ადასტურებდა ისრაელის მცდარ მოლოდინებს. ეგვიპტელებმა თვალის ახვევის კლასიკური, ეფექტური კამპანია ააგორეს, რომელიც ისრაელში გავრცელებული მოსაზრებების გულმოდგინე ანალიზს ემყარებოდა – შეხედულებებს, რომელთაც ისრაელის სამხედრო მეთაურობა დროდადრო გამოთქვამდა. კერძოდ, გენერალ მოშე დაინის განცხადებას ეგვიპტელთა მოუშაღებლობის შესახებ. გენერალ იცსაკ რაბინის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ომის პერსპექტივა არ არსებობდა. ცხადია, ეს განცხადებები, სხვა მსგავს შეხედულებებთან ერთად, ფართოდ შექცდებოდა მედიაში. ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მიერ 1973 წლის განმავლობაში ჩატარებული მრავალჯერადი სავიწროვანი წვრთნებიც ეგვიპტის ეშმაკური გეგმის ნაწილი იყო. ეგვიპტელები უზრუნველყოფდნენ მცდარი ინფორმაციის გამუდმებით გავრცელებას ტექნიკური მომსახურების პრობლემებსა და პირადი შემადგენლობის ნაკლებობაზე, რაც საჭირო იყო გაუმჯობესებული აღჭურვილობის ასამოქმედებლად. ეგვიპტელებმა გააკეთეს არაერთი შეცდომაში შემყვანი მოხსენება სათადარიგო ნაწილების დეფიციტისა და ტექნიკური პერსონალის ნაკლებობის შესახებ, რამაც აგრეთვე იბოვა გზა ისრაელისკენ. სადათი იმდენი ხნის განმავლობაში ეწეოდა ომის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკას, რომ მსოფლიო ყურადღებას აღარ აქცევდა მის ხშირ მუქარებს ომის შესახებ. 1973 წლის მაისსა და აგვისტოში ეგვიპტის არმიამ ჩაატარა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო სწავლებები საზღვართან ახლოს, რის საპასუხოდაც ისრაელმა ორივეჯერ თავისი არმიის მობილიზება გამოაცხადა, რაც მნიშვნელოვანი ფასი დაჯდა. ეს იყო მოწინააღმდეგის „შეცდომაში შეყვანის სტრატეგია“. საერთო ჯამში, ოპერაციის ჩატარების საიდუმლოდ დაცვის სტრატეგია იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ისრაელის სადაზვერვო სამსახურებზე (Mossad, Aman) რომ აღარაფერი ვთქვათ, მან სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებაც შეიყვანა შეცდომაში, ამერიკის შერეობული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) ჩათვლითაც კი.

⁴⁸⁹ იომ-ქიფური – სიტყვასიტყვით „მიტვეების დღე“. ებრაულიდან ითარგმნება როგორც – „გამოსყიდვის, განკითხვის დღე“. იგი იუდაიზმში ყველაზე მნიშვნელოვანი და წმინდა დღესასწაულია. ეს არის მარხვის, აღსარებისა და ცოდვების მიტვეების დღე. აღინიშნება ებრაული თიშრის თვის მეთათე დღეს და იგი მონანიების ათი დღის დასასრულია.

⁴⁹⁰ 1973 წლის 6 ოქტომბერს, ზუსტად 14 საათზე, ერთდროულად 2000 საარტილერიო დანადგარიდან გახსნილ იქნა ცეცხლი ბარ-ლევის ხაზის საყრდენ პუნქტებზე. ეგვიპტელთა სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის საარტილერიო მომზადება 53 წუთს გრძელდებოდა და პირველ წუთში გაშვებულ იქნა 105000 ჭურვი – ე.ი. წამში 175 ჭურვი. მძლავრ შეტევაში ბარ-ლევის მთელი ხაზის გასწვრივ ეგვიპტელთა ავიაციაც მოქმედებდა. კომბინირებულ საჰაერო-საარტილერიო დარტყმაში ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების 250 თვითმფრინავი მონაწილეობდა – საბჭოური წარმოების ავიაცამანდგურებლები МИГ-21, МИГ-19С და МИГ-17С.

დგას.⁴⁹¹ 14 საათსა და 15 წუთზე 8000 ეგვიპტელი ჯარისკაცი გასაბერი ნაგებით გადადის არხზე. თხუთმეტი წუთის შემდეგ – ჯარის დარჩენილი ნაწილი.⁴⁹² ბორნებით სუეცის არხის მეორე ნაპირზე ტანკები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები გადადიან, შენდება საბჭოური კონსტრუქციის ოცამდე საპონტონე ხიდი. შეტევა კარგადაა მომზადებული, ყველაფერი საათის მექანიზმის სიზუსტით კეთდება, მოხერხებულად და სწრაფად, ისე, თითქოს რამდენჯერმე მომხდარიყოს მისი რეპეტირება.

ისრაელელი სამხედრო ექსპერტები ეგვიპტელების მიერ სუეცზე საპონტონე ხიდების მოსაწყობად 48 საათს ითვალისწინებდნენ, მაგრამ ისინი ცდებოდნენ. ეგვიპტელები ამას გაცილებით მცირე დროში, ცხრა საათში ახერხებენ. ეგვიპტელებს ხუთი ქვეითი დივიზია თითქმის დაუბრკოლებლად გადაჰყავთ სუეცის არხის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თვით ეგვიპტის გენშტაბში არხის ფორსირებისას საკუთარი ცოცხალი ძალის საბრძოლო დანაკარგად დაახლოებით ოცდაექვსი ათას დაღუპულს ვარაუდობდნენ, ფაქტობრივად კი მსხვერპლი მხოლოდ სამასი ადამიანია.⁴⁹³ ამავე დროს მიმდინარეობს თანდათან შემოსული ებრაული ტანკების განადგურებაც.

ეგვიპტელთა შეტევითი მოქმედებები მეტად ეფექტურად მიმდინარეობს. მომდევნო დღისათვის 290 ებრაული ტანკიდან მხოლოდ 144 იყო საბრძოლო მწყობრში.⁴⁹⁴ ბარ-ლევის ხაზმა თავისი მისია ვერ შეასრულა. ებრაელთა სატანკო შეტევის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე იგი ეცემა.⁴⁹⁵ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედებებიც წარუმატებელი გამოდგა. ეგვიპტელთა საჰაერო დაცვის ქოლგა მეტად ეფექტურად მოქმედებდა. ინტენსიური საზენიტო ცეცხლის შედეგად იშლება ისრაელის ბომბდამშენების მცდელობა გაანადგურონ სუეცის არხთან განლაგებული ეგვიპტელთა „მიწა-ჰაერის“ ტიპის სარაკეტო კომპლექსების პოზიციები. ებრაელი მფრინავები სტანდარტულად მოქმედებენ და თვითმკვლელ საბრძოლო გაფრენებს აწარმოებენ არხზე გადებული საპონტონე ხიდების

⁴⁹¹ სინაი კვლავ გახდა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის შეიარაღებული კონფლიქტის არენად უკვე მეოთხეჯერ. ეგვიპტელები მზად იყვნენ არხის მეორე მხარეს იერიშის მისატანად და მათ უკვე გაშლილი ჰყავდათ ხუთი დივიზია, მთლიანობაში 100000 ჯარისკაცი, 1350 ტანკი, 2000 ქვემეხი და მძიმე ნაღმსატყორცი. მათ პირისპირ იერუსალიმის ბრიგადის მხოლოდ 450 ჯარისკაცი იდგა. ისინი გაშლილები იყვნენ 16 ფორტში არხის მთელ სიგრძეზე. მთელს სინაის ნახევარკუნძულზე 290 ისრაელის ტანკი იყო, რომლებიც განაწილებულნი იყვნენ სამ სატანკო ბრიგადაში, მათგან მხოლოდ ერთი იყო გაშლილი არხის სახალოვეს.

⁴⁹² ქვიშის მასიური კედლის გარღვევისათვის ეგვიპტელებმა ეფექტურად გამოიყენეს გენერალ საად ელ-შაზლის მიერ შემუშავებული სქემა – მძლავრი წყლის ტუმბოები, აფეთქებები და ბულდოზერები. ამ მეთოდით სუეცის არხზე სულ 81 გასასვლელი იქნა გაკეთებული.

⁴⁹³ ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა ეგვიპტური მხარის საბრძოლო დანაკარგების შესახებ, აშკარად გადაჭარბებულია. ფაქტია, რომ ეგვიპტელების მიერ სუეცის არხის ფორსირებისა და ბარ-ლევის ხაზის გარღვევის ოპერაცია დიდი წარმატებით განხორციელდა. ეგვიპტელებმა, რომლებიც 10000 კაციან საბრძოლო დანაკარგს ვარაუდობდნენ, მხოლოდ 208 კაცი დაკარგეს და არა ავტორის მიერ მითითებული 300 კაცი.

⁴⁹⁴ შეტევაზე ორიენტირებულმა ისრაელის სარდლობამ დაუყოვნებლივ გასცა კონტრშეტევაზე გადასვლის ბრძანება, რათა მომხდარიყო ეგვიპტური შენაერთების შეჩერება, სანამ მოხდებოდა სარეზერვო ძალების მობილიზაცია, მათი მწყობრში ჩადგომა და საბრძოლო გაშლა. გააფრთხილები კონტრშეტევები, რომელიც სინაის ნახევარკუნძულზე მიმდინარეობდა 6-9 ოქტომბერს, დამანგრეველი აღმოჩნდა ისრაელის ჯავშანსატანკო ქვედანაყოფებისათვის, რომლებიც თავისი ჩვეული „ბლიცკრიგის“ ტაქტიკით ჩაერთვნენ ბრძოლაში და დაუყოვნებლივ დაიწყეს კონტრშეტევითი მოქმედებები. ეს ებრაელთა მიერ დაშვებული მორიგი შეცდომა იყო. ებრაული ტანკების წინსვლა სწრაფად იქნა აღკვეთილი და მათი დანაკარგებიც ძალიან დიდი იყო. რეალობა კი შემდეგში მდგომარეობდა – ებრაელები თავიდან ვერც კი მიხვდნენ თუ რატომ იყვნენ ეგვიპტელი ქვეითები ცალკე, ტანკების გარეშე პატარა-პატარა ჯგუფებად თავმოყრილები უდაბნოში. მათ მხოლოდ მოგვიანებით გაიაზრეს ეს, როცა საკუთარ თავზე იწვნიეს ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარამტყორცნებისა (PIIF-7) და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რეაქტიული ჯურების (ПТУРС) ეფექტურობა. აქ საუბარია საბჭოური წარმოების ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიულ მართვად დანადგარზე ПТУР 9М14 Малютка, NATO-ის კლასიფიკაციით AT-3 Sagger.

⁴⁹⁵ ბარ-ლევის ხაზის დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ვერ მოხერხდა მისი ცეცხლგამჩენი სისტემის ამუშავება. ხაზში ინტეგრირებული ცისტერნებიდან ვერ მოხერხდა საწვავის სუეცის არხში ჩაშვება და მისი აალება. მიზეზი ერთობ ტრიავიალური იყო. ავზებს და მის ნავთობსადენებს მიმდინარე რემონტი უტარდებოდა. ავზები დაცლილი იყო, ხოლო მთლიანად სისტემა – გაუმართავი.

გასანადგურებლად, მაგრამ უშედეგოდ. მართალია საავიაციო დარტყმებით მათ შეძლეს შვიდი ხიდის განადგურება, მაგრამ ეკვიპტელები აქაც წარმატებით მოქმედებენ, ხიდების აღდგენა მათ რამდენიმე საათში მოახერხეს.

ებრაული ავიაციის მოქმედებების ტაქტიკა სწორხაზოვანი და არასწორი იყო – ისრაელის გენშტაბისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის მიერ დაშვებული კიდევ ერთი შეცდომა.⁴⁹⁶

უკვე 7 ოქტომბრისათვის ისრაელის მთელი სამხედრო-საჰაერო ძალები უნდა გადავიდნენ ჩრდილოეთის ფრონტზე, სადაც გოლანის მაღლობებზე სირიული ტანკების გამოჩენის შემდეგ, მდგომარეობა დრამატულად მწვავდება. სუეცის არხისა და სინაისგან განსხვავებით, აქ საფრთხე უკვე უშუალოდ ისრაელის სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს ემუქრებათ. 1600 სირიული ტანკი, აქედან 600 თანამედროვე საბჭოური წარმოების T-54, T-55 და T-64 მზადაა გალილის ბორცვზე აღმართული სიმაგრის გასარღვევად. ისრაელის ჯარი მათ გააფთრებული წინააღმდეგობას უწევს. 50მმ და 105მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი ბრიტანული „ცენტურიონის“ ტიპის ტანკებითა და რამდენიმე ამერიკული II მსოფლიო ომისდროინდელი ვეტერანი „შერმანებით“ ებრაელები მედგრად ცდილობენ მოწინააღმდეგის უპირატესობის დაძლევის.⁴⁹⁷ ისრაელის თავდაცვის მინისტრის, გენერალ მოშე დაიანის⁴⁹⁸

⁴⁹⁶ ექვსდღიანი ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, ისრაელის გენშტაბმა მცდარი დასკვნები გამოიტანა. ისინი იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ჯავშანსატანკო ნაწილებს უკეთესად და უფრო სწრაფად შეეძლოთ ემოქმედათ ცალკე, ვიდრე საერთო-საჯარისო შენაერთის შემადგენლობაში. მაგრამ იომ-ქიფურის ომის პირველ დღეებში სატანკო შენაერთების საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკამ ასეთი მიდგომის მცდარობა გამოაჩინა. შუა კონფლიქტის დროს ისრაელის თავდაცვის ძალები სასწრაფოდ დაუბრუნდნენ ჯარების გვარეობათა შორის ომის წარმოების უფრო შეკავშირებულ მეთოდს. მაგრამ ამ ქმედებამ მხოლოდ ნაწილობრივ გამოასწორა ებრაელთათვის შექმნილი მძიმე მდგომარეობა. ფაქტი ისაა, რომ ექვსდღიანი ომის საბრძოლო გამოცდილების არასათანადო ინტერპრეტირების გამო, ისინი მწარედ დაისაჯნენ.

⁴⁹⁷ აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშეებს „ცენტურიონების“ კალიბრთან დაკავშირებით. ბრიტანული წარმოების ტანკის, „ცენტურიონების“ სხვადასხვა მოდიფიკაციის ქვემეხის კალიბრები იყო 76,2მმ, 83,4მმ და 105მმ, და არაფრით 50მმ, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს.

⁴⁹⁸ მოშე დაიანი (კიტაიგოროდსკი) (ებრ. משה דיין) (1915-1981წ.წ.) – ისრაელის სახელმწიფოს სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ისრაელის მთავრობის წევრი, გენერალი. მონაწილეობას იღებდა ისრაელის სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ყველა ომში – 1947-1949 წლების არაბეთ-ისრაელის (დამოუკიდებლობის) ომი, 1956 წლის სუეცის კრიზისი, 1967 წლის „ექვსდღიანი ომი“, 1973 წლის იომ-ქიფურის ომი, 1982 წლის ლიბანის ომი. დაიბადა რუსი ებრაელის შშუელ (სამუელ) კიტაიგოროდსკის ოჯახში. ახალგაზრდობიდანვე ჩაერთო სიონისტურ მოძრაობაში. იყო ებრაელთა იატაკქვეშა სიონისტური სამხედრო ორგანიზაცია „პაგან“-ის წევრი, 1936-1939 წლებში მსახურობდა პალესტინის ებრაული პოლიციის რაზმებში. 1939 წელს აირაღის უკანონო ფლობისათვის დაპატიმრებულ იქნა ბრიტანული ხელისუფლების მიერ. 1941 წლის თებერვლამდე სასჯელის იხდოდა ქალაქ აკოს ციხეში. II მსოფლიო ომის პერიოდში ბრიტანული ჯარების შემადგენლობაში სირიასა და პალესტინაში იბრძოდა ფრანგი ვიშისტების წინააღმდეგ. 1946 წელს წარმოადგენდა ბაზელში გამართული სიონისტთა კონგრესის დელეგატს. 1948-1949 წლების ისრაელის დამოუკიდებლობის ომში სარდლობდა იერუსალიმის ფრონტს. 1950-1953 წლებში ისრაელის სამხრეთის, შემდეგ კი, ჩრდილოეთის სამხედრო ოლქების სარდალია. დიდი ბრიტანეთის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის დასრულების შემდეგ ინიშნება ისრაელის გენშტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსად. 1953-1958 წლებში ისრაელის თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის უფროსია. ამ პერიოდში ისრაელის თავდაცვის ძალების მოდერნიზაციისა და გაძლიერების მიზნით გაატარა მთელი რიგი სამხედრო რეფორმებისა, განსაკუთრებით სამხედრო განათლებისა და ჯარების წვრთნის კუთხით. ეს რეფორმები იყო:

- სამხედრო აკადემიის გახსნა ისრაელის თავდაცვის ძალების უფროსი ოფიცრებისათვის;
- ისრაელის არმიის დაზვერვისა და წვრთნის სტრუქტურების შემდგომი განვითარება;
- საბრძოლო ნაწილების რაოდენობის გაზრდა და გაძლიერება ადმინისტრაციული აპარატის შემცირების ხარჯზე;
- ისრაელის სახელმწიფო შესყიდვების დაქვემდებარება თავდაცვის სამოქალაქო სამინისტროსადმი;
- სამობილიზაციო სქემის გადახედვა და დახვეწა;
- დამრტყმელი შენაერთებისათვის (საჰაერო და ჯავშანსატანკო) განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება და „კომანდოს“ ტიპის ბატალიონების ინტენსიური წვრთნა;
- ახალგაზრდული სამხედრო-საწვრთნელი ორგანიზაციების ჩამოყალიბება;

1959 წელს არჩეულ იქნა ქნესეთის დეპუტატად. 1959-1964 წლებში სოფლის მეურნეობის მინისტრია, 1967-1974 წლებში – თავდაცვის მინისტრი, ხოლო 1978-1979 წლებში – ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი. მონაწილეობდა კემპ-დევიდის სამშვიდობო შეთანხმების შემუშავებაში. 1979 წელს ისევ იქნა არჩეული ქნესეთში. გარდაიცვალა

ბრძანების შესაბამისად, ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვიან. სწორედ ამ მომენტში მოდის სირიის ფრონტზე დახმარება რეზერვისტების სახით. ისრაელის შეიარაღებული ძალები დამხმარე ძალების გამოჩენისთანავე ახერხებენ მოწინააღმდეგის შეჩერებასა და უკუგდებას.

ებრაელი რეზერვისტების გამოჩენა არაბული მხარისათვის დიდ მოულოდნელობას წარმოადგენდა. ოპერაცია „ბადრ“-ის დაგეგმვისას ეგვიპტელი სტრატეგოსები ვარაუდობდნენ, რომ იომ-ქიფურის დღეს რეზერვისტების მობილიზაცია და გაწვევა ნელი ტემპებით მოხდებოდა, რადგან ყველაზე მნიშვნელოვან ებრაულ დღესასწაულზე ისრაელის მოქალაქეების უმეტესობა არ იხდებოდა ტელევიზორებსა და რადიომიმღებებთან. ისინი სინაგოგებში იქნებოდნენ და მათი შეტყობინება დროულად ვერ მოხდებოდა. ამიტომ მოულოდნელობის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა. მაგრამ ისინი შეცდნენ, ყველაფერი პირიქით მოხდა. ოცდაოთხ საათზე ნაკლებ დროში რეზერვისტების პირველი დივიზია უკვე ფრონტზეა.⁴⁹⁹

შეტევაზე ორიენტირებულმა ისრაელის სარდლობამ დაუყოვნებლივ გასცა კონტრშეტევაზე გადასვლის ბრძანება ეგვიპტური შენაერთების შეჩერების მიზნით, სანამ მოხდებოდა სარეზერვო ძალების მობილიზაცია და მათი საბრძოლო მწყობრში ჩადგომა. 8 ოქტომბრის დილას ისრაელის რეზერვისტების ეს დივიზია, წინასწარ დაუშავებული და მრავალჯერადად გათამაშებული საომარი გეგმის შესაბამისად ასოთხმოცდასამი ტანკით კონტრიერიშს იწყებს ბელუზადან. ჭაობის სამხრეთ სანაპიროზე და არხის პარალელურად დივიზია მიიწევს წინ, სამხრეთისკენ, იმ განზრახვით, რომ გადაკვეთოს მოწინააღმდეგის მიერ გადებული ხიდები. მაგრამ ხდება რაღაც ამოუცნობი და მოულოდნელი. ებრაელთა გამარჯვების რწმენას იმედგაცრუება ცვლის. ეგვიპტელი ჯარისკაცები აღარ გარბიან, როგორც ეს შვიდი წლის წინ, ებრაული ტანკებისა და ავიამანაღმურებლების დანახვისას ხდებოდა. გააფთრებული კონტრშეტევები, რომელიც სინაის ნახევარკუნძულზე მიმდინარეობდა 6-9 ოქტომბერს, დამანგრეველი აღმოჩნდა ისრაელის რეზერვისტების ჯავშანსატანკო ქვედანაყოფებისათვის, რომლებიც თავისი ჩვეული „ბლიცკრიგის“ ტაქტიკით ჩაერთვნენ ბრძოლაში. ებრაელები თავიდან ვერც კი მიხვდნენ თუ რატომ იყვნენ ეგვიპტელი ქვეითები ცალკე, ტანკების გარეშე ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილები უდაბნოში. მათ მხოლოდ მოგვიანებით გაიაზრეს ეს, როცა საკუთარ თავზე იწვნიეს საბჭოური წარმოების ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბართმტყორცნებისა (PIIG-7) და მართვადი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების (ПТУРС) ეფექტურობა. ექვსდღიანი ომისაგან განსხვავებით, ახლა ისინი პოზიციებზე მყარად დგანან, მამაცურად ერთვებიან ბრძოლაში და საპასუხო დარტყმებსაც აყენებენ მოწინააღმდეგეს.

ებრაელთა თითქმის ყველა ტანკი განადგურებულია, ხოლო ორმოცდაოთხი თვითმფრინავი – ჩამოგდებული. ეს უმძიმესი დანაკარგებია, რაც სერიოზულ საფრთხეს

ინფარქტით 1981 წელს. განვლილი ცხოვრებისა და საბრძოლო გზის გათვალისწინებით მსოფლიო საზოგადოებისათვის მოშე დაიანი ისრაელის ახალი სახელმწიფოს მებრძოლი სიმბოლო იყო.

⁴⁹⁹ ეგვიპტელთა მიერ შეტევის დაწყების თარიღად „იომ-ქიფურის დღე“ – 6 ოქტომბერი, შემთხვევით არ იქნა შერჩეული. ეგვიპტური სარდლობის გათვლით, ისრაელის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ დღეს სინაგოგებში იქნებოდა და ქვეყნაც დროულად ვერ მოახერხებდა ეგვიპტის თავდასხმაზე შესაბამის რეაგირებას. მაგრამ ისინი შეცდნენ, მოხდა პირიქით – გაცილებით სწრაფად განხორციელდა სალოცავებში შეკრებილი ხალხის შეტყობინება, მათი საომარი მობილიზაცია და ფრონტზე გაგზავნა.

უქმნის ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ბრძოლისუნარიანობას. 8 ოქტომბერი „ისრაელის არმიის შავ ღღედ“ იქცა.⁵⁰⁰

8 ოქტომბრის საღამოსათვის ასი ათასმა ეგვიპტელმა ჯარისკაცმა და ათასზე მეტმა ეგვიპტურმა ტანკმა არხი გადაკვეთა. ისინი სინაიზე შედიან. ისრაელის მთავარსარდლობის შტაბი იღებს გადაწყვეტილებას, სამხრეთის ფრონტზე გადავიდნენ თავდაცვით მოქმედებებზე, ვიდრე ჩრდილოეთში არ დაამარცხებენ სირიელებს. ეს მომენტი ბრძოლის კულმინაციური წერტილია.

10 ოქტომბრისათვის სიტუაცია ფაქტობრივად იცვლება. ისრაელის თავდაცვის ძალები შოკური მდგომარეობიდან გამოდიან – პირველი დღეების აპოკალიფსურ განწყობასა და მასიური განადგურების შიშს ნებისყოფა სძლევს, რომელიც მათ წინააღმდეგობის გაწევას აიძულებს.⁵⁰¹ გააფთრებული ბრძოლების შედეგად ებრაული შენაერთები იბრუნებენ გოლანის მაღლობებს და სირიაში იჭრებიან. დამასკო უკვე ებრაული არტილერიის მოქმედების რადიუსშია.

სირიის ფრონტზე შექმნილი მძიმე ოპერატიული ვითარება აიძულებს ეგვიპტელებს, გააგრძელონ შეტევითი მოქმედებები სუეცის ფრონტზე. მიუხედავად სამიშროებისა, რომ ისრაელი მზად იყო გამოეყენებინა მის განკარგულებაში არსებული ატომური იარაღი, თორმეტ ოქტომბერს იწყება ოპერაცია „ბადრის“ მეორე ფაზა.⁵⁰² ეგვიპტელთა სარეზერვო სატანკო დივიზიამ სწრაფი გადაადგილება დაიწყო აღმოსავლეთის მიმართულებით. ეგვიპტური მხარის ეს გადაწყვეტილება ნაჩქარევი და გაუმართლებელი იყო. აქ უკვე ეგვიპტელებმა დაუშვეს უმძიმესი შეცდომა.⁵⁰³

⁵⁰⁰ საომარ მოქმედებათა ამ ეტაპისთვის ისრაელის თავდაცვის ძალების მთელი სატანკო ბატალიონები იქნა განადგურებული. ბრძოლის პირველი სამი დღის განმავლობაში ისრაელმა 400 ტანკი დაკარგა. 8 ოქტომბრისათვის ებრაულებს სუეცის მიმართულებაზე მხოლოდ 90 ტანკი დაარჩათ. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედებებიც წარუმატებელი იყო. ფაქტია, რომ ეგვიპტელთა საჰაერო თავდაცვის ქოლგა ეფექტურად მუშაობდა. ებრაული ტანკების განადგურებაში ლომის წილი საბჭოური წარმოების ტანკსაწინააღმდეგო რაქტიულ მართვად დანადგარზე, ПТУР 9М14 Малютка, NATO-ს კლასიფიკაციით AT-3 Sagger-ზე მოდიოდა. ამ ტანკსაწინააღმდეგო იარაღის საბრძოლო ეფექტურობას განსხვავებული წყაროები განსხვავებულად წარმოგვიდგენენ. ასე მაგალითად, არაბული მხარის შეფასებით, 1973 წლის განმავლობაში არაბული მხარის მიერ ПТУР 9М14 Малютка-ს გამოყენებით მწყობრიდან იქნა გამოყვანილი ისრაელის 800 ტანკი. Малютка-ს მოხვედრებით ამერიკული წარმოების ისრაელის ტანკების ჯავშნის 60% ზიანდებოდა, რომელთა ეკიპაჟებიდან საშუალოდ 2 ტანკისტი იღუპებოდა. ამერიკული კვლევებითა და წყაროებით კი, ПТУР 9М14 Малютка-თი მწყობრიდან იქნა გამოყვანილი ისრაელის ტანკების მხოლოდ 25%, ე.ი. სულ დაახლოებით 300 ტანკი.

⁵⁰¹ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა, რომლებიც ცდილობდნენ სირიული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ქოლგა დაეძლიათ, მალე შეცვალეს თავისი საბრძოლო მოქმედების ტაქტიკა. ახალი ტაქტიკა მდგომარეობდა ისრაელის შემტევი ავიაციის ფრენაში დაბალ სიმაღლეებზე და ადგილმდებარეობისა და რელიეფის გამოყენებაში შენიღბვის მიზნით. ბრძოლის ეს ტაქტიკა ძალიან ეფექტური აღმოჩნდა, რაც საშუალებას იძლეოდა ისრაელის საჰაერო ძალებს შეტევა მიეტანათ სირიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებზე, გაენადგურებინათ ისინი და საჰაერო მხარდაჭერით უზრუნველყობთ საკუთარი ჯავშანსატანკო ქვედანაყოფები. წარმატებული შეტევითი მოქმედებებით ისრაელმა დაიბრუნა ყველა თავისი ძველი პოზიცია გოლანის მაღლობებზე, ჰერმონის მთის გარდა. თუმცა, ამ მიმართულებაზე ადგილი აღარ ჰქონია ისეთ სწრაფ და ეფექტურ გამარჯვებებს, როგორც ეს 1967 წლის ივნისში, ექვსდღიანი ომის პერიოდში იყო.

⁵⁰² ისრაელის სახელმწიფოს მიერ ბირთვული იარაღის ფლობისა და მისი ბირთვული პოტენციალის საკითხი დღემდე საკამათო თემად რჩება. ოფიციალურად ისრაელს ატომური და ბირთვული იარაღის ფლობის შესახებ განცხადება არასდროს გაუკეთებია. იგი არც ადასტურებს და არც უარყოფს ამ მოსაზრებას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ისრაელს არა აქვს ხელი მოწერილი ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვის ხელშეკრულებაზე. დიდი ალბათობით ისრაელი შეიძლება წარმოადგენდეს იმ ქვეყანას, რომელიც ფლობს სრულფასოვან სტრატეგიულ ბირთვულ ტრაიფას, იმდენად, რამდენადაც ისრაელში ნეგევის ბირთვული კვლევების ცენტრში ატომური იარაღის შესაქმნელად 1960-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, რუსეთს და ჩინეთს, ისრაელსაც გააჩნია ბირთვული იარაღის გადამტანი საშუალებები სამივე საომარ განზომილებაში – ხმელეთი, ჰაერი, ზღვა. ზოგიერთი ინფორმაციით, ისრაელის სახელმწიფო ფლობს ბირთვულ არსენალს და ბირთვული ქობინების რაოდენობით მას მსოფლიოში მეექვსე ადგილი უკავია. რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის მონაცემებით, უკვე 1970-1980 წლებში ისრაელს ჰქონდა იმის ტექნოლოგიური და სამეცნიერო პოტენციალი, რომ შეექმნა 20-დე ატომური ბომბი, 1993 წლისათვის კი, დამატებით – 100-დან 200-დე. სხვადასხვა წყაროების მონაცემებით, 2006 წლისათვის ისრაელს არსენალში 200-დე ბირთვული ბომბი და რაკეტა გააჩნდა.

⁵⁰³ ეგვიპტელებმა დამაჯერებლად მოიგეს ომის პირველი ეტაპი სინაიზე, თუმცა სადათის გადაწყვეტილებამ, ეგვიპტურ შენაერთებს ექსპლუატაცია გაეწიათ თავისი წარმატებისათვის და განევითარებინათ შეტევითი მოქმედებები

14 ოქტომბერს, დილის 6 საათსა 30 წუთზე, 500 ეგვიპტური ტანკი და 2 მოტორიზებული ბრიგადა თავდაჯერებულად მიიწვეს წინ სინაის ნახევარკუნძულის სიღრმეში. შენაერთი ცდილობს მიაღწიოს გიდისა და მიტლას უღელტეხილებს და გადალახოს ისინი. სუეცის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაშლილი დანარჩენი 12 ბრიგადა ამ შეტევაში მონაწილეობას არ იღებს, რადგან ვარაუდობენ, რომ ფორმირებული შეტევის საბრძოლო წყობა „კუთხით წინ“ საკმარისია კონცენტრირებული დარტყმისათვის. მაგრამ როგორც კი ეგვიპტური ქვედანაყოფი გადიან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის დაცვის ზონიდან, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები თავს ესხმიან მათ და რამდენიმე საათში 250 ტანკს ანადგურებენ.⁵⁰⁴

იმავე დღეს მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება – პირველი ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავი C-5 Galaxy⁵⁰⁵ ამერიკული დახმარების ტვირთს აწვდის ისრაელს, რითაც ისრაელის თავდაცვის ძალებისა და ებრაელი მოსახლეობის საბრძოლო სულისკვეთება მალღდება.⁵⁰⁶ იმავე დღოს, მათში ომის გამარჯვებით დამთავრების იმედიც ჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ჯარების რაოდენობით ეგვიპტელები ჯერ კიდევ დიდ უპირატესობას ფლობენ – ქვეით ჯარსა და არტილერიაში თანაფარდობა – 7/1-თან, ხოლო ტანკებში 2/1-თან. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეგვიპტელებმა უკვე ამოწურეს შეტევითი მოქმედებების პოტენციალი. მათ დაკარგეს ოპერატიული ინიციატივა და იგი ისრაელის მხარეს გადადის.

14 ოქტომბრის შუალამისას ისრაელის თავდაცვის მინისტრი, მოშე დაიანი იღებს გადაწყვეტილებას მძლავრი კონტრშეტევითი ოპერაციის დაწყების შესახებ. შემუშავებული გეგმის მიხედვით ებრაულმა სატანკო შენაერთებმა უნდა გადაკვეთონ სუეცის არხი და საბრძოლო მოქმედებები უშუალოდ ეგვიპტის ტერიტორიაზე აწარმოონ. დაიანის ამ გადაწყვეტილებას მინისტრთა კაბინეტიც ეთანხმება.

შეტევა იწყება 15 ოქტომბერს, ნაშუადღევს, ებრაული მხარის ცრუ მანევრით, მოჩვენებითი შეტევით ეგვიპტის მე-2 საველე არმიის პოზიციებზე. ებრაელებს ეგვიპტელთა ყურადღება ამ მიმართულებაზე გადააქვთ. ებრაელთა ამ ცრუ შეტევაზე რეაგირების მიზნით იწყება ეგვიპტელთა მთელი ოპერატიული რეზერვის გადაჯგუფება, რითაც ეგვიპტელთა მე-2 და მე-3 საველე არმიებს შორის არსებული პოზიციები სუსტდება, ჩნდება რღვეული და ოპერატიული სივრცეც ფართოვდება.

აღმოსავლეთის მიმართულებაზე, საფრთხის წინაშე დააყენა ეს წარმატება. პრეზიდენტმა სადათმა უარყო გენერალ ელ-შაზლის გაფრთხილება, რომ მსგავსი გადაწყვეტილება ეგვიპტურ შენაერთებს საჰაერო ქოლგის გარეშე დატოვებდა და მძიმე განსაცდელში ჩააგდებდა მათ... გენერალი საად ელ-შაზლი ასეთი გადაწყვეტილების მიღების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. სადათმა უმაღლესი ავიათავისუფლა იგი დაკავებული თანამდებობიდან და თავის ჯარებს შეტევის განვითარება უბრძანა...

⁵⁰⁴ აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეგვიპტური შენაერთების შეტევითი მოქმედებების აღკვეთაში გადამწყვეტი როლი ავიაციასთან ერთად, ებრაელთა მიერ 14 ოქტომბერს დაწყებულმა მძლავრმა სატანკო კონტრშეტევამაც ითამაშა. ამ ბრძოლაში ორივე მხრიდან 2000 ტანკზე მეტი მონაწილეობდა და თავისი მასშტაბებით იგი II მსოფლიო ომის კურსკის ბრძოლის შემდეგ უდიდეს სატანკო ბრძოლას წარმოადგენდა ომების ისტორიაში. ისრაელის თავდაცვის ძალებმა, მიუხედავად მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობისა 2/1-თან, კარგად მომზადებული პირადი შემადგენლობისა და ხელახლა მოპოვებული საჰაერო უპირატესობის ხარჯზე, დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ 500-დე ეგვიპტური ტანკი გაანადგურეს. ამათ ეგვიპტელთა წინსვლა შეჩერდა.

⁵⁰⁵ Lockheed C-5 Galaxy – კონცერნ Lockheed-ის მიერ შექმნილი დიდი ტვირთამწეობის ოთხძრავიანი რეაქტიული სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავი. შედის მსოფლიოს უდიდესი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების რიგში. განკუთვნილია დიდი მასისა და გაბარიტული ზომების მქონე სამხედრო ტვირთებისა და სამხედრო ტექნიკის ტრანსპორტირებისათვის დიდ მანძილებზე. პირველი საცდელი ფრენები განხორციელდა 1968 წელს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში მიღებულ იქნა 1969 წელს. დაწყებული ამ დროიდან, გამოიყენებოდა აშშ-ის მონაწილეობით მიმდინარე ყველა დიდ გლობალურ კონფლიქტში – ვიეტნამში, ერაყი, იუგოსლავია, ავღანეთი. ასევე მონაწილეობდა მოკავშირეთა მხარდასაჭერად იომ-ქიფურის ომსა და სპარსეთის ყურის ომებში.

⁵⁰⁶ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ისრაელის სახელმწიფოსადმი გაწეული დახმარების ეს ოპერაცია ცნობილი არის კოდური დასახელებით "Nickel Grass". საერთო ჯამში, ამ ოპერაციის ფარგლებში, ისრაელისათვის მიწოდებულ იქნა 22395 ტონა ტვირთი.

ებრაელებმა კარგად ისარგებლეს სამანევრო სივრცის გაზრდით და დაუყოვნებლივ შეცვალეს შეტევის შემდგომი მიმართულება. ისრაელის სატანკო შენაერთები მარცხნივ მობრუნებით გვერდს უვლიან მოწინააღმდეგის ძლიერ თავდაცვით პოზიციებს და წინ იჭრებიან. გააფთრებული, მაგრამ ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ, „დიდი მწარე ტბის“ ჩრდილოეთით ებრაული ტანკები სუეცის არხთან გადაიან. მაგრამ ისინი აქ არ ჩერდებიან და იწყებენ არხის ფორსირებას. არხის ფორსირების შემდეგ კი, გადადიან სუეცის დასავლეთ სანაპიროზე, შედიან ეგვიპტის ტერიტორიაზე, უხვევენ სამხრეთით და იქ ქმნიან პლაცდარმს.⁵⁰⁷

ანვარ სადათმა ამის შესახებ ჯერ არაფერი იცის. 16 ოქტომბერს, ნაშუადღევს იგი რადიოს საშუალებით იგებს, რომ ისრაელის ჯარი, როგორც ამას გოლდა მერი⁵⁰⁸ იუწყება, „აფრიკაში“ იბრძვის და ეგვიპტის თავდაცვის მინისტრს სთხოვს ვითარების გადამოწმებას. ადგილებზე მეთაურებთან კომუნიკაციის შემდეგ მინისტრი ახსენებს პრეზიდენტს, რომ საშიში არაფერია, არხზე მხოლოდ შვიდი თუ რვა ებრაული ტანკი-ამფიბიაა გადმოსული და სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება. მაგრამ პრეზიდენტისადმი მიწოდებული ეს ინფორმაცია ყალბი ცნობაა, რაც სიმართლისგან ძალიან შორსა დგას. მდგომარეობა გაცილებით სერიოზულია. ფაქტია, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი და ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი სრულიად მცდარ ინფორმაციას იღებს. სალამოს, შტაბ-ბინაში იწყება შექმნილი ოპერატიული ვითარების განხილვა. აქ უკვე ცხადი ხდება, რომ მდგომარეობა საგანგაშოა, ებრაელები უშუალოდ ეგვიპტის ტერიტორიებზე არიან შეჭრილინი. სუეცის დასავლეთ სანაპიროს პლაცდარმზე ებრაელთა არა რამდენიმე ტანკი, არამედ მთელი შენაერთებია თავმოყრილი.

გენერალი შაზლი სთავაზობს სადათს არხის აღმოსავლეთით მყოფი ყველა ეგვიპტური სატანკო შენაერთის უკან გამოყვანას და მათი ბრძოლაში ჩართვით ისრაელელთა პლაცდარმის განადგურებას. სადათი ისევ არ უჯერებს თავის გენშტაბის უფროსს. „ამით ჩვენ აღმოსავლეთ სანაპიროზე დარჩენილი ქვეითი ჯარის დემორალიზებას მოვახდენთ“, – ფიქრობს სადათი და უარყოფს ამ შემოთავაზებას. ამის ნაცვლად იწყება ეგვიპტელთა დარჩენილი სტრატეგიული რეზერვით ებრაელთა მიერ მოპოვებულ პლაცდარმზე შეტევა. მაგრამ ეს არ არის საუკეთესო გადაწყვეტილება. ისრაელის ჯარი წინდაწინ აწყობს

⁵⁰⁷ ამ მომენტისათვის ფრონტზე შექმნილი ოპერატიული ვითარება შემდეგია – გენერალ შარონის 143-ე დივიზიამ, გაძლიერებულმა საჰაერო-სადესანტო ბრიგადით, გარკვეული პლაცდარმი მოიპოვა სუეცის დასავლეთ სანაპიროზე. ხიდის აგების შემდეგ კი, აქ დამატებითი ძალები იქნა შემოყვანილი. კერძოდ, ისრაელის თავდაცვის ძალების 162-ე და 252-ე ჯავშანდივიზიებმა დაიწყეს სუეცის არხის ფორსირება, გააგრძელეს მოძრაობა სამხრეთისაკენ და ზურგიდან გარს შემოერტყნენ ეგვიპტის მე-3 საველე არმიას...

⁵⁰⁸ გოლდა მერი (მეიერსონი) (დაბადებით გოლდა მაროვიჩი) (ებრ. גולדה מירון) (1898-1978წ.წ.) – ისრაელის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის წევრი. სხვადასხვა დროს – შინაგან საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი და ისრაელის მეხუთე პრემიერ მინისტრი. დაიბადა რუსეთის იმპერიაში, კიევიში. 1906 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადადის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვისკონსინის შტატში. 1916 წელს ამთავრებს საშუალო სკოლას და იმავე წელს ხდება მილუოკის პედაგოგიური კოლეჯის სტუდენტი. ახალგაზრდობიდანვე ჩართო სიონისტური მოძრაობაში, 17 წლის ასაკში ხდება მემარცხენე სიონისტური ორგანიზაციის წევრი. 1921 წელს საცხოვრებლად გადადის ისრაელში, სადაც დავით ბენ-პურიონთან იწყებს მუშაობას. გოლდა მერი იმ 33 პოლიტიკოსს შორის იყო, რომლებმაც 1948 წლის 14 მაისს ხელი მოაწერეს ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციას. იმავე წლის ივნისში ინიშნება ისრაელის პირველ ელჩად საბჭოთა კავშირში. 1969 წელს, ლევი ეშკოლის გარდაცვალების შემდეგ, ხდება ისრაელის რიგით მეხუთე პრემიერ მინისტრი. 1971 წელს დაჯილდოვდა მედლით „იერუსალიმის განთავისუფლებისთვის“. 1973 წლის ომ-ქიფურის ომის შემდეგ მისი პოპულარობა ეცემა და 1974 წლის 1 მაისს იგი და მისი კაბინეტი გადადგა. შიდაპარტიული არჩევნების შემდეგ, ისრაელის ახალი პრემიერ მინისტრი ისრაელის თავდაცვის ძალების გენშტაბის ყოფილი უფროსი, და შემდგომში, 1994 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, გენერალი იცხაკ რაბინი ხდება. ამით გოლდა მერის პოლიტიკური კარიერა სრულდება. გარდაიცვალა ლიმფომით 1978 წლის 8 დეკემბერს, იერუსალიმში. გოლდა მერის სახელის უკვდავსაყოფად ნიუ-იორკში მისი ძეგლი დაიდგა.

მიახლოებულ ეგვიპტური T-62-სათვის ორმოცი კილომეტრი სიგრძის მისასვლელ გზას და მათ ორი სატანკო ბრიგადით უტევს ფლანგზე. ბრძოლა ისრაელელთა გამარჯვებით სრულდება. ისინი ანადგურებენ „მიწა-ჰაერი“ სარაკეტო პოზიციების მთელ რიგს არხის გასწვრივ და უტევენ ქალაქს სუეცის ყურიდან.⁵⁰⁹

სუეცის არხის დასავლეთით საჰაერო სივრცეს ახლა უკვე ებრაელები აკონტოლებენ და უპირატესობაც ნელ-ნელა მათ მხარეს გადადის. ებრაული თვითმფრინავები სუეცის თავზე დაუსჯელად დაფრინავენ და გზას უხსნიან თავის სახმელეთო ქვედანაყოფებს. ებრაელები შეტევით მოქმედებებს აგრძელებენ. ქალაქ ისმაილიას აღების ხელის შეშლის მიზნით, სადათი ბრძოლაში თავის უკანასკნელ რეზერვს – რესპუბლიკური გვარდიის რჩეულ სატანკო ბრიგადას რთავს.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ცდილობს სადათი საბრძოლო მოქმედებების შეჩერებაზე დაიყოლიოს, ვიდრე იგი მოლაპარაკებებისთვის ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფება. მაგრამ სადათი გადაჭარბებით აფასებს საკუთარ მდგომარეობას, იგი დარწმუნებულია საკუთარ გამარჯვებაში და უარს ამბობს საბჭოელების ამ შეთავაზებაზე. მაგრამ უკვე 21 ოქტომბრისათვის, როდესაც ცხადი ხდება, რომ ეგვიპტელთა მთელ მე-3 საველე არმიას გარშემორტყმის საფრთხე ემუქრება, იგი მზადყოფნას აცხადებს საზავო მოლაპარაკებების დაწყებაზე. თავდაპირველად ისრაელის პრემიერი გოლდა მეირიც უარს ამბობს მოლაპარაკებების გამართვაზე, მაგრამ შემდეგ ამერიკელების ზეწოლით დათმობაზე მიდის. ზავი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ძალაში 22 ოქტომბერს, 18 საათსა და 52 წუთზე შედის.

ეგვიპტელების მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის ზავის დადებისა, 23 ოქტომბერს, გამთენიისას, ისრაელის სატანკო ქვედანაყოფები საომარ მოქმედებებს არ წყვეტენ. ისინი აგრძელებენ შეტევას სამხრეთის მიმართულებით, იკავებენ ადაბიას ნავსადგურს და ბოლომდე ასრულებენ ეგვიპტელთა მე-3 საველე არმიის ალყაში მოქცევის ოპერაციას. ახლა კი, საომარი მოქმედებები ჩერდება. სურათი ასეთია – ეგვიპტური არმია ყურის აღმოსავლეთ სანაპიროზე იმყოფება ალყაში მოქცეული, 45 ათასი ჯარისკაცითა და 250 ტანკით, საბრძოლო მასალის, წყლისა და სამედიცინო მომსახურების გარეშე. ეგვიპტური არმიის მდგომარეობა ხაფანგში მოქცეული თავის მდგომარეობას ჰგავს. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლები კი, სრულ საჰაერო უპირატესობას ფლობენ, თავს ესხმიან თითქმის დაუცველ ჯარისკაცებს და მუსრს ავლებენ მათ.⁵¹⁰

მდგომარეობა თითქმის გამოუვალაია. ამის საფუძველზე საბჭოთა კავშირი გადამჭრელ მოქმედებებზე გადადის. იგი ემუქრება ისრაელს რეგიონში თავისი სამხედრო ტექნიკისა და ქვედანაყოფების დაუყოვნებლივი გაგზავნით. ამავდროულად ამერიკელები აცხადებენ საბრძოლო მზადყოფნის მესამე დონეს – ეს ხდება პირველად 1962 წლის კარიბის კრიზისის შემდეგ. მდგომარეობა უკიდურესად მძიმდება. მსოფლიო კვლავ დგება ბირთვული ომის დაწყების საფრთხის წინაშე.

⁵⁰⁹ აქ ეგვიპტის ქალაქ ისმაილიაზეა საუბარი.

⁵¹⁰ ომის დასასრულისთვის ებრაელები უკვე დაწინაურებულ პოზიციებზე იყვნენ ეგვიპტის დედაქალაქიდან, კაიროდან 101კმ-ის დაშორებით და დაკავებული ჰქონდათ სუეცის არხის დასავლეთით მდებარე 1600კვ.კმ. ტერიტორია. აგრეთვე – კაირო-სუეცის გზა და ალყაში ჰყავდათ მოქცეული ეგვიპტელთა მე-3 საველე არმიის ძირითადი ნაწილი. ამავე დროს, ეგვიპტელებს ეკავათ ვიწრო ზოლი სუეცის არხის აღმოსავლეთ სანაპიროზე და დაკავებული ჰქონდათ სინაის ნახევარკუნძულზე 1200კვ.კმ. ტერიტორიები. ერთი-ერთი წყაროს მონაცემებით, ამ მომენტისათვის ეგვიპტელებს ჰყავდათ 70000 ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცი და 720 ტანკი არხის აღმოსავლეთ ნაპირზე. თუმცა, მათგან 30000-45000 ჯარისკაცი ებრაელების მიერ ალყაში იყო მოქცეული.

25 ოქტომბერს სასწრაფოდ იმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური სხდომა. სხდომაზე ზავის მეორე რეზოლუციას იღებენ.⁵¹¹ მაგრამ ამით იომ-ქიფურის ომი არ სრულდება. ზავი კიდევ არაერთხელ დაირღვევა, ვიდრე 1974 წლის თებერვალში ისრაელი უკან არ გაიყვანს თავის შეიარაღებულ ძალებს სუეცის არხის დასავლეთ სანაპიროდან.

საერთო ჯამში, იომ-ქიფურის ომი ორივე მხარისათვის ძალიან მძიმე დანაკარგებით დასრულდა. ისრაელმა 830 ტანკი დაკარგა.⁵¹² დეტალური სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, სინაის ნახევარკუნძული, ამ ომის ძირითადი მიზეზი, 1981 წელს ეგვიპტეს უბრუნდება.⁵¹³ ისრაელის სამხედრო წარმატებას თან ახლავს მისი გრძელვადიანი სტრატეგიული და პოლიტიკური მარცხი. ეგვიპტელები კი, დღემდე ყოველ წელს ზეიმობენ თავიანთ გამარჯვებას.⁵¹⁴

⁵¹¹ გაეროს უშიშროების საბჭოს №339 რეზოლუციით ცეცხლი სასწრაფოდ შეწყდა 1973 წლის 25 ოქტომბერს. მიღებული რეზოლუცია ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და დაპირისპირებულ მხარეთა შენაერთების ომამდელ პოზიციებზე დაბრუნებას.

⁵¹² ისრაელის დანაკარგები იომ-ქიფურის ომში შეადგენდა 2520-2800 მოკლულს, 7250-8800 დაჭრილსა და 293 ტყვეს. 400 ებრაელი ტანკი იქნა განადგურებული, კიდევ 600 დაზიანებული, მაგრამ ისინი სწრაფად იქნა აღდგენილი და ბრძოლაში დაბრუნებული. ისრაელის საჰაერო ძალებმა დაკარგა 102 საბრძოლო თვითმფრინავი, მათ შორის: 32 ერთეული F-4, 53 ერთეული A-4, 11 ერთეული „Mirage” და 6 ერთეული „Super Mistery”, აგრეთვე 2 შევეულმფრენი. მოშე დაიანის მონაცემებით, ავიაციის ეს დანაკარგები ომის პირველ სამ დღეზე მოდიოდა. არაბული დანაკარგები გაცილებით მეტი იყო, მოუხედავად იმისა, რომ ეგვიპტური და სირიული მხარეები საბრძოლო დანაკარგების შესახებ არასდროს არ იძლეოდნენ ზუსტ მონაცემებს. უმცირესი მონაცემები მოიცავს 8000 (5000 ეგვიპტელი და 3000 სირიელი) მოკლულსა და 18000 დაჭრილს. უდიდესი მონაცემები – 18500 (15000 ეგვიპტელი და 3500 სირიელი) მოკლულს. „London Sunday Times” არაბულ დანაკარგებს 16000-ით აფასებს. 8372 ეგვიპტელი და 392 სირიელი ტყვედ იქნა აყვანილი, დამატებით – 13 ერაყელი და 6 მაროკოელი. არაბთა დანაკარგები ტანკებში 2250-ით ფასდება. აქედან 400 ალაფად ჩაუვარდათ ებრაელებს ხელში. ამ ომში 341-დან 514-დე არაბული თვითმფრინავი იქნა ჩამოგდებული. ისრაელის სამხედრო დაზვერვის უფროსის, გენერალ ხაიმ ჰერცოვის მონაცემებით, 334 არაბული თვითმფრინავი ებრაელთა მიერ საჰაერო ბრძოლაში იქნა ჩამოგდებული, ებრაელთა დანაკარგი კი მხოლოდ 5 თვითმფრინავი იყო. „London Sunday Times” არაბთა დანაკარგებს ავიაციაში 450 თვითმფრინავით აფასებს.

⁵¹³ როგორც არაბული ალიანსი გეგმავდა, ამ ახალმა კონფლიქტმა გაარღვია პოლიტიკური ჩიზი და არაბული საკითხი ისევ დადგა საერთაშორისო განხილვის საგნად. მსოფლიომ ისევ მიაპყრო ყურადღება ახლო აღმოსავლეთს და ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, სუეცის არხი და სინაის ტერიტორიები ისევ ეგვიპტეს დაუბრუნდა, ხოლო გოლანის მაღლობების დიდი ნაწილი – სირიას. არაბთა სამხედრო წარმატებებმა, კერძოდ მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის სტრატეგიულმა კამპანიამ, რაც ისრაელისათვის მოულოდნელობას წარმოადგენდა, ნამსხვრევებად აქცია მთიი ებრაელთა დაუმარცხებლობისა და არაბთა არაკომპეტენტურობის შესახებ. ამ ომმა არაბთა თავდაჯერებულობა და საბრძოლო სულისკვეთება აამაღლა, ფსიქოლოგიური გამარჯვება მოუტანა მათ. ამის საპირისპიროდ, ისრაელი დათრგუნული და მომავალზე დაფიქრებული გამოვიდა ომიდან.

⁵¹⁴ სამხედრო-ოპერატიული (ოპერატიული და არა სტრატეგიული და პოლიტიკური) თვალსაზრისით, ისრაელმა მოიგო იომ-ქიფურის ომი, მაგრამ ძალიან მძიმე ფასად... ანვარ სადათმა კი, გარკვეულწილად აღუდგინა არაბულ სამყაროს ღირსების გრძნობა... თუმცა იომ-ქიფურის ომის შედეგების ასეთი შეფასება ჩვენი მოსაზრებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა შეფასებას იძლევა. ასე მაგალითად, ამ ომის სამხედრო-პოლიტიკურ შედეგებთან დაკავშირებით, ცნობილი ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსი და ანალიტიკოსი ტრევორ ლუპუი, აცხადებდა:

„იმდენად, რამდენადაც ომი სამხედრო ძალების გამოყენებაა პოლიტიკური მიზნების მხარდასაჭერად, შეუძლებელია იმაში ეჭვის შეტანა, რომ სტრატეგიული და პოლიტიკური თვალსაზრისით არაბულმა სახელმწიფოებმა და კერძოდ ეგვიპტემ მოიგეს ომი... და მიუხედავად ამისა, ამ ომის სამხედრო შედეგი იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ორივე მხარეს განეცხადებინა თავისი გამარჯვების შესახებ”.



გამალ აბდელ ნასერი
(1918-1970)



ანვარ სადათი
(1918-1981)



საად ელ-შაზლი
(1922-2011)



გოლდა მეირი
(1898-1978)



მოშე დაიანი
(1915-1981)



ჰაიმ ბარ-ლევი
(1924-1994)



არიელ შარონი
(1928-2014)





მოშე დაიანი



მარშალი ანვარ სადათი (შუაში) და გენერალი საად ელ-შაზლი (მარცხნივ) ოპერატიულ გეგმაზე მუშაობის დროს



ანვარ სადათი (მარცხნივ, მარშლის ფორმაში) და ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი და სამხედრო მინისტრის მოადგილე, ეგვიპტის მომავალი პრეზიდენტი, გენერალი ჰოსნი მუბარეჟი, ოპერატიულ რუქაზე მუშაობის დროს



ბარ-ლევის საზის ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი



ეგვიპტელთა საბჭოური წარმოების
ЗСУ-23-4 „Шилка”



ეგვიპტური SAM-6, „კვადრატი”, საბრძოლო
ფრენის მანძილი 24კმ, სიმაღლე 10კმ, სიჩქარე
600მ/წმ



ეგვიპტელთა „საჰაერო ქოლგა“



ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი საბჭოური გამანადგურებელი СУ-7



ეგვიპტის საჰაერო ძალების МИГ-21



გამანადგურებელ-ბომბდამშენი МИГ-23



1973 წლის 6 ოქტომბერი. ეგვიპტური სუ-7-ების ესკადრია ბარ-ლევის ხაზის დასაბომბად მიემართება



ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი F-4E Phantom



ქვეითა საბრძოლო მანქანა БМП-1



ეგვიპტური T-62




ტანკების გამართვა საბრძოლო კომპლექტით



ისრაელის „ცენტურიონი“



საბჭოთა წარმოების ეგვიპტური თვითმავალი საარტილერიო დანადგარი CAV-100



ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რეაქტიული კომპლექსი ПТУР 9М14 Малютка, NATO-ს კლასიფიკაციით AT-3 Sagger



ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი РПГ-7



„ხმელეთი-ხმელეთი“ ტიპის საბჭოური წარმოების ტაქტიკური დანიშნულების ბალისტიკური რაკეტა P-17, NATO-ს კლასიფიკაციით SS-1, SCUD



ეგვიპტელთა SAM-3, იგივე C-125-ის გასაშვები პოზიციები



საბჭოური წარმოების ეგვიპტის საჰაერო თავდაცვის სისტემები



ეგვიპტელები ახდენენ სუეცის არხის ფორსირებას



ეგვიპტელები სუეცის არხზე გადასვლას ზეიმობენ



Egyptian Troops storm through Bar-Lev line (Photo by H. al-Kunayisy)

ეგვიპტელები ბარ-ლევის ხაზს არღვევენ



გენერალი საად ელ-მასრი



ეგვიპტური ტანკები შეტევაში




ეგვიპტელები შეტევაში







ანვარ სადათი ფრონტზე



არაბი მფრინავები



ებრაელთა განადგურებული რადარი



ევგვიტური „მიგ-21“-ის მიერ ჩამოგდებული ებრაული „მირაჟი“



ისრაელის თავდაცვის ძალების M48 Patton აფეთქებული ტანკები სუეცის არხთან



ებრაელი ტყვეები




ისრაელის თავდაცვის ძალების ტრანსპორტიორი



ჩამოგდებული ებრაული „მირაჟი“



სინაიზე განადგურებული ისრაელის ტანკი M60 Patton



სირიის პრეზიდენტი, გენერალი ჰაფეზ ალ-ასადი და ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, მუსტაფა ტლასი სირიელ სამხედროებთან ერთად გოლანის მაღლობზე



სირიელთა მიერ დატყვევებული ებრაელი ჯარისკაცები, რომლებიც 1973 წლის 16 ოქტომბერს წარუდგინეს პრესას



თავში დაჭრილი არიელ შარონი



ჰაიმ ბარ-ლევე და არიელ შარონი



ებრაული სატანკო კოლონა



ებრაული „ცენტურიონები“ შეტევაში



მარცხნიდან მარჯვნივ, გენერლები: ჰაიმ ბარ-ლევვი, მოშე დაიანი და არიელ შარონი



ებრაელთა კონტრშეტევა გოლანის მაღლობზე



ისრაელის საჰაერო ძალების კუთვნილი F-4 Phantom გოლანის მაღლობებზე



მწყობრიდან გამოყვანილი საბჭოური წარმოების სირიული ტანკები გოლანის მალლობებზე



ეგვიპტელთა საბჭოური წარმოების თვითმავალი საარტილერიო დანადგარი CAV-100



სირიელთა გარღვეული პოზიციები



ებრაული „ცენტურიონები” გოლანის მაღლობებზე



სირიელთა მიერ მიტოვებული T-62



ისრაელის საჰაერო ძალების მიერ დაბომბილი სირიის გენერალური შტაბის შენობა დამასკოში





გოლდა მეირი და კაბინეტის წევრები სამხრეთის ფრონტზე, 1973 წლის 29 ოქტომბერი



აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების C-5 Galaxy-ის მიერ მოწოდებული პირველი დახმარება ისრაელს. 1973 წლის 14 ოქტომბერი



სინაის ნახევარკუნძული. ეგვიპტური ტანკები შეტევისათვის ემზადებიან. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ფოტო






გენერლები მოშე დაიანი და არიელ შარონი



არიელ შარონის ტანკები კვეთენ სინაის უდაბნოს და მიემართებიან სუეცის არხისაკენ





ებრაული ტანკები გადადიან სუეცზე



ებრაული ჯარისკაცები ისმაილიასთან.
ერთ-ერთ მათგანს აქვს ნაალაფარი
საბჭოთა წარმოების ყუმბარმტყორცნი PIII-7




ებრაული ჯარისკაცი ქალაქ
ისმაილიას მისადგომებთან



მარცხნიდან მარჯვნივ: ისრაელის პრემიერ მინისტრი გოლდა მეირი, აშშ-ის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი



1973 წლის 24 ოქტომბერი. გაეროს ეგიდით დაწყებული ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებების პროცესი. გენერალ-ლეიტენანტ ჰაიმ ბარ-ლევის შეხვედრა ეგვიპტის არმიის ბრიგადის გენერალ ბაშარ შარიფთან, სინაიზე



§3.6. სპარსეთის ყურის პირველი ომის შეცდომები (ერაყი, 1991 წლის 17 იანვარი – 28 თებერვალი)

1991 წლის დასაწყისში „კოალიციური ძალების“ სამხედრო შეჯახება ერაყის დიქტატორის, სადამ ჰუსეინის⁵¹⁵ შეიარაღებულ ძალებთან სამხედრო ისტორიაში სპარსეთის ყურის პირველი ომის სახელით შევიდა.⁵¹⁶ მისი გამოძვევე მიზეზი ნავთობით მდიდარ კუვეიტის საამიროზე თავდასხმა იყო.⁵¹⁷

1990 წლის 2 აგვისტოს დილას, ყველასთვის მოულოდნელად, ერაყის შეიარაღებული ძალების ტანკები გადაადგილებას იწყებენ ექვსზოლიან ავტომაგისტრალზე კუვეიტის დედაქალაქ ელ-კუვეიტისკენ. მცირე ბრძოლების შემდეგ ისინი დედაქალაქის სტრატეგიულ ობიექტებს და მთლიანად ქალაქს იკავებენ, მალე კი, საუდის არაბეთის საზღვრებამდე გადიან. სადამ ჰუსეინის ბრძანება და ერაყული შენაერთების წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანა შესრულებულია – კუვეიტის საამირო ოკუპირებულია, კუვეიტის ნავ-თობსაბადოები კი, ხელშია ჩაგდებული.⁵¹⁸

ბაღდადში სკოლის მოსწავლეები ხმამაღლა გაჰყვირიან: „სადამ, შენ ნამდვილი გმირი ხარ, ჩვენ თავს გაგვირავთ შენი გულისთვის!“ ქუჩებში ყველგან მისი სურათებია გამოფენილი, ერაყის მოსახლეობა მას „ისლამის მახვილის“, სალაღინის⁵¹⁹ რეინკარნაციად თვლის.

⁵¹⁵ სადამ ჰუსეინი – სადამ ჰუსეინ აბდ ალ-მაჯიდ ალ-ტიკრიტი (არაბ. صدام حسين عبد المجيد التكريتي) (2006-1937წ.წ.) – ტიკრიტში დაბადებული ერაყელი პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ერაყის პრეზიდენტი 1979-2003 წლებში, ერაყის პრემიერ მინისტრი 1979-1991 და 1994-2003 წლებში, პარტია ბაასისის ერაყის განყოფილების გენერალური მდივანი და ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე, ერაყის მარშალი 1979 წლიდან. მის ცხოვრებასა და პიროვნების ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახინა 1952 წლის ეგვიპტის რევოლუციამ. მისი კუმირი თავიდანვე გახდა გამალ აბდელ ნასერი – ეგვიპტის რევოლუციის ლიდერი და ეგვიპტის მომავალი პრეზიდენტი. 1956 წლიდან ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში, მონაწილეობდა ერაყის მეფე ფაიზალ II-ის ჩამოგდების მცდელობაში, მაგრამ უშედეგოდ. 1957 წელს ხდება ბაასის – არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის წევრი. 1960 წელს შედის კაიროს უნივერსიტეტის ოურიდიულ ფაკულტეტზე. 1966 წელს ხდება პარტია ბაასისის ერთ-ერთი ლიდერი. 1969 წელს ამთავრებს ბაღდადის უნივერსიტეტის ოურიდიულ ფაკულტეტს. ამავე წელს ხდება ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და პარტია ბაასისის გენერალური მდივნის მოადგილე. 1971-1978 წლებში, შესვენებებით სწავლობდა ბაღდადის სამხედრო აკადემიაში. 1979 წელს ხდება ერაყის პრეზიდენტი.

⁵¹⁶ საერთაშორისო პოლიტიკისა და სამხედრო ისტორიის სფეროში ეს ომი ცნობილია ასევე „კუვეიტის ომისა“ და „ერაყის პირველი ომის“ სახელით.

⁵¹⁷ ერაყის კუვეიტის საამიროზე თავდასხმისა და მისი ტერიტორიების ანექსიის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს შეადგენდა ის ასტრონომიული ვალი, რაც 1980-1988 წლების ირან-ერაყის ომის მსვლელობაში დაუგროვდა ერაყს. ერაყის საერთო საგარეო ვალი 80 მილიარდი აშშ დოლარი იყო, რომლის მნიშვნელოვანი წილიც კუვეიტის საამიროზე მოდიოდა. სადამ ჰუსეინის მილოდინისა და საწინააღმდეგოდ კუვეიტმა უარი განაცხადა ვალების ჩამოწერაზე, რასაც ერაყის შეიარაღებული აგრესია მოჰყვა შედეგად. ომის საბაბიც მარტივად მოიძებნა – 1990 წლის დასაწყისში სადამ ჰუსეინმა საჯაროდ დაადანაშაულა კუვეიტი ერაყული ნავთობის ქურდობაში, ნავთობის ექსპორტორი ქვეყნების ორგანიზაციის – OPEC-ის (OPEC – The Organization of the Petroleum Exporting Countries) გადაწყვეტილებათა დაუმორჩილებლობასა და საერთაშორისო ანტიერაყულ შეთქმულებაში...

⁵¹⁸ 1990 წლის 2 აგვისტოს ღამით ერაყის არმიის 4 დივიზია (120 ათასი კაცი და 350 ტანკი) კუვეიტში შეიჭრა. კუვეიტის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ერაყის რეგულარული ჯარისა და რესპუბლიკური გვარდიის ნაწილებს და საუდის არაბეთის ტერიტორიებზე დაიხიეს უკან. მცირე ბრძოლების შემდეგ, უკვე 2 აგვისტოს დღის ბოლოსთვის კუვეიტის დედაქალაქი ელ-კუვეიტი ერაყელთა მიერ იქნა ოკუპირებული. ერაყელთა დანაკარგები 295 მოკლული და 361 დაჭრილი იყო, კუვეიტელთა კი, შესაბამისად – 4200 და 12000.

⁵¹⁹ ალ-მალიქ ან-ნასირ სალაჰ ად-დინ იუსუფ იბნ აიუბი (სალაღინი) (არაბ. صلاح الدين يوسف بن أيوب, ქურთ. سهلاحدينی) (1193-1137წ.წ.) – ტიკრიტში დაბადებული XII საუკუნის მახლობელი აღმოსავლეთის გამოჩენილი სამხედრო, რელიგიური და სახელმწიფო მოღვაწე, ეგვიპტისა და სირიის პირველი სულთანი, ქურთი ეროვნებისა და სუნიტური აღმსარებლობის სახელმწიფო ლიდერი, აიუბიდების დინასტიის დამაარსებელი. თავისი დიდების პერიოდში მართავდა ეგვიპტეს, სირიას, ერაყს, ჰიჯაზს და იემენს. ევროპაში იგი უფრო ცნობილია სალაღინის სახელით, თუმცა ეს მისი სახელი არ იყო. სალაღინი მისი ზედსახელია, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „რწმენის კეთილშობილებას“. ამ მმართველის სახელი იყო იუსუფ იბნ აიუბი – იუსუფი, აიუბის ძე. ევროპელებისათვის მისი პიროვნება განსაკუთრებით ცნობილი გახდა ჯვაროსნების წინააღმდეგ წარმოებული წარმატებული ბრძოლების გამო. 1187 წელს სალაჰ ად-დინმა დაამარცხა ჯვაროსნები და გაანთავისუფლა პალესტინის დიდი ნაწილი, მალე კი იერუსალიმიც აიღო. აღმოსავლურ ისტორიაში სალაჰ ად-დინი გახდა გამარჯვებული აღმოსავლელი მეომრის სახე, რომელმაც შეაჩერა

სადამ ჰუსეინის მიზანი გაერთიანებული ისლამური იმპერიის შექმნა.⁵²⁰ ერაყის კუვეიტზე თავდასხმა ამ მიზნის აღსრულების გზაზე მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რაც დიდი შეცდომა იყო. შეცდომა, რომლის შედეგად სპარსეთის ყურეში მალე გაჩაღდება ომი. ერაყის დიქტატორი ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები პასიურად მიადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას და მათ მსვლელობაში არ ჩაერევა. მისი საიდუმლო სამსახურის უფროსის მოხსენებები მეტად ოპტიმისტურია. როდესაც კუვეიტის ოპერაციის წინ ამერიკის ელჩი სადამ ჰუსეინს აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უფროსის)⁵²¹ განცხადებას გადასცემს, დიქტატორი ამას შერიგების ნიშნად ჩათვლის. მაგრამ იგი ძალიან ცდება. კუვეიტზე თავდასხმის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები ეცემა. მომდევნო ათასი წლის ნავთობის რეზერვების უდიდესი ნაწილის გაკონტროლებას საფრთხე ემუქრება, მოსალოდნელია ენერგეტიკული კრიზისი. ამ ფაქტორებითაა განპირობებული აშშ-ის სტრატეგიული ინტერესები. მოვლენების ასეთი განვითარება შესაძლოა არ დაუშვან აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოებმა და არაბულმა ნავთობის მომწოდებლებმა.

გარდა ამისა, სადამ ჰუსეინმა ნავთობის ბიზნესიდან არსებული შემოსავლის უდიდესი ნაწილი დიდი რაოდენობით შეიარაღების შესაძენად გამოიყენა, რაც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს რეგიონის სტაბილურობისათვის. მის განკარგულებაშია 6000-ზე მეტი ტანკი, 600 თანამედროვე თვითმფრინავი და მინიმუმ ერთი მილიონი ბრძოლაში გამოცდილი ჯარისკაცი.⁵²² უპირველეს ყოვლისა, მას გააჩნია ქიმიური ომის წარმოების პოტენციალი, ასევე საჭირო ბალისტიკური რაკეტები რეზერვში. ამას შედეგად მოჰყვება დასავლეთისა და ისრაელის დაბალანსებული პოლიტიკის დარღვევა შუა აღმოსავლეთში. არც ერთი

დასავლეთის შეჭრა აღმოსავლეთში და ისლამის ძალები დასავლეთისკენ მიმართა. იგი გახდა გმირი, რომელმაც გადაარჩინა ისლამური სამყარო და თავის თავში გააერთიანა ისლამის უმაღლესი იდეალები.

⁵²⁰ აქ ავტორი აშკარა უზუსტობას უშვებს და „ისლამური იმპერიის შექმნასთან“ დაკავშირებით არასწორად აფასებს არსებულ ვითარებას. არაბთა ნაციონალისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ერაყის მმართველი პარტია „ბაასი“ (აღორძინება), არაფრით არ იყო ისლამისტური – უფრო პირიქით. ამ თვალსაზრისით, მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პარტია „ბაასი“ დამფუძნებელი იყო სირიული წარმოშობის არაბი მართლმადიდებელი ქრისტიანი მიშელ აფლეკი, რომლის პოლიტიკური კარიერა სოციალისტურ და კომუნისტურ იდეოლოგიასთან იყო დაკავშირებული. „ბაასი“ წარმოადგენდა სოციალისტური ტიპის პარტიას, რომლის იდეოლოგია იყო არაბული ნაციონალიზმის, პანარაბიზმის, არაბული სოციალიზმისა და ანტიიმპერიალიზმის ნაზავი. იგი მიმართული იყო არაბთა სოციალური პროგრესისაკენ. ბაასის პარტია ერაყის ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა 1963 და 1968-2003 წლებში და მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მთელი არაბული სამყაროს უნიფიკაცია ერთიან არაბულ სახელმწიფოში, რომლის მართვას პროგრესული რევოლუციური მთავრობა განხორციელებდა. პარტიის ლოზუნგს წარმოადგენდა სოციალურ-პოლიტიკური ტრიადა – ერთიანობა, თავისუფლება და სოციალიზმი, რაც არაბულ სამყაროზე არაარაბული კონტროლისა და ზეგავლენის აღკვეთას გულისხმობდა. ბაასისტურ სახელმწიფოში ამა თუ იმ ხარისხით არსებობს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების წესი და მისი პოლიტიკა საერთო ჯამში, კერძო საკუთრების ლიკვიდაციისაკენ არის მიმართული. სწორედ ასეთი სახელმწიფოს შექმნას ისახავდა მიზნად ერაყული ბაასი და მისი ლიდერი, სადამ ჰუსეინი, რასაც არვითარი კავშირი არა აქვს ისლამური ტიპის სახელმწიფოს შექმნის იდეას და მით უმეტეს ისლამისტურ ფუნდამენტალიზმთან. ამჟამად „ბაასი“ სირიის მმართველი პარტიაა. 1970-2000 წლებში ბაასის პარტიის სირიის რეგიონალურ განყოფილებას სათავეში ედგა სირიის პრეზიდენტი, გენერალი ჰაფეზ ალ-ასადი. 2000 წლიდან კი, პარტიას მისი შვილი, სირიის დღევანდელი პრეზიდენტი, ბაშარ ალ-ასადი განაგებს.

⁵²¹ ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში, ჯორჯ ბუში უფროსი (ინგლ. George Herbert Walker Bush) (1924-) – ამერიკელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტი 1989-1993 წლებში და 43-ე ვიცე-პრეზიდენტი 1981-1989 წლებში. აშშ-ის 43-პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშ უმცროსის მამა. II მსოფლიო ომის მონაწილე. რესპუბლიკური პარტიის წევრი. სახელმწიფო უმაღლესი თანამდებობების დაკავებამდე იგი იყო კონგრესმენი, დიპლომატი, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) დირექტორი. 1941 წლის 7 დეკემბერს, იაპონელთა მიერ პერლ-ჰარბორზე განხორციელებული დარტყმის გამო, ჯორჯ ბუშმა, რომელიც მაშინ 18 წლის იყო, მიატოვა სწავლა და ომში მონაწილეობისათვის აშშ-ის ფლოტში შევიდა. იგი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა საზღვაო მფრინავი. ფლოტში იმსახურა მთელი II მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში და მხოლოდ 1945 წლის სექტემბერში გააგრძელა სწავლა იელის უნივერსიტეტში. 2017 წლის მონაცემებით, ჯორჯ ბუში უფროსი იყო ცოცხლად მყოფი ყველაზე უფრო ხანდაზმული აშშ-ის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, და 2017 წლის 24 ნოემბრიდან – ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე უფრო ხანდაზმული პრეზიდენტი.

⁵²² კუვეიტის ომამდე სულ მცირე ხნით ადრე, 1980-1988 წლებში, თავისი ექსპანსიონისტური იდეოლოგიის ფრთაშესხმის გზაზე, ერაყმა მძიმე და ხანგრძლივი ომი აწარმოა ირანთან. მართალია, დაპირისპირებული მხარეებისთვის მეტად მძიმე და ხანგრძლივი ირან-ერაყის ომი მკაფიოდ განსაზღვრული შედეგების გარეშე დასრულდა, თუმცა ამ ომში ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა თანამედროვე ომის წარმოების დიდი საბრძოლო გამოცდილება მიიღეს.

სახელმწიფო არ უნდა გახდეს ისეთი ძლიერი, რომ დაიმორჩილოს მეზობელი ქვეყნები და საერთოზე შეუქმნას დასავლეთისა და „მსოფლიო ჟანდარმის“ – ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ნავთობთან დაკავშირებით.

ამერიკელების ზეგავლენით გაეროს უსაფრთხოების საბჭო გამოსცემს №660 რეზოლუციას, ერაყის ინტერვენციის დადგენილებით. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ჯეიმს ბეიკერი⁵²³ მსოფლიოში ვიზიტების სერიას იწყებს, რათა აგესორის წინააღმდეგ სამხედრო კავშირი შეკრას. იგი ამას ახერხებს.⁵²⁴

სადამი გაცეხას ვერ მალავს, როდესაც იგებს, თუ როგორი პრინციპულობით სურს ამერიკის შეერთებულ შტატებს მის წინააღმდეგ ფრონტზე დგომა და მისი იმპერიის განადგურება. სადამს ვერც ის წარმოედგინა, რომ მის წინააღმდეგ მორალური ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყებოდა. 1991 წლის 9 იანვარს, ფენევაში, ჯეიმს ბეიკერი თავის კოლეგას, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრს, ტარიკ აზიზს⁵²⁵ ულტიმატუმს უყენებს. ულტიმატუმში ისეთი აგრესიული ტონითაა შედგენილი, რომ ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი მას არ იღებს და საკონფერენციო დარბაზში, მაგიდაზე ტოვებს. კონფერენციის შემდეგ ბეიკერი ოფიციალურად აცხადებს, რომ ის დაემუქრა აზიზს ბაღდადში ატომური ბომბის ჩამოგდებათ იმ შემთხვევაში, თუ ერაყი გამოიყენებს აკრძალულ ქიმიურ იარაღს. ამ დროისათვის ამერიკის საბრძოლო გეში „ვისკონსინი“⁵²⁶ უკვე სპარსეთის ყურეშია შესული. მის ბორტზე „ტომაჰავის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტებია განლაგებული.⁵²⁷

⁵²³ ჯეიმს ედისონ ბეიკერი (ინგლ. James Addison "Jim" Baker) (1930-) – ამერიკელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. დაამთავრა პრინსტონისა და ტეხასის უნივერსიტეტები, შემდეგ ორი წელი მსახურობდა საზღვაო ქვეითების კორპუსში. იყო დემოკრატი და გადავიდა რესპუბლიკურ პარტიაში. 1970 წლიდან აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრეზიდენტ ჯერალდ ფორდის ადმინისტრაციაში ეკავა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა. 1981 წელს, პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა დანიშნა თავისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად. 1985 წელს ინიშნება ფინანსთა მინისტრად. 1988 წელს ხელმძღვანელობდა ჯორჯ ბუში უფროსის პრეზიდენტობის ხაარჩენო კამპანიას. ჯორჯ ბუში უფროსის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მის ადმინისტრაციაში დაიკავა სახელმწიფო მდივნის თანამდებობა. დიდი წვლილი მიუძღვის ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის საქმეში. დიდი იყო მისი წვლილი სპარსეთის ყურის ომშიც. 2007 წლის 25 სექტემბერს სხვა გადამდგარ სახელმწიფო მდივნებთან ერთად ხელი მოაწერა წერილს, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს მოუწოდა არ მიეღოთ რეზოლუცია №106 „სომეხთა გენოციდის“ შესახებ.

⁵²⁴ მრავალეროვნული ძალების შემადგენლობაში, ამერიკის შეერთებული შტატების ტრადიციული მოკავშირეების გარდა, შევიდნენ აგრეთვე ყოფილი სოციალისტური ბანაკის სამხედრო ბლოკის, ე.წ. „ვარშავის ხელშეკრულების“ ყოფილი წევრი ქვეყნები და თავად საბჭოთა კავშირი, რომელმაც II მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიაში პირველად დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებულ შტატებს.

⁵²⁵ ტარიკ აზიზი (არაბ. طارق آزي) (2015-1936წ.წ.) – ეროვნებით ასურელი (ასირიელი), კათოლიკე ქალდეველი, დაბადების გვარ-სახელი მიშელ იუჰანა – ერაყელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. სადამ ჰუსეინის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე, ერაყის მთავრობის ერთადერთი ქრისტიანი წევრი. 1957 წელს დაამთავრა ბაღდადის უნივერსიტეტის ანგლისტიკის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო ჟურნალისტად მუშაობა. 1957 წელს შევიდა ბაასის პარტიაში. შემდეგ მსახურობდა არმიას. 1971-1974 წლებში იყო პარტიული გაზეთის მთავარი რედაქტორი, 1974-1977 წლებში – ერაყის ინფორმაციის მინისტრი. 1983 წელს ინიშნება საგარეო საქმეთა მინისტრად და ერაყის პრემიერ მინისტრის მოადგილედ, სადაც მსახურობდა ერაყის ომის დასრულებამდე. ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს წევრი. 2003 წელს, ომში ერაყის დამარცხების შემდეგ, ჩაბარდა ამერიკელებს. 2008 წლის 29 აპრილს, ერაყის უმაღლესმა სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2010 წელს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რომელიც მალე შეეცვალა სამუდამო პატიმრობით. გარდაიცვალა ინფარქტით 2015 წელს.

⁵²⁶ „ვისკონსინი“ (USS Wisconsin (BB-64)) – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილი „აიოვას“ ტიპის 4 სახაზო გემიდან ერთ-ერთი ლინკორი. მაღალი საპროექტო სიჩქარის გამო, 32,5 კვანძი, „აიოვას“ ტიპის ლინკორები ყველაზე სწრაფმავალ სახაზო გემებად ითვლება. მათი ცურვის მანძილიც ასევე შთამბეჭდავია – 17000 საზღვაო მილი. „აიოვები“ II მსოფლიო ომის დასასრულს ჩაუშვეს წყალში და შემდეგი 50 წლის განმავლობაში იდგნენ საბრძოლო მწყობრში. კონკრეტულად (USS Wisconsin (BB-64)) წყალში ჩაიშვა 1943 წლის 7 დეკემბერს და მიწერილ იქნა აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტს. იგი მონაწილეობას იღებდა II მსოფლიო ომის წყნარი ოკეანის თეატრზე იაპონიის ფლოტის წინააღმდეგ წარმოებულ საზღვაო ბრძოლებსა და კორეისა და ვიეტნამის ომებში. 1980-იან წლებში „ვისკონსინს“ მოდერნიზაცია ჩაუტარდა და იგი აღჭურვეს თანამედროვე მძლავრი შეიარაღებით. კერძოდ, ფრთოსანი რაკეტები „ტომჰავაკი“, ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები „ჰარპუნი“, ავტომატიზირებული საზენიტო საარტილერიო კომპლექსი „ეუკლან მკ15“. 2006 წლის 17 მარტს სახაზო გემი „ვისკონსინი“ საბოლოოდ გამწესდა სამუხეუმო ექსპონატად. იგი ბაზირებულია ვირჯინიის შტატში, ქალაქ ნორფოლკში მდებარე ეროვნულ საზღვაო მუზეუმში.

⁵²⁷ BGM-109 Tomahawk – სტრატეგიული და ტაქტიკური დანიშნულების ჩვეულებრივი და ბირთვულქობინიანი, მრავალმიზნისანი, მაღალი სიზუსტისა და სიშორის, მართვადი ბერამდელი ფრთოსანი რაკეტა.

ერაყელებს ოდნავი წარმოდგენაც კი არა აქვთ იმ უზარმაზარ სამხედრო პოტენციალზე, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ფლობს. ისინი ფიქრობენ, რომ მოსალოდნელ შეტაკებაში, რომელსაც სადამ ჰუსეინი ტრაბახით „ყველა ომის დედას“ უწოდებს, ამერიკელების წინააღმდეგ მათ რეალური შანსები აქვთ.⁵²⁸ მაგრამ აშშ-ის აბსოლუტური ტექნიკური და ტექნოლოგიური უპირატესობის გამო, ომის შედეგები უკვე ბრძოლის პირველივე საათებშია გადაწყვეტილი.⁵²⁹ ჰაერიდან განხორციელებული პირველივე დარტყმებით ერაყის შეიარაღებული ძალების მთელი სამეთაურო სტრუქტურა და ჯარების მართვის სისტემები ითიშება. ქვედა დონეზე ერაყის სამხედრო აპარატის მოშლას კი, ამერიკელები შვეულმფრენების დარტყმითა და სპეციალური ქვედანაყოფების მოქმედებით აღწევენ. საშუალო დონეზე აშშ-ის საზღვაო ძალები ავიაციის გამოყენებით მთლიანად კეტავენ საჰაერო სივრცეს. უმაღლეს დონეზე კი, ოცდათექვსმეტი ათასი კილომეტრის სიმაღლიდან, კოსმოსური თანამგზავრებიდან ხორციელდება საომარ მოქმედებათა თეატრის კონტროლი.⁵³⁰

ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“, გენერალ ნორმან შვარცკოფის⁵³¹ სარდლობით, 1991 წლის 16 იანვრის უმთვარო ღამეს იწყება. რადიონავიგაციის თანამგზავრული სისტემიდან მიზნისკენ მიმართული „აპაჩის“ ტიპის საბრძოლო დამრტყმელი შვეულმფრენები ცეცხლს უხსნიან ერაყელთა რადიოლოკაციური სადგურების ანტენებს, ელექტრონულ მოწყობილობებსა და ტელეგრაფის ბოძებს. დაახლოებით 100 რაკეტა, 30 „ჰელფაიერი“ – ტანკსაწინააღმდეგო მართავდი რაკეტა და ქვემეხებიდან ოთხი ათასი გასროლა მთელ სამუშაოს ასრულებენ. ეკიპაჟების წევრები ატარებენ ღამის ხედვის ჩაფხუტებს, რომელიც დღე-ღამის ნებისმიერ დროს თვალსაჩინოს ხდის ტერიტორიას. იმავდროულად გრძელდება დელტა ქვედანაყოფის, აშშ-ის რეინჯერების, საზღვაო ძალების „ზღვის ლომებისა“ და ბრიტანული სპეციალური დანიშნულების საჰაერო-სადესანტო ძალების გადმოსხმა, რომლე-

⁵²⁸ სპარსეთის ყურის პირველი ომი ორი სამხედრო ოპერაციისგან შედგებოდა – „უდაბნოს ფარი“ (Desert Shield) (1990 წლის 2 აგვისტო – 1991 წლის 17 იანვარი) და „უდაბნოს ქარიშხალი“ (Desert Storm) (1991 წლის 17 იანვარი – 1991 წლის 28 თებერვალი).

⁵²⁹ სპარსეთის ყურის პირველი ომი მრავალი მაჩვენებლით მართლაც განსაკუთრებული იყო ომების ისტორიაში. იგი გამოირჩეოდა ავიაციის, ახალი რაკეტული ზეზუსტი იარაღისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქამდე არნახული გამოყენებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სრული ჩართულობისა და საბრძოლო მოქმედებების დეტალური გაშუქების გამო, ამ ომმა „სატელევიზიო ომის“ სახელიც დაიმკვიდრა.

⁵³⁰ ამ ომში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემა“ – GPS (The Global Positioning System), რომელიც ნებისმიერ კლიმატურ ზონასა და ნებისმიერ ამინდში საზღვრავს GPS მიმღების გეოლოკაციას დროის ნებისმიერ მომენტში. ეს ხელსაწყო განსაკუთრებით აადვილებდა სწორი მიმართულებების არჩევას და ჯარების გადაადგილებას უდაბნოში, სადაც ბუნებრივი ორიენტირები პრაქტიკულად არ არის. ასევე, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის სისტემა“ – AWACS (Airborne Warning and Control System) და სატელიტური კავშირგაბმულობის სისტემები, რომლებსაც ინტენსიურად იყენებდნენ მოკავშირეთა ძალები. სწორედ ამ სისტემებით იყენებენ აღჭურვილნი აშშ-ის საზღვაო ძალების საფრენი აპარატი Grumman E-2 Hawkeye და სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი Boeing E-3 Sentry. ორივე ეს თვითმფრინავი აქტიურად იყო ჩართული სამხედრო ოპერაციების მართვისა და კონტროლის ფუნქციებში. ეს სისტემები მეტად მნიშვნელოვანი იყო მრავალეროვნული ძალების მთავარი შტაბისა და საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ძალების შეთანხმებული მოქმედებისათვის. ამ მაღალტექნოლოგიური საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება იყო სწორედ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ოპერაციის მსვლელობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მრავალეროვნულ ძალებს დომინანტური მდგომარეობა ეკავათ ჰაერშიც, ხმელეთზეც და ზღვაზეც.

⁵³¹ ნორმან შვარცკოფი (ინგლ. Norman Schwarzkopf) (1934-2012წ.წ.) – ამერიკელი მხედართმთავარი, სპარსეთის ყურის ომში მრავალეროვნული ძალების სარდალი 1990-1991 წლებში. ვიეტნამის ომის მონაწილე, ოთხჯარსკვლავიანი გენერალი 1988 წლიდან. 1991 წელს დაჯილდოვდა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ჯილდოთი – კონგრესის ოქროს მედლით. 1956 წელს დაამთავრა ვესტ-პოინტის აკადემია. მსახურობდა 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიაში. სწავლობდა სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში, მიიღო სამხედრო ტექნიკისა და რაკეტების მართვის მაგისტრის ხარისხი. შემდეგ მსახურობდა ვესტ-პოინტის აკადემიაში მასწავლებლად. მონაწილეობდა ვიეტნამის ომში, სადაც ორჯერ იყო მივლინებული – 1965-1966 და 1969-1970 წლებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მსახურობდა სხვადასხვა სამეთაურო და საშტაბო თანამდებობებზე. იყო ბრიგადის, შემდეგ დივიზიის მეთაური, 1983 წლის ოქტომბერში გრენადაზე განხორციელებული სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელის მოადგილე. 1986 წლიდან მსახურობდა პენტაგონში, აქვე მიიღო სამხედრო-საჰაერო გენერლის წოდება. 1987 წელს ინიშნება საარმიო კრპუსის სარდალად, ხოლო 1988 წლიდან დაინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სარდლობის (CentCom) უფროსად და მიენიჭა ოთხჯარსკვლავიანი გენერლის წოდება.

ბიც ცალკეული ოპერაციების მეშვეობით ანადგურებენ მოწინააღმდეგის სამეთაურო პუნქტებს. ისინი საკუთარი კავშირგაბმულობის მართვის სისტემას აწყობენ. მძიმედ აღჭურვილი თვითმფრინავები ელექტრონული ჩამხშობი საშუალებებით კეტავენ ერაყის კავშირგაბმულობისა და სატელეფონო სისტემას.⁵³²

17 იანვრის დილის საათებში ამერიკელებს პირველი საჰაერო იერიში მიაქვთ ბაღდადზე. სპარსეთის ყურესა და წითელი ზღვის აკვატორიაში მყოფი ამერიკული ავიამზიდებიდან, ასევე ინდოეთის ოკეანეში მდებარე დიეგო გარსიას და თურქეთში მდებარე ინჯირლიკის საავიაციო ბაზებიდან აფრინდა 2430 თვითმფრინავი, ჰაერში გაიმართა 60-მდე თვითმფრინავ-გამწყობი. სტრატეგიული დანიშნულების B-52 ბომბდამშენი⁵³³ ფროსსან რაკეტებს უშვებს, ბრიტანული „ტორნადოები“ მცელავი ფრენით⁵³⁴ მიემართებიან მიზნისაკენ, საბრძოლო გემები და კრეისერ-რაკეტზიდები ზღვიდან უშვებენ „ტომაჰავებს“, რომლებიც ლაზერული მართვის უზუსტესი სისტემით არიან აღჭურვილნი.⁵³⁵ ამერიკელების „სთელზ“ ტექნოლოგიებით აგებული „უჩინარი“ F-117 ბომბდამშენი⁵³⁶ რადარებისთვის უხილავია და იგი თავისუფლად დაფრინავს ერაყის ცაში. მათ შეუძლიათ ლაზერული დამიზნების მართვადი 450-კილოგრამიანი ბომბი უდიდესი სიზუსტით გაუშვან სპეციალურად

⁵³² ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ახალი პარადიგმით, არასტანდარტული სცენარით წარიმართა. ეს პარადიგმა განსხვავებული იყო იმ ომებისგან, რომელთაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის ახალი ტიპის ომების შემთხვევაში. მაგალითად, 1939 და 1940 წლებში, II მსოფლიო ომის პოლონეთისა და საფრანგეთის კამპანიებში, ასევე გერმანიის თავდასხმის დროს საბჭოთა კავშირზე, 1941 წლის 22 ივნისს, კორეის ომში, ან თუნდაც ისრაელ-არაბეთის ომების დროს; ყველა ეს ომი იწყებოდა ერთნაირი სცენარით: საჰაერო და სახმელეთო ძალების პრაქტიკულად ერთდროული შეჭრით მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. სატანკო შენაერთების წინსვლას მხარს უჭერდა ავიაციისა და არტილერიის ცეცხლი; „უდაბნოს ქარიშხლის“ სცენარი კი, განსხვავებული იყო. იგი დაიწყო საჰაერო შეტევით ოპერაციით, რომელიც ხუთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მრავალეროვნული კოალიციის სახმელეთო ძალებმა ერაყისა და კუვეიტის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეჭრა. საომარი მოქმედებების ასეთი ხასიათი ახალ პარადიგმას წარმოადგენდა ომების წარმოების აქამდე არსებულ წესში.

⁵³³ Boeing B-52 Stratofortress – ბოინგ ბ-52 „სტრატოსფერული ციხესიმაგრე“ – საავიაციო კონცერნ „ბოინგის“ მიერ შექმნილი და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი შორი მოქმედების მრავალფუნქციური მძიმე საკონტინენტაშორისო სტრატეგიული დანიშნულების ბომბდამშენი-რაკეტზიდი. აღნიშნული თვითმფრინავი აშშ-ის საჰაერო ძალების შემადგენლობაში 1955 წლიდან იქნა შეყვანილი. ამ თვითმფრინავს 15 კმ-მდე სიმაღლეზე ბგერამდელი სიჩქარით ფრენისას შეუძლია ყველა ტიპის შეიარაღების ტარება, მათ შორის, ბირთვული იარაღისა. მთავარი ამოცანა, რის გამოც შეიქმნა ბ-52, იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნებისმიერ წერტილში დიდი სიმძლავრის ორი თერმობირთვული ბომბის მიტანა. ამ თვითმფრინავის ერთ-ერთი მოდიფიკაცია – ბ-52გ, სამხედრო თვითმფრინავებს შორის აბსოლუტური რეკორდსმენია ფრენის სიშორის მიხედვით. მისი საბომბე დატვირთვა 32 ტონაა, ხოლო შუალედური გამართვის გარეშე ფრენის მაქსიმალური მანძილი 14100კმ-ს შეადგენს. ეს საფრენი აპარატი, ამავე დროს, იმ სამხედრო თვითმფრინავთა მცირე რაოდენობაში შედის, რომელიც ექსპლუატაციაში უწყვეტად იმყოფება უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბ-52-ის პროექტი 50-იან წლებში, ცივი ომის მოთხოვნების შესაბამისად მუშავდებოდა, იგი ისევ რჩება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითად შორეული მოქმედების სტრატეგიულ ბომბდამშენად. Boeing B-52 Stratofortress – ბოინგ ბ-52 საბრძოლო მწყობრში კიდევ მინიმუმ 2030 წლამდე დარჩება. ამ თვითმფრინავის მოდერნიზაციისთვის იგეგმება H,9 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფა.

⁵³⁴ მცელავი ფრენა – საფრენი აპარატის ფრენა დაბალ, ზღვრულ (5-50მ) სიმაღლეზე. ამ რეჟიმში ფრენა პილოტისგან განსაკუთრებულ ქმედებებს მოითხოვს. კერძოდ, ფრენის უსაფრთხოების მიზნით, მცელავი ფრენის დროს პილოტმა უნდა შეძლოს რელიეფის თავისებურებების გათვალისწინება, შემხვედრ წინაღობებზე სწრაფი რეაგირება, შესაფერისი მანევრირება და შეჯახების თავიდან აცილება. მცელავი ფრენა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა რადარული სისტემების გვერდის ავლით საჭიროა მოწინააღმდეგის ობიექტებამდე ფარული მისვლა, რომელიც მძლავრი საჰაერო თავდაცვის სისტემებითაა დაცული.

⁵³⁵ BGM-109 Tomahawk რაკეტის სტრატეგიული ვარიანტი ბგერამდელი 0,7Max სიჩქარით 7კმ სიმაღლეზე ფრენისთვისაა გათვლილი. ეს ფრენის ყველაზე ეკონომიური რეჟიმი და უზრუნველყოფს რაკეტის ფრენის მაქსიმალურ სიშორეს. რაკეტაში ჩამონტაჟებული წინასწარ დაპროგრამებული თვითდამიზნების სისტემა მომაკვინებლად ზუსტია. როდესაც რაკეტა მიუახლოვდება მტრის ტერიტორიას, თვითდამიზნების სისტემას გადაჰყავს იგი იმდენად დაბალ სიმაღლეზე, რომ რადიოლოკაციური სისტემები ვერ ახერხებენ მის აღმოჩენას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას აღმოაჩენენ, „ტომაჰავი“ ეკრანზე პატარა ჩიტს გავს. სამიზნიდან 80კმ-ის მანძილზე რაკეტა გადადის მცელავი ფრენის რეჟიმზე. იგი ძირს ეშვება სულ რაღაც 15 მეტრზე და ზრდის ფრენის სიჩქარეს 1,2 Max-დე, რათა საბოლოო დარტყმა მიაყენოს სამიზნეს.

⁵³⁶ Lockheed F-117 Night Hawk – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი ერთადგილიანი ორძრავიანი ბგერამდელი პირველი თაობის უხილავი დამრტყმელი თვითმფრინავი, რომლის დანიშნულებაცაა მოწინააღმდეგის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სამხედრო ინფრასტრუქტურის (სარაკეტო ბაზები, აეროდრომები, კავშირგაბმულობისა და მართვის ცენტრები და ა.შ.) განადგურება.

შერჩეული სამიზნეებისაკენ, როგორცაა სამეთაურო ბუნკერები, ხიდები და ელექტროსადგურები. „უჩინარი“ F-117-ების პირველი მოიერიშე ემელონი ღამის სამ საათზე აღწევს ბაღდადს, ბომბავს მას და ყველა სამიზნეს ანადგურებს. ერაყის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა გაოგნებულია. მათი პოზიციები იბომბება, მტრის ბომბდამშენები კი, არსად ჩანან. რამდენიმე ჯარისკაცი, რომელიც ჯოჯოხეთს გადაურჩა, დაბნეულად საუბრობს ე.წ. „Shabab“-ის, ანუ „სულის“ თავდასხმაზე.

ღამის ცას ბაღდადის თავზე ღია წითელი ფერი დაჰკრავს. მსოფლიოს სენსაციური სატელევიზიო გადაცემებით შეუძლია ადევნოს თვალი საშინელ კადრებს, იმ დროს, როცა ერაყის დიქტატორი ატომური იარაღის ზემოქმედებისგან დაცული ბუნკერიდან თავის მოსახლეობას აცნობებს საძულველ ამერიკელებზე მომავალი პოლიტიკური გამარჯვების შესახებ. მას სჯერა, რომ შეუძლია ამერიკელების ჩათრევა სისხლიან პოზიციურ ომში, რადგან მისი რიცხობრივად უპირატესი სატანკო და საარტილერიო ჯარები ჯერ კიდევ არ ჩართულან საბრძოლო მოქმედებებში. ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების დიდმა ნაწილმა კი, ტოტალურ განადგურებას ირანში გაქცევით დააღწია თავი.⁵³⁷

გამთენიისას ერაყის ტერიტორიას ამერიკული ბომბდამშენების ახალი ტალღა აღწევს, რომელიც ანადგურებს ერაყის აეროდრომებს და ცეცხლს უხსნის ერაყის რესპუბლიკური გვარდიის „ტავაკალნას“ რჩეულ დივიზიას. კოალიციის ზებგერითი თვითმფრინავების წინააღმდეგ ერაყის ორმოცდაათ გამანადგურებელ გზაგადამჭრელს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ისინი მხოლოდ ორი მათგანის ჩამოგდებას ახერხებენ. კოალიციის ავიაციისათვის მნიშვნელოვან სამიზნეს საბჭოური წარმოების „ხმელეთი-ხმელეთი“ ტიპის რაკეტები წარმოადგენს, რომელთა გაშვება მობილური სატრანსპორტო საშუალებებიდან ხდება.⁵³⁸ ერაყი ამ რაკეტებით ისრაელის ტერიტორიას ბომბავს. 28 იანვარს ერაყელთა მიერ გაშვებული ერთი რაკეტა თელ-ავივში ვარდება. ამერიკელები მთელ თავის დიპლომატიურ არსენალს იყენებენ იმისათვის, რომ ისრაელმა საპასუხი დარტყმა არ განახორციელოს და ამით ომში არ ჩაებას. მათ კარგად იციან რომ ისრაელის ომში ჩაბმა მდგომარეობას გაართულებს. ეს ანტიერაყულ კოალიციაში ჩართული არაბული ქვეყნების კონსოლიდაციას გამოიწვევს ისრაელის წინააღმდეგ.⁵³⁹

ომის პირველ დღეებში თითქმის ასი ათასი ტონა ბომბი იქნა ჩამოგდებული ერაყში. საღამის სახმელეთო ჯარები მძიმე დანაკარგებს განიცდიან უწყვეტი მასირებული დაბომბვით. მაგრამ ერაყის საბოლოო დამარცხებისათვის მისი ტერიტორიების ოკუპაცია და დიქტატორის ჩამოგდება საჭირო. მსოფლიო დარწმუნებულია, რომ ეს ასეც მოხდება, თუ სახმელეთო ოპერაცია დაიწყება. და მართლაც, 1991 წლის 24 თებერვალს მოკავშირეთა ტანკების კოლონა, „აპაჩისა“ და „ბლეკჰოკის“ შვეულმფრენების მხარდაჭერით გადაადგილებას იწყებენ ერაყის უდაბნოში. მათი სამიზნე კუვეიტი და ბაღდადია. ისინი დღე-ღამეში ორას კილომეტრს გადიან.⁵⁴⁰ ერაყის არმია იძულებულია უკან დაიხიოს და კუვეიტიდან გავიდეს, მაგრამ მათი გაქცევა მალე ხოცვა-ჟლეტად გადაიქცევა „ჯოჯოხეთისკენ მიმავალ

⁵³⁷ გარდა ირანში გადაყვანილი ერაყული თვითმფრინავებისა, საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, მოკავშირეთა ძალებმა ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების მრავალი თვითმფრინავი აღმოაჩინეს, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს ერაყელებმა ქვიშაში ჩაფლეს და ასეთი გზით გადაძალეს.

⁵³⁸ აქ საუბარია P-17 „ხმელეთი-ხმელეთი“ ტიპის, ტაქტიკური დანიშნულების მქონე საბჭოური წარმოების რაკეტების (NATO-ს კლასიფიკაციით SS-1 SCUD) შესახებ.

⁵³⁹ საომარ მოქმედებათა თეატრისა და თავისი მოკავშირეების საჰაერო სივრცის დასაცავად, კონფლიქტის ზონაში ამერიკელებმა უახლესი ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები MIM-104 Patriot ჩაიტანეს, რომელიც ამერიკელთა შეიარაღებაში ზუსტად ომის დაწყების წინ იქნა მიღებული. 35 ბატარეა 6 საზენიტო-სარაკეტო დივიზიონში გადანაწილდა. გარდა ამისა, 22 ბატარეა განლაგდა საუდის არაბეთში, 4 – თურქეთში, 2 – ისრაელში. მისი პირველი საბრძოლო გამოყენება კი, 1991 წლის 17 იანვარს მოხდა.

⁵⁴⁰ მრავალეროვნული ძალების სარდალმა, გენერალმა ნორმან შვარცკოფმა მთავარი დარტყმა განახორციელა არა პირდაპირ კუვეიტზე, რასაც მოწინააღმდეგე ელოდა და მომზადებული ჰქონდა მძლავრი სტატიკური თავდაცვა, არამედ დასავლეთით, ერაყ-კუვეიტის საზღვრის გასწვრივ. ეს იყო მოწინააღმდეგის ძალების სტრატეგიული გარშემოვლის ოპერაციის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი...

ავტომადგისტრალზე“.⁵⁴¹ ერაყელები კარგავენ ასი ათას კაცს, მოკავშირეები კი მხოლოდ ორასს, აქედან ოცდათხუთმეტი ილუპება თავისიანების მხრიდან გახსნილი ე.წ. „მეგობრული ცეცხლით“.⁵⁴² კუვეიტი განთავისუფლებულია.

სახმელეთო ოპერაციის დაწყებიდან ოთხი დღის შემდეგ „კოალიციური ძალების“ ტანკები უცებ ბაღდადის ჭიშკართან ჩერდებიან. მთელი მსოფლიოს გასაკვირად 28 თებერვალს სროლა წყდება და ცხადდება შესვენება. სახმელეთო ოპერაცია მხოლოდ ასი საათი მიმდინარეობდა. ამერიკელები პოლიტიკურად მიზანშეწონილად მიიჩნევენ იმას, რომ სადამ ჰუსეინი და მისი სუნიტური სახელმწიფო რეგიონალური წონასწორობის გარანტიად ცოცხლად დატოვონ. ისინი თვლიან, რომ არმიის დარჩენილი ნაწილით მას შეუძლია ირანის შიიტი ისლამისტი ფუნდამენტალისტების შეკავება. ამერიკის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ერაყში მშვიდი ვითარებაა და იქ ჯარების შეყვანა საჭირო აღარ არის.⁵⁴³

თეთრი სახლისა და პენტაგონის ასეთი პოზიცია საბედისწერო შეცდომაა. ეს შეცდომა ძალიან მალე გამოვლინდება და ამერიკელებსაც ძალიან ძვირი დაუჯდებათ თავისი თავდაჯერებულობა. კოალიციური ძალების სარდალი, გენერალი შვარცკოფი კი, უკვე მაშინ, ომის დასრულებიდან სულ რამდენიმე დღეში, 1991 წლის მარტში, ხმამაღლა აცხადებდა, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუში უფროსმა მას საბოლოო გამარჯვების შანსი წაართვა.

⁵⁴¹ კუვეიტის დედაქალაქი კოალიციურმა ჯარებმა ორ დღეში გაათავისუფლეს. შეტევის დასავლეთი ფლანგი უშუალოდ ბასრას მიუახლოვდა და გზა გადაუჭრა კუვეიტიდან უკან დახეულ სადამის არმიას;

⁵⁴² „უდაბნოს ქარიშხალში“ დაპირისპირებულ მხარეთა საბრძოლო დანაკარგები მკვეთრად კონტრასტული იყო კოალიციის სასარგებლოდ. ამ თანაფარდობას შემდეგი სახე ჰქონდა – კოალიციური ჯარების ერთ ჯარისკაცზე ერთი ერაყული დივიზია მოდიოდა!


⁵⁴³ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს №687 რეზოლუციის თანახმად, სპარსეთის ყურის ომის დასრულების შემდეგ, ერაყში ჩამოვიდა გაეროს სპეციალური კომისია, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა ერაყის კუთვნილი მასობრივი დაზიანების იარაღის განადგურებაზე ზედამხედველობა, ასევე ქვეყანაში მიმდინარე ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღისა და შორი მოქმედების რაკეტების წარმოების პროგრამების დახურვა. კომისია წარმატებით მუშაობდა და ასრულებდა თავის მოვალეობას 1998 წლამდე, მანამ, სანამ ერაყმა უარი არ განაცხადა კომისიასთან შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელებაზე. ამის გამო, კომისია იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის და რეზოლუცია №687-ის მეორე გრძელვადიანი შედეგი იყო იმ საჰაერო ზონების შექმნა, სადაც აიკრძალა ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი საშუალებების ფრენა. ეს ზონები შეიქმნა ერაყის ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებში, რათა საბრძოლო ძალებისაგან დაცული ყოფილიყო შესაბამისად ქურთებისა და შიიტების უსაფრთხოება, რომლებიც სადამ ჰუსეინის რეჟიმის მხრიდან დიდ შევიწროებას და რეპრესიებს განიცდიდნენ. ამ ზონების საჰაერო პატრულირებას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებისა და დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების თვითმფრინავები ანხორციელებდნენ.



ჯორჯ ბუში (უფროსი)
(1924-2017)



ალ-ჯაბარ ას-საბახი
(1926-2006)



სადამ ჰუსეინი
(1937-2006)




ტარიკ აზიზი
(1936-2015)



ნორმან შვარცკოფი
(1934-2012)



ჯეიმს ბეიკერი
(1930-)








სალადინი. ქრისტოფანო დელ ალტისიმოს ნახატი, 1568 წელი




1990 წლის 2 აგვისტო. ერაყული ტანკები ელ-კუვეიტის ქუჩებში



მრავალეროვნული ძალების გეოგრაფია და სამხედრო კოალიციაში ჩართული ჯარების რაოდენობები



მრავალეროვნული ძალების საბრძოლო გაშლა სახმელეთო ოპერაციის დაწყების წინ



პრეზიდენტი ბუში თავის ჯარებთან საულის არაბეთში – 1990 წელი, „მადლიერების დღე“



ერაყის არმიის ძირითადი ტანკი – საბჭოური წარმოების ტ-72



მრავალეროვნული ძალების ძირითადი ტანკი – ამერიკული წარმოების M1 Abrams



ჯავშანტრანსპორტიორი M-2 “Bredley”



მრავალფუნქციური შვეულმფრენი UH60A “Black Hawk”



დაპირისპირებული წყვილები



M-93 Fox – ამერიკული წარმოების რადიოაქტიური, ქიმიური და ბიოლოგიური (რქბ) დაზვერვის ტრანსპორტიორი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ოპერაცი „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს



„სტელზ” ტექნოლოგიის ბომბდამშენი F-117



ტაქტიკური რაკეტა SS-20 SCUD



MIM-104 “Patriot”



„პატრიოტის” პოზიციები



BGM-109 Tomahawk



BGM-109 Tomahawk-ის გაშვება ბონგ-52-ის ბორტიდან



„სტელზ“ ტექნოლოგიის ბომბდამშენი Lockheed F-117 Night Hawk



Lockheed F-117 Night Hawk უშვებს GBU-27 „ჭკვიან ბომბს“



„ჭკვიანი ბომბები“ – მაცხნიდან მარჯვნივ: GBU-27 და BLU-109





კოალიციური ძალების F-16ს და F-15ს ერაყის ცაში





სახაზო გემი „ვისკონსინი“ მთავარი კალიბრიდან უხსნის ცეცხლს ერაყის ტერიტორიას



ერაყის საჰაერო ძალების კუთვნილი CV-25



101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის მიერ განადგურებული ერაყული პოზიციები. 1991 წლის თებერვალი



ჩამოგდებული ერაყული SS-20 SCUD



ერაყის რესპუბლიკური გვარდიის მებრძოლები პოზიციებზე



კოალიციური ძალები შედიან კუვეიტში, 1991 წლის მარტი



„სიკვდილის გზატკეცილი“



პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი აცხადებს ერაყის ომის დასრულებას

§3.7. ოპერაცია „თავისუფლება პრაყს“ (ერაყი, 2003 წლის 19 მარტი – 1 მაისი)

თეთრი სახლის დასავლეთ ფლიგელის პირველ სართულზე მდებარე სათათბირო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში, ე.წ. „სიტუაციური ოთახში“⁵⁴⁴ („Situation Room“), ოთხშაბათს, 2003 წლის 19 მარტს, გენერალი ტომი ფრენკსი⁵⁴⁵ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ დასმულ შეკითხვაზე ასე პასუხობს: „შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები მზად არიან დასმული ამოცანის შესასრულებლად.“ ამის საფუძველზე ჯორჯ უოლკერ ბუში (უმცროსი)⁵⁴⁶ გასცემს „ერაყის სამშვიდობო ოპერაციის“ დაწყების ბრძანებას. ერაყის წინააღმდეგ ახალი ომი 2003 წლის 21 მარტს უნდა დაიწყო. ამერიკელი ჯარისკაცები უკვე იმყოფებიან დემილიტარიზებულ ზონაში, ერაყ-კუვეიტის საზღვარზე და შეტევის დაწყების ბრძანებას ელოდებიან. ტეხასელი მთავარსარდალი ტომი ფრენკსი, ვიეტნამის ომის ორდენოსანი, როგორც მოკავშირეთა ჯარების ერთადერთი ოთხვარსკვლავიანი გენერალი, „აშშ-ის ცენტრალური სარდლობის“ (CentCom) შტაბიდან, ერაყთან დაწყებულ ომს აგრძელებს. მისი შტაბი ყატარის უდაბნოს ცენტრში, დოჰას აქლემების ბაზართან ახლოს მდებარეობს.

ამ ომის ლეგიტიმურობა თავიდანვე სადავო ხდება. 2001 წელს იტალიის საიდუმლო სამსახურმა უტყუარი დოკუმენტაციის საშუალებით შეიტყო სადამ ჰუსეინის მცდელობის შესახებ, ნიგერში შეესყიდა რამდენიმე ათასი ტონა ურანის ოქსიდი – ძირითადი ნედლეული ბირთვული იარაღის შესაქმნელად. ამ დოკუმენტაციის ასლები ამერიკისა და ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურებში გაიგზავნა. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ ელჩს ნიგერში, ჯოზეფ ვილსონს გამოძიების გაგრძელება დაევა. „ყველაფერი ტყუილია!“ – აცხადებს იგი 2002 წლის მარტში. და მიუხედავად ამისა, ერთი დღის შემდეგ,

⁵⁴⁴ სიტუაციური ოთახი – მისი ოფიციალური დასახელებაა ჯონ ფიცჯერალდ კენედის სახელობის საკონფერენციო ოთახი. ეს არის თეთრი სახლის დასავლეთ ფლიგელის სარდაფში მოწყობილი საკონფერენციო დარბაზი, რომელიც გლობალური საკომუნიკაციო და სადაზვერვო მართვის სისტემებით არის აღჭურვილი. მისი ფართობი 513,3 კვ.მ-ია. ეს დარბაზი გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უშიშროების საბჭოს შტაბისა და მისი მრჩეველების მიერ (მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში, მრჩეველი შიდა უშიშროების საკითხებში და თეთრი სახლის ადმინისტრაციის უფროსი) კრიზისების მართვისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, მათ შორის ოკეანის გაღმა. სიტუაციური ოთახი აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური და მოწინავე საკომუნიკაციო სისტემებით, რომლის საშუალებითაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანხორციელებს აშშ-ის ძალების მართვას და კონტროლს.

⁵⁴⁵ ტომი რეი ფრენკსი (ინგლ. Tommy Ray Franks) (1945-) – ამერიკელი სამხედრო ოფიცერი, ერაყის ომის პირველ ეტაპზე კოალიციური ჯარების მთავარსარდალი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1963 წელს. 1967 წლიდან ლეიტენანტია, დაამთავრა ფორტ სილის არტილერიის სკოლა. იბრძოდა ვიეტნამში, სადაც დაიჭრა. 1971 წელს არლინგტონში ამთავრებს ტეხასის უნივერსიტეტს. 1973 წლიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაწოდებული აშშ-ის მე-2 ჯავშანსაკავალერიო კორპუსის ბატარეის მეთაურია. 1976 წლიდან, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის დასრულების შემდეგ სამსახურს აგრძელებს პენტაგონში, მთავარი სამხედრო ინსპექტორის თანამდებობაზე. 1984 წელს ამთავრებს ომის კოლეჯს და ინიშნება მე-3 საარმიო კორპუსის ოპერატიული განყოფილების უფროსად. მონაწილეობდა 1991 წლის სპარსეთის ყურის ომში. ოპერაცია „უდაბნოს ფარისა“ და ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს აშშ-ის 1-ლი საკავალერიო დივიზიის მეთაურია. 1995-1997 წლებში მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურია. 2000-2003 წლებში იყო აშშ-ის ცენტრალური სარდლობის (CentCom) ხელმძღვანელი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას იგი იყო პასუხისმგებელი 2001 წლის ავღანეთისა და 2003 წლის ერაყის სამხედრო ოპერაციების დაგეგმვასა და მართვაზე. მონაწილეობდა ავღანეთში თალიბანის წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში.

⁵⁴⁶ ჯორჯ უოლკერ ბუში (ჯორჯ ბუში უმცროსი) (ინგლ. George Walker Bush) (1946-) – ამერიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტი 2001-2009 წლებში, რესპუბლიკური პარტიის წევრი. ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტის, ჯორჯ პერბერტ უოლკერ ბუში უფროსის შვილი. ტეხასის შტატის გუბერნატორი 1995-2000 წლებში. 1968 წელს დაამთავრა იელის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1975 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა. აშშ-ის ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებში მსახურობდა 1968-1974 წლებში. თავისი პრეზიდენტობის პირველი პერიოდის განმავლობაში სარგებლობდა ამერიკელი ხალხის დიდი ნდობითა და პოპულარობით, თუმცა მეორედ არჩევის შემდეგ მისი რეიტინგი ნელ-ნელა დაეცა. პრეზიდენტობის შემდეგ დაკავებული იყო საზოგადოებრივი საქმიანობით. 2001 წელს გამოაქვეყნა თავისი მეტაურული ხასიათის ნაშრომი „შემობრუნების მომენტები“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი რეზოლუციის გარეშე, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატა და სენატი მხარს უჭერენ ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. ამის საფუძველზე, 2002 წლის 7 დეკემბერს, ერაყი წარადგენს თორმეტიათასგვერდიან დოკუმენტაციას, რითაც ერაყის მთავრობა ამერიკის ეკვების გაქარწყლებას ცდილობს. მაგრამ ვაშინგტონის თვალსაზრისით, ეს დოკუმენტაცია „სერიოზულ ხარვეზებს“ შეიცავს. თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, ექსპერტებს ეჭვი შეაქვთ ნიგერიდან მოწოდებული დოკუმენტების აუთენტურობაში. ეს ასეც არის. მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ნიგერიდან მოწოდებული დოკუმენტები ფალსიფიცირებული იყო. ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დირექტორი, ჯორჯ ტენეტი,⁵⁴⁷ ომის დასრულების შემდეგ აღიარებს, რომ მას უნდა მოეთხოვა ამ დოკუმენტების განადგურება.⁵⁴⁸

ამგვარად, 2003 წლის ერაყის ომის დაწყება იმთავითვე საფუძვლიან შეცდომას ემყარებოდა, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა შემდეგი შეცდომა. 2003 წლის 19 მარტს, ნაშუადღევს, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს აგენტები ამერიკის დედაქალაქში ამაღელვებელ სიახლეს იუწყებიან. მათ სადამ ჰუსეინის კვალს მიაგნეს. აგენტების ცნობით, ერაყელი ხალხისადმი სატელევიზიო მიმართვის შემდეგ იგი ბაღდადის სამხრეთით მდებარე სახლში უნდა წასულიყო. ელექტრონული მოსასმენი აპარატურის საშუალებით დგინდება, რომ სადამ ჰუსეინი „Dora Farms“-ის სახელით ცნობილ სახლში იმყოფებოდა, სამხედრო მრჩეველების შტაბთან ერთად. ამას გადამდგარი ერაყელი ოფიცერი ადასტურებდა და ახსენებდა სახლიდან ოცდაათი მეტრის დაშორებით არსებული ბუნკერის შესახებ, სადაც სავარაუდოდ, ერაყის დიქტატორი თავდასხმის შემთხვევაში შეაფარებდა თავს ვაჟებთან ერთად. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი⁵⁴⁹ დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას პრეზიდენტს „გამანადგურებელი დარტყმის“ მისაყენებლად შანსის არსებობაზე. ამ ჩანაფიქრით ერაყთან ომის დასრულება მის რეალურ დაწყებამდე იქნებოდა შესაძლებელი. აშშ-ის პრეზიდენტის შემდგომი სხდომა თავის

⁵⁴⁷ ჯორჯ ტენეტი (ინგლ. George John Tenet) (1953-) – ბერძნული წარმომავლობის ამერიკელი სახელმწიფო ჩინოვნიკი, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) დირექტორი 1997-2004 წლებში. 1976 წელს დაამთავრა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის საგარეო პოლიტიკური სამსახურის სკოლა. 1978 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში დაიცვა მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში. ამერიკის ბერძნული საარქივისკოპოსოს წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო პატრიარქის არხონტი. იგი წარმოადგენდა საკანძო ფიგურას ერაყის ომის წინ ახლო აღმოსავლეთის სადაზვერვო აქტივობის კუთხით. აღენ დაღესის შემდეგ ჯორჯ ტენეტი იყო ის სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკავა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის თანამდებობა.

⁵⁴⁸ ამავე დროს, 2003 წლის 5 თებერვალს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, კოლინ პაუელი გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სპეციალურ სხდომაზე, სადაც წარმოადგინა ომის მტკიცებულებანი, რომ ერაყი საერთაშორისო ინსპექტორებს უძალადა მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების პროცესს. კერძოდ, მან წარადგინა ალუმინის მილები, რომელიც მისი აზრით ერაყის მიერ შესყიდული იყო ურანის ცენტრიფუგების წარმოებისთვის, ასევე, ერაყში წარმოებული ციმბირის წყლის შტამის შპმცველი აპარატები. მაგრამ უკვე 2004 წელს პაუელმა აღიარა, რომ მის მიერ სახალხოდ წარმოდგენილი მონაცემები მეტწილად არაზუსტი, ზოგი მათგანი კი, ფალსიფიცირებული იყო.

⁵⁴⁹ დონალდ რამსფელდი (ინგლ. Donald Henry Rumsfeld) (1932-) – გერმანული წარმომავლობის ამერიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანი (მინისტრი) 1975-1977 წლებში პრეზიდენტ ჯერალდ ფორდის ადმინისტრაციაში, და 2001-2006 წლებში – პრეზიდენტ ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციაში, რესპუბლიკური პარტიის წევრი. ორგანიზაცია „ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ცენტრის“ ჯილდოს – „ცეცხლის მცველის“ ლაურეატი. 1954-1957 წლებში მსახურობდა აშშ-ის სამხედრო-სახლგაო ძალების ერთ-ერთ ბაზაზე. 1960 წელს დაინიშნა 731-ე ხომალდსაწინააღმდეგო ესკადრილის თვითმფრინავის კეიპაჟის მეთაურად. დაამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტი. 1967 წლიდან პოლიტიკურ ასპარეზზე. სხვადასხვა თანამდებობებზე მსახურობდა აშშ-ის პრეზიდენტების, რიჩარდ ნიქსონისა და ჯერალდ ფორდის ადმინისტრაციებში. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენი ილინოისის შტატიდან 1963-1969 წლებში, ეკონომიკური განვითარების ოფისის დირექტორი 1969-1970 წლებში, აშშ-ის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი 1969-1973 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი ნატოში 1973-1974 წლებში და თეთრი სახლის ადმინისტრაციის უფროსი 1974-1975 წლებში. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში დონალდ რამსფელდი ერთდროულად არის აშშ-ის ყველაზე ახალგაზრდა თავდაცვის მინისტრი და ამავე დროს, მეორე ვადით დანიშნვის პერიოდში, რიგით მეორე ყველაზე ხნოვანი თავდაცვის მინისტრი ლენ პანეტას შემდეგ.

უახლოეს მრჩეველებთან სამი საათი გრძელდება. გადაწყდა, რომ ომი, მასირებული საავიაციო დაბომბვით, 21 მარტს უნდა დაიწყო. ამავე დროს, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დირექტორი ტენეტი მოითხოვს შეტევის ოცდაოთხი საათით გადადებას, რადგან მის მიერ მოწოდებული ცნობისა და თავდაცვის მდივნის მიერ შემოტანილი საჰაერო დარტყმის გეგმის მიხედვით ომის დაწყებამდე სადამის მოკვლის შანსი ძალიან დიდია. ტენეტის მოსაზრებას იზიარებენ და „გამანადგურებელი დარტყმის“ მიყენების გადაწყვეტილებას ყველა ეთანხმება. პენტაგონი ატყობინებს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზებს ახალი ბრძანების შესახებ. შტაბი გადასცემს მფრინავებს მიზნების შესწორებულ პარამეტრებს, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობას არანაირი ინფორმაცია არა აქვს გეგმების შეცვლის შესახებ.

ლამის 3 საათსა და 30 წუთზე ყატარში, ალ-უდეიდის საავიაციო ბაზაზე სტარტს იღებს გამანადგურებელ-ბომბდამშენების მე-8 ესკადრილიის ორი F-117 „სტელზ“ ტიპის ბომბდამშენი, კოდური სახელწოდებით „Ram 01“ და „Ram 02“. მათ უნდა ჩამოაგდონ ბალდადის დორას რაიონში GBU-27 ტიპის ორი ზეზუსტი ბომბი. სატელიტით მართვადი ბუნკერის საწინააღმდეგო ბომბი ზუთი მეტრის სიგრძისაა და ერთ ტონას იწონის. ეს ამ ბომბების გამოყენების პირველი შემთხვევაა.⁵⁵⁰ F-117 ბომბდამშენის ერთადერთი დამცავი ფარი მისი უჩინარობაა. მას ბორტზე არ გააჩნია თავდაცვის იარაღი, ამიტომ მას გამანადგურებლების ესკორტი ჭირდება. ერაყის საჰაერო სივრცეში, სამხრეთით მდებარე ფრენის აკრძალვის ზონაში მათ უერთდებათ აშშ-ის საჰაერო ძალების ორი F-16 ავიაგამანადგურებელი,⁵⁵¹ რათა მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები გამოიყვანონ მწყობრიდან. გარდა ამისა, რადარული დანადგარების გასანადგურებლად გამოყოფილია სამხედრო-საზღვაო ავიაციის EA-6B ტიპის კიდევ სამი თვითმფრინავი.⁵⁵²

საერთო ჯამში, ჩრდილოეთისკენ მიმავალი შვიდი თვითმფრინავი საწვავით ჰაერში იმართება. დაახლოებით 5 საათსა და 30 წუთზე ისინი ბალდადამდე აღწევენ. ცა უკვე განათებულია. „სტელზის“ ორივე ბომბდამშენი მიზნისკენ სხვადასხვა ტრაექტორიით მიფრინავს. როდესაც მფრინავები საბომბე ლუქებს ხსნიან, თვითმფრინავების გეომეტრია და ელექტრომაგნიტური დამცავი ფენის ერთიანობა ირღვევა. ახლა F-117-ები უკვე ხილულები არიან მოწინააღმდეგის რადარებისთვის, მაგრამ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ რამდენიმე წამს გრძელდება. ბომბები წივილით მიფრინავენ ხმელეთისაკენ და მიწაზე მათი აფეთქებები დამანგრეველ ეფექტს იწვევენ. ერაყის საჰაერო თავდაცვის საზენიტო ქვედანაყოფების ცეცხლი მხოლოდ მაშინ იხსნება, როცა უკვე მიუწვდომელ სიმაღლეზე მყოფი ბომბდამშენები სწრაფად ბრუნდებიან შინ.

⁵⁵⁰ აქ ავტორი აშკარად ცდება. ლაზერული დამიზნების სისტემის ზეზუსტი ბუნკერსაწინააღმდეგო მართვადი ბომბი GBU-27 Paveway III, ამერიკელი სამხედროების მიერ პირველად სპარსეთის ყურის პირველ ომში, ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ მსვლელობისას იქნა გამოყენებული. 1991 წლის 13 თებერვალს ამ ბომბმა გაანადგურა ამირას ბუნკერი-თავშესაფარი, რის შედეგადაც 400-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. და შემდეგაც, მთელი თებერვლის თვის განმავლობაში მისით რამდენჯერმე განხორციელდა ერაყის მუთანას ქიმიური იარაღის კვლევითი ცენტრისა და მისი საწარმოების დაბომბვა.

⁵⁵¹ ავიაგამანადგურებელი F-16 (General Dynamics F-16 Fighting Falcon) – ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მეოთხე თაობის მრავალფუნქციური ზებერითი რეაქტიული მსუბუქი ავიაგამანადგურებელი. მისი კონსტრუქცია შემუშავდა 1974 წელს, კონცერნ General Dynamics-ის მიერ. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს ექსპლუატაციაში გადაეცა 1979 წელს. აღნიშნული თვითმფრინავი, თავისი უნივერსალურობის, მაღალი საფრენოსნო, საბრძოლო და ტექნიკურ-ტექტიკური მაჩვენებლების გამო, წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე უფრო მასიური წარმოების მეოთხე თაობის ავიაგამანადგურებელს. თვითმფრინავის აეროდინამიკური კონსტრუქცია საშუალებას იძლევა მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მიღწევას მაღალი სიჩქარეებისა და დიდი გადატვირთვების პირობებში – 9 გ. 2016 წლის ივლისის მონაცემებით უკვე გამოშვებულია 4570 აღნიშნული ტიპის თვითმფრინავი. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს საერთაშორისო საავიაციო ბაზარზე და იმყოფება მსოფლიოს 25 ქვეყნის შეიარაღებაში. 2014 წლისათვის F-16 წარმოადგენდა მსოფლიოში ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ საბრძოლო თვითმფრინავს. მოდერნიზებული F-16-ების წარმოება და ექსპორტზე წარდგენა განსაზღვრულია 2018 წლის ბოლომდე.

⁵⁵² EA-6B (The Northrop Grumman EA-6B Prowler) – კომპანია Grumman-ის მიერ შექმნილი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების საგემბანე ავიაციის ორძრავიანი რადიოელექტრონული დაზვერვისა და ბრძოლის თვითმფრინავი. ეკიპაჟი შედგება ოთხი წევრისგან – ერთი პილოტი და სამი რადიოელექტრონული ბრძოლის ოფიცერი-ოპერატორი. ამ თვითმფრინავის წინამორბედს წარმოადგენდა იგივე კომპანია Grumman-ის მიერ შექმნილი საგემბანე მოიერიშე თვითმფრინავი A-6 Intruder. Grumman EA-6B Prowler-ის პირველი საცდელი ფრენა განხორციელდა 1968 წელს, ხოლო ექსპლუატაციაში შევიდა 1971 წელს.

20 მარტს, ვაშინგტონის დროით 21 საათსა და 30 წუთზე, ამერიკის ტელევიზია გადასცემს შეტყვის ამსახველ პირველ კადრებს. პრეზიდენტი ბუში ამერიკელი ხალხისადმი გაკეთებულ მოკლე სატელევიზიო მიმართვაში, აცხადებს: „ჩემი ბრძანებით კოალიციურმა ჯარებმა დაიწვეს შერჩეულ სამხედრო სამიზნეებზე დარტყმების მიყენება. მიზანი, – აცხადებს იგი, – ერაყის განიარაღება, ერაყელი ხალხის განთავისუფლება და მსოფლიოს უდიდესი საფრთხისაგან დაცვაა“. ამ დროს პრეზიდენტმა ბუშმა არაფერი იცის იმის შესახებ, რომ ამ ნაადრევი „გამანადგურებელი დარტყმის“ მიყენება ემსახურება იმ მიზანს, რომელიც რეალურად არ არსებობს. მოგვიანებით, ბლდადის დაკავების შემდეგ, ამერიკელი ჯარისკაცები ქალაქის ერთ-ერთ რაიონ დორაში ისეთს ვერაფერს იპოვიან, რაც სადამ ჰუსეინის მიწისქვეშა ბუნკერისა თუ სიმაგრის არსებობას დაადასტურებდა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სადამ ჰუსეინი იქ უნდა ყოფილიყო თავშეფარებული, უდიდესი „შეცდომა“ აღმოჩნდება. მიუხედავად ამისა, არ წყდება სპეკულაციები მისი ლიკვიდაციის შესახებ და ჩნდება ახალი სატყუარა, თითქოს ხუთშაბათი დღის სადამოს, 20 მარტს, ერაყის ტელევიზიით სადამის ელჩთან ამ ამბის დამადასტურებელი დამაჯერებელი ინტერვიუს ტრანსლირება იგეგმებოდა.

დაახლოებით იმავე დროს, ერაყის სამხრეთით, საზღვაო ქვეითების ორმოცდარი ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი 1-ლი დივიზია და თხუთმეტიათასიანი აშშ-ის მე-3 ქვეითი დივიზია გეზს ბლდადისკენ იღებენ.⁵⁵³ „აბრამსისა“ და „ბრედლის“ ტანკები⁵⁵⁴ შეძლებისდაგვარად სწრაფად გადაადგილებიან ჩრდილოეთის მიმართულებით უდაბნოში. ისინი 70კმ/სთ სიჩქარით მოძრაობენ, რისთვისაც საათში ორასი ლიტრი საწვავი სჭირდებათ. ამის გამო მათ უკან მოჰყვებიან მომარაგების სატრანსპორტო საშუალებები და ავტოციისტერნები, რომელთაგან თვითოეული დაახლოებით 23000 ლიტრ საწვავს იტევს.

ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა 1-ლი დივიზია უძველესი და საბრძოლო ტრადიციებით გამორჩეული აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ქვეითების უდიდესი შენაერთია. მეორე მსოფლიო ომში ისინი წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებათა თეატრის თითქმის ყველა ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას. ლურჯ რომბში, წითელ „1“-ზე, დივიზიის ტაქტიკურ ნიშანზე, დიდი ასოებით წერია – „გვადალკანალი“.⁵⁵⁵ მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება ამ დივიზიის საბრძოლო ბიოგრაფია. მოგვიანებით მისი ჯარისკაცები იბრძოდნენ კორეასა და ვიეტნამში, ასევე სპარსეთის ყურეში ერაყის წინააღმდეგ წარმოებულ პირველ ომში.

ორივე დივიზია მხარდაჭერილია 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის თექვსმეტი ათასი ჯარისკაცითა და მათი შიშის მომგვრელი 256 საბრძოლო „აპაჩისა“ და „ბლექ ჰოუკის“ ტიპის შვეულმფრენებით. ამ დივიზიის სახელწოდებაა „მევირალა არწივები“ (ინგლ. „Screaming Eagles“), რადგან მათი განმასხვავებელი ტაქტიკური ნიშანია ამერიკული არწივის თეთრი თავი შავ ფონზე. ეს რჩეული შენაერთი ჯერ კიდევ 1944 წელს იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში, ნორმანდიაში და 1972 წლამდე ვიეტნამში, რომელიც მან უკანასკნელმა დატოვა.

⁵⁵³ მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენება სანქცირებული არ იყო. ასე რომ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების საექსპედიციო ძალების ერაყში შეჭრა, გაეროს წესდების დარღვევით მოხდა.

⁵⁵⁴ აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. ამერიკული წარმოების ჯავშანტექნიკა „ბრედლი“ (M2 Bradley) ქვეითთა საბრძოლო მანქანაა და არა ტანკი. ასევე არსებობს ამ ჯავშანტექნიკის გასხვავებული ვარიანტი, M3 Bradley, რომელიც დაზვერვის საბრძოლო მანქანას წარმოადგენს.

⁵⁵⁵ აქ საუბარია II მსოფლიო ომის პერიოდის გვადალკანალის საომარ კამპანიაზე. მისი კოდური დასახელება იყო ოპერაცია „საგუშავო კოშკი“ – Operation Watchtower. ეს საომარი კამპანია მიმდინარეობდა 1942 წლის 7 აგვისტოდან 1943 წლის 9 თებერვლამდე პერიოდში, II მსოფლიო ომის წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებათა თეატრზე, მოკავშირეთა ძალებს, ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის. საბრძოლო მოქმედებებს ადგილი ჰქონდა ბრიტანეთის კოლონია სოლომონის კუნძულების კუნძულ გვადალკანალზე და მის გარშემო საზღვაო აკვატორიაში. გვადალკანალის ბრძოლები წარმოადგენდა მოკავშირეთა სტრატეგიული გეგმის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის არსებული საოკეანო მარშრუტების დაცვის კამპანიას. ეს კამპანია წარმოადგენდა II მსოფლიო ომში აშშ-ის სიდიდით მეორე შეტევით საომარ კამპანიას იაპონიის წინააღმდეგ.

ბრიტანელთა 1-ლი სატანკო დივიზია ამ სამი დივიზიის ოპერაციის ხაზების აღმოსავლეთით უტევს ბასრას. ოცდაექვსიათას ჯარისკაცს შორის არიან ასევე მე-7 ჯავშანსატანკო დივიზიის მებრძოლები – „უდაბნოს ვირთხები“. ამ ბრიტანულ შენაერთსაც დიდი საბრძოლო გზა აქვს გავლილი და სასახელო ბიოგრაფია გააჩნია. ეს დივიზია გენერალ მონტგომერის დაქვემდებარებაში II მსოფლიო ომის დროს წარმატებით იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში გენერალ ერვინ რომელის აფრიკული კორპუსის წინააღმდეგ, ასევე სპარსეთის ყურეში გამართულ პირველ ომში ბალკანეთის საერთაშორისო სამშვიდობო ძალებთან ერთად.⁵⁵⁶ ამჯერად ბრიტანელები იმედოვნებენ, რომ ქალაქ ბასრას ერთი მილიონი მცხოვრები, რომელთა უმეტესობა შიიტია, წინააღმდეგობას არ გაუწევს და ისე შეეგებებოდა მათ, როგორც განმათავისუფლებლებს.

კუვეიტიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ამერიკელების შეტევითი გეგმის განხორციელებას ერთი შეცდომა უსწრებს წინ. თავდაპირველად აშშ-ის სამოცდაათი ათას ჯარისკაცს ერაყის ჩრდილოეთ ფლანგისათვის თურქეთის ტერიტორიიდან უნდა შეეგებებოდა. ორმხრივი სტრატეგიული გარემორტყმის ოპერაცია წარმოადგენდა ამერიკელების ოპერაციის გეგმის მთავარ შემადგენელ ნაწილს. მაგრამ თურქეთის პარლამენტი თავს იკავებს ამაზე და უარს ამბობს თურქეთის ტერიტორიის გავლით ამერიკული შენაერთების გატარებაზე. რჩება მხოლოდ შეტევის ერთი ფლანგი სამხრეთიდან და იმის იმედი, რომ მათი მოკავშირე სამოცდაათი ათასი ქურთი მილიციელი ჰაერიდან დაბომბილი ჩრდილოეთ ერაყის პოზიციების დაკავებას შეძლებს.

სამხრეთიდან შეტევისას სწრაფად გამოვლინდა, რომ ერაყული ჯარის მორალური მდგომარეობა და საბრძოლო სულისკვეთება არცთუ სახარბიელოა. უმეტესობა მათგანი მაშინვე ყრის იარაღს და ნებდება მოკავშირეებს. აშშ-ის საჰაერო ძალები ერაყელ ჯარისკაცებს ორ მილიონ პროკლამაციას უყრიან შესაბამისი მოწოდებით. ერაყელები წინასწარ აცხადებენ, რომ მათ ბრძოლა არა უდაბნოში, არამედ ბაღდადში სურთ. ამერიკელებიც ჩქარობენ, მათი ტანკები და ჯავშანტექნიკა დღეში თითქმის ორას კილომეტრს გადიან და უტევენ ნავთობის პორტ უმ-ქასრს, ბასრას სამხრეთით, სადაც ძლიერ წინააღმდეგობას ხვდებიან. ამ დროს ხდება მნიშვნელოვანი ნავთობის საბადოს – რუმაილას დაკავება. ტანკის ქვემეხზე მოკავშირეთა ჯარისკაცები აწერენ: „The big show“ („დიდი შოუ“). და ეს ნამდვილად უდიდესი შოუ იყო. თავდაცვის მინისტრს, დონალდ რამსფელდს „გერმანული ბლიცკრიგი“ სურს – ომის მოგება მცირე, მაგრამ კარგად აღჭურვილი და მომზადებული რჩეული ჯარისკაცებით, სათანადო კავშირგაბმულობის საშუალებებითა და ლოჯისტიკური უზრუნველყოფით. ბრძოლაში ჩართულია არა ცხრა დივიზია სამას სამოცდახუთი ათასი ჯარისკაცით, როგორც ეს ყურეში წარმოებულ წინა ომში იყო, არამედ ოთხი დივიზიის მხოლოდ ას ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცი – მცირე სიდიდის, მაგრამ „უმაღლესი ტექნოლოგიების არმია“. ეს არის „ომი, როგორიც ჯერ არ ანსოვს ისტორიას, – ამტკიცებს მოკავშირეთა სარდალი ტომი ფრენკსი, – ახალი პარადიგმა, ომის ახალი კულტურის დასაწყისი და XXI საუკუნეში საომარი მოქმედებების წარმოების ახალი ტაქტიკისა და ტექნიკის ნიშუში“.

21 მარტის საღამოსათვის იწყება მოკავშირეთა ავიაციის ტაქტიკური ოპერაცია “Shock and Awe”⁵⁵⁷ – ბაღდადის მასიური საჰაერო დაბომბვა, რითაც თავდაპირველი დაგეგმვის მიხედვით უნდა დაწყებულიყო ომი. მისი მიზანია ერაყის სატელეკომუნიკაციო და მართვის სისტემების განადგურება, უპირველეს ყოვლისა კი, მოწინააღმდეგის საბრძოლო სულისკვეთების გატეხვა. ამ ოპერაციით კოალიციურმა ძალებმა მოწინააღმდეგის

⁵⁵⁶ 1991 წლის სპარსეთის ყურის ომისგან განსხვავებით, რომელიც პარადიგმული სახით წარიმართა, 12 წლის შემდეგ კოალიციური ძალების სახმელეთო ჯარებმა შეტევითი მოქმედებები დაიწყეს დაუყოვნებლივ, ხანგრძლივი საჰაერო ოპერაციების გარეშე. შეტევითი მოქმედებების დაწყებისათვის პლაცდარმს კუვეიტი წარმოადგენდა.

⁵⁵⁷ “Shock and Awe” – „შოკი და ძრწოლა“, წარმოადგენს სამხედრო სტრატეგიას, რომელიც დამყარებულია მრავალჯერადად აღმატებული ძალების დემონსტრირებასა და მის გამოყენებაზე, რამაც სწრაფად უნდა გამოიწვიოს მოწინააღმდეგის პარალიზება და გაუქროს მას წინააღმდეგობის გაწევის სურვილი.

ფსიქოლოგიური დაშინებისა და დემორალიზაციის შედეგად ერაყის ჯარის კაპიტულაციას უნდა მიაღწიოს. მთლიანობაში, 3500 ლაზერული დამიზნების ზეზუსტი ბომბი და ფრთოსანი რაკეტა ზვდება ძირითად სამიზნეებს – სამხედრო ობიექტებსა და დიქტატორის სასახლეებს – დაახლოებით ათჯერ მეტი, რაც ამერიკელებმა გამოიყენეს სპარსეთის ყურის პირველ ომში. ოპერაცია „Shock and Awe“ ფარგლებში ოთხი B-2 ბომბდამშენი⁵⁵⁸ იღებს კურსს ბალდადისკენ დიეგო გარსიადან, ინლოეთის ოკეანეში მდებარე ცალკეული საყრდენი პუნქტიდან.⁵⁵⁹ „სტელზის“ ტექნოლოგიის უჩინარი ბომბდამშენი, ვიზუალურად ღამურას ფორმისა, თითქმის შეუმჩნეველია მოწინააღმდეგის რადიოლოკაციური პელენგაციისათვის. მათ თან ახლავს ძველი, დიდ ბრიტანეთში გამოშვებული 52 ბომბდამშენი, ასევე თვითმფრინავ-გამწყობი. დედაქალაქის უამრავ პატარა აეროდრომზე უნდა იყვნენ ბაზირებული ერაყის საჰაერო ძალების თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ მასობრივი განადგურების იარაღის გადატანა და საბრძოლო გამოყენება. ამიტომ კოალიციური ძალების ბომბდამშენების შეტევის მთავარ ობიექტს სწორედ ეს აეროდრომები წარმოადგენენ. ესეც ერაყის ომის უამრავი შეცდომიდან ერთ-ერთია. მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც ამ ომის დაწყების მიზეზად დასახელდა, მოკავშირეებმა ვერსად ვერ იპოვეს. ომის დასრულების შემდეგ დადგინდა ის ფაქტი, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იარაღის სახეობათა ინსპექტორი მანამდე იუწყებოდა – ერაყს არასოდეს ჰქონია მსგავსი იარაღი. სტელსის ოთხივე ბომბდამშენის საბორტე კომპიუტერისთვის უკვე ცნობილია მათი მიზნები – ისინი ჩამოგდების ოპტიმალურ დროს ითვლიან სინქარისა და სიმადლის მიხედვით. დანარჩენს ასრულებს JDAM ბომბი (Joint Direct Attack Munition – პირდაპირ მართული საავიაციო ბომბი), ის მიზანს რადიონავიგაციის თანამგზავრული სისტემის დახმარებით პოულობს. ბომბში არსებული მიკროპროცესორი პატარა ელექტროძრავას მეშვეობით განსაზღვრავს ილუმინატორიდან დარტყმის ადგილს. ჩამოგდებულ ორმოცდარვა ბომბს შორის არის ახალი კონსტრუქციით შემუშავებული ბომბები, როგორც, მაგალითად, „ბუნკერის საწინააღმდეგო“ ბომბი, უდიდესი რაოდენობის, ორი ტონა ასაფეთქებელი მუხტით. ახალი ტიპის მიკროტალღური ბომბები აღნობენ კომპიუტერის გადამრთველ სქემებს და მწყობრიდან გამოჰყავთ ასი მეტრის რადიუსში არსებული ელექტრონული ხელსაწყოები. უზარმაზარი ცეცხლის ბურთები და სოკოს ფორმის კვამლი ჩნდება ბალდადის ღამის ცაზე. იგი დღესავითაა განათებული. გამაყრუებელი აფეთქების ხმები ქალაქს

⁵⁵⁸ B-2 ბომბდამშენი (The Northrop (მოგვიანებით – Northrop Grumman) B-2 Spirit) – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი ბერამდელი, უჩინარი ტექნოლოგიის მქონე ღრმა შეღწევის სტრატეგიული დანიშნულების მძიმე ბომბდამშენი. იგი განკუთვნილია მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის სისტემის უხილავი გარღვევისა და მისთვის ჰაერიდან ჩვეულებრივი ან თერმობირთვული დარტყმების მისაყენებლად. ბომბდამშენს ჰყავს ორკაციანი ეკიპაჟი. მას შეუძლია ბორტზე ატაროს 80 ცალი 230კგ-იანი JDAM-ის ტიპის GPS სისტემის ზეზუსტი ბომბი ან 1100კგ-იანი B83-ის ტიპის 16 ცალი ბირთვული ბომბი. მის შექმნაზე მუშაობა დაიწყო „ცივი ომის“ პერიოდში, 1979 წელს, პრეზიდენტ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში. მუშაობის პერიოდში თვითმფრინავის პროექტი რამდენჯერმე შეიცვალა. საბოლოო ცვლილებები მან 1980-იანი წლების ბოლოს განიცადა. 1989 წლისათვის აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე უკვე დახარჯული იყო 23 მილიარდი აშშ დოლარი. პირველი თვითმფრინავები საზოგადოებას წარუდგინეს 1988 წლის ნოემბერში, ხოლო პირველი საცდელი ფრენები B-2 Spirit-მა 1989 წლის ივლისში შეასრულა. დღეისათვის B-2 Spirit წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე უფრო ძვირადღირებულ თვითმფრინავს, და შესაძლებელია ავიაციის ისტორიაში ყველაზე უფრო ძვირადღირებულ საფრენ აპარატსაც კი. დღევანდელი კურსით, ერთი B-2 Spirit ტიპის თვითმფრინავის ღირებულება 1 მილიარდ 157 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

⁵⁵⁹ პირველი მოქმედი B-2 ბომბდამშენი, დასახელებით – Spirit of Missouri (მისურის სული), განთავსებულ იქნა მისურის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე 1993 წლის 17 დეკემბერს. B-2-ის პირველ საბრძოლო გამოყენებას კი, ადგილი ჰქონდა 1999 წელს, იუგოსლავიაში. თვითმფრინავიდან სამიზნეებზე ჩამოგდებულ იქნა 600-ზე მეტი ზეზუსტი JDAM ტიპის ბომბი, რომლებიც ასევე პირველად იყო გამოყენებული. B-2 Spirit-ით დაბომბვების შედეგად კოსოვოში ჩამოგდებულ იქნა ბომბების საერთო რაოდენობის 11% და განადგურებულ იქნა სერბთა სამიზნეების 33%. ამ ომში მონაწილეობას იღებდა ექვსი B-2 Spirit, რომლებიც უწყვეტად ანხორციელებდნენ 30 საათიან ფრენებს მისურის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან იუგოსლავიაში და უკან. B-2 Spirit-სა და ზეზუსტი JDAM ტიპის ბომბების გამოყენება იყო ის ალტერნატივა, რასაც მოკავშირეთა ძალები ანხორციელებდნენ მანამდე ფართოდ გამოყენებული სტრატეგიული და ნოხისებური დაბომბვების მაგივრად, რომელსაც როგორც წესი, გაუთვალისწინებელი მსხვერპლი მოჰყვებოდა მშვიდობიან მოსახლეობაში.

აზანზარებს. ცეცხლის ალშია გახვეული პრეზიდენტის სასახლე, სხვა სამთავრობო შენობები და სტრატეგიული ობიექტები.

რამდენიმე დღის შემდეგ ნათელი ეფინება კიდევ ერთ შეცდომას. ძალიან ბევრი ომის მოწინააღმდეგე და მშვიდობის მომხრე ინსტიტუტი წინასწარმეტყველებდა მთლიანად ახლო აღმოსავლეთში სისხლიან ბრძოლებს და ხანგრძლივ ომში ერაყელთა ჯარის სასტიკ წინააღმდეგობას, რომელსაც ასე ათასობით სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეეწირებოდა. მაგრამ ამ მოლოდინებიდან არც ერთი არ გამართლებულა. ასევე არ ასრულდა ის წინასწარმეტყველებაც, რომ ბაღდადი რესპუბლიკური გვარდიის⁵⁶⁰ ბრძოლისუნარიანი და დისციპლინირებული თექვსმეტი ათასი ჯარისკაცითა და ეროვნული არმიისა და პარტიული მილიციის ას ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცით მეორე სტალინგრადი გახდებოდა. თითქოს აქაც, სტალინგრადის მსგავსად, ადგილი ექნებოდა ქუჩაში წარმოებულ გმირულ ბრძოლებსა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე ხოცვა-ჟლეტას.

ასევე არ მართლდება ის მოლოდინი, რომ ქალაქ ბასრას და სხვა ქალაქების შიიტები მოსახლეობა ამერიკელ ჯარისკაცებს მეგობრულად შეხვდებოდნენ და ერაყის რეგულარული არმიის ჯარისკაცები სწრაფად გამოაცხადებდნენ კაპიტულაციას. მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, ამერიკელი ჯარისკაცები სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებიან.

ნაზარიას ბრძოლა მთელი ერაყის ომის განმავლობაში ყველაზე მძიმე ბრძოლა აღმოჩნდა. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მე-2 პოლკის 1-მა ბატალიონმა უნდა დაიცვას ამ ქალაქში ორი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხიდი: სამხრეთით, ეფფრატზე, და ჩრდილოეთით, სადამის ყურეზე მდებარე ხიდები. მათ შორის მდებარეობს ხუთი კილომეტრის სიგრძის ქუჩა. ინსტრუქტაჟის ჩატარებისას ჯარისკაცებს განუმარტეს, რომ ნაზარია არის სადამის მოწინააღმდეგეების დასაყრდენი ქალაქი. ამავე დროს, იქ მდგარი ერაყის მე-11 ქვეითი დივიზიის ბრძოლისუნარიანობა დაბალია. მაგრამ 23 მარტის შუადღისათვის ამერიკულ საბრძოლო-სადესანტო მანქანებს და მუხლუხიან ტანკ-ამფიბიებს პირველ ხიდთან მიახლოებისთანავე ყველა მხრიდან უხსნიან ცეცხლს. ტყვიამფრქვევებით, ნალმსატყორცნებითა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლს უხსნიან ასევე სამ მოიერიშე ასეულს, რომლებიც თავს იყრიან ხიდის უკან. ნათელია, რომ ეს არ არის არაორგანიზებული წინააღმდეგობა და არც ჩვეულებრივი ჩასაფრება. ეს არის ერაყელთა ძლიერი სტრატეგიული თავდაცვითი პოზიცია. ამ ბრძოლაში თვრამეტი ამერიკელი ჯარისკაცი იღუპება, ამდენი არ დაღუპულა არც ერთ ასეულში მთელი კამპანიის განმავლობაში.

⁵⁶⁰ ერაყის რესპუბლიკური გვარდია (არაბ. الجھدري العراقي الحرس) – 1980-2003 წლების პერიოდში არსებული ერაყის შეიარაღებული ძალების ელიტარული ჯარები. იგი შეიქმნა 1980 წელს, როგორც სადამ ჰუსეინის პირადი უსაფრთხოების დამცავი საჯარისო შენაერთი. თავდაპირველად იგი ერთ ბრიგადას შეადგენდა, სადაც მხოლოდ სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქის, ტიკრიტის მცხოვრებლებს იღებდნენ. 1980-1988 წლების ირან-ერაყის ომის მსვლელობის პერიოდში, ერაყში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ერაყის რესპუბლიკურ გვარდიაში დაიწყო ერაყის სხვა რეგიონების მცხოვრებლების მიღებაც. ეს შენაერთი წარმატებით მოქმედებდა ერაყელთა მიერ 1988 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში განხორციელებულ უკანასკნელ შეტევით ოპერაციაში. ირან-ერაყის ომის დასრულების შემდეგ, რესპუბლიკურმა გვარდიამ მტკიცედ დაიმკვიდრა ერაყის სახმელეთო ჯარების ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანი ელემენტის რეპუტაცია. მისი ქვედანაყოფები ყველაზე უფრო უკეთესად იყვნენ შეიარაღებულნი და უზრუნველყოფილნი – ერაყის სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში არსებული საბჭოური წარმოების ყველა T-72 ტანკის ჩათვლით. ასევე, გვარდიელთა ფინანსური უზრუნველყოფა და სახელფასო განაკვეთებიც გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ჯარების სხვა გვარეობებში, შენაერთებსა და ნაწილებში. უკვე 1990 წლის აგვისტოსათვის რესპუბლიკური გვარდიის ოთხი დივიზია ერაყის შეიარაღებული ძალების საყრდენს წარმოადგენდა. სწორედ ეს ნაწილები შეიჭრნენ კუვეითში 1990 წლის 2 აგვისტოს და მოახდინეს მისი ტერიტორიების სრული ოკუპაცია. ერაყის რესპუბლიკური გვარდიის სარდალს, სადამ ჰუსეინის უმცროსი შვილი, კუსაი ჰუსეინი წარმოადგენდა. 1992 წელს, ზოგიერთი მონაცემებით – 1995 წელს, შეიქმნა სპეციალური რესპუბლიკური გვარდია, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენდა ბაღდადისა და სადამ ჰუსეინის სასახლეების უსაფრთხოების დაცვა. იგი ცნობილი იყო ასევე „ოქროს დივიზიის“ სახელით. ერაყის რესპუბლიკური გვარდიის ცნობილ დივიზიებს ირან-ერაყის ომის დასრულების შემდეგ წარმოადგენდნენ: 1-ლი სატანკო დივიზია „ჰამურაბი“, მე-2 სატანკო დივიზია „მედინა“, მე-3 მექანიზირებული დივიზია „ტავაკალნა“, მე-4 მექანიზირებული დივიზია „ალ-ფაო“, მე-5 მექანიზირებული დივიზია „ბაღდადი“, მე-6 მექანიზირებული დივიზია „ნაბუქოდონოსორი“, მე-7 მექანიზირებული დივიზია „ადნანი“, სატანკო დივიზია „ალ-ნიდა“, მექანიზირებული დივიზია „ალ-აბდი“ და სპეციალური დანიშნულების დივიზია „ას-საიკა“.

მოვლენების წარმატებით განვითარების გამო ერაყელებს უჩნდებათ განსაკუთრებული მოტივაცია, რაც ლამის მოქმედებებშიც ვლინდება. 507-ე სარემონტო ასეულის კონვოის, რომელიც გადაადგილდებოდა ნაზარის გავლით ავტომაგისტრალზე ჩრდილოეთისკენ, გზა ერევა და ევფრატის ხიდისკენ მიდის. ეს საბედისწერო გზის არევა სიბნელეში ნაზარის გავლით კრაზანის ბუდეში ხელის შეყოფას ნიშნავს, რომელიც დიდ საფრთხეს უქადის მათ. მძღოლების, მექანიკოსებისა და მზარეულების მცირე ჯგუფი არ წარმოადგენს საბრძოლო შენაერთს – ხანმოკლე ბრძოლაში ერაყელები რამდენიმე ამერიკელ ჯარისკაცს კლავენ, ხუთი კი, ტყვედ აჰყავთ. ტყვედ აყვანილ ოცდაათი წლის ფერადკანიან მზარეულს ტენასიდან და დაჭრილ ჯარისკაცს ჯესიკა ლინჩს⁵⁶¹, მოგვიანებით ერაყის ტელევიზიით აჩვენებენ. კადრების ნახვა შესაძლებელი იყო აგრეთვე ალ-ჯაზირასა⁵⁶² და სხვა არაბული ტელევიზიების გადაცემებში. ამ თავდასხმამ და მიღწეულმა წარმატებამ ქალაქში კიდევ უფრო გააძლიერა დაუმორჩილებლობის მუხტი. ერაყელებს განუმტკიცდათ რწმენა, რომ შეძლებდნენ ამერიკელი ჯარისკაცების დამარცხებას, ანდა შეჩერებას მაინც. ისინი დასახლებულ პუნქტებში ბრძოლის ტაქტიკით მოქმედებენ, იბრძვიან შენობებიდან და ქუჩის ყველა კუთხიდან, სნაიპერები კი, ორმოებში წვანან და ხეებს უკან ღვანან. ერაყელი ჯარისკაცები, შეიარაღებული სამოქალაქო პირები და გასამხედროებული ფიდაინები⁵⁶³ მოტოციკლებით, სატვირთო მანქანებით ან ცალკეული ტანკებით გადაადგილდებიან ბრძოლაში. ყველაფერთან ერთად, ერაყელები გაუთვალისწინებელ მზარდაჭერას იღებენ ამერიკული A-10 საბრძოლო თვითმფრინავისგან,⁵⁶⁴ რომელიც შეცდომით ცეცხლს საკუთარ

⁵⁶¹ ჯესიკა ლინჩი (ინგლ. Jessica Dawn Lynch) (1983-) – ამერიკის შერთებული შტატების საკვარტერმისტერო კორპუსის ყოფილი პირველი კლასის რიგითი. მონაწილეობდა მრავალეროვნული ძალების 2003 წლის ერაყში შეჭრის ოპერაციაში. 2003 წლის 23 მარტს, 507-ე უზრუნველყოფის ასეული, რომლის შემადგენლობაშიც ირიცხებოდა ჯესიკა ლინჩი, ნაზარისთან ალყაში მოაქციეს ერაყელებმა. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, მძიმედ დაჭრილი ლინჩი ტყვედ იქნა აყვანილი. იგი 2003 წლის 1 აპრილს, ამერიკელთა სპეცდანიშნულების ძალების მიერ იქნა განთავისუფლებული. მისი ტყვედ აყვანისა და განთავისუფლების ისტორია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ფართოდ იქნა გაშუქებული. ეს იყო ვიეტნამის ომის შემდეგ განხორციელებული ამერიკელი სამხედრო ტყვეის დასხნის პირველი წარმატებული ოპერაცია, ხოლო თავად ჯესიკა ლინჩი – ამერიკის ისტორიაში არსებული პირველი სამხედრო ტყვე ქალი. მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ, 2003 წლის 27 აგვისტოს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, იგი დათხოვნილ იქნა აშშ-ის შეიარაღებული ძალების რიგებიდან. დაჯილდოებული იყო საბრძოლო მედლებით: „ბრინჯაოს ვარსკვლავი“, „მეწაფული გული“ და „ტყვეის მედალი“.

⁵⁶² ალ-ჯაზირა (არაბ. الجزيرة) – პირდაპირი მნიშვნელობით „კუნძული“. ყატარის ამირას მიერ 1966 წელს დაარსებული საერთაშორისო ტელეკომპანია შტაბ-ბინით დოჰაში. მსოფლიოში ფართოდ გახდა ცნობილი მას შემდეგ, რაც გააშუქა კოალიციური ძალების მიერ განხორციელებული საავიაციო და სარაკეტო დარტყმები ავღანეთში და უსამა ბინ ლადენის განცხადებები სტელევიზიო ეთერში. კომპანიას გააჩნია თავისი ინტერნეტ საიტი, ასევე სატელევიზიო არხის ინგლისურენოვანი ვერსია “Al Jazeera English”. ბოლო პერიოდში კომპანიამ ნელ-ნელა დაკარგა პოპულარობა. „არაბული გაზაფხულის“ მოვლენების გაშუქებისას ყატარის ტელეარხის მიერ გატარებულმა ტენდენციურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ 2011-2013 წლებში მან თავისი აუდიტორიის 86% დაკარგა. მთელ მსოფლიოში „ალ-ჯაზირას“ მაყურებელთა რიცხვი 43 მილიონიდან 6 მილიონამდე შემცირდა.

⁵⁶³ ფიდაინები (არაბ. الفدائيين) – პირდაპირი მნიშვნელობით „იდეისათვის, სარწმუნოებისათვის შეწირულები“. აღმოსავლეთის ქვეყნებში რიგი რევოლუციური საბრძოლო პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და ტერორისტული ორგანიზაციების წევრთა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. პირველად ეს ტერმინი ჰამასნიების (ასასინების) მიერ იქნა გამოყენებული. ასასინები იმ პალესტინელ ლტოლვილთა სოლიდარული ჯგუფის წევრები იყვნენ, რომლებსაც იძულებით დაატოვებინეს სამშობლო ისრაელ-არაბეთის 1947-1949 წლების ომის შემდეგ. მათი მეორე დასახლება ფიდაინები იყო, ხოლო მიზანი ებრაელთა წინააღმდეგ ბრძოლა და მათი პალესტინიდან განდევნა. ფიდაინების ბაზები მდებარეობდა ეგვიპტეში, ლიბანსა და იორდანიაში. სწორედ ამ ჯგუფების ბაზაზე შეიქმნა შემდეგ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და მისი მსგავსი დაჯგუფებები, რომელსაც მისი იდეოლოგიური ლიდერი იასერ არაფატი ჩაუდგა სათავეში. ეს დაჯგუფებები საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სხვა მემარცხენე მოძრაობებში დიდი პოპულარობითა და მზარდაჭერით სარგებლობდნენ, რამეთუ მათი საქმიანობა მსოფლიო რევოლუციის წინამორბედ ქმედებად განიხილებოდა. შესაბამისად, ამ რევოლუციური იდეოლოგიების მიერ ხდებოდა ფიდაინებისა და მათი საქმიანობის იდეალიზება და პოპულარიზაცია. 1970 წლის „შავი სექტემბრის“ მოვლენების შემდეგ, ფიდაინები გამოდევნეს იორდანიაში, ასე რომ, ისინი იძულებულნი გახდნენ დასახლებულიყვნენ ლიბანში. აქედან დაწყებული, ფიდაინების მოძრაობა ლიბანში აგორებული სამოქალაქო ომის გამოშვვევი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ამ მოვლენების გამო, 1982 წელს ფიდაინები ლიბანიდანაც განდევნეს. ამ მომენტთან დაწყებული, მსგავსი ტიპის ჯგუფები მხოლოდ ერაყში დარჩნენ, რომლებიც „სადამის ფიდაინებად“ იწოდებოდნენ. ამით გარკვეულად შენარჩუნებულ იქნა ფიდაინების შესახებ ის მითი, რაც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა უძველველ დაჯგუფებას შეესაბამებოდა.

⁵⁶⁴ Fairchild Republic A-10 Thunderbolt II – ამერიკის შერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი, სახმელეთო ოპერაციების მზარდამჭერი ბერამდელი ორბრავიანი რაკეტული მოიერიშე ბომბდამშენი თვითმფრინავი.

შენაერთს უხსნის და რამდენიმე ამერიკელ ჯარისკაცს ანადგურებს⁵⁶⁵. ბასრასთან გამართულ ბრძოლაში საკუთარი შენაერთის მიერ გახსნილი ცეცხლით რამდენიმე ბრიტანელი ჯარისკაციც იღუპება.⁵⁶⁶ ამერიკელთა მიერ გაშვებული „პატრიოტი“ კი, ბრიტანელთა „ტორნადოს“ ტიპის თვითმფრინავს აგდებს.⁵⁶⁷

24 მარტს სადამ ჰუსეინი ტელევიზიით შემდეგი შინაარსის შეტყობინებას ავრცელებს: „გამარჯვება ახლოსაა!“ იგი ერაყელებს ურჯულო დამპყრობლების წინააღმდეგ წმინდა ომის დაწყებისაკენ მოუწოდებს. იმავე დღეს კოალიციური ძალების ავიაციას უძლიერესი საჰაერო იერიშები მიაქვს ბაღდადზე. 25 მარტისათვის აშშ-ის მე-3 ქვეითი დივიზიის ავანგარდი უკვე ოთხმოც კილომეტრზე იმყოფება ბაღდადიდან, მომდევნო დღეს კი, მე-2 ბრიგადა ერაყის დედაქალაქამდე აღწევს. ბრიგადის ქვედანაყოფები მოულოდნელად ჩერდებიან ქარბალასთან, რაც საბრძოლო გეგმით საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ამის მიზეზი ბუნებრივი მოვლენაა. იგი უფრო ძლიერი აღმოჩნდება, ვიდრე უძლიერესი ქვეყნის უმაღლესი ტექნოლოგიებით შეიარაღებული არმია. უდაბნოში ძლიერი ქვიშის ქარიშხალი იწყება, უკანასკნელი წლების განმავლობაში არსებულიდან ყველაზე უფრო ძლიერი და საშინელი. ამას არავინ არ მოელოდა. დღის განმავლობაში ბნელდება, ხილვადობა მხოლოდ ერთ მეტრს შეადგენს. ტექნიკის ამუშავება და მოძრაობა შეუძლებელი ხდება, ამერიკელთა ტანკები და სხვა ჯავშანტექნიკა ჩერდება, არაფერი აღარ მოძრაობს. იგივე მდგომარეობაშია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიმავალი 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიაც. ქვიშის ქარიშხალი შეუძლებელს ხდის აგრეთვე ავიაციის – თვითმფრინავებისა და საბრძოლო შვეულმფრენების გამოყენებას. ამას ემატება კიდევ ერთი პრობლემა. გრძელ დერეფანს, რომელიც ამერიკელებმა ერაყში გააკეთეს, ფლანგებიდან საფრთხე ემუქრება. აუცილებელია მომარაგების უზრუნველყოფა ხუთას კილომეტრზე და

ეს არის სარაკეტო და მძიმე საარტილერიო შეიარაღების მქონე თვითმფრინავი, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენს საკუთარი სახმელეთო ოპერაციების საჰაერო მხარდაჭერა, და მოწინააღმდეგის ტანკების, ჯავშანტექნიკისა და სხვა მსხვილი სახმელეთო საშინაეების განადგურება. A-10 Thunderbolt II-ის პირველი საცდელი ფრენები 1975 წლის 15 თებერვალს განხორციელდა, ხოლო აშშ-ის საჰაერო ძალების შეიარაღებაში მიღებულ იქნა 1976 წელს. A-10 Thunderbolt II მოიერიშე თვითმფრინავების პირველი ესკადრილია საბრძოლო მზადყოფნაში 1977 წლის ოქტომბერში ჩადგა. ერთი თვითმფრინავის ღირებულება 16,25 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს და თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, იგი დღესაც წარმოადგენს აშშ-ის საჰაერო ძალების ერთადერთ ამ კლასის თვითმფრინავს.

565 ქალაქში ბრძოლის ეს ტაქტიკა, ე.წ. „უშუალო შეხების“ ტაქტიკა, რომელიც ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის სტალინგრადის ბრძოლებში იქნა შემუშავებული და წარმოებული გენერალ ჩუიკოვის მიერ, სწორედ ამაზე იყო გათვლილი. იგი მაქსიმალურად ზღუდავდა ძლიერი მხარის მიერ სუსტი მხარის წინააღმდეგ აღმატებული საცეცხლე ძალების გამოყენების შესაძლებლობას – ვგულისხმობთ ინტენსიური ხასიათის ჯავშანსატანკო, საარტილერიო და საავიაციო ცეცხლის წარმოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდა საკუთარი ძალების დაზიანებისა და განადგურების ალბათობა.

566 2003 წლის 25 მარტს, ბასრასთან გამართულ ამ ბრძოლაში „მეგობრული ცეცხლით“ განადგურებულ იქნა აგრეთვე ბრიტანული ტანკი „ჩელენჯერ 2“, მეორე დღეს კი, ჩამოგდებულ იქნა ბრიტანელთა ორი უპილოტო საფრენი აპარატი „ფენიქსი“. 27 მარტს ბრიტანელები ჩაერთვნენ II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთ უდიდეს სატანკო ბრძოლაში, სადაც შოტლანდიელ დრაგუნთა სამეფო გვარდიამ ერაყის არმიის კუთვნილი 15 ერთეული საბჭოური წარმოების T-55 ტიპის ტანკი გაანადგურა.

567 „პანავია ტორნადო“ (ინგლ. Panavia Tornado) – ცვალებადი დახრილობის ფრთის მქონე ზებგერთი ორძრავიანი რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავი – გერმანული კომპანია „მესერშიტ-ბოლკოვ-ბლომის“ (გერმ. Messerschmitt-Bölkow-Blohm), ბრიტანული „ბრითიშ აერსფეისისა“ (ინგლ. British Aerospace) და იტალიური „აერიტალიას“ (იტალ. Aeritalia) ერთობლივი პროექტი. არსებობს ამ თვითმფრინავის ორი ძირითადი მოდიფიკაცია – გამანადგურებელ-ბომბდამშენი „ტორნადო IDS“ და გზავადამჭერი „ტორნადო ADV“. ეკიპაჟი 2 კაცი, საბრძოლო ტვირთამწეობა 9 ტონა, მაქსიმალური სიჩქარე 2,2Max, საბრძოლო მოქმედების რადიუსი 1390კმ, პრაქტიკული ჭერი 15კმ, სწრაფასვლა 77მ/წმ, მაქსიმალური გადატვირთვა 7,5გ. შეიარაღება – 2×27მმ-იანი საავიაციო ქვემეხი, მართავდი და უმართავი რაკეტები, სხვადასხვა კლასისა და დანიშნულების მქონე საავიაციო ბომბები. დღეისათვის „პანავია ტორნადო“ წარმოადგენს NATO-ს ქვეყნების ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო თვითმფრინავს. იგი განსაზღვრულად როგორც ჩვეულებრივი, ასევე თერმობირთვული იარაღის გადასატანად. ჯერ-ჯერობით აგებულია 992 ერთეული. პირველი ამ კლასის თვითმფრინავი შეიარაღებაში მიღებულ იქნა 1981 წლის მარტში, ხოლო მის პირველ საბრძოლო გამოყენებას სპარსეთის ყურის პირველ ომში ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, ისინი მონაწილეობდნენ ბოსნიის, კოსოვოს, ლიბიის, ავღანეთის, იემენისა და სირიის ტერიტორიებზე მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებში. დღეისათვის ამ თვითმფრინავებითა დაკომპლექტებული გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და საუდის არაბეთის სამხედრო-საჰაერო ძალები.

მისი წინ გადატანა. ეს საშიშროება მე-3 ქვეითი დივიზიის მესამედს ეხება. მხოლოდ მათ, დღე-ღამეში 56,8 მილიონი ლიტრი საწვავი სჭირდებათ. ამჯერად დივიზიის შენაერთები უმოდრაოდ დგანან, რომოცდაათი ათასი ჯარისკაცისა და შვიდი ათასი სატრანსპორტო საშუალებისგან შემდგარი დაუსრულებელი კოლონა ერთი გზის გასწვრივ, ქუვეითიდან ჩრდილოეთისკენ არის გაჭიმული. გარდა ამისა, ამკარა ხდება, რომ ამერიკელთა „ბლიცკრიგისეული ჩანაფიქრი“ და მათი თავდაპირველი განზრახვა – კი არ აეღოთ ის ქალაქები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ამერიკელ ჯარისკაცებს, არამედ უბრალოდ შემოეკლოთ მათთვის – სახიფათოა. ქვიშის გორაკებსა და ბუჩქებში დამალული ერაყელები აფერხებენ მოკავშირეთა კოლონების გადაადგილებას და ჩასაფრებაში იტყუებენ მათ. ამის გამო იცვლება საომარი გეგმა და საჭირო ხდება ამ ქალაქების აღება. ეს ეხება ასევე ნაჯაფს, შიიტების წმინდა ქალაქს, ხუთასი ათასზე მეტი მოსახლეობით.

სადამ ჰუსეინმა ეს ქალაქი ძალით დაიმორჩილა და თვალყურს ადევნებდა მას შემდეგ, რაც 1991 წელს ამერიკელების მიერ მოთხოვნილი, მაგრამ შემდეგ მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი აჯანყება მარცხით დასრულდა. ამერიკელები ფიქრობენ, რომ მათ აქ, როგორც განმათავისუფლებლებს, ისე მიესალმებიან, მაგრამ ისინი ისევ ცდებიან, ყველაფერი პირიქითაა. როდესაც პირველი ამერიკული ტანკი უახლოვდება ევფრატის ხიდს, მას ცეცხლს უხსნიან რუსული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსიდან „კორნეტი“.⁵⁶⁸ იგივე სურათია ნაზარიაშიც.⁵⁶⁹ ნაჯაფის მსგავსად ამერიკელები აქაც დიდ წინააღმდეგობას ხვდებიან. ნათელი ხდება, რომ დონალდ რამსფელდი და ტომი ფრენკსი თავის გათვლებში შეცდნენ, არც ისე მარტივი აღმოჩნდა რამდენიმე დივიზიით საფრანგეთის სიდიდის ქვეყნის დაპყრობა, ამიტომ ამერიკელები გადადიან ძალთა მასირებაზე და იწყებენ დამატებითი ჯარების თავმოყრას საბრძოლო მოქმედებების რაიონში. ნათელი ხდება, რომ ომის სწრაფად დასრულება არ გამოდის. 27 მარტს ტეხასის შტატის ფორტ ჰუდის სამხედრო ბაზიდან ბაღდადში საერთო ჯამში აშშ-ის მე-4 ქვეითი დივიზიის თორმეტი ათასი ჯარისკაცი იგზავნება. ფლორიდაში, მაკდილის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაზე, პრეზიდენტი ბუში ჯარისკაცებს უცხადებს: „ჩვენი ჯარისკაცები წარმატებას აღწევენ ერაყში, მაგრამ ომი დიდხანს ვერ დამთავრდება.“

შემდგომი მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ამერიკული შენაერთები სამი სოლისებრი საბრძოლო წყობით წინ მიიწევენ ბაღდადისკენ და 3 აპრილს არღვევენ დედაქალაქის გარშემო არსებულ თავდაცვის რკალს. ხოლო 4 აპრილს, მას შემდეგ, რაც ამერიკულმა ავიაციამ ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტის შენობა და საწვავის რეზერვუარები დაბომბა, აეროპორტი ამერიკელების ხელში გადადის. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ქალაქის გარეუბანში შემოღწეული ამერიკელთა საზღვაო ქვეითები ცალკეულ წინააღმდეგობებს ხვდებიან. რესპუბლიკური გვარდიის დაახლოებით ორიათას ხუთასი ჯარისკაცი იარაღს ყრის და ნებდება.

⁵⁶⁸ „კორნეტი“ (რუს. ПТРК “Корнет”) (ინდექსი ГРАУ — 9К135) – საბჭოური წარმოების, ტულის საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ შემუშავებული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, NATO-ს კლასიფიკაციით – AT-14 Spriggan. მის დანიშნულებას ძირითადად წარმოადგენს ტანკებისა და სხვა მძიმე ჯავშანტექნიკის განადგურება. კუმულაციური მუხტის გარდა, ცოცხალი ძალისა და საცეცხლე წერტილების განადგურების მიზნით შესაძლებელია აგრეთვე მისი რაკეტების აღჭურვა თერმობარული მუხტით. „კორნეტი“ აღჭურვილია დინამიური დაცვის სისტემით, მის საბრძოლო კომპლექტს კი წარმოადგენს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების (ტანდემურ-კუმულაციური, ფუგასური, თერმობარული) რაკეტები. თავისი წინამორბედებისგან („ფაგოტი“, „კონკურსი“, „მეტისი“) განსხვავებით, „კორნეტის“ ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებისა და რაკეტების მართვა ხორციელდება არა სადენებით, არამედ ლაზერის სხივით. ПТРК “Корнет-Д” მოდიფიკაციას ძალუძს 10კმ დისტანციიდან გაანადგუროს 250მ/წმ (900კმ/სთ) სიჩქარეზე მფრენი ობიექტი. ПТРК “Корнет”-ის ბოლო ვერსიები მოქმედებენ პრინციპით – „გაისროლე, დაივიწყე“. აქვე შესაძლებელია მოწინააღმდეგის აქტიური ჯავშნის სისტემებით დაცული ობიექტების განადგურება ერთდროულად ერთი და იმავე წერტილში ტანდემის რეჟიმში გაშვებული ორი რაკეტით.

⁵⁶⁹ აქ ავტორი ამკარად ცდება „კორნეტის“ პირველი საბრძოლო გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. რუსული წარმოების ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი „კორნეტის“ პირველადი საბრძოლო გამოყენება 2003 წლის ერაყის ომში არ მომხდარა. მისი პირველადი საბრძოლო გამოყენება მოხდა ამ ამბების აღწერიდან მთელი სამი წლის შემდეგ, 2006 წელს, ლიბანის მეორე ომში, „ჰესბოლას“ მებრძოლების მიერ ისრაელის სატანკო ქვედანაყოფების წინააღმდეგ.

7 აპრილისათვის ხუთმილიონიანი მეტროპოლია უკვე კოალიციური ჯარების სრულ ალყაშია მოქცეული. ყველა მნიშვნელოვანი მაგისტრალი ახლა ამერიკელების კონტროლქვეშაა და ჯარიც წინ, ქალაქის ცენტრისაკენ მიიწევს. ტიგროსის სანაპიროზე მდებარე პრეზიდენტის ახალი სასახლე, სადამ ჰუსეინის ბოლო რეზიდენცია, კოალიციურმა ჯარებმა ისევე დაიკავეს, როგორც რესპუბლიკის უზარმაზარი, 38000 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე სადამის უდიდესი სასახლე. ამერიკული შენაერთების ბაღდადში შესვლისთანავე ქალაქში უმართავი პროცესები იწყება, რომელიც მალე სრული ქაოსში გადაიზრდება. მოსახლეობა ქალაქის ქუჩებში გამოდის და სამთავრობო შენობებსა და მაღაზიებს მარცვავეს. ქალაქში ანარქია და განუკითხაობა სუფევს. 2003 წლის 10 აპრილისათვის ყველაფერი სრულდება. ომის 21-ე დღეს მოკავშირეების მიერ უკვე მთელი ბაღდადი დაკავებული, სამხრეთ-აღმოსავლეთში ეცემა ბასრაც.⁵⁷⁰

პროგნოზების მიუხედავად, ერაყში მასობრივი განადგურების ქიმიური იარაღი და მისი საწარმოები ვერ აღმოაჩინეს. არ დაფიქსირებულა არც ქიმიური იარაღის გამოყენების თუნდაც ერთი ფაქტი. ასევე არ სრულდება წინასწარმეტყველება, ისევე როგორც სპარსეთის ყურის ომის დროს, ნავთობსარეწების აალების შედეგად მსოფლიო ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის შესახებ. ექსპერტებიც შეცდნენ, როცა მოკავშირეების მხრიდან დაახლოებით ხუთათასიან საბრძოლო დანაკარგებზე აკეთებდნენ პროგნოზებს მხოლოდ დაღუპულების სახით – საერთო ჯამში, ის გაცილებით ნაკლებს, მხოლოდ ას ორმოცდაათს შეადგენს.

ქვეყნის ჩრდილოეთში, მოსულსა და კირკუკთან, ბრძოლები ისევ გრძელდება. 14 აპრილს მოკავშირეები ბაღდადის ჩრდილოეთით 175 კილომეტრის დაშორებით მდებარე ქალაქ ტიკრიტს, სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქსა და ერაყის უკანასკნელ ციხესიმაგრეს იღებენ. დასავლეთით ერაყის არმიის თექვსმეტათასიანი შენაერთი იარაღს ყრის და მოკავშირეებს ტყვედ ბარდება. ომი პრაქტიკულად დასრულებულია.⁵⁷¹ მოწინააღმდეგე იმაზე სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, მაგრამ ერაყის დიქტატორი ჯერ კიდევ არ დაუკავებიათ, თუმცა 24 ივლისს მისი ორივე ვაჟის, უდაის და კუსაის კვალს აგნებენ და კლავენ.⁵⁷²

2003 წლის 1 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ოფიციალურ განცხადებას აკეთებს ოპერაციის – „თავისუფლება ერაყს“ და ომის დასრულების შესახებ.⁵⁷³ ომის დაწყების წინ მან თავისი ქვეყნის მოსახლეობასა და მსოფლიოს

⁵⁷⁰ ბრიტანელთა მიერ ბასრა აღებულ იქნა 2003 წლის 7 მაისს. ქალაქისათვის ბრძოლა 23 აპრილს დაიწყო, სადაც ბრიტანულ შენაერთს ერაყის არმიის მე-3 კორპუსი დაუპირისპირდა. პირველები ქალაქში ბრიტანეთის მე-7 სატანკო ბრიგადის ქვედანაყოფები შევიდნენ.

⁵⁷¹ სადამ ჰუსეინის რეჟიმი საბოლოოდ 2003 წლის 17 აპრილს დაეცა, მაშინ, როცა ბაღდადთან გაშლილი ერაყის რესპუბლიკური გვარდიის მე-2 სატანკო დივიზია „მედინას“ ნაწილებმა და ქვედანაყოფებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს.

⁵⁷² აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. სადამ ჰუსეინის შვილები, უდაი და კუსაი ლიკვიდირებულ იქნენ 2003 წლის 22 ივლისს და არა 24 ივლისს. სწორედ ამ დღეს, 2003 წლის 22 ივლისს, ინფორმატორისაგან მოწოდებული ცნობებით, ცნობილი გახდა სადამ ჰუსეინის შვილების ადგილსამყოფელი. სხვათა შორის, ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებისათვის ინფორმატორმა აშშ-ის მთავრობისგან ჯილდოდ 30 მილიონი აშშ დოლარი მიიღო. განგაშზე სასწრაფოდ შეიქმნა „ტაქტიკური ჯგუფი 20“, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ: ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) თანამშრომლები, სპეცდანიშნულების ძალების ქვედანაყოფი „დელტა“, საზღვაო ძალების სპეცდანიშნულების „სელაბოა“ ქვედანაყოფი და აშშ-ის 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ქვედანაყოფი. ხანმოკლე და ცხარე შეტაკების შემდეგ სადამ ჰუსეინის ორივე შვილი და მათი თანამებრძოლები ლიკვიდირებულ იქნენ.

⁵⁷³ ამ თვენახევრიანი ხანგრძლივობის ომში დაპირისპირებულ მხარეთა საბრძოლო დანაკარგები შემდეგი იყო. სხვადასხვა წყაროების მიხედვით კოალიციურმა ძალებმა მოკლულების სახით 172 მებრძოლი დაკარგეს, ხოლო დაჭრილების სახით – 1621. ერაყელთა მიერ აფეთქებულ იქნა მოკავშირეთა 74 ტანკი, 63 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 105 ჯავშანტრანსპორტიორი, 4 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი და 91 ავტომობილი. ერაყელთა საბრძოლო დანაკარგები კი შემდეგი იყო: მოკლულები – 9200 სამხედრო მოსამსახურე და 7300 სამოქალაქო პირი. ასე, რომ სამოქალაქო მოსახლეობის დანაკარგები ორჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა იმ დანაკარგებს, რაც ერაყელებმა 1991 წლის ომში განიცადეს. 7000-ზე მეტი ერაყელი სამხედრო მოსამსახურე ტყვედ ჩავარდა. საომარი მოქმედების 21 დღის განმავლობაში ერაყის არმიისა და რესპუბლიკური გვარდიის კუთვნილი ჯავშანტექნიკის დანაკარგებიც მნიშვნელოვანი იყო – 847 ტანკი და 777 ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი.

თვალსაჩინოდ დაუხატა რაკეტებითა და მასობრივი განადგურების იარაღით კბილებამდე შეიარაღებული ერაყისგან მომავალი გლობალური საფრთხე, ასევე ალ-ქაიდასა⁵⁷⁴ და სადამ ჰუსეინის კავშირი. ახლა ჯორჯ უოლკერ ბუშს სჭირდებოდა დამამტკიცებელი ფაქტები თავისი განცხადებების გასამაგრებლად. „ერაყი არ წარმოადგენდა უშუალო საფრთხეს“, – აცხადებდა დემოკრატი სენატორი რობერტ ბერდი დასავლეთ ვირჯინიიდან მაისის ბოლოს „ნიუ-იორკ თაიმსში“, – „ეს არის „სამწუხარო“ და „უფრო მეტი, ვიდრე უსიამოვნო“ ამბავი. აშშ-ის მოქალაქეები არასწორი ვარაუდებით იმ აზრამდე მიჰყავთ, რომ „საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით სუვერენულ ქვეყანაზე არაპროვოცირებული შეტევა“ აღიარონ.


ამ ომით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „ალბათ ორასი წლით მაინც უკან დასწია თავისუფლებისკენ მისწრაფება“. „ნიუ-იორკ თაიმსი“ ციტირებს უკეთეს საიდუმლო სამსახურის თანამშრომლის მოსაზრებასაც, რომ დაზვერვის ცენტრალური სააგენტო შეგნებულად გამოიყენეს პოლიტიკური მიზნებისათვის. პენტაგონმა და ბუშის ადმინისტრაციამ აიძულა საიდუმლო სამსახური, გაეგრძელებინა ისეთი ინფორმაციები, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა ერაყის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის გამართლება.

ამერიკელებმა პასუხი უნდა აგონ ასევე შემდგომ შეცდომაზე: ელვისებური ომის გეგმა საბოლოოდ არ სრულდება. სინამდვილეში ომი ჯერ არ დამთავრებულა, ის გრძელდება მომდევნო კვირებისა და თვეების განმავლობაში, როგორც ფარული პარტიზანული ომი. ამერიკელ ჯარისკაცებს მუდმივად თავს ესხმიან და ხოცავენ მათ. წინააღმდეგობა გრძელდება და ჯარების გაყვანის მაგივრად, ამერიკელი პოლიტიკოსები და სამხედრო ხელმძღვანელობა ერაყში ჯარების ხანგრძლივად გამოყენებისთვის ემზადებიან. 2003 წლის ივლისისათვის ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მოქმედი ჯარისკაცების 60% უკვე ერაყში იყო გაშლილი.

წლის ბოლოს მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. 13 დეკემბერს, თავისი მშობლიური ქალაქის, ტიკრიტის მახლობლად სადამ ჰუსეინის აკავებენ, სადაც ის თვეების განმავლობაში იმალებოდა თავშესაფარში, მაგრამ ეს არ ნიშნავს ერაყში მისი ძალაუფლების დასასრულს და მშვიდობის დამყარებას. ისტორია სხვანაირად განსჯის. ამერიკელებს კიდევ დიდხანს მოუწევთ ერაყში ყოფნა⁵⁷⁵...

⁵⁷⁴ ალ-ქაიდა (არაბ. القاعد) – სიტყვასიტყვით „საფუძველი“, „ფუნდამენტი“ – ისლამის ვაჰაბისტური მიმართულების მქონე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი ულტრარადიკალური ხასიათის საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია. იგი 1988 წელს შეიქმნა ავღანეთში საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ომის მსვლელობისას, აბულა აზამისა და უსამა ბინ ლადენის ხელმძღვანელობით. საბჭოელების მარცხისა და ჯარების ავღანეთიდან გამოყვანის შემდეგ „ალ-ქაიდა“ ბრძოლა უკვე ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთის სხვა ქვეყნებისა და მათი მხარდამჭერი ისლამური ქვეყნების წინააღმდეგ დაიწყო. „ალ-ქაიდას“ მიზანს წარმოადგენდა ისლამის ქვეყნებში სამოქალაქო კონსტიტუციური მთავრობების ჩამოგდება და „დიდი ისლამური სახალიფოს“ შექმნა. 1998 წელს „ალ-ქაიდას“ მიერ კენიისა და ტანზანიის დედაქალაქებში აშშ-ის საელჩოებზე განხორციელებული აფეთქებების შემდეგ, „ალ-ქაიდა“ შერაცხულ იქნა „მსოფლიოს №1 ტერორისტულ ორგანიზაციად“, ხოლო მისი ლიდერი, საუდელი არაბი – უსამა ბინ ლადენი – „მსოფლიოს №1 ტერორისტად“. „ალ-ქაიდას“ მიერ იქნა ორგანიზებული 2001 წლის 11 სექტემბრის დიდი ტერაქტი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ცენტრზე ნიუ-იორკში. ამ ორგანიზაციის წევრები არიან პრაქტიკულად ყველა ისლამური სახელმწიფოს მოქალაქეები, ხოლო მისი უჯრედები აღმოჩენილია მსოფლიოს 34 ქვეყანაში.

⁵⁷⁵ 2003 წლის აგვისტოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო №1500 რეზოლუცია UNAMI-ის (UN Assistance Mission for Iraq) – „ერაყისათვის გაერთიანებული ერების დახმარების მისიის“ შექმნის შესახებ. 2004 წლის იანვრიდან ბალდადში გაეროს მისიის დაცვის ფუნქციას სამხედრო ქვედანაყოფი ანხორციელებდა ფიჯიდან. ხოლო 2005-2008 წლებში გაეროს ეგიდით ერაყის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობდნენ საქართველოსა და სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები.



ჯორჯ უოლკერ ბუში (1946-)



ტომი ფრენკსი (1945-)



ჯოზეფ ვილსონი (1949-)



ჯორჯ ტენეტი (1953-)



დონალდ რამსფელდი (1932-)



ჯესიკა ლინჩი (1983-)



სადამ ჰუსეინი და მისი ვაჟები უდაი და კუსაი



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი 2003 წლის 5 თებერვლის გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ახდენს ციმბირის წყლულის ბაცილების შემცველი ამპულების დემონსტრირებას



პრეზდენტი ჯორჯ ბუში თავისი ადმინისტრაციის წევრებთან და უფროს მრჩეველებთან ერთად ერაყში საომარი კამპანიის დაწყების წინ, 2003 წლის 19 მარტი



პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიმართვა ერს ოვალური კაბინეტიდან, ერაყში საომარი კამპანიის დაწყების შესახებ. 2003 წლის 19 მარტი



პრეზიდენტ ჯორჯ ბუში უმცროსის თათბირი უშიშროების საბჭოს წევრებთან. 2003 წლის 21 მარტი



Iraqi soldiers sit in front of sand bags in Baghdad March 20, 2003.

ერაყელი ოფიცრები ბაღდადში, 2003 წლის 20 მარტი



ავიგამანდგურებელი F-16



„სტელზ“ ტექნოლოგიის ბომბდამშენი B-2



მოიერიშე A-10



გამანდგურებელ-ბომბდამშენი „Tornado“



ბაღდადი, 2003 წლის 21 მარტი



აშშ-ის საზღვაო ქვეითთა
1-ლი დივიზია



აშშ-ის 101-ე
სადესანტო დივიზია



ბრიტანელთა მე-7 დივიზია
„უდაბნოს ვირთხები“



ამერიკული კონტიგენტი ერაყში



ბრიტანული საჯარისო კონტიგენტი კუვეიტის უდაბნოში, 2003 წლის 14 მარტი



დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ტონი ბლერი თავის ჯარისკაცებთან ერთად



ბრიტანული ჯარები ერთად



ბრიტანელთა ძირითადი საბრძოლო ტანკი „ჩელენჯერი“



ბრიტანელთა 1-ლი სატანკო დივიზია



სადამ ჰუსეინის რესპუბლიკური გვარდია




AFP / INA

სადამ ჰუსეინის შეხვედრა რესპუბლიკური გვარდიის ოფიცრებთან ბაღდადში. 2003 წლის 1 მარტი



2003 წლის ერაყის ომში ერაყის შეიარაღებული ძალების კუთვნილმა საბჭოური წარმოების T-72 ტანკებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ამ ომის შესახებ არსებულ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის ცნობები სატანკო ბრძოლებში, და საერთოდ, საბრძოლო მოქმედებებში მათი წარმატებული მონაწილეობის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამერიკულმა ტანკებმა „აბრამს M1A1HA, M1A2 და M1A2SEP“, აგრეთვე ბრიტანულმა „ჩელენჯერებმა“ ერაყულ T-72-ებს არავითარი შანსი არ დაუტოვეს



ერაყში შეჭრის ძირითადი მარშრუტები და ბრძოლის ადგილები



ბრიტანელი კომანდოსები შეტევაში, 2003 წლის 23 მარტი



Stephen Hicks, U.S. Army





ერაყის რესპუბლიკური გვარდიის მეგრძოლები ბაღდადის მისადგომებთან



აშშ-ის საზღვაო ქვეითთა 1-ლი დივიზიის 1-ლი სადაზვერვო ბატალიონის კოლონა ქვიშის ქარიშხალში



ერაყელ ტყვეთა კოლონა



აშშ-ის მე-3 ქვეითი დივიზიის მიერ აყვანილი ერაყელი ტყვეები დაკითხვის მოლოდინში, 2003 წლის 23 მარტი



ბაღდადის მახლობლად ქვიშაში გადამალული ერაყული მიგ-25



ნაზარიასთან აფეთქებული ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორი



ბრძოლაში მოკლული საზღვაო ქვეითის ევაკუაცია. 2003 წლის 15 აპრილი



ბაღდადის კარიბჭესთან – „კადისიის ხმლები“. სადამ ჰუსეინის ბრძანებით ბრინჯაოსა და უჟანგავი ფოლადისგან ირან-ერაყის ომში ერაცელთა „გამარჯვების“ აღსანიშნავად აგებული მემორიალი. ამ მონუმენტის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი შედგა 1989 წლის 8 აგვისტოს, სადამ ჰუსეინის მიერ ირანთან ომში ცეცხლის შეწყვეტის განცხადების გაკეთებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე. თვითოეული ხმლის სიგრძე 43 მეტრია, ხოლო მასა – 2 ტონა. მათ ჩამოსასხმელად გამოიყენეს ომში ალაფად მოპოვებული ირანული ჯავშანტექნიკის ფოლადი. მონუმენტის ხელის მტევენები კი, სადამ ჰუსეინის მტევენების ზუსტ ასლს წარმოადგენს. მემორიალს „კადისიის ხმლები“ ეწოდა 637 წლის კადისიის ეპოქალური ბრძოლის უკვდავსაყოფად, სადაც არაბთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ირანელთა ჯარი



საზღვაო ქვეითები ბაღდადის ერთ-ერთი ხიდის აღებისას, 2003 წლის 7 აპრილი




საზღვაო ქვეითები შედიან სადამ ჰუსეინის ერთ-ერთ სასახლეში, 2003 წლის 9 აპრილი



ბაღდადი, 2003 წლის 9 აპრილი



ბრიტანელები შედიან ბასრაში



„მისია დასრულებულია!” – 2003 წლის 1 მაისს, ავიაბზიდ „აბრაამ ლინკოლნის” ბორტზე პრეზიდენტი ჯორჯ უოლკერ ბუში ოფიციალურად აცხადებს ერაყთან ომის დასრულებას



ამერიკელი ჯარისკაცები შტურმით იღებენ იმ შენობას, სადაც თავი შეაფარეს სადამ ჰუსეინის ვაჟებმა უდაიმ და კუსაიმ. 2003 წლის 22 ივლისი



სადამ ჰუსეინის დაკავება, 2003 წლის 13 დეკემბერი .

ისტორიულ წყაროებში სამხედრო მოქმედებების შესახებ ასახული მცდარი წარმოდგენები

ცნობილი ფაქტია და ახალს არაფერს ვიტყვით თუ აღვნიშნავთ, რომ სამხედრო ისტორიის სფეროში არსებული მთელი რიგი შემთხვევები და მოვლენები წყაროებში არასრულად და უფრო მეტიც, დამახინჯებულად არის მოთხრობილი. ამ ჩანაწერების სიმცდარე მხოლოდ გვიანდელმა მეცნიერულმა კვლევებმა გამოაშკარავა. ასევე არსებობს ისეთი შემთხვევები, რომელთა შესახებაც მოსახლეობის ცნობიერებაში ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებით შეუსაბამო წარმოდგენებია დამკვიდრებული. ფაქტი ისაა, რომ სამხედრო ისტორიის სფეროში ფართოდ გავრცელებული შეცდომების გარკვეული ნაწილი დღესაც მყარად აგრძელებს არსებობას. რამდენიმე ასეთ მაგალითზე გვექნება სწორედ ახლა საუბარი.

პირველი – ძვ.წ. 480 წლის თერმოპილეს ბრძოლასა და ვიწრო გასასვლელში სპარტელი მეომრების დალუპვასთან დაკავშირებულ მოვლენებზე დღეისათვის არასწორი მოსაზრებებია გავრცელებული. ანტიკური პოეზიის გავლენით ხალხს დღესაც სჯერა, რომ სპარტელები, ამ ბრძოლის გმირი ბერძენი მეომრები მხოლოდ სამასნი არიან, „ემორჩილებიან იმას, რასაც კანონი ბრძანებს“, იხოცებიან სპარსელ ჯარისკაცებთან უთანასწორო ბრძოლაში და უმიზნოდ იღებენ მსხვერპლს ათენისთვის. ფაქტობრივად კი, ამ ბრძოლაში ბერძენთა მხრიდან გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის მეომარი მონაწილეობდა, ვიდრე ეს დღევანდელ ისტორიოგრაფიაში არის მიღებული. კერძოდ, შვიდასი თესპიელი და ოთხასი თებელი. გარდა ამისა, სპარტელთა თვითოეულ მეომარს თან ახლდა შვიდი მონა, ასე რომ მეომართა რაოდენობას ემატება კიდევ ორი ათას ასი სახელმწიფო მონა.

საერთო ჯამში, თერმოპილესთან ბრძოლაში ოთხი ათასი ადამიანი დაიღუპა და არა მხოლოდ სამასი სპარტელი. პოეზიისა და სასცენო ხელოვნების „აღმოჩენა“ მოლაღატე ეფიალტეს. მთაში მიმავალი ბილიკის არსებობა, რომლის საშუალებითაც, ჰეროდოტეს გადმოცემით, სპარსელებმა გვერდი აუარეს ვიწრო გასასვლელის მცველებს, ცნობილი იყო ასევე სპარსელების მხარეს მებრძოლი მალოსელებისა და თესალიელებისთვისაც. ასე რომ, „საიდუმლო“ ბილიკის აღმოჩენისა და მისი გამოყენების საქმეში ქსერქსეს სულ არ სჭირდებოდა გამცემის დახმარება. მისთვის ისედაც ყველაფერი ცნობილი იყო.

მეორე – ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ პტოლემეაიოსთა დინასტიის⁵⁷⁶ მიერ დაარსებული ცნობილი ბიბლიოთეკა ალექსანდრიაში, რომელიც დაახლოებით ოთხასი ათას ხელნაწერს მოიცავდა, ხანძრის შედეგად განადგურდა. არსებობს არაერთი ვარაუდი იმის შესახებ, რომ არაბებმა ჩაიდინეს ეს სამარცხვინო საქმე, როდესაც 642 წელს ამრუს⁵⁷⁷

⁵⁷⁶ ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი დიოდოროსის, პტოლემეაიოს I-ის მიერ დაარსებული ეგვიპტის მმართველთა დინასტია ელინისტურ ხანაში, ძვ.წ. IV-I საუკუნეებში.

⁵⁷⁷ ამრუ იბნ-ასი – აბუ აბდულაჰ ამრ იბნ ალ-ას ალ-ყურაში (არაბ. عمرو بن العاص) (664-573წ.წ.) – VII საუკუნის ცნობილი არაბი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. თავდაპირველად მუჰამედ წინასწარმეტყველის სწავლების დიდი მოწინააღმდეგე, შემდეგ კი მისი მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ერთგული და დაჯერებული მიმდევარი. ამრუ იბნ-ასი მექის ყურაიშიტების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ლიდერი იყო, რომელიც თავდაპირველად

მეთაურობით მათ ალექსანდრია დაიპყრეს. ეს ამბავი შუა საუკუნეების ორმა მწერალმა აღწერა. არასწორი ცნობების მიხედვით, დანაშაული არაბებს ბრალდებათ. თითქოს ხალიფა ომარს⁵⁷⁸ გამოუცხადებია, რომ წიგნები უსარგებლოა, თუკი მათი შინაარსი ყურანს არ ემთხვევაო. და თუ არ ემთხვევა, მაშინ საზიანოა და შესაბამისად, უნდა განადგურდესო.⁵⁷⁹ ამის საფუძველზე, ქალაქის ოთხი ათასი აბაზანის გასაცხელებლად ბიბლიოთეკა ვითომდაც ექვსი თვის განმავლობაში ამარაგებდა ქალაქში დანთებულ კოცონებს წიგნებით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

სინამდვილეში ალექსანდრიის უნიკალური ბიბლიოთეკა რომაელებმა, და კერძოდ, იულიუს კეისრის⁵⁸⁰ ჯარმა განადგურა, რომელმაც ქალაქის დაპყრობისთვის გამართული ბრძოლის დროს ხანძარი გაუჩინა ნავსადგურის ნაგებობებსა და ბიბლიოთეკას.⁵⁸¹

მესამე – საუკუნეების განმავლობაში გერმანიის ქალაქ ნაუმბურგში, 28 ივლისს მოედანზე ბავშვები იკრიბებიან, რათა შეძახილებით აღნიშნონ ალუბლის დღესასწაული და იყვირონ: „ვიქტორია, ჰუსიტების⁵⁸² ომი! ვიქტორია, ჰუსიტების ომი!“⁵⁸³

მუსლიმების წინააღმდეგ მოქმედებდა. მუსლიმთა მექადან მდინაში გადასახლების შემდეგ მონაწილეობდა მათ წინააღმდეგ წარმოებულ ბადრის, უხუდის და რვას ბრძოლებში. საბოლოოდ, ამრუ იბნ-ასმა ისლამი 629 წელს მიიღო.

578 ხალიფა ომარი (ომარ I), აბუ ჰაფეზ უმარ იბნ ალ-ჰატაბ ალ-ადავი (არაბ. *أبو حفص عمر بن الخطاب العدوي القرشي*) (-585 644წ.წ.) – მუჰამედ წინასწარმეტყველის შემდეგ არაბთა სახალიფოს მეორე ხალიფა 634-644 წლებში. არაბული სამყაროს გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მუჰამედის თანამოაზრე და თანამებრძოლი. თანატომელთაგან გამოირჩეოდა დიდი სიმაღლით, ლაბაში გარეგნობითა და ღია ფერის სახის კანით. ატარებდა გრძელ წვერ-ულვაშს, რომელსაც იწით იღებავდა. იყო მკაცრი, დაუნდობელი და საოცრად ენერგიული კაცი. პირადად მეთაურობდა არაბთა საბრძოლო რაზმებს, სადაც თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და ისლამისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. დამსახურებულად მოიპოვა ახალგაზრდა ისლამური სახელმწიფოსა და ისლამური სამყაროს ერთ-ერთი ლიდერის სტატუსი.

579 ამავე ლეგენდის თანახმად, ხალიფა ომარს დაუმატებია: „და თუ ამ წიგნებში იმაზეა საუბარი, რასაც ყურანი გვასწავლის, მაშინ ისინი მით უმეტეს უსარგებლო ყოფილა. ამიტომ, ორივე შემთხვევაში ეს წიგნები უნდა განადგურდესო“.

580 გაიუს იულიუს კეისარი (ლათ. *Gaius Iulius Caesar*) (ძვ.წ. 100-44წ.წ.) – წარმოშობით ძველი პატრიციუსების ოჯახიდან, ძველი რომის დიდი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი, მწერალი. ძვ.წ. 59, 48, 46-44 წლებში რომის კონსული, ხოლო ძვ.წ. 49 და 48-47 წლებში დიქტატორი, ძვ.წ. 63 წლიდან უმაღლესი პონტიფიკოსი. ძვ.წ. 60 წელს ჩამოაყალიბა რომის პირველი ტრიუმვირატი, სადაც მის გარდა შევიდნენ რომის გავლენიანი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები გნეუს პომპეუს მაგნუსი და მარკუს ლიცინიუს კრასუსი. დაწყებული ძვ.წ. 58 წლიდან, თავის ლეგიონებთან ერთად რვა წელიწადზე მეტი გაატარა გალურ ლაშქრობებში, თანამედროვე შვეიცარიის, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ტერიტორიებზე. გალურ ომებში რომის რესპუბლიკას შემოუერთა დიდი ტერიტორიები ატლანტის ოკეანიდან მდინარე რაინამდე. გაატარა მთელი რიგი რეფორმებისა რომის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იულიუს კეისრის სიცოცხლეშივე დაიწყო მისი გაღმერთება და უძლიერესი მხედართმთავრის საპატიო ტიტული „იმპერატორი“ მისი სახელის ნაწილი გახდა, თუმცა იგი უარს აცხადებდა ძველი რომის მეფეთა ხელისუფლების მდებარეზე. იულიუს კეისრის სახელთანაა დაკავშირებული წელიწადის მეშვიდე თვის „ივლისის“ და სამეფო ტიტულების, გერმანული „კაიზერისა“ (გერმ. *der Kaiser*) და რუსული „ცარის“ (რუს. *Царь, Царь, Царь*) დასახელებები. მოკლულ იქნა შეთქმულთა მიერ ძვ.წ. 44 წლის 15 მარტს.

581 ეს საკითხი ცალსახად გადაწყვეტილი და ბოლომდე ნათელი არ არის. ალექსანდრიის უნიკალური ბიბლიოთეკის განადგურებას სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა ეპოქებსა და პერსონებს უკავშირებენ. ასე მაგალითად, პლუტარქე ბიბლიოთეკის გადაწვაში იულიუს კეისარს ადანაშაულებს, ედუარდ გიბონი – ქრისტანებს, გრიგოლ ბარ-ებრეი – მუსლიმებს, თანამედროვე ბრიტანული ენციკლოპედიის ავტორები კი – ლუციუს დომიციუს ავრელიანუსს, ახ.წ. 270-275 წლებში რომის იმპერატორს.

582 ჰუსიტები (ჩეხ. *Fusité*) – XV საუკუნის დასაწყისში ჩეხეთში დაწყებული რეფორმატორული რელიგიური მოძრაობა, რომლის დასახელებაც დაკავშირებულია მისი ლიდერის, იან ჰუსის სახელთან. ამ მოძრაობამ 1419 წლიდან რეოლუციური ფორმები მიიღო.

583 გადმოცემის თანახმად, ქალაქ ნაუმბურგში ყოველი წლის 27 ივნისს ალუბლის დღეს აღინიშნავენ. ეს დღესასწაული, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობისაა და მხოლოდ ნაუმბურგში აღინიშნება, ქალაქის ალფაში მოქცევის ძველ გადმოცემას უკავშირდება: „1432 წელს ჰუსიტებმა, რომელთაც ანდრია პროკოფი ხელმძღვანელობდა, ალფაში მოაქციეს ქალაქი ნაუმბურგი.
– რატომ მისცა თქვენმა ეპისკოპოსმა ხმა თავად იან ჰუსს?! – ასეთი ბრალდებით მიმართეს ჰუსიტებმა ქალაქის მესვეურთ. ქალაქის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ქალაქის სიმაგრის კედლებს მიღმა თეთრებში ჩაცმული ბავშვები გამოიყვანა და შეწვალა თხოვა მომხდურთ. ანდრია პროკოფი შედრკა. იგი ალუბლებით გაუმასპინძლდა

1801 წელს გერმანელი პოეტი ავგუსტ ფონ კოცებუ⁵⁸⁴ მოგზაურობისას მონაწილეობას იღებს ზაფხულის ამ დღესასწაულში. ამის შემდეგ იგი წერს პიესას „ჰუსიტები, 1432 წელს ნაუმბურგთან“, რომელსაც მუსიკალურად ააჟღერებს კარლ მარია ფონ ვებერი.⁵⁸⁵ 1832 წელს იქმნება მსგავსი სახელწოდების ხალხური სიმღერა, რომელსაც არსებითად თავისი წვლილი შეაქვს შეცდომის კიდევ უფრო გავრცელებაში და რომლიდანაც „ვიგებთ“, რომ თურმე ჰუსიტებს დაუპყრიათ ქალაქი ნაუმბურგი. ეს შემთხვევაც ისტორიის მორიგი გაყალბებაა.

სინამდვილეში ჰუსიტები ნაუმბურგში არასოდეს ყოფილან, ქალაქი ალყაში არ მოუქცევიათ და არც ბავშვების თხოვნის გამო არ დაუხვეიათ უკან. მართალია, 1432 წელს ჰუსიტებმა გააჩნდნენ ყაჩაღური თავდასხმები, მაგრამ მხოლოდ ბრანდენბურგის ბაზარზე. ნაუმბურგის ალუბლის დღესასწაული კი სასტიკი მოწინააღმდეგისგან გადარჩენას უნდა უმაღლოდეს სულ სხვა შემთხვევას, სახელდობრ, შვედი გენერლის, ჰანს ქრისტოფ ფონ კონიგსმარკის მიერ ქალაქისათვის შემორტყმული ალყის წარმატებით მოგერიებას 1642 წელს.⁵⁸⁶

მეოთხე – პოეტებს მიეწერება ასევე ოცდაათწლიანი ომის შესახებ სხვა შეცდომების გავრცელებაც. ძალიან ბევრ ადამიანს დღემდე სჯერა, რომ გრაფმა ტილიმ⁵⁸⁷ 1631 წლის 20 მაისს, მაგდებურგის ალების დროს ქალაქი დაანგრია და გაძარცვა. ესეც მცდარი მოსაზრებაა. ამ დანაშაულში გარკვეული წილი ფრიდრიხ შილერს მიუძღვის, რომელიც ტილის ათქმევინებს, თითქოს ოფიცრები მას სთხოვენ ძარცვა-გლეჯვისა და ნგრევის შეჩერებას: „დადგება დრო, როცა მე გონს მოვეგები. ჯარისკაცს უნდა გააჩნდეს რაღაც მოტივი მოქმედებისა და უკან დახვეისათვის.“

ბავშვებს, ქალაქის ალყა მოხსნა და უკან გაბრუნდა, თან თავისი ჯარიც წაიყვანა. ამ დღის შემდეგ ნაუმბურგში ყოველი წლის 27 ივნისს ჰუსიტური ალუბლის დღე (Hussiten-Kirschenfest) აღინიშნება. უსხოვარი დროიდან ამ დღეს ქალაქში ეწყობა გრანდიოზული მსვლელობა, რომელსაც რაინდის აღჭურვილობაში ჩაცმული ბავშვები მიუძღვიან წინ. მათ ალუბლით სავსე კალათები მიაქვთ თან და ტროტუარზე მყოფ ხალხს ურიგებენ.

584 ავგუსტ ფონ კოცებუ (გერმ. August Friedrich Ferdinand von Kotzebue) (1761-1819წ.წ.) – დიდი გერმანელი დრამატურგი და რომანისტი, ბერლინის გაზეთების გამომცემელი და პუბლიცისტი. შემდეგ კენის სამეფო თეატრის დირექტორი, სადაც მრავალი დრამა დაწერა, რომლებიც თავისი სიუჟეტითა და სცენურობით დიდ მოწონებას იმსახურებდა უბრალო ხალხში. თავის დროზე ავგუსტ ფონ კოცებუ იმდენად წარმატებული იყო, რომ იგი პოპულარობით გოეთესა და შილერსაც კი სჯობნიდა.

585 კარლ მარია ფონ ვებერი (გერ. Carl Maria August von Weber) (1786-1826წ.წ.) – გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი და მუსიკალური მწერალი, გერმანული რომანტიული ოპერის დამაარსებელი. რიჰარდ ვაგნერის წინამორბედი.

586 აქ ე.წ. „ოცდაათწლიანი ომის“ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ პერიპეტებზეა საუბარი, რომელიც 1618-1648 წლებში მიმდინარეობდა ევროპაში. ოცდაათწლიანი ომი წარმოადგენდა ევროპასა და საღვთო რომის იმპერიაში ჰეგემონობისათვის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტს, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს შეეხო. ომი თავდაპირველად დაიწყო როგორც რელიგიური ომი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის, რომელიც მალე გადაიზარდა ჰაბსბურგთა ჰეგემონიის წინააღმდეგ მიმართულ ომად, და ამავე დროს, ზოგიერთი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ, დამოუკიდებლობის ომად. ეს კონფლიქტი წარმოადგენდა ევროპაში მიმდინარე უკანასკნელ ღირებულ რელიგიურ ომს, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა საერთაშორისო ურთიერთობების ვესტფალიის სისტემა. კათოლიკებისა და ჰაბსბურგების მხარეს იყვნენ: ავსტრია, კათოლიკური გერმანიის ძირითადი საგრაფოები, ესპანეთი, პორტუგალია, რომის პაპი, პოლონეთი. ანტიჰაბსბურგულ კოალიციას შეადგენდნენ: დანია, გერმანიის პროტესტანტული საგრაფოები, ჩეხეთი, ტრანსილვანია, ვენეცია, სავოია. მათ მხარს უჭერდნენ: ინგლისი, შოტლანდია და რუსეთი. ამ საერთო ევროპულ კონფლიქტში მხოლოდ ოსმალთა იმპერია არ ჩაერთო, რადგან ამ მომენტისათვის მას ახალი ძლიერი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა აზიაში სპარსეთის სეფიანთა დინასტიის სახით. საერთო ჯამში, ამ ომში მოხდა ტრადიციული კონსერვატორული ძალებისა და ახალი ნაციონალური სახელმწიფოების შეჯახება. ამ მომენტისათვის პროტესტანტული შედეგით რჩებოდა ერთადერთ მსხვილ სახელმწიფოდ, რომელსაც ძალთა ბალანსის შეცვლა შეეძლო ევროპაში. შვედეთის მეფე, გუსტავ II ადოლფუსი, ესწრაფვოდა შეეჩერებინა კათოლიკური ექსპანსია ჩრდილოეთისაკენ, ასევე დაემყარებინა საკუთარი კონტროლი ბალტიის ზღვასა და ჩრდილოეთ გერმანიაზე (პომერანიაზე).

587 გრაფი იოჰან ცერკლას ფონ ტილი (გერმ. Johann t'Serclaes Graf von Tilly) (1559-1632წ.წ.) – კათოლიკური ლიგის ერთ-ერთი ლიდერი და ხელმძღვანელი, იმპერიისტა არმიის ფელდმარშალი, ოცდაათწლიანი ომის სახელგანთქმული მხედართმთავარი.

სინამდვილეში ტილის არანაირი ინტერესი არ ამოძრავებდა საიმისოდ, რომ ქალაქი დაენგრია. ქალაქის მესვეურებმა შესთავაზეს მას ხელუხლებელი დაეტოვებინა ქალაქი და თავის საყრდენ პუნქტად გამოეყენებინა იგი შემდგომი სამხედრო ოპერაციებისთვის. გრაფი ტილიც ამ აზრისაა. იგი ბრძანებს მშვიერი ხალხისათვის პურის დარიგებას, როდესაც ცხენის ჭვინებით შემოუვლის გვამებით დაფარულ ქუჩებს. უფრო მეტიც, გრაფი ტილი საყვედურობს მოწინააღმდეგის დატყვევებულ ჯარისკაცებს იმისათვის, რომ მათ ცუდად დაიცვენ ქალაქი.

რეალობაში გრაფ ტილის არ უბრძანებია არც ქალაქ მაგდებურგის დანგრევა და არც მისი ძარცვა-გლეჯა. მას არც სხვისთვის მიუცია ამაზე ნებართვა.

მეხუთე – ფრიდრიხ დიდის⁵⁸⁸ არმიასა და მის თანამედროვეთა სამხედრო მოღვაწეობაზე მოსახლეობის ცნობიერებაში დღესაც არასწორი წარმოდგენაა გაბატონებული. პრუსიელი ჯარისკაცი ითვლება დისციპლინირებულ, მოვალეობის გრძნობით აღსავსე და უფროსებისადმი მორჩილი ხელქვეითის უმაღლეს გამოხატულებად, რომელიც თავისი მეთაურისა და მეფის ერთგულია და ბრძოლაში მთელი მონდომებითა და შთაგონებით ერთვება. მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. პრუსიის არმიაში დამყარებული გასაოცარი დისციპლინა ძირითადად ჯონითა და შპიცრუტენით⁵⁸⁹ დასჯის შიშით აიხსნებოდა. ლეზერტირობის შემთხვევებმა საოცრად იმატა, განსაკუთრებით, 1756-1763 წლების პერიოდში.⁵⁹⁰ ფრიდრიხ დიდის არმიაში ლეზერტირობის შედეგად სახელგანთქმულმა პოლკმა საერთო ჯამში 1525 ჯარისკაცი, ოცდათორმეტი მუსიკოსი, ოთხმოცდაცამეტი უმცროსი ოფიცერი და სამი ოფიცერი დაკარგა. გარდა ამისა, ასოცდაათმა ჯარისკაცმა მოიკლა თავი, ოცდაცხრა კი, სიკვდილით დასაჯეს. არც ისინი გამოირჩეოდნენ დიდი გამბედაობითა და სიმამაცით. მაგალითად, 1757 წელს პრადის ბრძოლაში ფრიდრიხ დიდის ძალიან ბევრი ოფიცერი და ასევე ერთი ადიუტანტი ბრძოლის დროს გორაკს უკან დაიძალა.

1760 წელს ტორგაუსთან გამართულ ბრძოლაში პრუსიელთა ჯარმა ბრძოლაში კი არ მიიღო მონაწილეობა, არამედ საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მახლობელ ტყეს შეაფარა თავი. აქ იმალებოდნენ ისინი რამდენიმე ავსტრიელ ჯარისკაცთან ერთად, რომლებმაც ასევე გაქცევით უშველეს თავს და მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ, როდესაც ბრძოლა დამთავრდა.

⁵⁸⁸ აქ პრუსიის მეფე ფრიდრიხ II პოპენცოლერნზეა საუბარი.

⁵⁸⁹ ტირიფის წერილი წყნელებისაგან დაწნული გრძელი და მოქნილი მათრახი, რომელიც გამოიყენებოდა ურჩების დასასჯელად XVII-XIX საუკუნეების ევროპაში.

⁵⁹⁰ აქ საუბარი ე.წ. „შვიდწლიან ომს“ ეხება, რომელიც XVIII საუკუნის მსოფლიოსა და ახალი ერის უდიდეს სამხედრო კონფლიქტს წარმოადგენდა. შვიდწლიანი ომი 1756-1763 წლებში მიმდინარეობდა როგორც ევროპაში, ასევე ჩრდილოეთ ამერიკასა და კარიბის აუზში, ინდოეთსა და ფილიპინებზე; ომში მონაწილეობას ღებულობდა ყველა დიდი ევროპული სახელმწიფო, აგრეთვე მცირე სახელმწიფოთა დიდი ნაწილი და ინდიელთა ზოგიერთი ტომიც კი. უინსტონ ჩერჩილმა ამ ომს „I მსოფლიო ომი“ უწოდა. ეს ომი პირველ რიგში ითვლება კოლონიალურ ომად, იმდენად რამდენადაც აქ ერთმანეთს შეეჯახა კოლონიური სახელმწიფოების – დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის და ესპანეთის ინტერესები. სამხედრო ხელოვნების კუთხით კი, შვიდწლიანი ომი წარმოადგენდა პირველ სასანგრე ომს, იმდენად, რამდენადაც მისი მსვლელობის დროს პირველად იქნა გამოყენებული დიდი რაოდენობით რეგულტები და სხვა საველე გამაგრებები; შვიდწლიანი ომი ამავე დროს ითვლება პირველ საარტილერიო ომად. ამ ომის მსვლელობისას 1756 წელს 1000 ხიშტზე მოდიოდა 2 ზარბაზანი, 1759 წელს – 3-4, ხოლო 1761 წლისათვის – უკვე 5-6. შვიდწლიან ომში ევროპის კონტინენტზე დაპირისპირების მთავარი წყარო პრუსიისა და ავსტრიის ბრძოლა იყო სილეზიისათვის. ავსტრიამ სილეზიის პირველ და მეორე ომებში დაკარგა სილეზია, ამიტომ, შვიდწლიან ომს ზშირად შესაძლებელი იქნებოდა უწოდებენ. პირველი (1740-1742წ.წ.) და მეორე (1744-1748წ.წ.) სილეზიური ომები ავსტრიული მეგვიდრობისათვის წარმოებული ომის შემადგენელი ნაწილები იყო. შვედურ ისტორიოგრაფიაში ეს ომი პომერანიის ომის სახელითაა ცნობილი, კანადაში – როგორც „დამპყრობლური ომი“, ხოლო ჩრდილოამერიკულ სამომარ მოქმედებათა თეატრზე ამ ომს ფრანკო-ინდიელთა ომს უწოდებდნენ.

მეექვსე – პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიაში ფართოდ გავრცელდა „ზურგში დანის ჩარტყმის“ თეზისი. ბევრ გერმანელს სჯეროდათ პროპაგანდისა, რის მიხედვითაც თითქოსდა დაუმარცხებელი გერმანიის არმიის წინააღმდეგობის ძალა დასუსტდა არა ფრონტებზე გარეშე მტრებთან ბრძოლის გამო, არამედ 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შედეგად. „ციურიხელების ახალი გაზეთის“ ლონდონელი კორესპონდენტი 1918 წლის 17 დეკემბერს წერდა: „რაც შეეხება გერმანიის არმიას, მის მდგომარეობის შესახებ არსებული საყოველთაო თვალსაზრისის ერთ სიტყვაში გაერთიანებაა შესაძლებელი: მას სამოქალაქო მოსახლეობამ „დანა ჩარტყა ზურგში.“ მემარცხენე სოციალისტების მიმართ წაყენებული ეს ბრალდება მოხერხებულ იარაღად იქცა მემარჯვენე პარტიათა იდეოლოგიებისათვის. მაგრამ ეს თეზისი სრულიად მცდარი აღმოჩნდა და იგი უარყო კიდევ საგამოძიებო კომისიამ 1925 წელს.

გერმანიის პირველ მსოფლიო ომში სამხედრო მარცხის მიზეზები გაცილებით რთული და მრავალწახნაგოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, და იგი დადგენილია. მიუხედავად ამისა, „ზურგში დანის ჩარტყმის“ თეზისი ცოცხალი რჩებოდა მეორე მსოფლიო ომამდელი გერმანული მოსახლეობის ცნობიერებაში.

მეშვიდე – ასევე არსებობას აგრძელებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელებული მოსაზრება, რომ 1940 წლის მაისის ბოლოს ჰიტლერმა შეგნებულად გაუშვა დიუნკერკთან გარემოცული ინგლისელთა ჯარის ბირთვი, რათა ჩერჩილი დათმობებზე წასულიყო და ზავი დაელო გერმანიასთან. წლების განმავლობაში რამდენიმე გენერალი და სამხედრო ისტორიკოსი ამას დაჟინებით ამტკიცებდნენ კიდევ. დღეისათვის ამ ომის შემდგომ ლეგენდას უკვე უარყოფენ. ვერმანტის გადაწყვეტილება ის იყო, რომ დიუნკერკის ალყაში მოქცეული ბრიტანული და ფრანგული შენაერთები უნდა განადგურებულიყვნენ. ამ საკითხთან დაკავშირებული გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებისადმი გაცემული ბრძანებები ნათლად და ცალსახად ადასტურებენ მათი განადგურების ჩანაფიქრს.

საქმე იმაშია, რომ გერინგის მფრინავებმა უბრალოდ ვერ მოახერხეს ამ ბრძანებების შესრულება, ესაა და ეს. ასე, რომ დიუნკერკს ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, გარდა ჰიტლერის მიერ გამოვლენილი რაინდული ჟესტისა.

მერვე – საერთოდ, მეორე მსოფლიო ომი და მაშინ განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები თუ პროცესები ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმისა და ცლომილების სათავე გახდა. ეს უპირველეს ყოვლისა, გერმანულ ხალხს და მის მოსახლეობის ცნობიერებაში გაჩენილ წარმოდგენებსა თუ ლეგენდებს შეეხება. ეს მოსაზრება, განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ თითქოს ჰიტლერის გერმანია Wunderwaffe–ს (საოცარი იარაღი) წარმოებისას ატომური ბომბის შექმნის აუცილებლობის წინაშე დადგა. ცნობილი ფაქტია, რომ გერმანელმა მეცნიერებმა ოტო ჰანმა და ფრიც შტრასმანმა 1938 წელს თეორიულად დაამტკიცეს ატომბირთვის გაყოფის შესაძლებლობა და ამით საფუძველი ჩაუყარეს გერმანიის ბირთვული კვლევების პროგრამის განვითარებას, რომელსაც 1941 წლამდე დახმარებას უწევდა ქვეითი ჯარის საარტილერიო-ტექნიკური მომარაგების განყოფილება. მაგრამ ჰიტლერმა ეს პროგრამა არ მიიღო, რადგან ძალიან ეჩქარებოდა. მას სწრაფი წარმატება სჭირდებოდა და ამიტომ უფრო რეალურ მიმართულებას, სარაკეტო შეიარაღების განვითარებას მიანიჭა უპირატესობა. ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, გერმანიაში ბირთვული საწვავის სამრეწველო წესით დამუშავება არ დაწყებულა, ატომური ბომბის შექმნა კი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. გერმანელი მეცნიერების

განკარგულებაში 1942 წელს საკმარისი რაოდენობის მძიმე წყალი⁵⁹¹ იყო, ასე რომ, შესაძლებელი იყო ბირთვული რეაქტორის შექმნა და მისი მოქმედებაში მოყვანა. მაგრამ მხოლოდ საწარმოო სიმძლავრეები და ფინანსური შესაძლებლობა არ იყო საკმარისი ატომური ბომბის შესაქმნლად. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამისათვის სამასი ათასამდე მეცნიერი, ინჟინერი და სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტი ჩართო ამ სამუშაოებში. პროექტის დასაფინანსებლად კი, დაახლოებით ორ მილიონი დოლარი გამოყო.⁵⁹² ასეთ გიგანტურ რესურსებს გერმანიის იმპერია არ ფლობდა. ასე რომ, იმდროინდელი გერმანიისათვის ფიქრიც კი ზედმეტი იყო ატომური ბომბის შექმნასა და გამოყენებაზე.

მეცხრე – ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ გერმანიის ელიტარული Waffen-SS-ის შენაერთები ყოველთვის დაკომპლექტებული იყო ფანატიკოსი და გამორჩეული ჯარისკაცებით, მამაცი და სასტიკი მებრძოლებით, რომლებიც კარგი მომზადებით, მსოფლმხედველობრივი რწმენით, მოწესრიგებული მართვის სტილითა და პირველი კლასის შეიარაღებით ყოველთვის და ყველგან გამოირჩეოდნენ ფრონტზე. ძირითადად ასეც იყო, და ამაზე არავინ არ დავობს, მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევების ჩამოთვლა, სადაც ესეულთა მიერ გამოვლენილი თვისებები სულაც არ შეესაბამებოდა ზემოთ აღწერილ მათ დაზასათებას. 1941 წლის 2 ივლისს, ფინეთის ფრონტზე, სს-ის „ჩრდილოეთის“ საბრძოლო ჯგუფში ხდება ინციდენტი, რომელიც სამხედრო ისტორიაში „სალას ფიასკოს“ სახელით შევიდა. ბრძოლაში ჩართულ სს-ის შენაერთს, ფინეთისა და გერმანიის საარმიო დივიზიებთან ერთად ფინეთის ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა დაეკავებინა რუსეთის საყრდენი პუნქტი ქალაქ სალასთან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ შენაერთში შემავალი სს-ის ხუთი ბატალიონის გამოცდილი ჯარისკაცები – თავდაჯერებული ნაცისტები, პოლიციური ფუნქციების შესასრულებლად იყვნენ მომზადებული და არა საომარი მოქმედებების საწარმოებლად. მათი გამოყენება აქამდე შემოიფარგლებოდა საკონცენტრაციო ბანაკის საყარაულო განყოფილების ბრძანებების შესრულებითა და დაუცველი სამოქალაქო პირების დასჯით. როდესაც მათ სცადეს სალას დაპყრობა, რუსებმა საპასუხოდ იერიშით უპასუხეს. სს-ის ჯარისკაცები ამჯერად შიშმა მოიცვა. როგორც ჰიმლერს⁵⁹³ მოახსენეს,

⁵⁹¹ მძიმე წყალი – ამ ტერმინს, როგორც წესი, ხმარობენ მძიმეწყალბადიანი წყლის აღსანიშნავად. ამ ნივთიერების მეორე დასახელებაა „დეითერიუმის ჟანგი“ ან „დეითერიუმის ოქსიდი“. მძიმეწყალბადიანი წყლის მოლეკულა და მისი ქიმიური ფორმულა იგივეა რაც ჩვეულებრივი წყლის ფორმულა – ჟანგბადის ერთი ატომი და წყალბადის ორი ატომი. მაგრამ ჩვეულებრივი წყალბადის ატომის ორი მსუბუქი იზოტოპის, პროთიუმისგან განსხვავებით, დეითერიუმის ოქსიდი შეიცავს წყალბადის ატომის ორ მძიმე იზოტოპს – დეითერიუმს. ამ მოლეკულის ჟანგბადის იზოტოპური შემადგენლობა კი ისეთივეა, როგორც ჰაერის შემადგენლობაში შემავალი ჟანგბადის ატომის იზოტოპური შემადგენლობა. ჩვეულებრივი წყლის ქიმიური ფორმულისგან განსხვავებით – H₂O, „მძიმე წყლის“ ფორმულა ასე იწერება – D₂O, ან ²H₂O. თუმცა, გარეგნულად და ფიზიკური თვისებებით მძიმე წყალი არ განსხვავდება ჩვეულებრივი წყლისგან. ისიც უსუნო, უფერო და უგემური სითხეა და არ არის რადიოაქტიური. ბირთვული ენერგეტიკის ადრეულ ხანაში მძიმე წყალი გამოიყენებოდა შემანელებელ ელემენტად ბირთვულ რეაქტორებში მართვადი ჯაჭვური რეაქციის საწარმოებლად.

⁵⁹² დღევანდელ კურსთან შედარებით იმდროინდელი აშშ დოლარის კურსი 50-ჯერ უფრო მაგარი იყო. ე.ი. ატომური ბომბის შექმნის, ე.წ. „მანჰეტენის პროექტის“ დასაფინანსებლად აშშ-ის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა დღევანდელი 100 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური იყო.

⁵⁹³ ჰაინრიხ ლუიტპოლდ ჰიმლერი (გერმ. Heinrich Luitpold Himmler) (1900-1945წ.წ.) – მესამე რაიხისა და ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და გავლენიანი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის წევრი 1923 წლიდან. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის მიერ 1923 წლის 9 ნოემბერს მიუნხენში მოწყობილი და არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილე, სადაც დაიჭრა კიდეც. სს-ის რაიხსფიურერი 1929 წლიდან და სს-ის ჯარების (Waffen-SS) სარდალი. სწორედ მან გადააქცია თავდაპირველი 290 მებრძოლისაგან შემდგარი სს-ის პირველი ბატალიონი მილიონიან უმძლავრეს სამხედრო ორგანიზაციად. 1933 წლისათვის ეკავა რაიხსლაიტერის, 1942-1943 წლებში იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის, ხოლო 1943-1945 წლებში – გერმანიის შინაგან საქმეთა რაიხსმინისტრის თანამდებობები. მესამე რაიხის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური ლიდერი, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დევნისა და ჰოლოკოსტის მთავარი ორგანიზატორი.

თვითმხილველების ცნობით, მათ იარაღი სასოწარკვეთილი შემახილებით დაყარეს: „რუსული ტანკები მოდიან!“ და გაიქცნენ გერმანული არტილერიის ხაზის გავლით. სს-ის რამდენიმე ჯარისკაცი კი ტყვედ ჩაბარდა, მიუხედავად ჰიმლერის განმეორებითი კატეგორიული ბრძანებისა, ებრძოლათ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

სს-ის საბრძოლო ჯგუფი სრულ განადგურებას მხოლოდ ფინელებისა და ვერმახტის დივიზიის ბრძოლაში მამაცური ჩარევის შედეგად გადაურჩა. ამ სამარცხვინო დამარცხების შემდეგ სს-ის ამ ბატალიონს დროებით შლიან.

მეათე – ბრძოლა ატლანტიკისათვის 1943 წლის აპრილი-მაისის თვეებში კულმინაციას აღწევს. „მგლის ხროვის“ ტაქტიკით მოქმედი გერმანული წყალქვეშა ნაგები დიდ ზარალს განიცდიან მოკავშირეთა გემების ქარავნებთან ბრძოლაში.⁵⁹⁴ სხვა წყალქვეშა ნაგებთან ერთად U-404-იც უტევს მოკავშირეთა ქარავანს ნიუფაუნდლენდის აღმოსავლეთით, რომელსაც ბადრაგი იცავს, მათ შორის, რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი, ასევე საბადრაგო ავიამზიდი „ბითერი“. 1943 წლის 25 აპრილს, დილით, U-404-ის კაპიტანი, მესამე რანგის კაპიტანი ოტო ფონ ბიულოვი რადიოგრამით აცნობებს გერმანიის წყალქვეშა ფლოტის სარდალს, გროსადმირალ⁵⁹⁵ კარლ დენიცი,⁵⁹⁶ AK 4737 კვადრატში ამერიკულ ავიამზიდ „რეინჯერზე“ თავდასხმის შესახებ. გერმანული წყალქვეშა ნავიდან მისი მიმართულებით ხუთ ტორპედოს უშვებენ. 12 საათსა და 37 წუთზე დენიცი პასუხობს: „კარგი, კარგი. მოგვახსენეთ, არის თუ არა ავიამზიდი თქვენი შეფასებით ჩაძირული.“ ბიულოვი პასუხობს რადიოგრამით: „სავარაუდოდ, ავიამზიდი ჩაძირულია, რადგანაც საუკეთესო ხილვადობის მიუხედავად, არ შეგვინიშნავს რაიმე სახის თავდაცვითი მოქმედებები მოხვედრების შემდეგ. ეჭვი არ არის, რომ ავიამზიდი მძიმე დაზიანებები განიცადა. მისი ძებნა უშედეგოდ დამთავრდა“. იგივეს ვკითხულობთ საბორტო ჟურნალშიც. ცოტა ხანში კაპიტანი ბიულოვი მილოცვას იღებს უმაღლესი ინსტანციისგან: „ჩვენი ხალხის მომავლისთვის ბრძოლაში გმირული წვლილის შეტანისთვის მადლობის ნიშნად როგორც გერმანიის ვერმახტის 234-ე წევრს, განიჭებთ მუხის ფოთოლს, რაინდის რკინის ჯვრის შემადგენელ ნაწილს. ადოლფ ჰიტლერი.“

ამ წარმატებას მეორე დღეს დენიცსაც ულოცავენ. მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ „რეინჯერის“ ან სხვა ავიამზიდის ჩაძირვის შესახებ გადმოცემული ცნობა არასწორია.

⁵⁹⁴ ომის პირველივე წელს ადმირალმა კარლ დენიცმა, გერმანიის წყალქვეშა ფლოტის სარდალმა, განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ გაჩაღებული წყალქვეშა ომი ამ ქვეყანას მალე დააჩოქებდა, რადგან ეს კუნძულოვანი სახელმწიფო მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საზღვაო გადაზიდვებზე. კარლ დენიცმა წყალქვეშა ნაგების ბრძოლის ახალი, ე.წ. „მგლის ხროვის“ ტაქტიკა შეიმუშავა. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანულ წყალქვეშა ნაგებს მასიურად უნდა მიეტანათ სატორპედო და სხვა სახის იერიში მოკავშირეთა სავაჭრო და სამხედრო ხომალდების ქარავანზე, შემდეგ კი განცალკევებულ და ჩამორჩენილ ხომალდებს უნდა დასხმოდნენ ჯგუფურად თავს. ამავე დროს მან გამოთვალა, რომ ასეთი ბრძოლების საწარმოებლად და მოსაგებად გერმანიის ფლოტს ესაჭიროებოდა ახალი ტიპის (Type VII) 300 წყალქვეშა ნავი. ბრძოლის ეს ტაქტიკა კარდინალურად განსხვავდებოდა აქამდე არსებული ტაქტიკისაგან, რაც გულისხმობდა ცალკეული წყალქვეშა ნაგების მოწინააღმდეგის პორტებთან ახლოს ჩასაფრებაში ყოფნას და თავდასხმების განხორციელებას პორტში შემავალ ან გამავალ გემებზე. ამ ტაქტიკის პიონერები ბრიტანელები იყვნენ, რომლებიც წარმატებით იყენებდნენ მას I მსოფლიო ომის დროს ბალტიის ზღვასა და ბოსფორში.

⁵⁹⁵ გროსადმირალი (გერმ. Grossadmiral) – უმაღლესი სამხედრო-საზღვაო წოდება ავსტრო-უნგრეთში (1867-1918წ.წ.), გერმანიის იმპერიაში, II რაიხში (1871-1918წ.წ.) და III რაიხში (1933-1945წ.წ.). შეესაბამებოდა სახმელეთო ჯარების გენერალ-ფელდმარშლის წოდებას.

⁵⁹⁶ კარლ დენიცი (გერმ. Karl Dönitz) (1891-1980წ.წ.) – გერმანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. I და II მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე, ზღვაოსანი. გერმანიის III რაიხის წყალქვეშა ფლოტის სარდალი 1939-1943 წლებში, გროსადმირალი 1943 წლიდან, ნაცისტთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი 1943-1945 წლებში, ჰიტლერის პოლიტიკური მემკვიდრე, III რაიხის მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაური – რაიხსკანცლერი და რაიხსპრეზიდენტი. ნაცისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი უმაღლესი მთავარსარდალი ჰიტლერის თვითკვლელობის შემდეგ – 1945 წლის 30 აპრილიდან იმავე წლის 23 მაისამდე. უკანასკნელი რაიხსპრეზიდენტი და უკანასკნელი ადამიანი, რომელიც ატარებდა გროსადმირალის – ფლოტის მთავარსარდლის უმაღლეს სამხედრო წოდებას.

როგორც ჩანს, ბიულოვი თავს დაესხა საბადრაგო ავიამზიდ „ბითერს“. წყალქვეშა ნავიდან გაშვებული ტორპედოები მოწინააღმდეგის გემს მოხვდა, მაგრამ ისინი არ აფეთქებულა, რადგან ავიამზიდს არც კი შეუნიშნავს ეს თავდასხმა. ჩაძირვის შესახებ არაფერია ნახსენები ბრიტანულ და ამერიკულ დოკუმენტებშიც. დენიცი ეთანხმება ამ ინფორმაციას და გაბრაზებულია მისი სწრაფად გავრცელების გამო. არასწორ შეტყობინებას მოწინააღმდეგის გემებისა ჩაძირვისა და თვითმფრინავების ჩამოგდების შესახებ, როგორც სამხედრო-საზღვაო ძალებში, ისე სამხედრო-საჰაერო ძალებში ხშირად ვხვდებით, თუმცა ამგვარი სენსაციური ჩანაწერის არსებობა საბრძოლო მოქმედებების ჟურნალში გამონაკლისს წარმოადგენს. კაპიტან ბიულოვს შეუძლია შეინარჩუნოს რაინდის „მუხის ფოთოლი“, მაგრამ უნდა დათმოს U-404-ის კაპიტნობა.

მეთერთმეტე – 1943 წლის აპრილში გერმანიის კავშირგაბმულობის სამსახურები ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ შემდეგ მნიშვნელოვან ინფორმაციას ავრცელებს: „გერმანიის კავშირგაბმულობის ჯარისკაცებმა ვიტებსკისკენ მიმავალ გზაზე, სოფელ კატინთან აღმოაჩინეს რვა საერთო სასაფლაო პოლონეთის არმიისა და ვერმახტის ათასობით მოკლული ოფიცრით“. გებელსი შესანიშნავად იყენებს ამ აღმოჩენას ანტიბოლშევიკური პროპაგანდისტისთვის. გერმანელები ამტკიცებენ, რომ 1939 წელს საბჭოელთა ჯარების აღმოსავლეთ პოლონეთში შესვლისას პოლონელი ოფიცრები ტყვედ აიყვანეს და საბჭოთა სადაზვერვო და შინაგან საქმეთა სამსახურებმა ისინი პისტოლეტიდან კეფაში სროლით დახოცეს. მაგრამ მათ არავინ უჯერებს, დასავლეთელი მოკავშირეებიც კი, რადგან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ამ არაადამიანურ ქმედებებში გერმანელ ნაცისტებს ადანაშაულებს. ისინი დაჟინებით გაიძახიან რომ სწორედ გერმანელები არიან პასუხისმგებლები ამ მასობრივ ხოცვა-ჟლეტაზე. სხვა დროს, გერმანელთა მიერ გავრცელებული მსგავსი სახის ინფორმაციები გებელსის ჩვეულებრივი პროპაგანდისტული ხრიკი იყო და მას არავინ დაიჯერებდა. აქ კი, შეცდომაში შეყვანილი მსოფლიო საზოგადოების თვალში ნაცისტები არიან დამნაშავეები ომის დამთავრებიდან ათწლეულების შემდეგაც კი. მაგრამ რეალობა კარდინალურად განსხვავებულია და სინამდვილე სულ სხვაგვარად გამოიყურება.

საზარელი აღმოჩენიდან რამდენიმე თვეში გერმანიის ინიციატივით იკრიბება ექიმების საექსპერტო კომისია, რომლებიც კვეთენ რამდენიმე გვამს და ადგენენ, რომ 4143 ამოთხრილი პოლონელი ოფიცერი და ჯარისკაცი უკვე მინიმუმ სამი წელია, რაც გარდაცვლილია. გერმანელებმა კი, სმოლენსკი 1941 წლის ივლისში დაიპყრეს. მიუხედავად ამისა, 1946 წლის თებერვალში ნიურნბერგში გამართულ პროცესზე საბჭოთა სამხედრო პროკურატურა ხელახლა დაჟინებით ცდილობდა, კატინის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გერმანელებისათვის გადაებრალებინა. მიუხედავად იმისა, რომ მან ეს ნიურნბერგში გამართულ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მუშაობის დროს ვერ მოახერხა, 60-70-იან წლებშიც საბჭოთა პრესა აგრძელებდა იმის მტკიცებას, რომ ეს საშინელი აქტი „ჰიტლერის ჯალათების“ მიერ იყო ჩადენილი.

ასეთი მდგომარეობა 1990 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე საბჭოთა მთავრობამ, გორბაჩოვის⁵⁹⁷ ხელმძღვანელობით, საკმარისზე მეტი მტკიცებულებების არსებობის გათვალისწინებით, არ აღიარა საბჭოელების ბრალი ამ დანაშაულის ჩადენაში.

⁵⁹⁷ მიხაილ სერგეევჩი გორბაჩოვი (რუს. Михайл Сергеевич Горбачёв) (1931-) – საბჭოთა და რუსი სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. საბჭოთა სახელმწიფოს მერვე და უკანასკნელი მეთაური. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გენერალური მდივანი 1985-1991 წლებში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელი თავმჯდომარე 1988-1990 წლებში, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი 1990-1991 წლებში. სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებისა და საპატიო წოდებების კავალერი. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკებში – საქართველო, აზერბაიჯანი, ლიეტუვა, ლატვია, მოლდავთი, უზბეკეთი, განხორციელებული სისხლიანი საბჭოური

საქმე კი ძალიან მარტივად იყო – II მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1939 წლის სექტემბერში, საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ, სტალინმა ბრძანა კომუნიზმისადმი მტრულად განწყობილი კლასის, პოლონელ სამხედრო ოფიცერთა კორპუსისა და ინტელიგენციის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია.

საბოლოოდ, ამ ამბებიდან მხოლოდ 53 წლის შემდეგ, 1992 წლის 14 ოქტომბერს, რუსები პოლონეთის მთავრობას გადასცემენ დოკუმენტებს, რომელშიც წარმოდგენილია ნამდვილ დამნაშავეთა გვარები. რეალობა შემზარავი იყო – ამ საშინელ დანაშაულში სტალინის გარდა, საბჭოთა კავშირის მთელი სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელობა იყო ჩარეული.

მეთორმეტე – მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იქმნება სათავგადასავლო ლეგენდები იმის თაობაზე, არის თუ არა ადოლფ ჰიტლერი ნამდვილად მკვდარი, თუ იგი კვლავ ცოცხალია? რადგან მისი გვამი არასოდეს უნახავთ, ჰიტლერის ცოცხლად გადარჩენის ამბავიც ძალიან გახმაურდა, თუმცა ამ ხმებს მოკავშირეთა ამერიკული და ბრიტანული სარდლობები არ იზიარებდნენ.

1945 წლის 6 ივნისს, დასავლეთელი მოკავშირეების საპირისპიროდ, სტალინი აცხადებს, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია ჰიტლერის ცოცხლად დარჩენის ამბავი. 1945 წლის ივლისში, პოტსდამის კონფერენციაზე იგი ამტკიცებს, რომ სავარაუდოდ, ჰიტლერი ესპანეთში იმყოფება, მას შემდეგ, რაც მან მოახერხა ბერლინის ტირგარტენიდან⁵⁹⁸, ჩაკეტილი ქალაქიდან თვითმფრინავით გაქცევა. მაგრამ სტალინმა, დიდი ხანია იცის, რომ ჰიტლერის ბერლინიდან თავის დაღწევის ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება. საბჭოთა მხარემ ბერლინის აღების შემდეგ გამოიკვლია იმპერიის კანცელარიის ბაღში აღმოჩენილი დამწვარ-დანახშირებული გვამის ნაშთები და კარგად გადარჩენილი კბილების სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ საქმე ნამდვილად „ფიურერს“ ეხებოდა. მან თავი 1945 წლის 30 აპრილს, თავის ბუნკერში, მარჯვენა საფეთქელში პისტოლეტის გასროლით მოიკლა. მაგრამ სტალინის ინტერესებში ჰიტლერის ცოცხლად გადარჩენის თეორიის მხარდაჭერა შედის. სამხედრო კავშირი არ უნდა დაიშალოს და ამიტომ საჭიროა ზეწოლის გაძლიერება სახელმწიფოებზე, რომლებიც ძალიან ახლოს არიან იმასთან, რომ დასავლეთელ მოკავშირეებს შეუერთდნენ.

ესენი უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანი სამხედროები და პოლიტიკოსები არიან, რომლებიც უჯერებენ ხმებს ჰიტლერის ცოცხლად გადარჩენის შესახებ და მოუწოდებენ მისი დევნისაკენ. ჰყვებიან, რომ თითქოსდა ჰიტლერი წყალქვეშა ნავით გაიქცა. ზოგიერთის მტკიცებით, ბუნკერში მისი ორეული დაიღუპა, ნამდვილი ჰიტლერი კი სადღაც არგენტინაში, კოლუმბიაში, პალესტინაში ან იაპონიაში იმყოფება.

სხვა ვერსიებით, იგი თითქოსდა V-2 რაკეტით⁵⁹⁹ ააფეთქეს, იმალებოდა კიფჰოიზერში⁶⁰⁰ ან ქირურგებმა პლასტიკური ოპერაციის საშუალებით შეუცვალეს

რეპრესიების მთავარი შემოქმედი და ერთ-ერთი ავტორი. ამავე დროს, 1990 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში.

⁵⁹⁸ ტირგარტენი (გერმ. Tiergarten) – სიტყვასიტყვით „ზოოლოგიური პარკი“ – ბერლინის მიტეს ადმინისტრაციულ ოლქში შემავალი ქალაქის რაიონი და ბერლინის 210-ე ფართობის მქონე უდიდესი პარკი.

⁵⁹⁹ ფაუ-2 (გერმ. V-2 — Vergeltungswaffe-2, „შურისძიების იარაღი“, მეორე დასახელებაა A-4, Aggregat-4) – გერმანული ინჟინრის, გამომგონებლისა და კონსტრუქტორის, ვერნერ ფონ ბრაუნის მიერ შექმნილი მსოფლიოში პირველი შორი მოქმედების ბალისტიკური რაკეტა. ეს იყო თხევადსაწვავიანი ერთსაფეხურიანი ვერტიკალური გაშვების ბალისტიკური რაკეტა. ფრენის მაქსიმალური სიჩქარე – 1,7კმ/წმ (6120კმ/სთ), ფრენის სიშორე – 320კმ, ტრაექტორიის სიმაღლე – 100კმ, საბრძოლო მუხტი – 800კგ ამოტოლი (ამიაკის ნიტრატისა და ტროტილის ნარევი). რაკეტის ღირებულება შეადგენდა 119600 რაიხსმარკას. პირველი საცდელი გაშვება განხორციელდა 1942 წლის მარტში, ხოლო პირველი საბრძოლო გაშვება – 1944 წლის 8 სექტემბერს. ვერმანხტის მიერ შეიარაღებაში მიღებულ იქნა II მსოფლიო ომის დასასრულს. ძირითადად გამოიყენებოდა ლონდონისა და სხვა ბრიტანული

გარეგნობა ბერლინის ერთ-ერთ სარდაფში. სხვა გადმოცემებით, იგი სადღაც შვეიცარიის მთებში ცხოვრობს როგორც უბრალო მწყემსი, ან როგორც ბერი – იტალიაში. ზოგიერთი იმასაც უშვებდა, რომ ჰიტლერს საბჭოთა კავშირი მალავდა, იგი მოსკოვში იმყოფებოდა და საბჭოელების მრჩეველი იყო. სხვებს სჯეროდათ, რომ ჰიტლერი ერთ-ერთ არაბულ სახელმწიფოს აფარებდა თავს და არაბულ საზოგადოებას უჭერდა მხარს ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთ-ერთი მოსაზრება კი ისე ჟღერდა, რომ ნამდვილი ჰიტლერი ჯერ კიდევ 1944 წლის 20 ივლისს დაილუპა მორიგი საჭაერო თავდასხმის შედეგად და ამის შემდეგ ბუნკერში მისი ადგილი ნიჭიერმა მსახიობმა დაიკავა. სხვა ლეგენდა კიდევ უფრო დაუჯერებელი იყო – თითქოსდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, ჯერ კიდევ 1919 წელს, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურებმა მიუნხენში თავისი სპეციალური აგენტი შეაგზავნა გერმანიის ტოტალური განადგურების მიზნით. თითქოს პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცი ჰიტლერი ტყვედ აიყვანეს, ინგლისში გაიტაცეს, ხოლო მის ადგილას, გერმანიაში, სპეციალური აგენტი, მისი იდენტური პიროვნება შეგზავნეს. 1945 წელს კი, ნამდვილი ჰიტლერი თითქოსდა ისევ ბერლინში დააბრუნეს და ფიურერის ბუნკერთან ახლოს მოკლეს. როგორც ვხედავთ, უამრავი, ერთმანეთზე უფრო დაუჯერებელი ვერსიების მთელი კასკადია.

და კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე წარმოუდგენელი და ფანტასტიკას მიკუთვნებული ცნობა: 1987 წელს, ერთ-ერთი ჩილეელი დიპლომატი თავის წიგნში წერდა, რომ ჰიტლერი თავისი ეპოქის დადგომას ანტარქტიკის ქვეშ ელოდება, რათა ხელსაყრელი ვითარების დადგომისთანავე უკან დაბრუნდეს.

ასეთი არის სამხედრო მოვლენების შესახებ ისტორიულ წყაროებში ასახული მცდარი წარმოდგენების მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი.

ქალაქების დასაბოძად. ეს იყო ტერორისტული დაბომბვები, რომლის მიზანსაც შეადგენდა მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინება და მათში წინააღმდეგობის გაწევის სურვილის გაქრობა. სულ გაშვებულ იქნა 3225 ცალი ფაუ-2 ტიპის რაკეტა. ამ ტერორისტული დაბომბვებისაგან დაილუპა 2700 ბრიტანელი მოქალაქე.

⁶⁰⁰ კიფჰაიზერი (გერმ. Kyffhäuser) – ტიურინგიაში მდებარე ტყით დაფარული მთიანი მასივი, შუა გერმანიის მთათა სისტემის ნაწილი.

ომი უცდომების დაშვების პირითაღი მიზეზები

ომი არ არის მხოლოდ ძალისმიერი ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე საკუთარი ჩანაფიქრის იძულების წესით შესასრულებლად. ის არის იმავდროულად განუსაზღვრელისა და მოულოდნელის, ასევე ორმხრივი უთანხმოებისა და ხშირად – ქაოსის სფერო. ეს ფაქტორები შესანიშნავად განმარტა კლაუზევიცმა თავის ცნობილ წიგნში „ომის შესახებ“. შეიძლება ითქვას, რომ ომის განუსაზღვრელობა და მოულოდნელობა, ომის ბურუსი და მისი არასაიმედოობა ყველა სახის ცდომილების წყაროს წარმოადგენს. ანტიკური ხანიდან დაწყებული დღემდე, ხშირად ასე წყდებოდა ომისა და ლაშქრობების შედეგები და ასე იქნება მომავალშიც, ვიდრე ომის დასრულება არა მანქანებზე, არამედ ადამიანებზე, მათი მისწრაფებებისა და სურვილების ძალაზე იქნება დამოკიდებული.

ომებში დაშვებული შეცდომები, როგორც წესი, ყოველთვის მსგავსია. საკვირველი ის არის, რომ სამხედრო მეთაურებმა არაფერი ისწავლეს თავიანთი წინამორბედების შეცდომებიდან. თუმცა მეტისმეტად ძნელია სასიკვდილო საფრთხის ცენტრში ყოფნისას მდგომარეობის სწორად შეფასება და მოწინააღმდეგის რეაქციის წინასწარ სწორად განჭვრეტა. ამდენად, ომი ჭადრაკის იმ რთულ პარტიას ემსგავსება, რომელშიც ის იმარჯვებს, ვინც სწორად მოქმედებს, ხოლო მეორე მხარე შეცდომას უშვებს. ომი არ არის დროის მოსაკლავი გართობა, მხოლოდ წადილი გამბედაობისა და მოხერხებულობის გამოჩენისა. კლაუზევიცის ფორმულირებით, ეს არის სერიოზული საშუალება სერიოზული მიზნების მისაღწევად.

არც თანამედროვე ომები იმართება მენეჯმენტის მეთოდით. თუ რა შეცდომებისა და არასწორი შეფასებების დაშვებაა შესაძლებელი, ეს საკმაოდ ნათლად გამოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერაყის ორივე ომში. პირველი ომი ამერიკელებმა შეწყვიტეს ძალიან ადრე და არასწორი მოსაზრებების საფუძველზე, მეორე ომი კი, ამერიკელებმა მოიგეს დიდი უპირატესობით 2003 წლის გაზაფხულზე, რამდენიმე კვირაში, ბრწყინვალე შედეგებით და დაამტკიცეს ბევრი სკეპტიკოსისა და ომის მოწინააღმდეგის მოსაზრებების სიმცდარე, რომლებიც ვარაუდობდნენ მასიურ და ხანგრძლივ სისხლისღვრას. მაგრამ ეფუძნება კი ამ სამხედრო შეჯახების მიზეზი ერაყის დიქტატორ სადამ ჰუსეინისთვის ძალაუფლების ჩამორთმევის ცნობილი მიზეზი შეცდომას?

ფაქტი ისაა, რომ ერაყის წინააღმდეგ დაწყებული საომარი მოქმედებების მთავარი მიზეზი ბიოლოგიური საბრძოლო ნივთიერებები და თავზარდამცემი ატომური, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი, რომლებიც ვითომდაც მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო სადამ ჰუსეინის განკარგულებაში, დღემდე არ აღმოუჩენიათ. საეჭვო ნივთიერებები მცენარეების შესაწამლი შხამქიმიკატები გამოდგა. შავარაუდოდ, მასობრივი განადგურების იარაღის მწარმოებლებად მიჩნეული მობილური ლაბორატორიები კი – ნახევრადმისაბმელების ჩვეულებრივი საწევრები.

ომში შეცდომების დაშვებისა და ბრძოლის მიმდინარეობისას არასწორი გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვანი მიზეზები საშუალებას იძლევა, რომ ისინი გავაერთიანოთ და სისტემაში რვა პუნქტად მოვიყვანოთ. შემდგომში მათ ხელახლა გავაჟღერებთ და მოკლედ მიმოვიხილავთ კონკრეტული მაგალითებით. სამაგალითო შემთხვევების უმეტესობა სათითაოდაა წარმოდგენილი აქ აღწერილ შემთხვევებში. ამას ემატება რამდენიმე ახალი მაგალითი.

1. მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა

სამხედრო ხრიკი არის უძველესი საბრძოლო საშუალება – ფარული ჩანაფიქრი, ცბიერი განზრახვა, რომელიც უბიძგებს შეცდომის დაშვებისკენ დაპირისპირებულ მხარეს, ვის წინააღმდეგაც ხდება მისი გამოყენება. მოხერხებული და ცბიერი პიროვნება აიძულებს იმას, ვისი მოტყუებაც სურს, რომ მცდარი გადაწყვეტილება მიიღოს. კლაუზევიცი ხრიკს უწოდებს „ინბაზურ მოქმედებას“, რომელიც მოითხოვს დროისა და ძალების მნიშვნელოვან დანახარჯს. იგი ასევე იმის გაფრთხილებას იძლევა, რომ მნიშვნელოვანი ძალები ხანგრძლივი დროით მხოლოდ მოჩვენებით გამოიყენონ, რადგან ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ ეს ხერხი შეიძლება ამაო გამოდგეს და ეს ძალები არ აღმოჩნდნენ საჭირო ადგილზე საჭირო დროს. რაც უფრო სუსტია სტრატეგიული მართვის განკარგულებაში მყოფი ძალები, მით უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ გამარჯვების მისაღწევად სამხედრო ეშმაკობის გამოყენებაზე. როდესაც სუსტებისა და პატარებისთვის სამხედრო ხრიკის გამოყენება უკანასკნელ საშუალებად იქცევა, მაშინ გამოსავალი არამც და არამც არ უნდა ვეძიოთ გამბედავ, მაგრამ უშედეგო დარტყმაში, რათა სამხედრო ეშმაკობამ ადგილი არ დაუთმოს სიმამაცეს და საშინელი შედეგები არ მივიღოთ.

ამის თვალსაჩინო მაგალითებს სამხედრო ისტორია გვაძლევს. ესაა დაახლოებით სამი ათასი წლის წინ მომხდარი ამბავი. სწორედ ეს ამბავია საფუძველი ყველა ეპოქის ადამიანის, და უპირველეს ყოვლისა, პოეტების დაინტერესების საგანი. იგივე ამბავი დაელო საფუძვლად ანტიკურ კულტურას, რომლითაც კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში იყო მოხიბლული. ამავე მასშტაბით ეხება ეს არქეოლოგების მცდელობას – დაადგინონ, ეფუძნება თუ არა ანტიკური პოეზია ნამდვილ ისტორიულ მოვლენებს. ეს არის შთამაგონებელ მოვლენად ქცეული „ტროას ცხენის“, ანუ ოდისევსის სამხედრო ეშმაკობების ამბავი, რომელიც უკვე საუკუნეებია ცოცხლობს.

ტროას ომი უკვე ათი წელია რაც გრძელდება. ტროა ჯერ კიდევ უძღებს ალყას. ბერძნები ვერ ახერხებენ ქალაქის გალავნის გარღვევასა და ქალაქის დაპყრობას. ერთი შეხედვით, ომი წავებულა. მაშინ მოხერხებული ოდისევსი ეშმაკურ გეგმას ადგენს. იგი ბრძანებს დაახლოებით ქალაქის ჭიშკრის სიმაღლის ხის ცხენის აგებას და მის ქალაქის გალავანთან მიყვანას. ცხენის მუცელში მამაცი ბერძენი მეომრები იმალებიან, ოდისევსიც მათთანაა. ბერძნების გემები უშვებენ აფრებს და უახლოესი კუნძულის უკან იმალებიან. მხოლოდ ბერძენი სინონი რჩება ადგილზე. მან უნდა დაარწმუნოს ტროელები იმაში, რომ ცხენი შეიყვანონ ქალაქში, როგორც ათენას საჩუქარი. მეფე პრიამოსი იჯერებს ამ თვალთმაქცობას და ბრძანებს, გაარღვიონ ქალაქის გალავანი და ცხენი შიგნით შეიყვანონ. ის არ უსმენს თავისი ქალიშვილის, კასანდრასა და უმაღლესი ქურუმის, ლაოკონის გაფრთხილებას, რომელიც თავის მეფეს ეუბნება, რომ მას ეშინია ბერძნების მაშინაც კი, როდესაც ისინი საჩუქარს ჩუქნიან. ტროელებს ცხენი მიჰყავთ ტაძრამდე და ზეიმობენ მშვიდობის დამყარებას. მაგრამ ღამით ცხენიდან გადმოდიან ბერძენი მეომრები და ხოცავენ უკან დაბრუნებულ ჯართან ერთად მძინარე ტროელებს. მომღვენო დღეს ტროადან მხოლოდ დამწვარი ნანგრევების გროვალა რჩება. ტროელების დამღუპველმა შეცდომამ ისინი სრულ განადგურებამდე მიიყვანა.

სამხედრო ხრიკების გამოყენებით მოწინააღმდეგის მოტყუებით ძალიან ბევრი ბრძოლის შედეგი გადაწყვეტილა, რომელთაგან ზოგიერთმა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა. სპარსელები მარცხდებიან ძვ.წ. 480 წელს სალამინის ყურეში თემისტოკლეს⁶⁰¹ მიერ სამხედრო ხრიკის გამოყენების შედეგად, ისევე როგორც ახ.წ. 9

⁶⁰¹ თემისტოკლე (ძვ. ბერძ. Θემιστοκλής) (ძვ.წ. 524-459 წ.წ.) – ძველი ათენის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ძველი ათენის დემოკრატიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მამა, ბერძულ-სპარსული ომების ეპოქის (ძვ.წ. 500-449 წ.წ.) დიდი მხედართმთავარი. არაერთხელ ეკავა არხონტისა და სტრატეგოსის უმაღლესი თანამდებობები. მის მიერ გატარებულმა პოლიტიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ძველი ათენის სახელმწიფოებრივი წყობის შემდგომ დემოკრატიზაციას. ე.წ. „ზღვის პარტიის“ წევრმა დიდი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ ათენი მძლავრ საზღვაო

წელს ვარუსის⁶⁰² რომაული ლეგიონები ტევტობურგის ტყესთან ბრძოლაში – ხერუსკების ცრუ მანევრის წყალობით.

აღმოსავლეთ ევროპაში შეჭრისას მონღოლები იყენებენ პართიელების ძველ სამხედრო ხერხს და 1241 წლის 10 აპრილს ლეგნიცის ბრძოლაში გაითამაშებენ გაქცევას. ისინი ჩასაფრებაში იტყუებენ დაღვინებული გერმანელი რაინდების არმიას და ერთიანად ანადგურებენ მას.⁶⁰³

საჩვენებელი ცრუ შეტევებიც ასევე სამხედრო ემშაკობების რიგს განეკუთვნება. 1757 წელს ლეითენთან ფრიდრიხ დიდი ბრძოლას უკებს რიცხოვრივად აღმატებულ ავსტრიელებს, რადგან შეცდომაში შეჰყავს ისინი გაბედული მანევრით, ერთი წლის შემდეგ კი თვითონ ხდება ჰოსკირხთან სამხედრო ემშაკობის მსხვერპლი.

მეორე მსოფლიო ომში, საფრანგეთის კამპანიის მსვლელობისას, სახელგანთქმული „ყვითელი გეგმა“ ეხმარება გერმანელებს ფრანგებზე სწრაფი გამარჯვების მოპოვებაში, რადგან მოკავშირეებს არა აქვთ ნათელი წარმოდგენა მოწინააღმდეგის მოქმედ სტრატეგიულ გეგმაზე. როდესაც ისინი მიხვდებიან თავიანთ შეცდომას, უკვე გვიანია – ბრძოლა და ომი წაგებულია.

ქალაქ-სახელმწიფოდ გადაექცია. სპარსეთის მეფის, ქსერქსეს საბერძნეთში შემოჭრამდე (ძვ.წ. 480წ.) ცოტა ხნით ადრე, მან შეძლო პირიის ყურის გამაგრება და გაზარდა ათენის ფლოტის პოტენციალი 70 ტრიერადან 200 ტრიერამდე. შესაბამისად, ძვ.წ. 480 წელს, სალამინის ბრძოლაში თემისტოკლეს სარდლობით ათენელთა ფლოტმა შეძლო სპარსელთა მძლავრ ფლოტზე უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვება.

⁶⁰² პუბლიუს კვინტილიუს ვარუსი (ლათ. Publius Quinctilius Varus) (ძვ.წ. 46წ.-ახ.წ. 9წ.) – იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის პერიოდის რომელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. ეკუთვნოდა კვინტილიუსების გაღარიბებულ ძველი პატრიციუსების გვარს. მისი ბაბუა მამის მხრიდან, სექსტ კვინტილიუს ვარუსი, სენატორი იყო. მამა, ასევე სექსტ კვინტილიუს ვარუსი – ასევე სენატორი. სამოქალაქო ომის დროს იგი თანაურბნობდა რესპუბლიკელებს და გამოდიოდა იულიუს კეისრის წინააღმდეგ. არ არის ცნობილი მონაწილეობდა თუ არა იგი კეისრის მკვლელობაში, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ შემდგომში იგი მხარს უჭერდა ბრუტუსსა და კასიუსს, ხოლო ძვ.წ. 43 წელს ფილიპის ბრძოლის შემდეგ, მან თავი მოიკლა. მიუხედავად მამის პოლიტიკური წარსულისა, ვარუსი მხარს უჭერდა იულიუს კეისრის მემკვიდრეს, ოქტავიანეს, რომელიც მალე ავგუსტუსიც გახდა. მცირე ხანში ვარუსმა ოქტავიანეს უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის, მარკუს აგრიპას ქალიშვილზე იქორწინა და იმპერატორის უახლოესი გარემოცვის წევრიც გახდა. მისი შემდგომი კარიერა თავბრუსმდებელი იყო. უკვე ძვ.წ. 13 წელს ტიბერიუსთან ერთად იგი კონსულად იქნა არჩეული. ძვ.წ. 6-4 წლებში კი, ლეგატის თანამდებობა მიიღო სირიაში, სადაც მის დაქვემდებარებაში ოთხი რომაული ლეგიონი აღმოჩნდა. ცნობილი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი აღწერს იუდეის მეფის, ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ იუდეაში რომის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების ამბებს და აღნიშნავს ვარუსის გადაწყვეტს და ეფექტურ მოქმედებებს მისი ჩაქრობის საქმეში. იერუსალიმის აღების შემდეგ ვარუსმა 2000 აჯანყებული ებრაელი აცვა ჯვარს.

⁶⁰³ მონღოლთა ურდოებმა აღმოსავლეთ ევროპაზე ლაშქრობისას მთავარი დარტყმა პოლონეთსა და უნგრეთზე 1241 წლის აპრილის თვეში განახორციელეს. ეს „ქვესკნელის ემშაკები“ (ასე უწოდებდნენ ევროპელები მონღოლებს) პრაქტიკულად ერთდროულად გამოჩნდნენ კრაკოვისა და ბუდაპეშტის კედლებთან. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მონღოლებს ევროპელებთან გამართულ ბრძოლაში გამარჯვება მათმა კარგად დამუშავებულმა ტაქტიკამ მოუტანა, რომელიც მონღოლთა მიერ მანამდე წარმატებით გამოიყენებოდა თუნდაც ქართველების წინააღმდეგ 1220 წელს, და მოგვიანებითაც, 1223 წელს რუს-ყივჩაკთა გაერთიანებული ლაშქრის წინააღმდეგ კალკასთან გამართული ბრძოლის დროს. მონღოლთა საბრძოლო ტაქტიკის არსი შემდეგში მდგომარეობდა: მონღოლთა ერთიანი ლაშქარი, რომელიც ცხენოსნებისგან შედგებოდა, ბრძოლის წინ ორ ან მეტ შენაერთად იყოფოდა. ერთ-ერთი შენაერთი მოწინააღმდეგის ჯარების წინააღმდეგ იწყებდა შეტევით მოქმედებებს. მანამდე კი, დანარჩენი შენაერთები ფარულად იკავებდნენ წინასწარ მომზადებულ ხელსაყრელ პოზიციებს და აწყობდნენ ჩასაფრებას. ბრძოლის დაწყებიდან მცირე ხანში მონღოლთა ჯარის ძირითადი ნაწილი, რომელიც ბრძოლაში იყო ჩაბმული, დამარცხებულის იმიტირებით იწყებდა უკან დახევას, რაც მალე გაქცევაში გადაიზრდებოდა. მონღოლთა გაქცეულ ჯარს უკან დაღვინებული მოწინააღმდეგის ჯარი ჩასაფრებაში მყოფი მონღოლებისკენ მიჰყავდა, სადაც დაღვინებული და დანაწევრებული მოწინააღმდეგე მონღოლთა ორმაგი და სშირად ჯვარედინი დარტყმის ქვეშ ექცეოდა. ასეთ ბრძოლაში გადაწყვეტს როლს თამაშობდა მონღოლი ცხენოსნის ძირითადი იარაღი – მსუბუქი მშვილ-ისარი, რომლის შესაძლებლობები სათანადოდ არ იქნა შეფასებული არც ქართველების, არც რუსების და არც ევროპული არმიების მიერ. თავისთავად ცხადია, რაინდთა იარაღთა (ფარი და მახვილი) და რაინდული კოდექსის ტრადიციებით მებრძოლი მხარე გამოუცდელი და უსუსური იყო ასეთ ბრძოლაში. რაინდთა ღირსების კოდექსის მიხედვით აზიელ მეთართა ძირითადი საბრძოლო იარაღის, მშვილდ-ისრისა და არბალეტის გამოყენება ბრძოლაში უკადრისი და მიუღებელი საქციელი იყო. სწორედ ასეთ სწრაფ და მანევრულ საკავალერიო ბრძოლაში ხდებოდა მონღოლთა მიერ მშვილდ-ისრის გამოყენებით დაპირისპირებული მხარის ხაფანგში შეტყუება და მისი განადგურება. ბრძოლის ასეთი ტაქტიკის გამოყენებით ფაქტიურად სრულად იქნა განადგურებული უნგრელ-ხორვატთა 100 ათასიანი (სხვა ცნობებით 60 ათასიანი) არმია და პოლონელ-გერმანელ რაინდთა ელიტის დიდი ნაწილი.

2. რაოდენობის არასწორი შეფასება

კლაუზევიცის მიხედვით, რიცხობრივი უპირატესობა, როგორც სტრატეგიაში, ასევე ტაქტიკაში, გამარჯვების საყოველთაო პრინციპია და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბრძოლაში. საკუთარი სიძლიერის, რიცხობრივი უპირატესობისა და ბრძოლისუნარიანობის გადაჭარბებულად შეფასება, ასევე მოწინააღმდეგის ძალების არასათანადოდ შეფასება, ომებისა და ბრძოლების წარმოებაში დაშვებულ შეცდომებს განაპირობებს.

როდესაც 1167 წლის მაისში გერმანელთა საღვთო რომის იმპერიის ჯარების ავანგარდი რაინჰოლდ ფონ დასელის⁶⁰⁴ მეთაურობით კარგად გამაგრებულ რომამდე აღწევს, ქალაქის მცველები რიცხობრივად ოცჯერ უფრო მეტნი არიან. უპირატესობისა და მოსალოდნელი გამარჯვების იმედით რომაელთა ჯარი ტოვებს გამაგრებას, გამოდის ქალაქიდან და მათი განადგურებაც აქედან იწყება.

1758, 1760 და 1807 წლებში მოწინააღმდეგე ვერ ახერხებს პრუსიის პატარა ქალაქის, კოლბერგის ციხესიმაგრის აღებას, რადგან არასწორად ფასდება ქალაქის დამცველთა ბრძოლისუნარიანობა და მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. ოდნავ მოგვიანებით, 1812 წელს, მოსკოვზე გალაშქრებისას, ნაპოლეონ ბონაპარტე არასწორად აფასებს რუსების თავდაცვისუნარიანობას, ისევე როგორც 1815 წელს ვატერლოოს ბრძოლაში ველინგტონის ჰერცოგის თავდაცვის უნარს.

მოწინააღმდეგის რაოდენობის არასწორ შეფასებაში 1876 წელს შეცდომას უშვებს პატივმოყვარე და ეგოისტი უფროსი ლეიტენანტი ჯორჯ კასტერი ინდიელთა სიუსა და შაიენის ტომების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ლითლ-ბიგჰორნის გახმაურებულ ბრძოლაში. კასტერი, რომელიც ვესტ პოინტის აკადემიაში ოფიცრობის ოცდაათობით კანდიდატს შორის უკანასკნელ ადგილს იკავებს, უდავოდ ყველაზე უვარგის და უუნარო მეთაურად ითვლება მათ შორის, ვისაც კი ოდესმე უხელმძღვანელია ჯარისკაცებისთვის ბრძოლაში. ლეგენდამ კი მისგან ქერაკულულებიანი გმირი შექმნა, რომელიც მე-7 უკვდავი საკავალერიო პოლკის დროშის ქვეშ თავგანწირვით იბრძვის კაპიტან „ცოფიანი ცხენის“ წინააღმდეგ და საკუთარ სიცოცხლეს წირავს. კასტერი თავის თავს ანიჭებს გენერლის ჩინს და აკერიებს საკუთარ უნიფორმას ხავერდის, ოქროსა და ზიზილ-პიპილოებისგან. ხალხს თავადვე აიძულებს მასზე ილაპარაკონ, როდესაც ბრძანებს ასი შაიენელის ამოჟლეტის, ასევე ქალებისა და ბავშვების დახოცვას. 1876 წლის ივნისში კასტერი მიუძღვის სამი კოლონიდან ერთ-ერთს, რომელიც გადაადგილდება ლითლ-ბიგჰორნის ინდიელების ბანაკისკენ. ბანაკში იმყოფება თხუთმეტი ათასი ადამიანი, მათ შორის, სიუსა და შაიენის ხუთ-ექვს ბრძოლაში გამოცდილი მეომარი. მაგრამ კასტერს არ სურს ამის აღიარება. ის ყურს არ უგდებს მზვერავების გაფრთხილებას, არ დაანთოს ბანაკში კოცონი და არ გასცეს საკუთარი ადგილმდებარეობა. იგი ტრაბახობს იმით, რომ მისი კავალერიის ნაწილი ინდიელებს სხვისი დახმარების გარეშე გაანადგურებს. სიუს ინდიელებმა დიდი ხანია უკვე აღმოაჩინეს კასტერის ბანაკი და ალყა შემოარტყეს მას. მოულოდნელი შეტევის საფრთხე ახლოსაა. როდესაც რამდენიმე ინდიელი ოთხით მიაჭენებს ცხენს, კასტერი ფიქრობს, რომ ისინი გარბიან და, მეთაურის ბრძანების მიუხედავად, არ იმოქმედოს დამოუკიდებლად, შეტევის გადაწყვეტილებას იღებს. მას ხელახლა აფრთხილებენ ინდიელი მზვერავები და ცდილობენ, დაარწმუნონ, რომ შეცდომას უშვებს. მოწინააღმდეგე ათჯერ უფრო ძლიერია და ასეთ შემთხვევაში თავდასხმა უაზრობაა. მაგრამ კასტერი არ უსმენს მათ და თავის ქვედანაყოფს ყოფს სამ ნაწილად, რომლებმაც ბანაკს უნდა შეუტონ

⁶⁰⁴ რაინჰოლდ ფონ დასელი (გერმ. Reinold von Dassel) (1120-1167წ.წ.) – XII საუკუნის გერმანიისა და საღვთო რომის იმპერიის დიდი სახელმწიფო, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე. კიოლნის არქიეპისკოპოსი და იტალიის არქიეპისკოპოსი 1159 წლიდან. იმპერატორ ფრიდრიხ დიდი ბარბაროსა ჰოჰენშტაუფენის უახლოესი მეგობარი, თანამებრძოლი და მრჩეველი. დიდ გავლენას ახდენდა იმპერიის მიერ გატარებულ იმდროინდელ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. მაიორ რენოს ასთორმეტ მებრძოლს სიუს ინდიელები ისევ უკუაგდებენ, როგორც კაპიტან ბენთინის ასოცდახუთ კაცს. კასტერი ყოველგვარი დახმარების გარეშე თავისი ათეულით უტევს ჩრდილოეთიდან. სიუს მთავარი ძალები ერეკებიან მათ გორაკისკენ, ალყაში აქცევენ და უკანასკნელ კაცამდე ანადგურებენ. ცხედრებს ტანსაცმელს ხდიან და სკალპს აძრობენ. ძალზე იშვიათად წაუყვანია ასე ბრძად სიკვდილზე თავდაჯერებულ ოფიცერს თავისი ჯარისკაცები.

ჰიტლერიც მსგავს შეცდომას უშვებს 1941 წლის ივნისში, ოპერაცია „ბარბაროსას“ მიმდინარეობისას, როცა რუსეთზე ლაშქრობა კატასტროფით მთავრდება. 1944 წლის ბოლოსაც გადაჭარბებით აფასებდა ჰიტლერი საკუთარ შესაძლებლობებს და ვერმახტის ძალებს არდენზე შეტევისას, ხოლო თავდაცვაზე გადასული ამერიკელთა ჯარის ბრძოლისუნარიანობას, პირიქით – არასაკმარისად. ეს შეცდომა გერმანიას ძალიან ძვირად დაუჯდა.

ინდონეზიის პირველი ომის მსვლელობისას, 1954 წლის გაზაფხულზე, საფრანგეთის კოლონიური ჯარების სარდლობა დიენ ბიენ ფუს ბრძოლაში დარწმუნებულია, რომ ვიეტკონგის მებრძოლები სუსტები და გამოუცდელეები არიან საიმისოდ, რომ გამაგრებული რაიონი აიღონ და ამიტომ უარყოფს შეთავაზებულ დახმარებას. ეს არის მოწინააღმდეგის გროტესკული ვერაუქება. დიენ ბიენ ფუს ფრანგული ფორტები, გამაგრებული რაიონი და მისი სამხედრო გარნიზონი რამდენიმე კვირაში ეცემა.

მსგავს საშინელ შეცდომას უშვებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და დაზვერვის ცენტრალური სააგენტო 1961 წლის აპრილში, კუბაში ემიგრანტი კუბელების საინტერვენციო ჯარის გადასხმისას. ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ ფიდელ კასტროს ჯარების რაოდენობასა და მათ ბრძოლისუნარიანობას. „ლორების ყურეში“ დესანტის გადასხმა სრული სამხედრო ფიასკოთი სრულდება.

3. ოპერატიული ვითარების არასწორი შეფასება

ხშირად სამხედრო მეთაურობა შეცდომას უშვებს ფაქტობრივი ოპერატიული ვითარების შეფასებისას და შედეგად არასწორ გადაწყვეტილებას იღებს.

რომაელების წინააღმდეგ აქციუთან საზღვაო ბრძოლაში კლეოპატრა⁶⁰⁵ ძალზე ნაადრევად მიიჩნევს ბრძოლას წაგებულად. ოქტავიანეს⁶⁰⁶ წინააღმდეგ წარმოებულ ამ ბრძოლაში სწორედ ეგვიპტური გემების ნაჩქარევად გაქცევა განაპირობებს ანტონიუსის⁶⁰⁷ საბოლოო დამარცხებას.

⁶⁰⁵ კლეოპატრა VII ფილოპატორი (ძვ. ბერძნ. Κλεοπάτρα Φιλοπάτωρ) (ძვ.წ. 69-30წ.წ.) – ეგვიპტის პტოლემეაიოსების მაკედონური დინასტიის უკანასკნელი მმართველი და მეფე.

⁶⁰⁶ ოქტავიანე ავგუსტუსი (ლათ. Octavianus Augustus), დაბადებით გაიუს ოქტავიანე თურინუსი (ძვ.წ. 63-ა.წ. 14წ.წ.) – ცნობილი მდიდარი ოჯახის შვილი, იულიუს კეისრის დისშვილიშვილი და შვილობილი, ძველი რომის ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რომის მეორე ტრიუმვირატის წევრი, რომის იმპერიის დამაარსებელი და მისი პირველი იმპერატორი, უმაღლესი პონტიფიკოსი. 13-ჯერ ეკავა კონსულის თანამდებობა, ხოლო ძვ.წ. 23 წლიდან ფლობდა ტრიბუნის უფლებამოსილებებს (Tribunicia Potestas). მინიჭებული ჰქონდა „სამშობლოს მამის“ (Pater Patriae) საპატიო წოდება. თავისი მმართველობის წლებში ოქტავიანე ავგუსტუსმა მნიშვნელოვნად გააფართოვა რომის სამფლობელოები. იმპერიის საზღვრებში ჩართულ იქნა რაინისა და დუნაისპირა მიწები, ესპანეთის დიდი ნაწილი, აგრეთვე ეგვიპტე, იუდეა და გალათეა. მის მიერ დაარსებული იულიუს-კლავდიუსების დინასტია რომის იმპერიას ახალი წელთაღრიცხვის 68 წლამდე მართავდა.

⁶⁰⁷ მარკუს ანტონიუსი (ლათ. Marcus Antonius) (ძვ.წ. 83-30წ.წ.) – წარმოშობით მოგვიანებით დაწინაურებული ძველი პლემეური ოჯახიდან, ძველი რომელი პოლიტიკოსი და ნიჭიერი მხედართმთავარი, რომის მიერ იუდეაში, ეგვიპტესა და გალათეაში წარმოებულ ომების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი სარდალი, ძვ.წ. 43-33 წლებში რომის მეორე ტრიუმვირატის წევრი, რომელშიც მასთან ერთად შედიოდნენ გაიუს ოქტავიანე (შემდგომში ავგუსტუსი) და მარკუს ლეპიდუსი. ძვ.წ. 42 წელს ფილიპის ბრძოლაში ტრიუმვირებმა დაამარცხეს იულიუს კეისრის მკვლელები, ლიბერატორები და რომის რესპუბლიკის მართვა-გამგეობა ერთმანეთში გადაინაწილეს. ამის შემდგომ ტრიუმვირატმა მოაწყო დაუნდობელი პროსკრიფციები, რომლის დროსაც გაანადგურეს რომის მდიდართა ფენა და ტრიუმვირატის წევრთა პირადი მტრები. სწორედ ანტონიუსს მიეწერება ძველი რომის ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო

როდესაც კონსტანტინე⁶⁰⁸ ძველი წელთაღრიცხვის 312 წელს თავისი პატარა არმიით მიიკვლევს გზას გამაგრებული რომისკენ, კატაპულტებისა და საალყო მანქანების გარეშე, მას ქალაქის დაპყრობის არანაირი შანსი არ აქვს. მაგრამ მაქსენტიუსი თავის შვიარალებულ ძალებთან ერთად ტოვებს დაცულ გალავანს და კონსტანტინეს ღია ველზე ხვდება, რადგან ის არასწორად ფიქრობს, რომ მოსახლეობა აპირებს მის წინააღმდეგ აჯანყებას. იგი სრულიად არასწორად აფასებს შექმნილ ვითარებას.

ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ის⁶⁰⁹ „უძლეველი არმია“ 1588 წელს მთლიანად დაიპყრობდა ინგლისს, თავდაპირველად კალესკენ რომ არ გაეცურა დანარჩენი ქვედანაყოფების ასაყვანად, არამედ პირდაპირი კურსი აეღო ლონდონის სამხრეთით ინგლისის სანაპიროსკენ. ხოლო როდესაც 1601 წელს ესპანეთის ფლოტი ირლანდიას უახლოვდებოდა ჰიუ ო'ნილის ირლანდიელ ჯარისკაცებთან შესაერთებლად,⁶¹⁰ ინგლისის ჯარის დამარცხება გარდაუვალი იყო კინსეილთან, ირლანდიის მხედართმთავარს შეცდომით რომ არ ევარაუდა ესპანელების გადმოსხმის ადგილი და სამხრეთისკენ არ გადაადგილებულიყო, ჩრდილოეთის ნაცვლად.

ოცდაათწლიან ომში, 1632 წელს, ლიუცენის ბრძოლაში ვალენშტაინი⁶¹¹ შიშობდა, რომ მისი იმპერიისტების არმია ვეღარ გაიმარჯვებდა მას შემდეგ, რაც პაპენჰაიმი⁶¹² თავის ცხენოსნებთან ერთად დროულად მივიდოდა ბრძოლის ველზე და შვედების მიერ შევიწროებული მარცხენა ფლანგი გადარჩებოდა. მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი ვითარება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს – სწორედ შვედური კავალერიის რეზერვის გამოყენებამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

1740 წელს ფრიდრიხ დიდის სილვეზიაზე თავდასხმის შედეგად დასუსტებული და ავადმყოფი, დიდების წყურვილით შეპყრობილი ავსტრიის იმპერატორი იოზეფ II⁶¹³, 1788

მოღვაწის, ორატორისა და ფილოსოფოსის, ციკერონის სიკვდილით დასჯის ინიციატივა. სამეზის კონსული ძველი წელთაღრიცხვის 44, 34 და 31 წლებში, თუმცა ბოლო თანამდებობა მარკუს ანტონიუსს ოფიციალურად არ ჩაუბარებია.

⁶⁰⁸ აქ რომის კეისარსა და იმპერატორზე, კონსტანტინე I დიდზეა საუბარი, რომელიც დაწყებული ახალი წელთაღრიცხვის 325 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – 337 წლამდე, რომის იმპერიის ერთპიროვნულ მმართველს და მბრძანებელს წარმოადგენდა. მისი სრული სახელი იყო ფლავიუს ვალერიუს ავრელიუს კონსტანტინე – კონსტანტინე I, კონსტანტინე დიდი (ლათ. Flavius Valerius Aurelius Constantinus). 330 წელს ბოსფორის სრუტესთან მან იმპერიის ახალი დედაქალაქი და „მსოფლიო ქალაქი“ – კონსტანტინოპოლი დააარსა და ქრისტიანობა იმპერიის იდეოლოგიურ საფუძვლად გამოაცხადა, ხოლო 325 წელს ქალაქ ნიკეაში პირველი საეკლესიო კრებაც მოიწვია. სიკვდილის წინ თავდაც მძილო ქრისტიანობა.

⁶⁰⁹ ფილიპე II (ესპ. Felipe II) (1527-1598წ.წ.) – XVI საუკუნის ევროპის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი რელიგიური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ესპანეთის მეფე ჰაბსბურგთა დინასტიიდან. საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, კარლოს V-ის, იგივე კასტილიისა და არაგონის მეფის, კარლოს I-ის შვილი და მემკვიდრე. ფილიპე II 1554 წლიდან იყო ნეაპოლისა და სიცილიის მეფე, ხოლო მამამისის მიერ ტახტზე უარის თქმის გამო, 1556 წლიდან გახდა ესპანეთისა და ნიდერლანდების მეფე და ოკეანისგალმა ყველა ესპანური სამფლობელოს მმართველი. 1580 წლიდან მან შემოიერთა აგრეთვე პორტუგალია და მისი მეფეც გახდა ფილიპე I-ის სახელით. უმდიდრესი ევროპელი მონარქი. კაცი, რომლის იმპერიაშიც „მზე არასდროს ჩადიოდა“. რომის ერთგული, დაჯერებული კათოლიკე და „მსოფლიო კათოლიციზმის ბურჯი“.

⁶¹⁰ XVI საუკუნის ბოლოდან ირლანდიის ჩრდილოეთ პროვინციაში, ოლსტერში, ირლანდიური კლანის მეთაური, ტირონის გრაფი, ჰიუ ო'ნილი ინგლისელების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის მთავარი ფიგურა ხდება. იგი თავდაპირველად ინგლისის სამეფო კარზე იზრდებოდა. ასე რომ, კარგად იცნობდა ინგლისის არისტოკრატას და მათი ცხოვრების წესს. ო'ნილმა თავის ირველივ შემოიკრიბა პატრიოტულად განწყობილი ირლანდიელი მოხალისეები და ბრძოლისაკენ მოუწოდა მათ. ასე ჩამოყალიბდა ირლანდიური პარტიზანული რაზმები და არმია. ირლანდიელებმა ინგლისელთა ჯარის თანდათან შევიწროება დაიწყეს. ამ საქმეში მათ მთავარ მოკავშირეს ესპანეთის ახლგაზრდა მეფე, ფილიპე III წარმოადგენდა.

⁶¹¹ ალბრეხტ ვენცელ ვალენშტაინი (გერმ. Albrecht Wenzel Eusebius von Wallenstein) (1583-1634წ.წ.) – XVII საუკუნის დასაწყისის დიდი სამხედრო მოღვაწე და მხედართმთავარი, კათოლიკური ლივის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იმპერიისტთა გენერალისიმუსი და ადმირალი, ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და სარდალი, ფრიდლანდიისა და მეკლენბურგის ჰერცოგი.

⁶¹² გოტფრიდ-ჰაინრიხ პაპენჰაიმი (გერმ. Gottfried Heinrich Graf Pappenheim) (1594-1632წ.წ.) – გრაფი, იმპერიისტთა ერთ-ერთი ლიდერი და კათოლიკური ლივის ჯარების სარდალი ოცდაათწლიან ომში. XVII საუკუნის ევროპული სამხედრო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი და მამაცი ოფიცერი. ცნობილი იყო თავისი რელიგიური ფანატიზმითა და მოწინააღმდეგისადმი დაუნდობლობით.

⁶¹³ იოზეფ II (ჰაბსბურგი) (გერმ. Joseph II) (1741-1790წ.წ.) – იმპერატრიცა მარია ტერეზიას უფროსი ვაჟი. გერმანიის მეფე 1764 წლის 27 მარტიდან და საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი 1765 წლის 18 აგვისტოდან. 1780 წლის

წელს სათავეში უდგება თავის ჯარს და ოსმალების წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი თავს „კაცობრიობისათვის შურისმაძიებლად“ აცხადებს და იქაინება, რომ „განთავისუფლებს მსოფლიოს ბარბაროსული მოღვმისგან“. მაგრამ ლაშქრობის დასაწყისშივე აშკარა ხდება გარდაუვალი კატასტროფისაკენ სწრაფვა. ადგილობრივი მცხოვრებლების გაფრთხილებების მიუხედავად, ავსტრიელები ბელგრადთან ბანაკებიან, სადაც მალარია მძვინვარებს. ძალიან მოკლე დროში ასსამოცდათორმეტი ათასი ჯარისკაცი ავადდება, ოცდაცამეტი ათასი კი, იღუპება.⁶¹⁴ როდესაც იმპერატორი შეიტყობს, რომ ოსმალთა არმია დიდი ვეზირის მეთაურობით მისკენ მიემართება, იგი მის შესახვედრად ნახევარი ჯარით დაიძვრება, რათა ქალაქ კარანსებეს მახლობლად გამართოს ბრძოლა.

ავსტრიელთა ქვეითი ჯარი მწყობრით, ჰუსართა⁶¹⁵ პოლკის გვერდით გადაადგილდება. ღამით ისინი მიაღწევენ კარანსებეს მახლობლად მდებარე ხიდს, კარდაკარ მოსიარულე მოგაჭრეების დასახლებასთან. ჰუსარები შნაფსის⁶¹⁶ საყიდლად ჩერდებიან. ქვეითი ჯარის ჯარისკაცები ამას ხელავენ და სურთ იმავეს გაკეთება, მაგრამ ჰუსარები მათ უკან აბრუნებენ. თავგასულ თანამებრძოლებზე გაბრაზებული ქვეითი ჯარისკაცები ჰაერში ისვრიან და ხმამაღლა, ჰუსარების შესამინებლად ყვირიან: „თურქები! თურქები!“ უკან ჩამორჩენილი კოლონა, რომელიც ჯერ კიდევ ხიდზე გადაადგილდება, პანიკაში ვარდება და ჯარისკაცები სიბნელეში ერთმანეთს ესვრიან. ავსტრიელთა ჯარი შეცდომით ფიქრობს, რომ ხაფანგში აღმოჩნდა და მათ თავს ოსმალთა არმია დაესხა, რომელიც სინამდვილეში ჯერ კიდევ შორსაა. იწყება სასტიკი ბრძოლა და ათასობით ჯარისკაცი იღუპება. ქვემეხებს ტოვებენ, საზიდრები ყირავდება და ყველგან ისმის შეძახილები: „თურქები აქ არიან, ყველაფერი დამთავრდა, თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ!“ როდესაც თენდება, ყველასათვის ნათელი ხდება ამ კატასტროფის მასშტაბები. თითქოსდა დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბრძოლაში ათი ათას კაცზე მეტია დაღუპული და დაჭრილი საკუთარი თანამებრძოლების მიერ. და ეს არ იყო სამხედრო ისტორიაში ვითარების არასწორად შეფასებით გამოწვეული ერთადერთი შემთხვევა.

თვით სამხედრო გენიოსი, ნაპოლეონ ბონაპარტეც კი უშვებდა მსგავს შეცდომებს. 1815 წლის 18 ივნისს, ვატერლოოს ბრძოლაში, მას სჯეროდა, რომ ნაშუადღევს, მარჯვენა ფლანგზე გამოჩენილი მარშალ გრუშის ოცდაცამეტი ათასი ჯარისკაცი სასტიკი ბრძოლის შედეგს მის სასარგებლოდ გადაწყვეტდა. მაგრამ ნაპოლეონი შეცდა. ისინი მარშალ გრუშის ჯარისკაცები კი არა, არამედ მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ. სინამდვილეში მარშალ ბლიუხერის პრუსიელთა კორპუსი ერთვებოდა ბრძოლაში. არადა, ორი დღით ადრე, 14 ივნისს, ლინთან გამართულ ბრძოლაში თითქოს მან სასტიკად დაამარცხა პრუსიელები, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს.

საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომის მსვლელობისას, პრუსიის მე-2 არმიის სარდალი, პრინცი ფრიდრიხ კარლიც არასწორად აფასებდა ოპერატიულ ვითარებას და

დეკემბრამდე დედასთან ერთად იყო იმპერიის თანამმართველი. მარია ტერეზიას გარდაცვალების შემდეგ კი, მემკვიდრეობით მიიღო მისი სამფლობელოები – ავსტრიის საჰერცოგო და ბოჰემიისა და უნგრეთის სამეფოები. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და რეფორმატორი. ევროპული განათლებული აბსოლუტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი.

⁶¹⁴ ამ ლაშქრობის დროს თავად იმპერატორიც დაავადდა მალარიით, რასაც მალე ტუბერკულოზიც დაერო თან. საერთო ჯამში, მძიმედ დაავადებული იოზეფ II ვენაში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1790 წლის 20 თებერვალს, 48 წლის ასაკში.

⁶¹⁵ ჰუსარები (უნგრ. Huszár) – XV-XX საუკუნეებში ევროპულ არმიებში ფართოდ გავრცელებული მსუბუქი კავალერია, რომლებიც გამოირჩეოდნენ დამახასიათებელი ჩაცმულობით: კივერი (მაღალი ცილინდრისებური წინაფრიანი ქუდი), ბეწვის მოსასხამი, მოკლე მუნდირი, რეიტუზები და ჩექმები. XV-XVII საუკუნეებში ატარებდნენ მსუბუქ ჯავშანს. პირველად ჰუსარები უნგრეთში გამოჩნდნენ, მეფე მათი კორეინის დროს, რომელმაც 1458 წელს ოსმალთა აგრესიის აღსაკვეთად შექმნა სპეციალური მსუბუქი საკავალერიო ლაშქარი. დროთა განმავლობაში ჰუსარები კავალერიის მაღალი საბრძოლო სულისკვეთებისა და ნაკლებად დისციპლინირებულ გვარეობად ჩამოყალიბდნენ.

⁶¹⁶ შნაფსი (გერმ. Schnaps) – მაგარი ალკოჰოლური სასმელების განზოგადებული დასახელება. ეს ტერმინი გამოიყენება იმ სუფთა დისტილატების აღსანიშნავად, რომელიც მიიღება კარტოფილის, მარცვლეულის, ხილის და სხვა მათი მსგავსი პროდუქტების დუღილისა და გამოხდის გზით. ეთილის სპირტის მოცულობითი შემცველობა შნაფსში დაახლოებით 40%-ია.

1870 წლის აგვისტოში ვიონვილის ბრძოლაში აგზანის თავისი არმიის ხუთ კორპუსს დასავლეთისკენ, რათა იქ დახვდნენ ფრანგებს. მას აზრადაც არ მოსდის, რომ შესაძლებელია, მარშალ ბაზენის⁶¹⁷ მთელი არმია იდგეს აღმოსავლეთში მეცთან.

1914 წლის აგვისტოში ფრანგებისთვის სასწაული ხდება, როდესაც ორი ძლევამოსილი გერმანული არმია მარნასთან მოულოდნელად იხევს უკან და უეჭველ გამარჯვებას უშვებს ხელიდან, რადგან თვითოეული მათგანი არასწორად ვარაუდობს, რომ ველარ შეძლებს ბრძოლის გაგრძელებას. აღმოსავლეთის ფრონტზე თავდაპირველ გამარჯვებებზე დაყრდნობით, იმავე თვეში რუსები ვარაუდობენ, რომ გერმანელთა ჯარი უკან დაიხევს დასავლეთისკენ. მაგრამ რუსები ცდებოდნენ. გერმანელთა მე-8 არმია მიმართულებას იცვლის, ორმხრივი გარშემორტყმით ალყაში აქცევს სამსონოვის არმიას ტანენბერგთან და ანადგურებს მას.

1915 წლის 25–26 სექტემბერს ინგლისელების დიდი მსხვერპლით დასრულებული შეტევები იპრთან გამართულ ბრძოლაში, რომელიც სამხედრო ისტორიაში ლუზის ხოცვა-ჟლეტის სახელით შევიდა, ოპერატიული ვითარების არასწორ შეფასებას ეფუძნება. სურათი კი ასეთია: საფრანგეთის ქვანახშირის რაიონის წილის მთებსა და მალაროების სოფლებს შორის, დილის 6 საათზე ექვსი ბრიტანული დივიზია გერმანელების კარგად გამაგრებული პოზიციების მიმართულებით მიიწევს წინ. მძიმე არტილერიის არქონის გამო გერმანელები მომწამლავ გაზს იყენებენ. მწვანე და ყვითელი კვამლის ღრუბლები ნეიტრალურ ზონამდე აღწევენ და აირწინალებით შეტევაზე გადასული ჯარის ხილვადობას აბრკოლებენ. ბრიტანელი ჯარისკაცები მალე იკარგებიან ქლორიანი გაზის შეულწევად ნისლში. შუადღისთვის ბრიტანელი გენერალი, დუგლას ჰეიგი გადაწყვეტს რეზერვის გამოყენებას, რათა გამარჯვება უზრუნველყოს. გერმანელები პირველი დარტყმისთანავე დამარცხდებიან, – არწმუნებს იგი თავის მხედართმთავარს, ფელდმარშალ ფრენჩს. იგი გულისხმობს ძლიერი დარტყმით მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებას, რაც ვითარების სრულიად არასწორი შეფასებაა.

ამ დროს კი, გერმანელები ნამდვილად არ აპირებენ დამარცხებას. საგულდაგულოდ მოწყობილ, ეკლიანი მავთულხლართებით შემოვლულ სანგრებში, ისინი თავდაცვისთვის კარგად მომზადებულები ელოდებიან მოწინააღმდეგის შემდგომ შემოტევას. 26 სექტემბერს, დილის 11 საათზე, იერიშზე ბრიტანელთა 21-ე და 24-ე დივიზიები გადმოდიან. მათ საერთოდ არა აქვთ საბრძოლო გამოცდილება. კოკისპირულ წვიმაში და ცარიელი კუჭით გადაადგილდებიან ფრონტისაკენ თვრამეტი საათის განმავლობაში ახალგაზრდა ჯარისკაცები, უმეტესად, სიბნელეში, გეოგრაფიული რუკისა და მხარდაჭერის გარეშე. მათ ზუსტად არც კი იციან, სად მდებარეობს მათი სამიზნე. მათ უჩვენეს მხოლოდ არაზუსტი საორიენტაციო პუნქტები, როგორცაა, მაგალითად, სიმაღლე 70. ბრიტანელები მარშირებენ ათ რიგად, თითო რიგში ათასი კაცით.

გერმანელები გაკვირვებულები არიან. ისინი საკუთარ თვალებს არ უჯერებენ. არასოდეს უნახავთ ასე დაკომპლექტებული ჯარისკაცების მასა და ასე ორგანიზებული შეტევითი წყობა, რომელიც წინ მოიწვევდეს ტყვიამფრქვევების მიმართულებით. ისინი საუკეთესო სამიზნეები არიან. რამდენიმე ჯარისკაცი აღწევს ერთი მეტრი სიმაღლისა და

⁶¹⁷ ფრანსუა-აშილ ბაზენი (ფრანგ. François-Achille Bazaine) (1811-1888წ.წ.) – ფრანგი მხედართმთავარი, 1864 წლიდან საფრანგეთის მარშალი. ალჟირის (1835წ.), ესპანეთის (1837წ.), ყირიმის (1853-1856წ.წ.), ავსტრო-იტალიო-საფრანგეთის (1859წ.), მექსიკის (1862-1867წ.წ.) და საფრანგეთ-პრუსიის (1870-1871წ.წ.) ომების მონაწილე. საფრანგეთ-პრუსიის ომის მსვლელობისას, 1870 წლის 27 ოქტომბერს იგი და მისი 170 ათასიანი არმია დანებდა და ტყვედ ჩაბარდა პრუსიელებს. მისმა კაპიტულაციამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ფრანგულ საზოგადოებაში და იგი დაადანაშაულებს არა მარტო სიმხდალესა და ჯარების მართვის უუნარობაში, არამედ სამშობლოს დასაბრუნებელს. 1872 წელს, საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე იგი დააპატიმრეს და გადასცეს სამხედრო სასამართლოს, რომელმაც საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. თუმცა, სასამართლოს პრეზიდიუმის წევრების შუამდგომლობის საფუძველზე, საფრანგეთის პრეზიდენტმა პატრის დე მაკ-მაჰონმა სიკვდილით დასჯა 20 წლიანი პატიმრობით შეუცვალა. 1874 წლის 10 აგვისტოს იგი გარბის საპატიმროდან და თავს აფარებს მადრიდს, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1888 წელს.

ექვსი მეტრი სიღრმის ეკლიანი მავთულხლართების ზონას და ამოდ ცდილობს სრულიად გამოუსადეგარი მაკრატლით მის გადაჭრას. გერმანელები ცეცხლს ხსნიან. ათასობით ბრიტანელი ჯარისკაცი ეცემა ტყვიამფრქვევების ცეცხლით. ძალიან ბევრი გერმანელი წყვეტს ცეცხლს იმის დანახვისთანავე, თუ როგორ იხევენ უკან, საწყისი პუნქტისაკენ საგრძნობლად შემცირებული ბრიტანული დივიზიები. ბრძოლის შედეგები მართლაც გამოგნებელია. ათი ათასი ბრიტანელი ჯარისკაციდან ბრძოლის ველზე შვიდი ათას რვაას სამოცდაერთი ჯარისკაცი და სამას ოთხმოცდახუთი ოფიცერი რჩება. გერმანელების მხარეს კი საერთოდ არ ყოფილა დანაკარგი. სამხედრო ისტორიაში მსგავსი შეუსაბამო ფაქტი არ მოიძებნება, თუმცა ლუზის უაზრო ხოცვა-ჟლეტა უფრო დიდი სისხლისღვრის წინამორბედი.

1917 წლის აპრილში თითქმის ორმოცდაათი ბრძოლით გადაღლილი და რევოლუციური იდეებით შეპყრობილი ფრანგული დივიზიები აჯანყების ზღვარზე იმყოფებიან. მათი პირადი შემადგენლობა უარს აცხადებს ბრძანებების შესრულებასა და ბრძოლის გაგრძელებას. ამ დროს კი, ფრონტის ხაზსა და პარიზს შორის მხოლოდ ორი ფრანგული დივიზია დგას. გერმანელებს შეუძლიათ შეტევაზე გადასვლა და სწრაფი თავდასხმით პარიზისა და მთელი საფრანგეთის დაპყრობა ძლიერი წინააღმდეგობის გარეშე. მაგრამ გერმანელები ყოყმანობენ, ისინი არ იყენებენ ხელსაყრელ სიტუაციას და ხელიდან უშვებენ უტყუარი გამარჯვების მიღწევის ერთჯერად შანსს. საფრანგეთი გადარჩება და I მსოფლიო ომიც კიდევ ერთნახევარი სისხლიანი წელიწადი გაგრძელდება.

1944 წლის ზაფხულში ჰიტლერი, ისევე როგორც მისი გენერლები, დარწმუნებულები არიან, რომ მოკავშირეების მიერ კონტინენტზე დესანტის გადმოსხმა პადე-კალეშია მოსალოდნელი. ამიტომ საფრანგეთის ტერიტორიაზე გაშლილი ვერმახტის ჯარების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სატანკო დივიზიები, მზადყოფნაში სწორედ აღნიშნულ ადგილას არიან და არა ნორმანდიაში, სადაც ფაქტობრივად განხორციელდება კიდევ მოკავშირეთა ჯარების დესანტის გადმოსხმა 6 ივნისს, გერმანელებისათვის გაუთვალისწინებელ დროს.

1950-1951 წლების ზამთარში, კორეის ომის მსვლელობისას, ამერიკელები წარმატებით მიიწვევენ ჩრდილოეთ კორეისკენ და ჩინეთის სასაზღვრო მდინარე იალუზე გასვლასაც გეგმავენ. ამ დროს კი, გენერალი მაკარტური არწმუნებს აშშ-ის პრეზიდენტს,⁶¹⁸ რომ საბრძოლო მოქმედებები მალე დასრულდება და ჩინეთის მხრიდან ინტერვენცია არ წარმოადგენს მოსალოდნელ საფრთხეს. მან არ იცის, რომ ჩრდილოეთ კორეაში უკვე შეიჭრა დაახლოებით ასი ათასი ჩინელი ჯარისკაცი, ე.წ. „ჩინეთის სახალხო მოხალისეთა არმია“, რომელიც ამერიკელებს, მძიმე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის გარეშე სამხედრო ისტორიაში პირველად, საშინლად დაამარცხებენ სასაზღვრო მდინარე იალუსთან გამართულ ბრძოლაში. შემდეგ კი, უკან, სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე დაახევინებენ.

4. მოწინააღმდეგის წინდაუხედაობა

სამხედრო ისტორიაში არსებობს იმის საკმარისი მაგალითები, რომ მეომარი მხარე მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში სრულიად შეცბუნებული რჩება. ის ფიქრობს, რომ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ შემდეგ მოწინააღმდეგის მოულოდნელი, სწრაფი მოქმედება მას მარცხს განაცდევინებს. ჩანაფიქრის ფარულობა და მოქმედებების სისწრაფე მოულოდნელობის გადამწყვეტ ფაქტორებს წარმოადგენს. „თუ მოხერხდება მისი შესრულება უმაღლეს დონეზე, – ამბობს კლაუზევიცი, – შედეგად მივიღებთ მოწინააღმდეგის დაბნეულობასა და მისი საბრძოლო სულისკვეთების დაქვეითებას.“

⁶¹⁸ აქ ამერიკის შეერთებული შტატების 33-ე პრეზიდენტზე, ჰარი ტრუმენზეა (ინგლ. Harry Truman) საუბარი.

1740-1741 წლების ზამთარში, სულ ახლახან გამეფებული პრუსიის ახალგაზრდა და ამბიციური მეფე, ფრიდრიხ II ბელავს ჰაბსბურგების ზესახელმწიფოზე, ავსტრიაზე თავდასხმას. ამას არავინ ელოდა. 1740 წლის დეკემბერში პრუსიული ჯარების სილეზიაში შეჭრა ავსტრიელებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. პრუსიელები სილეზიას იპყრობენ, ამ დრო კი, ავსტრიის არმიის მთავარი ძალები უნგრეთში იყო განლაგებული.

დაუჯერებელი ემშაკობა ხდება 1805 წლის ნოემბერში, ვენაში ნაპოლეონის ჯარების შესვლისას. მარშალ ლანის⁶¹⁹ V კორპუსი და მარშალ მიურატის⁶²⁰ ექვსი საკავალერიო დივიზია „დიდი არმიის“ (Grande Armée) ავანგარდში იმყოფება. მდინარე დუნაი, როგორც ბუნებრივი ბარიერი, ისე კეტავს გზას. ავსტრიელები რამდენიმე ხიდს აფეთქებენ. მაგრამ ღია ქალაქად გამოცხადებული ვენის ჩრდილოეთით მდებარე თაბორის ხიდი ჯერ კიდევ ფუნქციონირებს. იგი შედგება მთელი რიგი ხის კონსტრუქციებისა და დამბებისგან, რომელზეც მთავარი ქუჩა გადის ტყით დაფარული კუნძულისა და პატარა არხების გასწვრივ. ხიდის უკანასკნელი თალი, კუნძულ ვოლფაუდან ჩრდილოეთ ნაპირამდე, ხუთასი მეტრი სიგრძისაა. ფიცარზე აწყვია შეშა, ჩალა და დენთი. ჩრდილოეთ სანაპიროზე, ხიდის მახლობლად, დგას ავსტრიის სარეზერვო კორპუსი, ხანშიშესული გენერალ-ლეიტენანტის, თავად აუერშპერგის⁶²¹ მეთაურობით, რომელიც ამ დავალების შესასრულებლად დააბრუნეს სამსახურში. ავსტრიელთა მძიმე ბატარეა კეტავს ხიდის ჩრდილოეთ მისასვლელს. თუ ფრანგებს სურთ სწრაფად გადაადგილება, მათ აუცილებლად დასჭირდებათ ეს ხიდი.

1805 წლის 13 ნოემბერს ხიდზე გაოგნებული ავსტრიელი გენერალ-ადიუტანტის თვალწინ მარშით გადაადგილდებიან გენერალი ბელიარი⁶²², მარშალი ლანი და მარშალი მიურატი თავიანთი ზიზილ-პიპილოებიანი უნიფორმებით და უცხადებენ ავსტრიელი ყარაულების უფროს ოფიცერს, ჰუსარების მეთაურს, გერინგერს, რომ ომი საფრანგეთსა და ავსტრიას შორის ზავის დადებით დამთავრდა და ახლა ხიდი ფრანგებს ეკუთვნის. მარშალი მიურატი, ფიცხი, გამბედავი გასკონელი, მოწინააღმდეგის ქვემეხს უახლოვდება და ზედ სიცილით ჯდება. ფრანგები მას ბაძავენ, ავსტრიელებს ხელს უქნევენ და ყვირიან, რომ ისინი კარგი მეგობრები არიან. ისინი ჭრიან ფითილებს და ადვილად აალებად ნივთიერებას მდინარეში ყრიან. გაბედული ტყუილი საოცარი ძალით მოქმედებს, რადგან გამოძახებული გენერალი აუერშპერგი ეჭვსაც არ იღებს. როგორც ოფიცერი, მარშალი მიურატი მას

⁶¹⁹ ჟან ლანი (ფრანგ. Jean Lannes) (1769-1809წ.წ.) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე და სარდალი, ფონტენბლოს 1-ლი ჰერცოგი, იმპერიის მარშალი, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდისა და ნაპოლეონის ეპოქის ომების აქტიური მონაწილე. ნაპოლეონ ბონაპარტე მის შესახებ ამბობდა: „ლანს სიამაძვე ჰქუაზე მეტი ჰქონდა, მაგრამ წონასწორობის მისაღწევად მისი გონება დღითი-დღე იზრდებოდა. მე იგი პიემად აღმოვჩინე და გივანტად დავკარგე“. 1796-1797 წლების იტალიის კამპანიაში ლანმა ორჯერ იხსნა ნაპოლეონი სიკვდილისაგან. მისი სახელი ამოკვეთილია პარიზის ტრიუმფალურ თაღზე.

⁶²⁰ იოაკიმ (ჟოაკიმ) მიურატი (ფრანგ. Joachim Murat) (1767-1815წ.წ.) – ფრანგი სამხედრო მოღვაწე და სარდალი, ბერგის დიდი ჰერცოგი 1806-1808 წლებში და ნეაპოლის მეფე 1808-1815 წლებში, იმპერიის მარშალი, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდისა და ნაპოლეონის ეპოქის ომების აქტიური მონაწილე, კავალერიის სარდალი. ნაპოლეონ ბონაპარტეს სიძე, მისი უმცროსი ძის, კაროლინა ბონაპარტეს ქმარი. 1812 წლის დეკემბერში ნაპოლეონმა იგი გერმანიაში მოქმედი ფრანგული ჯარების მთავარსარდალად დანიშნა, მაგრამ მიურატმა მალე თვითნებურად დატოვა ეს თანამდებობა და სამხრეთ იტალიაში დაბრუნდა. 1814 წელს გადავიდა ნაპოლეონის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. 1815 წელს, ნაპოლეონის ხელისუფლებაში ტრიუმფალური დაბრუნების შემდეგ შეეცადა დაბრუნებულიყო მასთან, მაგრამ ნაპოლეონმა იგი აღარ მიიღო. ნაპოლეონი მის შესახებ ამბობდა: „არ არსებობდა მასზე უფრო გაბედული, უშიშარი და ბრწყინვალე კავალერიის მეთაური... იგი ჩემი მარჯვენა ხელი იყო, მაგრამ თავის თავს მიცემული, მთელ ენერგიას კარგავდა. იგი ყველაზე მამაცი ადამიანი იყო ვისაც კი ოღესმე ვიცნობდი. ბრძოლის ველზე ნამდვილი რაინდივით მოქმედებდა, მაგრამ კაბინეტში უტყვიო და მერყევი ბაქია იყო“.

⁶²¹ კარლ ფონ აუერშპერგი (გერმ. Karel von Auersperg) (1740-1822წ.წ.) – ავსტრიელი მხედართმთავარი, თავადი, ფელდმარშალ-ლეიტენანტი. სამხედრო სამსახურში შევიდა 1758 წელს. მონაწილეობდა ავსტრიის მიერ წარმოებულ ომებში. 1788-1790 წლებში მეთაურობდა პოლკს. 1790 წლიდან გენერალ-მაიორია. 1793 წელს ნიდერლანდებში მონაწილეობდა საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, სადაც ტყვედ ჩავარდა. 1795 წელს დაბრუნდა ავსტრიაში, 1796 წელს მიენიჭა ფელდმარშალ-ლეიტენანტის წოდება.

⁶²² ალექსანდერ პიერ ჟულიენ დე ბელიარი (ფრანგ. Alexandre Pierre Julienne de Bélair) (1747-1819წ.წ.) – საფრანგეთის რევოლუციის პერიოდისა და ნაპოლეონის ეპოქის ომების ერთ-ერთი სამხედრო მეთაური. პარიზის დაცვის რევოლუციური არმიის მთავარი სამხედრო ინჟინერი. ბრიგადის გენერალი 1793 წლიდან და ეროვნული გვარდიის პარიზის ლეგიონის მეთაური. შემდგომში ნაპოლეონ ბონაპარტეს „დიდი არმიის“ (Grande Armée) საინჟინრო სამსახურის უფროსი.

აძლევს პატიოსან სიტყვას, რომ საომარი მოქმედებები დასრულებულია და იგი ავსტრიელებს ნებას რთავს, დაბრკოლების გარეშე დაიხიონ უკან. მას ავსტრიული ბატარეის შენარჩუნება და ზარბაზნების დაუფლება სურს. აუერშპერგი მას უჯერებს. ეს არის ავსტრიელთა მიერ დაშვებული დაუჯერებელი შეცდომა, რომელიც რამდენიმე დღეში გადამწყვეტ როლს შეასრულებს აუსტერლიცთან⁶²³ ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებაში.⁶²⁴ ამ შეცდომის გამო, მოხუცებულ აუერშპერგს მოგვიანებით სამხედრო სასამართლოს წინაშე წარადგენენ და სიკვდილსაც მიუსჯიან, მაგრამ იმპერატორი მას შეიწყალებს. იგი საპყრობილეში გარდაიცვლება.

1941 წლის დეკემბერში ამერიკელებისთვის პერლ ჰარბორზე იაპონელების თავდასხმა ისევე მოულოდნელი იყო, როგორც 1944 წლის დეკემბერში, არდენზე, იგივე ამერიკელთა წინააღმდეგ გერმანელების მიერ განხორციელებული შეტევა. მაგრამ უკვე 1950 წელს ამერიკელები ახერხებენ ჩრდილოეთ კორეელებისათვის მსგავსი მოულოდნელი დარტყმის მიყენებას. სახიფათო ოპერაციის ჩასატარებლად სამოცდაათი ათასი ამერიკელი ჯარისკაცის გადმოსხმა ინჩონთან, მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში, მოსალოდნელი დამარცხების თავიდან აცილების გარანტი ხდება.

იომ-ქიფურის ომში, 1973 წელს, ისრაელის ქებული სადაზვერვო სამსახურები და მოსახლეობა სახტად დატოვა ეგვიპტელთა მიერ ომის დაწყებამ და სუეცის არხზე მათმა თავდასხმამ. ომის პირველ ეტაპზე ეგვიპტელებმა ისრაელის ნაქები სატანკო ბატალიონები გაანადგურეს. არავის არ სჯეროდა, რომ ეგვიპტელებს ომის დაწყებისა და წარმოების საშუალება ექნებოდათ. არადა, თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე, ებრაელების უდიდესი დღესასწაულის დროს, იომ-ქიფურის დღეს, ისრაელის კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსი მოსალოდნელი ომის საფრთხის არსებობაზე საუბრობდა.

5. ჯარების არასწორი წყობა

ომში დაშვებული შეცდომების რიცხვშია ასევე საბრძოლოდ გამზადებული ჯარების არასწორი გაშლა და მათი წყობა.

ძვ.წ. 216 წელს კანეს ბრძოლა ამ შემთხვევის კლასიკური მაგალითია. ვარონმა რომაელების ქვეითი ჯარი განალაგა ცენტრში, ერთ პირდაპირ ხაზზე და ღრმა ეშელონებად, ისე რომ ფრონტი სივანეში ბევრად უფრო მცირე იყო, ვიდრე სიღრმეში. იგი ვარაუდობდა, რომ ლეგიონერები ამ ხერხით ცენტრიდან ჰანიბალის კართაგენელების მიერ მოსალოდნელ დარტყმებს უკეთ შეაჩერებდნენ და შეძლებდნენ გარღვევის დაბრკოლებას. მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა – რომაელების ქვეითი ჯარის გადაადგილების უნარი და სამანევრო სივრცე უკიდურესად შეიზღუდა და მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ჯარისკაცმა შეძლო საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის მიღება, რომაელთა ჯარის უმეტესი მასა კი, უმოქმედო აღმოჩნდა.

1798 წლის აგვისტოში, ფრანგთა მიერ ნილოსის შესართავთან გამართული აბუ-ქირის ბრძოლა ნელსონის ფლოტის წინააღმდეგ სხვაგვარად წარიმართებოდა და სხვა შედეგებით დასრულდებოდა, საფრანგეთის ფლოტის ადმირალს სხვაგვარად რომ განელაგებინა თავისი ჩვიდმეტი სამხედრო გემი. მათ ლუზები ნახევარწრის ფორმის ყურეში

⁶²³ აუსტერლიცი – დღევანდელი სლავკოვ-ბრნა, ჩეხეთში, მდინარე ლიტავეზე გაშენებული პატარა ქალაქი.

⁶²⁴ აუსტერლიცის ბრძოლა – 1805 წლის 20 ნოემბერს ნაპოლეონის არმიის მიერ მესამე ანტიფრანგული კოალიციის ჯარების წინააღმდეგ აუსტერლიცთან გამართული ბრძოლა. ეს ბრძოლა ისტორიაში შევიდა აგრეთვე „სამი იმპერატორის ბრძოლის“ დასახელებითაც, იმდენად რამდენადაც იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ იბრძოდნენ ფრანც II-ის ავსტრიელთა არმია და ალექსანდრე I-ის რუსეთის არმია. ბრძოლა მოკავშირეთა გამანადგურებელი დამარცხებით დასრულდა. გავგამელასა და კანეს ბრძოლებთან ერთად აუსტერლიცის ბრძოლა შესულია სამხედრო ისტორიაში, როგორც რიცხობრივად აღმატებულ მოწინააღმდეგესთან მიღწეული გადამწყვეტი გამარჯვების მაგალითი.

სანაპიროდან მოშორებით ჩაუშვეს, ისე რომ რამდენიმე ბრიტანულმა გემმა მაინც შეძლო თავისუფალ სივრცეში გასვლა და ფრანგებზე ორი მხრიდან იერიშის მიტანა. შედეგად, ბრიტანელებმა ფრანგული ფლოტი გაანადგურეს.

1866 წელს ავსტრია იძულებული გახდა პრუსიელების წინააღმდეგ ორ ფრონტზე ებრძოლა, რადგან იტალიელები პრუსიელების მოკავშირეები იყვნენ. ავსტრიელმა ერცჰერცოგმა ალბრეხტმა, ნიჭიერმა და გამოცდილმა მთავარსარდალმა, სამოცდათხუთმეტი ათასი ჯარისკაცით უნდა შეინარჩუნოს სამხრეთის ფრონტი, სადაც თავი მოუყრია ას სამოცდათხუთმეტიათას იტალიელს ორი არმიით ვენეციის რეგიონის დასაპყრობად. მათ სარდლებს გენერლები ლამარმორა და ჩალდინი წარმოადგენენ. მაგრამ, რადგან აქვე იმყოფება იტალიის მეფე ვიტორიო ემანუელე II⁶²⁵ ჯართან ერთად, დასაწყისშივე გაურკვეველია, ვინ იქნება საბოლოოდ ორი მოკავშირე არმიის მთავარსარდალი. ისინი მარშირებენ არაკოორდინირებულად, არ აქვთ ერთმანეთთან სატელეგრაფო კავშირი და არ იციან, ზუსტად სად იმყოფება ავსტრიელთა არმია, ან რა აქვს მას განზრახული. იტალიელები წინ დაზვერვის გარეშე, თანაც არასწორი განლაგებით მიიწვევენ. საკავალერიო პოლკები არ იმყოფებიან წინ და არც ფლანგზე არიან განლაგებული, სადაც მათ შეეძლებათ მანევრის ორგანიზება. ისინი არიერგარდში იმყოფებიან.

სწორედ ეს არის იტალიელთა მიერ დაშვებული მთავარი და უპატიებელი შეცდომა. როდესაც კუსტოცთან ღია ფლანგზე მოულოდნელად ჩნდებიან ავსტრიელები და შეტევაზე გადადიან, გენერალი ლამარმორა სრულიად გაოგნებულია. მისი თორმეტი დივიზიიდან უმეტესობა საერთოდ არ არის მზად ბრძოლისთვის, არმიას კი არ ჰყავს დანიშნული ხელმძღვანელობა. ძალიან მოკლე დროში იგი სამიათას ხუთას კაცს კარგავს და ბრძოლაც მისთვის კატასტროფით მთავრდება. იტალიელები იარაღს ყრიან და ბრძოლის ველიდან გარბიან.

6. შეცდომის დაშვება მოწინააღმდეგის ჯარების ადგილმდებარეობის განსაზღვრაში

ასეთი შეცდომა, რაც მოწინააღმდეგის ჯარების ადგილმდებარეობის არასწორ განსაზღვრაში მდგომარეობს, რომელიც ხშირად არასათანადო დაზვერვითაა განპირობებული, უმეტესად დამლუპველია და ბრძოლის საბოლოო შედეგებიც მასზეა დამოკიდებული.

ანტიკური ხანიდან ამის კლასიკური მაგალითია ჰანიბალი და ძვ.წ. 217 წელს ტრაზიმენოს ტბის ბრძოლა, რომელიც უმბრიის რეგიონში, ტიბრის დასავლეთით, დღევანდელი ქალაქ პერუჯას მახლობლად მდებარეობს. ჰანიბალმა თავი დააღწია კონსულ ფლამინიუსის⁶²⁶ რომაული ლეგიონების დევნას და თავი შეაფარა ტბის ნაპირზე აღმართულ და ტყით დაფარულ ბორცვებს, რაშიც ხელს უწყობდა ასევე წყლის ზედაპირიდან წამოსული სქელი ნისლი. ჰანიბალის აფრიკულმა და იბერიულმა ჯარებმა რომაელებისგან შეუმჩნევლად ჩაკეტეს ხეობის შესართავი. ფლამინიუსს წარმოდგენა არა აქვს, სად იმყოფება მოწინააღმდეგის ჯარი. ჰანიბალი არ აგზავნის მზვერავს ტერიტორიის დასაზვერად, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ხილვადობა და ხეობის სივიწროვე მას სიფრთხილისკენ

⁶²⁵ ვიტორიო ემანუელე II (იტალ. Vittorio Emanuele II) (1820-1878წ.წ.) – სავოის დინასტიის დიდი იტალიელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, იტალიის მონარქი. სარდინიის სამეფოს (პიემონტი) მეფე 1849 წლიდან, ახალი დროის გაერთიანებული იტალიის პირველი მეფე 1861 წლიდან, დედაქალაქით ტურინი, 1865 წლიდან – ფლორენცია, 1871 წლიდან – რომი. დაკრძალულია რომის პანთეონში. მის საფლავს ამშვენებს წარწერა “Padre Della Patria” (სამშობლოს მამა).

⁶²⁶ გაიუს ფლამინიუსი (ლათ. Gaius Flaminius) (ძვ.წ. 260-217წ.წ.) – ძველი რომის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, II პუნიკური ომი მონაწილე. რომის კონსული ძვ.წ. 223-217 წლებში. ძვ.წ. 223 წელს მდინარე პოსთან განადგურა იტალიაში შემოჭრილი გალთა ერთ-ერთი ტომი. ძვ.წ. 220 წელს რომში ააშენა ცირკი და გაიყვანა გზა, რომელიც რომს არმიხუმთან აერთებდა ეტრურიისა და უმბრიის გავლით. მეორე პუნიკური ომის მსვლელობისას, ძვ.წ. 217 წლის 22 ივნისს, ჰანიბალის მიერ მოწყობილ ჩასაფრებაში მოყვა ტრაზიმენოს ტბასთან, სადაც მისი არმია განადგურდა, თვითონ კი დაიღუპა.

მოუწოდებს. რომაელები არხეინად მარშირებენ სანაპიროს გასწვრივ და ჩასაფრებისკენ, საკუთარ მარცხთან შესახვედრად დაჟინებით მიემართებიან. ჰანიბალის ჯარისკაცები მოულოდნელად გამოდიან ტყიდან, ჩამოდიან გორაკიდან და ერეკებიან რომაელებს ტბისკენ, სადაც ძალიან ბევრი იხრჩობა. რომაელთა თითქმის ოთხი ლეგიონი ნადგურდება. ბრწყინვალე გამარჯვება ჰანიბალს რჩება.

1866 წლის ივლისში ავსტრიელმა მხედართმთავარმა ბენედეკმა,⁶²⁷ პრუსიელების წინააღმდეგ კონიგრაჰთან გამართული ბრძოლა თითქმის მოიგო. მან წარმატებით მოიგერია მოწინააღმდეგის შეტევა, მაგრამ კონტრიერიშზე გადასვლის ნაცვლად თავდაცვით პოზიციებზე დარჩა, რათა პრუსიელები თანდათან გაენადგურებინა თავისი არტილერიით. იგი ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ დიდი დრო აქვს მოპოვებული უპირატესობის რეალიზაციისათვის და პრუსიის მომავალი მეფის, კრონპრინც ვილჰელმის მე-2 არმია ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა მარჯვენა ფლანგისგან. მაგრამ ბენედეკი ცდება. ვილჰელმის არმია მას ფორსირებული მარშით უახლოვდება და ბევრად უკეთაა გარკვეული სიტუაციაში, ვიდრე ეს ბენედეკს წარმოუდგენია გადაწყვეტილების მიღებისას. კრონპრინც ვილჰელმის პრუსიელთა მე-2 არმია ბრძოლაში ებმება და ბრძოლაც ავსტრიელებისათვის არასახარბიელოდ ვითარდება. საბოლოოდ, ისინი მარცხდებიან.

1905 წლის მაისში, რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობისას, საბრძოლოდ გაწყობილი რუსული ფლოტი ინდოეთის ოკეანიდან ვლადივოსტოკისაკენ, ცუშიმასკენ მიემართება, თუმცა რუსმა ადმირალმა როუესტვენსკიმ ზუსტად არ იცის, სადაა განლაგებული იაპონელთა ფლოტი. ამით იაპონელი ადმირალი ტოგო ტაქტიკურ უპირატესობას იღებს, რათა იაპონელთა სახაზო გემებმა საზღვაო ბრძოლის კლასიკური მანევრი „T-სებრი კვეთა“ შეასრულონ და რუსულ ფლოტს გადაუკეტონ გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ისინი ბორტებიდან ცეცხლს უხსნიან კილვატერული წყობით მომავალ რუსულ გემებს, რომელთაგან თითქმის ყველა იღუპება.

7. ბუნებრივი პირობების არასწორი შეფასება

ბუნების ძალების ზემოქმედება და მისი არასწორი შეფასება ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბრძოლის მიმდინარეობაზე და ზოგჯერ მის შედეგებზეც კი. ფართო გაგებით კი, ამ ფაქტორს შეგვიძლია მივაკუთვნოთ კლიმატური პირობებით გამოწვეული დაავადებები.

ძველი წელთაღრიცხვის 331 წელს გავგამელას ბრძოლა მეტისმეტად „მტვრიან ადგილმდებარეობაზე“ ჩატარდა. როდესაც სპარსელთა მეფე დარიოსი⁶²⁸ ძალიან მშრალ ტერიტორიაზე აგზავნის თავის რიცხოვრივად ბევრად აღმატებულ სპარსელ ცხენოსნებსა და საბრძოლო ეტლებს ალექსანდრე მაკედონელის ცენტრზე თავდასხმისთვის, იგი არ ითვალისწინებს ბრძოლის დროს ჰაერში ავარდნილი ბულის ფაქტორს. ავარდნილი მტვრის

⁶²⁷ ლუდვიგ ავგუსტ რიტერ ფონ ბენედეკი (გერმ. Ludwig August Ritter von Benedek) (1804-1881წ.წ.) – უნგრული წარმოშობის ავსტრიელი მხედართმთავარი, ფელციხმაისტერი. ასევე ცნობილია ლაიოშ ბენედეკის სახელით. 1840 წლიდან მაიორი და მთავარსარდლის ადიუტანტია გალიციაში, 1846 წლიდან პოლკოვნიკია, ხოლო 1849 წლიდან – გენერალი. 1857 წლიდან კორპუსის სარდალი. 1859 წლიდან გენერალ-ფელციხმაისტერი და ავსტრიის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი. პრუსიასთან ომის დაწყებისას დაინიშნა ბოჰემიაში გაშლილი ავსტრიელთა ჩრდილოეთის არმიის სარდალად. 1860 წლიდან უნგრეთის გენერალ-გუბერნატორია. 1866 წლის 3 ივნისს კონიგრაჰთან განცდილი მარცხის შემდეგ, მოხერხებული მანევრებით შეძლო თავისი არმიის ნაწილის გადარჩენა სრული განადგურებისაგან. იგი დაუყოვნებლივ იქნა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან, მისი ადგილი კი ერცჰერცოგ ალბრეხტმა დაიკავა. თავის გენერლებთან ერთად მისი საქმე გადაეცა სამხედრო სასამართლოს, თუმცა მოგვიანებით იმპერატორის განკარგულებით საქმის წარმოება შეწყდა.

⁶²⁸ აქ აქემენიდების დინასტიის სპარსეთის მეფე დარიოს III-ზეა საუბარი, რომელიც სპარსეთს ძვ.წ. 336-330 წლებში მართავდა. გავგამელას ბრძოლაში ალექსანდრე მაკედონელთან დამარცხებული და დევნილი დარიოს III მოკლულ იქნა საკუთარი სატრაპების მიერ დღევანდელი ირანის ისპაჰანის პროვინციაში, ქალაქ ნეთენთან.

გამო რამდენიმე მეტრზე შეზღუდული ხილვადობა აბრკოლებს სპარსელთა კომუნიკაციას და ჯარების მართვას ისე, რომ საბრძოლო ეტლების შეტევა მხარდაჭერის გარეშე რჩება.

1336 წლის აგვისტოს ძლიერი წვიმების შედეგად დარჩენილია სინესტე, მისგან მომდინარე საფრთხეს კი არასწორად აფასებენ ფრანგი რაინდები კრესის ბრძოლის წინ. ისინი ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის არიან შემართულები. ამ დროს კი, ფრანგების მოკავშირე შიშის მომგვრელი გენუელი მეარბალეტების არბალეტის ლამბები ისე დატენიანდა, რომ მათი დრეკადობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოქმედების სიშორე შემცირებულია, ხოლო არბალეტის ისრები კვლავ აღწევენ ინგლისელების პოზიციებამდე. ასე, რომ მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ინგლისელები წარმატებულ კონტრეირიშზე გადადიან. საერთო ჯამში, კრესის ბრძოლა ინგლისელების გამარჯვებით სრულდება.⁶²⁹

ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ბრიტანეთი ნიდერლანდებში 1809 წელს 616 გემით სამოცდაათი ათასი საუკეთესოდ მომზადებული ჯარისკაცისგან შემდგარ საექსპედიციო კორპუსს აგზავნის. ამ უდიდესი სადესანტო ოპერაციით პირველ რიგში დაგეგმილია შელდაზე მდგომი ფრანგული ფლოტის განადგურება და ღუნაიზე ფრანგების წინააღმდეგ უძედოდ მებრძოლი ავსტრიელების დახმარება მეორე ფრონტის გახსნით. მაგრამ ინგლისელები უარს ამბობენ სათანადო სამედიცინო ზომების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველასათვის ცნობილია კუნძულ ვალხერენზე გაბატონებული არაჯანსაღი კლიმატის შესახებ. დაბლობ, ზღვისგან მოწყვეტილ ადგილზე გადაჭიმულია ჭაობიანი ტერიტორია აყროლებული გუბეებით, რომელზეც კოლოების გუნდი ირევა.

1809 წლის აგვისტო ცხელი და ავღრიანია, ჭაობებზე კი, სქელი ნისლი დევს. შელდას შესართავთან გადმოსხმისას ინგლისელები აინუნშიც არ აგდებენ უამრავ კოლოს, რომლებიც მათ კბენენ და თავს აბეზრებენ. მათ არ იციან, რომ ისინი მალარიის გადამტანები არიან. მაშინ ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ დაავადების გავრცელებაში დიდ როლს ცუდი ჰაერი ასრულებდა, აქედან გამომდინარეობს ამ დაავადების სახელწოდებაც. ასეთ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი ბრიტანელი ჯარისკაცები მალალი სიცხითა და ძლიერი წყურვილით იტანჯებიან. ჭაობის ციებ-ცხელება, მალარია, მებრძოლთა რიგებს ცელავს. 6 აგვისტოს ექვსას ოთხმოცდარვა ადამიანია დაავადებული, 3 სექტემბერს კი მათი რაოდენობა 8195-დღე იზრდება. მართალია ბრიტანულ კორპუსს თან რამდენიმე ექიმი ახლავს და ცოტაოდენი ქინაქინაც აქვთ წამოღებული, მაგრამ ეს საჭმეს ვერ შევლის. უკვე ოქტომბრისათვის ვალხერენზე განთავსებული ორმოცი ათასი ჯარისკაციდან, რომელიც ბრიტანეთის არმიის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს, ბრძოლისუნარიანი მხოლოდ ხუთი ათას ექვსას თექვსმეტი რჩება.

საბოლოოდ, ფრანგებთან გამართულ ბრძოლაში მხოლოდ ასევესი ბრიტანელი ჯარისკაცი იღუპება, „შელდას ციებ-ცხელებისგან“ კი, ოთხი ათასზე მეტი. კატასტროფით დასრულებული ვალხერენის ექსპედიციის განადგურება წარმოადგენს უადვილეს გამარჯვებას, რაც კი ოდესმე მოუპოვებია ნაპოლეონს მნიშვნელოვანი რაოდენობის მოწინააღმდეგის ძალებზე. მაგრამ სამი წლის შემდეგ თვითონ ნაპოლეონი შეცდება ბუნებრივი პირობების შეფასებაში. 1812 წელს რუსეთზე გალაშქრებისას ის არაფრად აგდებს გაფრთხილებას, რომ საჭიროა ყურადღების გამახვილება პოლონეთში არსებულ სრულიად დაბინძურებულ რაიონზე, სადაც ტიფის ეპიდემიის გავრცელების საფრთხე არსებობს.

⁶²⁹ კრესის ბრძოლაში დადასტურდა ინგლისური გრძელი მშვილდის სრული უპირატესობა მძიმედ შეჭურვილი რაინდების წინააღმდეგ და დაიმსხვრა მითი რაინდის სრული უპირატესობის შესახებ მსუბუქ ქვეითებთან ბრძოლაში, მაგრამ კრესის ბრძოლით რაინდთა ეპოქა არ დასრულებულა – სამხედრო ისტორიკოსთა დასკვნებით, იგი შუა საუკუნეების რაინდთა ეპოქის დასასრულის დასაწყისი გახდა მხოლოდ. ამ დასკვნას ჩვენც ცალსახად ვეთანხმებით. 1346 წლის 26 აგვისტოს კრესის ბრძოლის შედეგი კი ის იყო, რომ ცხენოსან ფრანგ რაინდებზე ინგლისელი მშვილდოსნების გამარჯვებამ, ინგლისი მთელი 100 წლით ყველაზე ძლევამოსილ დასავლეთევროპულ სახელმწიფოდ აქცია. რაინდთა ინსტიტუტი კი, საბოლოოდ, 1415 წლის 25 ოქტომბრის აზენკურისა და 1525 წლის 24 თებერვლის ფავიას ბრძოლებით დასამარდა.

1812 წლის ზაფხული უჩვეულოდ ცხელი და მშრალია. პოლონეთის ჭებში წყალი დაბინძურებულია. დაავადების ტიპი, რომელიც მკებნარებს გადააქვთ, ძალიანაა გავრცელებული იმ სოფლებსა და ქალაქებში, სადაც ფრანგების „დიდმა არმიამ“ უნდა გაიაროს. მდინარე ნემანის გადალახვისას პირველი შემთხვევები იჩენს თავს, ივლისის ბოლოსათვის კი, დაახლოებით ოთხმოცი ათასი ადამიანი ავადდება და იღუპება. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონი არ ჩერდება დაპყრობილ სმოლენსკში, როგორც ამას თავისი მარშლები ურჩევენ. იგი არასათანადოდ აფასებს დაავადებას, ისევე როგორც ქვეყნის სიდიდეს და ჯარისკაცებს არ აძლევს დასვენების საშუალებას – მას სურს ზამთრის დადგომამდე შევიდეს მოსკოვში.

სექტემბრის თვეში მისი ნახევარმილიონიანი „დიდი არმია“ უკვე ასსამოც ათასამდე მცირდება. ხოლო მოსკოვთან მიახლოებისას მას მხოლოდ და მხოლოდ ოთხმოცდათხუთმეტი ათასი ჯანმრთელი ჯარისკაცი ჰყავს. მისი საბოლოო დამარცხება უკვე ბოროდინოს ბრძოლის წინაა გადაწყვეტილი. ძალიან ადრე დაწყებულ ცივ რუსულ ზამთარს შედეგად კატასტროფა მოსდევს. სალაშქრო კამპანიის დასრულებისას ნაპოლეონის განკარგულებაში მხოლოდ ათი ათასი ჯარისკაციღა რჩება, რომელთაც ბრძოლა ჯერ არ წაუგიათ და ჯერ კიდევ შეუძლიათ იარაღის ტარება. ბუნების ძალებისა და კლიმატური პირობების არასწორმა შეფასებამ ისტორიაში ფრანგთა უდიდესი მარცხი განაპირობა.

8. არასწორი სტრატეგია

ცნობილი ფაქტია, რომ არა მხოლოდ ცალკეული ბრძოლების, არამედ მთლიანად საომარი კამპანიებისა და ომების წაგებაა შესაძლებელი არასწორად შერჩეული სტრატეგიების გამო. ამ მოსაზრების ტიპიური მაგალითია I მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე 1916 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე მიმდინარე ვერდენის ბრძოლა. გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ფალკენჰაინი შეტევის გეგმას საფუძვლად უდებს იდეას, რომ საჭიროა ფრანგული არმიის დაუძლურება მისთვის აუნაზღაურებელი ზარალის მიყენებით. ძალების სრულ დასუსტებამდე ამ საომარი კამპანიის მიზანი არის არა ახალი ტერიტორიების დაპყრობა, არამედ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის და რესურსებისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენება, მისი გამოფიტვა და საბრძოლო სულისკვეთების დაცემა. მაგრამ ფალკენჰაინის გეგმა არ ამართლებს – გერმანელების მიერ განცდილი უძძიმესი დანაკარგები თითქმის ისეთივე დიდია, როგორც ფრანგული მხარისა. კამპანიის საბოლოო მიზნის აღსრულებას – ვერდენის დაპყრობას კი, გერმანელები მაინც ვერ ახერხებენ.

II მსოფლიო ომის დროს, „ბრიტანეთისათვის ბრძოლის“ საჰაერო კამპანიაში, რომელიც 1940 წლის სექტემბერში მიმდინარეობდა, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები კამპანიის მსვლელობისას ცვლიან თავიანთ სტრატეგიას და თავს ესხმიან ლონდონს, იმის მაგივრად, რომ გააგრძელონ წარმატებული შეტევები ინგლისის აეროდრომებზე, რადიოლოკაციურ სადგურებსა და სამრეწველო ინფრასტრუქტურაზე. ლონდონთან ერთად გერმანული ავიაციის მიერ ინგლისის სხვა ქალაქებიც იბომბება. ასეთი მოქმედებით გერმანელები ცდილობენ, სამაგიერო გადაუხადონ ბრიტანელებს გერმანული ქალაქების დაბომბვისათვის. მაგრამ გერმანელთა მიერ გატარებული ეს სტრატეგია შეცდომა იყო. მან სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. გერმანელთა ავიაცია დიდ დანაკლისებს განიცდის და საბოლოოდ, „ბრიტანეთისთვის ბრძოლა“ ინგლისელების სასარგებლოდ სრულდება. გერმანელები მარცხდებიან.

დასკვნა

ომში დაშვებული შეცდომების სიმრავლიდან, ასევე მისგან გამომდინარე გამარჯვებებისა და დამარცხებების მიზეზების საერთო ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნის გაკეთება შესაძლებელია, რაც ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ ჩამოაყალიბა პლუტარქემ კიმბრებისა და ტევტონების შესახებ თავის გამონათქვამში: „არსებობს ძალაუფლება, რისი ნებითაც იღბალი და უიღბლობა ადამიანების ბედისწერას ცვლის.“ ამ თვალსაზრისით, ადამიანთა მიერ ომებში შეცდომების დაშვება საბედისწერო, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

ერთი რამ აშკარაა. მომავალ ათწლეულებსა და საუკუნეებში, ახალ-ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გამო საფუძვლიანად შეიცვლება ომების წარმოების ხერხები და საშუალებები. ჯერ კიდევ სპარსეთის ყურეში ჩატარებულმა უკანასკნელმა ომებმა გვიჩვენა, რომ ადამიანის ხელი კი არ განსაზღვრავს უახლესი ტიპის იარაღის მართვას და რაკეტების მოძრაობას, არამედ ზემაღალი სიზუსტის ელექტრონული მოწყობილობები და ფრჩხილის სიგრძის მიკროჩიპები. დიდი ალბათობით, მოვა დრო, როცა ადამიანის ბუნებრივ ინტელექტს დაეწევა ხელოვნური ინტელექტი და, შესაძლებელია გაუსწროს კიდევაც მას. დამოუკიდებლად მოაზროვნე რობოტები, რომლებიც მოკლებულნი არიან ადამიანურ გრძნობებს, სისუსტეებსა და სათნოებებს, მომავალში წარმართავენ ომებს კოსმოსური სივრცის ახალ საბრძოლო ველებზე და განზომილებებში. სავარაუდოდ, ისინი ნაკლებ შეცდომებს დაუშვებენ ანდა საერთოდ გამორიცხავენ შეცდომების დაშვების ალბათობას. ტიპიური ადამიანური შეცდომები, რომლებიც აქ არის ჩამოთვლილი, მომავლის ომებში აღარ იარსებებს.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ ომი თავისთავად ეწინააღმდეგება ადამიანთა საზოგადოების კეთილდღეობას, თუმცა ნაკლებად არსებობს იმის იმედი, რომ მომავალში კაცობრიობა უარს იტყვის ომზე.

ოსვალდ შპენგლერი, თავის ნაშრომში „პოლიტიკის ფილოსოფია: ევროპის დაისი“, ომის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ხალხთა შორის „ბუნებრივ, რასობრივ განსხვავებებს“ მიიჩნევს, როგორც „ცოცხალი ადამიანების ურთიერთობის საფუძველს“. მისი შეხედულებით, მსოფლიო მშვიდობა სხვა არაფერია, თუ არა „მთელი კაცობრიობის დამონება მცირე რაოდენობის მმართველობისადმი, გადამწყვეტი ბუნებრივი ძალის გაბატონებისათვის“. ერთობ უიმედო დასკვნებია. და მიუხედავად ამისა, შესაძლოა ამ პესიმისტურ თვალსაზრისშიც იმალებოდეს ადამიანის მიერ დაშვებული კიდევ ერთი დიდი შეცდომა და ერთ მშვენიერ დღესაც ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი შეიცვალოს – ყველა ომს მარადიული, ხანგრძლივი მშვიდობა ჩაენაცვლოს. ამას მომავალი გვიჩვენებს.

რედაქტორის ბოლოთქმა

ჩვენს მიერ წარმოდგენილი წიგნის „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია – სალამინიდან ერაყის ომამდე“ დასკვნით ნაწილში, მისი ავტორი, ჰანს-დიტერ ოტო წერს: „ერთი რამ აშკარაა. მომავალ ათწლეულებსა და საუკუნეებში, ახალ-ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გამო საფუძვლიანად შეიცვლება ომების წარმოების ხერხები და საშუალებები. ჯერ კიდევ სპარსეთის ყურეში ჩატარებულმა უკანასკნელმა ომებმა გვიჩვენა, რომ ადამიანის ხელი კი არ განსაზღვრავს უახლესი ტიპის იარაღის მართვას და რაკეტების მოძრაობას, არამედ ზემალაღი სიზუსტის ელექტრონული მოწყობილობები და ფრჩხილის სიგრძის მიკროჩიპები. დიდი ალბათობით, მოვა დრო, როცა ადამიანის ბუნებრივ ინტელექტს დაეწევა ხელოვნური ინტელექტი და, შესაძლებელია გაუსწროს კიდევ მას. დამოუკიდებლად მოაზროვნე რობოტები, რომლებიც მოკლებულნი არიან ადამიანურ გრძნობებს, სისუსტეებსა და სათნოებებს, მომავალში წარმართავენ ომებს კოსმოსური სივრცის ახალ საბრძოლო ველებზე და განზომილებებში. სავარაუდოდ, ისინი ნაკლებ შეცდომებს დაუშვებენ ანდა საერთოდ გამორიცხავენ შეცდომების დაშვების ალბათობას. ტიპიური ადამიანური შეცდომები, რომლებიც აქ არის ჩამოთვლილი, მომავლის ომებში აღარ იარსებებს“.

ავტორის მიერ გამოტანილი ეს დასკვნები, საკამათოა. დასმული პრობლემა კი, მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი.

დაწყებული XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, კაცობრიობამ ისე შეაბიჯა ახალი თაობის ომების ეპოქაში, რომ თვითონაც ვერ მოასწრო იმის გააზრება, თუ რამდენად განსხვავებულ სივრცესა და რეალობაში აღმოჩნდა იგი. სპარსეთის ყურის ომებმა აჩვენეს, რომ ძალაღი ტექნოლოგიებით აღჭურვილმა სამხედრო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივი სამხედრო უპირატესობა მოიპოვეს მოწინააღმდეგე მხარეზე და მოკლე დროში გადაწყვიტეს მათ წინაშე მდგარი საბრძოლო ამოცანა. აქ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კოალიციური ჯარების მოქმედებებზეა საუბარი. სულ მოკლე ხანში კი, კომენტატორები სამხედრო ისტორიკოსებისათვის კარგად ცნობილ ფენომენზე – პარადიგმულ არმიასა და „სამხედრო საქმეში ახალ რევოლუციას“ ალაპარაკდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ მოძღვრებას, რომ „რევოლუცია სამხედრო საქმეში, ორგანიზაციული, დოქტრინალური და ტექნოლოგიური ინოვაციების რთული, კომპლექსური ერთიანობაა ომის ან საომარი კამპანიების კონცეპტუალურად ახალი სისტემით წარმოებისათვის“, თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო, კომენტატორები სწორად ანალიზებდნენ მიმდინარე მოვლენებს და კაცობრიობა მართლაც ახალი, რიგით მეექვსე სამხედრო რევოლუციის კარიბჭესთან იდგა.

ზოგმა ავტორმა ახალი სამხედრო რევოლუციის უფრო დაზუსტებული და თანამედროვე ომების წარმოების პარადიგმული წესის ადაპტირებული განმარტებაც შემოგვთავაზა. ისინი „სამხედრო საქმეში რევოლუციის“ განმარტებას ასე აყალიბებდნენ, რომ ეს იყო „სამხედრო-ტექნიკური რევოლუცია, შერწყმული მეთვალყურეობასთან, C3I სისტემასთან, პრეციზიულ სამხედრო

აღჭურვილობასა და ახალ ოპერატიულ კონცეფციასთან, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ომს და უწყვეტ და სწრაფ მოქმედებას საომარ მოქმედებათა მთელ თეატრზე”. C3I ინგლისური აბრევიატურაა და იგი ასე იშიფრება: C3, ანუ, სამი C კომპონენტი (Command, Control, Communication) – მართვა, კონტროლი და კავშირგაბმულობა, ხოლო მეოთხე ელემენტი – I, (Intelligence) დაზვერვა, სადაზვერვო ინფორმაციაა.

არავინ დავობს იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია სრულყოფილი, სანდო და დამაჯერებელი ინფორმაციის ფლობა; მაგრამ დასმული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება და ფლობა არ არის საკმარისი. მისი რეალიზაცია ომებისა და საომარი კამპანიების დაგეგმვის, მართვა-კონტროლისა და აღსრულების მთელ კონცეპტუალურ ჯაჭვს მოიცავს:

– მოწინააღმდეგის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ „სამიზნეებზე” ორიენტირებული ყოველმხრივი სადაზვერვო სისტემის გამართული მუშაობა შესაბამისი უკუქმედებების აღკვეთით;

– მოწინააღმდეგის C3I სისტემის მოშლა და მასზე მანიპულაცია;

– მოწინააღმდეგე მხარის მაღალი ღირებულების სამიზნეების აღმოჩენა-სროლის ინტეგრირებული სისტემები;

– მოქნილი საინფორმაციო-სადაზვერვო მონაცემთა ბაზა;

– ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სიმულაციური სისტემები;

1999 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი, ტეხასის შტატის გუბერნატორი, ჯონ უოლკერ ბუში უმცროსი აცხადებდა: „ომის წარმოების პროცესში ჩვენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მოწმენი ვართ. ძალა სულ უფრო მეტად და მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ მისი სიდიდით, არამედ მობილურობითა და სიჩქარით, მისი მიზანსწრაფულობით. ზემოქმედება ინფორმაციულობით იზომება, უსაფრთხოება მოხერხებულობით მიიღწევა... და ჯარები ახდენენ მაღალი სიზუსტის მართვადი იარაღის ძალის დემონსტრირებას”.

აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი თანამედროვე ომებში წარმატების მიღწევის საქმეში უახლესი ტექნოლოგიების დომინანტურ ფაქტორს უსვამდა ხაზს. მაგრამ დაფიქრდეთ, ნუთუ მხოლოდ ეს არის საკმარისი სამხედრო რევოლუციის დადგომისა და ომში გამარჯვების მისაღწევად? ნუთუ ადამიანური ფაქტორი უკვე მეორე პლანზე გადავიდა და მალე ომების წარმოება რობოტების საქმე იქნება, რომლებიც „ნაკლებ შეცდომებს დაუშვებენ ანდა საერთოდ გამორიცხავენ შეცდომების დაშვების ალბათობას”, როგორც ამას წინამდებარე წიგნის ავტორი აცხადებს?

თუ ზემოთ მოყვანილ სამხედრო რევოლუციის კლასიკურ განმარტებას ჩაუვლრმავდებით, მასში სამი ძირითადი კომპონენტია ხაზგასმული – ტექნოლოგიური განვითარება, დოქტრინული (ან ოპერატიული) ინოვაცია და ორგანიზაციული ადაპტაცია; ვერც ერთ ამ კომპონენტში ვერ უკუვაგდებთ

ადამიანის ფაქტორის გადამწყვეტ მნიშვნელობას. ჩვენი ეს მოსაზრება განსაკუთრებით ბოლო ორ კომპონენტს ეხება.

ცნობილი ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსები და ანალიტიკოსები, უილიამსონ მურეი და მაკგრეგორ ნოქსი ერაყის ომისა და მასში კოალიციური ჯარების დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ამბობდნენ: „უმნიშვნელოვანესი მიზეზი კოალიციური ჯარების გამარჯვებისა ძვეს დასავლეთის სამხედრო მანქანის ეფექტურობაში, რომელიც პირველად რომაელების მიერ, ხოლო XVII საუკუნეში ხელმეორედ იქნა აღმოჩენილი ევროპელების მიერ. ახალგაზრდა მებრძოლთა დისციპლინირებული საბრძოლო შენაერთები ხასიათდებოდნენ შეკრულობითა და ერთმანეთზე დამოკიდებულებით. მათი გამარჯვება კი, ერთმანეთისა და მეთაურთა მიმართ რწმენამ განსაზღვრა. შედეგად კი მივიღეთ შენაერთები, რომლებიც ემორჩილებიან არა მარტო საკუთარ მეთაურებს, არამედ სამოქალაქო ხელისუფლებასაც“.

რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ამ დასკვნას. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ადამიანურ ფაქტორებზეა აქცენტები გაკეთებული, არამედ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ აქ ისტორიისა და ისტორიული გამოცდილების მნიშვნელობაა ხაზგასმული.

უპირველეს ყოვლისა, ვერავითარი რეკოლუცია ვერ მიიღწევა წარსულის სამხედრო კონცეფციებისა და შესაძლებლობების შესწავლის გარეშე – კერძოდ, უახლოესი წარსულის შესწავლის გარეშე. არ უნდა ვიფიქროთ, რომ წარსული მომავლისათვის გვთავაზობს ჩვენი შემდგომი მოქმედებების უნივერსალურ ალგორითმს ან რაიმე ისეთს, რაც უკუნში სინთლის უეცარ გამონათებას ჰგავს. მაგრამ ერთი რამ აშკარაა – ის სამხედრო ორგანიზაციები, რომლებმაც წამატებით განახორციელეს სამხედრო საქმეში რეკოლუცია, წარსულის რეალისტურ გაგებასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

მეორე – არ უნდა გვჯეროდეს, რომ ახალი კონცეფციები ან შესაძლებლობები უარყოფენ ომის ბუნების ფუნდამენტურ გაგებას. ომის ბურუსი, გაურკვევლობა და შემთხვევითობა ისევე დამახასიათებელი იქნება მომავალი ეპოქებისა და მომავლის ომებისათვის, როგორც ეს წარსულში იყო. ისტორია, ეჭვს გარეშეა, ითვალისწინებს ამ გამოცდილებას და თავისი ამოუწურავი მარაგიდან უამრავ საგულისხმო მაგალითს გვთავაზობს. მათთვის კი, ვინც ისტორიას სკეპტიკურად უყურებს, აღვნიშნავთ, რომ მეცნიერების ისეთი დარგები, როგორცაა ევოლუციური ბიოლოგია, კვანტური ფიზიკა და უთანამედროვესი მეთოდოლოგიით ჩატარებული ბირთვული კვლევები და ემპირიული დაკვირვებები – კიდევ ერთხელ ამტკიცებენ იმას, რომ სავსებით სწორი იყო კლაუზევიცის ძირეული წრმოდგენა იმის შესახებ თუ როგორაა მოწყობილი სამყარო.

და ბოლოს, მესამე... მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიები მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტი და წინაპირობაა სამხედრო რეკოლუციისთვის, იგი მაინც მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტს წარმოადგენს ადამიანების ხელში. თუ მას დაუუკავშირებთ წარსულისა და აწმყოს ნათლად გაგებას, ალბათ შევძლებთ გონივრული ბიძგი მივცეთ ჩვენში არსებულ შესაძლებლობებს და

ამით მართლაც გავიღეთ მოწინავე პოზიციებზე, იქნებ, შემდეგ სამხედრო რევოლუციასაც კი. ხოლო თუ უარგყოფთ ისტორიას და მის სწავლებას, გაურკვეველ და ბუნდოვან მომავალში გადავაბიჯებთ. და შესაძლებელია ისეთივე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა უბრალო რიგითი ჯარისკაცი პირველი მსოფლიო ომის ჯოჯოხეთის დროს.

ერთი რამ კი, დღესავით ნათელია და არა მგონია ეს საკითხი ვინმეში, თუნდაც ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ოპონენტში იწვევდეს ეჭვს. დღეისათვის საკამათო თემას არ წარმოადგენს ის ჭეშმარიტება, რომ მუდმივი და მარადიული პარადიგმული არმიები არ არსებობენ. ასევე არ არსებობენ ომებისა თუ ბრძოლების წარმოების უცვლელი პრინციპები. მიუხედავად უახლესი ტექნოლოგიების განვითარებისა და ახალი საომარი განზომილებების გაჩენისა, დღესაც ადამიანი, წმინდათ ადამიანური ფაქტორი გამოდის წინა პლანზე და სწორედ იგი წარმოადგენს ამა თუ იმ ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში დომინანტ მოთამაშეს, მის მთავარ ფიგურას. სულ უკანასკნელ ხანს, მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები და სამხედრო კონფლიქტების სპეციფიკა ცალსახად მეტყველებენ ამაზე – ადამიანთა ჯგუფები და მარტივი სამხედრო ორგანიზაციები უახლეს ტექნოლოგიებსა და უმძლავრეს სამხედრო ორგანიზაციებს უპირისპირდებიან. შეიძლება ითქვას, რომ დღეს, XXI საუკუნეში უკვე ადამიანთა ჯგუფები და ცალკეული ინდივიდებიც კი ითავსებენ სამხედრო ორგანიზაციის ფუნქციებს. საუბარი ომების მეოთხე თაობასა და თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე ჰიბრიდულ და ასიმეტრიულ ომებზე გვაქვს, სადაც კარგად იკვეთება ადამიანური ფაქტორის გადამწყვეტი როლი.

თავის დროზე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, დიდი პრუსიელი მოაზროვნე და სამხედრო სტრატეგოსი, თანამედროვე სამხედრო აზრისა და კონცეფციების, და დღევანდელი გენერალური შტაბის შემქმნელი, გენერალ-ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე ამბობდა, რომ „გამარჯვების არსი არა იარაღში, არამედ იმ ადამიანში უნდა ვეძებოთ, ვისაც ეს იარაღი უპყრია ხელთ“.

თანამედროვე ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი სახეობის – პარტიზანული ომის თეორიული საფუძვლების შემქმნელი, თანამედროვეობის დიდი სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ახალი ჩინური სახელმწიფოს ფუძემდებელი და მეთაური, მაო ძედუნი კი, აცხადებდა: „ხშირად ამბობენ, რომ პარტიზანული ბრძოლა პრიმიტიულია. ეს სახიფათო განზოგადებაა, რომელიც მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისითაა სამართლიანი. თუ სურათს მთლიანობაში შევხედავთ, პარადოქსი მაშინვე ცხადი გახდება. ხოლო გარეგნული პრიმიტიულობა გაცილებით უფრო რთულად მოგვეჩვენება, ვიდრე ატომური ან ისეთი სახის ომი, რომელშიც სახმელეთო ჯარებთან ერთად საზღვაო და საჰაერო ძალებიც მონაწილეობენ. პარტიზანული ბრძოლა არ არის დამოკიდებული რთული მექანიკური მოწყობილობების გამართულ მუშაობაზე, ორგანიზებულ ლოჯისტიკასა და ელექტრონული სისტემების

სიზუსტეზე. პარტიზანული ბრძოლა შესაძლებელია ნებისმიერ რეგიონში, ნებისმიერი კლიმატისა და ამინდის პირობებში, ნებისმიერ რელიეფსა და ლანდშაფტზე, მთაში და ბარში, ტყეში, ჭაობებში, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. ამ ბრძოლის ძირითადი ელემენტი ადამიანია. იგი გაცილებით უფრო რთული ქმნილებაა, ვიდრე მის მიერ შექმნილი რომელიმე მანქანა – იგი დაჯილდოებულია აზროვნების უნარით, აქვს ემოციები, ნებისყოფა... ამიტომ პარტიზანული ბრძოლა ადამიანის როგორც დადებით, ასევე უარყოფით თვისებებს ემყარება. ამგვარი ბრძოლა ყოველთვის ჰუმანური როდია, თუმცა – ადამიანურია. ეს კი იმაზე გაცილებით მეტია, რაც ადამიანების ურთიერთგანადგურების სტრატეგიის შესახებ შეიძლება ითქვას”.

სრულად ვიზიარებთ ზემოთ მოყვანილ ავტორთა მოსაზრებებს და კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ მომავლის ომებშიც, რომელ სივრცეში და განზომილებაშიც არ უნდა წარიმართოს იგი, როგორც წარმატების, ასევე წრუმატებლობის განმსაზღვრელი მთავარი ელემენტი, ისევ და ისევ ადამიანი და ადამიანური ფაქტორი იქნება...

იმაში კი ნამდვილად ვეთანხმებით წიგნის ავტორს, რომ კომენტატორთა მიერ გამოთქმულ ყველაზე პესიმისტურ თვალსაზრისშიც კი, შეიძლება იმალებოდეს ადამიანის მიერ დაშვებული კიდევ ერთი დიდი და ალბათ ყველაზე სასურველი შეცდომა. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს და სულ სხვა რეალობაში აღმოვჩნდეთ – ყველა ომს მარადიული, ხანგრძლივი მშვიდობა და საყოველთაო თანხმობა ჩაენაცვლოს. ამას მომავალი გვიჩვენებს...

არჩილ ჩაჩხიანი

თადარიგის პოლკოვნიკი,

ისტორიის დოქტორი, პროფესორი.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი.

ბიბლიოგრაფია

1. Hanson W. Baldwin, "Große Schlachten des 2. Weltkriegs", Lübbe Verlag, 2. Auflage 1977.
2. Friedemann Bedürftig, "Als Hitler die Atombombe baute", Piper Verlag, München, 2003.
3. Cajus Bekker, "Angriffshöhe 4000", Heyne TB, 3. Auflage 1973.
4. Nicolaus v. Below, "Als Hitlers Adjutant 1937-45", v. Hase & Köhler Verlag, Mainz, 1980.
5. Geoffrey Bennet, "Die Skagerrakschlacht", Heyne TB, 2. Auflage 1976.
6. Bruno Bleckmann, "Konstantin der Große", Rowohlt TB, 1996.
7. Paul Carell, "Unternehmen Barbarossa", Ullstein Verlag, 1963.
8. Paul Carrel, "Verbrannte Erde", Ullstein Verlag, 1966.
9. Raymond Cartier, "Der Zweite Weltkrieg", Band 1 und 2, Sonderausgabe Piper Verlag, München.
10. Manfred Claus, "Konstantin der Große und seine Zeit". Beck'sche Reihe, München, 1996.
11. Robert Cowley (Herausg.), "Was wäre gewesen, wenn?", Knauer Verlag, 2000.
12. Saul David, "Die größten Fehlschlagen der Militärgeschichte", Heyne Verlag, München, 2. Auflage 2001.
13. Len Deighton, "Luftschlacht über England", Heyne-TB, München, 1982.
14. "Der Zweite Weltkrieg", Historische Collage 1938-1945, Band 1 bis 6, John Jahr Verlag, Hamburg, 1975.
15. Hellmut Diwald, "Der Kampf um die Weltmeere", Droemer-Knauer, 1980.
16. Günter Dorn, Joachim Engelmann, "Die Schlachten Friedrichs des Großen", Bechtermünz Verlag, 1996.
17. Christopher Duffy, "Die Schlacht bei Austerlitz", Heyne TB, 1979.
18. Erik Durschmied, "Wie Zufall und Dummheit Weltgeschichte schreiben", Komet Verlag.
19. Hans-Jürgen Eitner, "Kolberg", Edition q, Berlin, 1999.
20. Jürgen Elvert, "Geschichte Irlands", DTV Wissenschaft, 2. Auflage 1996.
21. Paul Ettighoffer, "Verdun", Universitas Verlag, 6. Auflage 1992.
22. Joachim C. Fest, "Hitler", Ullstein Verlag, 2. Auflage 1973.
23. Stig Förster, Markus Pöhlmann, Dierk Walter (Herausgeber), "Schlachten der Weltgeschichte", Verlag C.H. Beck, München, 2. Auflage 2002.
24. Adolf Galland, "Die Ersten und die Letzten", Heyne TB, 4. Auflage 1974.
25. Michael Gannon, "Schwarzer Mai", Econ Ullstein List Verlag, München, 1. Auflage 2001.
26. Joseph Goebbels, "Tagebücher", Band 1-5, Erweiterte Sonderausgabe, Piper Verlag, München, 2. Auflage 2000.
27. Walter Görlitz, "Geschichte des preußischen Generalstabs", Bechtermünz Verlag, Lizenzausgabe für Weltbildverlag, Augsburg, 1997.
28. Friedrich der Große, "Gedanken und Erinnerungen", Werke, Briefe, Gespräche, Gedichte, Erlasse, Berichte, Phaidon Verlag, Essen.

29. Sebastian Haffner, "Anmerkungen zu Hitler", Kindler Verlag, 14. Auflage 1978.
30. Sebastian Haffner, Wolfgang Venohr, "Preußische Profile", Ullstein Verlag, 1986.
31. William Lewis Hertslet, Winfrid Hofman, "Der Treppenwitz der Weltgeschichte", Ullstein Verlag, 7. Auflage 1995.
32. Joe J. Heydecker, "Der große Krieg 1914-1918", Ullstein TB-Verlag, 1976.
33. Joachim Hoffmann, "Stalins Vernichtungskrieg", Herbig Verlag, 8. Auflage 2001.
34. Alistair Horne, "Der Frankreichfeldzug 1940", Molden TB-Verlag, 1976.
35. Hans-Christian Huf (Herausg.), "Quo vadis", Lübbe Verlag, 1997.
36. David Howarth, "'A near Run thing' – The Day of Waterloo", Collins, St. James Place London, 1968.
37. David Irving, "Hitler und seine Feldherren", Ullstein Verlag, 1975.
38. David Irving, "Hitlers Weg zum Krieg", Heyne TB Nr.5864, München, 1981.
39. John Keegan, "Das Antlitz des Krieges", Campus Verlag, Frankfurt, 1991.
40. John Keegan, "Die Maske des Feldheern", Beltz Quadriga Verlag, Weinheim, Berlin, 1997.
41. Helmuth Konrad von Keusgen, "Waterloo 1815", Keusgen Verlag, 1997.
42. Hannsjoachim W. Koch, "Geschichte Preußens", List Verlag.
43. Franz Kugler, "Geschichte Friedrichs des Großen", Seemann Verlag, Leipzig, 1936.
44. Johannes Lehmann, "Die Stauer", Goldmann TB, 1. Auflage 1981.
45. Kenneth Macksey, "Guderian", Heyne TB Nr.5457, München, 1978.
46. A. S. Manfred, "Napoleon Bonaparte", VEB Deutscher Verlag der Wissenschaften, 4. Auflage, Berlin, 1989.
47. Golo Mann, "Wallenstein", Fischer Verlag, 5. Auflage 1994.
48. Golo Mann, Alfred Heuss (Herausg.), "Propyläen Weltgeschichte", Ullstein Verlag, 1976.
49. Werner Maser, "Der Wortbruch", Heyne Sachbuch 19/469, 3. Auflage 1997.
50. Oskar Meding, "Ein Vermächtnis Kaiser Wilhelm I.", DVA, 1889.
51. Charles Messenger, "Blitzkrieg", Bechtermünz/Weltbildverlag, Augsburg, 2000.
52. Theodor Mommsen, "Römische Geschichte", Volksausgabe Safari-Verlag, Berlin.
53. Bernhard Law Viscount Montgomery of Alamein, "Weltgeschichte der Schlachten und Kriege", Band 1 und 2, DTV, 1975.
54. Hans-Dieter Otto, "Stunde der Frauen", Soldi Verlag, Hamburg, 1. Auflage 1999.
55. Wolfgang Paul, "Die Schlacht um Moskau", Heyne TB, 1978.
56. Henry Picker, "Tischgespräche im Führerhauptquartier", Seewald Verlag, 3. Auflage 1976.
57. Janusz Piekalkiewicz, "Luftkrieg 1939-1945", Heyne TB, München, 1982.
57. Heinrich Pleticha (Hrsg.), "Deutsche Geschichte", Band 1-12, Bertelsmann, 1981.

58. Gerhard Prause, "Niemand hat Kolumbus ausgelacht", Econ Verlag, Düsseldorf, 7. Auflage 1995.
59. Geoffrey Regan, "Militärische Blindgänger", Komet Verlag, 1998.
60. Chris Scarre, "Die römischen Kaiser", Econ Verlag, 1996.
61. Dr. Paul Schmidt, "Statist auf diplomatischer Bühne", Athenäum-Verlag, Bonn, 1953.
62. Franz W. Seidler, Dieter Zeigert, "Die Führerhauptquartiere", Herbig Verlag, München, 2000.
63. Roland Smelser, Enrico Syring (Herausg.), "Die Militärelite des Dritten Reiches", Ullstein Verlag, 1995.
64. George H. Stein, "Geschichte der Waffen-SS", Droste Verlag, Düsseldorf, Lizenzausgabe Panorama Verlag, Wiesbaden.
65. Raymond F. Toliver, Trevor J. Constable, "Adolf Galland", Herbig Verlag, 1992.
66. Barbara Tuchman, "August 1914", Fischer TB Verlag, 1990.
67. Franz Uhle-Wetter, "Höhe und Wendepunkte deutscher Militärgeschichte", Mittler Verlag, 2000.
68. Wolfgang Venohr, "Fritz der König", Lübbe Verlag, 2000.
69. H. D. L. Viereck, "Die römische Flotte", Köhlers Verlagsgesellschaft, Hamburg, Lizenzausgabe, 1996.
70. Leopold Vrba, in: "Von Hitler zu Adenauer", Verlag für geschichtliche Dokumentation, Hamburg.
71. Rudolf Wahl, "Friedrich Barbarossa", Lizenzausgabe Bastei-Lübbe Verlag, 1978.
72. German Werth, "1916 – Schlachtfeld Verdun", Brandenburgisches Verlagshaus, 1. Auflage 1994.
73. Chester Wilmot, "Der Kampf um Europa", Alfred Metzler Verlag, 1. Auflage 1954.
74. Erich Winhold, in: "Krieg und Frieden, Weltgeschichte von 1945 bis zur Gegenwart", Band 1 und 2, Jahr Verlag, Hamburg, 1976, Sonderausgabe für den Pawlak Verlag, Herrsching.
75. Christian Zentner, "Schlacht um England", Ullstein TB Nr.33053, 1980.

Zeitschriften und Zeitungen:

1. "Das C-Waffen Phantom", Hamburger Abendblatt vom 25. März 2003.
2. "Der endlose Blitzkrieg", Spiegel Nr.30-35 (2003).

სახელთა საკიბეძე

ს

- აახენი 33, 34, 437;
აბელი 25;
აბილი 247;
აბისინია 181, 502;
აბულა აზამი 650;
აბუ-ქირი 691;
აგრიპა (მარკუს) 683;
ადაბია 589;
ადამი (ვილჰელმ) 400;
ადოლფუსი (გუსტავ II) 33, 673;
ავგუსტენბურგი (ავგუსტა ვიქტორია) 103, 104;
ავსტრალია 642;
ავსტრია 23, 31, 34, 51, 73, 77, 104, 183, 217, 381, 383, 433, 435, 673, 674, 683, 686, 687, 689, 690, 691, 692, 693, 694;
ავსტრო-უნგრეთი 73, 87, 104, 265, 383, 677;
ავღანეთი 498, 587, 639, 646, 647, 650;
აზია 358, 360, 498, 523, 524, 529, 673;
აზენკური 694;
აზიზი (ტარიკ) (იგივე მიშელ იუჰანა) 617, 622;
ათენა 682;
ათენი 671, 682, 683;
აირონსაიდი (ედმუნდ) 222, 224;
აკო 584;
ალ-ასადი (ბაშარ) 616;
ალ-ასადი (ჰაფეზ) 603, 616;
ალბანეთი 181, 305, 378;
ალბერტ I 35;
ალენშტაინი 80;
ალექსანდრე I (რომანოვი) 215, 692;
ალექსანდრე მაკედონელი 671, 687, 693;
ალექსანდრია 273, 671, 672;
ალმონდი (ედმუნდ) 468, 470, 485, 488, 491;
ალპები 248;
ალჟირი 155, 523, 524, 529, 687;
ალტისიმო (დელ ქრისტოფანო) 623;
ალ-უდეიდი 641;
ალ-ქაედა 26, 650;
ამერიკის შეერთებული შტატები 26, 157, 254, 355, 357, 358, 359, 361, 364, 406, 407, 431, 434, 439, 440, 463, 464, 465, 466, 467, 468, 470, 473, 474, 475, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 501, 521, 522, 523, 529, 544, 549, 551, 552, 553, 554, 555, 557, 558, 582, 587, 616, 617, 618, 619, 621, 634, 639, 640, 641, 642, 644, 646, 650, 669, 689;
ამირია 641;
ამონი 106;
ამრუ იბნ-ასი 671;
ანამი 521, 529;
ანდრია პირველწოდებული 640;
ანტარქტიკა 680;
ანტვერპენი 44, 48, 53, 219, 221, 432, 433, 435;
ანტონიუსი (მარკუს) 685, 686;
ანტუნგი 493;
ანჰალტი 184;
აპენინის ნახევარკუნძული 433;
არაგონი 686;
არასი 155, 229, 248;
არაფატი (იასერ) 646;
არგენტინა 433;
არგონი 98, 170,
არდენი 23, 214, 216, 217, 218, 225, 227, 228, 249, 431, 432, 433, 434, 435, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 446, 447, 448, 449, 450, 451, 453, 454, 456, 458, 459, 497, 685, 690;
არიმინუმი 692;
არისტოტელე 25;

არლინგტონი 464, 639;
არლონი 216;
არნემი 435;
არხანგელსკი 304, 305;
ას-საბასნი (ალ-აჰმედ ალ-ჯაბარ) (ჯაბარ III) 622;
ატლანტიკის კედელი 408, 409, 415, 416, 417, 418;
ატლანტის ოკეანე 138, 214, 247, 355, 357, 358, 406, 409, 410, 466, 669, 677;
აუერშპერგი (კარლ ფონ) 690;
აუსტერლიცი 690, 692;
აფლეკი (მიშელ) 616;
აფრიკა 54, 155, 157, 216, 219, 305, 373, 406, 437, 440, 521, 523, 525, 588, 643;
აქციუმი 23, 685;
ახალი ზელანდია 133, 642;

ბ

ბაალი 106, 217;
ბად-პოლცინი 181;
ბადრი 578, 579, 582, 585, 586, 589, 679;
ბავარია 34, 52, 156, 178, 220, 248, 307, 329, 434, 435;
ბაზელი 220, 584;
ბაზენი (ფრანსუა-აშილ) 687;
ბაირონი (ჯორჯ) 183;
ბალკანეთი 31, 303, 305, 433, 435, 643;
ბალტიის ზღვა 177, 182, 673, 677;
ბარ-ებრეი (გრიგოლ) 672;
ბალტიისპირეთი 307, 311, 312, 313, 329, 469;
ბაო-დაი-დე 529, 530;
ბარ-ლე-დუკი 102;
ბარ-ლევი (ჰაიმ) 580, 581, 582, 583, 591, 593, 595, 600, 604, 605, 612;
ბასრა 620, 643, 645, 647, 649, 652, 668;
ბასტილია 27;
ბასტონი 436, 439, 456, 457, 458;

ბატისტა (რუბენ) 551, 559, 575;
ბაქო 373, 375;
ბაღდადი 26, 615, 617, 619, 620, 621, 640, 641, 642, 643, 644, 645, 647, 648, 649, 653, 654, 658, 663, 665, 667, 668;
ბეგინი (ზევე) 581;
ბეგინი (მენაჰემ) 578, 581;
ბეგინი (ერნსტ) 470;
ბეთლემი 27;
ბეიკერი (ჯეიმს) 617, 622;
ბეკერი (არნო) 244;
ბეკი (ლუდვიგ) 178;
ბელგია 32, 33, 34, 35, 36, 39, 40, 41, 43, 44, 46, 51, 52, 103, 156, 179, 211, 212, 214, 215, 216, 217, 219, 229, 247, 251, 252, 254, 273, 310, 334, 374, 405, 411, 431, 432, 436, 446, 447, 452, 454, 456, 465, 672;
ბელევილი 112;
ბელიარი (ალექსანდერ პიერ ჟულიენ დე) 690;
ბელოსტოკი 314;
ბელუზა 581, 585;
ბელფორი 212;
ბენედეკი (ლუდვიგ ავგუსტ რიტერ ფონ, იგივე ლაიომ ბენედეკი) 692, 693;
ბენთინი 684;
ბენ-ჰურიონი (დავით) 588;
ბერგსონი (ანრი) 58;
ბერდი (რობერტ) 650;
ბერკლი 466;
ბერგჰოფი 248
ბერლინი 31, 52, 55, 74, 76, 77, 155, 177, 178, 180, 181, 183, 184, 218, 272, 279, 306, 317, 333, 335, 355, 356, 359, 376, 378, 384, 434, 436, 441, 517, 552, 673, 679, 680;
ბერსტესგადენი 248;
ბივერბრუკი (უილიამ მაქსველ აიტკინი, იგივე ბივერბრუკის 1-ლი ბარონი) 274, 281;
ბირმა 523;
ბირმინჰემი 152, 182;
ბირნსი (ჯეიმს ფრენსის) 470;
ბისლი (ჯორჯ) 297;
ბიტი (დევიდ) 134, 135, 136, 139, 140, 144, 153;

ბიულოვი (კარლ ფონ) 34, 37, 55, 56, 57, 78;
ბიულოვი (ოტო ფონ) 677;
ბისინგი (მორის ფონ) 77;
ბლასკოვიცი (იოჰანეს) 436;
ბლერი (ტონი) 656;
ბლიუხერი (გებჰარტ ლებერეხტ ფონ) 271, 308, 687;
ბლიუხერი (ვასილი კონტანტინოვიჩი) 307, 308;
ბოკი (თეოდორ ფონ) 211, 216, 217, 223, 307, 331, 332, 333, 373, 375, 411;
ბოლივია 354, 575;
ბომბეი 406;
ბონაპარტე (კაროლინა) 690;
ბონი 104;
ბორა (უილიამ) 183;
ბორდო 53, 58, 103;
ბოროდინო 215, 695;
ბოსნია 647;
ბოსფორი 677 686;
ბოჰემია 179, 273, 440, 686, 692;
ბრაბანტი 271;
ბრაიტონი 405;
ბრანდენბურგი 102, 106, 271, 673;
ბრანდენბერგერი (ერიხ) 327, 434, 436, 442;
ბრანდისი (კორდტ ფონ) 102, 109;
ბრაუნი (ვერნერ ფონ) 679;
ბრაუნინგი (ჯონ) 489, 552, 563;
ბრაუნიჩი (ვალტერ ფონ) 212, 214, 250, 255, 318, 331, 337;
ბრედლი (ომარ) 417, 458, 497;
ბრესლაუ 215;
ბრესტ-ლიტოვსკი 76, 157, 204, 205, 206, 314, 581;
ბრეტანი 405;
ბრიანსკი 330, 331, 334, 347;
ბრისტოლი 298;
ბროზ ტიტო (იოსიფ) 378, 433;
ბრუკი (ალან) 429;
ბრუსილოვი (ალექსეი ალექსეევიჩი) 58, 552;
ბრუტუსი 683;
ბუდაპეშტი 440, 683;
ბუდიონი (სემიონ მიხაილოვიჩი) 308, 330, 332, 333, 339;

ბულგარეთი 247, 356, 357;
ბულონი 249, 250;
ბურგუნდია 58;
ბუში (ჯორჯ უოლკერი) 26, 639, 650, 651, 669;
ბუხარინი (ნიკოლაი ივანოვიჩი) 306, 315;
ბრიუგე 248;
ბრიუსელი 35, 47, 53, 215, 436;

ბ

გავგამელა 692, 693;
გავინი (ჯეიმს) 457;
გაკბო 521;
გალათეა 685;
გალანდი (ადოლფ იოზეფ) 278, 281, 435, 437;
გალია 672, 685;
გალიენი (ჟოზეფ საიმონ) 53, 59;
გალილეა 584;
გალიცია 692;
გებელსი (იოზეფ) 183, 185, 186, 306, 310, 338, 359, 373, 528, 678;
გენუა 694;
გერინგი (ჰერმან) 183, 184, 185, 196, 212, 249, 251, 252, 253, 272, 273, 278, 279, 283, 379, 380, 448, 675;
გერმანია 31, 33, 34, 35, 36, 51, 75, 77, 79, 97, 104, 105, 133, 139, 157, 158, 177, 179, 181, 182, 183, 194, 216, 218, 222, 271, 276, 279, 280, 303, 304, 305, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 336, 355, 356, 357, 358, 378, 384, 385, 406, 407, 408, 410, 436, 523, 525, 673, 674, 675, 680, 685, 690;
გერლიცი 432;
გეორგ VI 147, 253;
გეორგი (ჰაინრიხ) 384, 386;
გვადალკანალი 491, 642;
გვატემალა 551, 553 554;
გიბონი (ედუარდ) 672;
გიბრალტარი 222, 250;
გიდა 581, 587;
გილიომი (ლუი) 159;

გლაივიცი (იგივე გლივიცი) 179;
 გნაისენაუ (ავგუსტ ვილჰელმ ფონ) 215;
 გნეუს პომპეუსი 672;
 გოეთე (იოჰან ვოლფგანგ ფონ) 25, 183, 673;
 გოლანი 577, 584, 586, 590, 603, 605, 606, 607;
 გორბაჩოვი (მიხაილ სერგეევინ) 678;
 გორკი 304, 334;
 გორტი (ჯონ) 247, 250, 255;
 გრაველინი 248, 249, 250;
 გრავენა (ფედერიკო) 138;
 გრან-სასო 434;
 გრენადა 618;
 გროვენი (პოლ-ანრი) 543;
 გროზნო 373, 377;
 გუამი 357;
 გუდერიანი (ჰაინც) 206, 214, 215, 218, 220, 221, 223, 247, 248, 250, 257, 308, 309, 327, 331, 332, 333, 336, 337, 341, 432, 435, 448;
 გუმბინენი 76, 79, 381;
 გუნჯოუვანი 521;
 გურევი (სერგეი ვასილევინ) 402;
 გურევიჩი (მიხაილ იოსიფოვიჩ) 491;
 გუროვი (კუზმა გრიგორევიჩ) 400;

ზ

ღაიანი (მოშე) (კიტაიგოროდსკი) 580, 582, 584, 587, 590, 591, 592, 605, 610;
 დალადიე (ედუარდ) 182;
 დალასი 552;
 დალესი (ალენ) 553, 555, 556, 559, 560, 640;
 დალესი (ჯონ) 553;
 დალმაცია 305;
 დამასკო 589, 608;
 დანია 133, 183, 406, 673;
 დანილოვი (იური ნიკიფოროვიჩ) 75;
 დანტე ალიგიერი (დურანტე დელი ალიგიერი) 183;

დანციგი 104, 177, 182, 190, 195, 201, 203;
 დარდანელი 247;
 დარიოსი 693;
 დასელი (რაინჰოლდ ფონ) 684;
 დე გოლი (შარლ) 220, 221, 224, 521, 522, 524;
 დემბლინი 311, 313, 314;
 დემიანსკი 380, 381, 399;
 დენ ვიტი 436;
 დენიცი (კარლ) 314, 358, 677;
 დენ ხუა 503;
 დე ფერნი 58;
 დეჰუაი (პენგ) 492, 493, 494, 499, 503, 505, 519;
 დვინა 337;
 დიასი (ნინო) 555;
 დიდი ბრიტანეთი 31, 54, 133, 134, 138, 139, 147, 178, 179, 180, 181, 182, 251, 271, 172, 214, 222, 247, 250, 252, 253, 273, 274, 276, 278, 280, 294, 405, 409, 432, 463, 465, 481, 528, 581, 584, 621, 647, 656, 672, 674, 677, 693;
 დიეგო გარსია 619, 644;
 დიენ ბიენ ფუ 23, 521, 523, 524, 525, 526, 527, 528, 529, 532, 533, 534, 535, 537, 538, 539, 543, 544, 545, 547, 548, 685;
 დინი (უილიამ) 466, 470;
 დისელი (გერჰარდ) 401;
 დიტლი (ედუარდ) 329, 339;
 დიტრიხი (იოზეფ) 215, 435, 439, 442;
 დიუნკერკი 247, 249, 250, 251, 252, 253, 254, 259, 260, 262, 264, 266, 267, 268, 269, 272, 273, 380, 406, 675;
 დნეპრი 330, 337;
 დონეცკი 331, 332;
 დონი 374, 379, 382, 383;
 დონის როსტოვი 329, 373, 383;
 დორჯელესი (როლან) 183;
 დოჰა 639, 646;
 დრეპერი (მორიც ფონ) 384;
 დრეზდენი 385;
 დუე (ჯულიანო) 273;
 დუერი 251, 255, 272, 277, 405, 406, 408;

დუისბურგი 435;
დუნაი 685, 689, 694;
დუომონი 102, 103, 104, 105, 112, 113,
118, 120, 122, 123;
დუპუი (ტრევიორ) 590;

ე

ეგოსი 305;
ეგვიპტე 23, 273, 577, 578, 579, 580,
581, 582, 583, 585, 586, 587, 588, 589,
590, 593, 594, 597, 599, 600, 606,
615, 646, 685, 691;
ეგოროვი (ალექსანდრ ილიჩ) 308;
ევან-თომასი (ჰიუ) 135, 140;
ევრიპიდე 55;
ევროპა 31, 33, 34, 35, 73, 76, 97, 103,
177, 179, 180, 181, 182, 211, 214, 218,
220, 247, 253, 271, 272, 276, 282,
303, 305, 306, 310, 311, 319, 331, 338,
358, 376, 405, 406, 407, 409, 412,
433, 441, 463, 466, 467, 468, 497,
524, 615, 673, 674, 683, 686, 687,
693;
ევფრატი 645, 646, 648;
ეიზენჰაუერი (დუაით) 406, 409, 411,
413, 421, 434, 439, 440, 458, 497,
551, 553;
ეიფელი 53, 214, 242, 304;
ელ-ალამეინი 373, 406;
ელბა 271, 697;
ელზას-ლოტარინგია 32, 52, 56, 431;
ელზენბორნი 439;
ელიფანტი 291;
ელ-კუვეიტი 615, 623;
ელ-შაზლი (საად) 579, 581, 583, 586,
591, 592, 600;
ემიხი (ოტო ფონ) 32, 33, 34, 37;
ენგელსი (ფრიდრიხ) 306;
ენვერ ხოჯა 378;
ერაყი 14, 16, 26, 615, 616, 617, 619,
620, 621, 639, 640, 641, 642, 645,
646, 647, 648, 649, 650;

ერიომენკო (ანდრეი ივანოვიჩ) 330, 339,
376, 379, 387;
ერტურია 692;
ესკამპრია 554;
ესპანეთი 28, 138, 278, 380, 381, 433,
673, 674, 679, 685, 686, 687;
ესტონეთი 317;
ესქილე 55;
ეტლი (კლემენტ რიჩარდ) 463;
ეფიალტე 671;
ემკოლი (ლევო) (დაბადებით შკოლნიკ
ლევ იოსიფოვიჩ) 588;
ესტერნახი 436;

ვ

ვაგნერი (რიჰარდ) 673;
ვაგრი 215, 220;
ვაიმარი 139, 213, 355;
ვაისი (ვალტერ-ოტო) 332;
ვალდერზე (გეორგ ფონ) 77;
ვალენშტაინი (ალბრეხტ) 686;
ვალხერენი 695;
ვაპლიცი 81;
ვარონი 691;
ვარუსი (პუბლიუს კვინტილიუს) 683;
ვარუსი (სექსტ კვინტილიუს) 683;
ვარშავა 80, 177, 178, 180, 196, 197,
198, 199, 200, 207, 208, 209, 313,
617;
ვასილევსკი (ალექსანდრ მიხაილოვიჩ)
313, 379;
ვატერლოო 23, 133, 215, 216, 271, 684,
687;
ვატუტინი (ნიკოლაი ფიოდოროვიჩ) 379,
383;
ვაშინგტონი 468, 493, 496, 640, 642,
643;
ვაშინგტონი (ჯორჯ) 357;
ვებერი (კარლ მარია ფონ) 673;
ვეიგანი (მაქსიმ) 523;
ვეიქი 511;
ველინგტონის ჰერცოგი (არტურ
ველესლი) 23, 133, 271, 684;

ვენა 383, 687;
ვენეცია 691;
ვერბომონტი 454;
ვერდენი 23, 53, 58, 97, 98, 99, 100,
101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 109,
110, 111, 112, 117, 122, 127, 128, 129,
130, 131, 136, 155, 248, 579, 695;
ვერლენი (პოლ-მარი) 411;
ვერონა (მანუელ) 553;
ვერსალი 177, 238;
ვესტერპლატე 203;
ვესტვოლი 220, 437;
ვესტ-პოინტი 406, 439, 467, 497, 567,
618;
ვესტფალია 673;
ვიაზმა 334, 435;
ვიეტნამი 26, 498, 521, 522, 523, 525,
526, 527, 528, 529, 531, 537, 552, 587,
617, 618, 639, 642, 646;
ვილნევი (პიერ) 138;
ვილნო 204;
ვილსონი (ვუდრო) 158;
ვილსონი (ჯოზეფ) 639, 651;
ვილჰელმ II (ჰოჰენცოლერნი) 31, 36, 37,
52, 99, 104, 105, 271;
ვილჰელმ III (ფრიდრიხ ვილჰელმ ვიქტორ
ავგუსტ ერნსტ პრუსიელი) ჰოჰენცოლერნი
104, 272;
ვილჰელმსჰაფენი 133, 137;
ვიონვილი 687;
ვიტეზსკი 678;
ვიტენბერგი 183;
ვირჯინია 362, 464, 468, 617, 650;
ვისკონსინი 588;
ვისლა 74, 75, 76, 79, 80, 313, 431,
441;
ვიტორიო ემანუელე II 433, 691;
ვიუნსდორფი 211;
ვიქტორია 31, 33, 104, 133, 135, 287,
673;
ვიში 101, 521, 529, 584;
ვლადივოსტოკი 491, 492, 693;
ვოგეზები 98;
ვოლგა 178, 305, 334, 373, 375, 376,
377, 379, 381, 382, 384, 393;
ვოლგოგრადი 373;
ვოლმიდო 468;
ვოლფაუ 680;

ვონსანი 468, 479, 491, 492, 501, 502,
503;
ვორონეჟი 329, 374, 383;
ვოროშილოვი (კლემენტი ეფრემოვიჩ) 308,
309;
ვოქსი 103, 104, 105, 112, 124, 125, 126,
129, 130;

ზ

ზაიდლიც-კურცბახი (ვალტერ ფონ) 380,
381, 382, 386, 387, 401;
ზალესსკი (კონსტანტინ) 410;
ზალმუტი (ჰანს ფონ) 411, 413;
ზაუერი 436;
ზაქსენჰაუზენი 215, 384;
ზიგფრიდის ხაზი 156, 220, 407, 422,
431;
ზინოვიევი (გრიგორი ვესევეჩი) (იგივე
გერშონ აარონოვიჩ რადომისლსკი-
აჰფელბაუმი) 306, 315;
ზორგე (რიჰარდ) 311, 316, 337;

თ

თბილისი 378, 581;
თეთრი ზღვა 306;
თეირანი 405, 433, 463;
თელ-ავივი 581, 621;
თემისტოკლე 682, 683;
თერმოპილე 671;
თესალია 671;
თურქეთი 247, 465, 619, 620, 643;

ი

იაზიჩი (თაჰსინ) 503;
იალტა 463;

იალუ 491, 493, 504, 689;
იამამოტო (ისოროკუ) 362;
იანუშკევიჩი (ნიკოლაი ნიკოლაევიჩი) 81, 123;
იაპონია 15, 74, 76, 78, 138, 319, 332, 337, 356, 357, 358, 361, 364, 463, 465, 466, 467, 468, 497, 521, 617, 642, 679, 693;
იაროსლავლი 330;
იასნაია პოლიანა 337;
იელი 639;
იემენი 437, 579, 615, 647;
იენა 27;
იერუსალიმი 582, 584, 588, 615, 683, 684;
ილინოისი 640;
ილმენის ტბა 330, 380;
იმჯინი 511;
ინგლისი 23, 54, 138, 159, 178, 181, 182, 183, 212, 251, 252, 253, 254, 271, 272, 273, 275, 276, 277, 278, 279, 292, 295, 296, 299, 301, 303, 405, 419, 433, 673, 686, 693, 695;
ინდოეთი 147, 497, 498, 523, 619, 622, 674;
ინდოეთის ოკეანე 619, 644, 693;
ინდოჩინეთი 155, 521, 522, 523, 525, 527, 528, 529, 685;
ინჩხონი 463, 468, 469, 479, 480, 481, 482, 483, 485, 491, 691;
ინჯირლიკი 619;
იოზეფ II (ჰაბსბურგი) 686, 687;
იოდლი (ალფრედ) 303, 314, 316, 407, 432, 433;
იომ-ქიფური 23, 577, 579, 581, 582, 584, 585, 587, 588, 590, 691;
იორდანე 106, 577;
იორდანია 577, 646;
იპრი 54, 381, 406, 435, 688;
ირანი 553, 615, 616, 620, 645, 621, 667;
ირკუტსკი 314;
ირლანდია 54, 178, 271, 686;
ისლანდია 357;
ისმაილ ალი (აჰმედ) 581;
ისმაილია 589, 611;
ისპაჰანი 693;

ისრაელი 23, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 590, 648;
იტალია 33, 35, 98, 102, 158, 181, 216, 218, 219, 252, 273, 305, 312, 315, 319, 356, 357, 378, 379, 381, 383, 406, 433, 434, 435, 468, 525, 639, 647, 679, 684, 687, 689, 690, 691, 692;
იუგოსლავია 220, 305, 356, 378, 587, 644;
იუდეა 683, 685;
იულიუს კეისარი 272, 672, 679, 683, 685;
იუტლანდიის ნახევარკუნძული 133, 135, 136, 137, 139, 143;
იუჰანა (მიშელ) (იგივე ტარიკ აზიზი) 617;

კ

კადისი 138;
კადისია 667;
კაენი 25;
კაკეასია 157, 178, 217, 330, 331, 332, 373, 375, 382, 383;
კაირო 558, 578, 589, 615;
კაიტელი (ვილჰელმ) 214, 241, 314, 316, 317, 318, 432, 433;
კალე 23, 248, 406, 686, 689;
კალინინი (მიხაილ ივანოვიჩი) 315, 316, 317;
კალიფორნია 440, 466;
კამბოჯა 521, 529;
კამბრე 221, 440;
კანადა 167, 178, 274, 359, 410, 493, 552, 554, 674;
კანარისი (ვილჰელმ) 213, 223;
კანდინსკი (ვასილი ვასილიევიჩი) 103;
კანე 32, 82, 216, 217, 381, 384, 688, 691 692;
კანი 405, 408, 410;
კაპორეტო 435, 552;
კარანსებე 686;
კარანტანი 410;

კარდონა (ზოსე მირო) 553;
 კარელია 329;
 კარერა-როლასი (ენრიკე) 571;
 კართაგენი 106, 216, 381, 691;
 კარიბის ზღვა 552, 589, 674;
 კარლსრუე 431;
 კარპატები 306, 330;
 კარტერი (ჯიმი) 578;
 კასანდრა 682;
 კასიუსი 683;
 კასპიის ზღვა 306, 373;
 კასტერი (ჯორჯ) 684, 685;
 კასტილია 686;
 კასტიონე 58;
 კასტლი 291;
 კასტრი (ქრისტოფან დე) 525, 528, 530, 534;
 კასტრო (ფიდელ) 551, 553, 554, 555, 556, 557, 559, 567, 568, 569, 571, 573, 574, 685;
 კატინი 678;
 კატოვიცე 311, 313;
 კემპ-დევიდი 578, 584;
 კენელი (ჯონ) 523, 552, 553, 554, 555, 556, 557, 558, 559, 560, 639;
 კენია 650;
 კენიგსბერგი 33, 73, 74, 76, 79, 80, 313;
 კენტი 407;
 კესელრინგი (ალბერტ) 276, 518;
 კესონი 465, 497;
 კიევი 214, 305, 307, 332, 333, 341, 345, 346, 378, 436, 588;
 კილი 139, 217;
 კიმბერლი 581;
 კიმ ირ სენი (დაბადებით კიმ სონ ჩჟუ) 464, 467, 470, 471, 472, 492, 497, 499, 508, 518, 519;
 კინარდი (ჰარი) 457;
 კინსეილი 686;
 კიოლნი 212, 684;
 კირკუკი 649;
 კირპონოსი (მიხაილ პეტროვიჩ) 333, 339;
 კისინჯერი (ჰენრი) 612;
 კინენერი (ჰორაციო) 54, 59;
 კლაისტი (ევალდ ფონ) 220, 221, 223, 248, 332;
 კლარკი (მარკ) 518;
 კლაუზევიცი (კარლ გოტლიბ ფონ) 12, 13, 17, 18, 19, 21, 25, 27, 215, 304, 681, 682, 684, 689, 701;
 კლევი 220;
 კლეოპატრა VII ფილოპატორი 23, 234, 685;
 კლიუგე (გიუნტერ ფონ) 248, 255, 337, 435;
 კლუკი (ალექსანდერ ფონ) 51, 52, 53, 55, 57, 59;
 კნიტელი (გუსტავ) 446;
 კობლენცი 77;
 კოლბერგი 684;
 კოლი (რობერტ) 421;
 კოლინზი (ლოუტონ) 428, 480;
 კოლმარი 431;
 კოლუმბია 465, 640, 679;
 კომპიენი 55, 240;
 კონგო 139, 579;
 კონი (რენე) 534;
 კონიგსმარკი (ჰანს ქრისტოფ ფონ) 673;
 კონიგრაცი 694;
 კონსტანტინე I დიდი (ფლავიუს ვალერიუს ავრელიუს კონსტანტინე) 685, 686;
 კონსტანტინოპოლი 178, 247, 640, 654, 686;
 კორენი (მათიაშ) 687;
 კორსიკა 330;
 კორფესი (ოტო) 400;
 კოსოვო 644, 647;
 კოტანტენის ნახევარკუნძული 405, 410;
 კოცებუ (ავგუსტ ფონ) 673;
 კოხინზინი 521;
 კრაიცბურგი 311;
 კრაკოვი 313, 683;
 კრასნაია პოლიანა 337;
 კრესი 693;
 კრიგოშეინი (სემიონ ნიკოლაევიჩ) 205, 206;
 კრონპრინცი ვილჰელმი (ფრიდრიხ ვილჰელმ ვიქტორ ავგუსტ ერნსტ პრუსიელი) 103, 104, 111;
 კრუპი (ფრიდრიხ) 113;
 კუბა 551, 552, 553, 554, 555, 556, 557, 558, 561, 567, 569, 571, 574, 589, 685;

კუვეტი 615, 616, 619, 620, 621, 623, 635, 639, 643, 645, 655;
კუზნეცოვი (ნიკოლაი გერასიმოვიჩ) 308, 310;
კუიბიშევი 335;
კულონდრი (რობერ) 183, 186;
კურილიის კუნძულები 463;
კურსკი 435, 587;
კუსაი ჰუსეინი 645, 649, 651, 669;
კუსტოცი 692;

წ

ლა-კურტინი 158;
ლალანდი (ანდრე) 528;
ლა-მანში 97, 215, 217, 222, 247, 248, 249, 251, 272, 273, 274, 277, 280, 284, 286, 304, 405;
ლამარმორა 691, 692;
ლანდსბერგი 184, 273, 303;
ლანი (ჟან) 689;
ლანკასტერი 58;
ლანსელი (სერჟიო) 216;
ლანსი 156;
ლაოკონი 682;
ლანი 155;
ლასი 521, 523, 529;
ლატვია 311, 329, 678;
ლენინცა 683;
ლენინი (ვილჰელმ ფონ) 211, 248, 307;
ლენინგორტი 468;
ლენინი 683;
ლენინგრადი (ფილიპ) 521, 530;
ლენინი (ჟერარ) 35, 37;
ლენინგრადი 314;
ლენინგრადი 305, 307, 329, 331, 335, 343, 374;
ლენინი (ვლადიმირ ილიჩ) (იგივე ვლადიმირ ილიჩ ულიანოვი) 306, 308, 312, 315, 517, 521;
ლენინგრადი (მარკუს) 685;
ლეროსი 181;
ლვოვი 203;
ლიბანი 581, 584, 646, 648;
ლიბერია 555;

ლიბია 181;
ლიეჟი 31, 32, 33, 34, 35, 36, 40, 42, 43, 44, 46, 48, 49, 77, 211, 215, 431, 435;
ლიეტუვა 678;
ლითლ-ბიგჰორნი 684;
ლილი 251;
ლიმა 558;
ლინი 215, 687;
ლინკოლნი (აბრაამ) 357, 493, 669;
ლინჩი (ჯესიკა) 646, 651;
ლიპსკი 178;
ლისტი (ვილჰელმ) 373;
ლისტი (ფერენც) 183;
ლი სინ მანი (იგივე სინგმენ რი) 464, 470;
ლიტავე 692;
ლიტვა 82, 311, 678;
ლიუბლინი 205, 313;
ლიუცენი 686;
ლიპი (უილიამ დანიელ) 470;
ლოვინი 311;
ლონგიონი 212;
ლონდონი 23, 36, 139, 153, 181, 182, 184, 269, 272, 276, 279, 280, 284, 286, 287, 288, 289, 290, 291, 293, 406, 590, 674, 679, 686, 695;
ლონკინი 47;
ლოპესი (ბალდომერო) 484;
ლორდი ჰალიფაქსი 181, 186;
ლოძი 198, 311, 314;
ლუარა 407;
ლუზი 688;
ლუდენდორფი (ერიხ) 26, 33, 34, 35, 36, 37, 77, 78, 79, 80, 82, 83, 86, 94, 106, 156, 159, 254, 303, 377, 435;
ლუქსემბურგი 46, 56, 211, 212, 214, 216, 436, 452;
ლუციუს დომიციუს ავრელიანუსი 672, 685;

მ

მაასი 33, 35, 98, 102, 104, 106, 155, 211, 214, 216, 217, 218, 220, 225, 229,

226, 249, 250, 432, 433, 434, 435, 436, 439;
 მაგდებურგი 133, 215, 673, 674;
 მადრიდი 433, 687;
 მაზური 74;
 მაიაში 551, 553;
 მაიკოპი 373;
 მაკალიფი (ენტონი) 457;
 მაკარტური (ლეგლას) 406, 463, 466, 467, 468, 470, 480, 483, 491, 492, 493, 495, 496, 497, 511, 512, 513, 520, 689;
 მაკარტური (ჯორჯ) 298;
 მაკდელი 648;
 მაკე (ავგუსტ) 103;
 მაკენზენი (ავგუსტ ფონ) 76, 78, 79, 83;
 მაკიაველი (ნიკოლო) 33, 218;
 მაკკეინი (ჯონ) 522;
 მაკ-მაჰონი (პატრის დე) 687;
 მალოსი 671;
 მალტა 250;
 მამაის ყორღანი 382;
 მანერჰაიმის საზი 310, 408;
 მანტოიფელი (ერვინ ფონ) 436;
 მანტოიფელი (ჰასო ფონ) 436, 439, 442, 443;
 მანშტეინი (ერიხ ფონ) (იგივე ერიხ ფონ ლევისსკი) 211, 213, 214, 215, 216, 217, 223, 226, 249, 327, 330, 382, 383, 384;
 მანჯურია 76, 199, 356, 463, 464, 477, 493;
 მანჰეიმი 440;
 მათ ანინი 498, 517;
 მათ ძედუნი 378, 492, 494, 496, 498, 499, 517, 522, 702;
 მაჟინოს საზი 211, 212, 215, 216, 217, 219, 224, 225, 247, 249, 310;
 მარია ტერეზია (ჰაბსბურგი) 686;
 მარიენბურგი 78;
 მარკი (ფრანც) 103, 108;
 მარკრედვიცი 139;
 მარკუს ლიცინიუს კრასუსი 672;
 მარნა 23, 51, 54, 55, 56, 57, 58, 60, 61, 63, 64, 65, 66, 67, 70, 159, 214, 688;
 მაროკო 440, 521, 523, 529, 590;
 მარონი (პუბლიუს ვირგილიუს) 183;
 მარსელი 168;
 მარტინ ლუთერი 27, 183;
 მარქსი (ერიხ) 304, 306, 316, 318;
 მარქსი (კარლ) 306;
 მასაჩუსეტსი 552;
 მაუვი 149;
 მაქსიმი (ჰირამ) 118;
 მაქსიმილიან იოზეფი 307;
 მაცუოკა (იოსუკე) 361;
 მარშალი (ჯორჯ) 467;
 მედინა 645, 672, 673;
 მეირი (გოლდა) (იგივე გოლდა მეიერსონი) (დაბადებით გოლდა მახოვიჩი) 588, 589, 591, 608, 612;
 მეკლენბურგი 686;
 მესერშმიტი (ვილჰელმ) 274;
 მექა 671;
 მექსიკა 439, 497, 687;
 მეცი 442, 687;
 მეხელენი 212, 213, 222, 374;
 მიდვეი 373;
 მიდლსექსი 63;
 მიკლასი (ვილჰელმ) 433;
 მილუოკი 588;
 მინსკი 329;
 მისური 463, 644;
 მიტლა 581, 587;
 მიტჩელი (რეჯინალდ) 274;
 მიულერი (ჰაინრიხ) 213;
 მიუნსტერაიფელი 220, 248;
 მიუნსტერი 77, 212, 220;
 მიუნხენი 13, 182, 183, 184, 303, 377, 434, 435, 676, 680;
 მიურატი (იოაჰიმ-ჟოაკიმ) 689;
 მიქოიანი (არტემ ივანოვიჩ) (დაბადებით ანუშავან ოვანესის ძე მიქოიანი) 491;
 მკვდარი ზღვა 106;
 მოაბი 106;
 მობეჟი 53;
 მოგილიოვი 330;
 მოდელი (ვალტერ) 215, 248, 275, 276, 327, 407, 434, 435, 436, 498;
 მოზელი 56, 214, 437, 521;
 მოლდერსი (ვერნერ) 278, 279, 281;
 მოლოტოვი (ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ) (იგივე სკრიაბინ ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ) 311, 312, 317, 439, 470;

მოლოხი 9, 97, 106, 107;
მოლტკე უფროსი (ჰელმუტ ფონ) 12, 25, 32, 51, 52, 78, 215, 221, 702;
მოლტკე უმცროსი (ჰელმუტ ფონ) 32, 37, 51, 52, 55, 56, 57, 58, 74, 75, 77, 78, 82;
მონაკო 134;
მონკატანი 250;
მონტგომერი (ბერნარდ) 406, 409, 413, 417, 428, 429, 643;
მონტე-კარლო 53;
მონტენეგრო (იგივე ჩერნოგორია) 305;
მონღოლეთი 336, 463, 683;
მონშაუ 439;
მორავია 179;
მორგანი (ფრედერიკ) 405, 413;
მორის ნასაუელი 99;
მოსკოვი 217, 218, 250, 305, 306, 307, 311, 312, 329, 330, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 347, 350, 351, 355, 356, 378, 385, 410, 436, 464, 465, 492, 581, 679, 684, 694;
მოსული 646;
მუბარეჟი (ჰოსნი) 592;
მუთანა 641;
მუკდენი 79;
მულენი 81;
მულენვილი 112;
მურეი (უილიამსონ) 701;
მურმანსკი 330;
მუსოლინი (ბენიტო) 181, 182, 186, 305, 373, 433;
მუსტაფა ქემალი (ათათურქი) 247;
მუჰამედი (მუჰამედ წინასწარმეტყველი) (მუჰამადი – აბუ ალ-კასიმ მუჰამად იბნ აბდ ალაჰ იბნ აბდ ალ-მუთალიბ იბნ ჰამიმი) 577, 578, 671, 672;

6

ნაგასაკი 463;
ნაგიბი (მუჰამედ) 577;
ნავარა (ანრი) 523, 524, 526, 527, 528, 530, 534;

ნაზარია 645, 646, 648, 666;
ნამბო 521;
ნამსი 492;
ნამური 52, 436;
ნანსი 56;
ნაიდენბურგი 81;
ნაპოლეონ ბონაპარტე 23, 25, 32, 52, 75, 78, 138, 215, 271, 303, 304, 330, 333, 337, 375, 684, 687, 689, 690, 692, 693, 694;
ნარვა 311, 313;
ნარვიკი 329;
ნასერი (გამალ აბდელ) 577, 579, 591, 611, 615;
ნაუიოქსი (ალფრედ) 179;
ნაუმბურგი 672, 673;
ნაქტონგანი 478;
ნაჯაფი 658;
ნგო დინ დიემი 529;
ნეპოლი 686;
ნეგევი 586;
ნეთენზი 693;
ნელსონი (ჰორაციო) 138, 691;
ნემანი 74, 695;
ნიგერი 639, 640;
ნიდერლანდები 28, 52, 98, 179, 247, 249, 271, 306, 406, 432, 465, 686, 690, 693;
ნიველი (რობერტ) 155, 156, 157, 158, 160;
ნიკარაგუა 497, 551, 552, 555, 557, 561, 575;
ნიკეა 686;
ნიკოლოზ II (რომანოვი) 157, 171;
ნილოსი 691;
ნიუ-იორკი 28, 513, 588, 650;
ნიურნბერგი 183, 184, 220, 253, 314, 374, 410, 411, 435, 439, 678;
ნიქსონი (რიჩარდ) 552, 612, 640;
ნობელი (ალფრედ ბერნჰარდ) 58, 253, 578, 588, 679;
ნოვგოროდი 330, 380;
ნოვოსიბირსკი 314;
ნოვოჩერკასკი 378;
ნორვეგია 133, 180, 272, 273, 276, 277, 311, 329, 330;

ნორმანდია 219, 254, 272, 405, 406,
407, 409, 410, 411, 412, 416, 420,
422, 424, 440, 466, 467, 521, 642,
689;
ნორფოლკი 617;
ნოქსი (მაკგრეგორ) 701;

ო

ოღისევესი 682;
ოვენი (გეორგ ფონ) 36, 109;
ოკა 337;
ოკეანია 360;
ოკინავა 23, 491;
ო'კონოლო (რიჩარდ) 429;
ოლომოუცი 311;
ოლსტერი 686;
ომარ I (აბუ ჰაფეზ უმარ იბნ ალ-ჰატაბ
ალ-ადავი) 672;
ონგჯინ 465;
ო'ნილი (ჰიუ) 686;
ოპელნი 311;
ორიენტე 555;
ორლეანი 58, 408, 552;
ორნი 410;
ოსანი 466, 469;
ოსტეროდე 80;
ოსტენდი 39;
ოსტროლენკო 311;
ოტო I 304, 305;
ოტო (ჰანს-დიტერ) 14, 15, 18, 28, 698,
699;
ოქტავიანე ავგუსტუსი (დაბადებით გაიუს
ოქტავიანე თურინუსი) 683, 685;

პ

პა-დე-კალე 276, 405, 406, 407, 408,
411, 412, 689;
პაიპერი (იოაჰიმ) 439, 442, 446;

პალესტინა 250, 584, 615, 646, 679;
პანამა 406, 497;
პანეტა (ლეონ) 640;
პაპენჰაიმი (გოტფრიდ-ვილჰელმ) 686;
პარიზი 32, 39, 51, 53, 54, 55, 56, 98,
157, 158, 159, 222, 238, 242, 244, 523,
525, 689, 690;
პატონი (ჯორჯ) 407, 417, 436, 439,
440, 442, 458, 467;
პაუელი (კოლინ) 640, 651;
პაულიუსი (ფრიდრიხ) 304, 316, 318,
374, 375, 376, 378, 379, 380, 382, 383,
384, 385, 386, 387, 401;
პევენსი 277;
პეკინი 492;
პერლ ჰარბორი 356, 358, 361, 690,
693;
პერუჯა 693;
პერშინგი (ჯონ) 158, 170, 439;
პესკი 380;
პეტენი (ანრი ფილიპ) 101, 102, 105, 108,
155, 157, 159, 243;
პეტრარკა (ფრანჩესკო) 183;
პეშავარი 406;
პიემონტი 691;
პინარ-დელ-რიო 555;
პირეა 683;
პირენეის ნახევარკუნძული 271;
პირო (შარლ) 525, 535;
პლაია-ხირონი 555, 562;
პლზენი 440;
პლიმუტი 289, 405, 493;
პლუტარქე 672, 697;
პო 692;
პოზნანი 80;
პოლი (ჰუგო ფონ) 133;
პოლონეთი 74, 81, 177, 178, 179, 180,
181, 182, 183, 184, 188, 189, 190, 193,
194, 197, 202, 204, 207, 212, 213,
214, 215, 217, 218, 220, 250, 251, 273,
307, 309, 311, 312, 313, 314, 374, 408,
435, 517, 619, 673, 678, 683, 686,
694;
პომერანია 177, 673, 674;
პომორსკი 177;
პორტლენდი 277;
პორტუგალია 156, 579, 673, 674, 682,
686;

პოტსდამი 463, 679;
პრალა 674;
პრიაშოსი 682;
პრინსტონი 617, 640;
პრიპიატი 304;
პრიტვიცი (მაქსიმილიან ფონ) 73, 75, 76, 77, 78, 83;
პროვანსი 405;
პროკოფი (ანდრია) 672;
პრუსია 12, 26, 31, 32, 33, 34, 51, 52, 54, 58, 73, 74, 75, 76, 77, 78, 80, 82, 84, 85, 104, 106, 138, 158, 177, 178, 180, 213, 214, 215, 216, 221, 250, 271, 303, 306, 311, 313, 380, 436, 674, 684, 687, 689, 691, 692, 693, 702;
პუანკარე (რაიმონ) 53, 59, 130, 155, 157, 158;
პუერტო-კაბესა 555;
პუსანი 466, 467, 469, 478, 483, 492, 495;
პუშკინი (ალექსანდრ) 183;
პფეფერი (მაქს) 401;

უ

უანა დ'არკი 58;
უენევა 525, 528, 529, 530, 532, 533, 617;
უილინსკი (იაკობ გრიგორევიჩ) 80, 83;
უიტომირი 344, 436;
უოფრე (ჟოზეფ) 52, 53, 54, 59, 99, 155, 160;
უუკოვი (გიორგი კონსტანტინოვიჩ) 313, 316, 335;

რ

რაბინი (იცხაკ) 582, 588;
რადეკი (კარლ ბერნარდოვიჩ) (იგივე კაროლ სობელზონი) 306, 315;
რადო (შანდორ) 331;

რაი 277;
რამსეი (ბერტრან) 251, 255, 259;
რამსფელდი (დონალდ) 640, 643, 648, 651;
რამუშევი 380;
რანავალონა III 53;
რანკე (ლეოპოლდ ფონ) 26;
რაინი 34, 155, 214, 431, 432, 433, 434, 436, 437, 438, 439, 440, 441, 445, 448, 672, 685;
რანპარლტი (გეორგ-ჰანს) 220, 223;
რასკი (დინ) 523;
რასტენბურგი 337, 411, 432;
რაუსი (ერჰარდ) 383, 386;
რედერი (ერიხ) 212, 272;
რეი (მანუელ) 553;
რეიგანი (რონალდ) 617, 644;
რეინბერგერი (ჰელმუტ) 212, 223;
რეინალი (ეჟენ) 103, 108, 127;
რეიმსი 155, 439, 440;
რენო 685;
რენენკამფი (პაულ ფონ) 74, 75, 78, 79, 80, 81, 82, 83;
რვა 672;
რიბენტროპი (იოჰიმ ფონ) 178, 179, 182, 185, 243, 311, 312, 317, 356;
რიგა 317, 552;
რივიერა 333;
რიო-დე-ჟანეირო 558;
რიხტჰოფენი (ვოლფრამ ფონ) 373, 375, 376, 380, 381, 386;
რიხტჰოფენი (ლოთარ ფონ) 380;
რიხტჰოფენი (მანფრედ ფონ) 380;
რიჯვეი (მეთიუ) 457, 496, 497, 499, 513;
როდრიგესი (ფელიქს) 575;
როზლერი (რუდოლფ) 310;
როკოსოვსკი (კონსტანტინ კონსტანტინოვიჩ) 379;
რომელი (ერვინ) 207, 215, 218, 219, 223, 228, 235, 248, 249, 250, 406, 407, 408, 417, 643;
რომი 31, 32, 58, 106, 183, 216, 272, 303, 304, 305, 381, 359, 672, 673, 683, 684, 685, 686, 691, 692;
რომინტერი 75;
როჟესტვენსკი (ზინობი პეტროვიჩ) 691, 693;

რორი (ვილჰელმ) 553;
როსტოვი 304, 329, 373, 383;
როტერდამი 234;
რუევი 342, 435;
რუზველტი (ფრანკლინ დელანო) 357,
358, 359, 360, 433, 440, 463, 465,
466;
რუმაილა 643;
რუმინეთი 330, 356, 357, 375;
რუნდშტელტი (გერდ ფონ) 211, 213, 214,
217, 221, 223, 248, 249, 253, 307,
332, 408, 411, 412, 436;
რური 332, 407, 431;
რუსეთი 23, 34, 51, 52, 73, 74, 75, 76,
78, 80, 81, 157, 172, 220, 254, 303,
304, 305, 306, 307, 308, 313, 315, 330,
331, 332, 336, 337, 338, 356, 373, 376,
378, 410, 580, 581, 586, 588, 673;

ს

საარი 431;
საბერძნეთი 305, 465, 683;
საბჭოთა კავშირი 303, 307, 308, 310,
311, 312, 313, 315, 330, 332, 333, 335,
359, 373, 378, 379, 408, 432, 464,
465, 466, 491, 492, 498, 553, 555,
558, 577, 617, 619, 678;
სადათი (ანვარ) 577, 578, 579, 582,
586, 588, 589, 590, 591, 592, 600,
602;
სადამ ჰუსეინი 26, 579, 615, 616, 617,
618, 621, 622, 639, 640, 642, 645,
647, 648, 649, 650, 651, 657, 658,
667, 669, 681;
სავოია 673, 691;
საიგონი 521, 523, 529;
სალადინი (ალ-მალიქ ან-ნასირ სალაჰ ად-
დინ იუსუფ იბნ აიუბი) 615, 623;
სალამინი 14, 15, 682, 683, 693, 697,
699;
სალაში (ფერენც) 433;
სამბრი 214;

სამოა 357;
სამსონოვი (ალექსანდრ ვასილევიჩ) 74,
75, 76, 78, 79, 80, 81, 82, 83, 677,
688;
სამხრეთ კაროლინა 618;
სანდერლენდი 133;
სანდჰერსტი 406;
სან-ფრანცისკო 97;
სარდინია 691;
სარტელესი 112;
საუდის არაბეთი 615, 620, 625, 647,
648;
საუთჰემპტონი 297;
საფრანგეთი 32, 36, 51, 53, 54, 74, 97,
98, 99, 102, 105, 155, 156, 157, 158,
159, 168, 169, 170, 178, 180, 181, 182,
183, 211, 212, 213, 214, 216, 217, 218,
219, 220, 221, 222, 248, 249, 250,
272, 273, 276, 305, 307, 310, 311, 314,
329, 374, 405, 406, 407, 408, 410,
411, 433, 435, 437, 439, 465, 467, 521,
522, 523, 525, 526, 529, 619, 672,
674, 687, 689, 690;
საქართველო 378, 581, 650, 678;
საქსონია 55, 271, 183, 305;
სალვადორის იმპერია 31, 32, 303, 305,
673, 684, 686;
სახალინი 463;
სელეცი 313;
სევასტოპოლი 77, 100;
სელიგერის ტბა 380;
სემიპალატინსკი 496;
სენა 32, 53, 55, 249;
სენეგალი 156;
სენ-ვიტი 431;
სენ-მიშელი 440;
სენ-სირი 521, 523;
სენტ-მერ-ეგლიზი 410;
სენტ-მიშელი 112;
სერბეთი 136;
სეული 467, 469, 474, 485, 486, 487,
488, 489, 491, 495, 497, 509, 522,
525;
სექტი (ჰანს ფონ) 213, 221;
სილეზია 23, 73, 75, 179, 674, 686,
689;
სინაის ნახევარკუნძული 577, 578, 579,
580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587,

589, 590, 602, 605, 608, 609, 610, 612;
სინონი 682;
სირია 523, 577, 584, 586, 590, 603, 608, 615, 616, 647, 683;
სიცილია 216, 406, 433, 440, 497, 534, 686;
სკაგერაკი 133, 134, 135, 136, 138, 139, 143, 145, 146, 147, 148, 149, 151, 152, 154;
სკორცენი (ოტო) 433, 434, 435, 436, 442;
სლავკოვ-ბრნა 692;
სლოვენია 305;
სმოლენსკი 305, 330, 346, 678, 689, 694;
სმუტსი (ჟან) 429;
სოლომონის კუნძულები 642;
სომა 58, 98, 106, 155, 211, 215, 247, 381, 435;
სოპოტი 194;
სოუვილი 112;
სოფოკლე 55;
სპა 439;
სპარსეთი 673, 683;
სპარსეთის ყურე 587, 615, 616, 617, 618, 619, 621, 639, 641, 642, 643, 644, 647, 649, 697;
სტაგი (ჯეიმს) 409, 413;
სტავლო 439;
სტალინგრადი 107, 217, 373, 374, 375, 376, 377, 378, 379, 380, 382, 383, 384, 385, 387, 388, 389, 390, 391, 392, 394, 400, 402, 403, 528, 645, 646, 647;
სტალინგრადსკი 383;
სტალინი (იოსიფ ვისარიონოვიჩ) (იგივე იოსებ ჯუღაშვილი) 306, 308, 309, 310, 311, 312, 313, 315, 316, 329, 330, 331, 332, 333, 334, 335, 373, 375, 377, 378, 379, 384, 433, 463, 464, 470, 492, 498, 508, 678, 679;
სტემპელი (ფლორის) 384;
სტრასბურგი 431;
სტრაუსი (ადოლფ) 337, 339;
სუასონი 56, 57, 155, 156;
სუდანი 54, 577;

სუდეტები 183, 307;
სუეცი 577, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 599, 602, 610, 611, 691;
სუნ იატსენი 496;
სუნჩსონი 500;

ტ

ტაეჯონი 466;
ტავანესი 112;
ტაზა 581;
ტაივანი 496, 498;
ტაილანდი 465, 523, 527;
ტანენბერგი 33, 34, 52, 73, 74, 77, 78, 80, 81, 82, 86, 89, 94, 95, 106, 354, 381, 688;
ტანზანია 650;
ტასო (ტორკვატო) 183;
ტეკტობურგი 683;
ტემზა 277, 288, 294;
ტენეტი (ჯორჯ) 640, 641, 651;
ტენტინი 216;
ტეხასი 617, 639, 646, 648, 700;
ტიბერიუსი (ტიბერიუს კლავდიუს ნერონი) 683;
ტიბრი 692;
ტიგროსი 649;
ტიკრიტი 615, 645, 649, 650;
ტილბური 288;
ტილი (იოჰან ცერკლას ფონ) 673, 674, 675;
ტიმოშენკო (სემიონ კონსტანტინოვიჩ) 310, 311, 313, 316, 335, 374;
ტირგარტენი 180, 679;
ტირონი 686;
ტლასი (მუსტაფა) 603;
ტოგო (ხაიხაჩირო) 693;
ტოდტი (ფრიც) 408;
ტოკიო 311, 359, 463, 468, 469, 495, 497;
ტოლსტოი (ლევ ნიკოლაევიჩ) 337;
ტონკინი 521, 523, 526, 545;
ტორგაუ 674;

ტრაზიმენო 216, 381, 692;
ტრანსილვანია 673;
ტრაფალგარი 138, 139, 153;
ტრებია 216, 381;
ტრეისი (პატრიკ) 267;
ტრესკოვი (ჰენინგ ფონ) 215, 223;
ტროა 682;
ტრომსე 271;
ტროცკი (ლევ დავილოვიჩ) (იგივე ლეიბა ბრონშტეინი) 306;
ტრუმენი (ჰარი) 97, 221, 465, 466, 470, 492, 496, 497, 511, 512, 522, 689;
ტულა 337, 648;
ტუნისი 437, 529;
ტურინი 691;
ტუნაჩევსკი (მიხაილ ნიკოლაევიჩ) 220, 308;

უ

უდაი ჰუსეინი 649, 651, 669;
უელსი 178;
უელსი (ჰერბერტ) 177;
უიჯენგბუ 465;
უკრაინა 329, 330, 331, 332, 334;
უმბრია 692;
უმ-ქასრი 643;
უნგრეთი 313, 356, 357, 378, 433, 435, 683, 686, 687, 689, 692;
უნსანი 494;
უოკერი (უოლტონ) 467, 469, 491, 492, 495, 503;
ურალი 333;
ურტი 214;
ურუსუ (საბური) 356;
უსამა ბინ ლადენი 646, 650;
უსდაუ 79;
უფალიზი 439;
უსუდი 672;

ფ

ფაბიუსი (კვინტუს მაქსიმუს ვერუკოსუ) 381;
ფავია 694;
ფაიზალ II 615;
ფალკენჰაინი (ერიხ გეორგ ანტონ ფონ) 58, 59, 97, 98, 105, 106, 107, 216, 579, 695;
ფანმუნჯომი 498;
ფარუხ I 577;
ფეი (პიერ) 526, 530;
ფერდინანდი (ბრაუნშვაიგის პრინცი) 215;
ფილიპე I ჰაბსბურგი 686;
ფილიპე II ჰაბსბურგი 686;
ფილიპე III ჰაბსბურგი 686;
ფილიპი 683;
ფილიპინები 357, 406, 463, 465, 468, 497, 674;
ფინეთი 73, 309, 310, 311, 312, 322, 676;
ფისმე 56;
ფიჯი 650;
ფლავიუსი (იოსებ) 683;
ფლამინიუსი (გაიუს) 592;
ფლანდრია 98, 211, 249, 251, 322, 381, 385;
ფლერი 106, 130;
ფლორანვილი 216;
ფლორენცია 218, 691;
ფლორიდა 551, 553, 560, 648;
ფლოსენბურგი 213;
ფოკი (გორხ) (იგივე იოჰან ვილჰელმ კინაუ) 136, 140;
ფოლკსტონი 405;
ფონტენბლო 690;
ფორდი (ჯერალდ) 617, 640;
ფორმოსა 496;
ფორტ სილი 639;
ფორტუნი (ვიქტორ) 235;
ფორტ ჰუდი 648;
ფოში (ფერდინანდ) 52, 242;
ფრანსუა (ჰერმან ფონ) 76, 78, 79, 83, 122;
ფრანც II 692;
ფრენკსი (ტომი) 639, 643, 648, 649, 651;
ფრენჩი (ჯონ დენტონ) 54, 55, 59, 159, 688;

ფრიდლანდია 686;
ფრიდრიხ დიდი I ბარბაროსა შტაუფენი
(ჰოჰენშტაუფენი) 303;
ფრიდრიხ II დიდი ჰოჰენცოლერნი 23, 52,
674, 683, 686, 689;
ფრიდრიხ III ჰოჰენცოლერნი 31, 104,
205;
ფრიდრიხ ვილჰელმ IV ჰოჰენცოლერნი
215;
ფრიიხი (ვერნერ ფონ) 250;
ფრუნზე (მიხაილ ვასილევიჩი) 517;
ფხენიანი 491, 492, 502, 508;

ქ

ქალდეა 617;
ქანაანი 106;
ქარბალა 647;
ქოვენტორი 290;
ქსერქსე 671, 683;
ქული (ერიხ ფონ) 57;

ლ

ლაზა 577;
ლორეზის ყურე 551, 552, 553, 554, 555,
556, 557, 558, 561, 565, 568, 575, 577,
685;

ყ

ყაზახეთი 496;
ყატარი 639, 641, 646;
ყირიმი 101, 279, 331, 332, 333, 346,
688;

უ

უავი ზღვა 329;
უაინერმანი (მორდესაი) 580, 581;
უარიფი (ბაშარ) 612;
უარნჰორსტი (გერჰარდ იოჰან ფონ) 215;
უარონი (არიელ) 580, 581, 588, 591,
604, 605, 610;
უარონი (შმუელ) 581, 584;
უატო ტიერი 170;
უვარცკოფი (ნორმან) 618, 619, 620, 621,
622;
უვეიცარია 35, 73, 97, 310, 331, 672,
679;
უველე (ჰერმან ფონ) 105;
უვერი (რაინჰარდ) 133, 134, 135, 136,
137, 138, 139, 140;
უელდა 437, 695;
უელენბერგი (ვალტერ) 213, 311;
უემ დე ღამი 156, 165;
უერბური 276, 406;
უერმანი (ფორესტ) 480;
უილერი (ფრიდრიხ) 27, 28, 385, 671,
673;
უილიფენი (ალფრედ ფონ) 26, 32, 35, 36,
37, 51, 52, 53, 55, 56, 73, 74, 76, 82,
97, 211, 213, 214, 222, 243, 256, 432,
436;
უმიდტი (ბეპო) 273;
უმიდტი (პაულ) 182, 243;
უშუნდტი (რუდოლფ) 215, 223;
უნაიდერი 239;
უორეული აღმოსავლეთი 337, 492, 524;
უოტლანდია 65, 178, 409, 447, 463,
673;
უპანდაუ 184;
უპეერი (ალბერტ) 244;
უპენგლერი (ოსვალდ) 25, 697;
უპერლე (ჰუგო) 276;
უტალუპონენი 76;
უტააკენი 184;
უტეტინი 181;
უტრასმანი (ფრიც) 675;
უტუმპფი (ჰანს-იურგენ) 276;
უუმნივი (კურტ) 433;

ჩ

ჩალდინი 691;
 ჩან კაიში 494, 496, 499;
 ჩარლვეილი 249;
 ჩემბერლენი (ნევილ) 182, 186, 222, 225, 226;
 ჩე გევარა (ერნესტო) 559, 562, 574, 575;
 ჩენ გენი 503;
 ჩერნოგორია (იგივე მონტენეგრო) 305;
 ჩერჩილი (უინსტონ სპენსერ) 222, 247, 253, 255, 274, 279, 304, 405, 413, 429, 433, 463, 674, 675;
 ჩეხეთი 672, 673, 692;
 ჩეხოსლოვაკია 178, 182, 517;
 ჩიანო (გალეასო) 356;
 ჩიკაგო 467;
 ჩინეთი 23, 464, 465, 466, 491, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 503, 504, 506, 517, 521, 522, 528, 529, 586;
 ჩონგჩონი 493, 494;
 ჩოსინი 494;
 ჩრდილოეთის ზღვა 133;
 ჩრდილოეთ კორეა 23, 463, 464, 465, 467, 469, 470, 471, 472, 491, 492, 493, 495, 497, 500, 502, 689, 690, 693;
 ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე 330;
 ჩუიკოვი (ვასილი ივანოვიჩ) 376, 377, 378, 386, 387, 400, 402, 647;
 ჩუნგბო 521;
 ჩუნჩონი 465;

ც

ციმბირი 220, 330, 336, 337, 356, 492, 640, 651;
 ციცერონი 28, 685;
 ცუშიმა 15, 693;

წ

წითელი ზღვა 619;
 წყნარი ოკეანე 356, 357, 358, 361, 373, 463, 466, 467, 552, 617, 642;

ს

სარკოვი 329, 382;
 სიმკი 336;
 სიროსიტო 360;
 სმელთაშუა ზღვა 181, 216, 222, 303, 305;
 სორვატია 305, 356;
 სო ში მინი 521, 522, 529, 530, 531;
 სრუშჩოვი (ნიკიტა სერგეევიჩ) 310, 322, 332, 333, 339, 376, 378, 379, 386, 387, 558;

ჯ

ჯაკარტა 558;
 ჯეიმს VI შოტლანდიელი (იგივე იაკობ I ინგლისელი) 178;
 ჯელიკო (ჯონ რაშორტ) 133, 134, 135, 136, 137, 139, 140, 141, 143, 147, 153, 155;
 ჯეფერსონი (თომას) 357;
 ჯიაპი (ვო ნგუენ) 522, 524, 525, 526, 527, 528, 529, 530, 531, 542, 544, 546;
 ჯონსონი (ლინდონ) 523;
 ჯორჯთაუნი 640;
 ჯოუ ენლაი 492;

კ

კავაი 356, 357, 361, 362;
 კავანა 559;

ჰაიდრიზი (რაინჰარდ) 179, 185;
 ჰაიდცი (ვალტერ) 382;
 ჰაინრიხსვალდე 75;
 ჰაილეიქი 54;
 ჰალდერი (ფრანც) 178, 185, 214, 217,
 221, 248, 250, 303, 308, 318, 331, 337,
 374;
 ჰალე 76;
 ჰალიბოლისი (გალიბოლი, გალიბოლის
 ნახევარკუნძული, იგივე გელიბოლუ) 245,
 247;
 ჰანი (ოტო) 675;
 ჰანიბალი (ჰანიბალ ბარკა) 32, 82, 216,
 254, 381, 691, 692;
 ჰანოვერი 32, 214;
 ჰანოი 521, 522, 523, 524, 529;
 ჰარტმანი (ალექსანდერ ფონ) 384;
 ჰაუპტი (ჰანს-იოაჰიმ) 102, 109;
 ჰაუსერი (ჰაულ) 410, 413, 436;
 ჰაფნერი (სებასტიან) (იგივე რაიმონდ
 პრეტსელი) 355, 360;
 ჰეგელი (ფრიდრიხ) 25;
 ჰენდერსონი (ნევილ) 178, 181, 182;
 ჰენჩი (რიჩარდ) 55, 56, 57, 58, 59;
 ჰერაკლიტე 25;
 ჰერდერი (იოჰან გოტფრიდ) 25;
 ჰერესბახი 456;
 ჰერმონი 586;
 ჰეროდოტე 671;
 ჰერსტალი 43;
 ჰერცოგი (ჰაიმ) 590;
 ჰესი (რუდოლფ) 184, 185, 186, 206,
 273;
 ჰესი (ფრიც) 273;
 ჰესენი 76, 106;
 ჰიდესენი 53;
 ჰიერლოტი 447;
 ჰიმლერი (ჰაინრიხ) 179, 439, 442, 675,
 676;
 ჰინდენბურგი (ჰაულ ფონ) 33, 77, 78,
 79, 80, 81, 82, 83, 86, 94, 106, 156,
 158, 162, 163, 164, 178, 213, 222, 234,
 240, 254;
 ჰინდენბურგის საზი 156, 162, 163, 164,
 165;
 ჰიპერი (ფრანც ფონ) 134, 135, 138, 140,
 141;
 ჰიროსიმა 463;
 ჰიტლერი (ადოლფ) 23, 26, 33, 34, 78,
 104, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183,
 184, 212, 213, 214, 215, 217, 218, 219,
 220, 248, 250, 272, 273, 303, 304,
 305, 329, 331, 332, 334, 337, 355, 373,
 377, 378, 379, 380, 382, 383, 384, 385,
 405, 407, 408, 410, 411, 412, 431, 432,
 433, 434, 435, 436, 437, 439, 440,
 446, 675, 677, 678, 679, 680, 685,
 689;
 ჰიურტგენვალდი 431;
 ჰიუტცინგერი (შარლ) 243;
 ჰიჯაზი 615;
 ჰონემანსი (ერიხ) 212, 223;
 ჰოლანდია 211, 212, 215, 219, 221, 254,
 273, 405, 407, 432, 435;
 ჰოლცენდორფი (ჰენინგ ფონ) 133;
 ჰოპნერი (ერიხ) 329, 337, 339;
 ჰორნი (დუგლას) 294;
 ჰორნსი 137;
 ჰორტი (მიკლოშ) 433;
 ჰოტი (ჰერმან) 215, 248, 310, 329, 341,
 374, 382, 383, 386;
 ჰოტინენი 310;
 ჰოუკინსი (ჯეკ) 554, 559;
 ჰოფმანი (მაქს) 76, 78, 79, 80, 81, 83,
 86, 94;
 ჰოსკირხი 683;
 ჰუანანი 495;
 ჰუდი (ჰორაციო) 145, 648;
 ჰუპენკოტენი (ვალტერ) 213;
 ჰუსი (იან) 672, 673;
 ჰუტიე (ოსკარ ფონ) 552;

UDC (უკ)355(100)(09)
L-81

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა

საქართველოს შეიარაღებული ძალების

დპ. 7 – 50.16. 2

გენერალური შტაბის უფროსის 14.09. 2018 წლის №699 ბრძანებით

დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

ჰანს-დიტერ ოტო

სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია

სალამინიდან პრაციის ოგაგდე

ტომი II

ლიეჟიდან პრაციის ოგაგდე

ქართული გამოცემის საერთო რედაქტორი: თადარიგის პოლკოვნიკი, ისტორიის
დოქტორი, პროფესორი არჩილ ჩაჩხიანი

სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის დოქტორი არსენ გვიმრაძე

ისტორიის დოქტორი გოგი ცხოვრებაძე

გამოცემის რედაქტორი ქეთევან ოსეფაიშვილი

მთარგმნელი ლია დათინაშვილი

სტილისტი თინათინ პავლიაშვილი

დამკაბადონებელი სოფიო გოცაძე

ტექნიკური რედაქტორი, პოლიტოლოგიის დოქტორი, პოლკოვნიკი ნოდარ ხორბალაძე

ტექნიკური ჯგუფის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი დავით ჩოგოვაძე

© საავტორო უფლებები დაცულია. All rights reserved.

© არჩილ ჩაჩხიანი, 2019.

ISBN 978-9941-27-733-7 (ორივე ტომის)

ISBN 978-9941-8-0934-7 (მეორე ტომის)

განხილული და მოწონებულია დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის
აკადემიური საბჭოს მიერ. სხდომის ოქმი №1. 29.01.2018 წელი

დაბეჭდილია საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის
ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის
ტოპოგრაფიული სამსახურის სტამბაში

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20.

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

ტირაჟი 340

თბილისი
2019

726